თამაზ კვაჭანტირაძე

დაიბადა 1940 წელს თბილისში. დაამთავრა თბილისის მე-60 საშუალო სკოლა და თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დღემდე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თსუ ახალი ქართული ენის კათედრაზე. 1978-89 წლებში რედაქტორობდა ჟურნალ „ბალავერს“ („ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“). 1975-1990 წლებში საქართველოს ტელევიზიით კითხულობდა ყოველკვირეულ ლექციათა ციკლს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ამჟამად უძღვება საავტორო ტელეპროგრამას „მოგზაურობა სასიტყვეთში“. იბეჭდება 1965 წლიდან; არის საქართველოს პედაგოგიური აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს მწერალთა ეროვნული კავშირის წევრი, ავტორი ხუთი წიგნისა და ასზე მეტი სამეცნიერო და კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილისა. 1989-90 წლებში იყო რუსთაველის საზოგადოების თანაპრეზიდენტი, 1991-92 წლებში — საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრი, 1993-98 წლებში საქართველოს განათლების მინისტრი. ჰყავს მეუღლე, სამი ქალიშვილი და ხუთი შვილიშვილი.

თამაზ კვაჭანტირაძე

სიტყვა

პუბლიცისტიკა
კრიტიკა
ესეისტიკა
საჯარო გამოსვლები
დიალოგები

„საბჭოგლო ფორტე“
თბილისი
2002

სარჩევი

ძალა სიტყვისა

ძალა სიტყვისა....11
თავისუფალი — უფალი თავისა....26
თავისუფალი ვარ —ესე იგი, პასუხს ვაგებ....29
საფლავი....31
გვირგვინი....35
დეეიზი....37
იმოძრავე, იბერიავ!....39
გიხაროდენ....42
უნდა ვიფრინო, უნდა ვზიდო....44
იანვარი....45
ჟამი ბრძოლისა და ჟამი მშვიდობისა....49
მადლი....56
„ამისთანა მკურნალს ვაქებ, მილესევდეს ფაზარ-ხუთოს"....58
ძალაუფლების საცდური....59
კარიერისტი....62
გადადექით!....66
მერაბ კოსტავა — კაცი-იდეა....70
დევნილობიდან — მდევრობამდე....71
ვაგლახ, უკვდავი....75
შინაომში გამარჯვებული არ არსებობს....81
მოჯადოებულ წრეში....82
მსხვერპლი ხელისუფალმა უნდა გაიღოს....83
რეპეტიტორობა — ბოროტება თუ სიკეთე?....84
ბალავერი....89
რა ენა წახდეს....91
მსგეფსი....94
მარადისობის მძევალი....97
სამშობლომანი....104
დაღვრილსა და დასაღვრელს....106
სიმღერა....109

მესიტყვენი

მონაღვლეები....113
ოცნების მასწავლებლები....116
თანამდეეი....117
ვუსმინოთ ყაზბეგს....120
ვაჟა-ფშაველას გაკვეთილები....122

სინამდვილის მსახური 126
ანდერძი 128
„აღდეგ და ქართულად უბნობდი" 130
ქიაჩის რაინდი 132
სარანგი 134
წყურვილი სულისა 136
ხმაძალიანი 139
ხასიათების მხატვარი 146
შენშია სხვა, სხვაში ხარ შენ... 149
ყოფილა, დღეს ვეღარ არის, მაგრამ იქნება, ცხადია! 152
უხვი 171

სიტყვისგება

პაოლოს ნეკნისაგან 185
დრო იტყვის 187
„ავ-ფთონი" ანუ ავად მღელვარი 190
აკაკი ბაქრაძის „კრიტიკული შენიშვნების" გამო 197
ვის „ვროზგავთ"? 208
ცოტა რამ მჯიღზე, დედაენაზე და კვერცხისმდებელ მამლებზე 213
აღმოიღე, ორგულო... 218
მუსტაფაზე მეტი მოგვეთხოვება 228
„არს უმჟავესი წმახისა" 240
ექსპერიმენტი პლაგიატზე ანუ ფერისცვალება „კაც-მაიმუნისა" 250
რომლითა საწყაულითა... 254
ბოდიში, მაგრამ ბოდიშს ვერ მოგიხდით! 257
ბანის გარეშეც... 259
ხუთიანი პლუსით 261
მაგ „პრაედით" იარონ! 264
მოწიწებული მადლობა 267
ხურავენ... 267
აუცილებელი განმარტება ანუ ერთი ცილისწამების გამო 268
ვამტკიცო, რომ განათლების მტერი არა ვარ? 277
ყვარყვარეთი 279
ჭუა 288
აცილებული განცხადება 297
მატრაკვეცი 298
ემფატიკური „ა" 306
საქმით იცანით 311
რეპლიკის რეპლიკა 317

ცოცხალი სიტყვა

დედაენის ფრთებით 321
„კრულია მისი ხსენება, ვინც დაპგმობს დედაენასა" 322

დედაენა — მეექვსე გრძნობა....325
ენა — დედა, ენა — შვილი....327
დიდი ილიელი....328
სიშორით სიახლოვე!....331
კვირაძალი....332
გულახდილი დიალოგი....333
წიგნი — განსაქმებული სიტყვა....338
უგულო კაცი ვერ კაცობს.......339
ქება სიჯანსაღეს....341
საქართველოს ცოტნე არ დაელევა....343
ჩვენი დრო და ზნეობრივობა....344
დიდგორი....346
ნელი პირველი....347
ილია და ანტილია....350
მიეცით და მოგეცემათ....360
არჩეულმა სწორად უნდა აირჩიოს....362
უნდა ვიყარო თუ არა კენჭი?....363
ხმა იმას მიეცით, ვინც თქვენს ხმას შეისმენს....364
ამბოხი....369
ფიალა....374
დაბლოკილი განცხადება....376
ერთად....377
ტვინდაცვეთილნი....378
გვარს კაცი ამშვენებს....382
ორი მიმართვა აფხაზებს....384
გული ტვინს ვერ გაეფიცება....387
ჰაერის ფასად....389
სიტყვა კულტურის ინსტიტუტზე....390
განათლება — ზომიერების სრუტის ლოცმანი....391
ორმოცდაათწლიანი ციკლის ეფექტი ანუ — არ გამოგეპაროთ!....395
მხნედ ანუ მაიორულად!....396
ტივზე ჩვენი ბავშვები სხედან....397
სახვალიო საქართველოს დამღა....400
უკანონო ძალა უძლურებაა, უძალო კანონი — უკანონობა....401
ხმა მღაღადებლისა „ლიტერატურული საქართველოდან“....403
პასიანსი....404
ორიოდ სიტყვა „დილაბნელზე“....405
უბერებლობამისჯილი....407

<u>სიტყვა-პასუხი</u>

მოვუაროთ საქართველოს!....411
ყოფნა ქართველობის დონეზე....418
პრეზიდენტი, უპირველესად, სამართლიანი უნდა იყოს....425

„იფრინდა“-ს აინტერესებს 427
არ მოხდეს მეორე „ბაზალეთი“ 428
მთავარია, ზნეობრივად არ დამარცხდე 430
ნუ დაპკარგავ ძველსა გზასა 438
წინამორბედთა საქმეს ვაგრძელებ 439
გარანტი 443
ვაითუ... 448
სკოლა შინაგანად ტაძარს უნდა დაემსგავსოს 450
ინტერვიუ ზეპირი, ინტერვიუ წერილობითი 452
გადავარჩინოთ განათლება — გადავირჩინოთ თავი 457
თუ გადაგვარჩენთ — გადაგარჩენთ 462
პედაგოგს რეფორმა სჭირდება, რეფორმას — პედაგოგი 466
ბოლო შანსი ღირსეული სიკვდილია 467
არჩევნებამდე და მის შემდეგ 475
მთავარია, ჩვენ ვივარგოთ 488
რომ გაგიგონ, უნდა გაუგო 494
„თუ“-ს გარეშე 500
ჯერ კანონის შესრულებაა კანონი 503
მეუღლის პრიზმაში: არ ვსდევ ჟამთაცვლას 505
ზოგჯერ წასვლაც დარჩენაა 509
წყლის ნაყვა 511
რა ხალხი იჩემებს გამსახურდიას მეგობრობას? 517
ისტების ქვეყანა 523
ცხოვრება თამაშიცაა 530
პაემანი „ნატოზე“ 531
მე მარტო მაშინაც არა ვარ, როცა მარტო ვარ 538
გადატრიალება თუ ამბოხი? 542

სიტყვით ნატირები

შეეძინა ერსა თვისსა 549
ვაი, რა ბოძი წაიქცა 550
ამაღლება 551
უკეთესი საქართველოს მაცნე 552
ნათელში... 554
ვისთვის — საჭირო, ვისთვის — საშიში 555
სიმღერა გრძელდება 556
ვალმოხდილი მოვალე 557
სულეთს შავიდეს ხმლიანი 559
შემოქმედი 560
სანთლები 564
ცხენდაცხენ 566

„სიტყვის“ წინათქმა

ამ წიგნში თავი მოვუყარე ძირითადად ბოლოდროინდელ ჩემს კრიტიკულ-პუბლიცისტურსა და ესეისტურ ნაწერებს. კრებულში შევიტანე აგრეთვე ჩემი საჯარო გამოსვლები და ჟურნალისტებთან საუბრებიც. ოღონდ — მხოლოდ ის მასალა, რომელშიც მე ან წერილობით ვუპასუხებდი შეკითხვებს, ან ამ დიალოგებს საბოლოო წერილობით სახეს მე ვაძლევდი. ორი წერილი თანაავტორობით დაიწერა: „ვის ვროზგავთ“ — კოტე გაბაშვილისა, „რომლითა საწყაულითა“ — სოსო ცისკარიშვილისა (ამ უკანასკნელი წერილის პირველ პუბლიკაციაში, სამწუხაროდ, ტექნიკური ხარვეზის გამო, მხოლოდ ერთი ავტორი იყო მითითებული). შესაბამისი მასალის თანაავტორებადვე ვთვლი ზემოხსენებულ ჟურნალისტებსაც.
აღრე გამოქვეყნებული მასალა ამჯერად წარმოდგენილია ყოველგვარი სარედაქციო კუპიურის გარეშე.
ცალკე თავებადაა გამოყოფილი:

1. „ძალა სიტყვისა“ (პუბლიცისტიკა);
2. „მესიტყვენი“ (მწერალთა ლიტერატურული პორტრეტები);
3. „სიტყვის-გება“ (პოლემიკა);
4. „ცოცხალი სიტყვა“ (საჯარო გამოსვლები);
5. „სიტყვა-პასუხი“ (დიალოგები);
6. „სიტყვით ნატირები“ (გამოსათხოვარი).

წიგნსაც სათაურად „სიტყვა“ დავარქვი — ქართულ სიტყვას მიყურადებული, ეს ორმოცი წელიწადია მის მსახურებას ვცდილობ; სიტყვის მსახურებისას კი, მწამს, იმ სიტყვასაც ვემსახურები, რომელიც „პირველითგან იყო“.

ი.ა.ბ ბაბალიანი

ძალა სიტყვისა

პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილები, ესეები, ნარკვევი

სიტყვა გადვაგდე ერშია,
სიტყვა, რა სიტყვა? — ეული,
ტანჯულის გულით ნაცრემლი,
ვარმით ნაკვები, სნეული,
გულგანგმირული, ბეჩავი,
თავს მანდილჩამოხეული!
ასე წვა-დაგვით გაზრდილმა,
რას ვიფიქრებდი, იხარა,
წვერს მარგალიტი მოისხა,
ტანი ზურმუხტით იფარა;
მთელს ქვეყანაზე სხივსა ჰფენს,
როგორც ცამ, გამოიდარა.

ძალა სიტყვისა

... და აქუნდა მას სიტყუაჰ გამოჩინებული...
და იტყოდა სიტყუასა სულიერებისსა.
ცხორებაჰ სვიმეონ მესვეტისაჰ

კინოში, ალბათ, ბევრს გინახავთ საკორიდე ხარ-მოზვერი, ბნელიდან რომ გამოიჭრებიან განათებულ არენაზე ერთადერთი სურვილით — იბულრაონ, ერჩოლონ, ურქინონ... ჩვენც, მესამოცე სკოლის მეცხრეკლასელებს, ზუსტად ასეთივე რამ გვემართებოდა გეოგრაფიის გაკვეთილის შემდეგ — მასწავლებლის ზარდამცემი კივილისა და ჟურნალში მამალი ორიანის შიშით გათანგულები, ციურ მანანასავით ველოდით გამოსვლის ზარს... და როგორც ზამბარა გაიშალოს წუილით — კლასშიც ყველა და ყველაფერი ყალყზე დგებოდა... ორიოდ გოგო თუ ასწრებდა კარში გასხლტომას, დანარჩენები შიშით მიიკუნჭებოდნენ ერთ კუთხეში; მაშინვე ინყებოდა „ჩანთებით ბოი" — ასე ვეძახდით უპრიმიტიულეს ბრძოლა-თამაშს: ოცდახუთი საკორიდე მოზვერი — თითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად — ერთმანეთს ვუშენდით ჩანთებს, განურჩევლად იმისა, ჩვენი იყო თუ სხვისი... ბევრი ჩანთა ვერ უძლებდა ასეთ დატვირთვას და ჰაერში მათთან ერთად დაფრიალებდნენ წიგნები, რვეულები, სახაზავები, რეისფედერები, „კედები", „ტაპოჩკები"... ცხადია, ეს ყოველივე „დაისის" უვერტიურის ფონზე არ ხდებოდა, პირიდან გაცილებით უფრო მაჟორული ჰანგები ამოგვდიოდა — ბღავილი, კივილი, ჭიხვინი, ნკმუტუნი, ღრიალი, ყროყინი, სტვენა — მოკლედ, თავი საკლასო ოთახში კი არა, ნოეს კიდობანში გეგონებოდათ ყველაზე ძლიერი შტორმის დროს.

იმ წელს გოგოები შემოგვიერთეს და ჩვენს თამაშს სიფიცხე მიემატა. ერთ დღესაც, ამგვარ გართობაში რომ ვართ და თანაც გვიხარია — ქართული უკვე ერთი კვირაა გვიცდება და ბრძოლას კიდევ ორმოცდახუთ წუთს გავაგრძელებთო, უცებ შევნიშნეთ — დაფის ნინ ვიღაც უცნობი იდგა. გაკვეთილი ცდებოდა, არავის ველოდით, ჩვენი საქმით ვიყავით სერიოზულად დაკავებული და — ეს კაცი რა შუა იყო? მისი არც შემოსვლა გაგვიგია... უცნობი ჯოხსდაყრდნობილი იდგა და საკმაო ინტერესით ადევნებდა თვალს ჩვენს საქმიანობას. ზორბა კაცი ჩანდა, ნოლა ცხვირითა და ირიბად აჭრილი თვალის კილოებით; ყბიდან ეჯამდე, ნიკაპს ამოყოლებით ნახანჯლარივით ეელებოდა ღრმა ნაოჭი, ნაოჭი კი არა — უფრო ღარი ეთქმოდა. უკმაყოფილონი, ნელათრევით დავიძარით ჩვენ-ჩვენი მერხებისაკენ და, როცა ყაყანი სტაბილურ ზუზუნში გადაიზარდა, უცნობმა ხელჯოხით მისნი-მოსნია მის ნინ მიმოფანტული ჩანთები — თითქოს არენა მოისუფთავაო — და გვითხრა:

— ყმაწვილებო, ილიაზე ვილაპარაკებ.

ეს პაროლსა ჰგავდა, განდობილები რომ ეუბნებიან ერთმანეთს. თანაც ასე არავის მოუმართავს ჩვენთვის... არანაირი „მხეცებო", „ნადირებო", „მუტრუკებო" არ გაგვაკვირვებდა ისე, როგორც ეს უწყინარი „ყმაწვილებო", მაგრამ მარტო ეს არ ყოფილა იმის მიზეზი, რომ ორი წინადადების მერე ხმაური მინელებულიყო, ხუთის მერე — შემწყდარიყო, ათის მერე კი სამარისებური დუმილი მხოლოდ უცნობის ძალუმი ფილტვებიდან უწყვეტ ნაკადად ამოტანილ ხმასლა დაერღვია. მიზეზი ის გახლდათ, რომ უცნობის ხმა ამ პირველი ათი წინადადების შემდეგ რაღაც სასწაულით თითქოს თანდათან სურათებად გვექცა: ჩვენ ვხედავდით, და ძალიან ნათლადაც ვხედავდით — ისე როგორც ეკრანზე — პატარა ბუთხუზა ილიკოს, მშობლებსა და და-ძმებს ტახტზე რომ მუთაქასავით გაუგორებიათ, ზედ ვეება წიგნი გადაუშლიათ და გვესმოდა კიდეც ბებურიშვილის ქალის, მაგდას, ხმა — „არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მპყრობელმან"... ვეფხისტყაოსანმიყრდნობილი ცოცხალი მუთაქა კი გატრუნულა, თითქოს რაღაცით კმაყოფილიცა და ნაწყენიც ერთსა და იმავე დროს... მერე დავინახეთ ეს ქალი კუბოში, და პატარა ილიკო, მამისხელჩაბლუჯული... მერე ვხედავდით სევდისაგან დამუნჯებულ გრიგოლს, ილიკოს მამას, მამიდა მაკრინეს, ტკბილად ჩაძინებული ყანის მუშების სუნთქვას მიყურადებულ ბავშვს, მერე — უკვე ყრმას, ყვარლის მთებს ზემოთ მაცქერალს და მობუტბუტეს — „თქვენ ჩემთან ივლით... თქვენ ჩემთან ივლით"... ვხედავდით ჩრდილოეთის დაუსრულებელი ღამის გამტეხ სტუდენტს, სანთლის შუქზე განაცრებული სახით რომ კითხულობს სანუკვარი ხელნაწერი რვეულიდან — „და ჩემს შემდგომად სიძნელე გზისა მოძმესა ჩემსა გაუადვილდეს"... დავინახეთ, როგორ ანაზდად მოზიდა ცხენს ლაგამი ჭაბუკმა და გაშეშდა — ტვინში დაპკრა და ხერხემალში გაუარა მეგზური მოხევის სიტყვებმა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდენეს"... ვხედავდით თვალებანთებულ ახალგაზრდა რედაქტორს, კალმის მტკიცე მოსმით რომ გამოჰყავს: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია"... დავინახეთ ფოთოლივით მოცახცახე ოლიკო გურამიშვილი, უცხო თვალისგან ნამალევად რომ კითხულობს ბარათს: „შენი კი ჭირიმე, ოლიკო! როდესაც შენ ვერა გნახამ, ის დღე ჩემთვის დაკარგულია, მითამ არც კი გათენებულა"... დავინახეთ ცეცხლისმფრქეველი პირიდან ამოთქმული ფიცი — „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა"; დავინახეთ ქართული დროშის ხილვისას ცრემლმოწოლილი მაყურებელი, „სამშობლოს" ავტორი ატატებული რომ გამოჰყავს თეატრიდან, და კიდეც მოგვესმა მჭახე ლანანი — ეს ლირფი კატკოვის ყბაზე აღიბეჭდა ილიას ლომივით ტორი: „გაცვეთილი კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ეგრე უკადრისად ხსენებას მისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, არ ვიცით, რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრეთ მომხსენიებელი რა სულიერებში შევრაც-

ხოთ!“ ვხედავდით განდობილთა სერობას ხუთშაბათობა-დღეს ილიას ბინაზე — მასპინძელს საქართველოს მაჯა ეჭირა და „მის გულისფეთქვას ყურს უგდებდა სულგანაბული“... ყველაფერი დავინახეთ, ყველაფერს მოვუსმინეთ და აი, აგვისტოს ერთ ჩამოხუთულ დღეს ჩვენც გავყევით ეტლს საგურამოსკენ, ჩვენც შევჩერდით არაგვის პირად და დავინახეთ ეტლიდან გადმოსული მოხუცი, მჭმუნვარე სახით ბოლთის მცემელი, მერე ეტლში რომ ჩაჯდა და — „გარეკეო“, — მტკიცე ხმით უთხრა იუდა-მეეტლეს. დავინახეთ უკეთური თვალი, თოფის სანიშნეზე საქართველო რომ დაესვა და ჩვენც დაგვზაფრა შავი ტყიდან „ბერდანკის“ გამოქუხებამ... დავინახეთ, როგორ წამოიმართა მოხუცი ეტლში, „რას სჩადით, ილია ვარო“ — დაიძახა და ნაგანიც შემართა. ისევ დაიქუხა „ბერდანკამ“ და ჩვენ, თვალებზე ნისლგადაკრულები, უკვე ვეღარაფერს ვხედავდით, მხოლოდ გვესმოდა შლიგინი, ცხენების ჭიხვინი, ყრუ ბაგუნი, ამოკვნესა და უცნაური ტკაცანი, კონდახდაკრულმა შუბლისძვალმა რომ გაიღო... მერე სისხლში ამოთხვრილი, მტვერსა და მინაში აზელილი მოხუცი კნეინა იხვეწებოდა: „აგვიყვანეთ, წაგვიყვანეთ, მითამ საყდარი აგიგიათ“... მერე სიონის ზარების გუგუნი მოგვესმა, დავინახეთ ჩალეწილ შუბლზე მუხისფოთოლდაფენილი ცხედარი, მის წინ დაჩოქილი საქართველო... ვხედავდით, როგორ წამოიტივტივა კუბო ხალხის მდინარემ, დავინახეთ მხრებში შემდგარმა ორმა ახალგაზრდამ როგორ მოაყენა აივანს აცახცახებული მოხუცი პოეტი და სამარისებურ სიჩუმეში როგორ დაირხა: „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია“ — და ექოსავით რამდენჯერმე გამეორდა — საქართველოს სიკვდილი არ უწერია... სიკვდილი არ უწერია... არ უწერია...

ანაზდეულმა სიჩუმემ კლასში დაგვაბრუნა. ხელჯოხიანი უკვე გასულიყო კლასიდან... ნელ-ნელა ვიღვიძებდით...

— ეს ვინ იყო, ტო? — პირველი დათო ხოშტარია გამოერკვა.

ვინ იყო, არავინ ვიცოდით. იმას კი ვხედავდით, რომ კლასში რაღაც უჩვეულო ხდებოდა: გურამ კვინიკაძე, რომელსაც, ფიწალი რომ გეძგერებინა, თვალს ვერ დაახამხამებინებდი, რაღაც საეჭვოდ ქსუტუნებდა და თვალებს იჭყურტნიდა. უფრო გულჩვილ თემურ გეგენავას ნიკაპზე ესკვნებოდა ცრემლი... გოგოებისკენ ხომ გახედვაც არ ღირდა. არც მე გახლდით მაინცდამაინც აზიზი და მგრძნობიარე, მაგრამ რატომღაც იმ დასვენებაზე აღარ ვინდომე უსიამოვნო საუბარი გამეგრძელებინა პარალელური კლასის ერთ ენაჭარტალა გოგოსთან...

დასვენებაზე ჩვენი კლასიდან გამოვარდნილმა დუმილმა, ეტყობა, სამასწავლებლოშიც შეაღწია და ჩვენი დამრიგებელი, პატივცემული თამარ ჟღენტი, დაფეთებული შემოვარდა — ალბათ შატალოზე გაიპარნენო... მთელი კლასი გაუნძრევლად ვისხედით...

— რა მოხდა, მოკვდა ვინმე?..

ვუთხარით, რაც მოხდა.

— დამავიწყდა გამეფრთხილებინეთ — ქსენია მასწავლებელი პენსიაზე გადის. თქვენ ხომ ყველაფერში იღბალი გაქვთ — დღეიდან ბატონი სიმონი გასწავლით.

ამის შემდეგ ბატონი სიმონი (სხვათა შორის, მასწავლებელს რომ თავისი კოლეგისათვის ასე ეწოდებინოს, ესეც პირველად მაშინ მოვისმინეთ) ანუ სიმონ სხირტლაძე ორ წელიწადს გვასწავლიდა და, გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, მისი ყოველი გაკვეთილი, უფრო სწორად, საუბარი მახსოვს... ამას ჩემი მეხსიერების განსაკუთრებულ ღირსებად ნუ მიიჩნევთ — ყველას, მთელ კლასს გვახსოვს. ერთადერთი გაკვეთილის თემას ვერ ვიხსენებ და იმაზეც ქვემოთ მოგახსენებთ — რატომაც... მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა — ოცდახუთი წლის წინანდელ ამბავს მოგიყევით — ბევრი ოქროპირისთვის მომისმენია, მათ შორის ბიძინა ბარათაშვილისა და თვით შალვა ნუცუბიძისათვის, მაგრამ ასეთი გამაოგნებელი შთაბეჭდილება აღარავის მოუხდენია... შეიძლება ვინმემ იფიქროს, თუ კაცს ენა და გონება უჭრის, რა უნდა 15-16 წლის გოგო-ბიჭების ხელში დაჭერას, სიტყვით მათ „დაბმასო". არადა, ასე მგონია, რომ ყმაწვილის „დაბმა-გაცურება" გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე უფროსისა: გაუცვეთელი კანითა და ნერვით ახალგაზრდა უფრო ადვილად „იჭერს" სხვათაგან მომდინარე ყოველგვარ იმპულსს, ყოველგვარ სიყალბეს. ჩვენს ახალ მასწავლებელს იმიტომაც „დავებმევინეთ", რომ მას ეს აზრადაც არ მოსვლია. მოსწავლე უტყუარად გრძნობს, რა არის ალალი, ნაღდი, ხალასი და რა — ნაწვალებ-გამოტანჯული, წინასწარ დაგეგმილი, გათამაშებული. სიმონის როგორც მასწავლებლის მოუგერიებელი ხიბლის გასაღები, შესაძლოა, ისიც გახლდათ, რომ მას რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ჰქონდა ჩვენთან ზიარი — სულის სიყმაწვილე. ამიტომ ვიგრძენით ამ ყოვლისმცოდნე და მაღლადმხედ კაცში მარადი ბავშვი, ჩვენი კბილა: ცოტა გულუბრყვილოც, ცოტა წინდაუხედავიც, ცოტა ეშმაკიც, ცოტა უმართავიც... რას მოიმოქმედებდა, რას იტყოდა — ამის წინასწარი ამოცნობა ისევე შეუძლებელი იყო, როგორც — ჩვენი საქციელისა. ამიტომ ახალი მასწავლებელი ყველამ ჩვენს მარაქას მივათვალეთ; მოსწავლის ცნობიერებაში ხომ ყოველთვის არის მკვეთრად გამიჯნულ-დაპირისპირებული ორი „კასტა" — ჩვენ და ისინი, მოსწავლეები და მასწავლებლები. ზოგიერთი მასწავლებელი ცდილობს სიყვარულისა და ნდობის მოსაპოვებლად მოსწავლეთა „კასტას" მიეტმასნოს... საეალალო წინდაუხედავობაა: მოსწავლე ყველაზე ნაკლებად ამგვარ მასწავლებელს სცემს პატივს და ხშირად დაუნდობლადაც ექცევა. სამაგიეროდ, ღრმა და გამტანი სიყვარულით უყვარს იგი, ვისაც თვითონ მიიჩნევს „განდობილად". სიმონ სხირტლაძე ჩვენი „განდობილი" იყო, უფრო სწორად, ჩვენ აღმოვჩნდით მისი „განდობილები". ამით ახალ მასწავლებელ-

სა და მის კოლეგასა შორის არ გაჩენილა რაიმე, თუნდაც იოტისოდენა, ბზარი. მოგეხსენებათ, სკოლა, სამწუხაროდ, არც ახლაა და არც მაშინ გახლდათ დაზღვეული პედაგოგთა კინკლაობის, ქიშპობისა და არაკოლეგიალობისაგან. მით უფრო საცნაურია, რომ სიმონ სხირტლაძისა არც ერთ მის კოლეგას არასოდეს შურდა; არავის არასდროს გადაკრულადაც კი არ უთქვამს მისი ძვირი. წესით, თუ ვინმესი უნდა შეშურებოდათ, სწორედ — მისი: მასავით არავინ გვიყვარდა, მასავით არავის ვუჯერებდით, მასავით მოწიწებით არავის ვექცეოდით სკოლაში, არავის შეუნდობდა ხელმძღვანელობა იმას, რასაც მას... მაგრამ სიმონი იმდენად ერთადერთი იყო, იმდენად განსაკუთრებული, რომ შურს აზრი ეკარგებოდა — შემინდეთ უზუსტო ანალოგიისათვის, მაგრამ განა შეიძლება რომელიმე ქართველ პოეტს, რაოდენ გამორჩეულიც უნდა იყოს იგი, რუსთაველისა შეშურდეს?

ერთ ამბავს მოგიყვებით, ოღონდ ეს მერე, სხვა სკოლაში გადასვლის შემდეგ, მომხდარა: სიმონ სხირტლაძე ფიზიკა-მათემატიკურ ინტერნატში მიიწვიეს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ამ სკოლაში მათემატიკური ნიჭისა და მიდრეკილების ყმაწვილებს მოუყარეს თავი მთელი საქართველოდან. ინტერნატელებს ძილშიაც მათემატიკა აბოდებდათ და სიმონ სხირტლაძეს აქ ფრთები მისთვის ჩვეული ეშხით თითქოსდა ვერ უნდა გაეშალა. პირველსავე შესვლაზე უთქვამს მეათეკლასელებისთვის — ყმაწვილებო, აქ იმიტომ შემოვედი, რომ თავებიდან იქს კვადრატები გამოგიბერტყოთო — და გალაკტიონზე დაუწყია ლაპარაკი. დამთავრდა გაკვეთილი, დაირეკა ზარი, მაგრამ მერხზე არავინ გატოკებულა და სიმონსაც გაუგრძელებია სიტყვა. დაირეკა შესვლის ზარიც და, როცა სიმონ სხირტლაძემ გამოაცხადა — დანარჩენზე ხვალ ვისაუბროთო, მთელი კლასი თითქოსდა ვილაც უჩინარის ბრძანებით ფეხზე წამოიჭრა, ნინა ორ მერხს ხელი სტაცეს, კარს მიადგეს, ოთხნი იქვე დასხდნენ, დანარჩენებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს და, ცოტა არ იყოს, შემცბარ სიმონს გამოუცხადეს — რომც გაგვრიცხონ, ახლა აქედან ვერც თქვენ გაგიშვებთ და ვერც სხვა მასწავლებელს შემოვუშვებთ, გეხვეწებით, გააგრძელეთ გაკვეთილიო.

მოსწავლის თვალს არაფერი გამოეპარება-მეთქი... მიუხედავად იმისა, რომ სიმონ სხირტლაძის გაკვეთილებზე გონებამახვილობის, ხუმრობის, ენამოსწრებულობის ფეიერვერკი იფრქვეოდა, მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო ჩვენი კლასიდან ისეთი სიცილი გამოიქუხებდა ხოლმე, რომ თავის კაბინეტში ჩათვლემილ ჩვენს „დობრი მიშკას“ — ჩვენს კეთილ დირექტორსაც კი ფეხზე წამოახტუნებდა, მიუხედავად იმისა, რომ არც სკოლაში და არც გარეთ, ქუჩაში, სიმონ სხირტლაძე მოსწავლეებს თითქმის არასოდეს გვინახავს მარტო — გარს მუდამ ასაბია ეხვია — მაინც

ვგრძნობდით, რომ ამ კაცს ბედნიერი არ ეთქმოდა... ბედნიერი კი არა, მის ირიბად აჭრილ თვალებში ზოგჯერ იმხელა სევდა დამილანდავს, რომ დავზაფრულვარ. ოჯახური ცხოვრების მოუწყობლობაზე ფიქრიც ზედმეტი იყო — მთელი კლასი კარგად ვიცნობდით ჩვენსავე სკოლაში ქიმიის ლაბორანტად მომუშავე მის სათნო მეუღლეს, თამარ ჯაფარიძეს, ქმარს რომ თვალებში შესციცინებდა და შეუმჩნეველად, სხვათა დაუნახვებლად ცდილობდა, უთქმელად ამოეცნო და შეესრულებინა მისი სურვილი. გოგოები ჰყავდა და — იმათაც კარგად ვიცნობდით — მამას აღმერთებდნენ. გარს მუდამ მეგობრები ეხვია — ნაღდი, მისანდო, მზრუნველი და მოამაგე, თანაც ალალი ხალხი, უშურველი, მისი ფასი რომ იცოდნენ (მარტო პოეტები და მეცნიერები, კოლეგები და მხატვარ-მსახიობ-მუსიკოსები კი არა — უბრალო, უსახელო, უნიღბო ხალხი: ხელოსნები, გამყიდველები, ოფიციანტები, გლეხები, ზოგჯერ, როგორც იტყვიან, „ნაძრახი" ბიოგრაფიის მქონე პიროვნებებიც). ეს არ გახლდათ მისი განურჩევლობისა და — როგორც, ჩვეულებრივ, ქვეყანას მოდებულ ხალხს სჩვევია — ღრმად შენიღბულ-დაფარული შინაგანი გულგრილობის გამოვლინება (ამგვარ კაცთათვის ხშირად მეგობრობა ეჩოსა ჰგავს, მუდამ ერთი მიმართულებით, თავისკენ რომ მიითლის!) — არა, უბრალოდ, დიდი კაცი იყო, დიდი გული ჰქონდა — ბევრს იტევდა და ბევრსაც აწვდენდა... მაშ რაღა იყო ამ სევდის მიზეზი? სიმონ სხირტლაძე ის მასწავლებელი არ გახლდათ, მოსწავლეს მხოლოდ სკოლის დამთავრების მეათე ან მეოცე წლისთავის ბანკეტზე რომ გაგახსენდეს... მით უფრო ჩემთვის — ცხოვრების გეზი მიცვალა, სხვა მხარეს მიმაბრუნა — არა რჩევით, არა შეგონებით, არამედ თავისი არსებობით... სკოლის დამთავრების შემდეგაც არ გამიწყვეტია მასთან კავშირი და მვრე, მის პიროვნებასთან უფრო ახლო მისულს, კიდევ უფრო მიგრძნია ამ კაცის ბუნებაში ღრმად ჩაბუდებული კაეშანი. ახლახან მიამბო იზამ, მისმა ქალიშვილმა: „მამამ ღამით იცოდა მუშაობა. ზოგჯერ შუაღამეზე შუქი გამაღვიძებდა და ძილი გამიტყდებოდა. ფეხაკრეფით წამოვდგებოდი და მამას ოთახში შევიხედავდი — კითხულობდა ან წერდა. ასეთ დროს ყველაფერს ეთიშებოდა. რამდენჯერ მინახავს, ხელში კალამი გაუშეშდებოდა, თავს გადაიგდებდა, თითქოს მაღლა ვიღაცას თვალი გაუშტერაო, და — გადმოასკდებოდა ცრემლი..." რა ატირებდა სიმონ სხირტლაძეს, სხვათაგან მალულად რატომ იღვრებოდა ცრემლებად ეს უმტკიცესი სულის ვაჟკაცი? მიფიქრია ამაზე, მიზეზებიც მიჩხრეკია და იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ თვითონ ცხოვრებაა „ორგემაგე" და, თუ ცალფად ნაქსოვი კაცი არა ხარ, შეუძლებელია ადამიანმა უნაღვლოდ იცხოვრო... და თუ ღრმა პიროვნებაცა ხარ, მაშინ ჩემი მასწავლებელივით მოგიწევს მარადიული ხეტიალი სკნელთა შორის — სიხარულის ზესკნელიდან კაეშნის ქვესკნელამდე.

სიმონ სხირტლაძის ემოციური სამყაროს ამ პოლუსებს რომ ვუკვირდე-

ბოდი, თვით კაეშნის წყაროს უშუალო მიზეზს მის პიროვნულ ყოფაში, ცხოვრების წესში ვეძებდი. ხან მეგონა (ვინ იცის, იქნებ არცთუ სავსებით უსაფუძვლოდ), რომ იგი თავისი სულიერი სწრაფვისა და მოწოდების განუხორციელებლობის, საკუთარ შესაძლებლობათა გამოუვლენლობის ან, სულაც — უანგარიშო და შეუბრალებელი, უწყალო ხარჯვა-ფანტვის სევდას შეეპყრო; მართლაც, ვინ იყო იგი თავისი უშინაგანესი არსით? განუხორციელებელი პოეტი? თუ — განუხორციელებელი მეცნიერი? უდავო ის გახლდათ — და ამას ჯერ კიდევ სკოლაში ვხვდებოდით 15-16 წლის გოგო-ბიჭები, რომ ჩვენს მასწავლებელს განსხვავებული მზერა ჰქონდა, მოვლენებს უჩვეულოდ აკავშირებდა ერთმანეთთან, საგნებს მოულოდნელად აღმოუჩენდა საერთოსა და მსგავსს, მოკლედ, პოეტურად აზროვნებდა. მან არა მარტო უამრავი ლექსი იცოდა, მას არა მარტო სასწაული მახსოვრობა ჰქონდა, მასში არა მარტო უწყვეტად ღვივოდა ის რაღაც, რაც მუდმივად უფიცხებდა ტვინს და სადღაც ზემოთ ეზიდებოდა ამ, თითქოსდა კლდიდან უხეშად მოგლეჯილი ლოდის მსგავს ფიგურას, მის თითქმის კვადრატულ, მძიმე ტორსს — არა, მთავარი სხვა იყო. იგი პოეზიის კანონებით ლაპარაკობდა არა მარტო ლექსად, არამედ, ჩვეულებრივი პროზით მეტყველების დროსაც. მე მაინცდამაინც მის მჭევრმეტყველებას, უყოყმანოდ ამონადენ სიტყვათა ლეგიონს როდი ვგულისხმობ — ესეც ნიჭია, მაგრამ არა პოეტური. მეტიც ითქმის, ასე დაუძაბავად, რომ იტყვიან, წყალივით მოლაპარაკე ხალხის ინტელექტუალურ სიღრმეში მუდამ ეჭვი ეპარება კაცს... სულ გგონია, რომ რაღაცას — ერთხელ და სამუდამოდ გაზეპირებულს — ამბობენ, თანაც ეს ყველაფერი საკუთარი სულიდან არ არის გამოტანჯული. ყოველგვარი ქმნადობა, შობა — მათ შორის, სიტყვის, ფრაზის, აზრისა — გარკვეულ ძალისხმევას გულისხმობს, ამიტომ შინაგანი დაძაბულობის გარეშე დინება თითქოს ენერგიას უკარგავს აზრსა და სიტყვას. ცხადია, იმას როდი მოგახსენებთ, რომ ენაბრკუ და ენაბრგვილი ხალხი მიმაჩნდეს ინტელექტუალობის ეტალონად, მაგრამ ღრმა კაცი ადვილად და ჰაიჰარად ვერ უნდა ლაპარაკობდეს. სიმონი ლაღად მეტყველებდა, მაგრამ მის სიტყვასა და ფრაზას წონა ჰქონდა, სიმძიმე, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთგვარი სიუხეშესიტლანქეც კი, რაც მას ცოცხალ, მედინ, მფეთქავ არსად აქცევდა... ადვილად მოლაპარაკე ხალხი ხშირად იმეორებს თავის თავს, მათი ფრაზის პირველი სიტყვა უკვე გვავარაუდებინებს უკანასკნელს, მსმენელს გიქრება მოულოდნელობის, გაელვების განცდა — ესე იგი, გიქრება ინტერესიც... სიმონ სხირტლაძე არასოდეს მეორდებოდა. მასაც ჰქონდა ამოჩემებული ზოგი სიტყვა თუ ფრაზა, ზოგი შედარება თუ მხატვრული სახე, მაგრამ ყველა დიდი ორატორის მსგავსად შეუცდომლად გრძნობდა სიტუაციას, აუდიტორიის განწყობილებას და თვით გაცვეთილ ენობრივ კლიშეებსაც კი ისე მიუსადაგებდა კონკრეტულ სიტუაციას, რომ ახლადქმნადობის ეფექტს ახ-

დენდა. ალბათ, პოეტური ნიჭის ერთ-ერთი ნიშანი ისიც არის, რომ პოეტი საკუთარ თავს მუდამ განსხვავებულად იმეორებს.

ჩვენი მასწავლებლის პოეტური უნარი მაშინ, სკოლაში, უფრო თვალშისაცემი ნიშნებითაც ჩანდა — ყველაფერზე ლექსად მეყსეული რეაგირებით, სიტყვათა თამაშით, კალამბურებით, ცხელ-ცხელი სახუმარო ეპიგრამებით... მთელი ქართული პოეზიის დამტევ ტვინს, ცხადია, არ უძნელდებოდა სახელდახელოდ გამოეძებნა შესაფერისი რითმა და ლექსად გაეწყო აზრი — არა პოეზიად, არამედ ლექსად; ამასაც თავისი ეშხი ჰქონდა, ვინაიდან ეს ყველაფერი თქვენს თვალწინ იბადებოდა. სხვათა შორის, კაფიის ეფექტიც ძირითადად ეს გახლავთ, თორემ სიტუაციიდან ამოგლეჯილი და ქაღალდზე აღდგენილი, იგი ნყლიდან ამოღებული ზღვის კენჭივით უფერულდება. სიმონ სხირტლაძის ეპიგრამებიც, სიტუაციიდან ამორიდებულნი, ერთგვარ „რითმაჩობად" მოგეჩვენებათ, მაგრამ მათ, როგორც მეყსეულ სიტყვიერ რეაქციებს, საოცარი ხიბლი და იუმორი ახლდა. იმ ღირსსახსოვარ პირველ გაკვეთილზე ჟურნალი და სიის ამოკითხვა არავის, არც მთქმელსა და არც გამგონეებს, არ გაგვხსენებია, მაგრამ მერე ახალმა მასწავლებელმა ჩვენი სახელდებით გაცნობა განიძრახა, ჰოდა, დაიწყო სიის ამოკითხვა; ჩვენი სკოლა ვერაზე იყო, ახლა ამ უბანს პრესტიჟულს ეძახიან — აქ ბობოლები ცხოვრობენო; რა მოგახსენოთ, ჩვენს კლასში კი ძალიან უბრალო ოჯახიშვილები ვსწავლობდით. მით უფრო გაგვიკვირდა და გაგვიხარდა, რომ თითქმის ყოველი ჩვენგანის მამას თურმე ჩვენი ახალი მასწავლებელი იცნობდა და ზოგთან მეგობრობდა კიდეც... ჩემამდეც ჩამოვიდა:

— კასიანეს ბიჭი ხარ, ჩემი კასიანესი? — გაებადრა სახე და უცებ მიმიბა:

ვენაცვალე კასიანეს,
აშრიალებს ასიანებს...
ერთად დასხამს საქეიფოდ
ტენორსა და ბასიანებს...

ასევე, რომ იტყვიან, თათარიახნად არის შექმნილი მისი ცნობილი მუნასიბი დუდიზე — საყვარელ შვილიშვილზე, ერთი ნლის ბიჭუნაზე:

ვენაცვალე დუდის,
თაფლის სუნი უდის,
ნაპერნკალი მოხვედროდეს
რუსთაველის ქუდის,
სიბრალული დაჰყოლოდეს
ჩიტუნების ბუდის...
დაიხსომე, დუდი,

კაცს ამშვენებს ქუდი,
შორით გითვალთვალებს
გზა სველი და მრუდი.
არ შეშინდე, დუდი,
ჩემკენ შემობრუნდი.

პოეტური უნარი სიტყვიერების მასწავლებელს, კაცმა რომ თქვას, მეტ-ნაკლებად ყველას უნდა მოსდგამდეს... სიმონ სხირტლაძეს ეს უნარი ჭარბად ჰქონდა, მასწავლებლის პირობაზე, ალბათ, ზედმეტად ჭარბადაც კი... მაგრამ ის, რაც მასწავლებლისთვის — თუნდაც სიტყვიერებისა — ჭარბია, პოეტობას, შესაძლოა, ვერ გასწვდეს. თანაც უზადო გემოვნება, ლექსის აბსოლუტური გრძნობა, რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, პოეტურ შემოქმედებას ზოგჯერ საფრხედ ექცევა. მით უფრო — თავმოყვარე, ამაყ კაცს, ვინც ზედმიწევნით და ღრმად სწვდება გენიოსთა კალმის ნაღვაწს; ასეთს სხვებზე უფრო უჭირს საკუთარის გამოფენა ან, რაც უფრო ტრაგიკულია — თავისას უკვე ვეღარც ქმნის. პოეტს თუ არ ექნა ღრმა შინაგანი რწმენა იმისა, რომ, რასაც და რაზეც წერს, იმას და იმაზე სხვა მისნაირად ვერ დაწერს, ის ვეღარც დაწერს ისეთ რასმე, ნასაკითხად რომ ღირდეს. ალბათ შეგიმჩნევიათ, დიდი პოეტები თავიანთ დიდ თანამოკალმეებს, ჩვეულებრივ, არ სცნობენ და თითქოს ვერც აფასებენ. არადა, ამგვარ „არაობიექტურობაში" ისინი გულწრფელნი არიან: ეს ყბადაღებული „ჩემი სჯობსო" — უფრო პოეტური თვითშენახვა-გადარჩენის ინსტინქტის გამოვლინება მგონია, ვიდრე — განდიდების მანიით შეპყრობილი ხალხის „უცილობლობა". სწორედ ამგვარი „უცილობლობისგან" იყო შორს ჩემი მასწავლებელი. მოკლედ, ძნელია იმის განსჯა, სიმონ სხირტლაძე განუხორციელებელი პოეტი იყო თუ განსახორციელებელი... რაც არ მომხდარა, რაც არ გამოვლენილა, იმაზე მსჯელობა მარჩიელობას ემსგავსება... იქნებ მის ბუნებას ყველაზე უფრო მიესადაგებოდეს გიორგი ლეონიძის სიტყვები „ნატვრის ხიდან" — ელიოზზე თქმული: „პოეტები მხოლოდ ქაღალდზე რითმით მოლაპარაკენი როდი არიან. პოეტური თვალით, პოეტური გულით და დიდი ოცნებით გასხივოსნებული სხვაც ბევრი დადის დედამიწაზე".

ახლა განუხორციელებელ მეცნიერზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. განუხორციელებელიო, რომ ვამბობ, დიდ მეცნიერს ვგულისხმობ, თორემ უაღრესად საინტერესო პედაგოგიურ-ლიტერატურული წერილების ავტორს, ცხადია, ეს სიტყვა არც მიესადაგება... იმაზეც მიფიქრია, აკადემიურ ასპარეზს ჩამოცილება ხომ არ იყო-მეთქი მისი სევდა-კაეშნის მიზეზი? არა მგონია. თუმცა ერთი კი ითქმის: ის, ვისაც ეთაყვანებოდა, ვისთანაც საოცარ სულიერ ნათესაობას გრძნობდა, ვისაც ცნობიერად თუ ქეეცნობიერად ჰბაძავდა ოქროპირობაში და ვისი უზარმაზარი და, დროებით მივიწყებულ-მიდუმებული ღვაწ-

ლის გაცოცხლება-წარმოჩინება ეწადა ახალგაზრდა ასპირანტს, გაბრიელ-დიდი, იმერეთის ეპისკოპოსი — ოცდაათიანი წლების დასასრულს და მერმეც, კარგა ხანს, მავანთა ჭკუის სიმოკლით ქართული მეცნიერებისთვის ლამის პერსონა ნონ გრატად გამოცხადდა. სიმონ სხირტლაძე ის კაცი არ გახლდათ, ვისაც კონიუნქტურა სიყვარულსა და რწმენაზე ხელს ააღებინებდა... იგი წლების განმავლობაში მაინც აგროვებდა მასალებს გაბრიელ ქიქოძეზე, სნავლობდა, აანალიზებდა მის მეცნიერულსა და ჰომილეტიკურ მემკვიდრეობას და შემდეგ, როცა ამისი შესაძლებლობა მიეცა, დასტამბა კიდეც ერთი ნანილი ამ კვლევა-ძიებისა... მაინც აწუხებდა უკმარისობის განცდა ამ დიდი კაცის ხსოვნის წინაშე და, ლოგინად ჩავარდნილი, სასიკვდილო სარეცელზეც ამას იმეორებდა — გაბრიელის ვალი მიმყვებაო...

სიმონ სხირტლაძე როგორც პიროვნება მეტი გახლდათ მის პოეტურსა თუ მეცნიერულ უნარზე... მაგრამ ჭარბად მომადლებული სწორედ ეს უნარები მის პედაგოგობას განსაკუთრებულობისა და განუმეორებლობის ბეჭედს ასვამდა... ისე, ერთი ჩემი სკოლისდროინდელი ეჭვიც მინდა გაგიზიაროთ: იყო კი ბატონი სიმონი ტიპიური მასწავლებელი? შეიძლებოდა თუ არა მისი პედაგოგიური გამოცდილების განზოგადება, სხვათათვის სამაგალითოდ და სანიმუშოდ ქცევა? თითქოსდა, ახირებული კითხვებია — სიმონს ვინც იცნობდა, უყოყმანოდ იტყვის — რაღა თქმა უნდა, შეიძლება და სასურველიცაა... სიმონი რომ დიდებული პედაგოგი იყო, მისი გაკვეთილები რომ საოცრებას წარმოადგენდა, ამის მოწმეები, ჩვენდა საბედნიეროდ, მეცა და ჩემი კლასელებიც ვიყავით ორი წლის მანძილზე... მით უფრო საგულისხმოა ეჭვი, რომ იგი არ ყოფილა ტიპიური მასწავლებელი, რომლის გამოცდილების განზოგადება — ესე იგი, გარკვეულ ფარგლებში მიბაძვა — შესაძლებელი ყოფილიყოს... სიმონისნაირად გაკვეთილს მხოლოდ სიმონი თუ ჩაატარებდა, ყველა სხვას, თვით ძალიან კარგ პედაგოგსაც კი, ასე ჩატარებული გაკვეთილი ჩაუვარდებოდა. სიმონ სხირტლაძე აბსოლუტურად გულგრილი იყო იმ შავი და — ცოტა უხეშად კი არის ნათქვამი, მაგრამ — ჩინოვნიკური სამუშაოს მიმართ, რასაც ყოველი მასწავლებელი ასრულებს. ამით იმას კი არ მოგახსენებთ, თითქოს გეგმები და გეგმა-კონსპექტები მასწავლებლის ზედმეტი ბარგი იყოს, მაგრამ სიმონისთვის გაკვეთილზე არავითარი გეგმა და ჩარჩო არ არსებობდა. თავად ვარ მოწმე, სამასწავლებლოში უთქვამს ჩვენი დირექტორისთვის: ჩემო მიხეილ, რა გეგმებს მთხოვ, მე თვითონ ვარ გაკვეთილის გეგმაც და ზეგეგმაცო... სხვას ამას არ აპატიებდნენ, მაგრამ სიმონის ჩვეულებრივი საზომით აწყვა არ შეიძლებოდა... არ შეიძლებოდა არც მისი შემოწმება-გაკონტროლება... ჩვენ იმ ორი წლის მანძილზე ერთადერთხელ ვნახეთ სიმონი ტიპური, ჩვეულებრივი მასწავლებლის როლში, როცა იგი შემოვიდა კლასში, წესისა და რიგის მიხედვით სიაც ამოიკითხა, დაკალების შესამოწმებლად მერხებშუაც ჩამოიარა, ფრონტალური კითხვე-

ბიც დასვა, სამი მოსწავლე კიდეც გამოიძახა, შეაფასა და ნიშნები გაუფორმა ჟურნალშიც და დღიურშიც, ახალი მასალის საზეპიროებიც მოგვინიშნა, ტექსტის კომენტირებულად წაკითხვაც მოასწრო და ბოლო სამ წუთში დავალებაც ჩაგვაწერინა. ყველაფერ ამას კი წინ ის უძღოდა, რომ ზარის დარეკვისთანავე დირექტორმა უჩვეულო მოწინებით შემოიყვანა კლასში ვიღაც ხვანჩიანი ახალგაზრდა კაცი, რომელიც უკანა მერხზე კი არ დაჯდა, სადაც, ჩვეულებრივ, დამსწრენი სხდებიან ხოლმე — წინა მერხზე მოკალათდა და, რაც ყველას თვალში გვეცა, რატომღაც მაჯიდან საათი მოიხსნა და წინ დაიდო. ჩვენი მასწავლებელი კლასში შემოვიდა, ერთი ალმაცერად გადახედა საწერკალამ და ბლოკნოტმომარჯვებულ კაცს და — ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც სხვა მასწავლებლები აკეთებდნენ. რა აგვიხსნა, ვისზე გველაპარაკა, არ დამმახსოვრებია — სწორედ ეს გახლდათ ორი წლის მანძილზე ის ერთადერთი შემთხვევა, ზემოთ რომ მოგახსენეთ.

სიმონ სხირტლაძეს შეეძლო-მეთქი გაკვეთილზე ის გაეკეთებინა, რაც წარმოსადგენადაც კი ძნელია სკოლაში. შეეძლო მთელი მეოთხედი არ გამოეძახე და ნიშანი კი ისეთი სიზუსტით დაესვა, გინდაც გაკვეთილს ყოველდღე შეგკითხვოდეს; ჟურნალში არც ერთი ხუთიანი არ გყოლოდა, მეოთხედში კი შეეძლო ფრიადი დაეწერა შენთვის. საერთოდ, ჟურნალსა და ნიშნებს ირონიულად უყურებდა, იმ მასწავლებლის რა მცოდნია, ორიანით რომ დაგაწყნარებთ და წიგნს ხელში აგაღებინებთო... მის გაკვეთილებზე ჩვენ ძირითადად მსმენელები ვიყავით, მაგრამ ხანდახან ჩვენი მოსმენის იშტაზეც მოვიდოდა... მახსოვს, „არსენა მარაბდელს“ გავდიოდით... გაიძახა მერაბ მახარაძე და იმანაც, როგორც სჩვეოდა ხოლმე, ცხადლივ დაგვისურათხატა ახალციხის აღება. „ — ყოჩაღ, ფრიადი... გოზალიშვილის წიგნიც წაიკითხე? ყოჩაღ. ისტორიაშიც გამოგადგება... რა გყავს ისტორიაში?“ — „წინა გაკვეთილზე კარნახის გულისთვის პორფილე მასწმა ორიანი დაუწერა, მასწ...“ — დაასწრო ყველას ბელა თოფურიამ. ჩვენს მასწავლებელს უცებ თვალები აუციმციმდა: — „აბა, მერაბ ჩემო, გშუშხავ ჩემი პორფილუკას საგანშიც ხუთიანს, მე შენ გეტყვი, საწყობში დააკლდება. პორფილე მე მენდობა, მე კიდევ — შენ...“ და პირდაღებული კლასის წინ ჩვენმა მასწავლებელმა ორი ფრიადი გააფორმა ჟურნალში — ქართულშიც და ისტორიაშიც.

მთელი ის კვირა მერაბ მახარაძე ძმაკაცებმა შინიდან ვეღარ გამოვიტყუეთ, იჯდა და ისტორიას მეცადინეობდა...

შორიდან ხომ ასეთი, თითქოსდა, დაუდევარი კაცი ჩანდა — არ მახსოვს, გაკვეთილზე დაეგვიანოს. გაცდენაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მერე, ქალბატონ თამარისგან შევიტყვე — სახლიდან ხომ თხუთმეტი წუთის სავალზე იყო ჩვენი სკოლა, მაგრამ საათნახევრით ადრე გამოვდიოდით შინი-

დან — ერთ საათს მაინც ანდომებდა ქუჩაში სალამ-ქალამსა და ნაცნობების მოკითხვასო. მეც ვარ იმის მოწმე, რომ ვერის ბაღიდან ზემელამდე ჩემი მასწავლებელი სალმის მიცემით დაღლილა. ვიღა არ იცნობდა, ვინ არ უჩერდებოდა — პაპიროსის გამყიდველი ქურთის ბიჭიდან დაწყებული — ჭაღარა აკადემიკოსით დამთავრებული. სალამში და ყურადღებაში გამორჩევა არ იცოდა. მისი უახლოესი მეგობარი და კოლეგა, მისი ჭირისა და ლხინის თანაზიარი ირაკლი ბაქრაძე მომიყვა:

„ირაკლი აბაშიძის იუბილედან მოვდივართ. მოხატა, მოქარგა იქაურობა სიმონმა. ირაკლიმ მითხრა თვითონ — ვუსმენდი, კაცო, და ვტკებებოდი — საიდან მოდის ეს ძვირფასი სიტყვებიო... მოვდივართ დაღლილები — ქეიფმა რავარი დაღალვა იცის, მუშაობაზე უფრო! საღამოზე, გენერალი რომ იყო, ჩვენებური ძვირფასი კაცი, გიორგი ყურაშვილი, იმასთან ვართ წვეული. ბალიშზე ერთი თავის მიდება ყველაფერს მირჩევნია, მაგრამ ყურაშვილს რავა ეღალატება. მოვადექით ბელინსკის ამოსახვევს და — აგერ სადარბაზოდან ერთი ტარაკანივით შავად გამჭვარტლული ულვაშა კაცი გამოძვრა, ცალ ხელში დაგორგლილი მავთული, ცალშიც რაღაც მილები უჭირავს... დაინახა სიმონი და გაუნათდა სახე. სიმონიც შებრუნდა მისკენ და — ხო იცი, ვისთანაც ვარ მისასვლელები-მეთქი, დავქაჩე სახელოში. რას ლაპარაკობო, — გაიკვირვა სიმონმა, — ეხუმრები შენ ამ კაცს — დღეს ოც ოჯახში მაინც მოხსნა დღის წესრიგიდან „გარშოკის“ პრობლემა. სანტეხნიკია ჩვენი. აბა, ჩემო კალისტრატე, — მიეხალისა ულვაშას, — გადიგრიხე ულვაშები და შევიდეთ ჩემთან...

რანაირი ენაკვიმატიც იყო, მისი მოწაფე ხარ და, გეცოდინება, არადა, რომ არავის სწყინდა მისი ხუმრობა! შეხვედრას მიწყობენო და — წავყევით ერთხელ ერთ პოეტს, დღეში რომ ორ დუჟინ ლექსს წერს, თავის სოფელში. იღბალი არ გინდა? ძველი კლუბი ჰქონიათ, ჩამოშვავდა ჭერი და დირემ გვარიანი ბრაგვანი მოიღო ამ ჩვენი პოეტის თავზე. მივცვივდით, წამოვაყენეთ... — ბენზე გადარჩიო, — დაამშვიდა სიმონმა გაბურბუსალებული პოეტი, — ხომ დავიღუპებოდით, დირე ხელზე რომ დაგცემოდაო...

იცინა, მაგრამ რა იცინა ამაზე თვითონ ამ ჩვენმა პოეტმა.

ეს ცნობილი ხალხი ხომ პატივს სცემდა და აფასებდა სიმონს, უბრალო ხალხს კიდევ უფრო უყვარდა. თვითონ ხომ მთლად ირეოდა მუშაკაც ზე. მახსოვს, რაჭისკენ მივდივართ. გზის გადალმა გლეხი ხნავდა ხარით... მანქანა გამაჩერებინა, საგზლის კალანჩხა წამოიღეო, მითხრა და გადავიდა ხნულში. გლეხმა ხარები შეაჩერა. მივიდა, მიესალმა, ხარის ქედზე ჭიქა დადგა, დაილოცა, მაგრამ რა დაილოცა — ასე მეგონა, ხარიც უსმენდა... ბოლოს — მაგ შენს კოერიან მარჯვენას ვენაცვალე, მაგით გიჭირავს საქართველოო — ჯერ ხარს ემთხვია ქედზე და, გლეხის ხელისკენ რომ დაიხარა, გადაგვერია გლეხი კაცი, იქით ჩაუჩოქა სიმონს და მუხლზე მოხვევა დაუპირა...

მე შენ გეტყვი, ერთხელ ნანახი და გაცნობილი დაავიწყდებოდა ვინმე. ან

სალამსა და დახმარებას დაუკავებდა და დაუძვირებდა. შენც გემახსოვრება — სამხატვრო აკადემიაში მისაღებ გამოცდებზე ქართულის კომისიის თავმჯდომარედ იყო რამდენჯერმე. პირველად რომ მიიწვიეს, გამოცდის წინ, რექტორს ფანჯარასთან მიუყვანია, გადაუხედინებია და მორიდებულად უთხოვნია: ბატონო სიმონ, ხომ ხედავთ, ათასი მშობელი და ახლობელი მაინც უცდის და ელოდება ნიშანს. გამწარებული ხალხია, ყველაფერს რომ იკადრებს და ყველაფერს რომ კუდს გამოაბამს... ამიტომ, გთხოვთ, გარეთ რომ გახვალთ, ნურავის გაუჩერდებით და დაელაპარაკებითო... სიმონს ფანჯრიდან ჯოხი გადაუშვერია და უთქვამს, — აგერ, ბატონო, ხის ქვეშ რომ კაცი დგას, მაგასთან ერთი ჭური ღვინო მაინც მექნება დალეული და სალამი როგორ დაეუკავოო. გასცინებია რექტორს და მეტი აღარც უკადრებია მისთვის ამნაირი რამ...

წმინდა კაცი იყო და ამიტომ არ ეშინოდა არაფრის"...

მახსენდება სიმონ მასწავლებლის ძველებური, საერთოაივნიანი სახლი ვერაზე, ბინა, რომელიც არ იკეტებოდა ამ სიტყვის არა მხოლოდ გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც — სხირტლაძეების ბინას არც საკეტი ედო და არც ურდული. ქალბატონი თამარი იგონებს: *„თუ შინ იყო, სტუმარი გამოულეველად გვყავდა. ხელმოკლედ კი ვცხოვრობდით, მაგრამ ისეთი ხალხი გვსტუმრობდა, ყველი, პური და კეთილი გული არ შეგრცხვებოდა ადამიანს. ზოგჯერ უცხო ადამიანის წინაშე რომ მოვიბოდიშებდი უბრალო სუფრისთვის, სიმონი მეტყოდა — გული, ჩემო თამარ, გული დადოთ მაგიდაზე, ვთალოთ და არ გათავდებაო... გალაკტიონს უყვარდა ჩვენთან ამოსვლა, ამ დაბალ ჭერს და მაღალ სულს გაუმარჯოსო — იტყოდა ხოლმე... რემონტის თავი სად გვქონდა, მაგრამ კარ-ფანჯარა რომ ნამეტანი შეგვეელანძღა, გადავაღებინოთ-მეთქი, სიმონს ვუთხარი. შენ იციო, მიპასუხა. დავუძახე ხელოსანს, მოვურიგდი და იმანაც დაიწყო საღებავის შეზავება. სიმონი წავიდა; არ გასულა ნახევარი საათი და — თამარ! თამარ! — მესმის ეზოდან აქოშინებული სიმონის ხმა. რა იყო-მეთქი, სიმონ, დაგრჩა რამე? კარის სახელური ხომ არ გადაულებავსო?! ახლა ინყებს-მეთქი. არიქა, სახელურზე საღებავი არ გადაასმევინო, გალაკტიონს აქვს ხელი შენაღებიო. ასე დამიტოვა სახელურები შეუღებავად".*

განუხორციელებელი პოეტი, განუხორციელებელი მეცნიერი — ეს ყველაფერი ვარაუდებია, ეჭვმიუტანელი კი ის გახლავთ, რომ სიმონ სხირტლაძე იყო განხორციელებული, ხორცშესხმული მოძღვარი. ტიპიურობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მომავლის მასწავლებელი კი სწორედ მისნაირი წარმომიდგენია — კაცი, რომელიც თავის პიროვნებაში გააერთიანებს პოეტსაც, მეცნიერსაც, აღმზრდელსაც. ჩვენს კლასს მართლაც იღბალი ჰქონია — მომავლის მასწავლებელი გვზრდიდა ადამიანებად, გვწვრთნიდა მოქალაქეებად, გვგეშავდა ქართველებად...

სიმონ სხირტლაძე სამოცდაცამეტში ახალ ბინაში გადავიდა, მიცკევიჩის ქუჩაზე. კლასელები ახალმოსახლეობის მილოცვას ვაპირებდით, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, თავი ვერ მოვაბით. მერე მე მომიწია კარგა ხნით თბილისიდან წასვლა და, შინ რომ დავბრუნდი, ოჯახში პირველად ეს მითხრეს — სიმონ სხირტლაძე ყოფილა ძალიან მძიმედ, კლასელებმა დაგირეკესო...

...ორი დღის შემდეგ ზღვა ხალხი მიანყდა მიცკევიჩის ქუჩას... ტაატით ავდიოდით ვიწრო კიბეზე... მეშვიდე სართულზე მიეცათ ბინა ჩემი ფეხმტკივანი მასწავლებლისთვის.

კარის ჩარჩოზე მონაფის ცალხაზიანი რვეულის ფურცელი მიემაგრებინათ, ზედ მონაფური ხელით ეწერა:

აჰა, მესტუმრა, ვისაც ველოდი,
ჩემი მტერი და ჩემი ძმობილი,
მალე ის სვეტიც გამომეცლება,
რომელსაც ზურგით ვარ მინდობილი.
ვიცი, ცრემლები აგივსებთ თვალებს,
დაგენანებათ გზა გაწყვეტილი,
რომ ჩავიტანე ცივ სამარეში
გული დაჭრილი და დაფლეთილი...

ადამიანმა ყველაფერი შეიძლება ნახოს, ყველაზე დაუჯერებელი რამაც... მეც შევაბიჯე ოთახში, რომ მენახა დადუმებული სიმონ სხირტლაძე.

პედაგოგისთვის რაიმე ფიზიკური ნაკლი მთელი ტრაგედიაა. ბავშვის დაგეშილი და დაუნდობელი თვალი ხშირად მასწავლებლის სრულიად უმნიშვნელო ფიზიკურ ზადსაც კი ისეთ მეტსახელს მიაკერებს, მთელი ცხოვრება რომ ვეღარ ჩამოიცილებ. სიმონ სხირტლაძეს კი, ამ ხელჯოხიან კაცს, ღმერთი, რჯული, დავიფიცავ — კოჭლობა ჩვენს თვალში უხდებოდა კიდეც! ვინ რას შეჰკადრებდა — სამეფო ნიშნებივით დაჰქონდა გაშეშებული ფეხი და განუყრელი ხელჯოხი... ხელჯოხი კი არა — არგანი, კვერთხი.

თუმცა, არა, ჩემს მასწავლებელს მეტსახელი მაინც ჰქონია. ეს მერე გავიგე, როცა მისაღებ გამოცდებზე ქართულ ზეპირს ვაბარებდი. ერთ მაღალ, ხმელ, უფრო ბრტყელი რომ ეთქმის, სათვალიან კაცთან მოვხვდი, ძალიან გულისხმიერად გამომცადა, წვრილად მაამბობინა ყველაფერი. შიგადაშიგ ჩემს მონათხრობს მოკლე და, ცოტა არ იყოს, უცნაურ (საგამოცდო სიტუაციით აღელვებულს, ალბათ, ასე მომეჩვენა) კომენტარებს ურთავდა: „ჰო, ჰო... მასე... ა, გინერ ხუთიანს... მოვხაზე უკვე... მაგრამ ჯერ ქუდს არ გავუკეთებ. ირაკლი, შენც ჰკითხე"... — „მე მგონი, საკმარისია", — დინჯად უპასუხა კოლეგამ. „საკმარისია, ხომ? ა, დაგიწერე თითქმის ფრიადი... ხო, ვინ გასწავლი-

და სკოლაში?“ — „სიმონ სხირტლაძე“... გამომცდელის კალამი უჩვეულოდ დიდი ხუთიანის თავზე გაიყინა: „სიმონი? ჰო... ჰო... ეს ისე, სხვათა შორის, კი ნუ შეგეშინდება... ისე... ნიშანზე არ იმოქმედებს... აბა მითხარი, ვინ იყო სვიმონ მესვეტე?“ — მებუკე და მენაბდე კი გამეგონა, მაგრამ თუ მესვეტეც არსებობდა, არ ვიცოდი... გამომცდელმა შემატყო, ფერმა რომ გადამიარა და — „ეს ისე, სიტყვაზე... სვიმონ მესვეტე შენი მასწავლებელია... ასე ვეძახდით სტუდენტობისას... ისწავლი წელს იმ სვიმეონ მესვეტესაც... ჩათვლა გექნება ჩემთან... პირველ სემესტრში... რასაკვირველია, თუ არ ჩაიჭრები ისტორიაში — როგორც მარი იტყოდა. ეს ისე, სხვათა შორის... სვეტზე იყო ის სვიმეონი სამოცდაცხრა წელს დაყუდებული. თავის სიცოცხლეში ნვეთი არ დაულევია და ხორცი არ უჭამია... წაიკითხავ მერე მის ცხოვრებას, ბატონმა კორნელიმ გამოსცა... „კიმენი“ წაგიკითხავს? ეს ისე, სხვათა შორის... ნიშანზე არ იმოქმედებს... ა, დავამთავრე ხუთიანის გაფორმება... წაიკითხავ და მიხვდები, რატომ ვეძახდით ჩვენს სიმონს მესვეტეს“ — და ნიშნის გასწვრივ ასევე უცნაური, მაგრამ გარკვეული ხელრთვით გამოიყვანა: „ტრ. რუხაძე“.

ბატონი ტრიფონის სემინარებისთვის აღარ დამიცდია — აგვისტოს ბოლოს საჯარო ბიბლიოთეკის დიდი დარბაზის კუთხეში რის ვაივაგლახით მიგნებულ „კიმენის“ პირველ ტომს ჩავკირკიტებდი — „ცხოვრება“ სვიმეონ მესვეტისა“... თავად ტექსტს გაჭირვებით, მაგრამ მაინც ვიგებდი — დაქარაგმებებმა გამაცოფა ლამის. მერე მათზეც გავიხედნე თვალი და ნელ-ნელა, სტრიქონ-სტრიქონ გამოცოცხლდა საკვირველი ცხოვრება საკვირველი კაცისა — უცნაური მოვლინებით დაწყებული ვიდრე ამა სოფლით გასვლამდე: „და შვა დედაკაცმან მან ღირსმან ძე თვისი ულმობელად“. რატომ „ულმობელად?" რა შუაშია აქ ულმობელობა და შეუბრალებლობა? რას უნდა ნიშნავდეს ეს „ულმობელობა?“ ჩემი მასწავლებლის წყალობით ძველ ქართულში ასე თუ ისე ვერკვეოდი, — ცხადია, სკოლის პირობაზე, — ყოველ შემთხვევაში, „შუშანიკისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ კარგად ვიცოდი, რომ სიტყვას მნიშვნელობა შეიძლება დროთა განმავლობაში ისე შეეცვალოს, რომ სულაც საპირისპირო გაგება შეიძინოს. „ულმობელად შობა“ გაუგებარია — დედამ ძე შეიძლება შვას ნვალებით, ტკივილით ან უმტკივნეულოდ... ევრიკა! ტკივილს, სენს, ავადმყოფობას ძველად ხომ სალმობა ერქვა, სა-ლმობ-ა... მაშინ უ-ლმობ-ელ-ი უმტკივნეულოს უნდა ნიშნავდეს. წიგნს ლექსიკონი არ ერთვოდა და ასეთი პატარ-პატარა საკუთარი აღმოჩენებით წახალისებულმა წინ გავუტიე. მოკლედ, სვიმეონი უმტკივნეულოდ მოვლინებია ქვეყანას. მაგრამ დედამის მართას მისგან ვნება მაინც მიუღია, როცა ანგელოზის სიტყვა — ჩვილს მხოლოდ მარჯვენა ძუძუ მოაწოვეო — დაჰვიწყნია და ერთხელ უნებლიეთ ჩვილისთვის მარცხენა ძუძუ შეუძლევია. მართას ეს ძუძუ გახმობია. სვიმეონ მესვეტეს მთელი თავისი სიცოცხლე ხმელა პურსა და წყალზე გადაუვლია, ეგ კი არა, ჩვილობისას, თუ დედა-

მისი ხორცს შეჭამდა, იმ დღეს თურმე ძუძუსაც არ სწოვდა; სამოცდაცხრა ნელი განმარტოებით ყოფილა დაყუდებული...

არ სვამდა, არ ჭამდა, არავის ეკარებოდა... ერთადერთი — ზიარი სახელი, თორემ ჯერჯერობით თითქოს არ ჩანდა მიზეზი ჩემი მასწავლებლის მესვეტად მონათვლისა.

და უცებ:

„და აქუნდა მას სიტყუაჲ გამოჩინებული, ვითარცა სრულსა კაცსა. და მისცემდა პასუხსა მეტყველთა მისთა მეცნიერად. და იყო იგი ბრძენ გონებითა და სრულ გულისხმისყოფითა და სავსე მადლითა სულიერითა და იტყოდა სიტყუასა სულიერებისსა"...

აქუნდა მას სიტყუაჲ გამოჩინებული... იტყოდა სიტყუასა სულიერებისსა.

ახლა უკვე ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. ნათელი, გასაგები და, თქვენ წარმოიდგინეთ, სარწმუნო გახდა ისიც, რომ სვიმეონს თავისი სიტყვით შეეძლო სასწაული მოეხდინა — კეთროვანი განეკურნა, ეშმაკეულნი განესხა, თვით მკვდრეთითაც კი აღედგინა ადამიანი...

მე ორ წელიწადს ვუსმენდი სიმონ სხირტლაძეს...

მე მწამდა ძალა სიტყვისა.

„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", N 1, 1984

თავისუფალი — უფალი თავისა

საბა ბრძანებს: თავისუფალი — არავისი მონა.

საბას განმარტებანი ხშირად მისსავე არაკებს ჰგავს სიზუსტით, სისადავით, სისხარტით, სიმკვრივით.

რუსთაველიც „თავისუფლებასა" და „თავისუფალს" უპირისპირებს „მონას":

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები..."

უფრო ძველ ძეგლებშიც „თავისუფლება" „მონობის" ანტონიმია; გავიხსენოთ საგულისხმო ადგილი იოანეს „საბარებიდან":

„და ეტყოდა იესო მორწმუნეთა მათ მისთა ჰურიათა: „უკეთუ თქვენ დაადგრეთ სიტყვათა ჩემთა, ჭეშმარიტად მოწაფენი ჩემნი ხართ და სცნათ ჭეშმარიტი — და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქვენ".

მიუგეს ჰურიათა მათ და ჰრქვეს მას: „ჩვენ ნათესავნი აბრაჰამისნი ვართ და არასადა ვის ვჰმონებდეთ, ვითარ-ეგე შენ იტყვი, ვითარმედ: განსთავისუფლდეთ".

მიუგო იესო და ჰრქუა მათ: „ამინ, ამინ გეტყვი თქვენ, რამეთუ ყოველმან, რომელმან ქმნეს ცოდვა, მონა არს ცოდვისა...“

დავიმახსოვროთ: ცოდვის მოქმედი, ამ ცოდვის ჩადენით ხშირად თავი პიროვნულად უაღრესად თავისუფალ კაცად რომ წარმოუდგენია, მონა ყოფილა, მონა ცოდვისა.

ძველი ქართულიდან მოკიდებული, „თავისუფალ“-სიტყვის ეს ძირითადი მნიშვნელობა არ შეცვლილა და იგი დღესაც „მონობას“ უპირისპირდება. აკაკი გავიხსენოთ:

„სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი“.

მონობის სიმბოლო ბორკილია, ამადაც ზარავს ილიას ქართველთა გულარხეინობა და გულდახშულობა: *„და დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიან თავის მამულის თავისუფლებას...“*

ისევ ამ სიტყვას, ისევ ქართული ენის განსაცვიფრებელ სიღრმესა და სისავსეს მივუბრუნდეთ — „თავისუფალი“... თვითონ ეს სიტყვა იტევს მთელ მსოფლგაგებას: „უფალი“ ძველად *პატრონს, მფლობელს, უფლების მქონეს* აღნიშნავდა... შეიძლებოდა ადამიანი ყოფილიყო რაიმე საგნის მფლობელი, ყოფილიყო პატრონი არა მარტო მიწისა და ცხვარ-ძროხისა, არამედ — სხვა ადამიანისაც, მასზე უფლების მქონე, მისი განმგებელი. მაგრამ ქართულმა ენამ სხვათა ფლობას, სხვათა უფლად ყოფნას კი არ დაუკავშირა ყველაზე ამაღლებული და ყველაზე ადამიანური მდგომარეობა სულისა, რასაც „თავისუფლება“ ჰქვია, არამედ — *საკუთარი თავის ბატონ-პატრონობას*; თავისუფალი ის არის, ვინც უფალი ანუ განმგებელია თავისი თავისა, თავისი პიროვნების, თავისი ჭკუა-გონებისა და ემოციების; თავისუფალი — ფაქტობრივად ამ სიტყვაშივეა დაუნჯებული ის პრინციპი, ერს სამოქმედო პროგრამად რომ დაუსახა ილიამ — თავისუფალია ის, ვისაც „თავისი თავი თავისად ეყუდვნის“.

სადღეისო სიტყვახმარებაში „თავისუფალი“, ცხადია, მხოლოდ „მონას“ არ უპირისპირდება, იგი მოიცავს დამორჩილების, შეზღუდვის, შევიწროების, დაჩაგვრის საწინააღმდეგო გაგებასაც: ერთი მხრივ, „ვიწრო სავალი“, მეორე მხრივ, „თავისუფალი სავალი“; ერთი მხრივ, „შეზღუდული აზროვნება“, მეორე მხრივ, „თავისუფალი აზროვნება“; ერთი მხრივ, „პატიმარი“, მეორე მხრივ, „თავისუფალი“; ერთი მხრივ, „დაჩაგრული ერი“, მეორე მხრივ, „თავისუფალი ერი“;

თავისუფლებამ, სიტყვა-ცნებამაც კი, როგორც ვხედავთ, გაარღვია თავისი საზღვრები, მნიშვნელობა გაიფართოვა... თავისუფლების არსიც ეს არის: უნდა გაინგრეს როგორც სივრცის, ასევე დროის შეზღუდულობაც; პირველი — ადამიანის სხეულს ბორკავს, მეორე — სულს. მძიმეა სხეულისათვის თავისუფლების წაგვრა, „ხორცის“ გამომწყვდევა შემოზღუდულ სივრცეში... კიდევ უფრო მძიმეა სულის „ტყვევნობა“, როცა ცდილობენ „გუშინ“ არ მიგახედონ და „ხვალ“ არ დაგანახონ, მოკლედ, არ გააზროვნონ. გავიხსენოთ, როგორი თავი-

სუფლები არიან ქვევრში გამომწყვდეული ქრისტეფორე და ერთაოზი... მათი არგუმენტი აზროვნების წაგვრის შეუძლებლობაა — „აქ ვერ წაშლი!"

ჭეშმარიტი თავისუფლება, ეტყობა, სულის თავისუფლებით ნაკარნახევი ხორციელი ცხოვრების წესია. თავისუფალი იყო არა მარტო მარკო პოლო, რომელმაც ქვეყნიერება შემოიარა, არამედ სამოცდაცხრა წლის მანძილზე სვეტის თავზე ფეხმოუცვლელად დაყუდებული სვიმეონ მესვეტეც.

ერთიც უნდა ითქვას: მარტოკაცი თავისუფალი ვერ იქნება. თავისუფლება, სიყვარულისა არ იყოს, ორს მაინც გულისხმობს... ამიტომაც მგონია — პარასკევამ გაათავისუფლა რობინზონი და არა პირიქით!

მაშ, როგორღა იქნებოდა დაყუდებული სვიმეონი თავისუფალი?

იმ განცდით, რომ — ღმერთი იყო მასთან...

თავისუფლების გზა გოლგოთაზე გადის. მის მოსაპოვებლად „ღვრიდა" ადამიანი თავის სულს — სისხლს, ოფლსა და ცრემლს. ილიაც ასე შეჰღაღადებდა თავისუფლებას: *„თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი, მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი"*...

თავისუფლებისთვის დასაღვრელი სისხლიც, ცრემლიც და ოფლიც — სულის ეს „სამსახოვნება" — ცხადია, „ერთარსია", მაგრამ, დროისა და სიტუაციის კვალობაზე, ხან ერთი იღვრება უპირატესად, ხან — მეორე. ქართველობას ზღვა სისხლი უღვრია „ეროვნული ხის ძირის გასამაგრებლად"; მარტო შორეულ წარსულში კი არა — გუშინაც...

ილიასკენ მივიხედოთ (უფრო სწორად, გავიხედოთ), ჩვენი მარადი წინამძღვრისაკენ: რაც წინათ ხმლით გვეჭირა, რისთვისაც წინათ სისხლს ვღვრიდით, სადღეისოდ შრომით უნდა შევინარჩუნოთო...

თავისუფლებას ოფლის დაღვრაც უხდება...

არ არის ეს ადვილი ოფლი.

ეს ის ოფლია, გეთსამანიის ბაღში ლოცვისას სისხლად რომ გამოჟონავს მაცხოვრის სახეზე.

სისხლის ოფლი...

ათასგვარი განსაზღვრება-დეფინიცია არსებობს „ადამიანისა", მეტ-ნაკლებად მისაღები: იარაღის მკეთებელი ცხოველი, მოაზროვნე ცხოველი, მეტყველი ცხოველი, მორალური ცხოველი, რელიგიური ცხოველი... („ცხოველი" ნუ გვეხამუშება, ძველად ის ცოცხალს, სულიერ არსებას აღნიშნავდა)...

და ყოველივე ამასთან და, იქნებ, ამათზე წინაც — ადამიანი ის არის, ვინც უფალია თავისა ანუ — თავისუფალი.

ადამიანი — თავისუფალი ცხოველი.

ადამიანებად უნდა ვიქცეთ...

„თბილისი", 26 მაისი, 1989 წ.

თავისუფალი ვარ — ესე იგი, პასუხს ვაგებ

ალექსანდრე სარაჯიშვილს უთქვამს: ქართველი ისე მიეჩვია მონობას, ბატონის გამოცვლა თავისუფლება ჰგონიაო.

საგულისხმო დაკვირვებაა, თუმცა ამ გულუბრყვილო ქართველებზე მეტად დღეს ეჭვიანი ქართველები მოგვიმრავლდნენ — თავისუფლებაში რომ მხოლოდ სახეშეცვლილ ახალ ბატონს ხედავენ.

„რუსეთუმეებს" ვგულისხმობ: საქართველო თავისუფალი კი არა, ამერიკის მონაა... „დასავლეთის" მონაო... მასონთა მონაცო... რუსეთისა — არა, არც კომუნისტებისა: კომუნისტური რუსეთი ჩვენი თავისუფლების გარანტი არისო.

თავისუფლების ცნების ძალზე თავისუფალ ინტერპრეტაციას გვთავაზობენ „რუსეთუმეები"... სახიფათოდ თავისუფალს.

მათთვის კი არა, აჯობებდა, თავისი დიდი შვილებისათვის მიეგდო ყური საქართველოს.

საოცრებას ბრძანებს ვაჟა: *„მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებული"... ამიტომაცო —*

„როცა გულს ცეცხლი მედება,
გონება მსჯელობს საღადა,
მაშინ ვარ თავისუფალი,
თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა".

ვაჟას კვალზე მავალმაც უნდა ირწმუნო — თავისუფალი ანუ ბედნიერი მაშინ ყოფილა კაცი, როცა იგი **შეწუხებულია**.

თუმცა, წუხილიც არის და ნუხილიც — არსებობს მწუხარებაც „სხვისა კეთილსა ზედა"; ვაჟას კი სწორედ „გულს ცეცხლმოდებული" ანუ სხვათა უკეთურება-უბედურებით აქტიურად შეწუხებული კაცი მიაჩნია ბედნიერად... ამგვარად შეწუხებული ადამიანი ყოფილა თავისუფალიც.

თავისუფლება ტვირთია, მორალური უღელი, რომელსაც ნებაყოფლობით იდგამს კაცი. ზოგს ჰგონია, თავისუფლების ფასსა და გემოს მხოლოდ თავისუფლად შობილი თუ გაიგებს და თავისუფლების ამ „აღთქმულ ქვეყანასაც" მხოლოდ ისინი დაიმკვიდრებენო. ბიბლიასაც იმოწმებენ — მოსემ ორმოც წელიწადს თითქოს იმიტომ ატარა უდაბნოში ეგვიპტელთაგან თავდახსნილი ებრაელები, რომ მონობაში დაბადებულები „აღთქმული ქვეყნის" ღირსნი არ იყვნენ[1].

ამ ხალხს, ეტყობა, კიდევ ორმოც წელს უნდა გვახეტიალოს ჭეშმარიტად

თავისუფალ საქართველომდე... საერთოდაც, შორს და სხვაგან ეძებენ თავისუფლებას, იგი კი, პირველ ყოვლისა, ჩვენშივეა. ჩვენ რომ ვერა ვართ შინაგანად თავისუფლები, აღარც საქართველოს თავისუფლება-დამოუკიდებლობისა გვჯერა... მთელმა მსოფლიომ აღიარა საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად — მხოლოდ ქართველები არ ვცნობთ საქართველოს დამოუკიდებლობას.

მონობაში დაბადებულები, იქნებ მართლაც არ ვიყოთ თავისუფლების ღირსნი?

მაგრამ — არა, თავისუფლების გემოცა და ფასიც, ალბათ, იმან უფრო იცის, ვისაც მონობის სიმწარე უწვნევია.

ისტორიასაც თუ ვერწმუნებით, თავისუფლებას, ჩვეულებრივ, მონობაში დაბადებულები მოიპოვებენ, დაკარგვით კი თავისუფლებას, ვაგლახ, თავისუფლებაში დაბადებულნი კარგავენ ხოლმე.

თავისუფლების შენარჩუნება კი ზოგჯერ მის მოპოვებაზე ძნელია...

ჩვენ, სახელმწიფოებრივ მონობაში დაბადებულებმა, ვიცით თავისუფლების ფასი.

ჩვენ, ქართველებს, არც თავისუფლების სიყვარული გვესწავლება ვინმესგან...

მაგრამ ჩვენ, დიახაც, გვესწავლება პიროვნული პასუხისმგებლობა თავისუფლების შესანარჩუნებლად.

არადა, თავისუფლების ხარისხი სწორედ ამ პასუხისმგებლობით გაიზომება — რაც მეტია პასუხისმგებლობა, მეტია თავისუფლებაც... და — პირიქით.

დავიმახსოვროთ: თავისუფალი ვარ — ესე იგი, პასუხს ვაგებ. ამიტომაც მგონია გიჟი ყველაზე ნაკლებ თავისუფალი — იგი ხომ არავის და არაფრის წინაშე აგებს პასუხს.

გიჟების დეფიციტს, სამწუხაროდ, არ განვიცდით, მაგრამ საქართველო, ღვთის მადლით, არასოდეს ყოფილა საგიჟეთი და არც გიჟის ჭკუაზე უვლია ხანგრძლივ...

დღეს ხშირად გაისმის სასოწარკვეთილი — „გადაგვარჩენს რაიმე?"

არსებობს ამ კითხვის ამაღლებული პასუხი: „კულტურა გადაარჩენს საქართველოს".

არის უფრო „დამინებულიც": „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს".

არის ამის ირონიული და აგვისტოს ხვატთან მისადაგებული დაკონკრეტებაც: „თითო კათხა ჩაციებული „ყაზბეგი" გადაგვარჩენს"; იქნებ, არცთუ ისეთი ირონიული, თუ გავიხსენებთ — რომი სულაც ბატებმა გადაარჩინეს...

მე კი მგონია, კულტურის, მრეწველობის, კათხა ლუდისა და ბატების გვერდით და, ვინ იცის, მათზე უწინარეს — პასუხისმგებლობა ანუ თავისუფლება გადაგვარჩენს.

ოღონდ — ერთი პირობით: რომ გადარჩე, გადარჩენა ძალიან უნდა გინდოდეს.

„ლიტერატურული საქართველო", 18.8.2000

საფლავი

თითო ძეგლს ყველაზე უბრალო და უჩინარ ადამიანებსაც დაგვიდგამენ. ამ ძეგლს ჩვენი საფლავი ერქმევა: ზოგისა — მარმარილო, ზოგისაც — გაუთლელი ლოდი, ხის ჯვარი ან სულაც მომცრო ბორცვი მიწისა.

გაუთიშავია კაცი და მისი საფლავი. აკი ამბობს ქართველი: „ნუთისოფელი რა არი, აგორებული ქვა არი, რა წამს კი დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არი".

დიდი ცოდვაა გაუთიშავის გათიშვა. „ეეღარ შემსუდრონ..." — გაჰკრავს მწარე ეჭვი ავთანდილს, ანუ შოთას: „სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი სადით ძირსა".

საფლავი მშობელ მიწაში უნდა გაიჭრას:

„ამ ორ მონასტერს მაქვნდა ალაგი,
სასაფლაო და ძვალთ შესალაგი...
ახლა მობრძანდი, მნახველო, მნახე,
მისად სანუფქეოდ სად დავიმარხე", —

გოდებს ზედაზნისა და შიომღვიმის საგვარეულო ძვალშესალაგის გახსენებაზე ბებერი ხიზანი გურამიშვილი.

„მშვენიერი გამოგონებაა სასაფლაო. იგი აუცილებელიცაა, რათა მოკვდავმა მასში ხანდახან თავისი ცხოვრება ამოიკითხოს", — წერს ჭაბუკი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელსაც გული უგრძნობს: „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემსა ნინაპართ საფლავებს შორის"...

„დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო", — ივედრება აკაკი.

საფლავი მარტო მკვდარს როდი უნდა, არანაკლებ გვჭირდება იგი ცოცხლებს — ვაჟასი არ იყოს — სალოცავად, სულის საოხად, სამთხვევად: „გმირთა საფლავებს, როგორც ხატს, სამთხვეველად დაველირები"...

დრო საფლავებსაც შლის... ზოგჯერ — იმათსაც, ვისი ხსოვნაც ხალხმა შემოინახა. გაუჩინარებულია საფლავი თამარის, შოთასი, საბასი, ფიროსმანისა...

ცოდვაა დაკარგული საფლავი. „საყვარლის საფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე, დაკარგულიყო", — გულამოსკვნილი მოსთქვამს პოეტი.

ათასჯერ მძიმე ცოდვაა — კაცს საფლავი წაართვა... თვით სიცოცხლის წართმევაზე უმძიმესი ცოდვა.

წართმეულსა და ან დასაბრუნებელ საფლავზე ვწერ.

* * *

1937-38 წლებში ათეულ ათასობით კაცს წაართვეს საფლავი. რატომ ასეულ ათასობით, ანდა სულაც მილიონობით არაო, თუ მკითხავთ — ყველამ, პირველ ყოვლისა, ჩვენ-ჩვენი მკვდრები უნდა ვიტიროთ: მე ქართულ მიწაში გასათხრელ საფლავებზე მოგახსენებთ.

წართმევა წამრთმევსაც გულისხმობს. შეიძლებოდა ასეთად დაგვესახა ვინმე ერთი, „აპოკალიფსის მხეცის" განსხეულება, რომელსაც აპოკალიფსისავე ვეშაპმა ანუ სატანამ მისცა ძალაუფლება: „და თაყვანის-სცეს ვეშაპსა მას, რომელმანცა მისცა ხელმწიფებაჲ მხეცსა... და მისცა ხელმწიფებაჲ ყოველსა ზედა ტომსა და ერსა და ენასა და ნათესავსა... და აცთუნებს მკვიდრთა მათ, რომელნი არიან ქვეყანასა ზედა, რათა ქმნან ხატი მხეცისა მის... ყოველნი, რომელთა არა თაყვანის-სცენ ხატსა მხეცისასა, მოიკლნენ" (აპოკალიფსი, 13, 4-8). ალბათ, გვენიშნა ეს ყოველივე. ოღონდ ერთი ეჭვიც უნდა გაგიზიაროთ: ოცდაათიანი წლების ცოდვათა მხოლოდ ერთისათვის აკიდებით თავიდან ხომ არ ვიხსნით პიროვნულ პასუხისმგებლობას, ხომ არ ვიტყუებთ თავს — რა უნდა მექნა, ძალა აღმართსა ხნავდა, მე პირადად ამ ამბებში უცოდველი ვარო? ვინაც და რამაც ტირანი შექმნა და აღაზევა, მსხვერპლთა სისხლი მათ ვითომ არ ედებათ? განა უფრო მართლები არ ვიქნებოდით, საფლავის წამრთმევებად ყველას რომ გვეგრძნო თავი, მათაც კი, ვინც ოცდაჩვიდმეტის მერე მოვევლინეთ ამ ქვეყანას? ყველას უნდა გვქონჯნიდეს სინდისი — მარტო განმკარგულებლებსა და უშუალო აღმასრულებლებს კი არა, მკვლელობა-დაპატიმრებათა პასიურ მოწმეებსაც, უკანონობისა და უკეთურობის დუმილით მედასტურეებს. ნურავინ მოიტყუებს თავს — ბოროტებას წინ არ აღვდგომივართ, რათა ბოროტებავე არ გაგვემრავლებინაო. სხვა რამ მოხდა: ხალხმა, უფრო სწორად კი, კაცთა გათითოკაცებულმა კრებულმა, დაშინებულმა და სულიერ ორიენტირებმორღვეულმა, თავისი უთქმელობითა და უმოქმედობით კვერი დაუკრა უკანონობას. ამას კი „მხეცის ნიშნის" მიღება ჰქვია „აპოკალიფსით" და, თუ მას ვერწმუნებით, ამგვარად დაღდასმულებს თავისი მიეზღვებათ: „რომელთა მოიღეს ბეჭედი იგი მხეცისაჲ და თაყვანის-სცეს ხატსა მისსა, მოისრნეს მახვილითა და ყოველნი მფრინველნი განძღეს ხორცითა მათითა" (აპოკალიფსი — 19, 21).

თქმულა, ქვეყანას ისეთი ხელისუფლება ჰყავს, როგორსაც იმსახურებსო.

ამიტომაც ხელისუფალთა ცოდვანი თუ იურიდიულად არა, ზნეობრივად მაინც მოეკითხება ქვეყანას, ხალხს. ცხადია, მეტ-ნაკლებად, მაგრამ თავ-თავისი წილი ცოდვაში ყველას უძევს, მათ შორის ჩვენც, ოცდაჩვიდმეტის შემდგომ თაობებსაც. გვიძევს არა იმისა გამო, რომ მამათა ცოდვებისათვის შვილები ისჯებიან მესამე და მეოთხე მოდგმამდე (ეს შეიძლება ინამო, შეიძლება — არა!), არამედ იმიტომ, რომ ოცდაჩვიდმეტის ინერტულობა, სიმხდალე და საზოგადო საქმისათვის საზიანო მორჩილების სული ჩვენც გადმოგვყვა. ჩვენც ვდუმდით და ზოგჯერ ახლაც ვდუმვართ იმაზე, რაზედაც ღრიალი გვმართებს; უფრო მეტიც — ტაში დაგვიკრავს მაშინ, როცა მუშტის დაკვრა იყო საჭირო. იქნებ ვცდებოდე, მაგრამ ასე მგონია — ოცდაჩვიდმეტი არ იქნებოდა, ორას მილიონში ორასი კაცი მაინც რომ გამოჩენილიყო, ვინც უსამართლობასა და უკანონო ძალადობას ძალითვე აღუდგებოდა წინ.

თუმცა ერთხელ ოცდაჩვიდმეტშიც დაიქუხა ჩვენში თოფმა. იმ თოფის ჩახმახს ფეხი პოეტმა გამოუშალა და, როგორც პოეტს ეკადრებოდა, ლულა სხვისთვის კი არ მიუშვერია — საკუთარ ხახაში მიიცა. ეს მოხდა მწერალთა სასახლეში და ვერავითარი საღებავი ვერ გადაფარავს მის კედელზე შესხმულ პაოლოს ტვინსა და სისხლს. მისი გასროლა პროტესტი იყო, თუმცა რის ქართველები ვიქნებოდით, რომ თავგანწირვის ამ აქტშიც არ მოგვეჩხრიკა მსხვერპლის ვითომცდა სინდისის ქენჯნის ნიშნები... ვაჟკაცობა გაქცევად ჩავუთვალეთ... იმ ზარდამცემ წუთებში კი, დამსწრეთა მონათხრობით, სულით ხორცამდე შეძრული მიხეილ ჯავახიშვილი თურმე გამნარებული ბოლთასა სცემდა და იმეორებდა: „ვაჟკაცი ყოფილა... ვაჟკაცი ყოფილა"... ორიოდე დღის მერე პაოლოს ნამალევად მიაბარებენ მიწას — მას საფლავი მაინც ექნება... გამოხდება ხანი და მიხეილ ჯავახიშვილს არა მარტო სიცოცხლეს — საფლავსაც წაართმევენ, უფრო სწორად — წავართმევთ.

სწორედ ეს წართმეული საფლავები უნდა დავუბრუნოთ ოცდაჩვიდმეტის ჯვარცმულებს.

* * *

ამაზე უკვე დაწერილა ჩვენში; მაგალითად, ბევრს მოგვხვდა გულზე ამას წინათ ტელეეკრანიდან ნათქვამი, ოცდაჩვიდმეტში დაღუპულ წინაპრებს სიმბოლური საფლავები გავუკეთოთ თავ-თავიანთ საგვარეულო სასაფლაოებზეო. მადლი იქნება, ამას რომ ვიზამდეთ. ოლონდ ოცდაჩვიდმეტს ისეთი ხალხიც შეეწირა, მარტო თავის ოჯახს კი არა, მთელ საქართველოს რომ მოუკლეს. მათ შორის, რამდენიმე, ალბათ, სამთაწმინდეც ერია: მიხეილ ჯავახიშვილი... ტიციან ტაბიძე... სანდრო ახმეტელი... ევგენი მიქელაძე... გრიგოლ წერეთელი... იქნებ — სხვანიც. მათი ძეგლი მთაწმინდაზე უნდა დაიდგას. იგი სრულიად საქართველომ უნდა დაუდგას თავის წამებულ შვილებს: ჩვენი

რესპუბლიკის ყოველმა ოჯახმა უნდა გაიღოს თუნდაც ორიოდ „წვლილი" — როგორც ძველად იტყოდნენ — ანუ გროში მის ასაგებად... აქ, ალბათ, ყველანი ერთ აზრზე ვიდგებით... სხვა საკითხია, თუ როგორი უნდა იყოს ეს ძეგლი.

მხატვარ ვახტანგ რურუას აზრით, ოცდაჩვიდმეტში დაღუპულ „მთაწმინდელებს" ძეგლად უნდა ავუგოთ ცარიელი საფლავი ანუ ღია სამარე ანუ უკაცო ძვალშესალაგი... საფლავის ქვაზე ამოიკვეთება ადამიანის ფიგურის სქემატური რელიეფი.

აი, როგორ წარმოუდგენია ეს ძეგლ-სამარე მხატვარს:



ჩემი მხრივ დავუმატებდი — ეს ცარიელი საფლავი უნდა წამოიმართოს: უნდა წამოიმართოს არა იმდენად „ტექნიკური" უხერხულობისა გამო (მნახველს აღეძვრის ამ შემთხვევისთვის შეუფერებელი ცნობისწადილი „სამარეში" ჩახედვისა, ღრმული მრავალ თავსატეხს გაუჩენს მოსამსახურე პერსონალს და ა.შ.), რამდენადაც ემოციური ზემოქმედების გასაძლიერებლად: ოცდაჩვიდმეტში საქართველოს თავს დაატყდა, პოეტის თქმით, „რკინის რისხვა და საფლავების ამოვარდნა" (გრიგოლ რობაქიძე); ეს „ამოვარდნილი", „წამომართული" უკაცო საფლავი, ჩვენი აზრით, იმ ავადმოსაგონარი დროის სიმბოლური გამოხატულება იქნება. ძეგლ-სამარის „წამოსამართად", ალბათ, მთაწმინდის ციცაბო კალთაც იქნება გათვალისწინებული: სამარე შეიძლება ფლატეში გამოიკვეთოს... მეპატიოს მხატვარ-მოქანდაკე-ხუროთმოძღვართა კომპეტენციაში ასეთი შეჭრა, მაგრამ ეს ორი მომენ-

ტი — ძეგლ-სამარის „ამოვარდნა“ და, განსაკუთრებით, მისი „სიცარიელე“, — ჩვენი აზრით, ძეგლის იდეური ჩანაფიქრის გასაღები უნდა გახდეს.

„ცარიელი“ სამარე ქართული მიწის პირშეუკრავ იარად უნდა იკითხებოდეს...

„ცარიელი“ შემთხვევით არ ჩამისვამს ბრჭყალებში — ამ სამარეს ამოავსებს ევგენი მიქელაძის ერთი ამოკვნესა... ტიციანის ერთი კურცხალი... ერთი ნვეთი ჯავახიშვილის სისხლისა... ერთი ცვარი სიმწრის ოფლი, ახმეტელის შუბლიდან მოწურული.

შესაძლებელია სხეული არ დამარხო, მაგრამ შეუძლებელია დამარხო სული... „ამოვარდნილი“, „ცარიელი“, „კარშეხსნილი“ სამარე უნდა იკითხებოდეს იმის იმედადაც, რომ ვერანაირი ტირანია ვერ დაასამარებს სულს, რომ სული ყოველთვის გამოანგრევს სამარის კარებს; ნუგეშის მომგვრელია ასეთ სულთა ხვედრიც: „და სულნი იგი მოკლულთანი, რომელთა არა თაყვანის-სცეს ხატსა მას მხეცისასა და არცა მიიღეს ბეჭედი მისი შუბლთა ზედა ანუ ხელთა მათთა, ცხონდეს და სუფევდეს...“ (აპოკალიფსი — 20, 4).

„ლიტერატურული საქართველო“, 11 მარტი, 1988 წ.

გვირგვინი

დიდგორის მემორიალის უმთავრესი ფიგურა დავით აღმაშენებლის ქანდაკებაა — თავშიშველ მხედარს გაწვდილი მარჯვენით უპყრია სამეფო გვირგვინი.

გელათის ფრესკაზე კი დავით მეოთხეს, აღმაშენებლად სახელდებულს, ხელთ უპყრია ტაძარი; უპრიანიცაა — მემატიანის თქმით, მან „განავსნა და აღაშენა“ საქართველო.

დავითს მეორე ხელში ეტრატი უჭირავს — ასეც შეეფერის მეფე-პოეტს, მწიგნობარს, „გალობანის“ ავტორს.

ქართველობა სხვანაირ დავითსაც წარმოვიდგენთ — ხელში ჯვრით: წმინდანად შერაცხილმა მეფემ მრავალი ათასი წარმართი მოაქცია ქრისტეს სჯულზე და მაჰმადიანთა კირთებისაგან დაიხსნა კავკასიის ქრისტიანი ერები.

დაბოლოს, დავითის, „მესიის მახვილის“, ხატება, ალბათ, ყველას წარმოგვიდგება ხელში ხმლით — მახვილით გასწია მან საქართველოს საზღვრები „ნიკოფსიით დარუბანდამდის“.

მაგრამ მერაბ ბერძენიშვილს არ შეეძლო დავითისათვის ოთხი ხელი გამოესხა ინდური ღვთაების, შივას, დარად.

ოსტატმა დავითს ხელთ გვირგვინი დააჭერინა — გვირგვინი აერთიანებს მახვილსაც, ჯვარსაც, წიგნსაც და საჭრეთელსაც.

საითკენ მიემართება გვირგვინიანი მარჯვენა? ვისი თავი უნდა შეამკოს გვირგვინმა, სულიერი თუ ხორციელი ზეობის სიმბოლომ?

გვირგვინს, ჩვეულებრივ, საკუთარ თავზე დასარქმელად წაატანენ ხოლმე ხელს — გავიხსენოთ, იმპერატორად კურთხევისას როგორ გამოსტაცა პაპს ხელიდან გვირგვინი ნაპოლეონმა და თვითონ დაიდგა თავზე.

მერაბ ბერძენიშვილმა უცდომლად მიგვახვედრა გვირგვინის ტრაექტორიას. იგი მოიხადა თავისი ზეობის აპოთეოზში ნადიდგორალმა დავითმა, მოიხადა და სხვას ადგამს.

დიადი წამია მოხელთებული — ფერისცვალების, გარდასახვის, მეტამორფოზის ჟამი, როდესაც წინამძღვარი, ხელისუფალი იქცევა მსახურად.

ყოველი ადამიანის სულში, რა რეალური მდგომარეობაც უნდა ეკავოს მას, ჰგიებს მეუფეცა და მსახურიც; ამაღლებულია წამი, როდესაც მსახური გარდაიქმნება ხელისუფლად: ასე იქცა დავით აღმაშენებლის დიდი სეხნია და ნათესავი (სულიერად მაინც!) ბიბლიური დავით წინასწარმეტყველი, ხელკომბლიანი მწყემსი-ბიჭი არვეთა, ხელსაპტროსან მწყემსად მთელი ერისა.

მაგრამ კიდევ უფრო დიადია წამი, როდესაც მაცხოვარი, „მეუფე ყოველთა დაბადებულთა", მსახურად უდგება და ფეხსა ჰბანს თავის მოწაფეებს — „წინამძღვარი იგი იყავნ ვითარცა მსახურ" (ლუკა 22,26).

დავითი იხდის გვირგვინს, ხელისუფლების სიმბოლოს; ეს არ არის ადვილი საქმე... მეფეებს ხომ, მეტწილად, საკუთარი თავი გვირგვინთან შეზრდილად წარმოუდგენიათ; მოხდი გვირგვინს და — გინდაც თავი წაგეგდებინოს მისთვის. ამიტომაც გადაუყოლებიათ ხშირად გვირგვინოსნებს თავი გვირგვინისათვის... მერაბ ბერძენიშვილის დავითი კი თვითონ განიძარცვავს თავს გვირგვინისაგან და სხვას მიუბოძებს მას.

მიუბოძებს, მაგრამ ვის, კერძოდ? ვის წარმოიდგენს ქანდაკების მხილველი ამ გვირგვინის ქვეშ? იქნებ, დემეტრეს, ღირსეულ მემკვიდრეს დავითისას? ალბათ — არა! უფრო სწორად, მხოლოდ მას — არა. გვირგვინი თავს ედგმის დემეტრესაც და ქიტესასაც, კახაბერსაც და ღვთისოსაც, სახელიანსა თუ უსახელო მონაწილეთ დიდგორის ომისას; იგი თავს ედგმის გადარჩენილთაც და დახოცილთაც, უპირატესად — სწორედ დახოცილთ, თანაც — არა მარტო ამ ბრძოლაში; მოკლედ, იგი თავს ედგმის მთელ ქართველ ერს; ერის ერობას ხომ ენობრივ-ტერიტორიულ-ეკონომიკურ ერთიანობაზე ნაკლებ არ განსაზღვრავს ერთობა ცოცხალთა და მკვდართა. ის ერი ვერც ერობს, სადაც მკვდარი არა ცოცხლობს...

მეტიც ითქმის: გვირგვინი თავს ედგმის დასაბადებელ, მოსავლინებელ ქართველებსაც, ვინც დავითის უღელი უნდა ზიდოს — მის შვილთაშვილებს თამარსა და დიმიტრი თავდადებულს, რუსთაველსა და ცოტნეს, თევდორესა

და საბას, ილიასა და ივანეს. ედგმის დღევანდელ ძველგაზრდებსა თუ ახალგაზრდებს, ჩვენს გოგო-ბიჭებს, დავითის საქმისათვის თავგადადებულებს.

ალბათ, ნაგვიანევად ვუდგამთ ძეგლს დავითს, უფრო სწორად, ვდგამთ ქანდაკებას, თორემ ძეგლი დავით აღმაშენებლისა მის სიცოცხლეშივე დაიდგა. ამ ძეგლის ხუროთმოძღვარი თვითონ დავითი იყო — ყოველი კაცის ძეგლი მისივე საქმეა. დავითის ძეგლი არის გელათი და დიდგორი, რუისურბნისი და „გალობანი სინანულისანი".

დავითისათვის სიტყვიერი ძეგლიც დაუდგამთ მისსავე ისტორიკოსსა და „მეხოტბეებს" — კარის პოეტებს; მას ძეგლი აუგეს დიდმა ნიკო ლორთქიფანიძემ და დიდმა კონსტანტინემ, ანამ და მურმანმა... და სხვათაც მრავალთა — ყველას ვერც ჩამოთვლის კაცი... დავითს ძეგლი აუგეს ჩვენმა მეცნიერ-ისტორიკოსებმა, მათ შორის გამორჩეულად დიდებული — ივანე ჯავახიშვილმა; აუგო არა მხოლოდ თავისი „ქართველი ერის ისტორიით", არამედ, პირველ ყოველისა, ქართული უნივერსიტეტით, რომელიც სრულიად გამიზნულად აამეტყველ-აამოქმედა 26 იანვარს, წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს...

დავითი გვირგვინს გვიწვდის ჩვენ, ყველას, ერთობილ საქართველოს.

მძიმეა გვირგვინი, მძიმე და სახიფათო — მხოლოდ ოქროსი როდია იგი, ეკლისაც არის.

და მაინც — მოვიხდინოთ, შევიშნოთ ქართველობამ დავითის ხელით ნაკურთხი გვირგვინი.

„ლიტერატურული საქართველო", 10 თებერვალი, 1989 წ.

დევიზი

იგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა, ჩემსა მამასა,
ჰკადრე, თუ: „სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა,
ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა,
არ დამეხსნები, გაგიხდი ქალაქსა ვითა ტრამასა!"

„დევიზი" ნარმოშობით ფრანგულია და სახელმძღვანელო აზრის, პრინციპის, ქმედების გამომხატველ გამონათქვამს აღნიშნავს.

სამოქმედო პრინციპი, ქმედების ეს ერთგვარი ფორმულა, კერძო კაცსაც აქვს, ერსაც და კაცობრიობასაც.

ზოგი დევიზი მიგნებულია, ზოგიც — მისაგნები.

ჩვენ რუსთაველის საზოგადოების დევიზს გვინდა მივაგნოთ.

* * *

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ჩვეულებრივ, რაღაცას ან ვიღაცას იცავენ.

გვაქვს მშვიდობისა და ჯანმრთელობის, ბავშვებისა და ტყის, გადაშენების გზაზე დამდგარ ცხოველთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საზოგადოებები.

რუსთაველის საზოგადოება მამულის დაცვის საზოგადოებაა...

ილიამ ერთი საუკუნის წინათ ამოთქვა და ამ ამონათქვამს „კოშტი სისხლიც ამოაყოლა": „განვთვითეულდით და თეითეულის ზურგმა ვეღარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასათვის ერთობლივ ადვილი საზიდია"... „მამულის ხსენებაზე ეხლანდელს ქონდრისკაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე, მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი სადავო საჩივარია... მამულის სიმაგრე — ტყრუშული ღობეა... მამულის პატივი — ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი".

და ილიამვე — ჯერ მელნით, მერე კი სისხლით — კვლავ შეკრა კერძო მამულები დიდ მამულად, ქართველთა საცხოვრისად.

მაგრამ მამული მარტო საცხოვრისი როდია თუნდაც მთელი ხალხისა; მამულია ერთიანობა ანუ ერთარსობა სამსახოვნებისა — მიწისა, კაცისა და სულისა.

ჩვენი მამულია **საქართველო — ქართველობა — ქართული**... ესენი, შოთასი არ იყოს, „ერთმანერთზედა ჰკიდიან" — რა ერთი წავა, „იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან".

განუყოფელია როგორც რეალურ-მატერიალური, ასევე სულიერი მამული ჩვენი.

ილიას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... ისევ დაგვებზარა მამული...

სულიერი მამულის გრძნობა რომ მოგვიჩლუნგდა, რეალურ-მატერიალური მამულიც ლამის ხელში შემოგვადნეს.

უკვე გავეცით მოზრდილი ნაჭრები მკვიდრი მამულისა. ზოგი ძალით წაგვგლიჯეს, ზოგი ჩვენი ბედოვლათობით დაეკარგეთ, ზოგი დედლურად დავთმეთ, ზოგიც ჩარჩულად დავყიდეთ: ტაო-კლარჯეთი... ჰერეთ-საინგილო... ლორე... ქვემო ქართლი... აფხაზეთი... სამაჩაბლო... თვით თბილისიც კი.

რაც დღესდღეობით დავინარჩუნეთ, ხვალ ისიც, შესაძლოა, დავკარგოთ;

არ ვმრავლდებით;

ვსუქდებით ხორცით და ვმჭლევდებით სულით;

ბევრს ვლაქლაქებთ და ცოტას ვაკეთებთ; აკაკისა არ იყოს, „გადაქცეულნი სიტყვად ვასაქსაქებთ ენასა და მით ვცდილობთ საქვეყნოდ თავის გამოჩენასა"...

პირიდან გავფაღარათდით — აზრის შეუკავებლობა გვჭირს;

ეჭვიანობით დავსნებოვანდით, ცილისწამებისა და ბეზღობის ჟინმა აგვიტანა...

მოკლედ, მამული ხელიდან გვეცლება.

* * *

შესაძლოა, მტერმა მამული ძალით ნაგგვაროს...

მაგრამ ისიც მომხდარა, „ალერსით მთვრალს" ჩვენივე ხელით გაგვიღია მტრისთვის მამულის კარი.

ასეთ „მოღორებულ" მეფედ ჩანს ფარსადანი — ვერ მიმხვდარა, რომ დღევანდელი ნეფე ხვალ მეფედ დაუჯდება.

ნესტანმა ეს იცის („ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდნენ").

იცის ტარიელმაც („არ იცის თუ — ინდოეთი უპატრონოდ არ გამხდარა?").

იცის ავთანდილმაც: „მოყვარე მტერი ყოვლისგან მტრისაგანც უფრო მტერია".

ამიტომაც —

„ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა!"

ასე მგონია, ზედგამოჭრილია რუსთაველის საზოგადოების დევიზად.

P.S. **დრამა** აქ იგივე **მისხალია.** წინათ დრამა, ისევე როგორც მისხალი, წონის უმცირეს ერთეულს ერქვა და ამის საფუძველზე იქცა მერე წერილი ფულის აღმნიშვნელად.

მოკლედ, შოთა თავისი გმირების პირით აცხადებს — ერთი მისხალი, ერთი გოჯიც კი მკვიდრი მამულისა არ დაითმობაო.

ვერნმუნოთ რუსთაველს!

„ლიტერატურული საქართველო", 22 სექტემბერი, 1989 წ.

იმოძრავე, იბერიავ!

რუსთაველს უყვარს ბურთი:

„მოასპარეზედ ვინ მგავსო? — ცუდნილა უკუთქმანია:
გარდამწყვედელი მისიცა ბურთი და მოედანია"...
„ჩნდის მარგალიტი ოდენი ბურთისა საბურთალისა"...

რუსთაველს უყვარს ბურთაობა:

„ანუმცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კელა ბურთაობითა"...

„ებურთობდი და ვნადირობდი, ვით კატასა ვხოცდი ლომსა...“
„ათ დღემდის ისმის ყოველგნით ხმა წინწილისა, ებნისა,
მოედანს მღერა, ბურთობა, დგრიალი ცხენთა დგენისა“...

რუსთაველს უყვარს მობურთალი:
„ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
მობურთალსა — მოედანი“...
„მე მაშვრალი, ნაბურთალი, საწოლს შევე მოსვენებად“...

რუსთაველს იმიტომ უყვარს ბურთი და ბურთაობა, რომ ბურთითაც შეიძლება დაამარცხო ყოვლისა დამმარცხებელი — სიკვდილი, ბურთით დაიჭირო ის, რასაც „ვერ დაიჭირავს გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი...“

უფრო ზედმიწევნით: სიკვდილს ამარცხებს სახელი... სახელი კი მოიხვეჭება შერკინებაში, შეჯიბრში, ასპარეზობაში... ამიტომ „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“. ხოლო ვინ ვის სჯობს, ვინ ვისზე გულოვანია, სხარტი, მოქნილი, ჭკვიანი, გამძლე, ზუსტი — „გარდამწყვედელი მისიცა ბურთი და მოედანია“.

ამიტომაც მგონია — ფეხბურთის მოედანზე ნაშოვნი სახელი ზოგჯერ თვით ბრძოლის ველზე ნაშოვნ სახელს უთანაბრდება: ბორის პაიჭაძისა და მიხეილ მესხის სახელს ისევე ვერ დაივინყებს საქართველო, როგორც ცხრა ძმა ხერხეულიძისას და ზეზვა გაფრინდაულისას.

ხშირად გვსმენია — სპორტი პოლიტიკას ჩამოვაცილოთ, სპორტი პოლიტიკაზე მაღლა დავაყენოთო... სამაცდუროდ გვსმენია... თავს ნუ მოვიტყუებთ — სპორტის „აპოლიტიკურობაც“ ერთგვარი პოლიტიკაა; მთავარი ის კი არაა, ბურთი პოლიტიკას ავაცილოთ, მთავარია, ბურთი სწორ პოლიტიკურ სამიზნეს მოვახვედროთ.

ასეც ვშვრებოდით: ქართულმა ფეხბურთმა, კერძოდ — თბილისის „დინამომ“, თავისი დიდი პოლიტიკური (სწორედ — პოლიტიკური!) მისია, ვფიქრობ, უკვე აღასრულა: როცა „დინამო“ უშიშრად ერკინებოდა მასზე დიდს, მასზე ბევრს, მასზე ძალმორჭმულს — მთელი საქართველო, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ერკინებოდა მასზე დიდს, მასზე ბევრს, მასზე ძალმორჭმულს. ერკინებოდა და — გოლიათთან შეჭიდებული ბიბლიური დავითის მსგავსად — ამარცხებდა კიდეც მას.

სტადიონზე დაირხა პირველად — „ლელო, ლელო, საქართველო!“

წელს და, ეტყობა, ამიერიდან ქართულ ფეხბურთს აღარ მოუხდება ყოველკვირა იმის მტკიცება, რომ დავითს შეუძლია გოლიათის დამარცხება — საქართველოს გუნდები აღარ ითამაშებენ საკავშირო ჩემპიონატში. და თუ რამეზე მეთანაღრება გული, მხოლოდ იმაზე, რომ დიდი სიხარული, გოლიათის დამარცხებით გამოწვეული სიხარული (ამ ბოლო წლებში, სამწუხა-

როდ, გაიშვიათებული), მომაკლდება... თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც არაფერი გვაქვს გულდასაწყვეტი: დავითს ანუ საქართველოს შემდგომაც ეყოლება არა ერთი და ორი გოლიათი დასამარცხებელი.

დღეს უფრო „სხვა რამ მადარდებს, ისა ვთქვათ":

ბურთმაც შეგვკრა ქართველობა...

მაგრამ ბურთსავე შეუძლია ქართველობა დაგვშალოს.

უფრო სწორად, საქართველოს დაშლა შეუძლია ფეხბურთის მაყურებელს, რომელიც აქამდე სასარგებლო დაპირისპირებას „დავითი — გოლიათი" ანუ „ჩემი — სხვისი" პირდაპირ გადმოიტანს ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში.

შერკინებაცაა და შერკინებაც: ავთანდილი ერკინება მეკობრეებს... მაგრამ ავთანდილი ერკინება როსტევანსაც, თავის გამზრდელს, და დამარცხებული გამზრდელი სწორედ ამ დამარცხებით იმარჯვებს!

ეროვნული ჩემპიონატი უნდა იყოს ძმათა ასპარეზობა, დიახაც ცხარე, მაგრამ დამარცხებულის გარეშე.

საკავშირო ჩემპიონატის მატჩებზე ჩვენ, მაყურებლები, უპირველეს ყოვლისა, დამარცხებული გოლიათის სანახავად დავდიოდით.

ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე ჩვენ მხოლოდ გამარჯვებულის სანახავად უნდა ვიაროთ.

დამიჯერეთ, არ არის ეს ერთი და იგივე!

რა სჯობია ჭკვიან ფეხებს — ყიფიანის ფეხებს — მოედანზე... ტრიბუნაზე კი ჭკვიანი თავია საჭირო; მტერს ნუ გავახარებთ — ჭკვიანურად გვმართებს გულშემატკივრობა.

ფეხბურთი ყოველთვის იქნება ისეთი, როგორი მაყურებელიც ეყოლება მას. მაყურებელი კი ბრბოც შეიძლება იყოს და ერიც.

წელს განსაკუთრებით არა გვაქვს უფლება, რომ ჩვენ, მაყურებლები, ერი არ ვიყოთ. და თუ ჩვენში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა საერთო ქართულთან დაპირისპირებული განცდა კახელ-იმერელ-მეგრელ-გურულობისა, მაშინ ჩვენ არ ვყოფილვართ არც ფეხბურთის და, კაცმა რომ თქვას, არც საქართველოს ღირსი.

* * *

ფეხბურთი მოძრაობაა.

დღეს მთელი საქართველო მოძრაობს... ამ მოძრაობის შედეგად აღდგება ფენიქსისებრ იბერია.

რაკი მოძრაობამ ანუ დინამიკამ უნდა გვაქციოს იბერიად, ამიტომაც უპრიანია „დინამოს" გადაქცევა „იბერიად".

დე, იმოძრაოს „იბერიამ"... დე, იმოძრაოს იბერიამ!

„მამული", N 6 (14), მარტი, 1990

გიხაროდენ...

ხდება ხოლმე — ჩია დედაკაცი ზორბა ვაჟკაცსა შობს; ჩვენი კოხტა, მაგრამ მორჩილა „დინამოს“ სტადიონის წიაღიდანაც ვეებერთელა გოლიათი ამოგორდა და თავის წინაპარს უზარმაზარი მხრებით გადაეფარა. ახალშობილის წონა 38 000 ტონამდეა, სიგრძე — 255 მეტრი, სიმაღლით თორმეტსართულიან სახლს უტოლდება, მადა კი მართლაც ბაყბაყ დევისა აქვს — შეუძლია ერთ ჯერზე 75 ათასი კაცი დაიტიოს თავის სტომაქში. ჰოდა, ამისთანა ბუმბერაზს მშობიარობის ვადაც გაუჭიანურდა, მაგრამ, ობლის კვერისა არ იყოს, ბოლოს კი სანაქებო რამ გამოცხვა. ასეთ ნანატრსა და წვალებით ნაშობს, გასაყიდად ვინ გაიმეტებს, თორემ ცხრა მილიონი მანეთი ღირს. ჩვილივით ამანაც იჭირვეულა, შესაფერისი სასმურით უნდა დამლოცოთო და სანამ თასი არ მოართვეს, მანამ არ ინება ამქვეყნად მოვლინება. ბედნიერ ფეხზე დაბადებულს, ნათლობაც სანაქებო ჰქონდა: გამომშვიდობებისას ცოტა ნირწამხდარმა ნათლიებმა, უელსელმა ფეხბურთელებმა, უკეთესი რა გისურვოთო და, გუცაევის მუხლი, ყიფიანის თავი და კანთელაძის ჯანი დაანათლეს...

სკეპსისის ჭიით გულამოჭმული ხალხისათვის ადვილია ყველაფრის გაბიაბრუება — რამ აგაცუნდრუკათ, ორმოცი წლის განმავლობაში ძლივს ერთხელ თასი აიღეთ და ათ წელინადში, როგორც იქნა, ერთი სტადიონი ააშენეთო. აცუნდრუკების და გადამლაშებისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ გასახარელი და საამაყო დიახაც გვაქვს და არც ყველაფრის განიორწყლება იქნებოდა სწორი. თუ დღეს ჩვენ მეცხრე ცაზე ვართ თბილისის „დინამოს“ ახალი სტადიონით, ეს უმთავრესად იმიტომ, რომ მისი ცერად აზიდული კალთებიდან ირაოს შესაკვრელად გამზადებულ ჩვენს მართველებსა ეჭვრეტთ — იქიდან უკეთ ჩანს ჩვენი სახვალიო სპორტის გადასახედი. „ცდების და ცდების“, ვისაც სპორტი თავისუფალი დროის მოსაკლავ-დასაბანდებელი რამ, სტადიონი კი — ფულის მახე ჰგონია. არც მხოლოდ ფიზიკური ნრთობა და კუნთების გაკაჟება ამონურავს სპორტის არსს: სულიერ სანყისს მასში, თუ მეტი არა, ფიზიკურზე ნაკლები ნილი არ უდევს. უბირთაც იციან უკვე — მხოლოდ ღონით, მხოლოდ კუნთების გალაღებით სპორტულ მწვერვალებს ვერ დაიპყრობ. ახლა იქნებ აღარც ღირდეს დიდ სპორტში ფიზიკური და სულიერი სანყისების მკვეთრ დაპირისპირებაზე ლაპარაკი, ვინაიდან დღეს შთამბეჭდავი სპორტული გამარჯვებისათვის მისაღწევი ფიზიკური კონდიცია თავის წინა პირობად ნებისყოფის უდიდეს ძალისხმევასა და სულიერ ძალმოსილებას გულისხმობს. ამ ნიშნით არის აღბეჭდილი არა მარტო გამარჯვების მწვერვალი, არამედ მისკენ მიმავალი ბილიკებიც: წვრთნა, რეჟიმი და, საერთოდ, სპორტსმენის ცხოვრების წესი. სპორტი ცხოვრების მიბაძვაა, მეტიც, იგი თავად ცხოვრებაა მინიატიურაში თავისი ვნებათა გამძაფრებით, ლიდერობისა-

კენ ლტოლვით, თვითდამტკიცების წყურვილით. ასე აღიქვამდნენ მას ალბათ ძველი ბერძნები, როცა ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულთ ღმერთების დარად ძეგლს უდგამდნენ და დაფნის გვირგვინებით ამკობდნენ.

და უფრო მეტიც — სპორტი თითქოს ცხოვრების გაუმჯობესებული მოდელია, გარკვეული თვალსაზრისით, მისი იდეალიზებული ფორმა: აქ ცხენოსანი ქვეითს არ შეებრძოლება, ორნი ერთზე არ მივლენ და არც ასკილოიანი გოლიათი დაეჭიდება მასზე ბევრად მჩატე მეტოქეს — ამ სამყაროში ყველას თანაბარი შანსი აქვს, „მისგან გასწორდეს ყოველი" და ამ საყოველთაო დემოკრატიულობაშიც ძევს, ალბათ, გასაღები სპორტის უდიდესი ხიბლისა და ცხოველმყოფელი ძალისა. ერის სულიერი და ფიზიკური პოტენციის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმა სპორტიცაა და ჩვენც იმიტომ შევხარით აგრერიგად „დინამოს" ახალ სტადიონს, რომ იგი ეროვნული ენერგიის წარმოჩინების კეთილშობილურ ასპარეზად მიგვაჩნია.

ეს ასპარეზი კი დღევანდელი დღის შესაფერისი უნდა გვქონოდა. ალბათ ყური მოგიკრავთ „საქვეყნო საზრუნავით დამძიმებული" ობივატელის ნუწუნისათვის: რაში ვყრით მილიონებს, „ლოკომოტივის" სტადიონიც კი ნახევრად ცარიელია, ამას რაღა აავსებსო; ასეთი სტადიონი თუ არ გვქონდა, იმიტომაც არ გვყავდნენ პაიჭაძე და მესხი, დუმბაძე და კარტოზიაო. ასეთ ხალხს თვალები თითქოს კეფაზე გამოსხმია, წინ ვინ ჩივის, ირგვლივაც არ გაიხედ-გამოიხედავს და ვერ ამჩნევს, რომ სპორტი ადლიანი ნაბიჯებით სცილდება გუშინდელ დღეს, რომ თანამედროვე „სპორტული ინდუსტრია" შესაფერის ასპარეზსა და პირობებს მოითხოვს. ჩვენ იმიტომ ვზეიმობთ „დინამოს" აღორძინებას, რომ საერთაშორისო სტანდარტების დონის ეს სპორტული კომპლექსი უფრო აქტიურად ჩაგვაბამს მსოფლიო სპორტულ მოძრაობაში და მტერ-მოყვარეს ჩვენს შესაძლებლობებსაც უკეთ უჩვენებს.

გვარიანი გულუბრყვილობა (თუ მეტი არა!) იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ ახალ სტადიონზე ციურ მანანასავით უმალ დაიფრქვევა ექსტრაკლასის გუნდები ან სპორტსმენები, მაგრამ სათანადო ბაზების გარეშე რომ ეს საერთოდ წარმოუდგენელია, ეს სადავო არ უნდა იყოს.

სტადიონი არც მხოლოდ გეოგრაფიული წერტილია და არც ფრიად საჭირო და სასარგებლო ნაგებობათა კომპლექსი. სტადიონი ის ქვითკირია, ერთი ნებითა და მიზანსწრაფვით რომ ადულაბებს და წარმართავს ათასების ემოციებს, უხილავი, მაგრამ მტკიცე ძაფებით აკავშირებს მაყურებელსა და სპორტსმენს. და, რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, არის სტადიონები, რომლებიც საამისოდ არ ვარგა; როგორც შეყვარებულთა პაემნისათვის ყოველი ადგილი არ გამოდგება, ასევე ყველა სტადიონზე ვერ ხერხდება მაყურებლისა და სპორტსმენის „ერთსულ და ერთხორც" შერწყმა. „დინამოს" კი ჰქონდა და ახლა კიდევ უფრო ჭარბადა აქვს ეს — არქიტექტორულ ჩანაფიქრში ურთულესად განსახორციელებელი — ინტიმის გრძნობა, როცა შემსრულებელი და მაყურებელი

ერთ რიტმში ცხოვრობენ და ერთმანეთს არ ეკარგებიან. მამა-შვილ ქურდიანების დალოცვილმა მარჯვენამ თითქოს ხელისგულზე დაუსხა მაყურებელს ფეხბურთელები, ისინი კი, თავის მხრივ, საზეიმოდ აბრდღვიალებულ სცენაზე უფრო გრძნობენ თავს, ვიდრე საფეხბურთო მინდორზე. ძნელია, არ შეიძლება ამ დროს იდეალო, სხვის ზურგს ამოეფარო და გასაცემი ბოლომდე არ გასცე... ჩვენც იმიტომ ვართ აღტაცებულნი, რომ „დინამოს" ახალმა სტადიონმა დიდი ხნის დანატრული ერთიანობის გრძნობა დაგვიბრუნა.

„დინამო" აღდგა, გიხაროდენ...

„მართვა", N 3, 1976

უნდა ვიფრინო, უნდა ვზიდო

მე მერანი ვარ — საბას თქმით, „კეთილმოარული ცხენი"...

შოთამ ავთანდილის ტაიჭი სიკეთით მე შემადარა:

„ტაიჭი მიუქს მერანსა, მიეფინების მზე ველად"...

ბარათაშვილმა ფრთები გამომასხა, ფრთოსან რაშად, პეგასად მაქცია:

„გასნი, გაფრინდი, ჩემო მერანო,
გარდამატარე ბედის სამზღვარი"...

უნდა ვიფრინო, მაგრამ უნდა ვზიდო კიდეც...

ცხენისას სისხლის სიწმინდეს აფასებენ — ქართული ჯიშისა ვარ...

ამის გამო ვიქეცი საქართველოში ლექსად, ალმანახად, გამომცემლობად.

ახლა კი...

მე „მერანი" ვარ — საჭადრაკო გაზეთი.

ალბათ მიხვდით, რატომაც მომნათლეს ასე; ალეგორიასა და სიმბოლიკასაც რომ დავეხსნათ — ჭადრაკის ყველაზე საოცარ ფიგურას მერნის სახე აქვს მიცემული.

საგულისხმოა — საჭადრაკო მერანი ყოველ სელაზე „ფერს იცვლის", თითქოს მუდმივ განახლება-ფერისცვალებაშია... და — ისიც, რომ იგი ერთადერთი ფიგურაა, რომელიც დაბრკოლებას — შინაურსა თუ უცხოს — თავს გადაევლება ხოლმე. ქამელეონობა და სხვათა თავზე გადახტომ-გადაჯირითება ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ მუდმივ განახლებასა და წინააღმდეგობათა გადალახვის უნარში კი დე, საჭადრაკო მერნის წყალი გადაგვსხმოდეს.

ჭადრაკი ინტერნაციონალური „ენაა", მას ამკობს უკეთილშობილესი დევიზი — „ჩვენ ერთი ოჯახი ვართ"... მაგრამ მე „მერანი" ვარ, ქართულად ვმეტყველებ და ჩემი უპირველესი მისია ქართული საჭადრაკო სკოლის გან-

მტკიცება, მისი პოპულარიზაცია, მოქადრაკეთა ეროვნული კადრების მომზადება-დაოსტატება გახლავთ.

აქამდე საქადრაკო მერანს ძირითადად ჩვენი კოლხი ამორძალების შთამომავალნი ხედნიდნენ — ჩვენი ნონა, ჩვენი მაია და „დანი მათნი"... ჩინებული ვაჟი მხედრებიც გვყოლია და ახლაც გვყავს, მაგრამ, რა დასამალია და, ისინი ისე მაინც ვერ იურვებენ საქადრაკო მერანს, როგორც ეს შეეფერებათ შთამომავლებს იბერიის მეფის ფარსმანისას, ვისი ცხენიანი ქანდაკებაც იმპერატორმა ადრიანემ რომში მარსის ველზე დაადგმევინა... დედოფლები გვყავს და, იმედია, კვლავაც გვეყოლება, საქადრაკო მეფე კი უნდა ვშვათ და გამოვზარდოთ... ამისთვისაც ვარ მოწოდებული, იყოს ეს „მერნისთვის" თუნდაც მძიმედ საზიდი, მაგრამ სასიამოვნო ტვირთი.

დამატებად ვითვლები, მაგრამ უფრო პირმშო ვარ „ლელოსი". მეც იმ ძალამ მომაელინა, რომელიც საქართველოს კულტურული და ზნეობრივი ცხოვრების ატმოსფეროს დაწმენდა-გაჯანსაღებისთვის ილვწის. სახელწოდების შესაფერისად მარლიაო, ჯერჯერობით ჩემზე არ ითქმის — ორ კვირაში ერთხელ გამოვალ, მაგრამ მთავარი ისაა, როგორ გამოვალ — ოთხახმით თუ ისე, დავით გურამიშვილი რომ ბრძანებდა: „მეც მრევენ მერანთ ჯოგშიგან, თუ შევსძელ გაჯაგჯაგება". სახელი კი შემირჩიეს ჟღერადი, მაგრამ ჩემი „მერნობა" უფრო სამომავლო ავანსია — განა არ ვიცი, რომ ქართული პრესის „ბედაურებში" ასე ადვილად და მარტო სახელწოდებით ვერ გაერევი...

სიტყვა გამიგრძელდა... არა სიტყვამ, არამედ „საქმემან ჩვენმან გამოგვაჩინოს". თუმცალა პრესის საქმე სწორედაც სიტყვაა. დე, ამ საქმედქცეულმა სიტყვამ გამოაჩინოს „მერანი".

„მერანი", რომელმაც არა მარტო უნდა იფრინოს — უნდა ზიდოს კიდეც.

„მერანი", №1, 26.7.1984

იანვარი

გაილია იანვარიც — ორსახა იანუსის თვე.

იანუსს იმიტომ ჰქონდა ორი სახე, რომ წინაც ეცქირა და უკანაც, წარსულიც დაენახა და მომავალიც, კიდეც გაეღო და კიდეც მიეხურა დრო-სივრცის კარიბჭე.

ორი სახე ჰქონდა იანუსს — ფიქრიანი მოხუცისა და მოძრავი ყმაწვილისა.

იანვარი ფიქრის თვეა...

იანვარია მოძრაობის თვეც...

ზამთარში ბუნება იძინებს; ამასვე ვერ ვიტყვით კაცზე, საზოგადოებაზე; პირიქით, გურამ რჩეულიშვილის დაკვირვებით, ზამთარი კიდეე უფრო ამძაფრებს ვნებებს.

ასე მოხდა ბევრგან... ასე მოხდა ჩვენშიც.

იანვარში დაიწყო, ფაქტობრივად განახლდა, ძალუმი საპროტესტო აქციები საქართველოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნით. აქციას წარმართავდა ეროვნული ხსნის კომიტეტში გაერთიანებული ძირითადი პარტიები და ორგანიზაციები.

იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები მთავრობის სასახლის წინ, შიმშილობა, დემონსტრაციები... რამდენიმე დღეს გაიფიცა ტრანსპორტი და საწარმო-დაწესებულებები. აქცია დროებით შეწყდა ამიერკავკასიაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით, თუმცა პარასკევობით მიტინგები მაინც იმართება მთავრობის სასახლესთან.

შიდა ქართლიდან დაიძრა ქართველობა, განსაკუთრებით — ქალები; მათ მჯდომარე გაფიცვა გამოაცხადეს სამთავრობო და საზოგადოებრივად მნიშვნელოვან დაწესებულებათა შენობებში... მოითხოვენ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებას, „ადამონ ნიხასის" დაშლას, შიდა ქართლში პროვოცირებულ მკვლელობათა და შეტაკებათა ორგანიზატორებისა და აღმასრულებლების დასჯას, უსაფრთხოების გარანტიას... აქცია გრძელდება.

ამიერკავკასიის ამბები უშუალოდ გვიკავშირდება ჩვენც. უაღრესად გამწვავდა ვითარება აზერბაიჯანსა და სომხეთში... ამ ისტორიულ მეზობელთა შორის იანვარში გაჩაღდა ნამდვილი ომი მთელი თავისი ატრიბუტიკით — საომარი შეტაკებებით, მსხვერპლით, მძევლებით, ხიზნებით... კვლავ ამუშავდა, ოღონდ უფრო ფართო მასშტაბით და, შესაბამისად, მეტი მსხვერპლით, სამხედროთა მიერ სამოქალაქო მოსახლეობის იარაღით დათრგუნვის მოდელი. შემზარავი ფოტომასალა გადმობეჭდა თბილისში გამომავალმა აზერბაიჯანულენოვანმა გაზეთმა ბაქოს ამბებთან დაკავშირებით. თამრიკო ჭოველიძისა და ნათია ბაშალეიშვილის აღსასრულის მხილველები, თითქოსდა, რაღამ უნდა შეგვძრას, მაგრამ ცოდვით ქვასაც აადუღებს მკერდგაგლეჯილი აზერბაიჯანელი გოგონას ხილვა, თვალღია რომ შეხვედრია სიკვდილს...

რაოდენ მძიმე დემოგრაფიულ ვითარებასაც უნდა გვიქმნიდნენ ჩვენს მიწას მოძალებული მეზობლები, უმადურობისა და უტიფრობის რა ზღვარიც უნდა გადალახონ ქვემო ქართლში აზერბაიჯანული ავტონომიის მოთხოვნით პანისლამის სადახლოელმა იდეოლოგებმა, ერთი რამ მაინც ცხადზე უცხადესია — ქართველი ვერ გაილაღებს სხვისი უბედურებით, ქართველი მხოლოდ მიუსამძიმრებს და გვერდით დაუდგება თავის მეზობელს: როგორც ამოუდგნენ მხარში აზერბაიჯანელ ჯარისკაცებს ქართველი ჯარისკაცები სალიანის ყაზარმებში... როგორც გავუნოდეთ ხელი მიწას დამხობილ სპიტაკს.

საქართველოსა და, საერთოდ, ამიერკავკასიის მოვლენები უფრო ფარ-

თო კონტექსტში განიხილება იმ პროცესებთან დაკავშირებით, რაც ხდება მთელ საბჭოთა კავშირსა და ევროპაში. იანვარში გაგრძელდა და, ვგონებ, დამთავრდა კიდეც იმ ბანაკის არამცთუ დაშლა, აყრაც კი — სოციალისტურს რომ ვუწოდებდით: ევროპამ ევროპისაკენ გაიწია... ამ პროცესის შედარებით მშვიდობიანმა და უმტკივნეულო მიმდინარეობამ (შედარებით-მეთქი, თორემ — რუმინეთი გავიხსენოთ!) ბევრს შეუქმნა ილუზია, რომ რუსეთი ასევე უდავიდარაბოდ „გაუშვებს" რესპუბლიკებსაც...

ნეტარ არიან მორწმუნენი!

ამასთანავე სულ უფრო და უფრო იკვეთება ტენდენცია რესპუბლიკებისა — გაემიჯნონ ცენტრს. „თავისუფალ ერთა მძლე კავშირის ძმურის" (დედანშია „დაურღვეველი კავშირის") სამისდღეშიო „შეკვრის" მისიაზე რუსეთმა, საქმეს ასეთი პირი უჩანს, ხელი უნდა აიღოს. ეს „მესიანური როლი" არც მისთვის ჩანს ხელსაყრელი და არც სხვებისთვის. საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგ სფეროში იწყება დეიდეოლოგიზაციის პროცესიც, იმსხვრევა დოგმები, ემხობიან კერპები. ზემოდან ეს ყველაფერი, ცხადია, დოზირებული იყო და არის, მაგრამ ახლა ის ჟამი დგება, როცა მოვლენები უფრო შინაგანი განვითარების კანონზომიერებას ემორჩილება, ვიდრე ზემოდან რეგლამენტირებას.

არ გამართლდა ზოგიერთის იმედი, რომ სტალინიზმის მხილება ლენინიზმს ააცილებდა დარტყმას... და პირიქით, გამართლდა ზოგის ვარაუდი — სტალინის მოთხრით ლენინიზმს ეცლება ძირითადი საყრდენი... ისიც საფიქრალია, რომ ეს იმთავითვე „ჩაიდო" „პერესტროიკის" იდეაში. ცნებადოქტრინათა დეევალვაციის პროცესი ჯაჭვური რეაქციით გადაეცემა, ალბათ, „სოციალიზმსაც" და „საბჭოთა კავშირსაც".

ორიოდ სიტყვა პოლიტიკურ ტერმინზე — „კავშირი". საოცარია ბედი სიტყვებისა! ამ „კავშირმა", რომელიც რეალურად ჩამოყალიბდა საბჭოურ სისტემაში, იმდენად გაიტეხა სახელი, რომ ლამის დაგვავიწყა მისი ამოსავალი მნიშვნელობა; არადა „კავშირი" მაღალი რიგის ცნებაა, იგი საფუძვლად დაედო ისეთ ტერმინს, როგორიცაა „რელიგია" — კავშირი უზენაესსა და ადამიანს შორის და, ამის კვალობაზე, თვით ადამიანთა შორისაც. „კავშირი" ერქვა ძველად პირველ-ელემენტებს, სამყაროს „ასაგებ მასალას"; საბა ბრძანებს: „კავშირი: ოთხი იგი ასონი — მიწა, წყალი, აირი და ცეცხლი — არიან, ვინათგან ამათ მიერ არს ყოვლთა სხეულთა შემტკიცება". გავიხსენოთ შოთას — „დამშლიან ჩემნი კავშირნი"... ე.ი. „კავშირი" არის გამაერთიანებელ-შემამტკიცებელი. „ფედერაციაც" და „კონფედერაციაც" გარკვეული ტიპის „კავშირებია", მაგრამ დიპლომატიის ისტორიამ იცის ისეთი „კავშირები" (მაგ. „სამთა კავშირი", „ანტანტა"), მასში შემავალ წევრებს უფრო მაღალი რანგის სუვერენიტეტს რომ უნარჩუნებს, ვიდრე ფედერაცია და თვით კონფედერაციაც კი. მაგრამ როდესაც სიტყვა-ტერმინი იქცევა პოლიტიკურ-ზნეობრივი „სარცხვინალის" შესანიღბ „ლეღვის ფოთლად", მისდამი ფსიქოლოგიური განწყობა იცვ-

ლება: დღეს ალარავინ ენდობა „კავშირს", რომლის მიღმა იმალებოდა ერების ათქვეფისა და მერე ერთ, სახელით „საბჭოთა", არსით — რუს ერად გადადნობის სატანური ჩანაფიქრი... სატანური, პირველ ყოვლისა (რაც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს), თვით დომინანტი ერის მიმართ, ვინაიდან ისტორია გვასწავლის — იმპერიები ყოველთვის იმსხვრევიან და ეს ნგრევა, პირველ ყოვლისა, „ბაბილონის გოდოლის" მაშენებელ ერს დაიტანიებს ხოლმე.

რუსეთში გარკვეული ძალები, ალბათ, მიხედა, რომ იმპერია არა მარტო ისტორიული ანაქრონიზმია, არამედ — ბუნების საწინააღმდეგო მოვლენაც, ბუნებისა, რომელიც ვლინდება ნაირგვარობაში და რომლის გაერთგვაროვნება სიკვდილის ტოლფასია. „უთვალავი ფერებით" მოცემული ქვეყნის ერთ ფერად — წითლად გადაღებვის მცდელობა წითლისავე თვითლიკვიდაციას ნიშნავს (ყოველი დიქტატორი პოლიტიკური დალტონიზმით იყო დაავადებული და, საუბედუროდ, ამ სნებას მთელ ერს „აჰკიდებდა" ხოლმე); ცენტრში იმასაც მიხედნენ, ჩათრევას რომ ჩაყოლა სჯობია. იმპერიათა ლიკვიდაცია უმსხვერპლოდ არ ხდება, მაგრამ მსხვერპლიც არის და მსხვერპლიც. აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესებმა გვიჩვენა, რომ „პერესტროიკას" რეალურად მივყავართ სისტემის დემონტაჟისაკენ... ეს, ცხადია, უფრო უსისხლო საქმეა, ვიდრე იმპერიის რევოლუციური „აფეთქება", მაგრამ არც ისეთი უმტკივნეულო, როგორც ბევრს წარმოგვედგინა... მოვლენათა განვითარების ყველა შესაძლო შედეგი, ეტყობა, ბოლომდე ვერც გაითვალეს... და ეს შეუძლებელიც იყო. მაგრამ ის კი აუცილებლად იყო და არის გასათვალისწინებელი, რომ პოლიტიკური სისტემისა და ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული აპარატის დემონტაჟი შეუძლებელია რესპუბლიკათა და ეროვნებათშორის ურთიერთდამოკიდებულების ახლანდელი სისტემის დაუმსხვრევლად. ერთმანეთისგან იზოლირებულად და მორიგეობით — ჯერ ერთს მოვილევთ და მერე მეორესო — ეს საქმე არ მოგვარდება. მეტიც ითქმის, თუ უწინარესობაზე მაინც მიდგება საქმე, უფრო საშური სწორედ რესპუბლიკათა და ეროვნებათშორისო საკითხის გადაწყვეტა ჩანს. ყარაბაღმა და ბაქომ ეს აშკარად გამოავლინა.

მეტ-ნაკლებად, მაგრამ ახლა ყოველი რესპუბლიკა დუღს, ბობოქრობს. შეგნება იმისა, რომ ძველებურად ვეღარ ვიცხოვრებთ, მარტო ქართველსა და ლიტველს კი არ დაუფლებია, არამედ რუსსაც... მაგრამ სოციალური კატაკლიზმების დროს განსხვავებული უნდა იყოს მოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა დიდი და მცირე ერებისა. ჩვენს გასაჭირს, როგორც ილია ბრძანებდა, თავისი ღობე ავლია, ჩვენი დაცემული ვინაობის ანუ სახელმწიფოებრიობის აღდგენა იყო და ახლაც რჩება ქართველთა უზენაეს მიზნად. სხვას მერეც მოევლება. ამიტომ ეწინააღმდეგებოდა ილია მარქსიზმს და მის უმთავრეს დოქტრინას — კლასთა ბრძოლას, მიაჩნდა რა კირთების ქვეშე მყოფი მცირერიცხოვანი ერისათვის ძმათამჟლეტი კლასობრივი ომი საბედისწერო შეცდომად.

ქართველებმა ახლაც დიდი სიფრთხილე და წინდახედულება უნდა გამოვიჩინოთ: ჩვენ როდი შეგვიქმნია საბჭოური იმპერია, რომ მის დაშლას შევეწიროთ.

ამ თვალსაზრისით ტრაგიკულია თვით „პერესტროიკის" წამომწყების მდგომარეობაც. გორბაჩოვი ახლა იმ მენაღმესა ჰგავს, რომელსაც „ნამეტურ" ბევრნი ვეხმარებით ბომბის გაუვნებლობაში. დეტონატორთან მომუშავე მენაღმეს კი ხელში არ უნდა ეცე, — მიმიშვი, მაგ საქმე შენზე უკეთ ვიციო... მენაღმეს, ერთ კაცს, ვილა ჩივის, ყველანი არ ავიწიოთ ჰაერში.

რეზო თაბუკაშვილისგან მომისმენია იგავურად თქმული: ადამიანებმა გამოიყვანეს ჯუჯა ცხენის ჯიში — პონი; ყველაფერი დაუპატარავეს ბედაურს — კიდეც დაამოკლეს, კიდეც — დაადაბლეს, კიდეც — შეკუმშეს, მოკლედ — დააჩიავეს. ერთადერთი, გულს ვერაფერი მოუხერხეს, პონის გული ისევ ბედაურისა აქვს. ამ დიდგულა პონის ჰგავსო საქართველოც.

გული, დამტევი სიყვარულისა, ვნებისა, ღირსებისა, მართლაც დიდი გვქონდა ქართველებს; ახლაც დიდი გული გვაქვს... აი, გადიდგულება კი ღმერთმა გვაცილოს, თანაც ისეთი, როცა ვერ ზომავ, ვის ედიდგულები.

მინდა ვირწმუნო — ვერც ტვინი დაუპატარავეს პონის.

„მამული", 7.2.1990

ჟამი ბრძოლისა და ჟამი მშვიდობისა

„ყოველთა, რომელთა აღილონ მახვილი, მახვილითა წარწყმდენ".
მათე, 26, 52.

„არა არს ღმერთი შფოთისაჲ, არამედ მშვიდობისაჲ..."
პავლე, კორინთელთა, 4, 33.

„ყოველთათვის ჟამი არს და ჟამი ჩანს ყოვლისა საქმისა ცისა ქუეშე:
ჟამი არს შობისაჲ და ჟამი სიკუდილისაჲ, ჟამი არს დანერგვისაჲ და ჟამი
მოფხურად დანერგულსა მის; ჟამი არს მოკლვისაჲ და ჟამი
განკურნებისაჲ, ჟამი ტყეებისაჲ და ჟამი როკვისაჲ;
ჟამი არს ბრძოლისაჲ და ჟამი მშვიდობისაჲ".
ეკლესიასტე, 3.

ორმოცი წლის წინ დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი — ყველაზე გამანადგურებელი და „სისხლიანი" ომი კაცობრიობის ისტორიაში; ორმოცი წლის

წინ დაემხო ფაშიზმი, ისტორიულად ერთ-ერთი ყველაზე „ცოდვილიანი" იდეოლოგია, მსოფლმხედველობა და ფორმა მმართველობისა.

ორმოცი წელი ჩვენს დინამიკურ ეპოქაში ცოტა როდია; თუ თაობათა შორის დისტანციას ოცი წლით განვსაზღვრავთ, უკვე მესამე თაობა მოდის, რომელსაც ომის საშინელებანი არ განუცდია. ადამიანს კი არამცთუ განუცდელი — სამწუხაროდ, განცდილიც ავიწყდება ზოგჯერ. ომის დავიწყება კი არ ეგების — თუ ჩვენ დავივიწყებთ ომს, ომი არ დაგვივიწყებს ჩვენ. ამიტომაც დასტრიალებს თავს ლიტერატურა და, საერთოდ, ხელოვნება ომის თემას და ისევ და ისევ გვიცოცხლებს იმ, მართლაცდა, ავადმოსაგონარ „სისხლის წვიმების დროს". მაგრამ რეალურ ომსა და მის მხატვრულ განსახოვნებას, ცხადია, „შუა უზის დიდი მზღვარი", რომელიც თვით გენიოსთა კალმისა თუ ფუნჯის მოსმითაც ვერ გადაილახება: ადამიანთა პიროვნულ გამოცდილებას ვერაფერი შეცვლის; ამის შეგნებამ თუ წარმოშვა სკეპტიკური პარადოქსი — ისტორია იმისთვის იწერება, რომ ადამიანმა მისგან არაფერი ისწავლოსო. მართლაც, უამრავი უბედურება მოუტანია ომს კაცობრიობისათვის — ადამის მოდგმა კი მაინც ომობს, მისი ისტორია თითქმის უწყვეტი ჯაჭვია დიდი თუ მცირე, შეტევითი თუ თავდაცვითი, სამართლიანი თუ უსამართლო ომებისა... ამ ომებს კი, როგორც ოტო ბისმარკი ამბობდა, იგებს (ან აგებს) სოფლის მასწავლებელი ანუ სკოლა, სათანადო აღზრდის სისტემა. სწორედ ახალგაზრდათა მამულიშვილური სულისკვეთებით აღზრდის პრობლემას განვიხილავთ შეძლებისდაგვარად ამ ჩვენს წერილში, მის „კარიბჭეში" კი რამდენიმე ზოგადი მოსაზრების გაზიარება გვინდა მკითხველისათვის:

ისტორიის გარკვეულ ეტაპზე იწყება ომის ფენომენის ფილოსოფიურ-თეორიული გააზრება, კიდევ უფრო ადრე — ომის მოთხოვნილებათა შესაბამისად გარდაქმნა საზოგადოების როგორც მატერიალური, ისე სულიერი ცხოვრებისა: საომარი სულისკვეთების საგანგებო აღზრდა, საბრძოლო ხელოვნების დაუფლება, ეპოქის ყველაზე ძალუმ ტვინთა დასაქმება საომარი იარაღისა და ტექნიკის სრულყოფა-დახვეწისათვის. თვით მშვიდობა, ომის ეს ანტინომური მეწყვილე, ზოგჯერ გაიაზრება ომის ფუნქციად, ომის შედეგად, მის მიზნად: Si vis pacem, para bellum! (თუ მშვიდობა გინდა, ომისთვის ემზადე!) — რომაელთა ამ ფრთიან გამოთქმას დღესაც, თერმობირთვული იარაღის ეპოქაში, ჰყავს მიმდევრები. ომს მიიჩნევდნენ კაცობრიობის პროგრესის მიუცილებელ ელემენტად, ვიეთთა ნააზრევში იგი „ადამიანური მოდგმის ჰიგიენადაც" კი მოინათლა; ზოგს ომი არსებობისათვის ბრძოლის კანონის ყველაზე ნათელ და უშუალო გამოვლინებად მიაჩნია. კლაუზევიცის კლასიკური განმარტებით, ომი წარმოადგენს პოლიტიკის გაგრძელებას, იგი თითქოსდა დამაგვირგვინებელი აქტია გარკვეული პოლიტიკური პროგრამისა, დიპლომატიური კამუფლაჟითა და მანევრებით შემზადებული.

რამდენადაც ომი საზოგადოებრივი განვითარების გარდაუვალ თანმხ-

ლებ მოვლენად აღიქმებოდა, ამდენად სახელმიფო, თავისი იდეოლოგიისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური ორიენტაციის შესაბამისად, ყოველთვის სათანადო ყურადღებას უთმობდა ომის სამზადისს; საუკუნეთა განმავლობაში იხვეწებოდა და სრულყოფილი ხდებოდა მოწინააღმდეგის განადგურების „ხელოვნება". ამავე მიზნით „მუშაობდა" იდეოლოგიური სისტემაც, რომელშიც სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ახალგაზრდობის შესაბამისი სულისკვეთებით აღზრდას. არა მარტო ცალკეული პიროვნებები — მთელი სოციალური ჯგუფები, წოდებები, კასტები, მთელი ტომებიც კი საგანგებოდ ხელოვნდებოდნენ საომარ საქმეში. ყოველ შემთხვევაში, ისტორიულ ხანაში ყოველ კლასობრივ-საზოგადოებრივ ფორმაციაში გამოიყოფოდა ფენა, რომლის უპირველესი ფუნქცია საომარი ქმედება იყო.

ასე იყო საქართველოშიც, თუმცაღა ისტორიული ვითარება ხშირად აიძულებდა ჩვენს ქვეყანას საომარ ოპერაციებში „ქუდზე კაცი" გამოეყვანა. ის, რომ ქართველი გლეხკაცი თოხს გვერდზე გადადებდა და ხმალს ჰკიდებდა ხოლმე ხელს, მაინცდამაინც ჩვენს მეომრულ ბუნებაზე არ მეტყველებს; არც „ქუდზე კაცის" გამოყვანის ჩვენში გავრცელებული პრინციპი დაგვიდასტურებს ამას — ეს ყველაფერი გაჭირვებისაა, თორემ სამხედრო თვალსაზრისით აღზევებულ ქვეყანაში ჩინებულად უწყიან თავიანთი ძლიერების წყარო — „მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს". ახალ საუკუნეებში კიდევ უფრო მკვეთრად გამოიკვეთა მკაცრად დიფერენცირებულ-რეგლამენტირებული საზოგადოებრივი წყობის საომარი უპირატესობანი; ეკონომიკური სიძლიერე უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცა ომში. ნაპოლეონს უთქვამს: ომის მოსაგებად საჭიროა ჯერ ფული, მერე — ფული და ბოლოს — ისევ ფულიო. ფული ანუ სიმდიდრე, ეკონომიკური ძლიერება კი სოციალურ-ეკონომიკური წყობის განვითარება-სრულყოფას მოაქვს. ჩვენში პირველმა ილიამ წარმოაჩინა ის — თვალში ნაკლებად საცემი, მაგრამ უაღრესად ქმედითი — მექნიზმი, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობდა განუწყვეტელ ომებში ჩაბმული ქართველობის ისტორიულ გადარჩენაში: *„საქართველო დღე და ღამ იარაღით ხელში იდგა, მტერი ყოველ მხრიდამ მოწოლილი იყო. ჩვენი ხალხი თითქმის ორი ათასი წელიწადი იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა... ვთქვათ, მკლავმა და გულმა შეძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის — რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა კვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცი უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტერად არ აღგვილიყო — და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?"* ამ კითხვის პასუხს თვით ილიამ მიაგნო — მისი ვარაუდით, ეს იყო ძველი საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების წესის მოქნილობა, კერძოდ, მიწის განაწილების ის დემოკრატიული პრინციპი, რომელიც ზღუდავდა მიწის საკომლო მფლობელობას და ხე-

ლუხლებლად ინახავდა და უფრთხილდებოდა „სამსოფლოსა“ ანუ საზოგადოებრივს.

ასე იყო თუ ისე, ეს საკითხის მაინც ერთი მხარეა, ჩვენ კი მეორეც გვაინტერესებს — „მკლავსა და გულს რამღა შეაძლებინა ეს გოლიათობა?“ — შეაძლებინა ეროვნულმა სულმა, რომელსაც, ერთი მხრივ, მხნეობისა და გამძლეობის, მეორე მხრივ კი შეგუებისა და დათმენის საოცარი უნარი აღმოაჩნდა. ელასტიკური სიმტკიცე — თითქოსდა ამ პოლუსური თვისებებით იყო ეს სული „ნაქსოვი“. მიუხედავად ქართველ ტომთა ნაირგვარი ცხოვრების წესისა, ჩვენ ძირითადად მაინც ვაზისა და პურის მომყვანი ხალხი ვართ (შემთხვევითი სრულებითაც არა გვგონია ჩვენი ეთნონიმის „გეორგია“ ბერძნული გააზრება — ხალხურ ეტიმოლოგიაზე დაფუძნებული — „მიწის მუშაკი“) და, თუ მეომარ ტომადაც გვიცნობდნენ — ეს მხოლოდ თავდამცველის გაგებით. დავითისა და თამარის ეპოქებში „საზღვართ ბორტად გარდახდომანი“ (დავითის სიტყვებია) მხოლოდ ეპიზოდები იყო განუწყვეტელი უმძიმესი თავდაცვითი ომების ფონზე, თანაც — მხოლოდ საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნვით გამოწვეული. ამ ომებმა, ცხადია, თავისი კვალი დაჩნია ჩვენს ფსიქიკას, ხასიათს, ცხოვრების წესსა და ნირს, მაგრამ ვერ შეძლო ის, რაც თითქოსდა მოსალოდნელი იყო — ვერ გააბოროტა ქართველი, შინაგანად ვერ აამხედრა იგი „უცხო თესლთა“ წინააღმდეგ, ვერ მოუწამლა სული შურისძიებისა და „მტრის სისხლით თრობის“ ქვენა განცდით. ვახუშტის თქმით, ქართველებს „*ზნენი აქუნდათ პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, ერთისა ცოლისა ქმრობა... ხოლო ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შუენიერნი, ჰაეროვანნი... წერწეტნი, უმეტეს ქალნი, იშვით სქელნი, მხნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობასა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი. სალაშკროთა შინა ახოვანნი, საჭურველთა მოყვარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მაძიებელი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქუეყანასა და მეფესა თვისსა; სტუმართა და უცხოთ მოყუარენი; მხიარულნი, უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან, არარაჲ შეიჭირვიან. უხვნი, არცა თვისსა და არცა სხვისას კრძალავენ; საუნჯეთა არა მმესველნი, გონიერნი, მსწრაფლ-მიმხდომნი, მჩემებელნი. სწავლის მოყუარენი... ურთიერთის მიმყოლნი, კეთილ-ბორტზედ ადრე მიმდრეკნი*“... ამ დახასიათებაში ზოგიერთ თვისებას — პირმტკიცობას, მტერთა ზედა ერთობას, სინერწეტე-ჰაეროვნებას — სამწუხაროდ, ჩვენივე წინდაუხედაობა-ნამხედურობით წირვა ჩვენვე გამოვუყვანეთ, მაგრამ ბევრი რამ — კარგიცა და ნაკლებად კარგიც — ქართველთა ვახუშტისეულ დახასიათებაში ყავლგაუვალია.

ქართველთა ეს „სალაშკროთა შინა ახოვანება“ და „სახელის მაძიებლობა“ ორსავე მსოფლიო ომში დადასტურდა. ზოგს ამაზე, შესაძლოა, ირონი-

ულად გაელიმოს — ამ ომებმა ხომ „გვერდი უარა" საქართველოსო! საერთოდაც, მთელი მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცის დასაწყისის ჩვენი მეტნაკლები მშვიდობიანობა ზოგს ისე წარმოუდგენია, თითქოს რუსეთის იმპერია საქართველოს „საბან-გობანში" აზიზად გამოხვეულს ინახავდა და ცივ ნიავს არ აკარებდა. უფრო მეტიც, ზოგიერთი ბრიყვის აზრით, მეორე მსოფლიო ომში ქართველები თითქოსდა რაღაც პრივილეგიებით სარგებლობდნენ; სტატისტიკა კი გვეუბნება: საქართველო პროცენტულად ამ ომში, სამწუხაროდ, ყველაზე დაზარალებულთა შორისაა. სამმილიონიანმა რესპულიკამ ცხრაას ათასამდე მეომარი გაგზავნა ფრონტზე, ესე იგი აბრძოლა თავისი მოსახლეობის თითქმის მესამედი — ოცდაათი პროცენტი. ასეთი რამ მაშინაც არ მომხდარა, როცა ძველად ქუდზე კაცი გასულა საბრძოლველად. გაწვეულთაგან ყოველი მესამე ბრძოლის ველზე დაეცა, ესე იგი, დაიღუპა სამას ათას კაცამდე, რაც უპრეცედენტოა თვით საქართველოსთვისაც კი; მარტო ქერჩთან რამდენიმე კვირაში ჩაიღუპა იმდენი ქართველი, რამდენიც ამ მრავალჭირგადანახადი ქვეყნისთვისაც კი „საუკუნის სამკალი" იყო. ომში კი სისხლი ყველაზე დიდი „გამოსაღებია" — დანგრეულ სოფელ-ქალაქს კვლავ აღადგენ, წართმეულ სიცოცხლეს კი ვერ დააბრუნებ. ასე რომ, მსოფლიო ომმა ჩვენ „გვერდი კი არ გვიარა", — შიგ კერიაში შემოგვეჭრა და ლამის გაგვანახევრა. სხვათა შორის, არც რუსეთის იმპერიის მიერ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში წარმოებული ომების დროს მსხდარა ქართველობა გულხელდაკრეფილი და „ყაბულ-ფლავის" მომლოდინე; ეს უნდა ითქვას არა „გამარჯვების ნაზუქიდან" ბარაქიანი ნაჭრის დასათრევად, არამედ — ღირსებისა და სამართლიანობისათვის: სწორედ შეურაცხყოფილმა ღირსებამ და უმადურობამ ათქმევინა საუკუნის წინ ილიას აჭარა-ქობულეთის შემოერთებისათვის დაღვრილ ქართველთა სისხლზე: *„წარსულმა ომმა ბევრი სისხლი დანსთქა ქართველობისა, ბევრი წარვიდა ამ წუთისოფლიდამ თვისტომთაგან დაუტირებელი, ბევრი დაიხოცა სახელოვანის სიკვდილით, — და მათი სახელი არც კი არავინ ახსენა და აღიარა... თქვენ, საცა ჭირი იყო, პირველნი იყავით ნებით თუ უნებლიეთ, და საცა ლხინი იყო — უკანასკნელნი!.. თქვენ აჩვენეთ ქვეყანას, რომ ვაჟკაცობა ქართველობისა უქმი სიტყვა არ არის... მიიღო კიდევ ჩვენმა სისხლში ამოვლებულმა ბედმა ჩვენი სისხლის შესაწირავი!.. ნუთუ უსისხლოდ ჩვენი ბედი არას გვითმობს?!"*

დიდი იყო მეორე მსოფლიო ომში ეს ჩვენი „სისხლის შესაწირავი". ცხადია — არა მარტო ჩვენი: რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეინირა მან და მაინც, არც ერთი ომის დროს, თვით მეორე მსოფლიო ომის ჩათვლითაც კი, არ დამდგარა საკითხი ამ ომის შედეგად საერთოდ ადამიანთა მოდგმის აღსასრულისა; დახოცილან მეომრები, გამწყდარა მთელი ლაშქარი, პირისაგან მიწისა აღგვილან ქალაქები და სახელმწიფოები, ზოგჯერ

დედიანწულიანად ამოჟლეტილა მთელი ტომი, თვით ხალხიც კი, მაგრამ ყოველ ომს ჰყოლია გამარჯვებულიც. თერმობირთვული კონფლიქტის შედეგად კი (სამხედრო სპეციალისტთა აზრით, ამგვარ კონფლიქტს, უფრო სწორად, კატასტროფას, არც შეიძლება ომი ვუწოდოთ ტრადიციული გაგებით) აღარც დამარცხებული იქნება, აღარც გამარჯვებული და, თქვენ წარმოიდგინეთ, აღარც განმსდგომი, ნეიტრალური მოწმე ამ კონფლიქტისა.

არადა, ომი არასოდეს ყოფილა მიზანი, იგი ყოველთვის იყო საშუალება გარკვეული უპირატესობის მოპოვებისა მოწინააღმდეგეზე. და თუ ომი ვერც მეყსეულ, ვერც პერსპექტიულ და ვერც პრინციპულ უპირატესობას ვეღარ მოუტანს მეომარ მხარეთაგან ვერც ერთს, მაშინ იგი უაზრობად იქცევა. სწორედ ამგვარ აბსურდს წარმოადგენს თერმობირთვული „ომი“: ერთი მხრივ, სასიცოცხლო არეალის დედამიწით შემოზღუდვამ, მეორე მხრივ კი საომარი იარაღის მოწყვლადობის არეალის შეუზღუდაობამ პარადოქსული ვითარება შექმნა: თერმობირთვულად დაპირისპირებულ ნებისმიერ მხარეს შეუძლია თვითლიკვიდაციის გზით მოწინააღმდეგის ლიკვიდაციაც, უფრო ზუსტად, ტოტალური ლიკვიდაცია ადამიანთა მოდგმისა. მეორე პარადოქსი: სპეციალისტთა აზრით, ატომური თავდასხმის დროს რომც არ განხორციელდეს საპასუხო დარტყმა, იმდენად მკვეთრად შეიცვლება დედამიწის ეკოლოგიური პირობები, რომ მასზე შეუქცევადად გადაშენდება მაღალგანვითარებული სიცოცხლის ფორმები.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე თერმობირთვული კატასტროფა თვისებრივად სხვა ოდენობაა, ვიდრე თვით მეორე მსოფლიო ომი, და შესაბამისად თვისებრივადვე იცვლება შინაარსი ომისათვის არსებითი ცნებებისა, — „მტერი“, „უპირატესობა“, „გამარჯვება“, „დამარცხება“... ამის კვალობაზე უნდა შეიცვალოს ჩვენი აზროვნების წესიც ამ სფეროში. ადამიანური ფსიქიკა ყველაზე მეტად ვერ ურიგდება საკუთარ სიკვდილს, მაგრამ მაღალი სულიერ-ზნეობრივი იდეალებისათვის სიცოცხლის დათმობა მას მაინც შეუძლია. ისიც მომხდარა, რომ ამ უმაღლესი იდეალებისათვის არა მხოლოდ ცალკე ინდივიდს, არამედ ადამიანთა კარგა მოზრდილ კრებულსაც დაუდევს თავი — ამის დამადასტურებლად სამასი სპარტელის ან სამასი არაგველის მაგალითიც იკმარებდა. ასეთი თავგანწირვა, ასეთი ომი მართლაც რომ წმინდად და საღვთოდ ითვლებოდა. მაგრამ ომის შედეგად თუ ერთიანად გაიჟუჟება ადამის მოდგმა, ამ ომს ვერანაირი მაღალი იდეალები, ადამიანისავე შექმნილი და ღირსებამინიჭებული, ვერ გაამართლებს. კაცობრიობის სიკვდილი, უფრო სწორად, თვითმკვლელობა მხოლოდ იმას დაადასტურებს, რაოდენ უგუნური ყოფილა ადამიანი და რაოდენ ფუჭი და ამაო მის მიერ შექმნილი იდეალები.

გრძნობის საპირისპიროდ ადამიანური გონება შეეგუება სიკვდილს, რამდენადაც ვიაზრებთ, რომ სიკვდილი არის „ადამიანის ცხოვრების უმთავრე-

სი მარეგულატორებელი" (დ.უზნაძე); უფრო მეტიც, გენიოსები გვეხმარებიან შევიმეცნოთ, რომ სიკვდილი სიცოცხლისავე ფორმაა, მისი წყარო და მიზეზიც კი („სიცოცხლეს სიცოცხლე უყვარს, ეს მიტომ დასდევ წესადა — სიკვდილი გაუჩენია მას თავის გასაკვებადა" — ვაჟა); ამ აზრით სიკვდილიც სიცოცხლეა („სიცოცხლე ცოცხლობს ყოველგან, სიკვდილი არ ჩანს, მომკვდარა"... ვაჟა). სიკვდილის გარდაქმნა-ფერისცვალება ანუ გარდაცვალება სიცოცხლედ, სიკვდილით სიკვდილისავე დათრგუნვა არა მარტო ზნეობრივი ნუგეშია ადამიანისათვის, არამედ საარსებო სტიმულიც — ამის გამო იგი არ ინთქმება არარაობაში. ცოცხალი კიდეც უნდა მოკვდეს, მაგრამ არ შეიძლება და არც უნდა მოკვდეს სიცოცხლე — ამის წარმოდგენაც კი აუტანელი იქნებოდა ადამიანური ფსიქიკისათვის. არადა, ამგვარი გლობალური მოსპობა სიცოცხლისა თერმობირთვული კატასტროფის შემთხვევაში არამცთუ წარმოსადგენია და შესაძლებელი, არამედ — გარანტირებული.

თუმცა ადამიანის გონებას კიდეც წარმოუდგენია და კიდეც განუსახოვნებია კოშმარული სურათი სამყაროს დასასრულისა: *„...და ძრვაჲ იქმნა დიდი და მზე შავ იქმნა, ვითარცა ძაძაჲ ბალნისაჲ, და მთოვარე ყოვლითურთ იქმნა, ვითარცა სისხლი და ეარსკვლავნი ცისანი გარდმოცვივნეს ქუეყანად, ვითარცა ლეღუმან რაჲ დაყაროს ყუავილი თვისი, ქარისაგან დიდისა შერყეულმან. და ცაჲ წარიგრაგნა, ვითარცა წიგნი წარგრაგნილი და ყოველნი მთანი და ბორცუნი ადგილთა თვისგან შეიძრნეს... და იქმნეს ელვანი და ქუხილნი და ხმაჲ და ძრვაჲ დიდი"*... (აპოკალიფსი, VI-12, 13, 14; XVI-18).

ეს დაიწერა ორი ათასი წლის წინათ, ვიდრე ადამიანის გალაღებული გონება ატომის გახლეჩას მოახერხებდა. და თუმცა აქ სამყაროს ეს ესქატოლოგიური კონვულსია გამოვლინებაა უზენაესის ნებისა და არა შედეგი ადამის მოდგმის უგუნურებისა, მაინც საცნაურია — მას წინ უსწრებს განხატება ომისა და სიკვდილისა: *„და გამოვიდა სხუაჲ ცხენი წითელი, და მჯდომარესა მას ზედა მიეცა აღებად მშუიდობაჲ ქუეყანით, რაჲთა ერთმანერთი მოსწყვიდონ, და მიეცა მას მახვილი დიდი... და აჰა ცხენი მწუანე, და მჯდომარესა მას ზედა სახელი მისი სიკუდილი; და ჯოჯოხეთი შეუდგა მას, და მიეცა მას ხელმწიფებაჲ... მოსრვად მათდა მახვილითა და სიყმილითა და სიკუდილითა და მხეცთა მიერ ქუეყანისათა"* (აპოკალიფსი, VI-4,8).

როგორც ძველად იტყოდნენ — „ნუ იყოფინ!"

ახლა ისევ „პირველსა სიტყვასა ზედა მოვიდეთ": როგორი სულისკვეთებით უნდა აღვზარდოთ ყმანვილები თერმობირთვული იარაღის ეპოქაში ომისა და მშვიდობის მიმართ? ამ კითხვაზე პასუხი თითქოსდა მხოლოდ ცალსახა პასუხს იგუებს — ახალგაზრდებს ომი უნდა შევაძულოთ, შესაბამისად, უნდა შევაყვაროთ მშვიდობა.

ოღონდ ერთია: უნდა შევაძულოთ ომი, და არა — ბრძოლა, ჭიდილი, მოძრაობა... უნდა შევაყვაროთ მშვიდობა, და არა — მორჩილება, მონობა, უძ-

რაობა. ჭეშმარიტი მშვიდობა თავისუფლების დამთრგუნავი არასოდეს ყოფილა, მხოლოდ მისი სუროგატი ცდილობს დააფრთხოს ადამიანი ბრძოლაში დაღვრილი სისხლით. ამგვარ მოჩვენებით, „ცარიელა" მშვიდობაზე ათქმევინა ილიამ თავის ლელთ ღუნიას: „ცარიალ მშვიდაბა მინაჩიც გვეყოფის"... ამ განწყობილების ანარეკლია გალაკტიონის „გამახსენდება, და კვლავ ომი მომენატრება".

და კიდევ: მშვიდობაცა და ომიც არა მარტო სოციალურ-პოლიტიკური, არამედ ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი კატეგორიებიც არიან: ცალკეული ადამიანის სულში დავანებული მშვიდობა — ესე იგი ჰარმონია, თავისუფლება, სინათლე და სიყვარული — მშვიდობადვე მოეფინება მთლიანად ადამიანთა მოდგმას... და პირიქით, მის სულში დაბუდებული ომი — ესე იგი ქაოსი, კირთება, სიბნელე და სიძულვილი — ომადვე გადმოინთხევა კაცთა შორის.

ანუ — როგორც იოანე ოქროპირი იტყოდა, *„თუ მშვიდობა სუფევს, იქნება სიყვარულიც, და პირიქით, სადაც სიყვარულია, იქ მშვიდობა დაისადგურებს"*.

ჭეშმარიტად!

„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", N3-4, 1985

მადლი

მადლი ესე არს, რომელმან არცა ნაცვლისგებისათვის,
არცა შიშისათვის, არცა სიყვარულისათვის
კეთილი და ქველის-საქმე ქნას.
საბა

ყოველი შემოქმედი — ნებსითა თუ უნებლიეთ, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად — წინაპართაგან ვისმე ჰბაძავს...

საღმრთო აზრით, ცხადია...

რეზო თაბუკაშვილი — მსოფლიო გზებზე გადებული, უსახსრო, თავის ალღოსა და გეშს მინდობილი, უიღბლოცა და ყისმათიანიც — საბას აჩრდილს ასდევნებია: მასავით უცხოეთში ეძებს, ნამცეც-ნამცეც კრებს საქართველოს. საბასი არ იყოს, რეზო თაბუკაშვილსაც უნვნევია თანამემამულეთა უმადურობა და უსულგულობა, მაგრამ „სამკალიც ფრიადი" მოუმკიათ ერთსაცა და მეორესაც... ძებნა ერთია, პოვნა — მეორე... ნუ ვიტყვით, სულხან-საბა უცხოეთში „ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესეო"... სხვა თუ არაფერი,

მისი „ხელმოცარული" ელჩობისაგან გამოდნა ბაჯაღლო ოქრო ჩვენი ლიტერატურული საგანძურისა — „მოგზაურობა ევროპაში".

რეზო თაბუკაშვილმა თავისი ნაღვაწით, პირველ ყოელისა, მადლი გადაუხადა წინაპართა აჩრდილებს — დიდთა თუ მცირეთა. მისი დიდი წინაპარი კი ასე გვმოძღვრავს: „მადლის გადახდა — რომელმანცა კეთილი გვიყოს, ნაცვალ-ვაგოთ ანუ სიტყვით, ანუ საქმით, ანუ თაყვანის-ცემითა".

ბატონმა რეზომ მარტო თავის წინაპრებს, თავის სისხლსა და ხორცს როდი მიაგო პატივი; მან მართლაც რომ „სიტყვითა, ანუ საქმითა, ანუ თაყვანის-ცემითა" გადაუხადა მადლი სხვა ტომის ხალხსაც — საქართველოსათვის გარჯილ-დამაშვრალთ.

მაინც ვერ მოიჯერა გული რეზო თაბუკაშვილმა, თხემით ტერფამდე მოვალეობის კაცმა, და ინდომა მთელ ერს, მთელ საქართველოს მიეგო პატივი ჩვენს უცხოელ მოკეთეთათვის — საამისოდ უნდა შეიქმნასო „ეროვნული მადლიერების ინსტიტუტი"... ბროსეს, უორდროპებს, ლაისტს, პასტერნაკსა და მრავალ სხვას არა მარტო ქვის ძეგლი, პირველ ყოელისა, „ქმნის ძეგლი" ანუ ძეგლი ხელთუქმნელი უნდა დაეუდგათო.

საღვთო საქმეა, ჭეშმარიტად!

მადლი ის ბუმერანგია, ღვთის ხელი რომ გვატყორცნინებს... გვიბრუნდება, უეჭველად გვიბრუნდება იგი — თუ უშუალოდ მადლისმქმნელს არა, მის ჯიშსა და ჯილაგს მაინც. ესეც გაითვალისწინა წინდახედულმა და, მაღალი აზრით, ანგარიშიანმა ქართველმა, ბატონმა რეზო თაბუკაშვილმა: საქართველოში შეიქმნება ქართველოლოგიის ცენტრი; აქ, ერთი მხრივ, ქართულ ენასა და კულტურას ეზიარებიან საქართველოთი დაინტერესებული, მისი მოჭირნახულე უცხოელები; მეორე მხრივ, „ეროვნული მადლიერების ინსტიტუტს" ეყოლება უცხოეთში თავისი სტიპენდიანტი ქართველი ახალგაზრდობა... კვლავ აღდგება სამოცდაათწლოვანი ნარ-ეკლით გადაბურულ-ჩახერგილი სულიერი გზა-ხიდები ევროპისაკენ...

რეზო თაბუკაშვილის ეს ჩანაფიქრი ერთ დიდ იდეასაც ეხმიანება. ამ იდეის ავტორი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეა. შემინდოს მისმა უწმინდესობამ, თუ ჩვენს პირად საუბარში გამოთქმულ მის ამ იდეას გავამჟღავნებ: პალესტინაში, წმინდა მიწაზე, უნდა აიგოს სავანე — ქართული სულიერი ცხოვრების მეორე ცენტრი — „სხვად გელათად", „მეორე შატბერდად"...

ერთსაც დავსძენ: მადლიერების ესოდენ გამახვილებული გრძნობა იმაზეც მეტყველებს, რომ ჩვენ, ქართველები, ასევე გამძაფრებულად აღვიქვამთ ჩვენდამი გამოვლენილ უმადურობასაც. ბუნებრივიცაა: სხვათა უმადურობა რომ არ გვწყინდეს, მაშინ არც მათი მადლიერება გაგვახარებდა... საქართველოს, ცხადია, მარად უნდა ახსოვდეს თავისი კეთილისმყოფლები, მაგრამ მან, ჩემი აზრით, არც თავისი მტრები უნდა დაივიწყოს თუნდაც იმი-

ტომ, რომ მათ ნათქვამ-ნამოქმედარში ზოგი რამ ჩვენთვის ჭკუის სასწავლებელი და საგულისხმოა. გამოითქვა კიდეც მოსაზრება (კოტე გაბაშვილი, სოსო ცისკარიშვილი), რომ შექმნილიყო „კატკოვის კლუბი", სადაც ქართველთყლაპია და ქართველთგანმაქიქებლები, ბარონ სენკოვსკიდან და პატკანოვიდან მოყოლებული, ჰიუიტითა და ცვეტოვით დამთავრებული, დაიმკვიდრებდნენ ადგილს. რა ვიცი, იქნებ „ეროვნული მადლიერების ინსტიტუტის" თუნდაც ერთი კუთხე-კუნჭული დასთმობოდა ამ ოდიოზურ ხალხსა და მათ ნამოქმედარს, თუნდაც საქართველოსათვის თავგადადებულ უცხოელთა ღვაწლის უფრო თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად?

ერთი რამ კი დანამდვილებით ვიცი, „ეროვნული მადლიერების ინსტიტუტი" უნდა შეიქმნას და შექმნილი უნდა დაემსგავსოს შემქმნელს, მადლიერების მადლით ცხებულ ქართველს — რეზო თაბუკაშვილს.

ხოლო მადლიერი კი ისაა, „რომელმან დაინახსოვროს კეთილმოქმედება მის ზედა" (საბა).

„თბილისი", 6 აპრილი, 1990 წ.

„ამისთანა მკურნალს ვაქებ, მილესევდეს ფაზარ-ხუთოს"

კიტა ბუაჩიძემ, ცნობილმა ქართველმა მწერალმა, თავისი „შავი წიგნი" კარგა ხნის წინათ დაწერა.

დაწერა უდროო დროს...

საერთოდაც, ბატონი კიტა „უდროოდ" წერს ხოლმე — ნაწერის ბეჭდვა-გამოცემის თვალსაზრისით...

ვერ ითვალისწინებს, რომ დროის წინ „მოკუნტრუშე" წიგნებს ან ცენზორი „შეჭამს", ან ცენზორისფერი რედაქტორი.

ასე იყო წინათ...

ასეა (ან — თითქმის ასეა) ახლაც...

მოკლედ, „შავი წიგნი" დაიწერა დიდი ხნის წინათ; ის დრო „უძრაობის" ხანად მონათლა საკმაოდ მოძრავმა ხალხმა.

აგერ ხუთი წელია, რაც თითქოსდა „დავიძარით"... თითქოს-მეთქი, რადგანაც იმ მგზავრის განცდა მაქვს, ვაგონის ფანჯრიდან შემხვედრ მატარებელს რომ უყურებს.

ჩაივლის მატარებელი და შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ არც დავძრულვართ...

„შავი წიგნის“ გამოცემის საქმეც თითქოს დაიძრა... ღმერთმა ქნას, ესეც შემხვედრი მოძრაობის ილუზია არ გამოდგეს.

ჩვენში ყველაზე დიდი ინტერესით დაუბეჭდავი წიგნები იკითხება. „შავი წიგნის“ ხელნაწერიც (უფრო ზუსტად — „ხელნაბეჭდი“) ხელიდან ხელში გადადიოდა წლების მანძილზე და თავის საქმეს აკეთებდა... გვანჯღრევდა და გვასილაქებდა ჩვენ — გულარხეინებს, ღიპგადმოგდებულებსა და ენაჩავარდნილებს; ლურსმანივით გვიჭედავდა თავში აზრს:

ვილუპებით — ერი აიტანა თვითმკვლელობის წერამ...
არ თხოვდება;
არ ირთავს;
არ შობს;
შინ თურაშაული უხმება და სტეპებში არწყულებს მაჟალოს...
სანაშენედ ამრავლებს ჯორებს...

„თვითგამოცემულ“ წიგნთა ხვედრი მოგეხსენებათ: „შავი წიგნის“ ნამცეც-ნაფჩხვენები შემდგომ სხვადასხვა ავტორებთან ვიხილეთ პირველწყაროს მიუთითებლად; „ასლი“ კი „დედანთან“ ყოველთვის როდია სწორი...

დროა ჩვენმა მკითხველმა მიიღოს სტამბურად გამოცემული „შავი წიგნი“ — მწარე სიმართლე ჩვენს „შავ ჭირზე“, რომელსაც ყავლი არ გასვლია და, ჩვენი ბედოვლათობის ამბავი რომ ვიცი, ვაი რომ, არც ხვალ გაუვა. ეს წიგნი „ნავღელში ამონაწები“ კალმით ინერებოდა, ამიტომაც არის შიგ ამდენი დარდი, რისხვა და, თქვენ წარმოიდგინეთ, „სიძულვილიც“, რომელშიც, ილიასი არ იყოს, უნდა ვიგრძნოთ, „რაოდენიც სიყვარულია!“.

ბატონ კიტასაგან მსმენია — თუ რაღაცამ გული არ მოგაყვანინა, ვერაფერს დაწერო.

„შავი წიგნი“ გაგულისებული, მეტიც ითქმის — განრისხებული კაცის ნაწერია... საზოგადოსა და საზოგადოებაზე განრისხებულისა.

ლუმინალით გაჭყეპილ ჩვენს საზოგადოებას, იქნებ, ამნაირმა „ფაზარხუთომ“ მაინც უწამლოს.

„ლიტერატურული საქართველო“, 16 ივნისი, 1989 წ.

ძალაუფლების საცდური

ცენზორი ძველ რომში სახელმწიფო მოხელეს ერქვა, ვინც მოქალაქეთა პოლიტიკურ საიმედობასა და, საერთოდაც, მათ ქცევას ზედამხედველობდა. დღეს ამ სიტყვის მნიშვნელობა დავიწროვდა და აღნიშნავს პირს, სა-

ხელმწიფო მეთვალყურეობას რომ ახორციელებს ბეჭდვით სიტყვასა და საჯარო გამოსვლებზე. შესაბამისი ფუნქციის დანესებულებას ჩვენში შემოკლებულად „მთავლიტს" ეძახიან.

არ მეგულება ლიტერატორი, მით უფრო — რედაქტორი, „მთავლიტთან" რომ საქმე არ სჭეროდეს. გამონაკლისი არც მე გახლავართ.

ცენზორსა და ცენზურას, ჩვეულებრივ, პირქუში ასოციაციები უკავშირდება, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით — ცენზორი იყო არა მარტო ლუკა ისარლოვი, ცენზორი გახლდათ „სამშობლო ხევსურისას" ავტორიც.

მე, პირადად, „მთავლიტისაგან" ყურადღების მეტი არაფერი მიგრძნია...

მტრისას „მთავლიტის" ყურადღებაო, გაიფიქრებს გამოცდილი მკითხველი... და — არცთუ უსაფუძვლოდ. მაგრამ ამჯერად ნამდვილ მოქალაქეობრივ ყურადღებასა და მხარდაჭერაზე მოგახსენებთ ყოველგვარი ირონიის გარეშე.

არ დამავიწყდება — ჩვენი ჟურნალი „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვნილ ნომერს ამზადებდა. ნომერი გაგვიჩერეს — მიზანშეუწონლად ცნეს მწერლის პირადი არქივიდან მოწოდებული ზოგიერთი მასალის პუბლიკაცია... და სწორედ „მთავლიტის" რამდენიმე თანამშრომლის თავგამოდება რომ არა, მკითხველი მაშინ, 1982 წელს — „ნეტარი" უძრაობის ხანაში, ვერ იხილავდა კონსტანტინე გამსახურდიას რისხვით სავსე წერილს „მაფალუისტებისა" და ახალი, კომუნისტური დროების ვოსტორგოვ-პურიშკევიჩების წინააღმდეგ, აგრეთვე მრავალმხრივ საგულისხმო ბარათს, მიწერილს საკუთარი ვაჟისადმი.

ამ ამბავს „მთავლიტის" თავის მოსაქონად როდი ვიხსენებ; პირიქით, ვიხსენებ ერთგვარი გულდაწყვეტით, ვინაიდან აღმოვაჩინე, რომ მათაც, „მთავლიტის" ღირსეულ თანამშრომლებსაც კი, თურმე, ზოგჯერ, ყალბად გაგებული „მუნდირის ღირსება" ანუ პატივმოყვრული განცდა ანუხებთ.

მაგალითი? ინებეთ:

ამას წინათ „ლიტერატურულ საქართველოში" (17.6.89) მცირე წერილი დავბეჭდე. წერილი ასე იწყებოდა:

„კიტა ბუაჩიძემ, ცნობილმა ქართველმა მწერალმა, თავისი „შავი წიგნი" კარგა ხნის წინათ დაწერა.

დაწერა უდროო დროს...

საერთოდაც, ბატონი კიტა „უდროოდ" წერს ხოლმე — ნაწერის ბეჭდვა-გამოცემის თვალსაზრისით.

ვერ ითვალისწინებს — დროის წინ „მოკუნტრუშე" წიგნებს ან ცენზორი „შეჭამს", ან ცენზორისფერი რედაქტორი"...

ცენზორმა (დავაკონკრეტებ — „მთავლიტმა") ამ კონტექსტში „ცენზორისა" და „ცენზორისფერი რედაქტორის" მოხსენიება აკრძალა.

არგუმენტი ასეთი გახლდათ: კიტა ბუაჩიძის „შავ წიგნს" „მთავლიტი" წინ არასოდეს აღსდგომიაო.

ცხადია, არ აღსდგომია... არ აღსდგომია თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „მთავლიტამდე" ანუ ოფიციალურ ცენზორამდე მას არც მიუღწევია. ცენზორები რომ მხოლოდ „მთავლიტში" მსხდარიყვნენ, მაშინ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. ვითომ ისეთი გულუბრყვილონი გავხდით, ვეღარ ვხვდებით, „ცენზორში" რასაც ვგულისხმობდი? ცენზორი ჩვენში მარტო „მთავლიტი" არ ყოფილა, ცენზორი იყო პარტიული აპარატის მრავალსაფეხურიანი სისტემაც: იქაც იჩეხებოდა, იშიგნებოდა, ტყავდებოდა და იკოდებოდა ცოცხალი სიტყვა.

ეს ფუნქცია კი — სიტყვის, აზრის „გასტერილება" — კაცმა რომ თქვას, „მთავლიტს" ოფიციალურად არცა აქვს და არც ჰქონია; მას მხოლოდ სახელმწიფო-სამხედრო საიდუმლოების გაუმჟღავნებლობა ევალება ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით.

ისე, ამ ყბადაღებულმა „სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვამ" ერთი ეპიზოდი გამახსენა, ისევ „მთავლიტთან" დაკავშირებული: გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილ ნომერში („ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1-2, 1985 წ.) საბეჭდად გავამზადეთ მწერლის გამოუქვეყნებელი თხზულება. იქ ასეთი ფრაზა ეწერა: „იჯდა ბერდია და იმ კაცის გამოვლას ელოდა, რომელიც ოცდახუთი წლით ციმბირში იყო გადასახლებული".

„მთავლიტმა" „ციმბირი" ამოგვაღებინა... წიპზე გადავრჩით, თორემ — ციმბირი რომ გადასახლების ადგილია, ხომ გავამჟღავნებდით ამ სახელმწიფო საიდუმლოს!

დღეს — სხვა დროა...

დღეს პრესასა თუ საჯარო გამოსვლებში ყველას და ყველაფერს აკრიტიკებენ... აკრიტიკებენ კი არა — ლამის თავზე ამხობენ...

განსაკუთრებული ეშხით უტევენ ავტორიტეტებს (მარტო გამოგონილთ კი არა, ჭეშმარიტ ავტორიტეტებსაც... მათ — კიდევ უფრო მეტი დაგემოვნებით).

ვაკრიტიკებთ გორბაჩოვს...

ვაკრიტიკებთ პარტიას...

ვაკრიტიკებთ არმიას...

ეს ყველაფერი, თურმე, „შენაძლება" და საჭიროც ყოფილა... მარტო ჩვენ კი არა — ასე ფიქრობს, ეტყობა, „მთავლიტიც"; სხვანაირად ეს კრიტიკა ძველებურად სამზარეულოსა და ფრთხილი სატელეფონო საუბრის ფარგლებს ვერ გასცდებოდა.

მადლობა ამისათვის „მთავლიტს", უფრორე — „მთავლიტის მთავლიტს".

ოღონდ ესაა — არ „შენაძლება" მხოლოდ „მთავლიტის" გაკრიტიკება... ცხადია, პრესის საშუალებით ანუ „მთავლიტისვე" ლოცვა-კურთხევით.

გაკრიტიკება კი არა — მასზე გადაბრუნებული სიტყვის თქმაც სასხვათაშორისოდ.

მე, ყოველ შემთხვევაში, ასეთი სიტყვა არ მათქმევინეს.

მკითხველს ვთხოვ, სწორად გამიგოს: თვითონაც ვიცი — ის ავტორი არა ვარ, ჩემი ერთი ფრაზის ამოღება ამდენ ვაი-უშველებლად ღირდეს... მე „სხვა რამ მაშინებს, ისა ვთქვათ“:

კერძოდ —

„მთავლიტს“ ჰქონდა ძალაუფლება... ვფიქრობ, „მთავლიტს“ ახლაც აქვს იგი.

ძალაუფლება კი, თუ პოლ ვალერის ვერწმუნებით, მისი ბოროტად გამოყენების გარეშე მთელ თავის მომხიბვლელობას კარგავს.

დიდია საცდური.

ორი კვირის წინათ „მთავლიტმა“, ჩემი აზრით, ამ საცდურს ვერ გაუძლო.

თუ ჩემმა ამ რეპლიკამ დღის სინათლე იხილა, ჩავთვალოთ, რომ „მთავლიტი“ ძალაუფლების საცდურს დღეს უკვე აღარ ემორჩილება.

„ლიტერატურული საქართველო“, 30 ივნისი, 1989 წ.

კარიერისტი

მკითხველო, კარიერაზე, კარიერიზმსა და კარიერისტებზე მინდა გესაუბრო.

იმით დავიწყებ, რომ სიტყვა კარიერა, თავისთავად, ცუდსა და უარსაყოფს არაფერს ნიშნავს და არც „კარიერის გაკეთება“ ანუ გარკვეული თანამდებობრივი წინსვლა გახლავთ რაიმე ცოდვა... პირიქით, ნორმალურ ვითარებაში ამას უნდა ახერხებდეს მხოლოდ მიზანსწრაფული, ენერგიული, აქტიური ხალხი, ამგვარი თვისებები კი ყოველთვის სიქველედ ეთვლებოდა ადამიანს; ეთვლებოდა, ოღონდ ერთი პირობით: თუკი ეს თვისებები საზოგადოების ინტერესების სამსახურში იდგა; კარიერისტს, ჩვეულებრივ, არ აკლია ამგვარი თვისებები, მაგრამ მისი ენერგია და შემართება საკუთარი, პირადი ინტერესებისთვის იხარჯება. რახან კარიერისტი ეჩო-კაცია, იგი მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს კარიერის მკეთებელი მიზანსწრაფული, ენერგიული, აქტიური პიროვნებისაგან, ვინც თავისი საქმიანობით იმსახურებს საზოგადოების აღიარებას და, აქედან გამომდინარე, მას, თავისი შესაძლებლობისა და უნარის კვალობაზე, ამა თუ იმ სფეროში მართვის სადავეებს ანდობენ. ნათქვამია, დიდ ხომალდს დიდი წყალი სჭირდებაო და, როცა ამ დიდი ცურვის უნარი და შინაგანი რწმენა აქვს პიროვნებას, მისი სამსახურებრივი ზეაღსვლა საზოგადოების შეგნებულმა ნაწილმა არ უნდა აღიქ-

ვას კარიერიზმად. ამგვარი კარიერის გაკეთებას, ზემოთქმულ ღირსებათა გარდა, მართვის ნიჭიც სჭირდება, ეს კი შემოქმედებითი, კონსტრუქციული ნიჭია. ამგვარი ნიჭი აუცილებელია კარიერისათვის...

ამგვარი ნიჭი არ სჭირდება კარიერისტობას...

კარიერიზმის არსს განსაზღვრავს ისიც, რომ ზემოჩამოთვლილი, თავისთავად დადებითი შინაარსის, ადამიანური თვისებები აქ ისე უკიდურესად მძაფრდება, ისეთ მახინჯ სახეს იღებს, რომ სიქველიდან ბოროტებაში გადაიზრდება ხოლმე: მიზანსწრაფულობა და ენერგია მანიაკალურ ფანატიზმში გადადის, ობიექტურობა და მომთხოვნელობა — დაუნდობლობასა და სისასტიკეში, სიფრთხილე და წინდახედულება — ეჭვიანობასა და უნდობლობაში, გამბედაობა — ავანტიურიზმში, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა — თვითგანდიდების მანიაში...

კარიერისტი ინდივიდუალისტია და არც შეიძლება ინდივიდუალისტი არ იყოს ამ ცნების ყველაზე უარესი გაგებით. იგი ეჩო-კაცია-მეთქი, მხოლოდ ერთი მიმართულებით, თავისკენ რომ მიითლის... მას არ შეუძლია ჭეშმარიტ თანამოაზრეთა შემოკრება, ნამდვილი გუნდის შეკვრა, მდგრადი, „ხანიერი" კავშირების გაბმა. მისი დამოკიდებულება და კონტაქტები მუდამ კონიუნქტურულია და გათვლილია პირად სარგებლობასა და გამორჩენაზე. მიუხედავად იმისა, რომ კარიერისტი ზოგჯერ მრავალრიცხოვანი ურთიერთობების ქსელს აბამს, მისი ძაფები, ჩვეულებრივ, მტკიცე არ არის. იგი, ფაქტობრივად, უმეგობრო, უთანადგომო კაცია...

კარიერისტი ავადმყოფურად ეჭვიანია და არც შეიძლება ეჭვიანი არ იყოს. ერთხელაც გავიმეორებ — ნუ ავურევთ ერთმანეთში, ერთი მხრივ, სიფრთხილე-წინდახედულებას და, მეორე მხრივ, ეჭვიანობა-უნდობლობას. კარიერისტს, თვითდაკვირვებიდან გამომდინარე, ასე სწამს — ყოველი კარიერა თითქოს მხოლოდ კარიერიზმით მიიღწეოდეს. ამიტომ იგი ეჭვის თვალით უყურებს ნიჭიერ, შემოქმედ, აქტიურ მუშაკს, მასში პოტენციურ მეტოქეს ხედავს და პიროვნულ საფრთხედ აღიქვამს მის წინსვლას.

აქედან გამომდინარე, კარიერისტი მავნებელია და არც შეიძლება მავნებელი არ იყოს: იგი, თვითგანდიდების ინსტინქტგამახვილებული, ყოველი საშუალებით უპირისპირდება პროგრესს და ცდილობს ჩაახშოს ჭეშმარიტი ნიჭიერებით აღბეჭდილი, აქტიური, ბრძოლისუნარიანი ძალები. კარიერისტი არა მარტო „წინ იხედება" — ესე იგი, იგონებს ათას ხრიკს, რათა თავის წინ მდგომს მახე დაუგოს, რეპუტაცია შეულახოს; იგი გვერდზე და უკანაც გაფაციცებით იყურება — რომ იტყვიან, ტყავიდან ძვრება, რათა თავიდან მოიცილოს, მისი გაგებით, თავისი დღევანდელი თუ ხვალინდელი მეტოქე. რაღას აღარ კადრულობს იგი ამ გზაზე — ცილისწამებით დაწყებული, დამთავრებული პირდაპირი პროვოკაციით. კარიერისტს დამუშავებული აქვს მუშაკის, როგორც ამბობენ ხოლმე, „გასაფუჭებელი" მთელი მექანიზმი,

რომლის ამოქმედებით იგი ცდილობს „საქმეები შეაქმნევინოს“ თავის მარიონეტებს სამიზნეში ამოღებულ პიროვნებაზე.

და, აქედან გამომდინარე, კარიერისტი დაუნდობელია და არც შეიძლება, დაუნდობელი არ იყოს. ისევე ხაზგასმით უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან, ერთი მხრივ, სიმკაცრე, მომთხოვნელობა და, მეორე მხრივ, დაუნდობლობა, სისასტიკე. კარიერისტი ისეთი მანიაკალური ვნებით მიელტვის სამსახურებრივ ზეაღსვლას, რომ ამ გზაზე იგი თვალის დაუხამხამებლად გადაჯეგავს ყველას და ყველაფერს: არა მარტო წმიდათანწმიდა ცნებებსა და კატეგორიებს — სამართალს, ობიექტურობას, პატიოსნებას, ერთგულებას — არამედ ადამიანებს, თავის გუშინდელ თანამოსაგრეებს.

კარიერიზმი და კარიერისტი საზოგადოებრივად საშიში სენია, თანაც — გადამდები სენი: კარიერისტი კარიერისტსა შობს, რომელიც, სხვათა შორის, არცთუ იშვიათად, მისივე მესაფლავეც არის. მაგრამ ამით, სამწუხაროდ, კარიერიზმი როგორც მოვლენა კი არ ისპობა — ცალკეული კარიერისტები ცვივიან ავანსცენიდან.

კარიერიზმს — როგორც სოციალურად საშიშ მოვლენას — გარკვეული პირობები წარმოშობს. ეს, სამწუხაროდ, მარტო გუშინდელი ან სადღეისო მოვლენა არ გახლავთ და, თუ ვინმე ფიქრობს, კარიერიზმი ხვალ-ზეგ ამოიძირკვებაო, ის ცდება — ვერც ადამიანის ბუნების სისუსტეებს ითვალისწინებს და ვერც ჩვენი სოციალური გარემოს სპეციფიკას. მაგრამ, მეორე მხრივ, კარიერიზმი ადამიანისა და საზოგადოების არც ფატალურ თანამდევად უნდა მივიჩნიოთ, თორემ ხალხს მასთან ბრძოლის ჟინის ნაცვლად აპათიისა და კარიერიზმთან შეგუების განცდა დაეუფლება... როცა კარიერიზმის სოციალურ ფესვებსა და საფუძველს მოვიძევთ, მაშინ მასთან ბრძოლა უფრო შედეგიანი გახდება.

კარიერიზმის ერთ-ერთი მკვებავი წყაროა თანამდებობის გაფეტიშების საშიში ტენდენცია. თავს ნუ მოვიტყუებთ — რაღა თქმა უნდა, ესა თუ ის თანამდებობა, როგორც პიროვნების საზოგადოებრივი შეფასება-დაფასების გამომხატველი, დიახაც უნდა იყოს სანუკველი მოქალაქისათვის, მაგრამ, დიდი ილიას პერიფრაზას თუ მივმართავთ, კაცი უნდა ამშვენებდეს თანამდებობას და არა თანამდებობა — კაცს. ვაუკაცობაა, მაღალმოქალაქეობრივი შეგნებიდან გამომდინარე, დათანხმდე მნიშვნელოვანი თანამდებობრივი ტვირთის ზიდვას; არანაკლები ვაუკაცობაა, ასეთივე შეგნებით უარი თქვა ამგვარ თანამდებობაზე. ჭეშმარიტი მოქალაქეც ის გახლავთ, ვინც საკუთარი უნარისა და გარკვეული თანამდებობის შესაბამისობას საზოგადოებრივი ინტერესებიდან ამოსვლით განსაზღვრავს: ამგვარი მაღალი მოქალაქეობრივ-სახელმწიფოებრივი შეგნების გამომხატველი გახლდათ ისტორიულად ცნობილი სპარტელი ფედერატეს სიტყვები, რომელსაც სამასთა საბჭოს არჩევნებში ხელი მოეცარა: მიხარია, რომ დაემარცხდი —

ჩემს საყვარელ ქალაქს სამასი ჩემზე უკეთესი მოქალაქე ჰყოლიაო. სწორედ ამგვარი საზოგადოებრივი შეგნება მოაშთობს კარიერიზმს და გააქრობს კარიერისტს.

კარიერისტი რომ ასე კბილებით ჩაჰფრენია თავის სავარძელს, ამას თავისი ახსნა მოეძევება — ამ სავარძლის გარეშე იგი საზოგადოებრივად ნულია, არარაობაა: კარიერისტს ხომ პიროვნული ღირსებები, ნიჭი და ხიბლი არ გააჩნია. ამიტომაც მგონია უზუსტო გამოთქმა — „ნიჭიერი კარიერისტი". ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რომ კარიერის გაკეთება სრულებითაც არ ნიშნავს კარიერისტობას. უამრავ ღირსეულ პიროვნებას დაგისახელებთ, რომლებმაც ბრწყინვალე მეცნიერული, არტისტული, სპორტული, პოლიტიკური კარიერა გაიკეთეს საზოგადოების სამსახურში ჩაყენებული თავიანთი ნიჭისა და ენერგიის წყალობით. კარიერისტს კი, პირიქით, საზოგადოება აქეთ უნდა თავის მსახურად გაიხადოს. ამიტომაც, რუსთველისა არ იყოს, „ნუვინ გარევთ ერთმანერთსა" კარიერის გაკეთების ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს კარიერისტში, მათ, მართლაც რომ, „შუა უზის დიდი მზღვარი". ამიტომაც „ნიჭიერი კარიერისტი" დაახლოებით ისევე ჟღერს, როგორც იუღერებს, მაგალითად, „ნიჭიერი ბანდიტი" ან „ნიჭიერი დამსმენი". კარიერისტი, პირველ ყოვლისა, სწორედ ნიჭიერების მტერია. ჭეშმარიტად ნიჭიერ და შემოქმედ ადამიანს კი საზოგადოება მხოლოდ მისი თანამდებობრივი სტატუსით როდი აფასებს, მეტიც ითქმის — ასეთი კაცი სტატუსის გარეშეც ფასდება. განა ცოტას ვიცნობთ ისეთ ღირსეულ პიროვნებას, ასაკისა თუ სხვა ობიექტური მიზეზების გამო ძალიან მნიშვნელოვანი პოსტი რომ დაუტოვებია და მაინც საყოველთაო პატივისცემით ყოფილა გარემოსილი?

თუმცა აქაც ზოგჯერ ვცოდავთ: ერთხელ, ბატონმა ნიკო მუსხელიშვილმა, ჩვენი აკადემიის პრეზიდენტმა, მას შემდეგ, რაც დატოვა თავისი მაღალი სამეცნიერო პოსტი, იხუმრა — სანამ რეალური პრეზიდენტი გახლდით და საზეიმო სხდომებზე დასასწრებად არ მეცალა, დღეში 10 მოსაწვევი მაინც მომდიოდა. ახლა საპატიო პრეზიდენტი ვარ, სწორედ საზეიმო საღამოებზე დასასწრებადღა ვარგივარ, მაგრამ ერთი მოსაწვევიც აღარ მიმიღიაო.

სიტყვა „კარიერიზმი" მომდინარეობს იტალიური cariera-დან და ნიშნავს „რბენას". კარიერისტიც მირბის, წინ მიიწევს — ხან მიშლიგინებს, ხან მიცოცავს, ხანაც მიფორთხავს — სანუკვარი საავარძლისაკენ. როგორია ამ რბოლის ფინიში? ინფარქტისაგან გაგლეჯილი გული, მოჟამული ხასიათი, უმეგობრობა და სიძულვილი შინ თუ გარეთ, სახიდან ჩამოგლეჯილი ერისკაცის ნიღაბი და ნაჭიტლაყარზე დამღად დაკრული სახელი მედროვე გარენარისა.

1985 წ.

გადადექით!

ძველი წერილის ახალი წინათქმა

მკითხველს, ალბათ, ემახსოვრება, რა ცოდვისკითხვაც დატრიალდა გასული წლის ოქტომბერს მარნეულში — აზერბაიჯანელმა მოძალადემ ქართველი გოგონა გააუპატიურა. იმ დაძაბულ სიტუაციაში ცეცხლზე ნავთი გადაასხა ჩვენი რესპუბლიკის მაშინდელი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ბატონ პავლე გილაშვილის ერთმა განცხადებამ, რითაც იბღალებოდა ქართულის — როგორც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენის — უფლებანი. ეს ამბავი გახმაურდა, ხალხი ადრტვინდა; რუსთაველის საზოგადოებას, ცხადია, თავისი დამოკიდებულება უნდა გამოეცხადებინა ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის ხელყოფის ამ აღმაშფოთებელი ფაქტისადმი. საზოგადოების პრეზიდიუმის რამდენიმე წევრმა გადავწყვიტეთ ეს ოფიციალურად, პრესის საშუალებით გაგვეკეთებინა; დავწერე ქვემოთ წარმოდგენილი „ღია წერილი", იგი წინასწარ გავაცანი პრეზიდიუმის წევრებს, რომელთაც ხელმოწერით დამიდასტურეს თავიანთი თანხმობა წერილში გამოთქმულ მოსაზრებებზე (დარწმუნებული ვარ, პრეზიდიუმის წევრთა დიდი უმეტესობა მოაწერდა ამ „ღია წერილს" ხელს, მაგრამ ვჩქარობდით — გვინდოდა მასალა იმ კვირისავე „ლიტერატურულ საქართველოში" დაბეჭდილიყო, ამიტომაც ყველას ვერ მივაწვდინეთ ხმა). „ლიტერატურული საქართველოს" მთავარმა რედაქტორმა ბატონმა ელიზბარ ჯაველიძემ მართლაც ჩაასმევინა ნომერში „ღია წერილი"... მასალა აიწყო, ხუთშაბათს, გაზეთის გამოსვლის წინა დღეს, სვეტებში კორექტურაც წავიკითხე, გვერდიც შეიკრა და... უშუალოდ ბეჭდვის დაწყების წინ „ღია წერილი" მაინც ამოიღეს გამზადებული ნომრიდან...

თუმცა „ღია წერილს" ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი მაინც გაეცნო; ორიოდ დღის შემდეგ, ნოემბრის დამდეგს, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა და მათ შორის პავლე გილაშვილიც შეხვდა შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლებს. იქ — შეკრებას ხუთასი კაცი მაინც ესწრებოდა — ეს წერილი მე საჯაროდ წავუკითხე ადრესატს... მთელი შეხვედრა საქართველოს ტელევიზიამ ჩაიწერა, ნაწილი ამ ჩანაწერისა გადაიცა კიდეც... ცხადია, ჩემი გამოსვლის გარეშე.

ასეთია ამ მრავალტანჯული წერილის ისტორია. დღეს მარნეულში და, საერთოდ, ქვემო ქართლში, კვლავ დაძაბული ვითარებაა. წერილში აღძრულ საჭირბოროტო საკითხებსაც, ვფიქრობ, ყავლი არ გასვლია; მართალია, წერილის ადრესატს უკვე აღარ უკავია რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი, მაგრამ, ილიასი არ იყოს, „ჩვენ კერძო კაცთან საქმე არა გვაქვს,

ჩვენ საზოგადო ჭირზე ვწერთ"... საზოგადო ჭირი კი, ვაი რომ, გაცილებით უფრო ძნელი მოსახდელ-მოსაცილებელია...

*„ღია წერილს" ანბანის რიგის მიხედვით ხელს აწერენ: **რევაზ ამაშუკელი, აკაკი ბაქრაძე, ვახტანგ ბერიძე, მერაბ ბერძენიშვილი, ანა კალანდაძე, გუჩა კვარაცხელია, თამაზ კვაჭანტირაძე, რამაზ ჩხიკვაძე, სარგის ცაიშვილი, იოსებ ცისკარიშვილი.***

თამაზ კვაჭანტირაძე, 7. 7. 1989.

ღია წერილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **პავლე გილაშვილს**

ბატონო პავლე!

თითქმის თვე გავიდა მას შემდეგ, რაც გაზეთმა „კომუნისტმა" (3.10.88) გვამცნო — რესპუბლიკის ერთ-ერთ ხელმძღვანელთაგანს საკუთარი თავისთვის უფლება მიუცია უმართებულო საჯარო განცხადებით კიდევ უფრო გაელვივებინა ის ვნებათაღელვა, რაც ამას წინათ მარნეულში დატრიალებულმა ტრაგედიამ გამოიწვია. ვინ თქვა და რა თქვა, უფრო კონკრეტულად არაფერი თქმულა არც მაშინ და არც მერე. ხალხმა კი იცის, ხალხმა გაიგო, რაც ითქვა მარნეულის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის მშრომელთა მიტინგზე. ითქვა კი შემდეგი:

„თქვენ, მარნეულის ქართველ მოსახლეობას, თურმე ის განუხებთ, რომ აქაურმა აზერბაიჯანლებმა ქართული არ იციან და არც ცდილობენ მის შესწავლას... თუ ისინი არ სწავლობენ ქართულს, თქვენ ისწავლეთ აზერბაიჯანული, თქვენ ცოტანი ხართ, ისინი კი ბევრნი არიან"...

და ეს განაცხადეთ თქვენ — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ანუ რესპუბლიკის პრეზიდენტმა პავლე გილაშვილმა.

ხალხმა ისიც იცის, რაც მოჰყვა თქვენს ამ განცხადებას — აღშფოთებულმა დარბაზმა საშუალება არ მოგცათ სიტყვა დაგემთავრებინათ, უმეტესობამ თავყრილობა მიატოვა, დარჩენილებს მაგარ-მაგრებიც უკადრებიათ თქვენთვის; მოკლედ, ის სიტუაცია შექმნილა, როცა ამბობენ — ორატორი ტრიბუნიდან ჩამოაგდესო. იმ, ფაქტიურად უმართავ, სიტუაციაში, ცხელ გულზე ბევრი მოუზომავი სიტყვაც ითქმოდა და გასაკვირი სულაც არ გახლავთ, თუ სიტყვიერ შეხლა-შემოხლაში თქვენ ყოველად უგვანი სხვა გამონათქვამიც „მოგენერათ" — ბრბოს (!) დამაშოშმინებელ ხერხებსა და საშუალებებზე. ჩვენ არ გვინდა ამის დაჯერება — ყოველ შემთხვევაში, რაც საჯაროდ და

ოფიციალურად არ თქმულა, მას ბრალად ვერც წამოგიყენებთ, მაგრამ რაც ყველას გასაგონად გიბრძანებიათ, ისიც საკმარისი გახლავთ საიმისოდ, რომ თქვენ, თუ ორიგინალური არა, ზნეობრივი პასუხი მაინც მოგეთხოვოთ.

ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, რასაც ვგულისხმობთ ამ „პასუხისგებაში":

თქვენ, რესპუბლიკის უმაღლესმა კანონმდებელმა, დაარღვიეთ ძირითად კანონთა ქარტია, რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც ქართულ ენას აკანონებს საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენად. ქართული ენის ინტერესების დაცვა ჩვენი ეროვნული ინტერესების დაცვაც არის, ქართული ენის ინტერესების შელახვა კი — ჩვენი ეროვნული ინტერესების შელახვა. დედაენის წინაშე უცოდველი არავინა ვართ და, ნებსითა თუ უნებლიეთ, მის სიწმინდეს ხანდახან ჩვენც ვბღალავთ ხოლმე. ზნეობრივად მაინც ამაზე პასუხისმგებელი ყველანი ვართ და უნდა ვიყოთ, მაგრამ სხვაა, როცა კერძო მოქალაქე სცოდავს დედაენის სიწმინდის დაცვის საქმეში და სულ სხვაა, როცა რესპუბლიკის პრეზიდენტი ლახავს ენის კონსტიტუციურ უფლებას.

ცხადია, რომელიმე სხვა ენის შესწავლისაკენ მოწოდება, თავისთავად, არ ჩაითვლება დედაენის ინტერესების შელახვად. სხვათა შორის, ჩვენ, ქართველებს, ნაკლებად გვჭირდება ამის ქადაგება-შეხსენება. გაიარეთ, ბატონო პავლე, თუნდაც, ავლაბარში და ნახეთ, რამდენმა ქართველმა იცის სომხური... იციან ყოველგვარი მოწოდებისა და დირექტივების გარეშე, იციან იმიტომ, რომ ქართველებს ძველთაგან მოგვდგამს სხვათა ენის, სხვათა რწმენის, სხვათა ეროვნების პატივისცემა... ეს ბუნებრივია... და კიდევ უფრო ბუნებრივია ის, რომ იმავე ავლაბარში თითქმის ყველა სომეხმა იცის გამართული ქართული. თბილისის „ჭრელ" ეზოებში ქართველი ბავშვი რომ ზოგჯერ მეზობლის ენასაც აითვისებს, ეს თქვენი მოწოდების გარეშეც მომხდარა და მოხდება, ბატონო პავლე. ხოლო თუ თქვენ ამის „დანერგვას" დაგვინყებთ, გვერწმუნეთ, საქმეს მხოლოდ წაახდენთ. რადგან მეტნი არიან, თქვენ ალაპარაკდით მათ ენაზეო... თქვე დალოცვილო, მარნეულის რაიონის ქართველობას ურთიერთობა უხდება არა მარტო აზერბაიჯანლებთან, არამედ სომხებთანაც, ბერძნებთანაც — და ზოგ რეგიონში ისინი რიცხობრივად სჭარბობენ კიდეც ქართველ მოსახლეობას. თქვენი ლოგიკით, რახან მეტნი არიან, მათთვის საჭირო და გამოსადეგი არ ყოფილა ქართულის შესწავლა, აი, ორჯონიკიძელმა და თამარისელმა ქართველებმა კი თურმე აზერბაიჯანულიც უნდა ისწავლონ, სომხურიც, ბერძნულიც... ბევრმა იცის კიდეც, ბატონო პავლე, თქვენი მოწოდების გარეშე და თქვენს მოწოდებამდეც იცოდა... უბედურება ეს კი არ არის, უბედურება ის გახლავთ, რომ თქვენ, რესპუბლიკის პრეზიდენტი, ჩვენ, ქართველებს, სხვა, ჩვენში მოსახლე, ერებთან ურთიერთობის პრინციპად გვიხდით მათი ენის ცოდნას.

თანაც ეს მეტნაკლებობის საკითხი ფრიად გაურკვეველია; რას ნიშნავს,

მეტნი არიან და ამიტომ მათი ენა უნდა ვისწავლოთო? მაინც, სად არიან მეტნი — ეზოში? უბანში? სოფელში? რაიონში? ქალაქში? რესპუბლიკაში? რამდენადაც ვიცით, ენა ეზოშიც მოიხმარება და მთელ ქვეყანაშიც. ხოლო ერთაშორის ურთიერთობის ენობრივ პრინციპად ის კი არ უნდა გავიხადოთ, რომელ ეზოში ან თუნდაც რაიონში ვინ რამდენია, არამედ რომელ რესპუბლიკაში ვცხოვრობთ და რომელია ამ რესპუბლიკის ენა. რამდენადაც ვიცით, ჯერჯერობით მაინც, საქართველოს რესპუბლიკაში მეტნი ჩვენ, ქართველები ვართ. მარნეულიც, ისევე როგორც ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, წალკის, ბოლნისის, დმანისისა და გარდაბნის რაიონებიც, ღვთის მადლით, სამისდღეშიო ქართული მიწაა და ამ მიწაზე მოსახლე ქართველს, ისედაც გართულებულ დემოგრაფიულ პირობებში მაცხოვრებელს, მოქალაქეობრივი უღელი არამც და არამც არ უნდა დავუმძიმოთ, როგორც ეს თქვენ მოგიწადინებიათ, ბატონო პავლე!

რაც თქვენ მარნეულში განაცხადეთ, ეს ყოვლად შეუწყნარებელია უთხრას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა საქართველოში ქართველ მოსახლეობას. ასეთი რამ შეეძლო ეთქვა მხოლოდ აზერბაიჯანის პრეზიდენტს ქართველებისათვის, ისიც მაშინ, თუ ისინი აზერბაიჯანს შეეკედლებოდნენ, მათ ისტორიულ მიწა-წყალზე დასახლდებოდნენ და უარს იტყოდნენ შემკედლებელთა ენის შესწავლაზე.

პრეზიდენტად თქვენს მოხსენიებაზე, ბატონო პავლე, ზოგს, შესაძლოა, ირონიულადაც გაეღიმოს — გვახსოვს, როდის ავირჩიეთ და როგორც ავირჩიეთო. ეს, ცხადია, მარტო თქვენ არ გეხებათ — გვეხება თითქმის ყველას, ვინც არჩევით თანამდებობაზე ვმუშაობთ. თქვენც, ალბათ, ამომრჩეველთა 99 მთელმა და 99 მეასედმა პროცენტმა მოგცათ ხმა. დღეს რომ არჩევნები ისე ჩატარდეს, როგორც ამას დემოკრატია და საჯაროობა მოითხოვს, ასე გვგონია, სურათი დიამეტრალურად შეიცვლებოდა. ამას ადასტურებს თუნდაც სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების მძაფრი რეაგირება თქვენს უმართებულო, მეტიც ითქმის — უპასუხისმგებლო განცხადებაზე.

გვერწმუნეთ, ბატონო პავლე, ჩვენთვის ადვილი არ ყოფილა ამ წერილის დაწერა... თქვენს პიროვნულ პატიოსნებასა და მოუსყიდველობაში ჩვენ ეჭვი არ გვეპარება. საზოგადოებაში, სადაც რაშიდოვ-მედუნოვისმაგვარ მაფიოზებს, როგორც ილია ბრძანებდა, „დიდი ავალა“ და გასაქანი აქვთ მიცემული, ესეც, უდავოდ, საქმეა... მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო მოღვაწისათვის პიროვნული მოუსყიდველობა და პატიოსნება აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი თვისება გახლავთ, მით უფრო, თუ ეს პატიოსნება წინ ვერ აღუდგება სხვათა უკანონობასა და უპატიოსნობას — გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ აფხაზეთში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ თქვენი მოღვაწეობისას უკანონოდ გაიცა, უფრო სწორად, დაიყიდა

ზღვისპირა რაიონებში ჩვენი ისტორიული მიწები, და ეს მიწები არც ქართველებს და არც აფხაზებს არ შეუძენიათ...

ნურც იმას დაგვაბრალებთ, რომ რომელიმე ჩვენგანი თქვენ პიროვნულად გისწორებდეთ ანგარიშს... ამ ღია წერილის დასტამბვა უფრო სხვათათვის, ყოველი ჩვენგანისათვის, საგულისხმო აქტად მიგვაჩნია — საჯაროობა ყველას და ყველაფერს უნდა შეეხოს. მისი გამოქვეყნებაც არ გვიჩქარია, ველოდით, რა ნაბიჯს გადადგამდით თქვენი ღირსების გადასარჩენად. ამაო გამოდგა ჩვენი მოლოდინი. მცირე ხნით გაუჩინარდით, ახლა კი კვლავ და კვლავ გაიელვა თქვენმა ენერგიულმა, გაბადრულმა სახემ ტელეეკრანზე... არადა, უცხოელთა დელეგაციების მიღება-გასტუმრებამდე აჯობებდა თქვენს ამომრჩეველებს შეხვედროდით, განგემარტათ და, თუ საჭიროდ ჩათვლიდით, უკანაც წაგელოთ თქვენი ნათქვამი. თქვენ კი ამ ამბავს ნაუყრუეთ — ეტყობა, რიგით, ჩვეულებრივ მოვლენად ჩათვალეთ იგი.

ჩვენ კი თქვენი გამონათქვამი და, საერთოდ, ამ საკითხში თქვენი პოზიცია მისაჩუმათებელ ამბად არ მიგვაჩნია, ამიტომაც საჯაროდ და პირდაპირ გეტყვით სათქმელს: თქვენს ღირსებას, როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტისას, ველარაფერი გადაარჩენს, მაგრამ რიგითი მოქალაქის ღირსება კი შეიძლება შეგინარჩუნოთ იმან, თუ თქვენივე ნებით იტყვით უარს თქვენთვის გაუსაძლის ტვირთზე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე.

„ლიტერატურული საქართველო", 14.7.1989

მერაბ კოსტავა — კაცი-იდეა

26 მაისს დაიბადა მერაბ კოსტავა.

26 მაისს ხელახლა იშვა დამოუკიდებელი საქართველო...

არის, უდავოდ არის იდუმალი კავშირი დრო-სივრცეში თითქოსდა შემთხვევით გადაკვეთილ ამ ორ მოვლენას შორის.

მერაბ კოსტავა უკვე აღარ არის საქართველოსთვის ოდენ კაცი ხორციელი — ვისამე შვილი, მამა, მეუღლე ან მეგობარი.

მერაბ კოსტავა არის კაცი-იდეა.

ამ იდეას თავისუფლება ჰქვია.

თავისუფლების იდეის რევიზია კი მკრეხელობაა.

მაქვს მიზეზი ამის თქმისა.

გაგახსენებთ: მერაბ კოსტავას მთაწმინდაზე ასვენება მაშინდელი ჩვენი

საზოგადოების ერთი ნაწილისათვის, მეტი რომ არა ვთქვათ, მოულოდნელი იყო. მაშინ ტელევიზიით განვაცხადე და ახლაც გავიმეორებ ურწმუნო თომათა გასაგონად — ეს პატივი მერაბს მიეგო როგორც დიდ მოსაქმეს, როგორც მამულის იდეით შეპყრობილს, როგორც ქართული დისიდენტური მოძრაობის გადამრჩენელს, როგორც საქართველოს თავისუფლებისათვის თავგადადებულ კაცს-ზვარაკს.

ისიც ვთქვი: ჩვენს ცნობიერებაში მერაბ კოსტავა უკვე აღარ აღიქმება კერძო კაცად — იგი გარკვეულ იდეად იქცა. მთაწმინდაზე მისი ამაღლებით ქართველმა ერმა პატივი მიაგო თავისუფლების იდეას, რომლის ყველაზე სრულყოფილ განსხეულებად მერაბ კოსტავა წარმოჩნდა-მეთქი.

განმეორება ყოველივე ამისა დღეს იმიტომაც მგონია საჭირო, რომ აქაიქ დიდად უკეთური სურვილი აბოგინდა: წინა ხელისუფლების ყველა ცოდვა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და თავისუფლების იდეას აპკიდონ.

ხელისუფლება, ჩვეულებრივ, ამა თუ იმ იდეას ლეღვის ფოთლად აიფარებს ხოლმე წინ.

ასე მოხდა ჩვენშიც.

ცოდოა, ხელისუფლების ცოდვა იდეას დაპბრალდეს.

ან — ამ იდეის განსხეულებას!

მერაბი — კაცი-იდეა — ემსახურება საქართველოს და არა რომელიმე ხელისუფლებას.

„დრონი", N 20 (85), 23 მაისი, 1992 წ.

დევნილობიდან — მდევრობამდე

წერილი ზვიად გამსახურდიას, 6 ივნისი 1990 წ.

ზვიად!

„ძმაო თამაზ"-ო, მწერდი შარშან ზაფხულში ერთ მცირე ბარათში. ვწუხვარ, რომ ასეთი თავაზიანი მიმართვითვე ვერ გიპასუხებ. ვერ გიპასუხებ იმიტომ, რომ, შენგან განსხვავებით, „ძმაოს" და „ჩემოს" მხოლოდ ფორმალურ კლიშედ, მარტო სიტყვის მასალად ვერ ვიხმარ.

ამთავითვე გეტყვი: რა სივერაგეც უნდა იკისრო პირადად ჩემ მიმართ, ვერც პიროვნულ ღირსებებს და ვერც საზოგადოებრივ ღვაწლს ვერ დაგიკარგავ. ინფორმატორთა (გინა — მსტოვართა) ფართო ქსელი გემსახურება და,

თუ თავიანთ მოვალეობას პატიოსნად ასრულებენ, მაშინ გეცოდინება: საჯარო შეხვედრებზე, ფართო აუდიტორიის წინაშე მე შენი ღირსებები და ღვაწლი ყოველთვის და სრულად (იქნებ — ზედმეტად სრულადაც!) წარმომიჩენია. და — არა მარტო შენი. მე იმ ელემენტარულ ზნეობრივ კანონს მივსდევ, რომ ზურგსუკან, დაუსწრებლად კაცზე საზოგადო თავყრილობისას აუგი არ უნდა თქვა, მით უფრო — ცილი არ უნდა დასწამო და მსჯავრი არ გამოუტანო; ვუცხადებ კიდეც აუდიტორიას — არდამსწრეზე ან კარგი, ან არაფერი. ამ პრინციპს, ჩვეულებრივ, ან პატარა კაცები არღვევენ, ან კეთილისა და ბოროტის მიჯნას გაბიჯებული ზეკაცები... ან ის, ვისაც ასეთად წარმოუდგენია თავი.

შენც, ეტყობა, კეთილისა და ბოროტის მიღმა დაიგულე თავი და იმასაც კი კისრულობ, რაც სტალინ-ბერიას არ უკისრიათ: დაუსწრებლად ასამართლებ ხალხს. ზურგს უკან ჩემი განქიქება ხალხით გაჭედილ თეატრში რა მოსატანია, როცა იქვე, ახმეტელის თეატრში, რეზო და თამარ ჩხეიძეები მერაბ კოსტავას მკვლელობის ორგანიზატორებად დასახე; ჭაბუა ამირეჯიბი ქართველი ერის მტრად გამოაცხადე — მან ზურგში მახვილი ჩასცაო საქართველოს... აკაკი ბაქრაძე კი, თურმე, ის კაცი ყოფილა, ვინც ცეკას შანტაჟს ემორჩილება... ჯაბა იოსელიანის მაფიას თურმე აფხაზეთში გადაუწვავს კონსტანტინე გამსახურდიას აგარაკი... ამავე მაფიასთან ყოფილან თურმე დაკავშირებული ფორუმის კოლაბორაციონისტები ჭანტურიასა და წერეთლის მეთაურობით. „მკვლელი", „მოღალატე", „მტერი", „კოლაბორაციონისტი", „მაფიოზი", „აგენტი" — ზონაში ნამყოფ კაცს* არ გესწავლება, ეს ბრალდებები რასაც ნიშნავს. რა დამსახურებისათვის, როდიდან და ვინ მოგანიჭა უზენაესი მსაჯულის როლი? ბარემლა „სროკებიც" ჩამოგერიგებინა, თუმცა რის „სროკი", უმეტესობა ხომ „ვიშკას" — უმაღლეს ზომას, სიკვდილს — დაიმსახურებდა. შენი ხელიდან ეს ხალხი მაინც სასიკვდილოდაა განწირული; შენგან წასისიანებულმა ბრბომ კი შეიძლება მართლაც დაიდოს ცოდო და უბრალოთა სისხლი მარტო ქვის მსროლელს კი არ დაედება — წამქეზებელსაც.

შენ რომ მდივანბეგ-მოსამართლეობა დაიწყე, შენმა თანმხლებმა პოეტმა** რაიკომის მდივნად თუ ცეკას განყოფილების გამგედ წარმოიდგინა თავი — რა გეგმები გაქვსო, რომ ჰკითხეს, უახლოეს ხანებში თეატრალური ინსტიტუტის რექტორი უნდა მოვხსნაო... და ტაშიც დაიმსახურა. ნუთუ არავის შეგრცხვათ — სცენაზე ხომ ღირსეული პიროვნებებიც ისხდნენ; ალბათ — დარბაზშიც. ნუთუ ეროვნული მოძრაობა ისევ პირადი ინტერესებისა და შურისძიების ბინძურ კალაპოტში გინდათ გადააგდოთ? ღმერთმა ხომ იცის, ამას პირველად არ გეუბნები; იქნებ გაიხსენო, მერაბი რომ გამოვიდა, კოტე გაბაშვილის მანქანაში გითხარით ორივეს: „ოქროს საწმისმა"

---

* უნებლიე შეცდომაა, ზ.გამსახურდია არასოდეს მჯდარა „ზონაში" ანუ მისჯილთა ბანაკში, თუმცა წინასწარი პატიმრობისას მას ციხეში ყოფნა კი მოუწია (რედ. შენიშვნა).

** გურამ პეტრიაშვილი (რედ.).

და, საერთოდ, თქვენმა გამოცემებმა დიდი საქმე გააკეთა, მაგრამ ყველაფერი წახდა, როცა მის ფურცლებზე პირად ანგარიშსწორებას მიჰყავითმეთქი ხელი; ინტელიგენცია სხვანაირად დაგიდგებოდათ გვერდით, იმდენი მოღვაწე კაცი დაუსაბუთებლად რომ არ გაგელანძღათ და სუკ-ის აგენტებად არ გამოგეცხადებინათ, ამით ის ტოტი მოვჭერით, რომელსაც უნდა დაევმაგრებინეთ-მეთქი. მერაბი დამთანხმდა, შენც — თითქოს... მაგრამ ახლაც რომ ამასვე განაგრძობ?

მე ვიცი ყოველივე ამის მიზეზი — ეს მხოლოდ შენი „ეჭვიანობის სინდრომის" გამოვლენა როდია; ზნეობრივ ავტორიტეტთა დამხობა არის საკმაოდ ცნობილი, მაგრამ უზნეო პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკა, უზნეოსი, რამდენადაც გლობალური ეჭვიანობისა და უნდობლობის თესვა მარტო და იმდენად სისტემას კი არ არყევს — საზოგადოების ზნეობრივ ატმოსფეროს ამღვრევს და რყვნის. ასეთ ატმოსფეროში ეჭვის ბაცილა ბუმერანგივით უბრუნდება ამ სენის გამავრცელებელ წყაროს. იმდენი და იმდენზე იძახე, სუკ-ის აგენტიაო (სხვათა შორის, ღირსეულ ხალხზეც, რითაც მართლაც რომ დიდი რეკლამა და სამსახური გაუწიე სწორედაც სუკ-ს), რომ საზოგადოების ერთი ნაწილი სწორედ შენს აგენტობაში და პროვოკატორობაში დაეჭვე; ზოგი — სულაც დაარწმუნე. მარტო სუკ-ს ნუ დააბრალებ ამ ხმებს, სუკ-ზე მეტად ეს ჭორი (მე ასე მწამს, ასე მინდა ვიწამო, რომ ეს ჭორია) შენ თვითონ დაუყარე შენი ქმედებით შენსავე თავს. ერთი კია — არსებობს „ნაფიცი" აგენტი, მაგრამ არიან უნებლიე აგენტებიც და, ვაი რომ, ამ როლში ჩაიყენე თავი. გაფრთხილდი, ჩვენზეც და შენზეც უფრო ჭკვიანი და ვერაგი ძალა, შენს პატივმოყვარეობაზე მოთამაშე, შენი, მერაბისა და სხვა ბიჭებისაგან აგორებული ეროვნული მოძრაობის ახალი ტალღის დამშლელად შენვე გიყენებს. გურამიშვილისა არ იყოს, რა საქმეს მისდექ, არ დაგრჩა ის საქმე წაუხდომარე; ეროვნული მოძრაობის ერთიანობას ვგულისხმობ: ილია ჭავჭავაძის საზოგადოება დაშალე, ილია მართლის საზოგადოება დაშალე, ეროვნული ფორუმი დაშალე, ახლა ეროვნული კონგრესის დაშლას ლამობ. რაღას ინატრებდა სუკ-ი ამაზე მეტს? ნუ გინდა სუკ-ისაგან თავდასაცავად პირადი დაცვა, სუკ-ი, ეტყობა, იქით დაგიყენებს დაცვას, თუ სიტყვით აგინებ, საქმით კი მის საქნელსა იქმ.

უაზრობაა, ალბათ, ჩემი მხრივ, დაუნდობლობა გისაყვედურო; ზეკაცისათვის, რადაც შენ (ასე ჩანს!) საკუთარი თავი დაგისახავს, დაუნდობლობა ცოდვა კი არა, მიუცილებელი ატრიბუტია. და მაინც გეკითხები: შეიძლება განა ჭეშმარიტი ქრისტიანი ესოდენ დაუნდობელი და განუკითხავი იყოს, თუნდაც, თამარ ჩხეიძის მიმართ? ხშირად მოიხმობ მერაბის წმინდა სახელს, მაგრამ რას ეტყვი მის სულს, როცა „მივალთ მას საუკუნოსა"? შენი უახლოესი მეგობარი, დისიდენტი თამარ ჩხეიძე, შენთან ერთად ავარიაში მოხვედრილი და სიკვდილს ბეწვზე გადარჩენილი, სუკ-ს დავაჭერინეო? ყო-

ველ შემთხვევაში, ვცდილობდი დამეჭერინებინაო? როდიდან გახდი დამჭერი? შენი ძალა მაშინ იყო, როცა დევნილი იყავი, ყოველ შემთხვევაში, დევნილად გამოიყურებოდი; როცა მცველები დაიყენე და მდევარი გახდი, სნორედ მაშინ დაკარგე ძალა... ხვალ კიდევ უფრო დაკარგავ, თუ თვითმარქვია პროკურორისა და ზნეობრივი ჯალათის ხელობაზე ხელს არ აიღებ. საზოგადოებამ ხომ იცის, რატომაც სდევნი თამარ ჩხეიძეს; ნუთუ არ გაცბუნებს — გინდა დააჭერინო ის, ვინც მანქანას დაუწვა, შენ რომ არ დაეჭირეთ. ეტყობა, რაღაც ისეთი ცოდვა იცის შენი თამარმა, რომ გეშინია მისი არსებობა-მოღვაწეობისა, მას კი, ასე ჩანს, შენი არ ეშინია.

ბარემ აქვე გეტყვი, რაც, კაცმა რომ თქვას, ისედაც უნდა იცოდე ჩვენი მრავალნლიანი ნაცნობობის შედეგად: არც მე ვარ ტერორის შიშით შენს ჭკუაზე დამროკებელი კაცი. შენთან ურთიერთობაში დღეისამასიქით ძველი აღთქმისეული სამართლებრივი პრინციპით ვიხელმძღვანელებ: თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ. ოღონდ დღეს კი მაინც ახალი აღთქმისეულ პოზიციაზე დავდგები: ცხადია, მე მქონდა ზნეობრივი უფლება შენი უხამსი საჯარო ცილისწამება ასევე საჯაროდ გამებათილებინა. ამჯერად ამას არა ვიქმ. ამიტომ გწერ პირად წერილს და ვატან ყოვლად სანდო კაცს. ნაიკითხე, განსაჯე და გადაწყვიტე ჩვენი მომავალი ურთიერთობის სახე. წერილის დახევადაწვას კი ნუ იჩქარებ — ვოლანდისა არ იყოს, „ხელნაწერები არ იწვის".

თამაზ კვაჭანტირაძე

P.S. ...სამადლო საქმეს ვერ დაგივიწყებ — შენგან მოწოდებულმა საარქივო მასალამ დაამშვენა შენი დიდი მამისადმი მიძღვნილი საგანგებო ნომერი ჩვენი ჟურნალისა. მეუხერხულება ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ხომ შენი თვალით ნახე, რა სიყვარულითა და რუდუნებით ვიმუშავეთ მთელმა რედაქციამ... მაგრამ არა, შენ ეს ვერ დაინახე, არ დაინახე — შენ იქ დაინახე მხოლოდ ერთი კორექტურული შეცდომა („ბახის პა[ნ]სიონები") და ვერ დაინახე, რომ იმ დროს, როცა შენ გარიყული იყავი საზოგადოებისაგან ყბადაღებული მონანიების გამო, ხოლო რედაქციათა კარი დღევანდელივით ფართოდ არ გეღებოდა, ჟურნალში დავბეჭდეთ შენდამი მოწერილი წერილი და ფოტო, სადაც შენც იყავი გამოსახული. ისიც დაგავიწყდა, უფრო სწორედ დაივიწყე, რომ მე შენ, ძველ ამხანაგს, ანგარიში გაგინიე და იმჟამად საჭიროდ არ ჩავთვალე ქალბატონ ნათელა გამსახურდიას მოწოდებული საარქივო მასალის დაბეჭდვა — სამომავლოდ გადავდე. სხვათა შორის, არც შენს მონანიებებს და არც „საწმისში" გამოქვეყნებულ ზოგიერთ ბეზღობასა და „ტექნიკურ ჩაშვებას" ისე არ გავუღიზიანებივარ (რა ვუყოთ, თუ ყველა ვერ ვიქნებით, არც შეიძლება ვიყოთ, მერაბ კოსტავები; მე რა უფლება მაქვს შენი მონანიების განსჯისა, როცა მსგავს ვითარებაში არ მოვხვედრილვარ), როგორც შენს მაშინდელ მტკიცებას — ნათელა არ არის კონსტანტინეს შვილიო. კი მაგრამ, შენზე მეტად რომ ჰგავს მამა-

შენს-მეთქი, რომ გკითხე, წარბშეუხრელად მიპასუხე: ცნობილი ამბავია, ერთად ცხოვრებით ადამიანები ერთმანეთს ემსგავსებიანო. მაშინ მივხვდი, რომ გაცილებით რთულად იყო საქმე, ვიდრე მეგონა.

იმ ჟურნალით ჩვენ შეძლებისდაგვარად მოვიხადეთ ვალი დიდი კონსტანტინეს წინაშე. გავუფრთხილდით მის სახელს — ამიტომაც ამოვიღე სიმონ ჯანაშიასადმი მინერილი მეგობრული წერილიდან იდიოზური პირის გვარი, რომლითაც ბატონი კონსტანტინე იწყებდა თავისი სულიერი მოძღვრებისა და გზის გამკაფავთა ჩამოთვლას. სხვათა შორის, შენ მიერ „ცეკას აგენტად" ჩემს გამოცხადებას ალბათ ისიც უძევს საფუძვლად, რომ მე ახლო ვიცნობ ზოგიერთ პირს რესპუბლიკის ძველსა თუ ახალ ხელმძღვანელთაგან, თუმცა — არა ისე ახლოს, როგორც იცნობ შენ. მაგრამ შენ ხომ საკუთარ თავს განსაკუთრებული არშინით ზომავ. შენ თურმე შეგიძლია ცეკას მდივნებთან და მთავრობის წევრებთან ურთიერთობა, სხვებისთვის ეს დანაშაული ყოფილა. მათთან კი არა, ნაფიც „კაგებეშნიკებთან" ურთიერთობ (გაიხსენე, რაც გითხრა ჯუმბერ კოპალიანმა „გასამართლებაზე"), მერაბის დედას კი სუკ-ის აგენტებისადმი სიმპათიებზე შეგიძლია გადაუკრა სიტყვა. ნუ გგონია, რომ რამე იმალებოდეს. მე მერაბთან ვახლობლობდი და შენი ქვეგამხედველობაც ჩემ მიმართ, ჩემი დისკრედიტაციის მცდელობა მის თვალში განა არ ვიცოდი? ისიც მითხრეს, ნოემბერში მოშიმშილეთათვის კერძო საუბარში რომ გითქვამს, აკაკი ბაქრაძე, თამაზ კვაჭანტირაძე და თემო გოცაძე პროვოკატორები არიანო. მაინც არ ვიჯერებდი, თავს ვიტყუებდი, ახლა კი ჩემი ყურით მოვისმინე ფირზე ჩაწერილი შენი „ვერდიქტი" ახმეტელის თეატრში.

რას იზამ, ეტყობა, ზოგს მადლიერებისა და სიკეთის აღქმა-დამახსოვრების ორგანო ატროფირებული აქვს...

თ.კ.

კრებულიდან — „სიმართლე ზვიად გამსახურდიას შესახებ", თბ. 1998

ვაგლახ, უკვდავი

პიროვნება ხასიათია. ეს ხასიათი იკვეთება, ერთი მხრივ, მისი ქმედების, მეორე მხრივ — აზროვნება-მეტყველების საფუძველზე. მაგრამ კაცი რასა იქმ და რას ამბობ — ეს საკითხის ერთი მხარეა; სხვანი როგორ აღიქვამენ შენს ქცევა-მეტყველებას — ეს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი. წინააღმდეგობრივი შეიძლება აღმოჩნდეს არა მარტო შენი ნათქვამი შენსავე ნაქნართან,

არამედ მოვლენათა სხვისეული აღქმა-შეფასება — შენეულთან. ამგვარი წინააღმდეგობა ზოგჯერ ტრაგიკულია, ზოგჯერ — კომიკური, ხშირად კი — ტრაგიკომიკური: პიროვნებას გააჩნია. ერთი ამგვარი ტრაგიკომიკური პიროვნების ხასიათი მინდა გამოვკვეთო სწორედ ამ ხერხის მოხმობით — რას ამბობს თვითონ და რას ამბობენ მასზე; როგორ იქცევა და როგორ ექცევიან. წინდაწინვე მოგახსენებთ, მისი ყოველი გამონათქვამი, რომ იტყვიან, დოკუმენტური სიზუსტით გახლავთ დაფიქსირებული; ასევე — სხვათა გამონათქვამები მის შესახებ. ამიტომაც ისინი ყველგან ბრჭყალებში ჩავსვი; უფრო მეტიც, რათა მკითხველმა შეამოწმოს ციტირების სიზუსტე, ყოველი გამონათქვამის შემდეგ ფრჩხილებში ვუთითებ მოხმობილი წყაროს შესაბამის გვერდს.

დავიწყოთ იმით, რომ ეს პიროვნება თაღლითია; სიცრუესა და სხვებისთვის თვალში ნაცრის შეყრაზე ამკვიდრებს თავის მეობას: ამიტომაც შეუთხზავს თავისი წარსული და მიუწერია არარსებული დამსახურებანი; თავი იდეის ზვარაკად, ხალხისათვის წამებულად გაუსაღებია: **„მე ხალხისთვის ვწვალობ ამ ქვეყანაზე“** (28)... **„ქვეყანას რომ ეძინა, მე მაშინ ვმუშაობდი“** (49)... **„ხომ კარგად იცით, რაც მე ხალხისთვის წვალება გადამხდა“** (50).

სხვათა შორის, იგი ახერხებს ხალხიც დააჯეროს ამ თავის მოწამეობაში; ცხადია, ამაში სხვებიც, მისი სახელის გაბუქებაზე ხელის მომთბობნიც, ეხმარებიან; მოუსმინეთ, როგორ წარადგენენ მას ერთ-ერთ საჯარო გამოსვლისას: **„დღეს ჩვენ მოვისმენთ უუნამებულესი კაცის მხურვალე სიტყვას“** (55).

დროისა და ვითარების გამო აღზევებულს, ეს მედროვე მლიქნელები დაფნის ნაირ-ნაირ გვირგვინებს უწნავენ. ერთი გმირს ეძახის: **„თქვენისთანა გმირს საკადრისად ისტორია დააფასებს“** (69); მეორე — წმინდანს: **„ო, თქვენ ვერ ხედავთ თქვენს სიმაღლეს, თქვენ არ იცით, სად მიგიყვანათ თქვენმა წმინდა ცხოვრებამ, სად, სად...“** (43); მესამემ ლამის უფლად შერაცხა, თავისი თავი კი წინასწარმეტყველად წარმოიდგინა: **„მე წინასწარმეტყველივით ვხედავ თქვენს სახეში უდრეკ ძალას... თქვენ იქნებით სახელმწიფოს უფალი“** (73). სხვათა შორის, მაამებლები თავიანთ თავსაც არ ივიწყებენ და მისი დიდების ნამცვრევებს ხარბად ბოჭავენ: **„ჩვენს სურათებს ოთახში ჩამოჰკიდებენ იმის ნიშნად, რომ ჩვენ მათი** (ე.ი. ხალხის) **მინიერი ცხოვრება გავაზეციურეთ“** (74).

ხალხისთვის ამ „უუნამებულეს“ კაცს კი თავისი შეხედულებები აქვს ხალხზე, რასაც — ცხადია, არა საჯაროდ — უფრო ინტიმურ წრეში მოურიდებლად აცხადებს: **„ხალხი თავის მტერია, თუ არ მოწყესე, ხრამში გადაიჩეხება. თუ შნო გაქვს, ჯოხს თვითონ მოგცემს, ოღონდ ძალიან ჭკვიანად უნდა დაარტყა“** (87); **„თქვენ ის უნდა ნახოთ, ხალხი რომ ხელის გულზე დამიჯენს“** (49).

მარტო ხელის გულზე კი არა, სიტყვასიტყვით ასეა დაწერილი: იგი **„ხალხის მხრებზე ამაყად ზის“** (57)... მისი, **„მხრებზე მჯდარის, გამოჩენა ინ-ვევს აღტაცებას... მოისმის ტაში“** (57).

არადა, მას არცთუ სანაქებო (მით უფრო — სატრაბახო) წარსული აქვს. საჩოთირო სიტუაციაშიც ჩაუყენებია თავი, როცა სხვა კაცად მიიჩნიეს და სხვა კაცი აღმოჩნდა. გადამწყვეტ მომენტში, შემდრკალმა განაცხადა კიდეც: **„მე არ ვარ ის კაცი, გაიგონეთ“** (42). იღბალი არ გინდა! ესეც გმირობად ჩაუთვალეს, მიგიხვდითო, **„ამ ხერხით გინდოდათ სასჯელი აგეცდინათ, რათა მეორედ შეგეწირათ თავი ქვეყნისთვის“** (43).

როცა კაცს საჯაყი და სასირცხო საქმეც კი სიქველეში ეთვლება, მას აქვს საფუძველი განაცხადოს: **„ეს ვერ გამიგია, ზოგიერთი კაცი სირცხვილით მიწაში რომ ჩაძვრება... სირცხვილს რომ ჭამ კაცი, თუ ვარგხარ, მაშინ თავი უფრო მაღლა უნდა ასწიო“** (27).

და — ასწია კიდეც, თანაც როგორ! და ნუღა გავიკვირვებთ, თუ იგი ხალხს, ზურგაქავებულ, სახრემონატრებულ ნახირს რომ დამსგავსებია, მის საკადრისად ექცევა; მარტო გულში კი არა, სხვათა გასაგონადაც აცხადებს: **„სანამ მთელ ხალხს არ დავაჩოქებ, მანამდე ჩემი მოსვენება არ იქნება“** (70); **„რომ ამოვდებ ყველას ლაგამს პირში და დავაჩოქებ, მაშინ მიცნობენ... ამ მუხლებზე მაკოცებენ“** (68).

ზოგადად ხალხზე რომ ამას ამბობს, ადვილი წარმოსადგენია, რასაც იტყვის თავის მოწინააღმდეგეებზე, რომელთაც **„პატრიოტიზმი ხომ არასოდეს არ ჰქონიათ, მხოლოდ შური ალაპარაკებთ“** (35). ისინი, **„მტრები, ჩემი გამარჯვების შემდეგაც არ ცხრებიან“** (35). ამიტომაცო, **„ისეთ საქმეს ვუზამ დღეს იმათ, რომ სოროში ჩაძვრებიან“** (72)...

ჩააძვრენს კიდეც, იმიტომ, რომ კაცის ცოდვას ადვილად იდებს კისრად. შეწინააღმდეგებისაგან წონასწორობადაკარგულს, შეუძლია თავის ქვეშევრდომებს უბრძანოს: **„დაურთეთ თოფის კონდახები, ისე მოსცხეთ, რომ დაწყნარდნენ“** (86); თუმცა კონდახი და ცემა-ტყეპა, თუნდაც სატუსაღოების ხალხით გამოჯეჯგვა რა სათქმელია, როცა ურჩთა დასაშოშმინებლად სხვა წამალიც მოეძებება: **„ზარბაზნის ტყვიები ხომ ბლომად გაქვთ? იმ ზარბაზნებს ყელებს სულ არ გავუცივებ... სულ დღე და ღამე ვაგრიალებ“** (70)... ჩვენს გმირს ნამეტნავად ეშინია ერთად თავშეყრილი ხალხისა, დაპატიმრებულის გათავისუფლებას რომ მოითხოვს, ამიტომაც იმუქრება: **„თუ ახლავე არ დაფანტულან, ზარბაზნებით სულ ყველას გავსრეს!“** (74).

და თავის დანაქადებს თუ ზოგჯერ ვერ ასრულებს, ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ საამისოდ ძალები არ ჰყოფნის; თანაც, ამდენი ბაქიბუქის მიუხედავად, იგი შინაგანად მხდალია და პანიკიორი. განსაცდელის დროს გარეთაც ვერ გამოდის და თავის ჩრდილსაც უფრთხის: **„გარეთ ტყვია რომ მომხვდეს? მოდიან, მოდიან... და ახლა რომ არ მომკლან, სწორედ ძალ-**

ლის იღბალია საჭირო“ (22). ეს არც გახლავთ გასაკვირი, ვინაიდან იგი დესპოტია და, როგორც ყველა დესპოტი — მშიშარა... და ცხადია, ავადმყოფურად ეჭვიანიც: ეშინია მტრის, ეჭვით უყურებს მოყვარესაც. თავის ერთგულ ჯარზედაც განაცხადა: **„ჩემი პატივისცემა იქ ერთ დღეში დაკარგეს“** (67), რაზედაც მართებულად უპასუხეს: **„არ აგეტეხა აყალ-მაყალი იმ ჩვენს ჯარში, ის ჯობდა“** (67).

თავკაცის ეჭვიანობა ქვეშევრდომებსაც რყვნის, დასმენასა და ცილისწამებას აჩვევს: **„მინაში რაა, ის ვიცი“**, — რიხიანად კი აცხადებს, მაგრამ მაინც მოითხოვს მათგან ყურმახვილობას და ენატანიობას: **„ამას კი გავიგებ, ვის რა უთქვამს, ფაჩუნიც არ გამომეპარება, მაგრამ მაინც კარგად გამაგებინეთ, ვინ არის ჩემი მტერი?“** (52).

განდიდების მანიით შეპყრობილს, სურს, რომ სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგან. თავის სანდო ქვეშევრდომებს, ნაყაჩაღარ და ნაჯიბგირალ ხალხს, ავალებს: **„ნადით და რაზმელებს უთხარით, მოედანზე ხალხს ათქმევინონ, რომ იმ დიდი ლოდისგან ჩემთვის ძეგლის გამოთლა უნდათ“** (89). მოედანზე შეკრებილთაც მეტი რა უნდათ, ოღონდაც მან ან მისმა დამქაშებმა რაიმე ჩასძახონ და ისინიც ცარიელი ქვევრებივით იმასვე ამოაგუგუნებენ.

მარმარილოს ლოდს კი არა, თვითონ მას დაიდგამენ კერპად და მსხვერპლსაც შესწირავენ. ამბობს კიდეც: **„ცოცხალ ძეგლად დამდგამენ“** (95). ამისთანებზე ახლობლებმა მორიდებულად, მაგრამ მაინც შეპბედეს: **„ღმერთობა მოინდომე და“**... (68).

ხალხისაგან იგი მუდამ მხარში ამოდგომას მოითხოვს; ბევრ სიკეთესაც ჰპირდება, ოღონდ მის გრანდიოზულ გეგმებს განსახორციელებლად, თურმე, მოთმინება და ლოდინი სჭირდება; უნდა ვაცალოთ! ასეც ბრძანებს სიტყვასიტყვით: **„ხელი უნდა შემინყოთ და მაცალოთ!“** (70).

სამწუხაროდ (თუ — საბედნიეროდ!), არ აცლიან; ხალხს ეჭვი აღეძრა ბევრ რამეზე. აი, რას ეჩურჩულება ერთმანეთს მის ზურგსუკან მისგან დაშინებული უბრალო ხალხი პროვინციაში: მისგან ხსნას ველოდით, კი ჩამობრძანებულა, **„მარა რად გინდა, ვინც სანყალი ნახა, ზურგზე ბოლი აადინა, ყაჩაღებს კი თავზე ხელი გადაუსვა“** (84)... რატომაც გადაუსვამდა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს; უფრო მეტიც, ისინი **„ყველა თავის რაზმში მიიღო... ასე ამბობენ, ყაჩაღების თვითონ შეეშინდაო“** (85).

ყაჩაღებს ანუ აბრაგებს რა იდეოლოგიის ხალხიც იყენებს პოლიტიკურ ბრძოლაში, ყველასათვის ცნობილი გახლავთ; ერთხელ მასაც ნამოსცდა (სიტყვასიტყვითაა დაფიქსირებული): **„მე სოციალისტები უფრო მიყვარს“** (28); ყაჩაღებს იყენებს არა მარტო პოლიტიკურ ბრძოლაში — პირადი გამორჩენისა და გამდიდრებისთვისაც. ერთი ეპიზოდი გავიხსენოთ: მისთვის მავანსა და მავანს რაღაც-რაღაცები „უჩუქებიათ“ — ცხადია, ხალხის

სამსახურისთვის. ამის დაბინავებაზეც ზრუნავს; ეკითხებიან, სად წავიღოთ ეს ქონებაო: **„თავ-აბრაგებს მიაბარეთ, მხოლოდ ნვრილმა აბრაგებმა არ დაინახონ“** (86). მაგრამ არც ეს თავ-აბრაგები ანუ მთავარი ბანდიტები აღმოჩნდნენ მთლად სანდონი, რადგანაც მისთვის ნაფეშქაშარი უძვირფასესი ქურქი თავისად დაუნარჩუნებიათ; რომ მოიკითხა, **„იმ ქურქს თავ-აბრაგები ერთმანეთში იყოფენო“** — ასე უპასუხეს. **„რაო, ჩემს ქონებას იყოფენ? უთხარი, თავი არ დამაჭერინონ“** (87).

ოო, დაჭერა-დაპატიმრებებზე ხომ დიდად სულწასული ბრძანდება! ტაშის დამკვრელი უამრავი ჰყავს, ნაღდად ერთგული და გულშემატკივარი — თითქმის არავინ: მადლიერების გრძნობა თითქოსდა სკალპელით ამოუკვეთესო და იმიტომ! უცნაური მახსოვრობა აქვს — სიკეთე დიდიც ავიწყდება, სიავე მცირეც ახსოვს. ორადორი ძველი ამხანაგი ჰყავდა, რომელთაც კარგად იცოდნენ, რა ხვითოც ბრძანდებოდა ეს ჩვენი გმირი; დიდად მოიმსახურა ერთიცა და მეორეც სიტყვითა თუ საქმით; ბევრჯერ ნამუსიც მოუწმენდიათ მისთვის, თუმცა დამცირებისა და შეურაცხყოფის მეტი სანაცვლოდ არაფერი მიულიათ. ბოლოს, მთლად თავის სასარგებლოდ რომ ვეღარ ამუშავა და ალაპარაკა, როცა ალალად უთხრეს, **„სულ ტყვილა დაგიჭირეს, ახალ-თაობის საქმეში არ ერიე“** (97), და ისიც გაახსენეს, იმ ახალ ხელისუფლებას, **„მთხლესაკით რომ ნავიდა, ყმად უდგებოდიო“** (97), სწორედ მაშინ დაიტეხეს თავს მისი რისხვა: **„რადგან თქვენ ვერ მიცანით, თვითონ უნდა გაგაცნოთ ჩემი თავი და, როგორც გამოუსნორებელ დამნაშავეებს, გაპატიმრებთ“** (97). თითქოსდა უვნებელი ნატრაბახებაც — **„მე იმნაირი ხასიათის ვარ, ხანდახან კაცი თუ არ მოვკალი, ავად ვხდები“** (19) — ქვეცნობიერად გვიელენს მისი ფსიქიკის ღრმა შრეებში ჩაბუდებულ ვნებას.

ამ ჩვენს გმირს ერთი უცნაურობაც სჭირს — კაცის რჩევას, სოლომონ ბრძენიც რომ იყოს, ყურს არ უგდებს, ქალები კი, ოჯახისთვის და სხვა ამგვარი ნვრილმანებისათვის მოუცლელი ქალები, თავის ჭკუაზე აბზრიალებენ; ერთ-ერთ მათგანს, ცოტა არ იყოს, დაბრიყვებულიც ჰყავს, მისი ყოველი ნაბიჯის ანგარიშს მოითხოვს და პირდაპირ უცხადებს კიდეც: **„ყველაფერი გამიმხილე, მე ქალი ვარ, მაგრამ კაცებზე უფრო მიყვარს დიდ ამბებში ჩარევა“** (81).

სოციალიზმსა და სოციალისტებზე მისი აზრი ზამოთ უკვე ვიხილეთ; ხოლო სოციალისტებმა რაც დამართეს დემოკრატიას, ეს კიდეც ვიხილეთ და კიდეც ვიწვნიეთ. ჩვენი გმირიც დემოკრატიის მტერია. ცხადია — მისი გარემოცვაც. მათგან ერთ-ერთი, მონაზე დამყნობილი მკელელი, თეორიულადაც კი ასაბუთებს დემოკრატიის შეზღუდულობასა და მავნებლობას: **„დიახ, მე და ეს კაცი დემოკრატიზმის ნაჭუჭში ვერ მოვთავსდებით... სულ სხვა გაქანება გვაქვს“** (75).

მოკლედ, ხალხი გაბრიყვებულია, ბრბო — მონუსხული, მედროვენი —

გალაღებულნი; უყურებს ბნელეთის ამ ზეობას გაოგნებული ადამიანი და, მარტო ჩვენს გმირს კი არა, უფრო თავის თავს ეკითხება: **„ამდენმა ბრმამ თავი როგორ მოიყარა შენს ხელში!"** (82)... **„რა დაპირებით მოატყუე, ნეტავ ვიცოდე!"** (82). და არა ბოღმით, არა ნიშნის მოგებით, უფრო სინანულით ასკვნის: **„ვნახავ, ეს ჯარი შენვე გეძებდეს გასანეწად"** (82).

ასე ყოველი კეთილი განზრახვა აგხდენოდეს, მკითხველო. გუშინდელი მისი თაყვანისმცემელი ხალხი ახლა — **„გაასამართლეთო"** (100), ყელჩახლეჩილი მოითხოვს.

ყველაზე გამაოგნებელი კი ის გახლავთ, რომ ეს სასამართლო მას ავადმყოფად, ჭკუასუსტად მიიჩნევს; აი, მათი დასკვნაც: **„ჩვენი გამოძიებით ნამდვილად ჭკუანაკლებია... მხოლოდ იმ ხელისუფლებაში, რომელიც ნაჩქარევად შედგა იმ არეულობაში, შეეძლო მას გმირის ადგილი დაეჭირა და ხალხისთვის ვნება მიეყენებინა. ჩვენ კი ახლა მას ნიღაბი მოვხსენით და, დეე, თავისი ნამდვილი სახით, ნაცარქექიას სახელით, იაროს ქვეყანაზე"** (101).

და ხალხიც თითქოსდა შვებით ამოისუნთქავს: **„მაშ, თუ ჭკუანაკლების ხელში ვიყავით, კიდევ კარგად გადავრჩენილვართ"** (101); **„რადგან აწი ზიანს ვეღარავის მიაყენებს, იაროს და იჩერჩეტოს, რა გვენაღვლება"** (102).

გულუბრყვილო, გულმავიწყი, შემნდობი, საცოდავი ხალხი!

მას კი, ტახტიდან გადმობრძანებულს და შუბლის ძარღვგაწყვეტილს, გულში სხვა მიზნები უტრიალებს: **„გული არ გაიტეხო, დაიღუპა ის, ვინც სირცხვილით სოროში ჩაძვრა; მე კიდევ ავცოცდები"** (102).

მკითხველი, ალბათ, იმთავითვე მიხვდა, ვინ არის ჩვენი გმირი, ვისი ხასიათი გავაანალიზეთ ამ ჩვენს წერილში.

დიახ, ეს გახლავთ ყვარყვარე, ვაგლახ, უკვდავი პერსონაჟი იმ მარადიული დრამისა, ქართველთა (და — არა მარტო ქართველთა) ცხოვრება რომ ჰქვია.

(ციტატები მოხმობილია შემდეგი გამოცემიდან: **პოლიკარპე კაკაბაძე**, დრამატული პოეზია ორ ტომად, ტ. I, თბილისი, 1971 წ.).

მკითხველს შევახსენებ: **„ყვარყვარე თუთაბერი"** დიდმა პოლიკარპემ დაწერა 1928-29 წლებში.

P.S. მე, პირადად, ძვირფასო მკითხველო, ყვარყვარეობისა მეშინია, ყვარყვარესი — არა!

თქვენ?

„დრონი", 8.10.1991

შინაომში გამარჯვებული არ არსებობს

სიტუაცია მძაფრია; გამორიცხული არ გახლავთ მისი ყველაზე ტრაგიკული განვითარება — ეგულისხმობ ძმათა შორის სისხლიან შეტაკებას. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, ეს რომ არ მოხდეს... და ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ყველაზე მეტი მოეთხოვება და ყველაზე მეტი შეუძლია ერთ კაცს — პრეზიდენტს. მას თვით 2 სექტემბრის სისხლიანი ამბების შემდეგაც კი შეეძლო თავისი შემწყნარებლობით, კორექტულობით, გულწრფელობითა და, თუნდაც, შეცდომათა აღიარებით მდგომარეობის სტაბილიზება... საუბედუროდ, ასე არ მოხდა, საუბედუროდ, საყოველთაო შერიგებისაკენ მონოდების ნაცვლად კვლავ და კიდევ უფრო მეტი გამეტებით ინირება პრეზიდენტისაგან ყველა განსხვავებულად მოაზროვნე, მოღალატეებად და აგენტებად ინათლებიან არა მარტო პოლიტიკური ოპონენტები, არამედ საზოგადოების მთელი ფენები... პრეზიდენტი, ვინც ყოველი მოქალაქის უფლებათა უპირველესი დამცველი და გარანტი უნდა იყოს, სამწუხაროდ, ამ უფლებათა შემლახველის როლში გვეელინება... ცალკეულ პიროვნებათა უდანაშაულობის პრეზუმპციის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის ამგვარ უდიერ შებღალვას ვიღა ჩივის — ხდება უფრო შემზარავი რამ: გამსახურდიამ თავის საჯარო გამოსვლებით ფაქტობრივად ერთმანეთს წაუსისიანა საზოგადოების სხვადასხვა ფენა (ისევ დავივლი წარმოება-დაწესებულებებს და მშრომელ ხალხს ჩავაქოლინებო აქციებში მონაწილეებს); უფრო მეტიც — ხელისუფლება ერთმანეთს უმხედრებს სხვადასხვა ქართულ ტომსა თუ კუთხეს (შინაგან საქმეთა მინისტრი არაორაზროვნად მიანიშნებს იმ კუთხის მხარდაჭერაზე, სადაც იგი გაზრდილა, პრეზიდენტი ხაზგასმით ახარებს თავის მომხრეთა მიტინგს, რომ მესტიიდან და ლენტეხიდან დაიძრა მისი ერთგული გვარდიული შენაერთები). ვაი ჩვენდა, რომ ისტორიულად თავისუფალი, უბატონო ჩვენი ამაყი, ალალი სვანებისაგან სურთ შექმნან თავისუფლების დამთრგუნავ დამსჯელ-ჩაფართა ხატი-საფრთხობელა. ამაზე დიდი დანაშაული სრულიად საქართველოს წინაშე წარმოუდგენელია... ილიას ოფლითა და სისხლით შეკრული საქართველოს ამგვარი დაშლის მცდელობა ანტიილიაობის გამოელენად მიმაჩნია.

რას გვიქადის ხვალინდელი დღე? დე, თქვენს თვალში გამოვჩნდე კაცის ბუნების ვერშემცნობად და „შერეკილად", მაგრამ ასე მწამს, მინდა ვინამო: ბოლოს და ბოლოს, პრეზიდენტი გადადგამს იმგვარ ზნეობრივ ნაბიჯს, საქართველოს შინა ომს რომ თავიდან ააცილებს — ასეთ ომში გამარჯვებული არ არსებობს... ყველაფერს რომ დავეხსნათ, თავდაცვის ინსტინქტიც

უნდა ამუშავდეს — ძმათამჟლეტი ომით ხომ არა მარტო საქართველო, არამედ, პირველ ყოვლისა, თვით პრეზიდენტი გაინირება.

როგორც ძველად იტყოდნენ

— ნუ იყოფინ!

„დრონი", 20.9.1991 წ.

მოჯადოებულ წრეში

ვწუხვარ, მართალი რომ გამოვდექი... ვწუხვარ, რომ ახდა ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებისას ნანინასწარმეტყველევი ჩემი ვარაუდი — ახლად არჩეული პრეზიდენტი ვერ გაუძლებდა ძალაუფლების საცდურს. ზოგს, შესაძლოა, ახსოვდეს — საარჩევნო კამპანიის დროს განვაცხადე: მე არ ვიბრძვი პრეზიდენტობისათვის, მე ვებრძვი პრეზიდენტობას; რომც მოხდეს სასნაული და ამირჩიოთ, მეორე დღესვე გამოვაცხადებ ჯერ დიდ შერიგებას საქართველოში ეროვნებათა, პარტიათა და კაცთა შორის, მერე კი გავაუქმებ პრეზიდენტობის ინსტიტუტს-მეთქი.

პრეზიდენტობის ამგვარი ინსტიტუტის შემოღება მძიმე შეცდომა იყო, რომლის მწარე ნაყოფს უკვე ვიმკით.

ახლა უკვე ბევრი ხედავს, როგორ მზადდებოდა და როგორ განხორციელდა კონსტიტუციისა და კანონიერების საფარქვეშ უდიდესი ანტიკონსტიტუციური და უკანონო აქტი — ძალაუფლების უზურპაცია; როგორ გადავუსვით ხაზი ჩვენს ერთადერთ კანონიერ კონსტიტუციას, რომელიც მოქმედებდა დემოკრატიულ საქართველოში და რომლის მიხედვითაც საქართველო არ არის საპრეზიდენტო რესპუბლიკა.

სადღეისოდ პარლამენტმაც და მთელმა ერმაც თავი მოჯადოებულ წრეში მოვიქციეთ: უკანონოდ დავუკანონეთ ერთ კაცს ყველა უფლება და ახლა გვინდა კანონიერი, კონსტიტუციური საშუალებებით ამ უფლებათა შეზღუდვა! სულხან-საბას ცნობილი არაკის გმირმა კატამაც კი — ლომის გამზრდელმა კატამ — იცოდა, რომ რაღაც ხერხი უნდა შემოენახა თავისი აღზრდილის გენში ჩადებული აგრესიულობის საწინააღმდეგოდ, და ჩვენმა განათლებულმა პარლამენტმა კი არავითარი იურიდიული მექანიზმი არ დაიტოვა არამცთუ სხვისი, არამედ საკუთარი თავის დასაცავადაც: თვით პარლამენტის ყოფნა-არყოფნის საკითხი პრეზიდენტზეა დამოკიდებული, და როგორც კი თუნდაც მცირე ეჭვი გაუჩნდება პარლამენტური დაუმორჩილებლობისა, იგი დაითხოვს პარლამენტს და შემოიღებს საპრე-

ზიდენტო მმართველობას, რითაც, სხვათა შორის, არაორაზროვნად უკვე დაგვემუქრნენ.

რაც არ უნდა მოხდეს, პრეზიდენტის გადაყენება პრეზიდენტის შესახებ კანონის მიხედვით შეუძლებელია.

არსებობს პრობლემის გადაჭრის სხვა გზაც: არა იურიდიული, არამედ ზნეობრივი; თუ ხელისუფალი დაინახავს, რომ მისმა პოლიტიკამ ჩიხში მიიმწყვდია ქვეყანა, ეკონომიკურად დააძაბუნა, პოლიტიკურად გარიყა დანარჩენი მსოფლიოსაგან, ხალხი ერთმანეთს აუმხედრა და ფაქტობრივად სამოქალაქო ომის ზღვარზე მიიყვანა, ზნეობრივად იგი მოვალეა გადადგეს. იქნებ ვცდებოდე, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ნაბიჯი აგვაცილებდა შინაომის შემდგომ ესკალაციას. ამ ორიოდე დღის წინათაც კი მწამდა — პრეზიდენტი გამსახურდია გამონახავდა იმდენ შინაგან ძალას, რომ ხალხისათვის სასიკეთო ამგვარი ნაბიჯი გადაედგა... გადაედგა თუნდაც თავისი ღირსების გადასარჩენად.

დღეს ამისი იმედი, ჩემდა საუბედუროდ, ნაკლებად მაქვს.

„ახალგაზრდა იბერიელი", 28.9.1991 წ.

მსხვერპლი ხელისუფალმა უნდა გაიღოს

უმძიმესი ვითარებაა დღეს საქართველოში — ფაქტობრივად დაიწყო შინაომი; მართალია, „საბრძოლო" მოქმედება დღესდღეობით მთავრობის სასახლის მიმდებარე ტერიტორიით შემოიისაზღვრება, მაგრამ აქ გაჩაღებული ხანძარი თუ დღესვე არ ჩავაქრეთ, მან ხვალ შეიძლება მთელი საქართველო გადაბუგოს.

ამ ტრაგიკული ვითარების გამომწვევ მრავალ ფაქტორთაგან უმთავრესია არსებული ხელისუფლების მიერ დაშვებული მძიმე შეცდომები, ზოგჯერ — დანაშაულობანიც; კერძოდ — ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ადამიანის უფლებათა შელახვა და კანონის უზენაესობის პრინციპის უგულებელყოფა. ვის უნდა დაბრალდეს ის წყალგაუვალი ფაქტი, რომ იმპერიის რღვევის პროცესში ყველაზე მძიმე დანაკარგი ჩვენმა რესპუბლიკამ განიცადა? სხვაგან არსად ატეხილა შინაომი, არსად დაუღვრიათ თვისტომის ამდენი სისხლი, არც ერთ სხვა ხელისუფლებას ისე არ გაუშვია ხელიდან თავისი ისტორიული ტერიტორიების მართვის სადავეები, როგორც ეს მოხდა საქართველოში. ხელისუფლებას მძიმე ცოდვად აწევს როგორც ჩვენი საერთაშორისო იზოლაცია, ასევე შინააშლილობის გამომწვევი სოციალური და ეთნიკურ-ტომობრივი დაპირისპირებისა და შუღლის ატმოსფეროს შექმნა. და თუ ჩვენ თითო-

ოროლა ქვეყანამ მაინც გვცნო, ეს მოხდა უკლებლივ სხვა მოკავშირე რეს-პუბლიკების საერთო ცნობის კონტექსტში, მეტიც — მოხდა არა ჩვენი ხელი-სუფლების პოლიტიკის წყალობით, არამედ — ამ პოლიტიკის მიუხედავად.

ხელისუფლება, თუნდაც კანონიერად არჩეული, თუ თავს ვერ ართმევს თავის მოვალეობას, ვერ ამართლებს ხალხის ნდობას, უნდა გადადგეს — ასე ხდება ყოველ ცივილიზებულ ქვეყანაში. კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყნის არც ერთი მეთაური არ შეაგდებს ყოფნა-არყოფნის სასწორ-ზე თავისი ხალხის ბედს მხოლოდ თავისი პიროვნული ძალაუფლების შესა-ნარჩუნებლად. ხელისუფალმა უნდა გაიღოს ხალხისთვის მსხვერპლი და არა — პირიქით. თუ ხელისუფალი თავისი პიროვნული ძალაუფლებისათ-ვის ხალხს წირავს, მის არამცთუ გადადგომას, თვით ძალის საშუალებით გადაყენებასაც კი სამართლებრივი საფუძველი ექნება.

დღეს პრეზიდენტი გამსახურდია ფაქტობრივად ივედრება ახალი კავში-რის — თანამეგობრობის — წევრად მიღებას, რათა უცხო ძალის შემწეობით შეინარჩუნოს ძალაუფლება. არადა, მთელს საქართველოს ახსოვს მისი სა-ჯარო განცხადება: გადავდგები, თუ ჩემს ხელისუფლებას ხელშეკრულება-ზე ხელის მოწერა მოუნევსო.

მრავალი ქვეყნის მეთაური გადამდგარა სხვადასხვა მიზეზისა თუ გარე-მოების გამო: დე გოლი, ნიქსონი, ტეტჩერი... ახლახან გადადგა გორბაჩო-ვიც. მას შეეძლო სისხლის ზღვა დაეყენებინა ძალაუფლების შესანარჩუნებ-ლად, მაგრამ უსისხლოდ წასვლა არჩია, რითაც თავისი ღირსება გადაირჩი-ნა არა მარტო როგორც პიროვნებამ, არამედ — პოლიტიკოსმაც.

საუბედუროდ, საქართველოში უკვე დაიღვარა სისხლი, მაგრამ, თუ ხე-ლისუფლება თუნდაც დაგვიანებული გადადგომით ქართველთა სიცოცხ-ლეს დაზოგავს, ამით თავის ღირსებას ნაწილობრივ მაინც გადაირჩენს და ქართველობასაც მიეცემა საშუალება უფრო მკაფიოდ გამოაცალინოს თავი-სი ტრადიციული თვისება — ქრისტიანული მიმტევებლობა.

„დრონი", 18.10.1991 წ.

რეპეტიტორობა — ბოროტება თუ სიკეთე?

რეპეტიტორობა ძველი მოვლენაა: უკვე ძველ ელადაში იყვნენ სოფისტები, განათლებული, კამათსა და რიტორიკაში განაფული ადამიანები, რომლებიც გარკვეული გასამრჯელოს საფასურად წვრთნიდნენ კერძო პირებს ფილოსო-ფიაში, მჭევრმეტყველებაში, ლოგიკაში... და უკვე იმ დროიდანვე დაჰყვა სო-

ფისტის ანუ სიბრძნის ფასიანი მასწავლებლის სახელს ანგარების შინაარსი — ეტყობა, როდესაც კერძო პირი საფასით ყიდულობს ცოდნას, სიბრძნით ამგვარი ვაჭრობა თავის არსშივეა ზნეობის თვალსაზრისით საჩოთირო მომენტის შემცველი (ამიტომაც უპირისპირებს პლატონი ვერცხლისმოყვარე სოფისტებს ჭეშმარიტ ბრძენს, სოკრატეს; უპირისპირებს არა მარტო ინტელექტუალურად, არამედ — ეთიკურადაც: სოფისტთაგან განსხვავებით სოკრატე უანგაროდ გასცემს სიბრძნეს). აღზრდა-სწავლების სისტემის განვითარების მთელ გზას, ძველიდან მოყოლებული დღევანდლამდე (ჩვენშიცა და სხვაგანაც), სხვადასხვა ფორმითა და მასშტაბით გასდევდა რეპეტიტორობა.

ამჟამად თავად სიტყვამ „რეპეტიტორობა" და მის მიერ გამოხატულმა ცნებამ საქართველოში იმდენად უარყოფითი შინაარსი შეიძინა, რომ ხალხის უმეტესობა რეპეტიტორობას ლამის კანონსაწინააღმდეგო ქმედებად აღიქვამს. უნდა ითქვას, რომ რეპეტიტორობის გავრცელებული ფორმა მართლაც ატარებს კანონსაწინააღმდეგო ნიშანს (რეპეტიტორთა დიდი ნაწილი საფინანსო ორგანოების გვერდის ავლით, თვითნებურად ამზადებს მოწაფეებს); საერთოდ კი კერძოდ მეცადინეობის პრაქტიკა კანონით ნებადართულია და, ხშირად, სარგებლობის მომენტიც (ბევრი ცნობილი მეცნიერი და მწერალი — ძველად თუ ახლა — რეპეტიტორობდა: ძველად — მარტო კანტისა და ვაჟაფშაველას მაგალითიც იკმარებდა). ან ვის შეუძლია ანგარება დასწამოს პატიოსან, კარგ სპეციალისტს, რომელიც უამრავ ენერგიასა და დროს ახმარს მოსწავლის მომზადებასა და ვისაც საამისო ნებართვა აქვს? მაგრამ რეპეტიტორობას სახელი გაუტეხა მისმა გაუკულმართებულმა ფორმებმა, კერძოდ:

ა) სკოლის მასწავლებელთა მიერ საკუთარი მოსწავლის მომზადებამ; ბ) დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირის, არასპეციალისტის რეპეტიტორობამ; გ) მზა კონსპექტებითა და მზა, სხვის მიერ დაწერილი, თხზულებებით მოწაფეების „მომარაგებამ"; დ) სწავლების სათანადო მეთოდების გამოუყენებლად მოსამზადებელთა რაოდენობის უკონტროლო გაზრდამ; ე) შეუზღუდავმა, სტიქიურმა შეფასებამ რეპეტიტორთა შრომის ღირებულებისა.

რამდენიმე სიტყვა რეპეტიტორობის გავრცელების მიზეზთა შესახებ: ცნობილია, რომ მოთხოვნილება განაპირობებს მიწოდებას. რეპეტიტორზე მოთხოვნილება კი ნლითიწლობით იზრდება; ამჟამად თბილისში საკმაოდ კურიოზული ვითარების მოწმენი ვართ: კარგ, სახელიან სპეციალისტთან შვილის მომზადება ლამის ისეთსავე პრობლემად ექცეს მშობელს, როგორიც თავად უმაღლესში მისი მოხვედრაა. კერძო მასწავლებელზე ეს გაზრდილი მოთხოვნილება კი გამოიწვია: ა) უმაღლესი სასწავლებლისკენ ახალგაზრდობის წრეგადასულმა ლტოლვამ; ბ) დისჰარმონიამ, რომელიც გვაქვს სკოლადამთავრებულის ცოდნის დონესა და მისაღებ გამოცდაზე აბიტურიენტისათვის წაყენებულ მოთხოვნილებას შორის: რახან აბიტურიენტთა კონტინგენტი მრავალრიცხოვანია, სტუდენტთა რაოდენობა კი — განსაზღვრული,

უმაღლესი სკოლა, ბუნებრივია, გაზრდილ მოთხოვნილებას უყენებს სკოლა-დამთავრებულს; სკოლებში ვერ ხერხდება ზემოაღნიშნული დისჰარმონიის აღმოფხვრა და, ჩანს, ვერც მოხერხდება, სანამ იქ ღრმა ცვლილებები არ გატარდება დიფერენცირებული სწავლების თვალსაზრისით.

ამჟამად რესპუბლიკის დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით კი თბილისში, მოსწავლის მომზადებას იწყებენ არა მარტო მეათე, დამამთავრებელ კლასში; მშობლები თადარიგს ადრიანად, მერვე-მეცხრე კლასიდან, იჭერენ: მეათე კლასში თბილისის სკოლების მოსწავლეთა თითქმის ნახევარი, თუ მეტი არა, კერძო მასწავლებელთან ემზადება, უმეტესობა — რამდენიმე საგანში. რეპეტიტორობის გავრცელების ასეთმა მზარდმა ტენდენციამ (სხვა ფაქტორებთან ერთად) ფრიად გაზარდა ცალკეულ საგნებში მომზადების ფასი. მაგალითად, სამედიცინო ინსტიტუტში შემსვლელის მშობელს მარტო ერთი წლის მომზადება შვილისა ოთხ საგანში უჯდება 2700 მანეთი, რაც აღემატება მაღალხელფასიანი სპეციალისტის წლიურ შემოსავალს (თვეში 220 მან.); ეს არცთუ იშვიათად დამატებითი შემოსავლის წყაროს ძიებისკენ უბიძგებს მშობელს, რაც კრიმინალის საფუძველს ქმნის. მოკლედ, თუ რაიმეს არ ვიღონებთ, ვიწრო ოჯახური სატკივარი (რეპეტიტორთან ბავშვის მოსამზადებელი თანხის საკითხი), შესაძლოა, მნვავე სოციალურ პრობლემაში გადაიზარდოს.

მოაქვს თუ არა რაიმე სარგებლობა რეპეტიტორობას? ცხადია, მოაქვს და, თუ ამ ფაქტს არ ვაღიარებთ და სათანადოდ არ შევაფასებთ ან თვალს მოვუხუჭავთ, ეს დააბრკოლებს რეპეტიტორობის მოვლენის ანალიზსა და, აქედან გამომდინარე, მისი მახინჯი ფორმის დაძლევას შეაფერხებს. ცნობილი ჭეშმარიტებაა, მტერს მაშინ დაამარცხებ, თუ მის ძალასა და შესაძლებლობებს შეისწავლი. ემოციური ლოზუნგები — ძირს რეპეტიტორობა, რეპეტიტორთა ფეხქვეშ მინა უნდა ინოდესო, საქმეს ნაკლებად წაადგება (ტრიბუნიდან ამგვარ მოწოდებაზე დიდი შრომა არ გვეხარჯება, გაცილებით მეტი ჯაფა გვადგას ტრიბუნიდან ჩამოსულებს ჩვენი შვილებისათვის სახელიანი რეპეტიტორის გამოძებნაზე). თუ საქმით გვინდა რეპეტიტორობის დაძლევა, ეს მოვლენა კიდეც უნდა შევისწავლოთ და, თქვენ წარმოიდგინეთ, მისგან ზოგი რამ კიდეც უნდა ვისწავლოთ. მკითხველისთვის, შესაძლოა, უინტერესო არ იყოს ის ანკეტური გამოკითხვა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა; გამოირკვა, რომ უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრილთა დიდი უმრავლესობა კერძო რეპეტიტორთან ემზადებოდა; ჩვეულებრივ, ამგვარი სურათი იხატება: პირველ წელს, როდესაც აბიტურიენტი მოსწავლე იყო და კერძო რეპეტიტორთან ვერ ემზადებოდა (ან მოემზადა მხოლოდ თვენახევრის განმავლობაში — გამოსაშვებიდან მისაღებ გამოცდებამდე), იგი, ჩვეულებრივ, ვერც ირიცხებოდა; შემდგომ კი, მთელი წლის მანძილზე იგი რეპეტიტორთან მეცადინეობდა და, როგორც წესი, მიზანსაც აღწევდა. ისედაც ცხადია, რომ მცოდნე, გამოცდილ

სპეციალისტთან ინდივიდუალური წესით ინტენსიური მეცადინეობა 8-9 თვის მანძილზე კარგ შედეგს გამოიღებს. რეპეტიტორი (განსაკუთრებით — უმაღლესი სკოლის პროფესორ-მასწავლებლები), ჩვეულებრივ, უფრო მრავალმხრივსა და ღრმა ცოდნას აძლევს მოწაფეს, ვიდრე სკოლაში ამას მასწავლებელი ახერხებს. გამოკითხვის სიხშირე და ცოდნის გაკონტროლების საშუალებაც კერძოდ მომზადების შემთხვევაში შეუდარებლად მეტია და ეფექტური. მოკლედ, სწავლების ამ ფორმას გარკვეული შედეგი აქვს მისაღებ გამოცდებზე და ამითაც აიხსნება მისი გავრცელება.

მაგრამ გაცილებით მეტია ის ვნება, რაც რეპეტიტორობის გაუკულმართებულ, ხაზს ეუსვამ — გაუკულმართებულ, მახინჯ ფორმებს მოაქვს საზოგადოებისათვის. ამ მოვლენის გავრცელების სოციალურად საშიშ ასპექტზე ზემოთ მოგახსენეთ, ახლა სხვაზედაც ვთქვათ. რეპეტიტორთა ინსტიტუტი საფუძველს ურყევს საშუალო სკოლას, არაჯანსაღ კონკურენციას უწევს მას და აფერხებს ზოგადსაგანმანთლებლო სკოლის ნორმალურ ფუნქციონირებას (თუმცაღა თავად ამ ინსტიტუტის შექმნასა და გავრცელებას ხელს სწორედაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ჯერაც გადაუჭრელი პრობლემები უწყობს). რეპეტიტორობის უარყოფითი მხარე თავს იჩენს სხვა მხრივაც: ყმაწვილი კერძო მასწავლებლის ხელში ზოგჯერ კარგავს დამოუკიდებლად მუშაობისა და აზროვნების ჩვევას, იგი ხდება ცოდნის პასიური მ̣ომხმარებელი, რეპეტიტორისაგან „გადაღეჭილი" ლუკმის ოდენ „მომნელებელი" (ცხადია, ეს ყველა რეპეტიტორს არ ეხება — ზოგიერთი სპეციალისტი სწორედაც დამოუკიდებელ აზროვნებას აჩვევს და უვითარებს აბიტურიენტს). არცთუ იშვიათად, ახალგაზრდა ვერ იღებს ზნეობის კარგ გაკვეთილს რეპეტიტორისაგან, მისგან ოსტატდება იმაში, თუ როგორ გააცუროს საგამოცდო კომისია: როცა რეპეტიტორი სხვის დაწერილ თხზულებას აზეპირებინებს აბიტურიენტს, ეს უკვე გამომცდელის მოტყუების მცდელობაა. ზემოაღნიშნული ვნება ეხება ერთ მხარეს — აბიტურიენტს. არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე მხარის, თავად რეპეტიტორების, „ზარალი". ვინ არიან რეპეტიტორები? დიდი ნაწილი რეპეტიტორებისა არიან უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების თანამშრომლები: მეცნიერ-მუშაკები, პროფესორები, დოცენტები, რომლებიც რეპეტიტორობაში ხარჯავენ მეცნიერული მუშაობისათვის განკუთვნილ დროს. განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ რეპეტიტორობამ ფეხი მოიკიდა ახალგაზრდა მეცნიერთა შორის: ამას ის შედეგი მოსდევს, რომ პერსპექტიული მეცნიერული კადრები არცთუ იშვიათად ეელარ იზრდება, ერთ ადგილს ტკეპნის და საბოლოოდ დეკვალიფიკაციას განიცდის. დიდია მორალური ზიანიც, რასაც მათ აყენებს კერძო პირებთან ფულადი გარიგება; ზოგ მათგანს ერცხვინება რეპეტიტორობა, მალავს ამას, რეპეტიტორობის ნებართვას არ იღებს ფინანსური ორგანოებისაგან და, ამის შესაბამისად,

კანონსაწინააღმდეგო საქციელს სჩადის; ყოველივე ეს რეპეტიტორს მორალურად თრგუნავს, უვითარებს ე.წ. არასრულფასოვნობის კომპლექსს.

როგორ უნდა ვებრძოლოთ რეპეტიტორობის მავნე ფორმებს? პრობლემა მეტად მტკივნეული და ღრმაა და თავისი ფესვებით პედაგოგიკისაგან დაცილებულ სფეროებს სნვდება. იგი თვით სნაელა-აღზრდის სისტემის რომელიმე კონკრეტული რგოლის სატკივარიც არ გახლავთ (მაშინ მას შედარებით იოლად მოევლებოდა), არამედ — მთლიანი ჯაჭვისა. ეს ობიექტური სირთულეები ბევრს ხელს ჩააქნევინებს ხოლმე — პრობლემა სნავლების სისტემის საფუძვლიან რეფორმა-რეორგანიზაციას მოითხოვს, ეს კი, თავის მხრივ, ფინანსურ-ეკონომიკურ საკითხებს უკავშირდება; რეპეტიტორობა შედეგია, სტრატეგიული „ომი" კი მიზეზებს უნდა გამოვუცხადოთო. ეს, რასაკვირველია, სნორია, მაგრამ უგულებელყოფა არც ლოკალური, ე.წ. „ტაქტიკური" ოპერაციებისა გვმართებს. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ არც ადმინისტრაციული ღონისძიებებით და არც მორალისტური შეგონებებით რეპეტიტორობა არ მოისპობა. კიდეც რომ გატარდეს საკანონმდებლო აქტი და რეპეტიტორობის ყოველგვარი ფორმა კანონსაწინააღმდეგოდ გამოცხადდეს, ეს პრობლემას თუ გაართულებს, თორემ ვერ გადაჭრის — „იატაკქვეშა" მდგომარეობაში გადასული რეპეტიტორობა მეტ ფასს დაიდებს და ეს მძიმე კირთებად დააწვება ისედაც ილაჯგაწყვეტილ მშობელს. ამ საკითხის პრინციპულად გადასაჭრელად მკვეთრად უნდა ამაღლდეს საშუალო სკოლებში სნავლების დონე, მაგრამ ეს ძალზე რთული და ხანგრძლივი პროცესია: ახალი მეთოდიკის დანერგვა, განმავითარებელი სნავლების პრინციპის გატარება, საამისოდ შესაბამისი კადრების მომზადება, სახელმძღვანელოთა და მეთოდიკური ლიტერატურის, აგრეთვე თვალსაჩინოებისა და სნავლების ტექნიკურ საშუალებათა შექმნა ვერც რაღაც ჯადოსნური კვერთხის დაკვრით მოხდება და ვერც მეყსეულ შედეგს მოგვცემს — სნავლა-აღზრდის სისტემაში სასურველი ნაყოფის მოწევას, ჩვეულებრივ, დიდი დრო სჭირდება. მეორე მხრივ, არას გვარგებს, რომ გულხელდაკრეფილი დაველოდოთ მავნე ფორმის რეპეტიტორობისაგან განკურნების მზამზარეულ რეცეპტს.

განათლების სისტემის ყოველმა რგოლმა დამოუკიდებლადაც უნდა ეძებოს და მიაგნოს პრობლემის გადაჭრის იმ გზებსა და საშუალებებს, რაც შემდგომ პოზიტიურ ცვლილებებს გამოიწვევს სხვა რგოლებშიც.

ამ ეტაპზე რეპეტიტორობას უნდა დავუპირისპიროთ დამხმარე სნავლების ლეგალური, ხელმისაწვდომი და ეფექტური ფორმები. თუ დამხმარე სნავლების ამგვარ ფორმებს ისე დავხვენთ, რომ მისაღებ გამოცდებზე მას მაღალი შედეგები ექნება, ამით რეალურ კონკურენციას გავუწევთ კერძო რეპეტიტორობას.

1975 წ.

ბალავერი

ჯერ — ჩვილის სახელის დარქმევა რა არის და ისიც კი თავსატეხს უჩენს ხოლმე მშობლებსა და ახლობლებს; ახლა — ჟურნალის „ნათლობა" ვთქვათ, რომელსაც მშობლად 3 მილიონი ქართველი ჰყავს და ნათლიად — 30 ათასი სიტყვიერების მასწავლებელი. მერედა, რად გაიჩინეთ თავსატეხიო, იტყვის მავანი და მავანი, რას ერჩოდით ძველ დასათაურებას, თანაც — როდის გაზომილა ჟურნალის ავ-კარგი მისი სახელწოდებით, რა მნიშვნელობა აქვს, ყდაზე რას გამოიტანთ, მთავარია, ყდებს შუა რას ჩადებთო...

ჯერ ძველ სახელწოდებაზე ვთქვათ: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" უფრო ფრაზის ნაწყვეტს ჰგავდა, ვიდრე ჟურნალის სახელწოდებას, სხვა ენის თარგზე იყო შექმნილი და ამდენად — შეუფერებელი იმ გამოცემისათვის, რომელიც დედაენის სიწმინდისა და ჩვენი მეტყველების გამომხატველობისთვის უნდა ზრუნავდეს. ახლა მითითება-დამონმების დროს რა გასაჭირში გვაგდებდა! ვამბობთ და ვწერთ: „ცისკარმა" გამოაქვეყნა... „მნათობში" დაიბეჭდა და ა.შ. ჩვენს შემთხვევაში კი, თუ დამატებას არ წარვუმძღვარებდით სათაურს, ამგვარი გონჯი ფორმები უნდა გვეხმარა: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში"-ში (?) დაბეჭდილი სტატია... ეს „დამატება" კი თავის მხრივ მოითხოვდა მითითებას, თუ რისი დამატება იყო და იჭიმებოდა გუთნეული ხარ-კამეჩივით — *ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" დამატებამ „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" გამოაქვეყნა*... ერთი ტევადი და ხატოვანი სიტყვის ნაცვლად ათს ვაწუხებდით.

ამ ერთ — ზუსტ, ტევად და ხატოვან — სიტყვად ბალავერი მივიჩნიეთ.

რატომ მაინცდამაინც ბალავერი და არა, ვთქვათ, მთიებიო, თუ იკითხავთ, მოგახსენებთ: ბალავერი იმიტომ, უპირველეს ყოვლისა, რომ თავისი შინაარსითა და გააზრებით უაღრესად მიესადაგება მშობლიური ენისა და ლიტერატურის ფუნქციას სკოლაში და, საერთოდაც, ყოველ ეროვნულ სასწავლებელში — საბავშვო ბაღით დაწყებული და უნივერსიტეტით დამთავრებული. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი" ამგვარად გვიხსნის ამ სიტყვის მნიშვნელობას: „გათლილი ლოდი საძირკველში, კედლის საყრდენი; ასეთივე ლოდი კარ-სარკმლის თავზე, წირთხლთა შესაკრავად". სულხან-საბას „სიტყვის კონაც" ამასვე გვეუბნება: „საძირკვლის ქვანი დიდ-დიდნი". ბალავერმა გაიფართოვა მნიშვნელობა და დღეს საერთოდ საძირკვლის, ფუძის, საყრდენის, ბურჯის გაგება შეიძინა.

რომელი საგანია სასწავლო დანესებულებათათვის საფუძველთა საფუძველი, რომელსაც ეყრდნობა მთლიანი შენობა ცოდნისა? ცხადია — დედაე-

ნა; ამ ბალავერზე დგას ქართული სკოლაც, რადგანაც ყველა საგანი სკოლაში მშობლიური ენის საშუალებით შეისწავლება.

ბალავერი იმიტომაც, რომ ეს სიტყვა შედარებით გაუცვეთელია; მას ძველებური სურნელიც დაპკრავს და, აქედან გამომდინარე — ამაღლებულობის ელფერიც; და მაინც, ბალავერს უპირატესად მინის სუნი ასდის: „მთიები" და მისი მსგავსი „ზეციური" სახელწოდებანი ლიტერატურული ჟურნალებისათვის დიახაც უპრიანია (მაღლაა მუზების საუფლო), ჩვენი ჟურნალი კი დღიური მუშაა, ბალავერივით მიწაში ჩაჭრილი და უჩინარი, თუმცაღა გამოჩინებულ საქმეთათვის — მიუცილებელი საყრდენი.

ბალავერი იმიტომაც, რომ იგი იმერ-ამერი სიტყვაა, სამთელქართველო: სულხან-საბა და რაფიელ ერისთავი, ილია და აკაკი, ნიკო ლორთქიფანიძე და გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია და მიხეილ ჯავახიშვილი — რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, ამ სიტყვას რომ არ მოიხმარდეს.

რაც შეეხება ვარიანტებს — „ბალავარი"//„ბალავერი", ჩვენ ეს უკანასკნელი ვარჩიეთ — ვფიქრობთ, რომ **ბალავერი** უფრო ქართულად „ეღერს", ვიდრე — **ბალავარი**; თანაც ამით თავიდან ავიცილეთ ომონიმური დამთხვევა ცნობილ ბალავართან, „სიბრძნე ბალავარის" ანუ „ბალავარიანის" მთავარ მოქმედ გმირთან.

მცირე ისტორიულ-ფილოლოგიური ექსკურსი სიტყვა „ბალავერზე":

ბოლნისის სიონის კარიბჭის თავზე, მის „წირთხლთა შესაკრავად", გადებულია ბალავერი; სწორედ ამ ბალავერმა შემოგვინახა უძველესი ტექსტი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ქართულენოვან წარწერათაგან, ბოლნისის სიონის სააღმშენებლო წარწერა, შესრულებული რელიეფური ასოებით მეხუთე საუკუნის მიწურულში, 493/4 წელს. ტექსტი ნაკლულია, მისი დაზიანებული ადგილები აღადგინა აკაკი შანიძემ. არსებობს წარწერის განსხვავებული ნაკითხვა-ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც ბოლნისის სიონის ზემოაღნიშნული ტექსტი და, შესაბამისად, თვითონ ძეგლიც ბევრად უფრო ადრინდელად მიიჩნევა.

ჩვენ სიმბოლურად გვესახება, რომ ეს უძველესი წარწერა სწორედ ბალავერზეა შესრულებული. ხოლო სიტყვა **ბალავერი** რომ ნამდვილად გამოიყენებოდა კარ-სარკმლის თავზე გადებული ქვის აღსანიშნავად, ამას სხვა მაგალითებიც ადასტურებს. ივანე ჯავახიშვილი თავის წიგნში — „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის", I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 95 — წერს:

„ბალავარი" საინტერესო ტერმინია, რომლის სადაურობა ძნელი გამოსარკვევია, ჯერჯერობით მაინც. ამას ისიც ართულებს, რომ მისი მნიშვნელობა ორგვარია. წარწერათა მთელ რიგში ბალავარი საძირკვლის ქვას ნიშნავს, მაგრამ გვაქვს ერთი წარწერა, რომელშიაც „ბალავარი" იმ ქვაზეა

თითქოს ნათქვამი, რომელიც საძირკველთან სრულებით არაა დაკავშირებული, არამედ ეკლესიის კარების თავად არის დადებული. ესაა კუმურდოს ეკლესიის 964 წლის წარწერა, სადაც ნათქვამია: „იოვანე ეპისკოპოსმან დადვა საფუძველი ამის ეკლესიისაჲ ხელითა ჩემ ცოდვილისა სკოცრისაჲთა... ერისთავობასა ზვიასსა, ესე ბალავარი მან დადვა".

ბალავრის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ჩვენი აზრით, ბიბლიის „ლოდსა თავსაკიდურსა". აი, რას ღაღადებს ესაია წინასწარმეტყველი:

ამისთვის ესრეთ იტყვის უფალი ღმერთი ჩუენი: „აჰა, ესერა, დავსდებ საფუძველთა სიონისათა ლოდსა ფრიად პატიოსანსა რჩეულსა თავსაკიდურსა... და რომელსა ჰრწმენეს იგი, არასადა ჰრცხვენეს" (ესაია — 28, 16).

დე ჩვენი „ბალავერიც" ყოფილიყოს „ლოდი თავსაკიდური", დადებული ქართული ეროვნული სკოლის საფუძვლად.

ჟურნალის კარიბჭე მისი სახელწოდებაა; ცხადია, თავი და თავი ისაა, რაც კაცს მის მიღმა დახვდება, მაგრამ ოჯახი მაინც კარით ინყება!

„ბალავერი" №1, 1985

რა ენა წახდეს

ენობრივი გარემოს შებღალვა და სალიტერატურო ენის სიწმინდის ამღვრევა მუდამ იყო და ახლაც რჩება ყოველი კულტურული ერის, მისი საზოგადოების ყოველი ფენის საზრუნავ-სადარდებელი; რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო — ეს ყაელგაუვალი ჭეშმარიტება დღესაც აქტუალურად ჟღერს.

ქართული სალიტერატურო ენის დაცვის, განმტკიცების, გამდიდრება-განვითარების საქმე ვისმე მონოპოლია ვერ იქნება — ვერც რომელიმე ორგანიზაცია-დაწესებულებისა და, მით უფრო, ვერც ცალკეული პიროვნებისა, რაოდენ ავტორიტეტულიც უნდა იყვნენ ისინი (მონოპოლიაზე მოგახსენებთ, თორემ ჩვენში მართლაც არის მთელი ქსელი, მთელი სისტემა სამეცნიერო, პედაგოგიური, პოლიგრაფიული თუ კულტურული დაწესებულებებისა, რომელთა ერთ-ერთი უპირველესი და უმთავრესი საზრუნავი სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვა გახლავთ). მაგრამ თავი და თავი ამ საქმეში საზოგადოებრივი შეგნებაა, ხალხის ნება, ვინაიდან, როგორც ილია ბრძანებდა, ხალხია ენის კანონმდებელი და არა— ანბანთთეორეტიკაო. როდესაც ხალხის ნება, მისი შეგნებული თუ ინსტინქტური ლტოლვა ეროვნული თვითმყოფელო-

ბისა და თვითდამკვიდრებისაკენ ეჯახება ხელისუფლების ინტერესებს ენობრივი პოლიტიკის სფეროში — სახელმწიფო მანქანასა და კანონებს — მაშინ წარმოიშობა ხოლმე მძაფრი კოლიზიები (ამის მაგალითები სანთლით საძებარი ჩვენს ისტორიულ წარსულში სულაც არ არის: თუნდაც გასული საუკუნის სამოციანელთა ბრძოლა გავიხსენოთ ენისა და ეროვნების გადასარჩენად); დღეს ენობრივი გარემოს შებღალვას მხოლოდ გარეგან ფაქტორებს ველარ გადავაბრალებთ — თუ ასეთი რამ ხდება, ეს უკვე ჩვენს უნიათობაზე, ჩვენი მოქალაქეობრივი გრძნობის მოჩლუნგებაზეც მეტყველებს. ამით კიდევ ერთხელ მინდა ჩვენს მკითხველებს შევახსენო თითოეული ჩვენგანის პიროვნული მოვალეობა დედაენის წინაშე; დიდი სიკეთეა, როცა სახელმწიფო კონსტიტუციურად აკანონებს მასზე ზრუნვას, მაგრამ ეს არამც და არამც არ გვათავისუფლებს ენის ბედ-იღბალზე პიროვნული პასუხისმგებლობისაგან.

ეს მოვალეობა კი, ცხადია, ასაკით არ გახლავთ რეგლამენტირებული, იგი ყველას — დიდსაცა და მცირესაც, მოხუცსაც და ბავშვსაც — აწევს მხრებზე. ერთი კია — ბავშვობის ასაკს სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენობრივი აღზრდისათვის. ყოველი დიდი პედაგოგი ამას გვასწავლიდა: ჩვილი დედაენაზე უნდა ამეტყველდეს, მშობლიური ენის გარემოში იცხოვროს, დედაენაზე ისწავლოს; ენის სიცოცხლისა და ცხოველმყოფლობის დვრიტა ბავშვში ძევს. გავიხსენოთ: ლათინური, ეს უზარმაზარი ლიტერატურული ტრადიციების მქონე ენა, მაშინ მოკვდა, როდესაც აღარც ერთმა დედამ ლათინურად აღარ ამოადგმევინა ენა თავის შვილს. ამიტომაც იღვწოდნენ ჩვენი დიდი წინაპრები ეროვნული სკოლისათვის, რომლის უპირველესი პრინციპია სწავლება მშობლიურ ენაზე, ამიტომაც ვერ ჩაითვლება ქართული ენა და ლიტერატურა ჩვეულებრივ, რიგით სასწავლო საგნად ჩვენს სკოლაში. იგი არის ის ბალავერი, რომელზედაც იგება ცოდნის მთელი სისტემა. აქედან გამომდინარე, დიდია ვალი სიტყვიერების მასწავლებლისა: მან არა მარტო თავისი საგანი უნდა ასწავლოს მოზარდს — ენის კანონები, გრამატიკული წესები შეათვისებინოს მას — არამედ პრაქტიკულად უჩვენოს დახვეწილი მეტყველების, ე.ი. აზროვნების ნიმუში, განუვითაროს ენობრივი ალღო, ჩაუნერგოს სწორმეტყველების ჩვევა. წმინდა, შეუმღვრეველი ქართულით უბნობა ყველა საგნის მასწავლებელს ევალება, მაგრამ მოსწავლეს ამისი მაგალითი, უპირველეს ყოვლისა, ქართულის მასწავლებელმა უნდა მისცეს. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად, ასე არა ხდება: ერთიანი სალიტერატურო ქართულისათვის დიდად საზიანოა, როცა ქიზიყში ქართულის მასწავლებელი გაკვეთილზე კახურად უქცევს, ლიხსიქით კი — იმერულად თუ გურულად.

ჩვენს ჟურნალში, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", დავამკვიდრეთ რუბრიკა, რომლის სახელწოდება გახლავთ „ასე თუ ისე". იგი მოწოდებულია სიტყვიერების მასწავლებელი (და არა მხოლოდ იგი) ერთმანეთის მოცილე, სადავო ფორმათა ხმარების მართებულობაში გაარკვიოს, მა-

თი წარმოშობის ისტორიული პროცესი უჩვენოს და ამის კვალობაზე ტენდენცია დაადგინოს, ზოგჯერ კი — პერსპექტივაც წარმოაჩინოს. ასე რომ, ჩვენი ჟურნალი, რომელიც ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა კრებულებთან შედარებით უფრო ოპერატიულია, ამა თუ იმ ენობრივი ნორმის ერთგვარი აპრობატორის როლს თამაშობს.

ზემოთ ენობრივი ნორმები ვახსენე. ზოგიერთი ნორმიდან გადახრილი ფორმა, დღეს „შეცდომად" შეფასებული, შესაძლოა, ხვალინდელ ნორმად მოგვევლინოს. ასე იქცა ძველი ქართულისათვის გრამატიკულად მცდარი ვაღიარებ ან აქვთ დღევანდელ კანონიკურ ფორმებად. და საერთოდაც, თუ გავითვალისწინებთ ენის ცვლილება-განვითარებას, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ცვლილება-განვითარებას ფესვი ზოგიერთ ისეთ ფორმაში უძევს, თავის დროზე შეცდომად რომ მიიჩნევდნენ. ნორმათა დამდგენი კომისიის ერთ-ერთი ფუნქცია ისიც არის, რომ ხელოვნურად არ დააბრკოლოს ენის განვითარება. ცხადია, დღეს გადახრად და შეცდომად კვალიფიცირებული ყველა ფორმა პერსპექტივის თვალსაზრისით ერთნაირად ვერ შეფასდება: ზოგი უნდა ამოიძირკვოს, ზოგმა კი, შესაძლოა, კეთილი ნაყოფი გამოიღოს. ახლა წარმოვიდგინოთ ასეთი ვითარება: რედაქციებში, გამომცემლობებში — მოკლედ, ყველგან, სადაც ხორციელდება კონტროლი ნაბეჭდსა თუ საჯაროდ ნათქვამზე — ორთოგრაფიული ლექსიკონი კანონად გავიხადეთ და მცდარად მიჩნეული ისეთი ფორმები, როგორებიც არის, მაგალითად — **კარნახობს, პასუხობს** — არსად გავაჭაჭანეთ. არადა, თითოეული ჩვენგანიც კი, თუ ტელეფონით კავშირს ვერ ვამყარებთ, არ ვამბობთ — „არ უპასუხებს", არამედ — „არ პასუხობს". დავუშვათ, ნორმის ფეტიშიზაცია იქამდე მივიდეს, რომ მწერალსაც კი გაუსნორონ რედაქტორ-სტილისტებმა მხატვრულ ნაწარმოებში ამგვარი გადახრები ნორმიდან... სამწუხაროდ, რედაქტორული სწორების ამგვარი დონე დღესდღეობით მიუღწეველია ჩვენში. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ — საბედნიეროდაც? ალბათ იტყვით, ეს არასოდეს მოხდება, რედაქტორ-სტილისტთა მცდელობის მიუხედავად ნაწერში ყოველთვის იჩენს თავს გავრცელებული, მოარული ენობრივი სიახლენი, ნორმის ფარგლებს რომ სცდებაო. გეთანხმებით, მაგრამ ნებისმიერი კანონი (მათ შორის, ენის ნორმატიული კანონიც) მის დარღვევას კი არა, მის აღსრულებას ითვალისწინებს. ცხადია, ნორმა მცდარ ფორმას, აქაოდა ხალხში ფეხმოკიდებულიაო, მხოლოდ ამ მოტივის გამო კანონიკურად ვერ მიიჩნევს, მაგრამ არც მეორე უკიდურესობა ივარგებს — სრული იგნორირება იმ მომენტისა, რომ ზოგიერთი უზუსტო ფორმის გაჩენა და მისი საყოველთაოდ გავრცელება თავად ენის შინაგანი მოთხოვნილების გამოხატულებაა და მას ხელოვნურად გზა არ უნდა ჩავუხერგოთ. მოკლედ, როგორც იტყვიან, ნორმის კანონმდებელმა არც მწვადი უნდა დაწვას და არც შამფური, ხოლო მისმა აღმსრულებლებმა, რედაქტორ-სტილისტებმა — ანგარიში გაუწიონ ენობრივ

საშუალებათა ვარიანტულობას და ავტორის სტილისტურ მიზანდასახულობას.

ცხადია, მღვრიე ზნეობრივ გარემოცვაში ენაც „აიჭრება" ხოლმე. თუ ვირწმუნებთ, რომ „მტერობა ენის არს მტრობა ერის" — ეს კი არავისთვის სადავო არ უნდა იყოს — მაშინ ისიც უნდა გვწამდეს, რომ ერთგულება და სამსახური ენისა ერის მსახურებაც არის, ხოლო ერის ზნეობრივ სიწმინდეზე მზრუნველი კი — ენის მზრუნველ-მექომაგე.

ჩვენს ქვეყანაში უზუსტესი აღრიცხვაა იმისა, თუ მელია წლის განმავლობაში რა ზარალს აყენებს ამა თუ იმ ფერმას. ხოლო უგვანი ქართულით ნათარგმნი სახელმძღვანელოები რამდენ ტვინს, ენასა და სულს აზარალებს ერთი სასწავლო წლის მანძილზე, ამით, სამწუხაროდ, ნაკლებად ვართ დაინტერესებული. ამას სხვათა გასაკენწლად არ მოგახსენებთ, ეს ჩვენი ჟურნალის ღვიძლი საქმეა და, თუ ვინმეა „შესაჯანჯღარებელი", პირველ ყოვლისა, ჩვენა ვართ: კარგა ხანს „გვეძინა ყურზე". არადა, ენობრივი სიწმინდის დაცვის პრობლემა რაღაც კუთხით თითქმის ყოველ ნომერში უნდა იჩენდეს თავს. არ კმარა მხოლოდ ერთი რუბრიკა — „ასე თუ ისე", უნდა გამოვძებნოთ სხვა ფორმაც ენობრივ გარემოზე სასიკეთო ზეგავლენის მოსახდენად...

ჟურნალი „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" თავისი სტატუსით გახლავთ-მეთქი მონოდებული, დღენიადაგ ილვწოდეს ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის. ილვწოდეს არა მარტო პრაქტიკულად — როგორც ეს ყველა ჟურნალს ევალება, რათა მკითხველს შესთავაზოს ცოცხალი, გაჩალხული, ღონიერი სიტყვა — არამედ თეორიულადაც: სისტემატურად ბეჭდოს ისეთი მასალა, რომელიც ენობრივი გარემოს შებღალვას აღუდგება წინ. უნდა გამოიძებნოს საამისო გზები და საშუალებანი. ხოლო ვინც ეძიებს, ის, ჩვეულებრივ, კიდეც პოულობს ხოლმე, მით უფრო, როცა ძიების მიზანი წმიდათაწმიდაა — დედაენის დაცვა.

„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", N 2, 1982

მსგეფსი

ენაც, ცხოვრებისა არ იყოს, თვითრჯული რამ არის, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი ცვლილება-განვითარების წესები „სხვათა რიკრიკაზე არ გამოიჭრება". როგორც ცხოვრების მდინარებაში, ამ ენობრივ ცვალებადობაშიც ყველაფერი როდია მისაღები: ხანდახან ენა კარგავს იმას, რაც დასა-

კარგი არ არის... და — პირიქითაც. მაგალითად, განა უნდა დაგვეკარგა ქართველებს სიტყვა „მსგეფსი", რომელიც შვიდ დღეს, შვიდეულს აღნიშნავს? მეტყვით, ხომ გვაქვს დროის ამ მონაკვეთის აღსანიშნად „კვირა", რომელიც ჩინებულად გვემსახურება, და იმავე მნიშვნელობის მწიგნობრული „მსგეფსის" გაცოცხლება რაღა საჭიროაო. ჩინებული სამსახურისა რა მოგახსენოთ, ვინაიდან „კვირა" ომონიმური მნიშვნელობისა გახდა და შვიდ დღესთან, შვიდეულთან ერთად აღნიშნავს ამ შვიდეულის ერთ-ერთ დღესაც. როცა ვამბობთ, *დაძაბული კვირა მქონდა* ან *ეს კვირა გამეპარაო*, მხოლოდ კონტექსტი გაგვარკვევინებს, ერთ დღეზეა აქ საუბარი თუ — შვიდზე. რაც შეეხება სიტყვის სიკვდილს, ჩვენ, ღვთის მადლით, სულ უკანასკნელი, თექვსმეტსაუკუნოვანი დამწერლობითი ტრადიციები გვაქვს და ყოველი სიტყვა, ეტრატზე თუ ქვაში მოხელთებული, უკვე გაუკვდავებულია. ეს კია, რომ — „არ იხმარებ, რა ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა?" ენათა უმეტესობას ცალკე სიტყვა აქვს შვიდდღიანი ციკლის აღმნიშვნელად, ცალკე კი — ამ შვიდეულის თითოეული ნევრისათვის. ჩვენც ასე გვქონდა; ეგ კი არა, სანამ ბერძნული წარმოშობის *კვირა* — *კვირიკე* ასე „გაპარპაშდებოდა", „მსგეფსთან" ერთად „შვიდეულიც" იხმარებოდა დროის ამ ციკლის აღსანიშნავად: „ნეტარმან ესე ჰაბო ხოლო წმიდათა მათ დღეთა დიდისა მის მარხვისათა, შვიდთა მათ *შვიდეულთა კვირიაკესა* და დღესა შაბათსა ხოლო მი-რა-იღის წმინდა იგი საიდუმლო, ხორცი და სისხლი ქრისტესი, მაშინღა ნაკლულად მიიღის საზრდელი"... ესე იგი, ნეტარი აბო მხოლოდ დიდმარხვის შვიდი შვიდეულის ანუ მსგეფსის ანუ კვირის მანძილზე მხოლოდ კვირას (ანუ კვირიაკეს) და შაბათს იღებდა მცირე საკვებს. ეს მაგალითი სწორედ იმითი არის საინტერესო, რომ გვერდიგვერდ თავ-თავიანთი განსხვავებული მნიშვნელობით არის ნახმარი „შვიდეულიც" და „კვირაც".

მაგრამ დღესდღეობით უფრო უპრიანია „მსგეფსი" აღვადგინოთ, ვიდრე „შვიდეული", რომელიც ისედაც ცოცხალი სიტყვაა და შვიდ ერთეულს, ერთეულთა გამოურჩევლად შვიდთა ერთიანობას გულისხმობს.

„მსგეფსი" ანუ „მზგეფსი" უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებშია დადასტურებული და იგი არც დასავიწყებლად და არც მხოლოდ „სამუზეუმოდ" არ უნდა გავიმეტოთ. საერთოდაც, რა სჭირს ჩემი დასაცავი სიტყვას, რომელიც მოიხმარებოდა გიორგი მთაწმინდელის, შოთას, საბას მიერ!

მაგალითები? — ინებეთ:

„და რომელმანმე ორი მსგეფსი დაყვის ქვე მწოლარემან და რომელმანმე — სამი" (გიორგი მთაწმინდელი).

„ამის მეტსა არას გნუკევ: ნელიწადსა ერთსა მსგეფსსა
აქაე ქვაბსა მომნახევდი მე, ამბავთა ყოველგნით მკრეფსა" (რუსთველი).

„დიდად პატიოსანი კაცი იყო, გვერდს დამიჯდა; ორი მზგეფსი განმასვენა" (საბა).

სულხან-საბა თავის „სიტყვის კონაში" ასე განგვიმარტავს „მსგეფსს" — „ამ დღით მის სწორს დღემდე; შვიდეული დღეთა გინა სწორით სწორი"... შოთაც „სწორს", „თავზე" მნიშვნელობით ხმარობს მოხმობილ მაგალითში ამ სიტყვას: „წელიწადსა ერთსა მსგეფსსა" ნიშნავს „ერთი წლის თავზე, ერთი წლის სწორს" (შეადარე — კვირისთავზე, დღეისსწორს).

ზემოთ აღვნიშნე, „კვირა" ბერძნული წარმოშობისაა-მეთქი. საერთოდ, წარმომავლობისა გამო ენაში დამკვიდრებული სიტყვა არ დაიწუნება — კაცისა არ იყოს, თუ გაგვიქართველდა, რას ვერჩით, მივიღოთ — მაგრამ როცა გვაქვს ულერადობითაც, აღნაგობითაც ძირძველი ქართული სიტყვა და, რაც მთავარია, როცა მისი ხმარების საჭიროებაც იგრძნობა — რაღა გვიშლის ხელს მის აღდგინება-დასამკვიდრებლად, ან რატომ უნდა მოვიმარჯვოთ კალკი და სხვათა ენის თარგზე ვჭრათ და ვლამბოთ ქართული? ალბათ, იმიტომ, რომ თურაშაულის პატრონი ქართველები ხშირად პანტას ვეძებთ ხოლმე ტყეში.

მსგეფსის, ამ ნავლწაყრილი სიტყვის, მთავარი „გამაცოცხლებელი" შეიძლება გახდეს ფრიად საინტერესო ახალი გამოცემა — „შვიდი დღე". თეატრი თუ საკიდრით იწყება, გაზეთი, მით უფრო, სახელწოდებით. ყოველკვირეული გაზეთისათვის „შვიდი დღე" შინაარსობრივად, ცხადია, მისადაგებულია და ზუსტი, ქართულის თვალსაზრისით კი — შეუფერებელი და გონჯი.

ვიცი, რა ძნელიც არის გაზეთის დაკანონებული სახელწოდების შეცვლა. თავადაც ბევრი ჭირი გადამხდა, სანამ ოფიციალურ ორგანოებს შევაგნებინებდი, რომ რუსულის თარგზე მორგებული ფრაზის ნაგლეჯს — „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" — ბევრადა სჯობს „ბალავერი" იმ ჟურნალის სახელწოდებად, რომელიც ეროვნული სკოლის საფუძველთა საფუძვლის — დედაენისა და მშობლიური ლიტერატურის — სწავლებას ემსახურება.

დღეს სხვა დროა, თანაც — ჯერჯერობით მხოლოდ სამი ნომერია გამოსული გაზეთ „შვიდი დღისა". კოჭებშივე ეტყობა, მუხლმაგარი მეშრომე შეემატა ქართულ პრესას; მას სახელიც შესაფერისი უნდა ერქვას. სწორედ ამგვარ სახელად მიმაჩნია „მსგეფსი". რადგანაც ეს სიტყვა თითქმის მიგვავიწყდა, აჯობებს, თუ რამდენიმე ნომერს ქვეშ (თუნდაც ფრჩხილებში) მიენერება ახლანდელი სახელწოდება, ვთქვათ, ასე: „მსგეფსი" (შვიდი დღე). მერე და მერე, ყურს რომ გავიხედნით, დარჩება მხოლოდ ერთი ქართული, ძველი, ტევადი და ზუსტი სიტყვა — „მსგეფსი".

„შვიდი დღე", N 5, 1990 წ.

მარადისობის მძევალი

გუჩა კვარაცხელიას გასტუდენტებამდე არ ვიცნობდი, თუმცა, თუ არ ვცდები, მეცხრე კლასში, პოეზიისაგან ძალიან დაშორებულმა ერთმა ჩემმა კლასელმა ზეპირად მითხრა თურმე ჩვენი კბილა გოგონას სტრიქონები, რომლებიც მეც ჩამრჩა მეხსიერებაში:

ყვითელთვალება თეთრო ცირებო,
აჩუქეთ კოცნა იმ საწყალ ფუტკარს,
თქვენი სიცივე ასე რომ სუსხავს...
თორემ გახმება თქვენი ძირები,
უსიყვარულოდ გაინირებით...
ყვითელთვალება თეთრო ცირებო.

იმ წელს, 1958-ში, მედალი აღარ მედლობდა, უფრო ზუსტად, მედალოსნებიც ისევე ვაბარებდით ხუთიევე საგანში მისაღებ გამოცდებს, როგორც ნებისმიერი აბიტურიენტი. გუჩას პირველივე გამოცდაზე, ქართულ ნერაში, ფათერაკი შეემთხვა: უსმენო ადამიანზე იტყვიან, დათვმა ყურზე დააბიჯაო; რახან გემოვნებას ასეთი კონკრეტული ორგანო არა აქვს, ამიტომ, ჩავთვალოთ, რომ გუჩას თემის გამსწორებელს დათვმა თავზე დააბიჯა — ულაპარაკოდ ხუთიან თემაში დაინერა სამიანი. არადა, იმ ნელს იმდენი მედალოსანი მიაწყდა ფილოლოგიის ფაკულტეტს, შეიძლებოდა ოცდაოთხქულიანებიც გარეთ დარჩენილიყვნენ. შეფასება გაპროტესტდა... ჯერ ახლა როგორაა და მაშინ თითქმის ზღაპარი იყო, საპრეტენზიო კომისიას ნიშანი გადაესწორებინა — ორი ნიშნის ანევაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. სხვა გზა არ დარჩენოდათ — სამიანი ოთხიანად გადაუკეთეს და გუჩაც ჩაირიცხა. ჯგუფელები ვიყავით, მეოთხე კურსიდან სპეციალობაც ერთნაირი ავირჩიეთ — ქართველური ენები — და, თუ არ ვცდები, გუჩას მეტი ოთხიანი აღარც მიუღია.

ღმერთმა დამიფაროს, ადამიანის უნარ-შესაძლებლობებზე მხოლოდ აკადემიური მოსნრებით ვიმსჯელო — ბრიყვი ფრიადოსნები და ჭკვიანი ცუდოსნებიც არაა ჩვენში სანთლით საძებარი, მაგრამ გუჩასთან დაკავშირებით მისი აკადემიური ფრიადოსნობა მხოლოდ კერძო გამოვლინება გახლდათ უფრო მაღალი რიგის ფრიადოსნობისა, როცა იგი გამოცდებს უმკაცრეს გამომცდელს, ცხოვრებას, აბარებდა... და იმ პატარა ღმერთს, რომელიც, თუ ილიას ვერნმუნებით, ყოველ ადამიანს ჰყავს — საკუთარ სინდისს.

ცხოვრებამ კი გუჩას მარტო გამოცდა როდი მოუწყო, ცხოვრებამ დაუნდობლად ჰგვემა მას. შორიდან მაცქერალს, იქნებ, გაუკვირდეს კიდეც — ქალი ხუთ, ერთი მეორეზე უკეთეს, შვილსა და ჯერჯერობით ექვს შვილიშ-

ვილშია გაფუფუნებული; საზოგადოება აფასებს, უამრავი ნათესავ-მეგობარი ჰყავს, გუჩა თავს რომ ურჩევნიათ, ისეთები; ცნობილი მეცნიერია, დიდი ტრადიციების მქონე ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი; პროფესორია, დოქტორია და, რა ვიცი, ვინღა არ არის და ვინღა არ იყო — მათ შორის, მინისტრიცა და დეპუტატიცო... გეთანხმებით, თუმცა თავისთავად ტრაგიკულია, რომ, რაც, უპირველეს ყოვლისა, არის გუჩა, ხალხმა, ფართო საზოგადოებამ ეს ან ნაკლებად, ან სულაც არ იცის...

გუჩა კვარაცხელია პოეტია, თანაც — ღვთით პოეტი.

მერედა, რა არის ამაში ტრაგიკულიო, თუ მეტყვით — ტრაგიკული არაფერი იქნებოდა, ეს სტრიქონები რომ ამ ორმოცი წლის წინ დამეწერა. განა არ ვიცი, პოეტი ზოგჯერ სიკვდილის შემდეგ აღმოუჩენიათ, ზოგიც — სულაც საუკუნეთა შემდგომ. გუჩამ ექვსი ათეული წელი მოათავა და არაა იოლი, ახლა ამცნო საზოგადოებას — გამორჩეული პოეტი გყოლიაო. ბარემ აქვე ვიტყვი — არავითარ უხერხულობას არ ვგრძნობ, მანდილოსნის წლოვანებაზე ასე უცერემონიოდ რომ ვსაუბრობ. ერთგან გუჩა წერს: „ჩემი უსამკაულო საცოდავი ხელები, უკანა ეზო დაუგველი რომ რჩებათ ყოველთვის"... ამ უსამკაულო, დაშაშრული ხელების ნაოჭები ის ძვირფასი ალმასებია, რომელთაც დიახაც თამამად და დაუფარავად გამოაფენს თვითონ პოეტი.

ვერ ვთქვით-მეთქი, თავის დროზე, ვინც იყო გუჩა. პირველ ყოვლისა, საკუთარ თავს ვსაყვედურობ — მე ხომ სხვებზე უკეთ ვიცნობდი მის პოეზიას — არა მარტო 15 წლის გოგონას უკვე გამოქვეყნებულ ტრადიციულ ლექსებს, არამედ 20 წლის ქალიშვილის მაშინაც და მერეც გამოუქვეყნებელ არატრადიციულ სტრიქონებს „ორკესტრული ხმიანობის" სფეროდან. ეს ციკლი დაიკარგა, მისი ზუსტი აღდგენა კი ისევე შეუძლებელია, როგორც უსიტყვო სიმღერის „ტექსტისა".

ისე, სრული დაკარგვით არაფერი იკარგება, მათ შორის, გაბნეული სტრიქონებიც:

„აქ სძინავს პოეტს.
ზე ამოდიან დამარხული ლექსები მორცხვად
და ლიცლიცებენ ნარცეცხლების ცისფერი ალით..."

მაგრამ ამის შემდეგ გუჩა კვარაცხელიამ დიდხანს „დაიდუმნა".

ბუნებამ შექმნა ინსტრუმენტი — ეს უკვე მისი ადრეული ლექსებიდან ჩანდა — რომელიც „იჭერდა" ჩვენთვის უხილავ ფერებსა და ხმებს. აი, ამის „გადმოთარგმნას" კი მკითხველის ენაზე ის სჭირდებოდა, რის გამოც ახალგაზრდა ქალი, ჩემი აზრით, დადუმდა: გუჩა უამრავ რასმე ხვდებოდა, მაგრამ მკითხველიც რომ ამასვე მიახვედრო, აქ უკვე მიხვედრა, ალღო, გეში აღარა კმარა, პოეტმა უნდა იცოდეს. აქ მარტო და იმდენად ინფორმაციულ ცოდნას როდი

ვგულისხმობ — ეს, თავისთავად: პოეტი უნდა სწვდეს იმ იდუმალ კავშირებს საგანთა შორის, რომელიც აწესრიგებს სამყაროს. ამას კი კოლოსალურ ნიჭზე არანაკლებ კოლოსალური შრომა სჭირდება, ყოველდღიური, დაძაბული მუშაობა ინტელექტისა წიგნზე, ადამიანზე, ბუნებაზე — სხვანაირად საგანი, მოვლენა, სამყარო არ „გაგეხსნება". პოეტი იქცევა ერთგვარ ღრუბლად, რომელიც შეინოვს, შეისრუტავს წინამავალთა გამოცდილებას: აგროვებს და ამწიფებს თავის წიაღში წინამორბედთა ხმებს, სახეებს, ხილვებს, ზმანებებს. მაგრამ თვით უმდიდრესი ბიბლიოთეკებიც — ეს გიგანტური სიბრძნისსაცავები — უძლურნი არიან თუნდაც ერთი წიგნი შვან. პოეტმა კი თავისი წიგნი უნდა შვას, რომელიც, რეალური შვილისა არ იყოს, წინაპრებს კი ჰგავს მეტნაკლებად, მაგრამ ერთადერთია და განუმეორებელი. ვიმეორებ, ასეთი წიგნი მხოლოდ მწიგნობრული ცოდნით არ იბადება: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა" — აკი ბრძანებდა ის კაცი, ვისაც, უნდა-არ უნდა, ყველა ქართველი პოეტი მაინც ეზმანება, უფრო სწორად, ქართველი მკითხველი აზმანებს, როგორც საზომთა საზომს. ქმედებით შემეცნებას კი თვეები და ზოგჯერ წლებიც არა ჰყოფნის — ეს პოეტის (და — არა მხოლოდ პოეტის) მთელი ცხოვრების თანამდევი პროცესია; ოღონდ ქმედებისაგან მიღებულ ანუ ქმედით ცოდნას პოეტი მხოლოდ ქმედებით როდი ავლენს, იგი მას სიტყვადაც გარდათქვამს და ახალ ცოდნად უბრუნებს მკითხველს, საბოლოო ჯამში — ცხოვრებას. გუჩამ ცხოვრების ამ „ვალის" გასტუმრება — არა ცალკეული ლექსების — წიგნების სახით, თითქმის ოცდახუთნლიანი „შესვენების" შემდეგ დაიწყო, თუ „შესვენება" შეიძლება ეწოდოს იმ ქვის კოდვას, რაც სიტყვაზე და სიტყვასთან მუშაობას სჭირდება. თავისი ცხოვრების ორი წიგნი კი — „მართალთა და ულმრთოთა გზები" და „ჩვენ, ძილში გაპარულები" — მან სულ ახლახან გამოსცა. გამოსცა და, ღმერთმა დიდი დღე მისცეს, სიკვდილის უფლებაც მოიპოვა, რაც ბევრ ჩვენგანს ჯერ კიდევ მოსაპოვებელი გვაქვს.

მაშ ასე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა გუჩა კვარაცხელიაში ღვთით მომადლებული ჰარმონიის ნიჭი ასევე ღვთით ბოძებულ შრომის, ქმედების უნარს შეერწყა და მეტიც თითქოს აღარაფერი იყო საჭირო პოეტის, ღვთით პოეტის, მოსავლინებლად.

არადა — ყოფილა.

მარტო ნიჭისა და შრომისაგანაც კი პოეტი არ შედედდება; როგორც ყველს მაჭიკი, ცომს საფუარი, მასაც სჭირდება „მარილი ქვეყნისაი, რაითამე დაიმარილოს".

და სახელი ამ „მარილისა" — ტანჯვა.

გუჩა მეორე კურსზე გათხოვდა, თუმცა უნივერსიტეტელ ძმაკაცებს საქმრო ადრევე წარმოგვიდგინა — თენგიზ ომიაძე.

ვერის ბაღთან ვცხოვრობდი, ჩვენი საკალათბურთო „მექის" წინ, და ეს

ბიჭი — კარგად ასხმული, ხიოჭი, — მოედნიდან მახსოვდა: ჭკვიანი იყო, უზუსტეს პასებს იძლეოდა, მოკლედ, თამაშს ის ალაგებდა. სპორტსმენებზე უკუღმართული აზრი ახლაც ბოგინებს — დაკუნთული მკლავი, სლიპინა ტვინი; თენგიზ ომიაძე კი ჯერ ხერხი ანუ ჭკუა იყო, მერე — ღონე. მარტო მოედანზე არა — ცხოვრებაშიც. საერთოდაც, რაც კაცი ცხოვრებაში ვერ არის, ის ვერც ასპარეზზე იქნება.

გუჩას და მე საერთო სიყვარულიც გვყავდა — ლეჩხუმი, ჩვენი ზიარი დედულეთი. სწორედ ლეჩხუმში გამიგონია სიტყვა „მარძიკიანი" — ხიფათიან, ფათერაკიან კაცზე იტყვიან, განსაცდელი, უბედური შემთხვევა, აყალ-მაყალი რომ თანა სდევს (საბასთან ჩავიხედე და, „მარზიკნი" — **მბრძოლნი მაოხარნი** ანუ **მარბიელნი** აღმოჩნდა).

თენგიზ ომიაძე მარძიკიანი იყო.

არა საბასეული, არამედ ლეჩხუმური გაგებით: ხიფათა.

არა, ის არ ყოფილა თვითდამტკიცების ჟინს აყოლილი ჯეელი, სხვისი დაჩაგვრა-დათრგუნვით რომ საკუთარი ზეგავლენის დამკვიდრებას ლამობს; ის თვითონ არასოდეს ეძებდა ფათერაკს, არ ქმნიდა კონფლიქტურ სიტუაციას, არ ტარიელმკლავაძეობდა, ჭკუა არც იარაღზე ეკეტებოდა, თუმცა, თავისი თავის ყადრისა და ფასის მცოდნეს, ხიფათს გარიდება და, მით უფრო, „ქვეშიდან გამოსვლა" არა სჩვეოდა. მთელ უბანს, მთელ პლეხანოვს უყვარდა და პატივს სცემდა... სწორი ბიჭი იყო, სწორად ცხოვრობდა და ამით სხვასაც უადვილებდა ცხოვრებას. საერთოდაც, ადამიანი ერთი რომელიმე თვისების გამო არ უყვარდებათ — ცალკეული თვისებით ან უნარით კაცის მხოლოდ მოწონება შეიძლება. ადამიანი უყვარდებათ ერთიანად, მთლიანობაში, ვისთვის მოსაწონი, ვისთვის დასაწუნი ჩვევებით, ხასიათით, გარეგნობით; გუჩას და თენგიზს ერთმანეთი სკოლის მერხიდან უყვარდათ. მერე გუჩა დაწერს:

„ვერა, ვერაფრით ვიხსენებ დროს,
როცა ჩემთვის არ არსებობდი...
როდის არ მყავდი, არ მახსოვს ის დრო."

როცა ადამიანი ივსები სხვა ადამიანით, ერთგვარად აზრსა ჰკარგავს კითხვები — რა მოეწონა, რამ შეაყვარა?.. გუჩასა და თენგიზთან ეს კითხვებიც არ გაჩენილა — მათ ერთმანეთი კი არ შეავსეს, როგორც ზოგჯერ ამბობენ განსხვავებული ხასიათის ადამიანებზე, მათ ერთმანეთი აავსეს: გუჩა თენგიზში გადაისხა და თენგიზი — გუჩაში, ოღონდ ისე სასწაულად, რომ გუჩა გუჩად დარჩა და თენგიზი — თენგიზად.

და რახან თენგიზი თენგიზად დარჩა, ის დარჩა მარძიკიან კაცად. კალათბურთს თავი დაანება, ჩინებული სამთო ინჟინერი დადგა, წლების მანძილზე

რაჭაში ირის გამამდიდრებელ ქარხანას ხელმძღვანელობდა; ერთმანეთის მიყოლებით გაჩნდნენ თათა, დარეჯანი, სალომე, გვანცა, შალვა... ბავშვები გუჩას თენგიზის სიყვარულში არ ჩაუზიარებია: როცა მეხუთე ნანატრი ვაჟი, შალვა, შეეძინა, სალაღბოდ ეკითხე — თენგიზი გადასნონის თუ შალვა-მეთქი; ძალიან სერიოზულად მიპასუხა — თენგიზი ხუთივეს ერთად გადასნონისო.

მარძიკიანი კაცის ამბავი კი მოგეხსენებათ: სულ რომ არაფერ შუაში იყო, ვიღაც გზაკვალარეულმა დანა მუცელში გაუყარა. სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს და გადაარჩინეს... მაგრამ გავიდა წელი, კაცი შეშუპდა და, ყველას რომ გვეგონა, სიმსივნე სჭირსო, ხელმეორედ გაკვეთეს და ნინა ოპერაციის დროს მუცელში ჩარჩენილი ტამპონი ამოუღეს. რესტორან „რუსთავში", მისი სახლის წინ, ოფიციანტს ესროლეს; მთელმა ქალაქმა იცოდა, მკვლელი ვინც იყო, მილიციამ კი თენგიზი აიყვანა... ჯგუფურ ჩხუბში თენგიზი დაუზარალეს, მაგრამ ამ საქმეზე ციხე კარგა ხნით სწორედ მას ახეხინეს... და ასე დაუსრულებლივ... 1977-ში, ნაფეხბურთალზე, ქეიფის იშტაზე მოსული ძმაკაცები, თათარიახნი პურ-მარილით მეგობართან მივიდეთო, ამტყდარან... თენგიზს — სიურპრიზად — ცოცხალი მამალი უყიდია... შესულან ჭიშკარში, თენგიზს მამალი ხელში აუბათქუნდა და გაუფრინდა. გაფრენა ეგრე არ უნდაო, დააძრო ერთმა ნაგანი და მამალს დააყარა... მერე ამბობდნენ, ტყვია მოაჯირმა აისხლიტაო... აისხლიტა-არ აისხლიტა — თენგიზი კი ამ ტყვიამ წელში გახვრიტა — ხერხემალში გაეჩხირა და ზურგის ტვინი დაუზიანა.

გაუკეთეს ოპერაცია ერთხელ, ორჯერ... ტყვია ამოუღეს, ნერვთა სადინარებიც თითქოს გაუხსნეს... ვინ არ ჩამოიყვანეს, სად არ წაიყვანეს, ვის არ აჩვენეს, რა არ ასვეს და რა არ გაუკეთეს... საშველი არ ჩანდა — წელსქვეით მოწყდა, ლოგინად ჩავარდა, გაუსაძლისი ტკივილი კედლებზე გაიყვანდა, განძრევის თავი რომ ჰქონოდა; გახდა, დაილია, გამაყუჩებლები ვეღარ მოქმედებდნენ, იტანჯებოდა და მისმა წამებამ ჩვენც ლამის ჭკუიდან გადაგვიყვანა. ტვინი ბოლომდე სრულფასოვნად მუშაობდა, ბუნება, ხასიათი შეინარჩუნა — უბედურებას არ გაუბოროტებია, მაგრამ ტკივილმა შიგნიდან გამოღრღნა, გამოფქვა ეს დევივით ვაჟკაცი. აფუთფუთებულმა ნერვებმა ძვლებიც გამოუსვრიტეს. გალოპრილი ჩონჩხი და ამ ჩონჩხზე გადაკრული კანიღა დარჩა. საწოლზე გვერდს რომ უქცევდნენ, ნაღდად არ მეჩვენებოდა — ძვლების რაჩხუნი მესმოდა. მისი გადაბრუნება კი ცხრა წლის შალვასაც შეეძლო, გადაბრუნება კი არა, თუ დაანებებდნენ — ხელში აყვანა და სათამაშოსავით ტარებაც. შვიდ წელს ეწამა — სხვა რომ შვიდ დღეს, შვიდ საათს, შვიდ წუთს ვერ გაუძლებდა იმ წამებით, ცარიელი სუნთქვაღა დარჩა და

„დამშვიდობების შეისუნთქე უსიტყვო კვნესა...
სამარადისოდ ჩამასახლე მდუმარებაში,
შენი თვალების ქუთუთოთა მიღმა რომ დარჩა".

მაგრამ თენგიზის ტანჯვაც კი რა მოსატანია გუჩას ტანჯვასთან...

„არ ითარგმნება სიზმრების სევდა,
და ის სიტყვები,
რომელთაც ძალუძთ გამოღეჭონ ბოლომდე გრძნობა,
არ იპოვება...“

გუჩას არავისთვის — თავის დისათვის, დედამისისათვისაც — არ დაუნახ-ვებია, მთელი ამ შვიდი წლის განმავლობაში როგორ ნელ ცეცხლზე იწვოდა.

„როგორც ნელ ცეცხლზე გამოიწვის მაიოლიკა,
მეც ისე ვიწვი,
მოჭიქული და მოხატული ჩემივე ცრემლით“.

თენგიზის სიკვდილით მარტო ქმარი არ მოჰკვდომია — მეექვსე შვილი მოუკვდა, რომელსაც ზედ გადაჰყვა, გადაეგო და ფეხი კი ვერ აადგმევინა.

ცრემლი არც ჩემთვის დაუნახვებია, მაგრამ მე ახლაც ვხედავ ბალიშს კბილებით ჩაფრენილ ქალს... მესმის ცალად დარჩენილი ძუ მგლის უკან ჩაბრუნებული ყმუილი, ლეკვები რომ არ დააფეთოს.

„როგორი შვებით
შენს მაგივრად
შენს სამარეს ამოვავსებდი“.

თენგიზი წავიდა, მაგრამ გუჩა, თენგიზის მწიაღებელი, თენგიზს ინახავს, აცოცხლებს, ასხივებს:

„მე შენ გირეკლავ, გამუდმებით გასხივებ ჩემგან.
ვერავინ ამჩნევს ამ ნათებას, ამიტომაც — მხოლოდ ჩემია.
დაგინარჩუნე, ბოლოს მაინც დაგიმარტოვე.
ვეალერსები შენს ყრმობას,
ჩემში დატოვებულს სინათლესავით“.

ზემოთ ვთქვი, პოეტი თავის წიაღში ამწიფებს წინამორბედთა ხმებს, სა-ხეებს, ხილვებს-მეთქი. ოთარაანთ ქვრივის ერთი ფრაზა გაიხსენეთ — ქმრის, თევდორეს, დანატოვარი თოფის რიტუალური წმენდისას გულამომ-ჯდარი ლოცვა-ტირილიდან ქვრივის ერთი ამონაკვნესი: „ვაი უშენოსა! ყვი-რილობის თვეში რომ ირემს მომაყენებდა ურმით! იმისი ზარიანი ხმა რომ ყურს მომხვდებოდა, გული გადამიტრიალდებოდა სიხარულით“ (სიტყვამ მოიტანა და, ამის მთქმელში სწორედაც ქალი, კაცის გამაბედნიერებელი და კაცისაგან გაბედნიერებული ქალი ვერ დაინახო, და დაინახო „გამამრებუ-

ლი მდედრი" — მართლაც ვერშემდგარი ქალი უნდა იყო, ვერშემდგარი კაცების ანაბარა დარჩენილი); ახლა გუჩას მოუსმინეთ:

„აღდგომა უნდათ შენს ნივთებსაც —
სანთებელას, საფერფლეს, საათს,
საგულდაგულოდ ბნელ უჯრებში გადამალულებს,
რომ თვალი უცებ არ მომიხედეს;
დამცეცხლავია მათი ხილვა მოულოდნელი...
შენი არყოფნის მზარავს ელდა ისევ და ისევ,
თითქოს ყოველდღე და ყოველ წამს კვლავ მიკვდებოდე".

ისევ ოთარაანთ ქვრივს, ახლა უკვე თავისი გიორგის სიკვდილით თევდორეს მეორედ დამკარგავ ორგზის ქვრივს მიუგდეთ ყური შობის ღამეს: „ვინ მეძახის, ვინ — წადი, წადიო? რად მეწევა, რად? მოვდივარ, მო..."

ამ ხმას გუჩა გააგრძელებს, ქმრის ანუ მეექვსე შვილის ხმას მიყურადებული:

„მომდგარა ღამე ფანჯარასთან შაოსანი მონაზონივით...
ცას აცახცახებს ვარსკვლავების ცივი ციმციმი.
მეძახდა ვინმე?
სადმე მიხმობენ?
მეწეოდნენ?
აი, აქა ვარ,
მიუსვლელსა და მოუსვლელს შორის
ხიდზე ვდგავარ, არ მეშინია.
იქაურობის, რა ხანია, არ მეშინია.
იქ ხომ შენა ხარ, სანატრელო!
შენი იქ ყოფნით მიმსუბუქებ აქედან წასვლას.
მე ვდგავარ ხიდზე,
ვით მძევალი მარადისობის".

ესეც უნდა ითქვას: ნაღდ პოეტს ცხოვრებამ — ასე არ ხდება, თორემ — ცივი ნიავიც რომ არ მიაკაროს, სხვათა ტანჯვით ის მაინც ტანჯული იქნება. გუჩა კვარცხელია, საკუთარი თუ სხვათა ტანჯვის ეს შემგროვებელი, ალქიმიკოსია, ტანჯვას რომ შვებად გადაადნობს... მკითხველის შვებად.

გუჩას, უბედურებით ბედნიერს, სახელშიც გაუმართლა: ლამის ერთადერთს ჰქვია... მე ვინ ვარ, მერმისის დაფნები ვარიგო — მარტო იშვიათი სახელის იმედადაც მტერი დარჩეს — მაგრამ, ვინ იცის, სამომავლოდ ამ სახელს, იქნებ, გვარით შემაგრება აღარც დასჭირდეს.

„ლიტერატურული საქართველო", 26.12.2000

სამშობლომანი

თავისი ქვეყანა ყოველ ნორმალურ ადამიანს უყვარს, მაგრამ მხოლოდ ერთეულებს უყვართ სამშობლო საკუთარ თავზე მეტად.

ნორმიდან ასეთი გადახრილი შეიძლება შლეგიც იყოს და ბრძენიც.

ვიქტორ ანუ დოდო რცხილაძე — სამშობლოზე შეყვარებული-მეთქი, ვერც ვამბობ — საქართველოთი შეპყრობილი კაცია; მეტიც ითქმის — სამშობლოთი დაავადებული ანუ სამშობლომანი.

დოდო, რაც თავი მახსოვს, სულ საქართველოს ათავისუფლებს.

მახსოვს კი იგი ბავშვობიდან: ჩემმა თანაკლასელმა მერაბ მახარაძემ თავის დაბადების დღეზე კარის მეზობელი შემოიპატიჟა — ასაკით ჩვენზე ერთი ნლით პატარა და ზომა-წონით ჩვენზე ორჯერ დიდი ბიჭუნა.

გოლიათი ბავშვები, ჩვეულებრივ, ბუნჩულები არიან, მიმნდობი, დამჯერე ხასიათისა.

დოდო ძნელი ბავშვი გახლდათ.

ომისშემდგომი თაობის თბილისელ ბიჭებს ძირითადად ეზო გვზრდიდა — ბურთი და „გრძელი ვირი", ლახტი და „სამაკატკა", „ბიჩოკები" და ბირჟა.

დოდო ქუჩურ ცხოვრებას აგრერიგად ვერ ეწყობოდა, თუმცა არც „დედიკოს ბიჭი" ეთქმოდა.

ისე — „დედიკოსაც" გააჩნია: იმსილამაზე დედა ჰყავდა (და — ღმერთმა დიდი დღე მისცეს — ახლაც ჰყავს!), რომ ასეთი დედიკოს ბიჭობას ვერც ითაკილებდი.

არც მისი გოლიათობა უნდა გაჰკვირვებოდა ვისმე: მამამისი, გულო რცხილაძე, საქვეყნოდ განთქმული ტანმოვარჯიშე, ფიზიკურ სრულყოფას განასახიერებდა... და, სხვათა შორის — სულიერსაც.

სიყმანვილეშივე გავარკვიეთ, რომ ზიარი საყვარელი გვყოლია — წიგნი. უცნაური ბიჭი იყო-მეთქი: მე თუ ყველაფერს უსისტემოდ და ერთბაშად „ვნთქავდი", დოდო სკოლის მერხიდანვე შერჩევით, გამიზნულად და დაგეგმოვნებით კითხულობდა. გაივლის ნლები და შოთა ჩანტლაძე, იატაკქვეშა ტალანტების შეუმცდარი ჭაშნაგირი და თავადაც იატაკქვეშა გენიოსი, დოდოს ხუმრობით „დიდი ქართველი მკითხველის" ტიტულს უბოძებს.

შენ ხუმრობა უძახე და — საქართველოს დიდი მწერლები უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე დიდი მკითხველები.

ცამეტ-თოთხმეტი ნლისანები ვიქნებოდით, დოდო რომ გამენდო — საქართველო უნდა გავათავისუფლოთო.

შევითქვით.

შეთქმულება მარტო ფერმკრთალი როდია („...როგორც ფერმკრთალი შეთქმულება აჯანყებისთვის" — გალაკტიონი), შეთქმულება მათრობელა

განცდაც გახლდავთ, მით უფრო — საქვეყნო საქმისათვის, თუნდაც ამ საქმეს საულვაშეშეულინლლავი ლლაპები შეეჭიდონ.

შევთანხმდით — საქართველო რომ გაგვეთავისუფლებინა, ჯერ ჩვენ თვითონ უნდა გავთავისუფლებულიყავით შიშისა და უვიცობისაგან.

შიშისაგან განთავისუფლებას, ცოტა არ იყოს, ბავშვური მეთოდით ვცდილობდით — ღამ-ღამობით ვაკისა და კუკიის სასაფლაოზე მარტოდ-მარტო დავიარებოდით.

მაგრამ საქართველოს გასათავისუფლებლად მარტო სიმამაცე არ იკმარებდა, ამ საქმეს არანაკლებ, თუ მეტად არა, ცოდნა სჭირდებოდა, სიბრძნესთან ზიარება... და დოდომ, ჯერ კიდევ ბავშვმა, თვითსრულყოფის ისეთი გეგმა შემომთავაზა, წუნს დღესაც რომ ვერ დასდებს კაცი: ბრძენკაცთა ანუ ფილოსოფოსთა წიგნების გარკვეული ნესით შტუდირება, ერთ-ერთი უცხოური ენის, სასურველია — გერმანულის, სრულყოფილად დაუფლება, მუსიკის, განსაკუთრებით — კლასიკურის, ესთეტიკურ სამყაროსთან ზიარება და სპორტის ერთ-ერთ კონტაქტურ სახეობაში დაოსტატება.

წიგნებსა და სასაფლაოებს ერთნაირი წარმატებით შეეუტიეთ, დანარჩენებზე კი — რა მოგახსენოთ, თავად დოდო კი გერმანულსაც სრულყოფილად დაეუფლა, მუსიკის სამყაროსაც ღრმად სნვდა და კრიეშიც „მკლავნი გაიმამაცურნა".

ეს ყველაფერი მაინც საშუალებად მიგვაჩნდა, მიზანი რუსეთისაგან საქართველოს დახსნა იყო.

კინაღამ დამავიწყდა: დავიფიცეთ, რომ საქართველოს განთავისუფლებამდე ცოლებს არ მოვიყვანდით — სამშობლოს სიყვარულში ცოლ-შვილის სიყვარულიც კი არ უნდა ჩაგვეზიარებინა.

მოკლედ, მთელი ბავშვობა და სიჭაბუკე მეგობრებზე მეტი, განდობილები ვიყავით, ერთმანეთის „ალტერ ეგო", თუმცა — არა ყოველთვის: მერე და მერე ჩვენი ურთიერთობა ზღვის მიმოქცევას დაემგვანა, ოღონდ მასავით თანაზომიერი არა ყოფილა — მიქცევა ანუ განშორება ზოგჯერ წლობითაც გაგრძელებულა, უკანასკნელი გაუცხოება კი, 1974 წლიდან მოკიდებული, მთელ თხუთმეტ ნელინადს გაიჭიმა.

ეჭვიანობა მარტო მიჯნურთშორისი გრძნობა არ გახლავთ, მეგობართშორისიც არის, თანაც — არანაკლებ მძაფრი.

და არის ეჭვიანობის ერთი ობიექტიც — სამშობლო.

თხუთმეტწლიანი ჩვენი უბრობის პერიოდი ვახსენე... სნორედ მაშინ, ისევ გალაკტიონს დავესესხები, „ვიღაც მესამე, ვიღაც მახინჯი ჩადგა ჩვენ შორის" („ედგარი მესამედ").

მე ამ „მესამესთან" ისე ახლო არ ვმეგობრობდი, რომ მისი ღალატი მენვნია.

დოდომ იწვნია.

დოდო რცხილაძე იმ პერიოდშიც ათავისუფლებდა საქართველოს... რეა-

ლურად ათავისუფლებდა, ოღონდ სხვა ხალხთან ერთად... „მესამესთან" ერთად. ამ „მესამის" გვერდით კი მე ვერ დავდგებოდი... ვნვალობდი, მაგრამ მაშინაც ვერ გადავახტი საკუთარ თავს, როცა ისინი დააპატიმრეს.

დოდო რცხილაძეს ჯერ „სუკის" ციხე ახეხინეს, მერე შორეულ ყაზახეთის უდაბნოში გადაასახლეს ოთხი წლით.

გათეთრებული დაუბრუნდა თბილისს — იმ თბილისს, რომელიც სულიერი თვალით მოიხელთა და დააფიქსირა კიდეც თავისი რომანით — „თბილისი".

დაუბრუნდა გაუტეხელი — ამის დასტურია მისი ღვნა მწერლობაში, მეცნიერებაში, პოლიტიკაში...

დოდო რცხილაძე არ გამტყდარა.

საერთოდაც, სამშობლომანები არა ტყდებიან.

სამშობლოს გათავისუფლება კი, პიროვნული თავისუფლებისა არ იყოს, დაუსრულებელი პროცესი აღმოჩნდა; მეტიც ითქმის — თვითონ განთავისუფლების პროცესს დღეს უკვე აღვიქვამ სიცოცხლის მარადიულ ფორმად.

ჩვენ დღესაც ვთავისუფლდებით შიშისაგან, უვიცობისაგან, ჩვენი ეჭვებისაგან...

ესე იგი —

ჩვენ დღესაც ვათავისუფლებთ საქართველოს.

„ლიტერატურული საქართველო", 10.10.2001.

დალვრილსა და დასალვრელს

გალაკტიონი ერთგვარი სინანულით ბრძანებდა:

„დაელიოთ ჩვენ იმ კარგი დროის შესანდობარი,
ოდეს პოეტი იყო არა მხოლოდ პოეტი,
პოეტი იყო ბედუინი და მეომარი,
პოეტი იყო მოსამართლე და კიდევ მეტი —
იყო გრიგალი, იყო შერყევა, იყო მსოფლიო ძალა უგეში,
მისთვის არ იყო რამ შეფერხება,
იგი უყვარდათ, როგორც ნუგეში".

ჯაბა იოსელიანი, მწერალი და მეომარი, მართლაც რომ ბედუინივით არის ცხოვრებას მიხლილ-მოხლილი. დოლაბი არ დატრიალებულა მის თავზე, თორემ ჯოჯოხეთის ყველა გარსი მოუხილავს და სიკვდილსაც ბევრ-

ჯერ დაუსუნთქავს; ჭაბუკობიდანვე გრიგალიც ყოფილა და შერყევაც; მასში მართლაც ხედავდნენ ნუგეშსა და სასოებას: ბრძოლის წინ სიკვდილზე წამსვლელი ბიჭები ავგაროზსავით ავლებდნენ ხელს, რათა მათზეც გადმოსულიყო ჯაბასეული მუხტი.

ჯაბა უყვართ ძალუმი სიყვარულით... და ასეთივე, თუ მეტით არა, მძვინვარე სიძულვილით სძულთ იგი. არადა, თანაგრძნობის მეტს რას უნდა იმსახურებდეს კაცი, ვინც შავი სამყაროდან სულიერად განწმენდილი ამოიზიდა მწერლობაში, მეცნიერებაში, პოლიტიკაში? მიფიქრია ამაზე, მიზეზებიც მიჩხრეკია და ასეთი საჭოჭმანო დასკვნაც გამომიტანია:

მამაცმა ქართველმა შეიძლება გაპატიოს სიმხდალე — მხდალი ქართველი არასოდეს გაპატიებს სიმამაცეს...

გონიერმა ქართველმა შეიძლება გაპატიოს უგუნურება — უგუნური ქართველი არასოდეს გაპატიებს გონიერებას...

სულგრძელმა ქართველმა შეიძლება გაპატიოს სულმოკლეობა — სულმოკლე ქართველი არასოდეს გაპატიებს სულგრძელობას.

ვერც საქვეყნო განსაცდელის ჟამს ჩირგვებში ჩამძვრალი ჯეელი აპატიებს 70 წლის ჯაბა იოსელიანს სამშობლოსათვის იარაღის ხელში აღებას, ვერ აპატიებს, რომ ჯაბამ თავისი ერთადერთი შვილი, ამ ჯეელის კბილა, გვერდით დაიყენა და წინა ხაზზე აომა. ნამუსის მოსაწმენდი და საკუთარი სიდედლის გამამართლებელი გზაც გამოიძებნა: „მხედრიონი" მარადიორთა კრებულად, ჯაბა იოსელიანი კი კრიმინალთა თავკაცად უნდა წარმოჩენილიყო. იმდენად — სხვების არა, ამით უფრო საკუთარი თავის მოტყუების საშუალება ეძლეოდათ: ბანდიტების გვერდით ხომ არ ვიომებდითო; ან — შვილს ხომ არ ვაომებდითო.

ეს კიდევ არაფერი, ზოგს ახლა უკვე თავიც მოაქვს — სხვები რომ აფხაზეთში ყაჩაღობდნენ, მე უცხოეთში დისერტაციას ვიცავდიო... ან — მე ბიზნესი ოთხმოცდათორმეტში გამოვინყე, ეს მილიონები ჩემი გაპოლიტიკოსების მერე არ დამიგროვებიაო.

მიჭირს ამის თქმა, მაგრამ, დალოცვილო, უცხოეთში დისერტაციის დაცვას, შინ საკუთარი მინა-წყლის დაცვა არ აჯობებდა? იმიტომ მიჭირს, რომ თვით ომის დროსაც კი არ უნდა ჩაკვდეს არც განათლება და არც ბიზნესი... მაგრამ ისიც უნდა ითქვას — როდესაც სამშობლოს ბედი ბენვზე ჰკიდია, მაშინ უპირველესი და უმაღლესი გამოსაღები საკუთარი სისხლია.

„მხედრიონმა" ეს სისხლი გაიღო; შენ ვერ შეძელი მისი გაღება — შენ მაშინ ან ფულს აკეთებდი, ან კარიერას.

ყველა ვერც იქნება გმირი, მაგრამ ყველას უნდა ანუხებდეს სინდისი... დაოკდი მაინც, კაი ცხოვრება აფხაზეთში ჩაწოლილი ნახევრად დაუმარხავი მხედრიონელების ძვლებზე ხომ მოიწყე და ახლა განახევრებულ „მხედრიონს" ცოცხლად მაინც ნუღა მარხავ, სირცხვილია.

მე ამას კონკრეტულ პირს არ ვეუბნები — ჩვენს გულმავიწყსა და უმადურ საზოგადოებას მივმართავ, თანაც არც საკუთარ თავს გამოვმიჯნავ მისგან.

ვაკის არჩევნებში მონაწილე კანდიდატთაგან რამდენიმეს კარგა ხანია ვიცნობ — ირინა სარიშვილს, მარიკა ბაღდავაძეს, გია ჟორჟოლიანს, გოჩა ფიფიას, მიხეილ სააკაშვილს... არამარტო ვიცნობ, ზოგთან მითანამშრომლია კიდეც. მე შორს ვარ იმ თავდაჯერებული პოზიციისაგან, დამხობილი ხელისუფლება რომ ამკვიდრებდა: საქართველოს მიტერანისა და ბუშის დონის პოლიტიკოსები იმდენი ჰყავს, სხვა ქვეყნების მომარაგებაც შეგვიძლია პრეზიდენტებითა და პრემიერებითო... პიანინოს ამწყობებისა და სკოლის დამლაგებლების მწვავე დეფიციტს განვიცდით და, დავიჯერო, ქვეყნის ამწყობთა და სახელმწიფოს დამლაგებელთა ასეთი ცვენა გვქონდეს? ამიტომაც, მიუხედავად იმისა, ვეთანხმები თუ არა ზემოჩამოთვლილ კანდიდატთა პოზიციას, მიმაჩნია, რომ თვითეული მათგანი (და, იქნებ, ზოგი სხვაც!) სასურველია აირჩეს საქართველოს პარლამენტში. ვიმეორებ, მათი პარლამენტარობა სასურველია.

ჯაბა იოსელიანის პარლამენტარობა კი, ეფიქრობ, აუცილებელი გახლავთ.

აუცილებელია არა ჯაბა იოსელიანისათვის, აუცილებელია საქართველოს პარლამენტისათვის; უფრო მეტიც — აუცილებელია საქართველოსათვის.

ამიტომაც მე ხმას ჯაბა იოსელიანს მივცემ.

თუმცა — მარტო მას არა: მე ამით ხმას ვაძლევ სანდრო შაიშმელაშვილსა და საშა იოსელიანს, ირაკლი ამირეჯიბსა და კოკა კლდიაშვილს, რატი კიკაჩეიშვილსა და მიშიკო ქორიძეს, ლევან აბაშიძესა და აჩიკო ამაღლობელს... ხმას ვაძლევ ასობით „მხედრიონელს", გვარდიელსა და მოხალიძე ჭაბუკს, აფხაზეთში სისხლდანთხეულებს.

მარტო დაღვრილს არა — მე ამით ხმას დასაღვრელ სისხლსაც ვაძლევ, რომელსაც, თუ საქართველომ მოითხოვა, ისევ ბებერი ჯაბა და მისი ბიჭები გაიღებენ.

„ლიტერატურული საქართველო", 15 ნოემბერი, 2001 წ.

სიმღერა

რა ადგილი უკავია მუსიკას შენს ცხოვრებაშიო, მეკითხები...

აბა, რა გითხრა.

მახსოვს, ერთმა ყმანვილმა, ეტყობა, თავგადაკლულმა მელომანმა, ეს კითხვა აქეთ შემოგვიტრიალა: თქვენ თუ მიპასუხებთ, რა ადგილს იკავებს თქვენს ცხოვრებაში ჰაერი, წყალი ან პური — მე მუსიკა კიდეც მშივდება და კიდეც მწყურდებაო.

მართლაც, მუსიკა ზოგისთვის ყველაფერია; ასეთები არიან ნაღდი მუსიკოსები, შესაძლოა, არაპროფესიონალი, მაგრამ დიდი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები. ჩემდა საუბედუროდ, მე ასეთი არა ვარ და არც ის კაცი გახლავართ, ვისაც შეუძლია მუსიკის გულისათვის ქალთან პაემანი დათმოს, მიჯნურს არ შეხვდეს, ოღონდ მუსიკას შეეყაროს. მაგრამ მეც და ბევრი სხვაც, ჩემნაირად „დადუმებული, ვით მიწაში ჩაფლული ზარი", ბედმა ბოლომდე არ გაგვნირა და იმის უნარი მაინც მოგვმადლა, სხვათა ზარების რეკვა შევიგრძნოთ. შევიგრძნოთ კი არა — მათი მოსმენისას ლამის გულ-ღვიძლი ამოგვიბრუნდეს: სუნთქვა გვეკვრის, ცრემლი გვახრჩობს, სახსრებში ვიშლებით... სანდრო კარიძე ხომ გახსოვთ „დათა თუთაშხიადან": ქართული სიმღერის მოსმენაზე ეს ფხიზელი გონების კაცი, თანამდებობით ცენზორი, ცრემლებად იღვრებოდა. ასე მხოლოდ ერთეულებს ან განსაკუთრებული სულიერი წყობის ხალხს არ მოსდის — ასე ბევრს ემართება და, მათ შორის, მეც: „ხასანბეგურას" როცა ვისმენ, ფინალისაკენ — „რადგან ჩემი ძმაი იყო, ბოლოს მაინც მე დავმარხე" — გორგალი გამეჩრება ხოლმე ყელში...

ანდა — „ჩაკრულოს"...

ანდა — „ლილეოს"...

ანდა — „მრავალჟამიერს": რანაირად დაიძვრის კანიდან — არა, კანის ბუსუსებიდან — ურჟოლა, ჯერ უნერილეს კაპილარებში შემოატანს, მერე მძიმედ, მაგრამ ყოვლისწამლეკავი ენერგიით ამოჰყვება ზურგის ძვალს და ბოლოს ქშუილით აიჭრება ტვინში, მის ზემოთ, და მეც, მინიერ, ცოდვილ არსებას, თითქოსდა ხორცს დამაყრევინებს და ზეცისკენ ამაქანებს.

მაგრამ უნდა იყოს, ჩემი ვარაუდით, ერთი ჯურის ხალხი — სრულიად განსაკუთრებულნი — ვისთვისაც მუსიკა არსებობს მუსიკის გარეშეც. წეღან მოგახსენეთ სიმღერის ძალაზე — მისი წყალობით მსმენელი თითქოს წონას ჰკარგავს და, მატერიისაგან განძარცვული, შინაგანად განწმენდილ-განახლებული, ვარსკვლავთა საუფლოსაკენ აიზიდება; ასეთი განცდა ბევრს გვეუფლება-მეთქი, მაგრამ არიან დიდი მუსიკოსები და პოეტები — ესენი კი, კაცმა რომ თქვას, ერთი მუზის, აპოლონის ჩანგის ანუ უმაღლესი

ჰარმონიის, მსახურნი არიან — რომელთათვისაც თვით საგანი, მატერია სხვა არა არის, თუ არ — შემკვრივებული, შენივთებული ხმები: მათთვის ბგერათა ტალღის შემკვრივება და ნაირგვარი შეწმახვნა ქმნის ბალახს, სისხლს, ქვას; ხმის, ბგერის შესქელება-შედედებით იბადება ზღვა და ამ ზღვის ქაფისაგან იქსოვება ქალის სხეული. ეს ყველაფერი კი მღერის, ხმას გამოსცემს განა ხელის შემოკვრით, განა გარე ძალის ჩარევით — საგანში გალობენ ამ საგნის ამგები ბგერათა ტალღები, ხმათა ატომები და ჩვენ, უბ-რალო მოკვდავთ, რომ გვგონია, სიჩუმეა, ჩამი-ჩუმიც არ ისმისო, მათთვის განუწყვეტლივ, მიწყივ ეღერს თვით დუმილიც. სწორედ ამ აეღრიალებულ დუმილს გვითარგმნიან პოეტები და მუსიკოსები ლექსად თუ ჰანგად; ზოგ კი ამას ურითმოდ და უნოტებოდაც ახერხებს: რჩეულიშვილის მზია ბათ რეკას ასული და ლეონიძის მარიტა არა მარტო „იჭერენ" საგანთა ხმებს გარსაც ივლებენ ამ მუსიკას და ძალუმ ბუნტებად ასხივებენ.

და დღეს, ამ ახალი წლის, ახალი საუკუნის, ახალი ათასწლეულის კ ძალზე ამას ჩავითქვამ: ღმერთო მაღალო, ნურც მე მომიშლი, ნურ ქვეყანას გამოულევ და ნურც ადამის მოდგმას მოაკლებ დუმილის მ დე და სიმღერად გარდამთქმელ ხალხს.

„ლიტერატურული საქართველო", 12-17, 1, 2001 წ.

მესიტყვენი

ლიტერატურული სილუეტები სკოლის გადასახედიდან:

რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ილია, აკაკი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა, დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონი, გიორგი ლეონიძე, დემნა შენგელაია, გურამ რჩეულიშვილი

ორ ზღვათა შუა მდებარე
ბრწყინავდა კავკასიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა და გალაკტიონი...

მონაღვლეები

მონაღვლე მზრუნავს ნიშნავსო, ბრძანებს საბა თავის „სიტყვის კონაში", **მზრუნავი — ზრუნვის მყოფელს**, ხოლო თავად **ზრუნვას** იგი ასე განმარტავს — **შიში დაცემისა**. სულხან-საბა ორბელიანი და დავით გურამიშვილი დიდი მონაღვლეები იყვნენ — სწორედაც დაცემის შიშით გულგასენილები. ამგვარი შიში პატარა კაცუნებსაც უჩუჩუნებთ გულში — რაზედაც ასეთი წვალებით ავცოცებულვარ, ემანდ ფეხი არ მომისხლტეს და თავდაყირა არ ნამოვიდეო. საბასა და დავითის ნათელ სახეებს კი „ფერი სხვარიგის შიშისა" აძევთ — ერის სულიერ-ზნეობრივი რყევისა და, აქედან გამომდინარე, მისი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი დაცემის შიში.

მოსწავლე მაგალითზე იზრდება — ცოცხალ ან გაცოცხლებულ მაგალითზე. ცოცხალთაგან მისაბაძს ყმაწვილი, ჩვეულებრივ, თავად მოიძევს ხოლმე, პედაგოგის (განსაკუთრებით — სიტყვიერების მასწავლებლის) პროფესიული და მამულიშვილური მოვალეობა კი ისიც გახლავთ, რომ გარდასულთა წმინდა აჩრდილები გაუცოცხლოს მას. მართალია, მწერლის მაცოცხლებელი მისივე სიტყვაა, მაგრამ ახალგაზრდის სულში შესაღნევად პოეტურ სიტყვას მაინც სჭირდება ერთგული მეგზური; ეს მეგზურიც სიტყვაა, ოღონდ მასწავლებლის მიერ ამოთქმული. მასწავლებლის სიტყვამ უნდა შეასხას ფერ-ხორცი საბას და დავითის სახებას, რამეთუ ყმანვილისათვის ძნელად თუ მოიძებნება პროფესიონალიზმის, მამულიშვილობისა და კაცობის მათზე უკეთესი მისაბაძი მაგალითი.

ამჯერად საბა და დავითი შეგნებულად არ დავაცილეთ ერთმანეთს, თუმცაღა, ერთი შეხედვით, მათ შორის განსხვავება უფრო მეტია, ვიდრე — მსგავსება: ერთი — ბერი, მეორე — ერი; ერთი — პროზაიკოსი, მეორე — პოეტი; ერთი — ქვეყნის საჭეთმპყრობელთაგანი, რომელიც თავისი პრაქტიკული საქმიანობით ქართლის ბედს ღრმა კვალს აჩნევს, მეორე — სიყრმიდანვე სამშობლოს მკერდს ანაგლეჯი და ხიზანი; ერთი — თავისი შემოქმედებით თითქოსდა კონკრეტულ სინამდვილეს მომნყდარი და მორალისტური სიმაღლეებიდან გადმომზირალი, მეორე — ისტორიული მოვლენების მღვრიე მდინარების პირუთვნელი მემატიანე. მაგრამ მათ შორის განსხვავება უფრო გარეგნულ-ზედაპირულია, მსგავსება კი — სიღრმისეული და არსებითი: ერთი მხრივ, ანაფორის შიგნით ამქვეყნიური ზრუნვით, სატკივრით, ვნებით სავსე გული ფეთქს, მეორე მხრივ კი მეომრის მუზარადი ნათელმხილველისა და მისტიკოსის ზეშთაგონებულ შუბლს ფარავს. ორივე ოსტატია, თავის თავში დაჯერებული უმაღლესი რანგის პროფესიონალი; ორივეს ზეცით მომადლებული აქვს მხატვრის ვეება ტალანტი, სიტყვისა და ფრაზის საოცარი გრძნობა. და ორივეს ერთი და იგივე სალოცავი ჰყავს — აფურტკვნილი მამული.

ამ მწერალთა შემოქმედების სწავლებისას მრავალი სირთულე იჩენს ხოლმე თავს. ერთ-ერთი მათგანი ისიცაა, რომ სკოლაში „გამოკრებით“ ისწავლება „სიბრძნე სიცრუისა“ და „დავითიანი“. მართალია, ეს თხზულებანი სპეციფიკური არქიტექტონიკის გამო შედარებით უმტკივნეულოდ იტანენ ამგვარ „ქირურგიულ“ ჩარევას, მაგრამ მათი ერთიანი მხატვრული აღქმა ასეთ პირობებში მაინც გართულებულია. არადა, ამგვარი აღქმის გარეშე სწავლების ეფექტი თითქმის ნახევრდება. რა უნდა ქნას მასწავლებელმა: იგი ჯადოქარი არ არის — როცა კვირაში ლიტერატურისათვის ორი საათია გამოყოფილი, ასეთ დიდტანიან ნაწარმოებებს მთლიანად ვერ ასწავლი. მაგრამ მასწავლებელმა ერთი რამ მაინც უნდა მოახერხოს — ისე მიაწოდოს, ისე აუხსნას მოსწავლეს ეს გამოკრებილი მასალა, რომ სურვილი აღუძრას „სიბრძნე სიცრუისას“ და „დავითიანის“ დამოუკიდებლად თავიდან ბოლომდე წაკითხვა-დაგემოვნებისა.

ამგვარი მთლიანი, ერთიანი აღქმა ნაწარმოებისა მოსწავლეს გაუადვილებს ამ მწერალთა მხატვრული სამყაროს წვდომას. ყველაზე მეტად სწორედ თხზულების ესთეტიკური აღქმა და ანალიზი უჭირთ ჩვენს მოსწავლეებს. სახელმძღვანელოშიცა და გაკვეთილზეც ყურადღება უმთავრესად გამახვილებულია ნაწარმოებთა იდეურ მიზანდასახულებასა და თემატურ-შინაარსობრივ მხარეზე — ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ მასწავლებელმა მკაფიოდ უნდა გამოკვეთოს ის აზრი, რომ მხატვრულ ქმნილებას მუდამ მოეპოვება სისტემა გამომსახველობითი საშუალებებისა, განსაზღვრული ფორმა, ურომლისოდაც — რაგინდ კეთილშობილური მიზანდასახულობისა და შემეცნებითი ღირებულებისაც უნდა იყოს თხზულება — ხელოვნების ნიმუშად იგი ვერ ჩაითვლება. ცხადია, მხატვრული ნაწარმოების ფორმა თავისთავად, შინაარსისაგან მოწყვეტილად არ არსებობს — იგი განივთებულია მთლიანად მხატვრულ ქსოვილში, ქმნის მის სტრუქტურას, სახეს აძლევს მას. მიუხედავად ამისა, ანალიზისას მისი გამოყოფა და გათვალსაჩინოება შესაძლებელიც არის და საჭიროც — მასწავლებელმა უნდა მიაჩვიოს მოსწავლე ამგვარ სამუშაოს.

მხატვრული ანალიზი სტილისტიკის საკითხებსაც მოიცავს. „სიბრძნე სიცრუისას“ სტილური დახასიათებისას, უპირველეს ყოვლისა, ჟანრის სპეციფიკა უნდა გავითვალისწინოთ. თავად იგავის ჟანრი განაპირობებს მწერლის უაღრესად ლაკონიურ, დაწურულ მეტყველებას; ყველა დიდი მეიგავე სადა, სხარტ ფრაზებში აქცევს ხოლმე ღრმა, ზოგჯერ პარადოქსულ აზრს, მაგრამ საბა ამ თვალსაზრისით მართლაც განუმეორებელია. როგორი ღრმა კავშირია მის „სიტყვის კონასა“ და იგავ-არაკებს შორის! სიტყვა უნდა განიმარტოს მაქსიმალურად მოკლედ, მაგრამ ამავე დროს ამომწურავად და ზუსტად, ასე რომ — მეიგავე და ლექსიკოგრაფი თავის საქმეში ერთი და იმავე პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეს. საბას ზოგი იგავი განმარტების დარად არის შემკერილებული, ზოგი განმარტება კი იგავივით ღრმა და გონებამახვილურია.

აი, **სიცილის** საბასეული დეფინიცია: „განყოფანი სიცილთანი ესე არს: ღიმილი არს სიცილი სიმშვიდით, უხმო, ბაგეთა ოდენ შეეტყობოდეს; **სიცილი** არს მცირედ ხმიანი და მდაბალი; **კაშკაში** არს სიცილი მაღალი და მოხდომილი; **კასკასი** არს სიცილი მაღალი და წვლილი; **რახრახი** არს სიცილი მაღალი და უშვერი; **თქართქარი** არს სიცილი მრავალთაგან შეხმობილი; **ღინცილი** არს სიცილი მიწყივ უწესო, ხოლო **ფრუსტუნი** — ვის არა ენებოს სიცილის გამოჩინება და ერთს საცინელს საქმეზედ წარსცინოს და მალიად დაიდუმოს". ორიოდ სხვა მაგალითიც: „**ლიქნა** იგი არს, რა მოტყუარითა სიტყვითა ქება შეასხა, ანუ ტკბილნი და საიმედონი რამე უთხრა მოსაცთუნებლად", „**შური** — მწუხარება» სხვისა კეთილსა ზედა". საბას იგავ-არაკები განძარცვულია მრავალსიტყვაობისაგან, მწერალი ძუნწად გამონურავს ხოლმე სათქმელს: *„ერთი მელი დაცანცარებდა. ძველთაგან თურე ნასოფლარი ყოფილიყო, სამღებროს ქვევრი ლილით სავსე პირლია დარჩომილიყო. სლვასა იქი-აქა შიგ თურე ჩავარდა. ამობორტყდა, ამოვიდა. მელი შავად შეღებილი შეიქნა".* ოსტატი ეძებს, არჩევს და პოულობს სიტყვას, თითქოსდა ერთადერთსა და შეუცველელს: „დაცანცარებდა", „იქი-აქა სლვა", „ამობორტყდა" — მარტო ინფორმაციას არ გვანვდიან, — თავიანთი აკუსტიკითაც კი პლასტიკურ ხატს გვიქმნიან: თითქოს მოძრაობითაც კი იხატება მელის ხასიათი.

ამავე რანგის ოსტატია დავით გურამიშვილიც. უპირველეს ყოვლისა, მის პოეზიაში გვენიშნება ძალდაუტანებელი, ლაღი პოეტური სუნთქვა. მისი სტრიქონი მსუბუქია, მაგრამ არა — მჩატე. დავითმა გაუხსნა კარი თავის პოეზიაში ხალხურ მეტყველებასა და რიტმებს; ქართულ მინას მოჰგლიჯეს, მაგრამ სულის ყველა საცეცით მაინც მას არის დაწაფებული. სასწაულად მოეჩვენება კაცს — ჭაბუკობიდანვე ცხრა მთას იქით გადაკარგულ დავითს როგორ შემორჩა ღრმა სიბერემდე ამგვარი ცინცხალი შეგრძნება დედაენისა. იგი პოეტის ხელში ცვილივით დამყოლიც არის და მარმარილოსებრ მტკიცეც:

„რაც დამრჩა, ვერ ვსთქვი, მეწადა მეთქვა გრძლად, თავი მეცადა,
ვერა ვსთქვი, მოცლას უცდიდი, ნეტამცა არა მეცადა!
მესწრაფა სევდის ლახვარი, საკვდავად გულსა მეცა და,
აწ ამას ვლონობ, არ ვიცი, ქვესკნად ნავალ თუ მე ცადა".

გურამიშვილის ვერსიფიკატორულ ვირტუოზობას მისი იამბიკოები, აკროსტიხები, ანბანთქებები, ზმები, რეულები ადასტურებენ. პოეტს უდიდესი შრომითა და რუდუნებით შეუქმნია ეს პოეტური საოცრებანი, ეს სიტყვიერი „ფოკუსები", რომლებიც ამ ტრიუკების მიუხედავად მაინც რჩებიან პოეზიად. მაგრამ როცა პოეტს სათქმელმა ლამის მკერდი გამოუნგრიოს, მაშინ მას აღარ სცხელა ლექსით ამგვარი „სალტო-მორტალესათვის" და იბადება საოცრად სადა და დიადი რამ:

„მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს,
მეტად მნარედ გული მტკივა, მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს!
ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო აღმა მხვნელსა, დაღმა მბარავს,
ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს ამამთხრელს, ამამბზარავს!"

ტანჯვა შობს პოეტს, მკითხველისათვის ბედნიერების მომტანს; თავიანთი სატკივრის საფასურად მოგვაგეს შვება ჩვენმა დიდმა მონაღვლეებმაც — სულხან-საბამ და გურამიშვილმა.

„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", N 3, 1979

ოცნების მასწავლებლები

არსებობს რომანტიკული პოეზია, რომანტიკული პიროვნება, რომანტიკული ადგილი, თქვენ წარმოიდგინეთ, — რომანტიკული პოლიტეკონომიაც კი... და არსებობს რომანტიკული ასაკი, ჩვეულებრივ, თხუთმეტიდან ჩვიდმეტ წლამდის რომ მერყეობს ხოლმე. ამ ხნისას დაბნედს ტარიელს ნესტანის დანახვა, მის ტოლა რომეოს კი სიყვარულის სახმილი სანამლავს დაალევინებს; ყრმობის ჟამს მამულის ზარებიც სხვაგვარად რეკენ, მათი ხმა ყურიდან როდი აისხლიტება — გულამდის ატანს და სამსხვერპლო ტარიგივით ადებინებს კისერს პაატა საააკაძეს ჯალათის ცულქვეშ, მის კბილა პეტია როსტოვს კი თავზეხელაღებულის აღტყინებით შეაგლეჯინებს სულეთის კარს; სიჭაბუკის ხანაში დადგება დანიის მჭმუნვარე პრინცი „ყოფნა-არყოფნის" დილემის ნინაშე, ბარათაანთ კოჭლ ყმაწვილსაც მაშინ განეხმება სულის სამზერნი და მამადავითზე, ზეცისკენ თავაღერილი, აჩურჩულდება: „გულისთქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს, ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება..."

თექვსმეტი წელი — რომანტიკული ასაკი, ოცნების, შეტევის, ქარიშხლის ხანა... და ამავე ასაკში ედება ქონი ლუარსაბის სხეულსა და სულს. ამ ხნისას დაუწყებს იაგოს გულსაც შურისა და პატივმოყვარეობის დემონი ღრღნას. ამიტომაც განსაკუთრებით ამ დროს სჭირდება ყმაწვილს ისეთი „სულის პური", კეთილშობილური ოცნებით ნაგები კოშკისკენ მიმავალს საგზლად რომ გამოადგება. სნორედ ასეთი სულიერი საზრდოა რომანტიკოსთა პოეზია. ბედად, სწორედ მეცხრე კლასში შემოუღებენ თექვსმეტი წლის რომანტიკოსებს სკოლის კარს ჩვენი დიდი რომანტიკოსები და ცხრილში აუსახავი საგნის — ოცნების გაკვეთილებს ჩაუტარებენ.

ამ პრაგმატისტულ, საქმიან საუკუნეში რა ოცნების გაკვეთილები აგიტ-

ყდათო, გაიკვირვებს ალბათ ზოგიერთი და იმასაც დაატანს — ღრუბლებში ნავარდს, უმჯობესია, მიწაზე დავეშვათ და ოცნებისა და ფანტაზიორობის ნაცვლად ბავშვებს ქიმია და მათემატიკა ვასწავლოთ რიგიანადო. ამგვარ პრაქტიკულ ხალხს, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევახსენო — ოცნება რომ არა, არც ქიმია, არც მათემატიკა და, საერთოდ, არანაირი მეცნიერება, თვით უაღრესად პროზაული „საბუღალტრო აღრიცხვაც" კი არ გვექნებოდა, რამეთუ ოცნებამ შვა ისინი; მეორეც — სწორედ ახლა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და მანქანური ცივილიზაციის საუკუნეში, სჭირდება ადამიანს ოცნება; ადამიანმა აზროვნება შეასწავლა მანქანას, კიბერნეტიკოსები მორალურ კატეგორიათა მოდელირებაზეც კი მუშაობენ. ჯერ-ჯერობით ოცნებაღაა, რაც ადამიანმა, ლომის გამზრდელი კატისა არ იყოს, თავისთვის დაიტოვა და მანქანას არ (თუ ვერ) „ასწავლა" — ვინ იცის, გაჭირვების ჟამს კაცთა მოდგმა იქნებ სწორედ ამან გადაარჩინოს. ახლა, როცა ადამიანისთვის ყველაზე ნიშანდობლივ თვისებაში — აზროვნებაში — ჩვენივე აზროვნებით შექმნილი კომპიუტერები ჩაგვეზიარნენ, იქნებ უპრიანი იყოს თქმა იმისა, რომ ადამიანი — ეს არის მეოცნებე სისტემა. ასე რომ, ოცნებაზე ხელის აღება ადამიანობაზე უარის თქმას ეტოლება. და მესამე — ოცნებაც არის და ოცნებაც! ზოგის ოცნება, ლუარსაბისა არ იყოს, სადილად ბოზბაშსა და ჩალაღაჯზე შორს არ მიდის. მოდით, ნუ ნავბილნავთ სამზარეულოს ოხშივრით ოცნების საუფლოს, მაგრამ მას არც ზმირინ-გუნდრუკის სურნელი ასდის: ოცნების ქვეყანაში შესული ყმაწვილი იქ უმალ ოფლის, ცრემლისა და სისხლის სუნს იკრავს — ჭეშმარიტი ოცნება სწორედ მათგან იშვება. ოცნება საქმეა (ვის გაუგონია ერთაოზისა და ქრისტეფორეს უსაქმურობა!), ოცნება ხელოვნებაა და მის დასაუფლებლად და დასახვეწად ისევ და ისევ ჩვენს დიდ მეოცნებეთ — ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს — უნდა მივმართოთ.

„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", N 4, 1979

თანამდევი

წლევანდელი წელი ილიასიაო, ვამბობთ, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება — ილიასნაირ იუბილარებთან ერთგვარად აზრს ჰკარგავს მრგვალი თარიღები; ილიას ეკუთვნის — უნდა ეკუთვნოდეს — არა მარტო ეს წელი, არამედ ყოველი თვე, დღე და წამიც კი ჩვენი სულიერი ცხოვრებისა; ბიბლია გვიდასტურებს, რომ 160 წელიწადი (და — მეტიც) ზოგ მოკვდავსაც დაუყვია ამ

წუთისოფლის სტუმრად, მაგრამ კაცი მათუსალას ხნისაც რომ მოიყაროს, მაინც დასავიწყებლად ანუ სრული სიკვდილისათვის იქნება განწირული, თუ ისე არ იცხოვრა, რომ შემდეგ მკვდარიც „საქმობდეს". ოთხმოცდაათი წელია მკვდარი ილია კვლავაც ყველაზე დიდ „მოსაქმედ" რჩება ქართველთა შორის. თუმცა ოთხმოცდაათი და თუნდაც ათჯერ ოთხმოცდაათი წელი, ილიასვე დავესესხები, „რა არის უკვდავებისათვის? მხოლოდ ერთი წამი".

მეტიც ითქმის: ილია რომ სამისდღეშიოდ დარჩა, ილია რომ მუდამ იქნება — ეს ერთია; მაგრამ, ილია იყო ილიამდეც: არსებობდა მანამდე, სანამ მოგვევლინებოდა. ბრძანა კიდეც — „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა"... ილია ჰქვია საქართველოს „თანამდევობას", ჰქვია იმიტომ, რომ საქართველოს „თანამდევმა სულმა", რომელიც ჟამითიჟამად სხვადასხვა სახით გამოგვეცხადება ხოლმე, სწორედ 160 წლის წინათ შეიბა, ჩემი აზრით, ყველაზე სრულად ხორცი ყვარელში, ამ ჩვენს ბეთლემში.

ჩვენ ჩვენი გოლგოთაცა გვაქვს — ნინამური. საჭიროა გვახსოვდეს ყვარელი — ჩვენი ამაღლება; აუცილებელია გვახსოვდეს ნინამური — დაცემა ჩვენი. ილია მხოლოდ სიცოცხლისთვის არ შერაცხილა წმინდანად — შეერაცხა სიკვდილისთვისაც; ამასვე ღაღადებს მისი საგალობელი: „ღვაწლითა და სისხლითა შენითა უდაბნოი იგი სოფლისაი მოიმუშაკე... სიმართლისათვის დაითმინე... ერისთვის წამებულო, წმინდაო ილია მართალო".

წმინდა ილია-მართლის ამა სოფლით განსვლა, გარკვეულწილად, ნებაყოფლობითი აქტი მგონია; არა, იმას როდი ვამტკიცებ, რომ ილიამ თავი მოიკლა, მაგრამ ილია მოეკვლევინა შავ ძალებს: პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოზე მიწვეულ ილიას ქართველი მოღვაწეები მრავალგზის აფრთხილებენ, ჯერ ნუ დაბრუნდები საქართველოში, იქ ისე მოგიწამლეს ატმოსფერო, რომ თქვენს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებაო... ილია კი სულმოსწრაფებული ეშურება საქართველოსკენ... ვერ დააგდებს, ვერ მიატოვებს თავის დედასა და შვილს... ათი წლისას დედა მოუკვდა, შვილი საერთოდ არ ჰყოლია, ვერც ერთის სიყვარულითა და ალერსით მოიჯერა გული და ვერც მეორისა... მისი დედაც და მისი შვილიც ის არის, ვისაც ხან შვილსავით ტუქსავს, მაგრამ ყოველ სასაყვედურო სიტყვას კოშტ სისხლს ამოაყოლებს ხოლმე, და ხანაც დედასავით ეალერსება — „ჩემო კარგო ქვეყანა", „მამულო, საყვარელო"... „ჩემო თვალის სინათლევ"... იცის, ამ „უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში" — განსაკუთრებით ჩვენში, საქართველოში — შეიძლება უზარმაზარი სიძულვილი გაპატიონ, მაგრამ ამხელა სიყვარულს არ გაპატიებენ, არ გაპატიებენ მუდმივ მღვიძარობას, როცა ნეტარყუჩობაში ჩათვლემილ-ჩათბუნებულ სინდისს გამუდმებით ანჯღრევ, აფხიზლებ. ამიტომაც არის წინასწარმეტყველი თავის ქვეყანაში არა მხოლოდ შეუძლებელი, არამედ — გაუსაძლისიც. წინასწარმეტყველთა ხვედრიც იცის — ჯვარცმა ან ჩაქოლვა... მაგრამ პოეტი, რომელიც თავის ხალხს, თუნდაც ბრბოდქცეულს, დაემალება, ის არც პოეტია და, მით

უფრო, არც წინასწარმეტყველი. ილია კი ნათელმხილველია, თანაც იმ რანგისა, ვინც არა მარტო სჭვრეტს მომავალს, არამედ იმასაც ხედავს, რასაც შეცვლის ამ მომავალში; შეცვლის თავისი სიცოცხლით, შეცვლის თავისი სიკვდილითაც... ამიტომაც — „დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან"... დანახულია არა მარტო საკუთარი აღსასრული, არამედ — შედეგი, გაგრძელება ამ აღსასრულისა: სისხლით შეკრავს, საკუთარი სისხლით შეადუღაბებს იმას, რაც მელნით ვერ შეიკრა. ამიტომ კაცუნებს, ნაძირალებს და მკვლელებს მასთან ბრძოლა იმთავითვე წაგებული აქვთ. ილიას იდეურ მკვლელებს რომ ფიორი ჭკუა ჰქონოდათ, ილიას სიცოცხლისათვის სული უნდა ებერათ, ბერბიჭაშვილები მისთვის პირად მცველებად უნდა დაეყენებინათ, მაგრამ მკვლელთა გონებისათვის მიუწვდომელია „მართალი სამართალი": ილიას დაღვრილი სისხლი ამ „მართალმა სამართალმა" ილიას ნისქვილზეე მიუშვა ყოვლისწამლეკავი ძალით.

აი, ამიტომაც არ იღო ილიამ ყურად არც მეგობართა რჩევა, არც ახლობელთა გაფრთხილება, არც ავი წინათგრძნობით გატანჯული მეუღლის მუდარა; საგულისხმოა, რომ ილია წინამურამდე არაგვის პირას ეტლს აჩერებინებს და გაფითრებული, მჭმუნვარე სახით ბოლთასა სცემს ჭალაში: მაინც ტკბილია სული, შემზარავია მისთვის ხორცთან გაყრა, სხეულის დატევება. დიადი მაგალითიც ედგა თვალწინ — გოლგოთამდე იყო გეთსემანიის ბაღი და ღმერთკაცის ვედრება: „მამაო ჩემო, უკეთუ შესაძლებელ არს, ამარიდე ფიალა ესე"... და საბოლოო გადაწყვეტილებაც: „ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა — შენ"...

წილი ნაყარია, ილია ჯდება ეტლში და მტკიცე ხმით უბრძანებს იუდა-მეეტლეს: „გარეკე".

ილია დაიძრა თავისი ფიალისაკენ.

ამბობენ, თითქოს ილია მკვლელებს იარაღით ხელში შეეგება... თუმცა, ისიც შესაძლებელია, მას მშვიდად ჩაეხედა მათთვის თვალებში და ეთქვა — „ილია ვარ".

მათ, სატანის ამ ჩლუნგ იარაღებს. მან უკვე შეუნდო, დიდი ხნის წინ შეუნდო:

„რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: შეუნდე, არ იციან, ღმერთო, რას იქმან".

და ეჭვიც, მტანჯველი ეჭვიც, რომელიც დღევანდელი საქართველოს შემყურეს, არ შეიძლება არ გაგვიჩნდეს — შეკრა კი ილიას გულის ნვენმა, მელნადა და სისხლად ამოღვრილმა, საქართველო? აკი ჟამითიჟამად ჩვენში ისევ და ისევ აპოკალიფსური მხეცივით „აღდგება ღორი გაუმაძღრობისა", აღდგება ანტიილია, და ერთმანეთს დაგვრევს, გვყოფს, გვაქუცმაცებს, გვათითოკაცებს... დღეს, ილიას სახელმიჩემებულები, ილიას სახელითვე, არცთუ იშვიათად, ანტიილიას საქმეს ვსჩადით...

დღესაც — როგორც ქრისტეს ანტიქრისტე — ისე ებრძვის ილიას ანტიი-

ლია, მაგრამ იმარჯვებს ილია... ილიას გამარჯვებაა, რომ მსოფლიო რუქაზე ჩვენ ჩვენი ფერი გვაქვს, რომ დღეს „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნის".

და შორს არ უნდა იყოს ის დღეც, როცა მოაზროვნე და „მოსაქმე" საქართველო ილიელობის ნიშნით გაერთიანდება.

„ილიელობა", ასე მგონია, არც რაიმე კასტაა, არც ნოდება, არც ხარისხი. „ილიელობა" სულის მდგომარეობაა.

„ილიელობა" არ მოგვშლოდეს — „მიწყივ, უკუნით უკუნისამდე!"

„ლიტერატურული საქართველო", 28.11.1997

ვუსმინოთ ყაზბეგს

მე კავკასიის ქედები მთხოვენ,
მე მთხოვს მუსიკა თერგის ხმაურის,
ვუსმინო ყაზბეგს — ხევის ბეთჰოვენს...

გალაკტიონი

ალექსანდრე ყაზბეგი საყმაწვილო მწერალია. დე, ნუ აღშფოთდებიან ლიტერატურის სპეციალისტები და ნუ იჩქარებენ ამ დებულების გაბათილებას ნაირგვარი და, ალბათ, დამაჯერებელი არგუმენტებით. განა მე არ ვიცი, რომ ყაზბეგი თავისი დროის უმწვავეს სოციალურ-პოლიტიკურსა და, სწორედაც რომ, არასაყმაწვილო პრობლემატიკას არის შეჭიდებული, რომ იგი ტრაგიკული მსოფლაღქმის მწერალია, რომ მისი მხატვრული სამყარო რთულია და კონტრასტულად ნაგები — შესაბამისად, რთულია ამ სამყაროს გამოხატვის საშუალებანი, სათქმელის შესატყვისად ნერვიულია და დაძაბული მისი ფრაზა — და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... ალექსანდრე ყაზბეგი საყმაწვილო მწერალიაო, რომ ვამბობ, ერთ ცნობილ გამოთქმას ვგულისხმობ: ყმაწვილთათვის ისევე უნდა ვწერდეთ, როგორც დიდებისათვის, ოღონდ — უკეთესად.

მაგრამ დიდებულად წერა ერთია, მთავარი კი ზემოთქმულის დამადასტურებლად მაინც სხვა რამ მგონია: ყაზბეგის შემოქმედება ყმაწვილის სულის ყველაზე მგრძნობიარე სიმებს ეხება; იგი მუდმივად თავს დასტრიალებს ზნეობრივ პრობლემებს, სიყვარულსა და მეგობრობას — ახალგაზრდის თვითდამტკიცებისა და პიროვნულობის გამოელენის ასპარეზს. სიყვარულისა და მეგობრობის ნიჭი კი გაცემის, გაღების ნიჭია, იგი მსხვერპლშეწირვის წმინდა აქტისათვის მზადყოფნასაც გულისხმობს. ამიტომაც ასწავლის ყაზბეგი ახალგაზრდას ურთულეს რასმე — სიკვდილის ხელოვნებას, რაც, პირველ

ყოვლისა, იმას ნიშნავს, თუ როგორ უნდა იცხოვროს მან: ადამიანები ხომ იმ სიკვდილით იხოცებიან, რისი უფლებაც თავისი ცხოვრებით მოიპოვეს. ყაზბეგის გმირები თავს არ დაჰკანკალებენ თავიანთ ბიოლოგიურ არსებობას, მათ სიცოცხლე ეთმობათ — მეგობრისათვის, სატრფოსათვის, იდეისათვის; ყაზბეგს მწერლური მზერა მუდამ ამაღლებულისკენ მიუპყრია, მისი გმირებიც ამაღლებულს მიელტვიან, ტკბილ-მწარედ იტანჯებიან მისი „ვერ-მიხდომისა წყენითა". აქედანაც იღებს სათავეს ყაზბეგის რომანტიზმი და ეს რომანტიზმიც გახლავთ ყმაწვილთათვის ამ მწერლის ხიბლის გასაღები.

ალბათ, ეს დებულებაც ეტოშება ზოგიერთ მკითხველს — ყაზბეგს აკი გასული საუკუნის დიდ რეალისტად აღიარებენო? გეთანხმებით, აღიარებენ — და სრულიად სამართლიანადაც. ოღონდ გავიხსენოთ, რომ სალიტერატურო კრიტიკაში განსხვავებულ აზრებს გამოთქვამდნენ ამის თაობაზე: ზოგისთვის ყაზბეგი რეალისტი გახლდათ, ზოგისთვის — რომანტიკოსი და ზოგისთვისაც — ნეორომანტიკოსი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დიდ მწერალთა „ჩაჭედვა" ამა თუ იმ ლიტერატურული მიმდინარეობის მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოში ხშირად ჭირს — ისინი თითქოსდა „ერთკაციან" ლიტერატურულ მიმდინარეობას წარმოადგენენ. ასე რომ, ყაზბეგი დიდი რეალისტია და, აქედან გამომდინარე — რომანტიკოსიც, რამეთუ ძნელად მოიძებნება მაღალი რანგის რეალისტი, ერთგვარ ხარკს რომ არ უხდიდეს რომანტიზმს... და — პირიქით!

მწერლებს, ჩვეულებრივ, ე.ნ. უარყოფითი პერსონაჟები უფრო ცოცხალი და დამაჯერებელი გამოუდით ხელიდან. ყაზბეგთან, პირიქით, სწორედ მათ — გაგის, გირგოლას, გელას, ნუგზარსა და სხვადასხვა ჯურის ნაჩალნიკ-დიანბეგ-იასაულებს — დაჰკრავთ სქემატიზმის იერი. სამაგიეროდ, რაოდენ ნაირგვარი და ნაღდი ხასიათები იკვეთება ელგუჯას, სვიმონის, გოჩას, ონოფრეს, იაგოს, ონისეს, მათიას ხატვისას. დიახ, ონისეც და მათიაც — საკუთარ სინდისთან მორკინალი ეს ცოდვილნიც — ელგუჯასა და გოჩას „გორისანი" არიან, ვინაიდან მწერალმა კარგად იცის, რომ „დადებითი გმირი" არ შეიძლება მოარული გამრავლების ტაბულა იყოს — შეუმცდარ პასუხს რომ იძლევა ელემენტარული არითმეტიკის სფეროში.

რა ზეგავლენა ჰქონდა ყაზბეგის — როგორც მწერლისა და პიროვნების — ჩამოყალიბებაზე მთას? უზარმაზარი, ალბათ — გადამწყვეტი. მთა უკიდურესობათა სამყაროა და ყაზბეგიც — როგორც კაცი და როგორც მნერალი — ვერ ეგუება ვერავითარ არტახსა და ყალიბს. გავიხსენოთ, როგორც შემოიჭრა იგი ქართულ მწერლობაში — მისი შეყრა ლიტერატურასთან მისივე მიჯნურთა შეხვედრის ელდასა ჰგავდა; აქ იყო ღვთაებრივი სიშლეგე, ექსტაზი, თავდავიწყება, უზარმაზარი ენერგიის ამოტყორცნა და, დასასრულ, დაცლა, ტრაგიკული „სოფლით გაღმა გაბიჯება": ერთბაშად მოსკდნენ ხილვები, სურათები, სახეები და მეწყერივით გაიტანეს, რია-რია ნაიღეს

ყაზბეგის პიროვნება. ცახცახშემდგარს, ცხროიანივით თვალებაპრიალებულს, სინამდვილისა და ზმანების სამანი მოერღვა — წერს და ვერა გრძნობს, დღეა თუ ღამე, მაძღარია თუ მშიერი, შინ არის თუ გარეთ... ვიღას რჩება ნაწერის არამცთუ სწორების, — გადაკითხვის დროც; ენობრივ შეცდომებს რედაქციის მუშაკებიც ჩაუსწორებენ, მას კი საამისოდ არა სცხელა, თავანყვეტილი მიექანება დაგეშილი მწერლური ყნოსვით უკვე სუნნაკრავი სისხლიანი დასასრულისკენ; უკვე ხედავს, გრძნობს, განიცდის მოთხრობის ამგვარ ფინალს... წერს ატანილი და — თითქოს ნაწერს სულის ხსენიც ამოაყოლაო — ყაზბეგი გათავისუფლდა, დაიწრიტა, გასრულდა... და მოვიდა წყნარი სიგიჟეც. ქართულმა მუზამ, რომელსაც დევნა, შიმშილი, ბორკილი და ტყვია არ მოჰკლებია, სევდის სახლის კარიც იხილა.

ალექსანდრე ყაზბეგი წერდა: *„მე ვარ მთიელი... შობილი იქ, სადაც ყმა და მონება ძველთაგანვე სამარცხვინოდ ყოფილა ხალხში, სადაც კაცს პატივისცემა მხოლოდ პირადი ღირსებით შესძლებია... იქ გავჩნდი. იმ სახლში აღვიზარდე, იქვე ვნოვდი მთიელი დედაკაცის რძეს... დღემდის ჩემი სისხლის შემადგენელნი არიან მთის ნაკადულში შერეული რკინა და კლდეთა შორის ნაჩეჩქვი ნვეთები. მათგან აღზრდილი თეთრსა ხადის თეთრად და შავსა — შავად, თავისას ჰგრძნობს თავისად და უცხოს — უცხოდ“.*

და სწორედ იმიტომ, რომ იგი „თეთრსა ხადის თეთრად და შავსა — შავად“, რომ იგი „თავისას ჰგრძნობს თავისად და უცხოს — უცხოდ“, ნუ მოვაცილებთ ხელს ყაზბეგის მბორგავ გულს — ეუსმინოთ ყაზბეგს!

„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, N 2, 1981

ვაჟა-ფშაველას გაკვეთილები

არ დაივიწყო ანდერძი,
გამხნევედი, როგორც ლომია;
ვისაც რომ ქვეყანა უყვარს,
სიცოცხლე მისთვის ომია.

ვაჟა

ყოველი მასწავლებელი (თუნდაც ლიტერატურისა) პოეტი ვერ იქნება, ყოველი ჭეშმარიტი პოეტი კი არ შეიძლება მასწავლებელი არ იყოს. თანაც — თუ პედაგოგს ზუსტად აქვს განსაზღვრული ვის როდის რა ასწავლოს, პოეტი ყოველთვის ასწავლის ყველას თითქმის ყველაფერს; მართალია,

მენდელეევის ტაბულა და ბოილ-მარიოტის კანონი პოეტებისგან არ გვისწავლია, მაგრამ სწორედ ისინი გვინვრთნიდნენ სულს იმგვარად, რომ ინტერესი აღგვძვროდა ადამიანის, ბუნების მიმართ, ჩავწვდომოდით საგანთა და მოვლენათა ღრმა, ზოგჯერ იდუმალ კავშირებს. და, რაც მთავარია, პოეტისაგან ვსწავლობთ სილამაზის შეგრძნებას, მტერ-მოყვრის გარჩევას — მოკლედ, მისგან ეთიკისა და ესთეტიკის გაკვეთილებს ვიღებთ. მასწავლებლის ხელოვნება იმით ფასდება — ორიოდ მოსწავლეს დააინტერესებს მისი ნათქვამი თუ მთელი კლასი მონუსხული დაუგდებს მას ყურს; ასევე — პოეტის ძალა იმითაც გაიზომება, მთელი ერი უსმენს და ზეციურ მანანასავით ელის თუ არა მის სიტყვას — არა დაშაქრულსა და ფერ-უმარილით შეთხიპნილს, არამედ „მწარე-მხნაკვს", ნაღდსა და სადას. ამგვარ სიტყვას ეუბნებოდა თაეის ერს ვაჟა-ფშაველა.

სიტყვა გადვაგდე ერშია,
სიტყვა, რა სიტყვა? — ეული,
ტანჯულის გულით ნაცრემლი,
ვარმით ნაკვები, სნეული,
გულგანგმირული, ბეჩავი,
თავს მანდილჩამოხეული!

ამ „მანდილჩამოხეულ სიტყვას" ელოდა ოქროს ტახტზე აღზევება, რამეთუ სწორედ მას შეეძლო „ჩიქილამოხდილი" ერის სამშვინველში შეღწევა.

ამრიგად, ვაჟა-ფშაველა მთელი ერის მასწავლებელია. მაგრამ ვაჟამ რომ მთელ ერს ასწავლოს, ამისათვის ჯერ თავად ვაჟა უნდა ვასწავლოთ, და კარგადაც უნდა ვასწავლოთ, ბავშვს. ცხადია, ეს რთული ამოცანა გახლავთ, ვინაიდან ძნელია ყმანვილი აზიარო ვაჟას აზრის სიღრმესა და სიმაღლეს: ლუკა რაზიკაშვილი ხომ არასოდეს ამარტივებდა, აუბრალოებდა სათქმელს. სამყარო, რომელიც თითქოსდა მირიადი არხით შემოდიოდა მის არსებაში, ბუნება, რომელსაც იგი ჩვენთვის უხილავი საცეცებით ეხებოდა — პოეზიის ენაზე გადათქმული — ინარჩუნებდა და ახლაც ინარჩუნებს თავის სირთულესა და „ორგემაგობას"... მასწავლებელმაც, აქაოდა ყმაწვილებს ვაჟას პოეზიის აღქმას გავუადვილებო, წინასწარაკვიატებულ სქემებში არ უნდა ამოხუთოს პოეტის ცინცხალი, მფეთქავი აზრი, მხოლოდ ორ ფერად — თეთრად და შავად — არ უნდა გადაღებოს „უთვალავი ფერით მოცემული" ვაჟას პოეტური სამყარო და მის პერსონაჟთა ბუნება.

მაინც, **რას გვასწავლის ვაჟა-ფშაველა?** ყველაზე ცხადსა და, ამავე დროს, ყველაზე იდუმალს, თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავ ბევრ რასმე: ვაჟკაცობასა და გულჩვილობას, არნივობასა და კრავობას, სისხლისღვრასა და დანდობას, სიყვარულსა და სიძულვილს. ერთი მხრივ —

ვისაც ჩვენ არ ვებრალებით,
ჩვენ შავიბრალოთ რისადა?
სიკვდილი თვითონ უფალსა
გაუჩენია მტრისადა!

მეორე მხრივ —

ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა;
ცხვრადვე მამყოფე ისევა,
ოღონდ ამცილდეს მგელობა.

მაგრამ აქ მხოლოდ ერთი შეხედვით გვაქვს წინააღმდეგობა. სინამდვილეში კი ვაჟა-ფშაველას პოეტური აზროვნება უმაღლესი რიგის ჰარმონიის — დაპირისპირებულთა დიალექტიკური ერთიანობის — გამომხატველია. პოეტი არასოდეს კმაყოფილდება ზედაპირული შთაბეჭდილებითა და თვალშისაცემი ჭეშმარიტებით: სიცოცხლე კარგია, სიკვდილი კი — ცუდი. იგი მუდამ ძირამდე ჩასდევს „დაწყევლილ" კითხვებს, ნათელმხილველის მზერით სწვდება სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული წრებრუნვის არსს და აღმოაჩინეს, რომ

სიცოცხლეს სიცოცხლე უყვარს,
ეს მიტომ დასდვა წესადა:
სიკვდილი გაუჩენია
მას თავის გასაკვებადა.

თურმე სიკვდილი კი არ შთანთქავს სიცოცხლეს — პირიქით, ასაზრდოებს მას! ალბათ, ცოტას თუ უთქვამს ვაჟას ძალით სიკვდილის ქება სწორედ იმიტომ, რომ იგი აძლევს აზრს სიცოცხლეს:

ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
სიცოცხლე შვენობს შენითა...

მაგრამ ვაჟა-ფშაველა არც ამაზე შეჩერებულა; აზრის სპირალური აღმასვლა გრძელდება და სიკვდილი უკვე აღიქმება სიცოცხლის გამოვლინების ერთ-ერთ ფორმად, სიკვდილიც სიცოცხლეა და ამით... კვდება სიკვდილი:

სიცოცხლე ცოცხლობს ყოველგან,
სიკვდილი არ ჩანს, მომკვდარა...
დიდება უფლის სახელსა,
რა კაი საქმე მომხდარა.

ვაჟა-ფშაველა სიბრძნის მასწავლებელია.

მაგრამ უმაღლეს სფეროებს ნაზიარები მისი აზრი არასოდეს მომწყდარა მასაზრდოებელ ფესვს — იგი მუდამ დამძიმებულია ამქვეყნიური, მიწიერი, მოქალაქეობრივი საზრუნავით; სამშობლოს გამოხსნის იდეას „დაჰბრუნავს თავზე" პოეტის „ჯვარცმული ფიქრი":

უკან დახევა არ გვარგებს,
სჯობს გავიწიოთ წინაო,
ვიმხნეოთ, გულით გავკლდეედეთ,
მტერმა ნუმც შეგვაშინაო,
ერთ დროს იქნება ჩვენცა ვთქვათ:
„გვაქვს საკუთარი შინაო!"
მოკვდეს, ვინც ამა მცნებასა
უბღვერს, არ გაუცინაო,
კმაყოფილია, ნებივრობს,
დაწვა და დაიძინაო.
ნეტავი იმას, საქვეყნოდ
ვინც ყოფნა გაიმწარაო, —
ხალხის ბომონის წინაშე
ქედი არ მოიხარაო,
ხორცით ეწამა და სულით
აყვავდა, გაიხარაო.

ვაჟა-ფშაველა მამულიშვილობის მასწავლებელია.

ვაჟას საკლასო ოთახი სრულიად საქართველოა, მოსწავლეები — ერთიანი ქართველი ერი, დაფა კი — ჩვენი სულები, რომლებზედაც დიდ მასწავლებელს არა ცარცით, არამედ „სისხლის გუბეში ნანები კალმით" გამოჰყავს სიყვარულის ფორმულა:

სიცოცხლე სიყვარულითა
და სიყვარული სიცოცხლით,
უერთურთისოდ ვერც ერთსა
ვერ ვიცნობთ, ვერც როს ვიცნობდით.

ვაჟა-ფშაველა ყოვლისმომცველი სიყვარულის მასწავლებელია.

„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", N 3, 1980

სინამდვილის მსახური

...მხოლოდ სინამდვილე, სინამდვილე,
რომელსაც გადაუხრელად ვემსახურებოდი
მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში.
დავით კლდიაშვილი

დავით კლდიაშვილი უდავოდ გულწრფელი იყო, ამ სიტყვებს რომ წერდა. მართლაც, სინამდვილის „გადაუხრელ" ასახვას ემსახურა იგი, მაგრამ ემსახურა არა როგორც მონა, არამედ — როგორც მეუფე. ისიც მომხდარა, რომ სინამდვილეს მონად გაუხდია მწერალი — იმდენად მოუცავს და შეუვსია მისი ფანტაზია, რომ ემპირიული ფაქტების მიღმა აღარ გაუხედინებია იგი. ასეთი მწერალი მხოლოდ ბაძავს ბუნებას. მისთვის ყველაფერი არა მარტო იწყება — კიდეც მთავრდება ფაქტით. დავით კლდიაშვილი კი მარტო მსახური როდია სინამდვილისა, იგი მისი ბატონ-პატრონიც გახლავთ, რამეთუ ცხოვრებისეული ფაქტი მისთვის მხოლოდ მასალაა უფრო მაღალი რანგის სინამდვილის — მხატვრული, გამონაგონი სამყაროს — შესაქმნელად. ამავე დროს მწერალს ამ უკანასკნელისათვის ისე არასოდეს უცვლია სახე, რომ მკითხველს რეალური სამყაროს ცნობა გასჭირვებოდა: კლდიაშვილის ხელში ემპირიული სინამდვილე დეფორმირებას კი არ განიცდის, არამედ, თითქოსდა ყოველგვარი ზედმეტობისაგან განძარცვული, თავისი ყველაზე უშინაგანესი და არსებითი მხარით წარმოჩნდება.

უტყუარი მწერლური ალღო აგნებინებდა ხოლმე დავით კლდიაშვილს ცხოვრებისეულ იმ ნედლ მასალას, საიდანაც ეს ახალი, „ნამდვილი სინამდვილე" იქმნებოდა. ერთი შეხედვით, ამ არჩევანში გადამწყვეტი მნიშვნელობა თვით აღსანერი ფაქტის გამორჩეულობას, ანუ — როგორც მწერალი იტყოდა — „უცნოურობას" ენიჭებოდა. მართლაც, „სამანიშვილის დედინაცვალი", „ბაკულას ღორები", „მიქელა" ცხადად გვიჩვენებს, რომ დიდმა დავითმა იცოდა (და მერე როგორ!) მოულოდნელობის, უჩვეულობის მხატვრული ფასი. მაგრამ, მეორე მხრივ, განსაკუთრებული არაფერი ხდება კლდიაშვილის ისეთ შედევრებში, როგორებიცაა „როსტომ მანველიძე" ან, თუნდაც, „ქამუშაძის გაჭირვება": კედმა ეპარება ძველ, კეთილშობილურ გვარს, იყრება მამაპაპური ნაფუძრიდან და ქალაქს მიაშურებს გაღატაკებული აზნაური — ეს ამბები ყოველდღიური იყო, ჩვეულებრივი, ვითარცა დღე-ღამის მონაცვლეობა. და თუ მწერალი ასეთ შემთხვევებშიც ახერხებს ნიგნს მიგაჯაჭვოს, ეს იმიტომ ხდება, რომ იგი სრულყოფილად ფლობს არა მარტო სიტუაციების, არამედ ხასიათთა ხატვის ხელოვნებას.

სწორედაც ხატვის, ჩვენების, „პლასტიკური მეტყველების" ოსტატია და-

ვითი და არა — მქადაგებელი, მენტორი. კლდიაშვილი, ჩვეულებრივ, თავს იკავებს პერსონაჟთა თუ სიტუაციათა „დეკლარაციული" შეფასებისაგან, ურჩევნია, თავის ნაცვლად მისმა პერსონაჟებმა და მათმა საქციელმა იმეტყველონ: ავტორის პიროვნება არსად გამოიტანება თხრობის გარეთ და არც პოსტამენტზე შესკუპებული ეხირება მკითხველს თვალში — იგი უჩინარია, თითქოსდა განზავებული თხრობის ატმოსფეროში.

კლდიაშვილის „ტრაგიკული კომიზმის" სათავეც თხრობის ამ მანერაში ძევს: სასაცილოს, კომიკურის შემჩნევა და ჩვენება ამგვარ სიტუაციაში ჩავარდნილისადმი ერთგვარ „გაუცხოებას", ემოციურ „ნეიტრალიტეტს" გულისხმობს; ტრაგიკული ასახვა კი თანამლმობლის პოზიციაზე დგომაა. დავით კლდიაშვილი კომიკური სიტუაციის ჩვენებისას თავად თითქოს ინარჩუნებს ემოციურ „ნეიტრალიტეტს", მაგრამ მკითხველს თავისთან კი არ ამყოფებს, — შეუმჩნეველად უცვლის მას ადგილს და თანამლმობლის პოზიციაზე გადაჰყავს.

ავტორისეული, ერთგვარად „შენიღბული" პოზიციის გამო კლდიაშვილის შემოქმედების შემფასებლები ზოგჯერ უკიდურესობაში ცვივოდნენ: ვინც მის ნაწერებში მხოლოდ სასაცილოს და, აქედან გამომდინარე, დასაცინსა და გასაკილს ხედავდა, მას მწერალი შეუბრალებელ მამხილებლად მიაჩნდა. მეორე უკიდურესობა თვალს უხუჭავდა კლდიაშვილის შემოქმედების კრიტიკულ პათოსს და მას აზნაურულ ყოფაზე ლამის რომანტიკული ცრემლების მფრქვეველად სახავდა.

დავით კლდიაშვილის მწერლურ ღირსებებზე მსჯელობისას მწერლის ენას იშვიათად თუ მოიხსენიებდნენ საქებარი სიტყვით. მწერლის თანამედროვენი, ვაჟასი არ იყოს, მასაც უწუნებდნენ ენას. თავად დავითიც, საერთოდაც უაღრესად თავმდაბალი და მოკრძალებული, ამ მხრივ ნამეტნავად მკაცრი მსაჯული გახლდათ საკუთარი თავისა. აი, რას სნერს იგი პეტრე უმიკაშვილს: *„მოხარული ვარ, რომ ჩემი „საწყალი, გაჭირვებული ქამუშაძე" შინაარსით მოგწონებიათ; ემდურით ენას და თქვენ ზედ უფრო მე ვარ უკმაყოფილო... არ დაიჯერებთ, მოთხრობის ბოლონდელი შვიდი თავი ისეთ ფაცაფუცშია დათავებული... მართალია, ენა ყოველთვის კოჭლობდა ჩემს ნაწერებში"*... ამას წერს მწერალი, რომელსაც „აბსოლუტური სმენა" ჰქონდა სიტყვისა. ასოკირკიტა კრიტიკოსი დიახაც მოჩხრეკს მის ნაწერებში სალიტერატურო ნორმებიდან გადახრებს; ზოგის ნამეტურ გასალუქებულ ყურს, იქნებ, უსიამოდაც ხვდებოდეს ცოცხალი მეტყველებიდან შემოჭრილი დავითისეული ფორმები; გემოვნების საქმეა — ვის, ემანდ მიკრობი არაფერი შემიყვესო და, ლაბორატორიაში გამოხდილი წყალი ურჩევნია კლდიდან გადმომსკდარ წყაროს წყალს. კლდიაშვილის ენაც არ გახლავთ გაცრილ-გამტკიცული და სტერილიზებული — ესაა ცოცხალი, მფეთქავი ორგანიზმი. დააკვირდით, როგორი ხელოვნებით ახერხებს მწერალი პერსონაჟთა დახასიათებას მეტყველებით; გაიხსენეთ,

როგორ ლაპარაკობენ ბეკინა, კირილე, ეკვირინე, პორფირი. თითქოს არა მარტო კითხულობ, არამედ გესმის მათი, უფრო მეტიც, მართა ქვიტირიძისა და პელაგია საბელაშვილის ხმის მოდულაციასაც კი გრძნობ. ამიტომაც სწორედ დავით კლდიაშვილის კითხვისას შეიძლება გაგიჩნდეს კაცს ის აზრი, რომელიც ამ დიდმა მწერალმა გამოთქვა: *„ქართული ენა შვენებით სავსეა... მისით მშვენიერად გამოითქმება ადამიანის ყოველნაირი სულისკვეთება“...*

„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, N1, 1981

ანდერძი

მწერალს განგაშის ზარების დარისხება ჰმართებს...

„იყიდება საქართველო, მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით; მშვენიერის ენით... ვაჟკაცური ხასიათით; სტუმართმოყვარეობით; თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით; გონებაგახსნილი ვაჟებით; მალხაზი ბავშვებით... იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილით და ძირით, ძით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით.

ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული.

იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსაღოში; დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში.

იყიდება ერთიანად: შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი; ქართლი, სვანეთი და სამეგრელო; გურია და ლეჩხუმი; რაჭა და ჯავახეთი. იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებად, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიად, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოდ; ბანკის საშუალებით და ჩვენის დახმარებით.

იყიდეთ ბარემ მთლად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს, ოხრადდარჩენილი, აძღებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!“

მწერალს რწმენის თესლის გაღივება შეშვენის...

„დაუგდეთ როდესმე ყური ლიტანიის რეკვას!..

მე აღვსდგები! — მოისმის შეუწყვეტელ რეკვაში წელში გატეხილის, მაგრამ მოიმედე ადამიანის ხმა.

შენ აღსდგები! უძახის ვიღაცა დაკარგულს იმედს, ნუგეშს, სიხარულს.

მე აღვსდგები!

შენ აღსდგები!

კი-კი-კი-კი.

რის და ვის სახელს არ გაიგონებთ ამ რეკვაში?!

ოცი წელიწადია ყურს ვუგდებ ამ რეკვას. ველი. ვუცდი ერთს სახელს, რომ დავიძახო: ჭეშმარიტად! ხმა კი არ ამოვა მაშინ ყელიდან, არამედ ნიშნად სიხარულისა ფეხწითელა თეთრი მტრედი ამოფრინდება გაპობილი მკერდიდან.

მოთმინებიდან გამოსული, მე თვით ვიძახი: „საქართველო აღსდგება!" ვცდილობ იერიქონის საყვირს გადავაჭარბო.

დიდი და პატარა ზარები გუგუნებენ, გრიალებენ და წინინებენ:

ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად!

კი-კი-კი-კი

კი-კი-კი-კი!"

მწერალმა ანდერძი უნდა დაუგდოს შთამომავლობას...

„კარგა ხანია დავრწმუნდი, რომ უცნობი კარების წინ ვდგავართ... ფარდები კართა უკან ათრთოლდნენ და გაშლისთანავე ან დავინახავთ ნანატრ ბედნიერებას, ან სამარადისო წყვდიადის მსხვერპლნი შევიქნებით.

ამ აზრს ვუტრიალებ ყოველის მხრივ და ამ ნიადაგ ზე დამეწყო ჰალუცინაციები.

ჩემი ოთახის ფანჯრიდან ხშირად მოჩანს თეთრი თოვლით დაფარული, მზის სხივებით აფერილი მყინვარი და შორიდან მისი ხმა ისმის, ვით ხმა ნაზი ქალწულისა:

მოუარეთ საქართველოს!

მთვარიან ღამეში ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, თალხით მოსილ ჭირისუფალსავით რომ დასცქერიან ქუთაისს, უხმოდ მეტყველებენ:

მოუარეთ საქართველოს!

ზოგჯერ ქუჩაში წინ გადამელობება სულის მესაიდუმლე შოთა და ბრძანების კილოთი ამბობს:

მოუარეთ საქართველოს!

ღამის წყვდიადში ყურს მოეკრავ მდინარეთა გალობა-სიმღერას; იწყებს მკვირცხლი რიონი; შემოსძახებს გიუმაჟი თერგი და ბანს ეუბნება დინჯი მტკვარი:

მოუარეთ საქართველოს!

ნუთუ, ბატონო ჩემო, გუშინწინ რომ კოკისპირულმა წვიმამ დაასხა, არ გაგიგონიათ გაუთავებელი, გაბმული ძახილი ყოველი წვეთისა:

მოუარეთ საქართველოს!.."

მწერალი იდეით — კეთილშობილური იდეით — შეპყრობილიც უნდა იყოს...

ნიკო ლორთქიფანიძის მკერდი მარტო „აღსდგება"-სიტყვას — წითელ-ფეფეა ფითქინა მტრედს — როდი გამოუპია.

იქიდანვე წამოფრაშფრაშდა სიტყვა „იყიდება" — ლეშისმძიძგნავი, ნისკარტგასისხლული სვავი;

იქიდანვე წამოფრთხა სიტყვა „მოუარეთ" — თვალებბრიალა შევარდენი.

იყიდება! — განგაში;

აღსდგება! — რწმენა;

მოუარეთ! — ვედრება.

ამ სამ სიტყვაშია ჩანურული ნიკო ლორთქიფანიძის სული.

სიტყვიერების მასწავლებლის წმიდათაწმიდა ვალია ამ სიტყვათა სიღრმეში ჩაახედოს თავისი აღსაზრდელები — ეს იქნებოდა, ალბათ, ნიკო ლორთქიფანიძის ანდერძი ჩვენდამი.

საბა ბრძანებს: „ანდერძი — მოკვდავთაგან დარიგება".

კიდევ უფრო ფასეული უკვდავთაგან დარიგებაა.

„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", N1, 1982

„აღდეგ და ქართულად უბნობდი"

„ანლა წარმომიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მრქუა ქართულითა ენითა: რაი არს, რაი გელმის, ეფთვიმე? — ხოლო მე ვარქუ, ვითარმედ, — მოვკუდები, დედოფალო! და ვითარცა ესე ვთქუ, მომეახლა და მიპყრა ხელსა და მრქუა: — არარაი არს ენებაი შენ თანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი".

გიორგი მთაწმინდელი,

„ცხორებაი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთვიმესი"...

მამა თავის ქალიშვილს „ანდერძს" უტოვებს. და თუმცა ეს „ანდერძი" ათი ნლის გოგონას ალბომში იწერება, მისი ექო თითქოს სინაის ცეცხლოვანი მთიდან გრუხუნებს: *„შენ ხარ მარადიული, განუყრელი და ერთგული წევრი და მსახური შენი მშობელი საქართველოსი. შენი სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია, ხოლო მისი მეგობარი შენი პირადი მეგობარია. ყველაფერი, რაც*

გაქვს და გექნება — შენი სიცოცხლეც კი — შენს მამულს ეკუთვნის. შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განუყრელი შვილი"...

ეს მამა უკვე შუახანს მიტანებული, დაღვინებული მწერალია; მთელი მსოფლიო მოუვლია, მრავალი ხელობა გამოუცვლია, ათეულ ენასა ფლობს, უამრავი რამ უნახავს და გამოუცდია — წისქვილის დოლაბი არ დაბრუნებულა მის თავზე, თორემ სხვა არა დაჰკლებია; ჯერ კიდევ მოსწავლეს, დედა და და მხეცურად დაუხოცეს, ჯავრისაგან ლამის შეშლილი მამამისიც წლისთავზე გარდაიცვალა. თავადაც რამდენჯერმე ბენზე გადაურჩა სიკვდილს. შეეძლო მშვიდად, ეკონომიურად უზრუნველყოფილს ეცხოვრა, მაგრამ თავის მოწოდებას ვერ უღალატა. რა საქმესაც არ უნდა მოჰკიდებოდა, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ვინც არ უნდა ენახა — ეს ყველაფერი ქაღალდზე გადასატან მასალად ილექებოდა მის გულსა და ტვინში. წინ გოლგოთა ელოდა. ამასაც გრძნობდა... კი არ გრძნობდა — იცოდა; იცოდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა სულმოუთქმელად, ერთ ღამეში „ჩანჩურა" დაწერა: *„ქართული კალამი ძალიან ჰგავს გოლგოთურ ჯვარს, რომელსაც ხელით ვატარებ"*... მწერლური კალამი კი არა — ქართულიო. არცა ტყუოდა — ჩვეულებრივი კალმის მოსმა თუ ოდენ ოფლს ადენინებს მწერალს, ეროვნულისა — არცთუ იშვიათად — სისხლს ანთხევინებს. მაგრამ ეს ვერ შეაშინებდა — სწორედაც სისხლდანთხეული ყველაზე დიდი ქართველის სულიერი მემკვიდრე გახლდათ: შემდგომ იგონებდა — ილიას მკვლელობის დღეს საგურამოში ავარდნილა, ღამით კი, განცდებით დატანჯულს, ილიას სისხლით შესვრილი ბალიში სასოებით აულია და მასზე თავმიდებულს დასძინებია. წინამურის ღამეს პოეტის გასისხლულ ბალიშზე ეს თავის დადება მისთვის საიდუმლო სერობის ბადალი აქტი იყო: მიხეილ ჯავახიშვილი ეზიარა ილია ჭავჭავაძის სისხლსა და ხორცს, ვითარცა მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი.

მიხეილ ჯავახიშვილი, პირველ ყოვლისა, ეროვნული მწერალია. ერთგან იგი წერდა: *„რწმენა ვინმესი ან რაიმესი — ქრისტესი, მაჰმადისა, ეროვნებისა, პროგრესისა... — აი, მხოლოდ ეს რწმენა და განვითარებული გონება ასხვაევებს მეტყველ ადამიანს ურწმუნო პირუტყვისაგან"*. თავად მის ღმერთს „ეროვნება" ერქვა — ეს რწმენა ილიამ ჩაუჭედა სულში ლურსმანივით. ისიც უნდა ითქვას, რომ ჯავახიშვილი არ ყოფილა არც მალემრწმენი და არც ბრმად მორწმუნე საქართველოს მესიანური იდეისა: ერთხელ კიდევ გადავიკითხოთ მისი „მასალები ლექციისათვის" და დავრწმუნდებით, თუ ეჭვის როგორ ჯურღმულებშია იგი გამოტარებული. მაგრამ სწორედ სულის ამგვარ სახმილში გამოწრთობილი იდეა მაღლდება მისთვის ლამის რელიგიურ დოგმად; ამისი ამოძახილი გახლავთ ზემოხსენებული „ანდერძიც".

ახლა ისევ „იოანეს და ეფთვიმეს" მივუბრუნდეთ:

ყრმა ეფთვიმეს ანუ ექვთიმეს, მომავალ დიდ მთაწმინდელს, რომელსაც

ბიზანტიაში ცხოვრების გამო დედაენა დაჰვიწყნოდა და ქართულად „ძნიად უბნობდა", ავადმყოფობისგან სიკვდილს მინურვილს, ღვთისმშობელი გამოეცხადება და სასნაულებრივ განკურნავს, ლამის მკვდრეთით აღადგენს...

წარსული ზოგჯერ მეორდება. *„გარემოებამ ორჯერ გამარუსა და ისე დამავიწყა ქართული, რომ საყველპუროც ძლივს მესმოდა"*. მართლაც, პრივოლნოეს სკოლასა და ყირიმის სამეურნეო სასწავლებელში კი არა, თბილისი-ქუთაისის გიმნაზიებში არ აჭაჭანებდნენ ქართულს და, რაა გასაკვირი, რომ ყრმა მიხეილს მშობლიური ენა დაჰვიწყებოდა. მაგრამ რაც ადამიანს იავნანასთან ერთად შეგიტკბია, იმას მარწუხითაც ვერ ამოჰგლეჯ, ვერ ამოძირკვავ — მხოლოდ ნავლი შეიძლება მიაყარო. გასაკვირი სწორედ ის არის, რამხელა ცეცხლი ამოაბრიალა ჯავახიშვილმა ამ ნავლწაყრილი ქართულიდან.

ასევე — გარემოებამ ორჯერ დაუხშო მწერალს მკითხველთან მისასვლელი გზა: ჯერ იყო და პოლიტიკურმა ვნებათაღელვამ, ციხემ, დევნამ, ემიგრანტის მწარე ლუკმამ, ომმა გააგდებინა 1908-1923 წლებშუა ხელიდან კალამი, მერმე კი, 1937 წლიდან მოკიდებული 1954 წლამდე, არაკაცებმა ააფარეს სისხლიანი ხელი პირზე მის წიგნებსაც... უმკითხველო, ენადაბორკილი მწერალი კი მკვდარია — და სატანურმა ძალებმა მოინადინეს მწერლის სხეულთან ერთად მისი სულიც, მისი წიგნები, ღრმად ჩაესრისათ მიწაში...

ამაოდ დაშვრნენ! დარეკა ნაცვალგების ზარმა და თითქოს დიდი მიხეილის სულსაც გამოეცხადა სათნო დედოფალი და აუწყა:

„არარაი არს ვნებაი შენ თანა, აღდეგ და ქართულად ხსნილად უბნობდი".

„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", N3, 1981

ქიაჩის რაინდი

ციხის საკანში ორი პოლიტიკური პატიმარი სამომავლო გზას ირჩევს, თუმცაღა ისეთი ბრალდება აქვთ წაყენებული, რომ, შესაძლოა, სასამართლომ მათ ოცნებას წერტილი ეშაფოტით დაუსვას; ყოველ შემთხვევაში, სამუდამო კატორღა მაინც არ ასცდებათ... ჯერ ჭაბუკები არიან, მაგრამ საშიშ მეამბოხეებად და არსებული წეს-წყობილების დაუძინებელ მტრებად ითვლებიან. ერთი მათგანი, სტუდენტი, რომლის სალუქი პირისკანი, ნატიფი ნაკვთები და სუსტი აღნაგობა ნაკლებად შეესაბამება წარმოდგენას მეამბოხეთა თავკაცზე, გადაჭრით აცხადებს: „აქედან თუ მშვიდობით გავაღწიე, იარაღი უნდა გამოვიცვალო"... გამოხდება ჟამი და — ციხეში საიდუმლოდ შეყვანილი მინისქვეშა ხერელით იგი მართლაც გავა სამშვიდობოზე

და იარაღსაც გამოიცვლის — ლეო შენგელაია მაუზერის ნაცვლად ხელთ კალამს აიღებს.

ნურავინ იფიქრებს, რომ ეს ნაბიჯი მას ეჭვმა, სასონარკვეთამ ან შიშმა გადაადგმევინა, მით უფრო — დამშვიდებული, მყუდრო ცხოვრებისაკენ სწრაფვამ... კაცმა რომ თქვას, რა დამშვიდებული ცხოვრება შეიძლება ჰქონდეს მწერალს — სიმართლის მსახურსა და ქომაგს? ლეო ქიაჩელმა ხელი უფრო მძიმესა და სახიფათო იარაღს მოჰკიდა, სახიფათოს როგორც ძლიერთათვის ამა სოფლისა, ასევე — საკუთარი კეთილდღეობისათვის; იცოდა, სულიერად შემდრკალსა და ძარღშეშინებულ კაცს ისევე ვერ გაეძლება სამწერლო ასპარეზზე, როგორც — პოლიტიკურზე. მაგრამ განსაცდელი მას ვეღარ შეაცბუნებდა — სიკვდილისათვის უკვე ჩაეხედა თვალებში. მსგავსად ყველა ჭეშმარიტი პროზაიკოსისა — სერვანტესისა, სტენდალისა, დოსტოევსკისა... — თუმცა, რაღა შორს ვეძებოთ, — მსგავსად საბასი, ილიასი, ყაზბეგისა, ჭოლა ლომთათიძისა, მიხეილ ჯავახიშვილისა და სხვათა და სხვათა — ისიც, ცხოვრებისაგან ნაგვემი, ჰადესის მოხილვის შემდეგ შემოვიდა მწერლობაში. ეს იყო საკუთარი თავის პოვნა — ჩვენი სულიერი ცხოვრებისთვის საბედნიერო გადაწყვეტილება. ამ არჩევანს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენს ლიტერატურას შეემატა დაგეშილი მწერლური თვალით აღმოჩენილი ახალი პოეტური სამყარო — ახლებურად დანახული და მოსმენილი ხმა და ფერი, ბუნება და ადამიანი, მისი სულის შუქ-ჩრდილები.

ლეო ქიაჩელის პოლიტიკური და, შემდგომ, მწერლური მოღვაწეობა თუ საყოველთაოდ არის ცნობილი, ზოგს შეიძლება არც ახსოვდეს, რომ იგი ერის სულიერი ცხოვრების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპარეზზე, პედაგოგიურ სარბიელზე, ემსახურა თავის ხალხს — მართალია, მცირე ხნით, მაგრამ — არცთუ უკვალოდ. არცთუ უკვალოდო, რომ ვამბობ, ორმხრივ ზეგავლენას ვგულისხმობ: ცხადია, ბატონი ლეო თავისი სიდარბაისლით, ტაქტით, საგნის ღრმა ცოდნით (იგი ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიას ასწავლიდა თბილისის ქალთა გიმნაზიაში) მონაფეთა სულსა და ზნეობას ღრმა კვალს აჩნევდა. ახალგაზრდებთან ურთიერთობა, თავის მხრივ, სასიკეთოდ ზემოქმედებდა მწერლის შემოქმედებაზე: რომ აღარაფერი ვთქვათ საყმაწვილო მოთხრობების ციკლზე, მის რომანებშიც ბევრი რამ აღმზრდელის — მონოდებით პედაგოგის — თვალით არის დანახული და მხატვრულად ხორცშესხმული: — თუნდაც გვადისა და მისი შვილების ურთიერთდამოკიდებულება გავიხსენოთ.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში არსებოდა ბერთა ორდენები — ფრანცისკელთა, დომინიკელთა, ბენედიქტელთა... მათ გვერდით იყვნენ ტაძრისანი რაინდებიც, რომლებიც მახვილით ემსახურებოდნენ ჯვარს და აღასრულებდნენ რაინდულ აღთქმას...

ძნელი სათქმელია, ამგვარმა ასოციაციებმა უბიძგეს თუ არა ლეო შენგელაიას თავის ფსევდონიმად აერჩია ქიაჩელი — ქიაჩის წმინდა ხატთან დაკავშირებული ზეწოდება (-ელ სუფიქსი ქართულში არა მარტო წარმომაელობას, არამედ რისამე მიმდევრობასაც აღნიშნავს!). როგორც ცნობილია, ეს ხატი შენგელაიების „ძირ" ხატად ითვლებოდა, შენგელაიები მისი მცველები იყვნენ. ქიაჩის ხატს დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი — მისით იჭრებოდა სამართალი იმ მხარეში, მასზე აფიცებდნენ და მისით რისხავდნენ. ექვთიმე თაყაიშვილის აღწერით, ხატზე გამოსახულია მთავარანგელოზი რაფაელი, „ერთი შვიდთაგანი წმიდათა ანგელოსთა", რომლის ბაგეებით გაცხადებულია: „იქმოდეთ კეთილსა და ბოროტმან არა გპოვნეს თქვენ" (ტობით, 12,7). ყრმა ლეო შენგელაიაზე როგორი შთაბეჭდილებაც მოუხდენია ამ, ხალხის რწმენით, სასნაულმოქმედ ხატს, კარგად ჩანს მოსკოვიდან გამოგზავნილი ერთი წერილით, რომლის ფრაგმენტი პირველად ქვეყნდება: *„...ერთი შაურიანი სანთელი... ჩემს ძირ ხატს დაუდგას და დაწვას... ქიაჩი ხშირად გამახსენდება და, ეფიქრობ, რომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემს ცხოვრებაში. მგონია, რომ ის მე მწყალობს... მე მესაჭიროება ისეთი ძალა, რომელიც მწყალობს, თორემ მარტოხელას, ობოლს, მიძნელდება ცხოვრება. მე, პირადად, მოგეხსენება, არც ღმერთი მწამს და არც ეშმაკი, მაგრამ მაინც მინდა რატომღაც — ჩემი ძირი ხატი მწყალობდეს, ძალიან მინდა!.. სულის მოთხოვნაა".*

სწორედ სულის ამ მოთხოვნით დაირქვა ლეო შენგელაიამ ჩვენი მწერლობისათვის სიწმინდის ეტალონად ქცეული სახელი ქიაჩელი, და ძველ, კეთილშობილ ტაძროსან რაინდთა´ დარად არც მას, ქიაჩის რაინდს, გადაუხრია პრინციპისაგან: „იქმოდეთ კეთილსა და ბოროტმან არა გპოვნეს თქვენ!"

„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", N2, 1984

სარანგი

„მე ვარ სარანგი"...
კონსტანტინე გამსახურდია

დიახ, თქვენ სარანგი ბრძანდებით. სარანგი უფროსია კაცთა, რათა მათ მიერ ბოროტნი კაცნი შეშინდნენო, ბრძანებს საბა. იცის საქართველომ — ამ საუკუნეში თქვენ სარანგად ედექით მამულს, „ზავთად და შესაშინებლად ბოროტთა და ავაზაკთა".

ლექსიკონები იმასაც გვამცნობს, რომ „სარანგი" ლაშქრის მეთაურს, სარ-

დალს ნიშნავს. ამ აზრითაც სარანგი ბრძანდებით, ბატონო კონსტანტინე. თქვენი ჩოხოსნობა ანაქრონისტული ახირება როდი იყო — მიდრეკილებებში, ჩაცმულობაში ხომ ხშირად იჩენს თავს ადამიანის ბუნებაში ჩაბუდებული განუხორციელებელი შესაძლებლობანი. თქვენს ძარღვებში უძველესი მეომარი ტომის ცხელი სისხლი ჩქეფდა, ხოლო ქცევასა და ჩაცმულობაში — სიყრმიდანვე ადევნებული განუხორციელებელი ოცნება — ხმალამოწვდილი გასძღოლოდით მამულის ლაშქარს. თუმცა თქვენ მაინც ჩაუდექით სათავეში ერთ ლაშქარს: *„აჰა, მოდიან ღეროვანი ასოების ლეგიონები. ისინი ხან ლელიკით იკეცებიან, ხანაც ცხენოსანი ჯარის პიკეტებსავით მოემართებიან, ამპარტავნად ზეალმართულნი... და როცა მე მეგონა, მკლავი შესდგაო, როცა ვფიქრობდი, დამეშრიტა გონების ძალი და ფანტაზიას ჩემსას ფრთენი შეეკვეცაო, ენა ქართული, ეს უფსკრული თვალშეუდგამი, ისევ აზღვავდა, ისევ ადგა ამ ჩემს ცხელ სისხლში და წამოვიდნენ სახეები ტალღების დარად... მერმე აზვავდა სისხლი ჩემი და მოქანცული, მდორე გონება თითქოს უეცრად გასხეპაო ელვის ლეკურმა... მოვსდექ და ისევ შევუტიე ამ უფსკერო ზღვას, თვალშეუდგამს და გახელებულს“.*

იცის საქართველომ, რომ თქვენ ომი მოაგებინეთ ამ ლაშქარს, სიტყვათა ლაშქარს. ისიც იცის, რომ ამ ომში სარანგობა სიცოცხლისათვის არანაკლებ საშიშია, ვინემ ნამდვილ ბრძოლის ველზე...

ჩვენ გვიყვარხართ ჩოხოსანი, ბატონო კონსტანტინე; ჩვენ პატივსა გცემთ სმოკინგიანს. „მე — ჩოხოსანი და მე — მონოკლიანი“... არა, ეს არ ყოფილა შეუთავსებლის შეთავსება; ეს უფრო ოდესღაც ძალად გათიშულის კვლავ შემტკიცებასა ჰგავს. ეს ძირძველი ერთიანობა თქვენ ცხოვრებითაც დაამტკიცეთ და შემოქმედებითაც.

კოლოსალურ სულიერ ენერგიას ჰფლობდით; არასოდეს დანდობიხართ მარტოოდენ ტალანტს — ღვთით ბოძებულს. თქვენი რკინისებური ნება, მკაცრად დისციპლინირებული გონება წარმართავდა მას. თქვენ ბრძანდებით მწერლური პროფესიონალიზმის იშვიათი ნიმუში საქართველოში.

იცის საქართველომ, სულთახდომის ჟამს კიდევ ერთხელ როგორ დათრგუნა სულმა თქვენმა თქვენივე დაუძლურებული ხორცი, როგორ აზიდა სარეცლიდან, რათა ზეზეურა შეჰყროდა სიკვდილს — „მოვედ, სიკვდილო...“

იცის საქართველომ, როგორი სიყვარული იცოდით; და ისიც იცის, როგორი სიძულვილი შეგეძლოთ. სიყვარულისავე სახელით, სიყვარულისავე ძალით.

„ღამე მოვა სიძე ანა ზდეული, მე ვარ სარანგი ღამისა“...

იცის საქართველომ, რომ ღამის სარანგი, სმენაგამახვილებული მოდარაჯე ბრძანდებოდით მომავალისა, რომელიც განგვიკითხავს. ჩვენც გვაფხიზლებდით, რათა სახარებისეული ხუთი უგუნური ქალწულის მწარე ხვედრი არ გაგვეზიარებინა.

„მე ვარ სარანგი“... თქვენ იყავით და რჩებით სარანგად: თქვენს წიგნებში გადასული თქვენი სულია აწ სარანგი სრულიად საქართველოსი.

1983 წელი თქვენია, ბატონო კონსტანტინე: მაისში იუბილეს ვიზეიმებთ, გამოიცემა თქვენი წიგნები, თქვენი სახელი დაერქმევა ქუჩას, დაიდგმება ძეგლი; გალაკტიონისა არ იყოს — „აქ დაიდგმება პოეტის ძეგლი, ბავშვები მოვლენ შენი წიგნებით; იქნება, ბევრი რამე იქნება" — იქნება, მართლაც ბევრი რამე იქნება თქვენი ხსოვნის პატივსაცემად... თქვენს სახელს კი სულიერი, ხელთუქმნელი ძეგლი თქვენვე დაუდგით, ბატონო კონსტანტინე, თქვენი დიდი წიგნით. და ეს ჩვენი კნინი ნამუშაკევიც — თქვენდამი მოძღვნილი ჟურნალი — საქართველოსთვის მარად გადაშლილ ამ წიგნში ჩადებულ ველის გამხმარ ყვავილად მიითვალეთ.

„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", N3, 1982

წყურვილი სულისა

„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა"...
გალაკტიონი

ყოველ საგანს სკოლაში თავისი ჟამი დაუდგება ხოლმე; ეს მაშინ ხდება, როცა ამ საგნით ასახული მეცნიერების არსის, პრინციპის „გამხსნელი" თავი თუ მონაკვეთი შეისწავლება. ცხადია, საგნის შესწავლისას ასეთ „მწვერვალებს" მოსწავლე არა ერთსა და ორს აღმოაჩენს. სიტყვიერების მასწავლებლისთვისაც დაჰკრავს ხოლმე სანუკვარი ჟამი, როცა რუსთაველის, გურამიშვილის, ილიას (ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს) სამყაროს კარი უნდა შეუხსნას ყმაწვილს. და აი, მეათე კლასში თითქოს მაღლით გაისმის — „გზა, მეგობრებო, მობრძანდება გალაკტიონი!" — და გაკვეთილი, კლასი, სკოლა, ქალაქი, მთელი სამყარო ივსება და იჭექება გალაკტიონით.

რაა ეს გრძნობა? — გალაკტიონისებურად რომ ჩაეკითხოს თავის თავს მკითხველი, ვინძლო, პასუხი ვერც გასცეს ერთი სიტყვით. მართლაც, ეს განცვიფრებაც არის, ელდაც, ძრწოლანარევი აღტაცებაც... ხომ გიგრძნიათ სიზმრად რაღაც ღრმა და მნიშვნელოვანი კავშირები საგანთა შორის... ძილღვიძილის სამანზე მყოფს, ისიც გინატრიათ, ნეტავ ახლა გამაღვიძა და ეს ყველაფერი, ასეთი ნაღდი და ცინცხალი, ჩამაწერინა, ეს წამი სიტყვით „დამაჭერინაო"... ზოგჯერ ეს განცდა იმდენად მძლავრია, კაცს მართლაც წამოგაგდებს ლოგინიდან და კალამსაც აგაღებინებს ხელში, მაგრამ... ის, რაც სიზმრად თითქოს მოიხელთე და ასე მტკიცედ გეპყრა ხელთ, მშრალ ქვიშასავით ჩაგიშვავდება თითებშუა. გალაკტიონი კი ამ სიზმართა გაცოცხლე-

ბას, მათ გაცხადებას ახერხებს; მის პოეზიაში საგანთა იდუმალი კავშირები იმ ცხოველმყოფლობას, სიღრმესა და წონას ინარჩუნებენ, ჩვენთვის რომ მხოლოდ სიზმრად არის საწვდომი.

საით მიჰყავს გალაკტიონს მკითხველი? რას გვასწავლის გალაკტიონი? — სიყვარულს, მამულიშვილობას, კეთილშობილებას, სილამაზეს, ჰუმანიზმს... მოკლედ, რაღას არ გვასწავლის, თორემ სწავლებით ყოველგვარ სიქველეს გვასწავლისო, იტყვით, მაგრამ გალაკტიონი, უპირველეს ყოვლისა, **თავისუფლების** მასწავლებელია. აქ მხოლოდ თავისუფლების იდეის ქადაგებას როდი ვგულისხმობ: ილიას — „თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარის" შემდეგ ამით ქართველ მკითხველს ვერავინ, თვით გალაკტიონიც კი, ვერ გააკვირვებს. გალაკტიონი თავისუფლების მასწავლებელიაო, ამაში, უნინარეს ყოვლისა, მისი მხატვრული აზროვნების თავისუფლებას ვგულისხმობდი. რაზედაც უნდა წერდეს იგი, ჩვენ მუდამ გვეუფლება თავისუფლების მათრობელა განცდა. ამის მიზეზი კი ის უნდა იყოს, რომ პოეტი ენაში აღმოგვიჩენს სიტყვათა ისეთ შინაარსობრივ ნიუანსებს და მათი ურთიერთდაკავშირების იმგვარ შესაძლებლობებს, მანამდე რომ ვერც წარმოგვედგინა: „და მეომარს შუბლს უმშვენებს **ნელი დაფნის ფოთოლი**"... „გაიყვეს ძმებმა **მოხუცი ბაღი**" (სხვაგან: „**მოხუცო სხივო**, შენ **კანკალებ**, ეხედავ, რომ **კვდები**")... „**ფეხთან პერანგი ინვა ცბიერი**"... „**აშრიალებდნენ ფოთლებს ბნელხმიანს**"... მთავარი კი ის გახლავთ, რომ გალაკტიონის მიერ ენაში აღმოჩენილი ეს თავისუფლება ენაშივე როდი მთავრდება. იგი მიმანიშნებელია იმ თავისუფლებისა, რომელიც გენიალური პოეტის თვალით რეალურ სამყაროში იხილება, მისი ენით გამოითქმის და მხოლოდ მერმე ხდება ჩვენთვის საცნაური. გალაკტიონი მარტო იმას კი არ ჭვრეტს, რაც არის საგანი, არამედ იმასაც — რადაც შეიძლება იგი იქცეს. ასეთ დროს ვლინდება საგანთა უშინაგანესი არსი, ისინი თითქმის თავისუფლდებიან გარსის, ფორმის „წყეულისაგან". ჭეშმარიტ პოეტთა ამგვარი ნიჭი ვისთვის სანუკველია, ვისთვის — თავზარდამცემი. აკი ბრძანებდა თავად გალაკტიონი „სმენად და ჭვრეტად" გადაქცეულ ჯალათებზე: „შიშის ზარს სცემდათ პოეზია უფრორე მეტად, ვინემ ფერმკრთალი შეთქმულება აჯანყებისთვის".

გალაკტიონთან მიახლების, მასთან განდობის მსურველი — თვითონაც თავისუფლდება, უნდა გათავისუფლდეს, ლიტერატურული თუ ენობრივი სტერეოტიპისა და სქემებისაგან. გალაკტიონის პოეზიაში შესაძლოა იმგვარ რამეს წააწყდე, რაც კაცს მკრეხელობად მოგეჩვენება... შოთას „ხამს მოყვარის" ტრადიციაზე გაზრდილთათვის, ცოტა არ იყოს, შემაცბუნებელია — „ო, ჩემი სული ბევრს დაიმონებს, მეგობრები კი არ მეყვარება", ან აკაკის „ჩემი ხატია სამშობლოს" მერე — „**რომ სხვა სამშობლო** არ გამაჩნია, **რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო**?!" მაგრამ ეს მხოლოდ ზერელე შთაბეჭდილება იქნება — ამას ხომ ის პოეტი ამბობს, ვინც თასს-სადღეგრძელოსაც კი მეგობრობის, „ერთმანეთის გატანის" ფიცით ავსებს, ვინც ლამის იდეით შეპყრობილის დაჟინებით

იმეორებს — „სამშობლო უმთავრესია!" ალბათ არა ღირს პრობლემის გაიოლება და მტკიცება, ამას ახალი, „მეორე პერიოდის", გალაკტიონი ამბობს, იმას კი ძველი, „პირველი პერიოდისაო". ცხადია, პოეტის სულიერი ევოლუცია უწყვეტლივ მიმდინარეობს, მაგრამ არა მარტო ზეალმავალი ხაზით — მან იცის დაქანებაც, წრებრუნვაც, ზიგზაგიც... მთავარი კი ის გახლავთ, რომ ზემომოყვანილ ფრაზებში ცნებები — „მეგობრები", „სიყვარული", „სამშობლო", „თოვლი" გათავისუფლებულია ყოველდღიური, სტერეოტიპული გაგებისაგან, უფრო სწორად — მათი საზღვრები გაზრდილ-გაფართოებულია და მეტ აზრს მოიცავს, ვინემ მათში ჩვეულებრივი სიტყვათხმარების დროს ვდებთ.

მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს გალაკტიონი ენის კანონებს არად დაგიდევდეთ და სიტყვაშიც ნებისმიერ შინაარსს აქსოვდეს. ასე რომ იყოს, მაშინ მისი პოეზიის გაგება თუნდაც ინტუიციის დონეზეც კი არ მოხერხდებოდა. გალაკტიონს კი პრინციპულად ყოველთვის ვუგებთ... თუმცა იმის განცდაც არ გვცილდება, რომ რაღაც შესაცნობი კიდევ დაგვრჩა; თითქოს ვგრძნობთ უხილავ ზღუდეს, მის პოეზიას გარს რომ ევლება... ისიც მომხდარა, რომ ლექსსა და მკითხველს შორის ეს სამანი მორღვეულია და — ვაი იმ პოეტს, ვინც მკითხველს მხარზე ხელს დაატყაპუნებინებს. არასოდეს მიგიშვებთ საამისოდ შოთა; არც აკაკი, არც ვაჟა, არც გალაკტიონი. და საგულისხმოა, რომ სწორედ ამგვარ პოეტებს მიაკუთვნებს ხოლმე ერი „უპირველეს დაფნას მეფეთა", სწორედ ისინი ხდებიან ჭეშმარიტად სახალხონი.

პოეზიაში გამოვლენილი სულის ეს თავისუფლება ძალუმ ელექტრომუხტად ევლებოდა გალაკტიონის პიროვნებასაც. მასთან კონტაქტისას ერთგვარი უხერხულობის განცდა გეუფლებოდა ადამიანს, თითქოს გარსისაგან განძარცვულ, შიშველ სულს ეხებოდი უშუალოდ. იგი ეზიდებოდა მის ბრგე, ახოვან სხეულს ზემოთ — ეზიდებოდა ისეთი ძალით, რომ ირწმუნებდი, ეს ძალუმი ტორსი რომ არა, მინას ასწყდებოდა გალაკტიონი. ეტყობა, თავადაც ჰქონდა ამის შეგრძნება, იქნებ — რწმენაც: „გავფრინდეთ, ჩვენ ხომ გვასხია ფრთები"... „ფრთები, ფრთები გინდა"... ვინ იცის, იქნებ ამ რწმენით აცახცახებული მიაწყდა საავადმყოფოს აივნის მოაჯირს, ზედ გადაეკიდა და, არქიმედეს მსგავსად, მსოფლიოს ამაყირავებელ წერტილს მიაგნო... გაინელა წამი, შეყოვნდა და — სანამ მისი უმძიმესი ტორსი მინას დაასკდებოდა, თავდახსნილი სული ზეცად ასრიალდა...

თავისუფლების განცდა მარტო მათრობელა როდია, — გადამდებიც არის, უფრორე — ვინემ ნებისმიერი გრიპისა თუ ქოლერის ეპიდემია. ასე გადმოდის გალაკტიონის სულიდან ჩვენში თავისუფლების მძლეთამძლე, მაცოცხლებელი „მიკრობები". გალაკტიონის პოეზია ჩვენც გვათავისუფლებს, ოღონდ გვათავისუფლებს მაღალი აზრით, რამეთუ — არსებობს თავისუფლება ჭეშმარიტი და თავისუფლება მოჩვენებითი. ჭეშმარიტი თავისუფლება კი სწორედ უღელთა, დიდთა და მძიმე უღელთა, დადგმას გულისხმობს

და, როცა გალაკტიონი გვათავისუფლებს სიძულვილისგან, შიშისგან, ორგულობისგან, იგი სიყვარულის, ერთგულების, ზვარაკის უღელს გვადგამს ქედზე... ანუ ჩვენ, მისი მკითხველები, ჩვენივე ნებით ვუდგამთ მხრებს ამ მძიმე ჯვარს და მივყვებით პოეტს:

მე მივდიოდი ერთი, სადაც მაღალი ფერდი,
ვით უძველესი ღმერთი, აღმართულიყო ცადა.
ჩვენ მივდიოდით ორი, განვვლეთ ჭალა და გორი,
შორი მთებიდან ქორი თან მოგვყვებოდა გზადა.
ჩვენ მივდიოდით სამი, გზებზე დაეცა ნამი;
იყო საღამო წამი გამჭვირვალე და სადა.
ჩვენ მივდიოდით შვიდი, ღამეც მოვიდა მშვიდი,
და როს ცის არის მშვილდი გადმოეკიდა მწვერვალს,
გავხდით ათასი მცველი, სულ ახალი და ძველი,
ახლა მოვდივართ მთელი ლეგიონების წყება.

„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", N4, 1981

ხმაძალიანი

„ხმაში უნდა ვეფხვის ძალი..."
გიორგი ლეონიძე

გიორგი ლეონიძე (1899-1966) — უახლესი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელთაგანი, ერთ-ერთი ყველაზე თვითმყოფადი პოეტური ნიჭი XX საუკუნის ქართული მწერლობისა; ლიტერატურული ტალანტი მრავალნახნაგოვანი: ლირიკოსი, ეპიკოსი, პროზაიკოსი, ესეისტი, ლიტერატურის ისტორიკოსი, ფილოლოგი; გიორგი ლეონიძე არის ვერსიფიკაციის ვირტუოზი, ენის დიდი მესაიდუმლე.

გიორგი ლეონიძემ ბავშვობა პატარძეულში (გარე კახეთში) გაატარა. ოჯახში ლიტერატურული ატმოსფერო სუფევდა — მამა, ნიკოლოზ ლეონიძე, ვაჟას მერხის ამხანაგი გორის საოსტატო სემინარიიდან, მღვდლად კურთხევამდე მასწავლებლობდა, თან — წერდა; დედის მხრივაც — გულისაშვილების შტოთი — ბევრნი იყვნენ სიტყვას შეჭიდებულნი. მამით ადრე დაობლებული გიორგი ჯერ თბილისის სასულიერო სასწავლებლის, შემდეგ

კი სემინარიის მოსწავლე ხდება. 1919 წელს ლეონიძე შედის თბილისის უნივერსიტეტში, მაგრამ, „მემარცხენე მწერლობით" გატაცებული, ორი წლის შემდეგ სწავლას თავს ანებებს. გიორგი ლეონიძე აქტიური წევრი იყო ქართველ სიმბოლისტთა კორპორაციის — „ცისფერი ყანნებისა".

ლეონიძე ლიტერატურული ვუნდერკინდი გახლდათ: განსაკუთრებულ მოვლენად არა მარტო მისი პოეტური ნიჭის ადრეული გამოვლენა უნდა მივიჩნიოთ (იგი თორმეტი წლისა უკვე იბეჭდებოდა!), არამედ სიყრმის ასაკშივე გატაცება ფილოლოგიური კვლევა-ძიებით; 23 წლისა სცემს „ბახტრიონს", პირველ ქართულ ლიტერატურულ გაზეთს; მან დაგვიტოვა ჩინებული გამოკვლევები სულხან-საბას, გურამიშვილის, ბესიკის და, საერთოდ, აღორძინების ხანის მწერალთა შესახებ, გამოსცა „ვისრამიანი", „სიბრძნე-სიცრუისა", მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი"... შექმნა საინტერესო ლიტერატურული პორტრეტები ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველასა და მამია გურიელისადმი მიძღვნილ ესეებში. 1944 წელს იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს. გიორგი ლეონიძე ეწეოდა მრავალმხრივ საზოგადო მოღვაწეობას, თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე; მისი ლექსების რუს მთარგმნელთაგან აღსანიშნავია ტიხონოვი, პასტერნაკი, ანტოკოლსკი, ზაბოლოცკი; 1962 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო პოეტის წოდება, გარდაიცვალა 1966 წელს, დაკრძალულია მთაწმინდაზე.

გიორგი ლეონიძე ერთ-ერთი უგანათლებულესი პიროვნებათაგანი იყო თავის თანამედროვე ქართველ მწერალთა შორის; ქართული მწერლობა და კულტურა მას დათავისებული ჰქონდა არა მარტო შემოქმედებითად, არამედ — როგორც მეცნიერ-სპეციალისტს. ღრმად იცნობდა რუსულსა და ევროპულ ლიტერატურას, ფილოსოფიას; მით უფრო საცნაურია, რომ ამგვარი ერუდიტის პოეზიას უცხო ლიტერატურისა და, საერთოდ, „ლიტერატურშჩინის" კვალი ნაკლებად ეტყობა; მას, ცნობილ ბიბლიოფილსა და ფრანგული პოეზიის თაყვანისმცემელს, უწერია:

„მე არც ფრანგების ვარ ნაყმევარი,
არც წიგნის მტვრიდან ფეთქვა მსმენია".

თითქოს უცხო ჰანგს საგანგებოდ იმისთვის ეწაფებოდა, რომ საკუთარი ყველასაგან გამორჩეულიყო:

„არ მინდა ჩანგი მე ხელნაჭერი,
ნარტყამი ხმალი სააკაძისა";

ფართო თვალსაწიერით სწორედ იმისთვის ჭვრეტდა სხვათა ნავალ ბილიკებს პარნასისაკენ, რათა საკუთარი გზა გაეწალდა.

ლეონიძის პოეტური სახის ფორმირებაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ქართულმა კლასიკამ (რუსთაველმა, გურამიშვილმა, ილიამ, ვაჟამ...) და ფოლკლორმა; ამ თვალსაზრისით მას მართლაც „მშობელ მიწაში უდგას ფესვები". მაგრამ გიორგი ლეონიძის უდიდესი მასწავლებელი და უმძაფრესი შემოქმედებითი იმპულსის მიმცემი იყო სტიქია ქართული ენისა, რომელიც მისთვის მხოლოდ გამოხატვის საშუალება კი არ არის, არამედ — შინაფორმაც; თითქოს პოეტის იდეათა სამყარო ენით კი არ ფორმდება, არამედ — ენიდან; მისი ნიალიდანვე ამოიზიდება მთელი მსოფლმხედველობა, მიმართებათა სისტემა (ამიტომაც ითვლება „უთარგმნელად" მისი არამცთუ პოეზია, არამედ — პროზაც).

ლირიკოსთა საუფლო ძირითადად „მე" არის, გიორგი ლეონიძე კი უმთავრესად „შენ" პოეტია; მისი ლექსების უმეტესობა მიმართვაა. მაგრამ ეს არ გახლავთ საუბრის ინტონაციის შემცველი ფიქრთა და აზრთა გაზიარების პოეზია — ლეონიძის ტემპერამენტი ამას ნაკლებად იგუებს — ეს არის აორტის გაგლეჯის ზღვარზე მისული შეძახილი, მოხმობა, ნატვრა, აღსარება, ურვა:

„როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,
სიყვარული ისე დამჯახებია"...

„გახელებული ხარი ვარ, გეშს ვიღებ ნიავქარზედა,
მაჩვენეთ ჩემი ოცნება, რქა ზედ მივაფშხვნა რქა ზედა"...
„შენ, დარნეულო ჩემი გვარის ქაფიან სისხლში"...

„სამშობლოვ, ისევ შენ ხარ პირველი,
ვტორტმანობ შენით, როგორც მეწყერი"...

„ბერო და აბეჩხარო, თელავის ნეკერჩხალო",

„ნინა, მანანა, ეკატერინა,
შვიდი ნაწნავი რომ გერტყა, მართა,
ნუთუ აღარ ხართ ამ ქვეყნად მართლა"...

ცხადია, ამგვარ ლირიკაში მიმართვის ობიექტზე არანაკლებ (თუ მეტად არა!) იკვეთება თვითონ პოეტის სულიერი სამყარო.

ეს სამყარო კი გაჭექილია „სიცოცხლის კორიანტელით", წყურვილითა და ვნებით: თვით სიკვდილიც — მატერიის დაშლა, ხორცის ლპობა — სიცოცხლის ნრებრუნვად, არსებობის ახალ ფორმად აღიქმება და პოეტური გზნების წყაროდ იქცევა:

„დამტაშებული ტაშები საფლავში გამომპალიყო"...
„სად ლპებოდა ბეჭდიანი, ვაი, მანანას ხელი"...
„სად ლპება შენი ქოჩორი, თვალი სად ამოგიღამდა"...

სულთყრის მომენტი, ხშირად იძულებითი — „შადრევანებად ამორწყეული" სისხლი და „ერთმანეთში აზელილი თმა და ტვინი" — პოეტის მიერ პირველყოფილური ძალითა და პირდაპირობით დახატული, ახალ სიცოცხლეს უდებს სათავეს — დანთხეული სისხლი „ბროწეულის ყვავილებად ამობრიალდება" ხოლმე ლეონიძის პოეზიაში.

გიორგი ლეონიძეს ძალზე უყვარს სიტყვა „ბარბაროსი" და „ყივჩაყი":

„ბარბაროსული სისხლის შრიალი"...
„სისხლი შავახეთქე ბარბაროსული"...
„ბნელ ყურლანებში სძინავთ ყივჩაყებს,
თავქვეშ უგიათ თოქალთოები..."
„მთები, მთები, ბუმბერაზთა საშინელი მხედრობა...
თუ ხარ მონა, აქ არავინ გენდობა!
მონურ ღიმილს მე ვინ გადმომაბრალებს?
მე გაჩეხილ ნაპრალებს ყივჩაყურებ ჩავყურებ".

მართლაც „ბარბაროსული" ენერგიით არის დამუხტული პოეტის ფრაზა. აქ არის გადავარდნა, სიტყვის „მყვირალობა" — როდესაც თავად სიტყვას ლამის სექსუალური გზნების ინტენსივობა ახლავს.

„მსუყეა განა? სისხლზე მოსულა,
როდი სთესავდნენ სირინოზები
და ავსებული ბარბაროსულად
მიყვარდა სიტყვა მიმინოსებრი".

ამგვარ უცნაურ „ხმაძალიანობას" სათავე საგნის მხატვრული აღქმის საზღვრების გაფართოებაში უძევს: პოეტი ხუთიე „საცეცით" არის სამყაროს დანაფეებული და მკითხველსაც არა მარტო ანახებს და ასმენინებს მას, არამედ ხელსაც ახებინებს, აყნოსებს, გემოს ასინჯვინებს. აი, როგორ სვამენ წყალს მისი გმირები: *„დიაკვანმა გამვლელ გოგოს, აბდიას, სველი ლიტრა გამოგლიჯა ხელიდან და მიიყუდა. ჯერ პირში წყალი დაიგემოვნა, მერე დაახრიალა, ახლა ზედიზედ იწაფა და კმაყოფილმა, ბედნიერებით დაბნედილმა წყნარად თქვა"...*

აი, ორსიტყვიანი პეიზაჟი: *„მოლამდა. აიძაგრა ღამის ბალანი..."* აი, როგორ ღრეობენ მისი გმირები: *„დევის სისხლი გაჯდა ძარღვებში! სუფრა შეადანდგარა გლეხების ხრომ, ამღერდნენ, აღმუვლდნენ... სვამდნენ, თან ილოშნებოდნენ, ერთმანეთს თავპირი ჩამოაცალეს"*; აი, როგორ ეფერებიან და ლოცავენ: *„აი, გაძეხ კარგი მზითა!" „მოშენდეს უბე დედაშენისა", „წამლად დაგენაყე", „იმ ადგილის ჭირიმე, საცა შენ მომაგონდები!"* აი, როგორ იმუქრებიან: *„გაგმუშტავ, მოგჩექმავ, დაგანიავებ!"* აი, როგორ იძინებენ: *„ძმას ტკბილად,*

ნეტარყუჩობით მიეძინებოდა, ძილში ცხვებოდა". აი, ბიბლიური ხილვა კატასტროფისა: „დაიწყო 1914 წლის ომი. ადგა ღორი გაუმაძღრობისა".

მისთვის არსებობს „მაძღარი სიტყვა", „დამკრახული გოგო", თვით „პურის კალამიც" კი.

ლეონიძის პეიზაჟებიც კი ხმაურობს, ყნოსვასა და გემოს გვილიზიანებს:

„როგორც საძროხე ქვაბს ოშხივარი,
ქართლის ხეობებს ასდით ნისლები",

„ქაშუეთს ფერი დაჰკრავდა,
ვარსკვლავის შუქზე თბებოდა,
ცილა, დღერილი ვარსკვლავთა,
ქაშუეთს ეწებებოდა"...

„მთვარე გომბორზე წაიქცა —
რძით გავსებული ტაგანი..."

„გავხედე, ცის ერთ კუნჭულთან
რძე მოჟონავდა ძუძუდან"...

მაგრამ როდესაც ბუნებით აღვსების გაუძლისმა შვებამ პოეტს ლამის მკერდი გამოუნგრიოს, ლეონიძე აჩურჩულდება ხოლმე:

„ამოითეთრა კავკასიონმა...
ცივგომბორიდან კახეთს დავყურებ...
თითქოს თავს ოქრო გადამაყარეს,
ვარ თეთრ ვაშლის ქვეშ გაღვიძებული.
ალაზნის ველი — ხოხობის ყელი,
კახეთის მთები..."

და უცებ ლექსიდან „ამოვარდნილი" —

„მოდი, მომკალი!"

და ამას მოდევნებული ბუტბუტი:

„შენ მეძახოდი, თუ შრიალებენ ალვის ხეები წინანდალისა?..
შორს ალაევრდის გედი მიცურავს!"

ეს „ალოგიკური" — მოდი, მომკალი! ლექსის მწვერვალია; ამგვარი კულმინაცია ლეონიძის სხვა ლექსებსაც აქვს; მხოლოდ დიდი ესთეტის ხელში შეიძლება ლექსის კულმინაციად იქცეს ამგვარი „არაესთეტური" ფრაზა: *„და შენი — მშვენიერო — დასათხრელი თვალები!"* ლეონიძე თავის ზოგიერთ ლექსში თითქოს ვულკანიკით თვლემს, რათა სადღაც ღეელფიკით სა-

ხე ამოაგდოს: *„ცისფერ ჩქერებში ეხახუნება ქონიან მკერდით ქვას ორაგული"* („ივრის პირად"); გავიხსენოთ ეფექტური თქმები და სიტყვათა თამაში: *„შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად, მკერდზე რომ ვარდსაც ძლივს იკარებდი"* („ნინა ჭავჭავაძეს"), *„ქართლის მკვლელობის ძველ ამბავს უწოდეს „ქართლის ცხოვრება"*. მაგრამ მის საუკეთესო ლექსებში („მყვირალობა", „ყივჩაღის პაემანი", „ოლე", „ციცარი", „პირველი თოვლი", „ნინოწმინდის ღამე"...) ეფექტურ სახეთა ფეიერვერკი ლექსის საერთო განწყობილებას არის დაქვემდებარებული — სახე ლექსს არ „ჩაგრავს".

ლეონიძის პოეზია ხაზგასმულად მამრულ საწყისებზეა აღმოცენებული. მისთვის უცხოა ქალური „დათუთქვა", ნახევარტონები, ლაჟვარდის კულტი — აქ მსუყე, „მაძღარი" ფერი ბატონობს — მიწისა და სისხლის ფერი; მის უთეთრეს „ნეროს თოვლიდანაც" კი მეწამული ამოასხამს — *„თუ მოგესმათ ხერხემალის ჭახანი, ნეროს თოვლში, ნეროებო, მიტირეთ!"* ამავე დროს პოეტის ნაგეში თვალი და ყური „ციცნათელების ფანცქალსა" და „ნუშის ნაფერთალსაც" ამჩნევს; ასეთ დროს უსათუოესი განწყობილება სადა სიტყვებად ამოჟონავს ხოლმე პოეტის სულის ხვეულებიდან: *„არ იცოდი, დიდებას ბევრი ცრემლი სჭირდება? გადაგჩეხეს, დაგლუპეს წითელგულა ჩიტებმა"*... ანდა: *„ვაშლის ნაფცქვენს არ გადავყრიდი. დედამ მასწავლა: ვაშლის ქერქი უთუოდ ცეცხლი უნდა ჩაყარო, ერთი ჩიტი მაგისი სურნელით ცხოვრობსო"*...

გიორგი ლეონიძე — საერთოდ ძალზე ნათელი პოეტი — ზოგჯერ ქმნის იდუმალ, ძნელად საწვდომ სახეებსაც — *(„ეს თოვლია, თუ მიმინომ დააფეთა მტრედები? ვარსკვლავთა ოთახებში ჩათვლემილებს ეძინათ, ეხურათ ხავერდები")*; მაგრამ ამ დაბინდულობითაც კი იქმნება ნათლად გამოკვეთილი განწყობილება — ჭაბუკურად შლეგი, აწყვეტილი.

ლეონიძე — დიდებული მოქართულე — ზოგჯერ საგანგებოდ უქცევს კახურად; ამას თავისი პენი აქვს — *„ის თაობა ჩანგურებით სამოთხეში შავა, ჩვენი ყელი შაშხი არის, გაბოლილი შავად"*. აქ რომ მხოლოდ გარითმვის მომენტი არ არის გადამწყვეტი, სხვა მაგალითებით დასტურდება: *„თამადამ ჩასო სიტყვა მარგალიტში"*... *„აბანოდან ამაივლის თვალციმციმა ქალი"*... *„სახუნდარიდან მარეკი გულში გაარტყავს ტყვიასა"*. ბოლო ორ მაგალითში სალიტერატურო ფორმები დაარღვევდა ნატიფ ფონეტიკურ ქსოვილს: *აბანოდან — ამაივლის, გაარტყავს — ტყვიასა*; სიტყვის ულერადობა პოეტისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია: *„ლიტრიან რახტით ტამერლანმა დაგხვრიტა ტანი"*... *„სავსე ჯიქანი და ბარკალი გადამორილი, ნასუქი ლეში გაგლეჯილი გიპოპოტამის"*. მასთან ორბი ფრთებს დასტყლიშავს, კოჭობი თლუხთლუხებს, ქალები თითისტარს აძგრიალებენ, პაპა დაჟღლილი ხმით წაიმღერებს, ხვედია მიწას ჩაჰბღუის. გამაოგნებელია ლეონიძის აღწერილ სეტყვაში ფრაზათა ვიზუალური, განსაკუთრებით, აკუსტიკური ეფექტი: *„უეცრივ ცამ იელვა, მერე იდგრიალა, კიდევ იდანდგარა და მცირე ტორტმანის*

შემდეგ შაელურჯმა ღრუბლებმა უნითლესი წინწკლების ბურჯღლები გაჰყარა. და ანაზდეულ, ჩქეფით წამოვიდა ნიაღვარი, დელგმა. მწუხრის მოშავფენებამ იმატა, სივრცე გაკუპრდა, ცისქცევა, უცნაური კრჩხიალი, ბაგუნი და ზრიალი აყრუებდა ყოველივეს. და უცებ გაიზარდა შემზარავი, სიკვდილის ხმიანი წენა, ლეწვა — სეტყვა წამოვიდა"...

ბუნებასთან უშუალო მიახლების ყრმობისდროინდელი შთაბეჭდილებები იმდენად მძაფრი იყო, რომ გიორგი ლეონიძის — დიდი ქალაქების მხილველისა და თავადაც დიდი ქალაქის მკვიდრის — პოეზიაში ნაკლებად ჩანს ქალაქის ანტურაჟი. იგი თითქოს საგანგებოდ ერიდება ურბანისტურ რეალიებს; ქალაქს პოეტი ფიროსმანის თვალით ხედავს და ხატავს: *„ჩაქრა ყველა ვარსკვლავები, ვით კამეჩის თვალი, ქარმა ქალაქს დაუშინა ნუშის ნაფერთალი"... „და მახათის ტიტველ მთიდან ყვითლად მობაბანე, საღვინით და შოთის პურით მზე დაადგა ბანებს"...* ურბანისტული სურათის გასაცხადებლად მისი ფანტაზია ბუნების სამყაროდან გამოიხმობს ხოლმე შესადარებელ ობიექტებს (თანაც ამგვარ ასოციაციებს ლეონიძისეული ძალა და სიზუსტე ზოგჯერ აკლია: *„ცას მილები ქარხნებისა, როგორც ჯიხვის რქები, აპობენ და შემღერიან"... „მანქანები დაჰქრიან, ვით დაჭრილი სკვითები"...*);

გიორგი ლეონიძე ღრმად არის შეჭრილი მშობლიური ერის ისტორიაში, მეტიც — მისთვის თითქოს მორღვეულია ზღვარი წარსულსა და ახლანდელობას შორის: ეს ორი დრო მის პოეზიაში ერთმანეთს შემსჭვალვია: ქრონიკისა და მატიანის სიტყვა ფერ-ხორცს ისხამს, სტრიქონებიდან ძვალთა ლეწვა და ჩეხვა მოისმის, ფოლიანტებიდან სისხლი და ნატუსალი მოჟონავს: *„კრწანისულ დუდუკს, სისხლით შეღებილს, ხშირად ჩემს ლექსში სდის სისხლის ცვარი"*. ერთმანეთს ენაცვლება კოშმარული ჩვენებანი და აპოკალიფსური ძალის ხილვები:

„ზეთის მდინარედ მტკვარი დიოდა
და გადულებლად წვიმდა ნაცარი,
ეკიდათ ღრუბლებს სისხლის ბანარი,
შემკრეს და ვეღარ გადმოვიარე,
სისხლის ტალახში ვერ გავასწარი".

ანდა:

„...ხვალ ნახავთ სახლებზე ღრიანკალს, ბუს,
დამდნარ გალავნებს, გოგირდის ბურს...
ცხენის ქაჩაჩში ჩარჩენილ თავთავს,
უზანგში — მტევანს, ვენახში — სამარეს,
ნაფუძრებს, თეთრი ძვლით მოთესილს,
ტრამალებს, ტრამალებს, ტრამალებს.
ხვალ ნახავთ, სისხლით აივსება წყაროზე ტაგანი"...

ასეთ გამძაფრებულ აღქმას ისტორიისას ლეონიძე „აწმყოს მხედაობას" უთავსებს, წარსული მისთვის თვითმიზანი არ არის: *„გვეყო მარტო გორგასალის ნანგრევებით კვეხნა — აღარ გვინდა საქართველო საფლავების ქვეყნად"*.

სიცოცხლის, ვნების, ზარხოშის, სიჭაბუკის ამ „ყიჩაღურ ლირიკას", ნიაღვრად მოვარდნილს, თან „შლამივით" მოჰყვებოდა ტკივილი, დაეჭვება, სინანული, ბოღმა; როცა ლექსი „დაიწმინდა" მათგან, ძალაც დაკარგა; ჭარმაგმა პოეტმა იგრძნო, რადაც უჯდებოდა აორტის გაგლეჯის ზღვარზე სიმღერა: *„თეთრ ვარდებს დაეშურე ყივჩაღური ლირიკით, მოდიოდა სახელი ნაოჭების ბილიკით"*.

ლეონიძე პროზას ახალგაზრდობაშივე წერდა, თუმცაღა არ ბეჭდავდა. 1961 წელს დაისტამბა მისი მოთხრობათა კრებული „ნატვრის ხე" — ერთ-ერთი ყველაზე ქართული წიგნი — ქართული თავისი სულით, მსოფლაღქმით, ენით. ამ წიგნით გიორგი ლეონიძემ კიდევ ერთხელ გვარწმუნებინა სასწაული — ყოველი ადამიანი პოეტია და ყველა ამბავი — პოეზია: საკმარისია მხოლოდ მათ ჭეშმარიტი პოეტის ხელი შეეხოს. მას ამ სასწაულის მოსახდენად არ სჭირდება არც ჩახლართული სიუჟეტი, არც უჩვეულო ფაბულა, არც ღრმა მეტაფიზიკური ანალიზი; ერთი რამ კი შეინიშნება — მის პერსონაჟთაგან ზოგი აშკარა, ზოგიც შინაგანი, „მთვლემარე" მეამბოხეა, ისინი ხშირად საკუთარ თავს და შესაძლებლობებს უჯანყდებიან და ამიტომაც იმსახურებენ მკითხველის ღიმილნარევ სევდიან თანალმობას. „ნატვრის ხის" შინაარსობრივ სისადავეს ავსებს რთული და ფერადოვანი სტილი — ამოუწყავი ლექსიკა, ხატოვანი თქმები, მთელი ფეიერვერკი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებისა.

გიორგი ლეონიძე პოეტთა იმ მცირერიცხოვან კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთა მნიშვნელობა, გავლენა და სახელი სიკვდილის შემდეგ იზრდება.

„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", N4, 1984

ხასიათების მხატვარი

შენგელაია დემნა (1896) — პროზაიკოსი. მწერალი-აკადემიკოსი (1969); დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია (1917); სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების (1918-22) და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიურ (1932-37) ფაკულტეტებზე.

დემნა შენგელაიამ პირველი ნოველა 1915 წელს დაბეჭდა. მისი პირველი ნა-

ბიჯები ლიტერატურაში დაემთხვა XX საუკუნის 20-იან წლებს, როდესაც ქართულ მწერლობაში მრავალი მიმართულება და დაჯგუფება არსებობდა. ახალგაზრდა პროზაიკოსი ფუტურისტთა გაერთიანების წევრი გახდა, თუმცა შემოქმედებითი პრაქტიკით იგი ფუტურისტად ვერ ჩაითვლებოდა: დემნა შენგელაიას, მსოფლაღქმითაც და მწერლური ტემპერამენტითაც მეამბოხეს, ფუტურიზმის მემარცხენე-ბუნტარული თეორიები უფრო იზიდავდა, ვიდრე ფუტურიზმი, როგორც ლიტერატურული მეთოდი. თავიდანვე მკაფიო ინდივიდუალობით აღბეჭდილ მის ნაწარმოებებში მაინც შეიძლება შემოქმედებითი იმპულსების მასაზრდოებელ სამ წყაროზე მითითება: ქართული მითოსი და, საერთოდ, ხალხური სიტყვიერება, ჩვენი კლასიკური მწერლობა (განსაკუთრებით, სულხან-საბა ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე) და მოდერნისტული, კერძოდ, სიმბოლისტური პროზა.

დემნა შენგელაია ხასიათების მხატვარია. ამბავი, ინტრიგა, თვით სიუჟეტიც კი მის თხზულებებში გადამწყვეტ როლს არ ასრულებს. ხასიათთა სიღრმისეულად გასახსნელად კი მწერლის ფანტაზია ამოაფრქვევს სიტუაციათა მთელ ფეიერვერკს, თუმცა ნაკლებად ზრუნავს მათ შორის ლოგიკური კავშირის მხატვრული დასაბუთებისთვის. ამ ხერხით არის დახატული ბათა ქექია, თავისი მასშტაბურობითა და ზოგადობით სიმბოლომდე ამაღლებული ტიპი ქართველი გლეხისა („ბათა ქექია", 1933). ბათაში ძალუმად ფეთქავს სიცოცხლის ძარღვი, იგი იმ გლერტა ბალახის ჯიშისაა, „სამ წელიწადს რომ ყვავის ბუდედ იყო, მერე ძირს დავარდა, ფესვი მინას მოსდო და აღმოხდა: ეეხ, კინაღამ არ მოვკვდიო".

საულიაც („განძი", 1958) ბათასმაგვარი „მარილია ამა სოფლისა" — „ამ ატეხილი მაღალი მთების ერთი უბირი, უჯიათი ნაგლეჯი"... მწერალმა მას განძი აპოვნინა, რის შედეგადაც საულიას სულში ერთმანეთს ტრაგიკულად დაუპირისპირდა ბოროტი და კეთილი საწყისები. დემნა შენგელაიამ ნაკლებად იზრუნა ამ ტრაგედიის სოციალურ მოტივირებაზე, მან უფრო ზოგადი პრობლემის მხატვრულად განსხეულება განიზრახა: ადამიანის სულის უფსკრულებში ჩაბუდებული ბნელი ძალების აღზევება და მათი დათრგუნვის გზა. „მაისის გველის თვალებით" გამომზირალი ოქრო მატერიალიზებული სატანაა, საულიას სულში მინავლებული ყოველი სიავე რომ „ააშმაშურა". ამ გამოღვიძებულ ბნელ ინსტინქტებს წინ აღუდგნენ კეთილი საწყისები — მიწის, ოჯახის სიყვარული — გლეხის სულში მარადიულად რომ ჰგიეს.

პიროვნების ფსიქო-ბიოლოგიური ტრაგედიაა ნაჩვენები დემნა შენგელაიას ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებშიც — „სანავარდო" (1926), რომელიც მწერალმა შემოქმედების ადრეულ ხანაში შექმნა. მაგრამ თუ საულიაში, მიწაში ფესვგადგმულ გლეხში, ბოროტი საწყისები მხოლოდ თვლემენ და გარეგანმა გამაღიზიანებელმა, ოქრომ, აღაზევა ისინი, ძველი თავადების ჭილაძეთა გვარში ბოროტების ეს თესლი თაობიდან თაობამდე მწიფდებოდა

და ბოლოს სულის ჩირქიან იარად გადმოინთხა ბონდოს პიროვნებაში. ათასწლოვანი გენეალოგიის მქონე გვარის ცოდვებს უკვალოდ არ ჩაუვლია: სისასტიკემ და ავხორცობამ გამოფიტა და დააუძლურა მათი ჯიში, კოლხეთის ჭაობის ლეშქმა და ხაშმმა სასიცოცხლო ძალები გამოსწოვა და დააძაბუნა იგი. დაღლილი სისხლი, ჩამპალი გარემო, სოციალური კატასტროფა ერთად ატყდება თავს ჭილაძეთა უკანასკნელ ნაშიერს. არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი ბონდო ხან მეცნიერებას აწყდება, ხან — ბახუსსა და ეროსს, ხანაც — პოლიტიკას, მაგრამ მისთვის ხსნა არსაით არის, მას „ხერხემალი აქვს განყვეტილი". რომანის დასასრულს პირზე დუქმორეული ბონდო ეპილეფსიური კრუნჩხვა-კლაკვნით ხვდება ახალი დროების მაცნეს, მატარებელს, რომელსაც „ნვივმაგარი" ხალხი მოჰყვება და რომელიც ანგრევს ჭილაძეთა საბუდარს — სანავარდოს.

„სანავარდოს" აქვს მეორე პლანიც — ფანტასტიკურ-კოშმარული, სადაც მთელი სისრულით იჩინა თავი დემნა შენგელაიას ტალანტმა. აქ არის საოცარი ხილვები, შემაძრწუნებელი ზმანებანი. გოიასებური ენებით იხატება უუმურმოძალებული კოლხეთი. საერთოდაც, დემნა შენგელაიას შემოქმედება, განსაკუთრებით — ადრეული ხანა, პოეტური ხერხების სიუხვით გამოირჩევა: მოულოდნელი შედარებები, გაუცვეთელი მეტაფორები, ფრაზის რიტმულობა და მუსიკალობა „სანავარდოში" და იმ პერიოდის ნოველებშიც თვალშისაცემია. მწერალი ღრმად შეჭრილა დედაენის სტიქიაში, შეყვარებულია ფრაზაზე, გრძნობს, იცის ყოველი სიტყვის ფერი, სურნელი, გემო, წონა. მხატვრული დეტალები მის თხზულებებში ხშირად ისეთი შთამბეჭდავნი არიან, რომ კონტექსტიდან ამოგლეჯილნიც კი ჩვენზე ესთეტიკურად ზემოქმედებენ: *„დედამიწამ დაალო ხახა და ქვესკნელიდან მოისმა წივილი. წივილს დამარხული მკვდრები ამოჰყვა და დაცვივდა მიწაზე... ყარამანმა იგრძნო, რომ თმის ძირებში სითეთრე ციცვად შეიპარა"*... მხოლოდ პოეტს შეუძლია დაწეროს ამგვარი ალოგიკური, მაგრამ მხატვრულად მართალი ფრაზა-ღაღადისი: *„ანნა ბატონიშვილის ეშხი გათრობდა შენ, ტფილისო, — ჩადექ მის გახურებულ ნაწნავებში და ქვრივის ლიმონის სურნელებაში ახურდი ალერსს მონყურებული".*

დემნა შენგელაიას მეცნიერული გამოკვლევები ქართული მითოსის სფეროში, მისი ფოლკლორისტული ძიებანი ღრმა ერუდიციითა და ინტუიციური წვდომის ძალით არის აღბეჭდილი, ხოლო ესსეები და საჯარო გამოსვლები — ორიგინალური ანალიზითა და ბობოქარი ტემპერამენტით. ისევე, როგორც მაძიებელ ხელოვანთა უმრავლესობისა, — არც დემნა შენგელაიას ხანგრძლივი შემოქმედებითი გზა ყოფილა მწერლურ ტრიუმფთა უნყვეტი ჯაჭვი, მაგრამ ამ გზას მისი ნიჭის გამონაშუქი ზოგან დევის ნაკვალევად აჩნია.

სტატია დანერილია ლექსიკონ-ცნობარისათვის — „ქართული მწერლობა" 1976, (რედ. შენ.)

შენშია სხვა, სხვაში ხარ შენ...

„...ყველაზე კარგს კი მათგან ის დაწერს, ვინც სხვაზე მეტად და ღირსებით იტანჯება, ვერმიღწეულის ვნებით შეპყრობილი“.

თუ ამ სტრიქონებს ვირწმუნებთ, მისი ავტორი თავისი თაობის ერთ-ერთი ყველაზე ტანჯული კაცი ყოფილა. და ამავე დროს — ყველაზე ბედნიერიც... ოცდაექვსი წლისა დაილუპა, მაგრამ უკვე დაწერილი ჰქონდა „ნათელა“ და „ალავერდობა“. სიცოცხლეში ბევრს შლეგი ეგონა, წერას ატანილი, ახლა ყველამ იცის — ერთ-ერთი ყველაზე ღრმა და ფიქრიანი კაცი იყო თავისი დროისა.

ზოგჯერ მწერალსა და მის წიგნებს შორის დისონანსია: ამბობენ, ჭეშმარიტად პოეტური ნატურა უფრო იშვიათია, ვიდრე ჭეშმარიტი პოეტიო. მაგრამ ისიც მომხდარა, რომ მწერალი თავის წიგნებზე მაღლა მდგარა; გურამ რჩეულიშვილის პიროვნება კი ბადალია მისივე შემოქმედებისა — იგი არა მარტო თავისი წიგნების, საკუთარი პიროვნების ავტორიც გახლავთ. მწერლობა მისთვის იყო თვითდამტკიცებისა და პიროვნულობის გამოვლენის გზა, ხოლო ზეშთაგონება — ის მითიური ფასკუნჯი, რომელიც საკუთარი ხორცით, საკუთარი გულის სისხლით უნდა კვებო. მხოლოდ რჩეულთა ხვედრია თავიანთ სხეულს დააძლევინონ შიში სიცოცხლის მატერიალური ფორმის დათმობისა. გურამ რჩეულიშვილმა ეს შეძლო... მაგრამ ეს არ ყოფილა სხეულის მარცხი: სულის ზეობა რჩეულიშვილში სხეულს, ვნებას, ემოციებს კი არ თრგუნავდა — პირიქით, ხვეწდა, ამძაფრებდა, ზემოთ ეზიდებოდა. მას არ სჭირდებოდა საკუთარ თავში ჩასაღრმავებლად სოფლიდან განდგომა; კარგად იცოდა — სანამ სხვების სულიერ სამყაროს გახსნიდე, სანამ „სხვად იქცეოდე“, მანამ საკუთარ სამყაროში უნდა დაინთქე და მაშინ იგრძნობ, რომ შეიძლება მოხდეს „სხვად ქცევის“ სასწაული, რადგანაც შენშივეა ყოველი, რაც სხვაში შეიძლება აღმოაჩინო. მაგრამ გურამ რჩეულიშვილი ამის შეგრძნებაზე არ შეჩერებულა — მან ისიც ირწმუნა, რომ თავადაც არსებობდა სხვაში, რომ „სხვაც“ „მე“ ყოფილა.

და ამ განცდასთან ერთად იბადება ნიჭი თავგანწირვისა, უნარი გაცემისა, გრძნობა თანალმობისა: ადამიანი უკვე თავს აღარ დაჰკანკალებს თავის ბიოლოგიურ არსებობას — ის სხვაშიც არის, ესე იგი ის უკვდავია! ამ გრძნობით აღვსილი დაუშურველად, სრულად გასცემს თავის უნარს, თანაგრძნობას, გულის სისხლს. რჩეულიშვილისთვისაც სიცოცხლემ, არსებობამ მაშინ შეიძინა უზენაესი აზრი, როცა მისი გაღება, შენირვა შეძლო. ეს არ მომხდარა მისი ულამაზესი სიკვდილის ჟამს მხოლოდ — სხვის გადასარჩენად უყოყმანოდ, ტანსაცმლიანა რომ გადაეშვა აზავთებულ ზღვაში — ეს ბევრად უფრო ადრე მოხდა. იცოდა, დიდი ხანია იცოდა: სიცოცხლე რომ სრულად განიცადო, სიკვდილს უნდა მიეახლო. მაგრამ ეს არ ყოფილა საკუთარი არასრულ-

ფასოვნების განცდით გატანჯული კაცის კუკუმალობანა სიკვდილთან — თავის თავს როცა უწყობენ გამოცდას, დიდია ცდუნება „დანიშნული ბილეთის“ ამოღებისა. გურამ რჩეულიშვილმა იცოდა, რომ განსაცდელის გამოხმობა, მისი საგანგებოდ ძებნა ზედმეტია — ნაღდ კაცურ ცხოვრებას ფათერაკი ისედაც თანა სდევს. ამიტომაც რჩეულიშვილიცა და მისი პერსონაჟებიც ხარბად, ენებიანად ეწაფებიან სიცოცხლეს და სწორედ ამით უწყობენ მას გამოცდას ყოველ ფეხის გადადგმაზე (დღიურში წერდა, გული მიგრძნობს, ოცდაათ წლამდე ვერ მივატანო. კარგი კი იქნებოდა ოცდაათისთვის გადამეხეჯებინა, ძალიან ბევრს გავაკეთებდი... თუმცაღა, მაშინ ხომ წინათგრძნობაც აღარ მექნებოდაო... ოღონდ წინათგრძნობის უნარი არ გასცუდებოდა — უამისოდ არ სწამდა ხელოვანი — და დე, მოსულიყო სიკვდილი!).

ალბათ საკუთარი სიცოცხლის შეწირვის, ყველაფრის გაცემის უნარი თუ ევლებოდა ძალუმ მუხტად რჩეულიშვილის პროვნებას, რომ მისი სიახლოვე ამოუხსნელი უხერხულობისა და რაღაც იდუმლი შიშის გრძნობას ბადებდა. არაფერი ყოფილა ამ ყელთამდე სიკეთით აღვსილ ჭაბუკში დემონური, მაგრამ ყველა ქვეშეცნეულად გრძნობდა მის მომნუსხველ ძალას. ეს პიროვნული ძალმოსილება მისი მოთხრობებიდანაც იღვრება.

გურამ რჩეულიშვილი უმთავრესად და უპირველეს ყოვლისა ერთი პერსონაჟის მხატვარია: მოთხრობიდან მოთხრობაში გადასული ყველა ეს გურამი, ვაჟა ჯანდიერი, ცქიტო, ჯემალი, გიო — ერთია, ოღონდ — სხვადასხვა გამოვლინებაში. ქანდაკების დარად გვიჩვენებს მას ავტორი სხვადასხვა კუთხით, რაკურსით, განსხვავებულ მანძილსა და განათებაზე. მკაფიო ინდივიდუალობით აღბეჭდილი ეს სახე ამავე დროს თავისი ზოგადობით ლამის სიმბოლომდე ამაღლდეს. იგი ღრმად „დანთქმულა“ თავის თავში, მაგრამ არა იმდენად შიშველი განსჯით, რამდენადაც ქმედებით: გმირს სურს ბოლომდე ამონუროს თავისი არსება, გამოავლინოს თავისი დაფარული შესაძლებლობანი. ამიტომაც არის ეს პერსონაჟი უაღრესად კომუნიკაბელური, ახალი კავშირების, ახალი ურთიერთობების, უცხო განცდების მაძიებელი. იგი ბრეტიორია, მასში ძალუმად ფეთქავს დონ ჟუანის და სირანოს ენება, განცდები ღრმა აქვს, მაგრამ ცვალებადი. ქალისათვის ტრაგიკულია მისი სიახლოვე — სიყვარულიცა და მისი „დაძლევაც“ გმირისთვის საკუთარ შესაძლებლობათა საზომია („ირინა“).

გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში ენებები წვეთწვეთობით გუბდება, რათა მერე ნიაღვრად გადმოსკდეს. ამ პროცესის პლასტიკურ ხატს ხშირად ახლავს ღრმა ანალიზი, იგი ან ამზადებს კოლიზიას („ბათარეკა ჭინჭარაული“), ან განმარტავს მას („ალავერდობა“). ზოგჯერ ეს ენებები დაუნჯებულია („გურამი და ციცკა“, „მოლოდინი“), მაგრამ მკითხველს არ სცილდება განცდა, რომ რაღაც უნდა მოხდეს, რომ საცაა დაიჭექებს. ამ აღრიალებული დუმილის ეფექტი იმდენად მძაფრია, თითქოს ყრუ იყო და მხოლოდ კანით გრძნობდე მოზანზარე ჰაერს.

გურამ რჩეულიშვილი თავზეხელაღებულობამდე თამამი მწერალია; მას არ ეშინია თავად ქმნადობის პროცესის, ამ მწერლური „სამზარეულოს", მხატვრულ რეფლექსიად ქცევისა („ნადირობა", „უსახელო უფლისციხელი"). იგი არ უფრთხის ადამიანური ფსიქიკის ულრმეს შრეებში ჩაბუდებული „შინაგანი ტაბუს" მზის სინათლეზე გამოტანასაც („მოლოდინი", „ნათელა"). ამ სითამამეს არაფერი აქვს საერთო არც მაზოხისტურ თვითგვემასთან, არც საკუთარი უტიფრობით კეკლუცობასთან. „ნათელაში" მწერალი ბენვის ხიდზე ზეცისაკენ თავაღერებული გადის — იქითკენ მიილტვის გიოსა და პატარა ნათელას ბინიერებით დაუმძიმებელი კავშირი.

გურამ რჩეულიშვილის მხატვრული სამყარო ყოველთვის ხელშესახებია, გრძნობადი და კონკრეტული. სტილი, გამოსახვის ხერხები, სინტაქსი ერთ მიზანს ემსახურება — უშუალოდ განაცდევინოს მკითხველს პერსონაჟთა ვნებები. მის ფრაზას იქნებ ზოგჯერ აკლდეს კიდეც სინატიფე, მაგრამ დამუხტულია შინაგანი ძალით. მწერალი ჩინებულად ფლობს დიალოგის ტექნიკას („ნადირობა", „გურამი და ციცკა"); მისთვის არც ირონიაა უცხო („ოჯახური იდილია", „როგორ გამოიცვალა იგორ კაბლუკოვი").

სულიერ ენერგიას, კეთილშობილურ ვნებებს შესაფერისი „ჭურჭელი" სჭირდება. ახირებულობა იქნება ფიზიკურ სიკეთესა და სულიერ ძალმოსილებას შორის ტოლობის ნიშნის დასმა, მაგრამ მათ შორის რომ ღრმა კავშირია, ეს ოდითგანვე იყო ცნობილი; ალბათ შეგიმჩნევიათ, ზოგჯერ შინაგანი ძალა ათინათად ადგება ადამიანს და თითქოს ფიზიკურადაც გარდაქმნის მას. პირიქითაც ხდება, როცა ფიზიკური სრულყოფა გვევლინება ბიძგის მიმცემ, ასასხლეტ ტრამპლინად სულიერი ზეაღსვლისათვის. არა მგონია ვაჭარბებდე — გურამ რჩეულიშვილის პიროვნებას მნიშვნელოვანნილად მისი ფიზიკური სრულყოფილება განსაზღვრავდა. „ბათარეკა ჭინჭარაულში" ამგვარი ფრაზაა: *„სადღაც გულის სიღრმეში განსაკუთრებით კარგად გრძნობს მზიას სხეული, რომ ის უნაკლოა"*. დიდი ძალაა ამის შეგრძნება და იგი ამ ფრაზის ავტორისათვისაც არ უნდა ყოფილიყო უცხო — ოღონდ ვაჟკაცური, მამრული შეგრძნებით: როცა შენს სხეულს შეუძლია ქედი მოუგრიხოს გაგიჟებულ ურაცხენს; უფსკრულში ჩაკიდებული, კბილებით ჩააფრინდეს თოკს და მოყინულ, გასისხლულ თითებს უსაშველოს; შეუძლია ზღვიდან გამოიყვანოს გაგუდული, ხულიგანს ყბა აახიოს, მინყივ გააბედნიეროს საყვარელი ქალის სხეული.

გურამ რჩეულიშვილმა იცოდა, ათასი ბრძენის ბევრჯერათასი სტრიქონი ვერ დაგაწერინებს — ნაკითხვა რომ ღირდეს — ისეთ ხუთ სტრიქონს; იცოდა, ერთი ბენო კალმის სიმძიმეს რამდენი ვაჟკაცი დაუჭმუჭნია; იცოდა, ყველაფერი თავად უნდა ნახო, იწვნიო, იგრძნო, ყველაფერში საკუთარი ოფლი და სისხლი უნდა ჩაანთხიო, რომ დაგიჯერონ (ისე ნუ გამიგებთ, თითქოს გაპარსვის სცენის აღსაწერად პარიკმახერობა იყოს აუცილებელი, მაგრამ, სულო ცოდვილო, არც ქოსას მიერ აღწერილი გაპარსვის სცენისა მწამს რაიმე!).

გურამ რჩეულიშვილმა არა მარტო თავის შინაგან სამყაროში აღმოაჩინა სხვები, არამედ სხვებშიც იპოვა თავისი თავი. ალბათ, ჩვენც, ყველას, შვებას მოგვგვრის რწმენა იმისა, რომ ყოველ ჭაბუკში გურამ რჩეულიშვილი თვლემს.

„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", N1-2, 198

ყოფილა, დღეს ველარ არის, მაგრამ იქნება, ცხადია!

1. ურუანტელი

დედა ლამპის შუქზე ლექსს მიკითხავს... უფრო — თავისთვის კითხულობს, ოღონდ — ჩემს გასაგონადაც:

მწუხარე და სევდიანი,
სერზე იდგა ერთი ქალი...
ფერმიხდილსა მღელვარებით
შორს ეჭირა გ ზისკენ თვალი.

ომი ახალი დამთავრებულია, მაგრამ დაბომბვის შიში თბილისს ინერციით ისევ არ ანთებინებს ნათურებს. კითხვაში ენა უკვე გავიტეხე, მაგრამ ახლა მირჩევნია დედამ წამიკითხოს — ერთი სული მაქვს გავიგო, ვის ელოდება სერზე მდგარი ქალი.

მას უნდოდა, რომ შეეტყო
მისი ქვეყნის ბედისწერა;
შიკრიკს მოჰკრა შორით თვალი
და დაუწყო გულმა ძგერა.

ეტყობა, იქაც ომი ყოფილა და შიკრიკიც ომში წასული შვილების ამბავს უყვება ქალს:

„შენი პირმშო აღარა გყავს:
ალექსანდრე მოგიკლესო,
უმცროსი ძმა მიეშველა,
იმასაც დღე უმოკლესო".

დედას ხმა ებზარება...

დედას ცრემლი უნებურად
წამწამებზე შეუჩერდა;
ნაცრის ფერი გადაედვა,
გული ხშირად აუძგერდა —

და მე ვხედავ: დედაჩემს ნესტოები დაებერა, დაჰბუსხა, გადაფითრდა და თვალდათვალ გადამექცა სერზე მდგარ მწუხარე და სევდიან ქალად.

გაივლის სამი-ოთხი წელი და სიტყვით სხვად ქცევის ამგვარივე სასწაული მეც დამემართება. ეს ისევ სერზე მოხდება, ოღონდ საქართველოდან შორს, ათონის მთაზე, და სერზე მდგარ ქართველ ქალს სერზე მლოცველი იოანე-ქართველი შეენაცვლება:

ერთხელ დილას იოანე
შემდგარიყო მაღალ სერზე
და ცრემლები ნეტარების
ეცემოდა სპეტაკ წვერზე...
ამ დროს მის წინ, ვით ჩვენება,
გამოცხადდა მგზავრი-მწირი;
დაემხო და თაყვანი სცა,
მოარიდა განზრახ პირი.
შეკრთა უცბად იოანე
და უთხრა მას ბერძნულ ენით:
„ვინ ხარ, შვილო, ან რასა მთხოვ,
მიპასუხე გამოჩენით!"
- „შენსა ლოცვა-კურთხევასა,
მამაშვილურ-მეგობრულად!"
უპასუხა იოანეს
მაშინ მწირმა ტკბილ-ქართულად.
ქართულ ლექსის გაგონებამ
იოანე ააჩქარა,
ტანში რაღაც უნებურმა
ჟრუანტელმა დაუარა...

შენც დაგბურგძლა, მკითხველო?

სწორედ დაბურძგვლით — სიტყვის ძალის ამ დოჩანაშვილისეული უტყუარი საზომით — იწყებოდა სასწაული: ათი წლის გამწლიკვული ღლაპის გარდასახვა იოანედ, თორნიკედ, ცოტნედ, ბაში-აჩუკად...

ყოველ სასწაულს კი თავისი მოქმედი ჰყავს.
და სახელი ამ სასწაულმოქმედისა — აკაკი.

2. ახალი კაბადოკიელი

აკაკის ლექსმა გააჯერა საქართველო — მისი „იავნანა" ეგებება ქართველს აკვანში და მისი „თავო ჩემო" მიაცილებს სამარეში. აკაკის სულს ჰაერივით შევისუნთქავთ და, რაც ჰაერივით საჭიროა, იმას მავანთა თვალში ჰაერის ფასიც აძევს — ზოგი ისე ეჩვევა და ვეღარც ამჩნევს აკაკის ხმას, როგორც საკუთარი კარის სახელურს.

აკაკის მისაწვდომობა სამაცდუროა და მრავალიც აცდუნა: მე მხოლოდ ცნობილ ვარდენს როდი ვგულისხმობ, ღვანკითელ შევარდენს, აკაკის რომ თავს უტოლებდა: *„შენ სხვიტორის არწივი ხარ, მე ღვანკითის შევარდენი: შენც პოეტი, მეც პოეტი, შენ აკაკი, მე ვარდენი"*. ასეთი ვარდენების ლეგიონები იყო და, როდესაც ეპიგონთა არმიამ ვითომცდა „აკაკურად" იწყო წერა, აკაკის მსუბუქი სტრიქონი მათ ხელში ამჩატდა, სისადავე გაპრიმიტიულდა და სურათის აღსაქმელი დისტანციაც მოირღვა: მიმბაძველებმა საგნები მკითხველს ლამის თვალთან მიუტანეს — სურათი კი არა მარტო შორ მანძილზე, ძალიან ახლოდანაც ცუდად ჩანს.

აკაკის რომ ადვილად ვუგებთ, იმის ილუზიას ნუ შეგვიქმნის, მკითხველო, თითქოს აკაკის ბოლომდე ვუგებდეთ.

ჯერ კიდევ როდის გვაფრთხილებდა დიდი იაკობი, არ ვეცდუნებინეთ აკაკის ლექსის გამჭვირვალობას: აკაკი წმინდა მორევია და ამ სიკამკამეში ფსკერი ზედაპირთან ახლო გვგონია, არადა — ღრმად ძევსო.

ამ შედარებამ ბაიკალი გამახსენა: დედამიწაზე ყველაზე ანკარა წყალი ამ ტბაშია, რომელიც, ამავე დროს, მსოფლიოს ყველაზე ღრმა ტბაც გახლავთ.

აკაკი ხშირად ამბობს ერთს და გულისხმობს მეორეს. ერთ პირად წერილში იგი ძალიან საგულისხმო რასმე უმხელს ნიკო ნიკოლაძეს: „მე მაშინაც არ ვხუმრობ, როცა ვხუმრობ". შესაბამისად — აკაკი ზოგჯერ მაშინაც ხუმრობს, როცა არ ხუმრობს... უფრო ზედმიწევნით — იგი არა მარტო სწვდება საგანთა, მოვლენათა „ორგემაგობას" და სამყაროს აღიქვამს როგორც დაპირისპირებულთა დიალექტიკურ ერთიანობას, არამედ თავის მკითხველსაც ასეთად „აღმოაჩენინებს" ქვეყანას, რომელიც „გვაქვს უთვალავის ფერითა".

აკაკის გრძნობა სამშობლოსადმი თითქოსდა ნაზავია სექსუალურ-მისტიკური ლტოლვისა და რელიგიური ექსტაზისა. საქართველოს ის აღიქვამს, როგორც ქალს, მდედრს მის ორ უარსებითეს გამოვლინებაში: სამშობლო მისი დედაა, მისი მწიაღებელი — „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ: შენს მინას მიმაბარეო", ეჩურჩულება საქართველოს აკაკი, დედის წიაღს

ტკივილით მომწყდარი და შვებით მიბრუნებული შვილი. რა ვუყოთ, თუ ეს დედა მას ხშირად ავი დედინაცვალივით ექცევა („ჰეი, სამშობლოვ, სხვებისთვის დედავ, ჩემთვის კი ავო დედინაცვალო"); „მედედინაცვლა, მიგერა"-ო, სხვა დროსაც ამოუკვნესია პოეტს დედა-სამშობლოზე.

და სამშობლოვეა აკაკის სატრფო, მისი შმაგი ლტოლვის საგანი, რუსთველისეული „მიჯნურობა პირველის" ბადალი: მისთვის „იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა..." მართლაც რომ ღრმადმორწმუნის ექსტაზით შეჰფრფენს აკაკი სატრფოს, იდუმალად გარდასახულს ჯერ სამშობლოდ და მერე ღმერთად. სატრფო-სამშობლო-უფალი, აი, აკაკის ტრიადა, რომელიც თითქოსდა წმინდა სამების იდუმალებასა და ჭეშმარიტებას იმეორებდეს — განუყოფელიცაა და ინდივიდუალურ-პიროვნულიც: ლექსი ხშირად იწყება ერთით, გადადის მეორეში და გვირგვინდება მესამით:

მშვენიერო, შენ გეტრფი,
შენი მონა, ერთგული.
შენთვის სულდგმულს, შენგანვე
შენთვის მიძგერს ეს გული...

ასე ხომ მიჯნურს, სასურველს მიმართავენ, ასე ეფიცებიან სიყვარულს ქალს... და ამას მოდევნებული —

მეგულები ციხეში
ცხრაკლიტულში მჯდომარე.
შეთვისებას გიპირებს
გაიძვერა მოყვარე -

უმალ გვიმხელს, ვისთვისაც უძგერია პოეტის გულს.

ხდება პირიქითაც: ერთი მხრივ რომ აკაკი სამშობლოს მაღალ იდეას სატრფოდ, კონკრეტულ ქალად გარდასახავს და ამით გვიახლოებს, ხელშესახებ-მინიერ არსებად გვიქცევს, მეორე მხრივ, რეალურ მიჯნურს ზეციურ-კენ აზიდავს და ხორციელ ქალს სამშობლოსავით ეთაყვანება, აღამაღლებს და აღვთიურებს. აკაკი შეყვარებულსაც ისე ელაპარაკება, როგორც თავის საესავ სამშობლოს.

მართლაცდა, ვის შეჰღალადებს აკაკი? —

არც მყვარებია, არც მიყვარს,
არც მდომებია, არც მინდა,
არც მწამებია, არცა მწამს
შენ გარდა კიდევ სხვა წმინდა!

ცხადია, თავის სამშობლოსო, მიპასუხებთ და, პარინციპულად, მართალიც იქნებით, თუმცა სამშობლოს, ამ შემთხვევაში, სრულიად კონკრეტული ქალის სახელი ჰქვია.

ანდა, ვის ჰგულისხმობს პოეტი ამ გამაოგნებელ, შემაბარბაცებელ სტრიქონებში?

გამწირა, იმან გამწირა,
ვისაც შევწირე ყოველი...
სიცოცხლე მიჩანს სიკვდილად,
სიკვდილს სიცოცხლედ მოველი.

მართლაცდა, ვის შეეწირა აკაკი სულიან-ხორციანად და ვისგან ინირებოდა იგი? ვისი უმადურობა და დაუნახავობა სტანჯავდა, ვისი ცილისწამებითა და ჭორებით ეთუთქებოდა გულ-ღვიძლი? ისევ მიგაბრუნებ, მკითხველო, ზემოთ უკვე მოხმობილ აკაკის სიტყვით ჯადოქრობასთან, გინა — „ჭინკობასთან“:

მედედინაცვლა, მიგერა,
ობლად მატარა, მაწამა,
გამოსხლეტილი ტოლებში,
სისხლხორცად აღარ მიწამა.

ვინ გაუჯოჯოხეთა სიცოცხლე პოეტს და ვინ ანატრებინა მას სიკვდილი, ანატრებინა ძილი — სიკვდილის ეს „ნატეხი“, როგორც შვება, ნეტარება და განსვენება?

ზეციურო სტუმარო,
ქვეყნის გამოცანაო,
ძილო, მოხუც მამასაც
მოუვლინე ნანაო.
ქვეყნის ტანჯვა, ფხიზლობა,
ვეღარ აიტანაო,
სიზმრით მაინც დაატკბე,
ნანა-ნანა-ნანაო.

პასუხი თითქოს აქაც ცალსახაა — გულისხმობს იმას, ვისაც აფხიზლებს, ანჯღრევს, აჯანჯღარებს, რადგანაც სწამს, რომ იგი „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“...

გულისხმობს იმას, ვინც ზოგჯერ ხელს უიმედოდ ჩააქნევინებს — „ლეში გამხდარხარ, გვამიო“...

გულისხმობს იმას, ვისაც „ფურთხის ღირსი ხარ"-ო, მიახლის და თითოეულ ამ სიტყვას, ილიასი არ იყოს, „თითო კოშტ სისხლსაც ამოაყოლებს"...

მაგრამ პასუხს მაინც ნუ იჩქარებ, მკითხველო: აქაც აკაკის გოდებას — გამწირა, იმან გამწირა, ვისაც შევწირე ყოველიო, კონკრეტული ადრესატი ჰყავს: არა საქართველო, არამედ — ქალი...

ოღონდ — გასამშობლოებული ქალი...

გასაქართველოებული ქალი.

ახლა ტრიადის მეორე წყვილზეც — სამშობლო-ღმერთი — ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ღმერთის იდეა აკაკისთან თვალშეუდგამ სიმაღლეზე ჰგიებს. ამ სიმაღლიდან მიწიერ კაცთა შენჩემობაცა და დიდპატარაობაც ამაოებად აღიქმება. უფლის სამზერიდან ეს ასეც ჩანს, თუმცა უზენაესთან შედარებით კერძო კაცის არარაობა არ გულისხმობს ადამიანთა შორის მეტნაკლებლობის ნიველირებას. ამ აზრით ბრძანებს აკაკი:

შედარებით, თუ არა
კაცი ყველა ერთია:
არც დიდი, არც პატარა —
დიდი მხოლოდ ღმერთია.

და ამ სიმაღლისაკენ აიტყორცნება გაღვთაებრივებული იდეა ეროვნულობისა:

ეროვნებავ, ღვთის ნიჭი ხარ,
არც საპოვნი, ვერც საყიდი.

შემკვრელი იდეა აკაკის ტრიადისა სიყვარულია: *„რამ ამამაღლა? ვინ მაგრძნობინა ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა?"* — კითხულობს პოეტი და იქვე პასუხობს:

შენ — სიყვარულო, ცისა და ქვეყნის
კავშირო და თან შუამავალო!
შენ — რომლის ერთ წამს, იმ სანეტაროს,
მზა ვარ, სიცოცხლე მთლად ვანაცვალო.

რა სანეტარო წამზეა აქ ლაპარაკი, რომლისთვისაც სიცოცხლეც დაითმობა? ეს რაღაცით ჰგავს ერთსულ-ერთხორცად შერწყმის მისტიკურ აქტსაც და „წმინდა სნეულების", ბნედის, კულმინაციასაც.

ეპილეფსიით დაავადებული დოსტოევსკი აღწერს დაბნედის პროცესს და მის აპოგეას, როდესაც სული თითქოსდა ეყრება სხეულს... მუჰამედის, თა-

ვადაც ბნედით შეპყრობილის, მოწმობით, ეს გაელვება იმდენ ხანს გრძელდება, ვიდრე წაქცეული სურიდან წყალი გადმოიღვრებოდეს; შვება-ნეტარება ამ ნამისა ისეთი ინტენსიურია, რომ მის გაგრძელებას ადამიანი ვერ გაუძლებდა. მსგავსი რამ ხდება ლოცვის ტრანსშიც, როდესაც სული თითქოსდა ტოვებს სხეულს და ადამიანი ბალანსირებს „სოფლით გაღმა გაბიჯების" ზღვარზე... ალბათ, ესაა სიცოცხლის დამათმობელი „სანეტარო წამი" და აკაკიც ლოცვის ამ ტრანსს განაცდევინებს თავის არა მარტო მორწმუნე, არამედ არაეკლესიურ მკითხველსაც; სწორედ ამგვარი რელიგიური ექსტაზით იწერებოდა და, რაც კიდეე უფრო მნიშვნელოვანია, ამავე განცდით იკითხებოდა და დღესაც იკითხება ეს სტრიქონები:

ჩანგურო, ჩემო ჩანგურო,
ღვთიურო, უცხო ძალაო,
დაადნა გული შენს სიმებს
და სული დაიცალაო.

სიმღერა „სულის დაცლამდე" კი იგივე ლოცვაა...

ამ აზრით, აკაკიმ ლამის კაბადოკიელის როლი ითამაშა — ხელმეორედ მოაქცია საქართველო.

3. მჩხიბავი

ასეთივე „გარდარეული სიყვარული სჭირს" აკაკი წერეთელს სიტყვისა. პოეტები საერთოდ არიან სიტყვის „გიჟები", მაგრამ აკაკი მათშიც სასწაულია. აქ მხოლოდ ცალკეულ სიტყვათა შერჩევას არა ვგულისხმობ, თუმცა აკაკი, სიტყვის ეს დიდი ჭაშნაგირი, ამაშიც შეუმცდარია — იგი მონადირის გეშით აგნებს უზუსტესსა და ერთადერთ სიტყვებს... ამაზე — ქვემოთ; ახლა კი მინდა ორიოდე მაგალითით გიჩვენოთ, როგორ მჩხიბაობს აკაკი სიტყვით, როგორ ჩამოასხამს ხოლმე ჩვეულებრივ, სადაგ სიტყვებს მათთვის უჩვეულო, თუმცაღა ქართულისათვის ბუნებრივ ყალიბში და რუსთველისეული სიუხვით როგორ მი-მოათოვს ქვეყანას აკაკური დამღით მოჭრილ სიტყვა-მონეტებს.

ზემოთ უკვე ორგზის ნახსენები — „მედედინაცვლა, მიგერა"-თი დავიწყებ; „დედინაცვალი" და „გერი" ქართულში ნიადაგ სახმარი, მუშა სიტყვებია, მაგრამ ასეთი უჩვეულო ფორმით ისინი აკაკიმ შემოიყვანა სალიტერატურო ქართულში. ამ ფორმათა ყალიბები ანუ გრამატიკული მოდელები ენაში, ცხადია, არსებობდა; იშვილაო, ეპატრონაო, ამას აკაკიმდეც ამბობდა და წერდა ქართველი, მაგრამ, დავაკვირდეთ: „მიშვილა"-ს ანალოგიით ჩამოსხმული აკაკისეული „მიგერა" ემოციურად საპირისპირო პოლუსზეა,

ისევე, როგორც — „მეპატრონა“, „მეძმო“-ს ყალიბში გამოყვანილი „მედედინაცვლა“. აკაკიმ ენობრივ მოდელს, რომელიც, ჩვეულებრივ, ძალუმი დადებითი ემოციების გამოსახატად იხმარებოდა, ასევე მძაფრი, ოღონდ უარყოფითი გრძნობები გამოახატვინა. თანაც დავაკვირდეთ, როგორ დაწნიხა, დაწურა, როგორ დააბზრიალა თავისი სათქმელი: „ისე მომექცა, თითქოს ჩემი დედინაცვალი ყოფილიყოს“... ანდა — „...როგორც თავის გერს ექცევიან“ — ამ შინაარსთა გადმოსაცემად პოეტს ექვს-ექვსი სიტყვა კი არ შეუნუხებია, „მედედინაცვლა, მიგერა“-ო — თითო-თითო სიტყვად შეამკვრივა მთელი წინადადებები.

ნათქვამია, ჯანმრთელი მაშინა ხარ, როცა ვერა გრძნობ, ჯანმრთელად რომ ხარო. აკაკი იმითაცაა განსაკუთრებული, რომ მის განსაკუთრებულობას ვერცა ვგრძნობთ — არაჩვეულებრივობა მისი ბუნებრივი, ჩვეულებრივი მდგომარეობაა. *„მივსდექ სარკმელს, გადვიხედე, არემარე მესხვაფერა...“* განა რა არის აქ განსაკუთრებული, აბა სხვანაირად როგორ უნდა თქმულიყოო, ალბათ, გაიოცებ, ჩემო მკითხველო, და სწორედ ამით დამიდასტურებ, რომ აკაკის ეს ფრაზა ერთადერთი სიტყვების ერთადერთ კომბინაციას წარმოადგენს; ამ ერთადერთობით მიიღნევა გენიალობისათვის ნიშანდობლივი სისადავე და ბუნებრივობა პოეტური მეტყველებისა.

არადა, „მესხვაფერაო“, აკაკიმდე, რამდენადაც ვიცი, არავის უთქვამს... ყოველ შემთხვევაში — დაუბეჭდავს.

ასევე აკაკისაა — რამდენადაც შეიძლება სიტყვა კერძო კაცისა იყოს — „მისხივცისკარე“, „შევუხმატკბილე“, „გამიძირტკბილე“... კონტექსტიდან ამორიდებულნი, ისინი ესთეტიკურად მაინც „მუშაობენ“; ახლა — ბუნებრივ გარემოცვაში „დავიგემოვნოთ“ ეს სიტყვები: *„გამიძირტკბილე ძირმწარე“... „მაგრამ გავუძლებ ტანჯვას, შენ თუ მისხივცისკარე“... „ჩანგურს სიმები გავუბი, მოვმართე ნელა-ნელაო, შევუხმატკბილე ერთმანეთს ოდელა-დელა-დელაო“...* როგორ უწმახნის, მართლაც რომ უხმატკბილებს პოეტი სხვადასხვა სიტყვა-ფორმებს ერთმანეთს...

ისევ მივუბრუნდეთ ულერადობით სიტყვის შერჩევის ხელოვნებას. აკაკი მუსიკოსივით უსადაგებს ერთმანეთს გამოსახატის შინაარსსა და მის ბგერობრივ გაფორმებას. ასეა მის პოეზიაში, ასევეა პროზაში და ასე იყო, ალბათ, ყოველდღიურ მეტყველებაშიც, რასაც აკაკის პირადი მიმონერაც გვიმხელს. როდესაც იგი მეგობარს სწერს, ეს რომ ვუთხარი, აიპრუწნენო, ამ სიტყვით მარტო პლასტიკური სურათი როდი იხატება ერთი ჯურის ხალხისა — თითქოს მათი აბზუებული ტუჩების წკლაპუნიც გვესმის.

მწერალს თავის ოსტატობას, თავის სიდიდეს, ჩემი აზრით, პატარა და მინიერი საგნები უფრო მკვეთრად ავლენინებენ, ვიდრე — დიდი და ამაღლებული. „მაღალ მატერიებზე“ წერისას არცთუ იშვიათად განსჯა, ანალიზი „გადაფარავს“ ხოლმე ხატს, პლასტიკას, სურათს. ამ აზრით მოგახსენებთ — ზოგადად

სიკვდილსა და სიცოცხლეზე წერა „ადვილია", აი, მეწველი თხა და გაკროლილი ნიგოზი რომ მკითხველს დაანახო და დაამახსოვრო — ძნელი. როცა აკაკი ხალხურ ჰანგზე თხას მიმართავს — *„გაძღები, გასისინდები"... „მთაში რომ წაკოკინდები"* — მორჩა, ეს წაკოკინება სამუდამოდ იბეჭდება მკითხველის გონებაში. და — სწორედ ამის ამგვარად მთქმელს შეუძლია თორნიკე ერისთავისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის ამაღლებულ ვნებათა წარმოჩენა.

როგორ ჰგვანან ამაშიც ერთმანეთს ილია და აკაკი! ილიას უღრმეს განსჯა-მედიტაციას დედაშვილობის გრძნობაზე სარწმუნოს ხდის ყოფითი, ჩვეულებრივი საგნებისა თუ მოვლენების პლასტიკური განსახოვნება. აი, ერთი ესკიზი „ოთარაანთ ქვრივიდან", რომელსაც პირობითად „ძაღლს" დავარქმევდი: *„კერიასთან ცეცხლის შორიახლო ძაღლი იწვა. რგელად გამოექექნა თბილი ნაცარი, თითონაც გორგალსავით დახვეულ-ჩახვეულიყო, უკანა ფეხები წინ წამოეყარა, წინანი — უკან, თავზედ ბანჯგვლიანი კუდი გადმოეფარა, ცხვირი კუდის ბოლოში წაეყო და ეძინა... ფრთხილს ძაღლს პატრონის გარეთ გასვლა არ გამოეპარა. ადგა, ნაცრიანი ბალანი ერთი-ორჯელ შეიბღერტა, გაიბობღა, ტანი დაიგრძელა, ჯერ წინა ფეხები დაიჭიმა, მერე — უკანა, გაიზმორა, დაამთქნარა და ზლაზვნით გაეკიდა პატრონს".*

ანდა ეს პასაჟი: ოთარაანთ ქვრივმა თავის ნაჩხუბარ ბიჭს ცხვირპირი რომ მოჰბანა და მოალამაზა, *„პატარა გიორგი გამოჰწკრინდა თავის ტოლამხანაგებისაკენ სათამაშოდ".*

შეადარე პატარა აკაკის მონაყოლი — მდინარეში ხელაობისას გველი რომ მკლავზე შემომეხვეოდა, *„დავასხვერტებდი ხოლმე რიყეზე".*

ილიასეული ეს „გამოჰწკრინდა" და აკაკისეული ეს „დავასხვერტებდი", ილიასვე დაეესესხები, „ერთ რამედა ღირს!"

ასევე — აკაკი რომ ფანტასტიკური დამაჯერებლობით აღგვიწერს ჰალისის პირად ქართველ-ბერძენ-სპარს-სომეხთა ომს და ისართა „გადაშხუილებას", მას თვითონ აქვს უკვე გადატანილი და შემდგომ „ჩემს თავგადასავალში" აღწერილი ის დაუვიწყარი ბრძოლა, ექვსი წლის ბიჭმა რომ გადაიხადა ღორთან, რომელიც ცხელი მჭადის სუნზე სახაბაზოს მისდგომოდა და „შეჰლრუჩუნებდა", მერე კი ჭყივილ-ჭყივილით აედევნა მჭადიან ბიჭს და ნადავლი „ზე ააღლიტა": *„მეორე დღეს ცალ ხელში მჭადი დავიჭირე და მეორეში ჯოხი და განგებ ავუარ-ჩავუარე გვერდით ჩემს მტერს. წართმევას დაჩვეულმა ღორმა შემომიტია, მაგრამ მე ვაუკაცურად დავუხვდი და ვხეთქე თავში ჯოხი. ჩემი მტერი ალბათ ამას არ მოელოდა, რომ შეჩერდა და შემომიხორხოტა, მაგრამ რომ მოვუნაცვლე მეორეც და მესამეც, იკადრა და გაიქცა".*

ეს **შემომიხორხოტაც** ერთ რამედა ღირს...

ანდა — მამამისს, როსტომ წერეთელს რომ ათქმევინებს უზრდელ ჩინოვნიკზე — *„გადმოვღუნე და სამიოდე ჯოხი ვზუზღე"*... ანდა — ბებიაქალმა როგორ „შემოუცაცუნა" ერთი-ორჯერ უკან ხელი ხმაგაკმედილ

ახალდაბადებულს... ანდა — ლუკა ისარლოვზე, გამაიმუნებულ ცენზორზე: *„კუდიანი, პაწაწინა, სასაცილო რამე იყო; ერთხელ საზრდო მოისუნა და ქურდობას ხელი მიჰყო“.*

„შემომიხორხოტა“, „ვზუზღე“, „შემოუცაცუნა“, „მოისუნა“, „ნაკოკინდები“, „აიპრუწნენ“, „შეპლრუჩუნებს“, „დავასხვერტე“ — ამ სიტყვებს ფერი აქვთ, ხმას გამოსცემენ, მოძრაობენ, სუნთქავენ — მოკლედ, ცოცხლობენ... სიტყვის უკვდავებაც ეს არის.

4. ეძიებდე და ჰპოვებდე

ბედნიერი ვარ.

თურმე დღესაც შენაძლება სიტყვის მსახური კაცის ბედნიერება.

ბედნიერი ვარ-მეთქი: ვიპოვე, მივაგენი აკაკის 7 სტროფს, „აკაკურად“ გაწყობილ 91 სიტყვას — დღემდე გაუჩინარებულს.

ბედნიერი მარტო მე არ ვარ — მარტოკაცი ვერც იქნება ბედნიერი; ბედნიერებას — სიყვარულისა არ იყოს — მინიმუმ მეორეც სჭირდება. აქაც ასეა, თუმცა, სჯობს, რიგით მივყვეთ ამ ამბავს:

ორიათას ერთი წლის კვირაძალზე დოდო ნივნივაძემ, „დილას“ ახლანდელმა რედაქტორმა და ჩემმა ძველმა თანამშრომელმა, წინ დაძენძილი წიგნი დამიდო და მითხრა: დღეს აკაკის ლექსი დამჭირდა, ჩემმა მოადგილემ ჩვენი გამომცემლობის ბიბლიოთეკიდან აკაკის ეს ორტომეული შემომიტანა, მაგრამ კაცის ფერი აღარ აძევს: შეიძლება ეს წიგნი აკაკის ხელშენავლებიც იყოს, შიგ ფანქრით რაღაც სნორებებია და არშიებზეც — ბლომად მინაწერებიო.

დოდოს ახსოვდა, 1980 წელს ჩვენი საერთო ჟურნალის — „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ — აკაკისადმი მიძღვნილ ნომერს რომ ვამზადებდით, მე პოეტის არქივსა და ხელნაწერებზეც მომინია მუშაობა. აკაკის ხელს კარგად ვცნობ, სპეციფიკური კალიგრაფია აქვს ასოთა უჩვეულო გადაბმებით, ამიტომაც წიგნში ფანქრით მინაწერთა ერთი ნაწილი რომ აკაკის ხელით იყო შესრულებული, ეს მაშინვე დავადგინე, მაგრამ — რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ მინაწერებს — ეს კი გასარკვევ-გამოსაძიებელი გახლდათ.

სნორედ ამ კვლევა-ძიების შედეგები მინდა, მკითხველო, გაგიზიარო.

5. „ბოდვა“

აკაკის აქვს ერთი ერცელი, ჟანრობრივად რამდენადმე დაუზუსტებელი თხზულება, რომლის სათაურიც სხვადასხვა გამოცემაში განსხვავებულად ჟღერს: ერთგან მას ჰქვია „ბოდვა“, თანაც ეს სათაური ბრჭყალებშია ჩას-

მული, სხვაგან — **პროზიდან „ბოდვა“**. აკაკი თავის რამდენიმე სხვა ლექსსაც ამგვარადვე ასათაურებს, ამიტომაც გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მიუთითებენ ხოლმე ამ „ბოდვათა“ პირველ ტაეპს. ჩვენთვის საინტერესო თხზულების პირველი, მისათითებელი ტაეპია „ცრემლში ნალესი ნაღველი“.

„ბოდვას“ („ცრემლში ნალესი ნაღველი“), „გამზრდელზე“ ვრცელ, 142-სტროფიან, ოთხნაწილიან პოეტურ თხზულებას, მართლაც, ჭირს, რომ ლექსი ვუწოდოთ; სხვათა შორის — არა მხოლოდ სიდიდისა გამო: მასში „ჩამონტაჟებულია“ ერთგვარი „მინი-პოემა“ ქართველი ტყვე ქალისა და შაჰ-აბასის შესახებ. „ბოდვა“ პირველად ილიას გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა 1889 წელს ნაწილ-ნაწილ: თხზულების სამი თავი სამ ნომერში (NN 230, 247, 252) გადანაწილდა. ხანგრძლივი, ცამეტწლიანი პაუზის შემდეგ იმავე „ივერიაში“ (1902 წ. N 202) დაიბეჭდა „ბოდვის“ მეოთხე ნაწილი ნიშანდობლივი სათაურით — **პოემიდან** (ხაზგასმა ჩემია, თ.კ.) „ბოდვა“. ეს თხზულება, მართლაც, დღეს გავრცელებული „ლირიკული პოემის“ ჟანრს უფრო განეკუთვნება და მისი თითოეული ნაწილი, რომელთაც თავ-თავიანთი თემა აქვთ (პირველს — პოეტის მისია-დანიშნულება, მეორეს — დღევანდელი ქალები, მესამეს — დღევანდელი კაცები, მეოთხეს — დღევანდელი ვითარება), მაინც ერთი ღერძით, ერთი ლაიტმოტივით იკვრება — რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით. „ივერიის“ პირველი ეტაპის პუბლიკაცია ანუ 1889 წელს დაბეჭდილი სამი თავი ხელახლა გამოქვეყნდა სათაურით — **პროზიდან „ბოდვა“** — 1893 წელს აკაკის ორტომეულში — „თხზულებანი აკაკი წერეთლისა“, ქართველთა ამხანაგობის გამოცემა, NN 21, 22. აკაკის სიცოცხლეში „ბოდვის“ სხვა პუბლიკაცია არა ჩანს, მათ შორის — არც 1912 წელს გამოცემულ პოეტის „ჩემი ნაწერების“ ორტომეულში; სიკვდილისშემდგომი ძველი გამოცემებიდან „ბოდვა“ პავლე ინგოროყვამ შეიტანა აკაკის შვიდტომეულში „ივერიასეული“ პუბლიკაციის სახით — ოთხივე ნაწილი. „ბოდვის“ ოთხივე თავი ასევე გამთლიანებული სახითაა წარმოდგენილი აკაკის თხზულებათა სრული კრებულის თხუთმეტტომეულში (ტ. III, გვ. 40); მას ახლავს კომენტარები (გვ. 499), საიდანაც ეგებულობთ, რომ არ არსებობს ამ თხზულების ავტოგრაფი და, როგორც ასეთ შემთხვევებშია მიღებული, დედნად მიიჩნევა „ბოდვის“ პირველი ორი, ავტორის სიცოცხლეშივე არსებული, პუბლიკაცია: A — „ივერიისა“, B — „ამხანაგობისა“.

ჩვენთვის საინტერესო მინაწერებიანი წიგნი სწორედ ქართველთა ამხანაგობის მიერ 1893 წელს გამოცემული ორტომეული გახლავთ, ოღონდ მერე ერთ ყდაში — კერძოდ, II ტომის (N 22) ყდაში — ჩასმული და ნაკლულოვანი. პირობითად ვუწოდოთ მას „საავტორო ეგზემპლარი“. ფორზაცზე ფანქრით შესრულებული ნახევრად გადაშლილი ნარწერის გარდა ყველა

წარწერა წიგნის მეორე ნაწილში ანუ მეორე ტომშია, მათგან უმთავრესი კი სამია, 255-ე, 256-ე და 270-ე გვერდებზე მიწერილი, და სამივე მინაწერი ერთი თხზულების — პროზიდან „ბოდვა" ანუ „ბოდვის" ტექსტის ავტორისეულ, ესე იგი, აკაკისეულ გამართვა-შესწორება-აღდგენას წარმოადგენს, აკაკისავე ხელით შესრულებულს.

ცხადია, ხელნაწერებზე მუშაობის ჩემი მოკრძალებული გამოცდილება ასეთი კატეგორიული დასკვნისათვის საკმარისი ვერ იქნებოდა, ამიტომაც მე სათანადო სპეციალისტებს მივმართე და მათაც დამიდასტურეს, რომ „საავტორო ეგზემპლარის" 255-ე, 256-ე და 270-ე გვერდების არშიებზე ფანქრით შესრულებული წარწერები ეკუთვნის აკაკი წერეთელს.

ახლა — უფრო დაწვრილებით ამ წარწერებზე.

ჩვენთვის საინტერესო აკაკისეული მინაწერი გახლავთ „ბოდვის" ორი ფრაგმენტი, სულ — შვიდი სტროფი, მათგან ექვსი 255-ე და 256-ე გვერდებშუა არის ჩასამატებელი, ერთი კი — 270-ე გვერდზე. ჩასამატებელ ადგილს აკაკი საგანგებო ნიშნით (X) უთითებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ექვსსტროფიან ფრაგმენტს აქვს.

გთავაზობთ ამ ფრაგმენტის ფოტოასლებს;

გვერდი — 255:



255

გვერდი — 256:



256

სანამ ბეჭდური სახით ამ ფრაგმენტს გაგაცნობდეთ, მცირე ექსკურსი იქნება საჭირო ამ ფრაგმენტის მოსაზღვრე სტროფების შინაარსში:

„ბოდვის" პირველ ნაწილში პოეტს „ზემოდან" ჩაესმის ხმა, რომელიც მას თავისი მონოდების ერთგულებას ავალებს: *„შენი ქება და დიდება, შენი ლხინი და ჭირიო — მაღლიდან გადმომაძახეს: ქამანჩაა და სტვირიო... შენ მხოლოდ ნუ მოშორდები იმ შენს ქამანჩა-სტვირსაო! თუ შენვე არ უღალატებ, ის არ გაგიტეხს პირსაო; კუბოს კარამდე მიგყვება, ვით ძმას და მეგობარსაო და, რომ მოკვდები, შენს ამბავს გადასცემს მთას და ბარსაო!" გულში ჩამეჭრა ეს სიტყვა კანონებად და სჯულადა, და შემდეგ ჩემი ცხოვრება მიდის სულ კრიმანჭულადა...*

და ამას მოსდევს წინა სტროფებთან დაუკავშირებელი და, აქედან გამომდინარე, ალეგიკური, გაუგებარი სტროფი: *მისის შვენების მნახველი მხოლოდ გონების თვალია! კვალში ჩავუდგეთ! ვეძიოთ! ვიპოვოთ — ჩვენი ვალია!*

გაუგებარია, ვის „შვენებაზეა" აქ საუბარი, ვის მშვენიერებას სწვდება მხოლოდ გონების თვალი და ვერ ამჩნევს ჩვეულებრივი ადამიანური მზერა? ვის უნდა ჩავუდგეთ კვალში, ვინ უნდა ვეძიოთ და ვიპოვოთ? როგორც დავრწმუნდით, წინა სტროფები და, საერთოდაც, „ბოდვის" მთელი წინა ნაწილი ამის შესახებ არაფერს არც პირდაპირ გვეუბნება და არც მოიარებით მიგვანიშნებს: წინა სტროფში ლაპარაკია მაღლით მოსმენილ სიტყვაზე, რომლის მიდევნებამაც ძნელად სავალი, ოღრო-ჩოღრო ანუ „კრიმანჭული" გზა ცხოვრებისა არგუნა პოეტს. კიდევ ერთხელ წაიკითხოთ ეს ადგილი:

გულში ჩამეჭრა ეს სიტყვა
კანონებად და სჯულადა,
და შემდეგ ჩემი ცხოვრება
მიდის სულ კრიმანჭულადა.
მისის მშვენების მნახველი
მხოლოდ გონების თვალია!
კვალში ჩავუდგეთ! ვეძიოთ!
ვიპოვოთ — ჩვენი ვალია.

„საავტორო ეგზემპლარში" აკაკის ზემოთ მოყვანილ ორ სტროფს შუა ჯვრით მიუნიშნებია ჩასამატებელი ადგილი და საკუთარი ხელით წიგნის 255-ე გვერდის არშიაზე დაუწყია, ხოლო 256-ე გვერდის არშიაზე დაუსრულებია ჩასამატებელი (უფრო სწორად — აღსადგენი, ამაზე დაწერილებით — ქვემოთ! — თ.კ.) ფრაგმენტი ლექსისა.

აი, ბეჭდური სახით ეს ახლადაღმოჩენილი ფრაგმენტიც აკაკის ლექსისა (ორიოდ ადგილას გავასწორე პუნქტუაცია და დიალექტური ფორმა „ანბები" შევცვალე ფორმით — „ამბები"):

მაგრამ ეს კრიმანჭულობა
მიყვარს და ვენაცვალები!..
ვისაც არ მოსწონს, მომშორდეს!..
განა მე მივეძალები?
ის მისთვის იყოს, მე ჩემთვის!
რა გვაქვს ჩვენ გასაყოფელი?
ორივეს კარგად გვეყოფა —
ვრცელია ნუთის სოფელი.
მაგრამ ის, ვისაც მოვსწონდეთ
და იყოს ჩვენი მოყვარე —
დაუკარ, ჩემო ქამანჩა —
ცხრა მთას იქიდან მომგვარე.
იმას გადავსცემ, რაც გულში
ნადუღად ჩამგუბებია! —
გაიცნოს ჩვენი ქვეყანა,
შეიტყოს, რაც ამბებია!
ყოფილა, დღეს ვეღარ არის!
მაგრამ იქნება, ცხადია!
თუმც იმ თავითვე შავ-ბედის
ვარსკვლავზე დანაბადია.
გამობრძმედილა ტანჯვაში,
ფოლადად გამტკიცებულა
და მოელვარე ცდომილად
უკუნში გატაცებულა.

აი, თურმე, ვის „შვენებაზე" ყოფილა საუბარი და ვის უნდა ვეძიებდეთ და ვპოვებდეთ! ამ ფრაგმენტის აღდგენით ლექსიც „გაიმართა" და გასაგები გახდა, რასაც უნდა „კვალში ჩავუდგეთ, ვეძიოთ, ვიპოვოთ — ჩვენი ვალია"... ალბათ, ისევ ილია გაგვახსენდება: „ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს"... ჩვენი ქვეყანა, „იმთავითვე შავს-ბედის ვარსკვლავზე დანაბადი", და მისი ბედის ვარსკვლავი, „მოელვარე ცდომილად უკუნში გატაცებული", ხელახლა მოსაძიებელი და საპოვნელი გვყავს, ეს ქვეყანა დღეს „უკუნშია გატაცებული" როგორც „მოელვარე ცდომილი", „რომლის შვენების მნახველი მხოლოდ გონების თვალია".

6. ენას მგლეჯენ

რატომ ვერ მოახერხა აკაკიმ ვერც 1889 წელს „ივერიაში" და ვერც 1893 წელს თავის თხზულებათა ორტომეულში ამ ფრაგმენტის დაბეჭდვა? სტამ-

ბის ტექნიკური წუნი, ფრაგმენტის შემთხვევითი ამოვარდნა ტექსტიდან უნდა გამოირიცხოს — ეს ხარვეზი არამცთუ 1893 წლის მეორე გამოცემაში, 1889 წლის „ივერიის" იმ ნომრებშივე გასწორდებოდა, სადაც „ბოდვის" მეორე და მესამე ნაწილები დაიბეჭდა.

ფრაგმენტი ცენზურის მიერ ჩანს ამოღებული.

ეტყობა, ვერც მეორე გამოცემის დროს მოხერხდა მისი აღდგენა და აკაკის საჭიროდ უცნია ნიგნად გამოცემული თავისი თხზულებების თავისსავე (ან — ძალიან ახლობლის) ეგზემპლარში, პირობითად „საავტოროს" რომ ვეძახი, საკუთარი ხელით ჩაეწერა ცენზურის მიერ ამოღებული ფრაგმენტი და აქ მაინც აღედგინა ტექსტი პირვანდელი სახით.

გახსოვს, მკითხველო, ალბათ, აკაკის „თქვენი ჭირიმე": *„ბევრი რამ მითქვამს, რომ მეთქვა, დავიმახინჯე პირი მე, ახლა არ გვგლეჯენ ენასა, თქვით რამე, თქვენი ჭირიმე"*. ცენზორისაგან „ენის ამოგლეჯაზე" მას სხვა დროსაც დაუჩივლია — *„თვალს მიხვევენ, ენას მგლეჯენ და მაგდებენ საკირეში, ურცხვად შვიდ-შვიდ პარასკევსა მითვლიან მე ერთ კვირეში"*.

შესაძლოა, საქმეში ჩახედულ მკითხველს გაუკვირდეს კიდეც, განა რა ისეთი „კრამოლაა" ამ ფრაგმენტში, ამისთანები გაუპარებია აკაკის ცენზურისათვისო?! მართლაც, ხელმწიფე-იმპერატორის ალექსანდრე მეორის მკვლელობის ცნობაზე — *დღეს მერცხალი შემოფრინდა, ჭიკჭიკითა გადმომძახა: — „გაზაფხული, გაზაფხული!" გულს იმედი დამესახა*, ეს მკრეხელობა დაწერა და დაუბეჭდეს... იაპონელმა მარშალმა ოიამამ რომ 1905 წლის რუსეთ-იაპონიის ომში რუსეთის არმიას მძიმე მარცხი აგემა, გამჭვირვალე ზმა — *ოი, ამას ვენაცვალე* — „გურული ნანინას" მისამღერში გააპარა და „დამეხსენი, ჩრდილოელო" და „სკვითების" სხვადასხვა ბრუნვაში ტრიალი კიდეე სხვა იყო.

მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას — ზემოჩამოთვლილ შემთხვევებში ცენზურას ყოველთვის ჰქონდა ფორმალური საფუძველი „კრამოლა" ვერ ან არ დაენახა: აკაკი აქ ეზოპეს ენაზე მეტყველებდა და, აქედან გამომდინარე, ცენზორს უყურადღებობას თუ უსაყვედურებდნენ, თორემ ვერავინ დაადანაშაულებდა — „ჩრდილოელში" ან „სკვითში" მაინცდამაინც „რუსი" რატომ ვერ ამოიცანიო. ალექსანდრე მეორეც გაზაფხულის დადგომისას მოკლეს და, ოი, ამას ვენაცვალეო, ასეც შეეძლო მიემღერებინა დედას აკვანში ჩვილისათვის... „ბოდვის" ამ ახლად აღმოჩენილ ფრაგმენტში კი აკაკი პირდაპირ აცხადებს, ჩემი გზა, ჩემი მისია *„ვისაც არ მოსწონს, მომშორდეს! განა მე მივეძალები?"* მაგრამ ეს კიდევ არაფერი, შემდეგ სტრიქონებში აკაკი, როგორც მას სჩვევია ხოლმე, საკუთარ თავს, პოეტს, იდუმალად სამშობლოსთან, თავის ხალხთან აიგივებს: *„მაგრამ ის, ვისაც მოვსწონდეთ და იყოს ჩვენი მოყვარე — დაუკარ, ჩემო ქამანჩა — ცხრა მთას იქიდან მომგვარე"*. ყურადღება მიაქციეთ — **მოვსწონდე** და **ჩემი მოყვარეო** კი არ ამბობს — **მოვსწონდეთ** და **ჩვენი მოყვარეო!** თანაც ქართველობის მოყვარეს თუნდაც ცხრა მთას იქი-

დან ეპატიჟება, *„გაიცნოს ჩემი ქვეყანა, შეიტყოს, რაც ამბებია“*. ასე ეძებდა ცხრა ზღვას იქით, ევროპაში, აკაკის დიდი წინაპარი სულხან-საბა საქართველოს გულშემატკივრებსა და მხსნელებს. არადა, აკაკის დროს მოყვარე და გულშემატკივარი ქართველობას გარეთ საძებარი თითქოს აღარ უნდა ჰყოლოდა — კარგა ხანია თავის ვითომ მხსნელისა და მფარველის კალთას იყო თავშეფარებული. მაგრამ, არა, აკაკი პირდაპირ აცხადებს, რომ დღეს მისი ქვეყანა საიმედო კალთის ქვეშ კი არა, საერთოდ აღარ არსებობს: *„ყოფილა, დღეს ველარ არის, მაგრამ იქნება, ცხადია“*. საქართველო ერთ დროს იყო, დღეს კი აღარაა — ამის პირდაპირ დეკლარირებაზე ცენზორი, გულითაც რომ სდომოდა, თვალს ველარ დახუჭავდა: ძველად, ესე იგი, რუსეთამდე, ყოფილა, დღეს, ესე იგი, რუსეთის ხელში — გამქრალა; „მაგრამ იქნება, ცხადია“-ო, იმედოვნებს პოეტი, თუმცა ეს იმედი ვერაფერი შეღავათი იქნებოდა ცენზორისათვის. პირიქით, პოეტის ლოგიკა უფრო იმას გვავარაუდებინებს — საქართველოს თუ ყოფნა უწერია, მხოლოდ ურუსეთოდო.

დანაპირები მეშვიდე სტროფი სადღააო, იკითხავთ. „ბოდვის“ მესამე თავში აკაკი თავისებურად „ამკობს“ თავის თანამედროვე ქართველ მამაკაცებს იმერელი კიკოლიკისა და ამერელი ტეტიკელას სახით; ისინი დიდი საზოგადო საქმეებისთვის ემზადებოდნენ („მოციქულად მზადდებოდა“), მაგრამ დღეს ეჩო-კაცებად, სათავისო ხალხად ქცეულან („ადეოკატად გაიტლიკა“); ბოლოს აკაკი ასკვნიდა, საქართველო იმის მოიმედე ველარ დარჩება, ამნაირი შვილები მიშველიან და მიხსნიანო. ცენზორს, ეტყობა, აქაც არ მოსწონებია პოეტის დასკვნა და ეს ადგილი ამოუღია. სწორედ ეს გახლავთ ის მეშვიდე სტროფი, რომელიც „საავტორო ეგზემპლარში“ აკაკის სათანადო ადგილას საკუთარი ხელით აღუდგენია:



ყველა სცდილობს მიემსგავსოს
კიკოლიკს ან ტეტიკელას
და სამშობლოც აღარ ელის
შვილებისგან ხსნას და შველას.

ენისგლეჯია ცენზორის ლოგიკა გასაგებია — ვისგან და რა სჭირს საქართველოს დასახსნელიო.

ცენზორს კი ამოუგლეჯია აკაკის თხზულებიდან ეს 7 სტროფი, მაგრამ, ბულგაკოვის ეოლანდისა არ იყოს, „ხელნაწერები არ იწვის“ — განგებამ არ ინება, რომ ისინი უკვალოდ დაკარგულიყვნენ და 112 წლის შემდეგ მათი პოვნა მართლაც რომ სასწაულსა ჰგავს, ჩემო მკითხველო.

7. მარადიულად დღეს

„საავტორო ეგზემპლარში“ არქეოგრაფისათვის საინტერესო სხვა მინაწერებს ამჯერად საგანგებოდ ვერ განვიხილავთ, წინასწარ მონაცემებს კი გაგაცნობთ: წიგნი რაღაც ეტაპზე ყოფილა კნეინა მარიამ აბაშიძის საკუთრება — გარეკანზე მაინც იკითხება საგულდაგულოდ გადაშლილი მფლობელის ხელრთვა.



საგულისხმოა, რომ წიგნში წერა-კითხვის ახლად ნასწავლი ყმაწვილის, ვინმე ანზორ აბაშიძის ხელით შესრულებული ორი მინაწერია — ბავშვს ჯერ თავისი სახელი და გვარი მიუწერია ამ სახით „ანზორი აბშიძე“, სხვაგან კი იმავე გვერდზე მოთავსებული აკაკის ლექსის გადაწერა დაუწყია. საინტერესოა ერთი და იმავე ხელით შესრულებული სამი წარწერა: ერთი ფორზაცზე, ორიც — შიდა, 85-ე და 125-ე გვერდების არშიებზე. ეს ორი უკანასკნელი მინაწერი ადვილად იკითხება: 85-ე გვერდის არშიაზე:



მე ჩემი არ ძალმიძს ის სიტყვა ვსთქვა რაც ადამიანის გულს ატკბობს და სულს ახარებს და მისთვის თითქოს შოთას სიტყვები მე მეკუთვნის: არ ძალუძს სულ-ქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთაო.

125-ე გვერდზე მინაწერი შინაარსობრივად რაღაც კავშირშია ფორზაცის მინაწერთან:



ცხოვრებაში არიან საზიზღარი ტიპები, ერთი ამ ტიპთაგანი გახლავს: სიკო და თუ ამ სახელს მიუმატეთ ვინი და ა, მაშინ თითონ მიხვდებით ჩემო მკითხველო ვინც იქნება.

შეადარე ამას ფორზაცზე გადაშლილ-გაუფერულებული წარწერის მაინც გასარჩევი ფრაგმენტი:



...სიკოს დედა დიდი კაცის ქალი იყო ლამაზი მოხდენილი და ცბიერი გულღვარძლიანი და მასთან ენა ფლიდი. ეს დიდი ოჯახის ქალი და ღრმათ მორწმუნე...“ (მინაწერთა ორთოგრაფია და პუნქტუაცია დაცულია, თ.კ.).

საინტერესოა, ვინ იყვნენ ეს სიკო ანუ ვასიკო და დედამისი; რომელი მარიამ აბაშიძეა ამ ეგზემპლარის მფლობელი და, საერთოდ, რა კავშირი აქვს მათთან აკაკის? ეს მინაწერები ვიზუალურად არ ტოვებს აკაკის ხელნაწერის შთაბეჭდილებას, ზოგიერთი ასოს მოხაზულობა და გადაბმებიც თითქოს არაა აკაკისებური, ფანქარიც განსხვავებული ფერისაა, მაგრამ სათანადო ექსპერტიზის საბოლოო დასკვნამდე მათი ავტორობის საკითხი ღიად რჩება.

სამაგიეროდ, უდავოა კიდევ ერთი, ამჯერად, უფრო რედაქციული სწორება, აკაკის ხელით შესრულებული: 259-ე გვერდზე დაბეჭდილი II თავის დასაწყის სტროფში — „*ზრასტის*“ *ვეტყვი ზოგიერთ ქალს!.. აღარ ესმის* გამარჯობა — აკაკის ფანქრით გადაუხაზავს სიტყვა ზოგიერთ და ზემოდან დაუწერია — *დღევანდელ*.



დრო წავიდა, სხვა მოვიდა,
დღე დაწვა და ღამე ჰშობა,
„ზრასტის“ ვეტყვი ზოგიერთ ქალს!..
აღარ ესმის გამარჯობა.

ესეც ლოგიკურია — პირველი თავი ხომ ამავე სიტყვით მთავრდება: „*და უნდა ღირსად შევამკოთ ჩვენც დღევანდელი ქალები*". მტკიცება იმისა, რომ აქაც ცენზორის ხელი ურევია, ჭირს, თუმცალა, „აკაკურ შემკობას" თუ გავითვალისწინებთ, „ზოგიერთი", რაღა თქმა უნდა, „დღევანდელთან" შედარებით უფრო შერბილებული და, აქედან გამომდინარე, ცენზურისთვის უფრო მისაღები ვარიანტი იქნებოდა.

სიტყვამ მოიტანა და, რუსულ-იმპერიული ცენზურა თუ მაკრატლით მუშაობდა, საბჭოურ-იმპერიული ცენზურა ნაჯახით ჩეხდა სიტყვას. მაგალითად, „ბოდვის" მეოთხე ნაწილში 1902 წელს მეფის ცენზურამ გაატარა მაშინდელი საზოგადო საქმის მეთაურების, დღევანდელი ტერმინოლოგიით — პოლიტიკური ლიდერების — დამახასიათებელი ეს ორი სტროფი:

ეს მარქსობს, ის გარიბალდობს,
ის კეისრობს და ეს ბრუტობს;
ნამდვილ საგანს კი ვერც ერთი
ვერა ხედავს, ყველა ბრუტობს.
და ბრუტიან მეთაურებს
ვინლა მოსთხოვს გზის სისწორეს?
იქით-აქეთ უგზო-უკვლოდ
ედებიან ღობე-ყორეს.

ინგოროყვასეულ გამოცემაში ეს სტრიქონები შენარჩუნებულია, თხუთმეტტომეულის საბჭოთა ცენზორს კი, აქაოდა აკაკი მარქსს უხერხულ კონტექსტში მოიხსენიებსო, ეს ორი სტროფი ამოუგდია.

ის ცენზორი დღესაც ამოაგდებდა ამ ფრაგმენტს „ბრუტიან მეთაურებზე".

ამიტომ ვამტკიცებ: 112 წლის წინ დაწერილი ეს სტრიქონები აკაკიმ დღეს დაწერა.

დიდი პოეტები ყოველთვის, მარადიულად **დღეს** წერენ.

და — პირიქითაც: როცა დღეს წერენ, წერენ **მარადიულად!**

P.S. უცნობი მწვერვალის პირველად დალაშქვრისათვის მთამსვლელებს მისი ნათლობის უფლება ეძლევათ; იქნებ ჟურნალ „დილასა" და თქვენი მონა-მორჩილის სურვილსაც გასწეოდა ანგარიში, მკითხველო, და წიგნი, რომელშიც „ბოდვის" ახლადაღმოჩენილი ფრაგმენტის ავტოგრაფ-დედანია, როგორც ძვირფასი რელიკვია, ცხრა ივნისს, აკაკის 161-ე დაბადების დღეს საზეიმოდ გადასცემოდა სხვიტორის სახელმწიფო მუზეუმს.

თ.კ.

ლიტერატურული საქართველო" 9-15, III, 2001

უხვი

უხვი — მრავლის გამცემი, საბა

1. ნუგეში: „ნუ გეშის“...

უფალი უხვია.

რუსთაველი პირველსავე სტროფში გვიცხადებს, რომ ღმერთი არის შემოქმედი („რომელმან შექმნა სამყარო“), ძალმოსილი („ძალითა მით ძლიერითა“), მაცხოვარი ანუ მაცოცხლებელი, სულისჩამდგმელი („ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა, ზეცით მონაბერითა“) და უხვი („ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა“).

ღმერთის სიუხვე შოთას პირდაპირაც განუცხადებია თავისი პერსონაჟის პირით: *„ნუ გეშის, ღმერთი უხვია, თუცა სოფელი ძვირია“*, — ანუგეშებს ავთანდილი სასოწარკვეთილ ტარიელს.

სიუხვე, გულუხვობა, ეს ღვთაებრივი ატრიბუტი, ღმერთის მიერ თავის ხატად შექმნილ ადამსა და მის მოდგმას, ადამიანსაც, უნდა ამშვენებდეს, პირველ ყოვლისა კი — ხელმწიფეს, ქვეყნის თავკაცს, რამეთუ *„მისგან* (ღმერთისგან) *არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“*.

შოთა ამასაც პირდაპირ გვიცხადებს: *„მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია“*...

უპრიანიცაა — მეფეს სიუხვის საღვთო ნადილთან ერთად სიმდიდრეც აქვს საბოძვარ-გასაცემელი.

უფლის გზაზე დამდგარ, ღვთის მბაძავ ადამიანსაც მეფის სახით მიწიერ-ხელშესახები მაგალითი უნდა ჰყავდეს ამსოფლად: გულუხვი *„პატრონი — ტკბილი, მოწყალე, ცა წყალობისა მთოველი“*.

ასეთი უხვნი, სწორედაც „წყალობის მთოველნი“ არიან „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები — მეფეთაგან დანყებული, ვიდრე მსახურებამდის.

ისინი ოდენ ინსტინქტით როდი მიელტვიან სიუხვეს, ამ ღვთაებრივ მადლს — პოემის გმირები იცნობიერებენ მის სიკეთეს, მის პრაქტიკულ ღირებულებას, მის „სარგებლიანობას“ მაღალი აზრით.

და, რაც მთავარია, ისინი არა მარტო იაზრებენ სიუხვის მადლს, არა მხოლოდ ბრძენსიტყვაობენ მასზე, არა ოდენ ქადაგებენ და იტყვიან, არამედ იქმნიან კიდეც უხვობას: უბოძებენ, უძღვნიან, მიართმევენ, ავსებენ, მოკლედ — უხვად გასცემენ, *„ზღვათაცა შესდის და გაედინების“*. აქ სიტყვა და საქმე განუყოფელია — აკი ბრძანა სულმნათმა: *„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“*.

გახელმწიფებულმა თინათინმაც პირველივე ხელმწიფური ქმედებით შეასხა ხორცი მამის, როსტევანის, „წურთა“ - შეგონებას — „დიდთა და

ნვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების": არა მხოლოდ თავისი „ნაუფლისნულევი", არამედ *„რაცა სად საჭურჭლენია"*, ყველა დაახსნევინა და, რაც ქონება *„მოიღეს, გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია"*.

როსტევანი ამ „ნურთისას" მეფეთათვის სიუხვის პრაქტიკულ სარგებლიანობას შთააგონებს თავის მემკვიდრეს: *„უხვსა მორჩილებს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია"*...

მორჩილება-ურჩობის პრობლემა, ცხადია, მხოლოდ მეფეებს არ უდგას, თუმცა ხელმწიფეთათვის ეს მარადიული თავსატკივარია; ურჩი ანუ „ახსნილი", შესაძლოა, ძალით დაიმორჩილო, მოდრიკო, „დააბა" — და ამის მაგალითები არც ცხოვრებაში და არც „ვეფხისტყაოსანში" გახლავთ სანთლით საძებარი: გავიხსენოთ, როგორ „ნუართა" განმდგარი რამაზ მეფე ტარიელმა. „ახსნილის" ასეთი „დაბმა", ჩვეულებრივ, სისხლის ფასად ჯდება. მაგრამ, შესაძლოა, ორგულობასაც კი უსისხლოდ, ძალის გამოუყენებლად უნამლო...

და სახელი ამ წამლისა — სიუხვე.

2. „თვით ების" ანუ ებმევინება

და იტყვის როსტევან: *„უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების. უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების"*.

ჯერ ამ, ერთი შეხედვით, უცნაურ მეტაფორულ სახეზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა: მეფე ზღვასავით უნდა იყოს, რომელსაც კიდეც „შესდის" ანუ ემატება წყალი, და კიდეც „გაედინების" ანუ აკლდებაო.

მართლაც, ზღვა ზღვად ვეღარ დარჩებოდა, თუ „შესავალ-გასავლის" ბალანსი დაერღვეოდა — ან დაშრებოდა, ანაც ხმელეთს შთანთქავდა და „მართ ოდენ მარტოდ" წყლად იქცეოდა.

ზღვას, ჩვეულებრივ, წყალი ნალექებად და მდინარეებად „შესდის" ხოლმე, ზღვის „გადინებას" კი კაცის თვალი ნაკლებად ამჩნევს — ზღვიდან წყალი ორთქლდება. თუმცა ზღვიდან წყლები მდინარეთა სახითაც გაედინება და ეს იცის შოთამ. ვახტანგ მეექვსე, „ვეფხისტყაოსნის" პირველი გამომცემელი და კომენტატორი, ამ ადგილის განმარტებისას წერს: რუსთაველიო, **„გაცემას უადვილებს, ასწავლის; მეფეთ როგორც ზღვას შესდის და გაედინებისო, ისე შემოგდის და გაეცეო; და ზღვის გადენაც უთქვამს, რომ ბევრმა კაცმა არ იცის, ზღვას გაზდის** (ასეა! თ.კ.) **თუ არაო — უსწავლებია..."**

უფრო რთული განსამარტავია — *„უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების"*... ტაეპის პირველი ნაწილი შედარებით ნათელია: „ახსნილი" აქ თავდახსნილს, თავაწყვეტილს, შლეგს ნიშნავს, უფრო ზოგადად — ურჩს, დაუმორჩილებელს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, „ახსნილის" „დაბმა"-

დამორჩილება ძალითაც შეიძლება — ჩვეულებრივ, სისხლის ფასად; სიუხვით, ბოძებით, დასაჩუქრებით კი შეიძლება შლეგის მორჯულება ანუ „დაბმა“ ძალის გამოუყენებლად, უსისხლოდ. სწორედ ამ აზრის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს ტაეპის მეორე, ენობრივად რამდენადმე ბუნდოვანი, ნაწილი — *„იგი თვით ების, ვინ ების“* — და ამას უნდა ნიშნავდეს: როცა უხვი „აბამს“ „ახსნილს“, ვინც ამ დროს „ების“ ანუ ებმება, „იგი თვით ების“ ანუ თვითონვე ებმევინება „დამბმელს“ ანუ უხვს, ებმევინება თავისივე ნებით, ძალის გარეშე. ამიტომაც უზუსტო უნდა იყოს ვახტანგისეული განმარტება ამ ადგილისა: **„უხობით, ახსნილი მტერი რომ გყვანდესო, დააბამო, თვით არ დაეგმისო“** (ხაზგასმა ჩემია, თ.კ.). „იგი თვით ების, ვინ ების“-გან, ვფიქრობ, „თვით არ დაების“ ვერ გამოიყვანება. სასკოლო გამოცემისეული განმარტებაც, თითქოს აქ პოეტური ლიცენცია გვქონდეს და „ების“ ფორმაში „მ“-ს გამოტოვება ამით აიხსნებაო, მართებული არ უნდა იყოს: ეგის სწორედაც კანონიკური ფორმა გახლავთ „ება“-ზმნისა მეორე ხოლმეობითში და აქ ეგმის მოსალოდნელი არც ყოფილა.

3. „გაცემა“ და „დება“

„ვეფხისტყაოსანში“ სიუხვე, გულუხვობა ხარჯვით ანუ „გაცემით“ ვლინდება; საპირისპირო ანტონიმურ ქცევას გამოხატავს შენახვა ანუ „დება“. თინათინი აცხადებს კიდეც: *„ჩემსა ნუვინ ნუ დამალავს საჭურჭლესა დადებულსა“*. საჭურჭლე ანუ განძი, ცხადია, შეიძლება, „დაიდოს“, მაგრამ მას ფასსა და აზრს მხოლოდ დახარჯვა-გაცემა ანიჭებს, თორემ აუმოძრავებელი, „დადებული“ საუნჯე მიწაში ჩამარხული სახარებისეული ტალანტია ან — საბასეული ლოდადქცეული ოქრო. სხვაგან რუსთაველი აფორისტულად ჩამოქნის ამ აზრს: *„არ იხმარებ, რა ხელსა ხდი საუნჯესა დაფარულსა?“*

„ვეფხისტყაოსანი“ გაჯერებულია ბიბლიური რემინისცენციებით; აქაც, კერძოდ, სახარებისეული ალუზია გვაქვს: პატრონმა სწორედ ის მსახური დასაჯა, ვინც მიცემული ოქროს ფული ანუ ტალანტი არ გასცა, არ დახარჯა, არ ამოძრავა და ფულს ფული არ მოაგებინა — მოკლედ, ტალანტი მიწაში ჩამარხა იმის შიშით, ვაითუ უკან მომთხოვონო; თავისი ჭკუით, ოქრო საიმედოდ შეინახა, მიწაში კი გინდ ოქრო გდებია და გინდ ლოდი, როგორც ამას საბა ბრძანებს: *„მაგ მიწაში თუნდა ოქრო იდვას, თუნდა ქვაო, თუცა არ დახარჯეედიო“*.

შოთა სიმდიდრის „დება“-შენახვის ურგებლობის ანტითეზას — „დება რა საკარგულია“-ს წინ ხარჯვის სარგებლიანობის თეზას წარუმძღვარებს — „სმა-ჭამა დიდად შესარგი“-ო, ბოლოს კი ყოველივე ამას გენიალური აფორიზმით აგვირგვინებს: *„რასაცა გასცემ, შენია, რაც არა — დაკარგულია“*.

„ჭამა-სმა“ ამ კონტექსტში მხოლოდ და იმდენად პირდაპირი მნიშვნელო-

ბით არ უნდა გავიგოთ, რამდენადაც — ზოგადად ხარჯვის, გაცემის, გაღების, პურადობის აზრით. „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟები საერთოდ არ არიან მუცელმაღმერთებელნი, თუმცაღა პურობა, ლხინი და ნადიმი დიახაც უყვართ და ეხერხებათ: ქეიფის ჟამს ისინი, პირველ ყოვლისა, სულს ინაყრებენ და არა — კუჭს: *„შეიქნა სმა და პურობა, მსგავსი მათისა ძალისა, სხვა გახარება ასეთი არს უნახავი თვალისა"*... *„კელაცა დაჯდა მხიარული, მოიმატა სმა და მღერა; კელა გაგრძელდა ნადიმობა, ბარბითი და ჩანგთა ყღერა"*... ჭამა-სმა, პირდაპირი გაგებით, მარტოკაცსაც შეუძლია, „სმა-ჭამას" კი რუსთველური გაგებით, სიყვარულისა არ იყოს, ორნი მაინც სჭირდება; ჩვეულებრივ კი ამგვარი „სმა-ჭამა" ანუ ნადიმი მრავალთა თავშეყრა გახლავთ სალხინოდ (შეადარე ნადიმ-ს ნად-ი; ისიც თავშეყრაა, ოღონდ — სამუშაოდ; საბას განმარტებით, ნადი — „მუშაკნი შეყრილნი"). ამ გაგებით „სმა-ჭამას" საკმაო ხარჯის გაღება სჭირდება; ამიტომაც დაუპირისპირა რუსთაველმა ურგებელ „დებას" („დება რა სავარგულია") „სმა-ჭამა", რომელიც დიახაც „შესარგი" ანუ ამ კონტექსტში სწორედაც სარგებლიანი და სასარგებლოა: შესა-რგ-ი ეტიმოლოგიურადაც სა-რგ-ოს, სასა-რგ-ებლოს უკავშირდება. ამრიგად, *„სმა-ჭამა დიდად შესარგი"* ყოფით-კულინარული შინაარსის წიაღ უფრო ღრმა და ზოგადი აზრით იტვირთება — „სმა-ჭამა" ხარჯვის, გაცემის მნიშვნელობას იძენს; შოთა ისწავლება, გაცემა დიდად სასარგებლოა, შენახვა კი ურგებელიაო.

ურგებელია, პირველ ყოვლისა, სულისთვის.

4. სიბრძნე — აზრის მალაყი

ზემოთ შოთას აფორიზმს — *„რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია"* — გენიალური ვუწოდე; არადა, აფორიზმი სხარტად გამოთქმული ბრძნული აზრია და სიბრძნეს თითქოს აღარც უხდება ეპითეტად „გენიალური". მაგრამ სხვა რა სახელი უნდა უწოდო კაცმა რუსთაველის სასწაულს — თავდაყირა დააყენო სიმართლე და მიიღო არა სიცრუე, არამედ — სიბრძნე? გაივლის ხუთი საუკუნე და აზრის ამ მალაყს საბად გარდასახულ-„გარდაცვალებული" შოთავე მოუძებნის სახელს — სიბრძნე სიცრუისა.

მართლაც, კაცი რომ რასმე გასცემ და გაასხვისებ, რახან ის შენ უკვე აღარ გეკუთვნის, დაგკარგვია და ეგაა; ხოლო, რასაც არ გასცემ და შეინახავ, ის შენვე დაგრჩება და არ დაგეკარგება — ეს ყველაფერი ბანალური სიმართლეა და ყველას დასანახად სინამდვილის ზედაპირზე ტივტივებს; ჭეშმარიტი სიბრძნე კი — *„რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია"*, საგანთა თუ მოვლენათა სიღრმეშია დანთქმული და თვალით იოლად ვერ იხილება. მართლაცდა, როგორი დასაჯერებელია, რომ „გაცემა"-დაკარგვით — იპოვი, „დება"-შენახვით კი — დაკარგავ?!

და კვლავ — სახარებისეული რემინისცენცია: ხორბალმა რომ იცოცხ-

ლოს ანუ გაბევრდეს და გაჟამიერდეს, ის უნდა „მოკვდეს" ანუ მიწას უნდა „მიეცეს": **„ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: უკეთუ არა მარცუალი იფქლისა დავარდეს ქუეყანასა და არა მოკუდეს, იგი მარტო ხოლო ეგოს; ხოლო უკეთუ მოკუდეს, მრავალი ნაყოფი გამოიღოს"** (იოანე, 12, 23-24).

ცხადია, სახარებაში ეს იგავური ამბები სიღრმისეული შრის შემცველიც გახლავთ და მატერიალური, ყოფითი საგნების, იფქლის მარცვლისა თუ ოქროს მონეტის, გახარჯვა-შენახვის მიღმა სიყვარულის, სიკეთის, ცოდნისა და რწმენის, ერთი სიტყვით, სულიერ ფასეულობათა გაცემა-გაზიარება ან, პირიქით, შენახვა -„დება" იგულისხმება. სულიერ ფასეულობათა სხვისთვის გაზიარება კი იგივე სულის მიცემაა მოყვასისათვის. სულის მიცემა ანუ, როგორც შოთა ბრძანებს, „სულის დადება" (*„შენთვის დავსდებ გონებასა, სულსა, გულსა"*) ისევ სულს აუკვდავებს, სულის შენახვა კი აკვდინებს მას. ამიტომაც, *„მიეცით და მოგეცეს თქუენ"* (ლუკა, 6, 38). ამას სახარების სხვა ადგილიც უმაგრებს ზურგს: მაცხოვარი ბრძანებს, ვინც სულის შენახვას ეცდება, იგი დაკარგავს მას, ხოლო ვინც სულს დაკარგავს ჩემთვის, ის სულს შეინარჩუნებს ანუ იცხონებსო (მარკოზი, 8, 34).

არადა, ამ დაფარული, მისტიკური სიბრძნის უზუსტესი ფორმულა — *„რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია"*, სმა-ჭამის დიდად შესარგობის თითქოსდა „კუჭისმიერი" მტკიცებიდან აისხლიტება სულიერ სფეროებში.

5. სახელი — სიუხვის ნაცვალგება

„რასაცა გასცემის" ამ „რასაც"-ში, ცხადია, პირველ ყოვლისა, ქონება, მატერიალური სიმდიდრე იგულისხმება, თუმცა, ვახტანგის აზრით, სწორედ ეს გაცემული ქონება გარდაისახება იმ სულიერ ფასეულობად, უხვს რომ არასოდეს დაეკარგება და სამისდღეშიოდ დარჩება — სახელად: **„მეფის სიუხვეს ასწავლის, შენახვა არ ვარგაო, და რასაცა მისცემს, სახელი დარჩება** (ხაზგასმა ჩემია, თ.კ.) **და ის არის იმისი, თვარემ რასაც შეინახავს, ის ხომ მოკვდება, ის სხვას დარჩება და იმისთვის დაკარგული იქნება"**.

„სახელის დარჩენა" — აი, ნაცვალგება გაცემულისა. „სახელი" კი, რომელიც სჯობს „ყოველსა მოსახვეჭელსა", სულიერი ფასეულობა გახლავთ და, თუ „ქონება" „სახელად" არ გარდაისახა, თუ იგი არ გაიცა, თუ მან არ იმოძრავა — ან ქონება დაეკარგება პატრონს, ან ქონებას დაეკარგება პატრონი: მოკვდება, ბოლოს და ბოლოს... ასეც უწინასწარმეტყველებს უფალი იმ მდიდარს, ვინც დიდძალი ქონება მოიმარაგა მრავალწლიანი უზრუნველი ცხოვრებისათვის: **„უგუნურო, ამაღამ სულს მოგთხოვენ და, რაც დაიმზადე, ვიღას დარჩება?"** (ლუკა, 12, 20). შოთაც აქ არის: *„ცდების და ცდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად..."*

ამრიგად, სიუხვე ვერ იგუებს ვერც უძრაობას და ვერც „ცალმხრივ" მოძრაობას — იგი მარადიული პროცესია მიღება-გაცემისა, ავსება-დაცლისა, უხვს მინყივ „შესდის და გაედინების".

გაცემის ეს „შემხვედრი" მოძრაობა, დაგროვება-შევსება, თავისთავად იგულისხმება სიუხვის კომპონენტად: ბევრი რომ „გასცე", ბევრიც უნდა „გედოს". ამ „დების" პროცესზე პოემაში საგანგებო ყურადღება არ მახვილდება, რამდენადაც მესაკუთრული ინსტინქტი თანდაყოლილია, შესაძენი კი — გაცემის ჩვევა გახლავთ. და „ვეფხისტყაოსანიც" ამ გაცემის სიკეთეს ისწავლება: მის გმირებს თითქოსდა ერთი სული ჰქონდეთ, სანამ უხვად გასცემდნენ. არისტოტელე ბრძანებდა, უხვი ის არის, ვინც იმდენს და მაშინ გასცემს, რამდენიც და როცა საჭიროაო; ასეთი დასაზღვრულობა პოემის პერსონაჟებს თითქოსდა ევიწროვებათ; ისინი მინყივ გასცემენ ფულსა და ოქროვერცხლს, ლარსა და თეალ-მარგალიტს, საუკეთესო ტაიჭსა და ჯადოსნურ აბჯარს, დატვირთულ ხომალდსა და მთელ სამეფოსაც. „ვეფხისტყაოსანში" ყველაფერი გაიცემა და მიეძღვნება, თვით მზეთუნახავი ქალი (უსენი — მელიქ-სურხავს: *„სხვა რამე მითქს საძღვნო თქვენი, შესართავი თქვენი ძისა"*) და სნორუპოვარი რაინდიც კი (ტარიელი ნახევრადხუმრობით — როსტევანს: *„ოდენ ძღვნად თქვენი ავთანდილ მე თქვენთვის მომიტანია"*...).

და ამ ყოვლისმომცველ ძღვნობა-წყალობაში, სიუხვის ამ კორიანტელში შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოსდა რუსთაველი უგულებელყოფდეს ქონებას, სიმდიდრეს, საკუთრებას. მაგრამ, ჩემი აზრით, *„რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია"*, არც უგულებელყოფს და, მით უფრო, არ უარყოფს „ჩემია"-ს, „შენია"-ს, საერთოდ, კერძო საკუთრებას. ყოფითი დონიდან ამაღლებული — გაცემა, გასხვისება სწორედაც კერძო საკუთრების უზენაესობას ამტკიცებს უფრო მაღალ საფეხურზე: შენ მიერ გაცემული ანუ ამოძრავებული ქონება საბოლოოდ ისევ შენი ხდება, სამისდღეშიოდ შენი, ხოლო „დადებული" — გეკარგება. გაცემული „ჩემი" ჭეშმარიტად „ჩემია" — და რუსთაველი მას ხოტბას ასხამს; შენახული „ჩემი" კი ვითომ „ჩემია" — და რუსთაველი მას გმობს.

6. ტკივილიანი შვება

რუსთაველი ისწავლება:

სიუხვე აუცილებელია მეფეთათვის და, საერთოდაც, ყველასათვის, ვისაც სურს მომხრეები გაიჩინოს, თორემ **„პურად ძვირსა უდრტვინავნ ქალაქი"** (ისუ ზირაქი, 31, 23);

სიუხვე სასარგებლოა: უხვს ორგულებიც პმორჩილებენ.

სიუხვე სიკეთეა, სიძუნწე — ბოროტება, რამდენადაც უხვი პოულობს, ძუნწი კარგავს, თანაც მარტო ქონებას — არა, სულსაც...

დაბოლოს, სიუხვით კაცი სიბრძნეს ავლენს, სიძუნწით — სიბრიყვეს: *„უხვად გავსცემდეთ, ვავსებდეთ, სიძუნწე უმეცრულია“.*

სიუხვე, გაგიხარიათ, მოსანონი და სანაქებო იყოს, მაგრამ ეადვილება თუ არა კაცს გულუხვობა? არამაც და არამც! მეტიც ითქმის — გაცემა, ხელგაშლილობა უძნელესი რამ გახლავთ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც „მონაგებში“ ანუ ქონებაში დიდი ოფლი და, ზოგჯერ, სისხლიც გაქვს კაცს ჩაღვრილი. ჯერ კიდევ როდის ბრძანა გიორგი მერჩულემ: **„მონაგებთა დატევება სისხლის დათხევასა ემსგავსების“**. სიმდიდრე, თავისთავად, განივთებული სიქველეა (რუსთაველი სიმდიდრეს იდეალური მიჯნურის აუცილებელ ატრიბუტადაც მიიჩნევს) და მას თავისი მაგნეტიზმი აქვს: ქონება ვერ ეთმობათ, ქონებას ვერ ელევიან. მაგრამ თუ ადამიანს სიმდიდრე საშუალებიდან მიზნად ექცა, ის სულიერად დაიღუპება. და იტყვის მაცხოვარი — უმალ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი მოხვდება სასუფეველშიო. ეს კი იესოს ათქმევინა მდიდარი ახალგაზრდის შებრკოლებამ, ვინც ვერ დათმო საკუთარი სიმდიდრე, ვერ დაურიგა იგი უპოვართ და ამით ვერ შეუდგა მაცხოვარს თავის მოწამეობრივ გზაზე.

მით უფრო დასაფასებელია გულუხვობა, როცა ადამიანი ქონების მიზიდულობას დაძლევს და გაცემა, ეს „სისხლის დათხევის“ ტოლფასი ტკივილი, მას შვება-სიხარულს მოჰგვრის.

ქონებას, ძღვენს არც „ვეფხისტყაოსნის“ გმირები გასცემენ ჰაიჰარად და განურჩევლად. ასე რომ იყოს, თავად სიუხვეს დაეკარგებოდა ფასიც და მადლიც: *„ოდეს ტურფა გაიეფდეს, არღა ღირდეს არცა ჩირად“* — ამის მთქმელზე უკეთ ვინ უწყის, რომ სიუხვის „გაიეფება“ სიუხვესვე დაანინებდა. ამიტომაც ბუნებრივად მოიქცა ვაჭარი, როცა უცნობ ჭაბუკებს *„ოქროს ფასად ცხენი მისცა, არ უძღვანა“*. საერთოდაც, „ვეფხისტყაოსანში“ ვერ იპოვით უმიზეზო ან „ხუშტურიან“ გაცემას ანუ ფლანგვას, სიუხვის ამ სუროგატს: ცხადია, პოემის პერსონაჟებს ქონება ეთმობათ და არც ნვრილმან ანგარიშიანობას დაგიდევენ, მაგრამ გაცემას ყოველთვის აქვს მიზეზი და, მაღალი აზრით, სარგებლიანობა. სამადლო საქმეს ისინი ან თავიანთი სულის საოხად იქმან *(„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები, შენ დაამდიდრე ყოველი ობოლი, არას მქონები, მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“)*, ან — გაწეული სამსახურის „სამუქფოდ“ *(„თქვეს: ფატმან ვნახოთ, მუქაფა გვაც მისი გარდუხდელია“)*, ანაც — გარკვეული ეტიკეტის დასაცავად (შეწყალებულის დაჯილდოება, მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი აქტების და ზეიმების აღნიშვნა). აქ შეიძლებოდა სიუხვის ერთგვარ ნაცვალგებაზე საუბარი, მაგრამ რუსთველისეული სიუხვე მხოლოდ ნაცვალგებაზე არ დაიყვანება: უმთავრესი ამ დროს მორალური მოთხოვნილება გახლავთ, სულის წყურვილი — სხვასაც გაუზიაროს, უწილადოს თავისი ნივთიერი თუ სულიერი სიკეთე. სულის ეს წყურვილი პოემაში

შეიძლება, თითქოსდა, უმიზეზოდაც გამოელინდეს: გაეიხსენოთ ტარიელისა და ფრიდონის, ფატმანისა და ნესტანის პირველი შეყრანი; ეს ინტუიციური ურთიერთლტოლვა რუსთაველისავე სიტყვებით ასე დაფორმულდება — *„შემომხედნა, მოვეწონე"*...

ძნელია სიუხვე...

და ძნელი რომ არის, ამიტომაც გვავსებს შვება-სიხარულით...

7. ლინგვისტური წიაღსვლა

ახლა ორიოდ სიტყვა თვით სიტყვაზე ვთქვათ, იმ სიტყვაზე, ასე გულიდან ამოტანილად, ასე „გულამოხვინჩვით" ქართულად რომ ჟღერს — **უხვი**.

ჯერ მისი მნიშვნელობით ანუ სემანტიკით დავიწყოთ: **უხვი** დღეს გამოხატავს როგორც გულუხვს, ხელგაშლილს, პურადს, ასევე — ბევრს, მრავალს, ბარაქიანს (**უხვი** მოსავალი, **წყალუხვი**, **სიტყვაუხვი**...). ეს მნიშვნელობები, ცხადია, ერთმანეთს ავსებენ და ეყრდნობიან. **უხვი** დღევანდელი მნიშვნელობით უძველეს წერილობით ძეგლებში დასტურდება, მათ შორის — ჰადიშის ოთხთავშიც: „თუალი შენი თუ უკეთურ არს, ხოლო მე **უხუ** ვარ" (მათე, 20-15). აქ „უხვი" უფრო „კეთილს", „მოწყალეს" აღნიშნავს, რასაც, ცხადია, იგუებს „უხვის" გაგება: უხვი ხომ მოწყალეა!

მსგავსი ან იდენტური მნიშვნელობით მეგრულში გვაქვს **ხვე**, სვანურში — **ხვაი**.

შინაარსიდან „უხვის" ბგერობრივ გაფორმებაზე გადავიდეთ: საერთოდ, ქართული სიტყვის ფუძე-ძირები ხმოვნით შედარებით იშვიათად იწყება; ერთ წყება ამგვარ სიტყვებში, უმეტესად, ნასესხებში, ამ ხმოვანთა წინ ჰაე ყოფილა და დაკარგულა: ჰაქიმი, ჰამქარი, ჰამბავი, ჰურია, ჰუნარი...

არა ჩანს, რომ **უხვი** ნასესხები იყოს და, ეთქვათ, **ჰუხვიდან** მომდინარეობდეს.

უ ხმოვნით დაწყებულ სიტყვებში **უ**, ჩვეულებრივ, პრეფიქსია და რამდენიმე ფუნქციას ასრულებს: მიმღეობებში და არსებითებთან იგი გამოხატავს უკუთქმასა და უქონლობას (**ურჩი**, **უენო**), ზედსართავებში — უფროობით ხარისხს (**უმაღლესი**, **უმართლესი**), ზმნებში კი — სასხვისო ქცევას (**უშენებს**).

ისიც დადგენილია, რომ ქართულ სიტყვათა ძირების ბგერობრივი ანუ ფონეტიკური სტრუქტურა ან ოდენთანხმოვნიანია, ან — სამელემენტოვანი, ორ თანხმოვანს შორის მოქცეული ხმოვნით; ზოგჯერ თანხმოვნებს თანხმოვანთკომპლექსები ცვლის; **უხვ**-ფუძეც, ვფიქრობ, **უ**-პრეფიქსად და **ხვ**-ძირეულ მასალად უნდა დაიშალოს; ძველ ქართულში კი ეს **ხვ**-თანხმოვანთკომპლექსი **ხუ**-სახით წარმოდგებოდა ანუ **ვ**-ს ნაცვლად გვქონდა უბრჯგუ.

„**უხვის**" **უ**-პრეფიქსი უკუთქმა-უქონლობას უნდა გამოხატავდეს. ამ

ფუნქციით, ჩვეულებრივ, **უ**-სთან ერთად, -ო, -ურ, -ელ სუფიქსებიც იხმარება (**უ**-ენ-ო, **უ**-თავ-ურ-ი, **უ**-ცველ-ელ-ი), მაგრამ გვაქვს ოდენ **უ**-პრეფიქსიანი უკუთქმითი ფორმებიც. „**უ**-ხვ-ის" მსგავსი მოდელი კი — ოდენ **უ** პრეფიქსი + ძირეული თანხმოვანი ან თანხმოვანთკომპლექსი — ქართულში შედარებით იშვიათია, თუმცაღა — დღესაც მოქმედი; აი, ერთი ნაწილი ამგვარი სტრუქტურის მქონე სიტყვებისა საბასეული განმარტებებითურთ:

1. **უ**-**რჩ**-ი — „არამორჩილი" (შეადარე მო-**რჩ**-ილი);
2. **უ**-**ტყვ**-ი — „მუნჯი", არამეტყველი (შეადარე სი-**ტყვ**-ა);
3. **უ**-**რცხვ**-ი — „უსირცხვილო", (შეადარე მო-**რცხვ**-ი);
4. **უ**-**ზვ**-ი — „ბერწი ცხოელი" (შეადარე მეე-**ზვ**-ე — „ხვასტაგი მშობელი" და ნე-**ზვ**-ი — „თხანი დედალი");
5. **უ**-**სმ**-ი — „არა ესმოდეს რა" (შეადარე მ-**სმ**-ენი);
6. **უ**-**ქმ**-ი — „არა სასაქმო" (შეადარე სა-**ქმ**-ე);
7. **უ**-**შვ**-ი — „უშვილო" (შეადარე **შვ**-ილი);
8. **უ**-**ქ**-ი — „ქებაშეუსხვი" (შეადარე **ქ**-ება)...

ამავე რიგში უნდა ჩავაყენოთ, ალბათ, სიტყვა „**უყ**ი"/„**უყ**ე"; საბა ამ სიტყვას ასე განგვიმარტავს — „ნყალთა და ზღვათა საფლობს ენოდების". ჩემი აზრით, ესეც ზემოთ მოყვანილი ფუძეების ანალოგიურად უნდა იშლებოდეს: **უ**-**ყ**-ი და მისი ძირი **ყ**, შესაძლოა, მ-**ყ**-არ-ფუძეს დავუკავშიროთ (**მ**ყარი — „მაგარი, გინა მტკიცე"; აქედან — სა-**მ**ყარ-ო... **უ**-**ყ**-ი, ალბათ, **უ**-**მ**ყარ-**ოს** ანუ **არამ**ყარს, **თხევ**ადს ნიშნავდა. შეიძლებოდა აქ „**ყ**-ირაც" გაგვხსენებოდა ოდინდელი მნიშვნელობით — „მინა": მიუთითებენ, რომ „ყირა-მალა" ამას ნიშნავს — „მინა ზემოთ").

კიდეე უფრო რთული ჩანს **უხვ**-სიტყვის ანალიზი: განსხვავებით ზემოჩამოთვლილი სიტყვებისაგან, რომელთა დაშლისას ძალდაუტანებლად ხერხდებოდა პრეფიქსული და ძირეული მასალის ფუნქციურ-სემანტიკური იდენტიფიკაცია (**უ** ყველგან უკუთქმა-უქონლობას აღნიშნავდა ძირებით გამოხატული შინაარსისა), აქ ეს პროცესი გართულებულია: ოდენ **უ** პრეფიქსიანი მოდელის არსებობა, ცხადია, იქითკენ გვიბიძგებს, რომ „**უხვ**ი" ჩავაყენოთ „**უტ**ყვისა" და „**უზ**ვის" რიგში, მაგრამ **ხვ**-ძირის მნიშვნელობის დაუდგენლად ეს ყველაფერი ვარაუდების სფეროში დარჩება.

8. ეტიმოლოგიური ნიაღსვლა

შეიძლებოდა, ეს **ხვ**-ძირი დაგვეკავშირებინა სიტყვა „ხვავ"-თან, რომელსაც საბა ასე განმარტავს: „შეგროებული მარცვალი". ძველ ქართულში მას **ზვინის**, **გროვის** და, აქედან გამომდინარე, **მოსავლის** მნიშვნელობაც ჰქონდა; ახლაც აქვს... მეგრულში „ხვა" გუნდს აღნიშნავს, სიმრავლეს; სვანურშიც გვაქვს ბევრის აღსანიშნად ზიარი ძირი — „ხუაჲ". რამდენადაც

ქართულშიც **ხვავი** სიმრავლის გაგებას შეიცავს, დიდია ცდუნება, იგი ეტიმოლოგიურად **უხვის ხვ**-ძირთან დაგვეკავშირებინა, მაგრამ ასახსნელი დაგვრჩებოდა როგორც ერთი, ისე მეორე სიტყვის „არაზიარი" ნაწილები: **-ავ** და **უ-**; მთავარი კი ის გახლავთ, რომ, თუ **უ**-ს აქაც უქონლობა-უკუთქმის გამომხატველ პრეფიქსად მივიჩნევთ, მაშინ სემანტიკურად გაუგებარია, „**უ-ხვავმა**" ანუ „**არა-ბევრმა**", „**არა-მრავალმა**" როგორ და რატომ შეიძინა საპირისპირო მნიშვნელობა — **უხვი** ანუ **მრავალი**.

უფრო სარწმუნო ხომ არ იქნებოდა, თუ **უხვ** სიტყვას მაინც **უ** უქონლობა-უკუთქმის პრეფიქსად და **ხვ**-ძირად დავშლიდით, ამ უკანასკნელში კი „**უხვის**" საპირისპირო, ნეგატიური შინაარსის მქონე სიტყვას ამოვიცნობდით, რომელიც უარყოფითი პრეფიქსის წამძღვარებით ანუ „ორმაგი უარყოფით" ისევე პოზიტიურ შინაარსს იძენს? **უხვის** ანუ **ქონების გამცემის** საპირისპირო შინაარსის გამომხატველი სიტყვა-ცნებები კი **დაგროვება, ხვეჭა**, თავისთვის **აღება** გახლავთ. **არ-ხვეჭა** და **არ-აღება** შინაარსობრივი საფუძველია სიუხვისა; ენობრივად კი ვინც თავისთვის არ იღებს, იგი **უ-ღებ-ელ-ი/უ-ღებ-ი** იქნება (შეადაროთ ამავე ძირიდან ნანარმოები **ნა-ღებ-ი**); ერთი კია, რომ ქართულში არა ჩანს „**არ-აღების**" მნიშვნელობით უთემისნიშნო **უ-ღ-ი** ფორმა (შეადარე **უ-რგ-ებ-ი** და **უ-რგ-ი**).

რატომ დავტრიალებ თავს **აღება** ზმნის ამ **-ღ-** ძირს? იმიტომ, რომ ძველ ქართულში იგი რიცხვის მიხედვით მონაცვლე ძირი გახლდათ და, როდესაც ასაღები ობიექტის **სიმრავლე** უნდა გამოხატულიყო, **ღ**-ს სწორედ **ხუ**-ძირი ენაცვლებოდა: **განვა-ღ-ე** კარი — **განვა-ხუ-ენ** კარნი; **მოვი-ღ-ე** პური — **მოვი-ხუ-ენ** პურნი (=**მოვიტანე** პურები); **მიმი-ღ-ო** პური — **მიმი-ხუ-ნა** პურნი (=**ნამართვა** პურები). ამ **ხუ**-ძირს შოთაც იყენებს: *„ქვაბნი ომითა წაუხმან, სახლად აქვს დევთა სახლები"*... „**წაუხმან**" ფონეტიკურად გამარტივებული ფორმაა **წაუხვმან**-ისა (**მ**-ს მეზობლად **უ**ბრჯგუ იკარგება) და ნიშნავს „**წაურთმევია**".

სწორედ ეს **ხვ** ძირი მგონია სიტყვაში **უხვი**: თავისთვის „**არ-აღების**" მნიშვნელობით ქართულში დღეს დადასტურებული „**უღებისა**" და გაუჩინარებული „**უღის**" გვერდით ძველ ქართულში გვქონდა **უხუამ**-ი და ჩვენთვის საინტერესო **უხუ**-ი.

ძველ ქართულში „**უხუამი**" „**თვალთან**" დაკავშირებული კომპოზიტების შემადგენელი კომპონენტია: „**თუალუხუამი**"/„**თუალუხუავი**"; „**თუალხმა**" <„**თუალხუმა**"; „**თუალხმიერი**"<„**თუალხუმიერი**"... ნიშანდობლივია საბას განმარტება: „**თუალუხუავი** ესე არს თვისთა მოყვარეთა ანუ კეთილქმნელთა არაპატივსცემდეს, არამედ კეთილმოქმედთა"; ე.ი. „**თუალუხუავი**" ნიშნავს **მიუკერძოებელს, მიუმხრობელს** და აქ „**უხუამში**" სრულიად აშკარაა **უ**-ს უკუთქმითი ფუნქცია. საბა იმასაც ბრძანებს, რომ „**თუალღებული** არს **თუალუხვავთა** წინააღმდეგი" — ანუ **ღ** ძირი პრეფიქს **უ**-ს გარეშე აქაც უპირისპირდება **უ**-პრეფიქსიან **ხვ** ძირს „**უხუამ**"-ში.

ვვარაუდობ, რომ „ბევრის თავისთვის არამღები" ანუ ძველი ქართულით **უხუამ-ი** ეტიმოლოგიურად უკავშირდება სიტყვას **უხვ-ი**. ეს დებულება, ცხადია, შემდგომ კვლევასა და დაზუსტებას მოითხოვს და, შოთასვე დავესესხები, მაინცდამაინც ჩემი სჯობსო, არ ვუცილობლობ.

9. უუხვესი

ზემოთ აღვნიშნე, „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟები — მეფეთაგან დაწყებული, ვიდრე მსახურებამდის, ყველანი უხვნი არიან-მეთქი.

უხვია შერმადინი, ავთანდილის არყოფნის ჟამს, ვისაც ჯერ იყო, ყველას *რომ „უფასოსა ძღვენსა სძღვნობდა"*...

უხვია ასმათი — ადამიანი რომ თავის სიხარბეს სძლევს, ეს მისი გულუხვობის უტყუარი ნიშანია: *კარგი ამბის მახარობელს*, ტარიელი მას გობით შესთავაზებს თვალ-მარგალიტს, ასმათმა კი *„ერთი აილო ბეჭედი, მართ აწონილი დრამითა"* და *„ესე კმა ნიშნად"* — მოახსენა.

უხვია მელიქ-სურხავი: *„ზღვათა მეფე გადაიხდის მუნ ქორწილსა მეტად დიდსა... უხვად გასცემს საბოძვარსა, საჭურჭლესა ანაკიდსა"*...

უხვია როსტევანი — *„მოსამართლე და მონყალე, მორჭმული, გამგებიანი"*, ვის ბაგეებსაც შოთამ ამოათქმევინა: *„რასაცა გასცემ, შენია, რაც არა — დაკარგულია"*.

უხვია ფარსადანი — *„უხვი, მდიდარი, უკადრი, მეფეთა ზედა მფლობელი"*, ვინც იტყვის: *„უხვად გავსცემდეთ, ვაესებდეთ, სიძუნწე უმეცრულია"*...

უხვია ფრიდონი — *„მოყმე მხნე, უხვი, ძლიერი, ფიცხლად მომსხლეტი ცხენისა"*, ვინც თავისი უსწრაფესი „შავი" უყოყმანოდ ტარიელს უძღვნა; სიძუნწე მისთვის მხოლოდ ლაღობა-გაქილიკების საგანია: ტარიელს ეხუმრება — *„ოდეს გიძღვენ, არ ეიცოდი, ქაჯეთს გვინდა ქაჯთა მზერა, თვარა ყოლა არ გიძღვნიდი, ჩემი გითხრა სიძუნწე რა"*...

უხვია ავთანდილი, ვისაც ფრიდონის მონებისათვის სამსახურის ჯილდოდ „სავსე ხომალდიც" კი ეცოტავება და თითქოსდა თავსაც იმართლებს: *„სახლი არ მახლავს, არ ძალ მაქვს გაცემა საბოძვარისა"* და *„ეიცი, ამად გეძუნწები"*...

უხვია ტარიელი — აი, რას ეუბნება იგი ფატმანს: *„დავ, გული შენი ჩემზედა გარდაუხდელი, დიდია; ან რაცა ქაჯთა საჭურჭლე ქაჯეთით ამიკიდია, მომიცემია, წაილე, არ კიდე მომიყიდია"*...

ყურადღება მივაქციოთ — მთელი ქაჯეთის საჭურჭლის მიმძღვნელი, მაინც გარდაუხდელად მიიჩნევს თავის ვალს, რამეთუ უწყის — ამაგი, ერთგულება, თავდადება, მსხვერპლი ის სულიერი საგანძურია, რაც მატერიალური სიმდიდრით ვერ გადაინონება.

ამიტომაცაა, რომ ვეფხისტყაოსნის გმირებს ოქრო და თვალ-მარგალიტი კი არა, უპირველეს ყოვლისა, თავიანთი დრო, მკლავი, ოფლი და სისხლი არ ეშურებათ მოყვასისათვის... ისინი უხვად არა მარტო საბოძვარს — სიყვარულს გაიღებენ... გასცემენ გამოცდილებას, ნიჭს, ცოდნას...

ტარიელმა ასმათი არა მარტო ნივთიერად აავსო — მდგომარეობით, ხარისხით აამაღლა, ლამის გაიტოლა: *„აწ ინდოეთს სამეფოსა მეშვიდესა, ერთსა ნილსა, ზედა დაგსვამ, შენი იყოს, გვმსახურებდე ტკბილი ტკბილსა“*...

მანვე მართლაც რომ „გარდაუხდელი ვალი“ ავთანდილს, ვინც არა ნივთი, არამედ სული მისცა ტარიელს, ასევე სულიერი „არმაღანით“ გადაუხადა — თინათინზე დააქორწინა, რაც, სიტყვამ მოიტანა და, სულაც არ იყო იოლი საქმე, თუ ავთანდილის არამეფურ წარმომავლობას გავითვალისწინებთ.

ხომ უხვია „ვეფხისტყაოსნის“ ყოველი პერსონაჟი, რომ უხვზე უხვნი არიან ტარიელი და ავთანდილი, რომლებიც არამარტო ნივთიერ, არამედ სულიერ სიმდიდრეს, *„ვითა თოვლსა, მოათოვენ“*, მაინც არის კაცი, მათზე აღმატებული სიუხვეში, ვინც არა მარტო კერძო პირს ასაჩუქრებს კონკრეტულ დროს, არამედ მიწყივ, მარად ამდიდრებს და აბედნიერებს მთელ ერს.

და სახელი ქართველთა შორის ამ უუხვესისა — შოთა.

სიტყვისგება

პოლემიკა, კრიტიკა, რეპლიკები

აწ რომ ავი არ ვაძაგო,
კარგი როგორ უნდა ვაქო?
ავს თუ ავი არ ვუწოდო,
კარგს სახელად რა დავარქო?

გურამიშვილი

პაოლოს ნეკნისაგან

პოეტები, ეს მცირე დემიურგები, არა მარტო ქმნიან ახალ, მხატვრულ სინამდვილეს — ზოგჯერ ამ სინამდვილეს ავტორსაც გამოუგონებენ ხოლმე.

ყოველი ასეთი გამონაგონი ანუ მისტიფიკაცია ფსევდონიმს „ეფარება", თუმცა ყოველი ფსევდონიმი მისტიფიკაციას როდი ისახავს მიზნად: მაგალითად, „ასტამურ შერვაშიძე" ოდენ ფსევდონიმია პაოლო იაშვილისა, „ელენე დარიანი" კი პაოლოს მისტიფიკაცია გახლავთ.

ცნობილი ამბავია: კაცები, თუ დასჭირდათ, ტრადიციულად საქალო საქმეს ქალებზე უკეთ აკეთებენ — საუკეთესო მზარეულები, გადია-ლალები, თერძები სწორედ მამაკაცები არიან... ახლა ამისი ტრადიცია აღარ არსებობს, თორემ კაცი არც არფაზე დაუკრავდა, ალბათ, ქალზე ნაკლებად. საერთოდაც, ქალის ბუნების, მისი შინაგანი სამყაროს წარმოჩენაში — მეცნიერული კვლევა იქნება ეს თუ მხატვრული წარმოსახვა — უდავო პრიორიტეტი კაცებსა გვაქვს, თუმცა აქ ბიოლოგიურ სქესზე მეტად სოციალურ-კულტურულ-ისტორიული ფაქტორებია გასათვალისწინებელი: „კაბუკის" თეატრში ბევრმა ვიხილეთ ქალის როლის გენიალურად განმახორციელებელი მამაკაცი — ამისი მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია არსებობს იაპონიაში.

ამიტომაც დაჰკრავს, მეტი რომ არა ვთქვათ, გვარიანი გულუბრყვილობის ელფერი მოსაზრებას — მამაკაცი, თუ ის „გადახრილი" არ არის, ქალის ქვეცნობიერში მთვლემარე იმპულსებს ვერც დაიჭერს და ვერც წარმოაჩენსო; თითქოსდა ამ იმპულსთა „ლოკატორი" მხოლოდ ქალური გენიტალიები იყოს... არამც და არამც! აქ მთავარია (გალაკტიონს დავესესხები) „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი"...

ელენე დარიანის ძალუმი ქალური ენებით დამუხტული პოეზია ნაყოფია ასეთივე ძალუმი პოეტური წარმოსახვა-გარდასახვისა. ამის ნიჭით გახლდათ ცხებული პაოლო იაშვილი, ღვთით პოეტი. პოეტურ ნიჭს კი არამცთუ ქალის, ხოჭოს „ენებანიც" კი შეუძლია ისე წარმოაჩინოს, რომ ავტორს — კაფკას ცნობილი პერსონაჟივით — გიგანტურ „ტარაკანად" ტრანსფორმირება არ დასჭირდეს.

ქალის ფსიქოლოგიას სრულყოფილად მხოლოდ ქალი ან რამდენადმე „გაქალებული" მამაკაცი თუ ჩასნვდებაო, ამ არაკორექტული ამოსავალი დებულების ლოგიკურ განვითარებას, შეუძლია, მცდარ დასკვნამდე მიგვიყვანოს... და, ჩემი აზრით, მიიყვანა კიდეც ისინი, ვინც ასეთი სილოგიზმი „ააგო": ელენე დარიანის ლირიკაში ისეთი ქალური „ინტიმია", მას მხოლოდ ქალი ან ქალურობისკენ გადახრილი მამაკაცი თუ შექმნიდა; ამგვარი ეჭვი კი — შორს პაოლოსაგან, მამაკაცობის ეტალონისგან; ამიტომაც — „ვეძიოთ ქალი", რეალური ქალი-ავტორი, შემოქმედი „დარიანული დღიურებისა"...

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ — აქ ეძებენ ავტორს, სწორედაც ავტორს და არა, ვთქვათ, შთამაგონებელს ამ ლექსებისას...

არადა, პოეტის შთაგონების წყარო, კალმისკენ მისი წამბიძგებელი, ათასი რამ შეიძლება იყოს — ბუნება, ნივთი, ქალი, სტრიქონი... მაღალ პოეზიას იმპულსი, შეიძლება, ვისამე ნედლმა, გაურანდავმა სტრიქონმა, „გიმნაზისტკურმა" პოეტურმა ვარჯიშობამაც მისცეს... ესეც საქმეა, მაგრამ ამით როდი კმაყოფილდებიან, „დარიანული ციკლის" ავტორი ქალიაო; პაოლო, თხემით ტერფამდე ნაღდი მამაკაცი, ამგვარი ქალური „დათუთქვის" ავტორად ვერ ნარმოიდგინებაო.

მე კი პირიქით მგონია — ქალურ ეროტიკას სრულად სწორედაც ნაღდი მამაკაცი შეიცნობს და, შესაბამისად, ნარმოაჩენს კიდეც, რამდენადაც ასეთი მამაკაცები მიელტვიან და აღწევენ ხოლმე ამ ეროტიკის მწვერვალს — სქესთა შენივთება-შერწყმას, ერთსულ-ერთხორცობას, რითაც თითქოსდა პრაქტიკულად რეალიზდება პლატონის „ნადიმში" თეორიულად ნავარაუდევი არქეტიპული მოდელი: ოდესღაც გახლეჩილი სულისა და ხორცის გაერთიანება-გამთლიანება ანუ: ჭეშმარიტი (არა — „მმაჩ"-ით რეგისტრირებული) შეუღლება.

ზემოთ აღვნიშნე, კაცები ლამის ყოველ საქმეში მოცილედ გაუხდნენ ქალებს-მეთქი... პირუკუ პროცესიც ხდება — ქალებიც ტოლს არ გვიდებენ ჩვენს ტრადიციულ საქმიანობაში. ეს ყველაფერი როცა სოციალურ სფეროს ეხება, მეტ-ნაკლებად ასატანი რეალობაა. მაგრამ არის საზღვრებიც... და არის სფეროებიც — ბიოლოგიური, სულიერი — სადაც სქესთა ავტონომია, ჩემი აზრით, სამისდღეშიოდ განსაზღვრულია: ქალს დედობაში არ ჰყავს მოცილე, კაცს — მამობაში; არა ჰყავს-მეთქი, თუმცა ტრავესტიზმმა და პლასტიკური ქირურგიის თვითმიზნურმა, უფრო სწორად — ამორალურმა, განვითარებამ ლამის ეს საღვთო განსაზღვრულობაც ნაშალოს.

ნუმც იყოფინ, რამეთუ:

ღმერთმა დაგვიფაროს და, თუ ეს მოხდა, მოიწევა კიდეც კაცთა მოდგმაზე რისხვა ისეთი, ბაბილონის გოდოლის მაშენებლებს რომ არც მოჰლანდებიათ: უფალი მოგვკითხავს თავის საქმეში ჩარევას; ადამიცა და ევაც მისი შექმნილია და საბაოთმა, დიდმა დემიურგმა და უპირველესმა „დასტაქარმა", ევა კი არ გაგვიადამა ან ადამი კი არ გაგვიევა — ადამის ნეკნისაგან შექმნა ევა... ანუ: ევასათვის იმავე თიხის (ოლონდ — სულჩადგმულის) ნატეხი გამოიყენა, რისგანაც ადამი მოზილა.

პაოლომაც, პოეტმა და, აქედან გამომდინარე, მცირე დემიურგმა, მას ნაპბაძა, ოლონდ საკუთარი პოეტური სხეულიდან ამოირიდა ნეკნი და მისგან თავისი პოეტური ევა შექმნა — ელენე დარიანი.

„ლიტერატურული საქართველო", 15-21, 12, 2000

დრო იტყვის

როდესაც ჟურნალის—„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში"—გიორგი ლეონიძისადმი მიღვნილ ნომერს ვგეგმავდი, ცნობილ მწერალს კარლო კობერიძეს ვთხოვე, რაიმე მასალა მოეწოდებინა ჩვენთვის. კარგა ხანია, ერთი რეპლიკა მაქვს ჩაფიქრებული, ცოტა „პირშუშხა" კი იქნება, მაგრამ, თუ დაბეჭდავთ, ხვალვე გაახლებთო. მართლაც, მეორე დღესვე წარმომიდგინა წერილი, რომელშიც ასაბუთებდა — ნუ გავუშინაურდებით ლეონიძეს და პოეტის სახელს „გიორგის" ნუ გადავნათლავთ „გოგლადო". ამ აზრმა იქვე, რედაქციაში, აზრთა ცხოველი „აღებმიცემობა" გამოიწვია: ერთნი რომ უყოყმანოდ მიემხრნენ ბატონ კარლოს და უფრო შორსაც გაუტიეს — ოფიციალურად უნდა აიკრძალოს კნინობითი ფორმით გიორგი ლეონიძის მოხსენიებაო, მეორენი ეჭვს გამოვთქვამდით — ემანდ ნაბანს ბავშვი არ გადავაყოლოთ და „გოგლას" აკრძალვით რაღაც მნიშვნელოვან ტენდენციას არ აღვუდგეთ წინაო. ვგონებ, ზედმეტიც იყოს იმის შეხსენება, რომ მაშინაც და ახლაც „ორივე მხარეს" მხოლოდ ერთი გრძნობა გვამოქმედებს: ძალუმი სიყვარული გიორგი ლეონიძის პოეზიისა და სურვილი — პოეტის სახელს არამცთუ იოტისოდენი ჩრდილი, პირიქით, რაც დრო გავა, მეტი ნათელი მიადგეს. ნიშანდობლიეია, რომ პოეტის უახლოეს ადამიანთაგან — მხედველობაში მყვანან მისი ქალიშვილები — ერთმა მხურვალედ დაუჭირა მხარი წერილში გამოთქმულ აზრს, მეორემ კი ასევე კატეგორიულად უარყო იგი. ასე რომ, ალბათ არავინ დაგვძრახავს, თუ მკითხველს მეორე მხარის არგუმენტებსაც გავუზიარებ.

შესაძლოა, ზოგმა მისაყვედუროს — შე დალოცვილო, თუ არ გაიზიარებდი წერილში გამოთქმულ მოსაზრებას და დაკვეთილ სტატიას შენიშვნას მოაყოლებდი, მაშინ ან რაღად უკვეთდი ავტორს, ან რაღად უბეჭდავდიო. აქვე განვმარტავ: რედაქცია სნორედაც რომ საჭიროდ მიიჩნევს, საჯაროდ გამოითქვას ის მოსაზრება, რომელიც ბევრის და, მათ შორის, ჩემს გულისთქმასაც გამოხატავს — დიდ პიროვნებებთან ზედმეტი გაშინაურება, შეთამამება და თავის გატოლება მეც უსიამოვნო გრძნობას აღმიძრავს: რაღაც უხერხულობა გეუფლება კაცს, როცა რომელიმე სკოლის ლიტერატურულ საღამოზე, რომ იტყვიან, პირშეუბუმბლავი ჯეელები „გოგლას" და „გალას" გაიძახიან. მაშ, რამ ამაღებინა ხელში კალამი? მხოლოდ და მხოლოდ იმის რწმენამ, რომ ჩვენი პიროვნულ-ემოციური დამოკიდებულება ამ ფაქტის მიმართ, ეტყობა, უნდა გააზრიანდეს იმ ტენდენციის ფონზე, რომელმაც ენაში უკვე იჩინა თავი და მერე და მერე, ალბათ, უფრო გამოიკვეთება. სნორედ ამ ტენდენციაზე მინდა გესაუბროთ და, ვიდრე საბოლოო მსჯავრს გამოვუტანდე (თუნდაც — საკუთარი თავისათვის) ამ მოვლენას, ჯერ უნდა

მოვიძიოთ ის მიზეზები, რამაც სახელი „გოგლა“ ასე აღაზევა. მართლაცდა, რატომ მოხდა, რომ ლამის მთელმა მკითხველმა მასამ, კარლო კობერიძის თქმისა არ იყოს, ნათლითმოსილი სახელი „გიორგი“ დაივიწყა და ლეონიძეს საალერსო-შინაურული „გოგლა“ დაუკავშირა?

ჯერ, ალბათ, იმით უნდა დავიწყო, რომ „გოგლა“, ლინგვისტური თვალსაზრისით, არ არის იმ რიგის მოვლენა, როგორისაც „კურკა“ (გრიგოლ ორბელიანის მეტსახელი), „გლუხარიჩი“ (გიორგი ერისთავის მეტსახელი) ან „პუპლია“ (ალექსანდრე ორბელიანის მეტსახელი); და არც, თქვენ წარმოიდგინეთ, „კონია“ — ამ უკანასკნელს აშკარად პროვინციული იერი დაპკრავს (შდრ. „კონსტანტინედან“ მიღებული სხვა კნინობითი სახელებიც — კოტე, კოსტა, კონო...). კონსტანტინე გამსახურდიას ბავშვობაში და სიჭაბუკეში შინაურულად მართლაც ეძახდნენ „კონიას“, მაგრამ მთელი თავისი შემოქმედებით და ცხოვრების წესით იგი თავის თავს „კონსტანტინედ“ ამკვიდრებდა და დაამკვიდრა კიდეც. უფრო მეტიც — დაამკვიდრა „კონსტანტინე-ბატონად“. „გოგლა“ უფრო „ვანოს“, „ლადოს“, „კოტეს“, „რეზოს“, „სანდროს“, „ნიკო“ || „ნიკას“, „ვასოს“, „ლეოს“ მწკრივში დგას — და ქართულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ იცის კიდეც **ნიკო** ლორთქიფანიძეც, **ნიკო** ფიროსმანიც, **ნიკა** აგიაშვილიც, **ვანო** სარაჯიშვილიც, **სანდრო** ახმეტელიც, **ლეო** ქიაჩელიც, **ლადო** ასათიანიც, **ლადო** გუდიაშვილიც, **კოტე** მარჯანიშვილიც, **ვასო** გოძიაშვილიც, **რეზო** ჭეიშვილიც... უფრო-მეთქი, თორემ, რასაკვირველია, „გოგლას“ ჯერ არ შეუძენია ის „დამოუკიდებლობა“ და ნეიტრალურობა, როგორიც აქვთ „კოტეს“ და „ლადოს“; და არც მათსავით გავრცელებულა... სწორედ ამ მიზეზითაც მიემაგრა იგი ასე მტკიცედ დიდი პოეტის სახელს... ამ მხრივ მას აშკარა უპირატესობა აქვს ძალიან გავრცელებულ „გოგიზე“ (ოჯახის წევრები, მართლაც, ასე მიმართავდნენ პოეტს) და, აი, რატომ...

ჯერ ერთი, შედარებით ვიწრო რეგიონს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, „გოგლა“ ზოგადქართულის თვალსაზრისით აღარც აღიქმება კნინობით სახელად — არც უარყოფით-ფამილარული ელფერით, რომელიც ახლავს „გოგიას“, და არც მოფერებითით, რომელიც ახლავს „გიგლას“, „გიგილოს“, „გოგის“ ან „გიოს“. ცნობილია, რომ სახელი რაც უფრო ნაკლებად გავრცელებულია, მით უფრო მტკიცედ უკავშირდება ჩვენს ცნობიერებაში მის მატარებელ ინდივიდს: მეტსახელის შერქმევის მექანიზმიც ეს გახლავთ — პიროვნება უნდა სახელით გამოირჩეს. „გოგლას“ აქვს ეს ღირსება.

ახლა სხვა და, ალბათ, მთავარ საკითხს მივადექით. ქართულმა ლიტერატურამ სულ რამდენიმე, რომ იტყვიან, თითებზე ჩამოსათვლელი პიროვნება იცის, რომლებიც მხოლოდ სახელით დამკვიდრებულან ჩვენს ცნობიერებაში: შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონს აღარ სჭირდებათ გვარებით „შემაგრება“. ჩვენ გვყავს და, ალბათ, მერმეც გვეყოლება მათი თანამოსახელე მწერლები და მოღვაწენი; ღმერთმა ქნას, მათ შორის გენიალური ნიჭით

ცხებულიც გამოგვერიოს, მაგრამ ოდენ სახელით — შოთათი, ილიათი, აკაკით, ვაჟათი, გალაკტიონით — სხვა ვეღარავინ დამკვიდრდება ქართველის ცნობიერებაში. და არის კიდეე ორი სახელი, რომლებიც, ჩვენი აზრით, უკვე ასევე სამუდამოდაა ამ თვალსაზრისით „დაბეჭებული": გიორგი და დავითი.

ალბათ, ღირს დაფიქრება იმაზე, რომ რუსთაველის შემდეგ იქნებ ყველაზე მძლავრმა პოეტურმა ტალანტმა დავით გურამიშვილმაც კი ვერ მოახერხა ეს. ვერ შეიძლო ჩვენი ერის ცნობიერებაში ოდენ გიორგიდ დარჩენილიყო ჩვენი ენისა და კულტურისათვის ლამის შოთას ფარდმა მოვლენამ — გიორგი მთაწმინდელმა. მარტო სახელწოდებით ეს, ალბათ, ვერ აიხსნება, მაგრამ ამასაც უდიდესი, იქნებ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს; უდავოდ დიდი ნიჭით იყვნენ ცხებულნი ბესიკ გაბაშვილი და ტერენტი გრანელი, მაგრამ რატომ, რით უნდა ჰქონოდათ მათ ამ მხრივ გიორგი მთაწმინდელისა და დავით გურამიშვილის წინაშე უპირატესობა? (სხვათა შორის, გაბაშვილი დამკვიდრდა სწორედაც თავისი კნინობითი სახელით „ბესიკით" და არა ოფიციალური „ბესარიონით"). ალბათ, იმით, რომ არ იყვნენ თანამოსახელენი არც დავით წინასწარმეტყველისა და არც წმინდა გიორგისა, რომელთა წყალობითაც ეს სახელები ჩვენში ძველთაგანვე უაღრესად გავრცელდა (გავიხსენოთ: აკაკიმდე „აკაკი" უიშვიათესი სახელი იყო საქართველოში); თანაც ყოველ მომავალ დავითს არა მარტო დიდ მეფსალმუნესთან მოუხდება „შეტოქება", არამედ დიდ დავითთანაც, ვისაც ქართველი ერი აღმაშენებლად და თავის უპირველეს შვილად რაცხს...

ჩემი აზრით, შეიმჩნევა ნიშნები იმისა, რომ გიორგი ლეონიძე, ეს მართლაც „ყელამდე ქართულ მიწაში ჩაფლული" პოეტი, მხოლოდ სახელით მოიხსენიებოდეს. სწორედ ამ ტენდენციის გამოვლინება მგონია „გოგლას" ასეთი აღზევება. ენამ, ხალხის სულის უშუალო გამოვლინებამ, ნიშანი მოგვცა, რომ ოდენ „გიორგი" ულეონიძეოდ ვერ გაძლებს, რადგანაც ეს სახელი, ჯერ ერთი, უმკვიდრესი ძაფებით არის დაკავშირებული ისტორიულად საქართველოსათვის ყველაზე საკრალურ ძალასთან და, მეორე — იგი ყველაზე გავრცელებულია (ისტორიულადაც და ისეც) ჩვენში; „გოგლას" კი ეს შეუძლია... ამიტომაც სცილდება ამ სახელს შინაურული ელფერი და უკვე სხვა ეღერადობას და განზომილებას იძენს... ყოველ შემთხვევაში, დღეს თუ არა, ხვალ მაინც.

როგორც მოგახსენეთ, სადღეისოდ ოფიციალურ სიტუაციაში მეც ერთგვარად ყურსა მჭრის „გოგლა". შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ამ ჩემს შენიშვნაში ეს ფორმა არც მიხმარია, მაგრამ ისიც უნდა ვალიარო, რომ ყოველდღიურ მეტყველებაში „გოგლა" ხშირად წამცდება ხოლმე... და, არა მარტო მე. ეს კი გარკვეული ტენდენციის — სამომავლო ტენდენციის — გამოვლინება მგონია. მოკლედ, ამ საკითხშიც თავის გადამწყვეტ სიტყვას, ალბათ, დრო იტყვის, დრო და ხალხი, საკუთარი ენის სჯულმდებელი.

დასასრულ, ერთი ნიშანდობლივი ფაქტიც: თავის პოეზიაში გიორგი ლეო-

ნიძე არსად თავს „გიორგიდ“ არ ამკვიდრებს: „ლეონიძე, ამ დღეებს უდარაჯე, შენ თუ გასძლებ, შენივ სიტყვის იმედით“... (შეადარე — „როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი“; გალაკტიონი, პირიქით, არსად „ტაბიძით“ არ ამკვიდრებს თავს! გენიალობასთან ერთად მას სახელშიც „ილბალი“ ჰქონდა! ოლონდ — ალბათ, გენიშნებათ — იგი კატეგორიულად „აუმხედრდა“ გაქართულებულ, ე.ი. უფრო გავრცელებულ ფორმას, „გალაქტიონს“. ამავე კონტექსტშია, ალბათ, განსახილველი „პაელეს“ ფერიცვალება „პაოლოდ“, „ტიტესი“ — „ტიციანად“, „ნიკოლოზ“ || „კოლიასი“ — „კოლაუდ“).

გიორგი ლეონიძე უცდომლად მიხვდა — ამ მხრივ წმინდა გიორგისთან „მოცილეობა“ იმითვე დამთავრდებოდა, რითაც ყველა სხვა, ისტორიულად გამორჩეული, გიორგისა; მაგრამ ისიც იგრძნო, რომ მომავალში შეიძლებოდა გაჩენილიყო მოთხოვნილება მისი ოდენ სახელით მოხსენიებისა. ყველაზე შესაფერისად ამ მისიისათვის მან თავად მიიჩნია „გოგლა“ და, ფაქტიურად, შთამომავლობას თვითონვე დაუცა დასტური ასე მიმართვისა:

„და სიყვარულით დამდნარმა შხივად,
სამშობლოვ, შენთვის რაღა ვინატრო?
მინდა, რომ სიმი გადმექცეს სხივად,
სადღაც ორწოხი ამოგინათო!

მინდა ვიყიდო ქვეყნის წამლები,
რათა შევესწრო იმ დღის დანახვას,
როს მომძახოდნენ შთამომავლები:
— იცოცხლე, გოგლა,
შენ ჩვენთანა ხარ!“

„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, N4, 1984

„ავ-ფთონი“ ანუ ავად მლელვარი

შარშან, ალმანახ „კრიტიკის“ მეხუთე ნომერში, გამოქვეყნდა ცნობილი მწერლის ნოდარ წულეისკირის წერილი — „ავ-ფთონი“ და „ანასუნი“.

მასში ავტორი სხვა საკითხთა შორის განიხილავს სიტყვას — „ავ-ფთონი“ — და ცდილობს მისი მნიშვნელობის დადგენას. ეს ჩვენი მცირე წერილიც ამავე მიზანს ისახავს.

როგორც ცნობილია, კომპოზიტი „ავ-ფთონი“ გვხვდება ილიას ლექსში „მეც შავ თვალებს“. აი, ეს სიტყვა სრულ კონტექსტში:

„მეც მინახავს თვის სიბნელით თვალნი,
ვითა წყვდიადი, ისე ღრმად-ღრმანი,
საშიშნი ცეცხლით, დაუმონავნი,
ვით ქარიშხალში ავ-ფთონი ზღვანი“...

ლექსი ზუსტად არის დათარიღებული, დაწერის ადგილი — დაკონკრეტებული: 20 ივნისი, 1858 წ. ტიარლეევო.

სიტყვას „ავ-ფთონი“ გამომცემელთა, ტექსტოლოგთა და ენათმეცნიერთა ინტერესი აღუძრავს. სტატიის ავტორი მათ მოსაზრებებს დაწვრილებით მიმოიხილავს და ამიტომაც განმეორებით მკითხველს თავს აღარ შევაწყენ; ძირითადსა და არსებითს კი მოკლედ შეგახსენებთ:

არსებობს ილიასეული ავტოგრაფი, სადაც „ავ-ფთონის“ ნაცვლად წერია „აღმშფოთნი“: „ვით ქარიშხალში აღმშფოთნი ზღვანი“. ამის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ „აღმშფოთნ“-სიტყვის მნიშვნელობა ნათელია, „ავ-ფთონისა“ კი — ბუნდოვანი, ილიას ხუთტომეულის პირველ ტომში (1985 წ.) ავტოგრაფისეული — „აღმშფოთნი“ დაიბეჭდა.

ლექსის პირველ პუბლიკაციაში („ცისკარი“, N3, 1859) „ავ-ფთონი“ ეწერა, რაც უცვლელად გადმოიტანეს მიხეილ გედევანიშვილმა (1914 წ.) და პავლე ინგოროყვამ (1951 წ.) შესაბამის გამოცემებში. „ავ-ფთონ“-იანი ვარიანტის ნუსხა არსებობს, იგი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში; სხვა ნუსხა, რომელსაც პავლე ინგოროყვა ეყრდნობოდა, გამომცემლის მითითებით, კირილე ლორთქიფანიძეს შეუდგენია და გადაუწერია. ამ ვარიანტის ნუსხათა ავტოგრაფი, სამწუხაროდ, გაუჩინარებულია. ნოდარ წულეისკირი ვარაუდობს მის არსებობას, მაგრამ მთავარი სხვა არის — მწერლის აზრით, არც ავტოგრაფის უქონლობამ და არც ამ სიტყვის ლექსიკონებში დაუფიქსირებლობამ სიტყვა „ავ-ფთონი“ გადასაგდებად არ უნდა გაგვამეტებინოს *„თუნდაც იმიტომ, რომ ორმა ქართველმა მწიგნობარმა, პავლე ინგოროყვამ და კირილე ლორთქიფანიძემ, გადმოწერა და არ მიუჩნევიათ შეცდომად; მაშასადამე, სიტყვა მათთვის ნაცნობი იყო“*. მოკლედ, ნოდარ წულეისკირის აზრით, „ავ-ფთონი“ არ უნდა იყოს არც ლაფსუს-კალამი და არც კორექტურული შეცდომა, იგი ილიასეულია, *„მისი ზვიადი სტილის შესატყვისია, არტისტულია, ამაყი, საამოდ მაღალფარდოვანი“*...

რაც შეეხება „ავ-ფთონის“ მნიშვნელობას, მწერალი მისი ახსნა-ინტერპრეტაციის ორ ვარიანტს გვთავაზობს: *„თუ ყურადღებით დაეუკვირდებით, შეიძლება ამ სიტყვაში ამოვიკითხოთ ავ-ფთოვანი>ავ-ფთონი = ავ-ფრთიანი ზღვა. როგორც ვიცით, ფრთა//ფთა, ძვ.ქ. ფთე, ქართული კილოკავებისა და სალიტერატურო ენისთვისაც კი უცხო არ არის. შეიძლებოდა სხვაგვარადაც გვეფიქრა: ენათმცოდნენი „ავ-ფთონში“ ბერძნულ „ფთონოსს“ — ბგერა, ხმას კითხულობენ (მ. რაფავა). ე.ი. ავ-ფთონი ზღვა ავ-ხმიანი ზღვა ყოფილა!“* (გვ. 136).

როცა მწერალი „ავ-ფთონის" ილიასეულობას გვისაბუთებს, აქ მისი მტკიცება არა მარტო ცოდნას, არამედ რწმენასაც ეფუძნება; თვით სიტყვის მნიშვნელობის დადგენისას კი იგი მხოლოდ ვარაუდს — თავისას და სხვისას — გამოთქვამს და არცა აქვს პრეტენზია საკითხის საბოლოო გადაწყვეტისა; წერს კიდეც: *„უეჭველობის და ერთადერთობის, საბოლოოდ დამტკიცებულის უფლებას ჩემი ნაააზრევი ალბათ ვერ მოიპოვებს და ამის სურვილი არცა მაქვს"*... (გვ. 136).

ამთავითვე ვიტყვი: უნდა დავეთანხმოთ ნოდარ წულეისკირს, როდესაც იგი „ავ-ფთონს" ილიასეულ სიტყვად მიიჩნევს და არა შეცდომად. ზოგს, შესაძლოა, ირონიულადაც გაეღიმოს — ვარიანტების ტექსტოლოგიურ-ლექსიკოლოგიური ანალიზისას სიტყვის ჟღერადობა და მისგან აღძრული ემოციური განცდა რა მოსატანიაო. ჩვენ კი გვგონია, რომ ასეთ შემთხვევებში მწერლურ ინტუიციას, მწერლისეულ გეშსა და ალღოს სიტყვისას არანაკლებ უნდა გაეწიოს ანგარიში, ვინემ წმინდა ტექსტოლოგიურ-ენათმეცნიერულ არგუმენტაციას. ცხადია, ამგვარ ინდივიდუალურ პოეტურ წვდომას, ინტუიციურ მიხვედრას სხვათათვისაც სარწმუნოდ გახდიდა სათანადო ლინგვისტური დასაბუთება სიტყვის ამა თუ იმ ფორმისა. მწერალმა ამის ცდაც წარმოგვიდგინა, თავისთავად საინტერესო ცდა, თუმცა მის მიერ შემოთავაზებული ორივე ვარაუდი, „ავ-ფთონის" მნიშვნელობის ამხსნელი, სარწმუნოდ არ მეჩვენება. არ მეჩვენება არა იმისა გამო, თითქოს ფონეტიკური გარდაქმნებით შეუძლებელი იყოს ავ-ფრთოვანისაგან ავ-ფთონის მიღება, ანდა ბერძნულიდან „ფთონოს" სიტყვის სესხება, არა... ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ავ-ფთონი" უფრო მარტივად და ცალსახად იხსნება ერთი ქართული სიტყვის საფუძველზე.

ეს სიტყვა გახლავთ „ფრთონა".

განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ:

ფრთონა (ფრთონისა) *— ღელვა, რხევა. „ზღვა აღელდა, შექნა ფრთონა, ტალღები არ დააყენა" (რ.ერისთ.). „გადაბრუნდა ცელქი ნავი, ტალღამ იწყო ფრთონა" (ი.გრიშ.). „დაწყნარებულმა ზღვამ იწყო ფრთონა" (გრ. რჩეულ.).*

ფრთონავ-ს *(მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გარდ. სტატ. — ღელავს, ირხევა (წყალი).*

ფრთონვა (ფრთონვისა) *იხ. ფრთონა. „იწყებოდა ფრთონვა. ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა და ზღვაც გაშმაგებით ატოკდა" (ნ.კურდღ.).*

ახლა გავიხსენოთ ილიასეული კონტექსტი — თვალნი, „...საშიშნი ცეცხლით, დაუმონავი, ვით ქარიშხალში ავ-ფთონი ზღვანი". სემანტიკური შესაბამისობა სრულია: ავ-ფთონი ანუ ავად მღელვარი. სიტყვამ მოიტანა და, ეს **ავ-ფთონი** იქნებ ბარათაშვილისეული **შავად მღელვარით** იყოს შთაგონებული: როგორც პავლე ინგოროყვამ დაამტკიცა (იხ. მისი I ტ. თბ., 1963 წ. გვ. 393 შმდ.), ილია ჭავჭავაძე, სწორედ ამ ლექსის დაწერის ჟამს უნდა გასცნო-

ბოდა ეკატერინე ჭავჭავაძისეულ ნუსხას ნ. ბარათაშვილის ლექსებისას, მათ შორის, „მერანს". ბარათაშვილის ზეგავლენას ილიას ლექსის განწყობილება, ინტონაცია და ლექსიკაც გვიელენს.

თუ სემანტიკის მხრივ ყველაფერი ნათელია, შესადარებელ სიტყვათა ფორმამ, შესაძლოა, გარკვეული ეჭვი მაინც აღძრას — რა გზით უნდა მიგველო ფრთონა//ფრთონვა სანყისიდან განსაზღვრების ფუნქციით აღჭურვილი კომპოზიტი ავ-ფთონი (ზღვანი)? კომპოზიტის პირველი კომპონენტი არავითარ ეჭვს არ ბადებს, იგი ფუძეა სიტყვისა — ავ-ი. ფუძისავე სახით გვხვდება იგი ხშირად სწორედ კომპოზიტებში (აეკაცი, ავგული, ავსული, ავდარი, ავყია და მისთანანი. უფრო დაწვრილებით — ქვემოთ); რაც შეეხება კომპოზიტის მეორე და, ამ შემთხვევაში, მთავარ ნაწილს — ფთონი, იგი მფრთონნი-სიტყვის ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმა უნდა იყოს, თანაც გრამატიკულად საკმაოდ გამჭირვალე ფორმა, ასე რომ, შესაბამისი სამი „აღდგენითი" ოპერაცია უმტკივნეულოდ ხერხდება:

1) კომპოზიტის ეს ნაწილი, ფთონი ფორმით წარმოდგენილი, ისეთივე ხელოვნურია და ბუნდოვანი, როგორიც იქნებოდა ჩენი, სმენი, ნვდომი ფორმები. მაგრამ საკმარისია მათ „აღვუდგინოთ" მოქმედებითი ან საშუალი გვარის მიმღეობათა მაწარმოებელი პრეფიქსი მ, რომ მივიღოთ ბუნებრივი ფორმები ყველასათვის ცნობილი სიტყვებისა: მ-ჩენ-ი, მ-სმენ-ი, მ-ნვდომ-ი; ასევე, ფთონი<მფთონი, ე.ი. ის, რაც ღელავს, ფრთონავს, ირხევა. როდესაც ეს სიტყვა შეერწყა კომპოზიტის პირველ ნაწილს, როგორც მოსალოდნელი იყო, საშუალო გვარის მიმღეობის მაწარმოებელი მ გაუჩინარდა: ვმფთ-კომპლექსი წარმოსათქმელად რთულია და იგი მ-ს ამოვარდნით მარტივდება. საერთოდაც, მ ზოგჯერ იქაც კი იკარგებოდა, საცა საამისო ფონეტიკური პირობები თითქოს არც არსებობდა: შდრ. მეგვიპტელი>ეგვიპტელი.

2) ასევე: ცნობილია ქართულის ტენდენცია, გაამარტივოს რ-სონორის შემცველი თანხმოვანთკომპლექსი: *„ქართულ წარმოთქმაში არის შემთხვევები, როდესაც ორ თანხმოვანს შორის მოქცეული რ წარმოითქმის რედუცირებულად... დიალექტებში ამ პოზიციაში რ არც კი წარმოითქმის"* (ს.ჟღენტი, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბ., 1965 ნ., გვ. 122). ამ ტენდენციის გამოვლინება გახლავთ ბრძოლა, გრძელი, ფრთა, ფრჩხილი, ბრჭყალი და ა.შ. სიტყვებში რ-ს ლაბილურობა, ნაკლები სიმდგრადე. ასე რომ, ფრთონ>ფთონ სრულიად ბუნებრივი ფონეტიკური პროცესია ქართულისათვის. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საპირისპირო პროცესიც — ე.ი. კომპლექსში რ-ს გაჩენა — ქართულს არ ეუცხოება; ამას ძველი ქართულის მონაცემებიც ადასტურებს: ერთი მხრივ, ფერჭი>ფეხი, მეორე მხრივ კი — ვეცხლი>ვერცხლი. ამის გათვალისწინებით, შესაძლოა, ილიასეული ფთონ არც წარმოადგენდეს ფრთონ-ის გამარტივებას, არამედ ეყრდნობოდეს რ-ს გარეშე არსებულ არქაულ ვარიანტს.

3) რახან საზღვრული ზღვა-ნ-ი ნარიან მრავლობითშია, მსაზღვრელიც ასე უნდა გაფორმებულიყო — ავ-ფთონ-ნ-ი; მეტყველებაში, ცხადია, გაორმაგებულ თანხმოვანთა შერწყმა ხდება, თუმცა ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მრავლობითის ნ შენარჩუნებული იყო ნ-ზე დაბოლოებულ ფუძეებთანაც: ჩუენნი, შენნი და ა.შ. უნდა ითქვას, რომ ილია ასეთ შემთხვევებში ზოგჯერ იცავს ძველ ნორმას — „არს შენნი თვალნი", „ამ წვა-დაგვამ დღენი ჩვენნი მოგვანბილა", ზოგჯერ — არა: „ვინ იცის, თანა რაოდენი ნარიღე ფიქრნი" (აქაც და ქვემოთად საილუსტრაციო მასალა და მისი კონტექსტები მოხმობილია თ. სანიკიძის „ილია ჭავჭავაძის პოეზიის ლექსიკონიდან", თბ., 1986 წ.). ჩვენთვის საინტერესო ფორმა ფთონი — ამ უკანასკნელი მაგალითის რიგს მიჰყვება.

ამრიგად, კომპოზიტის მეორე ნაწილი ფთონ-ი, ჩვენი აზრით, მიღებული უნდა იყოს მ-ფრთონ-ნ-ი ფორმისაგან ქართულში გავრცელებული ფონეტიკური გარდაქმნების შედეგად. ასე რომ, ფორმისეული დაბრკოლებანი „ფთონი"-ს „მფრთონნი"-სთან დასაკავშირებლად, ეფიქრობთ, გადალახულია (ზემოაღნიშნული ფონეტიკური პროცესების შესახებ დაინტერესებულ მკითხველს ამომწურავი ინფორმაციის მიღება შეუძლია ქართული ენის ფონეტიკის საკითხებისადმი მიძღვნილი თითქმის ყველა მნიშვნელოვანი გამოკვლევიდან, პირველ ყოვლისა კი გ. ახვლედიანის წიგნიდან — „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები", თბ., 1938 წ.).

მას შემდეგ, რაც „ფთონი"-სათვის მოინახა ლექსიკონებში დაფიქსირებული ამოსავალი ფორმა, თითქოს საფუძველიც უნდა გამოსცლოდა მწერლის ამ ვარაუდს:

„...ავ-ფთონი მაინც ილიასეული სიტყვა მგონია. მხოლოდ და მხოლოდ ილიასეული! ან მის მიერ მკვდრეთით აღდგენილი სიტყვა, ან შეთხზული. მის თანამედროვეთ, აკაკის და ვაჟას, არ უხმარიათ ეს სიტყვა, მარტო ილიამ იხმარა, მარტო ერთ ლექსში, რომელიღაც ერთ წამს, დიდი გონების რომელიღაც ერთ გაელვებაზე დაიბადა საკვირველი სიტყვა „ავ-ფთონი", რომლის რაობა დანამდვილებით დღესაც არავინ იცის. შესაძლოა, თავის დროზე თვით ილია ჭავჭავაძესაც ვერ აეხსნა წარმომავლობა სიტყვისა, გაჩენა მისი. ესაა ჭეშმარიტ სიტყვისმოქმედთა სიდიადე: მარადიულ ბნელში ითხზვება და იქმნება ნამდვილი ახალი სიტყვა. ამ სიტყვის ხასიათიც, ულერაც ილიასეულია: „ავ-ფთონი ზღვანი!" (გვ. 136-137).

მაგრამ — არა! ჩვენი ცდა, დაგვედგინა „ავ-ფთონისათვის" ამოსავალი ფორმა და გვეჩვენებინა შესაბამისი სალექსიკონო ერთეული, წარმატებულადაც რომ მივიჩნიოთ, ეს მაინც ვერ შეარყევს მწერალ ნოდარ წულეისკირის ვარაუდს, „ავ-ფთონი" ილიასეული და მხოლოდ ილიასეული სიტყვაა. ზოგჯერ გულუბრყვილოდ ჰგონიათ, თითქოს სიტყვათშემოქმედება რაღაც ახალი, ჯერ არსმენილი სიტყვის „გამოგონებას" ნიშნავდეს; ლიტერატურამ ამის მაგალითებიც იცის, მაგრამ მწერალს რომ რაიმე ახალი ძირი სიტყვი-

სა შეექმნას და ხალხს, მეტყველ მასას ამაზე დასტური დაეცეს, ასეთი რამ უიშვიათეს შემთხვევათა რიგს განეკუთვნება და იმასაც თავისი ლინგვისტურ-ფსიქოლოგიური ახსნა მოეძებნება — თანაყღერადობის საფუძველზე დამყარებული ასოციაციური კავშირი. ჭეშმარიტად შემოქმედებითი სიტყვათქმნადობა კი სხვა არა არის რა, თუ არა — ენაში უკვე არსებული სემანტიკური ერთეულების ანუ ძირეული მორფემების მოულოდნელი, უჩვეულო, არასტანდარტული განაწილება ენაშივე მოქმედ გრამატიკულ მოდელებში. ამ თვალსაზრისით „ავ-ფთონი" მართლაც ილიასეული სიტყვათშემოქმედების ნაყოფია. ჯერ ერთი, ილიამ მოულოდნელად „დაწნიხა" „ფრთონავს"//„ფთონავს" ზმნის ფუძიდან მიმღეობა „მფრთონი"//„მფთონი". არა „მფრთონავი", არა „მფრთონარი", არა „მფრთონარე", არამედ მაინცდამაინც მფრთონი>მფთონი>ფთონი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რომ იგი ამ ფორმის ფონეტიკურად გამარტივებულ სახეს ხმარობს: „ავ-ფთონი"). ასეთი მოკლე, ოდენ პრეფიქსული წარმოება მიმღეობისა, ცხადია, ილიას „მოგონილი" არ გახლავთ, იგი ერთ-ერთი მოდელთაგანია ქართულში, მაგრამ ყოველი ზმნური ფუძე მას ვერ „მოიხდენს". მეორე მხრივ, შესაძლოა, ერთმა და იმავე ფუძემ რამდენიმე მოდელი „მოირგოს" გრამატიკულ-სტილისტური მნიშვნელობის შესაბამისი ნიუანსირებით (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. აკ.შანიძე, ქართ. ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 667 შმდ.). ილია ხშირად იყენებს ოდენ პრეფიქსულ წარმოებას იქ, სადაც, ჩვეულებრივ, მიმღეობათა პრეფიქს-სუფიქსური წარმოება გვაქვს: მ-შველ-ი („დრო საშურია... ჩვენ ძმებს ჩვენით მშველი აკლდება"), მ-სმენ-ი („მსმენმან ამ ხმისა — გავშალე ხელი"), მ-ლოკ-ი („ხელთა მლოკი"); შდრ. უფრო გავრცელებული მ-შველ-ელ-ი, მ-სმენ-ელ-ი, მ-ლოკ-ავ-ი//მ-ლოკ-ე-ელ-ი, რომლებიც, თავის მხრივ, უცხო როდია ილიას ენისათვის („ღმერთია ყველას მშველელი", „მშვენიერის ხმით მსმენელს ვაგიჟებ"...). ილიას ენაში შეიძლება შეგვხვდეს ამავე მოდელით ნაწარმოები უიშვიათესი, ალბათ, მხოლოდ მის მიერ ნახმარი „მ-ყოდ-ი" („შენ დამცინი მე! შენ, უკვდავო მსახურო ცისა, მარადის მყოდო, შენ მონაო მყოდ ტირანისა!") და „მ-ძვიფრ-ი" („როცა ჰლმუოდნენ ხეევში მძვიფრნი სასტიკნი ქარნი"). ამათგან პირველი მე პოეტიკა ლიცენცია მგონია და „მ-ყოფად-ი" სიტყვის შეკუმშულ სახეს უნდა ნარმოადგენდეს; მეორე კი ორი, სემანტიკურად მეზობელი და აკუსტიკურად თანაყღერადი სიტყვების „მძვინვარე" და „მძაფრი" კონტამინაციით ანუ შერწყმით უნდა იყოს მიღებული.

ასეთი ოდენ პრეფიქსული წარმოება ინდივიდუალობის ბეჭედს ასვამს ისედაც იშვიათად ხმარებულ ზმნურ ფუძეს — „ფრთონ", მაგრამ მარტო ეს ერთი მომენტი არ გახლავთ მიზეზი იმისა, რომ „ავ-ფთონი" ილიასეულ სიტყვად მიჩნიოთ — თუ მეტი არა, აქ არანაკლები მნიშვნელობა აქვს კომპოზიტის ნა-

წილთა შინაარსობრივსა თუ ფორმობრივ „შეხამებადობას". ერთი შეხედვით, აქ უჩვეულო არაფერია: ლექსემა „ავ", როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საკმაოდ ხშირად გვევლინება კომპოზიტის პირველ წევრად, მაგრამ ასეთ შემთხვევაში კომპოზიტის მეორე ნაწილი, როგორც წესი, სახელია: ავ (-კაცი, -პირი, -გული, -ყია, -ხორცი, -დარი, -სული)... როცა კომპოზიტის მეორე ნაწილში მიმღეობა გვაქვს, „ავ"-ფუძე მაშინ ვითარებითი ბრუნვით ფორმდება: „ავად-მყოფი". ზოგჯერ სემანტიკური კავშირი წევრებისა ამგვარ მოდელში ისეთი მტკიცე არც არის, რომ ისინი ერთ სიტყვად, კომპოზიტად, აღვიქვათ და, ამის შესაბამისად, ერთად დავწეროთ: „ავად ზრდილი", „ავად მოსაგონარი", „ავად სახსენებელი". ასე რომ, „მ-ფრთონ"-მიმღეობასთან მოსალოდნელი იყო „ავად" და არა „ავ" : აკი არც ვამბობთ „ავ-მ-ყოფ-ი". მაგრამ ილიას ენაშივე დასტურდება გრამატიკულ მოდელთა ამგვარი „შენაცვლება" — „ავ-მორწმუნე" („ზაკვით სავსენო, ავმორწმუნენო, ის თქვენ სიტყვით გწამთ და საქმით არა..."). „ავ-მო-რწმუნ-ე" ისევეა ნაწარმოები, როგორც „ავ-მ-ფრთონ-ი". ენობრივი წესიდან გადახვევის უფლებას ენავე იძლევა, ოღონდ ოსტატის ხელში, რომელიც ამ წესის დარღვევით პოეტურ კანონს აღასრულებს ხოლმე.

რამდენიმე სიტყვა თვითონ ფრთონ-ფუძეზე. მისი ეტიმოლოგიისათვის გასათვალისწინებელია ზოგი ფაქტი: ფრთონა განმარტებითი ლექსიკონის გარდა დადასტურებულია დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონშიც: *ფრთონა*, ნ. *ფურთუნი*, ფურთუნი კი ასეა განმარტებული — *თათრ. ღელვა, волны у берегов.*

ამავე მნიშვნელობით იგი შეტანილია განმარტებით ლექსიკონშიც. ეს ფურთუნი ნიკო ჩუბინაშვილსაც დაუფიქსირებია თავის ქართულ ლექსიკონში: *ფურთუნი — ღადო, ზღვის ღელვა ძლიერის ქარისაგან, буря на море,* ... ფარნაოზ ერთელიშვილიც თავის მონოგრაფიაში „ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში" (თბ. 1970 წ. გვ. 247-8) ფრთონას ფურთუნიდან მიღებულად მიიჩნევს: „*ფრთვინ<ფურ-თუნ... ფრთვინვა (იხ. ფრთონა: ღელვა, რხევა, ქეგლ VII) უკავშირდება ფუძეს ფურთუნ (ფურთუნი — ზღვის ღელვა, ნაპირის ტალღა, ქეგლ VII), ფურ-თუნ — ფრ-თუნ (შდრ. ფრთონ-ა)>ფრ-თვინ*". პროფ. ს.ჯიქიამაც დაგვიდასტურა, რომ თურქულში მართლაც ყოფილა სიტყვა „ფირთინა", რომელიც ქარბუქს, ავდარს ნიშნავს. მაგრამ, რამდენადაც ფრთ-ძირი ხმამიბაძვითი წარმოშობისა ჩანს („იმეორებს" ტალღის ხმიანობას), იგი თურქულიდან ნასესხები არ უნდა იყოს.

როგორც უნდა გადაწყდეს ფრთონ-ძირის წარმომავლობის საკითხი, ვფიქრობთ, სწორედ ეს ძირია გამოყენებული ილიას შთამბეჭდავ სიტყვახატში — „ავ-ფთონი".

„კრიტიკა", N1, 1987

აკაკი ბაქრაძის „კრიტიკული შენიშვნების“ გამო

ყოველგვარი სერიოზული კრიტიკა თავის წინა პირობად კრიტიკის ობიექტისადმი პატივისცემას გულისხმობს. პატივისცემა, ცხადია, არ ნიშნავს გუნდრუკის მარცხნივ და მარჯვნივ მიმოკმევას, არამედ — მხატვრული ნაწარმოების ღრმა და ყოველმხრივ შესწავლას (არა მხოლოდ გადაკითხვას) და ავტორისადმი კეთილისმსურველ დამოკიდებულებას. იქნებ ვცდებოდე, მაგრამ, ჩემი აზრით, კრიტიკოსმა არც მაშინ უნდა მოჰკიდოს კალამს ხელი, თუ მხატვრულ ნაწარმოებს ვერანაირ ღირსებას ვერ აღმოუჩენს, ვინაიდან არარაობის შესახებ წერა თავშეუკავებლობაა და სხვა არაფერი: კალმის გასვრადაც არა ღირს. ასეთ შემთხვევებში სიტყვაზე მეტად დუმილი კლავს. ამის შესახებ ალბათ განსხვავებული თვალსაზრისი აქვს კრიტიკოს აკაკი ბაქრაძეს, რომელმაც რეზო ჭეიშვილის ახალი რომანის — „დალის“[1] — შესახებ ამა წლის „ცისკრის“ მერვე ნომერში გამოაქვეყნა საკმაოდ მოზრდილი „კრიტიკული შენიშვნები“. რომანში კრიტიკოსს ვერავითარი ღირსება ვერ აღმოუჩენია და მას რ. ჭეიშვილის სერიოზულ მარცხად მიიჩნევს. ასეთი გამანადგურებელი დასკვნა მწერლის მიმართ, რომლის ტალანტში ეჭვი ალბათ არც აკ. ბაქრაძეს ეპარება, უდავოდ სკრუპულოზური ანალიზის შედეგად და ერთგვარი შინაგანი ტკივილითაც კი უნდა გაკეთებულიყო. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. უფრო მეტიც, „შენიშვნების“ ავტორი ხშირად არღვევს კრიტიკის ისეთ ელემენტარულ პირობასაც კი, როგორიცაა საანალიზო რომანის ტექსტის ცოდნა. აი, ამის მაგალითებიც:

1. აკ. ბაქრაძე მწერალს უსაყვედურებს, ელგუჯა ვაშაძესა და დალი შელიას შორის ასაკობრივი სხვაობა რომ არის და დალის რომ ქმარი ჰყავს, ეს რეზო ჭეიშვილსაც დააკინყდა და ელგუჯასაცო (გვ. 102). თავი რომ დავანებოთ ამ კონტექსტში ავტორის უადგილოდ მოხსენიებას (რ. ჭეიშვილს რომ „დაჰვიწყებოდა“, საინტერესოა, ამ ფაქტებს აკ. ბაქრაძე საიდან შეიტყობდა?), თურმე ელგუჯასაც უფიქრია ამ თემაზე: „იმ ქალს ჩემს სიცოცხლეში არ დაველაპარაკები, ბოლოს და ბოლოს, რა ჩემი ტოლია“ (I, 65); „ვინ ელგუჯა, სად დალი? ყველაფრისთვის თავი რომ დაგვენებებინა, ერთი მაინც ლექტორი იყო, მეორე — სტუდენტი“ (II, 32).

2. აკ.ბაქრაძე: „(ელგუჯა) ჯერ იყო და გაუბედაობის გამო ქალთან უბრალო დალაპარაკებას ვერ ბედავდა. მერე კი, მოერია თუ არა გაუბედაობას, მაშინვე (დაყოფა ჩვენია, თ.კ.) დალის გაბახება მოინდომა. სხვისი მანქანით, სხვის აგარაკზე სხვისი ცოლი წაიყვანა და მისი გაუპატიურება მოინა-

1 ჟურნალი „ცისკარი“, 1970 წ., 1-6.

დინა" (102). ჯერ ერთი, ქალ-ვაჟის გაცნობიდან ბევრმა წყალმა ჩაიარა, ვიდრე დალი სხვის მანქანაში ჩაუჯდებოდა და სხვის აგარაკში შეჰყვებოდა ელგუჯას, მეორეც არის და, საიდან დაასკვნა კრიტიკოსმა, რომ ვაჟმა ქალის გაუპატიურება სცადა?

3. აკ. ბაქრაძე: „რა განიცადა ელგუჯამ ტრაგიკულად? დალის სიკვდილამდე არაფერი" (106). ისევ უყურადღებობა! რომანის დასაწყისში ვკითხულობთ, რომ დედის გარდაცვალება ელგუჯამ ძალზე ავადმყოფურად განიცადა, „ცუდად გახდა და მოულოდნელად დააეიწყდა როდის, რით მოკვდა და როგორ დაასაფლავეს დედა. ვიღაცამ თქვა, ამას მეხსიერების გამოთიშვა ჰქვიაო" (I, 22). დიდი სულიერი ტკივილი იგრძნო ელგუჯამ დალის „ღალატის" გამო, ამასაც ავადმყოფური მოვლენები მოჰყვა.

აკ. ბაქრაძე რომანის მთავარ პერსონაჟს ახასიათებს როგორც ზნედაცემულსა და გარყვნილ ადამიანს, სულიერ და ზნეობრივ იმპოტენტს, არარაობას, რაღაც გარდამავალ რგოლს პიტეკანთროპსა და homo sapiens-ს შორის. ყოველივე ამას კრიტიკოსი შემდეგი საბუთებით ამტკიცებს:

1. ელგუჯა ხიდან უთვალთვალებს, როგორ წვება ბადრი კილაძე კანონიერ მეუღლესთან; 2. ელგუჯა ადამიანთა სულიერ შესაძლებლობებს ხელის გადანევით ზომავს; 3. ელგუჯა თავხედურად ელის საწოლში მასპინძლის ქალიშვილს; 4. ელგუჯას მთქნარება აუტყდება საყვარელი ქალის დასაფლავების ჟამს. ჩვენც ამავე თანამიმდევრობით განვიხილოთ ეს საბუთები:

1. კრიტიკოსმა ისე წარმოადგინა ელგუჯას ხეზე აძრომა და თვალთვალი, თითქოს ამ უკანასკნელს ის აინტერესებდეს, თუ „როგორ წვება ქმარი ცოლთან". ასეთი ავადმყოფური ცნობისმოყვარეობა მართლაც რომ ცვედანის გულისამრევი ეროტიკაა. მაგრამ ელგუჯას ის კი არ აინტერესებს, თუ როგორ წვება დალი ქმართან, არამედ — საერთოდ, დაწვება თუ არა დალი ქმართან. ქალს ხომ იგი უყვარდა; სულიერად რადგან მას ეკუთვნოდა, გულუბრყვილო ელგუჯას აზრით, სხეულითაც მისი ერთგული უნდა დარჩენილიყო. როდესაც ელგუჯამ დალი და მისი შნოიანი მეუღლე ერთად იხილა, მაშინღა შეუჯდა ეჭვის ჭია და თავგზა დააკარგვინა. რატომ გამორჩა კრიტიკოსს მხედველობიდან, რომ, როცა ცოლ-ქმარი დაწვა, „ელგუჯა ოთახისკენ არც იხედებოდა"... (IV, 89). ასე რომ, ელგუჯას საქციელი არაფრით არ ეგუება კრიტიკოსის მიერ დანახულ საჭურისის უღონო ვნებას. ამ უკუღმართულად გაგებულ ეპიზოდზე განა ღირდა ამდენი მელნის ღვრა და ლიტერატურული თუ ცხოვრებისეული ასოციაციების გაღვიძება? ჯერ იყო და ელგუჯას საქციელი არზაყან ზვამბაიას მოქმედებას შეეუდარეთ და არცთუ ორაზროვნად გადავუკარით, რომ ეს პლაგიატია; ლიტერატურული „წინაპრის" დადგენის შემდეგ თანდათან ეშხში შეეედით და ელგუჯას ცხოვრებისეული პროტოტიპიც მოვიძიეთ. აღწერილი სიტუაცია მართლაც რომ იყოს აღებული „მავანი და მავანი კინორე-

ჟისორის" ცხოერებიდან, მაშინაც დიდი უტაქტობა იქნებოდა კრიტიკოსის მხრივ ამ ამბის ასე საჯაროდ გამოფენა; ათგზის უტაქტობაა, როცა მკითხველს ვაცნობთ ტრაგედიას, რომელსაც ელგუჯა ვაშაძის ამბავთან საერთო არაფერი აქვს.

აქ შეიძლებოდა ნერტილის დასმა, რომ აკ. ბაქრაძე ელგუჯას ხეზე აძრომასთან დაკავშირებით მწერალს არ უსაყვედურებდეს: „პერსონაჟი შეიძლება შეცდეს და უკადრისი რამ ჩაიდინოს, მაგრამ სამნუხარო ის არის, რომ მწერალმა პერსონაჟის მორალური დანაშაული უყურადღებოდ დატოვა... ამ საქციელს სჭირდება მწერლის მორალური და ემოციური დამოკიდებულება" (102). მწერლისა და თავად პერსონაჟის დამოკიდებულება ამ ეპიზოდისადმი ჩანს, ამის დასანახად კი სულ მცირე რამ არის საჭირო — მეტი გულისყურით ნავიკითხოთ ეს ადგილი: ხეზე ასული ელგუჯა „მთელი არსებით გრძნობდა, რა უხერხულ მდგომარეობაშიც შეიძლება ჩავარდნილიყო, მაგრამ აღარაფერს ერიდებოდა... რა უნდოდა ამ შუაღამეზე ხეზე, რა უნდოდა სხვის ოჯახში?.. დიდი ოთახის ბინადარნი წყნარად, უშფოთველად ემზადებოდნენ დასაძინებლად. ელგუჯა აქ რა მოხელე იყო, მისი ვის რა ემართა"... (IV, 85-86). აკ.ბაქრაძის აზრით, ეს ალბათ საკმარისი არ არის. მაშ რა უნდა ექნა მწერალს? რადგან ცდუნებას ვერ გაუძლო და ელგუჯა ხეზე ააძვრინა, ალბათ ამბის თხრობა განზე უნდა გადაედო და ლაზათიანად შეეხურებინა თავისი პერსონაჟი, რათა მკითხველებს არ შეჰქმნოდათ ილუზია, თითქოს რ. ჭეიშვილს მოსწონს საყვარელი ქალის ნახვის ეს ხარხი და მათაც მოუნოდებს ელგუჯას მიჰბაძონ. რომანებში, ჩვეულებრივ, და „დალიშიც", კერძოდ, მრავალი ეპიზოდია. გამოდის, რომ ავტორმა უნდა ჩააელოს მკითხველს ხელი, დაატაროს რომანის გვერდები და აუხსნას: ამან ქმრიანი ქალი შეიყვარა — ცუდია, ქმრიანი ქალი სხვას გაუმიჯნურდა — ესეც არანაკლები ცოდვაა, ქმარმა მოღალატე ცოლს სცემა — ეს კიდევ უარესი; მე ამგვარი საქციელი არ მომწონს და, გეთაყვათ, ნურც თქვენ ჩაიდენთ ამას... და აღარ გვექნებოდა რომანი „დალი", გვექნებოდა „ნუცას სკოლის" მსგავსი თხზულება უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის.

2. აკ.ბაქრაძე ელგუჯას გონებრივ სიდუხჭირეს ამტკიცებს იმით, რომ იგი თურმე ხელის გადაწევით ზომავს ადამიანის სულიერ შესაძლებლობებს. ბიცეფსებით ჭკუა-გონების გაზომვა მართლაც დიდი სიბრიყვეა და კრიტიკოსთან ამის შესახებ სადავოც არაფერი გვექნებოდა, რომ რ. ჭეიშვილს ამის მსგავსი რამ ეწეროს. რომანში აღწერილია ბანკეტი, სადაც ელგუჯას, ცნობილ მოჭიდავეს, თამადობას სთხოვენ; მას კი თავისი ავადმყოფობა აკავებს, იცის, რომ სმა ავნებს, მაგრამ ბოლოს გაიფიქრებს: თუ ამ ხალხს, რომელსაც ხელს ნეკითაც გადავუწევ, ღვინო არ სწყენს, არც მე დამმართებს რამესო. რა შუაშია აქ ადამიანის სულიერი შესაძლებლობები? ორში ერთი: ან კრიტიკოსი სათანადოდ არ იცნობს ტექსტს, ანდა გარკვეუ-

ლი მოსაზრებით მას აყალბებს. მესამე გზა, რომ აკ. ბაქრაძეს ღვინის სმა ადამიანის სულიერ შესაძლებლობათა გამოვლენად მიაჩნია — უნდა გამორიცხოს.

3. ამავე ბანკეტის ბოლოს მთვრალი ელგუჯა მასპინძლებმა ცალკე ოთახში მოასვენეს. „პროვინციული უტიფრობა" არისო მისი ფიქრი იმის შესახებ, რომ „ალბათ განგებ ცალკე ოთახში მაწვენენ და მერე ბელაც მომაკითხავსო" (V, 45). ისევ გვავიწყდება (ან ვივიწყებთ), ამ გაფიქრებას წინ რა უძღოდა: ბანკეტზე ბელა სულ ელგუჯასთან ცეკვავდა, „ქალი უმიზეზოდ იცინოდა" და როცა გვერდითა ოთახში განმარტოვდნენ, „ბელა კისერზე მოეხვია და ტუჩებზე დააცხრა... ისინი გამეტებით ბურჯგნიდნენ ერთმანეთს" (V, 43). შემდეგაც რამდენჯერმე გაიმეორეს ეს „სეანსი". ყოველივე ამის შემდეგ უპრიანია, რომ ნასვამ კაცს (პროვინციიდან იქნება იგი თუ მეტროპოლიიდან) გარკვეული ილუზიები შეჰქმნოდა.

4. დაბოლოს, ელგუჯას პირუტყვობის დამაგვირგვინებელ საბუთად აკ. ბაქრაძე მიიჩნევს მის საქციელს დალის დაკრძალვის ჟამს. მართლაც, ნორმალური ადამიანისაგან ასეთ სიტუაციაში მთქნარება და თვლემა უხეში ცინიზმია. მაგრამ იყო კი ელგუჯა ვაშაძე იმ მომენტში ნორმალური? წინა ღამით იგი ხომ ძალით შეიჭრა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში და განაცხადა, ჩემი ძმა მთვარეზე ძალით გააგზავნეს და მალე ყველას იქითკენ გაგვისტუმრებენო. რატომ გამორჩა კრიტიკოსს მხედველობიდან ფსიქიკური დაავადების სხვა სიმპტომებიც: ცხედრის დანახვაზე ფეხის პარალიზება, ღრმა ძილი იქვე, საფლავებს შორის; დასასრულ, თვით მწერალი გვეუბნება, რომ მძიმე ფსიქიკურმა ტრავმამ ელგუჯას მეხსიერება ნაწილობრივ დაუბნელა. ის, რასაც აკ. ბაქრაძე პერსონაჟს უზნეობად და გულგრილობად უთვლის, სინამდვილეში დალისადმი ღრმა და ტრაგიკული გრძნობის გამოვლენაა. ერთგან კრიტიკოსი ცინიკოსობასა და მიზანთროპობას სნამებს რ. ჭეიშვილს, ერთერთი შენი პერსონაჟის პროტოტიპი კლინიკური ავადმყოფია და შეშლილის დაცინვა მწერლობას არ ეკადრებაო. განა კრიტიკას კი ეკადრება ავადმყოფის ლანძღვა და ფსიქიკური აშლილობის გამომვლენი სიმპტომებით მისი სულიერი ღირსებების განსაზღვრა? სიტყვამ მოიტანა და, არც ის პერსონაჟი გაუნირავს აგრერიგად რ. ჭეიშვილს. აი, რა ათქმევინა ლიტმუშაკს მის შესახებ: „სხვათა შორის, არც ისე მოთავებულია, ერთი შეხედვით რომ ჩანს. მუშაობს, ელექტრომონტიორია. არაფერი არ ეშლება, რომ იცოდე. ცოლშვილს არჩენს, მტერ-მოყვარე იცის და მეტი რა გინდა"... (II, 8).

როგორც დავინახეთ, კრიტიკოსის მიერ ელგუჯა ვაშაძის უვიცობისა და უზნეობის ნიმუშად მოტანილი ოთხივე საბუთი გაუგებრობაზეა დაფუძნებული. საერთოდაც, ელგუჯა — როგორც ტიპი — მკითხველში, თუ ის წინასწარ არ არის ტენდენციურად განწყობილი, ამგვარ საშინელ ემოციებს არ აღძრავს. ვარსკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ არც სხვებზე ნაკლებია:

სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, სწავლობს, ჭიდაობს, კითხულობს, შეძლებისდაგვარად ცდილობს გაერკვეს არსებობის ურთულეს პრობლემებში, შინაგანად კეთილია, მოსიყვარულე. არც ძალიან გულადი, არც ზედმეტად მშიშარა, მოკლედ, საშუალო ადამიანია თავისი ინტელექტითა და ტემპერამენტით და, როგორც ყველა ამ რანგის კაცი, არცთუ ძალიან საინტერესო. ხანდახან ლექსებსაც წერს. ცოტა მეტი ამბიცია რომ ჰქონოდა და ხელიც გაეწაფა, იქნებ ლიტერატურის სხვა სფეროებსაც გადასნვდომოდა.

მწერალმა გვიჩვენა, რომ ელგუჯას არ ეყო ძალა და ინდივიდუალობა ქალაქის ატმოსფეროში წინ აღდგომოდა მავნე ზეგავლენას; თბილისმა იგი მოდრიკა. შემთხვევითი არ არის, რომ ელგუჯას, ამ სულიერად ორდინარულ პიროვნებას, ავტორმა სხვა სფეროში (სპორტი) გამოაჩენინა თავი. გლეხური სიეშმაკით ელგუჯა მიხვდა, თავისი შეზღუდული პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ეს გზა უფრო ადვილი და ნაღდი იყო. და საკმაოდ ზუსტად დანახული ფსიქოლოგიური დეტალია, რომ „გონების მოვარჯიშენი": ახალგაზრდა ლიტმუშაკი, დიმიტრი, გიგუშა, გურამ ყვავაძე და სხვები „სხეულის მოვარჯიშე" ელგუჯას მეტ პატივს სცემენ, ვიდრე ერთმანეთს.

მაგრამ ხშირად სნორედ ორდინარობა იჩენს დიდ გამძლეობას: თბილისმა ელგუჯა მოდრიკა, მაგრამ ვერ დაჭმუჭნა. ის ჯანსაღი სანყისები, რაც მასში იყო, მინავლდა, მაგრამ არ ჩამქრალა. საჭირო გახდა დიდი სულიერი შერყევა და... ინყება, დაინყო, უნდა დაინყოს კათარზისი. მწერალმა აქ წერტილი დასვა. მან გვიჩვენა — დასკვნების გაკეთება მკითხველზეა.

აკ. ბაქრაძის ერთ-ერთი უმთავრესი დებულებაა: რომანის პერსონაჟთა ხასიათი და მათი ურთიერთდამოკიდებულება ლოგიკურ წინააღმდეგობაშია, „ზნეობრივად, მხატვრულად და ლოგიკურად დალი შელიასა და ბადრი კილაძის ცოლქმრობა ტყუილია" (108), ასევე სიცრუეა დალისა და ელგუჯას სიყვარულიც. ამ დებულების სისნორისათვის მთავარ მოქმედ პირთა ხასიათების აღქმა არის გადამწყვეტი. რამდენად სწორად აღუქვამს კრიტიკოსს ელგუჯას სახე, ეს ზემოთ გამოჩნდა; სამწუხაროდ, სხვათა პორტრეტებიც ტენდენციურად და სქემატურადაა დანახული. კრიტიკოსს, ცხადია, შეუძლია მათი ხასიათის სუსტ მხარეებზე აქცენტის გადატანით თავისი ვარაუდისათვის ხელსაყრელი მოდელი შექმნას და შემდგომ ამ თავისივე სქემისაგან ქვა ქვაზე აღარ დატოვოს. ეს გზა ადვილია, მაგრამ ნაკლებად კონსტრუქციული. სამწუხაროდ, აკ. ბაქრაძე სწორედ მას ირჩევს ხშირად. ნაცვლად იმისა, რომ ენდოს პერსონაჟთა მწერლისეულ დახასიათებას და ავტორის ჩანაფიქრი უშუალოდ რომანის ტექსტის ანალიზიდან გამოიყვანოს და შეაფასოს, კრიტიკოსი ვარაუდის სახით მიანერს რ. ჭეიშვილს დებულებას, რომელსაც შემდგომ ადვილად არღვევს. მაგალითად: „იქნებ რ. ჭეიშვილს ეგონა, კონტრაპუნქტული ხერხით დაეხატეო ელგუჯას სულიერი მდგომარეობა"... „იქნებ ელგუჯა გაორებული პიროვნებაა და მისი ფიქრები და საქციელი ეწინააღმდეგება ერთმანეთს"...

„შეიძლება კაცმა იფიქროს, დიმიტრი პაროდიულად განასახიერებს ცრუ ფილოსოფიასო"... „იქნებ დალისა და ელგუჯას ურთიერთობაში პიგმალიონის პრობლემაა დასმული"... და ყველა ამ „იქნებ"-ისა და „შესაძლოა"-ს გასაბათილებლად ილევა დრო და მკითხველის მოთმინება. ვითომ მწერლის კონცეფციას ვარღვევთ, სინამდვილეში, საკუთარ ჰიპოთეზებს ვებრძვით.

ბადრი კილაძისა და დალი შელიას დახასიათების დროსაც კრიტიკოსი ნაკლები წინააღმდეგობის გზით მიდის და ცოცხალი ადამიანური ხასიათების ნაცვლად შიშველ სქემას წარმოგვიდგენს: კილაძე აფერისტი, ქურდი, სადისტი და კაცისმკვლელია, დალი კი — დახვეწილი ინტელიგენტი. მათი ცოლქმრობა სიცრუეა, ვინაიდან მწერალი გვარწმუნებსო, რომ დალი სულიერად და ხორციელად ამაღლებული ქალია. რ. ჭეიშვილს კი არც ბადრისთვის გამოუბამს ეშმაკის კუდი და არც დალისთვის — ანგელოზის ფრთები. ბადრი კილაძე ძლიერი პიროვნებაა, ამავე დროს — ნიჭიერიც. ამ თვისებათა შერწყმისაგან ჯვარიც შეიძლება მივიღოთ და ბარიც. მივიღეთ ბარი (აკ. ბაქრაძეს უკვირს: „მხატვარი კაცი რა სუბიექტური და ობიექტური მიზეზების წყალობით გახდა კრიმინალური დამნაშავე?" — ვისაც რომანის გარემო და ატმოსფერო პანოპტიკუმად მიაჩნია, მისგან ასეთი კითხვა, მეტი რომ არა ვთქვათ, არალოგიკურია). ბადრი გარეგნულადაც შთამბეჭდავია და ეს მომენტიც მნიშვნელოვანი იქნებოდა დალი შელიასათვის (და ყველა ნორმალური ქალისათვისაც). დალი კი სუსტი პიროვნებაა არცთუ ისე მდიდარი სულიერი სამყაროთი და საშუალო ინტელექტით. მისი ხასიათი ქალურობის კვინტესენციას წარმოადგენს ყველა ნიშანდობლივი დადებითი თუ უარყოფითი ატრიბუტებით. მიუხედავად ამისა (იქნებ — სწორედ ამიტომაც), დალის სახე მეტად ცოცხალი, დამაჯერებელი და სიმპათიურია. დალი შელიას ტრაგედია ის არის, რომ გადამწყვეტი ნაბიჯის გადასადგმელად მას სულიერი ძალა არ ჰყოფნის. ქმრისადმი ღალატი მხოლოდ სუსტი პროტესტია ბადრის შინაგანი დესპოტიზმის წინააღმდეგ, ქალური სტიქიური შურისძიება. უფრო ღრმად და შორს დალი ვერ იყურება, თუმცა ეს ნაბიჯი მას ელგუჯასადმი ნამდვილმა და ძლიერმა გრძნობამ გადაადგმევინა. არ არის გამორიცხული, რომ უტყვმა ჭიდილმა უფრო ძლიერ პიროვნებასთან საპასუხო რეაქცია გამოიწვია; ქვეცნობიერად დალი შელიამ თავისი ყურადღება ბადრის ანტიპოდზე — ელგუჯაზე შეაჩერა. მასთან ურთიერთობაში, დალის ვარაუდით, თავად უნდა ეკარნახა თავისი ნება. მაგრამ დაახლოვებას თან მოჰყვა ერთგვარი გულაცრუებაცა და განზიდვაც, რაც თითქმის ყოველთვის ნიშანდობლივია ამგვარი კავშირისათვის. „ამასაც მოვბეზრდი", — გაიფიქრა დალიმ ელგუჯასთან უკანასკნელი შეხვედრისას. ეს იყო დასაწყისი დასასრულისა. დალის საბედისწერო შეცდომა ისიცაა, რომ იგი ხედავს მხოლოდ ალტერნატივას: ან სხვის ნებას უნდა ემორჩილებოდეს, ან საკუთარი სურვილების ტყვე იყოს. ადრე დალი თავს იმით ინუგეშებდა, რომ „საკუთარი სურვილების, სიამოვნების დათრ-

გუნვა შეიძლება ქალს მეტ თავისუფლებას ანიჭებდეს" (III, 58), მაგრამ ეს მაინც არ არის სრული თავისუფლება. არის მესამე გზაც, გზა ხსნისა, რომლისთვისაც დალი მზად არ იყო. ამიტომ მისი ტრაგიკული ბოლო მხატვრულად და ლოგიკურად გამართლებულია.

ამრიგად, რ. ჭეიშვილის რომანის გმირები საკმაოდ ჩვეულებრივი ადამიანები არიან ოდნავ უჩვეულო, გამძაფრებულ სიტუაციაში. დალი შელია შორს არის იდეალიზაციისაგან, რასაც აკ. ბაქრაძე მიაწერს ავტორს, ელგუჯა და ბადრიც არ არიან დაცემისა და არარაობის ეტალონები, როგორადაც ისინი კრიტიკოსს ესახებიან. აქედან გამომდინარე, არც ამ პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულება წარმოადგენს ზნეობრივ, მხატვრულსა თუ ლოგიკურ სიცრუეს.

აი, კიდევ ერთი ნიმუში რომანის პერსონაჟთა ხასიათის ბაქრაძისეული ანალიზისა. მას რატომღაც მიაჩნია, რომ „დიმიტრის მიმართ ავტორის დამოკიდებულება ირონიზირებულია (თუ: ირონიზებულია. თ.კ.)". რ. ჭეიშვილი კი წერს: „(დიმიტრი) კატეგორიულად უარყოფდა თანამდებობას, საყოველთაოდ გავრცელებულ აზრებს და შეხედულებებს, კარიერით მოპოვებულ სახელს და ფულს... სიკეთით და გულწრფელობით უფრო იგებდა სხვების გულს, ვიდრე საკუთარი ფილოსოფიით, რომელიც, კაცმა რომ თქვას, არც ჰქონია" (III, 38). კრიტიკოსი ასე ახასიათებს დიმიტრის: „დილიდან საღამომდე ბაღში ზის და მოძველებული სენტენციებით მოსაუბრეებს ყურს უჭედავს" (110). დიმიტრი კი, პირიქით, სენტენციების, მენტორობისა და ლაყბობის მტერია. თანაც დღისით იგი აკურატულად ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას. შემდეგ: „არც მისი პიროვნება და არც მისი აზრები არავიზე (თუ: არავისზე. თ.კ.) არავითარ ზეგავლენას არ ახდენს. მის ნათქვამს ერთ ყურში შეუშვებენ და მეორედან (თუ: მეორიდან. თ.კ.) გაუშვებენ. მაშ, რად სჭირდება მწერალს დიმიტრი? რა მხატვრულ ამოცანას ემსახურება იგი? ეს ძნელი დასადგენია" (110).

ჯერ ერთი, დიმიტრის ზეგავლენა სხვებზე და, კერძოდ, ელგუჯაზეც, დიახაც რომ დიდია. მეორეც არის და, მწერალს განა იმისთვის შემოჰყავს პერსონაჟი, რომ მის სიტყვებს ყური მიაპყრონ და დაუჯერონ? უცნაური დებულებაა!

აკ. ბაქრაძე საკმაო ადგილს უთმობს ელგუჯას მიერ მეხსიერების დაკარგვას და შემდგომ განკურნებას: „(დალის სიკვდილის) მერე კი ელგუჯას Nachgeschichte მწერალმა ფსიქოლოგიური ექსპერიმენტისათვის (?) გამოიყენა. ამ ნაწილში ელგუჯამ ჯერ მეხსიერება დაკარგა, მერე მოკვდა(?) და ისევ აღორძინდა(?). (გაიხსენეთ რასკოლნიკოვის ავადმყოფობა და აღორძინება)" (106): საკითხავია, რატომ უნდა გავიხსენოთ მაინცდამაინც რასკოლნიკოვის ავადმყოფობა? რა შუაშია აქ რასკოლნიკოვი? განა ისეთ თვალსაჩინო ანალოგიასთან გვაქვს საქმე, რომ ყოველგვარი კომენტარის

გარეშე ამგვარი ფრაზა დავაგდოთ და მკითხველს მივანიშნოთ, რომ აქ პლაგიატია? შემდეგ: „სანყალი ელგუჯა, იმის გამო, რომ ყოველ ნუთს მეხსიერებას კარგავს და პირადი ცხოვრების ესა თუ ის ეპიზოდი ავიწყდება, ველარ ახერხებს ვერაფრის განცდას. დალის სიკვდილი როგორლა განიცადოს, როცა დალიც დაავიწყდა, მასთან ურთიერთობაც და ამ ქალის სიკვდილიც. საკუთარი ბედი, შემთხვევით სიკვდილი თუ აღორძინება როგორლა განიცადოს, როცა ესენიც დავიწყებას მიეცა. პერსონაჟის ტრაგიკული განცდების ჩვენებას რომ თავი აარიდოს, მწერალმა ეშმაკური ხერხი მოიგონა — დავიწყება. ფსიქიატრების ენაზე ამ მოვლენას არ ვიცი რა ჰქვია (კაცმა რომ თქვას, ამის ცოდნა სნორედაც რომ არ გვაწყენდა. თ.კ.), მაგრამ ლიტერატორების ენაზე კი მიფუჩეჩებად იწოდება"... (106-107).

თავად განსაჯეთ, არის თუ არა რაიმე ლოგიკა ამგვარ ეჭვებსა და ვარაუდებში? თუ რ. ჭეიშვილს გმირის ტრაგიკული განცდის ჩვენება ვერ ხელეწიფებოდა და ამ მიზნით დაუკარგა მახსოვრობა ელგუჯას, შემდგომ რადღა ალუდგინა? გამოდის, რომ ეს პრობლემა რომანში მხოლოდ ხუთიოდ ფურცლითაა გადატანილი. მეხსიერების დაკარგვიდან მის აღდგენამდე პერიოდიც ამავე მიზეზით დაავიწყაო პერსონაჟს ავტორმა. კი მაგრამ, დროის ამ მონაკვეთში რაღა იყო ტრაგიკულად განსაცდელი, არტემასთან ჭიდაობა თუ ის, რომ ავარა ბიჭებმა მასხრობით ყურთან დენის გაშიშვლებული მავთული მიადეს და შოკირებული ელგუჯა კინომექანიკოსმა ძლივს მოაბრუნა (ამ პროცესს აკ. ბაქრაძე მაღალფარდოვნად „სიკვდილსა" და „აღორძინებას" უნოდებს, რათა შემდგომ მწერალს უსაყვედუროს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი მომენტები არ განაცდევინა პერსონაჟს)?! გაუგებარია, რად მიაჩნია აკ. ბაქრაძეს ელექტროშოკი ტრაგიკულ ტრავმად: „ლიტერატურაში ხშირად მიმართავენ ხერხს, რომლის თანახმად ტრაგიკული ტრამვა (ლაფსუსია. თ.კ.) ტრაგიკული ტრამვითვე (აქაც! თ.კ.) იკურნება" (107).

კრიტიკოსის ეჭვი ჩვენ უსაფუძვლო გვგონია. გაუგებრობის სათავე ტრაგიკული განცდის ჩვენების ხერხებსა და საშუალებებში უნდა ვეძიოთ. მწერალი ამ განცდებს გვიჩვენებს, კრიტიკოსს სურს, რომ კიდეც მოგვასმენინოს. ცხადია, ორივე მეთოდს აქვს არსებობის უფლება. ამიტომაც უმჯობესი იქნებოდა რ. ჭეიშვილის პროზისათვის ნიშანდობლივი ეს მანერა შეგვემჩნია და შეგვეფასებინა, ვიდრე მისთვის მწერლური ოინბაზობა შეგვეწამებინა.

სამწუხაროდ, რ. ჭეიშვილმა ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა ერთი მოტივის დამუშავებისა, რომელსაც პირობითად შესაძლოა ვუწოდოთ არჩევანი ანუ გზები, რომელთაც ჩვენ ვირჩევთ. ფსიქოგენურმა ამნეზიამ ელგუჯას მეხსიერებიდან თბილისში ცხოვრების მონაკვეთი მთლიანად ამოაგდო. რ. ჭეიშვილმა ყოველგვარი ხელოვნურობისა და თხრობის რეალისტურ პრინციპებზე ძალდატანების გარეშე მოახერხა დრო უკან დაებრუნებინა. ელგუჯა

აქ უკვე სხვა გზას ირჩევს, მაგრამ იგი ისე სწრაფად წყდება, რომ მკითხველმა არ იცის, სად მიიყვანდა იგი რომანის გმირს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი მრავალტანჯული საკითხი: აკ. ბაქრაძე ხშირად პერსონაჟსა და ავტორს აიგივებს. „დალი" ავტობიოგრაფიულ ჟანრს არ განეკუთვნება; რ. ჭეიშვილისათვის თხრობის არც ისეთი მანერაა ნიშანდობლივი, როცა ნაწარმოების ესა თუ ის გმირი ავტორის იდეების, მსოფლმხედველობისა და აზრების რუპორია. მაშასადამე, არც ელგუჯა და თომა ვაშაძეების ან გურამ ყვავაძის მსჯელობანი, ბაქრაძისეული ტერმინით — ეს „პროვინციული მედიტაციები" — უნდა მიეწეროს რ. ჭეიშვილს. მწერლის ირონია აქ აშკარაა. საოცარია, რომ კრიტიკოსი, რომელიც საგანგებოდ გახაზავს „დალის" ავტორის ირონისტობას, სადაც აშკარა ირონიაა, იმ მომენტებს სერიოზულად აღიქვამს. ასეთი პასაჟები ძირითადად პერსონაჟთა დასახასიათებლად არის მოხმობილი და დამოუკიდებელი ღირებულების პრეტენზია არცა აქვთ. ელგუჯასაგან, თომა ვაშაძისაგან, ბიჭიკო კენჭაძისა და თუნდაც გურამ ყვავაძისაგან, როგორადაც მათ ჭეიშვილი ხატავს, სწორედაც რომ მოულოდნელი და ხელოვნური იქნებოდა გენეტიკის, კოსმოსისა და ფიზიკის საკითხებზე ღრმა და ორიგინალური მსჯელობა. ამას ხომ, სამწუხაროდ, პროფესიონალებიც ვერ ახერხებენ ყოველთვის. განა დიდი სხვაობაა იმ „ღიმილისმომგვრელ პროვინციულ მედიტაციებსა" და ამ მსჯელობას შორის: „ცხოველს არასოდეს უფიქრია სიცოცხლის მიზანსა, აზრსა და დანიშნულებაზე. ასეთი ფიქრი წმინდა ადამიანური პრობლემაა. ხშირად გვავინყდება, — წუხს აკ. ბაქრაძე, — რომ ადამიანი მაშინ გახდა homo sapiens, როცა კრიტიკული აზროვნების უნარი შეიძინა. კრიტიკული აზროვნების წყალობით, ეჭვის თვალით შეხედა გარემომცველ სინამდვილეს და უკეთესი მოიწადინა. უკეთესის სურვილმა დაბადა პროგრესი. ამდენად, კრიტიკული აზროვნება და პროგრესი განუყრელი ცნებებია. ისინი უერთმანეთოდ არ არსებობენ. ელგუჯა ვაშაძეს კი კრიტიკული აზროვნების უნარი არ გააჩნია"... (106). ამ მართლაცდა ღიმილისმომგვრელი ტირადის მიზანია დაამტკიცოს, რომ ა) ადამიანი არ არსებობს თვინიერ კრიტიკული აზროვნებისა, ბ) ელგუჯას არა აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი, გ) ელგუჯა არ ყოფილა ადამიანი. ამ ნატიფ სილოგიზმში რა მიზნით მოვიხმეთ პროგრესის ცნება, ეს ჩვენთვის ჯერჯერობით გამოცანაა.

აკ. ბაქრაძის აზრით, რ. ჭეიშვილი ირონისტია და არა ფსიქოლოგი. „დალის" მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ „მოულოდნელად ირონისტმა რეზო ჭეიშვილმა ფსიქოლოგი რეზო ჭეიშვილის მანტია მოისხა" (106), რის გამოც ფსიქოლოგიური ირონიულში აირიაო. თავი რომ დავანებოთ უაზრო ქართულს (უნდა იყოს „ფსიქოლოგის მანტია მოისხა", ვინაიდან — თუ არსებობს ფსიქოლოგი რეზო ჭეიშვილი, მაშინ საკუთარი მანტიის წამოსხმა მთელ სარკაზმს უკარგავს ფრაზას), განა ირონიული და ფსიქოლო-

გიური ურთიერთგამომრიცხველი ცნებებია? მაღალი რანგის ირონია ხომ მთლიანად ფსიქოლოგიურია.

მართალია, რეზო ჭეიშვილი ფსიქიკურ პროცესებს მთელი სიგრძე-სიგანით არ აანალიზებს (ეს არაა მისი ამპლუა), მაგრამ მის ირონიას უდავოდ მოეძებნება ფსიქოლოგიური საფანელი. იგი დიახაც ზუსტი ფსიქოლოგია; სხვანაირად შეუძლებელია ისე დაიჭირო და აჩვენო ადამიანის ხასიათი სულ ორიოდე ფსიქოლოგიური დეტალით, რამდენიმე მკვეთრი შტრიხით, როგორც ამას რ. ჭეიშვილი ახერხებს.

კრიტიკოსის დებულება, რომ მწერალმა ინტელექტუალურ დუელში ყოველთვის უნდა აჯობოს მკითხველს, ვინც არ უნდა იყოს ეს მკითხველი — თუ აქ პოეტურ ფიგურასთან არა გვაქვს საქმე — აბსურდია. აქ არეულია მხატვრული აზროვნება და ინტელექტი. რ. ჭეიშვილიც თურმე დამარცხებულა ამ დუელში, ვინაიდან მან „ვერ აჯობა მკითხველს ვერც აზროვნების და ვერც ემოციური სიმახვილის(?) თვალსაზრისით". ვერ აჯობა იმიტომ, რომ მას თურმე არა აქვს დამოუკიდებელი მსოფლმხედველობა და სააზროვნო სისტემა(?). იგი მხოლოდ ამბის მომყოლია, „ამბის მოყოლას კი ავად თუ კარგად ყოველი კაცი ახერხებს" (110). მაგრამ ეს ხომ კიმის (ყოფილი კიმოთეს) თვალსაზრისია, რომელიც ცხვირაბზეკით ამბობდა ახალგაზრდა მწერალთა ნაწერებზე, ასე ხომ მეც მოვახერხებო და უკვირდა, რომ „ასე ვერ ახერხებდა". სად კიმოთე კეთილაძე და სად აკაკი ბაქრაძე? კრიტიკოსს თუ დავესესხებით, სადაც წესია, აკ. ბაქრაძემ კიმოთეს ნეკით უნდა გადაუნიოს ხელი.

აკ. ბაქრაძემ თავისი სტატია ტრადიციულად დაამთავრა მწერლის გამომსახველობითი ხერხების კრიტიკითა და ენობრივ უზუსტობათა ჩამოთვლით. ამ ნაწილში კრიტიკოსს განსაკუთრებით ჰმართებდა ტაქტი და სიფრთხილე, ვინაიდან ენის სფეროში დავა სიტყვის ოსტატთან მისსავე ბადალ ტალანტს მოითხოვს. აქ კრიტიკოსი თუ თავად არ არის მომადლებული მხატვრის ნიჭით, თუ ღრმად არ არის შეჭრილი მშობლიური ენის სტიქიაში, მისი ჭიდილი ხელოვანთან მუდამ მარცხით დამთავრდება. ასე დაემართა აკ. ბაქრაძესაც და ეს არ იყო მაინცდამაინც მოულოდნელი, თუ გავიხსენებთ ზოგიერთ ადგილს მისი სტატიიდან: „ერთ-ერთმა მათგანმა ღიად დარჩენილი ელექტრომავთულები გადმოწია"... (106); „მთელი ეს ლაპარაკი არ სცილდება ელემენტარულ ცნობარში ამოკითხულ საყოველთაოდ ცნობილ ცნობებს" (110); „ამ კაცის ცოლია დალი შელია. მაშინ დალი შელია ვინღა არის? მწერლის გარეგანი დახასიათებით პირველი ლამაზი ქალი თბილისში" (108). ყოველ ლიტერატორს შეუძლია მოზრდილ ნაწარმოებში რამდენიმე ორთოგრაფიულ-გრამატიკული სახის შეცდომისა და სტილისტურად გაურანდავი ფრაზის აღმოჩენა (ამის შესაძლებლობას, სამწუხაროდ, იძლევა „დალი") და, ცხადია, არც კრიტიკოსს გაუშვია ხელიდან ეს

შემთხვევები. ეს ეხება მჯერა ზმნასთან თემის ნიშნისა და -მეთქი ნაწილაკის ნაცვლად -თქო-ს ხმარებას (თუმცაღა, აქაც, რევაზ ერისთავისა არ იყოს, აკ. ბაქრაძეს ზედმეტი ზაფრა მოპრევია და შეცდომის საილუსტრაციოდ სწორი ფორმა აქვს მოხმობილი: რ. ჭეიშვილი წერს: „გიგუშამ მოგართვათ-თქვა, უთხარი" (V, 55); აკ. ბაქრაძის მიხედვით ეს ფრაზა ასე უნდა გასწორდეს: „გიგუშამ მოგართვათ-მეთქი, უთხარი").

რაც შეეხება ბაქრაძისეულ რეცეპტებს, რომელ კონტექსტში რა სიტყვა როგორი სიხშირით უნდა იხმაროს რ. ჭეიშვილმა, ვიმეორებთ, ასე ღრმად შეჭრა მწერლის კომპეტენციაში კრიტიკოსისაგან ენის სტილისტურ-ექსპრესიულ საშუალებათა პოეტურად წვდომის უნარს მოითხოვს; გაუგებარია, რად არ მოსწონს კრიტიკოსს სიტყვები: **ჩაგუდული, თმაგაცვენილი, გვერდულად, იჭყანება**. ანდა, რით სჯობია **ჯოხი კეტს** ჭადრაკის დაფაზე ფიგურების გადასაადგილებლად?

რომანში ვკითხულობთ: „მაგიდაზე გორა-გორად ეწყო ემალირებულ გობებზე დალაგებული თეფშები" (V, 55). კრიტიკოსი დაინტერესდა, მაინც რა ეწყო მაგიდაზე, გობები თუ თეფშებიო? ვიმეორებთ: გობებზე დალაგებული თეფშები. განა გვაქვს აქ რაიმე ორაზროვნება?

რ. ჭეიშვილს უწერია: „ჯიბეში ახალი აღებული სტიპენდია ედო და ფულმა ბარძაყი გასწვა" (I, 56). ალბათ „ბარძაყი დასწვა", თორემ „ბარძაყი გასწვა" რა უბედურებაა? — კითხულობს აკ. ბაქრაძე. მართლაც უბედურებაა, თუ ვერ ვამჩნევთ, რომ მწერლის მიერ ნახმარი ფორმა ამ მოქმედებას ანაზდეულობის და დინამიურობის ელფერს ანიჭებს.

უსიამოვნო შთაბეჭდილება გვრჩება, როცა კრიტიკოსი დაუდევრად იმოწმებს ადგილებს რომანიდან, თანაც თავის შეცდომას მწერალს ახვევს თავს, შემდეგ კი უსწორებს: „...ქალმა შესწივლა და სიმწარისაგან მუხლები ჩაეკეცა (თუ მუხლები მოეკეცა?)" — შენიშნავს აკ. ბაქრაძე. ავტორს კი უწერია: „სიმწრისაგან მუხლებში ჩაიკეცა" (V, 56).

ნვრილმანი კირკიტია და სხვა არაფერი აკ. ბაქრაძის ჩივილი, სიტყვა მელოტს რ. ჭეიშვილი არ აჭაჭანებს თავის რომანშიო. ვფიქრობთ, ამ ფაქტის დასადგენად დახარჯული დრო უფრო რაციონალურადაც შეიძლებოდა გამოეყენებინა კრიტიკოსს. ანდა, განა საკადრისია საქართველოს შეურაცხყოფა დასწამო მწერალს იმ ფრაზისათვის, რომელსაც რომანში ახალზელანდიელი მეცნიერი ამბობს: საქართველო ისე ლამაზია, როგორც დალი შელია. ძალზე ხომ არ გაგვიტაცა ყველგან და ყველაფერში სიმბოლოების ძიებამ?

* * *

ყოველივე ზემოთქმულიდან იმის ილუზია ნურავის შეექმნება, თითქოს რომანი „დალი" უზადო ნანარმოებად მიგვაჩნდეს. ზოგიერთი საკითხის შე-

სახებ ჩვენ, შესაძლოა, არანაკლებ პრინციპულად გვედავა ავტორთან, მაგრამ ამჯერად თვით რომანის გამონვლილვითი ანალიზი არ განგვიძრახავს. ჩვენ მხოლოდ იმის დასაბუთებას შევეცადეთ, რომ აკაკი ბაქრაძის „კრიტიკული შენიშვნები" რეზო ჭეიშვილის ახალი რომანის შესახებ არ წარმოადგენს ობიექტურსა და საფუძვლიან კრიტიკას.

„ცისკარი", N 11, 1970

ვის „ვროზგავთ"?

პატივცემულო რედაქციავ!

არ გამოვრიცხავთ, რომ ეს წერილი გამოქვეყნების ღირსად ცნოთ, ამიტომაც საჯაროდ და წინასწარ გიცხადებთ იმას, რისი თქმაც პირად პირად საუბარში ზედმეტადაც მიგვაჩნია: თუ რომელიმე გამოცემამ გარდაქმნა თავისი მუშაობა ახალი დროისა და სულისკვეთების კვალობაზე, „ახალგაზრდა კომუნისტი", ჩვენი (და არა მარტო ჩვენი) აზრით, ერთ-ერთი იმათგანია. კაცი ბრმა უნდა იყო, ეს რომ ვერ დაინახო. თქვენ გამოცდილი ჟურნალისტები ბრძანდებით და გულმა, ალბათ, რეჩხი გიყოთ — იცით, წერილის დასაწყისში ქება-დიდებას, ჩვეულებრივ, რაც მოსდევს ხოლმე, მაგრამ, გვერწმუნეთ, ამას არც ვალის მოსახდელად და არც იმ „ჭრილობის" დასაამებლად გეუბნებით, რომელსაც ეს წერილი, ალბათ, მოგაყენებთ: თამამი ჟურნალისტური ძიებისა და მიგნებების გზაზე წარმოუდგენელია, კაცს რაიმე არ შეეშალოს; დიდი უმადურობა იქნებოდა, ვინმემ ეს ცალკეული შეცდომა დაიხვიოს ხელზე და წყალს გაატანოს ის ღირსებანი, რომლებიც „ახკომს" ამ ბოლო წლებში შეემატა. ვიმეორებთ, ნვრილ-ნვრილ შეცდომებს საგაზეთო საქმიანობაში, ვაი რომ, თავიდან ვერ ავიცდენთ. მათზე საგანგებო ყურადღებას საჯაროდ არც გაამახვილებდა კაცი, მაგრამ, როდესაც შეცდომა პრინციპულია და ამან, შესაძლოა, შორსმიმავალი შედეგებიც გამოიღოს, მაშინ მხოლოდ მტერი თუ დაგიდუმდებათ — ვაცადოთ, ამ გზით იარონ და ფეხსაც მალე წაიტეხონ. სწორედ ერთ თქვენს ამგვარ შეცდომაზე მოყვრის, ოღონდ — არა „მოყვარე-მტრის", პოზიციიდან უნდა გესაუბროთ.

საქმე ეხება ამა წლის 10 სექტემბერს თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა წერილს და ამ ნერილს მიდევნებულ „სარედაქციო მინაწერს", თუ შეიძლება „მინაწერი" ეწოდოს თვითონ წერილზე ორჯერ მეტ მასალას, გაზეთის თითქმის ორი გვერ-

დი რომ უჭირავს. წერილმაც და მინაწერმაც დიდი ენებათაღელვა აღძრა. ეს გასაგებია: საუბარი ხომ ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობას ეხება, რამაც მთელი ჩვენი საზოგადოება აახმიანა — და არცთუ უმიზეზოდ. საქმე მხოლოდ ის არ გახლავთ, რომ რკინიგზის მშენებლობას თავისი გულმხურვალე დამცველებიცა ჰყავს და თავგამოდებული მოწინააღმდეგეებიც, არა, მთავარი ის მოვლენაა, რამაც ეს „მონინააღმდეგე ბანაკები" წარმოშვა და რაც არა მარტო და არა იმდენად ეკონომიკური, რამდენადაც სულიერ-კულტურული ღირებულებებით უნდა შეფასდეს და გაიზომოს. ფართო საზოგადოებრივი ყღერადობა კი ამ, ჩვენი აზრით, ჯანსაღ პოლემიკას მიანიჭა დღევანდელმა ზნეობრივმა ატმოსფერომ: ტრანსკავკასიური რკინიგზის ავ-კარგის გარჩევა ქართველი საზოგადოებისათვის მივიწყებული დემოკრატიზმისა და გადაჩეული „მართლის თქმის" ასპარეზად იქცა; იღვიძებს მითვლემილი მოქალაქეობრივი განცდა, ცოცხლდება დისკუსიის კულტურა და პათოსი საზოგადოებრივად საჭირბოროტო საკითხებზე.

ასე რომ, ტრანსკავკასიური რკინიგზის ირგვლივ გაჩაღებული კამათი გარდაქმნის სადღეისო მოთხოვნის — საჯაროობისა და დემოკრატიზმის — გამოვლინებაა და მის საქმიანად, კორექტულად და კონსტრუქციულად წარმართვას, ვფიქრობთ, ყოველმხრივ უნდა შეეწყოს ხელი.

თუმცა, ამთავითვე მოგახსენებთ: ამჯერად ამ კამათში ჩარევას არ ვაპირებთ — მხოლოდ დისკუსიის იმ პრინციპსა და ტონზე გვინდა გაგიზიაროთ ჩვენი მოსაზრებები, ზემოაღნიშნულ თქვენს პუბლიკაციაში რომ იჩინა თავი.

დავიწყოთ ამით: რატომ დაიბეჭდა სტუდენტთა წერილი ხელმოუწერლად? სხვისი რა მოგახსენოთ და, ჩვენ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ძალიანაც დავინტერესდით, თუ ვინ არიან ის ახალგაზრდები, ასე გულიანად და მონდომებით რომ შესჭიდებიან მამულისათვის ესოდენ საჭირბოროტო პრობლემებს! წერილის ავტორებში, იმისდა მიუხედავად, მართალნი არიან ისინი თუ არა, ძალუმად ფეთქავს მოქალაქეობრივი ძარღვი, ისინი ჩვენთვის სიმართლის მაძიებელ, სიმართლით დაინტერესებულ პიროვნებებად წარმოჩნდნენ. ამის შინაგანი რწმენა მათ, ეტყობა, ჰქონდათ კიდეც, როდესაც წერილისათვის ხელი მოუწერიათ, თქვენ კი ამ გაგანია საჯაროობის ჟამს რატომღაც წერილი გააანონიმიურეთ. ამასთან დაკავშირებით თქვენ განმარტავთ: „ჩვენ მათი ხელმოწერები არ გამოვაქვეყნეთ, რადგან ვფიქრობთ, რომ აქ მთავარია არა ავტორთა გვარები, არამედ მათი მოსაზრებები, მათი პოზიცია, ასე განსხვავებული მთლიანად ჩვენი სტუდენტობის პოზიციისაგან". ცოტა არ იყოს, უცნაური არგუმენტია — განა რომელია ისეთი სტატია, მთავარი მასში ავტორის პოზიცია და მოსაზრებები რომ არ იყოს? ამ ლოგიკით ხომ ყოველი მასალა ხელმოუწერლად უნდა გებეჭდათ? თუ — მხოლოდ განსხვავებული მოსაზრებებისა და ორიგინალური პოზიციის მქონე ავტორები უნდა „გავაუჩინაროთ?" შეიძლებოდა გეეფიქრა, რომ რედაქციამ იზ-

რუნა ავტორებზე და მათი ვინაობა არ გაამხილა, თორემ აღშფოთებული სტუდენტობა მოიკვეთდა თავის „განმდგარ თანამოძმეებს", თქვენი სიტყვებით — „ასე განსხვავებული მოსაზრებებისა და პოზიციის მქონეთ მთლიანად ჩვენი სტუდენტობის პოზიციისაგან". მაგრამ, შეგვინდეთ და, ამ უკანასკნელი განცხადების გულწრფელობას ვერ დაგიჯერებთ: ჯერ ერთი, ვინ გამოიკვლია ან „მთლიანად", ან, თუნდაც, „ნაწილობრივ" ჩვენი სტუდენტობის პოზიცია? თუ გამოიკვლია, შედეგები სად გამოქვეყნდა? ჩვენ ყოველდღიური კავშირი გვაქვს სტუდენტთა დიდ მასასთან და ვიცით — წერილის გამოქვეყნებამდე ამგვარი გამოკითხვა არ ჩატარებულა... თანაც, ამგვარი უაპელაციო განცხადების გაკეთებამდე, ჩვენი აზრით, იმაზეც უნდა გეფიქრათ, რომ მკითხველს უთუოდ გაუჩნდებოდა ეჭვი: თუ წერილის ავტორების მოსაზრებას სტუდენტთაგან არავინ იზიარებს, მაშინ განა უპრიანი არ იქნებოდა, სტუდენტებს ისევ სტუდენტები დაჰპირისპირებოდნენ?

ამ ერთ შეცდომას, სამწუხაროდ, სხვაც მოჰყვა: რედაქციამ თავისი პასუხი ააგო სტუდენტთა მოსაზრებების სრული და კატეგორიული უარყოფის პრინციპით. სტუდენტებს თქვენ აბრალებთ სხვათა მოსაზრებების შეუწყნარებლობას, რადიკალურობასა და „აგრესიულობასაც" კი, მაგრამ თქვენი „მინაწერი", თუ არ სჭარბობს, თორემ ამ თვალსაზრისით არაფრით ჩამოუვარდება წერილს. თანაც, სიმართლე გითხრათ, ძნელი გასაგებია, რაში გამოიხატება სტუდენტთა არაკომპეტენტურობა და აგრესიულობა. წერილი, ჩვენი აზრით, დაწერილია საკმაოდ გონივრული გეგმით, სათანადო ინფორმაციის ფლობით და გამოხატავს მშენებლობის მოწინააღმდეგეთა პოზიციას, უკვე საკმაოდ გამოკვეთილს პრესაში გამართული დისკუსიებითა თუ ზეპირი განხილვებით. როგორც უარმყოფელთა, ასევე მხარდამჭერთა არგუმენტებიდან ზოგი უკვე გამოითქვა, ზოგიც, ალბათ, გამოითქმება. ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში, ტრანსკავკასიური მაგისტრალის შესახებ თვით სპეციალისტთა შორისაც ერთსულოვნება არ სუფევს. ასეთ სიტუაციაში ახალგაზრდული გაზეთის რედაქციისათვის თავისი „მრევლის" ერთი ნაწილის აზრი განა თავიდანვე ასე განწირული უნდა ყოფილიყო? ანდა სტუდენტურ რადიკალიზმს, ასაკობრივი ფაქტორით შეპირობებულს, ასე ყალყზე უნდა შევხვედროდით? სტუდენტთა ამ ერთგვარ პოლემიკურ „გაცხარებას", ჩვენი აზრით, გამძაფრებული მამულიშვილური გრძნობა და საზოგადო ინტერესები უძევს საფუძვლად, თქვენი გაცხარების მიზეზები კი, შეგვინდეთ და, ჩვენთვის ამოუხსნელია.

აი, სწორედ აქ არის თქვენი მესამე და უმთავრესი შეცდომა: თქვენი ემოციური დამოკიდებულება წერილის ავტორებთან, „მინაწერის" ტონი, აბსოლუტურად მიუღებელი ირონია „უნივერსიტეტის სტუდენტთა" არაკომპეტენტურობაზე, ზედაპირულობაზე, ინფანტილურობაზე. ეს ტონი არ გამოდგება ჩვენი უმცროსი კოლეგების მიმართ, ვინც აგერ ჩვენს თვალწინ არა მარტო მეცნიერებას სწავლობს, არამედ — მოქალაქეობას, ერისშვილობას, სამშობლოს

პატრონობას. თუ რამე ეშლებათ (და შეუმცდარნი ვინა ვართ ამ წუთისოფელში), ამას ტაქტიანად და კეთილგანწყობით უნდა გასწორება და არა ამგვარი ირონიული ქილიკით: „ავტორები წერილში დიდ ადგილს უთმობენ რაიონის სეისმურობას: ისინი მეტად საჭირო და საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან იმის შესახებ, რომ 7-ბალიანი მიწისძვრა მეტია 6-ბალიანზე და მასზე ძლიერია, ხოლო 8-ბალიანი ორივეს ჭარბობს" (სიტყვამ მოიტანა და, სეისმურობაზე მსჯელობისას არც თქვენი არგუმენტი უნდა იყოს მთლად დამაჯერებელი: „მიწისძვრების დროს რკინიგზა სხვა ნაგებობებთან შედარებით ნაკლებად ზიანდებაო" — რკინიგზასთან დაკავშირებით, ეს „ნაკლებ" ვითომ დიდი შეღავათია?). ან რა არის დასაცინი იმაში, რომ სტუდენტები „გასცნობიან ლიტერატურას, პრესას, ქართულ ენციკლოპედიაშიც ჩაუხედავთ, „მეტყევის ცნობარიც" უნახავთ", რომელიც, თურმე, „ძნელი საშოვნელი არ ყოფილა"... მსგავსი წყაროებით განა თქვენც უხვად არ სარგებლობთ თქვენს „მინაწერში?"

სამწუხაროდ, კორექტულობა და ტაქტი სარედაქციო „მინაწერში" დარღვეულია არა მარტო „უჩინარ" სტუდენტთა მიმართ, არამედ დიდად „გამოჩინებული" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშეც... ვიცით, მძიმე ბრალსა გდებთ, ვიცით, რომ „ახკომელები" ძირითადად სწორედ უნივერსიტეტის დაზრდილ-დაფრთიანებულები ხართ, ვიცით, რომ იგი არავისზე ნაკლებ არ გიყვართ და გეძვირფასებათ, მაგრამ... სწორედ იმ პოლემიკურმა სიფიცხემ (სხვა რა უნდა ვიფიქროთ?), რასაც სტუდენტებს უკიჟინებთ, „უძღები შვილის" მდგომარეობაში ჩაგაყენათ თქვენი „ალმა მატერის" წინაშე. ღმერთმა დაგვიფაროს იმ ცოდვისაგან, როცა მშობელ დედას ხელს ნაჩვევენ, მაგრამ მისთვის არც ენის წაჩვევა გვეკადრება არავის... სტუდენტთა განცხადებას — „ხელთ გვაქვს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხვადასხვა ინსტიტუტების მიერ გაცემული მეტად მნიშვნელოვანი ცნობები, რომლებიც უნივერსიტეტის რექტორატის მხარდაჭერითა და ქალთა საბჭოს უშუალო დახმარებით მოვიპოვეთო" —თქვენ ამგვარი კომენტარი გაუკეთეთ: „რაც შეეხება სამეცნიერო დაწესებულებების ოფიციალურ ცნობებს, ბუნებრივია, მათ ჰაიპარად და უმისამართოდ არავინ გასცემდა. ავტორები პირდაპირ აცხადებენ, რომ ეს „მეტად მნიშვნელოვანი ცნობები" უნივერსიტეტის რექტორატის მხარდაჭერით და ქალთა საბჭოს უშუალო დახმარებით მოვიპოვეთო. მაგრამ, ჩანს, მხარდაჭერა და დახმარება ცნობების მოპოვებას არ გასცილებია, რადგან წერილს აშკარად აკლია უნივერსიტეტისათვის საკადრისი და დამახასიათებელი სილრმე, კომპეტენტურობა და აკადემიური ტონი. არადა, კარგი კი იქნებოდა თვალი გაედევნებინათ, როგორ გამოიყენეს სტუდენტებმა ცნობები".

ჯერ ერთი, რას ნიშნავს — როგორ გამოიყენეს? ჩვენი აზრით, ეს თქვენი საკადრისი შეკითხვა არ არის. გამოიყენეს იმ სტატიაში, რომელიც თქვენვე ნდობით გაახლეს დასაბეჭდად...

ახლა ვნახოთ, როგორი არჩევანის წინაშე დააყენეთ ამ საკითხთან დაკავშირებით მკითხველი: თქვენი მსჯელობით, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ან არაკომპეტენტურობა გამოუვლენია, ან — დაუდევრობა... უფრო — დაუდევრობა. ეს უნუგეშო ალტერნატივა სტუდენტთა წერილის თქვენეული შეფასებიდან გამომდინარეობს და, ჩვენი აზრით, საფუძველშივე მცდარია. ისიც საკითხავია, რატომ უნდა მოეხვია უნივერსიტეტის რექტორატს ან ქალთა საბჭოს სტატიის ავტორებისათვის თავისი მოსაზრებანი სადისკუსიო საკითხზე? თქვე დალოცვილებო, თქვენსავე გაზეთში ამდენს წერთ საშუალო სკოლაში თვითმმართველობასა და „თანამშრომლობის პედაგოგიკაზე" და ახლა უნივერსიტეტის რექტორატისაგან მოითხოვთ, სტუდენტი რომ საგაზეთო სტატიას დაწერს, ის უკონტროლოს და უსწოროს?

სხვა შემთხვევაში პოლიტეკონომიის სწავლების არასახარბიელო დონეს მიანიშნებთ: ავტორებს, უნივერსიტეტის სტუდენტებს, თურმე ნუ იტყვით და, „ავინყდებათ პოლიტეკონომიის კურსში ნასწავლი ელემენტარული წესები შრომის საზოგადოებრივი განაწილების შესახებ, ავინყდებათ, რომ არსებობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია..." რა ვუყოთ, შესაძლოა წერილის ავტორ სტუდენტებს ჯერ არც ჰქონდეთ პოლიტეკონომიის კურსი გავლილი, მაგრამ ვისაც ეს კურსიც გავლილ-ჩაბარებული აქვს და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხებში, წესით, უკეთ უნდა ერკვეოდეს, მათ ნუთუ მართლა სჯერათ, რომ „მთელი საქართველო, მათ შორის ფშავ-ხევსურეთიც — სახნავ-სათესად რომ იქცეს და ყველგან ხორბალი დავთესოთ, რესპუბლიკას პური, ალბათ, — მაინც შემოსატანი ექნება?" აი, რა შეიძლება დაგვაწერინოს „ჟურნალისტურ ეფექტებს" გამოდევნებამ...

თქვენს „მინაწერში" ერთგან ასეთი, როგორც თქვენვე ბრძანებთ, „მოუქნელი ხერხისათვის" მიგიმართავთ: წერილის ავტორებისათვის კითხვა ამგვარად შეგიტრიალებიათ: „ვისთვისაა ხელსაყრელი შექმნილ ვითარებაში ასეთი განცხადების გაკეთება? რამდენად უანგარონი არიან წერილის ავტორები?" დავუშვათ, რომ სტუდენტებმა ვერ მოზომეს და პროექტის ავტორთა კეთილსინდისიერებაზე დაუსაბუთებელი ეჭვი გამოთქვეს. განა რედაქციას არ შეეძლო ტექსტის ამ ნაწილში თუნდაც რედაქტორული სწორება შეეტანა? თორემ ახლა რა გამოვიდა: თქვენ ეს ეჭვი საჯაროდ გამოათქმევინეთ სტუდენტებს, ამისთვის ისინი გაკიცხეთ, მერე კი ამ ხერხს მათვე დაესესხეთ და, ჩვენი აზრით, უფრო უცნაური, მეტი რომ არა ვთქვათ, ეჭვი გამოთქვით.

ახლა შევაჯამოთ: ჩვენ ასე გვწამს — თქვენმა გაზეთმა ისე გარდაქმნა მუშაობა, რომ ახალგაზრდობას თქვენი სჯეროდა და გენდობოდათ. ამის დამადასტურებელი გახლდათ ის ფაქტიც, რომ უნივერსიტეტის სტუდენტებმა თავიანთი წერილი გამოსაქვეყნებლად სწორედ თქვენ მოგიტანეს. რედაქციამ კი ამ შემთხვევაში რატომღაც თავის არჩეულ გეზს გადაუხვია და კეთილისმსურველი და ლოიალური მეგობრისა და მრჩევლის ნაცვლად

პირგამეხებული ბრალმდებლის შეუფერებელ როლში მოევლინა მათ. არადა, თუნდაც გულახდილობის, ნდობისა და საკუთარი აზრის მქონებლობისათვის ისინი, ღმერთმანი, ასეთ „გაროზგვას" სწორედ რომ არ იმსახურებდნენ. ამას კი, შესაძლოა, ის შედეგი მოჰყვეს, რომ თქვენ კალმის ერთი მოსმით წყალს გაატანოთ ამდენი შრომითა და რუდუნებით, მისხალ-მისხალ შეგროვებული ნდობა ახალგაზრდობის მხრივ.

გვენდეთ, ეს სატკივარი გახლავთ ჩვენი ამ წერილის მთავარი პათოსი. ასეთ „მკვახე შეძახილს" მაშინ აქვს ფასი, როცა მთქმელიცა და მსმენელიც ერთმანეთს პატივსა სცემენ. აქამდე ასე იყო, იმედს ვიტოვებთ, აწიც ასევე იქნება. ამის გარანტიად გვეგულვის ყველასათვის საერთო ის სურვილი, რომ ჩვენი ახალგაზრდობა აღიზარდოს თავისი ქვეყნის გულშემატკივრად, რომ პრიმიტიული მომხმარებლის მაგივრად, რომლისგანაც უკეთეს შემთხვევაში ობივატელი, უარეს შემთხვევაში კი ლოთი, მკვლელი და ნარკომანი ყალიბდება, ჩვენი ახალგაზრდობა საქართველოს მომავალზე ფიქრსა და ზრუნვაში დაიღალოს, მისი ავ-კარგით იხაროს თუ ინწვალოს, ადამიანობა და მამულიშვილობა ისწავლოს; რომ სწავლასა და შრომაში გამოიბრძმედოს, ქვეყნისათვის მიდგეს-მოდგეს, გაისარჯოს, ზოგჯერ ამ გზაზე თუნდაც შეცდეს, ოღონდ მიხვდეს ამ შეცდომას, თავად გაასწოროს, მერე სხვასაც გაუსწოროს, მაგრამ გაუსწოროს მოყვრულად — მოკლედ, „იმოძრაოს" და „უძრაობით" არ დაიღუპოს.

მთელი უნივერსიტეტის სახელით ლაპარაკის უფლებას საკუთარ თავს, ცხადია, ვერ მივცემთ, მაგრამ გვერწმუნეთ — არც მხოლოდ ჩვენი სახელით გვიკადრებია თქვენთვის ზემორე თქმული.

„ახალგაზრდა კომუნისტი", 19.11.1987 წ.

ცოტა რამ მჯილზე, დედაენაზე და კვერცხისმდებელ მამლებზე

ბატონ ნოდარ კაკაბაძის „ღია წერილი", ავტორისავე თხოვნით, წინასწარ გადმომცა გაზეთ „თბილისის" რედაქციამ გასაცნობად და აზრის გამოსათქმელად. „ღია წერილი" ერთგვარი ლიტერატურული ხერხია საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ამა თუ იმ საკითხზე მკითხველის ყურადღების გასამახვილებლად, თორემ კერძო სათქმელს ბატონი ნოდარი პირად საუბარშიც მეტ-

ყოდა... მე კი ვარჩიე, საზოგადო ინტერესის შემცველი საკითხების „გასარჩევად" მაინც უშუალოდ მკითხველისათვის მიმემართა.

უყოყმანოდ ვიზიარებ „ლია წერილის" ავტორის პუბლიცისტურ პათოსსა და ირონიანარევ გულისტკივილს — ახლა ყველანი ვაუკაცობაზე ვდებთ თავსო. მართლაც, დღეს, აქაოდა არ უშლიანო, ბევრმა ჩაინმინდა ყელი და აგვიკაკანდა — ჩემმა ყიყლიყომ გაგითენათო, თითქოს არ გვახსოვდეს, რა ნამამლ კვერცხებსაც გვიდებდნენ ისინი წლიდან წლამდე... თუმცა — გვახსოვს კი? დემოკრატიას თავისი ტრადიცია და კულტურა აქვს, რაც საზოგადოებრივ მახსოვრობას გულისხმობს; ჩვენში? ჩვენში — თუ ვინმემ პირადად გვაწყენინა, ამას კუბოს ფიცრამდე ვერ მოვინელებთ, სამაგიეროდ საზოგადოებრივი მახსოვრობა გვღალატობს ხშირად, ამიტომაც ვეტყუებინებით ამ მოპოლიტიკოსო „ქამელეონებს": თავის ორკაპა ენას ეს ხალხი დღესაც ისევე მარჯვედ ასხმარტალებს, როგორც გუშინ — ცალი წვერით რომ ავანსცენიდან დაყირავებულებს ანთხევს გესლს, მეორით ფეხს ულოკავს ავანსცენაზე მდგომთ. მათს ამგვარ „ხელოვნებას" ყოველთვის იყენებდნენ და, ალბათ, კელავაც გამოიყენებენ, თუმცა ზოგჯერ ზიზღითაც მოუსვრიათ ისინი განზე — ეს ავანსცენაზე მდგომთა ზნეობასა და პრინციპებზეა დამოკიდებული. განა მათ არ იციან, რომ დღეს გუნდრუკის მკმევლები ხვალ, თუ ფეხი დაუცდათ, მათვე მიაყრიან ქვასა და გუნდას? იციან, მაგრამ, ვაი, რომ ზოგჯერ წარმავალი ინტერესები და ტაქტიკური მოსაზრებანი ჩრდილავენ ხოლმე წარუვალ ღირებულებებსა და სტრატეგიულ მიზნებს. ესეც „მოკლე ხსოვნის" ტრაგიზმია და ბატონ ნოდარ კაკაბაძის მწარე შეკითხვა — რატომ ჰგონიათ, რომ ხალხს ასეთი „მოკლე" მეხსიერება აქვსო, ჩემი აზრით, მარტო „ქამელეონებს" კი არ ეხება, არამედ „ავანსცენაზე მდგომთაც"... უფრო მეტიც — გვეხება ყველას.

მაგრამ ისიც გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ „ლია წერილის" ეს მართებული მიზანდასახულება რამდენადმე გაამრუდა უმართებულოდ მოხმობილმა ფაქტობრივმა მასალამ და ამ ფაქტთა მიკერძოებულმა ანალიზმა.

მაშ ასე, დავიწყებ იმ საბაბით, რამაც საშუალება მისცა პროფესორ ნოდარ კაკაბაძეს თავისი, ზოგადად მართებული, გულისტკივილი და აღშფოთებაც კი გამოეხატა. ეს საბაბი გახლავთ ჩემ მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ამ ათი წლის წინათ, როცა ჩვენს დედაენას საფრთხე დაემუქრა, „მთელი ჩვენი საზოგადოება ერთ მჯიღად შეიკრა"... ბატონმა ნოდარმა ეს „სანახევროდ ნათქვამ სიმართლედ" ჩამითვალა.

სანახევროდ სიმართლის მთქმელიდან სანახევროდ მატყუარამდე ნახევარი ნაბიჯია და, არა მგონია, ვინმეს ეს წოდება სასიამოვნოდ დაურჩეს. გამონაკლისი არც მე გახლავართ. მით უფრო, რომ „ლია წერილში" სახელდებით ჩემ გარდა არავინ მოიხსენიება, არ მოიხსენიებიან ის „კაპიტულანტები", რომელთა სამხილებლადაც აუღია ავტორს ხელთ კალამი. აქედან გამომდინარე, მკითხველი, ალბათ, ერთგვარი უნდობლობითაც მოეკიდება ბატონ

ნოდარის გულწრფელ, თუმცაღა — გაზვიადებულ შეფასებას ჩემი საქმიანობისას. მაგრამ ეს არაა მთავარი: პოლემიკურ სიცხარეში ხშირად დაპვინყნიათ, თუ როგორ წარმოაჩენენ (ნებსით თუ უნებლიეთ!) მოპირისპირე მხარეს... უფრო უჩვეულო ის გახლავთ, რომ პროფესორმა ნოდარ კაკაბაძემ, ჩემი აზრით, ნაკლებად იზრუნა იმაზეც, თვითონ როგორ ნარმოჩნდებოდა მკითხველის თვალში: ექვსი „კაპიტულანტური" და მაამებლური აზრის პერიფრაზი მოგვაწოდა, ინტერესი აღგვიძრა — ნეტა ვინ იყვნენ მათი ავტორებიო და... ამ ექვსეულიდან ერთის გვარიც არ დაუსახელებია: არ მინდა მათი საქვეყნოდ გამოჭენება, აი, აქ კი მე არ ვარ ბოლომდე თანამიმდევრულიო. კი მაგრამ — მკითხველი? ზოგი იქნებ კიდეც დააკმაყოფილოს ამ გულწრფელმა აღიარებამ — ბოლომდე გულწრფელი ვერ ვიქნებიო, მაგრამ ზოგი იმასაც იფიქრებს — ნახევარსიმართლის სანინააღმდეგო პათოსით შთაგონებულ წერილში მეექვსედი სიმართლე მაინც უნდა თქმულიყოო.

მოკლედ, უხერხულია, კაცი ნახევარსიმართლეს ნახევარსიმართლითვე ებრძოლო.

ახლა ვნახოთ, ჩაითვლება თუ არა ჩემი ნათქვამი ნახევარსიმართლედ? ჩემი აზრით, 1978 ნლის თოთხმეტ აპრილს მთელი ჩვენი საზოგადოება მართლაც რომ ერთ მჯილად შეიკრა, ბატონი ნოდარი კი ამტკიცებს — „პირიქით, ორად გაიყო: აღშფოთებულ ბავშვებად, რომელთაც შეგვინარჩუნეს ენა, და „ბრძენ", დაშინებულ, „ჭკვიან" მონიფულ ადამიანებად"...

ცოტა უხერხული კია, მაგრამ მაინც უნდა განვმარტო, რომ გავრცელებული ხატოვანი გამოთქმა — „ერთ მჯილად შეიკრა" — თუკი მას ხალხის, ერის, საზოგადოების მიმართ ვიხმართ, სრულებითაც არ გულისხმობს, რომ ამ მასაში უკლებლივ ყველა ერთ ჭკუაზე იქნება და, რაც მთავარია, ერთი გზითა და საშუალებით ეცდება საერთო მიზნის მიღწევას. ასეთი რამ საერთოდ არ ხდება. ეს არ მომხდარა არც დიდგორთან და არც ბახტრიონის აღებისას, თუმცა, ალბათ, აზრად არავის მოუვა ნახევარსიმართლედ ჩაგვითვალოს, ვთქვათ, ამგვარი მოსაზრება: „1659 ნელს კახეთის განთავისუფლებისას ქართლ-კახეთისა და საქართველოს მთიანეთის ქართველობა ერთ მჯილად შეიკრა". მთავარი აქ ერის საერთო სულიერი განნყობილებაა; იგი 1978 ნელს გამოიხატა აზრით — ქართულ ენას შენარჩუნებოდა თავისი კონსტიტუციური სტატუსი, დარჩენილიყო რესპუბლიკის სახელმნიფო ენად. პროფესორი ნოდარ კაკაბაძე კი ამტკიცებს, რომ ქართველობა მაშინ ორად გაიყო: ერთი ნაწილი სახელმნიფო ენად ქართულს მოითხოვდა, მეორე კი იწონებდა იმ პროექტს, „რომელშიც ქართული ენა არ იყო მიჩნეული სახელმნიფო ენად".

ვფიქრობ, ქართველი საზოგადოების აზრი მაშინ ორად არ გაყოფილა — სახელმნიფო ენად ქართული ყველას უნდოდა, ეს კი იყო, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი დიდ სიფრთხილეს (მე, ბატონ ნოდარისაგან განსხვავებით, ამას სიმხდალეს ვერ ვუნოდებ) იჩენდა... მათგან ბევრს მიაჩნდა, რომ ქართულის —

როგორც სახელმწიფო ენის — სტატუსი აქამდეც ფორმალური იყოო, და ეჭვობდნენ — რის ფასად შეიძლებოდა დაგვჯდომოდა ამ, მათი აზრით, ფორმალური მუხლის შესანარჩუნებლად გამოსვლები, თუ ამ მოთხოვნას ხელისუფლება ყურს არ ათხოვებდა? ბევრს ხომ გუშინდელ დღესავით ახსოვდა ორმოცდათექვსმეტის ტრაგიკული ამბები და, სად იყო იმის გარანტია, რომ მსგავსი რამ ახლაც არ განმეორდებოდა? ბატონ ნოდარ კაკაბაძეს სურს ეს ხალხი „კაპიტულანტებად" და, ფაქტობრივად, დედაენის გამყიდველებად დასახოს... ეს თითქმის ისეთივე უსამართლობა მგონია, ვინმემ სამოცდათვრამეტის აქტივისტები პროვოკატორობაში რომ დაადანაშაულოს... ღმერთმა დაიფაროს და — სისხლი რომ დაღვრილიყო, ჩვენი ამბავი რომ ვიცი, ასეც მოვიქცეოდით.

ამრიგად, თუ მე „ერთ მჯიღად შეკარი" ქართველთა მაშინდელი სულისკვეთება, პროფესორმა ნოდარ კაკაბაძემ იგი „ორ მჯიღში" გადაანაწილა: ერთ მჯიღად შეკრულან დედაენის დამცველები, მეორე მჯიღად — დედაენის მოღალატენი. მაგრამ ყველაზე საოცარი ის გახლავთ, რომ ამგვარი დაყოფის ერთადერთი კრიტერიუმი თურმე... ასაკი ყოფილა: ერთ მჯიღად შეკრულან ბავშვები, ყმანვილები (ასაკობრივი ცენზის ზემო ზღვარად, ალბათ, სტუდენტობა უნდა ვივარაუდოთ), მეორე მჯიღად — მოწიფული ადამიანები.

აი აქ კი, შემინდოს ბატონმა ნოდარმა და — ნახევარსიმართლესაც ვეღარ ვხედავ... ვინ უარყოფს სამოცდათვრამეტის ამბებში ახალგაზრდების სრულიად განსაკუთრებულ როლს? — არავინ, მაგრამ, რახან გამოთქმათა ასეთ ზედმინევნით სიზუსტეზე მიდგა საქმე, ახალგაზრდათა შორისაც ისევე იყო „ინერტული მასა", როგორც „ძველგაზრდათა" შორის — აქტიურად მოქმედნი. და ეს, სხვათა შორის, თვითონ იმჟამინდელმა ახალგაზრდებმა იციან ჩვენზე არანაკლებ... ამიტომაც „ღია წერილის" ავტორს ჭეშმარიტების აღსადგენად სამგზის ვთხოვ აღიდგინოს ათი წლის წინანდელი სურათი: ჯერ უნივერსიტეტის პედაგოგმა ნოდარ კაკაბაძემ გაიხსენოს — მის კოლეგათაგან ყველა „კაპიტულანტი" იყო? მერე მწერალმა ნოდარ კაკაბაძემ გაიხსენოს — ქართველ მწერალთა შორის „თავის მოკანტურეები" სჭარბობდნენ დედაენის დამცველებს? დაბოლოს — დავეხსნათ წოდებებს — თავისი მოქალაქეობრივი ვალის აღსასრულებლად ქუჩაში გამოსულმა ნოდარ კაკაბაძემ მიმოიხედოს ირგვლივ — განა მხოლოდ ბავშვებში იყო იგი მაშინ ჩამდგარი? სხვათა შორის, მის გვერდით ყმანვილების (და არა — საკუთარი კარიერის) ბედით შეწუხებული „მეშოშმინეებიც" იდგნენ და, ფუი ეშმაკს, ტყვია რომ გავარდნილიყო, ვითომ გამოარჩევდა ეს ტყვია მათ ან ბატონი ნოდარისაგან, ან ახალგაზრდებისაგან?

მონოპოლიზმი საერთოდაც არ უნდა იყოს კეთილშობილური საქმე... განსაკუთრებით — მონოპოლია პატრიოტიზმზე. ბატონ ნოდარს ვერ დაეწამებთ, თითქოს ამის პრეტენზია გამოევლინოს — პირიქით, როგორც „ძველგაზრდამ", რატომღაც თავი „კაპიტულანტთა" შორის ჩაიყე-

ნა, ხოლო დედაენის დამცველთა პატივი მონოპოლიურად მიაგო ყმაწვილებს... ეს იმდენად აშკარა უზუსტობაა, რომ შეიძლებოდა გვეფიქრა — უფროსების სილაჩრეზე როცა წერდა, აქ ბატონი ნოდარი მხოლოდ ასაკობრივ მომენტს არ გულისხმობდა — ალბათ, მდგომარეობით უფროსებსაც ვარაუდობდა ამ ცნებაშიო... არც ამ შემთხვევაში ვიქნებოდით სწორი — ჩემი ღრმა რწმენით, სამოცდათვრამეტში დედაენის ბედით დაინტერესებული იყო ქართველი საზოგადოების ყოველი ფენა... სხვათა შორის, ის ხალხიც, რომელთა მორალი და ცხოვრების წესი სანიმუშოდ ვერ ჩაითვლება: „მცირეხელფასიან შეძლებულთა" დიდი მასა — კანონთან ყოველთვის მტყუანი, ბუნებასთან კი ზოგჯერ მართალი — რომელთა სოციალური აქტივობა შეზღუდულ-შებორკილია იმის შიშით, რომ კანონს ყოველ წუთს შეუძლია ისინი თეთრ დათვებს ასტუმროს... იმ დღეებში დედაენასთან პირნათელნი იყვნენ არა მარტო სტუდენტობა, არამედ საერთოდ — ინტელიგენცია და, თუ ბოლომდე სიმართლე გნებავთ, ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც, ხელისუფალნიც... მათი სოციალური აქტივობა გარეგნულად, შესაძლოა, ისე მძაფრად და ერთსულოვნად არ გამოვლენილა, როგორც ახალგაზრდობისა, მაგრამ რეალური საქმე იქაც კეთდებოდა... მამულიშვილობა, საბედნიეროდ, არ არის არც ასაკობრივი და, ჩემი აზრით, არც სოციალური ცნება, და ამ კონკრეტულ შემთხვევაში პროფესორ ნოდარ კაკაბაძის მცდელობა — ასაკობრივ ჩარჩოში ჩაჭედოს იგი, არცთუ უნყინარი შეცდომა მგონია... მეტსაც მოგახსენებთ — ეს მცდელობა საქმისთვის საზარალოა... თანაც საზარალოა სწორედ ეროვნული საქმისთვის, ვინაიდან იგი ნებსით თუ უნებლიეთ ეროვნულ ძალთა დაქსაქსვა-გათიშვას უწყობს ხელს: გუშინ ნაციონალურ განცდას გარკვეული სოციალური კლასით ზღუდავდნენ, დღეს — ასაკობრივ ჩარჩოში გვინდა ჩავჭედოთ, ხვალ კი რომელიმე მანიაკს გაუჩნდება პატრიოტობაზე ერთპიროვნული მონოპოლიის პრეტენზია.

რაც შეეხება ლ. ბრეჟნევის „მცირე მიწაზე" აღვლენილ ხოტბას, ესეც ერთი ეპიზოდია სიყალბის იმ ფერხულში, რომელშიც საზოგადოების დიდი ნაწილი იყო ჩაბმული... ნუ მოვიტყუებთ თავს, ეს ფერხული დღესაც არ დაშლილა... დროგამოშვებით, რეჟისორის შეცვლასთან ერთად, იცვლება ფერხულის ნახაზიც და მელოდიაც, მაგრამ მის თავში, ჩვეულებრივ, ერთი და იგივე ხალხია ჩაბმული — ისინი ფეხის აყოლის საუკეთესო ოსტატებად ითვლებიან... უკმიეს გუნდრუკი სტალინს, უკმიეს ხრუშჩოვს, უკმიეს ბრეჟნევსაც... ახლა გარდაქმნასაც უკმევენ გუნდრუკს; ზოგი ამას „ლოგიკურადაც" გვისაბუთებს — გარდაქმნა გნებავთ და, ა ბატონო, ჩემზე ოპერატიულად ვინ გარდაიქმნა — რასაც გუშინ ვაძაგებდი, დღეს ვიწონებ, რასაც ვიწონებდი, იმას ვკიცხავო... როგორც ძველად იტყოდნენ, უფალო, შენ დაიფარე „გარდაქმნა" ამგვარად გარდაქმნილთაგან...

მინდა გაგიზიაროთ ჩემი აღშფოთებაო, ბრძანებს პროფესორი ნოდარ კაკაბაძე თითქმის ათი წლის წინანდელ ამბავზე... ვინც პირადად არ იცნობს ბატონ ნოდარს, შესაძლოა, ირონიულად გაეღიმოს — შე დალოცვილო, თუ აღსაშფოთებელი იყო, მაშინ აღშფოთებულიყავი, ახლა რა გაცხარებსო... ამიტომ მინდა მკითხველმა იცოდეს — ბატონ ნოდარს (ასევე ბევრ სხვასაც) არც მაშინ დაუმალავს თავისი გულისწყრომა იმ ლაქიური სულის გამოვლინებისათვის, „მცირე მიწის" განდიდებით რომ გამოიხატა, ოღონდ ეს იყო, ასე საჯაროდ ამის გამოთქმის საშუალება მაშინ არ ჰქონია.

არ მინდოდა ჩვენი „პაექრობა" ცნობილი იგავის პერსონაჟების — მამლისა და გუგულის — ხმაშეწყობილ „დუეტს" დამსგავსებოდა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა — სიმართლის დადგენის სურვილთან ერთად ეს პასუხი პროფესორ ნოდარ კაკაბაძის პიროვნებისა და ღვაწლის პატივისცემამაც დამაწერინა.

„თბილისი", 4.6.1988

აღმოჩენა, ორგულო...

ჟინი ბეზღობისა, შურისგებისა,
ჟინი გულღვარძლიანობისა,
როგორც ყოველივე სხვა უწმაწური ჟინი,
ძნელად თავდასაჭერია, რაკი კაცს შესჩვევია.
ილია

დედაენის დაცვა და პატრონობა ყოველი მოქალაქის წმიდათაწმიდა მოვალეობა გახლავთ. განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში სასიკეთოდ გააქტიურდა ჩვენში საზოგადოებრივი აზრი ენობრივი გარემოს დასაცავ-მოსანესრიგებლად. ბეჭდვითი ორგანოები, პრესა და რადიო-ტელევიზია საგულდაგულო ყურადღებას აქცევს მშობლიურ ენაზე მართლწერასა და სნორმეტყველებას; იქმნება, უნდა შეიქმნას, იმგვარი ატმოსფერო, რომ ყოველი, ვინც ხელში კალამს აიღებს, გრძნობდეს თითქოსდა უხილავ მზერას, მახვილსა და გამჭოლს, რომელიც არ გვაპატიებს დედაენის ნებსითსა თუ უნებლიე შებღალვას. ეს მზერა საზოგადოებრივი თვალისაა, უტყუარისა და სამართლიანის, და ნურავის აგვერევა იგი დადარაჯებულ თვალთვალში ჩასაფრებული კაცისა, მხილებისა და სხვათა განქიქების მაცდუნებელ ჟინს აყოლილი რომ კარგავს მკვლევრის უპირველეს ღირსებას — ობიექტურო-

ბას. ეს ჟინი კი ისეთი რამ არის, ბუზს სპილოდ მოგაჩვენებს, ადამიანს — მღილად და იმასაც დაგავიწყებს, რაც სვავმაც იცის — სანამ გადაყლაპვას დაუპირებდეს, ძვალს კისერს დააზომებს ხოლმე.

დოცენტმა **ლევან კიკნაძემ** გაზეთ „კომუნისტის" 1979 წლის 29 მარტის ნომერში დასტამბა წერილი „ქართული ენის სიწმინდისათვის"; მან რამდენიმე მაგალითი მოიყვანა ცალკეულ ავტორთა მიერ სიტყვათა უხეირო შერჩევისა და კორექტურული შეცდომებისა, ძირითადი კრიტიკული ცეცხლი კი ჩემკენ მომართა: თურმე, ნუ იტყვით და, აღმომიჩინა მძიმე აზრობრივი და სტილისტური შეცდომები. თითქმის წლინახევრის შემდეგ საპასუხი წერილის გამოქვეყნებამ მკითხველს, შესაძლოა, აფიქრებინოს — ამდენი ხანი თუ დასჭირდა იმ შენიშვნათა გამაქარწყლებელი არგუმენტების მოძიებას, კიკნაძისეულ კრიტიკას თუ არ უწვიმია, უქუხია მაინცაო. არა, პატივცემულო მკითხველო, იმ შემოტევას სულაც არ დავუზაფრავვარ ისე, რომ გონს წლინახევრის შემდეგ მოვგებულიყავ. მეტსაც მოგახსენებთ, ზოგიერთი ახალი გარემოება რომ არა, იმ ძველ ამბავს არც გამოვქექავდი და არც დოც. ლევან კიკნაძის წერილს შევეხებოდი (ყველაფრის ქექვა და შეხება, მოგეხსენებათ, არცა ღირს!); არ ვუპასუხებდი, უპირველეს ყოელისა, იმიტომ, რომ იმ წერილს ობიექტურობისა არა ეცხო რა და საქმეში ჩახედული მკითხველი ისედაც გამოარჩევდა მტყუანსა და მართალს. მაგრამ, გამოგიტყდებით, „ჩიტი ბდღვნად არ ღირსო" — მხოლოდ ამის გამოც არ შემიკავებია თავი პასუხისაგან, მიზეზი სხვაც გახლდათ: დოც. ლევან კიკნაძისათვის სხვათა სახელის გატეხისა და დისკრედიტაციის მცდელობა „არ ახალია, ძველია"; და ვინაიდან მის „შავ სიაში", როგორც წესი, ისეთი ხალხი ხვდება, რომელთა შორის ყოფნა თავმოსანონია, მეც დიდ პატივად ჩავთვალე მათი ხვედრის გაზიარება (სხვათა შორის, ისინიც — გასაგები მიზეზების გამო — მეტწილად თავს არიდებენ დოც. ლ.კიკნაძესთან კამათს). არადა, ეტყობა, მაშინვე უნდა მეპასუხა — ჯერ ერთი, თუნდაც იმიტომ, რომ დოც. ლ.კიკნაძე მარტო ჩემს კი არა, ჟურნალის — „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" — დისკრედიტაციას ცდილობდა: წერილში ნათლად იკითხებოდა ქვეტექსტი — რედაქტორი რომ ამგვარ მიუტეველელ შეცდომებს უშვებს, თავად ჟურნალი რაღას ემგვანებაო; და მეორეც — კრილოვის ფინიასაგან განსხვავებით, ზოგიერთი მყეფარი იმას ვერ ხვდება — თავი არ გამიყადრესო და, ყეფას როდი სჯერდება, შეჭმასაც მოუნდომებს ხოლმე სხვას. პასუხის გაუცემლობამ, როგორც ჩანს, მართლაც ალუძრა მადა დოც. ლევან კიკნაძეს — გამოხდა ხანი და მან ყოველგვარი ქვეტექსტებისა და „კამუფლაჟის" გარეშე ოფიციალურად დასვა ზემდგომ ორგანოებში საკითხი — სასწრაფო ზომები თუ არ მიიღეთ, ამგვარი რედაქტორის ხელში „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" სამარცხვინო ჟურნალად იქცა, ასეთი ჟურნალი იქაც კი არ დაიბეჭდებოდა, სადაც წერა-კითხვა გუშინ ისწავლესო; სწორედ ამ ახალმა „შემო-

ტევამ" ამაღებინა ხელში კალამი — ჟურნალის გაბიაბრუების ცდა უკვე კერძო და პირადი საქმე აღარ გახლავთ, რომ კაცმა ყური წაუყრუოს და „გიჟი მიუშვი ნებასა"-ს პრინციპით იხელმძღვანელოს. თანაც — ამჯერადაც საჯაროდ პასუხის გაუცემლობამ, შესაძლოა, ისევ აუშალოს წერის საღერღელი დოც. ლ.კიკნაძეს, ისევ მოაცდინოს დიდად საქმიანი პირები და დანესებულებანი მისი საჩივრების განხილვით. ამიტომაც მივუბრუნდეთ იმ ძველ წერილს, კვალდაკვალ მივსდიოოთ ლ.კიკნაძის მიერ აღმოჩენილ შეცდომებს და ვნახოთ, მართლაც ისე ძნელად გასაბათილებელნი თუ არიან ისინი, როგორც ეს თვითდაჯერებულ დოცენტს ჰგონია:

1. **აღებ-მიცემა, აღებმიცემობა** ვაჭრობაა, ყიდვა-გაყიდვა და „აზრთან" მისი დაკავშირება შეუძლებელიაო: „**აზრთა აღებმიცემობა** ალბათ ჯერ არავის გაუგონია და არც დაწერილი (ან, მით უმეტეს, დაბეჭდილი) უნახავს ვინმეს", — რიხით დაასკვნის დოცენტი ლ. კიკნაძე. მოკლედ, რომ იტყვიან, იმედი გადაგვიწურა — ასეთი რამ არც არავის დაუწერია, არც არავის ნაუკითხავსო. თუ მოუცლელობის გამო დოც. ლ. კიკნაძე აღარც კითხულობს და ვეღარც წერს (იგულისხმება სამეცნიერო ნაშრომების წერა), ამას სხვებზე ნუ გაავრცელებს, თორემ ადგება ეს „სხვა", ამ შემთხვევაში მეექვსე კლასის მოსწავლე და მორიდებულად შეახსენებს „გულმავიწყ" დოცენტს: „კი ნამიკითხავს, პატივცემულო დოცენტო, „ვინმეს" კი არა, თვითონ ილიას უხმარია „კაცია-ადამიანშიო" („*დღეს რა ვჭამოთ, — იტყოდნენ დილით, — ხვალ რა ვჭამოთ, — იტყოდნენ საღამოზედ. ეს იყო იმათი აზრის აღებ-მიცემა*"); ილიასათვის ეს იმდენად ჩვეულებრივი, ორგანული სიტყვათშეხამებაა, რომ ძნელად დასაჯერებელია ფილოლოგმა, თუკი იგი თავისი ძირითადი საქმიანობით არის დაკავებული, ეს გამოთქმა იუცხოვოს; აი, კიდევ რამდენიმე მაგალითი ისევ ილიასთან — „*ლაპარაკი აზრის აღებ-მიცემობაა*" *(1953 წ., ტ. III, გვ. 79)*: „*მე რა მაქვს შენთან საერთო, რომ ერთად გვეაზრა, საერთო აზრის აღებ-მიცემობა გაგვეწიოა*" *(იქვე)*; „*მე რა მაქვს შენთან საერთო, რომ ერთმანეთის აზრის აღებ-მიცემობისათვის საერთო მნიშვნელობის სიტყვა და ენა შეგვექმნა?*" *(ტ. III, გვ. 82)*; „*სანდალასავით რომ ნაცარქექიები მოედან ზედ გამოდიოდნენ, ეითარცა აზრთა აღებ-მიმცემნი და მოჭიდავენი, ეს ვერაფერი ნიშანია დანარჩენების ფალავნობისა*" *(1955 წ., ტ. IV, გვ. 199)*; საგულისხმოა ერთი ადგილიც „ოთარაანთ ქვრივიდან": „*უსხვაოდ ერთის გული მარტო პარკია, სისხლის აღებ-მიმცემი აგებულებისათვის*". ის, რომ სიტყვა „**აღებმიცემობის**" სალექსიკონო მნიშვნელობა ვაჭრობაა, ყიდვა-გაყიდვა, ხელს ვერ შეუშლის გადატანითი თუ ეტიმოლოგიური მნიშვნელობით მის ხმარებას (ამ კონკრეტულ შემთხვევაში „**აღებმიცემობა**"=„**გაცვლა-გამოცვლას**"); ამას დოცენტობა არ სჭირდება — სკოლის მოსწავლეებმაც იციან, რომ ვაჭრობის ერთ-ერთი (და უძველესი) სახე საქონლის გაცვლა-გამოცვლა იყო; ამიტომაც ამ პროცესის აღმნიშვნელმა

სიტყვამ „აღებმიცემობამ“ — კონტექსტის მიხედვით, შეიძლება გამოხატოს „გაცვლა-გამოცვლაც“.

დოცენტი ლევან კიკნაძე ამ შემთხვევაში ლექსიკონისეული განმარტების იქით არ იხედება. იქნებ საჭირო იყო, რომ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშივე“ მიეთითებინათ — **აღებ-მიცემა** — **აღებმიცემობა** გარკვეული სიტყვებთან შეხამებისას ამა თუ იმ მნიშვნელობას იძენსო? ცხადია, არა, ვინაიდან შემდგენლები ვარაუდობდნენ (და სრულიად სამართლიანადაც), ადამიანი რომ ლექსიკონს დამოუკიდებლად მოიხმარს, იმ ასაკში მან უკვე უნდა იცოდეს, რომ სიტყვამ კონტექსტში შეიძლება ძირითადი მნიშვნელობისაგან საკმაოდ განსხვავებული შინაარსი შეიძინოს.

რახან სიტყვამ მოიტანა, იმ წერილში დოცენტი ლ.კიკნაძე „განმარტებით ლექსიკონსაც“ გადასწვდა: ერთი კორექტურული შეცდომა (ლიხთან ნაცვლად ლიხითგან-ისა) ხელზე დაიხვია და ბუზს აქლემი აშობინა — თურმე, ნუ იტყვით და — „ზოგს სიტყვის სნორად გადაწერაც კი არ შეუძლია“... ეს „ზოგი“ განმარტებითი ლექსიკონის შემდგენლები ყოფილან, რომლებსაც ეშხში შესული დოცენტი ამნაირად ანათლებს: *„ლიხ-ი გეოგრაფიული სახელია და მას მრავლობითი რიცხვის ფორმები („ლიხ-ნ-ი“, „ლიხ-თ-ა“, „ლიხ-თ-ა-გან“...) არც ძველად ჰქონია და არც დღეს აქვს“.*

ცდება დოცენტი ლევან კიკნაძე: ძველადაც ჰქონდა და ახლაც აქვს. მაშ რა არის „ლიხ-თ-იმერეთი“, „ლიხ-თ-იქითა“, „ლიხ-თ-აქეთური“ და ა.შ. ფორმებში თ, თუ არ — მრავლობითის ნიშანი? მეორე მხრივ, ისევ და ისევ ძნელად დასაჯერებელია, რომ ფილოლოგს, მით უმეტეს, ენათმეცნიერს, ეს სიტყვები არ გაეგონოს ან ვერ გაიხსენოს; და თუ ასეთი რამაც გვჭირს, მაშინ ამგვარი კატეგორიული განცხადების გაკეთებამდე არ უნდა დავიზაროთ იმავე, ლ.კიკნაძისათვის ავადმოსახსენებელ, „განმარტებით ლექსიკონში“ ჩახედვა — ყველა ზემოხსენებული სიტყვა იქ ფიქსირებულია. მოკლედ, დღეს ეს ფორმები ცოცხალია; შესაძლოა, ძველი ქართული ენისა და წერილობითი ძეგლების ინტენსიურმა და ნაყოფიერმა კვლევამ კაცი ერთგვარად მოსწყვიტოს ცოცხალ, მიმდინარე ენობრივ პროცესს, მაგრამ რომ არც ძველი ქართულის მონაცემები უჭერს მხარს ძველი ქართული ენის კათედრის დოცენტს? ფაქტები? ინებეთ „მატიანე ქართლისა“: *„მისცნა ლიპარიტ პაშტნი და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს; და აგრეთ ლიხნი გარდავლეს“* („ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, გვ. 301); ინებეთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: *„ხოლო თვით გარდავლო მთა ლიხთა* და *შთავიდა აფხაზეთად“* (დასახ. ნაშ. გვ. 322); ინებეთ სხვა ადგილი ამავე თხზულებიდან: *„და იყო მაშინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა* და *სადგომი სამეფო წაღლის-თავი“* (გვ. 324); ინებეთ ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამფოსა საქართველოსა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973 წ., გვ. 26, 30, 147, 172, 177, 208).

ლიხი გეოგრაფიული სახელია და მრავლობითის ფორმა როგორღა ექნებაო — ბრძანებს დოცენტი და ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. საინტერესოა, ამის დამწერი თვითონ რა ნიშანს უწერს ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტს, რომელსაც არ ეცოდინება საყოველთაოდ ცნობილი, სახელმძღვანელოში რამდენჯერმე გამეორებული დებულება — ტოპონიმები ხშირად სწორედ მრავლობითის ფორმას იღებენ: *„მოიპოვება რიგი გეოგრაფიული სახელებისა, რომელთაც საფუძვლად უძევთ ამა თუ იმ საგნის სახელი... ასეთი სახელები ხშირად მრავლობითის ფორმით* (ხაზგასმა ჩემია, თ.კ.) *არის წარმოდგენილი: რკო-ნ-ი, მუხა-თ-ი, მსხლ-ებ-ი, ბაგ-ებ-ი"* (აკ.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, გვ. 136 შმდ.).

2. დოცენტ ლ.კიკნაძეს შეცდომად მიაჩნია გამოთქმა „დაუნჯებული ფორმა" ამგვარ კონტექსტში: *„უნდა დავიყვანოთ მოსწავლისა და აბიტურიენტის შეგნებამდე, რომ ჭეშმარიტად ღრმა ემოციური ეფექტი სწორედ სადა, დაუნჯებული ფორმით მიიღწევა"*. იგი კატეგორიულად აცხადებს: *„ვერავინ ვერ იტყვის, რას უნდა ნიშნავდეს „დაუნჯებული ფორმა"*... ვითომ ასე ძნელი აღსაქმელია, რასაც აქ ვგულისხმობდი? **დაუნჯებული** ძველ ქართულში მართლაც შეკრებილს, დაგროვებულს, შენახულს, დაცულს ნიშნავდა; მაგრამ **დაცულ-შენახული** ხომ **დაფარულსაც** გულისხმობს: რაც შეინახეს, ის კიდეც დაფარეს. ორმოცდაათიანი წლებიდან ეს სიტყვა რამდენიმე ლიტერატორმა (რევაზ თვარაძემ, თამაზ ჩხენკელმა და სხვებმა) ააღორძინა სულიერი ენერგიის სიღრმისეული კონცენტრირების მნიშვნელობით: *„დაოკებული პათოსი... გამიზნულიც იქითკენაა, რომ მკითხველში აღძრას დაფიქრების, გონების დაუნჯების განწყობა"* (რ.თვარაძე, ცისკარი N6, 1963, გვ. 104); *„სულხან-საბამ თავისი დაუნჯებული სიტყვით, ბრძნული საქმეებითა და დიდი მამულიშვილობით ქართველ ხალხში სამარადისო ძეგლი აიგო"* (ს.ცაიშვილი, ლიტერატურული წერილები, თ., 1977, გვ. 159); *„დაუნჯებულა მოძღვარი ლი ბუნების ჭვრეტით"* (თ.ჩხენკელი, თარგმანი ლო ბინ ვანიდან). აი, როგორი მნიშვნელობით იყენებენ სხვა მწერლები და ფილოლოგები ამ სიტყვას: *„ბერიკაცი — ოჯახის დულაბი, ჭაღარა და დაუნჯებული, უთქმელი და ფიქრიანი"* (თ.ბიბილური); *„ხმიანობს დაუნჯებულად ქართული სიტყვა"* (გრ.ფარულავა); *„ლიტერატურის განვითარების პროცესი დაუნჯებულ, იდუმალ დაკვირვებას მოითხოვს"* (ლ.ალიმონაკი); *„მეხსიერებით დაუნჯებული კაცის გაშტერებულ თვალებში ჩამქლეული მტრული სიცივე"* (ლ.ბრეგვაძე); *„თითოეულში დიდი განწყობილება და სინატიფეა დაუნჯებული"* (თ.ერისთავი). სათქმელის გამოხატვის ფორმები, ყველამ იცის, რომ შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, თვალშისაცემი, აშკარა და, მეორე მხრივ, შენიღბული, სიღრმისეული, დაფარული. განა **დაუნჯებული** ძველადაც **დაგროვილ-შენახულს** და, აქედან გამომდინარე — **დაფარულის** გამომხატველი

არ იყო? ასე რომ, სადა, **დაუნჯებული** ფორმა მხატვრული გამოსახვის სწორედ ის ფორმა გახლავთ, რომელიც თვალშისაცემ, „მყვირალა" საშუალებებს არ მიმართავს, ფორმა, რომელიც ფარავს შინაგან, დაგროვებულ სულიერ ენერგიას. სიტყვა და მისი მნიშვნელობა ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, გაყინული ოდენობა არ არის და სწორედ ენათმეცნიერის საქმეა სემანტიკური ძვრების ახსნა-დასაბუთება და, ზოგჯერ, მოსალოდნელ ცვლილებათა განჭვრეტაც. „დაუნჯებულ"- სიტყვამ განიცადა გარკვეული სემანტიკური ევოლუცია, მწერლებმა, ლიტერატორებმა, ფილოლოგებმა — ე.ი. მათ, ვინც ყველაზე ღრმად გრძნობენ ენის უშინაგანეს არსს და რაღაც მეექვსე გრძნობით „იჭერენ" მისი განვითარების ტენდენციას — წარმოაჩინეს ამ სიტყვაში „მთვლემარე" პოტენცია — ერთდროულად გამოეხატა დაფარულიც და დაგროვებულიც. არაფერია უფრო ადვილი, თვალი მოუხუჭო ამგვარ ცვლილებებს და ყველა ზემოდასახელებული მაგალითი შეცდომად მიიჩნიო, მათი ავტორები კი — უვიცებად; არაფერია-მეთქი უფრო ადვილი, შეამჩნიო ამგვარი „შეცდომა" — უფრო ძნელია ამ „შეცდომაში" დაინახო დიალექტიკური ოდენობა, ენის ცვლილება-განვითარების მართლაცდა დაუნჯებული ტენდენცია, მისი ცხოველ-მყოფელობის მარადმფეთქავი ძარღვი. აღორძინებული სიტყვა მკვდარ სხეულადვე დარჩებოდა ენაში, მისი მნიშვნელობის აბსოლუტური სიზუსტით აღდგენა რომ მოგვეწადინებინა; საბედნიეროდ, ეს პრინციპულად არის შეუძლებელი; ეს იგივეა, ვინმემ ენის სემანტიკური სისტემის მთლიანი რესტავრაცია მოინდომოს (სიტყვის მნიშვნელობა მხოლოდ ამ ერთიანი სისტემის ელემენტად ფუნქციონირებს).

3. დაბოლოს, ოთხი შეცდომა აღმოუჩენია ლევან კიკნაძეს ამ წინადადებაში: „ლომის წილი აბიტურიენტთა ნაწერებისა იმას გვიდასტურებს, რომ სილამაზის ორიენტირი ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდებს უკულმართად აქვთ მიმართული"... მისი აზრით: ა) არ ვარგა და უადგილოდ არის ნახმარი გამოთქმა „ლომის წილი" (რუსულის კარგად მცოდნემ უნდა იცოდეს, რომ ეს გამოთქმა მარტო უმეტეს ნაწილს კი არა, საუკეთესო ნაწილსაც ნიშნავს); ბ) დარღვეულია სინტაქტური წესი მსაზღვრელ-საზღვრულის შეწყობისა; გ) არ გვესმის სიტყვა „ორიენტირის" მნიშვნელობა და დ) არ შეიძლება ორიენტირის „უკულმართული მიმართვა".

ა) **ლომის წილი**; ყველას გვახსოვს, ალბათ, ეზოპეს ცნობილი იგავი; იქიდან გავრცელდა ეს გამოთქმა ევროპულ ენებში, მათ შორის — რუსულშიც. ქართულში განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი მას შემდეგ, რაც აკაკიმ თარგმნა ეზოპეს მიხედვით შედგენილი ი. კრილოვის იგავ-არაკი. რუსული მნიშვნელობა ამ გამოთქმისა მართლაც გულისხმობს „განუზომლად მეტს და შეუდარებლად უკეთეს ნაწილს გაყოფისას", მაგრამ არა აუცილებლად ამ ორივე მომენტის გაერთიანებას — ძირითადია სწორედ „განუზომლად მეტი"-ს მნიშვნელობა. ეს ჩინებულად უწყოდა რუსულის ლევან კიკნაძეზე

არანაკლებ მცოდნე „რუსულ-ქართული ლექსიკონის" შემდგენელმა (თბილისი, 1937 წ.), როდესაც გამოთქმას — Он забрал себе львиную долю — ასე თარგმნიდა: უდიდესი ნანილი მიისაკუთრა (გვ. 398). ქართულში კიდევ უფრო აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია იმისა, რომ „ლომის ნილმა" გამოხატოს გაყოფა-განაწილებისას უმეტესი და არა უკეთესი ნაწილი. ასე რომ, „ლომის ნილი აბიტურიენტთა ნაწერებისა" სწორედაც ქართულში დამკვიდრებულ გაგებას — შეუდარებლად მეტი ნანილი — გულისმობს და არასგზით შეცდომად არ ჩაითვლება.

ბ) უნდა იყოსო „აბიტურიენტთა ნაწერების ლომის წილი"... და არა „ლომის ნილი აბიტურიენტთა ნანერებისა" — ე.ი. დოც. ლ.კიკნაძე გვიკრძალავს ფრაზაში პოსტპოზიციურ წყობას; რა წესისა და კანონის ძალით, ალაჰმა უწყის! ვინც სმენაზე მწყრალად არა ბრძანდება, ის მიხვდება, რომ აქ სწორედ ჩვენეული წყობა სჯობს, ვინაიდან ამით თავიდან ვიცილებთ ნათესაობითი ბრუნვის ფორმათა მიჯრას, რაც არც სტილისტურად არის მიზანშეწონილი და შეიძლება აზრიც გააბუნდოვნოს; მაგრამ იმისთანა „ნვრილმანს", როგორიც „შეცდომათა" მეცნიერული დასაბუთებაა, ვინ დაგიდევს: კრიტერიუმი ერთადერთია, ინსტანცია — უმაღლესი, მსჯავრი — საბოლოო და სამისდღეშიო: მას, ლევან კიკნაძეს, არ გაუგონია; მას, ლევან კიკნაძეს, არ წაუკითხავს; მას, ლევან კიკნაძეს, არ მოსწონს. განა რით მოგვიპოვებია ენის სჯულმდებლის უფლება და ავტორიტეტი, საოცარია (და — სასაცილოც), ღმერთმანი!

გ) დოც. ლ.კიკნაძე წერს: *„არც ორიენტირის მნიშვნელობა ესმის სწორად ხსენებული ჟურნალის დამატების რედაქტორს: ეტყობა, ორიენტირი მას ხელში დასაკავებელი რალაც ხელსაწყო ჰგონია. „სილამაზის ორიენტირი", რომელიც თურმე „ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდებს უკულმართულად აქვთ მიმართული", უაზრო შესიტყვებაა"*... თანაც, თურმე — „უკულმართულად აქვთ მიმართული" ვერაფერი ქართულია.

უნდა გამოვტყდე, ორიენტირი, მართლაც, ხელსაწყოც მგონია და არა მარტო მე, არამედ ჩემსა და ლევან კიკნაძეზე უფრო მეტად ჩახედულ ხალხსაც ამ სფეროში; დოც. ლ.კიკნაძეს რომ ეგონა, ირონიული ისარი ესტყორცნეო, თურმე ბუმერანგი ყოფილა და ავი მუსაიფით დაუბრუნდა მსროლელს; ამაში დასარწმუნებლად ლექსიკონებს ჩავხედოთ: Краткий словарь иностранных слов, М., 1951, გვ. 281; Ориентир — 1) указательный прибор,указатель... ახლა სხვა, უფრო სრული ლექსიკონი გადავფურცლოთ: Словарь иностранных слов,М.,1954 გვ. 500; Ориентирь — 1) указатель... თანაც ორივე ლექსიკონი ადასტურებს — ორიენტირს, შესაძლოა, ორიენტაციის მნიშვნელობაც ჰქონდესო. ორიენტაცია კი სწორედ მოქმედების გარკვეული მხარისკენ მიმართვაა; მოკლედ, ორიენტირი, რომელიც სილამაზეს უნდა მიუთითებდეს, ადამიანს, შესაძლოა, სწორადაც ჰქონდეს მიმართული

და უკულმართულადაც (თანაც არა მარტო სილამაზისა, არამედ — ეთიკური ორიენტირიც).

სწორედ ეთიკურმა ორიენტირმა უმტყუნა დოც. ლ.კიკნაძეს, როდესაც ავტორთა მიერ ხელმოუწერელ სარედაქციო მასალებში მოხჩრეკილი „შეცდომები" უშუალოდ რედაქტორ თამაზ კვაჭანტირაძეს მიანერა. „დაუნჯებული ფორმის" გარდა ყველა მაგალითი მოყვანილია ხელმოუწერელი მასალიდან. რამ უნდა დაგვზაფროს ისე, რომ ელემენტარული ლიტერატურული ეთიკის ნორმები დაგვავიწყოს? ვითომ ასეთი მიამიტია კიკნაძე, რომ არ იცოდეს — სარედაქციო წერილებს, წერილების ანოტაციებს, ავტორთა წარდგინებებს რედკოლეგიის სხვა წევრებიც ან რედაქციის მუშაკებიც წერენ? თუმცა ლ. კიკნაძისაგან არც ამის უცოდინარობა გაუკვირდება მკითხველს, მაგრამ ამჯერად უვიცობასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ — ინსინუაციასთან. კიდევ კარგი, რომ დოც. ლ. კიკნაძე, მეტი რომ არა ვთქვათ, ნაკლებად არის ჩახედული ენისა და სტილის საკითხებში და ამის გამო ისეთი „შეცდომები" მომანერა, რომელთაც მე მართლაც უყოყმანოდ მოვაწერდი ხელს; მაგრამ მართლაც რომ გაპარულიყო შეცდომა ამგვარ მასალაში, რომელიც რედაქტორ თამაზ კვაჭანტირაძეს არ დაუნერია და რომლის შესახებ ლევან კიკნაძე მკითხველს ხელების ფშვნეტით ახარებს: თ.კვაჭანტირაძე (ამ დამატების რედაქტორი) წერს: „საფიხვნო ბჭობის, აზრთა აღებმიცემობის, კამათის ადგილია"-ო? ხომ უაღრესად უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენებდით რედაქტორსაცა და გამონათქვამის ავტორსაც. მართალია, რედაქტორი პასუხისმგებელია ხელმოუწერელ მასალაზე (სხვათა შორის, ასევე — ხელმოწერილზედაც!), — ეს არ იძლევა არავითარ უფლებას იგი ამ მასალის ავტორად მივიჩნიოთ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია, როგორ „გემოსაც ჩაატანდა" მკითხველი ამგვარს — ილიას თქმისა არ იყოს — „ღრმად მიწევნილის მეცნიერებითა" და „უნმაწურის ყინით" ნაკმაზ სტატიას.

„თავისაცა განიმაგროს..." — დავითის ეს შეგონება ხშირად ავიწყდებათ სხვათა ხვანჯართა „მაფოფნებლებს". ასე დაემართა დოც. ლ.კიკნაძესაც: სხვის თვალში ბეწვის ძებნაზე გაფაციცებული, საკუთარიდან დირის ამოსაღებად როგორღა მოიცლიდა! აი, არასრული სია დოც. ლევან კიკნაძის მიერ ქართული ენის სიწმინდისათვის მიძღვნილ წერილში (!) დაშვებული ენობრივი შეცდომებისა: 1. *„ვინც ხარვეზი რუსულად დაწერილ... რეცენზიაში იხმარა, მისი მნიშვნელობა სცოდნია, მაგრამ რატომღაც რუსული გზის შემოსული უცხო სიტყვა ჰგონებია და რას იფიქრებდა, თუ მას ქართულის არმცოდნე კაცი ვერ გაიგებდა"*... თუ იმ მითიურმა პიროვნებამ, რომელსაც უვარაუდია, რუსულის გზით ქართულში შემოსული სიტყვა შეუძლებელია ქართულის არმცოდნემ (ვთქვათ, იტალიელმა, პაპუასმა, იაპონელმა...) ვერ გაიგოსო — ამგვარი სიბრიყვე მართლაც გაიტარა გულში, რა გვეთქმის! სიტყვები რომ რიგიანად შეგვერჩია და წინადადებაც სინტაქსურად შესაბამისად გაგვემართა, ამ-

გვარ ორაზროვნებას, უფრო სწორად, უაზრობას თავიდან ავიცდენდით; 2. როცა ხატოვან გამოთქმას „ლომის წილს" იწუნებ და ბუკ-ნაღარასა სცემ — რუსულის კალკიაო, თავად არ უნდა იხმარო გაუმართლებელი კალკი „პირველ რიგში"; 3. დოც. ლ.კიკნაძე მძიმეებით არ გამოყოფს განკერძოებულ დროის გარემოებას; იტყვით — კორექტურაა, მაგრამ ერთ წერილში სამჯერ ერთსა და იმავე უხეშ პუნქტუაციურ შეცდომას უკვე სხვანაირი ფერი აძევს (*„ვინც შარშან 20 ოქტომბერს გაზეთ „თბილისში"... „შარშანვე 16 ნოემბერს „თბილისში" ასეთი განცხადება დაიბეჭდა"... „გაზეთ „თბილისში" შარშან 24 აგვისტოს დაბეჭდილი ერთი მიმართვა ასე იწყება"*); 4. პუნქტუაცია-ორთოგრაფიასთან სხვა დროსაც მწყრალად ბრძანდება დოცენტი ლ. კიკნაძე: *„მაგრამ ყველამ, როდი იცის"... „ქართული ენის დამახინჯების ცალკეული შემთხვევების შესახებ ჩვეულებრივ (და ისიც ძალიან იშვიათად) მაშინ წერენ"... „საქინფორმის ცნობაში, რომელიც გაზეთ „კომუნისტ"-ში* (ასეა! შეიძლება ავტორს თანდებულთა ბრჭყალებს გარეთ გატანა მოსწონდეს, მაგრამ მაშინ რა დააშავა გაზეთმა „თბილისმა", რომელსაც ამავე სტატიაში სხვა პრინციპით სვამს ბრჭყალებში?) *დაიბეჭდა..."* 5. სტილისტური უმნეობის მაგალითი უამრავია, ნიმუშად ერთს მოვიყვან: *„კარგი იქნება, თუ გაზეთებში და ჟურნალებში (პირველ რიგში მწერალთა კავშირის და განათლების სამინისტროს ბეჭდვით ორგანოებში) ხშირ-ხშირად დაიბეჭ;ება მკითხველების შენიშვნები არა მარტო იმის შესახებ, თუ ვინ როგორ თარგმნის, არამედ უმთავრესად იმის შესახებაც, თუ ვინ როგორ წერს"...* **ში** თანდებულის ასეთი დახვავება ერთია, მეორე ის გახლავთ, რომ **-ც** ნაწილაკის ფუნქცია **უმთავრეს**-ს ვერ იგუებს, ამიტომ ან: „იმის შესახებაც", ან „უმთავრესად იმის შესახებ".

ამაზე თქმულა: *„ორგულო! აღმოიღე პირველად დვირე თუალისაგან შენისა და მერმე იხილო აღმოღებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა"*.

ახლა თავად მკითხველმა განსაჯოს, თუ შვენის ლევან კიკნაძისნაირ სპეციალისტსა და მოქართულეს დედაენის დამცველის მანტია, ასე უცერემონიოდ რომ მოუგდია მხრებზე თვითდაჯერებულ დოცენტს? აკი ბრძანებდა სულმნათი შოთა: *„მართლად თქმულა: არა ჰმართებს ყვავსა ვარდნი, ვირსა რქანი"*.

რამდენად დიდებული საქმეა დედაენის დაცვისათვის შრომა და რუდუნება, იმდენად უკადრისი — ენის სიწმინდისათვის მებრძოლის სახელს ამოფარებულმა სხვებს (უფალმა უწყის, რისთვის და ვისთვის!) პირადი ანგარიშები უსნორო.

ენის სიწმინდე განუყოფელია აზრისა და გრძნობების სიწმინდისაგან.

P.S. ვფიქრობ, დაკვირვებული მკითხველი ზემოთ წარმოდგენილი სტატიიდან ერთადერთ დასკვნას გამოიტანდა — დოცენტ ლევან კიკნაძის მიერ შეკონწიწებული შენიშვნები, მისი ე.წ. პოლემიკური პათოსი ტენდენციურო-

ბითა და ღვარძლით ყოფილა ნასაზრდოები. სწორედ აქედან იღებს სათავეს მათი ავტორის არაკომპეტენტურობა და არაკორექტულობაც. საოცარი კია: დოც. ლ.კიკნაძე სხვას უკიჟინებს იმ ცოდვებს, რომლებიც სწორედ მას ამძიმებს და რომელთა აღმოსაფხვრელად იღწვის „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში". იქნებ ცილისმწამებლური წერილი პასუხის ღირსადაც არ მეცნო, მაგრამ ლევან კიკნაძემ ესეც არ იკმარა და იმ სტატიას ზემდგომ ორგანოებში სხვა წერილებიც — უფრო სწორად, საჩივრებიც მიადევნა, რომლებშიც ცნობილი იგავ-არაკის გმირის არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაიყენა თავი: ლუპით მწერთა მჩხრეკს სპილო ვერ, უფრო სწორად, არ შეუმჩნევია. ყველამ კარგად იცის, რომ ჟურნალის განახლება-გადახალისება იოლი საქმე არ არის. მას ობიექტურ სირთულეებთან ერთად ზოგჯერ შეცდომებიც ახლავს. ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენი დამატება უნაკლოდ გვეჩვენებოდეს — განა ცოტა კეთილმოსურნე შენიშვნა მივიღეთ მადლიერების გრძნობით? მაგრამ ამ შენიშვნების მიზანი დამატების შემდგომი სრულყოფა-გაუმჯობესება იყო და არა — მისი ღვარძლიანი განქიქება.

დაე, ისიც იცოდეს მკითხველმა, რომ პატივცემულ ლევან კიკნაძის პასკვილები ზემდგომ ორგანოებშიც განიხილეს კომპეტენტურ მეცნიერებთან, პედაგოგებთან და ჟურნალის მუშაკებთან ერთად. მაშინ, იმ შეხვედრაზე, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ დოცენტ ლევან კიკნაძის „თხზულებები" საქმის ინტერესით კი არ არის ნაკარნახევი და შთაგონებული, არამედ პირადი, არცთუ კეთილშობილური მოტივებით. სამწუხაროდ, ზოგჯერ ასეც ხდება: ადამიანი საერო საქმისთვის თავდადებული მოღვაწის გვირგვინს ნაეპოტინება, სინამდვილეში კი პიროვნულ ანგარიშსწორებას ანაცვალებს საზოგადო საქმესაც, ჭეშმარიტებასაც, მოქალაქეობრივ სინდის-პატიოსნებასაც, სპეციალისტისა და მეცნიერის ეთიკაზე რომ არაფერი ვთქვათ. მიმძიმს, ძალზე მიმძიმს ასეთი პასუხის გაცემა, მაგრამ ერთხელ და საბოლოოდ ხომ უნდა გამოვააშკარაოთ აგრესიული უვიცობა, ვითომდაც მეცნიერულ ნიადაგზე გადამყნობილი ღვარძლი და ცილისწამება. ამას იმიტომაც ვამბობ, რომ ლევან კიკნაძის „პოლემიკური შემოქმედება", რომლითაც გაბეზრებულია დედი თუ პატარა, ყოველგვარი ეთიკისა და ზნეობის საზღვრებს სცილდება: განა ნორმალურია, ჩაუსაფრდე კოლეგას, შეადგინო მასზე ცილისმწამებლური „დოსიე", მტრად მოეკიდო, უფრო მეტიც, ხალხისა და საქმის ინტერესების მტრად დასახო ყველა, ვისაც შენგან ათვალისწუნებული ჟურნალი მოსწონებია და მის რედაქტორზე კეთილი სიტყვა უთქვამს? ლევან კიკნაძის „დანოსებიდან" ისე გამოდის, თითქოს არსებობდეს რაღაც ფარული, მაგრამ მასობრივი და ქმედითი ორგანიზაციული „ქსელი", რომელიც მის ჯიბრზე შეითქვა „დასახური" ჟურნალისა და მისი რედაქტორის აღსაზევებლად; ვიღა არ ყოფილა, თურმე, ამ „ქსელის" წევრი — უნივერსიტეტი, განათლების

სამინისტრო, ტელერადიო კომიტეტი, პრესა... მოკლედ, ლამის მთელი საქართველო კიდეც დაბრმავებულა და კიდეც დაყრუებულა — ერთადერთი, კიკნაძე ამჩნევს, რომ მე ეკრანიდანაც, ჟურნალიდანაც და ტრიბუნიდანაც თურმე დანაშაულებრივ „ერესს" ვავრცელებ. რა შეიძლება ითქვას ამ მანიაკალურ „იდეა ფიქსზე"? მხოლოდ ის, რომ მეცნიერებაში ხელმოცარულ კაცს ანვალებს თავისი „სიბერნე" და აღიზიანებს, მოსვენებას უკარგავს სხვათა მცდელობა.

გული მიგრძნობს — ამ პასუხის დაბეჭდვით, ალბათ, კიდევ რამდენიმე წლის საქმეს გავუჩენ პასკვილების ავტორს და, სამწუხაროდ, იმათაც, ვისაც ლ.კიკნაძე, უეჭველია, საჩივრებით მიმართავს. რა გაეწყობა, ნუგეშად ისღა დამშთენია, რომ ეს წერილი თუ თვითონ კიკნაძეს არა, სხვებს მაინც ჩააფიქრებს იმაზე, რაოდენ არასახარბიელოდ შეიძლება წარმოაჩინოს ადამიანი არაობიექტურობამ, არაკომპეტენტურობამ და გულღვარძლიანობამ, — თვისებებმა, ესოდენ შეუთავსებელმა მეცნიერის სტატუსთან.

„სკოლა და ცხოვრება", N7, 1980

მუსტაფაზე მეტი მოგვეთხოვება

ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" რედაქციამ სთხოვა „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" რედაქტორს თამაზ კვაჭანტირაძეს კომენტარი გაეკეთებინა საფიხვნოში გამოთქმულ მოსაზრებათათვის.

მადლობა მინდა მოვახსენო „საფიხვნოს" უკლებლივ ყველა მონაწილეს, რომ მათ გამონახეს დრო და საშუალება — შეესრულებინათ რეაქციის თხოვნა და თავიანთი აზრი გამოეთქვათ ჟურნალ „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" დღევანდელ სახეზეც და იმაზეც, თუ რა უნდა ვიღონოთ სახვალიოდ მის გასაუმჯობესებლად: კეთილი სიტყვით წაგვახალისეს, საქმიანი რჩევები მოგვცეს, დამაფიქრებელი შენიშვნებიც მოგვასმენინეს... მხოლოდ გამოუსწორებელ ბრიყვებს ჰგონიათ, რომ შეუმცდარნი არიან — ჩვენ, რედაქციის მუშაკები, ვცდილობთ მათ მდგომარეობაში არ ჩავიყენოთ თავი. შეიძლება ვინმემ იფიქროს, ამაოდ გასარჯეს და მოაცდინეს ეს საქმიანი ხალხი — რა პრობლემებიც აქვს ჟურნალს, რას ვერ მოაბა თავი, რა უნდა იღონოს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და წარმატებათა გასაღრმავებლად — ეს ყველაზე უკეთ თვით რედაქციის მუშაკებმა უნყიანო. მართლაც, ქოთნის ამბავი ყველაზე უკეთესად ციცხვმა

იცის, მაგრამ ნურც იმ ბრძნულ გამონათქვამს დავიიწყებთ, რომ „სხვისი სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“... ვეცდები, გვერდი არ ავუარო მსჯელობისას წამოჭრილ მტკივნეულ პრობლემებს და მცირე ახსნა-განმარტება მივაწოდო როგორც თვით „საფიხვნოს“ მონაწილეებს, ასევე — მკითხველს.

„საფიხვნომაც“ წარმოაჩინა ის, რაც ერთგვარ „განხეთქილების ვაშლად“ გვექცა მასწავლებლებსაც, მეცნიერებსაც, მეთოდიკის სპეციალისტებსაც და რედაქციის მუშაკებსაც — წმინდა მეთოდიკურ მასალათა ხვედრითი წონისა და ხარისხის პრობლემა ჩვენს ჟურნალში. არ მინდა მხოლოდ ამ „საფიხვნოში“ გამოთქმული მოსაზრებებით შემოვიფარგლო — პირად საუბარში უფრო მკვეთრად გამოუხატავს ზოგ მეთოდისტს თავისი უკმაყოფილება ჟურნალის გეზის ერთგვარი შეცვლის გამო: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ იყო და უნდა დარჩეს მეთოდიკურ კრებულად — სხვა სახის მასალას მასწავლებელი „მნათობში“, „ცისკარში“, „კრიტიკაში“, „მაცნეში“ წაიკითხავს, აქ კი ძირითადად ჩვენ უნდა ვიბეჭდებოდეთო. რა გვეთქმის ამაზე? ჯერ ერთი, ჩვენი დამატება წინათაც არასოდეს ყოფილა წმინდა წყლის მეთოდიკური ჟურნალი, მასში ყოველთვის იბეჭდებოდა არამეთოდიკური მასალა, მეცნიერული სტატიები ენისა და ლიტერატურის შესახებ. მთელი ჟურნალი რომ მხოლოდ მეთოდიკურ ასპექტზე დაგვეყვანა, მხოლოდ კითხვა — „როგორ ვასწავლოთ“ — რომ ფიგურირებდეს სტატიათა სათაურებში, ამით, შესაძლოა, ზოგიერთი ენანყლიანი, უფრო ზუსტად, კალამწყლიანი მეთოდისტის გული კი მოგვენადირებინა, მაგრამ, მერწმუნეთ, შემოგვწყრებოდა პრაქტიკოსი მასწავლებელი, მისი ინტერესები კი ჩვენ გაცილებით ძვირად გვიღირს. პრაქტიკოს მასწავლებელს, რომლის ვითომცდა სურვილსა და მოთხოვნილებას იხვევენ ხოლმე ხშირად ხელზე ჩვენს ჟურნალში თავიანთი საკვალიფიკაციო თუ ნლიური შრომების დასტამბვის მოსურნენი, მხოლოდ ის ასპექტი კი არ აინტერესებს, თუ როგორ უნდა ასწავლოს, არამედ ისიც, რა უნდა ასნავლოს, რა უნდა იცოდეს გაკვეთილზე გადასაცემი მასალის შესახებ. ამით სრულებითაც არ ვამცირებთ მეთოდიკური ასპექტის მნიშვნელობას ჩვენი დამატებისათვის, მაგრამ იგი მაინც ერთ-ერთ — და არა ერთადერთ — ასპექტად გვესახება. მეორე უკიდურესობაში გადავარდნა და მეთოდიკის სრული უგულებელყოფაც, ცხადია, ხეირს არ დაგვაყრის. ამ მხრივ საინტერესო იყო „საფიხვნოში“ გამოთქმული მოსაზრებანი ჩვენი პრაქტიკოსი მასწავლებლებისა: მათ არანაკლებ საჭიროდ და გამოსადეგად მიაჩნიათ თავიანთი თვალსანიერის გამამფართოებელი და საგნის მეცნიერულ სიახლეებს მაზიარებელი მასალის ბეჭდვა, ვიდრე — მეთოდიკურისა.

პატივცემული თამარ ბურჯანაძე, გამოცდილი პედაგოგი, ბრძანებს: *„სრულებით არ გვჭირდება დატკეპნილი, ტრაფარეტული ხასიათის მეთო-*

დიკური წერილები (ერთმანეთს ტყუპისცალებივით რომ ჰგავს!), თუ როგორ ვასწავლოთ ესა თუ ის მასალა ენასა და ლიტერატურაში, როგორ შევადგინოთ გეგმები, რა კითხვები დავსვათ და ასე შემდეგ"... შემდგომ იგი ჩამოთვლის კიდეც ჩვენს ჟურნალში დაბეჭდილ სტატიებს, რომლებიც მას და მის კოლეგებს, მისი აზრით, მაინცდამაინც არ არგია... და, რაც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, ხუთიეე დასახელებული სტატია მეთოდიკურია! ეს მომენტი საგულისხმოა, თუმცაღა აქედან მხოლოდ ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ პრაქტიკოს მასწავლებელს სჭირდება მხოლოდ მაღალი დონის მეთოდიკური წერილები. ბარემლა აქვე ვიტყვი, რომ დასახელებული მეთოდიკური წერილებიც, ჩემი აზრით, აკმაყოფილებს მათდამი წაყენებულ მოთხოვნილებას; ისეთი დიდად გამოცდილი და დახელოვნებული მასწავლებლისათვის, როგორიც პატივცემული თამარი ბრძანდება, შესაძლოა, მეთოდიკური რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა ასწავლოს შერწყმული წინადადება ან „ამირანი", ზედმეტიც იყოს, მაგრამ ახალბედათათვის (და — არა მარტო მათთვის!) ზემოდასახელებული მეთოდიკური სტატიები, ასე მგონია, ურგები მაინც არ ყოფილა.

აქ მივადექით პრობლემის გულს — მეთოდიკური წერილები გვჭირდება, მაგრამ იმდენს ვერ ვბეჭდავთ, რამდენიც გვინდა და რამდენიც საჭიროა. არ იფიქროთ, რომ მეთოდიკური წერილები ცოტა შემოგვდიოდეს — თუ რაიმეთია გაძეძგილი ჩვენი სარედაქციო პორტფელი, პირველ ყოვლისა, სწორედ მეთოდიკური წერილებით, განსაკუთრებით — მასწავლებელთა გამოცდილების ამსახველი მასალით. სამწუხაროდ, მეთოდიკური წერილები — არა მარტო პრაქტიკოსი მასწავლებლისა, არამედ მეთოდიკის დარგში მომუშავე სპეციალისტებისაც — არცთუ იშვიათად დაბალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული, თვითმიზნურია (ე.ი. მისი გამოქვეყნებით მარტოოდენ ავტორის ნაშრომთა ნუსხას, თორემ სხვას არაფერს შეემატება) ნაკლებად შეიცავს განმაზოგადებელ დებულებებს და, როგორც წესი, არც სტილისა და ენის მხრივ უქნია ღმერთს. ერთი წყება ამგვარ ავტორთაგან ჩვენმა რედაქციამ თავი „მტკიცედ მოიზღუდა". მეორე წყებამ, ეტყობა, უკეთესი დარების მოლოდინში მოცდა ამჯობინა და ჯერჯერობით ჩვენს რედაქციას სათოფეზე არ ეკარება. ასე რომ, მეთოდისტთა საყვედური, მეთოდიკურ მასალას ცოტას ბეჭდავთო, ბუმერანგივით მათვე უბრუნდებათ: ჩვენ რომ დავბეჭდოთ, ჯერ მათ უნდა დაგვინერონ, თანაც ისე, რომ დაბეჭდვად ღირდეს. ერთ დიდად პატივსაცემ მეთოდისტს, ცხარედ რომ მიმტკიცებდა, ჟურნალი მეთოდისტებს უგულებელგვყოფსო, ამგვარ საყვედურზე შევკადრე — თუ მოგიტანიათ ამ ხუთი წლის განმავლობაში თქვენ ან თქვენი კათედრის წევრებს ჩვენთან რაიმე მასალა-მეთქი; მე ბეჭდვა არ მიჭირს — წიგნებს ვცემ; თუ მეთოდიკური წერილები გჭირდებათ, აქეთ უნდა შემომეხვეწოთ, მომეძალოთ და დაგინერთო, — მიპასუხა. მოკლედ, ეტყობა, ზო-

გიერთს საკუთარი „ჩინ-ტემლაკების" შეურაცხყოფად მიაჩნია, თუ წინასწარ დაბეჭდვის გარანტია არ მიეცი, მეტიც, თუ კალთები არ დააგლიჯე, ისე ითანამშრომლოს ჟურნალთან. ამგვარი ამბიციები, ერთი ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს. ჩვენ ამნაირი „შენჩემობისაგან" შორსა ვდგავართ — ბევრი ჩვენი ავტორი დაგვეთანხმება, რომ საჭირო მასალის მოსაპოვებლად კიდეც შევხვეწივართ და კიდეც მივძალებივართ — უფრო მეტიც, ზოგჯერ მართლაც ლამის „კალთები დაგვიგლეჯია" მათთვის (ცხადია, ეს იმ ავტორებს ეხებათ, ვისგანაც წალმართიან და სასმენად ღირებულ სიტყვას ელის მკითხველი). ამგვარი ავტორები მეთოდისტთა წრეშიც გვეგულება, რედაქციას მათ შორისაც ჰყავს აქტიური თანამდგომნი — პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი მარიამ თაბორიძე, მეცნიერებათა კანდიდატები ლეილა შალვაშვილი, დარეჯან ბერიძე, ეთერ გულდამაშვილი, როზა გაბეჩავა, ბორის მიშველაძე, დალი ლორია, ნელი რუხაძე, ნათელა ხოშტარია, ირინე ჯაფოშვილი... რამდენიმე პრაქტიკოს-მასწავლებლის ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, ბევრისა, სამწუხაროდ — არა. უნდა ვაღიაროთ, რომ, ეტყობა, რედაქციაც სცოდავს და ისე ეფექტურად ვერ მუშაობს ამ თვალსაზრისით პრაქტიკოს მასწავლებლებთან, განსაკუთრებით, პერიფერიებში მოღვაწეებთან, როგორც ეს საჭიროა. თუმცა ერთ ფორმას მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარებისას ჩვენ მაინც მივაგენით: ვგულისხმობ ჩვენი დამატების „საფიხვნოებს", რომლებშიც წარმოდგენილი მასალა ძირითადად მეთოდიკური მიზანდასახულობისაა.

და მაინც, ფაქტი ფაქტად რჩება, ეს სატკივარი — მაღალი დონის მეთოდიკური სტატიების ნაკლებობა — რაღაცნაირად მოსაელელია. რედაქციამ, რომ იტყვიან, თუნდაც თავში ქვა იცეს — რახან სკოლის საჭიროება მოითხოვს, ყველა საშუალებით უნდა ვეცადოთ მეთოდიკური მასალის ბეჭდვას... ყველა საშუალებით, გარდა ერთისა: ჩვენ ვერ შევამცირებთ მომთხოვნელობას ამგვარი წერილების მიმართ, ვინაიდან ურყევი რჩება პრინციპი — ცუდის დაბეჭდვას სულაც დაუბეჭდაობა სჯობია — ასე ადგილი მაინც არ დაგვეკარგება ჟურნალში და შეგვეძლება მასწავლებლებისთვის ასევე საჭირო სხვა სახის მასალა ვბეჭდოთ.

კარგი მეთოდიკური წერილების უკმარობა ახალი ამბავი არ გახლავთ — პროფესორი ივანე ქავთარაძე, ჩვენი დამატების რედაქტორი 1974-78 წლებში, წერს: *„ამ თვალსაზრისით (ე.ი. მეთოდიკური ასპექტის) მასალები, სამწუხაროდ, ძველადაც გვაკლდა და ახლაც გვაკლია"*. მოკლედ, ეს სატკივარი მემკვიდრეობით მივიღეთ და მისი მკურნალობა, პირველ ყოვლისა, თავად მეთოდიკური ცენტრებისა და მეთოდისტთა საქმეა, უფრო სწორად, მათი ზირდაპირი მოვალეობა გახლავთ — ჩვენ მხოლოდ ხელის შეწყობა გვევალება.

რახან სიტყვა მემკვიდრეობასა და ტრადიციებზე ჩამოვარდა, ბარემლა აქვე გაგიზიარებთ ჩემს მოსაზრებას პროფესორ გიორგი შალამბერიძის —

ჩვენი დამატების პირველი რედაქტორის — თვალსაზრისზე: ჟურნალს ძირითადი მიმართულება არ შეუცვლიაო; უფრო მეტიც, მისი თქმით: *„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ 1966 წლიდან გამოდის, ასე რომ, ბოლო ოც ნომერს წინ უძღოდა 47 ნომერი, რომლებიც, თუ ბოლო ოც ნომერს ყლორტებად მივიჩნევთ, ფესვებად შეიძლება ჩაითვალოს“*. ღმერთმა დაგვიფაროს იმგვარი უმადურობისაგან, რომ ხელი ავიღოთ ჩვენს უშუალო წინაპართა ამაგსა და მემკვიდრეობაზე, მაგრამ, თუ მაინცდამაინც საჭირო გახდებოდა ხატოვნად აღგვეწერა გენეალოგიური ხე ჩვენი დამატებისა, მაშინ, ჩვენ ასე გვგონია, მისი ფესვები უფრო შორეულ წარსულშია საძებარი და არა — 1966 წელს, როცა იგი ამ სახელით მოევლინა ქვეყანას. ჩვენი რწმენით, „ქართულ ენასა და ლიტერატურას სკოლაში“ ფესვები ქართული მწიგნობრობის უძველეს კერებში გაუდგამს, ზროდ მას დიდ სამოციანელთა ნაშრომ-ნაღვაწი — პირველ ყოვლისა, იაკობის „დედა ენა“ — უდგას, გრჯღად კი ლუარსაბ ბოცვაძის „განათლება“ და მერმინდელი „ახალ სკოლისაკენ“ და „სკოლა და ცხოვრება“ გვეგულვის. ასე რომ, ჩვენი დამატება სხვადასხვა ეტაპისა — 1966-73 წლებისა, 1974-78 წლებისა და 78 წლიდან მოკიდებული დღემდე — ყველანი ამ მძლავრი ხის რტოები ვართ; ხეს კი გადაბელვა უხდება — მის სახეიროდ გამხმარს, კეწეწსა და ფშუტუროს შემოაცლიან, რათა ნეკერს ხელი არ შეუშალოს ზრდაში. ამაში არაფერია უჩვეულო და საწყენი — მოვა შემდგომი თაობაც და, რასაც ჩამოსასხეპს ნახავს, ჩვენც ჩამოგვსხლავს... მთავარია, ფესვები და ზრო არ დავუზიანოთ და გავუმრუდოთ ჩვენს დამატებას, თორემ დროდადრო ტოტების ზომიერად გადაბელვა საქმეს მხოლოდ წაადგება.

ჭკვიან კაცს უთქვამს: თანამემამულეთაგან კრიტიკა რომ არ მწყინდეს, მაშინ აღარც მათი ქება მეამებოდაო. რა დასამალია და, გვესიამოვნა რედაქციის მუშაკებს, როცა ჩვენი კნინი ღვაწლის ასეთი შეფასება მოვისმინეთ: *„მიკიბ-მოკიბვის გარეშე, ამთავითვე უნდა მოგახსენოთ, რომ ჟურნალი სწორ გზაზე დგას, კეთდება იგი საქმის მცოდნე, მონდომებული, ქვეყანასა და სკოლაზე გულატკივებული ადამიანების ხელით და კეთილი ნაყოფიც უკვე ჩანს; „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ ერთი პოპულარული ჟურნალია დღეს. მას დაეძებენ, ელიან და სიამოვნებით კითხულობენ ისინიც კი, ვისაც სკოლაში ქართულის მასწავლებლის საპატიო მისია არ არგუნა ბუნებამ“*... და ვერც იმას დავმალავთ, რომ ასევე გულწრფელად დაგვწყვიტა გული ამ სტრიქონების ავტორის, მწერლის, კრიტიკოსისა და უახლესი ქართული ლიტერატურის სპეციალისტის რევაზ მიშველაძის ზოგიერთმა კრიტიკულმა შენიშვნამ. აფერუმ თქვენს საქმეს, თუ გუნდრუკის კმევაზე ყაბულს ბრძანებულხართ, შენიშვნებს კი ყალყზე ხვდებითო, — შეიძლება გაიფიქროს მკითხველმა. ამ ეჭვის გაქარწყლება მხოლოდ საბუთიანი განსჯით შეიძლება; როგორც ძველად იტყოდნენ, ვახსენებ ღმერთს და

— შევეცდები. წინასწარ კი იმას მოგახსენებთ, რომ საქმეს ნაკლებად ნაადგება ქედმაღლური პოზა, როცა კრიტიკას ყურს წაუყრუებენ ხოლმე — აქაოდა, მე ჩემს გზას ვადგავარ და სხვათა სუსხიანი სიტყვა კოლო-ბუზების ბზუილად მიჩნსო. პირიქით, ჩვენ დიდად ვაფასებთ პროფესორ რევაზ მიშველაძის აზრს და ამიტომაც ვუთმობთ მას ამდენ ადგილს.

ზემოთ ციტირებული, როგორც თავად ბრძანებს, „ტკბილი" შესავლის შემდეგ პატივცემული რევაზი დაპირისპირების მხატვრული ხერხის მოხმობით გვამცნობს — რა წაუკითხავს ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე და რა — ვერა. ბევრი რამ, რაც წაუკითხავს, იმგვარი ყოფილა, რომ სჯობდა იმ სახით არც დაგვებეჭდა, ხოლო რაც წაკითხვის ღირსად მიაჩნდა და სანთლით უძებნია, მისთვის ჩვენს ჟურნალში ვერ მიუკვლევია. მაგალითად, წაუკითხავს მასალები, სადისერტაციო ნაშრომების ფრაგმენტები რომ არის და სკოლასთან შორეული და საეჭვო კავშირი რომ აქვს, ინტერვიუები საგამოცდო კომისიათა თავმჯდომარეებთან, სადაც ისინი თურმე „ოლოლოს" დასძახიან საცოდავ აბიტურიენტებს, წერილები, სადაც ავტორებს კალამი სულმოკლედ მაშინ დაუდევთ, როცა ჩვენი სახელმძღვანელოების ნაკლი უნდა ემხილებინათ. და, პირიქით, ვერ წაუკითხავს, ვერ უპოვია მასალები, რომლებშიც ჩვენი სკოლისა და ჩვენი საგნის სწავლების საჭირბორტო პრობლემები იქნებოდა გაშუქებული, კერძოდ — სახელმძღვანელოთა მოძველება, სწავლების ტექნიკურ საშუალებათა უკმარისობა, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა არაქართულ სკოლებში, აგრეთვე — დეფექტურ ბავშვთა სასწავლებლებში, დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოთა ავკარგიანობა...

თუ ასეთი უბედურება ტრიალებს ჩვენს დამატებაში, რომ იბეჭდება ის, რაც არ უნდა იბეჭდებოდეს და არ იბეჭდება ის, რაც დასაბეჭდია, მაშინ როგორლა „დგას ჟურნალი სწორ გზაზე?" როგორლა „კეთდება იგი საქმის მცოდნე, მონდომებული, ქვეყანასა და სკოლაზე გულატკივებული ადამიანების ხელით?" ჩვენი თანამოაზრისაგან (თვითონ პატივცემული რევაზის სიტყვებია!) გახლავთ ძნელად დასაჯერებელი, თორემ ამგვარ „დატკბილულ" შესავალთა მექანიზმი ჩვენთვისაც ცნობილია — მაღლა, ქვეყნის დასანახად ფარზე იმიტომ აგზიდავენ, რომ ზემოდან უფრო ლაზათიანად დაგაზღვერთონ მიწას.

ცნობისთვის: ა) ჩვენს ჟურნალში, ვფიქრობ, ვერავინ ნაიკითხავდა ისეთ ნერილს, რომელსაც „საეჭვო და შორეული კავშირი" ჰქონდეს სკოლასთან; და თუ რამე ჩაგვეთვლება დამსახურებად, შესაძლოა, პირველ ყოვლისა, ის, რომ ჩვენთან არ იბეჭდება მასალა, რომელიც ჟურნალის თემატიკას არ მიესადაგება. ხოლო, რაც მიესადაგება და შესაფერისია, იმას სადისერტაციო შრომაში შეიტანს ავტორი თუ შრომიდან გამოიტანს, ეს ჩვენ არც გვეკითხება და არც ვეძიებთ; ბ) არც საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეებს და არც რუბრიკას

„ვიცინოთ თუ ვიტიროთ" თვითმიზნად არ გაუხდიათ აბიტურიენტთა დაცინვა — ისინი გვიხატავენ ჩვენი საგნის სნავლების სნორედ იმ რეალურ, შეულამაზებელ სურათს, რომელიც, თურმე, სანთლით უძებნია და ვერ კი უპოვია ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე პროფ. რ.მიშველაძეს; გ) ქართული ენისა და ლიტერატურის სნავლების საკითხი არაქართულ სკოლებში ჩვენც მტკივნეულ საკითხად რომ მიგვაჩნია და ეს პრობლემა ლუპით საძებარი რომ არ გახლავთ ჩვენი დამატების ფურცლებზე, ამას ადასტურებს საგანგებო რუბრიკა — „სიყვარული გზად და ხიდად" და ამ რუბრიკით გამოქვეყნებული სტატიები თამარ ციხისელისა (1979 წ. N2), მამუკა თავხელიძისა (1980 წ. N4), გრიგოლ ბერიძისა (1978 წ. N3), მადათ ჩობანოვისა (1978 წ. N4); დ) სახელმძღვანელოთა ავ-კარგზე სჯა-ბაასს რომ ჩვენი ავტორები არ უფრთხიან და ჩვენი ჟურნალიც რომ არ ალამაზებს ამ თვალსაზრისით არსებულ მძიმე ვითარებას, ამაში დასარწმუნებლად თითქმის ყოველი ნომრის „საფიხვნო" გამოდგება; სანიმუშოდ მოვიტანთ კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვნილი ნომრიდან (1982 წ. N3) რამდენიმე ამონაწერს. აი, როგორ მსჯელობენ სახელმძღვანელოს შესაბამისი მონაკვეთის ავ-კარგზე პრაქტიკოსი მასწავლებლები: *„სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალა დამაკმაყოფილებლად ვერც ერთ საკითხზე ვერ იძლევა პასუხს, ცალმხრივი, სქემატური, მშრალი და ზოგადია; სახელმძღვანელომ კი მოსწავლეს ნაწარმოებისადმი პიროვნული, დამოუკიდებელი მიდგომა უნდა გამოუმუშაოს"... „X კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს ბევრი სერიოზული ნაკლი აქვს... სქემატურად არის მოწოდებული მწერლის მდიდარი ბიოგრაფია. სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ კონსტანტინე გამსახურდია იყო ყველაზე რეაქციული ლიტერატურული დაჯგუფების ხელმძღვანელი. მოსწავლეებს აინტერესებთ, რაში გამოიხატებოდა ეს რეაქციულობა და კონკრეტულად როგორ და რამდენად აისახა იგი მწერლის შემოქმედებაში... მაგრამ წიგნის მოცემული მონაკვეთის ყველაზე მთავარი, არსებითი ნაკლი ის გახლავთ, რომ გვერდი აქვს ავლილი „დიდოსტატის" მხატვრული მხარის ანალიზს"... „სახელმძღვანელოში კ.გამსახურდიას შემოქმედებითი ანალიზი ძალზე სქემატურია; სათანადო ასახვას ვერ პოულობს გიორგი მეფის ეპოქის სირთულე, არაფერია თქმული იმდროინდელ კულტურაზე, კერძოდ — ხუროთმოძღვრებაზე, ნაწარმოების მხატვრულ ღირსებებზე"... „განხილვაში... არაფერია თქმული კონსტანტინე გამსახურდიას თავისებური ენობრივი სამყაროს შესახებ... შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ, მგონია, რომ გმირთა ხასიათები, მათი შინაგანი ფსიქოლოგიური სამყარო თითქმის სრულიად გაუხსნელია"...* გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, მეტი რაღა კრიტიკული პათოსი მოეთხოვებათ სახელმძღვანელოთა მიმართ ჩვენს მასწავლებლებს? ე) რაც შეეხება დეფექტურ ბავშვთა სნავლების საკითხს და დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოთა ხარისხს, ეს პრობლემები ჩვენი ძირითადი ჟურნალის „სკოლა და ცხოვრებისა" და მისი დამატების

„დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა" კომპეტენციაში უფრო შედის და, რამდენადაც ვიცი, მათ ეს უბანი უყურადღებოდ არ აქვთ მიტოვებული.

რევაზ მიშველაძემ, დაგეშილი მწერლური თვალის პატრონმა, ეს ყველაფერი ვერ დაინახაო, ამის დაჯერება არ შეიძლება; არ დაინახაო — ამის დაჯერება ჩვენ არ გვინდა. ისღა დაგვრჩენია, რომ ვივარაუდოთ — დიდად გადატვირთულ მწერალსა და სპეციალისტს, ეტყობა, ჩვენი დამატების საფუძვლიანად გასაცნობად ვერ მოუცლია და ჩანს, ვერც მთლად სანდო და კეთილსინდისიერი საინფორმაციო წყაროთი უსარგებლია...

რაც შეეხება მის სამ „შინაურულ" რჩევას, უფრო სწორად, მამაშვილურ დარიგებას ანუ ზნეობის მცირე, ჭკუისსასწავლებელ გაკვეთილს, რომელიც საქვეყნოდ და უანგაროდ ჩაგვიტარა პატივცემულმა მწერალმა-სპეციალისტმა, მადლობის მეტი რა გვეთქმის. არა კაც კლა და არა იმრუშოო — არ შეუხსენებია, თორემ — არა ამჩატდე, არა იკინკლაო, არა უსნორო ანგარიში, არა მიემხრო უღირსთ, არა ილაჩროო — ამისკენ კი გულწრფელად მოგვიწოდა პატივცემულმა რევაზმა. ანბანურ ჭეშმარიტებას მაშინ შეახსენებენ ადამიანს, როცა მისგან გადაცდება ან გადაცდენას აპირებს... გადაცდენილნი და სამუდამოდ დაღუპულნი არ უნდა ვეგონოთ პატივცემულ რევაზს — სხვანაირად იგი ვერ დაწერდა — დიახაც თქვენი თანამოაზრე ვარო. ეს უფრო მოლა ნასრედინის მიერ თავისი გოგონასათვის ჩატარებულ მცირე პედაგოგიკურ-დიდაქტიკურ ექსპერიმენტს ჰგავს — დოქით წყალზე რომ გაგზავნა და წინასწარ გააწნა სილა — რომ გატეხავს, მერე ცემა გვიანლა იქნებაო. აღზრდის ეს მეთოდი იშვიათი გამონაკლისის სახით, შესაძლოა, ეფექტურიც იყოს ოჯახურ წრეში მცირენლოვანთა მიმართ, მაგრამ ყოველი მოსალოდნელი გადაცდენის გამო სოლიდური ასაკის ხალხმა რომ ეს ხერხი გამოვიყენოთ, ქვეყანას სილის ლანალუწი გააყრუებდა და სხვა საქმეც არაფერი უნდა გვეკეთებინა.

განსაკუთრებით შეგვაფიქრიანა პატივცემული რევაზის გულახდილმა საყვედურმა — გაბედულება და პრინციპულობა გაკლიათო (*„მეტ კონკრეტულობას და გაბედულებას გირჩევთ"... „ამ და ბევრ სხვა საკითხზე უფრო პრინციპულ, კრიტიკურ საუბარს გირჩევთ, მეგობრებო"... „ეცადეთ უფრო ქმედითი იყოს თქვენი გამოსვლა, ხანდახან ფელეტონისტის ხალათიც ჩაიცვით და მწვავედ გააკრიტიკეთ"* და ა.შ.). გულახდილად უნდა ვაღიაროთ, ჩვენს ჟურნალს ყველაზე ნაკლებ ჰქონდა შიში იმისა, რომ გაუბედაობას და შემგუებლობას უკიჟინებდნენ. თუმცა გამბედაობაც არის და გამბედაობაც! თუ პატივცემული რევაზი გამბედაობას იმ აქტს უწოდებს, რისთვისაც იგი თავად მზად ყოფილა (*„იქნებ სცადოთ მიანდინოთ ხმა, სადაც საჭიროა — გამომიგზავნონ სარედაქციოდ რომელიმე სახელმძღვანელო და მე სრულიად უსასყიდლოდ და უანგაროდ გავუკეთებ რედაქციას. ამოვყრი რაც ზედმეტი და სუსტია და შევავსებ იმით, რაც უფრო გამოადგება დღევანდელი სკოლის მოზარდს"*), მაშინ ჩვენ მართლაც განზე უნდა გავდგეთ: ავტორთა

კოლექტიეები, მეთოდიკური საბჭოები, სამთავრობო კომისიები წლების მანძილზე, ხანგრძლივი წინასწარი მუშაობის შედეგად, დიდი განსჯისა და კამათის შემდეგ ამოიღებენ ხოლმე სახელმძღვანელოდან ძველ ავტორებს და შეაქვთ ახლები. არამცთუ ავტორების, არამედ თითოეული ცალკე ნაწარმოების ქრესტომათიაში შეტანა-არშეტანის საკითხი მისხალ-მისხალ იწონება. მხოლოდ ამგვარი მიდგომაა ერთადერთი სწორი გზა სახელმძღვანელოთა შესადგენად (მე პრინციპზე მოგახსენებთ, თორემ შედეგი ამგვარი მუშაობისა, შეიძლება, „მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა" მაინც ვერ იყოს სახარბიელო!). ამიტომაც ცალკეული, თუნდაც გამოცდილი მწერალ-სპეციალისტის მიერ ავტორთა ასე ხელაღებით „ამოყრა-ჩაყრა", ჩემი აზრით, გამბედაობის საზღვარს სცილდება. ჩვენ რომ ამგვარი გაბედულება გამოვიჩინოთ, „ფელეტონისტის ხალათისა" რა მოგახსენოთ და, ისეთი ხალათი ანუ პერანგი კი შეიძლება გადაგვაცვან თავზე, რომელშიც ყოფნას არც საკუთარ თავსა და არც პატივცემულ რევაზს არც ვურჩევდით და არც ვაკადრებდით.

დასასრულ, ერთი ამონარიდიც პროფ. რ.მიშველაძის მეგობრული შეგონებებიდან: *„ავტორები უფრო მეტად საზოგადოებრივი წონისა და პროფესიონალიზმის მიხედვით შეარჩიეთ და ნაკლებად — პირადი სიმპათია-ანტიპათიით"*. ჩვენს ჟურნალს, ისევე, როგორც ნებისმიერ გამოცემას, თავისი დამოკიდებულება აქვს ცალკეულ მკვლევართა ნაღვაწის მიმართ და ამას, ცხადია, ცოდვად ვერავინ ჩაგვითვლის. აქ მთავარი სხვა რამ გახლავთ — საკმაოდ გამჭვირვალედ და არაორაზროვნად მიგვანიშნეს, რომ ჩვენი სიმპათია-ანტიპათიის საფუძველია მცდარი — უღირსთ ვეძალებით და პროფესიონალებსა და „საზოგადოებრივი წონის" მქონეთ გვერდს ვუვლით. ასეა ვითომ? თუმცა, სჯობს, ფაქტებმა იმეტყველონ; გადავავლოთ თვალი ჩვენს ავტორთა სიას. მანამდე კი შეგახსენებთ, მკვლევართა პროფესიონალიზმსა და მეცნიერულ წონას ჩვენში ხარისხები და წოდებები განსაზღვრავს; შესაძლოა, მეცა და ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ რევაზ მიშველაძესაც ამ საკითხზე განსხვავებული შეხედულება გვქონდეს, მაგრამ ჯერჯერობით ოფიციალურად ეს ასეა. დოცენტებისა და კანდიდატების ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ (მათ კი ბოდიშს მოვუხდი; ბევრი მათგანი, ჩვენი აზრით, ბარე ორ, უფრო მაღალი ცენზის მკვლევარს არ დაუდებს ტოლს) — აი, ნუსხა პროფესორთა და დოქტორთა, რომლებიც ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე დაბეჭდეთ: აკაკი გაწერელია, სოლომონ ხუციშვილი, გაიოზ იმედაშვილი, სერგო ჯორბენაძე, იოსებ მეგრელიძე, ლევან კვაჭაძე, უშანგი ობოლაძე, პროკლე კეკელიძე, ალექსანდრე ღლონტი, ივანე იმნაიშვილი, მზექალა შანიძე, ლევან მენაბდე, ჯუმბერ ჭუმბურიძე, ნოდარ კაკაბაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, გურამ ასათიანი, ანტონ კიზირია, ნოდარ ნათაძე, გურამ რამიშვილი, ალექსანდრე გვახარია, ბაქარ გიგინეიშვილი, ნოდარ ტაბიძე, როინ მეტრეველი, მარიამ თაბორიძე, გიორგი შალამბერიძე, ზურაბ

ჭუმბურიძე, ვიოლეტა ცისკარიძე, კორნელი დანელია, ზურაბ სარჯველაძე, ალექსანდრე ფოცხიშვილი, თინათინ ოჩიაური, ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ვალერიან ითონიშვილი, რევაზ სირაძე, ელიზბარ ჯაველიძე, ბეჟან ბარდაველიძე, ელგუჯა ხინთიბიძე, რისმაგ გორდეზიანი, ბესიკ ჯორბენაძე...

ბატონ რევაზს, შესაძლოა, პროფესორისა და დოქტორის რეგალიები თავმდაბლურად არც ემძიმებოდეს და, როგორც ჩვენი ჟურნალის კეთილისმსურველსა და თანამოაზრეს, უფრო მაღალი ცენზის ავტორები ემეტებოდეს ჩვენთვის. კეთილი და პატიოსანი, „დავამძიმოთ" ჩვენი ნუსხა; აკადემიის ნამდვილი წევრები და წევრ-კორესპონდენტები: აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ალექსანდრე ბარამიძე, ივანე გიგინეიშვილი, შოთა ძიძიგური, ვახტანგ ბერიძე, ელენე მეტრეველი, მარიამ ლორთქიფანიძე, ნიკო ჭავჭავაძე, სარგის ცაიშვილი...

მაგრამ იქნებ მთავარია ავტორთა არა მეცნიერული, არამედ, როგორ მწერალი რევაზ მიშველაძე ბრძანებს, „საზოგადოებრივი ნონა"? ამგვარი წონა კი ჩვენში, პირველ ყოვლისა, მწერლებს აქვთ. მწერალ თამაზ ჭილაძეს დავიმოწმებ — განახლებული დამატების ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებად მას ქართულ მწერლობასთან კავშირი მიაჩნია. ეს ლიტონ განცხადებად რომ არავინ მიიჩნიოს, აი, ნუსხა იმ მწერალთა, რომლებიც ჩვენთან თანამშრომლობენ: სერგო კლდიაშვილი, ოტია იოსელიანი, მორის ფოცხიშვილი, რევაზ თვარაძე, თამაზ ჩხენკელი, არჩილ სულაკაური, ჯანსუღ ჩარკვიანი, გივი გეგეჭკორი, ტარიელ ჭანტურია, რეზო ჭეიშვილი, აკაკი ბაქრაძე, ნოდარ წულეისკირი, ზურაბ კიკნაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, ემზარ კვიტაიშვილი, თეიმურაზ მაღლაფერიძე, ბესიკ ხარანაული... უფრო მეტიც, კადნიერებაში ნუ ჩამოგვერთმევა და, ჩვენს ავტორებად მიგვაჩნია ის მწერლებიც, რომელთა მემკვიდრეობიდან ზოგიერთი რამ პირველად ჩვენმა დამატებამ გამოამზეურა; აი, ისინიც — კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, აკაკი ნერეთელი.

ძალიან მძიმედ უნდა გრძნობდე კაცი თავს, რომ ზემოჩამოთვლილთა მეცნიერული თუ საზოგადოებრივი ნონა გემჩატოს. ამგვარ ეჭვს პატივცემულ რევაზ მიშველაძეს ვერ შევკადრებთ; ამიტომ ეს კურიოზიც იმას უნდა დაჰბრალდეს, რომ ჩვენი დამატება საძებარი და ძნელად საშოვარი გამხდარა; აკი თავად ბრძანებს პატივცემული რევაზი — „ქართულ ენასა და ლიტერატურას სკოლაში" ელიან და დაეძებენო. დაეძებენ, მაგრამ ზოგნი, ეტყობა, უშედეგოდ, თორემ მეტი ყურადღებით ნაიკითხავდნენ მას.

ჩვენი მკითხველი, ალბათ, შენიშნავდა, რომ „საფიხვნოს" მონაწილეებს ზოგჯერ ერთსა და იმავე საკითხზე დიამეტრულად განსხვავებული მოსაზრება აქვთ: ერთნი რომ მეთოდიკური მასალის სიმწირეს უჩივიან, სხვები წმინდა წყლის მეთოდიკას საერთოდ უგულებელყოფენ; ერთს რომ ჟურნალის ფურცლებზე მასნავლებელთა გამოთქმული აზრები არ მოსწონს (კ.იმე-

დაშვილი), მეორეს სწორედ „მოფიხვნე" მასწავლებლების სჯა და აზროვნების დონე ხიბლავს და ეიმედება — რახან ასეთი მასწავლებლობა გვყავს, ჩვენი სკოლის მომავალი საიმედო ხელში ყოფილაო (თ. ჭილაძე); პატივცემულ ვალერიან რამიშვილს მოძველებულად მიაჩნია რუბრიკა „ვიცინოთ თუ ვიტიროთ", სხვები კი, განსაკუთრებით, პრაქტიკოსი მასწავლებლები, საყვედურს გვეუბნებიან — რატომ დაადუმეთ ეს რუბრიკა ამდენი ხნით, ხომ არ მოგიჩლუნგდათ სატირული ნესტარიო; ერთნი რომ ამტკიცებენ, ჟურნალს მიმართულება არ შეუცვლიაო, სხვები მიიჩნევენ, რომ ჟურნალი ბოლო ხუთი წლის მანძილზე მკვეთრად შეიცვალა როგორც ფორმით, ისე შინაარსით — და ა.შ. ეს მოსალოდნელიც იყო — საფიხვნო ხომ ის ადგილია, სადაც აზრთა ჭიდილი და „აღებმიცემობა" იმართება. ჩვენ, რედაქციის მუშაკებს, მოგვიწევს თვით ამგვარი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებიდანაც კი სათანადო დასკვნების გამოტანა — არა ხელაღებით უარყოფა დაპირისპირებულ დებულებათაგან ერთ-ერთისა (ეს ადვილი გზაა), არამედ ორივედან სასარგებლო მარცვლის გამორჩევა და დაფიქრება იმაზეც — რა არის აზრთა ამ სხვაობის მიზეზი და როგორ მოევლება მას. შესაძლოა, მკითხველს ის შთაბეჭდილებაც დარჩეს, რომ „საფიხვნოს" მონაწილენი თავ-თავიანთი სამრეკლოდან რეკენ: მეთოდისტი მეთოდიკური ასპექტის გაღრმავება-გაძლიერებას მოითხოვს, მასწავლებელი — პრაქტიკოსთა გამოცდილების სისტემატურ გაზიარებას, ენის სპეციალისტი — მართლწერის, ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის პრობლემებზე ყურადღების მეტად გამახვილებას, ლიტერატორები — ლიტერატურის თეორიის, პოეტიკის და, საერთოდ, მხატვრული ანალიზის საკითხებისათვის მეტი ადგილის დათმობას და ა.შ. ესეც ბუნებრივი გახლავთ; ზოგი სპეციალისტი ჩვენი ჟურნალის სამოქმედო არეალის შემდგომი გაფართოება-გაღრმავების მიზნით ახალ-ახალ რუბრიკებსა და საჟურნალო პრობლემატიკას გვთავაზობს: „ეტიმოლოგია", „ანთროპონიმები", „ტოპონიმები", „დიალექტური ლექსიკა", „მწერლის ენა", „ჩვენი ბიბლიოგრაფია", „კვალი ნათელი", „ძველი ქართული ტექსტები" და ა.შ. ამათგან ზოგიერთი უკვე გათვალისწინებული გვქონდა — მაგალითად, „ბედი წიგნისა" ძირითადად სწორედ უმნიშვნელოვანეს ძველ ქართულ ხელნაწერებს ეძღვნებოდა, „სიტყვის თავგადასავალი" — ქართული სიტყვის ეტიმოლოგია-სემანტიკას (სამწუხაროდ, ჯერჯერობით მხოლოდ ორად ორი სტატია დაიბეჭდა ამ სახისა); ზოგიერთიც — უეჭველად უნდა გავითვალისწინოთ, მაგალითად, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა და ქართული კულტურის, ენისა და ლიტერატურისათვის დამაშვრალთა მართლაც ნათელი კვალის ამსახველი რუბრიკა. ეს კია, რომ ძალიან დაკონკრეტებულ საკითხებზე საგანგებო რუბრიკებს ჩვენი თხელი და მეჩხერი დამატება (რვა ნაბეჭდი თაბახი წელიწადში ოთხჯერ) ვერ გაუძლებს... მაგრამ აქ, ვგონებ, ჩვენც ჩვენი სამრეკლოდან შემოვკარით და, ამიტომაც, სჯობს „დავიდუმნოთ".

საფიხვნოს თითქმის ყოველი მონაწილე აღნიშნავს, რომ ჟურნალი ჩინებულად არის გაფორმებული; ამას ჩვენი მხატვრის ვახტანგ რურუას მაღალ პროფესიონალიზმს უნდა ვუმადლოდეთ. გამოითქვა შენიშვნაც — ერთსა და იმავე ნომერში ერთი და იმავე მწერლის ერთსა და იმავე ფოტოსურათს რატომ ბეჭდავთ, ეს ხომ საჟურნალო ადგილს გართმევთო... ასეთი რამ პოლიგრაფიული თვალსაზრისით, მართლაც, ადგილის უაზრო ფლანგვა იქნებოდა, ოღონდ ესაა, მცირე ზომის, ძირითადად შტრიხით შესრულებული პორტრეტები, რომლებიც სათაურებთან მეორდება ხოლმე, მხოლოდ დამღის ფუნქციას ასრულებს — მისით აღვნიშნავთ „მეწინავე თემას", ე.ი. ამ მწერლის შემოქმედებისადმი მიძღვნილ მასალას.

ყოველი გამოცემა — მათ შორის, ცხადია, ჩვენი ჟურნალიც — ცოცხალ ლიტერატურულ, მეცნიერულსა და, უფრო ზოგადად, კულტურულ პროცესშია ჩართული და, აქედან გამომდინარე, გარკვეული პოზიციის გამომხატველიც, ასე რომ, იგი არც შეიძლება ყველასათვის ერთნაირად მისაღები იყოს — ერთს რომ მოსწონს, სხვას, შესაძლოა, აღიზიანებდეს კიდეც... მაგრამ ეს არ უნდა გვაღიზიანებდეს ჩვენ — რედაქციის მუშაკებს. მეტიც ითქმის — ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენი დამატება უკლებლივ ყველას მოსწონდეს — ლიტერატურული ან სამეცნიერო ჟურნალი, რომელსაც მოწინააღმდეგე და ოპოზიცია არა ჰყავს, მკვდარი ჟურნალია. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ არ ვეცადოთ თანამდგომი მეტი გვყავდეს, ვინემ ძვირის მთქმელი. საამისოდ გასათვალისწინებელია ყოველი კრიტიკული შენიშვნა, სულ ერთია, მოწინააღმდეგის მიერ იქნება იგი გამოთქმული თუ თანამდგომისა; ამიტომაც გვმართებს ყურად ვიღოთ ბევრი რამ, თუნდაც ამ „საფიხვნოში" მოსმენილი. მაგალითად, გასათვალისწინებელია პროფ. ვ. რამიშვილის შენიშვნა — მეთოდიკა ისედაც იჩაგრება და, მით უფრო, ენის მეთოდიკა არის ჩრდილში მოქცეულიო. საერთოდაც, ქართული ენის სწავლების საკითხს, ალბათ, მეტი ყურადღება უნდა დაეუთმოთ; მომავალ წელს ჩვენი დამატება გეგმავს ერთი ნომერი მთლიანად მიუძღვნას ამ პრობლემას. გასაზიარებელია პროფ. რ. მიშველაძის რჩევა: სტატიებში, „საფიხვნოებში" ნამოჭრილ პრობლემებს ბოლომდე მიჰყევით, შეაწუხეთ, სადაც და ვინც ჯერ არს, გაარკვიეთ, რა ბედი ენია თქვენს ფურცლებზე გამოთქმულ კრიტიკურ მოსაზრებებს პროგრამათა და სახელმძღვანელოთა შესახებო. ამასვე მოითხოვენ პრაქტიკოსი მასწავლებლებიც. მასწავლებელი ი. ელისაშვილი სამართლიანად გვისაყვედურებს — დამატებას ოპერატიულობა აკლია, იგვიანებსო. მადლობელი ვართ, რომ ამის მიზეზს თავადვე ასახელებს — „ალბათ, სათანადო დონის მასალის მოპოვებას დიდი დროა და ენერგია სჭირდება" — მაგრამ, ჩვენდათავად უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ვერაფერი ნუგეშია ჟურნალის მომლოდინე მკითხველისთვის. სამართლიანად მოგვთხოვეს პერიფერიაში მოღვაწე მასწავლებლებმა, თუ ჩვენი უფრო აქტიური მონაწილეობა გსურთ დამატების მუშაობაში, განსაკუთრებით, „სა-

ფიხვნოებში", წინასწარ გამოაქვეყნეთ სია თქვენი „მეწინავე თემებისა"; ეგ კი არა, თვით „საფიხვნოს" კითხვებიც შეგიძლიათ წინასწარ დაბეჭდოთ — მაშინ უფრო გაიზრდება თქვენი ფოსტა და გეოგრაფიაცო. გეთანხმებით, მომავალში ასეც ვიზამთ... და ეს დაპირება რომ ლიტონ სიტყვებად არ დარჩეს, ბარემ-ღა აქვე გაცნობებთ სავარაუდო „მეწინავე თემებს" მომავალი წლისათვის (თანამიმდევრობა, შესაძლოა, შეიცვალოს): 1. ლეო ქიაჩელის შემოქმედება; 2. გიორგი ლეონიძის შემოქმედება; 3. ახალი ავტორები ქართული ლიტერატურის პროგრამებში; 4. ქართული ენის სწავლების საკითხები...

დასასრულ, იოსებ გრიშაშვილის საბავშვო პოემას შევახსენებ ჩვენს მკითხველებს — მუსტაფას, მისი შვილიშვილისა და ვირის სახუმარო და ჭკუისსასწავლებელ ამბავს: ყველა ვარიანტი სცადა მუსტაფამ ვირით მგზავრობისა — თვითონ შეჯდა, შვილიშვილი შესვა, ორივენი შესხდნენ, ბოლოს დაქვეითდნენ და „ფეხ-ფეხა" მიჰყვნენ ვირს; და მაინც — ამაოდ, სეირის მაყურებლებმა ყოველთვის დაუწუნეს არჩევანი მოხუცს. გაჯავრებულმა მუსტაფამ ბოლოს ხელი ჩაიქნია — ყველას რომ დავუჯერო, სად წავა, სოფელი ჭრელიაო.

ზოგჯერ მუსტაფასნაირ შეჭირვებულ მდგომარეობაში არიან ჟურნალის მესვეურები — შეუძლებელია ყველას დაუჯერო, ყველას აამო, ყველას ჭკუაზე იარო. მაგრამ ჩვენ მაინც მუსტაფაზე მეტი მოგვეთხოვება — ყოველი საქმიანი შენიშვნის, რჩევის, აზრის, სურვილის ანალიზი, აწონ-დაწონა და შესაფრის პირობებში მათი გათვალისწინება; მოგვეთხოვება თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ სეირის მაყურებლები კი არა — ქართული ენის, მშობლიური ლიტერატურისა და ეროვნული სკოლის გულშემატკივრები გვეხმიანებიან.

„სკოლა და ცხოვრება", N12, 1983

„არს უმჟავესი წმახისა"

გაზეთი „კომუნისტი" რომ დიდ ადგილს უთმობს ქართული ენის, ლიტერატურისა და, საერთოდ, ეროვნული კულტურის საკითხებს, ამას მარტო დროის ქროლვას ნუ მივაწერთ; ჩვენს საზოგადოებაში მუდამაც არსებობდა შინაგანი მოთხოვნილება — რესპუბლიკის მთავარ გაზეთს უფრო ვრცლად და ღრმად გაეშუქებინა სატკივრიანი ეროვნული საკითხები... ახალი დროების სასიკეთო ნიშნად კი უფრო ის გვიჩანს, რომ „კომუნისტი" აღარ ერიდება განსხვავებული თვალსაზრისების ბეჭდვას. მავანთა ეჭვს — ამით გაზეთი ოფიციოზისათვის ნიშანდობლივ უმაღლესი არბიტრის ფუნქციას დაკარგავსო, პლურალიზმის ეპოქაში ყავლი გაუდის.

ახლა ერთ საგანგაშო ტენდენციაზეც მოგახსენებთ, ბოლო ხანს რომ იჩინა თავი ჩვენს პრესაში. გახშირდა წერა იმაზე, რაშიც ნაკლებად ან სულაც ვერ ვერკვევით. ზოგჯერ თავსაც ვინონებთ — მე ამ საქმის სპეციალისტი არ გახლავართ, ამ პრობლემაზე არასოდეს მიმუშავიაო... თავმდაბლობაა ვითომ? არ დაიჯეროთ! გულახდილობით ამ კეკლუცობის მიღმა მკითხველმა, ალბათ, უნდა ამოიკითხოს — ჩემთვის შორეულ საკითხებში რომ ასე დიდებულად ვერკვევი, ახლობელში რაღა იქნებაო.

ცხადია, საზოგადოებრივად საინტერესო საკითხებზე ყველას აქვს უფლება თავისი მოსაზრება გამოთქვას, მათ შორის — არასპეციალისტსაც. გამოუთქვამთ კიდეც... ზოგჯერ — ანგარიშგასაწევიც... მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მომხდარა, როცა საკითხი საგულდაგულოდ შეუსწავლიათ. თანაც, გასაგები მიზეზების გამო, არასპეციალისტის მსჯელობა სპეციალურ საკითხებზე მოკრძალებულ ტონსაც გულისხმობს.

სამწუხაროდ, ეს ორივე ნიშანი აკლია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ა. ნიკოლეიშვილის წერილს „ახალ შეცდომათა თავიდან ასაცილებლად" (გაზეთი „კომუნისტი", 1988 წ. 12 ივნისი). მართალია, მკითხველებს გვიბოდიშებენ — „მე არც ტექსტოლოგი ვარ და არც რუსთველოლოგი"— მაგრამ ასეთი განცხადება ვერაფერი შეღავათია იმისთვის, ვინც კისრულობს თავისი მოსაზრებანი გაგვიზიაროს „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დადგენის საკითხებზე. მე კი ამ აღიარებამ, ცოტა არ იყოს, მიშეღავათა — თუ პოემის ტექსტის დადგენის კრიტიკას არ სდომია არც რუსთველოლოგობა და არც ტექსტოლოგობა, ეს ყველაფერი კიდევ უფრო ნაკლებად მომეთხოვება ჩემი მოკრძალებული მიზნისთვის — გავაბათილო კრიტიკის სამოსლით შებურული უსაფუძვლო ბრალდებანი.

ზემოხსენებული პუბლიკაციით ა. ნიკოლეიშვილს მიზნად დაუსახავს დროულად შეხმიანებოდა ალმანახ „კრიტიკის" (1988 წ. N2) მიერ დარისხებულ განგაშის ზარს — „როგორ ეპატრონობთ მარგალიტს?" ვის უხმობდა ზარი? — ყოველ ჩვენგანს; რისკენ მოგვიწოდებდა? — სიფხიზლისაკენ, ვინაიდან უკეთურ ძალებს მარგალიტის ნაცვლად ჩვენთვის თაღლითის ანუ ყალბი თვლის შემოპარება განუზრახავთ. ალმანახი გვაუწყებდა, რომ ჩვენი გამომცემლობები ბოლო წლებში გართულან (!) „ვეფხისტყაოსნის" დამახინჯებული ტექსტის წამდაუწუმ (!) ბეჭდვით; ამაში, თურმე, ბრალი მიუძღვის ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიას, რომელსაც თავისი ავტორიტეტით დაუთრგუნავს გამომცემლობები და არ მიუცია იმის საშუალება, კომისიის მიერ დადგენილი ტექსტი მათ ჩაესწორებინათ (!).

„ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენ კომისიას ალმანახმა „კრიტიკამ" ბევრი სხვა ცოდვაც აჰკიდა: „აკადემიკოსური ამბიციები", „ვეფხისტყაოსნის" სპეციალისტობის დაჩემება", „პროფესორის ლუპით მისი „ჩხრეკა", უვიცობა, სიყრუე, სიბრმავე და, თქვენ ნარმოიდგინეთ, სიშლეგეც კი („განა

შეიძლებოდა ასე თამამად, ახირებული სურვილით მისვლა რუსთაველთან, რაკი ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი ვარ, უსათუოდ რაღაც ცვლილება უნდა შევიტანოო?" — „კრიტიკა", 1988 წ. N 2, გვ. 9). კომისიას, თურმე ნუ იტყვით, იმის საპირისპირო საქმე უკეთებია, რისთვისაც შეიქმნა: ნაცვლად იმისა, რომ ტექსტი ნაყალბევი ადგილებისაგან გამოეხშირა და გადამწერთა შეცდომებისაგან გაეწმინდა — მოკლედ, დაედგინა პოემის კანონიკური ტექსტი — „ტლანქი ხელითა და ტლანქი გონებით" შეურყვნია და დაუმახინჯებია იგი. მოკლედ, „კრიტიკას" თუ ვერწმუნებით, შეცდომა ცოტაა — ამას დანაშაულის სუნი უდის, დამნაშავენი კი უნდა დაისაჯონ... ჩაქოლვა მათთვის ნამეტანია, მაგრამ არც მთლად ნიშანდაუდებლად გაშვება იქნებოდა სწორი... ამიტომაც — მათრახი და მისი ჯანი! (*„ამ წერილს რომ ვწერდი, გამახსენდა რუსთაველის საოცრად ფერწერული სტრიქონი: „მისნი მკვახედ მოუბარნი მათრახითა შეგვამწიფნა". როგორც ჩანს, ტექსტის დამდგენი კომისიის წევრებს ეს სტრიქონი არც ერთხელ არ გახსენებიათ"* — იქვე, გვ. 9).

აი, ამ პათოსით შეგონებულ პუბლიკაციებს ასხამს ხოტბას პროფესორი ა. ნიკოლეიშვილი. როგორც იტყვიან, კაცია და გუნებაო, ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგსაც — მღვდლის ცოლი... მაგრამ მოწონება ერთია და ამ ხოტბით მკითხველის ცდუნება — მეორე. ერთია, როცა ამგვარი სენსაციური მასალა იბეჭდება ათიათასტირაჟიან სამეცნიერო ორგანოში, და სხვაა, როცა ეს ინფორმაცია ასიათასობით ტირაჟის მქონე რესპუბლიკის უმთავრესი გაზეთის საშუალებით მოეფინება ქვეყანას. ამიტომაც ჩავთვალე თავი ვალდებულად ამავე გაზეთის საშუალებით მეცადა ამ უსაფუძვლო ბრალდებათა გაბათილება.

ჯერ ეს ვიკითხოთ — რა გვამცნო ახალი პროფესორ ა. ნიკოლეიშვილის სტატიამ? — არაფერი. მხოლოდ გაიმეორა ის, რაც უკვე გვაუწყა ალმანახმა „კრიტიკამ": რომ ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენმა კომისიამ არათუ თავი ვერ გაართვა თავის ამოცანას, მას დაუმახინჯებია და გაუყალბებია კიდეც ტექსტი. კომისიას, თურმე, დაუშვია „მიუტევებელი შეცდომები", *რომ „ტექსტის გაუმართლებელი ხელყოფისა და შეცვლა-დამახინჯების მრავალსაუკუნოვანი პროცესი დღესაც გრძელდება"*, *რომ „აგერ ჩვენს თვალწინ კვლავ ჩნდება საფრთხე ვეფხისტყაოსნის ახლებურად შერყვნილი ტექსტის დაკანონებისა, რაც მიუტევებელი დანაშაულია ერის წარსულისა და მომავლის წინაშე"*...

და რაც, ეტყობა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, მკითხველს ეუწყა: ალმანახ „კრიტიკის" რედაქციას საშვილიშვილო საქმე გაუკეთებია, რომ უმხილებია ტექსტის დამდგენი კომისია — და ეს მომხდარა (როგორც სათაურშია აღნიშნული) „ახალ შეცდომათა თავიდან ასაცილებლად".

ამრიგად, პროფესორ ა. ნიკოლეიშვილს თავის სტატიაში კომისიის „ავნაქნარობის" არც ახალი მაგალითები მოუყვანია და არც „კრიტიკაში" მოხ-

მობილი მაგალითები გაუმაგრებია რაიმე ახალი არგუმენტით... კეთილი და პატიოსანი, მაგრამ თუნდაც საერთო შეფასება ხომ რაღაცად მაინც ღირსო, იფიქრებს მკითხველი... ცხადია, ეღირებოდა, ეს შეფასება რომ გამოეთქვა რომელიმე ავტორიტეტს რუსთველოლოგიაში, ა. ნიკოლეიშვილი კი თავად აღიარებს: „მე არც ტექსტოლოგი ვარ და არც რუსთველოლოგი"...

ზემოთ მოგახსენეთ, არავინ მოითხოვს, რომ „ვეფხისტყაოსანზე" მხოლოდ „ნაფიცმა" რუსთველოლოგებმა ნერონ. მთავარია ამ განსჯის ნაყოფი. სწორედ ამ „ნაყოფისაგან იცნობა" ავტორის კომპეტენტურობაც და ბევრი სხვა რამაც... სამწუხაროდ, პროფ. ა. ნიკოლეიშვილმა და „კრიტიკის" ზოგიერთმა ავტორმა რომ თავიანთი რუსთველოლოგიური ღვნის ნაყოფი შემოგვთავაზეს, ის, შოთასი არ იყოს, „არს უმჟავესი ნმახისა".

ყოველივე ზემოთქმული რომ ლიტონ განცხადებად არ დარჩეს, „კრიტიკის" პუბლიკაციებზეც უნდა ითქვას ორიოდ სიტყვა. ისინი, რაღა თქმა უნდა, არც ერთნაირი მეცნიერული დონისა არიან და, ეტყობა, არც ერთი და იმავე მიზანდასახულებისა. პროფესორ ლევან მენაბდის სტატიაში, მაგალითად, კორექტულად არის წარმოჩენილი რუსთველოლოგიის ერთი სადავო პრობლემა — შევიტანოთ თუ არა „ინდო-ხატაელთა" ამბავი აკადემიურ გამოცემაში; ასევე, ჩემთვისაც და, ალბათ, ყველასათვის გასაზიარებელი ჩანს თენგიზ ჩხაიძის გულისტკივილი — ჩანართად არ უნდა მიგვეჩნია და არ უნდა შევლეოდით რუსთაველის „ნაჭედ" სტრიქონებს: „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე" და ა.შ. ოლონდ, აქვე ვიტყვი — ავტორს მკითხველისთვის აუცილებლად უნდა ეცნობებინა, რომ აქ „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისია არაფერ შუაშია: 1970 ნლის გამოცემის ტექსტი დაადგინა ბატონმა პაველ ინგოროყვამ და, ცხადია, ამოღებულ სტროფზე (სხვათა შორის, არა მარტო ზემომოტანილზე!) კომისია პასუხისმგებელი ვერ იქნება. რაც შეეხება პროფესორ ალექსანდრე ღლონტის სტატიას — „ვეფხისტყაოსნის" ერთი სტროფის დასაცავად" — აქ, ჩემი აზრით, ავტორის მტკიცებაში ზოგი რამ სადავოა: მაგალითად, კომისიის მიერ ენობრივად გაუმართავად მიიჩნევა საანალიზო სტროფის მესამე ტაეპი, რომელიც გვიჩვენებს, თუ საიდან „მოვიდიან" მომღერალი ავთანდილის „შესამკობლად": „ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მაღრიბელნი". ასეც არის, და კავშირი აქ მართლაც შეუფერებლად გაფორმებულ სიტყვებს აკავშირებს; თანამედროვე მეტყველებაზე რომ გადმოვიტანოთ, დაახლოებით ასე — „ავთანდილის შესამკობად მოდიოდნენ ინდოეთ-არაბეთ-საბერძნეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლელები"... პროფესორი ალ. ღლონტი ამ უხერხულობას ასე აღნევს თავს: „აქ და კავშირი ჩანს გადაადგილებული. უნდა გვქონდეს არა „მაშრიყით და მაღრიბელნი", არამედ „და მაშრიყით მაღრიბელნი" იმის შესატყვისად, როგორც სტროფის ბოლო ტაეპში გვაქვს „და მისრეთით მეგვიპტელნი" (გვ. 19).

პატივცემული პროფესორის არგუმენტაციაც და ანალოგიაც ამ შემთხ-

ვეეაში დამაჯერებლად ვერ გამოიყურება: „და მისრეთით მეგვიპტელნი" — აქ ფორმა შინაარსთან სრულ შესატყვისობაშია: „მისრეთს" ეგვიპტეს ეძახდნენ და ეგვიპტიდან, ცხადია, ეგვიპტელები მოვიდოდნენ; „და მაშრიყით მაღრიბელნი" კი შინაარსობრივად შეუსაბამოა — აღმოსავლეთიდან დასავლელები მოდიოდნენო. ასეთ უცნაურობას კი რუსთაველი ვერ იტყოდა.

რაც შეეხება ალმანახ „კრიტიკის" სარედაქციო წერილსა და დანარჩენ ორ სტატიას (ავტორები — რევაზ მიშველაძე და თამარ დაუშვილი), მათში მოხმობილი მაგალითები, რომლებსაც უნდა ეჩვენებინა „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის მეცნიერული უმწეობაც და კადნიერებაც („რა კადნიერებაა, რა უსაბუთო სითამამე!" გვ. 9), ჩემი აზრით, ბუმერანგად უბრუნდებათ ავტორებს... თუ საჭირო გახდა, ამის დამადასტურებელ წერილს თვითონ „კრიტიკის" რედაქციას ვაახლებ. წინასწარ კი ვიტყვი: ამ მაგალითთაგან ზოგის ანალიზი იმდენად კურიოზულია (მაგ. ანტენასთან, სამ ზეცასა და მკლავთან დაკავშირებით), რომ სერიოზულ მეცნიერულ გამოცემაში ამაზე კამათი უხერხულიც მგონია. მაგრამ ერთი რამ მაინც ამთავითვე უნდა ითქვას: სარედაქციო წერილსა და თვით რედაქტორის, პროფ. რევაზ მიშველაძის სტატიაში მკაფიოდ იკვეთება ერთი აზრი: „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დადგენა მონოპოლიურად თავს უდვიათ მეცნიერებს; უფრო კონკრეტულად — „პროფესორის ლუპით აღჭურვილ" ფილოლოგებს; კიდევ უფრო კონკრეტულად — პოეზიისათვის სმენადახშულ გრამატიკოსებს. შედეგიც, ავტორის აზრით, სავალალოა.

რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით? ჯერ ერთი, რატომ გვიქცევია ფილოლოგობა და გრამატიკოსობა სალანძღავ სიტყვებად? შესაძლებელია კაცს გრამატიკის სასკოლო სახელმძღვანელო არ მოსწონდეს ან ქართული ენის გრამატიკამ ჩათვლა-გამოცდების დროს ვინმეს თავი ავად დაამახსოვროს, მაგრამ თვითონ გრამატიკის მეცნიერება ან გრამატიკის სპეციალისტები რა შუაში არიან? პოეტურ ნიჭს რატომ ვუპირისპირებთ ფილოლოგიურ უნარს? „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დასადგენად, ცხადია, მარტო გრამატიკოსობა არ კმარა, მაგრამ გრამატიკული ცოდნის გარკვეული დონე რომ აუცილებელია, ეს, ვგონებ, სადავო არ უნდა იყოს; ისევე, როგორც არც მხოლოდ მწერლური ნიჭია საკმარისი რუსთველისეული ფორმების დასადგენ-აღსადგენად. არ ვდავობ, მწერალს ყველაზე მეტად აქვს გამახვილებული ენობრივი ალღო, რომელიც პოეტური ტექსტის დადგენის დროს, მართლაც რომ სანუკველია, მაგრამ ვინ დაამტკიცა, თითქოს ეს ნიჭი ფილოლოგებს ან თუნდაც გრამატიკოსებს სკალპელით ჰქონდეთ ამოკვეთილი? ბატონ რევაზ მიშველაძეს, მწერალსა და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, წესით, ასეთი ჩინური კედლით არ უნდა გაემიჯნა ერთმანეთისაგან მხატვრული და მეცნიერული უნარები. „ვეფხისტყაოსნის" ტექსტს ადგენდნენ ფილოლოგი აკაკი შანიძეც და პოეტი კონსტანტინე ჭიჭინაძეც, და მათმა შრო-

მამ იმიტომაც გამოიღო კეთილი ნაყოფი, რომ მათგან პირველი პოეტური ნიჭითაც იყო ცხებული, მეორეს კი სოლიდური ფილოლოგიური განათლება ჰქონდა მიღებული. გრამატიკის ყბადაღებას კი რა შედეგიც მოაქვს „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის კვლევისას, ეს თვალნათლივ გამოჩნდა სწორედ ზემოდასახელებულ წერილებში. მაგალითად, რუსთველის ეპოქის ქართულისათვის კანონიკური ფორმა „გონიერთა მწერთელი უყვარს", რევაზ მიშველაძეს რიცხვში შეთანხმების დარღვევად მიაჩნია (იხ. „კრიტიკა", 1988, N2, გვ. 8). უკვე პირველ კურსზე კი პატივცემული მწერლისა და პროფესორის მიერ გაქილიკებული გრამატიკის სპეციალისტები სტუდენტ-ფილოლოგებს ამეორებინებენ იმას, რაც მათ ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში უნდა სცოდნოდათ — ყოველ შემთხვევაში, „ვეფხისტყაოსნის" სნავლებისას უნდა შეეთვისებინათ: *„რუსთველისდროინდელ ქართულში მიცემითში დასმული სახელი ზმნას რიცხვში ვერ ითანხმებს... ისეთი ფორმები, როგორიცაა „უნდათ", „უთქვამთ", რუსთველისდროინდელ ქართულში არ არსებობს"* („ვეფხისტყაოსანი", სასკოლო გამოცემა, 1986 წ. გვ. 6). გრამატიკის სპეციალისტებს სხვაგანაც სტყორცნის ირონიულ ისრებს პროფ. რ.მიშველაძე: *„თუ პოეზიის (უფრო რთულ) კანონებს ხშირად უგულებელჰყოფენ* (ასეა! — თ.კ.), *გრამატიკის ელემენტარული კანონი მაინც რალად დაივიწყეს გრამატიკის ასე კარგად მცოდნე გამსწორებლებმა? რანაირი ქართულია „რაც არა"?*

თავისთავად, „რაც არა" ჩინებული ქართულია, და იგი არც რუსთაველს დაუწუნია: *„რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ ნადილთა ნებასა"*... რაც შეეხება შესიტყვებას „რაც არა — დაკარგულია", ამაზეც არსებობს რუსთველოლოგთა დაკვირვებანი და, კრიტიკული ლაშქრობის დაწყებამდე რომ ზოგჯერ მათ ნაშრომებშიც ჩაგვეხედა, ურიგო არ იქნებოდა (იხ. მაგ. ვუკოლ ბერიძის „ვეფხისტყაოსნის" კომენტარი", თბ., 1974 წ. გვ. 51). მთავარი უბედურება ის გახლავთ, რომ ზემოდასახელებული წერილების ავტორებმა ან არ იციან, ან მკითხველს უმალავენ, რომ მათ მიერ დაწუნებული ყოველი წაკითხვა ტექსტისა ეფუძნება არა ვინმეს, უკაცრაული პასუხია, ხუშტურს, არამედ მრავალ ფაქტორთა შეპირისპირება-შეჯერებას. მათგან ერთ-ერთი უმთავრესი გახლავთ პოემის ხელნაწერთა მონაცემები. თუ როგორ დგება პოემის აკადემიური ტექსტი, ამის შესახებ ჩემზე უკეთ თვით ამ კომისიის წევრებს შეუძლიათ მოუთხრონ მკითხველებს, მე კი ამჯერად ერთი მოკლე ინფორმაციით შემოვიფარგლები: 1974 წლიდან მოკიდებული, ჟურნალ „მაცნეში" (ენისა და ლიტერატურის სერია) სისტემატურად იბეჭდება „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმები. ამ მასალიდან ჩანს, თუ როგორ იქმნება პოემის თითოეული სტროფისათვის მთელი „საქმე" — ტექსტის პროექტი, მისი ვარიანტები ხელნაწერთა თუ გამოცემათა მიხედვით, არსებული სამეცნიერო ლიტერატურა ამ სტროფზე, სტროფის ცალკეულ სიტყვათა თუ ფორმათა

ქრონოლოგიური და არეალური „განფენილობა", თანამედროვე ქართულზე გადმოთარგმანებული შინაარსი სტროფისა... მთავარი რედაქცია (მთავარი რედაქტორი 1973 წლამდე — გიორგი ნერეთელი, 1973 წლიდან — ალექსანდრე ბარამიძე; რედაქციის შემადგენლობა: ირაკლი აბაშიძე, ივანე გიგინეიშვილი, შოთა ძიძიგური, სარგის ცაიშვილი, ელენე მეტრეველი, ცოტნე კიკვიძე, გურამ კარტოზია) თავის ყოველ სხდომაზე განიხილავდა ამ მასალას და საკმაოდ ცხარე განსჯა-კამათის შემდეგ ამტკიცებდა აკადემიური გამოცემისათვის თითოეულ სტროფს. „კრიტიკა" კი ისე იწყებს (მის წინათქმას თუ ვერნმუნებით) „ვეფხისტყაოსნის" საბოლოო ტექსტის დასადგენად სჯა-ბაასს რუსთველოლოგიურ პრობლემებზე, რომ წარმოდგენაც არა აქვს „მაცნეს" ზემოდასახელებულ პუბლიკაციებზე. ხოლო თუ ეს იცის და მკითხველს უმალავს, მით უარესი რედაქციისთვის.

ტექსტის დადგენისას „აკადემიური ამბიციები" და „ფილოლოგ-პროფესორის ლუპა" განზე უნდა გადავდოთ და გზა შემოქმედის ნიჭით ცხებულ მოყვარულებს უნდა დავუთმოთო — ალალად რომ ვთქვათ, ეს აზრი იკითხება „კრიტიკის" სარედაქციო წერილიდან და ზემოდასახელებული სტატიებიდანაც. მაგრამ, იღბალი არ გინდა! პოლემიკურ სიცხარეში სწორედ ენობრივმა ალღომ, ტექსტის პოეტურად წვდომის უნარმა უმტყუნა მეცნიერებსა და გრამატიკაზე მოქირქილე ჩვენს შემოქმედ ავტორებს. სხვანაირად როგორ ავხსნათ, რომ პოეტი თამარ დაუშვილი სიტყვას „თავწაკვეთილი" აღიქვამს როგორც „თავგაჩეჩქვილი", ან — კიდევ უარესი — დიმიტრი ყიფიანს ურევს მეფე დიმიტრი თავდადებულში „(საქართველოსთვის თავწაკვეთილ დიმიტრი ყიფიანს...", გვ. 24), ხოლო თბილისში რუსთაველის სახლ-მუზეუმის გახსნას მოითხოვს (რუსთაველის სახლ-მუზეუმი, ე.ი. მუზეუმად ქცეული სახლი, სადაც პოეტი ცხოვრობდა, გაგიხარიათ კარგი საქმე იყოს! გულდასაწყვეტი მხოლოდ ის არის, რომ ქალბატონ თამარს თბილისში თურმე ეგულება შენობა, სადაც შოთას უცხოვრია და აქამდე დუმდა ამაზე). პროფ. ა. ნიკოლეიშვილი სარედაქციო წინათქმის ავტორობას ალმანახის რედაქტორს მნერალ რევაზ მიშველაძეს მიაწერს, თუმცა იქ სწორედ მწერლური თვალსაზრისით ისეთი უმნეო ფრაზაა, რომ ამის დაჯერებაც ჭირს: *„...ჩვენ, უბრალო მკითხველის მანტიით თუ ფილოლოგი პროფესორის ლუპით რუსთაველის „გასაჩხრეკად" მისულნი"*... უბრალო მკითხველი იმიტომაც არის უბრალო, რომ მოსამართლის ან აკადემიკოსის მსგავსად მას საგანგებო სამოსელი ანუ მანტია არა აქვს მხრებზე მოსხმული. თუმცა, სამწუხაროდ, მსგავსი შეცდომებისაგან არც ხელმონერილი სტატიაა დაზღვეული. ერთი მაგალითით შემოვიფარგლები. პატივცემული რედაქტორი წერს:

„ადრინდელ ვეფხისტყაოსანშია: „ერთსა ნავსნვდი უტევანსა, ნავგრძელდი და ნავე გრძელად". შესნორებულშია: „ერთსა ნავსნყდი უტევანსა, ნავგრძელდი და ნავე გრძელად".

რატომ? რატომ? ამ განსაცვიფრებლად მაღალმხატვრულსა და პოეტურ სტრიქონში ჩადებული ინფორმაცია გვაუწყებს, ერთ უტევანზე (ნაბიჯზე) წავინიე, ანუ „წავსნვდი", „წავგრძელდი და წავე გრძელადო". რა შუაშია „წავსწყდი"? შემსწორებლები „ნაწყდომას" რელიგიური გაგებით რომ არ გულისხმობენ, ცხადია. იგულისხმება ნავაწყდი — „წავსწყდიო", მაგრამ, რომ არც ესაა სწორი? ტარიელ კი არ „წასწყდა", არამედ მანამდე მთელი სტრატეგიული, წინასწარგანჭვრეტილი სვლა ჩაატარა რამაზის მუხანათური გეგმის ჩასაფუშავად" (გვ. 8).

გაიგეთ რამე ამ ტირადიდან, მკითხველო? მე პირადად მხოლოდ ის ვირწმუნე, რომ აქაც უმტყუნა ენობრივმა ალღომ და ტექსტის მწერლურად წვდომა-გაგების უნარმა პროფესორ რ. მიშველაძეს. დაეეხსნათ იმას, რომ უტევანი ერთი ნაბიჯი კი არა, ბევრად მეტია (*საბა — უტევანი არს სტადიონი, რომელსა სომეხნი ასპარეზს უწოდენ, ხოლო ლათინნი და ელინნი სტადიას, რომელი 143 ბიჯი იქნების*). სიტყვასთან შეჭიდებულმა კაცმა, შესაძლოა, ყოველთვის ვერც მოიცალო „სიტყვის კონაში" ჩასახედად, მაგრამ ლექსიკონებში ჩხრეკის გარეშეც განა ძნელი მისახვედრია, რომ აქ „წავსწყდი" ნინ გაჭრას, ადგილიდან მოწყვეტას ნიშნავს? „ერთ ნაბიჯზე წავინიე წინო!" — ამას ორმანეთიანი ყველის რიგში ჩამდგარი პენსიონერი თუ იტყვის, და არამც და არამც — ცხენდაცხენ მტრისკენ გაფრენილი ინდოეთის ამირბარი.

„კრიტიკამ" ერთი ვაი-უშველებელი ატეხა რუსთაველის ცნობილ ტაეპზე — „ზოგსა გადაჰკრის მათრახი ქვე მკრდამდის გასაპობელად" — ავტორისეული „მკერდამდის" შეგვირყვნესო. პროფესორმა ა. ნიკოლეიშვილმა, ცხადია, ბანი მისცა „კრიტიკას" — ეს კია, რომ უშეცდომოდ ვერ გადმოინერა შოთას ფრაზა და დაინუნა არარსებული ფორმა — „ქვე მკერდამდის". ახლა მოვუსმინოთ იმას, ვისაც, ჩემი აზრით, რ. მიშველაძესა და ა. ნიკოლეიშვილზე ნაკლებ არ დაეჯერება „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკის კვლევისას: *„ვარიანტების შერჩევისას, უპირველეს ყოვლისა, ვარკვევდით, თუ რომელი მათგანია ადრინდელი და რომელი რომლისგან უნდა წარმომდგარიყო, ან რომელი რომლის შემდეგ უნდა გაჩენილიყო. მაგალითად, ზოგ ხელნაწერში* (ლაპარაკია ყველაზე მნიშვნელოვან A, B, C ხელნაწერებზე, — თ.კ.) *იკითხება „ქვე მკრდამდის": ზოგში კი — „მკერდამდის". ჩვენ მივიღეთ „ქვე მკრდამდის"... მაგრამ არა იმიტომ, რომ აგრე იკითხება A, B, C ხელნაწერებში, არამედ იმიტომ, რომ საეარაუდებელია, თავდაპირველად იყო „ქვე მკრდამდის" და იგი გადაკეთდა „მკერდამდის" ფორმად და არა პირუკუ".*

ასე განსჯის „ქვე მკრდამდის" ფორმას გრამატიკის „ელემენტარულ" კანონთა მცოდნე აკაკი შანიძე... პოეზიის უფრო რთული კანონების მცოდნე რევაზ მიშველაძე კი წერს: *„მკერდამდის" ნაცვლად „ქვე მკრდამდის" რომ ვიხილე, პირველად თვალს არ დავუჯერე, საიდან გაჩნდა ეს ენის გასატეხი „ქვე მკრდამდის"? რა ლაღია და რა თავისუფლად „სუნთქავს" სტრიქონი, როცა*

„მკერდამდის" სწერია და რა ხელოვნურ, დამტვრეულ-დაღვლარჭნილ იერს იღებს „ქვე მკრდამდით" შესწორებული" (გვ. 6).

„ქვე მკრდამდის" საიდანაც გაჩენილა, ამაზე პასუხი გაცემულია... რაც შეეხება ლაღად სუნთქვას, გამოდის, რომ სტრიქონი „ამოუხუთავს" ფუძის შეკუმშვის შემდეგ მიღებულ თანხმოვანთა კომპლექსს... ამგვარი კომპლექსები სწორედაც ქართულისთვის არის დამახასიათებელი და, ვაი ჩვენდა, თუ ისე „გაეისალუქეთ" ყური, რომ ვეღარ ვიგუებთ მათ. ნუ იფიქრებთ, თითქოს „მკერდამდის" ფორმას რაიმეს ვუწუნებდე, მე მხოლოდ ის მიკვირს, ძველებურ „მკრდამდის" ფორმას რა სჭირს დასაწუნი მეთორმეტე საუკუნის პოეტის მეტყველებაში? ჩემზე მეტად განა „სტროფის სხეულის" მდინარებასა (!) და მის „ლაღ სუნთქვას" მიყურადებული შემოქმედის გრძნეულ ყურს არ უნდა ეგრძნო, რომ აქ მართლაც ნატიფი ალიტერაცია გვაქვს კრ-კომპლექსის გამეორებით — „ზოგმა გადაჰკრის მათრახი ქვე მკრდამდის გასაპობელად?" მკრდ-კომპლექსის გამოთქმა, რ. მიშველაძეს თუ ვერწმუნებით, რუსთაველს უჭირდა, ამიტომაც მსგავსი, „ენის მოსატეხი", არქაული ფორმები მას „ღონივრად მოუქნევია და გადაუგდია" (გვ. 7). კეთილი და პატიოსანი, ოღონდ ღმრთ-კომპლექსზე რაღას ვიტყვით? თანამედროვე ქართული ხომ მკერდ-ფუძის ანალოგიურად ღმერთ-ფუძესაც აღარ კუმშავს — „ღმერთამდის" და არა „ღმრთამდის"... ახლა რა ექნათ, გავუსწოროთ რუსთაველს „ენის გასატეხი" — *„თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია"* — უფრო ლაღად და თავისუფლად მსუნთქავი ტაეპით — *„თუცა ქალია, ხელმწიფედ ღმერთისა დანაბადია?"* არ მოგენონათ? „მართ" სიტყვა მოისაკლისეთ? შეიძლება მისი დატოვებაც, მაგალითად, ასე — *„თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღეთისა დანაბადია"*. პროფესორ რ. მიშველაძის ლოგიკით, ეს ალბათ დასაშვებია, „ვეფხისტყაოსნის" ტექსტში ჩახედული ნებისმიერი პირი კი გეტყვით, რომ ამგვარი გათანამედროვება ტექსტისა ყოვლად შეუწყნარებელია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგ ხელნაწერში (ისინი ოთხი საუკუნით მაინც არიან პოემის დაწერის დროს დაცილებულნი) „მართ ღვთისა" ფორმაც დასტურდება.

ასე რომ, რუსთაველი აქ არაფერ შუაშია, მას ენიდან არაფერი გადაუყრია: ეს ჩვენ მოვიქნიეთ უდიერად და წყალშიც გადავუყარეთ „ვეფხისტყაოსნისათვის" დამაშვრალ ხალხს თავიანთი მრავალი წლის ნაშრომ-ნაღვაწი...

დაეუბრუნდეთ პროფ. ა. ნიკოლეიშვილის წერილს. ავტორი მოითხოვს, რომ „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის საქმიანობაში უფრო აქტიურად ჩაერიოს რუსთაველის საზოგადოება, საქართველოს მწერალთა კავშირი, მეცნიერებათა აკადემია, ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი... ისეთი სურათი იხატება, თითქოს ამ კომისიის შემადგენლობაში ვიღაც, ქუჩიდან მოკრეფილი, ხალხი იყოს შეყრილი... სწორედ ზემოჩამოთვლილი სამეცნი-

ერო ცენტრების წამყვანი სპეციალისტები იყვნენ და არიან 1962 წლიდან დღემდე გაერთიანებული „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენ კომისიაში... მე მხოლოდ რამდენიმეს, უკვე გარდაცვლილებს, ჩამოვთვლი — აკაკი შანიძე, ილია აბულაძე, პავლე ინგოროყვა, გიორგი ლეონიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, შალვა ნუცუბიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვუკოლ ბერიძე, გიორგი წერეთელი, ივანე გიგინეიშვილი... ამათი და ამათ თანამოსაგრეთა ნაშრომ-ნაღვაწი განა ასე უნდა „გავანიორწყლოთ"? ან ეს უდიერი ტონი რაღას მივაწეროთ? უკმეხად თქმული სიმართლეც კი გამაღიზიანებელია, მაგრამ — კიდეც ტყუოდე და კიდეც ილანძღებოდე? საქმეს ვითომ შველის ნამუსის მოსაწმენდად თქმული ფრაზა: „ამით იმას როდი ვამბობ, თითქოს კომისიას არაფერი გაუკეთებია მისაღები და გასათვალისწინებელი. ამის განცხადება დიდი მკრეხელობა იქნებოდა"... ეს „ლელვის ფოთოლიც" პროფ. ა. ნიკოლეიშვილმა ალმანახ „კრიტიკიდან" „ინათხოვრა". იქაც წინ მსგავსი ფრაზა აიფარეს: „ამ კომისიას მრავალწლიანი გულისხმიერი მუშაობისთვის მადლობის მეტი რა ეთქმის"... მადლობას ვინ ჩივის, განქიქება არ ვაკმარეთ და „მათრახთა შემწიფებასაც" ვუპირებთ.

„ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენ კომისიას, ისევე, როგორც დიდ საქმეს შეჭიდებულ ყოველ კოლექტივს, ცხადია, ექნება თავისი სირთულეები და პრობლემები. არც შეცდომებისაგან არის მუშა ხალხი დაზღვეული. ფართო საზოგადოების ყურადღება და თანადგომა ამ კომისიას მართლაც სჭირდება (თუნდაც მათი ნამუშაკევის დროულად გამოცემის საქმეში).

სიტყვამ მოიტანა და, ამ კომისიას თავისი დიდი საქმე — „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური გამოცემის სამუშაო — ჯერაც არ გაუსრულებია, ალმანახმა „კრიტიკამ" და პროფ. ა. ნიკოლეიშვილმა კი ნინასწარ გამოიჩინეს მისდამი „მზრუნველობა".

ყურადღება და მზრუნველობა კომისიას სჭირდება-მეთქი, მაგრამ, ჩემი აზრით — არა ასეთი!

P.S. ეს წერილი კარგა ხანია სასტამბოდ გამზადებული მქონდა, მაგრამ ჩვენი აკადემიის არჩევნებამდე მისი გამოქვეყნება საჭიროდ არ ჩავთვალე. პროფესორ ა. ნიკოლეიშვილის ზემოდასახელებული სტატიის შემდეგ კი, რამდენადაც ვიცი, პრესაში სხვა არავინ გამოხმაურებია ალმანახ „კრიტიკის" რუსთველოლოგიურ პუბლიკაციებს. ამასობაში დაისტამბა ალმანახის მესამე ნომერი და რუბრიკით — „როგორ ვპატრონობთ მარგალიტს"? — „კრიტიკამ" კვლავ გააგრძელა რუსთველოლოგიურ საკითხებზე ზოგი ისეთი მასალის ბეჭდვა, გალაღებული დილეტანტიზმის დაღი რომ აზის. ეტყობა, ალმანახმა ხუმრობაგაშვებით იდო თავს ის ამოცანა, რისთვისაც „პროფესორის ლუპით შეიარაღებულ" კომისიას თავი ვერ გაურთმევია — პოემის

ტექსტის დადგენა და, როგორც ჩემი შეტყობით ამ საქმეს პირი უჩანს, საერთოდაც მოვლა-პატრონობა „ვეფხისტყაოსნისა" და რუსთაველოლოგიისა.

„უპატრონობას", თანაც საუკუნეთა მანძილზე, ღვთის მადლით, გადაურჩა „ვეფხისტყაოსანი", ესე იგი — საქართველო. ვაითუ დღესდღეობით ასე უსაშველოდ მომრავლებულმა „პატრონებმა" დაგვმართონ ის, რაც უპატრონობამ ვერ გვიქნა.

„კომუნისტი", 13.7.1988

ექსპერიმენტი პლაგიატზე ანუ ფერისცვალება „კაცი-მაიმუნისა"

ჯერ ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონიდან" აღვიდგინოთ ერთი ეპიზოდი:

„ერთ დღეს ჩემმა მდივანმა შემოაღო კაბინეტის კარი და მითხრა:

— ბატონო ბაჩანა, ვილაც მაიმუნია მოსული და თქვენი ნახვა უნდა.

— შემოვიდეს! — ვუთხარი. კაბინეტში პატარა, ცალტვინა მაიმუნი შემოვიდა. მლიქვნელისათვის და გაიძვერასათვის დამახასიათებელი ოფლით გაჟღენთილი ცივი ხელი ჩამომართვა, მაგიდაზე ქაღალდები დამიწყო, ოთახის კუთხეში მიიყუჟა და მოლოდინით სავსე თვალები მომაპყრო. ქაღალდებს თვალი გადავაველე, ქარაგმული ნაკვესები აღმოჩნდა. მაიმუნის პირობაზე არა უშავდა. ვინ იცის, დარვინის მოძღვრების თანახმად, ამ მაიმუნისაგანაც გამოვიდეს კაცი-მეთქი, გავიფიქრე და დავუბეჭდე რამდენიმე ნაკვესი...

ხელმეორედ რომ მოვიდა ის მაიმუნი რედაქციაში, ვერც ერთმა ველარ ვიცანით, ზუსტად ისე ეცვა, როგორც ადამიანებს. მე თუ მკითხავთ, ცოტა უკეთესადაც. მოვიდა და ისევ ნაკვესები მომიტანა. წავიკითხე თუ არა, იმ წუთში ვიცანი სტილზე მაიმუნი.

— კაცო, შენ ის მაიმუნი არა ხარ, ამას წინათ რომ იყავი ჩემთან და ნაკვესები დაგიბეჭდე? — ვკითხე.

— კი ბატონო, ის მაიმუნი ვარ, მაგრამ ძალიან მინდა ადამიანობა და გამიმართეთ ხელიო, — მთხოვა.

— ცოტა მოითმინე, იშრომე, ხომ იცი, შრომამ რომ შექმნა ადამიანი? — ეურჩიე მაიმუნს.

— ვიცი, ბატონო, ეგ ყველაფერი უკვე წაკითხული მაქვს, მაგრამ მე ისეთი მაიმუნი ვარ, მოთმინება არა მაქვს, მით უმეტეს ადამიანების უმრავლესობას უკვე კაცი ეგონივარ, — მიპასუხა მაიმუნმა.

— კარგი, დაგიბეჭდავ, მაგრამ ეგ რას გიშველის, მაინც მაიმუნად დარჩებიმეთქი, — ვუპასუხე და ისევ დავუბეჭდე ნაკვესები. რომ მიდიოდა, მთხოვა:

— ნუ გამამხელთ ხალხში, ბატონო, მაიმუნი რომ ვარო.

არ გავამხილე ჩემი კეთილი ბუნების გამო, თან ვიცოდი, რომ მშვენივრად ბძავდა ხალხს ლაპარაკში. წავიდეს, ეიფიქრე, იმაიმუნოს თავისთვის, ისეთს რას დააშავებს-მეთქი. წავიდა და გავიდა ხალხში ეს ჩემი მაიმუნი. რამდენიმე წლის შემდეგ ისევ მოვიდა ჩემთან, ამჯერად მოთხრობები მომიტანა. წავიკითხე და გულზე შემომეყარა:

— ეს რა გიქნია, საბრალო მაიმუნო, ასეთი მაიმუნობა მაიმუნსაც არ ეკადრება-მეთქი, ვუთხარი.

— რატომ, ბატონო, მე როგორც კრიტიკოსს, ძალიან მომწონს ჩემი მოთხრობებიო, — მიპასუხა წყენით.

— როგორ, შენ უკვე კრიტიკოსიც ხარ? — ვკითხე განცვიფრებულმა.

— კრიტიკოსიც ვარ, ხარისხიც დავიცავი და ლექციებსაც ვკითხულობ... — მითხრა ნიშნის მოგებით.

შემეცოდა მაიმუნის სტუდენტები, მაგრამ რა მექნა? რექტორი არ ვიყავი, რომ უმაღლესი სასწავლებლიდან გამეგდო. კაცმა რომ თქვას, მაგის მორალური უფლებაც არ მქონდა. ეს მაიმუნი ხომ ჩემი გამოყვანილი იყო ხალხში...

— ...მალე გავხდები მწერალთა კავშირის წევრი და დედას გიტირებო, — დამემუქრა.

— შენისთანა მაიმუნს მწერალთა კავშირში რა უნდა-მეთქი...“

მკითხველს, ალბათ, ემახსოვრება: ბაჩანა რამიშვილი შეცდა — კაცადქცეული მაიმუნი მწერალთა კავშირის წევრიც გახდა და სათანადო ორგანოთა „ენთუზიასტ-ინფორმატორიც“.

რომანის ამ მომცრო ეპიზოდში ნოდარ დუმბაძემ მოახერხა ცხოვრების სინამდვილიდან აღებული სრულიად კონკრეტული პირი, არცთუ უცნობი ლიტერატურული ნრეებისათვის, კაც-მაიმუნის განზოგადებულ მხატვრულ სახედ ექცია. ოსტატებს კი მიმბაძველები გამოუჩნდებათ ხოლმე. ამიტომ მოსალოდნელიც გახლდათ „განკაცებული მაიმუნის“ ანუ აღზევებული გარენრობის თემის მიბაძვა-პაროდირება; და ისიც, რომ მიმბაძველთა შორის „კაც-მაიმუნის“ პროტოტიპიც აღმოჩენილიყო.

ასეა თუ ისე — პაროდისტმა ბესა რაბიამ ალმანახ „კრიტიკის“ ამა წლის მე-4 ნომერში შემოგვთავაზა, ცოტა არ იყოს, ჟარნულად ბუნდოვანი ნაწარმოები — „კაცი-კოოპერატივი“. ერთი მხრივ, აქ თითქოს ყველაფერი ნათელია: პატივცემული ბესას თხზულებაში გამოყვანილი მელა წარმოადგენს პაროდია-

მიბაძვას ნოდარ დუმბაძის კაც-მაიმუნისას. მაგრამ ავტორმა ამის აღნიშვნა არ ინება. პირველწყაროს მიუთითებლად მიბაძვა კი პლაგიატად უფრო უნდა ჩაითვალოს, ვიდრე პაროდიად. მართალია, ავტორი სულხან-საბას მოძღვარი მელისაკენ გვახედებს, მაგრამ... მელის ამბავი ყველას კარგად მოგვეხსენება, კუდით მიიხვეტავს ხოლმე თავის ნაკვალევს. პატივცემული ბესაც ცდილა პლაგიატის კვალი წაეშალა დუმბაძისეული პერსონაჟის გარეგნული მახასიათებლების შეცვლით. ამაოდ დაშვრა — გარეგნულ ნიშანთა შენაცვლებით მხატვრული სახის არსი არ იცვლება. მელის კუდს გამოაბამენ თუ ჯიხვის რქებს დაადგამენ — კაც-მაიმუნი მაინც კაც-მაიმუნად დარჩება. სწორედ ამ დებულების დასადასტურებლად გთავაზობთ ერთგვარ ექსპერიმენტს პატივცემული ბესა რაბიას თხზულებაზეე: ხელუხლებლად დავტოვოთ მთელი მისი ტექსტი (თუ მაინცადამაინც — ფრჩხილებში მივუწეროთ აზრის დამაზუსტებელი ზოგი დეტალი), მაგრამ აღვადგინოთ ზოგიერთი გარეგნული მახასიათებელი კაც-მაიმუნისა. საამისოდ სულ რამდენიმე სიტყვის შეცვლაც კი იკმარებდა მთელ ტექსტში (ვთქვათ, ასე: სიტყვა „გრამატიკოსის" ნაცვლად ჩავწეროთ — „ნოველისტი", „მთარგმნელის" ნაცვლად — „რუსთველოლოგი", „პუბლიცისტის" ნაცვლად — „ფელეტონისტი"...). ამ მცირე ოპერაციის შემდეგ ბატონ ბესა რაბიას თხზულების ტექსტი ასე გაიმართება:

კაცი-კოოპერატივი

„ერთი მელი დაცუნცულებდა" — ასე იწყება სულხან-საბას ერთი იგავი. ის მელა შუა საუკუნეებიდან ჩვენს დროშიც გადმოცუნცულდა. ჩვენ ვერ ვამჩნევედით, თორემ სულ ჩვენს გვერდით დაფუსფუსებდა, ყურს გვიგდებდა, ხუმრობით თუ ხუმრობაგაშვებით ნათქვამს უბის წიგნაკში იწერდა და იმახსოვრებდა. ხანდახან არენაზეც გამოჩნდებოდა, თავისი მწირი გონების შესაფერის რამეს იტყოდა და თვალებში შეგვეციცინებდა, ხომ ხედავთ, უნიჭო ვარო.

დავუშვით შეცდომა და რამდენჯერმე გავუღიმეთ, როგორც საწყალობელ კაცს. ეს ღიმილი დათმობად ჩათვალა და ერთ მშვენიერ დღეს დაგვეღრიჯა: მიშველეთ, თქვენ შორის პატარა ადგილი მომეცით, ნათესავებს მინდა ვაჩვენო, რომ მეც ნახირ-ნახირ ვარო. დავუშვით მეორე დიდი შეცდომა და ჭინჭრაქა მერცხლებში გავრიეთ. საკანდიდატო ხომ გაკვაჭა, მერე სადოქტორო დისერტაციაც მოაკვარახჭინა და დაამთავრა მეცნიერული მუშაობა — დოქტორობა მე მხოლოდ მისაღებ გამოცდებში მონაწილეობისათვის მჭირდებოდა, ისე, პროფესორობას რა თავში ვიხლიო (მალე გაუგეს მელას ნაეშმაკარი და მისაღებ გამოცდებს სათოფეზე აღარ გააკარეს).

საჭირო კაცი გახდა. საქმიანი იერით და დიდი პორთფელით გადი-გამოდის. თვითონ მშვენივრად იცის, რომ ფუყე კაცია, პროვინციელი გრაფომანი, უკბილო ფელეტონისტი და ავყია მოქალაქე, მაგრამ ხალხს თვალში ნაცარს აყრის, აქაოდა შემომხედეთ, მეც მარაქაში ვერევიო. ხანდახან, როცა

ბედაურები ნამდვილი საქმით არიან გართული, მიიხედ-მოიხედავს და ტრიბუნაზეც (მაგალითად, ფილარმონიის დიდ სცენაზე) აიპარება. მისი მკითხველები, ძირითადად, სიყრმის ასაკის ყმაწვილები და საქმით დაღლილი დიასახლისები არიან (მარტო ჩვენებურები კი არა, შორებლებიც. ამაზეა ნათქვამი — ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო). მერე თავისი დიდი ჩანთით ქალაქში დადის და ხელმოწერებს აგროვებს, ხომ მოგეწონათ ჩემი ნოველებიო. უდანაშაულო ბავშვები და გულჩვილი დიასახლისები უდასტურებენ: მართლაც ხარ იუმორისტიო.

სინამდვილეში კი მის „იუმორს" რომ ყური უგდოთ, სირცხვილით განითლდებით. თვითონ როდი წითლდება, განითლების უნარი სკოლის მერხიდან დაკარგა.

დაცუნცულებს ახლა ჩვენს შორის კაცი-ობობა, კაცი-კოოპერატივი, „ყოვლისშემძლე", ყოვლისმოქმედი, ყოვლისშემბედავი.

არზა-საჩივარი გაქვთ დასაწერი? მზად არის, სათანადო გასამრჯელოს საფასურად სამსახური გაგიწიოთ. არ გნებავთ პრესაში თქვენი სახელი და გვარი გამოაჩინოთ? მზად არის სხვის ნათქვამ-ნაბაზრევს ხელი მოაწეროს. აბიტურიენტის პატრონობა გნებავთ? ადვილი სამსახურია — მიშველებას პირდება ხალხს (თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ „მიშველ-მიშველაობას" ზოგჯერ „საწარმოო" ზარალიც ახლავს — ფერდებში ბაგუნი, მიშველეთ! ღრიალი და მანქანის აფეთქება...).

არ იღლება მელა. დაცუნცულებს, დაყუნსულებს. ხან რედაქტორობას გამოუგონებს თავის თავს, ხან რუსთველოლოგობას დაიბრალებს, ხან კრიტიკოსია, ხან ნოველისტი. გარემოების შესაფერისად იცის დაროკება.

სირცხვილის გრძნობა, განითლება-მეთქი შორს არის მისგან. ამიტომაც სრულებითაც არ შერცხვა, როცა მწერალთა კავშირის წევრობა გაუკვაჭეს (აკადემიაშიც სცადა გაძრომა, მაგრამ კუდი მოეჭეჭა კარებში). ახლა ჩვენს შორის რომ დაჯდება, თავს მაღლა ასწევს და პრეზიდიუმს მიაჩერდება, შემომხედეთ, რა ყურადღებით გისმენთო, სწორედ იმ დროს უტრიალებს ბნელი, მელური აზრები თავში. ვერ ამჩნევს, როგორ შემოეცლებიან ირგვლივ ნამდვილი მწერლები. ემანდ, სურათი არავინ გადაგვილოს და მელას მეგობარი არ ვეგონოთო.

რაც არ შეუძლია, სწორედ იმას ჰკიდებს ხელს. რაკი შუბლის ძარღვი კარგა ხანია გაიწყვიტა, თავისი საეჭვოდ განაზებული (და ძალად დაბოხებული) ხმით ყველაფრის „დამტკიცება" შეუძლია. დრო მოვა, თავის მიერ მოქსოვილ ცილისწამებათა ბადეში თვითონვე გაებმება და მერე გვიან იქნება.

ჯერ კიდევ დაცუნცულებს მელი ჩვენ შორის".

* * *

რა შედეგი მივიღეთ ამ ჩვენი მცირე ექსპერიმენტისაგან? რასაც ველოდით: გამოაშკარავდა პატივცემული ბესა რაბიას მიერ კვალის არევის მცდე-

ლობა და კაცი-კოოპერატივი უკვე არა მარტო შინაგანი, არამედ გარეგნული ნიშნებითაც დაუკავშირდა თავის პირველწყაროს — კაც-მაიმუნს.

მკითხველმა, შესაძლოა, გაიკვირვოს — სად ნოდარ დუმბაძის ცინცხალი ნიჭიერებით ნაძერწი სახე აღზევებული თაღლითისა და სად პატივცემულ ბ.რაბიას ულიმღამო ნაცოდვილარიო, მაგრამ ეს უკვე ნიჭის საქმეა — ნიჭი კი, მოგეხსენებათ, პაროდირებასაც სჭირდება.

სხვათა გროტესკული პორტრეტების ხატვაში ხელმოცარული ბატონი ბესა, ასეთი პირი უჩანს, ავტოპორტრეტის ჟანრში უფრო დიდ წარმატებას მიაღწევს.

P.S. მკითხველებს, ალბათ, ემახსოვრებათ: სულხან-საბას არ უწერია — „ერთი მელი დაცუნცულებდა". სულხან-საბას უწერია — „ერთი მელი დაცანცარებდა".

ასე იცის აცანცარებამ, პატივცემულო ბესა!

„ლიტერატურული საქართველო", 11.11.1988

როგლითა სანყაულითა...

ცნობილია: მთელი კაცობრიობის სიყვარული არ არის მაინცდამაინც ძნელი; გაცილებით ძნელია კარის მეზობლის შეყვარება.

ახალგაზრდობის წინაშე გულზე ხელის ბაგუნიც, თქვენს მხარესა ვარ და თქვენ გიცავთო, ასევე არ უნდა იყოს ძნელი, განსაკუთრებით მაშინ, როცა დასაცავად შენ თვითონ გაქვს საქმე. აი, ნიმუშიც ასეთი „არამკითხე გამოსარჩლებისა": *„რაც შეეხება ახალგაზრდებს, მეათასჯერ ვიმეორებ: ჩვენ გონიერი და წინდახედული ახალგაზრდობა გვყავს..." „ქართველი მწერალი ვერავის მისცემს უფლებას, ამრეზილად შეხედოს ჩვენი ახალგაზრდობის თავდადების ბრწყინვალე მაგალითს..."* („კრიტიკა", N2, 1989 წ. გვ. 3-4).

ახლა ვნახოთ, როგორია არა ზოგადად ახალგაზრდობის, არამედ კონკრეტულად ჩვიდმეტი ახალგაზრდა თეატრმცოდნის, კრიტიკოსისა და ჟურნალისტის მიმართ ზემოთ მოყვანილი სიტყვების ავტორის, „კრიტიკის" მთავარი რედაქტორის რევაზ მიშველაძის დამოკიდებულება. სამწუხაროდ — ცინიკურ-ქილიკური; არადა, საღლიცინოდ სულაც არ უნდა ჰქონდეს საქმე „სარედაქციო მინაწერის" ავტორს (იხ. „კრიტიკა", N5, 1989 წ., გვ. 16). ბატონმა რევაზ მიშველაძემ სერიოზული პაექრობის ნაცვლად „ნუცას სკოლა" გაუმართა ახალგაზრდა შემოქმედთ გაზეთის ფურცლებზე: „ჩემო

პატარა მეგობრებო", „ჩემო კარგებო", ყური მომაპყარით, მცირე გაკვეთილს ჩაგიტარებთ, თქვე კუდრაჭებო, თქვენაო, — აი, როგორ აღიქმება პატივცემული მწერლის, უნივერსიტეტის პროფესორის დიალოგი ახალგაზრდობასთან (იხ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 14 ნოემბერი, 1989 წ. გვ. 4-5).

და, როგორც მასნავლებელს შეეფერება, პატივცემულმა რევაზმა რამდენიმე გამოსაცდელი კითხვა დაუსვა ახალგაზრდებს, კერძოდ:

„ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ იწერება ამგვარი კოლექტიური წერილები? ერთბაშად შეიკრიბებით ხოლმე ჩვიდმეტი „შეძრული" ახალგაზრდა თეატრმცოდნე და კრიტიკოსი და ჯგუფურად წერთ პასუხს, რომელსაც მერე გაუსწორებლად ლინოტიპისტისკენ მიარბენინებთ, თუ ერთი თქვენთაგანი, „განსაკუთრებით შეძრული", დაჯდება და დაწერს პასკვილს, მერე მეგობრებს ჩამოურბენინებ-ჩამოურეკავს და ხელს მოაწერინებს?"

მოკლედ, ბატონი რევაზი დაინტერესებულა, თუ როგორ იწერება კოლექტიური წერილები. არ ვიცი, ახალგაზრდობა როგორ, ჩვენ კი ამ „ჩამჭრელ" კითხვას ასე ვუპასუხებდით:

პატივცემულო რევაზ! არსებობს კოლექტიური ხელმოწერის სხვა ვარიანტიც: მაგალითად, მავანი, „განსაკუთრებით შეძრული" — გაკრიტიკება გამიბედესო, წერს თავის თავზე ხოტბა-დიდებას, მერე ამას შემოქმედებითი ორგანიზაციის ხელმძღვანელს მიურბენინებს, ამის დასაწერად სად მოიცლიდით, აგერ, ბატონო, მზა ტექსტი და მოაწერინეთ ხალხს ხელი, დამიცავით, ხომ ხედავთ, ყველა თავისი ამქრის წევრს იცავსო; თუ ამ ჩვენს განაწყენებულ რედაქტორს აქ მაგარი კაცი დაუხვდება, მაშინ არსებობს სხვა, უფრო ნაცადი ვარიანტი: რედკოლეგიის წევრებს ნერილი ნაუკითხო, ტექსტს რომ გაეცანით, ეს ხელმოწერით დამიდასტურეთო, სთხოვო, და შემდეგ ტექსტის გაცნობაზე ხელისმომწერნი ტექსტის ავტორებად გაასაღო. თუ აქაც ხელი მოგვეცარა, მაშინ რაღა დაგვრჩენია — უნდა ვითაღლითოთ: გავაცნოთ ტექსტი რედკოლეგიის წევრებს, დავპირდეთ, ყველა თქვენს შენიშვნას გავითვალისწინებ, ტექსტს შევცვლი, რაც მივქარე, მოვინანიებ, ოღონდ, აქ მობრძანებით მეორედ რომ აღარ შეგაწუხოთ, ხელი ბარემ ახლავე მომინერეთო... მერე კი ხელმოწერილი ტექსტი (თქვენი მოსწრებული თქმისა არ იყოს) „გაუსწორებლად მიარბენინო ლინოტიპისტისკენ"...

ხომ არაფერი გენიშნათ, ბატონო რევაზ?

„ნუცას" როლში შესული პატივცემული რევაზი თავის „შეგირდებს" მსუბუქად უსაყვედურებს კიდეც, ჩემს დამოძღვრას ვერ იმახსოვრებთო: *„ჩემი წიგნებისათვის რომ გადაგეხედათ, იქნებ, გულში მაინც დამთანხმებოდით, რომ ამ ოცი წლის განმავლობაში რევაზ მიშველაძის ნოველებმაც შეიტანა თავისი წვლილი ჩვენი ეროვნული გამოღვიძებისა და „გისოსებით შემოსაზღერული ჩვენი სამყაროს" მხილების საქმეში".*

მოკლედ, მეხსიერებას უმონმებს ახალგაზრდებს — ახსოვთ თუ არა მათ თავიანთი მოძღვრის, რევაზ მიშველაძის, ღვანლი და პრინციპულობა ეროვნულსა და პოლიტიკურ მოძრაობაში. ვფიქრობთ, ღირს ამაზე პასუხის გაცემა: ახალგაზრდობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თითო-ოროლა მკითხველს, ალბათ, ემახსოვრება, როგორი თავგანნირვით შეერკინეთ, პატივცემულო რევაზ, მჟავანაძესა და ბრეჟნევს, როგორ უშიშრად ამხილეთ ისინი; მართალია, იმ დროს ორივენი უკვე კარგა ხნის „ჩამოსვენებულები" იყვნენ პოლიტიკური ავანსცენიდან, მაგრამ, „მაი აფერია". თუმცა რაღა შორეულ წარსულს ვიხსენებთ, აგერ ახლახან არ იყო, სულ ბდღვირი რომ ადინეთ „მარიონეტ მკვლელებს" და „ეროვნული მოძრაობის ბუნებრივ სვლას დაპირისპირებულ ყველა უბადრუკ მოხელეს"! (იხ. „კრიტიკა", N2, 1989 წ. გვ. 4). ოღონდ, პატივცემულო რევაზ, აქაც უნდა „ჩაგიხველოთ": როცა ეს, თქვენი ტერმინოლოგიით, „უბადრუკი მოხელეები" ფეხზე მყარად იდგნენ, თქვენ მათ სულ სხვანაირად ეჟღურტულებოდით! არ გახსოვთ? ვერ გაიხსენეთ? მაშინ ჩვენ შეგახსენებთ, როგორ გუნდრუკსაც უკმევდით რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელს, რომელიც, თქვენი სიტყვებით, *„თავისი ცხოვრების წესითა და საზოგადოებრივი საქმიანობით ჭეშმარიტი დემოკრატიის მაგალითს იძლევა: ჩვენი ვალია, მხარში ამოვუდგეთ მას ქვეყნის ჭეშმარიტი გარდაქმნისათვის სამართლიან ბრძოლაში"* (იხ. იმავე ალმანახ „კრიტიკის" იმავე წლის, თქვენ წარმოიდგინეთ, იგივე მეოთხე გვერდი, ოღონდ — პირველი ნომრისა). არადა, იქნებ, სწორედ თქვენ, მისგან აღზევებულს, ნაკლებად გქონდათ მორალური უფლება ამგვარი „მხილებისა".

ასეთი გახლავთ პრინციპულობის, ერთგულებისა და ვაჟკაცობის თქვენეული გაკვეთილი, რასაც ახალგაზრდობას უტარებთ, პატივცემულო რევაზ.

თქვენ მათ არა მარტო პრინციპულობას ასწავლით, არამედ ენასაც: უცნობიერებთ სიტყვისა და ფრაზის ახალ, აქამდე მათთვის მიუწვდომელ მნიშვნელობებს. როცა თქვენ დაწერეთ რობერტ სტურუაზე, **ეს ანტიეროვნული განწყობილების რეჟისორი უნდა წავიდეს რუსთაველის თეატრიდანო**, ამით, თურმე, ის კი არ გითქვამთ, თეატრიდან **წავიდესო**, არამედ — ეს ნიჭიერი რეჟისორი **დარჩეს** თეატრში, ოღონდ **ჩამოვაქვეითოთო**. უსაყვედურეთ კიდეც ახალგაზრდებს, ასეთ ელემენტარულ რამეს როგორ ვერ მიმიხვდითო: *„რაც შეეხება ჩვენს მკვახე შეძახილს რობერტ სტურუას თეატრიდან წასელის შესახებ, იქნებ მიმხვდარიყავით, რომ ჩვენ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის სკამიდან გადადგომას ვგულისხმობთ და არა ნიჭიერი რეჟისორის თეატრიდან წასვლას საერთოდ... რობერტი ხომ უპირველესად რეჟისორია და თავისი სპექტაკლით ელაპარაკება მაყურებელს".*

ახალგაზრდებს და, მათთან ერთად ჩვენც, მკითხველებს, პატივცემულ

რევაზ მიშველაძისათვის მადლობის თქმის მეტი რაღა დაგვრჩენია იმის გამო, რომ ფილოლოგიურად გაგვანათლა და გვასწავლა „წასვლა“ სიტყვის ეს ახალი, აქამდე უცნობი მნიშვნელობა. პატივცემულ რევაზს, ალბათ, ეამება კიდეც, თუ შემოქმედებითად გამოვიყენებთ მისსავე მეთოდს: მაგალითად, თუ ვინმე იტყვის, რედაქტორ-ფელეტონისტი წავიდეს რედაქციიდანო, ვიგულისხმებთ, რომ კი არ უნდა წავიდეს, — უნდა დარჩეს რედაქციაში, ოღონდ, მთავარი რედაქტორის სავარძლიდან ჩამობრძანდეს და კორექტორად ან ლიტმუშაკად იმუშაოს: არც ფელეტონების წერა უნდა აეკრძალოს მას — იგი ხომ უპირველესად ფელეტონისტია და თავისი ფელეტონებით ელაპარაკება მკითხველს. ან, თუ რომელიმე უზნეობით სახელგანთქმულ ლექტორს „შეეუძახებთ მკვახედ“, ნადი უნივერსიტეტიდანო, ყველამ იცოდეს, ლაპარაკი იქნება კათედრის გამგეობიდან ან პედაგოგიური სარბიელიდან მის წაბრძანებაზე, თორემ ვის რა გვექნება საწინააღმდეგო, თუ მას უნივერსიტეტში რაიმე ტექნიკური (ოღონდ — არამც და არამც საფინანსო ან სამეურნეო!) მუშაკის თანამდებობაზე დაასაქმებენ?

თქვენი ლოგიკითა და ენათმეცნიერული მიგნებებით ხომ ასეა, პატივცემულო რევაზ?

„ჩემი წიგნებისათვის რომ გადაგეხედათო“, — თქვენთვის ჩვეული თავმდაბლობით ურჩევთ ახალგაზრდობას, პატივცემულო რევაზ; ეს, იქნება, მართლაც არ ყოფილიყო ზედმეტი, მაგრამ მათ ბევრად უფრო საშური და აუცილებელი საქმეები აქვთ. გავკადნიერდებით და შემოგბედავთ — იქნებ, თქვენც „გადაგეხედათ“ ერთი, ეტყობა, თქვენთვის ნაკლებად ცნობილი წიგნისათვის, სადაც ასეთი რამ წერია: *„ნუ განიკითხავთ, რაითა არა განიკითხნეთ. რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქვენ“.*

„ლიტერატურული საქართველო“, 8.12.1989

ბოდიში, მაგრამ ბოდიშს ვერ მოგიხდით!

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის თავმჯდომარემ ნიკა ჩერქეზიშვილმა წერილით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბესარიონ გუგუშვილს ე.წ. „კოლექტიური ნერილების“ გამოქვეყნებით „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონის ფაქტობრივი დარღვევის თაობაზე. ეს წერილი

დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკის" გუშინდელ ნომერში ამ ორგანოსათვის ნიშანდობლივი „რედაქტორის მინაწერით".

ქალბატონი მარიკა აბაიშვილი, „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორი, „მინაწერის" თავშივე ბრძანებს:

„თავს უფლებას ვაძლევ რამდენიმე პირადი მოსაზრება გამოვთქვა წერილის შესახებ, რომლის ადრესატი თავად არ გახლავართ".

ეტყობა, რედაქტორი ვარაუდობს, რომ ადრესატს პასუხის გაცემის ან უნარი არა აქვს, ან სურვილი. არადა, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი სრულებით არ ტოვებს უძლური პოლემისტის შთაბეჭდილებას, რომ ვინმეს მიშველება სჭირდებოდეს. ქალბატონს ვერ ვაკადრებთ, თორემ რედაქტორი ვაჟბატონი რომ ბრძანდებოდეს, ასეთ „რედაქტორის მინაწერს" უფრო „რედაქტორის მატრაკვეცობად" აღვიქვამდით.

მივყვეთ ქალბატონ რედაქტორის მიერ „გაღმა შეედავეს" პრინციპით ჩამოყალიბებულ პუნქტებს:

1. თურმე ბატონ ნიკა ჩერქეზიშვილს და, საერთოდაც, „ოპოზიციონერ" ჟურნალისტებს, არ უნდა ამშვენებდეს სურვილი ადამიანებს აპყარონ უფლება საკუთარი მოთხოვნების კოლექტიურად გამოთქმისა.

როგორი დემოკრატიული გამხდარხართ, ქალბატონო რედაქტორო, როგორ ზრუნავთ, რომ მთელ საქართველოს ამბად მოეფინოს, ეცნობოს, რომ 130 ადამიანს (და, თუნდაც, ათჯერ 130-ს) სურს მავანის მოხსნა, მავანის მოკვეთა, მავანის დაჭერა, მავანისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევა, მავანის ჩაქოლვა. პაატა ნაცვლიშვილის რედაქტორობიდან მოხსნა თუ 130 კაცს უნდა, გვერწმუნეთ, ქალბატონო მარიკა, არანაკლები რაოდენობის ხალხი აღმოჩნდება, თქვენი არამცთუ რედაქტორობიდან მოხსნა, საერთოდ, კალმის ხელში აღების აკრძალვა რომ უნდოდეს. რა ვქნათ, ახლა, ჩვენ? მოგბაძოთ და ვაქვეყნოთ ამ ტიპის კოლექტიური წერილები? რაც არ უნდა გამოგვიწვიოთ, ამ უკეთურ შეჯიბრში მეტოქეობას არ გაგიწევთ.

2. თურმე ბატონ ნიკა ჩერქეზიშვილს და, საერთოდაც, „ოპოზიციონერ" ჟურნალისტებს ყური წაუყრუებიათ, „როდესაც იარაღით ხელში ამკვიდრებდნენ დემოკრატიულ მოთხოვნებს". ღმერთმა დაგვიფაროს, იარაღით თვით დემოკრატიული მოთხოვნების დამკვიდრებაც კი არ გვსურს, ოღონდ, ცოტა უფრო მძიმე შემთხვევა ხომ არ არის, ქალბატონო რედაქტორო, როცა იარაღით ავტორიტარიზმს ამკვიდრებენ?

3. ტელერადიოთი ობიექტურ და საინტერესო გადაცემებზე წყალი გადაგვიწურეთ, ეს უახლოეს მომავალში ვერ მიიღწევა, ამას სხვა რანგის

პროფესიონალიზმი სჭირდებაო... ჩვენც მანდა ვართ, ოღონდ მაღალი დონის პროფესიონალიზმი თუ პროფესიონალთა სამსახურიდან გაყრითა და მათი მოთხოვნების უგულებელყოფით მიიღწეოდა, ეს კი აღარ ვიცოდით... ისე, თქვენც არაპროფესიონალიზმზე ჩივით, ქალბატონო რედაქტორო? რაღაც მოდად ხომ არ იქცა — არაპროფესიონალებმა ანათემა მოუწყონ არაპროფესიონალიზმს?!

4. ჟურნალისტური მოვალეობის შესრულების ეფექტურ გზად თქვენ, ქალბატონო რედაქტორო, ერთობ საინტერესო მოსაზრება გამოთქვით: საბჭოთა საქართველოს სამსახურში დაწინაურებულმა ჟურნალისტებმა, თურმე, კალამი უნდა გადადონ და რაღაც სხვა საქმიანობაზე გადაინაცვლონ. ჩინებული იდეაა: დავადუმოთ ამ ავადსახსენებელი „საბჭოთა საქართველოს" პერიოდში დაწინაურებული ჟურნალისტები... დაგვრჩება 1921 წლამდე და 1990 წლის შემდგომ დაწინაურებული კადრები. 1921 წლამდე „დაწინაურებული" ჟურნალისტები — სერგი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, არჩილ ჯორჯაძე და სხვები — თქვენ, გასაგები მიზეზების გამო, მეტოქეობას ვეღარ გაგიწევენ, ასე რომ, 1990 წლის შემდეგ დაწინაურებულ ჟურნალისტებს დაგრჩენიათ, ქალბატონო რედაქტორო — საბუქნაოდ-მეთქი, ვერ გკადრებთ — საგოგმანოდ პრესის მოცარიელებული ასპარეზი და, აბა, თქვენ იცით და თქვენმა პროფესიონალიზმმა!

მინანერი ასე მთავრდება: „ბოდიშს მოვითხოვ კადნიერებისა და მკეეთრი ტონის გამო თქვენი, როგორც ასაკოვანი ადამიანის წინაშე".

კიდევ კარგი, ბატონი ნიკა „ასაკოვანი" რომ აღმოჩნდა!

ზოგჯერ ბოდიშიც შეურაცხმყოფელია ადამიანისათვის.

ამიტომ, ბოდიში, ქალბატონო რედაქტორო, მაგრამ ამჯერად ბოდიშს ვერ მოგიხდით ვერც თქვენი უასაკობისა და ვერც თქვენი, თუნდაც, ასაკოვნობისა გამო.

„დრონი", 18.10.1991 წ.

ბანის გარეშეც...

ამას წინათ ასეთი შინაარსის მოსაწვევი ბარათი მივიღე: *„კორპორაცია „ბანი და კომპანიის" პრეზიდენტმა ბატონმა ბადრი ნინუამ დაანესა პრემია „ბანი", რომელიც ყოველ წელს მიენიჭება ქართული მეცნიერების, ხელოვ-*

ნების, ლიტერატურისა და სპორტის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, აგრეთვე მშვიდობის დაცვის საქმეში მოღვაწე რჩეულ პიროვნებებს. გთხოვთ, გვენვიოთ პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონიალზე"...

მანამდე არ მქონია პატივი ბატონი ბადრი ნინუა მცნობოდა. არც კორპორაცია „ბანი და კომპანიის" საქმიანობაზე გამეგონა რაიმე და, ალბათ, ამიტომაც, ცოტა არ იყოს, შევცბი, როცა სასტუმრო „მეტეხში" ვიხილე ფრიად პატივსაცემი კრებული სასულიერო თუ საერო პირთა. არ დაგიმალავთ, შემაცბუნა ომიანობის ჟამისათვის შეუფერებელმა ჩვენმა ამგვარმა შექცევამოცალეობის მასშტაბებმაც. აქვე გავიგე, რომ პრემიის თანხა ამ ჩვენი საერთო-სახელმწიფოებრივი „კუტრობის" პირობაზე საკმაოდ სოლიდური გახლდათ — 10 მილიონი მანეთი...

დაინყო ლაურეატთა დაჯილდოვება. თქმა არ უნდა, მათზე არამცთუ „ბანის" — „ოსკარის" ან სულაც „ნობელის" პრემიებიც ალალია... ბატონ ბადრი ნინუასაც, როგორც მერმე შევიტყვე, ჭეშმარიტად ხელგაშლილსა და მრავალ გაჭირვებულთა შემნე კომერსანტს, ჩემი აზრით, მადლობის მეტი არაფერი ეთქმის. ზუბალაშვილობა და სარაჯიშვილობა დღეს ისევე საჭიროა, როგორც მაზნიაშვილობა. თუ ვინმე მაინცდამაინც ნობელს მოიხმობს შესადარებლად და იტყვის, საკუთარი სახელის პრემია რომ დააწესო — „ბანი" ანუ „ბა(დრი)+ნი(ნუა") — ამის უფლება ისევე უნდა მოიპოვო, როგორც აკადემიკოსმა ალფრედ ნობელმა, დიდმა ინჟინერ-გამომგონებელმაო (სხვათა შორის, ეს პრემია მას თავის სიცოცხლეში არ დაუწესებია; ნობელის ანდერძით შეიქმნა „ნობელის ფონდი" და პრემიას საგანგებო კომიტეტი გასცემს), ამგვარ სკეპტიკოსებს მოვახსენებ — კაცია და გუნება; კომერსანტმა კაცმა ხელგაშლით გაილო მილიონები საღვთო საქმისთვის და ნუ დავძრახავთ, თუ ამაში თავისთვის სარგებლიანი სარეკლამო მომენტიც ჩადო. ანგარიშიანობა ქველმოქმედებაშიც დასაშვებია და ამ მხრივაც ბატონ ბადრი ნინუას, ჩემი აზრით, არაფერი შეშლია. მაგრამ შეეშალა, და ძალიან მწარედაც შეეშალა, ამ პრემიის „ჟიურის", როცა კინორეჟისორ ქეთი დოლიძის პირით განაცხადა — ლიტერატურის დარგში პრემია არ გაიცაო; მიჭირს, ძალიან მიჭირს დავიჯერო, რომ ასეთი განაჩენი თანამედროვე ქართულ მწერლობას ერთპიროვნულად ვინმემ გამოუტანა, მით უფრო — „კაცია-ადამიანის" ეკრანიზატორმა; არც ის ვიცი, საერთოდ არსებობდა თუ არა რაიმე „ჟიური"... ერთი პირობა ისიც კი გავიფიქრე, იქნებ თავისი ყადრისა და ფასის მცოდნე ქართველმა მწერლებმა ამ პრემიაზე სულაც უარი განაცხადეს — „ბანისა" რა გვცოდნია, ქართული სიტყვა, როგორმე ბანის გარეშეც ულერსო. ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება, „ბანის" პირველი ხმებისათვის მოსაწონი ჩვენს ლიტერატურას ამ ბოლო ხანს თურმე არაფერი შეუქმნია... მაგრამ მწერლებს წერაზე რომ ხელი საერთოდ არ ჩაექნიათ, „ბანის" კონსულტანტები მათ დიდსულოვნად დაპირდნენ — თუ გამეცადინდებით და რასმე ჩვენს

მოსაწონს შექმნით, გაისად ორმაგი თანხით დაგაჯილდოვებთო. პლატონ სამანიშვილისა არ იყოს (ბატონ ბადრი ნინუას არ ეკადრებ, მის კონსულტანტებს შევახსენებ: დავით კლდიაშვილის — არის ასეთი ქართველი მწერალი — ერთ-ერთი პერსონაჟია) — „ამაზედაც გმადლობთ, უფალო"...

ისე, ქართული ლიტერატურის უპრემიოდ დატოვებაზე იქვე, ცერემონიალის დროს, ასეთი ვარაუდიც გამოითქვა: პრემია ვისთვის უნდა გადაეცათ, ყველაზე დიდი ქართველი პოეტ-მეიგავე გროზნოშია, ყველაზე დიდი ქართველი პოეტ-მეზღაპრე — უკრაინაში, ცოლოურშიო.

მე კი, პირადად, ასე მგონია — თეატრალური სანახაობითა თუ სპორტული შეჯიბრების ცქერით გადაღლილი „ბანის" კონსულტანტები ძილის წინ წიგნს გულს ვეღარ უდებენ; მოგეხსენებათ, ასეთ მდგომარეობაში ლიტერატურის წაკითხვა რა ძნელია, გაგებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

მოკლედ, „ბანის" კონსულტანტებს, და არა მარტო მათ, მე ვურჩევდი ნელს გულდასმით იმუშაონ ქართული ლიტერატურის ეკრანიზაცია-გასცენიურებაზე — ვინ იცის, იქნებ საგაისოდ თვით „ბანის" პრემიასაც კი გამოჰკრან ხელი (გახსოვთ, ალბათ, აკაკი წერეთლის — არის ასეთი ქართველი მწერალი — „ბაში-აჩუკში" ამგვარი გამოთქმა: „შაპის ცოლობასაც გამოჰკრა ხელი").

„ლიტერატურული საქართველო", 21.5.1993

ხუთიანი პლუსით

ისტორიული ფაქტია, ლიტერატურაშიც დამონმებული:

ჟანდარმერიას პროკლამაციის ავტორი სტუდენტი დაუჭერია; ალექსანდრე მესამე გასცნობია ტექსტს — იმპერატორი უნდა ჩამოვაგდოთ და რუსეთი ჩვენ, რევოლუციონერებმა, ვმართოთო; ხელმწიფეს ნითელი მელნით აკურატულად ჩაუსწორებია პროკლამაცია და რეზოლუციაც დაუდევს:

„რუსეთის მართვის ცოდნამდე სასურველია რუსული ორთოგრაფიის ცოდნა".

* * *

არა მარტო იმპერატორის ჩამოსაგდებად და არა მარტო რევოლუციონერებისთვისაა საჭირო ორთოგრაფიის ცოდნა; ჟურნალისტსაც სჭირდება იგი ჩვენი დღეებისთვის თუნდაც ისეთი უმნიშვნელო დაკვეთის შესასრულებლად, როგორიცაა მინისტრისთვის წყლის შეყენება.

დღეს ამას დიდი ჭკუა და სინდისიერება, იქნებ, არც სჭირდებოდეს, მაგრამ წერა-კითხვის ცოდნა კი აუცილებელია რვანლედის დონეზე მაინც.

ალბათ გახსოვთ ლადო ასათიანის ცნობილი ფუნაგორია ნიკა აგიაშვილზე:

აგიაშვილსა ნიკასო
არ ნაყვარება პიკასო.
გადარეულა პიკასო —
რა დავუშავე ნიკასო.

„ჯორჯიან თაიმსის" (N35, 8-15, VII, 1997) ინკოგნიტო ავტორს ანუ „ტელემაყურებელსაც" არ ნაყვარება განათლების მინისტრი...

დიდი ამბავი, მინისტრები დღეს ვის ეხატება გულზე, „ჯორჯიან თაიმსს" რომ ეხატებოდეს.

ეგეც არ იყოს, უსახელო „ტელემაყურებლის" კი არა, თავისი ჭკუით, ქვეყანას რომ აზანზარებდა, იმ ხალხის შემოტევისას არ მიწუწუნია — ნეტავ, „რა დავუშავე ნიკასო" (ლიკასო, თიკასო, ზვიკასო, მაკასო, კლარასო, ფოთოლასო)? მით უფრო, რომ ჩინებულად ვუწყი, რაც დავუშავე ამ კატეგორიის ხალხს.

ერთმა რამემ კი შემაფიქრიანა: წინათ ვინც მებრძოდა, ის ხალხი სინდისნამუსზე იყო მწყრალად, თორემ — წერა-კითხვისა რა მცოდნია, ამ საქმის პროფესიონალები იყვნენ...

ახლა კი, ვგონებ, ნუცას სკოლის კონტინგენტი მიპირებს დაბრიყვებას.

ამაშიც, ვინ იცის, ღრმა აზრი ჰქონდეს „თაიმსს" ჩადებული — განათლების მინისტრი რომ ნიგნიერად, ცოდნით გააკრიტიკო, შეიძლება ისიც თქვან — ა, ბატონო, განათლებული ჟურნალისტის განათლებული ნაწერი, ეტყობა, არც ისე ცუდად გვქონია საქართველოში სწავლა-განათლების საქმეო.

„ტელემაყურებლის" სტატია მოკლეა, უსასრულოდ გრძელია მასში დაშვებული აზრობრივი, სტილისტური, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომების ნუსხა. ყოველი მათგანის განმარტებისაგან რომ მკითხველი არ შევაღონო, მივუთითებ მხოლოდ შეცდომის სახეს და ლიტერატურას, რომლის გაცნობა მომავალში მაინც გამოადგება „ტელემაყურებელ" ჟურნალისტს და მის დამკვეთებს.

„გასულ შაბათს, ტელეეკრანიდან გვესროლა ლოზუნგი თამაზ კვაჭანტირაძემ, განათლების მინისტრი რომაა."

განათლების მინისტრი რომაა, მისი სწავლება აღარ უნდა გვჭირდებოდეს — „შაბათს" შემდეგ მძიმე ზედმეტია (ქართული ენა, გრამატიკა, მართლწერა და მეტყველების განვითარება, მეორე კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1995 წ.).

„გადაცემა „ბარიერი", გამავალმა „საქართველოს ხმის" ეთერში, გან-

კუთვნილი ერთი საათის ნაცვლად მთელი ნახევარი საათით მეტი დაუთმო საქართველოს ერთ-ერთ უკანასკნელ მოჰიკან მინისტრს".

გაიგეთ რამე? ვერ ჩასწვდით „საქართველოს ხმის" ეთერში გამავალი გადაცემის შინაარსს? ადვილი საქმე არაა, რადგანაც „ტელემაყურებელი" ამჯერად სიტყვას ვერ აბრუნებს ვერც პირდაპირი და ვერც გრამატიკული გაგებით. ამიტომაც უქცევს ასე ძველავლაბრულად: **გადაცემა „ბარიერი"** (ნაცვლად — „ბარიერმა") **დრო დაუთმო მინისტრს** (ქართული ენა, ფონეტიკა, გრამატიკა, მართლწერა და მეტყველების განვითარება, მეოთხე კლასის სახელმძღვანელო).

ასეთ შემთხვევაში დიდი ფუფუნება იქნებოდა „მოჰიკანის" მნიშვნელობის ცოდნა მოგვეთხოვა სტატიის ავტორისაგან, მაგრამ — მაინც:

საქართველოს ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი მინისტრი ორ შემთხვევაში იქნებოდა აზრიანი გამოთქმა: ა) მინისტრობა — როგორც გარკვეული სტატუსის აღმნიშვნელი თანამდებობა — რომ ქრებოდეს და კვაჭანტირაძე და კიდევ ერთი-ორი კაციღა დახანხალებდეს, ამ სტატუსის მქონენი; ბ) კვაჭანტირაძეთა მოდგმა გადაშენების გზაზე რომ იდგეს და განათლების მინისტრი მათი ერთ-ერთი ბოლო წარმომადგენელი იყოს...

„ტელემაყურებელ" ჟურნალისტს, იქნებ, ასეც სურდეს ან ეგონოს, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, ასე რომ არაა?

თურმე ეკრანს შებერებულ მინისტრს ყბადაღებული თეთრი „როლინგები" ჰალსტუხით დამშვენებულ ბაცი ფერის პერანგებზე შეუცვლია, *„ხოლო ათიოდე წლის წინანდელი ფერმკრთალი ლოყებჩაცვენილი სახე (იმ მეცადინეობისაგან გატანჯული აბიტურიენტის მსგავსი, რომლებისათვისაც ბატონი მინისტრი ტელეეკრანიდან ირჯებოდა), რომ გვახსოვს, ახლა ზუსტად სამინისტრო ფერ-ხორცით შეევსო. ვერ (უ)ხდებოდა?!"*

ჯერ ერთი, **მინისტრის სახე იმ მეცადინეობისგან** გატანჯული აბიტურიენტების სახის მსგავსი კი არაა, არამედ — **მეცადინეობისგან** გატანჯული **იმ აბიტურიენტების** სახის მსგავსი, ვისთვისაც იგი ეკრანიდან ირჯებოდა. აქ უკვე უფრო რთულად დასაძლევ მეხუთე კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოზე უნდა მივუთითო „ტელემაყურებელს". აღარაფერს ვიტყვი უხეშ პუნქტუაციურ შეცდომებზე, რამდენიმე ათეულ შემთხვევაზე ტექსტში სასვენი ნიშნების უწიგნური ხმარებისა — აქ უფრო სხვა მომენტმა დამაინტერესა: ტელეეკრანზე 1975 წლიდან ვჩანვარ... ოცდაორი წლის განმავლობაში კაცი, ცხადია, გარეგნობითაც იცვლება და ტანსაცმელსაც, რაც უნდა უცნაურად მოეჩვენოს „თაიმსის" ავტორს, იცვლის. მართალი გითხრათ, არ მეგონა, თუ ამდენ ყურადღებას დაიმსახურებდა ჩემი ლოყებისა და გარდერობის შევსება-არშევსების პრობლემა. ტრადიციულ ოჯახში აღზრდა მიშლის ხელს ანალოგიური ინტერესი გამოვიჩინო — რა და როგორ შეევსო ამ ორი ათეული წლის მანძილზე „თაიმსის" ავტორსა და მის

მესვეურ-დამკვეთებს. თუ მანდილოსნები ბრძანდებიან, იმედი ვიქონიოთ, რომ მათი კონფიგურაცია, ჩემგან განსხვავებით, უფრო დაიხვეწებოდა.

დაბოლოს, გალაღებული (გალაღება კი რამაც იცის, ჩემზე ნაკლებ არ მოგეხსენებათ) „ტელემაყურებელი" ნიშნებსაც მიწერს მეტყველებაში, მორალში, გარეგნობაში, თავის დაჭერაში... ზოგში ხუთიანს (და არა — ხუთს, როგორც თვითონ წერს), ზოგში — სამიანს და ზოგშიც — ორიანს... მე უფრო ერთგვაროვნად შევაფასებდი ქალბატონ „ტელემაყურებლის" ნაღვაწს, თანაც სკოლაში უკვე აპრობირებულ საგნებში:

ყოფაქცევა ანუ ზრდილობა — ხუთიანი;

შრომა ანუ დაკვეთის შესრულების ხელოვნება — ხუთიანი;

საოჯახო აღზრდა — ხუთიანი;

ლოგიკა — ხუთიანი;

ქართული ენა (მართლწერა, გრამატიკა, სტილისტიკა) — ხუთიანი პლუსით.

მე მართლაც სერიოზულად ვფიქრობ — თუ „თაიმსის" „ტელემაყურებელი" დაწყებითი ანუ ელემენტარული სკოლის მოსწავლე არ არის და ჩემი მინისტრობის დროს აქვს თუნდაც საბაზო ანუ ცხრაწლედის დამთავრების მოწმობა მიღებული, მაშინ მე, წესით, უნდა გადავდგე.

* * *

ისევ „პირველსა სიტყვასა ზედა მოვიდეთ"...

რით დამთავრდა პროკლამაციის ავტორი სტუდენტის ისტორია?

ჯერ მეფის ნასწორები ტექსტი და რეზოლუცია აჩვენეს, მერე ციხიდან გამოაპანღურეს.

პოლიტიკას შეეშვა, თუმცა — გალოთდა.

სინდისმა თუ შეაწუხა.

„თაიმსის" „ტელემაყურებელს და კომპანიას", ჩემი შეტყობით, ამ ნიადაგზე გალოთების საფრთხე არ უნდა ემუქრებოდეთ.

„ლიტერატურული საქართველო", 11.8.1997

მაგ „პრავდით" იარონ!

გაზეთ „პრავდა-5"-ის 53-ე ნომერში (30.VIII-6.IX, 1996) გამოქვეყნდა წერილი საქართველოზე (და საქართველოდან) — „მასწავლებლებმა დე იშიმშილონ". ქართული პედაგოგიკის თემა „არ-ახალია" სტატიის ავტორის

ვლადიმერ სტატსკისათვის: „პრავდა-5"-ის წინა ნომერში იგი ამტკიცებდა, რომ საქართველოს ხელისუფლებმა დასაჯეს გაკადნიერებული მასწავლებლები და გაფიცვის გამო სამუშაოდან დაითხოვეს. ეტყობა, მასწავლებელთა უმუშევრად დატოვება ავტორს არასაკმარისად ეჩვენა და ახლა გადაწყვიტა ისინი ხელისუფლებას შიმშილით დაახოცინოს. ინფორმაციის მიხედვით, მთავრობის ამ ვერაგულ განზრახვას საქართველოს მასწავლებლობა წინ აღსდგომია და ახალი სასწავლო წლის დასაწყისშივე თბილისის ოცდაათ სკოლას, თურმე ნუ იტყვით, გაფიცვა გამოუცხადებია, მათ კი საქართველოს სხვა რეგიონების პედაგოგებიც შეერთებიან.

სანამ ძირითად სათქმელზე გადავიდოდე, ერთ ჩემს მოსაზრებას გაგიზიარებთ: ვფიქრობ, ჩვენი ფსიქოლოგიური დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს რუსეთში (და — სხვაგანაც) გამოქვეყნებულ მასალებზე: წინათ, ალბათ, გახსოვთ — სარგებლობდნენ რა ჩვენი გამახვილებული თავმოყვარეობით, ესა თუ ის გაყიდული კალმოსანი დანერდა ხოლმე სიმართლეში გადაზელილ ტყუილს... ავტეხდით ამაზე ერთ ვაიუშველებელს; ხან იმის მტკიცება გვიხდებოდა, რომ ჩვენი მანდარინები იაპონურს არ ჩამოუვარდება, ხან იმისა, რომ არა ვართ რუსთმოძულენი, რახან ბათუმელ დედას არა სურს თავის შვილს უძველესი ხელობის პროფესიონალი რუსი ქალბატონი რძლად შემოაყვანინოს ოჯახში და ა.შ. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ ეს კალმოსნები ჩვენგან სწორედ ამგვარ ფეთქებად რეაქციას ელოდნენ, რათა ჩავეყენებინეთ თავისმმართლებლის ნამგებიან პოზიციაში და ჩვენ, როგორც ერი, გარკვეულწილად დავეკომპლექსებინეთ. ამიტომ ყველას და ყველაფერზე კაცმა არც უნდა უპასუხოს. სწორად გამიგეთ — ცილისწამებასა და ბეზღობაზე პასუხი როგორ არაა გასაცემი; თუნდაც ილიას მიერ გასილაქებული კატკოვი გავიხსენოთ, მაგრამ კატკოვის როლი და ზეგავლენაც გაიხსენეთ მაშინდელ საზოგადოებაზე; ასე რომ, ასტაფიევს, რასპუტინსა და ძმათა მათთა, როგორც გავლენიან პერსონებს, პასუხი დიახაც უნდა გასცემოდათ და გაეცათ კიდეც (თუნდაც კიტა ბუაჩიძის ცნობილი „გრძელი, ძალზე გრძელი უსტარი" რად ღირს), მაგრამ რამდენი წვრილფეხა კალმოსანი საზღვარგარეთ ცხვირს დააცემინებს, ყველაფერზე მთელმა საქართველომ — „ზმუკიო", ვფიქრობ, არ უნდა შეუძახოს.

და ერთიც: როდესაც ჩვენივე ზოგიერთი პერიოდული გამოცემა ბევრად უფრო ნასუქ „ჟურნალისტურ იხვებს" ამოაფრენს ხოლმე, სხვისა და უცხოსაგან რაღა უნდა გაგიკვირდეს კაცს.

ახლა უშუალოდ საქმეზე:

„პრავდა" (ანუ „სიმართლე", თუ ქართულად ვთარგმნით) რა სიმართლითაც გვკვეებავდა ამ საუკუნეში, ცნობილია. მაგრამ ის ძველი „პრავდა" ოპერატიული სიცრუით მაინც გვკვებავდა. „აპრავდა-5", ეს მოდიფიცირებული „პრავდა", არაოპერატიული დეზინფორმაციით გვიპირებს დაპურებას.

ზემოთ სიმართლეში გადაზელილ ტყუილზე მოგახსენეთ: თბილისის რამ-

დენიმე სკოლა მართლაც გაიფიცა ხელფასის გაზრდის მოთხოვნით, მაგრამ არა — ოცდაათი; და, რაც მთავარია, ეს სკოლები გაიფიცნენ გასული სასწავლო წლის ბოლოს და არა ახალ სასწავლო წელს, როგორც ეს ინფორმაციაშია. მოკლედ, გასული სასწავლო წლის გაფიცვების გაბუქებული სურათი გადმოტანილია ამ სასწავლო წლის დასაწყისში. ობიექტურ ჟურნალისტს კი შეეძლო თავისი მკითხველებისთვის ეუწყებინა, რომ საქართველოში მოხდა პედაგოგთა ხელფასის უპრეცედენტო გაზრდა-გაორმაგება, რომ ასევე გაიზარდა ამ ხელფასების დანამატები და ამ დანამატებითურთ, ვთქვათ, II კატეგორიის მასწავლებელს თბილისში 45 ლარის ფარგლებში მიეცემა ხელფასი...

ჩვენ, ცხადია, პირველ ყოვლისა, ჩვენი პრობლემები გვაქვს გადასაჭრელ-მოსაგვარებელი, მაგრამ კოლეგიურად ვნუხდით, რომ რუსეთშიც მძიმე ვითარებაა განათლების მუშაკთა სოციალური დაცვის თვალსაზრისით — იქ შარშან მართლაც საყოველთაო გაფიცვის სახე მიიღო პედაგოგთა სოციალურმა ამბოხმა; საქართველოში კი ჩვენმა პროფესორ-მასწავლებლობამ გაუსაძლისს გაუძლო, აუტანელი აიტანა და სასწავლო პროცესი მასობრივად არსად ჩაშლილა.

რახან სიტყვამ მოიტანა, დიდი მადლიერებით მინდა მოვიხსენიო რუსეთის განათლების სამინისტრო, რომელთანაც ჩვენ საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, და მოსკოვის განათლების მთავარი დეპარტამენტი, რომელმაც ამ სასწავლო წლის დასაწყისში რუსულენოვანი სკოლებისათვის ნობათად მოგვართვა რამდენიმე ათასი სახელმძღვანელო. ჩვენ არც მოსკოვის მერიის როლი დაგვივიწყნია ჩვენი პირველი სკოლის შენობის აღდგენის საქმეში. ასე რომ, რუსულ-ქართულ საქმიან საგანმანათლებლო კავშირურთიერთობას ავისმჩხრეკელთა კალმის ნრიპინი ზიანს ვერ მიაყენებს.

საგულისხმოა, რომ ვლადიმერ სტატსკი ამ „არაოპერატიულ დეზინფორმაციას" თბილისიდან აწვდის „პრავდა-5"-ს და არც ავტორის ინფორმატორებია ძნელად ამოსაცნობი.

ძალიან გასჭირვებიათ ჩვენი პედაგოგების ჯიბესა და ღირსებაზე „მოამაგეებს", საქართველოს „სახელგამტეხი" დეზინფორმაციით „პრავდა-5"-ის მომარაგება რომ გადაუწყვეტიათ. რას იზამ, რადგან ასე მოსწონთ, მაგ „პრავდით" იარონ!

„საქართველოს რესპუბლიკა", №177, 3. IX,1996

მოწიწებული მადლობა

ბატონო რედაქტორო!

გაზეთ „ძველი სახლის" (N12, 1995) ფურცლებიდან ღია წერილით მომმართა ბატონმა ედიშერ გიორგაძემ; სამწუხაროდ, არა მაქვს პატივი პირადად ვიცნობდე მას, თუმცა კი ამ სახელისა და გვარის კაცზე ზოგი რამ მსმენია. რახან ტექსტში ავტორი ძველთბილისელ დარდიმანდ ბოპემად წარმოგვიდგენს თავს, იგი არამცდაარამც არ შეიძლება იყოს ის ედიშერ გიორგაძე, რომლის შესახებ „ცისკრელებისაგან" გამიგონია — ორი ჭიქის შემდეგ შეუკავებლობა სჭირსო (ალბათ, აზრის შეუკავებლობას გულისხმობდნენ); იგი არც ის ედიშერ გიორგაძე უნდა იყოს, ღია წერილის ავტორისაგან გაღმერთებულ ექსპრეზიდენტს „ჩამშვებად" და სუკის აგენტად რომ მიაჩნდა. ტექსტიდან, ერთი შეხედვით, კაცს შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, ავტორი „კარვის კაციაო"; თუ ასეა, მადლობას მოვახსენებ მას — ამ ყაიდის ხალხისგან დედაკაცური წყევლა-კრულვა მხოლოდ ღირსებას მძენს იმათ თვალში, ვისაც მე პატივსა ვცემ.

მაგრამ მე მაინც ასე მგონია, რომ ყურადღების ღირსი გავხდი ჩემთვის, მართლაცდა უწიგნურისათვის, სრულიად უცნობი უდიდესი ქართველი კალმოსნისა და ვეებერთელა მოაზროვნის, ბატონ ედიშერ გიორგაძისა... და მით უფრო მოწიწებული მადლობა მას, რომ თავისი უკვდავი კალმით ჩემი სახელიც შემოუნახა ჩვენს შორეულ შთამომავლობას.

„ლიტერატურული საქართველო", 24.3.1995

ხურავენ...

„ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორს

ამასწინანდელ „ლიტერატურულ საქართველოში" სახელმწიფოს მეთაურის ამგვარი განცხადება დაიბეჭდა: **„მე ვერ წარმომიდგენია ვიცხოვრო იმ ქვეყანაში, რომელშიც დაიხურება ისეთი გაზეთი, როგორიც „ლიტერატურული საქართველოა".**

მე კი ასე მგონია — „ლიტერატურული საქართველოს" დახურვა საქართველოს ლიტერატურის დახურვაა.

ეს კი ვერ მოახერხეს ვერც ლუკა ისარლოვმა და ვერც ბორის შატბეროვმა — ცნობილმა ცენზორებმა.

ეს ვერ მოახერხა ლავრენტი ბერიამ — გაზეთი ოცდაჩვიდმეტში არ დახურულა...

ეს ვერ მოახერხა ადოლფ ჰიტლერმა — მსოფლიო ომის დროს გაზეთი შეუფერხებლად გამოდიოდა.

თვით კარვის „სარქალმა" ფოთოლამ და კომპანიამ, რომ იტყვიან, ყველაფერი „გადაგვიხურეს" — ვერ დახურეს „ლიტერატურული საქართველო"...

და ის, რაც ვერ დახურეს ჰიტლერმა და ფოთოლამ, შეიძლება დახუროს მოვალემ. მოვალის როლში კი სახელმწიფო მოხელე ანუ — თვითონ სახელმწიფო გამოდის.

ოღონდ, როგორც თქვენი გამოანგარიშებით ირკვევა, ბატონო რედაქტორო, ამ მოვალეს თურმე თქვენი ბევრად მეტი მართებს, ვიდრე თქვენ — მისი.

დიდად დაგიმადლებდით, ბატონო რედაქტორო, მეცა და მთელი განათლების სისტემაც, თუ ამ განსხვავებულ თანხას, როცა მას სასამართლო წესით ამოიგებთ, „განათლების ფონდის" ანგარიშზე გადმოარიცხვინებთ „დედაენის" გამოსაცემად.

თუ რაიმე უკეთესზე დახარჯავს ამ თანხას თქვენი მოვალე, ჩათვალეთ, რომ თქვენთვის არაფერი გვითხოვნია.

„ლიტერატურული საქართველო", 28.I.1994

აუცილებელი განმარტება ანუ ერთი ცილისწამების გამო

მადლობა პრესას

სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების რკალში განათლების რეფორმას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამ რეფორმის აუცილებლობაზე აღარავინ დავობს, არც მისი სტრატეგიული მიმართულება დაუყენებია ვისმე ეჭვის ქვეშ — განსჯის საგნად შეიძლება იქცეს მხოლოდ განათლების რეფორმის ცალკეული დეტალი, მისი განხორციელების ტაქტიკა, რეფორმის ეტაპთა თუ მიმართულებათა პრიორიტეტულობა, თანმიმდევრობა, ტემპი და ა.შ.

ამ ბოლო ხანს პრესითაც და ტელევიზიითაც ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა რეფორმის ერთ ასპექტზე — განათლების ახალ კონცეფციასა

და მის მიღება-უარყოფასთან დაკავშირებულ პერიპეტიებზე („ჯორჯიან თაიმსი", N6 (35) — „განათლება დაკვეთით"; „კავკასიონი" N41 (110) — „განათლების სისტემა საოპერაციო მაგიდაზე"; „კავკასიონი" N51 (120) — „როგორ მივდივართ ტაძრისკენ?"; „სამშობლო ფორტე" N1 — „ღია წერილი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს" და სხვ.). თავისთავად, ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ასეთი დაინტერესება განათლების პრობლემატიკით მეტად სასურველი მოვლენაა და განათლების სამინისტრო მხოლოდ და მხოლოდ მიესალმება სწავლა-განათლებასთან დაკავშირებულ თუნდაც ყველაზე მტკივნეული და სადავო პრობლემების საჯარო მსჯელობის საგნად ქცევას. ისიც იმთავითვე უნდა ითქვას: ზემოხსენებულ პუბლიკაციებში განათლების სამინისტროს მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნათაგან ზოგი რამ გასათვალისწინებელია და ყურადსაღები. ასე რომ, განათლების თემატიკის წინ წამონევისთვის ზემოჩამოთვლილ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათათვის — და არა მარტო მათთვის — მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის; ასევე, გაზეთების რედაქციები, ჩვეულებრივ, პასუხს არ აგებენ გამოქვეყნებულ მასალაში „ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე"... ამიტომაც ჩვენ ზემოჩამოთვლილ გაზეთებს მივიჩნევთ განათლების საერთო საქმის გულშემატკივრებად და, თუ ქვემოთ ვინმესთან სადავო გვექნა, მხოლოდ და მხოლოდ იმ პირებთან, რომლებიც დიახაც აგებენ პასუხს „ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე", ე.ი. პუბლიკაციათა ამა თუ იმ დებულების უშუალო ავტორებთან.

რა ბრალდება განათლების სამინისტროს?

ასეთი სადავო კი, სამწუხაროდ, გვექნება და, არცთუ ცოტა, თანაც — ჩვენივე სისტემის მუშაკებთან, პირველ ყოვლისა კი განათლების მინისტრის მოადგილესთან მშენებლობისა და მატერიალური მომარაგების დარგში ბატონ **კახა ქორიძესთან**. კერძოდ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მის მიერ ატეხილი განგაში იმის თაობაზე, რომ, თურმე განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობას (აქ, პირველ ყოვლისა, მინისტრი იგულისხმება) დანაშაულებრივი გულგრილობა გამოუჩენია, მსოფლიო ბანკის ექსპერტების რეკომენდაციისთვის ყური არ უთხოვებია, მათ მიერ მოწონებული „უწყვეტი განათლების კონცეფცია" მინისტრთა კაბინეტში დასამტკიცებლად არ წარუდგენია, რის შედეგადაც საქართველოს 1995 წლისთვის მსოფლიო ბანკიდან დაფინანსება ვეღარ მიუღია, ის ნანატრი დაფინანსება, რომელიც გამიზნული ყოფილა მასწავლებელთა სოციალურ დაცვაზე. კერძოდ, ბატონი კ.ქორიძე წერს: *„კონცეფცია განიხილეს ოქტომბრის თვეში მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა, მათ მაღალი შეფასება*

მისცეს პროექტს და გეთხოვეს წლის ბოლომდე მომხდარიყო მისი დამტკიცება მინისტრთა კაბინეტში, რათა მსოფლიო ბანკს გამოეყო განათლებისთვის დაფინანსება 1995 წლიდან... განათლების სამინისტრომ კონცეფცია არ წარადგინა მინისტრთა კაბინეტზე განსახილველად, რამაც გამოიწვია ფინანსების გამოყოფის გადავადება მსოფლიო ბანკის მიერ" („ჯორჯიან თაიმსი", N6 (035), 1995).

ეს ბრალდება მეორდება „ღია წერილშიც" სახელმწიფოს მეთაურისადმი. მართალია, მას მარტო ბატონი კ.ქორიძე არ აწერს ხელს, მაგრამ მსოფლიო ბანკთან დაკავშირებული ვერსია მხოლოდ მას ეკუთვნის. იქ კიდევ უფრო დრამატული სურათია დახატული: *„1994 წლის 11 ოქტომბერს კონცეფცია განხილული და მოწონებული იქნა საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკურ საკითხთა სამთავრობო კომისიის მიერ მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე წარსადგენად... განათლების სამინისტრომ კონცეფცია არ წარადგინა მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე, რამაც გაურკვეველი ვადით გადადო განათლების სისტემის დაფინანსება მსოფლიო ბანკის მიერ. აღარაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ ჰაერივით სჭირდებოდა ეს დაფინანსება არა მარტო სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დარეგულირებას, არამედ პედაგოგთა სოციალურ დაცვასაც. ამგვარი დესტრუქციული მოქმედებისა თუ უმოქმედობის შედეგად შექმნილი მდგომარეობა მთელი ჩვენი საზოგადოების მოაზროვნე ნაწილის არა მარტო გაკვირვებას, არამედ აღშფოთებასაც იწვევს"* („სამშობლო ფორტე", N1, 1995).

„ჩვენი საზოგადოების მოაზროვნე ნაწილს", კერძოდ, მასწავლებლობას, ის ფაქტი, რომ განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობა, თურმე ნუ იტყვით, საგანგებოდ აბრკოლებს მისი სოციალური დაცვისთვის გამოყოფილ დაფინანსებას, ზემოაღნიშნული პუბლიკაციების შემდეგ თუ აღაშფოთებდა, რამდენადაც ეს ამბავი მას მხოლოდ ბატონ კ.ქორიძის პრესაში გამოსვლიდან შეეძლო შეეტყო... და, ძნელი მისახვედრი სულაც არ არის, რომ ამგვარი დეზინფორმაცია სწორედ იმ მიზანს ისახავს, მასწავლებლობა აუმხედროს განათლების სამინისტროს. ამიტომაც იძულებული ვართ ამ საკითხზე აუცილებელი განმარტება მივაწოდოთ მკითხველს, განსაკუთრებით, მასწავლებლობას.

ორიოდ სიტყვა „კონცეფციურ ვნებათაღელვაზე"

წინასწარ უნდა ითქვას, რომ განათლების სამინისტროსა და მასთან დაკავშირებულ უწყებებში მომზადდა კონცეფციის რამდენიმე ვარიანტი, რომელთაგან სამს, ყველაზე მეტ ვნებათაღელვას რომ იწვევენ, პირობითად ეწოდათ A, B და C ვარიანტი.

ახლა ისევ დავუბრუნდეთ მსოფლიო ბანკისაგან თითქოსდა ვერმიღებული დაფინანსების საკითხს.

პირველი: არ არსებობს არავითარი დოკუმენტური მასალა იმისა, რომ მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა მოიწონეს ბატონ კ.ქორიძის მიერ მათთვის წარდგენილი „უნყვეტი განათლების კონცეფცია და განათლების სისტემის ახალი მოდელის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება". ამის შესახებ არც კონცეფციის განხილვისა და შეფასების საოქმო ჩანაწერი არსებობს და, რაც მთავარია, არც მსოფლიო ბანკის ექსპერტების რეკომენდაციებშია ამის შესახებ რაიმე დაფიქსირებული. ასე რომ, ამ საკითხში უნდა ვენდოთ თვითონ ბატონ ქორიძის განცხადებას, ხოლო რამდენად სანდოა იგი, ქვემოთ გამოჩნდება.

მეორე: თუ ბატონი კ.ქორიძე მაინც ელაპარაკა ექსპერტებს კონცეფციის იმ ვარიანტზე (ე.წ. A ვარიანტი), რომელიც, რატომღაც, თავის პირად შემოქმედებად მიაჩნია, ეს მისი საქმეა, მაგრამ მას არ ჰქონდა უფლება შესაფასებლად და განსახილველად წარედგინა იგი მსოფლიო ბანკის ექსპერტისათვის, რამდენადაც ამის უფლებამოსილება არ მიუღია განათლების მინისტრისაგან. არ მიუღია იმიტომ, რომ კონცეფციის ეს ვარიანტი შესაჯერებელი იყო სხვა ვარიანტთან თუ ვარიანტებთან და, მისთვის უპირატესობის მინიჭება კოლეგიის ან მინისტრის გადაწყვეტილების გარეშე, მინისტრის მოადგილე კ.ქორიძისგან უნდა შეფასდეს როგორც თავისი უფლებების გადამეტება.

მესამე: კიდევ უფრო უხეშად გადაამეტა თავის უფლებებს ბატონმა კ.ქორიძემ, როცა 11 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკურ საკითხთა სამთავრობო კომისიას ამ კომისიაზე განსახილველ „საქართველოს რესპუბლიკის საგანმანათლებლო სისტემაში ფასიანი სწავლებისა და მომსახურების ეტაპობრივი დანერგვის სახელმწიფო პროგრამის" გვერდით შეაპარა კაბინეტის სხდომაზე განსახილველად თავისად მიჩნეული კონცეფცია და მისი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. ჯერ ერთი, ვითომცდა განხილვის საფუძვლად აღებული სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებისა (N276) და მინისტრთა კაბინეტის დადგენილების (N965) ტექსტები საერთოდ არ ითვალისწინებენ არავითარი კონცეფციის განხილვასა და, მით უფრო, მის დამტკიცებას მინისტრთა კაბინეტზე... N965 დადგენილებამ მხოლოდ დაამტკიცა განათლების სამინისტროს მიერ წარდგენილი „განათლების დარგში განსახორციელებელ გადაუდებელ ღონისძიებათა გეგმა", N276 ბრძანება კი ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში საგანმანათლებლო სისტემის ფასიან მომსახურებაზე ეტაპობრივ გადასვლას ეხება. ვიმეორებთ, არც ერთ დოკუმენტში ტერმინი „კონცეფცია" ნახსენებიც კი არ არის. ბუნებრივიცაა: კაბინეტის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით, კონცეფცია განათლების სამინისტროს კოლე-

გიას უნდა დაემტკიცებინა, ხოლო კაბინეტისათვის დასამტკიცებლად განათლების სახელმწიფო პროგრამის ანუ განათლების რეფორმის პროექტი უნდა წარედგინა. ასე რომ, ბატონმა ქორიძემ თვითნებურად შეცვალა განსახილველი მასალა და, ფაქტობრივად, შეცდომაში შეიყვანა კომისია, ხოლო რა ხერხებითა და მეთოდებით მიაღწია ამას, ეს უკვე უფლებათა გადამეტების სფეროს სცილდება: იმ დროს, როდესაც განათლების მინისტრი თბილისში, ადგილზე იმყოფებოდა, მასთან შეუთანხმებლად, მისი სახელით გაამზადა მიმართვა ეკონომიკურ საკითხთა სამთავრობო კომისიისადმი, სადაც თითქოსდა განათლების სამინისტრო მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განხილვისათვის შესათანხმებლად უგზავნიდა ამ კომისიას „უწყვეტი განათლების კონცეფციას"... თვით ეს მიმართვა ბატონმა კ.ქორიძემ დაბეჭდა განათლების სამინისტროს ბლანკზე, მაგრამ არ გაატარა სამინისტროს კანცელარიაში. მოკლედ, მან სამინისტროს ხელმძღვანელობის გვერდის ავლით და ზურგსუკან ქმედებით სცადა ფაქტის წინაშე დაეყენებინა სამინისტრო, რომ თავისად მიჩნეული კონცეფცია უკვე მოწონებულია სამინისტროზე უფრო მაღალ ინსტანციაში და — საკითხი, როგორც იტყვიან, განხილვას აღარ ექვემდებარება. ასეთი საქციელი ძნელია სხვანაირად შეაფასო, თუ არა შეგნებული სიყალბე.

რესპუბლიკის ბიუჯეტის ნახევარი — კომპენსაციაზე

აქ შეიძლება ასეთი კითხვაც გაჩნდეს: უფლებათა გადამეტება დაუშვებელია, მაგრამ იქნებ მიზანი ამართლებდეს საშუალებას და კონცეფციის A ვარიანტი, თუნდაც ასეთი გზით მიღებულ-მოწონებული, მაინც უნდა დაგვემტკიცებინა, თუკი იგი საუკეთესო აღმოჩნდებოდა დღეს არსებულ კონცეფციათა შორის? აკი წერენ კიდეც: *„...საბოლოო ვარიანტის საფუძვლად პირველი (ბატონ კ.ქორიძის) კონცეფცია უნდა იქცეს... მასში ციფილური განათლების მოდელი ძევს, ამიტომ, არსებითად რაიმეს შეცვლა შეუძლებელია"*... და შემდგომ: *„კონცეფციის საბოლოო ვარიანტის საფუძვლად, ჯენტლმენური (!) შეთანხმების კვალობაზე, მიჩნეულ იქნეს „საქართველოს რესპუბლიკის უწყვეტი განათლების კონცეფცია და განათლების სისტემის ახალი მოდელის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება"... „ეს კონცეფცია სხვებზე ადრე შეიქმნა, შეიცავს საბოლოო ტექსტისთვის აუცილებელ თითქმის ყველა ნიშანს, სხვა ვარიანტებისგან განსხვავებით, ახლავს საფინანსო-ეკონომიკური დასაბუთება"*... („კავკასიონი" N41 (110), „განათლების სისტემა საოპერაციო მაგიდაზე"). ამჯერად თავი დავანებოთ იმას, თუ რამდენად მართებულია კონცეფციათა ვარიანტებისგან საუკეთესოს არჩევისას მნიშვნელობა მივანიჭოთ სიძველის ფაქ-

ტორს; თვით ყველაზე რაფინირებული ჯენტლმენებისთვისაც კი კონცეფციის ვარიანტთა ღირსებას მათი შინაარსობრივი მხარე უნდა განსაზღვრავდეს და არა მათი სიძველე. A ვარიანტისათვის ასეთ მნიშვნელოვან უპირატესობას ხედავენ იმაში, რომ მას ახლავს „საფინანსო-ეკონომიკური" დასაბუთებაო. არადა, A ვარიანტის ყველაზე სუსტი ადგილია სადღეისოდ უკვე მოძველებული ეკონომიკური დასაბუთება. აქ ლაპარაკია არა მარტო და არა იმდენად თითქმის ათი წლის წინანდელ განფასებაზე, არამედ თვით ყავლგასულ ეკონომიკურ მექანიზმზე, რომელიც დეცენტრალიზაციის და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვის ნაცვლად ისევ ძველი ცენტრალიზებული ეკონომიკისაკენ გვექაჩება. ხოლო რამდენად უწევს იგი ანგარიშს დღევანდელ რეალობას, ეს ერთი მაგალითიდანაც ჩანს: A ვარიანტით გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფომ სკოლამდელი ასაკის ყოველ ბავშვზე მის მშობელს კომპენსაცია უნდა მისცეს იმ ოდენობით, რაც სახელმწიფოს დაუჯდებოდა ამ ბავშვის საბავშვო ბაგა-ბაღში შენახვა. 1990 წლამდე მოქმედი ნორმატივით (A ვარიანტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება კი, ვიმეორებთ, ამ წლამდე არსებულ სტატისტიკას, განფასებას და ნორმატივს ეყრდნობა) ერთი ბავშვის შენახვა სახელმწიფოს წელიწადში უჯდებოდა 420 მანეთი... ეს „უწყინარი" ციფრი, თანამედროვე კუპონზე გადმოყვანილი, საერთო ჯამში მთელი რესპუბლიკის ბიუჯეტის ნახევარია.

„რეალიზაცია გავუკეთოთ საბავშვო ბაღის ყვავილებს"

კონცეფციის A ვარიანტის ეს პრინციპი გამეორებულია ბატონ კ.ქორიძის მიერ შედგენილ „ფასიანი სწავლებისა და მომსახურების ეტაპობრივი დანერგვის სახელმწიფო პროგრამის პროექტშიც". იქვე საბავშვო ბაღების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლასთან დაკავშირებით ბაღების შემოსავლის ასეთი წყაროცაა მითითებული: *„სკოლამდელ დაწესებულებებს ნება ეძლევა — დანერგოს მომსახურების სხვადასხვა ფასიანი ფორმები"*, კერძოდ კი *„ჩაატაროს სხვადასხვა ღონისძიებები — გაყიდოს ბილეთები მშობლებზე, ჩამოაყალიბოს ბავშვებისთვის ფოტო და ვიდეო ატელიე და რეალიზაცია გაუკეთოს პროდუქციას, გააშენოს ტერიტორიაზე დენდროლოგიური პარკი და რეალიზაცია გაუკეთოს ყვავილებს, მასწავლებელთა ხელსაქმეს"*... (სტილიცა და, ცხადია, აზრებიც დოკუმენტისა დაცულია). ბატონ კ.ქორიძის მიერ დახატული სურათით სამეურნეო ანგარიშზე გადასულ საბავშვო ბაღებში პირდაპირ დუღსა და გადმოდუღს ეკონომიკური საქმიანობა: თვითონ შენობაში ცალკერძ აღმზრდელ-პედაგოგები ზოგი ყაისნაღით, ზოგიც თითისტარით ხელში ხელსაქმობენ,

ზოგს კი ვიდეო კამერები და ფოტოაპარატები მოუმარჯვებიათ და მუშტრებს ჯგუფურსა თუ ინდივიდუალურ ფოტოებს უღებენ; ცალკერძ კიდევ აღსაზრდელები მშობლებს თავიანთ კონცერტებზე დასასნრებ ბილეთებსა და აღმზრდელთა „ნანარმოებ პროდუქციას" ასაღებენ; საბავშვო ბაღის ეზოში მსუბუქი და ბავშვებისთვის სახალისო სამუშაო ჩქეფს — სათბურების მშენებლობა, ყვავილების მინის გადაზიდვა, კელების გათხრა, რიგთაშორის ნაკელის შეზიდვა; ყველანი ჩქარობენ, რათა, ბატონ კ.ქორიძის გამოთქმით, „რეალიზაცია გაუკეთონ" ყვავილებს, ხელსაქმეს, ბილეთებს, ფოტო და ვიდეომასალას.

აი, ასეთ ცოდნას აელენს განათლების მინისტრის მოადგილე, ბატონი კ.ქორიძე ჩვენი სკოლამდელი დანესებულებების სპეციფიკისას, აი, ასეთი დოკუმენტი უნდა გაგვეტანა თურმე მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე დასამტკიცებლად.

ნურვინ იფიქრებს, კონცეფციის A ვარიანტსა და მის ეკონომიკურ დასაბუთებაში მხოლოდ ასეთი „მარგალიტები" იყოს. არა, ამ დოკუმენტში, განსაკუთრებით მის პირველ ნაწილში, ბევრი რამაა პროგრესული და საგულისხმო (თუმცა, ამ ნაწილშიც მიუღებელი ჩანს ორი მონაკვეთი: სკოლამდელი დანესებულებების ზემოაღწერილი პრინციპით ფუნქციონირება და პროფტექნიკური განათლების საეალდებულო შერწყმა პროფილურ განათლებასთან და ამით მისი ფაქტობრივი გაუქმება); სწორედ დადებითი მომენტების გათვალისწინებით დაიწყო ქუთაისში კონცეფციის A ვარიანტის ზოგიერთი პრინციპის აპრობირება. ამის ინიციატორი ქ.ქუთაისის მერიასთან ერთად განათლების სამინისტროც იყო. შედეგები დამაიმედებელია და ამაში განსაკუთრებული ღვანლი მიუძღვის ქუთაისის მერს, მაგრამ ისიც უნდა ხაზგასმით ითქვას, რომ ქუთაისში მიმდინარეობს არა იმდენად კონცეფციის შინაარსობრივი რეალიზება, რამდენადაც რეფორმატორული აქტები, ძირითადად, განათლების სფეროს მუშაკთა სოციალური დაცვისა და განათლების პროცესის ეკონომიკური უზრუნველყოფის სფეროში; აქ კი ქუთათურები არაფრით არიან დავალებულნი კონცეფციის A ვარიანტს დართული „განათლების სისტემის ახალი მოდელის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისაგან".

ბატონ თემურ ბასილიას აზრით

ახლა ისევ დავუბრუნდეთ მსოფლიო ბანკისგან განათლებისთვის გამოსაყოფი კრედიტის საკითხს. მასში სინათლის შესატანად და სიმართლის დასადგენად განათლების სამინისტროს პრესცენტრმა თხოვნით მიმართა მსოფლიო ბანკსა და ყველა სხვა საერთაშორისო ეკონომიკურ-საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობების საერთო კოორდინატორს, ვიცე-პრე-

მიერ თემურ ბასილიას, ეპასუხა რამდენიმე შეკითხვაზე. გთავაზობთ ზოგიერთ ფრაგმენტს ამ დოკუმენტური ჩანაწერიდან:

კითხვა: *არსებობს თუ არა რაიმე დოკუმენტი ან ცნობილია თუ არა თქვენთვის თუნდაც ზეპირად, რომ მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა მოიწონეს განათლების რომელიმე კონცეფცია და რეკომენდაცია გაუწიეს მას მთავრობის წინაშე?*

პასუხი: *მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებში კონცეფციაზე საუბარი არაა არსად. საუბარი ეხებოდა მხოლოდ იმას, რომ მთავრობა ვალდებულია ჩაატაროს რეფორმები, მათ შორის — განათლების დარგშიც; კერძოდ, უნდა დაიწყოთ ფასიან საგანმანათლებლო მომსახურებაზე ისეთი ეტაპობრივი გადასვლა, სადაც მთავრობა შეინარჩუნებს სწავლების ხარისხის რეგულირების ფუნქციას...*

კითხვა: *სინამდვილეს შეეფერება თუ არა პრესაში გამოთქმული ბრალდება, რომ განათლების სამინისტრომ, თავისი ქმედებით თუ უმოქმედობით, დაგვაკარგვინა მიმდინარე წელს მსოფლიო ბანკიდან დაფინანსება?*

პასუხი: *არა, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს თეზისი არასწორია. მსოფლიო ბანკს აქვს თავისი ურყევი წესები, თავისი სტრატეგია და ტაქტიკა დაფინანსებისა და მას იგი არა ცელის; სტრატეგია კი ასეთია: 94 წელი — რეფორმების დაწყების ხანა; 95 წელი — რეფორმებმა უნდა მიიღოს შეუქცევადი ხასიათი, უნდა მოხდეს მაკროეკონომიკურ დონეზე სტაბილიზაცია; მხოლოდ 96 წლიდან არის ნავარაუდევი სექტორალური ანუ დარგობრივი დაფინანსება... ასე რომ, რა ქმედებაც ან ღონისძიებებიც არ უნდა გაგვეტარებინა განათლების სფეროში, არამცთუ 94-ში, ალბათ, არც 95 წელსაა მოსალოდნელი დარგის დაფინანსება... ჩვენ მოგვიწევს მთელი რიგი ღონისძიებების გატარება 95 წელს, რათა დაფინანსება 96-ში მივიღოთ. მსოფლიო ბანკს აქვს თავისი პროცედურული წესები, ეს მოითხოვს კრედიტის გამოყოფამდე სხვადასხვა მისიისა და ექსპერტთა ჯგუფის ჩამოსვლას, ვითარების ადგილზე შესწავლას. საერთოდ, სარეაბილიტაციო სესხი არ ითვალისწინებს ცალკეული დარგის, ვთქვათ, განათლების სფეროს დაფინანსებას, არამედ საერთო მაკროეკონომიკურ დონეზე რეფორმებს. მაგრამ ეს კრედიტი რომ მიგვეღო, ჩვენ მთელი რიგი პირობები უნდა დაგვეკმაყოფილებინა, მათ შორის — განათლების სფეროშიც...*

კითხვა: *დააკმაყოფილა თუ არა განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებმა ეს პირობები?*

პასუხი: *თქვენს სფეროში გადადგმული ნაბიჯები რეფორმის გზაზე, ის პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება თბილისში, ქუთაისში, მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა საკმარისად ჩათვალეს. მოკლედ, მე ვერ ვიტყოდი, რომ განათლების სფერომ რაიმე შემაფერხებელი ან დამაბრკოლებელი პრობლემა წამოგვიჭრა სარეაბილიტაციო სესხის მისაღებად.*

ახლა თავად მკითხველმა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენმა მასწავლებლო-

ბამ განსაზღვროს, დამაჯერებლად არის თუ არა ვიცე-პრემიერის პასუხებში გაქარწყლებული ბრალდება, თითქოსდა „უწყვეტი განათლების კონცეფციის" კაბინეტზე დაუმტკიცებლობამ დაგვაკარგვინა განათლების სფეროსთვის ესოდენ საჭირო კრედიტები მსოფლიო ბანკიდან?

მიზეზი პირადულია

მაშ, რაშია საქმე, რამ გადაადგმევინა ესოდენ შეუფერებელი ნაბიჯი ბ-ნ კ.ქორიძეს, რატომ ამეტებს იგი თავის უფლებებს, რისთვის შეთხზა ასეთი ფანტასტიკური ვერსია მსოფლიო ბანკისაგან კრედიტის მიუღებლობაზე და გადაბა კონცეფციის A ვარიანტის დამტკიცება-არდამტკიცების საკითხს? მიზეზი სწორედ სუბიექტურობა და ამბიციურობა გახლავთ, რაშიც ზემოხსენებულ პუბლიკაციებში სამინისტროს ხელმძღვანელობას აქეთ გვედება ბრალი.

დაბოლოს, ერთ დეტალ ზეც ღირს ყურადღების გამახვილება სამინისტროს ხელმძღვანელობასთან განათლების მინისტრის მოადგილის ასეთი მკვეთრი კონფრონტაციის მიზეზთა გარკვევისას. როდიდან მოხდა ეს, როდიდან დაგვიპირისპირდა ბატონი კ.ქორიძე ასე აშკარად თავის კოლეგებს სამინისტროში? ყველაფრიდან ჩანს, რომ მან თავისი მდგომარეობა, ადგილი და შემდგომი პერსპექტივაც განათლების სისტემაში თავისად მიჩნეული კონცეფციის ვარიანტის მიღება-არმიღებას დაუკავშირა, რაც, თავისთავად, საფუძველს არის მოკლებული: განათლების მინისტრის მოადგილეს მშენებლობისა და მატერიალური მომარაგების დარგში, რომელიც ამავე დროს სამინისტროს ეკონომიკურ სამსახურებსაც კურატორობდა, თავის უშუალო სამსახურებრივი მოვალეობა დიდ ასპარეზს აძლევდა და ახლაც აძლევს თვითდამკვიდრებისთვის. მოვლენები კი ისე განვითარდა, რომ გამოიკვეთა A ვარიანტის ზოგი არსებითი დებულების გადასინჯვის აუცილებლობა. ამას მოჰყვა მცდელობა კონცეფციის ამ ვარიანტის აკრძალული ხერხებით გატანისა... ეს გამოვლინდა და, ცხადია, გაჩნდა საშიშროებაც პასუხისმგებლობისა ხელმძღვანელობის ზურგსუკან მოქმედებაზე. ამას დაერთო ის, რომ განათლების სამინისტროში დაინიშნა მინისტრის ახალი მოადგილე, პროფესორი, თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის კათედრის გამგე, რომელსაც საკურატოროდ გადაეცა რამდენიმე დარგი, მათ შორის — სამინისტროს ეკონომიკური სამსახურებიც, რომელთაც ადრე ამ საქმის არასპეციალისტი, ბატონი კ.ქორიძე კურატორობდა. ამ მომენტების გათვალისწინებით ძნელია გაკეთდეს სხვანაირი დასკვნა: ბატონ კ.ქორიძის, მეტი რომ არა ვთქვათ, არაკორექტულობა და არაკოლეგიალობა სწორედ ამბიციურობითა და პირადი ინტერესებით არის განპირობებული.

მცირე ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ეტაპზეა ამჯერად განათლების რეფორმირებისა და განვითარების პროგრამა ანუ განათლების რე-

ფორმის პაკეტი. უნდა ითქვას, რომ განათლების კონცეფცია ამ პაკეტის ერთ-ერთი ნაწილია და არასწორი იქნებოდა რეფორმასა და კონცეფციას შორის ტოლობის ნიშნის დასმა. ჩვენ სრულებითაც არ გვინდა კონცეფციის მნიშვნელობის დამცრობა, მაგრამ, „იგი სხვაა", რეფორმა — სხვა და, მართლაც, „ნუვინ გარევეს ერთმანერთსა"... სამთავრობო კომისია განათლების სამინისტროში შექმნილ მუშა ჯგუფებთან ერთად ინტენსიურად ილვწის რეფორმათა პაკეტის საბოლოო სახის მისაცემად და რეფორმის მარეალიზებელ ღონისძიებათა გეგმის შესამუშავებლად. ამ მუშაობაში პროფესიონალებთან ერთად ჩართულები არიან საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები, რამდენადაც განათლებაში რეფორმა სახელმწიფოებრივად უმნიშვნელოვანესია და, გარკვეული აზრით, მან წინ უნდა გაუსწროს და განსაზღვროს კიდეც სხვა სახის რეფორმები. და სწორედ დღეს, განათლების სფეროში რეფორმების დაგეგმვა-რეალიზების ურთულეს ხანაში, მიგვაჩნია, რომ სისტემის მთელი ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალი უნდა გაერთიანდეს, ყველამ გვერდზე უნდა გადადოს პირადი ინტერესები და სიმპათია-ანტიპათიები, რათა შეერთებული ძალისხმევით „გადავარჩინოთ განათლება — გადავირჩინოთ თავი".

„კავკასიონი", 31.3.1995

ვამტკიცო, რომ განათლების მტერი არა ვარ?

ეს ჩემი მცირე განმარტება უკავშირდება გაზეთ „სამშობლო ფორტეს" პირველ ნომერში დასტამბულ მასალას — „ღია წერილი საქართველოს სახელმწიფო მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს".

სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებულ ყველაზე სადავო და მტკივნეული საკითხების განსჯა-განხილვას ნებისმიერი გაზეთის ფურცლებზე მხოლოდ მივესალმები და ეს მარტო ჩემი კი არა, მთელი სამინისტროს პოზიცია გახლავთ. რა დასამალია — ზემოაღნიშნული მნვავე კრიტიკული წერილი ჩვენთვის სასიამოვნო წასაკითხი ვერ იქნებოდა, მაგრამ რაც მასში გასათვალისწინებელი და ყურადსაღები იყო, გვერნმუნეთ, არც ყურსა და არც გულს იქით არ გაგვიშვია.

ამიტომ ამ შემთხვევაში საქმე გაზეთთან კი არ მექნება, არამედ იმ პირთან, ვინც დიახაც არის პასუხისმგებელი — როგორც ავტორი — ფაქტის დამახინჯებასა თუ გაყალბებაზე. სამწუხაროა, რომ ეს პირი განათლების

მინისტრის მოადგილე კახა ქორიძე აღმოჩნდა. მართალია, ღია წერილს სხვა ხელმომწერებიც ჰყავს, მაგრამ მსოფლიო ბანკის დაფინანსებასთან დაკავშირებული ბრალდება განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობის მიმართ მას ეკუთვნის, რამდენადაც ზუსტად იმეორებს კ.ქორიძის მიერ „ჯორჯიან თაიმსში" (N6, 1995) ადრე მიცემული ინტერვიუს შესაბამის ადგილას. ამ ბრალდების არსი კი ასეთია:

მსოფლიო ბანკის ექსპერტებს თურმე ძალიან მოსწონებიათ „უწყვეტი განათლების კონცეფცია". მოსწონებიათ ისე, რომ რეკომენდაცია გაუწევიათ ამ კონცეფციისათვის — ოღონდაც მინისტრთა კაბინეტზე დაამტკიცეთ და მსოფლიო ბანკი უკვე 1995 წლიდან კრედიტს გამოგიყოფთ, რომელიც თქვენს პედაგოგთა სოციალურ დაცვას ჰაერივით სჭირდებაო. განათლების სამინისტროს კი აინუნშიც არ ჩაუგდია უცხოელ ექსპერტთა ეს დანაპირები და კონცეფცია კაბინეტის სხდომაზე დასამტკიცებლად არ წარუდგენია, რის გამოც საქართველოსათვის, უფრო ზუსტად — მისი განათლებისათვის, ფაქტობრივად დაგვიკარგავს დაფინანსება, რამდენადაც იგი გაურკვეველი ვადით გადადებულა.

ალბათ დამეთანხმებით: დღევანდელ პირობებში, როცა ქვეყანას და, განსაკუთრებით, მასწავლებლობას ჰშია, სცივა და სწყურია, მსგავსი ბრალდება კაცის სასიკვდილოდ გამეტებაა — თუ რეალურად არა, ზნეობრივად მაინც.

ამნაირი სიკვდილისათვის არცთუ დიდი ხნის წინათ არაერთხელ გავუწირივარ ერთი ყაიდის ხალხს, მაგრამ, ჩემი გულუბრყვილო რწმენით, მეგონა, ის დრო წარსულს ჩაბარდა-მეთქი. აბა, წარმოიდგინეთ განათლების მინისტრი — დამშეული განათლების „გამოკვებაზე" რომ უარს ამბობს! ისე, კაცმა რომ თქვას, დღევანდელ საქართველოში ამას ძალიანაც ნუ შევიცხადებთ: თვით სახელმწიფოს მეთაურს სწამებენ — განგებ ამშევს და აბეჩავებს თავის ხალხსო და მე, მისი დანიშნული მინისტრი, ამ პოლიტიკას რომ ვაგრძელებდე ჩემს დარგში, ეს ზოგისთვის, ეტყობა, სწორედაც ლოგიკური იქნებოდა. ოღონდ ესაა, „ღია წერილის" ხელმომწერთა ერთი ნაწილი ამნაირი ლოგიკისა და რწმენისათვის ნამდვილად არ მემეტება.

ვიცი, თავის მართლების პოზიცია ფსიქოლოგიურად მომგებიანი რომ არ არის; ეს ცილისმწამებელმაც კარგად უწყის ხოლმე და გალაღებულია: გაუჩუმდები და — ვაი, უპასუხებ და — უი. როგორ მოვიქცე ახლა მე — ვამტკიცო, რომ განათლების მტერი არა ვარ?

ვფიქრობ, არა ღირს...

ცნობისათვის კი მოგახსენებთ: მოიწონეს და რეკომენდაცია მისცეს თუ არა მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა „უწყვეტი განათლების კონცეფციას", მისი დამტკიცებით გამოეყოფოდა თუ არა საქართველოს განათლების სისტემას მსოფლიო ბანკის დაფინანსება და, საერთოდ, განათლების სამინისტრომ შეაფერხა თუ არა საქართველოსთვის რაიმე სახის კრედიტის გამო-

ყოფა — ამას ყველაფერს პასუხი უკვე გაეცა და, შესაბამისად, ცილისმწამებლური ბრალდებებიც მოგვეხსნა...

რაც შეეხება „რეფორმისა" და „კონცეფციის" ცნებათა შეგნებულ აღრევას, ეკონომიკურ საკითხთა სამთავრობო კომისიის მიერ „უწყვეტი განათლების კონცეფციის" განხილვას და, ამასთან დაკავშირებით, ბატონ კ.ქორიძის მიერ, მეტი რომ არა ვთქვათ, თავისი უფლებების უხეშ გადამეტებას, აგრეთვე ცილისწამების მოტივებს, მკითხველს შეუძლია გაეცნოს „კავკასიონში" (N60, 31 მარტი, 1995) გამოქვეყნებულ ერცელ მასალას — „აუცილებელი განმარტება ანუ — ერთი ცილისწამების გამო".

დასასრულ, ისევ მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ „სამშობლო ფორტესა" და განათლების სამინისტროს კონსტრუქციული თანამშრომლობით რამდენადმე მაინც მოვიახლოვებთ საერთო მიზანს — ძლიერ, აღმავალ, „ფორტე" საქართველოს.

„სამშობლო ფორტე", 13.4.1995

ყვარყვარეთი

წერილი პირველი

არა, ნამდვილად არ ბრძანდებოდა სწორი გოგი ვასაძე, საქართველო ყვავილების ქვეყნად რომ მონათლა; არც თამაზ წივწივაძე, ლოზუნგების ქვეყნად რომ აღმოგვაჩინა... და, ცხადია, არც მე გახლდით მართალი, ამას ნინათ რომ გიმტკიცებდით — საქართველო „ისტების" ქვეყანაა-მეთქი.

საქართველო ყვარყვარეების ქვეყანაა, ანუ — ყვარყვარეთი.

არადა, ისეთი რა მარცვალი შეუყვა თიხაში იმ დალოცვილ პოლიკარპეს ყვარყვარეს მოზელვისას, რომ ვერც ოციანმა ნლებმა და ვერც იმერ-ამერმა იგი ვერ დაიტია — ყვარყვარე არის ყველგან და ყოველთვის; არიან რუსი, კოლუმბიელი, მოზამბიკელი ყვარყვარეები; ყვარყვარე არც ასაკითა და სქესით შემოზღუდულა: სულაც არაა სანთლით საძებარი ქალი ყვარყვარე, უფრო სწორად — ყვარყვარა (შეადარე: ალექსანდრე — ალექსანდრა) და ჯეელი ყვარყვარიკოები... მსხვილი, მონუმენტური ყვარყვარეების გვერდით მომრაველდნენ წვრილფეხა, ნახევრად-ყვარყვარეები, ანუ ყვარ-ყვარეს განახევრებით მიღებული ცალ-ცალი ყვარები.

ყველას სად გავწვდები, მე მაინც ჩვენებურ ყვარყვარეებზე ვწერ — ქალბატონ ყვარყვარაზე, ბატონ ყვარესა და ახალ ყვარყვარიკოზე.

* * *

ამას წინათ სააგენტო გეა-მ ერთი, აკაკისა არ იყოს, „სასაცინო" ინფორმაცია მოჰფინა ქვეყანას:

„თბილისის საკრებულოს წევრი მანანა ნიკოლეიშვილი, რომელმაც ორი თვის წინ ფრაქცია „ლეიბორისტის" რიგები დატოვა, საკრებულოში ახალი ფრაქციის შექმნას აპირებს. იგი ფრაქციიდან წასვლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარეს შალვა ნათელაშვილს ასახელებს და მას განათლების სფეროში გატარებული რეფორმების მითვისებაში ადანაშაულებს, რომელიც, როგორც ნიკოლეიშვილი ამტკიცებს, მისი მოფიქრებულია" („7 დღე", N137, 1999 წ.).

არადა, აქამდე მთელმა განათლების სისტემამ ასე ვიცოდით, რომ ქალბატონ ნიკოლეიშვილს ტრიბუნა, ხოლო ბატონ ნათელაშვილს სასამართლო არ დაუტოვებია, განათლების სამინისტრო გატარებული რეფორმებისათვის ქართველი ერის გენოციდში არ ემხილებინოთ და დაედანაშაულებინოთ. ახლა კი, თურმე, ერთმანეთს ეცილებიან, არა მე ვარ განათლების რეფორმის მამა, არა მე — ამ რეფორმის ბებიაქალიო; უფრო ზუსტად, რეფორმა ქალბატონ ყვარყვარას მოუფიქრებია, მაგრამ, რად გინდა, ბატონ შალვას იგი ვერაგულად მიუთვისებია.

ველოდებოდი, ან ერთი, ან მეორე ატეხს განგაშს — განათლების რეფორმა, მათი სიტყვებით, „ერის წინაშე ეს უმძიმესი დანაშაული", როგორ თუ ჩვენ მოგვაწერესო... გაგიგონია? სულსაც არ ბერავენ. მოკლედ, „შეიხვილიფეს" განათლების რეფორმა და შეიშნოეს რეფორმატორთა სახელი... ვითომ, რატომაც არა? მათ ხომ განათლების ნაღდ რეფორმად თბილისის საკრებულოს ის გადაწყვეტილება მიაჩნიათ, რომლის მიხედვითაც მერიამ უნდა გადაუხადოს ხელმოკლე ოჯახების შვილებს სწავლების საფასური მეათე-მეთერთმეტე კლასებში. არადა, ამის შესაძლებლობა, მეტიც ითქმის — მოთხოვნა, თვითონ განათლების სამინისტროს მომზადებულ სარეფორმო დოკუმენტებში ძევს, მათ შორის — უმთავრესშიც, კანონში განათლების შესახებ... სხვათა შორის, თბილისის საკრებულომდე ეს მექანიზმი ქუთაისში ამოქმედდა, მაგრამ, თბილისელი ყვარყვარეებისაგან განსხვავებით, ქუთათურებს არ მიუჩემებიათ — განათლების რეფორმა მაინცდამაინც ჩვენი მოფიქრებულიაო.

ისე, ეს ყველაფერი ახიცაა ჩვენზე: ჯანდაცვის რეფორმას, სასამართლო რეფორმას პატრონები ჰყვანან; ერთადერთი, განათლების რეფორმაა, რომლის ხსენებაც კი გვეჩოთირება იმ ხალხს, ვისაც, ნესით, ამ რეფორმის გაღრმავება-განვითარება უნდა გვევალებოდეს...

უპატრონო ეკლესიას ეშმაკები, უპატრონო რეფორმას კი ყვარყვარეები ეპატრონებიან.

* * *

არანაკლებ „სასაცინო" ამბებს თხზავს „საქართველო უპირველეს ყოვლისა"-ს ანუ სუყ-ის აქტივისტი შარაძე. სანამ მათ გაგაცნობდეთ, ლირიკული გადახვევის სახით, ისევ ზემონათქვამს მივუბრუნდები ყვარყვარესა და ნახევრად-ყვარყვარეებზე ანუ ყვარებზე: მონუმენტურ ყვარყვარეზე ადრეც დამიწერია... და, თუმცა მასზე ჩამოკონწიალებული ნვრილ-ნვრილი ყვარები მაშინაც ტოკავდნენ და ხვანცალობდნენ, ისინი იმ ჩიტებად არ მიმიჩნევია, ბდღვნად რომ ღირან. ამ ბოლო ხანებში კი ის მომცრო ყვარები დასივდნენ, გაიფუყნენ და ფეხებში ბლანდვასაც მოუხშირეს — მოკლედ, ლამის დაყვარყვარდნენ. ერთმა მათგანმა, თურმე ნუ იტყვით, ეროვნულობა და მართლმადიდებლობა გადაგვირჩინა, სამაჩაბლო შეგვინარჩუნა და საკადრო საკითხებიც მოგვინესრიგა...

ახლა ისევ სუყ-ის აქტივისტ შარაძის „სასაცინო" ამბებს მივუბრუნდეთ. აი, ამონარიდები მისი ორი ისტორიული სიტყვიდან, რომელთაგან ერთი წარმოითქვა ქუთაისში, რომელსაც შარაძემ იმ დღეს „ქართული სულის დედაქალაქის" სტატუსი უბოძა, მეორე — თბილისში, რომელიც მას, ალბათ, ქართული ხორცის დედაქალაქად მიაჩნია:

„14 იანვრიდან ჩვენ ქართველები აღარა ვართ. იურიდიულად საქართველო ქართველების ქვეყანა აღარ არის" („ახალი თაობა", 1999 წ. N 245);

„გვართმევენ მართლმადიდებლობას, ეროვნულობას, ეს ყველაფერი მასონთა ხელით კეთდება" (N 252).

„მთელი ლიახვის ხეობა ითხოვდა, რომ ამჟამად მაინც მეყარა კენჭი, მაგრამ კელავ ამოქმედდნენ ძალები, რომლებმაც ჩვენ სამაჩაბლო ჩამოგვაცილა, ის სამაჩაბლო, რომლის ათწლიანი ომის მონაწილე ვარ, სადაც სისხლი დამიღვრია, სადაც იარაღი, ფული, საკვები, სასმელი და იმედი შემიტანია, რომლითაც ცხრა ქართული სოფელი არ დაიცალა ლიახვის ხეობაში" (N 245).

აქ, მკითხველო, ფეხზე უნდა ნამოვუდგეთ შარაძეს, „ვინც თავი გასნირა, ვინც სისხლი დაღვარა". რა, არა გჯერათ? რა დიდი განსხვავებაა „სისხლი დაულვრია" თუ „სისხლი ჩაულვრია"? ბატონ ყვარესაც ლიახვის ხეობაში სასმელი, სიგარეტი შეუტანია, ამ საქმეში ოფლი და სისხლი ჩაულვრია, მოკლედ, დიდ რისკზე წასულა, თავი გაუნირავს, მაშ!

„განათლების სისტემის რეფორმით ეს სფერო დაანგრია და მინასთან გაასნორა კვაჭანტირაძემ, რომელმაც მინისტრობას გამსახურდიას ლანძღვით მიაღწია... როგორც იქნა, პრეზიდენტს მოვახსნევინე კვაჭანტირაძე, მაგრამ რა ვუყო ჯანდაცვის მინისტრს, რომელიც თურმე ამ პოსტ ზე სოხუმიდან პრეზიდენტის გამოყვანისა და გადარჩენისათვის მოხვდა..." (N 252).

შენ აგაშენა ღმერთმა... ვეჭვობდი, თვითონ ხომ არ გამათავისუფლა პრეზიდენტმა მინისტრობისაგან-მეთქი და ახლა გულზე მომეშვა — შარაძეს მოვუხსნევინებივარ თურმე; შარაძისა კი, მოგეხსენებათ, თვით კლინტონსა

და ყოვლისშემძლე მასონთა ლოჟებსაც კი აკანკალებს. „როგორც იქნაო", ცოტას კი ამუნათებს ბატონ შევარდნაძეს — რაც მე შენზე ამაგი მაქვს, მეორედ ამის შეხსენება შენთვის არც უნდა დამჭირვებოდაო, მაგრამ ამას, ეტყობა, მაინც დიდსულოვნად შეუნდობს პრეზიდენტს — ბოლოს და ბოლოს, მთლად ხელის ბიჭად ხომ ვერ გაიხდიდა ამ დროულ კაცს, შარაძის მხოლოდ ცალი ნარბის აზიდვაზე რომ მიმხვდარიყო მის სურვილს?

არადა, როცა 1998 წლის აგვისტოში ძალოვანების გარდა ყველა მინისტრმა ვითხოვეთ გადადგომა, მე საგანგებოდ მივმართე პრეზიდენტს, ჩემი თხოვნა ფორმალურ აქტად არ განეხილა, რამდენადაც ჩილეში მიღებული უმძიმესი ტრავმის შემდეგ მე კარგა ხანს აღარ შემეძლებოდა ინტენსიური მუშაობა. მაგრამ შარაძეს სიმართლე და, თუნდაც, ჩემი დანიშვნა-გათავისუფლება ნაკლებად აინტერესებს — მთავარია, ხალხს თვალებში ნაცარი შეაყაროს: პრეზიდენტს ჩემს ჭკუაზე ვაბზრიალებო. მოკლედ, ეს გუშინდელი ყვარი თვალსა და ხელს შუა დაგვიყვარყვარდა. სწორედ ამის ნიშანი გახლავთ, რომ სუყ-ის აქტივისტი იქით აშინებს ხალხს ლუსტრაციის კანონით: სუკ-ის აგენტურა უნდა გაიშიფროს და ისინი პოლიტიკურ ასპარეზს უნდა ჩამოვაცილოთო. ეს უკვე დასრულებული ყვარყვარეს ხელწერას ჰგავს. აბა, რა გეგონათ, პოლიტიკურ ელიტაში და ხელისუფლების მაღალ ეშელონებში გამძვრალო სუკ-ის აგენტებო და აქტივისტებო, შარაძეზე უკეთ ვინ გიცნობთ თქვენ; მალე ჩამოგგლეჯთ სუყ-ის აქტივისტი ეროვნულ მოღვაწეთა ნიღბებს და პანტა-პუნტით ჩამოგყრით პოლიტიკური ავანსცენიდან. მააშ!

ვთქვი და გავიმეორებ: წვრილ-წვრილ ყვარებს რიგითი ნაძირლობა ვერ აკმაყოფილებთ — მასშტაბურ გარეწრობას მიელტვიან. შარაძე, მაგალითად, ფაშისტობას ეკეკლუცება, ოღონდ ნაღდ, ფაიზაღ, დაშხოშიან ფაშისტობას... *აპა უწიგნურმა ბენიტომ და პროვინციალმა ადოლფიემ რა იციენ ნამდვილი ფაშიზმი...* ეს იცის წიგნიერმა „ვაკელმა" შარაძემ. *ამ დუჩეს მაინც რა დიუმართა, ვერ უნდა მიმხთარიყო, ფაშიო შეკონვა-გაერთიანებას რომ ნიშნავს იტალიურად?* საქართველოს კი გაგვიერთიანებს და, დაე, უძახონ შარაძეს ფაშისტი, ოღონდ სწორედ ამ გაგებით: ფაშისტ-გამაერთიანებელი. სამშობლოს სიყვარული რაღას არ გაგაკეთებინებს კაცს და შარაძეთავდადებული ამ მსხვერპლზეც მიდის.

ისე, ძვირფასო მკითხველო, სტურუასეული ყვარყვარე ხომ არ გაგახსენდათ ფაშისტურ უნიფორმაში?

ფაშიზმი, ცხადია, ურთულესი მოვლენაა თავისი არსითა და გენეზისით, თავისი სოციალური, ფსიქოლოგიური და ესთეტიკური იმპულსებით. გარკვეულ პირობებში, ეტაპსა და წრეებში მას, რაღა თქმა უნდა, თავისი მიზიდულობის ძალა ჰქონდა და, საუბედუროდ, ახლაც აქვს. მაგრამ დღეს, დახაუსა და ოსვენციმის, გესტაპოსა და ადამიანის კანის აბაჟურებად გამოყენების შემდეგ თუ ვინმე იტყვის, მე დიახაც ვარ ფაშისტი ამ სიტყვაში ჩადებული ეტიმო-

ლოგიური ანუ საწყისი მნიშვნელობითო, ის მთლად ყოჩაღად ვერ უნდა იყოს. თვით იესოს სახელის ძალამ და მადლმა ვერ დაიცვა ტერმინი „იეზუიტი" — „იესოელი", „იესოსმიერი" — და დროთა განმავლობაში, ამ ორდენის ზოგიერთი წევრის საქმიანობიდან გამომდინარე, მან „თვალთმაქცის", „ორპირის", „ვერაგის" გაგება შეიძინა. მით უფრო ვერ იხსნის სიტყვის მნიშვნელობაში ჩადებული „შეკვრა", „ერთობა" ფაშიზმს, რომელიც ისტორიულად მართლაც შემკვრელად მოგვევლინა, ოღონდ — შემკვრელად ლუციფერული ძალებისა. ასე რომ, ჩვენი მოფაშისტო ყვარის გადმოყრილ საკენკს — მე ეროვნული შეკვრა-გაერთიანების აზრით ვარ ფაშისტიო, — მხოლოდ ღრმა პროვინციაში თუ აკენკავენ. პროვინციას რომ ვამბობ, მე იმდენად გეოგრაფიას არ ვგულისხმობ, რამდენადაც — აზროვნების წესს. საერთოდ, ცნობილია, რომ ყოველგვარი ტოტალიტარიზმი — მათ შორის, ფაშიზმიც — პროვინციული მოვლენა გახლავთ სწორედ მენტალიტეტის თვალსაზრისით და ქართველი ყვარების პროფაშისტური მიდრეკილებებიც გასაგები უნდა იყოს. ეს ყბადაღებული „პროვინციული ფაშიზმიც" სხვა არაფერია, თუ არა უკულტურო ყვარყვარეების აგრესია სხვათა კულტურის, ენის, რწმენის, ცხოვრების წესის მიმართ... და — ნუ მოვეტყუებინებით მყვირალა ფრაზეოლოგიას — თავისი არსითა და შედეგებით ეს გახლავთ სწორედ საკუთარი, ეროვნული კულტურის წინააღმდეგ მიმართული აგრესია, საბოლოო ჯამში კი — ანტიკულტურა.

ასე რომ, ბატონო შარაძე-ყვარო, თქვენ არ ბრძანდებით ფაშისტი თქვენი გაგებით... თქვენ, შეიძლება, მხოლოდ წაიფაშისტებდეთ ჩვენი გაგებით.

* * *

ძვირფასო მკითხველო, ამასობაში მთავარი ყვარყვარე ხომ არ დაგვავიწყდა, თუთაბერი? სიკვდილსამც დავიწყებიხართ, თორემ ყვარყვარეთში ყვარყვარე თავს არ დაგვავიწყებს. ახალმა დრომ, მოგეხსენებათ, „ახალი რუსი", „ახალი სომეხი", „ახალი ქართველი" წარმოშვა; ამის კვალობაზე ყვარყვარეთშიც ყალიბდება „ახალი ყვარყვარეს" ტიპი — ყვარყვარიკო. არა, ეს არ გახლავთ ასლი უნიგნური, ხეპრე „ახლებისა", თუმცა „ხელის ჭუჭყმა" ყვარყვარიკოც გაგვიზულუქა. თანაც ყვარყვარიზმის ძირითადი ნიშნები — მედროვეობა, ფარისევლობა, სითავხედე და ბაქა-ბუქი — ახალი დროის ამ ნაშიერმა არამცთუ შეინარჩუნა, უფრო დახვენა და გააღრმავა. მაგრამ თავისი დიდი წინაპრისგან იგი ერთი რამით მკვეთრად განსხვავდება: ცხონებული „პოლიკარპოვიჩი" — ცხონებული კი არა, უკვდავი — თავისებურად ნიჭიერი კაცი იყო, იუმორიანი, მოკლედ, იმასთან, რომ იტყვიან, არ მოინყენდი, ყვარყვარიკო კი უსაშველოდ მოსაწყენია...

პოლიგრაფიაში არის ტერმინი „ზენარი" — დიდი, მხატვრულად გაუფორმებელი საგაზეთო ფართი. ბატონმა როსტომ ჩხეიძემ ნლევანდელი „ახალი საქართველოს" 22-30-ე ნომრებში თავისი უზარმაზარი „ზენრები" გადმოჰ-

ფინა: „ოტარიდი" — მიზნები, ამოცანები, კრახი". ცნობილია, როცა კაცს აზრის შეუკავებლობა გჭირს, კალამიც — ბოდიში მომითხოვია და — გაგიფაღარათდება. აქედან გამომდინარე, რასაც ემსგავსებოდა ბატონ როსტომის „თეთრეული", ეს „წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა" — ჩემმა მკითხველმა, თორემ ბატონ როსტომის „ზეწრების" წამკითხველს იქიდან დაძრული „ერთი ამბრის სურნელება" აქამდეც გამოჰყვებოდა. მაგრამ მაგარი ის არის — და ეს გახლავთ სწორედ ყვარყვარიკობა — ბატონმა როსტომმა ამ ზეწრებს სხვადასხვა ქართველი მწერლის სახელები მიადღაბნა, ეითომ ეს სიბინძურე ჩემი კი არა, მათი ნაკაიკაცარიაო.

იქნებ, ბატონ როსტომ ჩხეიძეზე ნაკლებ არც ჩვენ, მკითხველებმა, ვუწყოდეთ, რომ მწერლებიც ადამიანები არიან და არაფერი ადამიანური მათთვის უცხო არ არის: არც შეცდომა, არც სისუსტე, არც ცოდვა. მაგრამ პოეტი მარტო მინისა არ გახლავთ, ის ზეცისაც არის — „ხან მინისა ვარ, ხან ცისა". ეს ზეციურობა, მე რომ მკითხო, თითქმის ყოველ ადამიანშია, მაგრამ პოეტი მაინც „ერთი ცრემლით მეტია ჩვენზე". ეს ერთი კურცხალია მთავარი, თორემ მწერალს, შეიძლება, ერთი პიჯაკით ჩვენზე მეტი ან ნაკლები მოეძებოდეს. ისიც სხვაზე არანაკლებ ვიცით, უფლის მცნებას დავარღვევთ, თუ ვისმე — თუნდაც პოეტს, თუნდაც მოძღვარს — კერპად გავიხდით. ამიტომაც მწერალს ადამიანური სისუსტეებით დიახაც წარმოვიდგენთ და ზოგჯერ ნარმოვაჩენთ კიდეც. მწერლობა თავისუფლებაა, ეს კი ყოველგვარი საზღვრის გადალახვასაც გულისხმობს, გარდა ერთისა — ზნეობრივი მიჯნის. თორემ, კაცია და გუნებაო — უცნაურ ადამიანს რა დალეს ქვეყანაზე; ზოგს ტუალეტთან კაცების თვალთვალიც სიამოვნებს... ხორციელ ურცხვობაზე მეტად შემზარავია სულიერი უხამსობა... ამ დაბინძურებული „ზეწრების" შემყურეს, ისეთი განცდა გრჩება, რომ ბატონი როსტომ ჩხეიძე არა მარტო თვითონ უთვალთვალებს ქართველ მწერლებს ტუალეტის ღრიჭოდან, არამედ ცდილობს, სხვებსაც აქედან დაანახოს ისინი.

„ამაოდ დაშვრა" — მკითხველს ამ ღრიჭოდან პოეტი კი არ დაუნახავს — გაჭიფხულ როსტომს მოჰკრა თვალი საჩოთირო პოზაში და თვალიც აარიდა.

სწორედ თვალის არიდებად ჩამითვალე, მკითხველო, თუ მე ამჯერად მოვერიდები ამ „ზეწრებიდან" ადგილების ციტირებას: ამ მწერალმა — ის „ჩაუშვა", იმან — ის დააბეზღა, მავანმა — ეს წაიჭორავა, მავანმაც — ეს გაიფიქრა... დიახ, რა გაუფიქრებია, ამასაც კი „დოკუმენტური სიზუსტით" გადმოგვცემს ბატონი როსტომი, „ხვდება როგორღაც, გაეგება" და იმიტომ. მე მოვერიდებოდი-მეთქი ამ „სატუალეტე ქრონიკიდან" ადგილების დამოწმებას თუნდაც იმიტომ, რომ არა მსურს ბატონ როსტომს ვასიამოვნო, ხოლო მკითხველს გულისრევის შეგრძნება მოვგვარო ამ უხამსობებში მწერალთა გვარების გარევით.

ერთ მცირე ციტატას კი მოვიყვან სულ სხვა წერილიდან:

„გულწრფელად მეცოდებით, ამოდენა ბოლმა წლების მანძილზე რომ გიტარებიათ“...

ამას ბატონ როსტომს ქალბატონი სწერს, მწერალი, იმ მწერლის ქვრივი, რომლის პორტრეტის ხატვაზე იგი ასე გაისარჯა, არადა, ავტოპორტრეტი გამოუვიდა — „საზარელი ავტოპორტრეტი“.

ბატონ როსტომის ქრონიკისათვის სატუალეტე მის პირდაპირ დანიშნულებაზე მისათითებლად არ მიწოდებია. მოგეხსენებათ, გადახრილი ხალხი საზოგადოებრივი ტუალეტების კედლებზე ლექსებსაც წერს... სადღაც, თურმე, საგანგებო გაზეთიც არსებობს ამ „პოეზიის“ გასავრცელებლად. მაგრამ ტუალეტის კედელი ჩინეთის დიდი კედელი არ არის, რომ ბატონ როსტომის ოპუსი დაეტია... გაზეთის ცხრა ნომერმა — დაიტია... წიგნიც დაიტევს. ქალალდი, საერთოდ, ყველაფერს კიდევაც იტევს და კიდეც იტანს.

მოკლედ, ბატონ როსტომს თავს უმადური შრომა უდგია — მწერლების ნაწერის „გაშიფვრა“. ხომ უნდა იცოდეს საზოგადოებამ, მწერალს რომ გარეწარი გამოჰყავს თავის თხზულებაში, კონკრეტულად რომელი პიროვნება იყო მისი შთამაგონებელი? პერსონაჟთა პროტოტიპების დადგენა მართლაც საინტერესო და საჭირო საქმეა, თუ ეს, ერთი მხრივ, მწერლის, მეორე მხრივ, საზოგადოების ობიექტურ წარმოჩენას ემსახურება. საამისოდ მწერლის ბიოგრაფიის დეტალებიც უნდა დაფიქსირდეს; ამას აკეთებდა, მაგალითად, იონა მეუნარგია, როცა ამა თუ იმ მწერლის, განსაკუთრებით — სამხედროების, თითქოსდა უმნიშვნელო, ცხოვრებისეულ წვრილმანებსაც კი აფიქსირებდა და ინერდა. ამასთან დაკავშირებული უწყინარი ხუმრობებიც აუტანია, მაგალითად, ასეთი: რა ვქნა, ამ იაკობ გოგებაშვილს გენერლობა როდის მიუღია, ჩვენი იონა რომ კუდში დასდევსო... მაგრამ მწერალს რომ ვინმე ყურცქვიტი აეკიდოს და მის ნალაპარაკებს იმისთვის ინერდეს, რათა მასზე „დანოსი“ გააშანშალოს, ეს კრიტიკოსისა და ლიტერატურის ისტორიკოსის საქმე არ იქნება, ეს სხვა ჯურის ხალხის ხელობაა... რისი „დანოსიო“, ალბათ, გაიოცებს ბატონი როსტომი, მე ნაჩუმათევად არაფერი დამინერია და არც სათანადო ორგანოებში წარმიდგენიაო. ასეცაა, მაგრამ ადამიანს არა მარტო უშიშროების ორგანოებში აბეზღებენ ხოლმე, არამედ — ხალხთანაც, დემოსთანაც, და ეს „ჩაშვება“ მიზანში ამოღებული მსხვერპლისთვის არანაკლებ საშიში და ხშირად უფრო მტკივნეულიც გახლავთ. თავისი ჩასვრილ-ჩაბინძურებული „ზენრებით“ ბატონი როსტომ ჩხეიძე და ძმანი მისნი ხალხს ეუბნებიან — აი, ესენი არიან შენი მწერლები, შენი იდეური და ზნეობრივი ორიენტირები... თანაც ფარისევლურად დასძენენ: ჩვენ ქართულ მწერლობასთან რა ხელი გვაქვს, ქართული მწერლობა დიდია და წმინდა, აი, ზოგიერთი მწერალია პატარა და ნაძირალაო. ცალკე მწერალი, რაოდენ დიდიც უნდა იყოს, მართლაც ვერ იქნება მთელი ქართული მწერლობა, მაგრამ, თუ ლა-

მის მთელი „ოტარიდი“ — და არა მარტო „ოტარიდი“ — სულმოკლე, ფლიდი, ბოროტი, შურიანი მწერლების კრებულია, ვიღა ყოფილან ჭეშმარიტი მწერლები, ერის სულიერი წინამძღოლები? როსტომის მიხედვით, ალბათ, მხოლოდ „ჩხეიძეების ოჯახი“, რომელსაც, თურმე, ასე დაუნდობლად ებრძოდნენ და ახლაც ებრძვიან... დათა თუთაშხიასი არ იყოს — არაფერი ნაზები თქვენ არ მყავხართო — ბატონ როსტომს მეც უნდა „ჩავუხველო“: ნაზობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ — არაფერი ტანჯულ-რეპრესირებულები თქვენ არ მყავხართ, არც ოდესმე ყოფილხართ და, თქვენი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, არც არასოდეს იქნებით. ყოველი ჯურის ყვარყვარეს სნორედ ის უნდა, რომ მოწამის გვირგვინს წაეპოტინოს... ხომ გახსოვთ, პირველ-ყვარყვარე „ხალხისთვის უუწამებულესი გმირი“ იყო; მონუმენტურმა ყვარყვარემ, ქვეყანამ იცის, ნახევარი სიცოცხლე ციხეები ლესა; ბატონ ყვარე-თავდადებულს, აგერ გამოჩნდა — ლიახვზე სისხლი დაუნთხევია; ყვარყვარიკოცა და მისი ოჯახიც, ცხადია, დევნილნი, რეპრესირებულნი, ტანჯულნი უნდა იყვნენ: მთელი ხელისუფლება, პრეზიდენტის კანცელარია, მთელი მწერალთა კავშირი, ეს საბჭოურ-ჩეკისტური აპარატი, თურმე ნუ იტყვით, გაშმაგებული ებრძვის „ჩხეიძეების ოჯახს“, არ უნდა, მათმა ნააზრევმა, მათმა მართალმა სიტყვამ ხალხამდე მიაღწიოს... ვერც აღწევს, მაგრამ აქ, ჩვენ შორის დარჩეს და, მთავრობა უბრალოა — თვითონ ჩხეიძეები თავიანთი გლახა ჭრიაშვილობით ჩადგნენ მკითხველსა და საკუთარ წიგნებს შორის, რომელთაც, რაღაც მანქანებით, წინათაც და ახლაც მართლაც რომ პიედესტალებად აწყობენ. ყველა ხელისუფლება უძლური აღმომჩნდარა ჩხეიძეებთან სამკვიდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში; მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა თვით პრეზიდენტს ხლებია აჯა-ვედრებით: როსტომ ჩხეიძის სატელევიზიო ხუთწუთიანი წიგნების მიმოხილვა, „ალიონის“ პროგრამით უთენია რომ გადის, სახელმწიფოს გვინგრევს და მოახსნევინეთ — ხალხი ეკრანს ვერ წყდება და სამსახურში აგვიანებსო; თქვენი კანცელარია ვერაფერს გახდა, თუ გვიშველი, ისევ — თქვენ, ამაზე უმნიშვნელოვანესი სხვა რა საქმე უნდა გქონდეთო. მაგრამ პრეზიდენტს შორს დაუჭერია — მე ნუ გამრევთ ამ ურთულესი საკითხის გადაწყვეტაშიო.

არა, არაფერი ტანჯულები არ მყავხართ თქვენ, ბატონო ჩხეიძეებო.

ყველაფერი ჩემი გასაშიფრი როგორ არის, ყველაფერი ჩემი დასალაგებელი რატომ შეიქმნაო... ცოტას ეშმაკობს ბატონი როსტომი... „გასაშიფრ“ ნიმუშებსაც ისეთს არჩევს და გაშიფვრითაც ისე „შიფრავს“, მწერლები ერთმანეთს წაჰკიდოს და დააპირისპიროს... მოკლედ, სხვას კი ავნოს, მაგრამ თვითონ და „ჩხეიძეების ოჯახმა“ არ ივნონ. ამის დამადასტურებლად „გაშიფვრის“ დიდოსტატს ვთავაზობ პოეტის, ღვთით პოეტის, ერთ უსათაურო იუმორესკას და ვთხოვ, „გამიშიფროს“:

ერთი ვინმე კაცი ვიცი, —
თავში ავარდნია აჯამს,
მე მაგისი ცოდვით ვიწვი,
პროზის დურბელასა ხარშავს;
დიდხანს მშიერს უშრომნია, —
ჭრიაშვილზე მეტად არ ჩანს, —
ხელისჭუჭყი უშოვნია,
ამ ბოლო დროს თვალებს ქაჩავს;
ტომებს პედესტალად იწყობს,
თავისთავზე ჰყვირის ვაშას,
თვეში — ტრილოგიას გვიცხობს,
დღეში — ვედრო მელანს ხარჯავს...
კაცი ვიცი, — ნარცისია, —
თავში ავარდნია აჯამს...
მაგრამ საქმე არც ისეა,
მაგას — საქართველო არ ჭამს!

ნეტავ, ვინ არის, ბატონო როსტომ, ვინც გლახა ჭრიაშვილივით დაუსრულებლად ლოღნის თავის მწირ ლუკმას ანუ სათქმელს, ვინც გრაფომანული სიკერპით დღეში ვედრო მელანს ხარჯავს, რათა თავისი პროზის დურბელა დაგვაგემოვნებინოს? ვინ არის ეს თავის თავზე შეყვარებული, როგორც ილია იტყოდა — „თავის თავის მოარშიყე, თუმც ასაკმიდრეკილი", ხელისჭუჭყით გულმოცემული აჯამი? თქვენგან განსხვავებით, მე უღირს საქციელად მიმაჩნია, რომ ჩემი ვარაუდი საჯაროდ გამოვთქვა, რამდენადაც არ მაინტერესებს, თუ ვინ შთააგონა ეს ლექსი პოეტს, — მთავარია, რომ შეიქმნა გრაფომანის განზოგადებული სახე. თქვენ კი ამნაირ შემთხვევებში მხოლოდ ინტრიგა გაინტერესებთ, — ჰოდა, ჰა ბურთი და ჰა მოედანი — გაშიფრეთ.

და ბარემღა ეს ლექსიც — ასევე დაბეჭდილი — მიაყოლეთ:

წავიკითხე ბოროტება
ვინმე პიდერმანის,
ყველა მდედრი ბოლოს კვდება
სიძულვილით მამრის.
დადის შავი მანტიითა,
ცისფერი და ნაზი,
შხამი — შავი ბანტიევითა —
გოგრა თავზე აზის...

მართლაცდა, გალაკტიონის მიბაძვით თუ ვიტყვით, „ვინ არის, ვინ არის ეს ქალი, ასეთი ცისფერი?.."

ვინ იცის, იქნებ — ვაჟიც?

სიტყვა გამიგრძელდა.

ბატონო ყვარყვარეებო, ყვარყვარეთის მკვიდრნო, ვიცი, რომ ახლა თქვენი დროა... კი, ბატონო, ვაქუხოთ ბუკ-ნაღარა, გავლაღდეთ, გავსისინდეთ, გავბიზნესმენდეთ, გავპრეზიდენტდეთ... ოღონდ, ეკლის გვირგვინს ნუ ეპოტინებით. პოეტისა არ იყოს —

მაგას საქართველო არ ჭამს!

უფრო მეტიც — მაგას არც ყვარყვარეთი ჭამს!

„ლიტერატურული საქართველო", 21.12.1999

ჭუა

წერილი მეორე

მიამიტობა სასიამოვნო თვისება გახლავთ, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ მე იმდენად გულუბრყვილოც არა ვარ, „ყვარყვარეთის" გამოქვეყნებით იმის ილუზია შემქმნოდა — ყვარყვარეებს ნამუსზე შევაგდებდი და ყვარყვარეობაზე ხელს თუნდაც დროებით ავაღებინებდი. სწორედ მათზე თქმულა, უნამუსო კაცს პირზე აფურთხებდნენ და — რა ჟუჟუნა წვიმა მოდისო. აკი ათქმევინა დიდმა პოლიკარპემ პირველ-ყვარყვარეს: კაცი რომ სირცხვილს ჭამ და თავს მოიჭრი, სოროში კი არ უნდა ჩაძვრე სირცხვილით, ემაშინ უნდა ააღირო თავი ამაყადო... ჰოდა, ააღირეს, მაგრამ რა ააღირეს „მოჭრილი" თავები „ყვარყვარეთის" პერსონაჟებმა! კაცმა რომ თქვას, ამას ველოდი კიდეც, რამდენადაც ცოცხალი მაგალითები წინა მქონდა: რაც თეიმურაზ ჭანტურიშვილმა და ემზარ კვიტაიშვილმა ყვარყვარიკო როსტომ ჩხეიძე მკითხველის თვალწინ გაჩურჩეს და ქოთნის ლობიოსავით ამოლესეს, თითქოს კაი ხანს წელი ველარ უნდა აეთრია, მაგრამ — გაგიგონია? „ყვარყვარეთის" შემდეგ ხომ მთლად გაურცხვდა როსტომი და — ცხონებული ნოდარ დუმბაძის ბებიას დავესესხები — „გადვა კურტუმი შარაზე".

ბარემ წინდაწინვე ბოდიშს მოგიხდი, მკითხველო, სოლიდური გაზეთისთვის შეუფერებელი ტონის გამო. უფრო მეტიც, შესაძლოა, ზოგმა მისაყვედუროთ კიდეც, ღირს კი კალმის გასვრად ეს ხალხიო. აქ კი უნდა „ჩაგიხველოთ": ყვარყვარემაც იცის, რომ, წესით, მას თავი არც უნდა გაუყადრონ, მაგრამ აქედან „სათავისო" დასკვნა გამოაქვს და, უპასუხობით გულმოცემულს, ცა ქუდად აღარ მიაჩნია — საზოგადოებრივ ავანსცენაზე სულ მალაყებს გადადის. ამიტომაც, ყვარყვარიზმის შემთხვევაში უნდა გადავუხვიო ჩემთვისაც სახელმძ-

ღვანელო პრინციპს — „არ ეკამათო რეგვენ კაცს" — და ვალიარო: „ყვარყვარეთის" ბინადართ — ამ შემთხვევაში, მამა-შვილ ჩხეიძეებს — პასუხს არასდროს დავამადლი. და, რამდენადაც მათ სამიზნედ ქართველი მწერლები გაიხადეს და ამით მწერლობის გარეშე დაიყენეს თავი, მეც ნუ მომთხოვთ პოლემიკისას მათ ისეთი პატივი მივაგო, როგორიც მწერალს ეკადრება... თუმცა, არც იმაზე მეტს ვაკადრებ საკუთარ თავს, რასაც ისინი კისრულობენ ოპონენტთა მიმართ.

ჩემს მლანძღველ-მაგინებელ მამა-შვილ ჩხეიძეებსა და კომპანიას ჰგონიათ, რომ ლაფით მე გამთხიფნეს, არადა, სიბინძურეში თვითონვე ამოიგანგლნენ თავიან-ფეხიანად. თუმცა საბაზე ხატოვნად მე ვერ დავხატავ ამ ყაიდის ხალხს ანუ მაგინებელთ: *„იჭირვის შეკრებად სიმყრალისა პირსა შინა თვისსა, ვითარცა მიმოდავალს ღორი ჭყვირილით, რათამცა სადმე პოვა ბილწი განავალი და მით განაძღო მომყმარება თვისი"*. შედეგად რაც გამოიღო ან რასაც გამოიღებს ეს ჭყვირილ-ჭყვიტინი ანუ უფროს-უმცროს ჩხეიძეთა მრისხანება, ამასაც საბაზე უკეთესად ვერავინ იტყვის: *„ვითარცა კაცმან ვინმე მრისხანემან აღიღოს სკორე ახალი ხელითა თვისითა და შესტყორცოს ჰაერსა და ჰგონებდეს გასვრასა და შებილწებასა ჰაერისასა, არა პირველად შეისვარა და შეიბილწა ხელი თვისი? და ჰაერსა არარა ევნო და ვერცა მიეახლა"*... მართლაცდა, როგორი სანახავებიც იქნებიან თავიანთ უკუღმართ გზაზე პურჭყეებით მიმავალი მამა-შვილი, როცა ქარი სახეში სცემთ, ეს „წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა".

მაშ ასე, ყვარყვარიკო როსტომმა ორი სალანძღავი ლექსი მიძღვნა თავისად მიჩნეულ „ახალ საქართველოში": ანბანთქება „ათინას აღზრდილს აქებდეთ" და მუსტაზადი „დამპალო ლეშო"... მართალია, ეს ლექსები როსტომზე ადრე ბესიკმა მიუძღვნა მზეჭაბუკ ანუ ჭაბუა ორბელიანს, მაგრამ როცა კაცის გალანძღვა-გათრევის ჟინი შეგიპყრობს, საამისოდ კი არც ნიჭი გყოფნის და არც გამბედაობა, მაშინ გამოსავალიც ადვილად მოიძებნება: დაირქმევ სხვის სახელს, მაგალითად, „კახაბერ მახატელს", აიღებ სხვის ლექსს, თუნდაც ორასი წლის წინათ დაწერილს და ოპონენტს იმას ეტყვი, რაც მე ვითომ ჩამინართაულა პასკვილის ავტორმა: ისეთივე კუზიანი მახინჯი ხარ, როგორიც ამ ლექსის ადრესატი და შენზეა ზუსტად ზედგამოჭრილი ეს სტრიქონებიო: *„დამპალო ლეშო, თვალხენეშო გულღადარაო, ეშმაკთ ბუდეო, ბეჭმრუდეო, კერპთ სადარაო"* და ასე შემდგომ. მოკლედ, მოსნონებია უნიჭო და უძალო კაცს ნიჭიერი კაცის ბასრი მახვილი და ნაპპოტინებია: მეც ვიხმარო; ბევრიც უცოდვილია საწყალს — თვალნათლივ წარმომიდგა ცვედანის უილაჯო ვნებით ატანილი ავტორი, ვინმე მახატელი კახაბერ (ვინც არა ჰგავს კახაბერსა და ძალიან ჰგავს როსტომს), როგორ იკმაყოფილებს ქვენა გრძნობებს, როცა დაგემოვნებით გამოჰყავს ნამათხოვრალი ბაგითა და კალმით ეს სტრიქონები (მკითხველს, მის მაგიერად, მე ვთხოვ შენდობას): *„ტრაკსა ტანჯვითა ტიროდეს, ტრაკუცუნს ტოტიაობ-*

დეს"... ისე, ამ პასაჟმა მე, პირადად, უფროს-უმცროსი ანუ დიდი და პატარა, ისევე ბოდიშს მოვიხდი, გაფაღარათებული ტრაკ-ტრაკუცუნი გამახსენა, ხოლო მათში ვისაც ვგულისხმობ, ეს ჩემი საქმეა — ფიქრს კალამ-გაფაღარათებული მამა-შვილი ჩხეიძეები ვერ დამიშლიან.

პოლემიკისას სხვისი ენით ოპონენტის ლანძღვა ბასრი მახვილი კია, მაგრამ ორლესულიც გახლავთ და „ავი მუსაიფით" შეიძლება შემოუბრუნდეს ავტორს. შეხვდება როსტომ-კახას (ეს ორმაგი სახელი რა საჭიროაო, ზაზაევიჩივით შეიძლება იკითხოს ვინმემ, მაგრამ, ჩავთვალოთ, რომ ვითომ ვერ ამოვიცანით კახაბერ მახათელში — სწორედაც „მახათელში" და არა „მახატელში" — ის დიდად მოუცლელი გრაფომანი, ვინც, ქაღალდს ვინ დაეძებს, კალამს იქაც კი იყრის, სადაც მოცლილები მახათით მუშაობენ), შეხვდება-მეთქი პაექრობისას როსტომ-კახას ვინმე მისი ჭკუისა და მისივე სიტყვებით უპასუხებს: *„ისე დაგიმახინჯებია თავი, რომ ზედმიწევნით გამომგვანებიხარ... აბა, თუ გამოიცნობ, ვისა? უკაცრავად, ვისა კი არა — რასა? ოლოლო შენა, ვერ გამოიცან, ვერა... მაშ, კარგი, გეხმარები: რასა და, აი, სულხან-საბას რომ „სიტყვის კონაში" ერთი მოკლე სიტყვის განმარტება აქვს, იმასა... არა, არა, იმას არა, კაცო, მე „ჭუა" ვიგულისხმე... დიახ, მარტო „ჭუა", ყოველგვარი „ჭუ"-ს წამძღვარების გარეშე, „წვრილი მძრომიო", ასე რომ განგვიმარტავს საბა".*

ისე, ცნობილი ხალხური თქმისა არ იყოს — „მე შაირი არ მინდოდა, შენ ამტეხე ძალადაო" — რაღა დიდი სულხან-საბას სული შევაწუხო, თვითონ მზეჭაბუკ ორბელიანის საპასუხო „ანბანთქმას" შევაგებებ როსტომ-კახაბერს. არადა, ნესით, არავისგან, მით უფრო — როსტომისაგან, არ გახლავთ დღეს უდიერად მოსახსენებელი ჭაბუა მდივანბეგი და, კაცმა რომ თქვას, ალექსანდრე ორბელიანის ჭეშმარიტ მიმდევარს, პირველ ყოვლისა, მისი გულანთებული მამულიშვილობა უნდა გახსენებოდა და არა მისი მხარ-თეძოსა თუ სხვა ორგანოების ზომა და სიმრუდე-გამართულობა. მაგრამ, ეტყობა, როსტომ-კახას რაც ესიზმრება, ის ელანდება. არა მაქვს პატივი პირადად ვიცნობდე მას, ასე რომ, არ ვიცი და არც მაინტერესებს მისი გარეგნობა, მაგრამ, ეტყობა, თავისი თავი კალმით ნახატ, წერწეტა არსებად წარმოუდგენია, ვისაც, ილიასი არ იყოს, „საკოპწოდ უტოკს ტანია". ჰოდა, ბესიკზე კი არა, სწორედ ამ, „თავის თავის მოარშიყე", როსტომ-კახაზე უთქვამს პასუხად ჭაბუას:

„ბედით ბრუნდი ბესარიონ ბარაბაობს ბილწის ბაგით,*
დაჭრილია დიაცურად, დაწყლულდების, დასნეავს დაგით..
ვარდუაობს ვარდისახარ, ვაჭირებდეთ ვალალებით,
ზენუაობს ზექალაი, ზილფიანობს ზენანებით.
თურქნი თავს სთხოვენ თამამად თეთრსა და თავლაფიანსა,
იკეთებს ირისიასა, იღებავს ილაფიანსა,

* ნაიკითხეთ: „როსტომ-კახა"

კრულსა კერპულად, კიცხულსა, კოცნიან კავებიანსა,
ლაფით ლაზღარა ლელუას, ლოზღარა ლოფებიანსა.
ოლთმიშია ოსმალთაგან, ოროგინობს, ოხრავს ოხით,
პირით პილწობს, პაწუაობს, პატარძალობს პირის პოხით,
ჟამად ჟღლილი, ჟანგიანი, ჟამიერად ჟეჟენ ჟამით,
რას ტანადობს როსკიპულად, როდამაა როგორ რამით...
საქციელით საძაგელი სავსე არის სრულის სენით,
ტალანტი აქვს ტიმოთესგან ტყუილების ტყევნა-ტყებით,*
ქალუაობს, ქალთამზეობს, ქუნთავს ქავილს, ქელავს ქოლვით,
ღვარძლიანობს, ღმერთს ღალატობს, ღონისაგან ღონობს ღელვით.
ძირად ძებნეს ძონძიანი, ძღომილია ძაღლებრ ძვალით,
წარმართია წიდოვანი წარუვალი წუმპე წყალით,
ჭკუისაგან ჭენებული, ჭაკობს ხმითა, ჭაკლობს ჭაველით,
*ხრდალობს ხმითა, ხადუმაობს,** ხრდემლიანობს, ხდილობს ხალით.*
ჰაი, რა მარდად იღებავს ქილვაშებსა წითლად ინით,
ჰოი, ყოველად საძაგელი, სომხებს დაჰყავსთ მუდამ ქირით."

ხომ არაფერი გატკინათ ამ ლექს-ბუმერანგმა, ბატონო როსტომ-კახა? არა გიშავთ, სხვა დროს გაფრთხილდებით და საკუთარ ილეთს, ალბათ, აღარ წამოეგებით... არც — ილეთს, არც — ანკესს და, საერთოდ, არც არაფერს... თორემ ზოგი დაინტერესდება, სად დაჰყავხართ სომხებს ქირით და რასა გთხოვენ თქვენ თურქნი...

ამ გახსენებაზე, როსტომ-კახას ჰგონია, რომ, თუ მე ბაზალეთის ტბის თურქეთისთვის მიყიდვას დამაბრალებს, შიგ კაკალ გულში დამჭრის ან თავის მართლებას დამანყებინებს. ვერ გცნობიეარ კარგად, ბატონო როსტომ-კახა (ამწყობს ვთხოე, ყურადღებით იყოს და აქ „როსტომ-კახპა" არ დაბეჭდოს!). ქართული მინების თურქებზე მიყიდვის ბრალდება მე ზუსტად ისევე შეიძლება გულზე მომხვდეს, როგორც როსტომ ჩხეიძეს მოხვდებოდა გულზე, ვინმეს რომ მისთვის სიმთვრალეში (თუნდაც — სიფხიზლეში) ქალის გაუპატიურება დაებრალებინა.

როსტომ ჩხეიძემ სიტყვა ბანზე ამიგდო, როცა იგი ლიტერატურულ არაკაცობაში ვამხილე, კერძოდ: ცილისწამებაში, ღვარძლის თესვაში, ენის მიტანმოტანაში, ყვარყვარეობასა და ფარისეველობაში. ამის პასუხად — შენ რომ ბაზალეთი გაგიყიდიაო?! კარგი, ბატონო, დაეუშვათ — შენ დაიჯერე, რომ მე ბაზალეთი გამიყიდია, მე დავიჯერე, რომ შენ სიმთვრალეში ქალი გაგიუპატიურებია, — ვითომ ეს გაათეთრებს ბატონ როსტომ ჩხეიძის იმ ჩაბინძურებულ „ზეწრებს", ახლა უკვე წიგნებადაც რომ გამოჰფინა?

---

* წაიკითხეთ: „ოთარისგან"

** საბას მიხედვით, „ხადუმი" ყვერულს ანუ დაკოდილს აქვია.

ბაზალეთის თემა ყვარყვარიკოს მამამ უფრო განავრცო და „მწერლურად" დაამუშავა. ამას ვერ დაეუკარგავთ, ოთარ ჩხეიძე არც ფსევდონიმს ამოჰფარებია, არც მკითხველთან კუკუმალობანა გაუმართავს, პირდაპირ დამადო ხელი, როგორც აკვნის ქურდს: *„განათლების მინისტრობა გაკვაჭა თუ არა, ხელი წამოავლო ბაზალეთის აკვანსა, თურქეთს გააქანა სტამბოლის ბაზარზე გასაყიდადა, აგერ არ იყო, ახლახან არ იყო?.. გამოეკიდნენ, ძლივძლივობისას გააგდებინეს ხელიდანა, ძლივძლივობისასა. ილიას მოსტაცა აკვანი, ილიას აკვანი გააგდებინეს ხელიდანა ძლივასა, ძლივასა, ქართველის აკვანი გააგდებინეს"...*

თავმდაბლობს, ჩვეულებისამებრ, თავმდაბლობს ბატონი ოთარ ჩხეიძე, თავის ღვაწლს არ აჩენს ამ საქმეშიც, თორემ საზღვარზე გადასატანად საგანგებოდ შეფუთული აკვანი საბაჟოზე სწორედ მან გამაგდებინა. ერთი გაკვირვება კი გამიკვირდა, ამ გენიალურ მწერალს სარფის საბაჟოზე რა ესაქმება-მეთქი. მერე მივხვდი, მისნაირი თვალ და ყურმახვილი კაცი იქ უნდა იდგეს: ეს ისეთი ადგილია, მარტო ბაზალეთის აკვანი კი არა, მავანმა შეიძლება კონტრაბანდული სიგარეტიც გაიტან-შემოიტანოს და ბატონი ოთარის ასაკსა და ავტორიტეტს მაინც მოერიდება; მე, პირადად, როგორც კი ბატონი ოთარი დავინახე მებაჟის ფორმაში, აკვანი ეგრევე ჩავაბარე. სიგარეტის მაფიაც, ალბათ, ასევე იქცევა — სიგარეტს მას აბარებს...

ცოტა ხომ არ დაიბენი, ძვირფასო მკითხველო? ეგ არაფერი, მთავარია, ჩხეიძეთა მარადტანჯულ-რეპრესირებული ოჯახი არ იბნევა ამ საქმეში.

არადა, მებაჟის ფორმიანი ოთარ ჩხეიძე არაფრით ჰგავს სახარებისეულ მებაჟეს ანუ მეზვერეს, გულში მჯილის ცემით საკუთარ ცოდვებს რომ ინანიებს ტაძარში და უფალს შესთხოვს: ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა. ისე, ეკლესიაში, თურმე, ბატონი ოთარიც „დანაკალა", ისიც ლოცულობს და სანთლებს ისიც უნთებს ღვთისმშობელს. ყოველ შემთხვევაში, „ლიტერატურული საქართველოს" თანამშრომელ ქალბატონებისადმი მიძღვნილ წერილს ასე გულისამაჩუყებლად ამთავრებს: *„ამ დღეებში სიონის ტაძარში თქვენ შეგაეედრეთ დედასა ღვთისასა. სანთლები დავუნთე, რალა თქმა უნდა, სხვა რა ვილონო?"* სანთლები კი იმიტომ დაუნთო განყოფილების რედაქტორ ქალბატონებს, რომ მათ ცოდვილ სულებზე იზრუნა.— ისინიც მონაწილენი ყოფილან იმ ცოდვისკითხვისა, რაც, თურმე ნუ იტყვით, „ლიტერატურული საქართველოს", ამ „ყოვლად არალიტერატურული გაზეთის", რედაქციაში ტრიალებს; მათაც, თურმე, ამპარტავნობის სენი შეპყრიათ: *„ოოო... რა ამაყად აწერთ ხელსა: განყოფილების რედაქტორებიო"*. თურმე, ამ ქალბატონების წილიც ძევს იმ სიმუხთლეში, რაც ამ გაზეთმა თავს დაატეხა ოთარ ჩხეიძეს: *„თქვენმა გაზეთმა და მწერალთა კავშირმა, კვაჭანტირაძეების პატრონმა, ჩემი მწერლობა გაიხადა საეჭვოდ თუ სულაც უარყო... მე აქამდის გავუძელი. კიდევ თუ რას მიქადით, ვინ უწყის!.. იქ რას მიპირებთ, იქ რო შევხვდებით — საიქიოსა?..*

არ გვიკვირს. თქვენი კარები ჰო ღიაა, ყურთამდის ღიაა ჩვენი მტრებისათვისა, მომარჯვებულია თქვენი კალამიცა, მოაწეროს: განყოფილების რედაქტორები, მომარჯვებულია". ამ მანდილოსნებს, რატომღაც, ჩემს გულშემატკივრობასაც აბრალებს ღვთისმოსავი ავტორი, რის გამოც გვარიანად შემოელანძღა ეს პატიოსანი ხალხი: *„კვაჭანტირაძემ ჩვენც გაგვლაფა და მადლობაც უძღვნა თქვენს გაზეთსა, — აგერ ამდენი ხანია, ქვეყანა რომ აიკელით: რატომ ამას არ ნიშნავთ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორადაო. ახირება კარგი იცით. გაგდით და აიხირებთ, აიხირებთ, რატომ არ აიხირებთ?!"* მაგრამ, ჯერ სადა ხარ, მალე საბრალო მანდილოსნების თავზე ურიელ აკოსტას შეჩვენების ექო დაიგრგვინებს: *„ღირსეულს ამცირებთ. ულირსს ადიდებთ. გიკი მარგველაშვილსა და ნარა გელაშვილსა დევნით, კეიტაიშვილს ამზადებთ დაფნის გვირგვინისათვის — რაღა უნდა გელაპარაკოთ! ღმერთი არ გაპატიებთ!"* და აქვე მამობრივი სასოება და ზრუნვა ამ ცოდვილ სულებზე: *„თქვენ რა გეშველებათ? მე თქვენი მდგომარეობა მაწუხებს: ყოველგვარ სიგლახეს, ქალს რომ არ ეკადრება, იმგვარ თხზულებებს აწერთ ხელსა..."* და, აქედან მოკიდებული, იგრძნობა ხელწერა გამოცდილი გადმომბირებლისა, რომელიც ოსტატურად არხევს თავისი სამიზნის გულში ყველაზე მგრძნობიარე სიმებს; ოთარ ჩხეიძემ იცის, როგორ უნდა ჩააგდოს განხეთქილების თესლი რედაქციაში, როგორ ნაჰკიდოს ხალხი ერთმანეთს, რა შხამი ჩაუნვეთოს ყურსა და გულში, რას დაჰპირდეს, რით აცდუნოს ისინი: ერთმანეთს უნდა წაუსისიანოს ქალები და მამაკაცები, ქვემდგომები და ზემდგომები... თავი კიდეც უნდა მოიკატუნოს, უნდა შეაცოდოს — და კიდეც უნდა გაამასხროს, თავისი არარაობა უნდა აგრძნობინოს გადმოსაბირებელს. ჯერ მათი შეჭირვებით იწყებს, ვითომცდა თანამგრძნობის პოზიციიდან: *„რა უნდა ილონოთ? წინააღმდეგობას ვერ გაუწევთ. სამსახურს დაჰკარგავთ. ოო, ადვილი ასატანი არ არის, რა თქმა უნდა, ვერც მე ამყვებით ადვილადა..."* დღევანდელ პირობებში ეს დაახლოებით ასე ნაიკითხება: რისა გეშინიათ, სამსახურს დაკარგავთ — თორემ ოჯახს გირჩენთ ეგ თქვენი სამსახურიო. შემდეგ ეჭვიანობა და უნდობლობა უნდა ჩაითესოს: *„თქვენ ჰო ფარისეველნი გახვევიან გარსა, ფარისეველნი და სადუკეველნი, ისინი გაქეზებენ, ზურგთუკან დაგცინიან ისინივე, იმათ ეს ორომტრიალი მოსწონთ: დე დაუჭამიათ ერთმანეთიო"*... ესეც ნაცნობი ხელწერაა: ფარისეველმა ფარისევლობის, ქურდმა ქურდობის, კახპამ კახპობის საშიშროებაზე უნდა გვიქადაგოს. მერე „ლიტერატურული საქართველოს" უნუგეშო პერსპექტივაზეც ჩამოაგდებს ვითომც სასხვათაშორისოდ სიტყვას: *„ყურადღებიდან ნუ გამოგრჩებათ, თქვენი გაზეთი დღითიდღე რო კარგავს მკითხველსა, ნუ, ნუ, ნუ გამოგრჩებათ. ისიც გაითვალისწინეთ: რაც არ უნდა მოხდეს, მათ ველარც დაიბრუნებთ. მე თქვენ მეცოდებით"*. ჰო, სულ „ლიტერატურული საქართველოს" უმკითხველობა ადარდებს ოთარ ჩხეიძეს, სულ ამ გაზეთის წესიერი თანამშრომლების ცოდვით იწვის! თქვენ კი მეცოდებით, ღირსეულო

ქალბატონებო, მაგრამ ნურც ის დაგავიწყდებათო, რომ „*თქვენ თქვენ ცოდვაში გიდგათ ფეხი, მე ამის აცილებას გირჩევთ... როგორმე, როგორმე...*" და, უცებ, თავისი სისადავით გენიალური პროვოკაცია: „*ხელი რო მაინც არ მოაწეროთ?*" აქ მცირე იაღლიში მოუვიდა ბატონ ოთარს, თავი გაიბრაზა, სიცხარეში კი კინაღამ ღვთისმოსავის ნიღაბი ჩამოუვარდა და წამით გაილანდა სახე გესლიანი ცინიკოსისა: „*რას ჩაწკეპილხართ და გამოჭიმულხართ: განყოფილების რედაქტორებიო! რის რედაქტორები და რა რედაქტორები — თქვენ ჰო მხოლოდ მაგ ვაუბატონების სტრიქონებს ითვლით და სასვენ ნიშნებს აწესრიგებთ — ჰა? ჰა?.. სხვა რა გეკითხებათ — არრა გეკითხებათ და ამისთვის იტეხთ სახელს? ბავშვები ხომ აღარა ხართ!*" ამ ინფორმაციის სიზუსტე როსტომ-მსტოვრის სინდისზე იყოს, უფროსმა ჩხეიძემ კი აქ ისევ სწრაფად შეისნორა ნიღაბი და, დიდად დახელოვნებულმა გადამბირებელმა, ისევ მავედრებელ-მსასოებლის სახე მიიღო: „*არ გინდათ, გთხოვთ, გევედრებით, გემუდარებით ნუ, ნუ, ნულარ მოაწერთ ხელსა, თუ რო გინდათ რო: აიცილოთ წყეულაკრულვაი ახლა და მომავალში შეჩვენებაი. ნუ მოაწერთ, გემუდარებით, ამისთვის მაინც არ მოგხსნიან სამსახურიდანა. არა, არა მგონია, თუ მოგხსნიან და — აღარ ვიცი, სხვა რაღა გირჩიოთ. აღარ ვიცი. ენა მიდუმდება...*"

იცის, როგორ არ იცის ცხრა მთავრობის ხელში საქალამნე ტყავივით გამოქნილმა გადმომბირებელმა, რაც უნდა ქნან გადმოსაბირებლებმა; არც ენა დასდუმებია და „ნაკოლიც" მიცემულია — მანდედან კარები გამოიჯახუნეთ და, ნუ გეშინიათ, უმუშევარი არ დარჩებითო — ჟურნალი გინდა, გაზეთი გინდა თუ სტამბა-გამომცემლობა, აგერ არა ვართო! ჩვეულებისამებრ, ცრუობს ბატონი ოთარი — უმადური და მიამიტი მუშაკი არც მას ენდომება, მაგრამ აქ მთავარია რედაქციიდან გამოიტყუოს ეს ხალხი და მერე — ქუჩა დიდია, მათაც დაიტევს. და ამას მოადევნა ის, მისი გათელით, სულისშემძვრელი პასაჟი, სიონში რომ სანთლებს უნთებს „ასულთ შეცთომილთ" და ღვთისმშობელს ავედრებს მათ ცოდვილ სულებს. მართლაც, შემძვრელი ადგილია, ოღონდ შემძვრელი თავისი გულისამრევი სიყალბითა და სიცბიერით, თავისი ფარისეველობით.

ზემოთ მოგახსენეთ, მებაჟისფორმიან ოთარ ჩხეიძეს საერთო არაფერი აქვს-მეთქი სახარებისეულ მეზვერესთან, ღვთის ტაძარში თვალებდახრილი გულმხურვალედ რომ შეჰღაღადებს ღმერთს, იხსნას საკუთარი ცოდვებისაგან; მაგრამ იგი ალი-კვალია იმავე ტაძარში ყელმოღერებული სხვა მლოცველისა, სხვათა დასანახად გამოჩინებულად რომ ასე ლოცულობს: გმადლობთ, უფალო, რომ ისეთი ნამგლეჯი, ცრუ და ცოდვილი არა ვარ, როგორიც, აი, ეს, ჩემს გვერდით მლოცველი, მეზვერეო.

და სახელი ამ მლოცველისა — ფარისეველი.

და სახელი სიონში მლოცველი ოთარ ჩხეიძისაც — ფარისეველი: ვისთვისაც სანთლებს გულწრფელად ანთებენ, მას ამის შესახებ გაზეთებიდან არ

აცნობებენ ხოლმე, თანაც ხაზგასმული ქედმაღლობით — მე, უცოდველმა, თქვენ, ცოდვილებს, სანთელი დაგინთეთ და ღვთისმშობელს შეგავედრეთო... საკუთარ თავს, საკუთარ ოჯახს დაუნთე სანთელი, ფარისეველო, და საკუთარი ცოდვილი თავი შეავედრე უზენაესს... *„ორგულო, აღმოიღე პირველად დირე თვალისაგან შენისა და მერმე იხილო აღმოღებად წველი თვალისაგან ძმისა შენისა“.*

„ყოველად არალიტერატურულიო“, რომ ბრძანებენ ფარისეველი მამაშვილი, მაშინ ხომ არ იყო ეს გაზეთი „არალიტერატურული“, როცა ოთარ ჩხეიძე იქ თავის იმ მართლაცდა არალიტერატურულ ოპუსს ბეჭდავდა, რომელსაც, თურმე ნუ იტყვით, მე ასე გავუმწარებივარ; არც „ოტარიდის“ ჯამიდან ხვრეპა იყო მათთვის საჩოთირო, სანამ „ხელის ჭუჭყში“ ბანაობას დაიწყებდნენ; როცა „ლიტერატურული საქართველოს“ თავის რუპორად ქცევა მოიწადინეს, მაშინ არ გახსენებიათ — ემანდ, მკითხველი არ დავკარგოთო... არც მაშინ უღვარღვალებია ოთარ ჩხეიძეს ფარისეველური ცრემლი — გაზეთის სახელსა და პრესტიჟს გაეუფრთხილდეთო, როცა იქ მსტოვრად თავისი ვაჟი ეგულებოდა.

რაც შეეხება „ხელის ჭუჭყში“ ბანაობას... გავრცელებული აზრია, თითქოს ფულს სუნი არ უდიოდეს... როცა იმპერატორმა ვესპასიანემ რომში საზოგადო ტუალეტებიც დაბეგრა, შვილმა შეჰკადრა — ეს უკვე ნამეტანიაო. ამაზე ოხუნჯმა იმპერატორმა დინარი დააძრო, ვაჟს ცხვირთან მიუტანა და ჰკითხა — უდის სუნი?

და მართლაც, დინარს შარდის სუნი არ ასდიოდა.

არადა, სწორედ ფულს უდის სუნი, თუ უდის: მარტო სიგარეტის, ბენზინისა და სპირტის კი არა, უდის სისხლისა და ცრემლის სუნიც. დღეს ბრიყვი და მავნე უნდა იყო კაცი, ვინმეს ის ფული წააყვედრო, რომელსაც ერთადერთი საკადრისი და შესაფერი სუნი უდის — სუნი ოფლისა. მე არ ვიცი, რაგვარი სურნელების ფულში ბანაობენ ჩვენი ფარისეველნი; ვიცი მხოლოდ ერთი: თუნდაც „შავი“ იყოს ეს ფული და დამპალ თამბაქოზე მეტად ყარდეს, მისი მომპოვებლები მაინც ნაკლებად ცოდვილნი არიან, ვიდრე მათ ბოქვენს ჩაფრენილი ხორთუმდაგრძელებული ჯღიბები ანუ — ჩვენში უფრო გავრცელებულ ბარბარიზმს ვიხმარ — „მანდალოშკები“.

„ყვარყვარეთს“ უფროსი ჩხეიძე შეუნილბავად გამოეხმაურა, უმცროსი კი მარტო ფსევდონიმს როდი ამოეფარა, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების სახელიც აიფარა ლელვის ფოთოლივით და ახალი კონკურსისთვის შეიმზადა ნიადაგი; უნდა გამოვავლინოთო ამ ათწლეულის, იქნებ, საუკუნისაც ყველაზე მეტად გალანძღული წიგნები და შერისხული ავტორებიო:

„საუკუნეზე ჯერ დარწმუნებით ვერაფერს მოგახსენებთ, რადგანაც ამ თვალსაზრისით საგანგებოდაა შესასწავლი ქართული ჩეკისტური კრიტიკის ისტორია და აწმყო, ურთიერთშესაჯერებელი და მერე ვისაუბროთ, ბო-

ლო წლებისა და, საერთოდ, ბოლო ათწლეულის ყველაზე მეტად გალანძღული წიგნების სიას კი დაბეჯითებით მოგანვდით და თქვენც მაშინვე დაგვეთანხმებით:

ოთარ ჩხეიძის რომანი „თეთრი დათვი" და როსტომ ჩხეიძის ორი ისტორიული ცდა — „თუ საწუთრომან დამამხოს (ზვიად გამსახურდიას ბედისწერა)" და „ოტარიდი": მიზნები, ამოცანები, კრახი".

მოკლედ, ყველაზე შერისხული და დაუფასებელი ავტორი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ოთარ ჩხეიძე ყოფილა... და, რამდენადაც მკითხველი მაინცდამაინც არ იცნობს თანამედროვეობის ყველაზე ტანჯულსა და დაუფასებელ ავტორს, საბჭოთა ხელისუფლებისაგან ესოდენ შერისხულსა და გვემულს, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან" გთავაზობთ ცნობებს მის შესახებ:

„ჩხეიძე ოთარ რევაზის ძე *(1920 ნ. სოფ. ყელქცეული), ქართველი საბჭოთა მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. დაამთავრა თსუ ფილოლ. ფაკ-ტი (1942). 1948-დან ლექციებს კითხულობდა რუსთაველის სახ. ბათ., 1949-დან — ბარათაშვილის სახ. გორის პედ.ინ-ტებში. 1949-71 იყო გორის პედ.ინ-ტის რუს. ენისა და ლიტ-რის, 1971-80 — უცხოური ენებისა და ლიტ-რის კათედრის გამგე, 1950-51 — საქართვ. მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი. ავტორია რომანების მთელი სერიისა („ტინისხიდი", 1950-55; „ბურუსი", 1955; „ჯებირი", 1956; „მეჩეჩი", 1958; „კვერნაქი": 1965; „აღმართ-დაღმართი", 1967; „ლანდები", 1968; „ბორიაყი", 1974; „ცხრაწყარო", 1980)". 1948 წლიდან სკკპ წევრი; მისი თხზულებანი თარგმნილია რუსულ, საბჭოთა კავშირის ხალხების, აგრეთვე ბულგარულ ენებზე. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით.*

თუ ვინმე იკითხავს, ესაა შერისხულ-რეპრესირებული მწერალიო, ამის პასუხიც არსებობს: ვერაგმა ჩეკამ განგებ უბოძა ოთარ ჩხეიძეს კათედრა და მწერალთა კავშირის პასუხმგებელი მდივნობა, დააცვევინა დისერტაცია, გამოაცემინა წიგნები, დაადგმევინა სპექტაკლები, ათარგმნინა და უცხოეთშიც გამოაცემინა თავისი ქმნილებები, ძალად შეიყვანა პარტიაში და ძალადვე ჩამოჰკიდა „საპატიო ნიშნის" ორდენი... განგებ, რათა დღეს, როცა ოთარ ჩხეიძეს დაფნაგარეული ეკლის გვირგვინით უნდა თავის დამშვენება, ვინმემ ჩემსავით წამოაძახოს: არაფერი ტანჯულ-რეპრესირებული არ მყავხართ თქვენ, ბატონო ჩხეიძეებო.

ისე, კაცმა რომ თქვას, მეტი რა ექნა საბჭოთა ხელისუფლებას, მართლაცდა, კრიტიკოსთაგანაც კი წაუკითხავ წიგნებში სტალინურ პრემიას ხომ ვერ მისცემდა ოთარ ჩხეიძეს?

სწორედ ამ „პრემიამანიაშია" ძაღლის თავი დამარხული: ჩხეიძეებს „გარდარეული" სიყვარული სჭირთ, პირდაპირ სული უკაწკანებთ პრემიებზე, აღიარებასა და ტაშზე, მაგრამ გარეგნულად ეს ყველაფერი ვითომ ეზიზღე-

ბათ: ენით რომ სწყევლიან პრემიებს, ძუძუებით ლოცავენ. ზუსტად მათზეა ზედგამოჭრილი — „ხარ, ბიძია, ხარბი ძია“: პრემია კიდეც უნდათ და კიდეც არ უნდათ. ამიტომაც აპირებენ დააწესონ „უპრემიობის პრემია“, ამიტომაც ემათხოვრებიან მკითხველს: გვაღიარეთ, ყველაზე აუღიარებელ მწერლებად მაინც გვაღიარეთო. საუკუნის ყველაზე შერისხული წიგნებიო და — თავიანთი ნაცოდვილარი გამოფინეს ამ ამპარტავანმა ფარისევლებმა: აი, როგორ გვდევნიან, გვებრძვიან, გვავიწროვებენო... არადა, ვის დაჰკარგვიხართ, ვინ გებრძვით, ვის ახსოვხართ, ღირხართ კი ხელის ან კალმის გასვრად? ვერ დაიმსახურეთ დაფნა და პატივი და ახლა ამაში მოითხოვთ პატივსა და დაფნას? თანაც მოითხოვთ ახლავე, სიცოცხლეშივე...

მამა-შვილო ჩხეიძეებო, „ხელის ჭუჭყთან“ ერთად თქვენ „ხელის ბიჭები“ და, ასე ჩანს, „ხელის გოგოებიც“ გიშოვიათ... დე, მათ გიკმიონ გუნდრუკი, მე კი, ჩემდათავად, ვერც დაგიმალავთ, ვერც განუგეშებთ და ვერც ილუზიებს შეგიქმნით: თქვენი პრემია და ჯილდო ახლაც და მერეც, აქაც და იქაც — დუმილია.

მკითხველის დუმილი.

P.S. ისე, მკითხველო, რა აზრისა ბრძანდებით პრემია-კონკურსის ამგვარ ნომინაციებზე:

საუკუნის ყველაზე ნაუკითხავი (გნებავთ, ვერწასაკითხი) ქართული წიგნი;

საუკუნის ყველაზე დიდი ქართველი გრაფომანი?

მეც მხოლოდ იდეა მოგაწოდეთ საფიქრელად.

„ლიტერატურული საქართველო“, 3.3.2000

რეპლიკა

აცილებული განცხადება

„ლიტერატურული საქართველოს“ წინა ნომერში გაზეთის კრიტიკის განყოფილებამ მკითხველს „აუცილებელი განცხადებით“ მიმართა და ბოდიშიც მოუხადა: თურმე ჩემს წერილში ისეთი უცენზურო გამოთქმები გაპარულა, რომლებიც, განმცხადებელთა აზრით, არც ავტორს, ესე იგი — მე, და არც ლიტერატურულ გაზეთს, ესე იგი—მათ, არ ეკადრებოდა.

ჩემი აზრით კი, ამ განცხადებისათვის უფრო „აცილებული“ შეიძლებოდა გვეწოდებინა, რამდენადაც იგი ასცდა თავის ადრესატს, მკითხველს; სწორედ მკითხველთან ბოდიშის მოხდა არ დამვიწყებია მე იმ წერილში („ჭუა“,

„ლს", N 10), თანაც — რამდენჯერმე; დასაწყისშივე ვწერდი: *„წინდაწინვე ბოდიშს მოგიხდით, მკითხველო, სოლიდური გაზეთისთვის შეუფერებელი ტონის გამო"* — და იქვე განვმარტავდი ასეთი ტონის მიზეზს. რაც შეეხება "უცენზურო გამონათქვამებს" — მე მხოლოდ ჩემი მოწინააღმდეგეებისავე „იარაღი" გამოვიყენე — აქ კი ბოდიშის მოსახდელი არავისთან არაფერი მაქვს: სისხლის სამართლის კოდექსიც კი მომგერიებელს პასუხს არ აგებინებს, თუ იგი თავდამსხმელს მისსავე იარაღს აართმევს და იმით დააზიანებს... აღარას ვამბობ ბიბლიურ „კოდექსზე": *„ყოველთა, რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითაცა წარწყდნენ"*. მიუხედავად ამისა, როცა ამ წერილში მოწინააღმდეგის ბილწსიტყვაობას ვიმოწმებ, მკითხველს ოპონენტის ნაცვლად ვუხდი ბოდიშს და ვწერ: *„მკითხველს, მის მაგივრად, მე ვთხოვ შენდობას"*... გულზე ხელი დაიდე, ძვირფასო მკითხველო და — მეტი რაღა უნდა მექნა, რით მოვფრთხილებოდი შენს ყურებს?

საერთოდაც, მე ჩხუბს არ ვიწყებ...

მე ჩხუბს, ჩვეულებრივ, ვამთავრებ ხოლმე...

ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ დავამთავრო...

დაბოლოს, განცხადების პატივცემულო ავტორებო, გულწრფელად მინდა ჩემს წერილზე მეტად საჯაყი და საბოდიშო „ლიტერატურულ საქართველოში" არაფერი დაგებეჭდოთ.

„ლიტერატურული საქართველო", 17.3.2000

მატრაკვეცი

წერილი მესამე

ამას წინათ, ძვირფასო მკითხველო, კლინიკური შემთხვევა დაფიქსირდა, ყვარყვარეთისათვისაც კი უნიკალური: კაცი დღისით, მზისით ამტკიცებს და შავით თეთრზე წერს, უფრო სწორად, ბეჭდავს:

„ეს ერთი პატრონი ვყავარ ჩვენს უბედურ მწერლობას და მეც რომ განზე გავდგე, ვილა უშველის? ვილა გამოჩნდება სიმართლის მთქმელი და ვილა შეაფასებს პირუთვნელად და წრფელად გარდასულსა თუ დღევანდელ სალიტერატურო პროცესებს?"

ალბათ, მეტყვით, იუმორის გრძნობა მოგჩლუნგებია, კაცი ხუმრობს, თავის თავს საგანგებოდ აგლახავებს (რაც ერთგვარ მოდად და კარგ ტონადაც კი ითვლება ახლა) და ვერ უნდა მიუხვდეო? კარგი ხუმრობაა, თქვენმა

მზემ! მე, პირადად, არ გამეცინება, ცალფეხა ინვალიდი სტადიონზე რომ გამოკვანჭალდეს — ცენტრფორვარდს ვითამაშებო.

ყოველგვარი ირონიის გარეშე მადლობის ღირსია გაზეთი „7 დღე" (24-26 მარტი, N 34), **როსტომ ჩხეიძეს** ეს მოკრძალებული თვითაღიარება რომ დაუბეჭდა: ავტორის ლიტერატურული „ხარაკირის" მანიაკალურ ჟინს იგი წინ ვერ აღუდგებოდა და ეს, კაცმა რომ თქვას, გაზეთს არც ევალებოდა.

ნურც იმას იტყვი, მკითხველო, იქნებ შემთხვევით წასცდა ასეთი სირეგვნე როსტომ ჩხეიძეს და წაცდენილი სიტყვისთვის კაცი ჯვარს ხომ არ უნდა აცვათო... იმავე სტატიაში ყვარყვარიკო ჩხეიძე ამასაც წერს:

„ბობოლა მწერლებს ვერ აუტანიათ სიმართლე და მიუკერძოებელი შეფასებანი, რაც ნიშანდობლივია ჩემი სტატიებისა და წიგნებისათვის"...

მართალი და მიუკერძოებელი ხარო, სადღეგრძელოში კი ეუბნებიან ერთმანეთს, მაგრამ კაცს რომ საჯაროდ, პრესის საშუალებით თავისი თავი ედღეგრძელებინოს, ეს პირველად მოვისმინე. თუმცა, მიკერძოება რომ არ დამწამონ, ამ მრავალმხრივ საინტერესო პასაჟს სრულად დავიმოწმებ.

„...ახალი ეტაპი იწყება ჩემი ლანძღვისა და ცილისწამებათა ღვარცოფის ისტორიაში ... ბობოლა მწერლებს ისე ვერ აუტანიათ სიმართლე და მიუკერძოებელი შეფასებანი, რაც ნიშანდობლივია ჩემი სტატიებისა და წიგნებისათვის და ისე არიან მონდომებულნი, გამაძევონ ლიტერატურიდან, რომ ყველგან მე ველანდები და ზაფრავთ ეს მოლანდებაც".

ზემოთ კი მოგახსენეთ, ამგვარი „თვითსადღეგრძელო" ჯერ არ მომისმენია-მეთქი, მაგრამ ბოლოში ნაცნობმა ჰანგებმა მაინც გაიყღერა: მეც და, ალბათ, თქვენც, მკითხველო, ჯერ არ დაგვვინყნია ეკრანიდან მონასმენი — „მოგელანდებით... მოგელანდებით".

სიტყვამ მოიტანა და, როსტომ ჩხეიძის არც ის ნაბოდვარი გამოირჩევა ორიგინალობით, ერთადერთი პატრონი ვყავარ ჩვენს უბედურ მწერლობას და მეც რომ განზე გავდგე, ვილა უშველისო; იგი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ასევე ცნობილ განცხადებას — *„ერთადერთი პატრონი ვყავარ ჩვენს უბედურ საქართველოს და მე რომ გადავდგე, ვილა უშველის, აირევდაირევა ყველაფერი..."*

უნიჭობა და უსახურობა ბევრი მინახავს, მაგრამ კაცის კლინიკური გამოვლინებანიც კი პლაგიატი რომ იყოს, ეს მართლაც საგინესე ამბავია: ამავე სტატიაში ერთადერთი გონებამახვილი კალამბურია მწერალსა და წევრალზე ანუ კაცზე, ვისაც აქვს კავშირის წევრის ნიგნაკი, მაგრამ არ გააჩნია წიგნი, და ეს კალამბურიც პოეტისგანაა ანაპნილი. ისე, ერთს „ჩავუხველებდი" ყვარყვარიკო ჩხეიძეს: კალმის გაფაღარათებას ისევ კალმის ყაბზობა სჯობს — ქვეყანას ძვირფასი ქაღალდი მაინც დაეზოგება.

თვითგანდიდების სენი ანუ „მანია გრანდიოზა" კაი ხანია შეპყრია როსტომ ჩხეიძეს. შეპყრია-მეთქი, თუმცა ეს დაავადება, იქნებ, სულაც მემკვიდ-

რეობითი იყოს; მაგრამ უმცროს ჩხეიძესთან „მანია გრანდიოზას“ გამოვლინების ფორმა უფრო უშუალო და თვალშისაცემია: მაგალითად, როსტომს როსტომობა ეცოტავება და ტარიელობას ჩემულობს, ოღონდ — მხოლოდ ქაჯეთის ციხის აღებისას; სხვა შემთხვევებში მას ტარიელიც ეპატარავება და თავს შესადარებლად არ უყადრებს:

„უფრო ზუსტი დაკვირვების უნარი რომ გააჩნდეს ბ-ნ კვიტაიშვილს, ტარიელს კი შემადარებდა, მაგრამ არა ველად გაჭრილსა და დროებით ცნობამიხდილს, არამედ ქაჯთა ციხის დასალეწად შემართულს“ („ახ.საქართველო“, 11.XI.1999);

ზოგჯერ ტარიელის შავი ბედაურიდან ბარათაშვილის მერანზეც გადაჯდება ხოლმე ეს „თავგანწირული ჩვენი მხედარი“:

„თუ ვერ შეეძელი ამ სასიკეთო ჩანაფიქრის აღსრულება, გზას მაინც გაეუკაფავ ჩემზე აღმატებულ პიროვნებას, გავუადვილებ ჩვენი ტრაგიკული მწერლობის მართებულ გააზრებასა და შეფასებას“ (იქვე).

ამაზე აკაკის ცნობილი „მესტვირული“ გამახსენდა:

პამპულაი შეკაზმულა ჯილითა და ჯინჯილითა,
ყურა-რაშზე გადამჯდარა, მოაგელვებს ჩინჩილითა,
ხელში ხმალი აულია, მოჭედილი ღინჭილითა...
ჯამაათი დაუხვდება ღრეჭითა და სიცილითა:
„დალოცვილო, ვინ არ იცის,
რაცა ხარ და რაც არაო?
კინკილ-პამპულ! პამპულ-კინკილ!
მთელი ქვეყნის მასხარაო“.

კი გამახსენდა, მაგრამ წერისას მაინც შევჩქვიფდი: ღირს კი აკაკის ამ ლექსის გაცნობა ჩვენი მტერ-მოყვრისათვის? აკი გვაფრთხილებს უფროსი ჩხეიძე, აკაკის შემოქმედებას ვერავის გააცნობო:

„დიახ, დიახ, ვერავის გააცნობ დღეს დღეობითა, ვერავის გააცნობ და უნდა შეეგუოთ“ (ოთარ ჩხეიძე, „შენც, ვილენ!“, „საქართველოს რესპუბლიკა“ N 71, 2000).

ბრძნული წინდახედულებაა, რამდენადაც, ჩხეიძე-მამის მტკიცებით, *„აკაკი ნაციონალური პოეტია, იდეოლოგია ნაციონალიზმისა, რაც დასავლეთში არ ითვლება კარგ ტონადა“*.

ჰოდა, აქ, თბილისში, დასავლეთის საელჩოებმა, ერთიც ენახოთ და, „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი ეს ლექსი ვინმეს ათარგმნინონ და თავიანთი ქვეყნების მასონისტურ მთავრობებს უჩვენონ — საქართველოში პამპულებსაც კი, თურმე, ხელში ხმალი უჭირავთო, რაღას ვაპირებთ მერე? ხომ იტყვიან, ესენი უბრალო ნაციონალისტები კი არა, მილიტა-

რისტებიც ყოფილანო? ვილა მოგვანედის მერე მუქთადა ამერიკულ თეთრ ფქვილსა და ბავარიულ შავ ლუდსა?

მაინც, რა „სასიკეთო ჩანაფიქრის აღსრულებაზე" ზღაპრობდა მოძმისათვის გზის გამკაფავი ყვარყვარიკო? იმაზე, რასაც დაჟინებით იმეორებს ჟამითიჟამად: მან უნდა **დაალაგოს** ქართული მწერლობა. აკი ახლაც გაიმეორა, ერთადერთი პატრონი მე ვყავარ გაუბედურებულ ქართულ მწერლობას და მეც რომ ვუგანო, გარდასულსა და დღევანდელ სალიტერატურო პროცესებს ვილა დაალაგებსო; ადრეც წერდა:

„ეატყობ, ეს (ქართული ლიტერატურა — თ.კ.) *ისედაც ჩემი მისახედია, ჩემი დასალაგებელი და ილუზიები ტყუილუბრალოდ ნურვის გაუჩნდება"* („ახალი საქართველო", 19.IX, 1999); *„თანამედროვე ლიტერატურა ჩემი დასალაგებელია და ილუზიები ტყუილუბრალოდ არავის არ უნდა გაუჩნდეს"* („ახალი საქართველო", 11.XI. 1999).

დალაგების შედეგად კი როსტომ ჩხეიძე დიდ გადაადგილებებს გვპირდება: *„მოსალოდნელია, წინანი უკან მოექცნენ* და *უკანანი — წინ"* (იქვე).

ქალებისგან გამიგონია, რომ მათ ზოგჯერ „უბორკის" ანუ დალაგების ჟიპი იპყრობთ: ავეჯს გადააადგილებენ, ფარდებს ცელიან, იატაკს ხეხენ. თუ რომელიმე მამაკაცსაც ასეთი გაუკულმართებული ჟინი დარევს ხელს და, ილიასი არ იყოს, „საკოპნოდ უტოკს ტანია", მას შეუძლია საკუთარი ბინა დაალაგოს — სარეცხი ჩაალბოს, „მასტიკა" მოუსვას, ავეჯს მტვერი გადაწმინდოს. როგორ მიხედავს თავის ოთახს დამლაგებელი ჩხეიძე, ეს მისი პირადი საქმეა, ქართული მწერლობა კი, არა მგონია, თხუთმეტი საუკუნე იმას ელოდა, წელზე წინსაფარ და თავზე „ცახოცწაკრული" როსტომი ცოცხითა და აქანდაზით როდის მომხედავს და დამალაგებსო.

მამა-შვილ ჩხეიძეებს რეფორმატორებად მოაქვთ თავი და, ერთი შეხედვით, სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდებიან მწერალთა კავშირს, მათი მტკიცებით, „საბჭოურ-ჩეკისტურ" ორგანიზაციას იმიტომ, რომ კავშირი თურმე ჭეშმარიტ ლიტერატურულ ფასეულობებს დევნის, ნამდვილ მწერლებს ავიწროვებს და უღირსებს აღაზევებს.

ამიტომაც იჩემებს როსტომ ჩხეიძე — აი, მე რომ დავალაგებ ქართულ მწერლობას, წინანი უკან მოექცევიან და უკანანი წინაო. ასეთი რამ არ უცდია არც ილიას, არც აკაკის, არც ნიკო ნიკოლაძეს, არც კორნელი კეკელიძეს და არც გერონტი ქიქოძეს.

თუმცა ასეთი მცდელობა ჩვენს უახლოეს ისტორიაში უკვე იყო, ოღონდ — საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე და, სამწუხაროდ, სახარებისეულ პარადიგმას ჩაენაცვლა ქართული ანდაზა — ფარა შემობრუნდა და კოჭლი ცხვარი სათავეში მოექცაო. როსტომ ჩხეიძეს სურს თავისი „მესსიის" პოლიტიკური ექსპერიმენტი მწერლობაში გადმოიტანოს; ისიც ხომ ერთადერთი პატრონია — ოღონდ ჩვენი უბედური მწერლობისა.

რანჟირების გარეშე მწერალთა მართვა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ფარისეველ ჩხეიძეებს განა ის არ მოსწონთ, რომ მწერლობა, საერთოდ, იმართება — არ მოსწონთ ის, რომ მწერლობა მათ მიერ არ იმართება. წინათ თუ კოლექტიური ორგანო, პარტია, ცდილობდა მწერალთა „დალაგება"-რანჟირებას, ახლა ეს მისია როსტომს აუღია თავის თავზე. ჩემზე ღირსეულს გზას მაინც გავუკვალავო, ეს ისე, სიტყვის მასალად ითქვა, რამდენადაც სხვებს როსტომმა ამის იმედი იქვე გადაუნურა: „ილუზიები ტყუილუბრალოდ ნურავის გაგიჩნდებათ"-ო. არადა, ასეთი იდეა — მწერლები „სიმაღლის მიხედვით" ჩაემწკრივებინა და ზოგი პოეტისთვის ერთქნარიანი სამხრეები დაეკრა, ზოგისთვის — სამქნარიანი, მხოლოდ მონაზე დამყნობილ ტირანს შეიძლებოდა გასჩენოდა. ყვარყვარიკომაც მწერალთა ლაშქრის უზენაეს მთავარსარდლად ნარმოიდგინა თავი, რომელიც ზოგ მწერალს დააწინაურებს, ზოგსაც ჩამოაქვეითებს, ზოგ პოეტ-ლეიტენანტს გააპოეტპოლკოვნიკებს, ზოგ პოეტ-გენერალს ჩამოაპოეტკაპიტნებს, ზოგს კი სულაც ჩამოჰგლეჯს ქნარებიან სამხრეებს. ამიტომაც, ილიას „სუტ-ენეინასი" არ იყოს, როსტომ ჩხეიძეც „სუტრეფორმატორია"; საერთოდაც, გუშინდელ დღესთან ვითომც მორკინალი ჩხეიძეები მართლაც არ არიან გუშინდელნი, ისინი გუშინწინდელნი გახლავან.

„მანია გრანდიოზა", ეტყობა, ბატონ როსტომ ჩხეიძის ერთადერთი დაავადება არ არის; ასევე თვალნათლივია მისი ზნეობრივი ატროფირების ნიშნები. ნორმალური ადამიანები ავარიით გამოწვეულ სხვათა ტრავმებზე არ ღლიციონობენ. თავის ბოლო ოპუსში ჩხეიძე-შვილი ჩემზე წერს: *„მას შემდეგ, რაც სერიოზული ტრავმა მიიღო ავტოავარიაში, სულ წამხდარა და, როგორც მისი ბოლო ორი სტატია მოწმობს, ზომბის მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს"*.

დიახ, ავტოავარიის შედეგად მე მართლაც მივიღე მძიმე კომოციო ანუ ტვინის შერყევა. აქვე მოკრძალებულად შევკადრებ ბატონ როსტომს ჩემს ვარაუდს: ერთადერთი, რისგანაც იგი აბსოლუტურად დაზღვეულია, სნორედ ტვინის შერყევა გახლავთ, თუნდაც „ტიტანიკი" დაეჯახოს მის თავს.

როსტომ ჩხეიძე თავის ოპუსში ვერ ელევა საერთაშორისო უნივერსიტეტის თემას, რაზედაც მე წინა პუბლიკაციაში ასე ვუპასუხე: ბაზალეთის აკვნის გაყიდვის ჩემთვის დაბრალება ისეთივე აბსურდია, როგორი აბსურდიც იქნებოდა, ვინმეს როსტომისთვის სიმთვრალეში (თუნდაც — სიფხიზლეში) ქალის გაუპატიურება რომ დაებრალებინა-მეთქი. ეტყობა, ასეთი „ბრალდება" მის მამაკაცურ ღირსებებს მალამოდ ედება.

ერთსაც დავამატებ: საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მომუშავე ამ საერთაშორისო უნივერსიტეტმა (და არა — „თურქულმა", რა ტერმინის დამკვიდრებასაც გრუ-ს შტატიანი თუ შტატგარეშე აგენტურა ცდილობდა და ეს, სამწუხაროდ, მოახერხა კიდეც) უკვე დაძრა საქმე ქართული განყო-

ფილების გახსნისა სტამბოლის ერთ-ერთ უნივერსიტეტში. და რაოდენ სიმპტომატურია, რომ დღესაც კი, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ტრანსკავკასიური გაზსადენის პროექტების ამოქმედების შემდეგ, ჩვენში მოქმედი გრუ-ს შტატგარეშე აგენტურა თურქეთთან საერთო კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობას ეროვნული ინტერესების ღალატად მითვლის... სწორედ ეს გახლავთ რეალური „რუსეთუმეობა". გაიღვიძეთ, მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩაძინებულო ჩხეიძეებო, „ბაქო-ჯეიჰანი" უკვე დეპოშია!

კალამგაფაღარათებული ყვარყვარიკო ნიშნსაც მიგებს, ორიოდე სტატია თუ დაგიბეჭდავს — ზვიად გამსახურდიას ლანძღვა და აკაკი ბაქრაძის ლანძღვაო. როსტომ ჩხეიძეს რომ ჰგონია, ქართველ მწერლებს ვაკრიტიკებო, ლანძღვა სწორედ ისაა, ხოლო ჩემი გამოხმაურება ბატონი აკაკი ბაქრაძის ერთ-ერთ კრიტიკულ წერილზე ლანძღვა ჰგონია. მაშინ, 1970 წელს, ბატონმა აკაკიმ მოიმოქმედა ის, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო მისთვის და რაც წარმოუდგენელია მამა-შვილ ჩხეიძეებისათვის: ტელეობიექტივის წინ ტარიელ ჭანტურია მას შეეკითხა — რა აზრისა ხარ ჩემთვისაც უცნობი ავტორის, თამაზ კვაჭანტირაძის, წერილზე, ადვოკატივით რომ იცავს შენი კრიტიკისაგან რეზო ჭეიშვილის რომან „დალისო"? და ბატონი აკაკი უპასუხებს: „კარგა ხანია მე ასეთი სიამოვნებით არაფერი წამიკითხავს"... ეს იყო დიდი ზნეობრივი გაკვეთილი, რომლისთვისაც მუდამ ვცდილობდი მიმებაძა, თუმცა ამას, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ვახერხებდი. აქედან იწყება ჩემი სიახლოვე ბატონ აკაკი ბაქრაძესთან, რომლის დადასტურებაც გახლდათ 1988 წელს მისი დაჟინებული მოთხოვნა, ლამის ულტიმატუმი, რუსთაველის საზოგადოების ყრილობისადმი, თავის თანაპრეზიდენტად მე ავერჩიე. ამის დადასტურება იყო ისიც, რომ, როდესაც მან ჩემთვისაც ფრიად სადავო გადაწყვეტილება მიიღო და 1990 ნლის არჩევნებში რუსთაველის საზოგადოების პარტიულ სიაში ნაცვლად პირველისა ორმოცდამეათე ნომრად ჩაენერა, მეც ორმოცდამეთერთმეტედ გადმოვეწერე, რამდენადაც უზნეობად მივიჩნიე, სიაში იმ კაცის წინ აღმოვჩენილიყავი, ვინც მე თავის თანაპრეზიდენტად დამასახელა.

ვგონებ, თავის მიზანს ამჯერად მიაღნია და თავი მამართლებინა ქოსატყუილა როსტომმა; საერთოდ, სნორედ იგია მისგან უღმერთოდ ექსპლოატირებული „ჩეკისტური კრიტიკის" კლასიკური ნიმუში — ცილს დასწამებს კაცს და მერე იმან ამტკიცოს თავისი სიმართლე. ხოლო თუ ყვარყვარიკოს გულწრფელად აინტერესებს, ვისგან გაილანძღა (მეტიც ითქმის — გაიწირა) აკაკი ბაქრაძე, შეეახსენებ: 1990 წელს, ეგზალტირებულ კარვის ბინადართა ზეობის პიკზე, ერთმა კალამგაყიდულმა ჟურნალისტმა დაწერა სტატია „ოცდაათ ვერცხლად", სადაც იგი ბატონ აკაკის „ამხელდა", როგორც იუდას, რომელიც კომუნისტებს ოცდაათ ვერცხლად მიეყიდა და ეროვნული ინტერესების ღალატის საფასურად ცეკასაგან მიიღო ჯილდო — გარემონტებული ბინა.

და სახელი ამ ჟურნალისტისა — ჭუმბურიძე.

ეს გვარიაო, თუ მეტყვით, იმ ფაქტის შემდეგ მან სახელი ჩემთვის (და — არა მარტო ჩემთვის!) დაკარგა. მას შეიძლება მხოლოდ ზეწოდება ჰქონდეს, რის შესახებაც — ქვემოთ.

არადა, ბაქრაძის მიმდევრობაზე დებდა მანამდე თავს ეს მართლაც იუდა.

იქნებ, ახლაც ხელს აწერდეს პეტიციას — მთაწმინდაზე ავასვენოთ ბატონი აკაკიო.

არც გამიკვირდება მისი უტიფრობა — რეალურ თუ პოტენციურ მკვლელებს ხომ თავიანთი მსხვერპლის ქელეხში უყვართ თამადობა. ასევე, ჭუმბურიძე სირცხვილით სოროში უნდა ჩამძვრალიყო, ის კი გაზეთ „თბილისის" რედაქტორის სავარძელში გამოიჭიმა.

აფსუს, „თბილისო", როგორ დაგიმგვანა ჭუმბურიძემ — უსახური, უფერული, უჩინარი გაგხადა და ხმაც საეჭვოდ დაგინვრილ-გაგინაზა. მოკლედ, დაუმარხავ მკვდარს დაგამსგავსა, ძლივს რომ დალასლასებს. ერთადერთი, თვითონ ჩაპუტკუნდა, შენ კი დაგამჭლეევა.

სწორედ ამ ჟურნალისტმა მაძაგა მე და შეაქო მამა-შვილი ჩხეიძეები ბატონ თამაზ ქველაძის სტატიაში („საქართველოს რესპუბლიკა", 21.III.2000).

გულწრფელ მადლობას მოვახსენებ ბატონ ქველაძეს ამ მასალის პუბლიკაციისათვის — ღმერთმა დამიფაროს, რომ ჭუმბურიძემ მე მაქოს.

იმის მადლობელიც ვარ, „საქართველოს რესპუბლიკაში" რომ დაიბეჭდა და არა „თბილისში": ბევრმა უნდა იცოდეს, რომ ჭუმბურიძე მე მაძაგებს, ოთარ და როსტომ ჩხეიძეებს კი აქებს.

თავად ბატონი თამაზ ქველაძე მე „ომეგა"- „ელიზის" სასამართლო რეპორტაჟებიდან დამამახსოვრდა და მის ამ წერილში ჭუმბურიძის გადაფოფრება ჩხეიძეებზე ცუდად მენიშნა: როგორც რუსები იტყვიან — дело пахло табаком.

ისე, როსტომის დაცვა ჭუმბურიძისაგან არ გამკვირვებია — ცნობილია, ამ ყაიდის ადამიანები ერთმანეთში მტკიცედ იკვრებიან და სოლიდურნიც არიან...

სხვა ნურაფერს იფიქრებ, მკითხველო, მე მხოლოდ ბოროტ ძალებზე მოგახსენებთ, რომლებიც, თუ ტოლსტოის მაქსიმას ვერწმუნებით, კეთილი ძალებისაგან განსხვავებით, ადვილად და მტკიცედ უკავშირდებიან ერთმანეთს.

წინა წერილში ვწერდი, მამა-შვილო ჩხეიძეებო, „ხელის ჭუჭყთან" ერთად თქვენ „ხელის ბიჭები" და, ასე ჩანს, „ხელის გოგოებიც" გიშოვიათ-მეთქი. ამავე დროს, თავისი „ოტარიდის კრახით" როსტომ ჩხეიძემ თავად დაადასტურა, რომ „ლიტერატურულ საქართველოს" რედაქციაში იგი ერთმანეთს უთავსებდა „ნასედკობას" და „ხელის ბიჭობას". ყვარყვარიკოს ახლანდელი სიძულვილი გაზეთის რედაქტორისადმი სწორედ ამის დასტურია — „ხელის

ბიჭებმა" ზურგში იციან ყოფილი პატრონისათვის მახვილის გაყრა. ისიც ლოგიკურია, რომ თავად „ხელის ბიჭს" როსტომს თავისი „იმერლის ბიჭი" გაუჩენია ჭუმბურიძის სახით. „ხელის ბიჭის" „იმერლის ბიჭი" კი რაღა იქნება? როგორც საბა ბრძანებს, „მხევლის მხევალს" მატრაკვეცი ჰქვია — გაწნული სილის ხმიანობა. აი, ზეწოდებაც ჭუმბურიძისა, ამ თანამედროვე ნაცელიშვილისა, ვინც ილიას ხუთას თუმნიანი ქურქი წამოასხა თავის პასკვილში და ბრბოს საჯიჯგნად გაიმეტა.

მატრაკვეც-ჭუმბურიძეს კი ისევ აკაკის სიტყვებით მივმართავ:

„შენ რისთვისაც ხვანცარიკობ,
კი შეგატყვეთ, არ ვართ ბრმაო,
ვისგანაც ხარ მოგ ზავნილი,
ყურმოჭრილი მონა-ყმაო".

მოკლედ, ნუ გვაბრმავებს მატრაკვეცი — თვალში ნურც ნაცარს გვაყრის და ნურც თამბაქოს ბოლს გვაფუილებს. თამბაქო რა შუაშიაო, თუ იკითხავთ, შუაში კი არა — თავშია.

ახლა ორიოდ სიტყვა ოთარ ჩხეიძის ამონაკვნესზე: „შენც — ვილენ!" („საქართ.რესპ." N 71, 2000). ამ ბოლო ხანებში ვისაც არ უნდა სწერდეს იგი გულისამაჩუყებელ უსტარებს, ვითომ სასხვათაშორისოდ, მაგრამ ქოქოლას ძირითადად მე მაყრის. აქაც ჩივის: *„ლიტერატურული საქართველოს" თანამშრომლებმა მყისვე მომაყოლეს ულირსი ნათხზევი მწერალთა კავშირის ყოვლად ღირსეული წევრისა, შეზღუდული პასუხისმგებლობის პიროვნებისა (შპპ) — კვაჭანტირაძისა".* პასუხისმგებლობა, თუნდაც შეზღუდული, მაინც სჯობს შეუზღუდავ უპასუხისმგებლობას, სწორედ ამიტომ მამაშვილისაგან, ამ შეუზღუდავი უპასუხისმგებლობის ტანდემისაგან (შუტ) ანუ „შუტებისაგან" უკვე აღარანაირი წიხლი აღარა მწყინს — ცნობილი ქართული ანდაზის პრინციპით ვცხოვრობ.

ერთი დეტალიც ყვარყვარიკოს პორტრეტისათვის. როსტომ ჩხეიძე, თავისი ჭკუით, გვაშინებს:

„ცხელ გულზე პირობა მაქვს დადებული, რომ კალამს გვერდზე გადავდებ და გუთანს მოვკიდებ ხელს"...

ჰმ, გუთანს, თორემ შენც ხოდაბუნები არ გადააშავო... და ელის ყვარყვარიკო, რომ მთელი ქართული მწერლობა — თუმცა, რის მწერლობა — მთელი საქართველო შეიფეთებს: ნუ, როსტომ, ჩვენი უბედური მწერლობის ერთადერთო პატრონო, ნუ გვიზამ ამასო... ისე, კალამს თუ გააგდებს ბატონი ჩხეიძე, ვურჩევ, ცხელ გულზე სახურავზე ნუ შეაგდებს, თორემ, კახური ანეკდოტისა არ იყოს, კრამიტებს შეიძლება სულ რაკა-რუკი აუყენოს.

დასასრულ, საერთო შტრიხი ფარისეველი მამისა, ყვარყვარიკო ძისა და

მატრაკვეც-რედაქტორისა: თქვენ ვერც გამსახურდიას უერთგულეთ და ვერც ბაქრაძეს; თქვენ ვერც ღმერთს ემსახურეთ და ვერც მამონას; ვითომ აქეთაც ხართ და იქითაც, მაგრამ მუდამ „სათავისო" მხარეს დგახართ. სწორედ თქვენ-ნაირებზე ბრძანა უფალმა: *„არცა გრილი ხარ, არცა — ტფილი, არამედ ესრეთ ნელტფილი ხარ და მეგულვების აღმოგდება შენი პირისაგან ჩემისა".*

„ლიტერატურული საქართველო", 31.3.2000

ემფატიკური „ა"

წერილი მეოთხე

ამთავითვე მოგახსენებთ, ძვირფასო მკითხველო, ყოველგვარი მიეთ-მოეთის გარეშე: როსტომ ჩხეიძის ნათხზევთა კითხვა-დაგემოვნება ჩემთვის დიდი ვერაფერი სიამოვნებაა — მე არ მიეეკუთვნები იმ გურმანთა რიცხვს, საკუთარ გესლში მოხრაკულ მორიელს რომ სიამოვნებით აკნატუნებენ, როგორც დელიკატესს.

არადა, მიწევს ამ ნათხზევთა წაკითხვა...

სხვა თუ არაფერი, საჯაროდ განვაცხადე (იხ. წერილი „ჭუა", „ლიტერატურული საქართველო", 3.III.2000):

„ყვარყვარიზმის შემთხვევაში უნდა გადავუხვიო ჩემთვისაც სახელმძღვანელო პრინციპს —„არ ეკამათო რეგვენ კაცს" — და ვაღიარო: „ყვარყვარეთის" ბინადართ — ამ შემთხვევაში, მამა-შვილ ჩხეიძეებს — პასუხს არასდროს დავამადლი".

არც დამიმადლებია აქამდე, მაგრამ, ახლა, მთლად „ყვარყვარიკოლოგობასაც" ნუ მომთხოვთ: მამა-შვილ ჩხეიძეებს გრაფომანების უკურნებელი სენი — აზრის შეუკავებლობა — სჭირთ და, რამდენ სიგლახესაც როსტომის ლაგამმიშვებული კალამი გადმოანთხევს, ყველაფერს მე სად ვსდიო...

თუმცა პატარ-პატარა შეხმიანება ყვარყვარიკოს დიდ-დიდ სისულელეებზე მაინც მომიწევს.

* * *

დავიწყოთ იმით, რომ როსტომ ჩხეიძემ თავისი მამის ოთარ ჩხეიძის მწერლური ორეული, უფრო სწორად — სიამის ტყუპისცალი, აღმოაჩინა: ისიც ოთარი, ოღონდ — ჭილაძე.

მაგრამ სანამ ამას მიაკვლევდა, მანამ უმცროსმა ჩხეიძემ, კრიტიკოს-დეტექტივმა, გამოიძია და დაადგინა, რომ უფროს ჩხეიძეს თურმე სისტემატურად და შედეგიანად ქურდავდნენ; *რომ — „ოთარ ჩხეიძის ნოველა „ნისლა" არის შთამაგონებელი, ერთი მხრივ, რევაზ ინანიშვილისა და ოტია იოსელიანის ნოველებისა, მეორე მხრივ კი არჩილ სულაკაურის რომანისა „თეთრი ცხენი"... ნოველებში ფინალი მეორდება, რომანში — სიმბოლიკა"*; რომ — ჯერჯერობით პატრონი არ უჩანს დამწყებ ლიტერატურულ ჯიბგირს გივი გოგიჩაიშვილს, პატრონი, რომელიც მას ყურს აუნევს: *„ოთარ ჩხეიძის ეტიუდი „დედა" გადაგილია და შენად ასაღებო"... რომ* — გურამ დოჩანაშვილზეც იგივე ითქმის, რაც რეზო ჭეიშვილზე, რომელიც *„ამავე მწერლის (ანუ — ოთარ ჩხეიძის, თ.კ.) სტილური მანერითაა დავალებული"* (იხ. როსტომ ჩხეიძე, „მანამდისინ თუ თმას გადივარცხნი", „ჩვენი მწერლობა" N4).

მოკლედ, ვისაც არ ეზარება, ყველანი — „რამკიანი" ქურდები თუ „რამკის მაძიებელი" ბაცაცები — რაღაცას ეზიდებიან ოთარ ჩხეიძის ლიტერატურული სეიფიდან: ზოგი — ფაბულას, ზოგი — სიუჟეტს, ზოგი — დასაწყისს, ზოგი — ფინალს, ზოგიც — სიმბოლიკას და ათას ამგვარ წვრილმანს; ესაა ოღონდ — ყველაზე „მსხვილმანს", ყველაზე ფასეულს, ყველაზე მთავარს, ოთარ ჩხეიძის პოეტური სულის ყველაზე არსებით გამოვლინებას — ემფატიკურ „ა"-ს ვერავინ შეეხებედა და ქურდული ხელი ვერ შეახო: ხომ დიდად თითებგანაფული ოსტატები იყვნენ და არიან რევაზ ინანიშვილი, არჩილ სულაკაური, ოტია იოსელიანი, რეზო ჭეიშვილი, გურამ დოჩანაშვილი; ხომ ძალზე პერსპექტიული მაძიებელი ჩანს „რამკისა" გივი გოგიჩაიშვილი, რომელსაც არა მარტო მოუპარავს ოთარ ჩხეიძის ეტიუდი, არამედ სარფიანადაც გაუსაღებია, მაგრამ მათგან ვერც ერთმა ემფატიკურ „ა"-ს, ოთარ ჩხეიძის ამ საჯილდაო ქვას, ძვრაც ვერ უყო, არამცთუ — მოიპარა: კრუხივით გახლდათ ბატონი ოთარი გადაფოფრებული თავის ემფატიკურ „ა"-ზე, თავის ერთაზე.

და, ჰოი, საოცრებავ: გამოჩნდა ოთარ ჭილაძე, ქართველი იგორ კიო, რომელმაც ეს ლეგენდარული „ა" ისე გააქრო და ააორთქლა, გინდა კაცისთვის იღლიიდან ბალანი ამოგეცალოს... სხვა ყველაფერი ხელუხლებლად დაიტოვა ოთარ ჩხეიძის ნაწერებიდან, ეს ემფატიკური „ა" კი გააუჩინარა და თავი თამამად გამოაცხადა ავტორად — ოთარ ჭილაძედ.

მაინც, რა ყოფილა ეს ემფატიკური „ა"! დაურთავ ფრაზას — ოთარ ჩხეიძე ხარ, მოაცილებ და — ისე იქცევი ოთარ ჭილაძედ, კაციშვილი ვერ მიხვდება, სინამდვილეში ოთარ ჩხეიძე რომ ხარ.

მაგრამ, ვერ მოგართვით!

მაინც რა არის პროფესიონალი კრიტიკოს-დეტექტივის თვალი! როსტომ ჩხეიძემ უმალ ამოიცნო ნაქურდალი და დაექადნა კიდეც ოთარ ჭილაძეს:

მამაჩემის ემფატიკურ „ა"-ს, ყველას უკლებლივ, თავ-თავის ადგილებზე რომ დაგაბრუნებინებ, ემაშინ გამოჩნდება, ოთარ ჭილაძე კი არა, ოთარ ჩხეიძე რომ ხარო.

არ გეხუმრები, მკითხველო, ყვარყვარიკო ჩხეიძე შავით თეთრზე წერს, ოთარ ჭილაძე თავს იმდენად ვერ აღწევს მამაჩემის, ოთარ ჩხეიძის, გავლენას, რომ —

„მის ფრაზებს ემფატიკური „ა" რომ მივუმატოთ, ეელარც გამოარჩევთ ოთარ ჩხეიძის სტილისაგან" (იქვე)...

და რამდენადაც ძველი ჭეშმარიტება — „მწერალი არის სტილი" — ჯერ სადავოდ არავის გაუხდია, ამდენად, როსტომ ჩხეიძის მიხედვით, ორი ოთარის განმასხვავებელიც ეს მრავალტანჯული „ა" ყოფილა, ანუ ჩხეიძე მინუს ჭილაძე ემფატიკურ „ა"-ს „ნადრებალა":

„ამის დამტკიცება სახელდახელოდაც არ გაძნელდება, თუკი ცალკეულ პასაჟებს შევუპირისპირებთ ამ მწერალთა რომანებიდან..." ოღონდ ამ საქმესო, იმუქრება ლიტერატორ-გამომძიებელი, *„გადავდებ იმ დროისათვის, როცა არგუმენტებითა და ერცელი საილუსტრაციო მასალით დავადასტურებ ამ მოსაზრების სისწორეს"* (იქვე).

ამრიგად, როსტომ ჩხეიძე გვპირდება, ჭილაძის ფრაზებს ემფატიკურ „ა"-ს დავუმატებ და ხელთ მეორე ჩხეიძე შემრჩება, სახელის შეცვლაც არ დამჭირდებაო; მოკლედ, ოთარ ჭილაძის ლიკვიდაციის ხარჯზე მეორე ოთარ ჩხეიძის კლონირებას გვიპირებს.

ნუ გვიზამ ამას, როსტომ-ბატონო!

ნუ გვიზამ, მამავ და მარჩენალო!

ჯერ ერთი რა არის და ორი ოთარ ჩხეიძე ნამეტანი იქნება ამ ჩვენი — როგორც შენ ბრძანებ — გაუბედურებული მწერლობისათვის, რომლის ერთადერთ პატრონად — ისევ შენ დაგესესხები — შენლა დაგვრჩენიხარ...

შენ იქნებ ის გაგვიშანსო, რომ მამაშენის ფრაზებს ჩამოაცილო ეს საკრალური ემფატიკური „ა" და ქართულ ლიტერატურას მეორე ოთარ ჭილაძე მოუვლინო.

ეჰ, მეტი არ იყოს ჩემი მტერი, ემფატიკური „ა"-ს ჩამოცილებამ ოთარ ჩხეიძე ოთარ ჭილაძედ ვერ აქციოს.

ისე, მკითხველს შევახსენებ, რომ ეს მრავალტანჯული ემფატიკური „ა" სხვა არა არის, თუ არ — ბრუნვის ნიშნის მოკრძალებული სავრცობი „ა", რომლის დართვა-დაურთველობა სიტყვის მნიშვნელობას არ ცვლის; მაგალითად, „გიჟი ნებას მიუშვი და თვითონ გადაეყრება ვნებას" — ემფატიკური „ა"-ს გარეშეა, „გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება ვნებასა" კი — ემფატიკური „ა"-თი, მაგრამ, დამთხვეული კაცი რომ ფათერაკს გადაეყრება, ეს შინაარსი ორივეგან უცვლელი რჩება.

ახლა, გამომძიებელო როსტომ, რახან ასე გულდაგულ ეძებ ლიტერატურულ ქურდებს, ერთ ასეთ ბაცაცას აქვე გაპოვნინებ:

კრიტიკოსმა თამაზ ნივნივაძემ ამ ოციოდე წლის წინათ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოაქვეყნა წერილი, სადაც მწერალ ვლადიმერ თორდუას ერთ მინიატიურას სიტყვათა „ირონიული ჩანაცვლების" ხერხით განიხილავდა; აი, ეს მინიატიურაც:

ბუნებამ არ იცის ძალა, რომელსაც გაზაფხულის შეჩერება შეეძლოს.

კრიტიკოსს უკვირს, რა მოეწონა მავანს ამ ყოვლად ბანალურ აზრშიო და აგრძელებს:

„ახლა სახელდახელოდ შეეადგენ ამდაგვარ მინიატიურებს, რომლებიც ძალიან ემგვანება და არაფრით ჩამოუვარდებიან თორდუასეულ აფორიზმებს არც „კონსტრუქციით" და არც გადმოცემული შინაარსით!

აი, ჩემი მინიატიურები:

ბუნებამ არ იცის ძალა, რომელსაც ზამთრის შეჩერება შეეძლოს!
ბუნებამ არ იცის ძალა, რომელსაც შემოდგომის შეჩერება შეეძლოს!"

და კრიტიკოსი ასკვნის:

„ძვირფასო მკითხველო! მე ისე ვერ გავკადნიერდები, მსგავსი „მინიატიურების" შედგენა „საშინაო დავალებად" შემოგთავაზოთ, თორემ ძნელი კი არაა, როცა მოიცლით, ზემოთ მოტანილ თორდუასეულ და ჩემეულ მინიატიურებში შეცვალეთ სიტყვები: „გაზაფხული", „ზამთარი", „შემოდგომა"; მათ ნაცვლად ჩაწერეთ: „გრიგალი", „ზვავი", „სეტყვა", „ტაიფუნი" და ა.შ. ამ მარტივი მანიპულაციის შემდეგ თქვენ ერთბაშად გახდებით მშვენიერი მინიატიურების ავტორი".

ახლა ამ ნაწყვეტს შევუდაროთ ახლახან გამოქვეყნებული ბატონი N-ის წერილი (სანამ მისი ქურდობა არ დაგვიმტკიცებია, ბატონო როსტომ-გამომძიებელო, უდანაშაულობის პრეზუმპციიდან გამომდინარე, N-ის გვარის „გაშიფვრას" მოვერიდები), სადაც N-ი ცნობილი პოეტის სტრიქონებს — „აის ღრუბლები მიყვარან, თარიგონზე რო დიანო", ხალხურ პირველწყაროს „აღმოუჩენს" — „აის ღრუბლები მიყვარან, ბერულაზე რო დიანო" და, ამით აღტაცებული, ირონიულად აგრძელებს, გავხდები თუ არა მეც მშვენიერი პოეტური სტრიქონების ავტორი, უცნობი პოეტის „ბერულას" და ცნობილი პოეტის „თარიგონს" თუ ჩავუნაცვლებ ჩემს „იალბუზს"?

„არადა, რა კარგად ჟღერს:
— აის ღრუბლები მიყვარან, იალბუზზე რო დიანო.
სხვაც შემიძლია:
— აის ღრუბლები მიყვარან, მყინვარწვერზე რო დიანო.

კიდევ სხვაც:
— აის ღრუბლები მიყვარან, ბახმაროზე რო დიანო".

დიდი დაკვირვება არც სჭირდება იმის შემჩნევას, თუ როგორ აუწაპნია N-ს კრიტიკოსის „სიტყვათჩანაცვლების" ეს ირონიული ხერხი.

და მაინც, ვინ ბრძანდება, ბატონო როსტომ, ეს ქურდბაცაცა N-ი, ასე უცერემონიოდ რომ აფათურებს ხელს სხვის წერილში?

ვინა და — თქვენ ბრძანდებით, როსტომ ჩხეიძევ, ლიტერატურული ქურდების მადევარო ლიტერატურულო პოლიციელო... უფრო ზუსტად — მოლიტერატორო „შპიკო". სწორედ თქვენ უთავსებთ ერთმანეთს ქურდობის ზედამხედველობასა და ქურდობას.

გიკვირს, მკითხველო? თუმცა დღეს ვიღას უნდა გაუკვირდეს, ქურდების მადევარი პოლიციელი თუ ობერ-ჯიბგირი აღმოჩნდება?!

სხვათა შორის, როსტომისგან „დაზარალებულმა" თამაზ წიენწივაძემ იმ თავისი „სიტყვათჩანაცვლებით" უფრო ეფექტური „დარტყმა" მოამზადა იმავე წერილში: თავის ოპონენტის მაღალფარდოვან ფრაზას — მწერალ თორდუას სიტყვა ხშირად მინისძვრის დასაწყისს გვამცნობსო — სქოლიოში ასეთი შენიშვნა მიაყოლა:

„სიტყვა „მინისძვრამ" მაცდუნა. ნება დამრთეთ, ერთი თორდუასეული მინიატიურა სქოლიოში შევქმნა: ბუნებამ არ იცის ძალა, მინისძვრის შეჩერება რომ შეეძლოს".

მთელი მარილი, ირონიის მთელი მუღამი სწორედ ამ „დარტყმაშია" — თორდუასეული „შედევრები" უკვე სქოლიოში იქმნება.

ასეთ „დარტყმას" თქვენ, ბატონო როსტომ ჩხეიძეე, ვერასოდეს მოიფიქრებთ.

თქვენ, შეიძლება, ფორმა, ხერხი, ყალიბი მოიპაროთ.

ნიჭს ვერ მოიპარავთ...

და, თქვენდა სამწუხაროდ, ვერც იყიდით.

„ლიტერატურული საქართველო", 1.9.2000

საქმით იცანით

წერილი მეხუთე

ორი ძველი ტელეგამოსვლა ახალი თავ-გოლოთქმით

თავთქმა

თავს არც გაცოდებ და არც გაწონებ, მკითხველო, მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავ: „ყვარყვარეთის" მკვიდრთა ანუ სხვადასხვა ჯურისა და მასშტაბის ყვარყვარეების „ყურადღება" არასოდეს მომკლებია. რაღა არ დაუბრალებიათ ამ ვაჟბატონებს ჩემთვის: კალამგამხიარულებულმა ფარისეველებმა მამა-შვილმა ჩხეიძეებმა ბაზალეთის აკვნის თურქეთში „კონტრაბანდად" გატანა დამწამეს (არადა, „ომეგას" სიგარეტი» შებოლილ ჩხეიძეთა კლანი მწერლობაში ცრუობს, თორემ კონტრაბანდის საქმეში მას სიზმარიც დაეჯერება); „საქართველო უპირველეს ყოვლისა"-ს ანუ სუყ-ის ცნობილმა აქტივისტმა, წმინდა სისხლის ქართველმა გურიანთელმა შარაძემ — კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნულობის რეკვიზიტში „ქართველი" შენ ამოუშალე და შიგ „სომეხი" ჩაუნერეო — „მამხილა", თანაც მრავალგზის, პრესით.

მე მიკამათია ნიჭიერ, თუმცაღა უზნეო ხალხთან; უნიჭო, მაგრამ ნესიერი კაცისთვისაც მიპასუხია; ნიჭიერ ღირსეულ ხალხთან, ჩვეულებრივ, სადაც ნაკლებად მაქვს; აი, უნიჭო გარეწრებთან პოლემიკას კი ვერიდები. სამწუხაროდ, ამ პრინციპს, გარემოებათა გამო, ყოველთვის ვერ ვიცავ. სუყ-ის აქტივისტებს მე, ჩვეულებრივ, არ ვეკამათები: ცილისმწამებლებს კარგა ხანია მივუხვდი ვირეშმაკობას — ჭორის საჯარო გაბათილება, ეაგლახ რომ, ამავე ჭორის გავრცელებას უწყობს ხელს და მათაც ხომ სნორედ ეს უნდათ. მე შენ გეტყვი, კანონის წინაშე შიში და კრძალვა შეაჩერებთ! საგულისხმოა: პრესის შესახებ კანონის მიღებას მარტო „შეყვითლებული" პრესა როდი ეწინააღმდეგება — არც მოპოლიტიკოსო ცილისმწამებლებს აძლევთ ხელს საკანონმდებლო დაარტახება პრესით ჭორიკანობისა. რა ვუმტკიცო ახლა მე შარაძეს, სუყ-ის ჭორიკანა აქტივისტს — მწერალი გამსახურდია ქართველი არის-მეთქი ანუ — ორჯერ ორი რომ ოთხია? თუ — მე არ დამიბრალებია კონსტანტინე-ბატონისათვის სომხობა-მეთქი, თითქოს ვისამე „სომხობა" დასაბრალებელი რამ ცოდვა იყოს?! იქნებ, არც ახლა ღირდეს კალმის გასვრად ყვარყვარეთა ჭორების გაბათილება, მაგრამ, დახეთ ნაბეჭდი სიტყვის ძალას — უფრო ამ ძალის ძველ ინერციას, თორემ ახლა ისე გაგვიიაფეს სენსაციები, რომ დაწერონ, ქართველმა პალეონტოლოგებმა, „დმანისის ადამიანის" აღმომჩენებმა, ამჯერად „გურიანთელი ადამიანი" აღმოაჩინეს, რომელსაც ტვინი მენჯის ძვალში ჰქონიაო — „აპა, მაი აფერია", არც გავიკვირ-

ვებთ... დახე-მეთქი, მკითხველო, ნაბეჭდის ძალას — ღირსეული ხალხიც ცდუნდა და დაიჯერა ეს ჭორი. ერთ-ერთმა მათგანმა „საქართველოს რესპუბლიკაში" დაბეჭდა კიდეც — ჩვენ ჯანსუღ ჩარკვიანისა და თამაზ კვაჭანტირაძისთვის პასუხი მაშინ უნდა მოგვეთხოვა, კონსტანტინე გამსახურდია სომხად რომ გამოაცხადესო... აი, რა ეფექტით უმუშავია „აქტივისტთა" ცილისწამებას! ჯანსუღმა ამას მაშინვე ღირსეულად უპასუხა, ახლა, ეტყობა, მეც მომინევს სუყ-ის ჭორიკანა აქტივისტისაგან მოტყუებულ წესიერ ხალხს აგიხსნათ საქმის ჭეშმარიტი ვითარება, თანაც — დოკუმენტურად.

საქმე კი ასე იყო: 1992 წელს, გაგანია შინააშლილობისა და აფხაზეთის ჩვენგან ნაგვრის ჟამს, გროზნოში გაიმართა მთიელ ხალხთა კონფედერაციის თავყრილობა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა დამხობილი და გროზნოს შეკედლებული საქართველოს ხელისუფლება. ტელევიზიამ ოპერატიულად გვიჩვენა ამის ამსახველი დოკუმენტური მასალა. ალბათ, გახსოვთ, მთიელებზე მეტი დაჟინებით ნახელისუფლარი ქართველები გვიმტკიცებდნენ გროზნოდან: ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში მართალი არძინბაა, იქ მებრძოლი ქართველები კი აგრესორები არიანო; მეტიც ითქვა — „ხუნტის" მომხრე თბილისი გაეროში ერთიანი საქართველოს სახით არც უნდა მიეღოთ, იქ „ხუნტის" მოწინააღმდეგე კახეთი, იმერეთი, სამეგრელო დამოუკიდებელ სახელმწიფოებად უნდა გაენევრიანებინათო. სწორედ ამ „მარგალიტების" ტელეკომენტირება გვთხოვეს რამდენიმე კაცს. მე ორჯერ მომიწია მაშინ გამოსვლა. ჩემს არქივში (იმედია, ტელევიზიის არქივშიც) შემონახულია ჩემი ტელეკომენტარის ფირი; ეს მასალა აქამდე არსად დამიბეჭდავს, ახლა პირველად გთავაზობთ ამ ორივე გამოსვლის შემოკლებულ ტექსტს* და პირუთვნელი მკითხველი თავად დარწმუნდება, თუ როგორ ურცხვად მოუწერიათ ჩემთვის სუყ-ისა თუ სუკ-ის გამოცდილ აქტივისტებს თავიანთივე შეთხზული ჭორი გამსახურდიათა გვარის არაქართული წარმომავლობის შესახებ.

აი, პირველი ტელეგამოსვლის ტექსტი, რომელიც, უპრიანია, ასე დავასათაუროთ:

ტვინდაცვეთილნი

...რა კომენტარი შემიძლია გავუკეთო იმას, რაც ტელეეკრანზე ვიხილეთ? მოგეხსენებათ, იუდეველთა მსგავსად, მაჰმადიანებსაც აქვთ წინადაცვეთის წესი — ერთი ორგანოდან მცირე ნაწილის წაცლა. დარწმუნებით ვერ ვიტყვი, გროზნოში გადახვეწილმა ჩვენმა ძველმა მთავრობამ წინადაიცვითა-მეთქი, მაგრამ „ყოფილებმა" ტვინი რომ დაიცვითეს, ამას წყალი არ გაუვა. ტვინდაცვეთილის გარდა ვისი თავიდან შეიძლება დაიბადოს ის აზრი, ახლა ტელეეკრანიდან

* სრული ტექსტი იბეჭდება ამავე წიგნის 378–383 გვერდებზე (რედაქტორის შენიშვნა).

რომ მოვისმინეთ: რახან თბილისი მხარს უჭერს ახალ ხელისუფლებას, რახან თბილისის „ხუნტა" გაეროს, თურმე ნუ იტყვით, მთლიანი საქართველოს მთავრობად უცვნია და საქართველო გაეროში მიულია, ამიტომაც კახეთმა, იმერეთმა, სამეგრელომ... და ა.შ. — თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, უფრო სწორად — სამეფოებად უნდა გამოაცხადონ და გაეროშიც დამოუკიდებლად უნდა გაწევრიანდნენო... აფერუმ, ქართული ეროვნული ხელისუფლების ეროვნულო წარმომადგენლებო, აფერუმ, მზია-ხანუმ ჯეჯელავა-საფაროვა-შერვაშიძევ, აფერუმ, გიორგი მარჯანიშვილო, გამსახურდიას რუპორო, უფრო სწორად — ქეევრო ცარიელო... და ათგ ზის აფერუმ, „პირველო ეროვნულო პრეზიდენტო"... დაინანილეთ, არა, „ქართლ-კახეთად, იმერეთად, გურიად და სამეგრელოდ" ის, რაც დუტუ მეგრელისა და ყველა ნორმალური ქართველისათვის ერთიანი, განუყოფელი სამშობლოა — „საყვარელი საქართველო"?! მაინც, ვინ რა ნანილი ირგუნეთ, რა ტერიტორია ჩამოიჭერით სათაისოდ, ტახტები სად დაიდგით, ყვარყვარე თათქარიძეებო? პრეზიდენტყოფილი საქართველოს რომელი ნაჭრის მეფედ უნდა ვაკურთხოთ, ეს მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა, თუმცა, მისი ხასიათი რომ ვიცი, დადიანობას ის მაინც იცოტავებს და მზერას, ალბათ, ქართლს მიაპყრობს, ქართლის მეფის გვირგვინს მოიზმანებს, მით უფრო, რომ, თუ თვითონ ბატონ კონსტანტინეს მოგონებებს ვერწმუნებით, გადმოცემით, გამსახურდიათა გვარი, თურმე, ქართლელ გამსახურდაშვილებს უკავშირდება. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით კი მიუთითებენ გამსახურდაშვილების შორეულ წინაპარს — მძორეთელ გამსახურდ ტერტერაშვილს... ტყუილად როდი აყვირებდნენ ხალხს — ბაგრატიონთა სისხლი გადაილალა და უნდა განვაახლოთო — ეტყობა, გამსახურდ ტერტერაშვილის ჩამონავალთა სისხლით უპირებენ განახლებას...

მე შენდობას ვითხოვ დიდი კონსტანტინე-ბატონის სულის წინაშე, ვინც, მართლაც რომ, სამგ ზის გადატრიალდებოდა ჯავრით საფლავში გრო ზნოს ამბების გამგონე.

ერთ უნარს კი ვერ დავუკარგავ ვერც პრეზიდენტყოფილსა და ვერც მის „ჰამქარს": რამდენჯერ მიფიქრია, მეტი რაღა უნდა თქვან ან რაღა უნდა ქნან, მეტით კიდევ რითღა უნდა გაგვაოგნონ-მეთქი... მაგრამ — არა; ყველაფერს აქვს საზღვარი — უნამუსობას არა ჰქონია სამანი. დღეს რომ კაცი, ნახელისუფლარი კაცი, საჯაროდ განაცხადებს — ის ჩეჩნები და ადიღეელები, ვინც აფხაზეთში ქართველთა სისხლსა ღვრის, იქ მებრძოლ ქართველებზე უფრო ზნეობრივი და სამართლიანი ხალხია, არძინბა კი მართალია ქართულ-აფხაზურ კონფლიქტშიო, ის კაცი ხატ ზეა გადასაცემი. ვიმეორებ, ამას რომ დღეს, გაგრის სტადიონზე ქართველთა მოჭრილი თავებით ბურთაობის შემდეგ, იტყვი კაცი, ის, ილიასი არ იყოს, აღარ ვიცით, რა სულიერებში უნდა ჩავრიცხოთ...

ეს კი მომდევნო ტელეგადაცემის ტექსტი გახლავთ:

გვარს კაცი ამშვენებს

საღამო მშვიდობისა, ბატონებო!

პირველ ყოვლისა, მადლობელი ვარ იმ ტელემაყურებლებისა, რომელთაც მიიჩნიეს, რომ ჩემი ამასწინდელი ტელეგამოსვლა მათივე ემოციების — და, საკმაოდ მძაფრი ემოციების — გამოძახილი და გამომხატველი იყო. სრულიად განსაკუთრებული ფასი ჰქონდა ჩემთვის კონსტანტინე გამსახურდიას ქალიშვილის, ქალბატონ ნათელა გამსახურდიასა და მისი ოჯახის წევრების სამადლობელო სიტყვებს — მათზე უკეთ ვინ გამიგებდა, პრეზიდენტყოფილის მიმართ ჩემს ასეთ უარყოფით ემოციებს, სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად, დიდი მწერლისადმი ჩემი კიდევ უფრო დიდი მონინება რომ კვებავს.

ქართლის ტახტის მაძიებელთა შორის გამსახურდიას გვარისა და მისი სათავის სავარაუდო დამდების ირონიულმა მოხსენიებამ, ვშიშობ, ერთგვარი გაუგებრობის ბურუსი წარმოშვა, რის გაფანტვასაც ახლა შეეეცდები.

დავიწყებ იმით, რომ —

ა) ბაგრატიონთა დინასტიის შეცვლაზე ანუ მათი „დაღლილი სისხლის განახლებაზე" ფიქრიც კი მკრეხელობაა; ხოლო ვისგან მოდიოდა ეს „იდეა", რა წრეში გაიგონებდით ამაზე საუბარს, ვინ ამზადებდა საამისოდ ნიადაგს, ვინ ანყობდა საპატრიარქოსთან ამის თაობაზე „აქციებს", ეს არავისთვის არ უნდა იყოს საიდუმლო...

მაგრამ, თუ მონარქია საქართველოში ხალხის ნებით ოდესმე აღდგება, იგი, ცხადია, თითქმის ცამეტსაუკუნოვანი მეფობის ტრადიციისა და ყველაზე დიდი ისტორიული დამსახურების მქონე ბაგრატიონთა გვარით უნდა აღდგეს და, რომელი გვარიც უნდა იყოს ამაში მისი შემცილე — დადიანი იქნება, ორბელიანი, გამსახურდია, ტერტერაშვილი, ღორინველაშვილი თუ კვაჭანტირაძე — ყველა დაიმსახურებს ირონიულ დამოკიდებულებას.

ბ) რაც შეეხება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ ვარაუდს გამსახურდიათა გვარის კავშირზე ქართლელ გამსახურდაშვილებთან, რომელთა ერთი შტოს ნინაპარი ძოვრეთელი გამსახურდ ტერტერაშვილი ყოფილა, ამას ვერავინ ჩათვლის გვარის შეურაცხყოფად: არც ამ თემაზე მომუშავე მეცნიერს, კონსტანტინე გამსახურდიას შესახებ მონოგრაფიის ავტორს, და არც თვით ბატონ კონსტანტინეს, რომელიც ამ ვერსიის ერთ ნაწილს თავის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში ადასტურებს, რალა თქმა უნდა, გამსახურდიათა გვარის შეურაცხყოფა აზრადაც არ მოსვლიათ. სიტყვამ მოიტანა და, „ლანდებთან ლაციცში" ავტორი იმასაც აღნიშნავს, გამსახურდიათა გვარი დაწყეელილი იყო აბაშელი ეპისკოპოსისაგან ამ გვარის ერთი წარმომადგენლის*

---

* იგულისხმება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი სოსო სიგუა -- იხ. ს.სიგუა, კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, თბ., 1980, გვ. 77 (რედაქტორის შენიშვნა) .

ულირსი საქციელის გამოო. მერედა — რა? მწერალი არ მორიდებია ამის აღნიშვნას, ვინაიდან იცოდა — შვილები პასუხს ვერ აგებენ მამათა საქციელზე...

სხვათა შორის — არც მამებს, მით უფრო — გარდასულ დიდ მამებს, უნდა ვაგებინოთ პასუხი სრულწლოვან შვილთა ცოდვებზე.

გ) კაცმა რომ თქვას, არც ტერტერაშვილი — ეს ლონიერი ქართული გვარი, ვიმეორებ, ქართული-მეთქი — გახლავთ ვინმესგან ტუჩის ასაბზუებელი. „ტერტერა" რომ სომეხთა მღვდელს ჰქვია, ეს ისევე არაფერს გვეუბნება ამ გვარის მატარებელთა არაქართულ წარმომავლობაზე, როგორც თარხნიშვილების ქართველობას ეჭვის ქვეშ ვერ დააყენებს ის ფაქტი, რომ „თარხანი" არაბულად განთავისუფლებულ ყმას ნიშნავს.

დ) საერთოდაც, გვარში მოქცეული შინაარსი კაცის ღირსებათა განსასაზღვრად ნაკლებად გამოდგება: ზოგ სამჭკუაშვილს ერთი კაცის ჭკუაც არა ჰქონია, ქათამაძე ზოგჯერ მამალაძეზე „მამალი" გამომდგარა და თიკანაძეს კი ზოგი მგელაძე დაუფრენია.

*ე) რაც შეეხება გვარის ულერადობას: ულერით, მე თუ მკითხავთ, **თქარ-თქარი** უფრო ულერადია, ვიდრე — **ჭავ-ჭავი**, მაგრამ, ვიკითხავ, თქარ-თქარიდან მიღებული **თათქარიძე** უფრო ულერს, თუ — ჭავ-ჭავიდან მიღებული **ჭაეჭავაძე**? ასეა, კაცი უფრო ამშვენებს გვარს, ვინემ — გვარი კაცს.*

ვ) დაბოლოს, გამსახურდიებს, კაცმა რომ თქვას, რა აქვთ გულდასაწყვეტი, მათ ხომ უკვე ჰყავდათ მეფე. მისი მეუფება არ ყოფილა ხორციელი — მას არც ბედაურების, არც კარეტების და არც მერსედესების კორტეჟი არ დააცილებდა, იგი არც შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ყოფილა... მაგრამ იგი იყო მეფე პროზისა და ღირსეულად სარდლობდა სიტყვათა ლეგიონებს.

და სახელი ამ მეფისა — კონსტანტინე გამსახურდია: გამართლება არა მარტო ყველა გამსახურდიასი, არამედ — ყველა ქართველისაც.

ბოლოთქმა

სულ ამაოდ იფშვნეტენ ახლა ხელებს სუყ-ის აქტივისტი შარაძე და ძმანი მისნი — მაინც ხომ გამართლებინეთ თავი, მაინც ხომ მიგაცემინეთ ერთხელ კიდევ ბიძგი ჭორის ტალღის ასაგორებლადო.

მე უფრო სხვა მიზეზის გამო ჩაგეთრევინეთ ამ პოლემიკაში, ყვარყვარეებო: ქვეყანა თავს გვემხობოდა, საქართველოს დაქუცმაცების გეგმა საჯაროდ და ურცხვად ცხადდებოდა და ასეთ დროს ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი ამ ღია ღალატმა კი არ აღაშფოთა, იგი ააღელვა გამსახურდიათა წინაპრად ქართლელი გამსახურდაშვილების გვარის ერთ-ერთი სავარაუდო მესაფუძვლის გამსახურდ ტერტერაშვილის მოხსენიებამ. ესაა სწორედ სა-

ვალალო და თავში საცემი, ამ განწყობილებაში ძევს, ჩემი აზრით, აფხაზეთში ჩვენი მარცხის საფუძველი! ქართველი საზოგადოების ამ განწყობილებაზე იმუშავეს ჩვენში მოქმედი „მეხუთე კოლონის" აქტივისტებმა, რომელთაც ფაქტები — რუსთაველის პერიფრაზით — „ჰპოვეს და ჭორად გარდათქვეს, საქმე ჰქმნეს საჭოჭმანები". ფაქტები კი ასეთი გახლდათ: „ლანდებთან ლაციცში" კონსტანტინე გამსახურდია ადასტურებდა გვარში შემორჩენილ თქმულებას გამსახურდიათა ქართლიდან წარმომავლობის შესახებ; ბატონმა სოსო სიგუამ ისტორიულ დოკუმენტებში მიაკვლია ქართლელი გამსახურდაშვილების გვარის შესაძლო (ვიმეორებ — შესაძლო!) მესაფუძვლეს, მძოვრეთელ გამსახურდ ტერტერაშვილს (იხ. ს.სიგუა, კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, თბ., 1980, გვ. 77); მე ეს შესაძლო ვარაუდი მხოლოდ გავიმეორე — ეს იყო და ეს! უვიცობაზე დამყნობილმა ბოროტებამ კი სუყ-ისა თუ სუკ-ის აქტივისტთა სახით უმალ გაავრცელა დეზინფორმაცია, თითქოს „ტერტერაშვილი" სომხური გვარი იყოს და, აქედან გამომდინარე, კონსტანტინე გამსახურდია მე სომხად გამომეცხადებინოს.

ისე, ამ ჭორის მთესველებსა და ნმინდასისხლიანობის ფაშისტურ თეორიასთან მოკეკლუცეებს, გამსახურდიას ამ არამკითხე „დამცველებს", თვითონ ამ დიდი მწერლის მოსაზრებას გავაცნობ ეროვნებაზე... და, ერთგვარი თავმონონებით იმასაც მოგახსენებთ, რომ ეს მასალა პირველი პუბლიკაციის სახით სწორედ მე დაებეჭდე ჩემი რედაქტორობით გამომავალ ჟურნალში (იხ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1982, N3, გვ. 143), რომელიც საგანგებოდ მივუძღვენი გამსახურდიას ცხოვრებასა და შემოქმედებას.

მაშ ასე, მოვუსმინოთ კონსტანტინე გამსახურდიას:

„ვინ არ იცის, რომ ეროვნება ნებაყოფლობის ამბავია, ისე ეგებ ჩვენ ყველანი ზოგი არაბები ვიყოთ, ზოგიც — ესკიმოსი".

ასე რომ, დაიმახსოვრეთ, მოფაშისტო ყვარყვარეებო, ეროვნება, უპირველეს ყოვლისა, პიროვნების ნებისა და თვითშეგნების გამოვლენა ყოფილა; დიახ, პიროვნების ნებაა, რომელ ერს, რომელ კულტურას მიაკუთვნებს იგი თავის თავს. სწორედ ეს ნება გახლავთ გადამწყვეტი და არა ის, თუ რას ჩაუწერს ახალდაბადებულს სუყ-ის მოხალისე პასპორტისტი შარაძე დაბადების მოწმობაში.

ისე, ეროვნების რეკვიზიტისა და ბევრ სხვა საკითხშიც „მეხუთე კოლონის" გარეწრებთან მოლაციცე ჩვენს ხელისუფლებას შევახსენებ — უზნეო ბავშვს გაუდის და იმიტომაც ტირის. საერთოდაც, პოლიტიკურ კახპებთან ვაჭრობა-გარიგებას ნურავინ შემოგვასაღებს პოლიტიკური დიალოგის ხელოვნებად. მოქალაქე მრეწველებისა თუ მრეწველი მოქალაქეების საყურადღებოდ მოგახსენებთ: ყვარყვარეებს უფრთხის, უთმობს და — ემანდ,

არავის შემოელახოსო — პირად დაცვას უნიშნავს მხოლოდ გაყვარყვარებული ხელისუფლება, თორემ ღირსეულმა პოლიტიკურმა ძალამ უნდა ინატროს სუყ-ის აქტივისტი შარაძე თავის მლანძღავ-მაგინებლად! იგი და ძმანი მისნი ხომ საზოგადოებრივი ლაკმუსის როლს თამაშობენ: თუ გულწრფელად გლანძღავენ, სნორ გზას სდგომიხარ... და — პირიქით! გულწრფელად-მეთქი, ხაზს ვუსვამ, თორემ ვირეშმაკა ყვარყვარეები, კვალის ასარევად, ათასში ერთხელ, საქებარსაც აქებენ და სალანძღავსაც ლანძღავენ.

ნაყოფითაგან იცანითო, სახარებაში წერია.

ხეზეა თქმული, თუმცაღა, პირველ ყოვლისა, კაცნი და მათი საქმენი იგულისხმება: ვინ ვის ებრძვის, ვინ ვის უდგას მხარში... ამიტომ — საქმითაც იცანით!

„საქართველოს რესპუბლიკა" 28 მაისი, 2001 წ.

რეპლიკის რეპლიკა

ყოველგვარი ირონიის გარეშე, პირველ ყოვლისა, გულწრფელ მადლობას ვნირავ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას, რომ ჩემი „ყვარყვარეთული" ციკლის ვრცელი სტატია „საქმით იცანით" ასე გაუჯანჯლებლად დაბეჭდა...

და, რომ იტყვიან, მონმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა უკვე მეორე დღესვე, 8 ივნისს, ჩემს სტატიას მოდევნებული სარედაქციო რეპლიკა-მობოდიშება სათაურით — „რაც უცხოა ჩვენთვის", სადაც ნერია: *„ნერილი „საქმით იცანით" გამოხატავს მხოლოდ და მხოლოდ ავტორის პოზიციას* და *არავითარ შემთხვევაში — რედაქციისას"* (ხაზგასმა ყველგან ჩემია — თ.კ.).

კი მაგრამ, რა მოხდა, ერთ დღეში განა რა ისეთი კეთრი შეპყრია ავტორის პოზიციას, რომ ასე მკვეთრად გავმიჯნივართ მას და პილატესავით ხელიც დაგვიბანია? ვინც სტატია ნაიკითხა, მას, ალბათ, ემახსოვრება, რომ ჩემი პოზიცია ძირითადად ხუთ თეზისს მოიცავდა: **პირველი** — დასაძრახია და ბოლო უნდა მოეღოს პრესით ჭორიკანობას; **მეორე** — ასეთი ჭორიკანობა-ცილისწამების შედეგია პრესით გავრცელებული ჭორი კონსტანტინე გამსახურდიას არაქართული წარმომავლობის შესახებ; **მესამე** — მოღალატური და შლეგური იყო 1992 წელს, მთიელ ხალხთა კონფედერანტების თავყრილობისას, დამხობილი ხელისუფლების წარმომადგენელთა საჯარო მოწოდება გაერო-ში ერთიანი საქართველოს ნაცვლად მისი კუთხეების დამოუკიდებლად გაწევრიანებაზე; **მეოთხე** — „ეროვნება ნებაყოფლობის ამ-

ბავია" — კონსტანტინე გამსახურდიას ამ მტკიცებაზე დაყრდნობით ჩემს წერილში მეც ვიზიარებდი თვალსაზრისს, რომ პიროვნების ეროვნულობის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმას, თუ რომელ ერს, რომელ კულტურას მიაკუთვნეს კაცი თავის თავს; **მეხუთე** — ხელისუფლება, რომელიც ელაციცება „მეხუთე კოლონის" ყვარყვარეებს, ამით თავადაც ადგება გაყვარყვარების გზას.

მიჭირს დაჯერება, რომ „საქართველოს რესპუბლიკა" ამ ხუთ თეზისს ანუ ჩემს პოზიციას „მხოლოდ და მხოლოდ" ჩემეულად მიიჩნევდეს და „არაეითარ შემთხვევაში" — რედაქციისეულად.

რედაქცია ნუხს, თითქოს მე პირი მეტეხოს მისთვის და დანაპირები კორექტივი ტექსტში ბოლომდე არ შემეტანოს. სრული კატეგორიულობით ვაცხადებ და ამისი საბუთიცა მაქვს ხელთ — ერთადერთი, რაც მთხოვეს, ის გახლდათ, რომ სახელდებით არ მომეხსენებინა „საქართველო უპირველეს ყოვლისა"-ს ანუ სუყ-ის ცნობილი აქტივისტი შარაძე, რაც მე, დაპირებისამებრ, შევასრულე კიდეც.

ჩვენ პრინციპული წინააღმდეგი ვართ პიროვნული შეურაცხყოფისაო, წერს რედაქცია და ჩვენც მანდა ვართ, მაგრამ „კალამგამხიარულებულ ფარისეელებად" მოხსენიება მამა-შვილ ჩხეიძეებისა, ვინც პრესით აქეთ გაბრალებს ქურდობა-კონტრაბანდას, ვფიქრობ, თავშეკავებულ საპასუხო რეაქციად უფრო უნდა ჩაითვალოს, ვიდრე — ეთიკური ნორმების დარღვევად.

ბოლოს, რედაქცია „ასეთი დასანანი შემთხვევის გამო ბოდიშს უხდის წერილში მოხსენიებულ პიროვნებებს".

თავს ნებას მივცემ, ძვირფასო კოლეგებო, ჯიქურ შეგეკითხოთ: უკაცრავად, მაგრამ „წერილში მოხსენიებულ პიროვნებათაგან" მაინც ვის უხდით ბოდიშს? მზია-ხანუმ ჯეჯელავა-საფაროვა-შერვაშიძეს თუ გიორგი მარჯანიშვილს, ვინც საქართველოს გაერო-ში გაწევრიანებას სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ უპირებდა? იმედი მაქვს — მათ არა! მაშ, ვილა დარჩა? დარჩა, ბატონო ჩემო, „ომეგას" სიგარეტით შებოლილ ჩხეიძეთა „კლანი", რომელსაც იმ ჩემი უზარმაზარი სტატიის მხოლოდ ერთი წინადადება დაეთმოთ! ჰოდა, დაგეწერათ მაშინ პირდაპირ, თქვე დალოცვილებო, ღიად გეთქვათ ეს... და ამ თვალნათლივი მაგალითით კიდევ უფრო გაცხადდებოდა და დადასტურდებოდა თქვენსავე ფურცლებზე დაბეჭდილი იმ ჩემი სტატიის ფინალი:

„ნაყოფითაგან იცანითო, სახარებაში წერია.

ხეზეა თქმული, თუმცაღა, პირველ ყოვლისა, კაცნი და მათი საქმენი იგულისხმება: ვინ ვის ებრძვის, ვინ ვის უდგას მხარში.

ამიტომაც — საქმითაც იცანით!"

„ლიტერატურული საქართველო", 12 ივნისი, 2001 წელი

ცოცხალი სიტყვა

საჯარო სიტყვები, ზეპირი, ტელე და რადიოგამოსვლები

შავ ლუდსა, წითელ ღვინოსა —
განა სუყველას სმა უნდა?
პირზე მომდგარსა სიტყვასა —
განა სუყველას თქმა უნდა?

ხალხური

დედაენის ფრთებით

სიტყვა, ნარმოთქმული დედაენის ძეგლის გახსნაზე

ლოდის ბნელი წიაღი თითქოს სინათლემ გამოტეხაო — გარღვეული კლდიდან ბიჭი ამოფრინდა. ასე გამოარღვევინებს ნაზ იას სიცოცხლის ნყურვილი ქვასა და კლდეს. „აი, ია!" — გავიოცებთ ხოლმე ამ სასწაულს. სწორედ ამ „აი, იამ" გამოტეხა საუკუნის წინათ ქაოსის გარსი და წიგნად გადაგვეშალა; ეს „აი, ია" გახლავთ გრძნეული ფორმულა: „სეზამ, გაიღეს" დარად ნარმოვთქვამთ მას და განგვეხვნება ზღაპრული საგანძური — დედაენის წიაღი. გადახსნილი კლდის ძირას სწორედ ეს „აი, ია" დგას ყელმოღერებით — მისი დადრეკილი ღეროდან ასხლტა ყმანვილი მაღლა, შემეცნების უსასრულობისაკენ.

მართლაც გასაოცარი ამბავი მოხდა ჩვენში — ძეგლი დავუდგით ძეგლს: როდესაც „დედაენის" ასი წლისთავი ვიზეიმეთ, მაშინ გაჩნდა იდეა, ძეგლი დაგვედგა წიგნისათვის, უკვდავ ძეგლად რომ დაუდგა იაკობმა თავის დედაენას. გოგებაშვილი არც პირველი ყოფილა და არც უკანასკნელი — ქართულ ენას ძეგლი დაუდგეს რუსთველმა და ცურტაველმა, მერჩულემ და იოანე-ზოსიმემ, ექვთიმემ და გიორგიმ, სულხანმა და დავითმა, ილიამ და აკაკიმ, ბარათაშვილმა და ვაჟამ, გალაკტიონმა და ლეონიძემ; ძეგლი დაუდგა, პირველ ყოვლისა, უსახელო ქართველმა გლეხკაცმა — „თავფარავნელი ჭაბუკისა" და „ვეფვხისა და მოყმის" შემოქმედმა.

ძეგლში განსხეულებული იდეა ტევადია და მრავალგანზომილებიანი: ერთნი მიიჩნევენ, რომ იგი პლასტიკის ენაზე ამეტყველებული „დედაენის" წიგნია, მეორენი მასში ხედავენ თვით დედაენის ალეგორიულ გამოხატულებას, სხვანი — ცოდნის სიმბოლოს. აქ, ალბათ, ერთიც არის, მეორეც და მესამეც; უფრო სწორად — ძეგლი სამსახოვნებაა ერთარსისა: განუყოფელი ერთიანობა წიგნისა, დედაენისა, ცოდნისა; იაკობმა იცოდა — ყმანვილისათვის დედაენა ის ფრთებია, ცოდნისაკენ, სამყაროს შესაცნობად რომ ეზიდება მას მაღლა; ამ ფრთების გასამაგრებლად წერდა იგი თავის „დედაენას".

ამ ძეგლს ერთი წარწერაც დაამშვენებდა — სულმნათი აკაკის სიტყვები: „კრულია მისი ხსენება, ვინც დაჰგმობს დედაენასა, თვის ტომს ჰლალატობს და მითი თვით ფიქრობს მაღლა ფრენასა".

დედაენის მგმობი ვერ აფრინდება, დიდი-დიდი — აფორთხდეს მაღლობზე.

ფრენა მხოლოდ დედაენის ფრთებით შეიძლება. ასეთი ფრთები ასხია ელგუჯა ამაშუკელის ბიჭს — ვანოს, სანდროს, ალექსის — იაკობის „დედაენიდან" გადმოსულს.

„სკოლა და ცხოვრება", N 10, 1983 წ.

„ᲙᲠᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲓᲐᲯᲒᲛᲝᲑᲡ ᲓᲔᲓᲐᲔᲜᲐᲡᲐ“

სიტყვა, წარმოთქმული დედაენის ძეგლთან 1988 წლის 14 აპრილს

პატივცემულო საზოგადოებავ! ალბათ, რაღაცამ, ძალიან მნიშვნელოვანმა, შეგვყარა აქ, რომ ამდენი ხალხი არც წვიმას შევეპუეთ და ვერც მაცდუნებელმა ვიდეოპროგრამამ დაგვაბა ტელევიზორებთან... დედაენამ შეგვკრიბა აქ... მისთვის კი ჩვენს წინაპრებს — ახლანდელი წვიმა რა მოსატანია — „სისხლის წვიმები“ დასტეხიათ თავს; არამცთუ გართობა-შექცევა — სიცოცხლეც დაუთმიათ მისთვის... ამ ათი წლის წინათ კი, როდესაც ჩვენი რესპუბლიკის ძირითად კანონს ვიღებდით, ბევრისათვის მოულოდნელად, კიდევ ერთხელ გამოვლინდა დიდი საქმისათვის მსხვერპლის გაღებისა და თავგანწირვის ჩვენეული უნარი. მოულოდნელად-მეთქი, იმიტომ მოგახსენებთ, რომ ათეული — თუ მეტი არა — წლების მანძილზე ჩვენში თანდათან მინაელდა, ლამის ჩაქრა სოციალური, მოქალაქეობრივი აქტივობა... მაგრამ როდესაც ყველაზე სანუკველს, უპირველეს გამომელენს ჩვენი არსობისას — დედაენას — დაემუქრა რეალური თუ, როგორც ზოგიერთს მიაჩნდა, წარმოსახვითი საფრთხე, მთელი ჩვენი საზოგადოება ერთ მჯიღად შეიკრა... ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, თუ როგორი სასიცოცხლო ძაფებით არის დაკავშირებული ენა ეროვნებასთან; აკი ბრძანებდა დიდი იაკობი: „დედაენა როდი ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება; მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, მის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში“... სხვა დიდი მეცნიერები იმასაც ადასტურებენ, რომ ყოველი ენა არის მსოფლხედვის გარკვეული წესი, და ვაი იმ ხალხს, რომელიც დაივიწყებს ან რომელსაც დაავიწყებინებენ ამ, მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივ წესს — ის გასაქრობად იქნება განწირული.

ამიტომაც იჩენს ყოველი ერი და ერის ნების გამომხატველი ყოველი სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას დედაენისადმი. 1978 წელს ჩვენი რესპუბლიკის ძირითადმა კანონმა დაადასტურა ხალხის ნება — კვლავაც შენარჩუნებოდა ქართულ ენას სტატუსი სახელმწიფო ენისა.

ამასთან დაკავშირებით, ალბათ, საჭიროა, ერთიანი წარმოდგენა გვქონდეს ამ ცნებაზე — „სახელმწიფო ენა“... ამ ცნების შინაარსიც დინამიკურია, ცვალებადი. დღეს ცნებაში „სახელმწიფო ენა“ ჩვენ არ მოვიაზრებთ ნიშანთვისებათა იმ ერთობლიობას, რომელიც ჩადებული იყო, მაგალითად, რუსულში, როგორც რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ენაში. მაშინდელი „სახელმწიფო ენა“ ავლენდა თავის აგრესიულ-შემტევ ბუნებას იმპერიის ტერიტორიაზე მოქმედ სხვა ენათა მიმართ. ჩვენთვის კი ქართული ენის სა-

ხელმწიფო ენად ცნობას უფრო თავდაცვითი მნიშვნელობა ენიჭება და არა — აგრესიულ-შემტევი.

ვისგან და რისგან სჭირდება ჩვენს დედაენას თავდაცვაო, თუ მკითხავთ, მოგახსენებთ: უპირველეს ყოვლისა, ჩვენივე გულგრილობისაგან, უზრუნველობისა და წინდაუხედაობისაგან. და კიდევ — იმ ძალთაგან, რომლებიც, ცრუმეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით — მცირერიცხოვან ერთა ენები დიდმა ენებმა უნდა „მოინელონო" — თავიანთი დიდმპყრობლური ზრახვის აღსრულებას ცდილობდნენ და ზოგჯერ ახლაც ცდილობენ. ჩვენთვის ქართული ენის — როგორც სახელმწიფო ენის — სტატუსი არამც და არამც არ ნიშნავს რესპუბლიკაში მოქმედ სხვა ენათა დევნა-შევიწროებას, ეს სტატუსი შეიძლებოდა გამოხატულიყო ძველი რომაელების ფორმულით — პირველი თანასწორთა შორის... და, ცხადია, ნურავინ დაგვძრახავს, თუ ჩვენი უპირველესი და უპირატესი საზრუნავი, საესავი და სალოლიავო ჩვენი დედაენა იყოს — ეს ჩვენი კონსტიტუციური უფლებაც გახლავთ და ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობაც.

ისტორიულად ჩვენ მუდამ ვიყავით პატივის მიმგებელნი სხვათა ენისა, სხვათა სალოცავებისა, სხვათა ეროვნებისა... ეს დღესაც ასეა, ოღონდ ნუ დაგვავიწყდება — სხვათა კულტურის, სხვათა ენის მიმართ პატივისცემა მხოლოდ მაშინ დაგვიფასდება სათანადოდ, როცა ის სხვა დაინახავს ჩვენს ერთგულებას საკუთარი კულტურისადმი, საკუთარი დედაენისადმი... და, რაც მთავარია, მხოლოდ ამის კვალობაზე მოაგებენ პატივს ჩვენს ენასა და ჩვენს ეროვნებას. ქართული ენის კონსტიტუციური უფლებების განუხრელი დაცვით უნდა შევქმნათ იმგვარი კულტურულ-ზნეობრივი ატმოსფერო, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მაცხოვრებელმა, რომელ ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, თავის ზნეობრივ მოვალეობად ჩათვალოს ქართულის ნებაყოფლობით შესწავლა. ჯერჯერობით, ჩვენდა სამწუხაროდ, რეალური სინამდვილე ამ კანონიერ, სამართლიანსა და სანუკველ წარმოსახვითს სურათს არ ემთხვევა. ვისი ბრალია ეს? ვიმეორებ, ჩვენივე უნიათობისა, ჩვენივე მოქალაქეობრივი გრძნობის მოჩლუნგებისა. არადა, როგორ გვიყვარს ხოლმე ასეთ შემთხვევაში „ობიექტური მიზეზებით" თავის მართლება, ყველაფრის ჩვენ გარეთ და ჩვენ ზემოთ მდგარი ძალებისათვის გადაბრალება... ეს უფრო ადვილია, ვიდრე საკუთარ თავს მოსთხოვო პასუხი, საკუთარი სინდისი და თავმოყვარეობა შეაწუხო, თვითონ გაიჭირვო და თუნდაც რაღაც მოიკლო და დათმო დედაენისათვის... კარგად ბრძანა აქ მწერალმა რევაზ ჯაფარიძემ — კეთილი ინებოს ქართველმა მეცნიერმა და თავისი დისერტაციები თუ შრომები, პირველ ყოვლისა, ქართულად წეროსო. ამის თქმაც არ არის იოლი, არამცთუ აღსრულება — ჩვენში ადრეც მთელ რიგ მეცნიერებებში დისერტაციები ქართულად არ იწერებოდა, მას შემდეგ კი, რაც უკულმართული წესი დააკანონეს, საკვალიფიკაციო ნაშრომი დასამტკიცებლად მხოლოდ რუსულ

ენაზე დაწერილი უნდა წარედგინოსო უმაღლეს საატესტაციო კომისიას, ქართულს — როგორც მეცნიერების ენას — პოზიცია შეერყა; ამან კი, შესაძლოა, სახვალიოდ მძიმე შედეგი მოგვიტანოს: როგორც კი საზოგადოების რომელიმე ფენა ხელს აიღებს თავის დედაენაზე, როგორც კი თავად ენის რომელილაც „უბანი" შეწყვეტს ან, თუნდაც, შეასუსტებს თავის ქმედებას, მას სასიკვდილო სნება შეეყრება: ენის უხმარი, გამოუყენებელი ნაწილი კვდება და, მეტასტაზის მსგავსად, მის ჯანსაღ, მოქმედ ნაწილსაც შთანთქავს. ამიტომაც არ შეიძლება ქართული იყოს ენა მხოლოდ სამზარეულოსი, ოდენ მინის მუშაკისა, მარტო მწერლობისა. ჩვენი სულიერი თუ მატერიალური ცხოვრების ყოველ სფეროში ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, მინიჭებული უფლებით სრულად უნდა სარგებლობდეს. ამ მხრივ ზოგი რამ გაკეთდა, მეტი — კეთდება და უფრო მეტი — უნდა გაკეთდეს. ქართულს ყოველთვის ჰყავდა თავგადადებული დამცველები და, ღმერთმა ნუ ქნას, მათი რიცხვი შემცირებულიყოს: სახელდახელო მაგალითად თუნდაც განსვენებულ პეტრე სარაჯიშვილს გავიხსენებ: რუსეთსა და ევროპაში განათლებამიღებული — თავის საავადმყოფოში იგი ავადმყოფობის ისტორიას მხოლოდ ქართულად აწერინებდა ყველას, განურჩევლად ექიმთა ეროვნებისა. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება, დღესაც გვყვანან დედაენის მოამაგენი; თუნდაც თერაპიის ინსტიტუტში დაარსებულ ახალგაზრდა ექიმთა კლუბს — „ილიელს" — დავასახელებდი, რომელმაც თავს იდო თავიანთი კოლეგების სამეცნიერო ნაშრომთა ქართულად თარგმნა (აქვე მინდა იმისი რწმენაც გამოვთქვა, რომ, როცა რუსთაველის საზოგადოება ეკონომიურად მყარად დადგება ფეხზე, მან შეიძლება ითავოს სადისერტაციო ნაშრომთა თარგმნის საკითხიც); თუმცა არც ისეთი წარმოება-ორგანიზაციების ხელმძღვანელები არიან, სამწუხაროდ, სანთლით საძებარნი, საწარმოო თათბირებს, თუნდაც მისი მონაწილენი მხოლოდ ქართველები იყვნენ, დედაენაზე რომ არ ატარებენ და არც ქართულ საბეჭდ მანქანას აჭაჭანებენ თავიანთ დაწესებულებაში...

დიდმა ქართველმა მეცნიერმა და მოღვაწემ, ჩვენი დედაენის ერთ-ერთმა უსაჩინოესმა მზრუნველმა არნოლდ ჩიქობავამ სიკვდილის წინ გამოთქვა სურვილი, რომ დაარსებულიყო „ქართული ენის დღე". ყოველგვარი მოჩვენებითობისა და პომპეზურობის შინაგანი მტერი — არნოლდ ჩიქობავა მოითხოვდა, რომ ეს დღე ყოფილიყო არა მარტო და არა იმდენად დედაენისადმი ჩვენი ემოციური დამოკიდებულების „გამოფენის" დღე, რამდენადაც საქმიანი ანგარიში ერის წინაშე ქართული ენის მესვეური ყოველი ორგანიზაციისა თუ პიროვნებისა — (ქართული მწერლობისა, გამომცემლობებისა, სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისიისა, განათლების სისტემისა, პრესისა, რადიო-ტელევიზიისა) — რამდენი ქართველი კლასიკოსის წიგნი გამოვეცით და — როგორ, რა გზით დავიცავით ენობრივი გარემო შებღალვისაგან, როგორ დავნერგეთ და გავავრცელეთ ჩვენი სახელმ-

წიფო ენა, როგორ აღვუდექით წინ მისი ნორმების შელახვას... ეს მოთხოვნა ანდერძად დაგვიგდო ბატონმა არნოლდმა, მისნაირ პიროვნებათა ანდერძისათვის კი ყველას გვმართებს გულისყურის საგულდაგულოდ მიპყრობა.

დედაენის ამ ძეგლზე რამდენიმე წარწერაა ამოკვეთილი, უფრო სწორად, თავად ეს ძეგლია ჩვენი წინაპრების — იოანე-ზოსიმეთი დაწყებული და გალაკტიონით დამთავრებული — გამონათქვამთა მხატვრული განსახოვნება. მხოლოდ აკაკის ერთი ფრთიანი ნათქვამი მოვისაკლისე და ვთხოვე კიდეც ძეგლის ავტორს, ბატონ ელგუჯა ამაშუკელს, მიემატებინა სხვა წარწერებისათვის. არ ვიცი, მოასწრო თუ არა მან ამ ჩემი თხოვნის შესრულება, მე კი სწორედ აკაკის ნათქვამით დავამთავრებ:

„კრულია მისი ხსენება, ვინც დაჰგმობს დედაენასა,
თვის ტომს ჰლალატობს და მითი თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენასა"...

„თბილისი", 20.4.1988

დედაენა — მეექვსე გრძნობა

სიტყვა, წარმოთქმული დედაენის ძეგლთან 1995 წლის 14 აპრილს

ხუთი გრძნობით გვეძლევა ჩვენ სამყარო — ვხედავთ, გვესმის, ვყნოსავთ, გემოს ვუსინჯავთ, ვეხებით მას. მაგრამ ეს უთვალავი ფერით მოცემული ქვეყანა რომ დალაგდეს, განსახოვნდეს, დაკონკრეტდეს და ჰარმონიად შეიკრას, მეექვსე გრძნობაც არის საჭირო... ეს გახლავთ დედაენის გრძნობა, გრძნობა სიტყვისა... სახელის მიცემა ანუ სახელდება იგივე შობის აქტია — ქაოსიდან იქმნება რეალობა; მხოლოდ ენა, სიტყვა ხდის მასალას — საგნად, განცდას — გრძნობად, ფერსა და ხმას — სახედ. ამიტომაც არის ენა, კერძოდ — დედაენა, საღვთო რამ, ამიტომაც არის ენა, სიტყვა შემოქმედი, დემიურგი... და ამიტომაც წერია იოანეს სახარებაში: „პირველითგან იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღეთისა თანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი".

ზოგს მარტივად ჰგონია — თითქოს აზრი სხეული იყოს, სიტყვა კი მისი შესამოსელი, რომელიც პერანგივით შეიძლება გამოიცვალო... ტყუილია: გამოიცვლი და — „სამოსელს" ყოველთვის გაჰყვება „სხეულის" ნაფლეთები... ამიტომაც არ დაითმობა დედაენა: დედაენით გვეძლევა ჩვენ ეს სამყარო, დედაენა გვხდის ჩვენ ამ სამყაროს ნაწილად, ადამიანად და ამიტომაც — დავკარგავთ დედაენას, დავიკარგებით ჩვენც როგორც პიროვნება...

არ ვიცი, აქვთ თუ არა ჩვენზე დალხინებულ ერებსა და ქვეყნებს დღე დედაენისა. ჩვენ კი ეს დღესასწაული განსაცდელმა და ამ განსაცდელისგან მართლაც სასწაულებრივმა გადარჩენამ დაგვაწესებინა. ბევრ თქვენგანს ახსოვს, რაც მოხდა ჩვიდმეტი წლის წინათ ამ დღეს — 14 აპრილს. მაშინ არ გვქონდა ქართული სახელმწიფო, ის მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა უფრო სიმბოლურად, ვიდრე რეალურად, და იმ ქაღალდზე მაინც ეწერა, რომ ქართული ენა სახელმწიფო ენაა. სინამდვილეში კი მიმდინარეობდა ერთი შეხედვით შეუმჩნეველი, თითქოსდა ბუნებრივი, მაგრამ თავისი შედეგებით საქართველოსთვის საზარელი და საბედისწერო პროცესი დედაქართულის შევიწროვება-გამოდევნისა სახელმწიფო ასპარეზიდან, თანდათან იზღუდებოდა მისი მოქმედების არეალი: ცოტაც და — რუსთაველის ენა სამზარეულოს ენად გვექცეოდა. მაგრამ როდესაც თუნდაც იმ სიმბოლური კონსტიტუციის თითქოსდა ფარატინა ქაღალდზე ამის დაფიქსირება სცადეს, ანგარიშში მოტყუვდნენ: ამუშავედა თვითგადარჩენის ინსტინქტი დიდსა თუ პატარაში. თითქოსდა სტიქიურად, წინასწარ შეუთანხმებლად, იმ დროისათვის მოულოდნელადაც კი გაიბა უხილავი, მაგრამ რეალური ძაფები ერთობა-კავშირისა ხალხსა და ამ ხალხის თავკაცს შორის და... ავირიდეთ განსაცდელი.

დღესდღეობით ამგვარი ხიფათისაგან თითქოსდა დაზღვეულნი ვართ, მაგრამ პატარა ერის თუნდაც დიდ ენას განსაცდელი და ფათერაკი მუდმივად თანა სდევს. თანაც — ისტორიიდან ისიც ცნობილია, გარეშე მტერს ჩვენთვის იმდენი არ უენია, რამდენიც ჩვენმავე თავმა გვავნო. დღესაც ქართული ენის სახელმწიფოებრიობას თუ რამ განსაცდელი ელის, ელის ისევ ჩვენი, რომ იტყვიან, ქართული დაუდევრობის გამო. ენას ისევე უნდა უვლიდეს საზოგადოება, როგორც ჩვენებური გლეხიკაცი ვაზს: დედაენასაც სჭირდება ნიადაგის განოყივრება, სარეველის მოცილება, მავნებელთაგან შენამვლა, გაფურჩვნა, ზრუნვა, ლოლიავი და სამზეოზე გამოჩინება... მაშინ გამოისხამს ენა იგი საღმრთო მტევნებს — შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას...

ამიტომაც ასე მგონია: დედაენის ძეგლთან თავშეყრა და ცეკვა-თამაში დიაღაც კარგია, მაგრამ კიდევ უკეთესი იქნებოდა, თუ დიდი არნოლდ ჩიქობავას ანდერძს გავიხსენებთ და 14 აპრილს დედაენაზე გაწეული შრომის ერთგვარი ანგარიშგების დღედ ვაქცევთ ყველანი — სახელმწიფოც, საზოგადოებაც და ცალკეული პიროვნებებიც. დღეს სკოლებში, აუდიტორიებში, შესაბამის კათედრებსა და ინსტიტუტებში, თეატრებსა და მწერალთა კავშირში, აკადემიასა და ენის ნორმათა დამდგენ კომისიაში უნდა განიხილებოდეს და პასუხიც გაეცემოდეს კითხვებს: წელს რამდენი ლექსიკონი გამოვეცით, რამდენი კლასიკოსი დავსტამბეთ, რა პოლიგრაფიული ბაზა შევუქმენით ჩვენს დედაენას, რამდენად გავაძლიერეთ იგი ჩვენს ტერიტორიაზე, რამდენად ვიზრუნეთ მის გავრცელება-პოპულარიზაციაზე საზღვარგარეთ, რამდენი სახელმძღვანელო შევქმენით დედაენაზე, რამდენად დავიცავით მისი სიწმინ-

დე სცენაზე, პრესის ფურცლებსა თუ ეკრანზე, რამდენად დავამკვიდრეთ დედაქართულის სტატუსი ჩვენს ყოფაში. ამ მხრივ ზოგი რამ სასიკეთო ამ წელსაც გაკეთდა, მაგრამ „სამკალი მაინც ფრიად არს"; სასურველია, რომ ამ საქმის მუშაკნიც — დედაენაზე მზრუნველნიც — ყველანი გავხდეთ.

„ლიტერატურული საქართველო", 21.4.1995

ენა — დედა, ენა — შვილი

სიტყვა, წარმოთქმული დედაენის ძეგლთან 1996 წლის 14 აპრილს

წელს განსაკუთრებული 14 აპრილი დაგვიდგა — ღრმა შინაარსებით დატვირთული: დღეს დაიწყო სტუდენტური დღეები, დღეს აღვნიშნავთ დედაენის დღეს და დღესვე ვდღესასწაულობთ მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომას... სიჭაბუკე, დედაენა, უფალი — ამ ტრიადის ნევრთა შორის, მასშტაბთა განსხვავების მიუხედავად, ღრმა შინაგანი კავშირია.

ბრწყინვალე აღდგომას ყოველი ქრისტიანი თითქოს ხელახლა იბადება სულიერად: მაცხოვრის ბაძვით მანაც უნდა დასთრგუნოს სიკვდილი, უნდა დაუტეეოს ბოროტების, ურწმუნოების, შურის საუფლო ანუ სულიერი სიკვდილის ქვეყანა, და აღდგეს, გაცოცხლდეს, ღვთის შვილად ხელახლა მოევლინოს წუთისოფელს.

მაგრამ ადამიანი იბადება ფიზიკურადაც, იბადება არა მარტო თავისი მშობლების, არამედ თავისი ერისა და თავისი ენის შვილად. დიახ, თავისი ენის შვილადაც. ამ ენას დედის სახელი ჰქვია, იგი დედა-ენაა, მშობელი ყოველი ჩვენგანისა იმ აზრით, რომ იგი გვქმნის, გვატარებს და გვამწიფებს თავის ნიაღში. მაგრამ დედაენა მარტო დედა როდია ჩვენი, იგი ჩვენი შვილიცაა, რამდენადაც, ჩვენც, მისი წიაღიდან ნაშობნი, მერე მთელი ჩვენი ცხოვრება ვზიდავთ, ვატარებთ მას ჩვენს არსებაში, ჩვენს ნიაღში ვამწიფებთ დედაენას და ახალ სულსაც შთავბერავთ მას. უბედურებაა დედა ნაართვა კაცს, უბედურებაა მას შვილი ნაჰგვარო, მაგრამ ორმაგი უბედურებაა და ღირსების აყრა, ადამიანს ენა ამოართვა და ამით ერთდროულად დედაც დაუკარგო მას და შვილიც.

ეს მოინდომა მახინჯმა სისტემამ ამ თვრამეტი წლის წინათ, 1978 წელს. და მე მივმართავ ახლანდელ სტუდენტობას — თქვენ მაშინ მოევლინეთ ამ ქვეყანას, როცა თქვენი ხნის გოგო-ბიჭებმა, მაშინდელმა სტუდენტობამ (ცხადია, არა მარტო მათ, მაგრამ — განსაკუთრებით სწორედ ახალგაზრ-

დობამ) თავი დასდო დედაენისათვის. ისინი მსხვერპლზე წავიდნენ, ოღონდ, სხვა კი არ გაუნირავთ, საკუთარი სიცოცხლის შესაწირად იყვნენ მზად. იმათი სიცოცხლე კი, ვინც თავს არ იზოგავს და სიკვდილზე მიდის, ყველაზე მეტად არის დასაზოგი, გასაფრთხილებელი და გადასარჩენი. და მაშინ, 1978 წელს, ეს სიცოცხლე ღვთის მადლით, ხალხისა და მისი თავკაცის შინაგანი ერთობის წყალობით, გადარჩა.

ვიმეორებ, დედაენა მაშინ მთელმა ხალხმა დაიცვა, მაგრამ მის ღირსებას მკერდით, პირველ ყოვლისა, ახალგაზრდობა, სტუდენტობა, მომავლის საქართველო გადაეფარა.

ამიტომაც მოგახსენეთ, რომ დღეს განსაკუთრებული დღეა — მომავლისა, დედაენისა, აღდგომისა. წმინდა სამების გვერდით, დე, ამ სამების ძალაც გვფარავდეს ჩვენც და სრულიად საქართველოსაც.

დიდი ილიელი

სიტყვა, წარმოთქმული ივანე ჯავახიშვილის
120 წლისთავის საიუბილეო სხდომაზე

არის, ალბათ, რაღაც იდუმალი კავშირი დროსა და სივრცეში თითქოსდა შემთხვევით ურთიერთგადამკვეთ საგნებსა თუ მოვლენებს შორის: 1876 წელს, თანადროულად, საქართველოში დაიბადნენ ყრმა და წიგნი; ყრმა ივანე ჯავახიშვილი გახლდათ, წიგნი — „დედაენა"... და გამოგვიჩნდნენ ახალი ორიენტირები წიგნისა და კაცის სრულქმნის ისტორიულ გზაზე.

იაკობის „დედაენამ" აღზარდა ეროვნული უნივერსიტეტის შემქმნელი თაობა; თავის მხრივ, უნივერსიტეტმა მოუმზადა „კეთილად მუშაკნი" ეროვნულ სკოლას. განათლების სისტემაში ყველა რგოლი ერთმანეთს კვებავს და ასაზრდოებს; აქ ქვედა საფეხურს ზედა საფეხური არა მარტო უჭირავს — ეყრდნობა კიდეც მას; ეს სისტემა უფრო წრედია, ვიდრე — კიბე; ქართულენოვან განათლების სისტემაშიც უნდა შეკრულიყო წრედი... იგი ივანე ჯავახიშვილის ქმნილებამ — უნივერსიტეტმა — შეკრა.

უნივერსიტეტის შემქმნელი ერთსა და იმავე დროს უნივერსალურად მოაზროვნეც უნდა იყოს და ერთი იდეით შეპყრობილიც. ივანე ჯავახიშვილის უნივერსალური აზროვნების ნაყოფია მისი წიგნები ისტორიოგრაფიაში, ენათმეცნიერებაში, პალეოგრაფიაში, ეკონომიკაში, ფილოლოგიაში, სამართალში... ერთი იდეით შეპყრობის ნიმუში კი — ქართული უნივერსიტეტი.

ილიამ „ჩვენი დაცემული ვინაობის აღსადგენი“ დოქტრინა ასე დააფორმულა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნეს“. მან იცოდა, რომ გარედან ბოძებული ან, თუნდაც, საკუთარი სისხლით მოპოვებული პოლიტიკური დამოუკიდებლობა ხუხულასავით დაგვემხობოდა თავზე, თუ არ აღვიდგენდით კულტურულ ანუ სულიერ დამოუკიდებლობას. ილიამ და მისმა თანამოსაგრეებმა ეს მისია, უპირველეს ყოვლისა, მწერლობაში აღასრულეს, დიდმა „ილიელმა“ ივანემ და მისმა თანამოაზრეებმა კი — მეცნიერებაში. ივანე ჯავახიშვილმა იცოდა, უუნივერსიტეტოდ „ჩვენი თავი ჩვენადვე ვერ გვეყუდვნეს“, ამიტომაც მოიაზრება უნივერსიტეტის დაარსება 1918 წელს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტთაგანად.

ყველასათვის ცნობილია მითი პიგმალიონზე, როდესაც შემოქმედს „გარდარეული“ ვნებით შეუყვარდება თავისივე ხელით გამოქანდაკებული ქალი. ივანე ჯავახიშვილის გრძნობა კი მისივე ხელით გამოძერწილი უნივერსიტეტისადმი რელიგიურ სიმაღლეს აღწევდა, იგი ისე ჰმსახურებდა მას, როგორც დაყუდებული ბერი — უფალს; ეზოში შემოსვლისთანავე მოწიწებით ქუდს უხდიდა უნივერსიტეტს — მორწმუნეც თავშიშველი შედის ხოლმე საყდარში. უნივერსიტეტი მისთვის მხოლოდ მეცნიერების კერა არ ყოფილა — იგი იყო სწავლებისა და აღზრდის ტაძარიც. წერდა კიდეც, აქ მჭიდრო კავშირია მეცნიერთა გუნდსა და მომავალ თაობას შორისო. სულიერი დამოუკიდებლობის გზაზე „სამკალი ფრიადი“ ჩანდა, მუშაკნი — მცირე; მეცნიერთა გუნდი სტუდენტობის გარეშე აქ ვერას გახდებოდა. ამიტომ იყო გადაგებული ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტს და სტუდენტობას... პეტერბურგელ და თბილისელ მოწაფე-თანამოაზრეთა გუნდიც — აკაკი შანიძე, იოსებ ყიფშიძე, გიორგი ჩიტაია, სიმონ ყაუხჩიშვილი, სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, ნიკო ბერძენიშვილი, ლევან მუსხელიშვილი, ვარლამ თოფურია და მრავალი სხვა — მოწიწებით მიაგებდა პატივს თავის მოძღვარს.

იშვიათია მეცნიერი, ვინც ესოდენ დაფასებული ყოფილიყოს თავის ხალხში... და იშვიათია მეცნიერი, ვისაც ამდენი უმადურობა ენვნიოს, ამდენი უსამართლობა დასტეხოდეს თავს. უბედნიერესი კაცი იყო — ორმოცდაორი წლისამ უკვდავებაში შეაბიჯა — დააარსა უნივერსიტეტი. საზარელ მდგომარეობაშიც ჩავარდნილა: თავისივე დაარსებული უნივერსიტეტის კარი გამოუხურეს და წიგნთსაცავით სარგებლობის უფლებაც კი მოუსპეს. უერთგულესი მოწაფეები ჰყავდა, სტუდენტობა აღმერთებდა, მაგრამ უკეთურმა ძალებმა ოცდაათიან წლებში სტუდენტობის ერთ ნაწილს თავგზა აუბნიეს და „კუდიანთა არული“ ჩააბმევინეს მისი წიგნების ირგვლივ.

საუბედუროდ, ჩვენმა საუკუნემ იცის იმის მაგალითები, როცა „ცრუ წინასწარმეტყველებს“ სტუდენტობის ხელით არა მარტო ნარი უგლეჯიათ, ეროვნული ხის ამოძირკვასაც ცდილან. დღეს ზარდამცემ შთაბეჭდილებას ტოვებს ერთი ცნობა, 1911 წლის პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული: „ორ-

მოცდაერთმა ქართველმა სტუდენტმა პეტერბურგში სხდომაზე გაუწითლებლად თქვეს: ილია, როგორც მამულიშვილი, მოსაკლავი იყოო... მომეტებულმა ნაწილმა ქართველი სტუდენტობისამ პატივი არ სცა ილიას ხსოვნას, იუკადრისა ფეხზე ადგომა"... გამოხდა ხანი და ეს ხალხი, „ცრუ წინასწარმეტყველთა" მიმდევარნი, თვითონ მოევლინენ „წინამძღვრის" როლში ახალგაზრდობას. ამანაც გახადა შესაძლებელი წინამურის რეციდივის განმეორება ოცდაათიან წლებში... და — ჩვენდა საუბედუროდ, სულ ახლახანაც... კვლავ დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა: *„ეკრძალენით ცრუ წინასწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდიან თქვენდა სამოსლითა ცხოვართათა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ-მტაცებელ"*. ეს მწყემსისარგნიანი მგლები მიზანში ილიასა და ივანეს მსგავს ჭეშმარიტ წინასწარმეტყველებს ამოიღებენ ხოლმე და „ცხვრებსაც" თავიანთ ჭკუაზე აბღავლებენ მათ წინააღმდეგ. ოცდაჩვიდმეტში ივანე ჯავახიშვილისთვის „ბერდანკა" არ დაუხლიათ და არც „ქვა დაუკრებიათ" (მას ასცდა თავისი მოგვარის, მიხეილ-წამებულის, ხვედრი), მაგრამ „ჯუარს აცუ ეგე"-ს გნიასი კი ხშირად აუტეხიათ მის გარშემო. საქმე ისეთ მკრეხელობამდეც კი მივიდა, რომ ნაკაცარებმა ხოვლეში საგვარეულო ძვალშესალაგი შეუგინეს — მამისა და ძმების საფლავზე ძეგლი მოუთხარეს.

მაგრამ არიან მოუთხრელი ძეგლებიც... დიდთა მოსაქმეთა ძეგლები მათივე სახელებია:

ფარნავაზ — შემოქმედი ქართული მწიგნობრობისა;

ნინო — მომაქცეველი ქართლისა;

დავით — აღმაშენებელი საქართველოსი;

საბა — შემგროვებელი ქართული სიტყვისა;

ილია — აღმადგინებელი ქართველობისა;

იაკობ — შემქმნელი „დედა ენისა";

ივანე — დამაარსებელი ქართული უნივერსიტეტისა.

ივანე ჯავახიშვილს უყვარდა ხალხური — „კაი ყმა ლაშქარს მაჰკვდების"...

ლამაზად ის კვდება, ვინც თავის საქმეს აკვდება.

ივანე ჯავახიშვილს ლექციის კითხვისას გაუსკდა გული; უკანასკნელი სიტყვა, რასაც სული ამოაყოლა, იყო — „თათარი".

დიდი საქართველო, დავითისა და თამარის საქართველო, თათარ-მონღოლებმა დაამხეს. ივანე ჯავახიშვილი თავის „ქართველი ერის ისტორიაში" წერდა საქართველოში თათარ-მონღოლთა თითქმის ასწლოვანი ბატონობის საბედისწერო შედეგებზე. და, თუმცა თათარ-მონღოლნი დიდი ხანია ჩამოვიდნენ ისტორიის ავანსცენიდან, „გათათრების" საფრთხე — „გადაქართველების", „გადაჯიშების" აზრით — მუდამ გვემუქრებოდა.

ივანე ჯავახიშვილს, ქართველთა ჟამთააღმწერელს, მტერზე შიშველი ხმლით მისული ქართველივით შეახმა პირზე — „თათარი!"

გაფრთხილება თუ იყო...

არის, უდავოდ არის რაღაც იდუმალი კავშირი დროსა და სივრცეში თითქოსდა შემთხვევით გადაკვეთილ მოვლენათა შორის.

„ლიტერატურული საქართველო", 18.10.1996

სიშორით სიახლოვე!

სიტყვა, წარმოთქმული მასწავლებელთა შეკრებაზე
კონსტანტინე გამსახურდიას 90-ე წლისთავთან დაკავშირებით

როდესაც გარდასულ მწერალს მიმართავენ, პირს მისი გამოსახულებისაკენ მიიქცევენ ხოლმე; მე კი თქვენ, ბატონო კონსტანტინე (ანუ ის, რაც მარადიულია თქვენში), არც მარმარილოში მეგულებით და არც ტილოზე; თქვენ ამ დარბაზში ბრძანდებით; თქვენ გადასული ხართ ცოცხალ ადამიანებში, თქვენს მკითხველებში და მათი სულის ნაწილს შეადგენთ. მკითხველის სული კი უსასრულოდ ტევადია — მან დაიტია შოთა, საბა, გურამიშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი... და არა მარტო ეს ბუმბერაზები — იქ ყველა ნაღდი, მართალი სიტყვის მთქმელისთვის მოიძევება ადგილი.

მწერლური სიცოცხლის ხანგრძლივობა, ალბათ, იმითაც გაიზომება, რამდენად ღრმად იჭრება იგი ყმაწვილის სულში. თქვენ საყმაწვილო მწერალი ბრძანდებით, ბატონო კონსტანტინე — ცხადია, არა ჟანრული თვალსაზრისით, არამედ იმ გაგებით, რომელმაც ერთ დიდ მწერალს ათქმევინა: ბავშვებისათვის ისევე უნდა ვწეროთ, როგორც უფროსებისათვის, ოღონდ — უკეთესადო. მწერალს, ცხადია, მისივე სიტყვა „დაარჩენს", მაგრამ ამ სიტყვას ყმანვილთა გულებისაკენ კეთილი მეგზური სჭირდება. ასეთი მეგზურია სწორედ სიტყვიერების მასწავლებელი. თქვენ ღრმად იცოდით ეროვნული სკოლის საჭიროებანი და დიდად აფასებდით, ბატონო კონსტანტინე, მასწავლებლის უჩინარ, მძიმესა და მაინც მადლიან უღელს; იცოდით, რაოდენ დიდია ზეგავლენა პირველი შთაბეჭდილებისა — ამიტომაც მწერალი სახელმძღვანელოში რომ შეაბიჯებს, მისი ბედი ბევრად არის დამოკიდებული სიტყვიერების მასწავლებელზე; მასწავლებელი, შესაძლოა, ხიდად გაედოს, უშუაკაცოს მწერლის სიტყვას ბავშვის გულისაკენ, მაგრამ შეიძლება ეკლით შეძენძილ ღობედაც აღიმართოს მათ შუა. თუ სიტყვიერების მასწავლებელი თავისი მაღალი მისიის აღმასრულებელი, ჭეშმარიტი შუაკაცი იქნა, მაშინ ყმანვილი ადრეულ ასაკშივე გაითავისებს თქვენი სულის ნა-

ნილებს — თქვენს დავითსა და დედისიმედს, თქვენს არსაკიძესა და შორენას, თქვენს არზაყანსა და თარაშს. დიახ, თარაშსაც, გიორგი მეფესაც, მამამზესაც, ფარსმანსაც, გვანჯ აფაქიძესაც — რამეთუ ეს ცოდვისშვილებიც თქვენი უძირო სულის ნაწილებია... და როცა სულში ფარსმანი, მამამზე თუ ლიპარიტი აუფუთფუთდება, თქვენის წყალობით ყმანვილი შეიცნობს, გაიცნობიერებს, დათრგუნავს და ფერს უცვლის მას. ამიტომაც არის დიდი მწერლობა აღზრდის დიდი გაკვეთილები, ამიტომაც ბრძანდებით თქვენ, ბატონო კონსტანტინე, მასწავლებელთა დიდი კოლეგა; ოღონდ თქვენი საკლასო ოთახი სრულიად საქართველოა, დაფა — ჩვენი სული, რომელზედაც არა ცარცით, არამედ „გულის სისხლით" წერთ სიყვარულს, სიცოცხლის, შემოქმედების ფორმულას.

ბატონო კონსტანტინე! უკვდავების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სიკვდილიც გახლავთ. რვა წლის წინ განეშორეთ საწუთროს — ასე ინება „არსთა განმრიგემ" — რათა დღეს მთელი სიმაღლით დაგვენახეთ თქვენ — შემოქმედი, განძარცვული ყოფითი წვრილმანებისაგან, საწუთროს ამაოებათაგან, ჭორისა და მიეთ-მოეთისაგან... რვა წლის წინ დაადექით, ბატონო კონსტანტინე, უსასრულობის გზას და გწამდეთ — რაც უფრო გვშორდებით, მით უფრო რომ გვიახლოვდებით.

1983 წ.

კვირაძალი

რადიოგამოსვლა

ახალი 1985 წლის კვირაძალზე უპრიანია ცვლილება-გარდაქმნაზე ფიქრი, სიახლის ანალიზი, მისი განსჯა.

თვით ეს „ახალი", წელზე ვიტყვით ამას, კაცზე თუ იდეაზე, ცვლილება-გარდაქმნის ნაყოფია, ხშირად — მძაფრი „სამშობიარო" კონვულსიის შედეგად მოვლენილი ამ წუთისოფელში.

ზოგი „ახალი" — მაგალითად, წელი — ბუნების ძალთა უზუსტესი გრაფიკით იბადება და არც ვისმე ჩარევას საჭიროებს; ზოგ სიახლეს კი — იდეურს, სოციალურს, ესთეტიკურს, მეცნიერულს... — „ბებიაქალის" ჩარევა სჭირდება, რათა დროულად და საღ-სალამათად მოევლინოს ქვეყანას.

რახან უმთავრესი ცვლილება-გარდაქმნა ყოველთვის შიგნიდან იწყება, ყოველი ჩვენგანი უნდა იყოს „ბებიაქალი" თავის სულში მომწიფებული სიახლისა.

ოღონდ — სულ კეთილი „ბებიაქალებით" დასახლებულადაც ნუ წარმოვიდგენთ ჩვენს საცხოვრისს; დიდად განაფული „აბორტმახერებიც" გვყვანან — იდეათა აბორტმახერები.

გარე-გარე ნუ დავიწყებთ ძებნას — სიახლეთა მომშთობიცა და შემოქმედიც მეტ-ნაკლებად ყოველ ჩვენგანში ზის. მთავარი ისაა, პირველი ჩავითრგუნოთ და მეორე აღვიზეოთ, ანუ — გვერდში ამოვუდგეთ მას, ვისაც თავი გადაუდვია და ახალ იდეათა ხორცშესხმის მისია უტვირთია, და ნინ აღვუდგეთ მას, ვისაც ამ იდეათა მოშთობა თავის შავ პროფესიად გაუხდია.

ახლა ამ შიგნიდან მომწიფებულ სიახლე-გარდაქმნათა გაცხადებისა და განსაქმების ჟამი დგება. ჟამის სუნს კი პირველად პოეტის დაგეშილი ყნოსვა დაიკრავს ხოლმე. გავიხსენოთ აკაკი — „ახლა არ გვგლეჯენ ენასა, თქვით რამე, თქვენი ჭირიმე"... იწყება, უნდა დაიწყოს საქვეყნო სატკივართა საჯარო და გულახდილი განსჯა.

სკეპტიკოსი ახლაც ქირქილებს — ილაყბეთ, ილაყბეთ, საქმე მაინც არ იძვრის ადგილიდანო. ერთს ვიტყოდი: დღეს რომც სჭარბობდეს სიტყვა საქმეს, ეს ისეთი სიტყვებია, ხვალ რომ საქმეს წარმოშობენ. მთავარია, არ ვითამაშოთ გულახდილობანა და საჯაროობანა, მთავარია, ცვლილება-გარდაქმნა — ადამიანის ეს სულიერი წყურვილი — მოდურ მოთხოვნილებად არ ვაქციოთ... და არც თვითმიზნად, ვინაიდან მაშინ დავკარგავთ საზომთა საზომს — ზომიერებას.

ამიტომაც გაუმარჯოს ღრმა, არსებით, მძაფრ გარდაქმნებს, ესე იგი — ზომიერს.

„თბილისი", 31.12.1984

გულახდილი დიალოგი

სიტყვა, წარმოთქმული სტუდენტურ შეკრებაზე

ახალგაზრდულ შეკრებებს ტრადიციად მოსდგამს: ისინი აღძრავენ საქმიან, ხშირად — მტკივნეულსა და გადასაჭრელ პრობლემებს. ამას დღევანდელი სტუდენტური შეკრებაც ადასტურებს. ვინაიდან თითქმის ყველა სტუდენტური პრობლემა, ამავე დროს, ლექტორის პრობლემაც გახლავთ, მე სწორედ ინტერესთა ამ საერთო საფუძველზე ვილაპარაკებ, უფრო კონკრეტულად კი — სტუდენტსა და ლექტორს შორის დიალოგის შესაძლებლობისა და პერსპექტივის შესახებ. შეიძლება გაიკვირვოთ — როდის აქეთ

იქცა სტუდენტსა და ლექტორს შორის დიალოგის შესაძლებლობა პრობლემად; განა ლექტორისა და სტუდენტის სტატუსი, მათი ურთიერთობის ფორმა თავისთავად არ გულისხმობს ამ დიალოგს, განა ჩვენი ყოველდღიური კონტაქტი სტუდენტობასთან — ლექცია-სემინარები, კონსულტაციები, გამოცდები — მისი გამოვლინება არ არის? მაგრამ ჩვენ „დიალოგში" ცოტა განსხვავებულ აზრსა ვდებთ — ჭეშმარიტი დიალოგი, ორმხრივ აბსოლუტურ ნდობაზე დაფუძნებული, სტუდენტსა და ლექტორს შორის ფორმალური ურთიერთობითა და ფორმალური სიტუაციებით ვერ შემოიფარგლება. ეს ფორმალური სიტუაციები გვიქმნის იმის ილუზიას, თითქოს დიალოგი გვქონდეს სტუდენტობასთან — თავისი არსით კი ლექტორის ურთიერთდამოკიდებულება სტუდენტობასთან არცთუ იშვიათად — მონოლოგურია. არადა, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებით, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს უშუალოდ პიროვნულ ურთიერთობაზე დაფუძნებულ, სწორედ ფორმალურ ურთიერთობებზე ამაღლებულ დიალოგს. ის ფაქტი, რომ მტკივნეულ საზოგადოებრივ საკითხებზე დიალოგის გასამართად სტუდენტობა ზოგჯერ გვერდს უვლის ლექტორს და პარტნიორად უმაღლეს ავტორიტეტებს მოითხოვს, ფრიად დამაფიქრებელი ჩანს. განსაკუთრებულ სიტუაციებში ამ დიალოგის გამართვის ინიციატივა უკვე ჩვენგან, ლექტორებიდან მოდის, მაგრამ ნურავინ გავიკვირვებთ და ნურც დავადანაშაულებთ სტუდენტობას, როცა მათი მხრივ დუმილის ან გულგრილობის კედელს ვაწყდებით — ე.ი. არ უნდა დავლოდებოდით ამ განსაკუთრებულ სიტუაციებს და ჩვენი ყოველდღიური საქმიანობითა და კონტაქტით სტუდენტობასთან მზად უნდა ვყოფილიყავით ყოველგვარ საკითხზე დიალოგის გასამართად.

ამ დიალოგისათვის — ვერშემდგარი დიალოგისათვის — განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ჩვენ, ლექტორთა საშუალო და ახალი თაობის წარმომადგენლებს გვეკისრება — მათ, ვინც არცთუ ისე დიდი ხნის წინ თავად ვიყავით სტუდენტები. თაობები ხშირად, ხატოვნად რომ ვთქვათ, განსხვავებულ ენებზე ლაპარაკობენ და ლექტორთა სწორედ ეს კონტინგენტი უნდა იყოს სტუდენტურ თაობასთან სულიერად ყველაზე ახლოს, რათა მემკვიდრეობის ფაქტორი შევინარჩუნოთ... უნდა ვიყოთ-მეთქი, მაგრამ ვართ კი? სამწუხაროდ, ყოველთვის — არა... ამის ერთ-ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ ფსიქოლოგიურად ძნელი დასაძლევი შეიქნა ერთგვარი „კასტობრივი" ბარიერი, რომელიც სტუდენტსა და ლექტორს შორის არსებობს; ხშირად ახალგაზრდა სპეციალისტი, გუშინდული სტუდენტი, მეცნიერებაში რომ ფეხს შედგამს, მხოლოდ წინ და მაღლა იყურება. ეს ცუდი არ არის, მაგრამ უნდა გვქონდეს უნარი უკან მოხედვისაც. ერთმა მწერალმა კითხვას — საიდან ხართო, ასე უპასუხა — ჩემი ბავშვობიდანო. ასევე ჩვენც, ყველანი, ჩვენი სტუდენტობიდან ვართ მოსული და ამის დავიწყება არა გვმართებს.

სტუდენტსა და ლექტორს შორის დიალოგის საფუძველი ნდობაა, რომ-

ლის ორ ასპექტს მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო. პირველი — ნდობა წმინდა წყლის პროფესიული; აქ თავს იჩენს ლექტორთა კომპეტენტურობის, მათი მეცნიერული ავტორიტეტის საკითხი. ეს დიალოგის უპირველესი პირობაა და მას მხოლოდ ის ლექტორი დააკმაყოფილებს, რომელიც მუდმივი, განუწყვეტელი ზრდის პროცესშია. ჩვენში კი არცთუ ისე იშვიათია, როცა გარკვეული სიმაღლეების დაპყრობისა (საკანდიდატო, სადოქტორო დისერტაციები) და, პირდაპირ რომ ვთქვათ, ერთგვარად უზრუნველყოფილი საზოგადოებრივი და მეცნიერული პოზიციის მოპოვების შემდეგ ახალგაზრდა მეცნიერი აღარ იზრდება, ერთ ადგილს ტკეპნის და მეცნიერისაგან იგი ერთგვარ „მეცნიერების ჩინოვნიკად" იქცევა, იგი დივიდენდებს ღებულობს ერთ დროს დაგროვებული ცოდნის კაპიტალისაგან; ზოგჯერ ახალგაზრდა და საშუალო ასაკის მეცნიერი, გეოლოგიური ტერმინი რომ ვიხმაროთ, ერთხელ მიგნებულ ძარღვს ამუშავებს, ამუშავებს მას შემდეგაც კი, როცა მადნის მარაგი იქ უკვე ამოწურულია. ჭეშმარიტი მეცნიერი კი ჩვენ მუდმივად მაძიებელი, კვლევისა და ინტერესთა განახლების პროცესში ჩართული პიროვნება გვგონია. ვფიქრობ, კრიტიკულად უნდა მოვეკიდოთ იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც პროფესიონალიზმი ინტერესთა მხოლოდ ერთ, მკაცრად შემოზღუდულ სფეროში დახელოვნებას გულისხმობს და თითქოს საკითხთა ფართო წრით დაინტერესება დილეტანტობისაგან მიუცილებელი რამ იყოს. დღეს აღარავის უკვირს, ყოველ შემთხვევაში — არ უნდა უკვირდეს, როცა დიდი ფიზიკოსი ფიზიოლოგიით დაინტერესდება (დაინტერესდება არა როგორც მოყვარული — ჰობის დონეზე, არამედ როგორც პროფესიონალი), მათემატიკოსი — პოეტიკის საკითხებით. აკადემიკოსი კანტაროვიჩი თეორიულ მათემატიკაში მუშაობდა, ნობელის პრემია კი ეკონომიკის დარგში დაიმსახურა. ინტერესთა მრავალმხრივობა არის იდეალი, რომლისკენაც უნდა მივისწრაფოდეთ. ჩვენ ყველას გვაწუხებს ე.წ. „საშუალო სტუდენტის" პრობლემა, — ასევე აწუხებს სტუდენტობას „საშუალო ლექტორის" პრობლემაც. სნორედ ინტერესთა შეზღუდულობა არის „საშუალო ლექტორის" ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი. კარგი სტუდენტი კი ამგვარ ლექტორთან დიალოგისათვის ნაკლებად არის განწყობილი: სტუდენტის ინტერესების წრე — ჩვენდა საუბედუროდ თუ საბედნიეროდ — ხშირად გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ლექტორისა. ლექტორთა მოკლე მეცნიერული თვალსაწიერი კი სტუდენტის თვალში — არცთუ უსაფუძვლოდ — თვით მის ვიწრო სპეციალობაში კომპეტენტურობის ეჭვს ჰბადებს, რასაც მივყავართ ჩვენთვის საინტერესო პრობლემამდე — ნდობის პრობლემამდე პროფესიული თვალსაზრისით.

ლექტორის მაღალი პროფესიული დონე უპირველესი, მაგრამ არა ერთადერთი პირობაა სტუდენტთან დიალოგისათვის; აქ თავს იჩენს ნდობის ზნეობრივი ასპექტიც. საკუთარი სტუდენტური გამოცდილება უნდა მოვიშვე-

ლიოთ: უნდა გავიხსენოთ, რა თვისებები ჰქონდათ ლექტორებს, ვისაც განსაცდელის ჟამს ჩვენ ვენდობოდით, ვის რჩევა-დარიგებებსაც ყურად ვიღებდით და ვის ავტორიტეტულ სიტყვასაც ვუჯერებდით? მრავალ თვისებათა შორის მე ორს გამოვყოფდი: ჩვენი სულიერი მოძღვარი უნდა ყოფილიყო გულწრფელი და არ უნდა ყოფილიყო გულგრილი. გულწრფელობა სტუდენტთან ურთიერთობაში, უპირველეს ყოვლისა, იმით იზომება, კათედრიდან ნათქვამს რამდენად შეესიტყვება აუდიტორიის გარეთ ამ ლექტორის ნამოქმედარი. გულგრილი პიროვნებაც, ლექტორი იქნება იგი თუ სტუდენტი, ვერ იქნება გულწრფელი დიალოგის მონაწილე; არადა, ზოგი ჩვენგანი თავის სამშობლოში უსამშობლოო კაცივით ცხოვრობს — არ ენაღვლება სხვა და სხვისი, წყალსა და მეწყერს ყველაფერი, რაც უშუალოდ მას, მის კეთილდღეობას არ ეხება — დაე, გაფუჭდეს და განიავდეს. ცოტა არ იყოს, მოგვიჩლუნგდა განცდა პატრონისა — რესპუბლიკის, სახელმწიფოს პატრონისა, სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა მოვლის, გაფრთხილების გრძნობა, ის დიდებული თვისება — ილია რომ ბრძანებდა — როცა სხვისაზე ისე გერჩის გული, როგორც საკუთარზე. გულგრილობა მით უფრო საშიში სენია, რომ ადვილად გადამდებიც გახლავთ, მეტიც, თითქოს „მოდური" დაავადებაა და დიდი იქნება ლექტორის ზნეობრივი დანაშაული, თუ ამ სენს პირადი მაგალითით გაავრცელებს. ამის ერთგვარი საშიშროება რომ არსებობს, ამას ადასტურებს მოძალება თვრამეტ-ცხრამეტი წლის მოხუცებისა, — უსიცოცხლოების, გულგრილების, სხვათა მცდელობაზე მოქირქილეების, რომლებიც თითს არ გაატოკებენ საერთო საქმისათვის, ვინაიდან ასეთი საქმე მათთვის საერთოდ არ არსებობს. პოზა და პოზიცია განსხვავებული რამ გახლავთ — ზოგიერთი გულუბრყვილოს თვალში კი გულგრილი და ქედმაღალი პოზა აღიქმება ინტელექტუალობისა და მოვლენათა ფილოსოფიური სიმაღლეებიდან ჭვრეტის პოზიციად. ეს არ არის, ეს ვერ იქნება ახალგაზრდა კაცის პოზიცია: ცხოვრებაში ყოველთვის არის ხილული თუ უხილავი ბარიკადი და ერთადერთი პატიოსანი პოზიცია ამ ბარიკადის რომელიმე მხარეს დგომაა. რაოდენ საგულისხმოა, რომ ძველ ათენში სოლონის ცნობილი კანონი მოქალაქეობის პატივსა ჰყრიდა ანუ იკვეთდა იმ პიროვნებას, ვინც შინაური მღელვარების დროს არც ერთ მხარეს არ მიემხრობოდა: არავინ უნდა დარჩენილიყო გულგრილი და უგრძნობელი საერთო საქმის მიმართ... ეს კანონი რომ ახლაც მოქმედებდეს, განა ყოველი ჩვენგანი შეეძლებდით, სასჯელი თავიდან აგვეცილებინა? გულგრილობის წილ საზოგადოებრივი აქტიურობა — აი, ერთ-ერთი წინამძღვარი ლექტორსა და სტუდენტს შორის ურთიერთნდობაზე დაფუძნებული დიალოგისა. მოქალაქე, განსაკუთრებით კი სტუდენტობა, არც წარმოიდგინება სოციალური აქტიურობის გარეშე. მაგრამ აქტიურობაც არის და აქტიურობაც... აქაც უნდა გამოვარჩიოთ ერთმანეთისაგან (თანაც ძალზე მკაფიოდ, ვინაიდან მათი გაუმიჯნაობა საეალალო შედეგს მოგვიტანს) საზოგადო-

ებისათვის სასარგებლო, ადამიანის მაღალზნეობრივი სულიერი მოთხოვნილებიდან მომდინარე აქტიურობა იმ მანიაკალური ენებისაგან, რომელიც ზოგიერთს, ახალგაზრდასაც და ძველგაზრდასაც, არსებული ხარვეზებისა და სიძნელეების ერთგვარ „კოლექციონერად" ხდის, რომელიც ფილატელისტის გატაცებით ჩხრეკს, ეძებს სხვათა შეცდომებს, მარკებივით აგროვებს, გამოფენს და ტკბება მათი მზერით. ასეთნიც აქტიურობენ, ოღონდ — ცუდი აქტიურობით, როდესაც სხვის თვალში ბეწვს ეძებენ, საკუთარში კი დირეს ვერ ამჩნევენ. მართლაც, ბრმა უნდა იყო ან თავს იბრმავებდე, რომ ვერ ხედავდე, ძალ-ღონის როგორი უკიდურესი დაძაბვით, როგორი გააფთრებული წინააღმდეგობის გადალახვით მიმდინარეობს უზარმაზარი, ურთულესი სამუშაო — რესპუბლიკაში ჯანსაღი სულიერი და ზნეობრივი ატმოსფეროს შექმნის პროცესი. ჩვენთვის ეს ყოფნა-არყოფნის საკითხია — ერის გადაგვარების მკაფიო სიმპტომი ხომ ზნეობრივი კრიტერიუმებისა და ღირებულებების რყევასა და დაცემაში ვლინდება... და როცა ჩვენში ლამის ლეგალიზებული სახე მიიღო იმან, რასაც ნეგატიურ მოვლენებს ვეძახით, როგორც ყოველთვის ძნელბედობის ჟამს, საქართველოში მაშინაც გამოჩნდა ბოროტების დამთრგუნველი ძალები. ჩვენი ინტელიგენცია და, მათ შორის, სტუდენტობა იმ უხილავ ბარიკადზე სწორედ ამ ძალის მხარეს იდგა, დგას და კვლავაც იდგება... უნდა იდგეს — არა ლიტონი განცხადებით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საქმით; ბევრი კეთდება ჩვენში ამ ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად, ბევრსაც ვლაპარაკობთ და — როდესაც ვლაპარაკობთ, ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს მოვლენები ჩვენგან მოწყვეტილი, დამოუკიდებელი არსებობის მქონე რამ სულიერი იყოს, რომელმაც ყველგან შეიძლება დაიბუდოს, მხოლოდ ჩვენს საკუთარ არსებაში — არა. უნდა ვებრძოლოთ — და დაუნდობლადაც — ამ ნეგატიურ მოელენებს, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავში. თორემ ახლა მომრავლდნენ ექიმები, რომლებიც პედაგოგებს მასნავლებლობას ასწავლიან და ინჟინრები, რომლებიც ექიმებს მკურნალობის რეცეპტებს უწერენ. და არის კიდევ ერთი სფერო, რომელშიც ამ ყაიდის ხალხს თავი ყველაზე კომპეტენტურად მიაჩნია — ეს გახლავთ მართვის სფერო; ზოგიერთ ჩვენგანს თავისი ლაბორატორიისათვის, თავისი აკადემიური ჯგუფისათვის ვერ მოგვივლია, ზოგიერთ თქვენგანს საკურსო თუ სადიპლომო ნაშრომისათვის თავი სათანადოდ ვერ გაურთმევია, არადა მართვისა და საჭეთმპყრობელობისათვის კი თავი მზადა გვგონია. არა მგონია, ასეთთა აქტიურობა საზოგადოებისათვის სასარგებლო იყოს... ჭეშმარიტი საზოგადოებრივი აქტიურობა წინა პირობად ჯერ საკუთარი პროფესიული და ზნეობრივი სრულყოფილებისათვის აქტიურობას გულისხმობს. ასე მწამს, ჭეშმარიტი მოქალაქეობისა და მამულიშვილობის წმინდა საუფლოში შესასვლელად თითოეული ჩვენგანის „საავიზიტო ბარათში" უნდა ეწეროს — კარგი სპეციალისტი. ცუდ პედაგოგს, უვიც ექიმს, უხეირო ინჟინერს

არავინ დაგვიჯერებს კარგ ქართველობას და არც იმას, თითქოს უფრო დიდთა საქმეთა აღსასრულებლად ვიყოთ მონოდებულნი.

და არის — ჩვენდა საბედნიეროდ, მაინც არის — საზოგადოებისათვის სასიკეთო აქტიურობა, რომელსაც ბალავრად, პირველ ყოვლისა, საქმე უძევს. „საქმემან შენმან გამოგაჩინოსო" — უთქვამთ და, მართლაც, საქმემ გამოგაჩინათ თქვენ, ჩვენო უხმაურო ენთუზიასტებო — სტუდენტებო და ახალგაზრდა სპეციალისტებო, რომლებმაც გაწმინდეთ უჯარმის კომპლექსი, რომლებმაც მესხეთში თეატრი შექმენით, რომლებმაც სამცხის ტერასები აღადგინეთ, რომლებმაც კონკრეტული, ქმედითი მონაწილეობა მიიღეთ და ღებულობთ ისტორიულ ძეგლთა დაცვა-პატრონობის საქმეში, რომლებმაც შექმენით ახალგაზრდული თეატრები და ჟურნალი „მართვე", რომლებიც მესამე, შრომითს სემესტრში, „პიროფლიანები" იღწვით სოფლად თუ ქალაქად. ამგვარი საზოგადოებრივი აქტიურობის რეალურ საქმედ გარდაქმნა უკვე ახალგაზრდობის მართვის ხელოვნების მაღალ დონეზე მეტყველებს; ამის ერთ-ერთი გამოვლინება გახლავთ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოებისა და კლუბების შექმნა; ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, სწორედ ამგვარი კლუბები უნდა იქცნენ სტუდენტისა და ლექტორის საქმიანი, გულახდილი, პატიოსანი დიალოგის ადგილად.

ამგვარი დიალოგის შესაძლებლობაზე კი დღევანდელი ჩვენი თავყრილობაც მეტყველებს.

„რესპუბლიკის სტუდენტთა აქტივის კრების მასალები", 12.05.1979

წიგნი — განსაქმებული სიტყვა

რუსთაველის საზოგადოების თანაპრეზიდენტის გამოსვლა „წიგნის მოყვარულთა" საზოგადოების მეოთხე ყრილობაზე

სულხან-საბას თქმით, არსებობს **საქმე სიტყვიანი** და **სიტყვა საქმიანი.**

და მაინც — ადამიანის ცნობიერებაში სიტყვა და საქმე ერთმანეთს ეთიშება, ზოგჯერ უპირისპირდება კიდეც.

მით უფრო — საქართველოში.

ეს დაპირისპირება და შეუთავსებლობა სიტყვისა და საქმისა დასაძლევია.

წიგნია სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ანუ განსაქმებული სიტყვა და განსიტყვებული საქმე.

ამიტომაც წიგნის მსახურება განსაქმებული სიტყვის მსახურებაა.

ამოქმედებული სიტყვა ანუ ლოგოსი კი ღმერთია და ამიტომაც უნდა ჩაითვალოს წიგნის სამსახური ღვთისმსახურებად.

ღვთისმსახურება ერის მსახურებასაც გულისხმობს.

ღირსეულად გეტარებინოთ ეს ტკბილ-მწარე უღელი. და ჩვენც, ის საზოგადოება, რომელიც ქართველთა უდიდესი წიგნის ავტორის სახელს ატარებს, მუდამ ამ უღელში ჩაბმული გვიგულეთ.

1990 წ.

უგულო კაცი ვერ კაცობს...

მონყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის დასაფუძნებლად რახან თეატრში შევიკრიბეთ, ალბათ, აღარ გაიკვირვებთ ამ ჩემს „თეატრალურ ასოციაციას": თუ თეატრი გარდერობით ინყება, შესაბამისად, ყოველი საზოგადოება, ორგანიზაცია, ფონდი სახელნოდებით უნდა დაინყოს. ამ ჩვენს ახალდაარსებულ ფონდს სახელნოდებაში უძევს ძირძველი ქართული სიტყვა „მონყალება". საბა „მონყალეს" ასე განმარტავს — „ნყალობის მოქმედი", ხოლო „ნყალობა" ჩვენს დიდ ლექსიკოგრაფს „შურთან" დაპირისპირებულ მოვლენად მიაჩნია; თუ „შური", მისი გენიალური განმარტებით, არის „მნუხარება სხვისა კეთილსა ზედა", „ნყალობა" ყოფილა „მნუხარება სხვისა ბოროტსა ზედა". ამის კვალობაზე — „ნყალობის მოქმედი" ანუ „მონყალე" იგია, ვინც შენუხებულ-შეძრულია ბოროტებითა და უკეთურობით, ვისაც ენყალება ყოველი გაუბედურებული და უპოვარი.

ამიტომაც წარემძღვარება ხოლმე უზენაესს ეპითეტად „მონყალე"... რუსთაველი გავიხსენოთ: „ღმერთო, ღმერთო მონყალეო, არვინ მივის შენგან კიდე"...

მაგრამ შოთასა და საბას შემდეგ სიტყვა „მონყალებამ" მნიშვნელობა გაიფართოვა და დღეს, უპირველეს ყოვლისა, **გლახაკთა ანუ მათხოვართა** გასაკითხს აღნიშნავს; ერთგვარად დაიჩრდილა ის ძველი მნიშვნელობა, რომელიც დიახაც უზუსტესად მიესადაგებოდა ამ ახალი, ძირითადად — საქველმოქმედო, რომ იტყვიან, საღვთო დანიშნულების საზოგადოებას.

ზოგმა, შესაძლოა, ეს ახალშეძენილი მნიშვნელობაც შესაფერისად მიიჩნიოს — განა მონყალების ფონდმა არ უნდა გაუწოდოს დახმარების ხელი ეკონომიურად შევიწროებულ, გაჭირვებულ ხალხსო? ცხადია, უნდა გაუწოდოს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ სიკეთის გაღებას, ქველმოქმედებას დიდი ტაქტი სჭირდება, დიდი კულტურა: ქართველის ბუნება

გასაკითხს ვერ ეგუება, მოწყალებას იგი ძნელად იღებს, თავის დამცირებას — გაჭირვებასა და შიმშილში ყოფნა ურჩევნია... ასეთები ვიყავით და, ღმერთმა დაგვიფაროს — გამოვცვლილიყოთ! ვისზედაც ვზრუნავთ, ვისაც წყალობას ვუყოფთ, მას ღირსება სიტყვიერად, ფორმალურადაც კი არ უნდა შეებღალოს... მოწყალებას გირიგებთო, ამას ფსიქოლოგიურად ქართველი ვერ შეეგუება; თანაგიგრძნობ, ზრუნვას, თუნდაც ცრემლს გიზიარებო — ამას კი მადლიერებით მიიღებს.

ამიტომაც, ჩემი აზრით, უპრიანი იქნებოდა, თუ ამ საზოგადოების სახელწოდებად „მოწყალებას" ერთ მოკლე სიტყვას წარვუმძღვარებდით — „გული". რაც დღეს გვჭირს (მარტო ჩვენ არა — მთელ ურბანისტულ სამყაროს; ჩვენ, ღვთის მადლით, სხვებზე ნაკლებად!), გახლავთ სწორედაც **უგულობა**. სწორედაც გული აღარ გულობს, გული — ბუდე ცეცხლისა, ცრემლისა და სიყვარულისა — კიდეც გაგვიქვავდა, კიდეც გაგვიხევდა, კიდეც გაგვეყინა. ყოველივე ამან გული **გაგვიწყალა** არა გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით — უფრო სწორად, გაგვიწყალდა ის სასიცოცხლო წვენი, გულს რომ უნდა გვიძგერებდეს და გვიმოძრავებდეს. უმოძრაო გული კი მკვდარია, გახევებულ-გაქვავებულ-გაყინული გული გინდა გვდებია მკერდში, გინდა — არა: „უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან".

მოკლედ, არა მხოლოდ და არა იმდენად „მოწყალებისათვის", რამდენადაც **„გულმოწყალებისათვის"** შეიქმნა ეს საზოგადოება. გულმოწყალება ანუ თანაგრძნობა ანუ თანალმობა კი ყველას, უკლებლივ ყველას გვჭირდება. სჭირდებათ ბავშვებს, სჭირდებათ მოხუცებს, სჭირდებათ ავადმყოფებს, სჭირდებათ დავრდომილებს, სჭირდებათ ხეიბრებს, სჭირდებათ პატიმრებს... მაგრამ იგი სჭირდება ჯეელსა და ჯანმრთელსაც, სჭირდება, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ გულმოწყალებისა და სიკეთის არა მარტო მიღებაა შვება-ნეტარება, არამედ — გაღებაც... სწორედაც — გაღება: მიღება თუ ხორცს მოუოხებს ჩვენსას, გაღება — სულს.

ერთიცაა: ვისაც არაფერი დაუთესია (მათ შორის — გულმოწყალებაც), იგი, საცა სამართალია, ვერც უნდა იმკიდეს ვერაფერს.

ისევ საბას მივუბრუნდეთ: „მოწყალე — წყალობის **მოქმედი**", ესე იგი, **უმოქმედოდ** წყალობა ცარიელა სიტყვადღა რჩება, მარტოოდენ პირში ენის გალაღლაღებად... თეატრი გარდერობით კი იწყება, მაგრამ, ღმერთმა დაიფაროს, გარდერობითვე მთავრდებოდეს. საზოგადოებაც სახელწოდებით იწყება, მაგრამ სახელწოდებით, ცხადია, ვერ დამთავრდება. სახელწოდება, ბოლოს და ბოლოს, აბრაა, სავიზიტო ბარათია, სიტყვაა. აქ კი მთავარია საქმე. ალბათ, ყველამ ვიხილეთ, როგორ საქმობს, როგორ დაფოთარობს დედა ტერეზა — სიტყვაძუნწი დედა ყოველთა შეჭირვებულთა.

თუმცა — სიტყვაც არის და სიტყვაც. იმ სიტყვა-ლოგოსში, რომელიც „პირველითგან იყო", ჰგიებდა მოქმედების ის ძალა, „რომელმა **შექმნა** სამყარო ძა-

ლითა მით ძლიერითა". წიგნს, რომელიც სიტყვის მიერ სამყაროს შექმნაზე მოგვითხრობს, ქართულ ენაზე — გენიალურ ქართულ ენაზე — „შესაქმეთა წიგნი" ჰქვია (იმდენად გენიალურზე, რომ ხანდახან კაცს, შესაძლოა, მკრეხელურმა ეჭვმაც კი გაგკრას — ვართ კი ღირსი ქართველები ამგვარი ენისა?).

გულმოწყალების გზა ვერ იქნება, არ შეიძლება იყოს ადვილი და ია-ვარდით მოფენილი. ხშირად გვსმენია — საზოგადოებრივი ორგანიზაცია მკვდრადშობილია, თუ „ზემოდან" არის ინსპირირებულიო. ამგვარი ეჭვი ყოველთვის როდია უსაფუძვლო (ან — პირიქით: ყოველთვის როდია საფუძვლიანი). ასეა თუ ისე, „გულმოწყალების საზოგადოება" მართლაც არის „ზემოდან", უფრო სწორად — „მაღლით" ინსპირირებული, ინსპირირებულია თექვსმეტი საუკუნის წინათ, იმ ხანიდან მოყოლებული, როცა საქართველოში სიყვარული, თანალმობა და გულმოწყალება სახელმწიფოებრივ მორალურ-რელიგიურ კანონად გამოცხადდა. ასე რომ, ეს ყველაზე ახალგაზრდა საზოგადოება გულმოწყალებისა ამავე დროს ;ველაზე ხანიერიცაა.

სიტყვამ მოიტანა და, ჩვენში არსებობს „ქვემოდან" წამოსული ინიციატივით შექმნილი თანალმობა-გულმოწყალების ჯგუფები, მათ შორის — რუსთაველის საზოგადოების ახალგაზრდული ასოციაციის „საქველმოქმედო სამსახური". ასე რომ, „გულმოწყალებისა და ჯანმრთელობის ქართული ფონდი" თავის ტკბილ-მწარე უღლის ზიდვაში კენტად არ დარჩება.

ილია ბრძანებდა, კარგში, სიკეთეში დიდპატარაობა არ არსებობსო. ახალდაარსებული საზოგადოებაც, ალბათ, დიდთა კეთილთა საქმეთა გვერდით, ერთი შეხედვით, ნვრილმან, დღიურ სასიკეთო მუშაკობასაც არ მოერიდება. მთავარი აქ გულმოწყალების თანაბარი, საყოველთაო განაწილება-გაზიარებაა...

თუმცა, რას ვცოდვილობ, ამასაც რუსთაველზე უკეთ ვინ იტყვის:

„ყოვლთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა, მოათოვდეს".

1989 წ.

ქება სიჯანსაღეს

სიტყვა, წარმოთქმული ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნებისას

ბატონებო!

სიჯანსაღე, ასე მგონია, თავისუფლებაც არის... და — პირუკუ: თავისუფლება სიჯანსაღეც გახლავთ... მოკლედ, ერთი მეორესა გულისხმობს. ჯანმ-

რთელობას დაკარგავ და — სულ ერთია, კერძო კაცი იქნები თუ მთელი ერი — თავისუფლებაც გეზღუდება. მეორე მხრივ, თავისუფლების წაგვრა უცილობლად იწვევს ჯანმრთელობის შერყევას, დაავადებას. ამიტომაც უნდა ჩაითვალოს თავისუფლების წამგვრელი ერი სნეულების გამავრცელებლად. ჩვენ, ქართველებს, გვაკლდა თავისუფლება, ესე იგი, გვკლებია სიჯანსაღეც. მხოლოდ ამ აზრით შეიძლება ჩვენს დაავადებაზე ლაპარაკი და არა იმ უკუღმართული გაგებით, რის დამკვიდრებასაც რასპუტინ-ასტაფიევი და „ძმანი მათნი" ლამობენ; ეს იმასა ჰგავს, ბოდიში მომითხოვია და, ნაძრახმა დედაკაცმა ლუესის ჯვრებით დაგაჯილდოვოს და თანაც აქეთ გიჩივლოს — გლახა სნეულებას ავრცელებო.

მრავალი ფაქტისა და ციფრობრივი მონაცემის მოყვანა შეიძლებოდა ჩვენი ერის სპორტულობის დამადასტურებლად. აქ ითქვა, რომ ერთ სულ მოსახლეზე ოლიმპიური ჩემპიონების რაოდენობით ჩვენ, ვგონებ, ამერიკის შეერთებულ შტატებსაც კი ვუსწრებთ... ამგვარმა სტატისტიკამ მეც გამახარა, ოღონდ... არ მინდოდა ერთგვარი დისონანსი შემეტანა ამ ზეაწეულ განწყობილებაში, მაგრამ მაინც ვიტყვი — ციფრები და სტატისტიკა ყოველთვის როდია არსის წარმომჩენი. სტატისტიკას რომ გავყვეთ, ერთ სულ მოსახლეზე ჩვენ, ქართველებმა, ექიმების რაოდენობითაც უკვე კარგა ხანია უკან მოვიტოვეთ ამერიკაცა და საფრანგეთიც, ჩვენს ავადმყოფებს კი — ამერიკას სად შეეწედებით და — ლამის გლანდების ამოსაკვეთადაც მოსკოვს მივარბენინებთ. მეც ვგრძნობ, რომ — როგორც ყოველი შედარება — ეს ანალოგიაც მოიკოჭლებს, მაგრამ ამით მხოლოდ ერთი რამის თქმა მინდოდა: ვაითუ დიდი სპორტის მიღწევებმა და ოლიმპიური მედლების ბრჭყვიალმა თვალი ისე მოგვჭრას, რომ ვერ დავინახოთ მთლიანად ერის სიჯანსაღის, მისი ჯანმრთელობის მრავალი უმძიმესი და გადაუჭრელი პრობლემა. განა ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებელია ჩვენი ბავშვების, ახალგაზრდების ან თუნდაც „ძველგაზრდების" ფიზიკური მზადყოფნა? ეს დონდლო, ქონმოდებული და გათრიაქებული ხალხი ვაპირებთ საქართველოს გათავისუფლებას?

არადა, ჩვენ მართლაც ვართ სპორტული ერი, რამდენადაც, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ფეთქავს ჩვენში ძველი მეომარი ტომის გენი; ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი შერკინების, შეტოქების, შეჯიბრის, ჭიდილის ჟინი. და, რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ჩვენი სპორტულობა, ჩემი აზრით, ჩვენი დემოკრატიული ბუნებიდანაც გამომდინარეობს: ჩვენ, ქართველებს, უთანასწორო ომებში რომ გავცვდით, გვიზიდავს სპორტული არენა, ის ასპარეზი, რომელიც მოდელია სისხლსავსე ცხოვრებისა, მაგრამ — გაუმჯობესებული მოდელი: აქ დემოკრატიული თანასწორობის სული ტრიალებს, სპორტულ ასპარეზზე ორნი ერთს არ ებრძვიან, მძიმე მჩატეს არ ერკინება, აქ არ არსებობს პატრონი და ყმა... ვეფხისტყაოსანი გავიხსენოთ, სადაც თამამი მოყმე ავთანდილი საასპარეზოდ იწვევს თავის პატრონს მეფე როსტევანს:

„მინაცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა მშვილდოსანია,
ნაძლევი დავდვათ, მოვასხნეთ მოწმედ თქვენნივე ყმანია.
მოასპარეზედ ვინ მგავსო? — ცუდნიღა უკუთქმანია,
გარდამწყვეტელი მისიცა ბურთი და მოედანია".

და, ცხადია, ისიც გახსოვთ, რომ სპორტულ ასპარეზზე სამეფო ჯიღამ ვერ უშველა როსტევანს, შეჯიბრის ბედი თვალმა და მკლავმა გადაწყვიტა. ამ თანასწორობისა და სამართლიანობისთვისაც გვიყვარს და გვიზიდავს ქართველებს სპორტი.

ოლიმპიური დამოუკიდებლობა ერთი შემადგენელი ნაწილია საერთო პოლიტიკური დამოუკიდებლობისა. ამავე დროს სპორტული სუვერენიტეტი დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი ერის გაჯანსაღებას. აკი თავშივე მოგახსენეთ, თავისუფლება სიჯანსაღეც არის-მეთქი. ზოგი ასე ფიქრობს, ჯერ გავთავისუფლდეთ და მერე გავჯანსაღდებითო... არადა, განსათავისუფლებლად სწორედ სიჯანსაღეა საჭირო. მიზანიც ნათელია: ჩვენი ერის გაჯანსაღება-გათავისუფლების წმინდა საქმეს უნდა ემსახუროს ახლად დაფუძნებული საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

ცრემლი მარტო უბედურებამ როდი იცის... გვინახავს ოლიმპიურ ჩემპიონთა ბედნიერების ცრემლიც თავიანთი გამარჯვების აღსანიშნავად ეროვნული დროშის აღმართვისას. მჯერა, ჩვენც აგვიკიაფდება თვალზე ამგვარი ცრემლი, როცა ოლიმპიური გამარჯვების მაცნედ საქართველოს ეროვნული დროშა ცად აიჭრება.

„ღელე", 21.10.1989

საქართველოს ცოტნე არ დაელევა

ფრაგმენტი ტელეგამოსვლიდან 1988 წლის ნოემბრის შიმშილობისას

...ხდება დიდმნიშვნელოვანი მოვლენები ჩვენს ცხოვრებაში... მოპოვებულია არა მარტო უზარმაზარი ზნეობრივი, არამედ რეალური გამარჯვებაც — საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რესპუბლიკის სუვერენიტეტის ხელყოფის შესაძლებლობას ვერ დაგვიკანონებენ... გამარჯვებისას კი — კაცის ბუნება ასეთია — დაფნის გვირგვინს ბევრის ხელი ნაპოტინება ხოლმე... ამჯერად კი, თუ ვინმეა დასადაფნავი, უპირველეს ყოვლისა, ის ახალგაზრდები, ვინც საკუთარი სიცოცხლის — არა კეთილდღეობის, არა ჯანმრთელობის, არამედ სწორედაც სიცოცხლის — სასწორზე შეგდებით დაგვანახეს, რომ საქართველოს ცოტნე არ დაელევა...

სწორედ ახალგაზრდულმა ანთებულმა გულმა ქნა თავისი საქნელი: ზნეობრივი და, ფაქტობრივად, იურიდიული ბატალიაც მოგვაგებინა. მაგრამ გამარჯვებაზე ნაკლები ხელოვნება არ გახლავთ გამარჯვების შენარჩუნება, განმტკიცება და სახვალიო გამარჯვებათათვის სამზადისი... საამისოდ კი მარტო მხურვალე გული და ცხელი სისხლი არ კმარა, აქ უკვე მთავარია ნათელი და, თუ გნებავთ, ცივი გონება, ყოველმხრივი განსჯა, ასჯერ გაზომვა და ერთხელ გადაჭრა... ეკლესიასტე გვასწავლის: არის ჟამი სიკვდილისა და ჟამი შობისა, ჟამი გოდებისა და ჟამი როკვისა, ჟამი თესვისა და ჟამი ამოძირკვისა, **ჟამი ქვათა მობოჭვისა და ჟამი ქვების სროლისა...** და, თუ ამ ხატოვან თქმას გავიმეორებთ, ნურავის ვეცდუნებინებით — არ დამდგარა ჟამი „ქვათა სროლისა"... წინდახედულებას მოვუხმოთ — ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა საქართველოში არ ჩამოდგეს საგანგებო ჯარი, არ გამოცხადდეს ავადსახსენებელი საკომენდატო საათი და, ღმერთმა დაგვიფაროს, არ დაიღვაროს წვეთი სისხლიც კი ქართველისა... და — არა მარტო ქართველისა — ჩვენში მაცხოვრებელი არც ერთი კაცისა. ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს: თუ სხვაგან სიძულვილი მძვინვარებდა, აქ სიყვარული სუფევდა და სიყვარული გვაშენებინებდა მტრობით დანგრეულს.

ამიტომ ჩვენმა საზოგადოებრიობამ, ჩვენი ფორმალური თუ არაფორმალური გაერთიანებების ლიდერებმა, ყველამ უნდა იგრძნოს პიროვნული პასუხისმგებლობა იმისა, რომ ერი, უპირველეს ყოვლისა, მათ მოსთხოვს პასუხს, თუ ქართული ეროვნულობის ხეს რაიმე მოუზომავი სიტყვითა თუ ნინდაუხედავი ქმედებით ძირი მოერყევა. დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა გავერთიანდეთ და ეს სულიერი ერთიანობა მოქმედების ერთიანობითაც დავადასტუროთ, ჩვენი ეროვნული ენერგია კი გამოვავლინოთ სადღეისოდ ყველაზე ქმედითი, ყველაზე ღირსეული, ყველაზე მართებული ფორმით, რაც გამორიცხავს ქაოსს — ყოველგვარ უკეთურობათა სათავეს.

„თბილისი", 30.11.1988

ჩვენი დრო და ზნეობრიობა

რადიოგამოსვლა

„ჩვენი დრო და ზნეობრიობა" — ამგვარმა შესიტყვებამ, შესაძლოა, ერთგვარად დაგადარაჯოს კიდეც, მსმენელო. განსაკუთრებით ამ მრავალგზის ნაბან-ნაკრიალებმა, ნახეხმა და ფერ-უმარილით შეფეთქილმა „ჩვენმა დრომ". „ჩვენი დრო" — ამ 70 წლის მანძილზე არა მარტო და არა იმდენად გვესმის,

რამდენადაც ვხედავთ კიდეც ამ სიტყვებს: მუქი ფერის კოსტიუმები ჩაუცვამთ, ჰალსტუხებში გაყრონჭილან, ხელისგულები ტაშისცემით დასწითლებიათ... არადა, კაცმა რომ თქვას, რას ვერჩი ამ „ჩვენს დროს" — თვით ეს სიტყვები ხომ არაფერ შუაში არიან, დამნაშავენი ჩვენ ვიყავით და დღესაც ჩვენ ვართ, როდესაც სიტყვებს უზნეოდ ვხმარობთ, უზნეოდ ვხარჯავთ.

ზნეობა, გარკვეული თვალსაზრისით, ზედროული მოვლენაც არის და მასთან მიმართებაში დრო (და თანაც — მაინცდამაინც ჩვენი) არაფერი მოსატანიაო, ზოგმა, შეიძლება ასეც ჩათვალოს; მაგრამ ეს ზედროული ზნეობრივი იმპერატივები ამ მედინ წუთისოფელში რეალურ ქცევად, ჩვევად, წესად, ტრადიციად ვლინდება და დრო ამას ყველაფერს თავის დამღას აჩნევს. ზოგჯერ რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, საყოველთაო აქტი მეყსეულადაც კი ცვლის ზნეობრივ ფორმულებს, ცნებებს, წარმოდგენებს... განა ერთნაირია ჩვენი წარმოდგენა, ვთქვათ, დანდობასა და დაუნდობლობაზე, გულმოწყალებასა და უმოწყალობაზე 9 აპრილამდე და 9 აპრილის შემდეგ? ალბათ — არა; აქ მთავარია, კარგად გავიაზროთ ამგვარი ცვლილებების ლოგიკა და, უზენაესი ზნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარე, ან შევინარჩუნოთ ჩვენი ტრადიციული გაგება „მოწყალება-უმოწყალობისა", ან გარკვეული კორექტივები შევიტანოთ მასში.

მაშ ასე, რა არის ჩვენთვის, ქართველთათვის, ერთი მხრივ, **მოწყალება**, მეორე მხრივ კი — **უმოწყალობა**? საბა მოწყალეს ასე განმარტავს: „ნყალობის მოქმედი". მოწყალების გზა არსად და არასოდეს ყოფილა ადვილი და ია-ვარდით მოფენილი; მაგრამ ეს მაინც ერთადერთი გზაა, მართალია — ძნელი, ოღროჩოღრო და მარძიკიან-ხიფათიანი, მაგრამ მაინც უცდომლად მიმყვანი ტაძართან. არსებობს ამ სიტყვის საპირისპირო გაგებაც, **მოწყალე**-ს საპირისპიროდ არის ნანარმოები **უმოწყალო**. საბა **უმოწყალოს** ასე განმარტავს — „მოწყალებისაგან უცხო". დღეს კი „**უმოწყალო**", უპირველეს ყოვლისა, ულმობელს, დაუნდობელს, შეუბრალებელს ნიშნავს. ისტორიულად ასე ყოფილა — ქართველების ტრადიციულ მოწყალებას ანუ გულმოწყალეობას პასუხად **უმოწყალობას** მიაგებდნენ... თუმცა, რაღა ისტორიულ წარსულს ვაწუხებთ: გუშინ არ იყო, ჩვენს მოწყალედ გაღებულ გულსა და სულში დაუნდობლად რომ ჩაგვაფურთხეს, მოწყალებისათვის აღვლენილი „მამაო ჩვენო" **უმოწყალოდ** რომ დაგვიჩეხეს პირალესილი ნიჩბებით?..

მაგრამ ამანაც კი, ჩემი აზრით, არ უნდა გვაქციოს ჩვენ, გულმოწყალე ერის შვილები, **უმოწყალო**, შურისმაძიებელ, დაუნდობელ ხალხად... ვერც გვაქცევს! ამით იმას როდი მოგახსენებთ, მორჩილად დავუდოთ თავი ყოველგვარ **უმოწყალობას**, ყოველგვარ **უსამართლობას**... არა და არა! თვით სათნოების განსახიერება, „წყალობის მთოველი" ძე კაცისა, მაცხოვარი, როცა ხედავს საკუთარი მამის სახლს, საყდარს, ვაჭართა და მეკარმეთა მიერ შეგინებულსა და გაბაზრებულს, ხელთ შოლტს აიღებს. სხვა შემთხვევა-

შიც იტყვის იგი, მოვედ არა მოფენად მშვიდობისა, არამედ მოვედ მახვილად... მაგრამ ამ მახვილს, სიმართლისათვის ალესილს, მოწყალე, სნორედაც გულმოწყალე კაცის მარჯვენა თუ გაამარჯვებინებს.

დავიმახსოვროთ: უმოწყალო, დაუნდობელი, ბოღმით სავსე კაცი, უბრალოდ, მეტ შეცდომას უშვებს!

ჩვენ, ქართველებს, შეცდომის დაშვების უფლება თითქმის აღარა გვაქვს!

„მშვიდთა დაიმკვიდრონ ქვეყანა", მშვიდთა, ცხადია, და არა მხდალთა!

საქმესაც მშვიდად უხდება კეთება...

15.5.1989

დიდგორი

სიტყვა, წარმოთქმული დიდგორის მემორიალის საზეიმო გახსნაზე

ქართლოსიანნო! ერის სული, ერის ენერგია დრო-სივრცის გადაკვეთის რომელიღაც წერტილში თითქოსდა მკვრივდება, ხორცს ისხამს, განსაგნდება და განსაქმდება. ეს ჟამი დაგვიდგა ქართველებს აქ, დიდგორს, ათას ას ოცდაერთი წლის თორმეტ აგვისტოს, როს შეწევნითა ღვთისა და საფასად სისხლისა ჩვენისა მოგვეცა ძლევაჲ საკვირველი. დიდებული იყო ჟამი იგი, ღირსი ნატვრისა — შეყოვნდი, ნამო! და მოხდა სასნაული — წამი იგი გაიწელა და საუკუნეებს გადმოსწვდა; დიდგორმა არამარტო გადაგვარჩინა — დიდგორმა შეგვინახა და დიდგორისავე „ნამცვრევებმა" მოგვატანინა სული აქამომდე.

ძეგლი მხოლოდ მარმარილოსაგან როდი ითლება — დიდგორი თავად არის ძეგლი ხელთუქმნელი; ამგებელი მისი სრულიად საქართველოა, ხოლო ხუროთმოძღვარი — ქართველთა შორის უპირველესი აღმაშენებელი, დავით მეოთხე ბაგრატიონი. „რა წარმოდგეს ჟამი წვლილთა და ხმელთა აღმოფშვინვათაჲ, მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო", — ევედრებოდა დავითი უფალს. და როს დაუდგა ჟამი სულის აღმოფშვინვისა, როს წარხდა ზარი მეფობისა და დაშრტა დიდება, სხვამან მიიღო სკიპტრა, სხვათა შეუდგნენ სპანი, მაშინ შეინყალა უფალმან დავით, შეინყალა გელათისათვის, შეინყალა „სინანულისათვის", შეინყალა დიდგორისათვის.

და აჰა, დიდგორს, სულიერ ძეგლს ქართველობისას, ედგმება ოსტატისაგან ხელთქმნილი ძეგლიც.

ორმოცდაშვიდი ჯავარდენია — ჯვარადამოზრდილი ჯავარდენი — ჩარ-

ტყმული დიდგორის მკერდზე; ათჯერ ორმოცდაშვიდი მახვილი არ გვეყოფა, რომ თითოეულს ჩვენი გარდახდილი ომების სახელები დაენეროს — შამქორი და ბასიანი, დიდგორი და მარაბდა, მარტყოფი და ასპინძა, ტაშისკარი, ხრესილი, კრწანისი... და, ვინ მოთვლის, სხვა რამდენი...

შვიდი სვეტია დადგმული დიდგორზე: ასჯერ შვიდი სვეტი არ გვეყოფა, რომ თვითეულს ჩვენი აგებული ტაძრების სახელები დაენეროს — ბოლნისი და სვეტიცხოველი, გელათი და ბაგრატი, ატენი და ბანა, ჯვარი, სამთავისი, ოშკი... და ვინ მოთვლის, სხვა რამდენი...

ერთი დედაბოძი, მზისთვალა დედაბოძი, ადგას დიდგორს თხემზე, მაგრამ ბევრისბევრი, უთვალავი დედაბოძი ჩაუდგამს ქართველს თავის კერაში. და ეს დედაბოძი გვეღაღადება: არ მომშალოთ, არ ამომძირკვოთ, მტერს ნუ გაახარებთ, გამრავლდით, ქართველებო!

დიდგორზეევ ამოსულა ხე სიცოცხლისა და მასზე ჩამობმული ზანზალაკებიც ნიავის ყოველ გატოკებაზე წკრიალებენ — გაძლიერდით, ქართველებო!

კბოდეზე გადმომდგარი მებუკე — იერიქონის საყვირით რომ აზანზარებს საქართველოს ჰაერს — ფილტვების დასკდომამდე გვიხმობს — შეერთდით, ქართველებო!

სისხლისგან დაცლილი, ჩამუხვლილი, მაგრამ ხმალგაუგდებელი მოლაშქრეც ამას გვევედრება — განმტკიცდით, ქართველებო!

გაძლიერდით...

განმტკიცდით...

გამრავლდით...

შეერთდით...

დიდგორის თხემიდან, მაღლიდან, ზეციდან ეშვება ხვალის საქართველო — სასხლავ-საჭრეთლიანი, ხმლოსანი, წიგნიერი საქართველო, ნინოს ჯვრით გზაგანათებული.

ამაღლდი, საქართველოვ!

„ლიტერატურული საქართველო", 7.9.1990

წელი პირველი

სიტყვა, წარმოთქმული 1990 წლის 9 აპრილის სამგლოვიარო მიტინგზე

„წელი ათასი, ვითარცა ერთი დღე" — ბრძანებს დავით წინასწარმეტყველი.

და — პირიქითაც: დღე ერთი, ვითარცა ათასი წელი...

დგება წელი, დღე, თვით წამიც კი ერის ცხოვრებაში, საუკუნეებს რომ გადასწონის.

ასეთი იყო დღე ცხრა აპრილისა; ასეთი იყო 1989 წლის ცხრა აპრილიდან ნელი პირველი — ამ დღემ ისე შეგვძრა, ჟამის ათვლა ლამის მისით დავიწყოთ.

გასრულდა ნელი პირველი...

ვისთვის უსასრულოდ გაიჭიმა ეს წელიწადი, ვისთვის — გასხლტა თვალის ერთი დახამხამება; ზოგისთვის კი ჟამის მდინარე სულაც შედგა, შეგუბდა.

დედებისათვის, ჩვენი ახალი დროების მოწამეთა დედებისათვის, შეჩერდა ჟამი.

რა ვუთხრათ მათ, რა შევბედოთ, რით ვანუგეშოთ?

„და ისმა ხმაᲲ გოდებისაᲲ და ტირილისაᲲ და ტყებისაᲲ მრავალი. რაქელ სტიროდა შვილთა თვისთა და არა უნდა ნუგეშინის-ცემის, რამეთუ არა არიან".

არ არსებობს ნუგეშისცემის სიტყვები დედებისათვის, „რამეთუ არა არიან" თამრიკო და ნათია, ეკა და გია, ნინო და აზა, მანანა და მამუკა, ნატო და ნანა, ელისო და ნოდარ, მარინა და შალვა...

არ არსებობს სანუგეშო სიტყვები არც ქალბატონ თინას, ზაირას, მზიას, თამარის შვილებისათვის. შვილმოკლულ დედებს თუ მკერდი ეხრუკებათ, შვილებს სასა უშრებათ დედების სიკვდილზე.

არსებობს მხოლოდ სანუგეშო საქმე — მათი სიკვდილით აღმდგარი საქართველო.

მათეს სახარება გვამცნობს, ძალაუფლების დაკარგვის შიშმა როგორ გააჟუჟვინა ჰეროდეს, ჰურიასტანის მეფეს, უცოდველი ყრმანი — მათ შორის ეგულებოდა მხეცკაცს ახლად მოვლენილი მესია, იესო.

ქრისტეს შობა თავისუფლების დაბადებაც იყო — სწორედ მაცხოვარმა გაათავისუფლა ადამის მოდგმა პირველქმნილი ცოდვისაგან.

თავისუფლებაც კაცივით იბადება და მის მოვლინებასაც ახლავს ხოლმე გაუსაძლისი სამშობიარო ტკივილები.

ასეთი ტკივილით შვა საქართველომ თავისუფლება 1989 წლის ცხრა აპრილს.

იცოდნენ ახალი დროის ჰეროდეებმა, ჩანასახში რომ უფრო ადვილია მოშთობა ჩვილისა, ამიტომაც გალეწეს სისხლის კალო ამ ადგილას.

ცხრა აპრილის მარტვილები ამ ახლად მოვლენილი ყრმის — თავისუფლების — მახარებლები არიან, მისთვის სისხლდანთხეულები. სწორედ მათ გაიღეს თავისუფლებისათვის ყველაზე დიდი გამოსაღები — სისხლი.

სისხლს კი გაფრთხილება უნდა; რუსთაველი ბრძანებს: *„სისხლი კაცისა უბრალო კაცმანცა ვით იტვირთაო".*

ვაი რომ, დაიღვარა სისხლი, უბრალოთა სისხლი... უბრალოთა — არა იმ აზრით, რომ დაღუპულთ მანამდე რაიმე განსაკუთრებული როლი არ უთა-

მაშიათ ეროვნულ მოძრაობაში (ამ მოძრაობის უპრეტენზიო რიგით-ნევრობა, იქნებ, უფრო სანუკველიც იყოს, ვიდრე პრეტენზია თავკაცობისა, რაც ასე ჭარბად მოგვდგამს ქართველებს); უბრალო-მეთქი, აქ ბრალის არმქონეს ვგულისხმობ.

ისინი, ისევე როგორც მათ გვერდით ჩაჩოქილი ათასები, განსაცდელს არ გაჰრიდებიან; სანთლები აინთეს და სამსხვერპლოდ განიმზადეს თავი.

კაცი რომ მზადაა სიცოცხლე დათმოს, იმ სიცოცხლეს უნდა განსაკუთრებით გაფრთხილება.

ვერ გავუფრთხილდით...

მაგრამ დღეს ჩვენ აქ არც ვისმე დასამუნათებლად და არც განსაკითხად არ შევკრებილვართ. არ დამდგარა საამისო დრო-ჟამი საქართველოში. საერთოდაც, შურისძიება სისუსტის ნიშანი უფრო მგონია, ვიდრე ძალისა... არცა ვართ, ღვთის მადლით, ქართველობა შურისმაძიებელი ხალხი. დრო — ეს შეუმცდარი მსაჯული — „მართალი სამართლით" განსჯის; ცხრა აპრილის ტრაგედიის ყველა მონანილეს თავისი მიეწყვის, ყველას თავისი ადგილი მიეჩინება: კრავებს — უფლის მარჯვნივ, თიკანთ — მარცხნივ. ერთი მსჯავრი კი არანაირ დროის გამოცდას არ დაექვემდებარება: ქართველმა ერმა ცხრა აპრილს დაღუპულნი მონამეებად მიიჩნია; ხალხის ცნობიერებაში კი ყოველი მოწამე წმინდანად შეირაცხება. წმინდანთა დასში ეგულებოდა ისინი მერაბ კოსტავას, ეროვნული მოძრაობის ამ თეთრ გიორგის, მუდმივად მზადმყოფს ურმის თვალს გადასცმოდა საქართველოსთვის. ბედისწერამ ააცილა მას სიკვდილის ცელი ამ მოედანზე, მაგრამ სულეთშიც არ მიუტოვებია მერაბს ასულნი და დანი და დედანი და ძმანი თვისნი დიდი ხნით. და როგორც ისინი ეიდოდნენ მერაბის კვალზე ამ სოფელში, ისე გაჰყვა იგი მათ კვალს იმ სოფლად... გაჰყვა სასუფევლისკენ.

ბევრ რამეზე აგვიხილა თვალი წელმა პირველმა. ტოტალიტარული რეჟიმი რომ დალპა, მმართველობის ავტოკრატული სისტემა რომ ირყევა და იმპერია იშლება, ამას უკვე ყველა ხედავს. ვიმეოროთ ეს ცხადი ჭეშმარიტება დაუსრულებლად? ვფიქრობ, არა ღირს... სითამამეშიც აღარ ჩამოგვერთმევა — ამისათვის ახლა აღარ იჭერენ. მაგრამ, ჩემი აზრით, მეტი წინდახედულება გვმართებს, როცა უმაღლეს და სამხედრო ხელისუფლებას ერთგვარ გამოცდას ვუწყობთ — მიმართავს თუ არა იგი უკიდურეს ზომებს? მიმართავს! აკი მიმართა აქაც, ყარაბაღშიც, ბაქოშიც... კვლავაც მიმართავს; ისტორიული ფაქტია: სკვითი ყოველთვის, ან თითქმის ყოველთვის ჩაჭრილა ამ გამოცდაზე. გადასაჩეხად განნირულებმა უფსკრულში სხვათა გადაყოლიება იციან ხოლმე. მაშ რა ვქნათო, იკითხავთ, გულხელი დავიკრიფოთ და ველოდოთ, როდის მოგვერთმევა ხონჩით ნანატრი დამოუკიდებლობა? აკი — „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი"? სჯობს, ჭეშმარიტად, ოღონდ სახელოვანი სიკვდილი და გმირული თავგანწირვა კერძო კაცებს უნდა მოგვეკით-

ხოს და არა მთელ ერს — ამ გმირულ სიკვდილს ხომ მხოლოდ ერის გადასარჩენად აქვს აზრი? ცხადია, ქართველობა ვერ ვისხდებით გულხელდაკრეფილი და ყაბულ-ფლავის მომლოდინე, მაგრამ არც მხოლოდ კეტის ამარა უნდა დავრჩეთ ტანკის პირისპირ. რამდენადაც დიდებული, ამაღლებული სანახავი იყო ტანკზე მისული ხელკეტიანი ქართველი, იმდენად უბადრუკი და გულსაკლავი გამოჩნდება კეტით რაკეტასთან მორკინალი საქართველო. ტანკსაც და რაკეტასაც მხოლოდ სული დასძლევს, სული ცხოველი, შემოქმედებითი, მაშენებელი... ვიცი, ეს სული ზოგ რასმე დაანგრევს კიდეც. დასანგრევი დე დავანგრიოთ, ჩვენც მანდა ვართ... ესაა მხოლოდ — ნანგრევებში არ უნდა ჩავიმარხოთ. ცალკეულ პირებზე არ მოგახსენებთ: საქართველო არ უნდა დაიტანიოს იმპერიის ნანგრევებმა. თანაც, მხოლოდ უარყოფა, მხოლოდ ნგრევა, მხოლოდ პროტესტი ვერ გვაპოვნინებს სულიერ საქართველოს — სანუკველ სამშობლოს ჩვენსას, თავისუფალსა და ღირსეულს. ასეთ საქართველოს შენება უნდა, შენებას კი ცოდნა, შრომა, შინაგანი წესრიგი და ჰარმონია სჭირდება; სჭირდება, უპირველეს ყოვლისა, ერთ პირზე დგომა, გაერთიანება, შეკვრა... ხოლო ჭეშმარიტად მაშინ შევიკვრებით და გავერთიანდებით, როცა შევიძლებთ ერთმანეთის განსხვავებულობის ატანას.

ჩვენ უნდა დავიწყოთ — აქამდეც უნდა დაგვეწყო — ასეთი ერთიანი საქართველოს შენება.

და მოწამეთა აქ დაღვრილი წმინდა სისხლიც სწორედ ამას შემოგვჩუხჩუხებს: გავერთიანდეთ, განვმტკიცდეთ, განვძლიერდეთ და ყველამ ერთად — ცოცხლებმაც და მკვდრებმაც —

მოვუაროთ საქართველოს!

„ლიტერატურული საქართველო", 13.4.1990

ილია და ანტილია

ტელელექცია ქართულ ენასა და ლიტერატურაში — 1990 წლის 3 ივნისი

გამარჯობა, პატივცემულო ტელემაყურებლებო; პირველ ყოვლისა, ბოდიში უნდა მოგიხადოთ ჩვეული გრაფიკის დარღვევისათვის — დღეს უჩვეულოდ გვიან ვიწყებთ ჩვენს ლექციას — მაგრამ განა სხვა რა გვაქვს საათივით ანყობილი ამ ჩვენს დაულაგებელ ქვეყანასა და, საერთოდაც, უთავბოლო წუთისოფელში, რომ ჩვენი ტელელექციები გვქონდეს წუთებში გათვლილი. სხვა მიზეზითაც აგვერია დღეს გრაფიკი; გრაფიკი კი არა, რატომ თავგზა არ

აგვერევა და დაგვეკარგება დღეს ყველას, დიდპატარიანა, საქართველოში! ან რა გველექციება, კაცმა რომ თქვას, დღეს? ყოველ შემთხვევაში, მე ახლა ნამდვილად ნაკლებად ვარ საქადაგოდ, თქვენ კი, ალბათ, სასმენად განწყობილები... გლოვის ჟამი ჩამოგვიდგა, გლოვას კი სიტყვაზე მეტად დუმილი უხდება, თუ მაინცდამაინც, ჩვენებური ზარი და დვრინვა, ხმით ნატირები, რასაც კაცი თავის დარდსა და ვარამსაც ამოაყოლებდა... „დალაი ვთქვათ, ქართველებო, დალაი"... სიტყვითაც, იქნებ, ცოტა სულს მოეფონოს.

ძნელია, ჩემო მსმენელ-მაყურებელო, უბედურებით ჩვენი გაკვირვება — მარტო დღეს არა, ისტორიულადაც. კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო, აკი ბრძანებდა შოთა. იმ ჭირსა და უსამართლობას, ცხრა აპრილს რომ თავს დაგვატყდა, მტერსაც არ ვუსურვებდი. კაცთაგან, მეზობლისგან ხომ გავინირეთ და, ეტყობა, რაც ადამიანმა მიგვაკლო, ბუნება გვიპირებს იმით ხელის მოთავებას: აჭარის მეწყრები, სამეგრელოს წყალდიდობა, სვანეთის ზვავები გავიხსენოთ. ახლა კი, დღეს, უკვე მკვდრები ცვივა ზემოდან, გვამები გვაწვიმსა და გვათოვს... უცნაური, უჩვეულო რამ მოხდა რამდენიმე საათის წინ — ფუნიკულიორის საბაგიროს ვაგონეტი მოსწყდა და ხალხის, ძირითადად — ბავშვების... თქმაც მიჭირს... ბავშვების ნაფლეთებით დაიფარა მიწა. ავარიაც არის და ავარიაც. ჩვენსავით აფურტკვნილ, დაულაგებელ, უთავურ, უკანონო ქვეყანაში კი არა, დიდად დაწყობილ სახელმწიფოებშიც ხდება სტიქიური თუ ადამიანის დაუდევრობით გამოწვეული კატასტროფები; ბევრნი ბუნების უსამართლობასაც კი ადამიანურ ცოდვათა ნაცვალგებად აღიქვამენ... მარტო უბირი ხალხი კი არა, გურამიშვილის მსგავსი დიდი ხელდასხმულებიც ღვთის წყრომის გამოვლინებად თელიან სტიქიურ უბედურებებს: *„მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მან პასუხი უყო ცოდვისა; ცა რისხვით შუვა განიპის, ქვეყანა შეიძროდისა"*... რაღა ითქმის კაცთა დაუდევრობით ჩვენს თავს დატეხილ უბედურებაზე — მოგვეზღო და, ვინ იცის, წინ კიდევ რამდენჯერ მოგვეწყვის ჩვენთა ცოდვათათვის, ჩვენი გულარხეინობის, უნიათობის, ჩვენი გულდედლობის, უსამართლობაზე წაყრუებისა გამო, იმიტომ, რომ ზოგჯერ მანეთის ეკონომიასა ვნეეთ და მილიონისა ვზარალდებით... თუმცა, მატერიალურ ზარალს ვინ დაეძებს, როცა საბაგიროს რემონტზე ვითომცდა დაზოგილი ფულის საზღაური, დღევანდელივით, ჩვენი შვილების სიცოცხლეა. როგორ მივაწყდით ტელეფონს ამ შემზარავი ინფორმაციის მოსმენისას შინ არმყოფნი, აკანკალებული ხელით როგორ ძლივს ვკრეფდით ნომერს, შინ ვრეკდით, რათა ჩვენი შვილების, ოჯახის წევრების ხმა გაგვეგონა; როგორ ჩაგვიდგა გული საგულეს მათი ხმის გაგონებისას და, მაშინვე შეგვრცხვა ამ სიხარულისა, იმავ წამს თავზარი დაგვცა იმის შეგრძნებამ, რომ ასეთ დროს ბედნიერად დავიგულეთ თავი — მართლაც არ ეგების, საყოველთაო უბედურებას საკუთარი არშინით დავუწყოთ ზომვა: მე თუ არ დავიქეცი, სამაგიეროდ ჩე-

მი ძმა, ჩემი მეზობელი, ჩემი ჯიში და ჯილაგი, ჩემი თანამემამულე და, ბოლოსდაბოლოს, ჩემსავით ადამის შვილი ხომ გაუბედურდა და გაინირა... დაგვეღუპნენ ბავშვები, სახვალიო საქართველოს მესაფუძვლენი... ვაითუ სრულდება ჩვენთა ცოდვათა სამუქფოდ გურამიშვილის ნაწინასწარმეტყველები — „ჩვენცა ვიხილოთ ამიერ მოსპოლვა საფუძველისა"...

დიდი განწმენდაა საჭირო, დიდი სინანული.

არადა, როგორ აფოფინებით ვეშურებოდი ჩვენს დღევანდელ შეხვედრას — ილიაზე უნდა მელაპარაკნა. მეც მომენატრა, შენც მოგენატრა, ალბათ, ჩემო მსმენელო, ილიაზე ბინიანი საუბარი. ის ნაპერწკალი მინდოდა ამებრიალებინა, რომელიც, ილიას თქმისა არ იყოს, შეუძლებელია ყოველი ქართველის გულში არ ჟოლავდეს. დღეს მე რაღა ცეცხლის შემკიდებლად გამოვდგები, როცა ამ ელდისაგან თვითონ ძლივსღა ვბუტბუტავ ჩაწეული ლამპასავით.

და მაინც, ილიაზე ვილაპარაკებ... ისევ ილიათი უნდა მოვიბრუნოთ სული — ილიაა ჩვენი ლხინისა თუ ჭირის ყველაზე დიდი თანაზიარი თუ მონაწილე... მე თქვენთვის მითქვამს, რომ ილია არის დაუნდობელი ტალანტი, მაგრამ ამ დაუნდობლობის წიაღ მკითხველი ნიადაგ გრძნობს უზარმაზარ თანალმობას, სიყვარულს: *ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!" ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს, ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია.* ყველა საქმეს სიყვარული აკეთებინებს, ყოველ სიტყვას სიყვარული აწერინებს. დიახ, სიყვარული აწერინებს უმნარეს სიტყვებს, სიყვარული ამათრახებინებს, ასილაქებინებს, ანესტვრინებს საქართველოს, რადგანაც იცის, ამ წუთისოფელს თუ თვალი მოუხუჭე, გინდ კაცი იყო, გინდაც ქვეყანა, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა. საქართველო უნდა ფხიზლობდეს, დაშაქრული ჭიკჭიკი „გარეგანი ფრინველისა" კი თუ მოგვადუნებს და მიგვაძინებს, თორემ — არ გამოგვაფხიზლებს. ფხიზლობას მწარე სიმართლე სჭირდება წამალივით — ამიტომაც შეასვა ქართველობას წამლად „ბედნიერი ერი", „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით" და ამისთანა სამკურნალო შხნაკვი სიტყვები ილიამ. ლუარსაბი წინ სარკედ დაგვიყენა — რად ვიქეცით ეს გამრჯე ხალხი, რას დავემგვანეთ ეს მეომარი ტომი — როგორ გავსივდით, როგორ მოგვედო ქონი და ამ ქონში ჩაგვეკარგა სული, როგორ შეგვეცვალა გულის ძგერა სტომაქის ბუყბუყით ან, როგორც აკაკი იტყოდა, კუჭის ჭუჭყუნით, და როგორ თვალდათვალ გავლუარსაბდით. მაგრამ ილიამ იცის, რომ მარტო სამხილებლის მხილება, მხოლოდ გასაკილის კილვა საქმის ნახევარია; რას დაემსგავსა კაცი, ამის ჩვენება საქმის ერთი მხარეა, რას უნდა ჰგავდეს იგი — მეორე და, არანაკლებ მნიშვნელოვანი. ამიტომ ვერ შეჩერდებოდა ილია ლუარსაბსა და დარეჯანზე, ამიტომ უნდა დაეხატა მას ოთარაანთ ქვრივი და გიორგი, ეჩვენებინა ასევე რეალური და არა გამოგონილი, თუმცალა იშვიათი სახეები არსშენარჩუნებული და არსგადამრჩენი ქართველებისა.

ილიამ იმთავითვე იცოდა თავისი მისია — *„ღმერთთან მისთვის ელაპარაკობ, რომ წარეუძღვე წინა ერსა"*. სიყრმიდანვე ნათელმხილველის ნიშნითაა დაღდასმული ანუ, როგორც ჩვენს მთიანეთში იტყვიან, „ნიშანიანია". აქედან გამომდინარე, ილია, ალბათ, თავის მომავალსაც ხედავს, თავის მოწამეობრივ აღსასრულს... დაწერა კიდეც — *„რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან, გთხოვდე: შეუნდე, არ იციან, ღმერთო, რას იქმან!"* მარტო საკუთარს არა, ილია საქართველოს მომავალსაც სჭვრეტს და, ვინ იცის, ბევრ სანუგეშოს, იქნებ, ვერც იქ ხედავდეს, მაგრამ იმედი არასოდეს გადასწურვია, მკლავები არ ჩამოსცვენია და, რაც მთავარია, სკეფსისის ჭიისათვის თავისი კალამი არ გამოუხვრეტინებია.

ილია რომ აუმხედრდა თავის თანამედროვე საქართველოს, სახელმწიფოებაწაგვრილსა და გაუბედურებულს, ილიამ რომ ომი გამოუცხადა ჭაობს, სადაც ლუარსაბისნაირი სულდგმულები დაფუთფუთებენ — ეს იმას როდი ნიშნავს, რომ უარი თქვა თავის ქვეყანაზე ან, მით უმეტეს, ზურგი შეაქცია მას. ასეთი საქართველოა მისი დედა, მისი მშობელი... და როგორც ადამიანი — ნორმალური ადამიანი — ვერ იტყვის უარს თავის დედაზე, როგორი დავარდნილიც უნდა იყოს იგი, ასევე არ ეგების საპყარ სამშობლოზე უარის თქმა. მაგრამ უარის უთქმელობა, ჩემო მსმენელო, იმას როდი ნიშნავს, რომ შენ ასეთ მამულს შეეგუო — არა, მამულიშვილობა ამ შემთხვევაში ის იქნება, თუ შენ ამ სამშობლოში რაღაცას შეცვლი, გარდაქმნი, გააუმჯობესებ, შენს წილ საქმეს, შენს კუთვნილ სოფელ-ქვეყანას დაანინაურებ, ზეციისკენ აზიდავ... სწორედ ეს მისია აიღო თავის თავზე ილიამ, ამიტომ აცხადებს იგი: *„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი — ზეციერსა..."* ვინაა აქ მიწიერი და ვინაა ზეციერი? მიწიერია ერი, მატერიალური მასა, ხალხი, ვაი რომ, ზოგჯერ გაბრბოვებული, მაგრამ, ილიას რწმენით, მაინც მარადიულად მართალი, სამართლიანი და, საბოლოო ჯამში, ჭეშმარიტებისაკენ ტანჯვითა და ნამებით მავალი... სწორედ მიწიერი ერი შობს ამ ჭეშმარიტების ანუ ღვთის სიტყვის მეგზურსა და გზისმკვლევს — პოეტს, შობს ზეციერს, ღმერთთან მოლაპარაკესა და ღმერთისგანვე მინიერ საქმეთა გასაზეციურებლად ამქვეყნად მოვლენილს. პოეტის მისიაც ეს არის — იგი წინ უნდა წარუძღვეს ერს, ოღონდ არა დაფნის გვირგვინით თავშემკული, არამედ — ეკლის გვირგვინით შუბლგასისხლული.

ახლა ხშირად გაიგონებთ ლამის სასოწარკვეთილ შეკითხვებს — ვისღა ვენდოთ, ვის უნდა გავყვეთ, ვინ გვიწინამძღვრებსო?.. და ეძებს დღეს საქართველო ადამიანს, ვინც ამ უბედურებაში, ამ სცილასა და ქარიბდას შორის უმსხვერპლოდ გაატარებს ქვეყანას; მესაჭეს ეძებს, თავკაცს.

ვინ არის და სად არის იგი?

სითავხედეში ნუ ჩამომართმევ, ჩემო მსმენელ-მაყურებელო და — პირველკაცობის გვირგვინმაძიებლებით გაძეძგილ დღევანდელ საქართველოში მე ვიცნობ იმ კაცს, ვისაც უნდა გავყვეთ, ვისაც უნდა ვენდოთ.

და სახელი ამ კაცისა — ილია ჭავჭავაძე.

ნუ იტყვით, ილია იყო საქართველოს თავკაციო. ილია ახლაც არის, უნდა იყოს ჩვენი თავკაცი და წინამძღვარი. მეტიც ითქმის — ხვალის ანუ უკეთესი საქართველოს წინამძღვარი და თავკაცი ისევ ილია იქნება... ილიას უნდა გავყვეთ, ილიას უნდა ვენდოთ... უფრო ზუსტად, ილიელობის ნიშანი, თვითეული პიროვნების ბუნებაში ილიელობის წილი განსაზღვრავს, კონკრეტულად ვინც უნდა იყოს საქართველოს თავკაცი. ვინც მეტად იქნება ილიელობის მადლით ცხებული, ის უკეთესად დამწყესს საქართველოს; ეს გახლავთ და ესვე დარჩება ჩვენში პირველკაცობის უტყუარ საზომად. ილიელობა საქართველოს უკვდავი თანამდევი სულია, ილიამდე არსებული, და ამ სულმა, სისხლად შემკვრივებულმა, როგორც მუხრანი იტყვის, „გამოიარა რუსთველის გული, გამოიარა სულხანის გული"... სწორედ ეს სული „გადადიოდა, გადადიოდა, და მოდიოდა, და მოდიოდა, ვითარცა მტკვარი". ამ სულს კი იმიტომ ვუწოდებ ილიელობას, რომ ყველაზე სრულყოფილად მან ხორცი ილია ჭავჭავაძეში შეიბა. ილიაა ის კაცი, ვის დასადაფნავ შუბლს შვენის ეკლის გვირგვინი, თორემ ზოგიერთმა განდიდების მანიით შეპყრობილმა თავს გინდ იმპერატორის გვირგვინი დაირქვას, გნებავთ, პაპის ტიარა, ყველაფერი მასხარის ჩაჩად აღიქმება. ვის შვენის ეკლის გვირგვინი — ესეც გამოგვარჩევინებს ერთმანეთისგან ილიასა და ილიას სახელის მიმჩემებელ ყვარყვარეებს.

ილია, ისევე, როგორც ყველა წმინდანი და დიდი ხელდასხმული, მაცხოვრის გზაზე მავალია. მითქვამს და კვლავაც გაგიმეორებთ, რომ მისი მოწამეობრივი აღსასრული ტიპოლოგიურად იმეორებს მაცხოვრის მიერ ამა სოფლის დატევებას. მასაც, ილიასაც, აქვს თავისი გეთსემანიის ბაღი, ადგილი, სადაც იესოს წამიერად ადამიანური ძრწოლა შეიპყრობს თავისი მწარე ფიალის წინასწარგანჭვრეტით და — ამაცილე ეს ფიალაო, შეპლაღადებს მამას... ილიაც, წინამურის გზას გოლგოთასავით შემდგარი, არაგვის ჭალებში ეტლს აჩერებინებს და ყოყმანობს, დაიძრას თუ არა თავისი ფიალისაკენ. და როგორც მაცხოვარი დასძლევს თავის ადამიანური ბუნების სისუსტეს და — არა როგორც მე მინდა, არამედ როგორც შენ გნებავსო, მიმართავს მამა ღმერთს და იქვე იღებს იუდას ამბორს, ასევე ილია დასძლევს ძრწოლას, ეტლში ჩაჯდება და, გარეკეო, უბრძანებს იუდა-მეეტლეს: რაც ვერ შეიკრა მელნით, რაც ვერ გამთლიანდა თუნდაც სისხლში ამონაწები კალმით, ის თავისი გულის ნეენით, თავისი სისხლით უნდა შეადულაბოს; უნდა შეკრიბოს თავისი გათითოკაცებული ერი, შეკრას საკომლო ნაკვეთებად მიზომილ-დანალიკებული თავისი დიდი მამული, მოანახვინოს ბნელში ხელების ფათურით მობორიალე თავის მოძმეებს ერთმანეთი. სწორედ ეს გახლდათ თავშენირვა, ერის გასამთლიანებლად ნებაყოფლობით გამეტება თავისა. თითქოს მიაღწია კიდეც მიზანს — მის კუბოსთან ერთ მჯიღად შეიკრა ქართველობა... ვაგლახ, რომ — არა ხანიერ! ისევ დაგვრია ხელი თავკერძოებამ, ისევ

გავინიეთ ზერე-ქვერე, ისევ ვემოყვრეთ მტერსა და ვემტრეთ მოყვარეს, ისევ გავწირეთ მაცხოვარი ჩვენი ქრისტე და აღვაზევეთ ანტიქრისტე...

ანუ — დავგმეთ ილია და განვადიდეთ ანტიილია.

მკრეხელობაში ნუ ჩამომართმევ, ჩემო მსმენელ-მაყურებელო, ილიას გზა ჩემთვის იგივე ქრისტეს გზაა და, როგორც ქრისტეს ებრძვის ანტიქრისტე, ასევე ილიას ებრძვის ანტიილია. ქრისტე-ანტიქრისტეს დასაბამისმიერი დაპირისპირება ანუ ჭიდილი შორის ნათელსა და შორის ბნელსა, თავისი უამრავი ისტორიული პროტაგონისტებით ყველაზე სახიერად, ყველაზე ხელშესახებად ჩვენთვის, ქართველებისთვის, ამგვარად პერსონიფიცირდება: ილიას ებრძვის ანტიილია. ამ ანტიილიად მე არ მოვიაზრებ მხოლოდ კონკრეტულ პირს — სატანის ჩლუნგ იარაღს, ჩახმახის ფეხის გამომშლელ გიგლა ბერბიჭაშვილს, გაყიდულ ჟურნალისტს ვასილ ნაცვლიშვილს ან პოლიტიკურ ფანატიკოსს ფილიპე მახარაძეს. ილია-ანტიილიას დაპირისპირებაში როგორც ილია იტვირთება სხვა სულიერი შინაარსით, ასევე ანტიილიაში ზოგადდება ყველა მაშინდელი და ახლანდელი ფილიპე ბერბიჭაშვილი... და როგორც ილიაა მარადიული, ვაგლახ, ასევე მარადიული გახლავთ ანტიილიაც.

დავიწყოთ იმით, რომ უნივერსალური ანტიქრისტეს ქართულ გამოვლინებას, ანტიილიას, ნიშან-თვისებებიც, ცხადია, ჩვენებური ექნება; ეს თავკერძოება და შადიმანობა, ეს ქვეგამხედველობა და გაიძვერობა, ეს ბეზღობისა და დასმენის ჟინი, ეს ამპარტავნობა და გაუტანლობა, ვაი რომ, მოგვედგამს ქართველობას... ცხადია, არა მარტო — ჩვენ... ნუ აგვიტანს თვითგვემის ჟინი და ნუ დავიბრალებთ, რომ ეს უბედურება მხოლოდ ჩვენ გვჭირდეს, თუმცა, სხვათა უკეთურებანი ვერაფერი ნუგეში იქნება ჩვენთვის. ალბათ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ერთ პირზე დგომა და საზოგადო საქმისათვის პიროვნული ინტერესების დათმობა, სამწუხაროდ, ქართველთა ძლიერ მხარედ, ჩვენს ისტორიულ თვისებად ვერ ჩაითვლება... თუმცა, ვახუშტი ბატონიშვილი, შეგახსენებთ, ამასაც ბრძანებს ქართველებზე, რომ მათ „ზნენი აქუნდათ პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა"... იქნებ ბრძანოთ, ვახუშტის, ამ შესახელებით, ქართველთა გამხნევება და ნამუსზე შეგდება სწადდაო, თანაც, „აქუნდათ" — წარსულ დროს გამოხატავსო, მაგრამ, ცხადია, ჩვენი ისტორიაც იძლეოდა ქართველთა პირმტკიცობის, ერთგულებისა და ერთობის მაგალითებს. სიტყვამ მოიტანა და, ვახუშტი იმასაც ამჩნევს, რომ ქართველები, ცოტა არ იყოს, წამხედურნი ვართ, ვახუშტის სიტყვებით, „ურთიერთის მიმყოლნი, კეთილ-ბორტზედ ადრე მიმდრეკნი"... დაუკვირდით — კეთილ-ბორტზედ ადრე მიმდრეკნიო: უკეთურთ ადვილად ვეტყუებინებით, მაგრამ ქველი საქმის დანახვა, დაფასება და სიკეთის გზაზე შედგომაც ადვილად შეგვძლებია. ეს გახლავთ სწორედ ღიდი ნუგეში, აქ ჩანს სწორედ ჩვენდა იმედად და სასოებად ღვთის ხელი და, რაც უნდა ხელი დაგვრიოს ცოდვებმა და გაილაღ-გაიჯეჯილოს ანტიილიამ, საბოლოოდ მაინც

— ასე მწამს და თქვენც, ჩემო მსმენელ-მაყურებელნო, თქვენც ნუ ამოგფრთხობოდეთ გულიდან რწმენა იმისა, რომ — მაინც ილია იმარჯვებს ანტიილიაზე, რომ „ბოროტი საქმე მოკლეა, მით ოხერია“... განა არ ვიცი, დღევანდელი საქართველოს შემყურე, ცხრა აპრილის მომსწრე ბევრნი ფიქრობთ, რომ ილია ჩვენში ეპიზოდია, გამონაკლისი, ხოლო ანტიილია კი — ჩვენი ცხოვრების წესია და ჩვენი ისტორიული ხვედრიო, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ მაინც შოთას ქვეყანა ვართ, ჩვენ მაინც მრგლოვანი ანბანის გამომგონებელი, ჯვარის ამგები, ჩაკრულოს მომღერალი და ხვანჭკარის დამყენებელი ხალხი ვართ და, აქედან გამომდინარე — ვერ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა, ანუ — ანტიილიამ ილიაზე, ვერცა როს გაუხარნია...

და მაინც, როგორც ჩვენი ძველები იტყოდნენ, პირველსა სიტყვასა ზედა მოვიდეთ და ახლოით განვჩხრიკოთ, ვინ არის ილია და ვინ არის ანტიილია? ილია არის სიყვარული, ანტიილია — სიძულვილი; ილია არის შემკრები, ანტიილია — დამშლელი; ილია არის სამართლიანი, ანტიილია — უსამართლო.

ილია სამართლიანი არის-მეთქი, სამართლიანი და ობიექტური, მას კალამი უსამართლო საქმეზე ერთხელაც არ გაუტოკებია და არც პირადი, პიროვნული ინტერესისათვის გაუხარჯავს წვეთი მელანი. კი, უამრავ ვისმე დაჰპირისპირებია, კი, ბევრისთვის დაუტეხავს თავზე თავისი „მეხი-სიტყვა“, მაგრამ უსამართლოდ ილიას არამცთუ ვინმე გაუწირავს, გადაბრუნებული სიტყვაც არავისთვის შეუკადრებია... ილიას ტორი მარტო ლირფ კატკოვსა და გამყალბებელ პატკანოვს არ მოხვედრია, საზოგადო საქმეზე, მეცნიერულსა თუ ლიტერატურულ პრობლემებზე მას მწვავე პოლემიკა ჰქონია ღირსეულ, პატივსაცემ ხალხთანაც, მაგრამ ასეთ დროს ილია, ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, პლატონის მეგობრობაზე წინ ჭეშმარიტების მეგობრობას აყენებდა. ამ ჭიდილს საფუძვლად ყოველთვის ედო სიმართლის ძიება და ამიტომაც მისი კალმის ყოველი მოსმა სამართლიანი გახლდათ თვით იმ უიშვიათეს შემთხვევებშიც კი, როცა სიმართლე ილიას მხარეს არცა ყოფილა. უზენაესი მსაჯულის ტიტული მას თავისი პერსონისათვის არასოდეს მიუნიჭებია და უაპელაციო განაჩენი არავისთვის გამოუტანია. ერთ მაგალითს მოგიყვანთ: როცა ვაჟას თარგმნილი „ორლეანელი ქალწული“ არ მოეწონა, ეს არ დაუფარავს, მაგრამ ისიც დაწერა — ვაჟა ისეთი მნიშვნელოვანი და პატივსაცემი მოვლენაა ჩვენს ლიტერატურაში, ამ თარგმანზე სხვათა აზრიც მოისმინეთ, საბოლოო მსჯავრს მხოლოდ მე ნუ დამადებინებთო.

ანტიილია კი უსამართლოა, თავკერძა, მხილების უნმაწურ ჟინს აყოლილი და ყოველთვის პირადულის საზოგადოებრივზე წინ დამყენებელი... ოღონდ, ცხადია — ერისკაცის ნიღაბაფარებული და საზოგადო საქმის სფარქვეშ თავისი პირადი ანგარიშების გამსწორებელი. ანტიილია, ეს ცხვრის ქურქში გამოხვეული მგელი — ჩემსავით ვინ მოგწყესთო — ცხვრებს აბრიყვებს და მწყემსის არგანსაც ეპოტინება.

ილია არის სულიერი მოძღვარი ერისა, მისი უგვირგვინო მეფე, მოწამის ეკლისგვირგვინოსანი, ანტიილია კი რეალური, მიწიერი ხელისუფლის გვირგვინს იზმანებს და თეთრ რაშზე, უფრო სწორად, ტანკზე ტრიუმფატორივით ასამხედრებლად ემზადება.

ილიას საუფლო ზეციურია, ანტიილიასი კი — მიწიერი, ამიტომაც მიელტვის ანტიილია ძალაუფლებას, სხვებზე ბატონობას, სხვათა დამონება-დამორჩილებას.

ილია მსახურია, ანტიილია — ბატონი, უფრო ზუსტად, ბატონკაცი.

ილია ყველაზე დიდ საფრთხესა და განსაცდელს პირველი თავად ეგებება და საქართველოსაკენ მოღერებულ მახვილს პირველი უშვერს თავის ფართო მკერდს. ჯერ კიდევ ახალგაზრდა კალმოსანს ხანჯლოსნები მიეტევნენ მოსაკლავად; ილია არ შეჰპუებია ძლიერთა ამა სოფლისათა და გურიის დასარბევ ექსპედიციაზე პირდაპირ განაცხადა — ჩავნვებით და ცოცხალი თავით რუსის ჯარს არ გავატარებთ ჩვენი ძმების ასანიოკებლადო.

ანტიილია, პირიქით, სხვას წაიმძღვარებს წინ განსაცდელის ჟამს, სხვის ზურგს ამოეფარება და თვითონ ჩირგვებში ჩაძვრება. მომხდარა ასე, უქნია და კვლავაც ამას იზამს საშიშროების წინაშე. ილია უშიშარია, ანტიილია — მხდალი და, ამით დაკომპლექსებული, თავის სილაჩრეს დაუნდობლობით ინაზღაურებს, სისხლისა არ ერიდება — ოღონდ, არ ერიდება და არ ეკრძალვის სხვათა სისხლს. ილია თავს დაჰკანკალებს ყოველი ქართველის სიცოცხლეს, მისთვის მარქსიზმი და კლასთა ბრძოლის თეორია, უპირველეს ყოვლისა, იმიტომაცაა მიუღებელი, რომ იცის, დიდი ქვეყნები და მრავალრიცხოვანი ერები ამ ჭირს როგორღაც გადაიტანენ, ქართველებისთანა სახელმწიფოებანაგვრილ მცირერიცხოვან ერს კი კლასთა ბრძოლა და სამოქალაქო დაპირისპირება მოინელებს, შინააშლილობა ნირვას გამოგვიყვანს... ილიას აზრით, საქართველოს თავისი დამხობილი სახელმწიფოებრივობა აქვს ჯერ აღსადგენი და საბედისწერო შეცდომა იქნებოდა, თუ კლასობრივსა და პარტიულ ქიშპობას ქართველები ერთმანეთს დავაჭმევინებთ...

ილია გახლავთ ნიჭით ყელთამდე სავსე... მე იმ ღვთიურ ნიჭზე მოგახსენებთ, რომელიც არა მარტო მისი კალმიდან — იღვრება მთლიანად მისი პიროვნებიდან, მისი პრაქტიკული საქმიანობიდან. რასაც ხელი მოჰკიდა, ყველაფერს დევის ნაფეხური დააჩინა: პროზაა და — უკეთესი პროზა ქართულად არ დაწერილა... პოეზიაა, პუბლიცისტიკაა, კრიტიკაა, ჟურნალისტიკაა — ყველაფერში გამორჩეული და სეფესიტყვა უთქვამს; ილიაა საზოგადოებრივი აზრის საჭეთმპყრობელი, ამ აზრის ჩამომყალიბებელ-წარმმართველი; და — არა მარტო აზრისა, იგი საქმის გიგანტიც გახლავთ.

ილიას წამხედურობით ანტიილიაც თითქოსდა მრავალმხრივია, ბევრ საქმეს აწყდება და მრავალ სფეროს ეპოტინება, მაგრამ მისი ტრაგედია უნიჭობაა. ნიჭი აკლია, ტალანტი არ ჰყოფნის და ესეც ამწარებს, ალბათ.

სიტყვასაც ეჭიდება, უფრო სწორად, ტანჯავს, შედეგად კი — გალაკტიონისა არ იყოს, „თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი...“

ილიას ტალანტი ისიც გახლავთ, რომ იგი სხვის ნიჭს ამჩნევს და პატრონობს. არადა, ტალანტები ხშირად ისე დანთქმულან საკუთარ თავში, რომ სხვათა ნიჭი არ უცნიათ ან ველარც შეუმჩნევიათ. ილია კი უშურველი ტალანტია; გახსოვთ, ალბათ, როგორ დაულოცა მწერლური გზა ვაჟას: ჩვენ, ძველებმა, კალამი გვერდზე უნდა გადავდოთ და გზა ვაჟა-ფშაველას უნდა დავუთმოთო. ხატოვნადა თქვა, თავისი დამოკიდებულება გაამჟღავნა, თორემ, ღვთის მადლით, ამის შემდეგ დაიწერა „განდეგილი“ და „ოთარაანთ ქვრივი“. ილიას მხოლოდ საღვთო შური ანუ ძალუმი ლტოლვა, სიყვარული და მონატრება აქვს აკაკის ლექსისა, იგი შესტრფის აკაკის სრულიად განსაკუთრებულ, მართლაც რომ ზემოდან დაბერტყილ ნიჭს ღვთაებრივი ჰარმონიისას, აკაკის გალობას, მის ამღერებას. ვისაც ბატონი აკაკის ბედნიერი ნიჭის ამბავი მოეხსენებაო, იმ სტატიაში წერს, რომელშიც აკაკის თვალსაზრისს რუსთაველის გმირთა გენეზისზე არ ეთანხმება. ანდა ის პატარა წერილი გაიხსენეთ, „ივერიაში“ სათანამშრომლოდ რომ იწვევს — სხვას ყველას ერთნაირი ტრაფარეტები დავუგზავნეთ, შენ კი ერთადერთი აკაკი ხარ და ამიტომ საკუთარი ხელით დაწერილ ამ ბარათს გაახლებო. და ასევე არ გაჰკარებია შური თავისი დიდი თანამოკალმისა აკაკისაც — თელავში წარმოთქმული მისი სიტყვა გავიხსენოთ, სადაც ილია ისე წარმოაჩინა, როგორც — მანამდე არავის... და, ვგონებ, არც მერმე! მხოლოდ აკაკის შეეძლო ეთქვა ის, რაც უთხრა, და ეთქვა ისე, როგორც უთხრა უკვდავებაში შებიჯებულ თანამეჭაპანეს: თუ საქართველო იცოცხლებს, მასთან ერთად შენც უკვდავი დარჩები, ხოლო თუ საქართველოს სიცოცხლე არ უნერია, ბედნიერი ხარ, შენი სიკვდილით მის სიკვდილს რომ წინ უსწარ და თვალით ველარ დაინახავო. როგორ აფასებენ ერთმანეთს ილია და აკაკი და როგორ სწყალობენ თავიანთ სულიერ მემკვიდრეებს, მათგან გამორჩეულად — ვაჟას! ენას გიწუნებ, ფშაველოო, ამან არ გაცდუნოთ, აკაკი რომ აფასებდა ვაჟასა და, საერთოდ, ძმები რაზიკაშვილების ნიჭსა და ღვწას, ისე ბარე ორი არა; აკი „მარგალიტების მთესველი“ უწოდა ქებაზე საერთოდ სიტყვაძუნწმა აკაკიმ გენიოს ფშაველს, მაშინ, როცა საკუთარ თავს დღიურ მუშაკს ეძახდა: ჩემი კალმიდან ნამდვილი ხელოვნების შესაფერისი არაფერი გამოსულა და, თუ გამოვიდა, ისიც უნებლიეთო, დიდთა თავმდაბლობით აცხადებდა აკაკი.

ასე რომ, დავიმახსოვროთ — ილია უშურველია, ხოლო ილიელობა — უშურველობა. ანტიილია კი შურიანია, იგი შეუპყრია მარადიულ წუხილს, „მწუხარებას სხვისა კეთლისა ზედა“ — როგორც იტყვის საბა, შურის გენიალურად განმმარტავი. ანტიილიას შურს... შურს სხვისი კარგი ლექსი, შურს, რომ სხვამ დიდი რომანი დაწერა... ზოგჯერ სხვისი კარგი პატიმრობისაც კი შეიძლება შეშურდეს, შურს, რომ კაცურად, ღირსეულად იჯდა გაუტეხელი კაცი ციხეში... პოეტს დავიმონმებ, მურმანის სტრიქონებს გაგახსენებთ —

„პოეტი პატიმრად უნდა ვარგოდეს"; პოეტად თუ არ უქნიხარ ღმერთს, პატიმრად მაინც უნდა ვარგოდე... თუმცა, მაინც კი არა, დიდზე დიდი საქმეა იყო ღირსებაშენარჩუნებული პატიმარი, განსაკუთრებით, იმ ქვეყანაში, რომელიც გიგანტური საპატიმროა ან, კიდევ უარესი — ჩეხოვის გრანდიოზულ მეტაფორას გაგახსენებთ რუსეთზე — პალატა N6 ანუ საავადმყოფო, საგიჟეთი. დაუკვირდით, ქართული ენა ერთსა და იმავე ცად ძირს იყენებს „განსაცდელისა" და „გამოსაცდელის" აღსანიშნად. და თუ განსაცდელი იმისაა, რომ კაცი გამოიცადოს, მაშინ პატიმრობა ყველაზე დიდი განსაცდელი და გამოსაცდელი ყოფილა. ყველა ვერც უძლებს ამ გამოცდას... გატეხილების, ამ გამოცდაზე ჩაჭრილების განსჯა იმათგან, ვინც ამ მდგომარეობაში თვითონ არა ვყოფილვართ, უზნეობად მიმაჩნია. ადამიანი ყველა გმირი ვერ იქნება, კაცი, მეტნაკლებად, მაგრამ მაინც მოწყვლადია... მაგრამ, მეორე მხრივ, საკუთარ სისუსტისგან მონამის შარავანდედი გაიკეთო და ხალხი არნმუნო, შენი გადარჩენისათვის გადავირჩინე თავიო, ეს უკვე ნამეტანია და გაყვარყვარებული ანტიილიას ამ ანკესზე, წესით, არ უნდა წამოვეგოთ... თუმცა ანტიილიამ იცის, რომ ტყუილი რაც უფრო დაუჯერებელია, ბრბო მით უფრო იჯერებს მას... ბრბო-მეთქი, და არა — ხალხი, მით უფრო — ერი.

ილია უშურველი და უანგაროა. ანტიილია შურიანობასთან ერთად ანგარიც გახლავთ. ანტიილია ეჩო-კაცია, თავისკენ მიმთლელი. ილიას ნაღვანს, მისი ხელიდან გამოსულს, ყველაფერს სიყვარულის დამღა აზის. ილიას უყვარს ადამიანი და, აქედან გამომდინარე, უყვარს კაცობრიობაც; უყვარს ქართველი და, აქედან გამომდინარე, უყვარს საქართველოც. ანტიილია კაცობრიობისა და საქართველოს სიყვარულს იჩემებს, თუმცა რეალური ადამიანი, კონკრეტული ქართველი სძულს. ილია ადრე დაობლდა, მამიდა მაკრინე, სანათესაო ზრდიდა და ილიასაც სრულიად განსაკუთრებული სიყვარულით უყვარს თავისიანები. ეს ბუნებრივიცაა — ჩემიანი თუ არ მიყვარს, ვერც სხვისას შევიყვარებ... ილია თავს დაჰფოფინებს თავის სიყრმის მეგობრებს, თავის სანათესაოს, თუმცა საზოგადო საქმეში მისთვის შენიან-ჩემიანი არ არსებობს: წინ დიდი მაგალითი აქვს მაცხოვრისა, რომელსაც შეუძლია თქვას — ჩემი დედა და და-ძმანი ისინია, ვინც მე შემომიდგება ჩემს გზაზე.

ანტიილიას არავინ არ უყვარს... მას უყვარს მხოლოდ მონები, მხოლოდ თავის მოკანტურენი... უფრო სწორად, მონა კი არ უყვარს, უყვარს, როცა ემონებიან. ვინმესთან თანასწორობა, მეგობრობა, დიალოგი, ტარიელ-ავთანდილობა ანტიილიასათვის გამორიცხულია. ანტიილიას სნორედ თავისიანები და სიყრმის მეგობრები სძულს ყველაზე მეტად. ეს ნიშანდობლივია ყველა დროის ტირანებისათვის: გაიხსენეთ, როგორი დაუნდობლობით იცილებენ ხოლმე ისინი გზიდან ძველ თანამოსაგრეებს. ანტიილიაც ამასვე სჩადის — ძველმა მეგობრებმა ხომ კარგად უწყიან, რა ხვითოც ბრძანდება, იციან მისი სიმხდალე, გულნამცეცობა, წუწურაქობა...

მოკლედ, ილია არის ხე, კეთილთა ნაყოფთა გამომღები, ვენახი, მსხმოიარე საღვთო მტევნებისა, რომელთაგანაც სულიერი ღვინო დაიწურება. ანტიილია ხენეში ხეა, უნაყოფო... მან მხოლოდ ძაღლყურძენა შეიძლება მოისხას და ლენცოფა ახაროს; ამიტომაც სწამლავს ირგვლივ ყოველს და აყროლებს სულიერ ატმოსფეროს.

ილიას სიცოცხლეს საქართველო ვერ გაუფრთხილდა, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ილია პოეტი გახლდათ და იმას როგორ იკადრებდა, როქისსპით გარშემორტყმულს ევლო. ისედაც, ილიას მოკვლა ამ უკეთურების ჩამდენთა არამარტო სიბოროტეს, სირეგვნესაც ადასტურებს — ეს როდი უნდოდათ, მაგრამ „მართალმა სამართალმა" პური ჭამა და ილიას სისხლი ილიას ნისქვილზევე აღმოჩნდა მიშვებული ყოვლისწამლეკავი ძალით. ჩვენ დღესაც გვმართებს გავუფრთხილდეთ ჩვენს მოღვაწეებს — „ბერდანკის" ტყვიაზე ადრე გაყიდულმა ჟურნალისტებმა აძგერეს ილიას გულში მონამლული კალამი. არ უნდა ამოვსვაროთ ტალახში-მეთქი ჩვენი ღირსეული მამულიშვილები, თორემ ყოველთვის გამოჩნდება შავი ძალა, უბირი, შეთე-კაცი, რომელიც ჩახმახს ფეხს გამოუშლის და ანტიილიას ჩანაფიქრს ანუ სატანის ნებას აღასრულებს.

ნურამც იყოფინ, ჯვარი აქაურობას.

და აუცილებლად, უსიკვდილოდ უნდა გვახსოვდეს ის, რასაც ილიას სული ნიკო ლორთქიფანიძის პირით შემოგვღაღადებს: ყოველთვის, მარად, მიწყივ, უკუნითი უკუნისამდე — მოვუაროთ საქართველოს.

ᲛᲘᲔᲪᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲔᲪᲔᲛᲐᲗ

რუსთაველის საზოგადოების თანაპრეზიდენტის
წინასაარჩევნო ტელეგამოსვლა

საღამო მშვიდობისა!

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება რუსთველის მსოფლმხედველობას ეფუძნება... ამ მსოფლმხედველობის საფუძველი კი სიყვარულია — ყოვლისმომცველი, ამაღლებული, ქრისტიანული სიყვარული. სიკეთე და სათნოება ამ სიყვარულის ფესვიდან ამოზრდილი ტოტებია, რომელთაგან უნდა მოვიწიოთ სულისთვის მაწიერი ნაყოფი, წესი ადამიანური თანაარსებობისა — თავისუფლება, მშვიდობა, ღირსება, კეთილდღეობა, ჰარმონია და ზომიერება.

არადა — ეს ყველაფერი გვაკლია დღეს; არც თავისუფლება გვაქვს, კეთილდღეობამაც ჭირი მოგჭამათ, ღირსებაც შეგვილახეს თუ შევილახეთ,

პარმონია და სულიერი სიმშვიდეც დავკარგეთ და ზომიერების ღვთაებრივმა ალღომაც, ვგონებ, გვიღალატა. სადღაა მშვიდობა — ქუჩებში ბათქაბუთქია, საქართველო ლამის ლიბანად ვაქციოთ; საზოგადოება ხედავს გარკვეულ ძალთა საეჭვო გააქტიურებასაც და გარკვეულ ძალთა ასევე საეჭვო გაპასიურებას — არც ერთი და არც მეორე არაა ჩვენთვის სიკეთის მომტანი. მიზეზი? მიზეზი მრავალია, მაგრამ მიზეზთა მიზეზი კი სიყვარულის დაკლებასა და სიძულვილის აღზევებაში ძევს... სიძულვილი გაიფურჩქნა, მტრობამ და შულღმა გაილაღა და ეს მღვრიე ტალღა არა მხოლოდ პიროვნული, ეროვნული კატასტროფისკენ მიგვაქანებს.

საქმეს ასეთი სამწუხარო პირი უჩანს: ჩვენ ისტორიისაგან ვერაფერი ან თითქმის ვერაფერი ვისწავლეთ! უთქვამთ კიდეც — ისტორიის გაკვეთილი მხოლოდ ის არის, რომ ამ გაკვეთილს არავინ სწავლობსო. მაგრამ ისიც თქმულა — ჭკვიანი სხვის შეცდომებზე სწავლობს, ბრიყვი კი — საკუთარ შეცდომებზეო! და ნუთუ ჩვენ ბრიყვზე ბრიყვები ვართ, რომ საკუთარ შეცდომებზეც ვერაფერი გვისწავლია? გარეშე ძალის სიმუხთლე რომ გვახსოვს, ეს კარგია, მაგრამ თავისუფალი დემოკრატიული საქართველო, მამული ჩვენი, ჩვენი პატრია, პარტიათა ქიშპობამ და შულღმა, ამბიციებმა და პირუმტკიცობამაც რომ დაღუპა, ესეც არ უნდა დაგვავიწყდეს.

დღესაც, ვშიშობ, რომ ეროვნულმა მოძრაობამ კლასობრივი, ფენობრივი, წოდებრივი და პარტიული ბრძოლა-დაპირისპირების სახე მიიღო. ეს არ არის ილიას გზა — ეს მარქსის და ლენინის, ანტიქრისტესა და ანტიილიას, გზაა — მცირერიცხოვანი ერისათვის დამღუპველი. რუსთაველის საზოგადოება პარლამენტშიც და პარლამენტს გარეთაც იბრძოლებს საიმისოდ, რომ ქართველმა ერმა ილიას გზით იაროს.

რუსთაველის საზოგადოებას აქვს თავისი პროგრამა საქართველოს სახელმწიფოებრიობის რეალური აღდგენისა; ამ პროგრამის მოკლე სქემა თქვენ უკვე გაგაცნოთ ჩვენი საზოგადოების პრეზიდენტმა, ბატონმა აკაკი ბაქრაძემ. ჩვენს წინასაარჩევნო მოწოდებასაც მეტ-ნაკლებად იცნობთ; მისი მთავარი არსი ეყრდნობა სახარებისეულ პრინციპს — „მიეცით და მოგეცემათ“ — **ხმა მიეცით რუსთაველის საზოგადოებას და მოგეცემათ რუსთაველის საქართველო:** ეკონომიურად ძლიერი, ზნეობრივად ამაღლებული, თავისუფალი, ღირსეული, სადაც ადამიანთა შორის ურთიერთობის გზად და ხიდად სიყვარულია...

ამ ნერვიულ, ლამის მასობრივი ფსიქოზის ვითარებაში მინდა გთხოვოთ: ნუ დავსახავთ ხვალინდელი არჩევნების დღეს ქართველთა ყოფნა-არყოფნის დღედ: მე ასე მწამს, რომ, ღვთით, ჩვენი ბედი ჩვენი წინაპრების მცდელობით ზეცად არის ჩვენდა სასიკეთოდ უკვე გადაწყვეტილი. მაგრამ, ცხადია, არც გულხელდაკრეფა და პასიური მოლოდინი გვმართებს — არჩევანი ჩვენ ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე უნდა გავაკეთოთ...

ამ არჩევანის დროს კი ჭეშმარიტი ქართველები მაშინ ვიქნებით, თუ ამგვარი განცდით მივალთ ურნასთან — არჩევნებში ჩემი პირადი დამარცხება რა მოსატანია, თუ გაიმარჯვებს საქართველო.

რუსთაველის საზოგადოება მოგიწოდებთ — არჩევნებში მამულს გაამარჯვებინოთ.

მთავარია — მოვუაროთ საქართველოს!

1990 წ.

არჩეულმა სწორად უნდა აირჩიოს

დეპუტატობის კანდიდატის პროგრამიდან

პატივცემულო ამომრჩევლებო!

დეპუტატობის კანდიდატები ამომრჩევლებს, ჩვეულებრივ, ათას სიკეთეს ვპირდებით: ხელფასის მომატებით დაწყებული და — წყალგაყვანილობის შეკეთებით დამთავრებული...

ის 300 კაცი კი, ვისაც თქვენ დღეს დეპუტატად აირჩევთ, ხვალ თვითონ დადგება არჩევანის წინაშე — მათ უნდა აირჩიონ საქართველოს მომავალი.

ჩემს ამომრჩევლებს მე, პირველ ყოვლისა, სწორედ ამას გპირდებით: საქართველოსთვის სწორ არჩევანს! ისიც ვიცი, რომ ეს არცთუ უხიფათო საქმეა: დღეს არჩეულ 300 პარლამენტარს ხვალ, შესაძლოა, სამასი არაგველობა მოუწიოს.

ჩვენი „დაკარგული ვინაობის" ანუ დამხობილი სახელმწიფოებრიობის აღდგენა — აი, უზენაესი მიზანი უზენაესი საბჭოსი. ამის მისაღწევად ახლად არჩეულმა პარლამენტმა ქართველ ერს, საქართველოს მოსახლეობას უნდა მოუპოვოს მტკიცე გარანტია საგარეო უსაფრთხოებისა, საშინაო სტაბილურობისა, ეკონომიური უზრუნველყოფისა.

ამისთვის ვიღვაწებ იმისდა მიუხედავად, ავირჩევი თუ არა პარლამენტში.

პატიოსან არჩევნებში დამარცხება, რაღა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, მაგრამ, თუნდ ასეც მოხდეს, ერთი სპარტელისა არ იყოს, იმით მაინც გავიხარებ, რომ ჩემს სამშობლოს ჩემზე ღირსეული სადეპუტატო, მინიმუმ, 300 კაცი კიდევ ჰყოლია!

მთავარია — მოვუაროთ საქართველოს!

ტელეგამოსვლა, 1989 წ.

უნდა ვიყარო თუ არა კენჭი?

რადიოგამოსვლა

სანამ უშუალოდ ამ კითხვას ვუპასუხებდე, დიდი მადლობა მინდა მოვახსენო დიღმის საარჩევნო ოლქის არა მარტო იმ 5844 ამომრჩეველს, ვინც მხარი დამიჭირა უზენაესი საბჭოს არჩევნებში, არამედ ამ უბნის ყველა მაცხოვრებელს, ვინც გაისარჯა, საარჩევნო ურნასთან მიბრძანდა და თავისი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადა.

წინასაარჩევნო მიმართვაში ვწერდი: კერძო კაცის დამარცხება რა მოსატანია, მთავარია, ერმა გაიმარჯვოს-მეთქი არჩევნებში. ასევე: არც ცალკეული პიროვნების გამარჯვებაა დიდი ბედენა, თუ ერი წააგებს არჩევნებს. ამიტომაც პირადად ჩემს გამარჯვება-ვერგამარჯვებას არჩევნებში დიდი მნიშვნელობა, ცხადია, ვერ მიენიჭება.

და მაინც, რადგან არჩევნების შემდგომ ეტაპზე გავედი, ჩემს წინაშეც წამოიჭრა დილემა — მივიღო თუ არა განმეორებით არჩევნებში მონაწილეობა. ერთი რამ კი ჩემთვის იმთავითვე ნათელი გახლდათ: თუ ჩემი მეტოქე, უკვე დეპუტატი უზენაესი საბჭოსი „მრგვალი მაგიდის" პარტიული სიით, გარკვეული „დიპლომატიური" მოსაზრებით უარს იტყოდა კენჭისყრაზე, მეც ზნეობრივად ვალდებული ვიქნებოდი მისთვის მიმებაძა — ნაწყალობები მანდატი მხოლოდ მორალურ-პოლიტიკური ბორკილი შეიძლება იყოს დეპუტატისთვის. ეს ვარიანტი გამოირიცხა: „მრგვალმა მაგიდამ" ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მისი კანდიდატები კენჭს იყრიან მეორე ეტაპზეც.

ჩემთვის ისიც ნათელია, რომ ახლა, როცა ამომრჩეველმა უკვე იცის არჩევნების I ეტაპის შედეგები და „მრგვალი მაგიდის" შთამბეჭდავი გამარჯვების ამბავი, თითქმის უიმედოა მათ წარმომადგენლებთან არჩევნებში მეტოქეობა: გამარჯვებულებს არა მარტო შეუნდობენ, შეიყვარებენ კიდეც — ასეთია ადამიანთა ბუნება.

მოკლედ, უნდა ვიყარო თუ არა კენჭი ასეთ, ჩემთვის არასახარბიელო, ვითარებაში? ალბათ, მაინც უნდა ვიყარო, და აი, რატომ:

უპირველეს ყოვლისა, განმეორებით არჩევნებზე უარის თქმა, განსაკუთრებით — ინტელიგენციის მხრივ, საზოგადოების ერთმა ნაწილმა, შესაძლოა, აღიქვას როგორც ერთგვარი პროტესტის გამოვლინება არჩევნების I ეტაპის შედეგების მიმართ, როგორც ერთგვარი „ბუტიაობა" საკუთარ ხალხთან. გაუგულისდე ერს — ეს ვერ იქნება პოლიტიკოსის რეაქცია მოვლენებზე. პოლიტიკოსი ხალხს იღებს ისეთს, როგორიც არის, და ცდილობს აქციოს იმად, რაც უნდა იყოს.

მეორე: მე, როგორც ეროვნული კონგრესის წევრს, თუ უზენაესი საბჭოს დეპუტატადაც ამირჩევდნენ, მეტი საშუალება მომეცემოდა, მეღვანა, ერთი მხრივ — ამ ორი ეროვნული ინსტიტუტის ძალისხმევის გასაერთიანებლად საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის გზაზე, მეორე მხრივ, მათ შორის შეურიგებელი კონფრონტაციის თავიდან ასაცილებლად.

მესამე: თუ არჩევნების პირველი ეტაპის შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, ახლად არჩეულ პარლამენტს მრავალპარტიული სახელად უფრო ეთქმის, რეალურად კი იქ პოლიტიკურ ძალთა ისეთი განლაგებაა, რომ არ გამოვრიცხავ ისევ ერთპარტიულობისა და ერთმმართველობის საფრთხეს. ღმერთმა ქნას, რომ ეს ჩემი ეჭვი უსაფუძვლო გამოდგეს, მაგრამ თუ მოვლენები ისევ ძველებურად წარიმართა, არჩევის შემთხვევაში მე პარლამენტშივე ვიბრძოლებდი „აგრესიულად მორჩილი უმრავლესობის" დიქტატის წინააღმდეგ. თუმცა აქვე დავსძენ, რომ ამგვარი დიქტატის დროს, მწამს, პარლამენტში უჩემოდაც ყოველთვის გამოჩნდება მისი წინააღმდგომი ძალა.

დაბოლოს: განმეორებით არჩევნებში მონაწილეობა, ჩემი აზრით, იმიტომაც არის საჭირო, რომ თითოეულმა ჩვენგანმა პოლიტიკურ რეალობას თვალი გავუსწოროთ, ბოლომდე გავარკვიოთ, თუ რად ეულირვართ ხალხს სადღეისოდ ჩვენ — როგორც პარლამენტარები, როგორც ერის პოლიტიკური სახის წარმომჩენნი.

მე, პირადად, თანამემამულეთა აზრი ამის შესახებ რომ დიდად მიღირს, ამას განმეორებით არჩევნებში მონაწილეობით დავადასტურებ.

და მაინც მთავარზე მთავარია, პარლამენტში არჩეულებმაც და ვერარჩეულებმაც, ერთიანად — მოვუაროთ საქართველოს!

1990 წ.

ხმა იმას მიეცით, ვინც თქვენს ხმას შეისმენს

პრეზიდენტობის კანდიდატთა სატელევიზიო გამოსვლები

გამოსვლა პირველი

ქალბატონებო და ბატონებო!

მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა მე ყველაზე გვიან ვებმები საპრეზიდენტო არჩევნების „მარათონში"... თუმცა ამ პირობებსა და ტემპს, ალბათ,

სახელად უფრო საარჩევნო „სპრინტი" შეეფერება. გვიან მომიწია ჩართვა და მანძილიც მოკლეა-მეთქი, მოგახსენეთ, მაგრამ — თუ გარემოებამ და საერთო ინტერესებმა (ვგულისხმობ საზოგადოებრივ ინტერესს) მოითხოვეს, მე მზად გახლავართ პირველმა დავთმო ჩემთვის ბოძებული ეს უდიდესი პატივი საარჩევნო „ბატალიებში" მონაწილეობისა. ეს კი მაშინ მოხდება, თუ არჩევნები აზრების, კონცეფციების, პლატფორმების ერთგვარი აღლუმისა და შედარება-შეპირისპირების, თუნდაც — ჭიდილის ნაცვლად გადაიქცევა ჩვენი ისედაც დაშლილ-გათითოკაცებული ერის დაყოფა-დახლეჩის, დაპირისპირება-კონფრონტაციის, ურთიერთანგარიშსწორების, ბეზღობის, ცილისწამების, გესლის ნთხევისა და, ვინ იცის, იქნებ უარესის — ძმათა შორის შეტაკების ასპარეზად, რაც საბაბს მისცემდა უცხო, გარეშე ძალას ჩვენს საქმეებში უცერემიონოდ ჩარევისა.

ამის საშიშროება კი უდავოდ იგრძნობა.

დამაფიქრებელი ჩანს თვით ხელისუფლების დამოკიდებულება ამ არჩევნებისადმი. ირკვევა — პრეზიდენტის საერთო-სახალხო არჩევნების ჩატარება კი არა, ხელისუფლებას პარლამენტის მიერ უკვე არჩეული პრეზიდენტის ხელახლა არჩევა, უფრო სწორად — საერთო-სახალხო დამტკიცება, სდომებია. არადა, პრეზიდენტობის ინსტიტუტიც, პრეზიდენტის შესახებ კანონიც, პრეზიდენტის საერთო-სახალხო ალტერნატივული არჩევნების დანიშვნაც ხომ ხელისუფლების შემოქმედებაა, მისთვის ამ ტიპის არჩევნები თავს არავის მოუხვევია (გავიხსენოთ: მრავალპარტიული არჩევნები არ ყოფილა მაშინდელი კომუნისტური ხელისუფლების გამონაგონი, მაგრამ კომუნისტებიც კი არ შეხვედრიან ასე ყალყზე მისთვის თავსმოხვეულ არჩევნებს); და მით უფრო უცნაური ჩანს ალტერნატივული კანდიდატების მიმართ გამოვლენილი შეუწყნარებლობა, მეტიც ითქმის — აგრესია. შესაბამისი განწყობილება ინერგება მოსახლეობაშიც: ბევრის მიერ არჩევნებში კენჭისყრის თვით შესაძლებლობაც კი აღიქმება ერის ერთსულოვნებაში ბზარის შემოტანად. ერთსულოვნებას რა სჯობს, მაგრამ ეს ერთსულოვნება აზრთა ჭიდილის, აზრის მოძრაობის ნაყოფი უნდა იყოს; ის არც ქვევრია, რასაც ჩასძახებ, იმასვე რომ ამოგძახებს; ერთსულოვნება ჩვენებურ მრავალხმიან სიმღერას ჰგავს: კრიმანჭულიც, მოძახილიც და დვრინიც თავისას, მაგრამ მაინც საერთოს ამბობენ და უზენაეს ჰარმონიად ერწყმიან ერთმანეთს. ნაირგვარობა არსებობის საფუძველთა საფუძველია. ვფიქრობ, **ხალხის არჩეულმა პრეზიდენტმა ყველაფერი უნდა იღონოს საიმისოდ, რათა საქართველოში სუფევდეს შემწყნარებლობა იდეათა, შემწყნარებლობა პარტიათა, შემწყნარებლობა კაცთა ურთიერთდამოკიდებულებაში.**

ამასთან დაკავშირებით — არცთუ იშვიათად გაიგონებთ ამგვარ არგუმენტს: ხალხის ნებით არჩეული ხელისუფლება გვყავს და, თუ რამეს მისი გადაწყვეტილების საწინააღმდეგოს ამბობთ, ე.ი. ხალხის ნების საწინააღმ-

დეგოდ მიდიხართო. მაგრამ ისიც ვიკითხოთ, ხალხმა ხელისუფლება განა იმისთვის ჩაგვაბარა, რომ საწინააღმდეგო აზრი, ოპოზიცია ჩავახშოთ ან შევზღუდოთ? განა ცხადი არ არის, რომ ოპოზიცია ხელისუფლების — მდგრადი, სახელმწიფო ხელისუფლების — ერთ-ერთ მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენს? ოპოზიციისა ეშინია ტოტალიტარიზმს, ოპოზიციას ეყრდნობა დემოკრატია. ცნობილია — უმგელო გარემოში ირმები ნაკლებსიცოცხლისუნარიანი, გადაშენებისათვის განწირული არიან. ისიც სათქმელია, რომ, აღმოსავლური თქმისა არ იყოს, „ჰალვა", „ჰალვას" ძახილით კაცს პირი ვერ გაგიტკბება. ასევე — ნამდვილი ოპოზიცია არა გვყავსო, ამისი დაჟინებული გამეორებით ოპოზიცია არ მოისპობა. რაც შეეხება მის რეალურ მოსპობას, ამგვარი რამ შეიძლება ენატრებოდეს მხოლოდ ახლო წარსულის „ყაზარმული ნესრიგის" მოტრფიალეთ...

ამიტომ პრეზიდენტი, ჩემი აზრით, ზეკლასობრივი და ზეპარტიული ინსტანცია უნდა იყოს; მას უნდა ჰქონდეს მომადლებული ყველას, თვით მისგან განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე პირთა თუ პარტიათა მოსმენის, გაგების, შეწყნარებისა და, საბოლოო ჯამში, სასურველი გზით მათი წარმართვის ნიჭი და იობის მოთმინება ადამიანებთან ურთიერთობაში. **არჩევნებში ხმა იმას უნდა მივცეთ, ვინც ჩვენს ხმას გაიგონებს და შეისმენს.**

ორიოდ სიტყვა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხზე: პოლიტიკური ბრძოლის ბედი სადღეისოდ იმდენად მიტინგზე და, თუნდაც, ბარიკადზე (ღმერთმა დაგვიფაროს) კი არ წყდება, რამდენადაც ბაზარზე. **ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ყველაფერი უნდა იღონოს, რათა ქვეყანა არ დაიმშეს.** ჩვენ მუდამ ვიმეორებთ, რომ საქართველო უნდა იყოს თავისუფალი, იყოს დამოუკიდებელი, იყოს დემოკრატიული, იყოს ქრისტიანული... მაგრამ ყოველი ამგვარი, ჩვენთვის სასურველი „ყოფნის" საფუძველი ის გახლავთ, რომ საქართველო იყოს, ე.ი. მან უნდა იარსებოს. დამოუკიდებლობას ცალკეული პირი, თუკი ამას საჭიროება მოითხოვს, დიახაც უნდა შეეწიროთ, მაგრამ არანაირ იდეას არ შეიძლება შეეწიროს მთელი ერი. გიხარია კაცს, როცა ისმენ — ბალახს მოვძოვ, ოღონდ საქართველო დამოუკიდებელი გახდესო, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბავშვი ვერ მოძოვს ბალახს, ბავშვს ვერ ვამყოფებთ შეუმოსავს და ვერც წამლის გარეშე დავტოვებთ. **პრეზიდენტი რეალისტი უნდა იყოს** — ყველაზე ამაღლებული იდეებიც კი ვერ შეცელიან პურსა და ნამალს. რაც მეტია მზადყოფნა იდეისთვის თავის განწირვისა, უზენაესი ხელისუფალი მით უფრო უნდა გაუფრთხილდეს თითოეულ სიცოცხლეს ამ თავგადადებული ხალხისას. აქ მისხალ-მისხალ, აფთიაქარის სიზუსტით უნდა აინონოს, მატერიალურად რასა გვძენს ან რას გვაკარგვინებს ეკონომიკური კავშირების თითოეული ძაფის გაბმა თუ გაწყვეტა ყოველ ქვეყანასთან, ყოველ რეგიონთან, ყოველ საწარმოსთანაც კი. ბლოკადისა და თვითბლოკადის პლუსიცა და მინუსიც მხოლოდ ეროვნული სარგებლიანობის სასწორზე უნდა

აინონოს და არ აიწყას წარმავალი და ზოგჯერ — ეფემერული პოლიტიკური ეფექტურობის საზომით. ამ წუთისოფელს, კაცთა მატერიალურ სამყოფელს, გვინდა-არ გვინდა, მოგვწონს-არ მოგვწონს, მისი უდიდებულესობა შიმშილი განაგებს და ამას სწორედაც პოლიტიკური პერსპექტივით სჭირდება გათვალისწინება: დღევანდელი ეკონომიკური ინფანტილიზმი ხვალინდელი პოლიტიკური ხარაკირის ტოლფასია. კერძო საკუთრების სახელმწიფო პროტექტორატი, პრივატიზაცია, — არ უნდა დარჩნენ ცარიელა სიტყვებად; ჩვენში ახლა ყველანი — მუშაც, გლეხიც, კოოპერატორიც, ინტელიგენტიც — ელიან კანონებს, რეალურად რომ გააუმჯობესებს კონკრეტულად მათს, მაგრამ საბოლოო ჯამში — მთელი ქვეყნის ეკონომიკას.

ისიც უნდა ითქვას, რომ გარკვეული პოლიტიკური მიზნებისათვის ზოგჯერ ხელოვნურად უპირისპირებენ ერთმანეთს იმას, რაც დღევანდელ და, უფრო, სახვალიო მსოფლიოში ურთიერთგანმაპირობებელი სისტემის გაუთიშავი ნაწილებია; მხედველობაში მაქვს ისეთი ცნებები, უფრო ზუსტად — მოვლენები, როგორებიცაა **დამოუკიდებლობა, თავისუფლება და დემოკრატია.** ჯერ გავთავისუფლდეთ, ჯერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოვიპოვოთ და დემოკრატიულ ინსტიტუტებს მერე ავამოქმედებთო. ეს, ჩემი აზრით, სახიფათო ილუზიაა — ან თავს ვიტყუებთ, ან, რაც უარესია, სხვას ვატყუებთ. ჭეშმარიტი თავისუფლება და რეალური დამოუკიდებლობა დღევანდელ მსოფლიოში დემოკრატიის გარეშე ვერ მოვა. ეს იმასა ჰგავს, კაცმა სახლის შენება დაიწყოს და თავი დაიიმედოს, მთავარია კედლები ამოვიყვანო და გადავხურო, ბალავერი, კარ-ფანჯარა, სარკმელი და აივანი, წყალგაყვანილობა და განათება მოიცდისო. ეს გახლავთ მშენებლობის ჩვენთვის კარგად ცნობილი, ბოლშევიკური მეთოდი; ასე ვაშენეთ, ჩვენი ჭკუით, ერების საერთო საცხოვრებელი, მივიღეთ კი ერების სატუსაღო — ავაშენეთ დილეგი. ჩვენ-ჩვენი ოდა-სახლების, ჩვენ-ჩვენი საცხოვრისის ასაშენებლად უნდა გავერთიანდეთ და არა ციხე-ჯურღმულების ასაგებად; მოკლედ, **ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ჩვენს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ბალავრად დემოკრატია უნდა დაუდოს.**

ჩვენში დემოკრატიის შეზღუდვის გამამართლებელ არგუმენტად ისიც მოჰყავთ, რომ ჩვენ დღეს ფაქტობრივი ომის მდგომარეობაში ვართ როგორც ცენტრთან, ასევე პერიფერიასთანო... ომის დროს კი ყველგან იზღუდება დემოკრატიული უფლებები. ეს სწორია, ოღონდ საკითხავია — მხოლოდ ცენტრის მზაკვრული გეგმებია ჩვენთვის ამ საკმაოდ პირქუში საომარი ვითარების მიზეზი თუ — პოლიტიკური სნორხაზოვნება და ერთგვარი გულუბრყვილობა, უფრო სწორად, სიბეცე, ჩვენი ხელისუფლებისა, როგორც ძველის, ასევე ახლისაც? მაგალითად, რატომ უნდა გვქონოდა იმის ილუზია, რომ, რუსეთის შინაგანი ჯარი, თუ მის ყოფნას პარლამენტურად ჩვენვე დავაკანონებდით სამაჩაბლოში, ჩვენს საქნელს იქმდა და ჩვენს ინტერესებს დაიცავდა?

ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები აფხაზეთსა და აჭარაში (ზოგი ტაქტიკური, ზოგიც სტრატეგიული) ძალიან ძვირად გვიჯდება, მათი არ-აღიარება ან უგულებელყოფა დაგვიჯდება კიდეე უფრო ძვირად, ვინ იცის, იქნებ — სისხლის ფასადაც. ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა უნდა მოახერხოს ამ შეცდომათა ტაქტიანი და თანმიმდევრული გამოსწორება, მისი საყრდენი ამ გზაზე კი უნდა იყოს არა მუდმივი დესტაბილიზაცია პიროვნული ძალაუფლების განსამტკიცებლად, არამედ რეალისტურ და ტოლერანტულ პრინციპებზე დამყარებული ერთაშორისი, რეგიონთაშორისი, სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკა. **ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა საქართველოს უნდა მოუტანოს მშვიდობა**, ოღონდ — მშვიდობა არა მონური, არა ის ცარიელა მშვიდობა, რომელიც, ლელთ ღუნიას თქმით, „მიწაჩიც გვეყოფა", არამედ — მშვიდობა ღირსებითა და რწმენით სავსე.

ასევე გავიმეორებ, რაც დასაწყისშივე მოგახსენეთ: ვერ დავიჩემებ, რომ მაინცდამაინც ჩემი თავი მესახებოდეს ისეთ პრეზიდენტად, ვისაც ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის ხორცშესხმა ძალუძდეს. ამას თავის მოსაკატუნებლად არ მოგახსენებთ, ჩემი გადაწყვეტილება საერთო ინტერესებისათვის ჩემი კერძო ინტერესის დაქვემდებარებისა რომ ურყევია, ამის დადასტურების საშუალება არჩევნებამდე, ალბათ, მომეცემა. ერთს კი ვიტყოდი — ხელისუფლება ხელისუფლებად, მაგრამ თვითონ მოსახლეობა, ხალხის მასა, ვფიქრობ, უფრო შემწყნარებელი უნდა გახდეს განსხვავებული აზრის მიმართ, უფრო ლოიალურად უნდა მოეკიდოს თუნდაც თავისთვის ნაკლებად სიმპათიურ კანდიდატს, ნაკლებად დაექვემდებაროს იმ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რასაც მონოპოლიზებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით განვიცდით. თუკი ის, მეტი რომ არა ვთქვათ, გაზვიადებული აზრი შევიწყნარეთ, რომ ჩვენ, ქართველებს, თითქოსდა ნახევარი მსოფლიოს მომარაგება შეგვეძლოს პრეზიდენტებითა და პრემიერ-მინისტრებით, და რომ ჩვენი პატრიოტი მომიტინგეები პოლიტიკაში ტოლს არ დაუდებენ თვით მიტერანსა თუ ბუშს, რაღად აღვიქვამთ ზოგნი ასე მტკივნეულად ალტერნატიულ კანდიდატთა არსებობას? რატომაა პრეზიდენტობის კანდიდატთა შორის მხოლოდ ერთი „კანონიერი"? მე იმასაც მოგახსენებთ, რომ საქართველოში არის ხალხი, რომელთა რიცხვი, ალბათ, ბევრად აღემატება ექვსს, ვისაც პრეზიდენტობის კანდიდატობა ბევრად უფრო დამშვენდებოდა, ვიდრე (სხვებზე არაფერს მოგახსენებთ) თქვენს მონა-მორჩილს. არჩევნები ღირსებათა გამოფენა უფრო უნდა იყოს, ვიდრე სხვის თვალში ბენვის ძებნა, სხვისი საცვლების ქექვა და სხვის სულში უბოდიშოდ ხელის ფათური. მიჭირს, ღმერთმანი, ძალიან მიჭირს იმის თქმა, რასაც ახლა მოგახსენებთ, მაგრამ უთქმელობაც არ ეგების: ის, რაც წუხელ ეკრანზე ვიხილე და მოვისმინე, არამცთუ ილიას საქართველოს, ბერბიჭაშვილის საქართველოსაც არ ეკადრება და ნურც ვაკადრებთ. ვიცი, რაოდენ რთული, ზოგჯერ ტრაგიკულიც არის ტელევიზიის მუშაკთა ხვედრი: სახელმწიფო და-

წესებულებას, ცხადია, თავისი წესი და რიგი, თავისი რეჟიმი აქვს, იგი, გვინდა-არ გვინდა, სახელმწიფო შეკვეთის აღმასრულებელია. ასე იყო წინათ, ასე არის დღესაც... და მაინც, წინათ იგი ზოგჯერ ახერხებდა წინ აღსდგომოდა ძლიერთა ამა სოფლისათა, დაპირისპირებოდა უსამართლობას; ამას, თუ მადლიერების გრძნობა არ მოუჩლუნგდათ, ალბათ, ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაადასტურებენ. დღეს კი რა ხდება? ვიცი, გვარიანი გულუბრყვილო, თუ მეტი არა, გამოვჩნდებოდი თქვენს წინაშე, ტელევიზიისთვის რომ პრეტენზია წამეყენებინა — პრეზიდენტობის კანდიდატები თანაბარი უფლებებით გვასარგებლეთ-მეთქი, მაგრამ ყველაფერს, მათ შორის, კანდიდატთა უთანაბრობასაც ხომ რაღაც საზღვარი უნდა ჰქონდეს. მხოლოდ ერთ რამეს ვიკითხავ: წუხანდელი გადაცემის ტექსტის ავტორი — პერსონალური ავტორი, იმიტომ რომ ნებისმიერი შეკვეთილი ტექსტი მაინც პერსონის მიერ იწერება — მართლაც მიიჩნევს, რომ ბატონი ვალერიან ადვაძე მოღალატეა და მას საქართველოს მოქალაქეობის პატივი უნდა აეყაროს, ე.ი. უნდა დაისაჯოს სამოქალაქო სიკვდილით? მას მართლაც სჯერა, რომ მე და სხვა ბევრი ჩემზე დამსახურებული პირიც ვიცავთ და თანავუგრძნობთ ერის მოღალატეს? ეტყობა, ღრმად ზის ჩვენში ჩვევა მონისა, რაც პატრონის დაკვეთით მღილს სპილოდ გვაქცევინებს და სპილოს — მღილად; სწორედ ამგვარი მონები ამხობენ ხოლმე ავტორიტეტებს, მაგრამ ამხობენ იმისთვის, რომ მათ პიედესტალებზე საკუთარი კერპი წამოჭიმონ.

ვიდრე ჰხვალ, საით მიდიხარ, საქართველოვ?!

სხვამ სხვისი გითხრათ, მე კი ჩემს წუხანდელ განცდას გაგიზიარებთ — ამნაირ საქართველოში, სადაც ეკრანიდან ღირსეულ მამულიშვილთა მოკვეთისაკენ მოუწოდებენ და სადაც ხალხი ამ ანკესს ნამოეგება, პრეზიდენტობა კი არა, სიცოცხლეც არად მიღირს.

და მაინც — უნდა მოვუაროთ საქართველოს.

1991 წ.

ამბოხი

პრეზიდენტობის კანდიდატთა სატელევიზიო გამოსვლები

გამოსვლა მეორე

ქალბატონებო და ბატონებო!

ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ მოვჭრი: ჩვენ მოწმენი ვართ ამბოხისა. არა, ღმერთმა დაგვიფაროს სოციალური ჯანყისაგან ან

პუტჩისაგან, მაგრამ ამგვარი ამბოხის თანმხლები ან, სულაც, წინმსწრები მოვლენა რომ ხდება, ამას წყალი არ გაუვა... ეს გახლავთ **ამბოხი სიტყვებისა**; ჩვენ აგვიჯანყდნენ სიტყვები, რომლებიც უკვე ვეღარ ჰგუობენ ტრადიციულ შინაარსს, უფრო სწორად, ახალი შინაარსით იტვირთებიან და ვეღარ თავსდებიან თავიანთ ტრადიციულ ფორმაში: ვინ იტყვის დღეს საქართველოში, თუ რას ნიშნავს სიტყვა **აგენტი, ერის მოღალატე, მტერი, დემოკრატია, კოლაბორაციონისტი, შიმშილობა, ცენტრი** ანდა თუნდაც **პუტჩი**? საქმე იქამდე მივიდა, რომ საჯაროდ პრეზიდენტობის კანდიდატები „ვიგინდარებად" მოგვნათლეს. სიტყვა „ვიგინდარა", შესაძლოა, უწყინარი სიტყვათშეხამებიდან — „ვინ გინდა რა" — მომდინარეობდეს, მაგრამ დღეს უკვე დაუშვებელია „ვინ გინდა რამ" „ვის გინდა რას" — „ვიგინდარა" ეძახოს. სიტყვები თვალდათვალ გაუფასურდნენ, სიტყვის გაუფასურებამ მერე საქმის დევალვაციაც იცის. როცა ადვილად ამოთქვამ კაცი — „ფიზიკურად გაგანადგურებთ", „ერთი ხელის მოსმით მოგხვეტავთ", „კედელთან მიგაყენებთ" და ა.შ., აქედან ერთი ნაბიჯიღა რჩება ყოველივე ამის განხორციელებამდე... და, ვაი რომ, ეს ნაბიჯები იდგმება კიდეც, რამდენადაც ხდება, მოხდა ჩვენი ცნობიერებისათვის ყველაზე ტრაგიკული რამ — კაცისკვლა გახდა მარტივი, ჩვეულებრივი, ყოფითი, საყველპურო საქმე. ჩვენ, მთელი საზოგადოება, მასზე ისე აღარ ვრეაგირებთ, როგორც უნდა ვრეაგირებდეთ. წინა გამოსვლაში განვაცხადე, ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა თავისი შემწყნარებლობით ეროვნულ თანხმობასა და მშვიდობას უნდა მიაღწიოს-მეთქი, ჩემს ერთ-ერთ ოპონენტს კი „მშვიდობა" „მორჩილებად" აღუქვამს და, პრეზიდენტობის კანდიდატი მონობისაკენ მოგვიწოდებსო, ეკრანიდან დამაბრალა. ესეც სიტყვათა ამბოხის შედეგია.

სიტყვათა ეს ამბოხი ერთგვარი სიგნალი უნდა იყოს სოციალური ამბოხისა, ვინაიდან მათ, ორთავეს, ერთი საფუძველი აქვთ — სიტყვისა და საქმის დაცილება. სწორედ ამ დაცილების შესანიღბად ცდილობენ სიტყვის გამოყენებას; სოციალურად „აჭრილი" საზოგადოება სიტყვას უცვლის, უკარგავს თავის ტრადიციულ შინაარსს, რაც თავის მხრივ, კიდევ უფრო ამღვრევს სოციალურ ატმოსფეროს.

ისევ მინდა მივუბრუნდე არსებულ — და არა მარტო არსებულ, არამედ სახვალიო — ვითარებაზე პიროვნული პასუხისმგებლობის საკითხს. არ ვარ მომხრე სურათის საგანგებოდ გაქუფრებისა, მაგრამ ბევრს რეპრესიების ავი წინათგრძნობა აწუხებს. ადრე ვწერდი, ოცდაჩვიდმეტი წელი საქართველოში ვეღარ გამეორდება — თითო-ოროლა, თუნდაც ათობით ან ასობით, ინტელექტუალის „გამოხშირვას" ხელისუფლება ვეღარ იკისრებს-მეთქი. მე სხვას ვშიშობდი — შეიძლება მომხდარიყო მეორე „ბაზალეთი" ან „შადიმანობა" — ერთჯერადი პოლიტიკური კატასტროფა, შინაომი ან ღალატი, კერძოდ, ხალხის ზურგსუკან ისეთი პოლიტიკური გარიგება, რაც

ჩვენ პოლიტიკურად დაგვაკაბალებდა ან ჩვენს მიწებს დაგვათმობინებდა. ვაი რომ, ჩემი ეჭვის საფუძველი დღესაც არსებობს და, რაც მთავარია, ჩემს იმ ოპტიმიზმს, რომ ოცდაჩვიდმეტი აღარ გამეორდება, ცოტა არ იყოს, საფუძველი ერყევა. და თუ იგი რაღაც სახით განმეორდა — სტალინ-ბერიას საქმის უშუალო გამაგრძელებელი რომელიმე პერსონა კი არ იქნება ამაში მთავარი დამნაშავე, არამედ დამნაშავე ვიქნებით ჩვენ ყველანი ერთად და თითოეული ჩვენგანი ცალ-ცალკე, ვინც წინ ვერ აღვუდექით საქართველოზე „კაენის სულის გადასრიალებას".

სწორედ დღევანდელმა ვითარებამ უნდა გაგვამახვილებინოს ყურადღება პოლიტიკური ბრძოლის ზნეობრივ ასპექტზე.

ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, მიაჩნდათ და ახლაც ბევრს მიაჩნია, რომ პოლიტიკას არაფერი აქვს საერთო ზნეობასთან, რომ პოლიტიკაში მიზნის მისაღწევად ყველაფერი დასაშვებია, რომ ყოველი დიდი პოლიტიკოსი თავისი ცხოვრების წესითაც კი უზნეობის ნიმუშს წარმოადგენს.

ეს არასწორი განზოგადებაა.

დღეს პოლიტიკაში სამოქმედო პრინციპად (ცხადია, არა დეკლარირებულად, მაგრამ — საქმით) მზაკვრობა, სიცრუე და ორპირობა გაიხადო, ნიშნავს გასაოცარ ანაქრონიზმს და, თუ ქართველებიც ამ განწყობილებით შევაფასებთ პოლიტიკურ ნაბიჯებს, ეს მხოლოდ იმას დაადასტურებს, რომ ჩვენ, მინიმუმ, ორი საუკუნის წინანდელი სტერეოტიპებით ვაზროვნებთ პოლიტიკაში.

ეს არც არის გასაკვირი — ამ ხნის განმავლობაში პოლიტიკურ აზროვნებასთან მისადაგებული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ქმედების საშუალება ჩვენ არა გვქონია — სხვისი ხელისა და თავის შემყურენი ვიყავით. ასევე ხდებოდა ამ ბოლო 70 წლის მანძილზე: რეალური, მასშტაბური პოლიტიკა საქართველოში არ იქმნებოდა, ხოლო საკადრო ინტრიგები და კაბინეტური ხვანჯები სავარძელთა მოსაპოვებლად სახელმწიფო პოლიტიკად საღდებოდა. ქართველი წარმომავლობის პოლიტიკოსები გვყავდნენ, ქართული ეროვნული პოლიტიკა არ გვქონია.

არადა, სწორი პოლიტიკა — მართალი, პატიოსანი, გულწრფელი პოლიტიკაა. რამდენად გულწრფელი იყო თვითონ უინსტონ ჩერჩილი თავისი ამ ცნობილი პრინციპის არა მარტო გამოთქმისას, არამედ რეალიზების დროსაც — ეს ცალკე საკითხია; ყოველ შემთხვევაში, ეს ეჭვი თვით ამ პრინციპის ჭეშმარიტებაში ეჭვს ვერ შეგვატანინებს: ტყუილზე აღარანაირი პოლიტიკა არ აიგება, არც საშინაო და არც საგარეო.

ინფორმაციულობის დონე დღეს იმდენად მაღალია, რომ **ტყუილი პოლიტიკაში, უბრალოდ, საზარალოა.**

ორიოდ სიტყვა საზოგადოების ინფორმაციულობაზე: ცხადია, დიდი უბედურებაა, როცა ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებანი — რადიო,

ტელევიზია, გაზეთები — ინფორმაციას ან არ აწვდიან, ან არასწორად აწვდიან ხალხს. ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის სხვა, „დახურული", არხები ამუშავდება ხოლმე, რაც, საბოლოო ჯამში, თუ დღეს არა, ხვალ უეჭველად დააზარალებს სწორედ ამ ინფორმაციის დამმალავ ან დამამახინჯებელ ხელისუფლებას.

დღევანდელი ხელისუფლება ვერც იმას ითვალისწინებს, რომ საზოგადოება კომუნისტებმა ლამის მთელი საუკუნეა მიაჩვიეს ოფიციოზის მიერ მიწოდებული ინფორმაციის უკულმა ნაკითხვას. ასე რომ, ხელისუფლების მიერ შეკვეთილი და მიწოდებული ინფორმაცია — მავანი მოღალატეა, მავანი აგენტი, მავანი არაქართველიო — ჩვენში ჯერ კიდევ ტრადიციულად, ე.ი. საპირისპიროდ იკითხება. ერთმა ღირსეულმა პიროვნებამ შემომჩიელა — ნეტავ, რაშია საქმე, ხელისუფლებას კრემლის აგენტად არ გამოვუცხადებივარ და ახლობლებმა ეჭვით დამიწყეს ყურება — მართლა აგენტი ხომ არ ხარო.

ორიოდ სიტყვა საკადრო პოლიტიკაზეც; ეს ერთგვარად უმადური თემაა, მაგრამ ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა, ჩემი აზრით, თანამდებობებზე ხალხი იმ პრინციპით კი არ უნდა ცვალოს, ვინ რომელი პარტიის წევრია და ვინ რამდენად გამოადგა მას თუნდაც ამ საპრეზიდენტო სავარძლის დაკავებაში, არამედ უნდა შეცვალოს თვით სისტემა კადრების სელექციისა — გაადემოკრატიულოს და აამოქმედოს შესაბამისი სტრუქტურები, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური ბერკეტების საშუალებით. ახლა მოხდა, ფაქტობრივად, მზა მოდელის — კომუნისტური მოდელის — გადმოღება ტერმინოლოგიის შეცვლით, რამდენადაც ცეკას განყოფილებები გადაინათლნენ შესაბამის საპარლამენტო კომისიებად, რომლებიც ამა თუ იმ სფეროს კანონმდებლობითი საქმიანობის გვერდით და, ვგონებ, მასზე უნინარესაც, ამ დარგში საკადრო პოლიტიკას განაგებენ — ზუსტად ისე, როგორც ეს კომუნისტური მმართველობის დროს ცეკას განყოფილებებში ხდებოდა. მოკლედ, ეროვნული სამოსელისაგან რომ განიძარცვოს დღეს მოქმედი სახელისუფლო მექანიზმი, ხელთ მართვის ძველი, გამოცდილ-აპრობირებული და კომუნისტურად აწყობილი მოდელი შეგვრჩება.

საერთოდაც, თანამდებობა მადლობის გადახდის ან, მით უმეტეს, მომადლიერების ფორმა არ უნდა იყოს: კაცს კი არ უნდა ვუძებნიდეთ თანამდებობას, თანამდებობას უნდა მოვუნახოთ კაცი.

ისიც უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური იერარქიის ზედა საფეხურზე და საკანონმდებლო სისტემის უმაღლეს ეშელონში დასაშვებია ერთგვარი „არაპროფესიონალიზმი" იმ აზრით, რომ პოლიტიკა უფრო ნიჭის, ალღოს და საგანთა არსის წვდომის უნარს ეფუძნება, ვიდრე ვიწრო სპეციალობას. ამიტომაც პრინციპულად არაფერია მიუღებელი, პროფესიით ვეტერინარი კანონმდებლობას კოორდინირებდეს — ბოლოს და ბოლოს, ეს ყველაფერი

უნარზეა დამოკიდებული, მაგრამ პრინციპულად მიუღებელია აღმასრულებელ-განმკარგულებლად არაპროფესიონალთა ისეთი მოძალება, თანაც — უმნიშვნელოვანეს პოსტებზე, როგორსაც დღეს ვხედავთ. ყოვლად დაუშვებელია ასეთი მიდგომა: ჩემი ერთგული კაცია, დავსვათ მინისტრად, ვნახოთ, ეგებ საქმე გამოუვიდესო... ამის შედეგი გახლავთ, რომ მინისტრის პირველი მოადგილე შეიძლება ერთი კვირით ამყოფო ამ თანამდებობაზე და მერე ისევე მოულოდნელად მოაცილო იმ სავარძელს, როგორ მოულოდნელადაც დასვი...

დასასრულ, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან ჩვენი დღევანდელი პოლიტიკის ერთ ასპექტს მინდა შევეხო. ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია დიდ პოლიტიკაში მიტინგური განწყობილებით მუშაობა — რუსეთს ბლოკადას მოვუწყობთ, ვაშიმშილებთ და დავაჩოქებთო. ნეტარ არიან მორწმუნენი, რომლებიც იმ დათვის ტყავს ინაწილებენ, ჯერაც ტყეში რომ დარბის: ჩვენი ბლოკადა ხომ უფრო თვითბლოკადას ჰგავს და, ვეჭვობ, აქეთ არ დავიმშეთ... ისიც ვიკითხოთ — გვინდა კი დამშეული და კბილებამდე შეიარაღებული მეზობელი? განა შეიძლება ასეთ მეზობელთან მდგომარეობის გამნვავება? თანაც მეზობელთან, ჩვენი სახლი რომ თავის ატომური იარაღის საწყობად უქცევია? ვის ვედიდგულებით და „ვეჭიპლაყებით"? ბლოკადით ცენტრი დავაზარალეთო! კი ბატონო, მაგრამ ეს ყველაფერი იმას ხომ არ ჰგავს, კაცმა შინ დინამიტი აიფეთქო, რათა აბეზარ მეზობელს მინები დაუბზარო?! მოკლედ, სამტრედიის რკინიგზის გადაკეტვა რომ დიდ პოლიტიკურ სიბრძნედ ცხადდება, ეს სწორედ ჩვენს პოლიტიკურ ინფანტილიზმზე მეტყველებს.

დავუბრუნდები სიტყვათა ამბოხს: „თავისუფლებაც" აგვიჯანყდა — როგორ გვესმოდა და დღეს როგორ გვესმის ეს სიტყვა? თითქმის საუკუნის წინ ალექსანდრე სარაჯიშვილმა თქვა: ქართველი ისე მიეჩვია მონობას, ბატონის გამოცვლა თავისუფლება ჰგონიაო. თითქოსდა გუშინ თქმულიყოს; ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ბატონობის ერთი ფორმა მეორით კი არ უნდა შეცვალოს, არამედ ერთპიროვნული დიქტატის, ტირანიის ინსტიტუტი უნდა გააუქმოს და პარლამენტის, ხალხის თანადგომით აამუშაოს დემოკრატიისა და ჭეშმარიტი თავისუფლების დამამკვიდრებელი მექანიზმები. თუ ჩვენ ამ ისტორიულ შანსსაც ხელიდან გავუშვებთ, მაშინ რეალობად გვექცევა დღევანდელი ქიშპითა და მტრობით გულდამძიმებული ანალიტიკოსი ქართველის უნუგეშო აღმოჩენა: ისტორიულად ჩვენ იმან გადაგვარჩინა, რომ მუდამ დაპყრობილები ვიყავითო.

როგორც ძველად იტყოდნენ, „ნუმც იყოფინ".

და რომ ეს არ აღსრულდეს, ამისათვის არის საჭირო ხმა იმას მივცეთ, ვინც ჩვენს ხმას გაიგონებს და შეისმენს!

1991 წ.

ფიალა

პრეზიდენტობის კანდიდატთა სატელევიზიო გამოსვლები

გამოსვლა მესამე

ქალბატონებო და ბატონებო!

პრეზიდენტობის კანდიდატთა საარჩევნო კამპანიაში ჩაბმისთანავე საჯაროდ განვაცხადე: კენჭისყრაზე უარს ვიტყოდი, თუ ეს არჩევნები შინააშლილობის კერად გადაიქცეოდა, რითაც შეეძლო ესარგებლა გარეშე, მტრულ ძალას. ღვთის მადლით, საქმე აქამდე არ მისულა, თუმცა უკეთ-მართულმა გეზმა, რომელიც ამ საარჩევნო კამპანიას მიეცა, ისედაც შემლვრეული ზნეობრივი ატმოსფერო კიდევ უფრო მოგვინამლა და პოლიტიკური კონფრონტაცია-დაპირისპირება კიდევ უფრო გაამძაფრა. ითქვა და ფაქტიც გახლავთ: საარჩევნო კამპანია არანორმალურ ვითარებაში მიმდინარეობს: ხელისუფლებამ აამოქმედა ათწლეულობით ნაცადი მეთოდები და ხერხები მასებზე ზემოქმედებისა; ამუშავდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ხალხში შესაბამისი განწყობილების ჩასანერგად. პრეზიდენტობის კანდიდატები ცილისწამების, სახელისგატეხვის, ბეზღობის, ლანძღვის სამიზნეებად ვიქეცით. დაირღვა პრინციპი, რომლის მიხედვითაც კანდიდატებს თანაბარი უფლება-მოვალეობანი ეკისრებოდათ. პრეზიდენტობის კანონის მიღების შემდეგ უზენაეს საბჭოს ზედიზედ შეჰქონდა ამ კანონში მოქმედი პრეზიდენტისთვის მომგებიანი შესწორებები, დამატებები და განმარტებები, რომლებიც ლახავდნენ სხვა კანდიდატების უფლებებს.

მერწმუნეთ, არავინაა წინააღმდეგი კანონისა პრეზიდენტის ღირსების დაცვის შესახებ, მაგრამ ამ კანონსაც კი არ მიუნიჭებია არავისთვის (მათ შორის, არც პრეზიდენტისათვის) უფლება დაამციროს და შეურაცხყოს სხვა. მეტიც ითქმის, პრეზიდენტის ღირსებას შეურაცხყოფა, შესაძლოა, სხვამ კი არ მიაყენოს, არამედ თვით პრეზიდენტმა, რისი მომსწრენიც, სამწუხაროდ, არაერთგზის ვიყავით. განა პრეზიდენტის ღირსების შეურაცხყოფა არ არის, როდესაც იგი განუსაზღვრავს და ამით, ფაქტობრივად გამოითხოვს კიდეც ამომრჩეველებისაგან ხმათა იმ პროცენტულ რაოდენობას, რაც თითქოს აუცილებელია ამერიკელებთან მოსალაპარაკებლად? მოკლედ, აშკარად გამოიკვეთა საშიშროება, რომ დაირღვეს არჩევნების ფარულობაც და რეალური ალტერნატიულობაც, გაყალბდეს ხმები, გადაისინჯოს არჩევნების შედეგები.

ცხადია, საარჩევნო კამპანიას ჰქონდა ღირსებებიც, კერძოდ, გაჩნდა მცირე შესაძლებლობა ინფორმაციული ბლოკადის გარღვევისა, განსხვავე-

ბული აზრის ფართო აუდიტორიამდე მიტანისა: მსმენელსა და მაყურებელს მეტ-ნაკლებად მიეცა შესაძლებლობა შეჰქმნოდა აზრი იმის შესახებ, თუ ვინ არის ვინ.

ერთიც არის სათქმელი: 26-ით შეიძლება ბევრი რამ დაიწყოს, მაგრამ 26-ით ყველაფერი როდი დამთავრდება. ბრძოლა საქართველის დამხობილი სახელმწიფოებრივობის აღსადგენად გრძელდება და ამ ბრძოლაში მე მართებულად არ მიმაჩნია ჩვენი ხალხი შევაჩვიოთ იმ აზრს, რომ აფხაზეთი დავკარგეთ, რომ შიდა ქართლის ნაწილი, ყოფილი სამხრეთ ოსეთი, დავკარგეთ. მით უფრო შეუწყნარებელია აზრი, თითქოს აფხაზეთიცა და სამხრეთ ოსეთიც ისედაც კარგა ხანია რეალურად დაკარგული ყოფილიყოს. ამ აზრს შეგუება ტოლფასია იმისა, რომ შევეგუოთ შეუგუებელს — საქართველო დავკარგეთ. ცხადია, ქართული მინების დაკარგვის საშიშროება გვემუქრება, მაგრამ ამ საფრთხეს წინაღდგომა უნდა და არა შეგუება და მკლავების ჩამოცვენა.

ახლად არჩეული პრეზიდენტი რეალური დამოუკიდებლობისაკენ საქართველოს ისე უნდა წარუძღვეს, რომ ერთი გოჯიც კი ქართული მინისა არ დათმოს. ვინც ამ გზაზე თანაცხოვრების დემოკრატიული წესით წაიყვანს საქართველოს — მითქვამს და ახლაც გავიმეორებ — მან თავის ლაშქარს მეც მიმათვალოს რიგით მოლაშქრედ.

„ახალგაზრდა ივერიელის" კორესპონდენტმა პრეზიდენტობის კანდიდატებს ასეთი შეკითხვით მოგვმართა: დღევანდელ საქართველოში პრეზიდენტობა არის ჯვარცმა, გოლგოთის გზა და თუ ხართ ამისთვის მზადო? ყველას გახსოვთ, მოსალოდნელი და ნათელხილვით წინასწარ დანახული ჯვარცმის წინაშე თვით მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე, ძრნის გეთსემანიის ბაღში ლოცვისას; ამაცილე ეს მწარე ფიალაო, ევედრება მამას. ამიტომ, შეუძლებელია ნებისმიერი კანდიდატი ასეთი ტვირთის წინაშე არა ძრწოდეს... გამონაკლისი არც მე გახლავართ... დიახაც — ვძრწი, დიახაც — „პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან მეშინის"... ისიც ვიცი, ჩემი, როგორც პედაგოგისა და ლიტერატორის პრესტიჟისათვის, ალბათ, უკეთესი იქნებოდა კენჭისყრაზე ასეთ სიტუაციაში უარი მეთქვა. და მაინც — არ ვამბობ უარს, ბოლომდე ვრჩები ამ, ჩემთვისაც ცხადია, უთანასწორო ბრძოლაში თუნდაც იმიტომ, რომ ზნეობრივად ვალდებულად ვთვლი თავს არ გავუცრუვო იმედი იმ, ალბათ, მცირე ნაწილს ამომრჩევლებისას, ჩემთვის რომ აპირებენ ხმის მოცემას.

ეტყობა, ჩვენ-ჩვენი ფიალა ყველამ ბოლომდე უნდა შევსვათ.

ახლად არჩეულმა საქართველოს პრეზიდენტმა, ვინც უნდა იყოს იგი, ვფიქრობ, არჩევისთანავე უნდა გადადგას ის ნაბიჯი, რომელიც, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად გამოხატავს ტრადიციულ ქართულ სულისკვეთებას; მან უნდა გამოაცხადოს დიდი შერიგება, შერიგება ჩვენში მაცხოვრებელ ერთა და ეროვნებათა შორის, შერიგება პოლიტიკურ პარტიათა შო-

რის, შერიგება კაცთა შორის. და ამ შერიგების მექანიზმი სწორედ პრეზიდენტის მიერ განსხვავებული მოსაზრების პატივისცემას უნდა ეფუძნებოდეს. ეს იქნება მტკიცე გარანტია იმისა, რომ ჩვენ, ყველამ ერთად, ერმაცა და ბერმაც —

მოვუაროთ საქართველოს!

1991 წ.

დაბლოკილი განცხადება

უფლებამისილი ვარ, მარტო ჩემი — არა, ბატონების ვალერიან ადვაძისა და ირაკლი შენგელაიას სახელითაც განვაცხადო:

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების კამპანია არანორმალურ პირობებში მიმდინარეობს. ოპოზიციის კანდიდატები აშკარად არათანაბარ პირობებში ვართ ჩაყენებული დღევანდელ პრეზიდენტთან შედარებით. ეს უთანაბრობა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ თავისი ოფიციალური განცხადებითაც დაადასტურა: „რამდენადაც ვარ ფაქტობრივი პრეზიდენტი, ვერ გავუთანაბრებ თავს პრეზიდენტობის მაძიებლებს". უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი გამსახურდია კანონის მიხედვით არის პრეზიდენტობის კანდიდატიც ანუ, მისივე ტერმინოლოგიით, „პრეზიდენტობის მაძიებელი" და, როგორც უზენაესი საბჭოს მიერ არჩეული პრეზიდენტი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ იგია მოვალე დაიცვას კანონი. დღევანდელი პრეზიდენტის ამგვარი ქედმაღლური დამოკიდებულება ალტერნატიული კანდიდატების მიმართ, მისი არაკორექტული, ზოგჯერ კი ეთიკისა და იურიდიული ნორმების ზღვარს გადასული ეპითეტებით ოპოზიციის კანდიდატთა დახასიათება (მაგალითად, „ვიგინდარები" — როგორც პრეზიდენტობის დანარჩენი კანდიდატები მოიხსენია მან პედაგოგიურ ინსტიტუტში ამომრჩევლებთან შეხვედრაზე), ცხადია, შესაბამის კანონსაწინააღმდეგო ქმედებას იწვევს პრეზიდენტს დაქვემდებარებულ ხელისუფალთა მხრიდან: სამინისტროების, უწყებების, პრეფექტურისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები მოურიდებლად იყენებენ ძალისმიერ მეთოდებს ამომრჩევლებზე ზემოქმედებისა არჩევნებში ბატონ გამსახურდიას „ერთსულოვანი მხარდაჭერის" უზრუნველსაყოფად. პროკურატურის არაკონსტიტუციური გადაწყვეტილების მომიზეზებით ტელევიზიამ ოპოზიციის კანდიდატებისა და მათი ნარმომადგენლების გამოსვლებს დაუწესა ცენზურა, შეზღუდა ან მთლიანად მოხსნა ცალკეული განცხადებები და მთელი გადაცემები. უკვე მოქმედ საარ-

ჩევნო კანონში უზენაეს საბჭოს შეაქვს შესწორებები და განმარტებები ცალკეულ მუხლებთან დაკავშირებით, რაც ბლალავს ოპოზიციის კანდიდატთა უფლებებს. დღევანდელი პრეზიდენტის საარჩევნო კამპანია აგებულია მისი პიროვნების ზღვარგადასულ განდიდებასა (რაც, ცხადია, მისი საქმეა) და ოპოზიციის კანდიდატთა სახელის გატეხვის მცდელობაზე (რაც უკვე მარტო მისი საქმე აღარ გახლავთ). ყოველივე ამან ისე გაამწვავა ვითარება, რომ პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით შიმშილობაც კი გამოაცხადა.

უკანასკნელი გადაწყვეტილება უზენაესი საბჭოსთვის არჩევნების შედეგების გადასინჯვის უფლების მინიჭების შესახებ უპრეცედენტოა და აგვირგვინებს მცდელობას, საარჩევნო კანონი და შესაბამისი აქტები მიუსადაგოს პრეზიდენტობის, როგორც ოფიციალური პრესა ამკვიდრებს ამ ტერმინს, „ერთადერთ კანონიერსა (?) და სრულუფლებიან (?) კანდიდატს" ბატონ გამსახურდიას. დღეს ქართველი ხალხი, საქართველოს მოსახლეობა მოწმე და მონაწილეა მცდელობისა, შეიქმნას ილუზია, თითქოს ახლანდელი საპრეზიდენტო არჩევნები დემოკრატიული და ფარული იყოს. სინამდვილეში, ხელისუფლება მოსახლეობას ართმევს მის უძირითადეს კონსტიტუციურ უფლებას — უფლებას არჩევანისას.

კვლავ მთელი კატეგორიულობით მოვითხოვთ საარჩევნო კანონის განუხრელ შესრულებას ყველა ამ ორგანიზაციისა და თანამდებობის პირის მიერ, ვისაც ევალება პრეზიდენტობის კანდიდატთათვის თანაბარი პირობების შექმნა. პასუხისმგებლობას შექმნილი არანორმალური ვითარების გამო მთლიანად ვაკისრებთ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას და პირადად მის პრეზიდენტს.

20.V.1991 წ.

ერთად

პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართვა არაქართულენოვან მოსახლეობას

მინდა მივმართო საქართველოს ხალხის იმ ნაწილს, რომელსაც მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა ქართული არ იციან. თანამემამულენო! ჩემი ღრმა რწმენით, თქვენ თანამემამულენი ხართ იმის საფუძველზე, რომ საქართველოში ცხოვრობთ, საქართველოში შრომობთ (სწავლაც შრომის ერთ-ერთი სახეობაა) და საქართველოს ინტერესებს იცავთ, მოკლედ, ხართ საქართვე-

ლოს მოქალაქეები. ამ შემთხვევაში თქვენს ეროვნულ წარმომავლობას, რელიგიურ რწმენას და პარტიულ ინტერესებს ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს და არც უნდა ჰქონდეს. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა „არ ახალია, ძველია"... ასე უყურებდნენ არაქართველ მოსახლეობას ოდითგანვე საქართველოში, სადაც ერთა შორის ურთიერთობის მთავარ პრინციპად მუდამ მიაჩნდათ რელიგიურ-ეთნიკურ-მსოფლმხედველობრივი შემწყნარებლობა.

ახალი, თავისუფალი, დემოკრატიული საქართველო, რომლის დამოუკიდებლობას თქვენ ქართულენოვან მოსახლეობასთან ერთად ცალსახად დაუჭირეთ მხარი რეფერენდუმით, **უთქვენოდ ვერ აშენდება.** საერთოდაც, ძნელია გადაჭარბებით შეაფასოს კაცმა თქვენი როლი ჩვენს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში; როცა ვამბობ — ჩვენს მოძრაობაშიო — მე მხოლოდ ქართველებს არ ვგულისხმობ, ამ „ჩვენში" თქვენც, არაქართულენოვანი, არაქართველი მოსახლეობაც იგულისხმებით. ეს თქვენთვისაც ისეთივე სისხლხორცეული საქმეა, როგორიც — ჩვენი; საქართველოს გათავისუფლებით თქვენც ისეთსავე სარგებელს ნახავთ მატერიალურადაც და სულიერადაც, როგორსაც — ქართველები. ამიტომაც გმართებთ, თქვენივე ინტერესებიდან ამოსვლით, ერთად და შეთანხმებულად ვიმოქმედოთ, ერთად გავიჭირვოთ, როცა დაბრკოლებებს გადავაწყდებით, და ერთად მოვილხინოთ, როცა ლხინის ჟამი დაგვიდგება.

უერთმანეთოდ — მუდამ გაჭირვებაში ვიქნებით;

ერთად — საბოლოო გამარჯვებას მივაღწევთ.

1991 წ.

ტვინდაცვეთილნი

ტელეგამოსვლა

ქალბატონებო და ბატონებო, პატივცემულო ტელემაყურებლებო,

მეც, თქვენი არ იყოს, შემძრა ამ წუთას ტელეეკრანზე ნანახმა და მონასმენმა: კუდიანების არული გაუმართავს გროზნოში მთიელ ხალხთა კონფედერაციას. განწყობილებაც გაორებული დამეუფლა, აი ისეთი, საუკუნის წინ ერთ დიდ ქართველს რომ აკითხვინა — ვიცინოთ თუ ვიტიროთ?

მართლაცდა, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ გამოიყურებოდა გროზნოს სპექტაკლის მონაწილე ყვარყვარეთა თათქარიძეობა, თუ გნებავთ — თათქარიძეთა ყვარყვარეობა: „აქეთ გორასა ფეხი ჰკრეს" და ლამის გაერო გაა-

უქმეს; რუსეთს ატომური კატასტროფით მინასთან გავასწორებთო, იმუქრებიან და საქართველოს რაღას უზამდნენ? საქართველო მღილადაც არ უჩანთ ამ ვაჟბატონებს და აკი თავიანთ ხუშტურზე ჭრესა და ლამბეს ჩვენი ტერიტორია.

მაგრამ ამ ტაკიმასხარაობის მიღმა მაინც საშიში და სახიფათო რამ ილანდება — სახიფათო არა მარტო ჩვენთვის, ქართველებისთვის... ოღონდ, ჩვენი სატირალი და თავში საცემი უფრო სხვა რამ გახლავთ: აქაც, საქართველოშიც, არის ხალხი, ეკრანზე წარმოჩენილი ქალბატონისა არ იყოს, „არა მჯერა“ და „არა მჯერაო“, რომ დაუჟინია... თვალნი აქვთ და — ვერ ხედავენ, ყურნი ასხენან და — არ ესმით...

ისე, ნება მიბოძეთ, ჩვენო ურწმუნო თომებო, მეც არ დაგიჯეროთ, რომ თქვენ არ გჯერათ... გჯერათ, ბატონო ჩემო, მიხვდით, კარგა ხანია იცით უკვე, რა სნებასაც შეეეყარეთ, მაგრამ ვერ გეთმობათ თქვენი კერპი... თუმცა — არა! თქვენ, უპირველეს ყოვლისა, ვერ გეთმობათ მისგან ნაბოძები უზნეობის თავისუფლება, ანუ უფლება — დაამციროთ თქვენზე ამაღლებული, ჩაწიხლოთ თქვენზე აღმატებული. რას ვიზამთ, ცოტანი როდი არიან, ვისაც თავისი სნეულება, თავისი სიბილწე, სწორედ იმიტომ, რომ თავისია, ეძვირფასება. აკი ბრძანებდა გურამიშვილი:

„ერთს კიდევ გეტყვით იგავსა,
თქვენგან დამერთვის თუ ნება,
ზოგ კაცსა საკმლად მიუჩანს
თავის სიმყრალის სუნება“.

და არის ხალხი, ვინც, მიუხედავად თავიანთი გარეგნული თავდაჯერებისა და სიზვიადისა, შინაგანად მარადი მარიონეტები და სხვათა დუდუკზე დამროკებელნი არიან. ასეთებს, თუ საზოგადო ასპარეზი არ ექნათ, ცოლი დაიხვევს თითზე, თუ ექნათ — სწორედ ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც თითქოსდა უპირისპირდებიან. ზვიად გამსახურდია რეალურად, საქმით, მარიონეტი იყო ჯერ სუკისა, ახლა, ამასთან ერთად, ეკრანზე ვიხილეთ, როგორ ქცეულა იგი ჯოხარ დუდაევის, კონფედერანტების, ისლამური ფუნდამენტალიზმის მარიონეტად. არადა, პრეზიდენტყოფილი თითქოსდა მთელი ცხოვრება სუკსა და ისლამს უპირისპირდებოდა. უნდა მივმხვდარიყავით, „ძირს ყოვლისშემძლე სუკიო“, — ამას სუკი, თუკი იგი მართლაც ყოვლისშემძლე იყო, მხოლოდ იმათ აყვირებდა, ვისაც რეალურად თავის საქმეს აკეთებინებდა.

ალბათ, ყურადღება მიაქციეთ, როგორ მარშირებდა გროზნოს ქუჩებში რუსულჩექმიანი ჩეჩნური ჯარი „ალა ილ ალაპ“-ის ძახილით. ღმერთმა დაგვიფაროს და, თუ ახდა პრეზიდენტყოფილის ჩანაფიქრი და ამ ჩექმებმა

რუსთაველზე გაიბრახუნეს, დატერორებულ ხალხს „ალაჰის“ ნაცვლად, ალბათ, „ჯოხარი-ზვიადი“-ს აძახებინებენ... უფრო სწორად, ასე: „ჯოხარი ღმერთია და ზვიადი მისი წინასწარმეტყველი“... ისე, წინასწარმეტყველისა რა მოგახსენოთ და, „ხელის ბიჭივით“ რომ დასდევდა კუდში დუდაევს ერთ დროს ზვიადი ზვიადი, ეს კი ყველამ ვიხილეთ ეკრანზე.

მოგეხსენებათ, იუდეველთა მსგავსად, მაჰმადიანებსაც აქვთ წინადაცვეთის წესი — ერთი ორგანოდან მცირე ნაწილის წაცლა. დარწმუნებით ვერ ვიტყვი, გროზნოში გადახვეწილმა ჩვენმა ძველმა მთავრობამ წინადაიცვითა-მეთქი, მაგრამ „ყოფილებმა“ ტვინი რომ დაიცვითეს, ამას წყალი არ გაუვა. ტვინდაცვეთილის გარდა ვისი თავიდან შეიძლება დაიბადოს ის აზრი, ახლა ტელეეკრანიდან რომ მოვისმინეთ: რახან თბილისი მხარს უჭერს ახალ ხელისუფლებას, რახან თბილისის „ხუნტა“ გაეროს, თურმე ნუ იტყვით, მთლიანი საქართველოს მთავრობად უცვნია და საქართველო გაეროში მიუღია, ამიტომაც კახეთმა, იმერეთმა, სამეგრელომ... და ა.შ. — თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, უფრო სწორად — სამეფოებად უნდა გამოაცხადონ და გაეროშიც დამოუკიდებლად უნდა გაწევრიანდნენო... აფერუმ, ქართული ეროვნული ხელისუფლების ეროვნულო წარმომადგენლებო, აფერუმ, მზია-ხანუმ ჯეჯელავა-საფაროვა-შერვაშიძეე, აფერუმ, გიორგი მარჯანიშვილო, გამსახურდიას რუპორო, უფრო სწორად — ქვევრო ცარიელო... და ათგზის აფერუმ, „პირველო ეროვნულო პრეზიდენტო“... დაინაწილეთ, არა, „ქართლ-კახეთად, იმერეთად, გურიად და სამეგრელოდ“ ის, რაც დუტუ მეგრელისა და ყველა ნორმალური ქართველისათვის ერთიანი, განუყოფელი სამშობლოა — „საყვარელი საქართველო“?! მაინც, ვინ რა ნაწილი ირგუნეთ, რა ტერიტორია ჩამოიჭერით სათავისოდ, ტახტები სად დაიდგით, ყვარყვარე თათქარიძეებო? პრეზიდენტყოფილი საქართველოს რომელი ნაჭრის მეფედ უნდა ვაკურთხოთ, ეს მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა, თუმცა, მისი ხასიათი რომ ვიცი, დადიანობას ის მაინც იცოტავებს და მზერას, ალბათ, ქართლს მიაპყრობს, ქართლის მეფის გვირგვინს მოიზმანებს, მით უფრო, რომ, თუ თვითონ ბატონ კონსტანტინეს მოგონებებს ვერწმუნებით, გადმოცემით, გამსახურდიათა გვარი, თურმე, ქართლელ გამსახურდაშვილებს უკავშირდება. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით კი მიუთითებენ გამსახურდაშვილების შორეულ წინაპარს — მძოვრეთელ გამსახურდ ტერტერაშვილს... ტყუილად როდი აყვირებდნენ ხალხს — ბაგრატიონთა სისხლი გადაილალა და უნდა განვაახლოთო — ეტყობა, გამსახურდ ტერტერაშვილის ჩამონავალთა სისხლით უპირებენ განახლებას... მზია-ხანუმს კი თამარ მეფის დაფნები არ ასვენებს და, ვინაიდან ჯანმრთელობის ცნობა არც პრეზიდენტობას და, მით უფრო, არც მეფე-დედოფლობას არ სჭირდება, ალბათ, ვერაკინ შეეცილება აფხაზეთის ტახტში. ბატონ მარჯანიშვილს ასარჩევად უნდა ჰქონდეს საქმე: დედით კახელი ვარო, ხომ უსმენდით, როგორი დაყინებით გვიმეორებდა, თუმცა გაკვრით ისიც გვიხსენა, მამით იმერელი გახლავართო;

ეტყობა, სერიოზული პრეტენზია უფრო კახეთის ტახტზე აქვს, მაგრამ, ყოველი შემთხვევისათვის, იმერეთისასაც იბევებს... გამოგვიჩნდა ახალი არჩილ მეფე, ხან კახეთში და ხან იმერეთში რომ მეფობდა!

პატივცემულო ტელემაყურებლებო, ახლა კი, ვგრძნობ, რომ გამირისხდით: რამდენი, მაპატიეთ და, ქეციანი ტახტისმაძიებელი გამოუჩნდება გაეროში — უკაცრავად, შემეშალა, მთიელ ხალხთა კონფედერაციაში — გაწევრიანებულ სამ სამეფოსა და ხუთ სამთავროს ან თუნდაც ერთ გურჯისტანს, ჩვენი დიდი წინაპრების წმინდა სახელები აქ რა მოსატანიაო... ცამდის მართალიც იქნებით და მე შენდობასა გთხოვთ თქვენცა და ჩვენთა მეფეთა აჩრდილებსაც მათი სულების შეშფოთებისათვის. მე შენდობას ვითხოვ დიდი კონსტანტინე-ბატონის სულის წინაშეც, ვინც, მართლაც რომ, სამგზის გადატრიალდებოდა ჯავრით საფლავში გროზნოს ამბების გამგონე.

ერთ უნარს კი ვერ დავუკარგავ ვერც პრეზიდენტყოფილსა და ვერც მის „ჰამქარს“: რამდენჯერ მიფიქრია, მეტი რაღა უნდა თქვან ან რაღა უნდა ქნან, მეტით კიდევ რითღა უნდა გაგვაოგნონ-მეთქი... მაგრამ — არა; ყველაფერს აქვს საზღვარი — უნამუსობას არა ჰქონია სამანი. დღეს რომ კაცი, ნახელისუფლარი კაცი, საჯაროდ განაცხადებს — ის ჩეჩნები და ადიღეელები, ვინც აფხაზეთში ქართველთა სისხლსა ღვრის, იქ მებრძოლ ქართველებზე უფრო ზნეობრივი და სამართლიანი ხალხია, არძინბა კი მართალია ქართულ-აფხაზურ კონფლიქტშიო, ის კაცი ხატზეა გადასაცემი. ვიმეორებ, ამას რომ დღეს, გაგრის სტადიონზე ქართველთა მოჭრილი თავებით ბურთაობის შემდეგ, იტყვი კაცი, ის, ილიასი არ იყოს, აღარ ვიცით, რა სულიერებში უნდა ჩავრიცხოთ...

ხატზე გადაცემა ჩემი საქმე არაა, მე ჩემს სათქმელს ამ ვაუბატონ-ქალბატონებს პირდაპირ მოვახსენებ:

საქართველოს ნაძარცვითა თუ თქვენგან გაბრიყვებული ხალხის აქედან გამოგზავნილი ფულით დალაღებულებო, გროზნოს სამთავრობო კორტებზე თუ აუზებში მონებივრენო, ჩეჩნური ცხვრის დუმით ტუჩგადაპოხილნო, საქართველოში თქვენგან დაღვრილ სისხლზე ამოჯეჯილებულნო — დიახ, ლევანისა და მამუკას, რატისა და დათოს, კოკასა და სანდროს, მიშიკოსა და ლაშას, კოტესა და სულხანის — ასობით, უკვე ათასობით ქართველის სისხლით დატიკნილო წურბელებო, თქვენ არც ერთი არა ხართ სიკვდილის ღირსი... მე არაფერი შემშლია — სწორედ სიკვდილის ღირსი არა ხართ თქვენ. მით უმეტეს — ქართველმა არ უნდა გაისვაროს ხელი იმ მონამლული მყრალი სითხით, ძარღვებში რომ დაგიდით. თუმცა, თქვენი მოკვლა შეუძლებელიცაა... მოკვლა ცოცხლისა შეიძლება, თქვენ კი კარგა ხნის მკვდრები ხართ — ზნეობრივი სიკვდილი ხომ ფიზიკურზე უფრო ნაღდი და სრულია. თქვენ, ზეზეულა მოარულმა მკვდრებმა, დიდხანს, დიდხანს უნდა იცოცხლოთ, უფრო სწორად — იარსებოთ... თქვენ სრულად უნდა ამოწუროთ

თქვენი ფუნქცია — აჩვენოთ, თვალდათვალ დაახახოთ ძთელ ქართველ ხალხს ის ფსკერი, სანამდეც შეიძლება კაცის დაცემა.

მეტი დაცემა რაღა იქნებაო, იკითხავთ, მაგრამ, ვშიშობ, უნამუსობისა არ იყოს, ვაითუ, არც დაცემას ჰქონდეს საზღვარი.

1992 წ.

გვარს კაცი ამშვენებს

ტელეგამოსვლა

საღამო მშვიდობისა, ბატონებო!

სწორედ „საღამო მშვიდობისას" — ამ ჩვენი პოპულარული სატელევიზიო პროგრამის — უკანასკნელი გადაცემის შესახებ გაგიზიარეთ ორიოდ კვირის წინ ჩემი შთაბეჭდილებანი: თუ გახსოვთ, ჯერ გროზნოში გამართული მთიელ ხალხთა კონფედერაციის ყრილობა გვიჩვენეს, მერე გიორგი მარჯანიშვილის პირით დამხობილი ხელისუფლების გეგმა გაგვაცნეს — თუ როგორ უნდა გაერთიანდნენ გაეროში კახეთი, იმერეთი, სამეგრელო დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, ბოლოს კი მთხოვეს ნანახზე აზრის გამოთქმა... დამეთანხმებით, იმ ცხელ გულზე ძნელი იყო დინჯად და უემოციოდ მელაპარაკა იმაზე, რასაც, ალბათ, ვერც თქვენ უყურეთ გულმშვიდად.

პირველ ყოვლისა, მადლობელი ვარ იმ ტელემაყურებლებისა, რომელთაც მიიჩნიეს, რომ ჩემი ამასწინდელი ტელეგამოსვლა მათივე ემოციების — და, საკმაოდ მძაფრი ემოციების — გამოძახილი და გამომხატველი იყო. სრულიად განსაკუთრებული ფასი ჰქონდა ჩემთვის კონსტანტინე გამსახურდიას ქალიშვილის, ქალბატონ ნათელა გამსახურდიასა და მისი ოჯახის წევრების სამადლობელო სიტყვებს — მათზე უკეთ ვინ გამიგებდა, პრეზიდენტყოფილის მიმართ ჩემს ასეთ უარყოფით ემოციებს, სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად, დიდი მწერლისადმი ჩემი კიდევ უფრო დიდი მოწინება რომ კვებავს.

ისიც უნდა ვთქვა, გამსახურდიათა შორის ბევრი ახლობელი მყავს და, ცხადია, დიდად შემაწუხებდა, თუ ნებსით ან უნებლიეთ ჩემი გამოსვლით თუნდაც ერთ მათგანს გულს ვატკენდი. არადა, ეტყობა, არც მთლად უამისობაა, რამდენადაც ქართლის ტახტის მაძიებელთა შორის გამსახურდიას გვარისა და მისი სათავის სავარაუდო დამდების ირონიულმა მოხსენიებამ, ვშიშობ, ერთგვარი გაუგებრობის ბურუსი წარმოშვა, რის გაფანტვასაც ახლა შეეეცდები.

დავიწყებ იმით, რომ —

ა) ბაგრატიონთა დინასტიის შეცვლაზე ანუ მათი „დაღლილი სისხლის გა-

ნახლებაზე" ფიქრიც კი მკრეხელობაა; ხოლო ვისგან მოდიოდა ეს „იდეა", რა წრეში გაიგონებდით ამაზე საუბარს, ვინ ამზადებდა საამისოდ ნიადაგს, ვინ აწყობდა საპატრიარქოსთან ამის თაობაზე „აქციებს", ეს არავისთვის არ უნდა იყოს საიდუმლო. მკრეხელობაა არა იმიტომ, თითქოს ბაგრატიონთა შორის მოღალატე და ქვეგამხედველი არა რეულა: საამისოდ მარტო კონსტანტინე კახეთის მეფის — საკუთარი მამისა და ძმის მკვლელის, ყიზილბაშთა შემომძღოლის და მათივე აგენტის — მაგალითიც იკმარებდა. მაგრამ, თუ მონარქია საქართველოში ხალხის ნებით ოდესმე აღდგება, იგი, ცხადია, თითქმის ცამეტსაუკუნოვანი მეფობის ტრადიციისა და ყველაზე დიდი ისტორიული დამსახურების მქონე ბაგრატიონთა გვარით უნდა აღდგეს და, რომელი გვარიც უნდა იყოს ამაში მისი შემცილე — დადიანი იქნება, ორბელიანი, გამსახურდია, ტერტერაშვილი, ღორწველაშვილი თუ კვაჭანტირაძე — ყველა დაიმსახურებს ირონიულ დამოკიდებულებას.

ბ) რაც შეეხება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ ვარაუდს გამსახურდიათა გვარის კავშირზე ქართლელ გამსახურდაშვილებთან, რომელთა ერთი შტოს წინაპარი ძოვრეთელი გამსახურდ ტერტერაშვილი ყოფილა, ამას ვერავინ ჩათვლის გვარის შეურაცხყოფად: არც ამ თემაზე მომუშავე მეცნიერს, კონსტანტინე გამსახურდიას შესახებ მონოგრაფიის ავტორს*, და არც თვით ბატონ კონსტანტინეს, რომელიც ამ ვერსიის ერთ ნაწილს თავის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში ადასტურებს, რაღა თქმა უნდა, გამსახურდიათა გვარის შეურაცხყოფა აზრადაც არ მოსვლიათ. სიტყვამ მოიტანა და, „ლანდებთან ლაციცში" ავტორი იმასაც აღნიშნავს, გამსახურდიათა გვარი დაწყევლილი იყო აბაშელი ეპისკოპოსისაგან ამ გვარის ერთი წარმომადგენლის ულირსი საქციელის გამოო. მერედა — რა? მწერალი არ მორიდებია ამის აღნიშვნას, ვინაიდან იცოდა — შვილები პასუხს ვერ აგებენ მამათა საქციელზე...

სხვათა შორის — არც მამებს, მით უფრო — გარდასულ დიდ მამებს, უნდა ეაგებინოთ პასუხი სრულწლოვან შვილთა ცოდვებზე.

გ) კაცმა რომ თქვას, არც ტერტერაშვილი — ეს ღონიერი ქართული გვარი, ვიმეორებ, ქართული-მეთქი — გახლავთ ვინმესგან ტუჩის ასაბზუებელი. „ტერტერა" რომ სომეხთა მღვდელს ჰქვია, ეს ისევე არაფერს გვეუბნება ამ გვარის მატარებელთა არაქართულ წარმომავლობაზე, როგორც თარხნიშვილების ქართველობას ეჭვის ქვეშ ვერ დააყენებს ის ფაქტი, რომ „თარხანი" არაბულად განთავისუფლებულ ყმას ნიშნავს.

დ) საერთოდაც, გვარში მოქცეული შინაარსი კაცის ღირსებათა განსაზღვრად ნაკლებად გამოდგება: ზოგ სამჭკუაშვილს ერთი კაცის ჭკუაც არა ჰქონია, ქათამაძე ზოგჯერ მამალაძეზე „მამალი" გამომდგარა და თიკანაძეს კი ზოგი მგელაძე დაუფრენია.

---

* იგულისხმება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი სოსო სიგუა — იხ. ს.სიგუა, კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, თბ., 1980, გვ. 77 (რედაქტორის შენიშვნა).

ე) რაც შეეხება გვარის ჟღერადობას: ჟღერით, მე თუ მკითხავთ, **თქარ-თქარი** უფრო ჟღერადია, ვიდრე — **ჭავ-ჭავი**, მაგრამ, ვიკითხავ, თქარ-თქარიდან მიღებული **თათქარიძე** უფრო ჟღერს, თუ — ჭავ-ჭავიდან მიღებული **ჭავჭავაძე**? ასეა, კაცი უფრო ამშვენებს გვარს, ვინემ — გვარი კაცს.

ვ) დაბოლოს, გამსახურდიებს, კაცმა რომ თქვას, რა აქვთ გულდასაწყვეტი, მათ ხომ უკვე ჰყავდათ მეფე. მისი მეუფება არ ყოფილა ხორციელი — მას არც ბედაურების, არც კარეტების და არც მერსედესების კორტეჟი არ დააცილებდა, იგი არც შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ყოფილა... მაგრამ იგი იყო მეფე პროზისა და ღირსეულად სარდლობდა სიტყვათა ლეგიონებს.

და სახელი ამ მეფისა — კონსტანტინე გამსახურდია: გამართლება არა მარტო ყველა გამსახურდიასი, არამედ — ყველა ქართველისაც.

1992 წ.

ორი მიმართვა აფხაზებს

აფხაზებო, ჩვენო სისხლისმიერო ძმებო!

ჩვენ შორის, ქართველთა და აფხაზთა შორის, სისხლისღვრა უნდა შეწყდეს! ქართველი და აფხაზი ამ კონფლიქტში რომ ერთმანეთის სისხლს ღვრიან, ეს საკუთარი სისხლის დანთხევას უდრის, ვინაიდან ჩვენ არა მარტო ისტორიულად, არამედ სადღეისოდ და სამარადჟამოდ ერთი საერთო ქვეყნის, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფოს ტოლფასოვანი მოქალაქეები, პატრონები და მემკვიდრენი ვართ. საქართველო ისევე ეკუთვნის აფხაზს, როგორც — ქართველს; აფხაზეთი ისევე ეკუთვნის ქართველს, როგორც — აფხაზს. აფხაზეთის ავტონომიის, თვითმმართველობისა და თვითმყოფადობის გარანტი სწორედ ეს ჩვენი ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფოებრიობაა.

ყოველი გარეშე ძალა, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთ მხარეს დაუპირისპირდება თუნდაც მეორე მხარის მხარდაჭერის მომიზეზებით, სინამდვილეში უპირისპირდება ჩვენს, ქართველთა და აფხაზთა, საერთო და მარადიულ ინტერესებს — ღირსეულად ვიარსებოთ ამ ჩვენს მიწაზე ჩვენი თვითმყოფადი ენებით, ჩვენი საერთო კულტურითა და ისტორიით. ამ გარეშე ძალას, როგორც ამ კონფლიქტმაც დაადასტურა, საკუთარი ინტერესები ამოძრავებს და მას მხოლოდ უბედურება შეუძლია დაატეხოს

თავს როგორც ქართველებს, ასევე — აფხაზებს; პირველ ყოვლისა — სწორედ აფხაზებს; კონფლიქტში მათი ჩარევის სავალალო შედეგი უკვე ვიწვნიეთ და ამიტომაც ჩვენი, ქართველებისა და აფხაზების, უპირველესი მიზანია, ამ გარეშე ძალას თავისი ადგილი მივუჩინოთ დასაქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილი ბანდები იქითკენ გავისტუმროთ, საიდანაც მობრძანებულან.

ჩვენ, ქართველებმა და აფხაზებმა, ჩვენი ერთიანი სამხედრო ძალებით საიმედოდ უნდა დავიცვათ ჩვენი საზღვრები.

ჩვენ, ქართველებმა და აფხაზებმა, საერთო ძალისხმევით უნდა დავამყაროთ მართლწესრიგი მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე.

ჩვენ, ქართველებმა და აფხაზებმა, ერთად უნდა უზრუნველვყოთ ჩვენი მკვებავი არტერიების — სარკინიგზო-სატრანსპორტო მაგისტრალების — შეუფერხებელი ფუნქციონირება; თუ ეს ვერ მოვახერხეთ და დივერსანტთა, ტერორისტთა და ბანდიტთა სათარეშოდ ვაქციეთ ეს ჩვენი სასიცოცხლო ხაზები, ერთნაირად დავიმშევით და გავპარტახდებით როგორც ქართველები, ასევე — აფხაზებიც.

ჩვენ, ქართველებმა და აფხაზებმა, ყველაფერი უნდა ვიღონოთ თანასწორუფლებიანობის პრინციპზე დაფუძნებული საარჩევნო კანონით ჭეშმარიტად დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების ჩასატარებლად.

ჩვენ, ქართველებმა და აფხაზებმა, იმაზეც უნდა ვიზრუნოთ, რომ ამ ჩვენს საერთო მიწაზე მეგობრულად და მეზობლურად იცხოვროს აფხაზეთის ყველა მკვიდრმა თავისი ეროვნებისა თუ რელიგიური შეხედულების მიუხედავად.

აფხაზეთს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ, ქართველებმა და აფხაზებმა, უნდა მოვუაროთ, სხვანი ვერც ჩვენს პრობლემებს გადაგვიწყვეტენ და ვერც ჩვენს საერთო ინტერესებს დაიცავენ. სხვას, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ დახმარების გაწევა შეუძლია, უარესში — ცეცხლზე ნავთის დასხმა.

დავიმახსოვროთ:

ის აფხაზი, რომელიც ქართველობას მტრობს, მტერია აფხაზებისა.

ის ქართველი, რომელიც აფხაზობას მტრობს, მტერია ქართველებისა.

ქართველებო და აფხაზებო, შეერიგდეთ და — გადავრჩებით, გაერთიანდეთ და — გავიმარჯვებთ!

1992 წ.

ჩვენო აფხაზო ძმებო და დებო!

მოგმართავთ ჩვენი, ქართველი და აფხაზი, ხალხების საერთო განსაცდელის ჟამს.

მოგმართავთ იმ რწმენით, რომ — როგორც ჩვენს წინაპრებს ესმოდათ ერთმანეთისა, ახლაც ისე გავიგონებთ და შევისმენთ ერთმანეთის ხმას.

გავიგონებთ და შევისმენთ თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ, ქართველები და აფხაზები, მართლაც ვართ სისხლისმიერი ძმები. ამას არ სჭირდება დიდი ფიცი-მტკიცი — შეეხედოთ კარგად ერთმანეთს, დავუგდოთ ყური ჩვენს სიმღერებს, დავუკვირდეთ ჩვენს მიხვრა-მოხვრას, ქცევას, ცხოვრების წესს და ჩვენივე იერ-სახე, ჩვენი სიმღერა, ჩვენი ადათ-წესები, ჩვენი ჩაცმულობა, ჩვენი კერძები უმალ გაგვახსენებს, რომ ჩვენ ერთი ჯიშისა და ჯილაგისანი ვართ; ერთი გვქონდა და გვაქვს ისტორიული საცხოვრისი, ერთიანი გვქონდა თვით ისტორიაც, საერთო გვაქვს კულტურა და ზიარი ადათ-წესები; ერთი სათავიდან მოედინება ჩვენი ენები და მეტწილად ერთი და იგივე გვარ-სახელისანი ვართ.

სისხლისმიერი ძმობა ერებისა სწორედ მათ ისტორიულსა და კულტურულ თანაზიარობას გულისხმობს. ძმებს შორის სისხლიანი შუღლის ჩამოგდება კი ისეთი ცოდვა-დანაშაულია, რომელიც არავის არასდროს არ შერჩენია.

დავიწყოთ წყალგაუვალი ჭეშმარიტებით: ქართველები და აფხაზები არიან საქართველოს ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მკვიდრი ერები და სხვა სამშობლო, სხვა საცხოვრისი ამ ხალხებს არ გაგვაჩნია;

ქართველები და აფხაზები ერთ სახელმწიფოს წარმოვადგენთ და ამ სახელმწიფოს, საქართველოს რესპუბლიკის, ტერიტორიული მთლიანობა და განუყოფლობა აღიარებულია ყველა საერთაშორისო კანონითა და ნორმით.

აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია... მას, აფხაზეთს, აქვს სახელმწიფოებრივობის ის ფორმა, რომლის ხელშეუხებლობა არა მარტო კონსტიტუციურად, არამედ ადამიანისა და ეროვნებათა საერთაშორისო უფლებებით არის გარანტირებული.

ამ ერთიან სახელმწიფოში კი ერთიან სახელმწიფოებრივ ინტერესებზე დაფუძნებული ერთიანი კანონი და ამ კანონთა ერთიანი აღმასრულებელი სისტემა უნდა მოქმედებდეს. ეს არამც და არამც არ ნიშნავს ეროვნული თავისებურებებისა და ტერიტორიულ-რეგიონული სპეციფიკის უგულებელყოფას. ქართველებმაც და აფხაზებმაც უნდა ვირწმუნოთ, რომ ჩვენს თავისებურებებს სწორედ ჩვენი ერთიანობა შეგვანარჩუნებინებს და განგვავითარებინებს. ტერიტორიულად, ეთნიკურად, ისტორიულ-კულტურულად ასე დაკავშირებულ ხალხებს ჭირიცა და ლხინიც ზიარი გვქონდა და ერთი მხარის უზნეო მცდელობას, ხელი მოითბოს მეორის სადღეისო გაჭირვებაზე, ჭეშმარიტ პოლიტიკასთან არაფერი აქვს საერთო.

კარგა ხანია ქართველ-აფხაზთა ამ ისტორიულ ერთობას ბზარი შეეპარა, დღეს კი ეს ბზარი, შესაძლოა, საშიშ ნაპრალად იქცეს. აფხაზეთის ზოგიერთი ხელისუფალი სიტუაციის ახლანდელ გამძაფრებაში ცდილობს ქართული მხარე დაადანაშაულოს და საქართველოს შეიარაღებული ძალების აფხაზეთის ტერიტორიაზე ყოფნა ლამის აგრესიად, ოკუპაციად მონათლოს. ამთავითვე მთელი სიცხადითა და პირდაპირობით უნდა განვაცხადოთ: ქართვე-

ლები და აფხაზები, საქართველოს ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მკვიდრი ეს ერები, წარმოვადგენთ ერთ მთლიან დამოუკიდებელ სახელმწიფოს, საქართველოს რესპუბლიკას, რომლის ტერიტორიული მთლიანობა და განუყოფლობა, როგორც ზემოთ ითქვა, აღიარებულია ყველა საერთაშორისო კანონითა და ნორმით. ერთიანმა სახელმწიფომ კი ერთიანი კანონებით უნდა იცხოვროს და ეს კანონები ერთიანმა ძალამ, საერთო ხელისუფლებამ, უნდა აკანონოს. ამ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს შეიარაღებული ძალები უფლებამოსილია, უფრო მეტიც — მოვალეა, განახორციელოს სახელმწიფო ინტერესების შესაბამისი ნებისმიერი ქმედება და გადაადგილება მთელ თავის ტერიტორიაზე.

ჩვენ, ქართველები და აფხაზები, ერთად უნდა გადავრჩეთ, სხვა არჩევანი არც გაგვაჩნია. ის ქართველი, ვინც აფხაზთა კანონიერ ინტერესს არ იცავს, ნებსით თუ უნებლიეთ ქართველთა ინტერესებს ღალატობს. ის აფხაზი, ვინც ქართველთა ინტერესს არ იცავს, ნებსით თუ უნებლიეთ აფხაზეთის ინტერესს ღალატობს.

1992 წ.

გული ტვინს ვერ გაეფიცება

ტელეგამოსვლა

გამარჯობა, ბატონებო!

მინდოდა, პირველ ყოვლისა, ჩვენი პედაგოგებისათვის, მასწავლებლობისათვის მიმემართა, მაგრამ, რომ ვუფიქრდები, დღეს, სამთელქართველო გასაჭირის ჟამს, არ არის სატკივარი, რომელსაც თავისი ღობე ევლებოდეს... არა ვართ ჩვენ ისეთი გაფუფუნებული ქვეყანა, რომელიმე ერთ დარგს გაუჭირდეს — ვთქვათ, ტრანსპორტს ან კავშირგაბმულობას — დავიძახოთ, არიქა, მივეშველოთ და კრიზისიდან გამოვიყვანოთო, და მთელი ქვეყანა, ერი და ბერი, ფეხზე დაუდგეთ იმავე რკინიგზას იქნება ეს თუ მეტროს, მცირედი მოვიკლოთ ჩვენი ბევრისგან და გაჭირვებული დალხინებულის დონეზე დავაყენოთ. დღეს ყველა სფეროს, უკლებლივ ყველა დარგს, ერთნაირად ან თითქმის ერთნაირად უჭირს. სხვათა შორის, ამით იმას როდი ვამბობ, რომ ცალკეული ადამიანები ან ჯგუფი ადამიანებისა ამ კრიზისულ სფეროებში კარგად, „ნამეტურ" კარგად არ ცხოვრობდნენ, მაგრამ ეს საერთო სურათს არ ცვლის. პირიქით, ერთეულების მოუპირავი სი-

ხარბე და ფუფუნება უფრო მკვეთრად წარმოაჩენს მთელი ჩვენი ყოფის სილატაკეს.

წელან მეტრო და რკინიგზა შემთხვევით არ მიხსენებია: ჩვენი ტრანსპორტელების ჯოჯოხეთური და სიკვდილის რისკის ზღვარზე მისული შრომის შემხედვარეს, კაცს ენა როგორ მოგიბრუნდება, უსაყვედურო მათ, საარსებო მინიმუმის დასაკმაყოფილებლად რატომ იფიცებითო... თუმცა ერთი გულისტკივილი მაინც მინდა ყველას გაგიზიაროთ: ქვეყანა კაცსა ჰგავს, ერთიან ორგანიზმს, სადაც თითოეული ორგანოს სიმრთელე არა მარტო პირდაპირ არის დამოკიდებული მთლიანი ორგანიზმის საერთო სიჯანსაღეზე, არამედ კიდეც განაპირობებს მას. იქ კი, მოგეხსენებათ, არ ხდება ისე, რომ კბილებმა კუჭს გაფიცვა გამოუცხადონ, ხელმა ფეხი მოიძულოს, გულმა ტვინს პრეტენზია წაუყენოს — შენ ჟანგბადს მეტს რატომ გაწვდიანო; შეუწყდება ჟანგბადის მინოდება ტვინს და დადუმდება გულიც, დაცვდება კბილები და მოიშლება კუჭი... საზოგადოებაშიც ყველაფერი ერთმანეთზეა დამოკიდებული; გაიფიცება მეტრო და ვერ მივა მასწავლებელი სკოლაში, სადაც ამ მეტროში დამხურდავებელი ქალბატონის შვილი სწავლობს. ამიტომ ეს ქალბატონიც უნდა შინ დაუჯდეს თავის შვილს... ყველანი ყველაფერზე ვართ გადაბმული ამ ჯერ კიდევ დაულაგებელ, აუწყობელ ქვეყანაში... ნუ იტყვით, სხვაგან თუ იფიცებიან და ამით ქვეყანა არ იქცევა, ჩვენთანაც ასე იქნებაო... სხვაგან, ჩემო კეთილებო, აწყობილ-დალაგებულ ქვეყანაში ესეც — გაფიცვაც — გათვალისწინებული აქვთ და ქვეყნის მართვის მექანიზმი სწრაფად გადაეწყობა ხოლმე მუშაობის შესაბამის რეჟიმზე. ჩვენში კი, მერწმუნეთ, ყოველი გაფიცვა მხოლოდ გვაშორებს იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რასაც ვცდილობთ გაფიცვით მივაღწიოთ. რაო, ვითომ, უფრო გვიან თუ შემოვა რკინიგზით ხორბალი ფოთიდან, ამით რკინიგზელების ოჯახებს ის ნანატრი გამომცხვარი პური ჰაერიდან მიუვათ? ღმერთმა დაიფაროს და, ტრავმატოლოგიის საავადმყოფო რომ გაიფიცოს — არადა, სხვაზე ნაკლებად გასაფიცი იქნებ არც მათ ჰქონდეთ — რა ჰქნას მაშინ, ვთქვათ, ფეხმოტეხილმა რკინიგზელმა? ანდა, სკოლა ავიღოთ; მასწავლებელს დღეს რომ უჭირს, რა დღეშიც ახლა განათლების მუშაკია, მტერს არ ვუსურვებდი... მართალია, ამ ბოლო დღეებში მათი გაფიცვის გარეშე გადაწყდა ზოგი პრობლემა, რაც ერთგვარად უმსუბუქებს მასწავლებელს შიმშილის ზღვარზე მისულ და, თუ პირდაპირ ვიტყვით, ამ ზღვარს უკვე გადაცილებულ სიცოცხლეს... მაგრამ ეს მაინც ზღვაში წვეთია... და ასეთ გაძაღლებულ ყოფაში პედაგოგი მაინც არ ტოვებს სკოლას, მაინც არ იფიცება... ვის უნდა გავეფიცოთ, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს? ამ ბლოკადებით, უფრო სწორად — თვითბლოკადებით, რკინიგზის ამ გადაკეტვებით, გაფიცვებითა და მიტინგომანიითაც მოვიყვანეთ ეს ქვეყანა ამ დღემდე... გავიგოთ, რომ იზოლირებულად ვერც ცალკე დარგი და ვერც ცალკე კოლექტივი გაჭირვებას

თავს ვერ დავაღწევთ; სხვის ხარჯზე დროებით საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ თავის მოტყუება იქნებოდა და გაფიცვებით მხოლოდ ვაჭიანურებთ პრობლემის გადაწყვეტას.

მოკლედ, გული ტვინს არ უნდა გაეფიცოს, ტვინი — ენას, ენა — თვალს, რკინიგზელი — მეპურეს, მეპურე — ექიმს, ექიმი — მასწავლებელს, ერთი ყველას და ყველა — ერთს. პირიქით, ყველამ უნდა ვიშრომოთ, ეს შრომა ერთმანეთს შეეუთანხმ-შეეუთანადოთ და საშველიც მხოლოდ მაშინ დაგვადგება...

1993 წ.

ჰაერის ფასად

ბატონო პარლამენტარებო!

ეს ერთი კვირაა, თქვენ წინაშე სამინისტროების „პარადმა" ჩაიარა და, ალბათ, შემთხვევით მოხდა, მაგრამ — უეჭველად სიმბოლურია, რომ ამ აღლუმის კუდში აღმოჩნდა განათლების სამინისტრო. ამით თითქოს გაცხადდა ის სამწუხარო ფაქტი, რომ ქართული საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის განათლების დარგი გახლავთ პერიფერიული, მეათეხარისხოვანი. და სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ კიდევ დიდხანს ვიქნებთი კოლაფსურ — არა კრიზისულ, არამედ სწორედ კოლაფსურ — ვითარებაში, სანამ არ გავიცნობიერებთ, რომ ვერანაირ ძალისმიერ თუ ეკონომიკურ უწყება-სამსახურებს ვერ ძალუძთ განათლების გარეშე ქვეყნის რეალური გამოყვანა ამ მდგომარეობიდან.

სამინისტროთა ამ აღლუმზე, სრულიად ბუნებრივია, თუ ცალკეული პარლამენტარის ყურადღება და ინტერესი მეტ-ნაკლებად იმ უწყებაზე ფოკუსირდებოდა, რომელი დარგის საპარლამენტო ზედამხედველობაც მას ევალებოდა. განათლების სამინისტრო კი ყოველ თქვენგანს შინა გყავთ. ამას მხოლოდ იმ აზრით როდი მოგახსენებთ, რომ საქართველოში ძირითადად ან სწავლობენ, ან — ასწავლიან (ჭკუას — გაგიხარიათ, ყველა ისწავლება და ყოველ ნაბიჯზე), არამედ უფრო იმიტომ, რომ თითქმის არ არის ოჯახი, განათლების სფეროსთან რომ არ იყოს დაკავშირებული. ხოლო ის, რაც ჰაერივით აუცილებელია, ჰაერივით შეუმჩნეველი გვრჩება და მას ჩვენს გაუკულმართებულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში, სამწუხაროდ, ჰაერის ფასიც აძევს.

ასეც გვყავს შეფასებული მთელს საზოგადოებას და, ჩვენ, ხელისუფლებასაც, განათლება: ჩალის ფასადო — ვერ ვიტყვი, დღეს ჩალას ფასი დაე-

დო... ჰაერის ფასად. თანაც — წყნეთის, შოვისა და ბახმაროს ჰაერს როდი ვგულისხმობ. თავად განსაჯეთ: გუშინ მონაფის მერხ-მაგიდა ღირდა 5 მილიონი კუპონი (დღეს უკვე რამდენიმე ათეული ათასით მეტი იქნება), საქართველოში 3400 სკოლა და ცხრაას ათასამდე მოსწავლეა, თითო მერხი ყველას სჭირდება, ინვენტარისა და კაპშეკეთებისთვის კი განათლების სამინისტროს 600 მილიონი კუპონი გამოეყო. ეს გახლავთ ზუსტად 120 მერხის ღირებულება. ვიმეორებ, მერხის მომხმარეთა ცხრაასათასიან კონტინგენტს გამოეყო 120 მერხის ფასი დაფინანსება.

დღეს განათლების სფეროში სამსახური მძიმე ჯვარია უკლებლივ ყველასთვის, მასწავლებლიდან დაწყებული, მერწმუნეთ, მინისტრით დამთავრებული. უკვე დაიწყო მძიმე, იქნებ — შეუქცევადი პროცესიც, ინტელექტის გადინება სკოლიდან. ჩვენ არ ვართ დეზერტირები, მაგრამ არც სახარებისეული ცის ფრინველები და ველის შროშანები ვართ, ჭამა-სმასა და შემოსვაზე რომ არ ვიზრუნოთ („ნუ ჰზრუნავთ და იტყვით, რაჲ ვჭამოთ ანუ რაჲ ვსუათ ანუ რაჲ შევიმოსოთ?"); მასწავლებელმა სულის პური რომ გაიღოს, ცოდნით რომ დააპუროს მოსწავლე, ამისათვის, მინიმუმ, დღეში ოთხასი გრამი შავი პურის ფული მაინც უნდა მისცეს სახელმწიფომ. არც მე გახლავართ დეზერტირი და, თუ მინისტრად არა, განათლების სფეროს რიგით მუშაკად როგორც აქამდე მიმუშავია, ისე ვიმუშავებ. ამიტომაც დღეს, მინისტრების დამტკიცებისას, პირადად ჩემთვის რაღაც ტრაგიკული ალტერნატივა არ არსებობს: გამომიცხადებთ ნდობას — ამ ნდობისათვის მოგახსენებთ მადლობას, არ გამომიცხადებთ და — ამისთვისაც მადლობას მოგახსენებთ, ვინაიდან ჩავთვლი, რომ თქვენ ამით ჩემს ჯანმრთელობაზე იზრუნეთ...

1994 წ.

სიტყვა კულტურის ინსტიტუტზე

განათლება კულტურის გარეშე არ არსებობს... ან — თუ არსებობს, საშიშ, დამანგრეველ ძალად გადაიქცევა.

კულტურაც წარმოუდგენელია განათლების გარეშე... ან — თუ წარმოიდგინება, მხოლოდ პრიმიტიული, პირველყოფილური სახით.

ქართველებს ამით მოგვაქვს თავი — განათლებული, კულტუროსანი ერი ვართო... ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე ვთვლიდით...

შეიძლება ქვეყანას არც განათლების და არც კულტურის სამინისტროები არ ჰქონდეს, და მაინც კულტურული და განათლებული ხალხი ჰყავდეს.

მაგრამ პირიქითაც შეიძლება...

ჩემთვის ქვეყნის განათლებულობის და კულტუროსნობის ნიშანი იმდენად შესაბამისი სამინისტროების არსებობა არ გახლავთ, რამდენადაც კულტურასთან დაკავშირებული ინსტიტუტების არსებობა.

თუ ქვეყანას ამგვარი ინსტიტუტები აქვს, მას უზრუნია მთავარზე — ერში სულიერების აღზრდაზე.

ხელოვნების სხვადასხვა სფეროში ახალგაზრდებს ჩვენ ადრეც ვნაფავდით — კარგა ხანია გვაქვს სამხატვრო აკადემია, კონსერვატორია, თეატრალური ინსტიტუტი...

ახლახან შევქმენით ზოგადად კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტიც.

კარგი, საშვილიშვილო საქმე გაკეთდა. მართალია, ეს ინსტიტუტი ობლის კვერივით გვიან გამოცხვა, მაგრამ მწამს, რომ იგი მაწიერ სულიერ საზრდოს მიაწვდის საქართველოს.

„ქართული კულტურა", N 2, 1994

განათლება — ზომიერების სრუტის ლოცმანი

სიტყვა, წარმოთქმული ირანში რეგიონის ქვეყანათა სოციალური და ეკონომიკური პროფილის მინისტრთა სემინარზე

ბატონო თავმჯდომარეე, ბატონებო და ქალბატონებო! მინდა, პირველ ყოვლისა, მადლობა მოვახსენო ირანელ მასპინძლებს, სემინარის ორგანიზატორებს, ჩემი აქ მოწვევისათვის; ნუ იფიქრებთ, თითქოს საქართველოს ეკონომიკის მინისტრი არ ჰყავდეს... გვყავს ენერგეტიკის, მრეწველობის, ტრანსპორტის მინისტრებიც... საერთოდ, რაც უფრო პატარაა ქვეყანა, მით უფრო მეტი მინისტრი ჰყავს მას და არც საქართველოა ამ მხრივ გამონაკლისი... ჩვენს ეკონომიკურ რესურსებსა და პოტენციალზე ჩემზე უკეთ, ცხადია, მათ შეეძლოთ მოეხსენებინათ. მაგრამ მე, როგორც განათლების მინისტრი, მაინც არ უნდა ვიყო მთლად შემთხვევითი პირი ამ სემინარზე, რამდენადაც სწორედ სწავლა-განათლება არის ის ფუნდამენტი, რაზედაც შენდება ყოველი ქვეყნის ეკონომიკა, ვლინდება მისი რესურსები და ძლიერდება მისი პოტენციალი.

და კიდევ ერთი მომენტი: როგორც წვეთი აირეკლავს ოკეანის თვისებებს, ასევე ადამიანი, მოქალაქე განსაზღვრავს ქვეყნის, სახელმწიფოს სახეს. მე ნაკლებად მჯერა იმ ქვეყნის, იმ სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარეობისა და სამართლიანობისა, რომლის მოქალაქენიც ჭირვეულნი, შეუნყნარებელნი,

აგრესიულები არიან. მოქალაქის სახეს კი მნიშვნელოვანწილად სწავლა და აღზრდა განსაზღვრავს, ესე იგი სწავლა, აღზრდა და, საერთოდ, განათლება განსაზღვრავს ქვეყნის სახესაც, თანაც — არა მარტო მის კულტურულ პროფილს, არამედ, გარკვეულწილად, ეკონომიკურ შესაძლებლობასაც.

ღარიბი ქვეყანა კი (ღარიბი კაცისა არ იყოს) არა მარტო თავისი თავისათვის არის ღარიბი, იგი დღევანდელ ინტეგრირებულ მსოფლიოში მძიმე პრობლემად შეიძლება ექცეს თავის მეზობლებს — და არა მარტო მათ. ცხადია, ამით იმას როდი ვამტკიცებ, რომ მდიდარი მეზობელი ყოველთვის სჯობდეს ღარიბს — არსებობენ მდიდარი და აბეზარი მეზობლებიც — მაგრამ ეკონომიკური სიდუხჭირე რომ უზარმაზარი რისკ-ფაქტორია პოლიტიკური სტაბილიზაციისათვის, ეს, ეგონებ, სადავო არ უნდა იყოს.

ცხადია, განათლების მიზანი მატერიალური სიმდიდრე ვერ იქნება. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი: განათლება სანუკველია იმდენად არა მატერიალური სიმდიდრის, ფუფუნების მისაღწევად, რამდენადაც ზომიერებისა და ჰარმონიისათვის... სიღარიბის სცილასა და ფუფუნების ქარიბდას შორის არსებობს ზომიერების სრუტე, რომელშიაც ყველაზე საიმედო, უსაფრთხო ლოცმანობას კაცსაც და ქვეყანასაც განათლება გაგვიწევს.

ბატონებო!

პლენარულ სხდომაზე მე უკვე მოგახსენეთ, რომ სწორედ სწავლა-განათლებაა ის ფუნდამენტი, რაზედაც შენდება ყოველი ქვეყნის ეკონომიკა; განათლება გამოავლენს ქვეყნის რესურსებს და განათლება არის ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გამაძლიერებელი საშუალებაც. მაგრამ დღესდღეობით ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობები, ცხადია, სხვა, განათლების გარეშე, ფაქტორებზეც არის დამოკიდებული, მათ შორის — გეოპოლიტიკურ მდებარეობაზე, კლიმატურ პირობებზე, ნიაღისეულ სიმდიდრეზე... ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ ჩემს ქვეყანას, საქართველოს, მას ეკონომიკური თვალსაზრისით შესანიშნავი პერსპექტივა აქვს. იგი კავკასიის გეოგრაფიულ ცენტრში მდებარეობს, შავი ზღვის აუზში, ამიერკავკასია კი ერთგვარი გზაჯვარედინია დასავლეთსა და აღმოსავლეთს, სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის. საქართველოს აქვს პორტები, რომელთაც შეუძლიათ უმოკლესი გზით დააკავშირონ კავკასია და ცენტრალური აზიის ქვეყნები ხმელთაშუა ზღვის აუზის, ევროპის ქვეყნებს; განვითარებულია ყველა სახის სატრანსპორტო კომუნიკაცია. ჰავა ძირითადად რბილია, ზომიერი, ამავე დროს ისეთივე ნაირგვარი და მრავალფეროვანი, როგორც მისი ფლორა და ფაუნა. საქართველოზე, რომელსაც უძველესი სახელმწიფოებრივობის ტრადიცია აქვს, ძველთაგან გადიოდა სავაჭრო-საქარავნო გზები; მათ შორის, ე.წ. „აბრეშუმის გზაც". ჩვენ გვაქვს ბუნებრივი სიმდიდრეების საკმაოდ მაღალი პოტენციალი; ინტენსიურად მიმდინარეობს ნავთისა და გაზის საბადოების ძიება-დამუშავება, გვაქვს ქვანახშირი და მარგანეცი, ჰიდრორესურსების უდიდესი მარაგი, რომლის

სრული ამოქმედება კაპიტალდაბანდებაზეა დამოკიდებული. ბუნებრივი პირობები იძლევა იმის საშუალებას, რომ საქართველო იქცეს ტურიზმისა და მკურნალობის საერთაშორისო ცენტრად. საამისოდ ჩვენში უკვე არსებობს მძლავრი მატერიალური ბაზა. საკმაოდ განვითარებულია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მრავალი დარგი, მათ შორის მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, სამთო ქიმია, ჩარხთმშენებლობა, მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეევენახეობა, მსუბუქი, კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობა.

ცალკე საუბრის თემაა საქართველოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო პოტენციალი. აქ ჩვენი დონე საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა საუნივერსიტეტო განათლება, ასევე ფუნდამენტური თუ გამოყენებითი მეცნიერების სხვადასხვა დარგი, კერძოდ — ინტეგრალური მათემატიკა, მაღალი ენერგიების ფიზიკა, ფიზიოლოგია, ლინგვისტიკა, სამთო მიწათმოქმედება და სხვა.

ასევე — საქართველომ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა ხელოვნებისა და კულტურის სფეროში: მხედველობაში მაქვს ქართული ლიტერატურა, კინო, თეატრი, მუსიკა და სახვითი ხელოვნება.

ასე რომ, ჩვენ მოგვეძევება არა მარტო ეკონომიკური, არამედ ინტელექტუალური რესურსებიც, რომ შეძლებულად, კარგად ვიცხოვროთ... არადა, დღესდღეობით ვცხოვრობთ უაღრესად ცუდად, უაღრესად გაჭირვებულად.

რატომ მოხდა ეს?

არის გლობალური მიზეზები, არის ლოკალური, ადგილობრივი სპეციფიკით გამოწვეულიც.

უნდა ითქვას, რომ ბირთვული დაპირისპირების ერთგვარმა შერბილებამ ორ ზესახელმწიფოს შორის ჯერჯერობით ვერ გაათავისუფლა მსოფლიო დესტაბილიზაციისა და ომების საშიშროებისაგან; გამარტივებული სქემით თუ წარმოვიდგენთ, დღეს, საბედნიეროდ, ნაკლებია ატომური მსოფლიო ომის საფრთხე, მაგრამ, საუბედუროდ, ერთი დიდი ომის ნაცვლად მივიღეთ ომის რამდენიმე მწვავე კერა, ზოგან კი — ლოკალური ომები; ასევე სამწუხაროდ, კავკასია სწორედ ერთ-ერთ ამგვარ კერად მოევლინა რეგიონს. ვფიქრობთ, ყველას ხელს უნდა აძლევდეს ამ კერის გაუვნებელყოფა. სხვათა შორის, ეს მხოლოდ კავკასიის პრობლემა არ გახლავთ...

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკლებლივ ყოველ ახლად დამოუკიდებლობამოპოვებულ რესპუბლიკას გაუჩნდა მწვავე ეკონომიკური პრობლემები. ე.ი. ყოველ მათგანში მეტ-ნაკლები სიმწვავით ჩაბუდებულია დესტაბილიზაციის კერა. მთელ პოსტკომუნისტურ სივრცეზე მოიშალა ათწლეულობით ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირები... პოლიტიკურ რუკაზე წარმოქმნილი ახალი სახელმწიფოები თავიანთი ეკონომიკური პრობლემებითა და ინტერესებით ცდილობენ მსოფლიო პოლიტიკის სფეროში შესვლას და თავიანთი საერთაშორისო ფუნქციის დამკვიდრებას, რამაც შეიძლება გამო-

ინვიოს სახელმწიფოთა ინტერესების ადრე არსებული სისტემის ერთგვარი გადასინჯვა და კორეგირება; ეს კი ყოველთვის როდი ხდება უმტკივნეულოდ. საბაზრო ეკონომიკაზე ადრიანად და ბუნებრივად გადასულ ქვეყნებს, განსაკუთრებით — მაღალგანვითარებულ, ეკონომიკურად მძლავრ სახელმწიფოებს, მათ შორის ჩვენს მახლობელ მეზობლებს, შეუძლიათ და უნდა დაეხმარონ კიდეც ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს, რათა მათ იპოვონ თავიანთი შესაფერისი და ღირსეული ადგილი მსოფლიო ეკონომიკურ რუკაზე; ეს არა მარტო ჩვენს, არამედ, გარკვეულწილად მათ ინტერესებშიც შემოდის.

რამდენად მეტი იქნება ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა, იმდენად მეტად იქნება მსოფლიოში უზრუნველყოფილი სამართლიანობა, ღირსება და მშვიდობა.

იმედი მაქვს, ჩვენი სემინარის მუშაობა დაგვაახლოვებს ამ ყველასთვის საერთო მიზანს...

ორიოდ სიტყვა უშუალოდ ირან-საქართველოს ისტორიულ ურთიერთობაზე:

საქართველო ირანთან მტკიცე ძაფებითაა ისტორიულად დაკავშირებული. ირანული ლიტერატურა, განსაკუთრებით მისი დიდი პოეზია, იმპულსის მიმცემი გახლდათ ქართული მწერლობისათვის... სპარსული კულტურული რეალიებით არის გაჯერებული ქართული ყოფა: მაგალითად, ქართული საკუთარი სახელების თითქმის ნახევარი ირანული წარმოშობისაა... ამას ადასტურებს როგორც თქვენი მონა-მორჩილის სახელი — თამაზ, ასევე ჩვენი პატივცემული ელჩისაც — ჯემშიდ...

ქართველები IV საუკუნის დასაწყისიდან დღემდე ქრისტიანები ვართ; ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას ჩვენში ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ საქართველოს დედაქალაქი თბილისი შუა საუკუნეებშივე ქცეულიყო ისლამური მეცნიერებისა და კულტურის ავტორიტეტულ ცენტრად. 40-ზე მეტ ცნობილ მოღვაწეს ზედსახელად ჰქონდა „ათ-თეფლისი", ე.ი. ამ ზედსახელის მფლობელი ან თბილისელი იყო, ან თბილისთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ირანულ-ქართული ურთიერთობების აღორძინებით მოიგებს არა მარტო ჩვენი ქვეყნები, არამედ ყველა ჩვენი მეზობელი და, საერთოდ, ყველა, რამდენადაც იგი არც ერთი სახელმწიფოს ინტერესებს არ უპირისპირდება.

და ერთი, უკვე პირადი, შთაბეჭდილებაც: თქვენმა ჭკვიანმა წინაპარმა ხოჯა ნიზამ ალ-მულქმა სამ სიტყვაში, ლაკონიურად გამოხატა ირანელი ხალხის დამოკიდებულება ქართველებისადმი. მან ბრძანა: „ქართველები კარგები არიან". მე, ნება მიბოძეთ, ოთხი სიტყვით გამოვხატო ჩემი თქვენდამი დამოკიდებულება — „ირანელები ძალიან კარგები არიან".

1997 წ. 12 თებერვალი

ორმოცდაათწლიანი ციკლის ეფექტი ანუ — არ გამოგეპაროთ!

პოტსდამში (გერმანია) ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვის ფრაგმენტი

ქალბატონებო და ბატონებო, კონფერენციის მონაწილენო, სტუმრებო და ჩვენო გერმანელო მასპინძლებო!

ჩვილ ბავშვს ფეხის ადგმაში ანუ დამოუკიდებლად სიარულის დაწყებაში უფროსები ეხმარებიან. ქვეყნებიც ასეა —პოსტსაბჭოთა სივრცის ბევრი ქვეყანა დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში პირველ ნაბიჯებს დგამს; მათ შორისაა საქართველოც... თუმცა ჩვენ, მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივობის ტრადიციის მქონე ქვეყანა, ჩვილ ბავშვს კი არა, უფრო იმ მოხუცს ვგავართ, დიდი ხნის იძულებითი ნოლითი რეჟიმისაგან სიარულს რომ გადაეჩვეეა და მუხლის ხელახლა გასამართად და გასამაგრებლად ახლობლების მკლავსდაყრდნობილი „სწავლობს" სიარულს. ასეთი მკლავია ჩვენთვის ჩვენი მეგობარი ქვეყნები, მათ შორის კი გამორჩეულად საიმედო საყრდენი გერმანია გახლავთ. გერმანიის დახმარება მრავალ სფეროს სწვდება, მათ შორის — ახალგაზრდული გაცვლების ორგანიზებასაც. ჩვენ რომ სისხლხორცეულად ვართ დაინტერესებული — რაც შეიძლება მეტი ქართველი ახალგაზრდა განისწავლებოდეს გერმანიაში, ეს გასაგებია... აი, თქვენც, გერმანელებიც, ჩვენზე ნაკლებ რომ არ უნდა იყოთ დაინტერესებული — ქართველი ბავშვები აქ, გერმანიაში, აზიაროთ თქვენს კულტურას და გერმანია შეაყვაროთ — ამ, ცოტა არ იყოს, სადავო დებულების დასაბუთებას კი ახლა ვაპირებ; მინდა ჩემი ერთი მცირე აღმოჩენა — თუ ძალიან ხმამაღალი ნათქვამი არ გამომივა — პირველად თქვენ გაგიზიაროთ: ჩემი დაკვირვებით, გერმანიასა და ქართველ ბავშვებს შორის „მუშაობს" ორმოცდაათწლიანი ციკლის ეფექტი. რა არის ამ „ეფექტის" არსი? შეგახსენებთ მხოლოდ ფაქტებს: გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, უფრო ზუსტად, 1879 წელს ჩვენში, საქართველოში, დაიბადა ბიჭი, რომელმაც სწორედ აქ, პოტსდამში, ხელი მოაწერა გერმანიის დაყოფა-დანანევრების დოკუმენტს. გაივლის ამ საბედისწერო ბიჭის დაბადებიდან ორმოცდაათი წელი და 1928 წელს ისევ და ისევ ჩვენში, საქართველოში, დაიბადება ბიჭი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა იმ ქართველი ბიჭის მიერ დანანევრებული გერმანიის გაერთიანებაში. და აჰა, იწყება, უკვე დაიწყო მესამე ციკლი — 1980 ან 81 წელს (ეს ზუსტად მერე დადგინდება) საქართველოში კვლავ დაიბადა ბავშვი, რომელსაც მნიშვნელოვანი როლის თამაში უწერია გერმანიის ბედის გადაწყვეტაში. ძვირფასო გერმანელებო, არ გამოგეპაროთ მხედველობიდან ეს ბავშვი, თორემ, ეშმაკმა უწყის,

რას უმზადებს იგი თქვენს ქვეყანას. მე რომც ვიცოდე, პერსონალურად რომელია ეს პატარა ქართველი, მისი გამჟღავნებისაგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებდი... თქვენ კი, მასპინძლებო, საქართველოსთან რაც შეიძლება მრავალრიცხოვანი ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამები უნდა დააფინანსოთ, რათა ის ბავშვი აუცილებლად მოახვედროთ ერთ-ერთ პროგრამაში მაინც: იგი უეჭველად თქვენთან, გერმანიაში, უნდა განისწავლოს, რათა მერე, როცა ჟამი მოაწევს, შეეძლოს გითხრათ — გმადლობ, გერმანიავ, მე შენი მოვალე ვარ.

1995 წ.

მხნედ ანუ მაიორულად!

მისასალმებელი სიტყვა იუნესკოს გენერალური დირექტორის ბ-ნ ფედერიკო მაიორისადმი, წარმოთქმული მეცნიერებათა აკადემიაში

ბატონო მაიორო!

ქართულად ასეთი მომართვა სამხედრო პატაკივით ჟღერს, თუმცა თქვენ, მიუხედავად თქვენი მოღვაწეობის მრავალმხრივობისა და, მართლაცდა, მეომრული პენისა და შემართებისა, ყველაზე ნაკლებად სწორედ სამხედრო საქმესთან ბრძანდებით დაკავშირებული. ამიტომაც, როდესაც თქვენ მოგმართავთ, ბატონო მაიორო, ამ დარბაზში მსხდომნი მხოლოდ თქვენს გვარში ჩადებულ ამოსავალ, პირველად მნიშვნელობას ვგულისხმობთ — ლათინურად კი „მაიორი" — „დიდს", „უფროსს" ნიშნავს. თქვენ ჩემთვის დიდი ბრძანდებით არა მარტო იმით, რომ დიდ, უზარმაზარ საქმეს ხელმძღვანელობთ — რა უნდა იყოს იუნესკოს მისიაზე უფრო დიდი: მშვიდობისა და უშიშროების სამსახურში განათლების, მეცნიერების, კულტურის ჩაყენება... მაგრამ ზოგჯერ დიდ საქმეს პატარა პიროვნებები განაგებენ... ხდება პირიქითაც და ესეც სამწუხარო გაუგებრობა გახლავთ. თქვენ და თქვენი საქმე კი ერთმანეთზე მორგებულები ხართ; ჩვენ არა მარტო თქვენს მდგომარეობას — თქვენს პიროვნებასაც დიდად ვაფასებთ. ვაფასებთ თქვენს მეცნიერულ, პედაგოგიურ, პოეტურ, ფილოსოფიურ ღვაწლს... გარდა ამისა, საქართველოში, კავკასიის იბერიის მიწაზე, ბატონ ფედერიკო მაიორს, პირინეის იბერიის შვილს, ცხადია, სიღრმისეული ნათესაური განცდითაც ვმასპინძლობთ...

შემინდეთ ეს, ცოტა არ იყოს პოეტური შესავალი, მაგრამ პოეზია რომ საქმეა და თანაც უკიდურესად საჭირო საქმე, ეს თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხ-

სენებათ. ახლა პროზაზეც გადავალ — და ეს პროზაც, ეს მშრალი ჩამონათვალიც იუნესკოს მიერ დაფინანსებულ პროექტებისა საქართველოს განათლების სფეროში, ვფიქრობ, კეთილი და შთამაგონებელი იმპულსების წყარო გახდება იუნესკოსთვის ჩვენთან შემდგომი თანამშრომლობის თვალსაზრისით.

პირველი — საქართველოში შექმნილია იუნესკოს ასოცირებული სკოლები... მათი რიცხვი 1995-96 სასწავლო წელს ათს მიაღწევს.

მეორე — იუნესკომ პირველმა გამოგვიწოდა ხელი, როცა ხანძარმა გაგვინადგურა ჩვენი კომპიუტერული ცენტრი; გამოგვიყო კომპიუტერული ტექნიკა 15000 დოლარისა. აქ მთავარია არა თანხის ოდენობა, არამედ — ოპერატიულობა და თანადგომა.

მესამე — იუნესკომ მოგვიელინა მაღალი რანგის ექსპერტები განათლების რეფორმის დაჩქარების მიზნით.

მეოთხე — იუნესკო გვიფინანსებს ეკოლოგიურ კათედრას ტექნიკურ უნივერსიტეტში.

მეხუთე — იუნესკო გვეხმარება ეროვნული კონფერენციის მოწყობაში განათლების რეფორმაზე მიმდინარე წელს...

აქ დელიკატურად აღარ ვახსენებ იმ რამდენიმე პროგრამას, რომლებიც, სამწუხაროდ, ვერ დაფინანსდა... მაგრამ ჩვენ მაინც მხნედ და იმედიანად ვუყურებთ ჩვენს მომავალ თანამშრომლობას იუნესკოსთან, რამდენადაც თქვენსავე გვარში, ბატონო მაიორო, არა მარტო „დიდია" ჩადებული, არამედ — „მხნეც": „მაიორი" ფრანგულად იგივე „მაჟორია". ასე რომ, მაჟორულად ანუ „მაიორულად" წინ, თანამშრომლობის ახალი საფეხურისაკენ!

„განათლება", 29.7.1995

ტივზე ჩვენი ბავშვები სხედან

სიტყვა, წარმოთქმული მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე
1998 წლის 24 ივლისს

ბატონებო, მოგეხსენებათ, დაწერილი სიტყვა დროს იგებს, ცოცხალი სიტყვა კი — გულს; და რამდენადაც ჩემი რეგლამენტი შეზღუდულია, დროს აქ მეტი ფასი ედება; მეც ჩემი სათქმელი დავწერე, მაგრამ ბოლო მომენტში მაინც შევჭოჭმანდი და, აი, დაწერილ სიტყვას განზე ვდებ: მიჭირს, ძალიან მიჭირს ჩვენში ბავშვთა მდგომარეობაზე დაბეჭდილი ტექსტით გელაპარაკოთ,

მით უფრო — რაიმეში დაგარწმუნოთ... არადა, სწორედაც თქვენი დარწმუნება მწადია, თანაც მინდა დაგარწმუნოთ ორ, თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავ ცნებასა და ვითარებაში. ამას, ჩვეულებრივ, პოეტები თუ ახერხებენ... ზოგჯერ — პოლიტიკოსებიც... ამის დიდოსტატი გახლდათ გალაკტიონი:

„მთვარის ჩრდილი ბაღს ეფინა ქარგად,
მაშინ, როცა სადღაც ხმაა თარის,
ყველაფერი არის ძლიერ კარგად,
ყველაფერი ძლიერ ცუდად არის"...

უამრავი რამაა ჩვენ გარშემო ცუდად და „ძლიერ ცუდად", მაგრამ, რაც უმთავრესია, ის არის „ძლიერ კარგად" — აღსრულდა ილიას ოცნება და „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდენის"... გაერომ, მთელმა დუნიამ გვცნო და დაიჯერა ჩვენი დამოუკიდებლობა — ჩვენ, ქართველებს, ვერ დაგვიჯერებია ეს. დიდი კაცი გყავთ, მას მიჰყევით და ჩვენც გენდობითო, გვეუბნებიან ამერიკის, გერმანიის, იაპონიის — ლამის მთელი მსოფლიოს — თავკაცები, გვეუბნება მსოფლიო ბანკი, გვეუბნება სავალუტო ფონდი... არა, მაგან დაგვღუპა, გადადგესო, ხელებს ასავსავებს მთელი უმადურეთი, ლიკლიკისი და საბოღმიო... შუქის გრაფიკი თუ დაერღვათ — ქუჩები გადავკეტოთო, ის ხალხი გაჰყვირის, წინათ რომ უფრო მეტი ეშხით გაჰკიოდა — დამოუკიდებლობა გვეღირსოს და ბალახს მოვძოვთო.

ეჰ, გულმავიწყები ვართ და სწორედ ამის იმედი აქვთ უმადურეთელთა და ლიკლიკისელთა თვითმარქვია ლიდერებს.

„ძლიერ ცუდად" გვაქვს საქმე, თუ ათწლიან ინტერვალს ავიღებთ და 1987 წლის ბავშვთა უზედამხედველობისა და მართლწესრიგის დარღვევის სტატისტიკას შევუდარებთ დღევანდელს: მაშინ ბავშვთა შორის მანანნალობის 37 და მათხოვრობის მხოლოდ 7 შემთხვევა იყო დაფიქსირებული; ახლა, შესაბამისად, მანანნალობის 224 და მათხოვრობის 219 შემთხვევაა, თუმცა ბევრი თქვენგანი, ალბათ, გულში გაიღებს (და — არცთუ უსაფუძვლოდ): როგორც მაშინ იყო მონაცემები დაწეული, ისევეა ახლაც. 4800 ბავშვი გვყავს სკოლიდან განთესილი, ისინი რისკ-ფაქტორის ჯგუფში არიან... 2200-ზე მეტი მართლწესრიგის დამრღვევი აღრიცხვაზეა აყვანილი. ზემოთ რისკ-ფაქტორზე მოგახსენეთ და ამაზე ფაქტებიც ღაღადებენ — დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა 82 პროცენტი დაუსაქმებელი იყო დანაშაულის ჩადენისას.

მაგრამ დინამიკის თვალსაზრისით საქმე არც ისე უნუგეშოდაა; თუ ბოლო სამი წლის მონაცემებს ავიღებთ, დანაშაულის მრუდი თავქვე დაეშვა — იკლო არასრულწლოვანების მანანწალობამ, მათხოვრობამ, დამნაშავეობამ; მკვეთრად — არა, მაგრამ სასიკეთო ტენდენცია გამოიკვეთა და ეს გვეიმედება.

„ძლიერ კარგია" და უაღრესად მნიშვნელოვანი, რომ პრეზიდენტმა თავის

უპირველეს ამოცანად გაიხადა ბავშვთა მიუსაფრობის, როგორც სოციალურად და, პერსპექტივის თვალსაზრისით, პოლიტიკურად საშიში მოელენის აღმოფხვრა; სანამ თუნდაც ერთი ხელგაწვდილი ბავშვი იდგება ქუჩაში, მე მშვიდად ვერ დამეძინებაო, ბრძანა; პარლამენტის თავმჯდომარესაც ასეთივე უკომპრომისო პოზიცია უკავია — მიუსაფართა პრობლემა მისთვისაც პრიორიტეტთა შორის პრიორიტეტია. მაგრამ შემდგომ, ქვედა რგოლებში, მშვიდადაც გვძინავს და შეუგუებელსაც ვეგუებით. ნუ ვიტყვით, ერთი და, თუნდაც, ასი მათხოვარი ყველას ჰყავს, მათ შორის ჩვენზე დალხინებულ ქვეყნებსაცო: ჯერ ერთი, ჩვენ გვაქვს თაობათა ჰარმონიული თანაცხოვრების უმდიდრესი ისტორიული ტრადიცია — ქართველი თავის ბავშვს არ ამათხოვრებდა. ომის დროსაც კი თბილისში თურმე ამდენი ხელგაწვდილი პატარა არ ყოფილა. მეორეც, აქ მთავარი პრობლემისადმი სახელმწიფოს თავკაცის დამოკიდებულება, თუნდაც — ემოციური მიმართება გახლავთ. პრეზიდენტმავე ბრძანა, ადგილებზე არასრულწლოვანთა კომისიების მუშაობას პირველი პირები უნდა ჩაუდგნენ სათავეშიო. ამას, პრაქტიკულთან ერთად, კიდევ სხვა, ფსიქოლოგიური — მე ვიტყოდი, პოლიტიკური — დატვირთვაც ჰქონდა... არადა, ბევრგან ეს არ შესრულებულა.

იტყვით, ეს პირველი პირებიც, თუ ისინი ფინანსურად ვერ იქნებიან წელგამართულები, პრობლემას ვერ გადაჭრიანო. გეთანხმებით, მაგრამ ფინანსების „მოძრაობაც" ხომ გარკვეულწილად ამ პირველ პირებზეც არის დამოკიდებული. თანაც — არა ფულითა ერთითა... ენთუზიაზმსაც ნუ უგულებელვყოფთ. მე ვიცი, შიშველი ენთუზიაზმით შორს რომ ვერ ნავალთ, მაგრამ უენთუზიაზმოდ საერთოდ ვერ დავიძრებით ადგილიდან. ბევრი ენთუზიასტი ორგანიზაცია თუ პიროვნება უხმაუროდ აკეთებს ობოლ, მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთათვის დიდ საქმეებს. ასეთებია, პირველ ყოვლისა, არასამთავრობო, საზოგადოებრივი ორგანიზაციები...

მაგრამ ჩვენ, სამთავრობო კომისიამ, ეტყობა, სათანადოდ ვერ ვიმუშავეთ დონორ ორგანიზაციებთან; „იუნისეფსაც", „სოროსის ფონდსაც" ჩვენ ნარეუდგინეთ მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებული პროგრამები, მაგრამ ჯერჯერობით ნილობრივ დაფინანსებასაც ვერ მივაღწიეთ.

ჩვენი ბიუჯეტიც, გასაგები მიზეზების გამო, ამ პრობლემის მიმართ მთლად ხელგაშლილი ვერ არის — წელს 200 000 ლარია გამოყოფილი პროგრამული ხაზით. ახალი პროგრამებიც მზადა გვაქვს, სამთავრობო კომისიაზე მიღებული, რომლებიც პრეზიდენტს წარედგინა. ისე, შედარებისათვის, ანალოგიური პროგრამების საერალიზოდ გერმანიაში ისეთი თანხებია გამოყოფილი, დასახელებაც მერიდება: იქ მილიარდობით (!) დოიჩმარკა იდება არასრულწლოვანთა სოციალურ დაცვასა და ადაპტაციაში.

ჩვენი პრესა ბევრსა წერს ამაზე, მაგრამ კოლეგებს (ნარედაქტორალი კაცის უფლების) ერთს „ჩავუხველებდი": შეძახილმა ხე გაახმოო; ვშიშობ,

სულ „დავილუპეთ" ძახილმა მართლაც არ დაგვლუპოს. ნუ გავაიაფებთ ჩვენს კრიტიკულ სიტყვას, თორემ, ღმერთმა დაიფაროს და, „დედაენის" იმ ონავარი ბიჭის მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, სულ მგელი, მგელიო, რომ იძახა და, როცა მართლა გამოჩნდა მგელი, სოფელმა აღარ დაუჯერა.

რომაელები ამბობდნენ, კარგი ორატორი ძნელად იწყებს, ცუდი ორატორი კი ძნელად ამთავრებსო. მეც მოვაბოლოვებ: არასრულწლოვანთა პრობლემის გადაჭრის წყარო — კონკრეტულ პროგრამათა სახით — გამოჩნდა; მაგრამ მისი მარეალიზებელი ნაკადი — ფინანსები — ჯერჯერობით მხოლოდ მოჟონავს... ანუ, როგორც გალაკტიონი იტყოდა — „წყარო ჩანს და წყალი არსად არის"...

მაგრამ, რახან მოჟონავს, წყაროს თავი არ დამშრალა და, თუ საზოგადოება, ჩვენ ყველანი, ხელს გამოვიღებთ, ნაკადი მდინარე წყლად იქცევა და, ილიასი არ იყოს, ტივს მეორე ნაპირზე გაიყვანს...

ამ ტივზე კი ჩვენი ბავშვები სხედან...

„ლიტერატურული საქართველო", 31.7.1998

სახვალიო საქართველოს დამღა

სიტყვა, წარმოთქმული საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის 75-ე წლის იუბილეზე

სასწავლებელი ცოცხალი ორგანიზმია; ისიც იბადება. იზრდება, ვითარდება, მერე ბერდება და ბოლოს გარდაიცვლება, ანუ სხვად გარდაისახება ხოლმე... (სამწუხაროდ, უდღეური ბავშვისა არ იყოს, ამ ბოლო დროს მკვდრადშობილი სასწავლებლებიც მოგვიმრავლდნენ); მაგრამ აქ დროის აღქმაა „ფარდობითი" — 75 წლის ადამიანი, საბას განმარტებით, ბერიკაცია, 75 წლის ტექნიკური უნივერსიტეტი კი ჯეელია, თუ მის ასაკს უმაღლესი განათლების ჩვენს ისტორიულ კერებს — ფაზისის, იყალთოს, გრემის, გელათის აკადემიებს — შევუდარებთ.

ყველას გვახსოვს მისი ბავშვობის სახელი — „გეპეი". მე, პირადად, „გეპეელი" შინა მყავდა — ჩემი უფროსი ძმა; მის კურსელებს კარგად ვიცნობდი და ვიცოდი, რომ „გეპეელობა" განდობილთა ორდენის წევრობას ჰგავდა, მას თავისი შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონდა.

„გეპეელობა" პირადად ჩემთვის ყოველთვის უკავშირდებოდა წარმოდგენას ინჟინრული ნესრიგითა და ჰარმონიით „აწყობილ" საქართველოზე. ოღონდ ამგვარად კონსტრუირებული საქართველო არამც და არამც არ

წარმომედგინა, როგორც სულიერებისაგან დაცლილი და „ტექნიზაციის" მკვადრ სქემაში ჩაჭედილი.

დროთა განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის ჩვენი იუბილარის სახელწოდებაც.

კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა ის დროც, როცა ილია რამდენიმე, თითზე ჩამოსათვლელ, განათლებულ ინჟინერს ნატრულობდა თავისი ქვეყნისათვის. ახლა, ვგონებ, მეორე უკიდურესობაში გადავცვივდით, გარკვეულ პერიოდში ინჟინერთა სიმრავლე მოგვეძალა — სამწუხაროდ, თვისებრიობის ხარჯზე, მაგრამ ამასაც მოევლება და, როგორც „გეპეელობა" იყო ერთგვარი მარკა, ხარისხის ნიშანი, „ტექუნელობა", ანუ ტექ-ნიკური უნ-ივერსიტეტელობა სამუდამოდ დარჩება ბეჭდად და დამღად სახვალიო ანუ ინჟინრული გენიით კონსტრუირებული და სულიერებით გაჯერებული საქართველოსი.

1977 წ.

უკანონო ძალა უძლურებაა, უძალო კანონი — უკანონობა

ფრაგმენტი სამართალდამცავთა შეკრებაზე წარმოთქმული სიტყვიდან

ბატონებო, თქვენ სამართალდამცავნი ბრძანდებით და კარგად გახსოვთ ძველ რომაელთა, ერთი შეხედვით, უცნაური გამოთქმა: კანონი უნდა აღსრულდეს, თუნდაც ქვეყანა დაიქცეს... თუ ქვეყანას დაგვიქცევს, რატომ უნდა აღვასრულო კანონი ან არის კი ისეთი კანონი საჭირო, რომლის აღსრულებამ შეიძლება ქვეყანა დაგვინგრიოსო, იკითხავდა სამართალში შედარებით გაუთვითცნობიერებული უბირი კაცი. არადა, რომაელები არა ცდებოდნენ, როცა ამგვარი უკიდურესი ფორმით იქადაგეს კანონის უზენაესობა, ვინაიდან ჩინებულად უწყოდნენ, რომ სწორედ უკანონობა ან — რაც კიდევ უფრო დიდი უბედურებაა — კანონის აღუსრულებლობა დააქცევს ქვეყანას... ყოველ შემთხვევაში, დაქცევის პირას მიიყვანს, რასაც ჩვენი დღევანდელი ყოფაც დაადასტურებდა.

არ გვაქვს კანონები — უბედურებაა...

გვაქვს კანონები და არ ვასრულებთ — ორგზისი უბედურება.

ალბათ, გახსოვთ დათა თუთაშხიას ცნობილი ფრაზა — ჯერ ნესია საქმე და მერე საქმეა საქმე.

ასევე — ჯერ კანონის აღსრულებაა კანონი და მერე სხვა კანონია კანონი.

მაგრამ კანონი რომ აკანონო, ამისათვის ძალაა საჭირო, ამ კანონის რეალურად აღმასრულებელი ძალა. სწორედ ამ ძალის მოკრება, დაგროვება, გაბევრება და ჭკვიანურად, ესე იგი — კანონიერად ხარჯვა-გამოყენება განსაზღვრავს ყოველი ხელისუფლების სიცოცხლისუნარიანობას.

ხელისუფლება ეყრდნობა ძალაუფლებას. დაუკვირდით, ბატონებო, ამ სიტყვას — **ძალაუფლება**. ქართულმა ენობრივმა ანუ გონითმა ცნობიერებამ ერთმანეთს შეურწყა ცნება **ძალისა** და ცნება **უფლებისა**; შედეგად მივიღეთ არა იმდენად იურიდიული კატეგორია, რამდენადაც — პოლიტიკური, მივიღეთ ერთგვარი საზომი სახელმწიფოს სიძლიერისა (საბა ასეც ბრძანებს: **ძალა** — ძლიერების ნაწილი): ქვეყნის ძლიერება განისაზღვრება ძალაუფლების რეალობითა და მისი მარჯვედ გამოყენებით.

მაგრამ **ძალა** ბევრის წარმოდგენაში ასოცირდება **ძალადობასთან** ანუ ძალის უხეშ, უგუნურსა და, რაც მთავარია, უკანონო გამოყენებასთან. ამას თავისი ღრმა ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს. პოლ ვალერის ცნობილ მაქსიმას შეგახსენებთ — ძალაუფლება მთელ თავის მომხიბვლელობას ჰკარგავს მისი ბოროტად გამოყენების გარეშეო; ესე იგი — ძალადობის გარეშე, რამდენადაც ძალადობა სწორედაც ძალის ბოროტად გამოყენება გახლავთ.

ცხადია, კულტურულად მოწიფული საზოგადოება კარგად განასხვავებს **ძლიერსა** და **მოძალადეს**. ყველა ძლიერი რომ მოძალადე არ არის, ამას, თითქოს, უფრო ვიჯერებთ; ყველა მოძალადე ძლიერი არ არისო, ამას — ნაკლებად. არადა, კულტურული საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის ძალადობა უფრო უძლურების გამოხატულებაა, ვიდრე — ჭეშმარიტი ძალისა. ძალას სახეს აძლევს კანონი, რომელიც, თავის მხრივ, ძალისავე საშუალებით უნდა რეალიზდებოდეს. მოკლედ, უკანონო ძალა უძლურებაა, ხოლო უძალო კანონი — უკანონობა.

ძალა მხოლოდ კანონით ძალობს და კანონივე აკანონებს ძალაუფლებას. დაკანონებული ძალაუფლება კი ხელისუფლება გახლავთ.

და ერთიც — ძალა არის წყარო სიყვარულისა. შოთა რომ ბრძანებს, შიში შეიქმს სიყვარულსაო, აქ სწორედ ძალის წინაშე შიში იგულისხმება, უზენაესი ძალა კი ღმერთი გახლავთ, ღმერთი, რომელიც თვითონ სიყვარულია. აქედან გამომდინარე, სიყვარული ძალას გულისხმობს, უძალო სიყვარული არც ჩაითვლება ჭეშმარიტ სიყვარულად. ამითაც უნდა აიხსნებოდეს, რომ ხალხი არა მარტო და იმდენად ემორჩილება ძალას, რამდენადაც — პატივსა სცემს... მეტიც ითქმის, ხალხს უყვარს ძალა... ესე იგი — უყვარს ღმერთი ანუ სიყვარული.

ასევე — ხალხს სძულს ძალადობა... ესე იგი — სძულს უკანონო ძალა ანუ ბოროტება.

1996 წ.

ხმა მღალადებლისა „ლიტერატურული საქართველოდან“

ნაწყვეტი საქართველოს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე წარმოთქმული სიტყვიდან.

დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის გზაზე შემდგარ საქართველოში გარდამავალი ხანა გვიდგას, როდესაც ძველი და ახალი, მარადიული და წარმავალი, პროგრესული და რეაქციული ერთმანეთს განსაკუთრებული გამძაფრებით ეჯახება — უბრძოლველად არც ძველი მიდის ცხოვრების ასპარეზიდან და ვერც ახალი მკვიდრდება...

და ეს კარგია...

და ეს ასეც უნდა იყოს.

ესაა მხოლოდ — ამ შემღვრეულ, ჯერ კიდევ დაულაგებელ სიტუაციაში განსაკუთრებული სიფხიზლე გვმართებს.

სიფხიზლე გვმართებს-მეთქი, რამდენადაც ასეთ დროს ჯერ შეუმჩნეველად, მერე და მერე ძალმიცემულად იწყებს მუშაობას ის ჭია, რომელიც შიგნიდან ფქვავს და ღრღნის სახელმწიფოს — სახელმწიფოსავე ფორმით, სახელმწიფოს სტრუქტურის სახით.

და სახელი ამ ჭიისა, რომელიც, ქართული ზღაპრებისა არ იყოს, ახლა უკვე ლამის გველეშაპად გვქცევია — კორუფცია!

ფსიქოლოგიურად ძნელია დღეს კორუფციაზე საუბარი: მას ხშირად სწორედ კორუმპირებულები ებრძვიან სიტყვით. არადა, უთქმელობაც არ ივარგებს.

დღეს აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია — ჯერ კიდევ ფეხზე მყარად ვერმდგარი სახელმწიფო მენველ ფურად ვაქციოთ...

არადა — ამ ფურს ჯერ ჯიქანი არ გავსებია... და, თუ ასე გაგრძელდა, ვერც გაევსება.

პირველმა, საფრთხე პრეზიდენტმა იგრძნო — ან ჩვენ დავამარცხებთ კორუფციას, ან კორუფცია დაგვამარცხებს ჩვენ.

აქ მარტო ერთი ხელისუფლების დამარცხება როდი იგულისხმება: კორუფცია, როგორც ყველაზე რელიეფური გამოვლინება სახალხო დოვლათის უსამართლო განაწილებისა, წარმოშობს სოციალურ პროტესტს, რომელიც თავისი უკიდურესი გამოვლინებით დაგვაბრუნებს ანარქიის, განუკითხაობისა და სოციალური კატაკლიზმების სისხლიან ეპოქაში.

ამიტომაც — ხმა მღალადებლისა „ლიტერატურული საქართველოდან“ — *„ქვეყანას არავინ ზოგავს“*...

ხმა — როგორც ალიყური.

მწერლობა გამრავლების ტაბულა არ არის, არც მწერალია სტატისტიკოსი, რომ თვალოს — ერთი პროცენტია საქართველოში არაკორუმპირებული თუ — ოთხმოცი.

მწერალმა მოვლენის გამოკვეთისათვის პროპორციები უნდა დაარღვიოს — ამგვარი ჰიპერბოლიზაცია არამცთუ ასატანია, აუცილებელიც გახლავთ.

თანაც — გულზე ხელი დავიდოთ — იქ მხოლოდ მხატვრული ჰიპერბოლიზაცია როდია, იქ — რეალობაა... იქ არის სიმართლე, ის მხატვრული სინამდვილე, რომელიც ყოფით სინამდვილეზე უფრო ნამდვილია.

ისე, თუ ძალიან გულზე მოგვხვდა ეს ხმა, სწორედ ჩვენს ხელთაა, აქ შეკრებილთა ხელთაა, დავამტკიცოთ, რომ პრეზიდენტი კორუფციასთან ბრძოლაში ეული არაა; ჩვენს ხელთაა მოვაცილოთ მას ის ეჭვი, თითქოს თავად გვიბიძგებდეს — *„აიღე შენთვის, შენც ხომ შევარდნაძე არა ხარ"*... პრეზიდენტი უცხო პლანეტიდან ვერ ჩამოიყვანს სტერილური პატიოსნების ხალხს კორუფციასთან საბრძოლველად; და თუ ჩვენ ვერ გავართმევთ ამას თავს, ღვთის მადლით, საქართველოში მოიძებნება ხალხი, ჩვენი შემცვლელები, რომლებიც ამ მისიას აღასრულებენ.

მაგრამ, მე მაინც მეიმედება, ასეთი ხალხი ჩვენს შორისაც აღმოჩნდება — სხვანაირად თვით ეს შეხვედრა ფარსი ყოფილა და სხვა არაფერი...

„ლიტერატურული საქართველო", 23, XI, 1996

პასიანსი

ნაწყვეტი რადიოგამოსვლიდან

„პასიანსი" მომწონს.

პასიანსი არ მომწონს.

მომწონს ტელეგადაცემა;

არ მომწონს თამაში... არ ვიცი, არ მაინტერესებს და, ალბათ, ამიტომ.

ამბობენ, ნერვებს ამშვიდებსო... გაშალე და ტკბილად დაგეძინებაო.

მერედა, ვის უნდა ახლა დამშვიდებული, დაძინებული ნერვები?

მე — არა...

„პასიანსი" კი სწორედაც რომ არ მამშვიდებს, პირიქით, მაცმუკებს, მაფორიაქებს, მახარხარებს...

არადა, კაცის გაცინება უფრო ძნელი საქმე მგონია, ვიდრე — ატირება.

სხვისი გახარების ნიჭიც უფრო იშვიათია, სამწუხაროდ, ვიდრე სხვისი წყენინებისა.

ვითომ ერთმანეთს გამორიცხავენ — სინამდვილეში კი ერთმანეთს ჰკვებავენ: სიცილი — ტირილს, ტირილი — სიცილს.

უმძაფრესი გამოხატულებაც ერთი და იგივე აქვთ — ცრემლი.

პასიანსი ცრემლისდენამდე მაცინებს.

მართალია, პოეტი ამბობს, ქვეყანა როცა იქცევა, „შენ რა გაცინებს, შე შობელძაღლოო", მაგრამ...

თუ არ გავიცინეთ (გასაცინარზე, ცხადია) — ქვეყანა სწორედ მაშინ დაგვემხობა თავზე.

ზოგჯერ, თქვენ წარმოიდგინეთ, სატირალზეც უნდა გავიცინოთ...

აკი ბრძანებდა სხვა პოეტი — „რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა".

პასიანსელები, მომხიბვლელი ცუცას ჩათვლით, ნამდვილი ვაჟკაცები არიან: ეკრანიდან იმას გვეუბნებიან, რისი თქმა ზოგს სიდედრისთვის ვერ გაუბედავს სამზარეულოში.

პასიანსი გვაცინებს, თანაც სატირალზე გვაცინებს.

ქართველი იტყვის — მომკლა სიცილითო...

მე, პირადად, პასიანსმა მრავალჯერ მომკლა სიცილით.

მხოლოდ ასეთ სიკვდილს გისურვებთ ყველას — სიცილით სიკვდილს.

თანაც — მრავალგზის...

1998 წ.

ორიოდ სიტყვა „დილაბნელზე"

პაატა ბერიკაშვილის „დილაბნელზე" მთხოვთ აზრის გამოთქმას; მოგახსენებთ: მისი რამდენიმე ლექსი ადრეც წამეკითხა, მაგრამ მაინც მის პირველ წიგნად შეკრულმა „დილაბნელმა" დამარწმუნა — პოეზიით განებივრებული ქართველი მკითხველი შიგ ბევრ ახალსა და საინტერესოს აღმოაჩენს.

მთავარი მაინც ის მგონია, რომ პაატა ბერიკაშვილს აქვს თავისი სამყარო და უნარი, ჩვენც დაგვანახოს და გვაგრძნობინოს იგი.

ეს არის პოეტური სამყარო, რომელიც კიდეც ჰგავს და არცა ჰგავს ჩვენს ყოფით სამყაროს. იგი, ცხადია, შექმნილია, მაგრამ არაა გამოგონილი; ილუზორულია, მაგრამ არაა დაუჯერებელი. თითქოს პოეტმა მიგვაყენა სარკმელს, რომელშიც მინად სხვადასხვა ფერისა და ზომის ჩაზნე-

ქილ-ამოზნექილი ლინზების ნამსხვრევები ჩაუსვამს და აქედან გვაცქერინებს ხან უსაშველოდ გაზრდილ, ხან დაპატარავებულ, ხანაც აყირავებულ საგნებს.

ერთი თავისებურება პაატა ბერიკაშვილის ლირიკისა ისიც გახლავთ, რომ იგი ზოგჯერ „ანტილირიკულია". მაგრამ ყოფითი დეტალები, პროზაიზმები, ზოგჯერ საგანგებოდ „დამიწებული" მეტყველება საპირისპირო ეფექტს იძლევა. თითქოსდა ამბის გაჭიანურებულ თხრობას, ბალადურ ფაბულას ლირიკა უნდა მოეშთო, მაგრამ — არა! ამ გალექსილ ამბებში ყოველთვის ხდება ერთი ან რამდენიმე ლირიკული „აფეთქება", რაც ამ, თითქოსდა, პროზაულ ფონზე კიდევ უფრო ეფექტურია:

დღეს სიმშვიდეა ჩემი, წყნარად შემოდის ქალი
და ქსოვს დუმილის ძაფით განმარტოების თავშალს...

პოეტის ლექსების ერთ ციკლს „გალიმათიები" ეწოდება. აქ კიდევ უფრო მკვეთრად იჩენს თავს პაატა ბერიკაშვილისათვის ნიშანდობლივი ფანტასმაგორიულობა, საგანთა სიურრეალისტური ჭვრეტა, ირონია და თვითირონია („გალიმათია — თბილისის სადგურის სურათები", „გალიმათია — მოწყენილობის დროს"):

ჩაირახრახა მტვირთავების მატარებელმა,
მოაგარაკეს — თეთრი შარვლით, თეთრი ჟილეტით —
ცოლმა უყიდა სამი ვაშლი, თანაც ებევრა,
და ჩააცივდა დიეტით და იშიმშილეთი...
სახლიდან ძლივ-ძლივ გაქცეული სამშვილიანი
მიირთმევს ნაყინს, ნება-ნება გასცქერის ქალებს,
ჩანთაში ცოლის მოხარშული სკდება კვერცხები
და წინილებიც ერთხმად სჭექენ: „ამოგთხრი თვალებს!"
დღეს ჩამოდგება უცნაური შემადგენლობა,
მზე შეიშალა... სახლებს ფერი დაჰკრავს ირისის,
გამცილებელი ირწმუნება (კაცი ენდობა):
მატარებელი შემოდისო „თბილის-ივლისი"...

ამის გვერდით პაატა ბერიკაშვილს აქვს ლექსები, ტრადიციულნი ფორმითაც და შინაარსითაც; იგი არცთუ იშვიათად მიმართავს ხალხურ კილოს და აქაც ახერხებს ათას ყელგამოვლილ ჰანგში თავისი ხმაც შერთოს:

მიუძღვი დარდის ამალას
„შენ, გიოო ამილახორო"...

იფარებ რკინის ჩაბალახს,
ცრემლი არ დამინახონო.

პაატა ბერიკაშვილი ახალგაზრდა ქართველია და, ცხადია, ქართულად უჭირს და ქართულად ულხინს. ამ განცდას პოეტი თავის ლექსებში გულზე ხელის ბაგუნით არსად გამოფენს, აქ მხოლოდ ჩურჩულია და ლოცვა:

წლები ამ კედლებს დაღლის და დახრავს,
წელთა და ჟამთა გდევენ გმირები.
ერთი იყავი... ერთი ხარ ახლაც
და მე ათასჯერ შეგეწირები.

დილაბნელი განთიადის ნიშანია... პაატა ბერიკაშვილის „დილაბნელიც", ასე მწამს, პოეზიის მზით სავსე დღის წინამორბედი იქნება.

1990 წ.

უბერებლობამისჯილი

სიტყვა მერაბ მახარაძის საიუბილეოდ

მერაბ, შე ბებერო-მეთქი, ჩვეულებისამებრ უნდა შეგხალისებოდი და კინაღამ შევყოვნდი: სამოცი წლის კაცს — შე ბებეროო — ასე უკვე სალაღობოდაც აღარ მიმართავენ. მე კი დღეს, შენს მესამოცე დაბადების დღეს, ისევ ძველებურად მინდა შეგეხმიანო, მერაბ, შე ბებერო, სწორედაც იმიტომ, რომ შენ არ დაბერებულხარ.

მეტიც — შენ ვერ დაბერდები! სიბერე მხოლოდ წლების დაგროვება როდია; სიბერე, როგორც სიჯელე, უპირატესად, სულის მდგომარეობაა და დაბერდაო, კაცზე მაშინ უფრო ითქმის, როცა იგი სხვის ჭირს ღობის ჩხირად მიიჩნევს. ამიტომაც, წლები, ღვთის მადლით, კიდევ ბევრი მოგემატება, დაბერებით კი ვერ დაბერდები.

ბევრნაირ სკამსა თუ სავარძელზე ემსხდარვართ — პარლამენტარისა და მინისტრის ჩათვლით — მაგრამ სიმდგრადით ვერც ერთი ვერ შეედრება შუა რიგის იმ მეორე მერხს, რომელზედაც მე და შენ ერთმანეთის გვერდიგვერდ სკოლის თერთმეტი წელი მოვათავეთ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ჩაიარა და თან წაიყვანა ჩვენი კლასელი გოგო-ბიჭები, ჩვენი „ცამცუ-

მა" და „გიკაჩა", ჩვენი „შლაიმონა" და „ციხო"... უარესიც მოხდა — ნაიყვანა ჩვენი გოგო-ბიჭების გოგო-ბიჭებიც...

სულ არ ნასულან, მერაბ, სულ ამქვეყნიდან არავინ მიდის...

თერთმეტი წელი ერთ მერხზე მოვათავეთ-მეთქი, თუმცა ეს წლები ჩვენთვის არ ყოფილა მოსახდელი „სროკი", ის უფრო ილიასეულ „ბენვის ხიდს" ჰგავდა. შენ ამ ხიდზე თავაღერებულმა გაიარე, რადგანაც სწავლა შენთვის ტანჯვა კი არა, მღერა იყო. როგორც სწავლობდი, ისე მღეროდი და ისე სწავლობდი, როგორც მღეროდი. სიმღერამ ჯერ შენ გასწავლა და მერე სიმღერითვე შენ სხვებს ასწავლე კაცობა. მომღერალს საქართველოში რა გამოლევს, ბევრი მღერის და, ღვთის მადლით, კარგადაც მღერის, ზოგი, იქნებ, შენზე დახელოვნებულადაც, მაგრამ შენნაირად, უფრო სწორად — შენ, ივიკოსა და სუხარასნაირად — არავინ და ვეღარავინ იმღერებს...

გოგლას პირქუში ციციკორეც კი მგალობელ კაცს უშრომველობას ჰპატიობდა — სიმღერა საღვთო რამაა, ერთი მომღერალი სოფელმა უნდა შეინახოსო. შენ, პირადად, სხვისი შესანახი არაფერი გჭირს, შენმა კარგმა ინჟინრობამ შენ სხვისი ხელის შემყურე არ გაგხადა... სხვათა შორის — არც პარლამენტისა. ხშირად ბუზღუნებენ ვითომცდა პარლამენტარებად დაბადებული ძალადპოლიტიკოსები — რა უნდა პოეტს პარლამენტში, რა უნდა იქ რეჟისორს, მით უფრო, მომღერალსა და მსახიობს? აქ პოლიტიკოსები, თუ მაინცა და მაინც — იურისტები და ეკონომისტები უნდა ვისხდეთო. პარლამენტში ჭკვიანი ხალხი უნდა იყოს, ხოლო ჭკვიანები, ვთქვათ, მწერალთა შორის, ვგონებ, არანაკლებია, ვიდრე — ეკონომისტებში... და ბრიყვებიც, არა მგონია, იურისტთა შორის უფრო იშვიათი იყოს, ვიდრე — რეჟისორებში.

შენ ჭკვიანი, ლაღი ქართველი ხარ, ამიტომაც ამშვენებ პარლამენტს.

ყუჩად ზიხარ იქ... მიკროფონებთან ჯგლეთაა: გესლად და სამსალად ილვრება იქიდან მიკროფონუნახავთა ენება... დგები... მიდიხარ მიკროფონთან... მიდიხარ პირველად... გაოცებული მოლოდინით შემოგყურებენ... და გასუსულ დარბაზში შენი ხმა დაირხევა: „დარკვეთელო ქალო, რა ლამაზი ხარო"...

ალბათ მომეჩვენა... შესაძლოა, დამესიზმრა... იქნებ — ასეც მოხდა ან უნდა მოხდეს...

შენ უფალმა უბერებლობით დაგაჯილდოვა... ან იქნებ — დაგსაჯა...

უბერებლობამისჯილი მერაბ მახარაძე კვლავაც ახარბად იყნოსავს ღვინოს, ქალის, სიმღერის სურნელს.

„დრონი", 14.11.1999

სიტყვა-პასუხი

საუბრები, დიალოგები, კითხვებზე პასუხები

ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა,
ზოგჯერ თქმითაც დაშავდების,
ვიტყვი, მოვკვდე, არა მგამა,
ჩემი მზეცა თქვენ მოგხვდების.

რუსთაველი

მოვუაროთ საქართველოს!

— ისე გვასწავლიდნენ, რომ სამშობლოს ცნება გადაგვისხვაფერდა. დიდხანს ვიცხოვრეთ მართალ სიტყვას მონატრებულებმა. მერე თითქოს უფლება მოგვცეს და სათქმელი ვთქვით; სანთლები დავანთეთ, მუხლი მოვიყარეთ ღვთის წინაშე და... ღმერთივით აღმდგარი რწმენა ნიჩბებით დაგვიჩეხეს. რას გვირჩევთ, ბატონო თამაზ, ვის უნდა ვენდოთ? ვისი ვირწმუნოთ?

— ღრმა, ჭეშმარიტ და საკუთარი სულიერი ძიებებით გამოტანჯულ რწმენას ვერც ნიჩბით ამოძირკვავ და ვერც „სიეს"-ით მოწამლავ... ეს ზოგადად, კონკრეტულად კი — ვისი რწმენაც უნდა გვქონდეს, ამაზე პასუხს ჩვენი ათასშვიდასნლიანი ქრისტიანობის ისტორია იძლევა... რაც შეეხება ნდობას — ყოფით, ცხოვრებისეულ დამოკიდებულებაში მეც ცნობილ პრინციპს ვიზიარებ: მირჩევნია ვენდო და მოვტყუვდე, ვიდრე არ ვენდო... მაგრამ პოლიტიკაში ნდობა და მერე იმედის გაცრუება ინდივიდის ვნება-დაზარალების ფარგლებს სცილდება, აქ უკვე შენი მიმნდობლობით, მალემრწმენობითა და გულუბრყვილობით კაცი უკვე საზოგადოებას, ქვეყანას, ერს ვნებ...

— ესე იგი, პოლიტიკაში არავის ვენდოთ და არავისი ვირწმუნოთ?

— ილიას ვენდოთ...

— ცოცხალთა შორის?

— ილიაზე ცოცხალი არავინ მეგულება. ამას პირდაპირი პასუხისაგან თავის დასაძვრენად, მერწმუნეთ, არ გეუბნებით. ისიც ვიცი, რომ — დღეს თუ საქართველოს პოლიტიკურად სანდო კაცი არა ჰყავს, ილია მკვდარი ყოფილა და ეგ არის! ჰყავს და, იქნებ არც ისე ცოტა, ჩვენ რომ გვგონია... მაგრამ თითოეული მათგანისადმი ნდობის ხარისხს, ჩემი აზრით, ის უნდა განსაზღვრავდეს, რამდენად არის მასში ილია. ნათქვამია — ნაყოფითაგან იცანითო... ილიელობით ვიცნოთ!

— როგორ ფიქრობთ, ბატონო თამაზ, ცხრა აპრილი რომ არა, მოხდებოდა ქართველი ერის კონსოლიდაცია?

— კითხვას ისე მისვამთ, ეტყობა, ეს კონსოლიდაცია უკვე აღსრულებულ ფაქტად მიგაჩნიათ. ზოგ რამეში მართლაც გაერთიანდით, ზოგშიც — დაეცილდით; ზოგნი შეერთდნენ, ზოგნიც — დაიშალნენ. ასეც უნდა მომხდარიყო, ეს ბუნებრივი რეაგირებაა ყოველ დიდმნიშვნელოვან მოვლენაზე. ცხრა აპრილი რომ არაო, ბრძანებთ; ცხრა აპრილი რეალობაა და, უიმისოდ რა მოხდებოდა, ამაზე მსჯელობა ვაითუ მარჩიელობას დაემსგავსოს. ისე კი, სულო ცოდვილო, ვფიქრობ, იმ დღეს თუ არა, ცხრა აპრილს როდესაც მაინც გაგვითენებდნენ. ფატალისტი არა ვარ, ამას ფაქტების ანალიზი მაფიქრებინებს: ცხრა აპრილი შეიძლებოდა ოცდაცხრა ნოემბერსაც დამდგარიყო. ღვთის წყალობით, ავირიდეთ (თუ — აგვარიდეს; საბერტყად მომწიფე-

ბულებად, ეტყობა, არ მიგვიჩნიეს)... მაგრამ კოკა წყალზე ტყდება. ერთნი წინასწარ ჭვრეტდნენ ამ სისხლის კალოს, სხვები — ვერა, ზოგი კი სულაც გეგმავდა მას. ვინც ჭვრეტდა, მათგან ზოგი ლამის მუხლმოყრილი ივედრებოდა ნოემბერში: სამხედროთა ჰუმანურობის ანდა თუნდაც წინდახედულების იმედად მტერი დარჩეს, ნუ დავეხოცინებით ჯარსო. პანიკიორებად და მხდალებად მოვნათლეთ ეს ხალხი, შემდეგ ნიშნიც მოვუგეთ — ყურებზე ხახვიც ვერ დაგვაჭრეს, ხომ ტყუილად აატარ-ჩამოატარეს სანაპიროზე ტანკებიო. არადა, პოლიტიკაში სწორედ ზედმეტი უშიშრობაა საშიში. საშიში მგონია ის დასკვნაც, რომლის ერთ-ერთ წინამძღვრად თქვენს შეკითხვაში გამოთქმული მოსაზრება ივარაუდება; მართლაც, თუ 9 აპრილის ტრაგედიამ ქართველობა „შეკრა" და თუ ამგვარი კონსოლიდაცია აუცილებელი პირობაა ერის თვითგამორკვევისა და თავისუფლებისათვის, მაშინ საბოლოო ეროვნული მიზნის მისაღწევად ცხრა აპრილები მიუცილებელი ყოფილა; მოკლედ, სისხლი უეჭველად უნდა დაღვრილიყოო.

რა ითქმის ამაზე?

ნუ გავუშინაურდებით სისხლს, განსაკუთრებით — სხვათა სისხლს. სისხლის დასანთხევად მზადყოფნა, ალბათ, გადაგვარჩენს; თვით სისხლის დანთხევამ კი, შეიძლება, დაგვღუპოს. ამიტომ ასე მგონია: მკვლელობის დამგეგმავ-განმახორციელებელნი რომ დამნაშავენი არიან, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ისინიც, ვინც სხვათა სისხლს ვერ გაუფრთხილდა, და ისინიც, ვინც სხვათა სიცოცხლეს ვერ გადავეფოფრეთ, მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც ყველამ უნდა ვაგოთ ჩვენ-ჩვენი სინდისის წინაშე პასუხი.

— ჩვენი ინტელიგენცია დღეს ახალგაზრდობის გვერდით დგას... მაგრამ მაინც ცოტა ხანგრძლივი ხომ არ აღმოჩნდა მისი დუმილი?

— მართალი გითხრათ, ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის ასეთი გამიჯვნა-დაპირისპირება არ მიმაჩნია მართებულად. ვინ არის სტუდენტი, თუ არა — ახალგაზრდა ინტელიგენტი? მთავარი კი ის გახლავთ, რომ ნამდვილი ინტელიგენცია (ახალგაზრდებიც და ძველგაზრდებიც) არასოდეს დადუმებულა, განსაკუთრებით — შემოქმედებითი ინტელიგენცია, მით უფრო — მწერლობა... დღეს ყველანი გაეგულადდით. ახლა, ვგონებ, „ნომენკლატურის მუშაკებიც" კი ლამის სახაროვზე მეტად გაგვიდისიდენტდნენ... დღეს ეს ერთგვარი „მარკაა". ცხადია, დღევანდელი სითამამეც დასაფასებელია, მაგრამ — აი, სახაროვი რომ დისიდენტობდა, მაშინდელ დისიდენტობას მაინც სხვა ფასი უნდა დაედოს. ისიც უნდა შეგახსენოთ, რომ მთელი დისიდენტური მოძრაობა რუსეთშიც და სხვაგანაც ინტელიგენტური იყო თავისი შემადგენლობით, ბევრმა ციხე-გადასახლებაც იწვნია. დღეს ზოგი მათგანი ჭეშმარიტი ინტელიგენტური თავმდაბლობით ჩრდილში ყოფნას რჩეობს. ის კაცი კი, მთავრობის ჯილდო და პრემია რომ არ მოჰკლებია, მაღალ სავარძელზეც რომ სწორედ მთავრობამ წამოასკუპა, „იმერ-

ლის ბიჭივით" წარბში რომ შესიციცინებდა „პირველს" და — მისი ფავორიტი ვარო, თავს იწონებდა, დღეს უტიფრად აცხადებს — მთელი ჩემი სიცოცხლე ამ მთავრობას ვეომებოდიო. გარეგნული ნიშნებით (პროფესორია, მწერლობს) ისიც, ვაი რომ, ინტელიგენტად უნდა ჩაითვალოს... მაგრამ ინტელიგენტობა არც პროფესიაა, არც თანამდებობა და არც მხოლოდ ინტელექტით ანუ გონებით მოპოვება „არსობის პურისა", იგი ამასთან ერთად და ამაზე უწინარეს ცხოვრების წესია, გარკვეული ზნეობით ცხოვრების წესი.

— მიხეილ ჯავახიშვილს უწერია, როცა ხალხი ბელადს ეძებს, იგი თუნდაც ხის ფულუროდან გამოვარდებაო... როგორია თქვენი დამოკიდებულება არაფორმალებისადმი?

— თუ — ბელადებისადმი?

— ეს ცნებები დღეს, ვგონებ, ემთხვევა კიდეც ერთმანეთს.

— ჩემს ბავშვობაში იმდენი გვამღერეს და იმდენი ლექსი გვათქმევინეს ბელადზე, რომ სამისდღეშიოდ შემაძულეს ყველა ბელადი და ბელადობა. ეს ტერმინიც და მისით გამოხატული მოვლენაც რაღაც გადმონაშთად, პოლიტიკურ ატავიზმად მიმაჩნია; „ბელადს" თუ ფერ-უმარილს ჩამოაწმენდ, გამოჩნდება დიქტატორი, უფრო — ტირანი, რომელსაც ზოგან ფიურერი ჰქვია, ზოგან აიათოლა, ზოგან დუჩე, ზოგანაც, შინაურულად, ესა თუ ის „იჩი". ბელადი და კერპი, ასე მგონია, ნგრევას უნდა, იგი ნგრევის ნაყოფია. შენებას ბელადი არ სჭირდება, შენების ვნებას კერპი ვერ გაალვივებს. ამას ჩვენი საუკუნის ისტორია ადასტურებს: ბევრი ვანგრიეთ და ცოტა ვაშენეთ, რაც ვაშენეთ, ისე არ უნდა გვეშენებინა... საერთოდაც — თურმე ის არ გვიშენებია; არ გვიშენებია იმიტომ, რომ ბლომად ბელადები გვყავდა — საზარელი ბელადებიც და სასაცილო ბელადუკებიც. ჩვენს ბელადებს კი სწრაფად და იაფად მშენებლის ფსიქოლოგია აქვთ: დასანგრევის გამოხშირვას იმისაგან, რაც შესანარჩუნებელია, შრომა უნდა, სათანადო ცოდნა და კულტურა, თანაც ეს ძვირი ჯდება, დროც ბევრი სჭირდება. ამიტომაც — დინამიტი და მისი ჯანი — მოსწორებულ ალაგას სწრაფად და იაფად ავაშენებთ ახალ-ახალი ილუზიების ხუხულებს. თანაც ბელადობის ბაცილა, ეტყობა, გადამდებია და, ადამიანისა არ იყოს, ქვეყნები და ხალხები მეტ-ნაკლებად არიან მისკენ მიდრეკილნი. რუსეთი — არის, რუსიეე მეცნიერების აზრს მოგახსენებთ; ინგლისს კი ბელადები არა ჰყავს, თუმცა დიდი პოლიტიკოსები — თუნდაც ამ საუკუნეში — რუსეთზე ცოტა როდი ჰყოლია; ჩვენ, ქართველებიც, ვართ დაავადებული „ბელადომანიით"... არა რუსული ვარიანტით — ბელადი რომ უნდათ, არამედ ქართულით — ბელადობა რომ უნდათ.

ისე, „ბელადომანებს" ნუ დაავიწყდებათ — ჩვენ ძველ რელიგიურ წარმოდგენათა მემკვიდრენი, არქაულ კულტურათა „ნასხლეტები" ვართ, კერპებს კი იქ ზოგჯერ ფლეთენ და ჭამენ კიდეც.

რაც შეეხება არაფორმალებთან დამოკიდებულებას — ჩემთვის უფრო

ფასეულია ადამიანთა დაყოფა ჭკვიანებად და ბრიყვებად, პატიოსნებად და თაღლითებად, მამაცებად და მხდალებად, ვიდრე — ფორმალებად და არაფორმალებად. დამოკიდებულებაც ხალხთან მხოლოდ ამ ნიშნების მიხედვით უნდა ჰქონდეს, ჩემი აზრით, კაცს.

ვიცნობ და პატივს ვცემ ბევრ ჭკვიან, პატიოსანსა და მამაც „არაფორმალს"... ასევე, ვიცნობ ბევრ ბრიყვ, თაღლითსა და მხდალ „ფორმალსაც", რომელთაც პატივს არა ვცემ...

და — პირიქითაც!

ახლა ტერმინთა შესახებაც: დღეს, შეიძლება, კაცი დაიბნე — რას ნიშნავს „არაფორმალი" და ვინაა „არაფორმალი"; გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, „არაფორმალები" ისინია, ვინც ხელისუფალთაგან სანქციადაურთველად ერთიანდებიან და საქმიანობენ საზოგადოებრივად საჭირბოროტო საკითხების გადასაჭრელად შექმნილ ნებაყოფლობით ორგანიზაციებში. საზოგადოებრივად საჭირბოროტო კი ჩვენთვის, პირველ ყოვლისა, ეროვნული საკითხია. ისიც სათქმელია, რომ ხელისუფლება ხშირად სწორედ ამ ეროვნულ პრობლემატიკას უგულებელყოფდა ხოლმე, ამიტომაც „არაფორმალებს" არცთუ უსაფუძვლოდ უკავშირდება ჩვენი ეროვნული სატკივრის ჭირისუფლობა... ასეა ჩვენში, მაგრამ — ასეა ყველგან? ყრილობის შემყურე, განა ადვილად გასატარებელი იქნება თქვენთვის ზღვარი, ვთქვათ, ბალტიისპირელ „ფორმალსა" და შუააზიელ „არაფორმალს" შორის? ამიტომაც ჩვენ, ეტყობა, „ფორმალ-არაფორმალთა" დაყოფის საკითხს ფორმალურად არ უნდა მივუდგეთ: არის ხალხი, რომელიც არაფორმალური ორგანიზაციის წევრი ფორმალურად არ არის, მაგრამ რეალურად მათი საქმე უკეთებია და აკეთებს; მეორე მხრივ, „არაფორმალურ" ორგანიზაციებშიც, ეტყობა, მოიძევება ხალხი, ფორმალური (და — „ნამეტურ" ფორმალური) ორგანიზაციის საქმეს რომ აკეთებენ რეალურად.

— ჩვენ, სტუდენტებს, ხშირად გვბრალდება დილეტანტობა... თქვენც გვისაყვედურეთ რუსთაველის საზოგადოების ყრილობაზე — მეტი უნდა იკითხოთ, პროფესიონალიზმია საჭიროო... მაგრამ, თუ ეს ასეა, ვის უნდა მოეკითხოს, ბატონო თამაზ, ამაზე პასუხი?

— მიგიხვდით... აკაკის „გამზრდელი" მეც მახსოვს... ჩვენ უნდა მოგვეკითხოს, ცხადია... ზოგადად და საერთოდ, მთელ ჩვენს მანკიერ სისტემას აღზრდა-განათლებისას, ყველას — საბავშვო ბაღის აღმზრდელით დაწყებული — რექტორებით დამთავრებული. პირადად მეც. ისე, ალბათ, არც თქვენ დაგავიწყდებოდათ — „მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა".

რუსთაველის საზოგადოების ყრილობაზე ჩემი გამოსვლა მიხსენეთ... პირდაპირ ვიტყვი, ახალგაზრდობის როლი ეროვნულ მოძრაობაში სრულიად განსაკუთრებულია; ამის დაუნახაობა ზნეობრივი სიბრმავე იქნებოდა:

პირველ ყოვლისა, სწორედ ახალგაზრდობამ შეუშვირა მკერდი ცხრა აპრილს საქართველოსათვის მოქნეულ ალესილ ნიჩაბს; კეისარს კეისრისა — დიდება და პატივი ამისათვის მათ! მაგრამ ამასთანავე მინდა ერთ, საზოგადოებრივად საზიანო, ტენდენციაზე სწორედ ახალგაზრდობის ყურადღების გამახვილება: ვერ დავმალავ, რაღაცნაირი ლიქნისა და ლაქუცის ატმოსფეროა მათ ირგვლივ ახლა შექმნილი. ამაში ბრალი მეტწილად ჩვენ, უფროსებს, მიგვიძღვის, თუმცა „ნეობოლშევიკურ" მეთოდებს — აზრის და ტერორებასა და მონოპოლიზაციას, სამწუხაროდ, ზოგჯერ ახალგაზრდობაც მიმართავს. ეს მოსალოდნელიც იყო ჩვენი დეგრადაციის გრძელ, თითქმის საუკუნოვან გზაზე. ტყუილად კი არ ამბობს ქართველი: პაპის ნაჭამმა ქლიავმა კბილი შვილიშვილს მოკვეთაო — რაც დიდმა პაპებმა დაგვითესეს, შვილიშვილებიც იმას ვიმკით. დაგვითესეს კი უპატივცემულობა კანონისა (მართალია, იმპერიის — მაგრამ მაინც!), უღმერთობა, კამოს კულტი, გაფიცვების, დემონსტრაციებისა და, საერთოდ, რევოლუციური ძალადობის ჰეროიკა; მისაბაძ გმირებად დაგვისახეს იდეისათვის მამის გამცემები და შვილის მკვლელები. მთელ თაობებს ამით ყურებს გვიჭედდნენ, და ნურავინ დაიტრაბახებს, ამგვარ გამომათაყვანებელ იდეოლოგიურ „დამუშავებას" თავისი „დანალექი" არ დაეტოვებინოს ჩვენს ფსიქიკაში. მაგრამ ყველაფერი ეს დღევანდელი უზნეობის გამამართლებელ არგუმენტად ვერ გამოგვადგება ვერც ჩვენ და ვერც ჩვენს შვილებს.

მე ქართველი ინტელიგენციისა და, განსაკუთრებით, ქართული მწერლობის მიმართ გამოვლენილი უდიერი დამოკიდებულება მადარდებს. რიდსა და კრძალვას დავეხსნათ — როცა საზოგადოება ზნეობრივად და სოციალურად „შეიმღვრევა", ამის მოთხოვნა ზედმეტი ფუფუნება იქნებოდა — მაგრამ ელემენტარული სამართლიანობის გრძნობა ახალგაზრდულმა მაქსიმალიზმმაც კი არ უნდა დაგვაკარგვინოს.

ახლა კი რა ხდება? — ახლა თურმე შეიძლება მთელ თანამედროვე ქართველ მწერლობას სილა გაულაწუნო, შეიძლება მან დიდსულოვნად მეორე ლოყაც მოგიშვიროს და შენც, ბოდიშის მოხდის ნაცვლად, მოწყალედ მოუცაცუნო ხელი ამ ლოყაზე — ყოჩაღ, გამოსწორების გზას ადგახარო... ამას, ვაი რომ, დასაშვებად მიიჩნევს საზოგადოებრივი აზრი. მაგრამ ვინც ასეთი შეუვალი და მომთხოვნია სხვათა მიმართ, მან სხვებისაგანაც უნდა მოითმინოს შენიშვნა და, უცდომლობისა და ხელშეუხებლობის ყალბი მანტია, სხვებს რომ ჩამოგლიჯა, თვითონ არ უნდა მოიგდოს მხრებზე.

— დღეს შეუძლებელია საზოგადოებრივ სატკივარზე ისაუბრო კაცმა და საკავშირო უზენაესი საბჭოს ყრილობა არ ახსენო...

— ჩემი აზრით, ყრილობამ ნარმოაჩინა ჩვენი პოლიტიკურ-პარლამენტური ცოდნა-შესაძლებლობების სიმწირე. არა მარტო ჩვენი დეპუტაციისა, არამედ, საერთოდ — ქართველობისა. პასიურობთო, ვუსაყვედურეთ ჩვენს დეპუტა-

ტებს, ირონიულად „დუმილის ბიჭებიც" დავარქვით, მაგრამ ცუდ აქტიურობას ისევ პასიურობა სჯობს. სასიკეთო აქტიურობას კი ისეთი პოლიტიკური განათლება და პარლამენტური ბრძოლის ხერხების ისეთი ღრმა ცოდნა სჭირდება, ბალტიისპირელებმა რომ გამოავლინეს. სხვა დონეა, სხვა ტრადიცია... ჩვენ კი საპარლამენტო ბრძოლისათვის გამოსადეგი ოთხი-ხუთი კაცის გარდა, ასე მგონია, ვერავის მოვისაკლისებთ მთელს ჩვენს დელეგაციაში. ბევრი რამ ითქვა ყრილობაზე საინტერესო, უფრო საგულისხმო კი ის გახლავთ, რაც იქ არ თუ ვერ ითქვა. მაინც არ მტოვებს განცდა, რომ სპექტაკლს ვუყურე... ცხადია, იყო გაუთვალისწინებელი, იმპროვიზებული მომენტებიც, მაგრამ იმპროვიზაცია დაგეგმილ-ნარეპეტიციალ წარმოდგენებშიც გვინახავს.

საგულისხმოზე საგულისხმოა, რომ ყრილობაზე ჯერ ყრუდ „ჩაგვიხვეულეს" ეგრეთ წოდებულ „მესხეთის თურქებზე", მერე კი — თითქოსდა უჩინარი დირიჟორის ჯოხის დაქნევაზე — ხოცვა-ჟლეტის გნიასი მოგვასმენინეს ფერგანიდან. მეტი რიხი ჩაუდგა ხმაში პატივცემულ რაფიკ ნიშანოვს — უზბეკეთის მიწა უზბეკებსავე არა გვყოფნის, მუშახელის სიჭარბეა და „მესხეთის თურქები" საიდანაც ჩამოგვითესლეს სტალინმა და ბერიამ, იქვე „გადანერგონ", მათ ხომ აქვთ თავიანთი სამშობლოო.

ამის პასუხად, ალბათ, საჭირო იყო ყრილობაზეევ რაღაც ფორმით დასმულიყო კითხვა: საქართველოში მაცხოვრებელ არაქართველთაგანაც ბევრს აქვს თავისი ისტორიული სამშობლო, თანაც ბევრად უფრო უდავო, ვიდრე „უზბეკ თურქებს" (ეს გონჯი ტერმინი მაინც უფრო ზუსტი ამსახველია რეალობისა, ვიდრე „მესხი თურქები"). ქართული მიწა მართლაც აღარ გვყოფნის ქართველებს, მთელი პრობლემაა მთიანი აჭარისა და სვანეთის ქართველთა განსახლება არაქართველებით დახუნძლულ ქართულ მიწებზე... თუ მოგენონებათ, პატ. რაფიკ, რომ ჩვენც ავდგეთ და დავსვათ საკითხი თავ-თავიანთ ისტორიულ მიწებზე მათი დაბრუნებისა? ცხადია, ეს ხალხები „მესხეთის თურქებივით" ეტაპით არ ჩამოუყვანიათ ჩვენთან, მაგრამ განა არის პრინციპული განსხვავება, ეტაპით ჩამოგისახლებენ ხალხს თუ — ეტაპობრივად?

გული მითქვამს, ერთ არგუმენტსაც, ალბათ, დაიხვევენ ხელზე თუნდაც ეროვნებათა საბჭოში: განა თვით ქართველი ინტელიგენცია არ მოითხოვდა და ახლაც არ მოითხოვს ამ ხალხის რეპატრიაციასო? ჯერ ერთი, თუ მოითხოვდნენ, მოითხოვდნენ მესხების დაბრუნებას და არა თურქებისას; მეორეც — რასაც და როგორც ამ ოცდახუთი ან, თუნდაც, ათი წლის წინათ მოითხოვდნენ, ის ამ სწრაფად მბრუნავ წუთისოფელში სადღეისოდ მოსათხოვნი ხშირად აღარც არის ხოლმე. ისე კი, ცოტა უცნაური ხალხი ვართ ქართველები... მაინტერესებს, დასტური რომ მიეცა ათეულ ათასობის ქართულის არმცოდნე და მესხეთში „თურქული კულტურულ-პოლიტიკური ავტონომიისათვის" მებრძოლი ხალხის ჩამოსახლებაზე, ხომ თავზე დავამ-

ხობდით (და სრულიად სამართლიანადაც!) საქართველოს მთავრობას მთავრობის სასახლეს? ცხადია, სწორედ მთავრობამ დაუშვა ოც-ოცდაათიან წლებში უმძიმესი შეცდომები, ეროვნული დანაშაულის ტოლფასი, მესხთა მიმართ, მაგრამ ძველის ინერციით სადღეისო გადაწყვეტილებათა შეფასება ყოვლად დაუშვებელია. საქართველოს მთავრობამ კი, რამდენადაც ცნობილია, არაორაზროვნად განუცხადა საკავშირო სამთავრობო კომისიას: თავისუფალი მიწები არა გვაქვს, რეპატრიანტებს მესხეთში ვერ დავასახლებთ, ხოლო თუ მათ მაინცდამაინც საქართველოში სურთ დაბრუნება, ნაწილ-ნაწილ, მცირე ჯგუფებად დავასახლებთ იქ, სადაც ამის შესაძლებლობასა და საჭიროებას დავინახავთო. და, ასე მგონია, ეროვნული თვალსაზრისით ეს პოზიცია უფრო მისაღებია, ვიდრე ზოგიერთის მტკიცება — ვინაიდან ისტორიულად სისხლისმიერი ძმები ვართ, რეპატრიანტები თავს რომ თურქებად აცხადებენ, ეს იმდენი არაფერია — გადმოვასახლოთ და ქართულს აქ ვასწავლით, ქრისტიანად აქ მოვაქცევთ და აქ გავაქართველებთო. მახსენდება კონსტანტინე გამსახურდიას მწარე ირონია „ზოგიერთ ბოჩოლა ქართველ ინტელიგენტზე, ყველაფერზე „ნიჩევოს" რომ იძახის". თუ ენით, მამულითა და სარწმუნოებით სხვაობა არაფერი ყოფილა, მაშინ ლიტონ სიტყვებად დარჩენილა ილიას „ენა, მამული, სარწმუნოება". „მესხეთის თურქთა" დიდმა უმეტესობამ ქართული არ იცის, თავს ქართველად არ თვლის და გამაჰმადიანებულია — ასეთია დღესდღეობით, ჩვენდა საუბედუროდ, რეალური სურათი. ისე, მინდა მორიდებით ვიკითხო: თუ „მესხეთის თურქთა" მესხეთში „დასაბრუნებლად" აუცილებელ და საკმარის პირობად მივიჩნევთ მათგან ქართველობის აღიარებას, ვითომ რატომაც არ აღიარებენ ისინი თავს ფორმალურად ქართველებად? თუ ბაგრატიონები მიდიოდნენ ამ ზნეობრივ კომპრომისზე და ფორმალურად მაჰმადიანდებოდნენ, რათა ქართული საქმე ეკეთებინათ, დავიჯერო, სარვაროვები არ „იკადრებენ" სიტყვის გატეხვას და თავიანთი ისლამური საქმის კეთებას ქართველის პასპორტით? თუ — იმას ვერ დაგვპირდებიან, ჯერ ჩამოგვასახლეთ და შვილებს ქართულ სკოლაში შევიყვანთო? შემინდეთ, მაგრამ — ზოგიერთ ჩვენს მართლაცდა „ბოჩოლა" ინტელიგენტს ასეც ხომ არ წარმოუდგენია, რომ ყოველი გადმოსახლებული მხოლოდ საპირველკლასელ შვილებს წამოიყვანს თან და მეცხრე, მეათე, მეთერთმეტეკლასელებს ფერგანაში დატოვებს? ჩამოასახლებ ასეთ ოთხ-ხუთ ოჯახს თუნდაც ქართულ გარემოში და მაშინვე წამოიჭრება იქ რუსული სკოლების გახსნის საკითხი. ასამდე ჩამოსახლებულის ოჯახის საბოლოოდ გაქართველებაც გვიჭირს (უკანასკნელ აღწერაში ბევრმა მათგანმა კატეგორიულად მოითხოვა თურქად ჩაწერა) და ასეულ ათასობით თურქისა და გათურქებულის ქართველობაზე მომქცევნი ვართ დღეს ჩვენ? ნეტარ არიან მორწმუნენი, მაგრამ მეშინია, ჩვენივე ხელით არ გამოვიჭრათ ყელი.

— თქვენ ნოემბრის დღეებში ტელევიზიით გამოსვლისას ეკლესიასტე დაიმოწმეთ — არის ჟამი ქვების დაგროვებისა და ჟამი ქვების სროლისაო. თანაც ბრძანეთ — ახლა ქვების დაგროვების ჟამიაო... როდის დადგება, ბატონო თამაზ, ქვების სროლის ჟამი?

— ეკლესიასტესეული ჟამი ქვების დაგროვებისა და ჟამი ქვების სროლისა მეტაფორული სახეა და მხოლოდ პირდაპირი აზრით არ უნდა გავიგოთ. ბიბლიურ ხანაში ქვებიც საბრძოლო იარაღი გახლდათ და მტრის ჩასაქოლად მართლაც საჭირო იყო ამ ქვების მომარაგება...

დღეს კი ჩვენი დასაგროვებელ-მოსამარაგებელი ცოდნაა... და კიდევ — რწმენა. ეს „ქვები", ილიას დავესესხები —„მოღალადე ქვები", თავად გვეტყვიან, დაგვიდგა თუ არა ჟამი სამიზნისაკენ დროული და უტყუარი გასროლისა.

გაზეთი ტელეეკრანი არ არის, მაგრამ არც აქედან გვაწყენდა ნიკო ლორთქიფანიძის შეგონების შეხსენება — „მოვუაროთ საქართველოს!".

ესაუბრა მარინე დონაძე, „ახალგაზრდა კომუნისტი", 13.6.1989

ყოფნა ქართველობის დონეზე

ნატო ციციშვილი — ბატონო თამაზ, ურთულეს ხანაში ვცხოვრობთ, მიმდინარეობს ჭეშმარიტი და ყალბი, უგუნური და გონიერი იდეების ბრძოლა. ეს ბუნებრივია, მაგრამ ბუნებრივად სრულებითაც არ მიმაჩნია ის საშიში მოვლენა, როდესაც ოფიციალური ცენზურის გვერდით და ზოგჯერ მასზე უფრო აქტიურად მოქმედებს ეგრეთ წოდებული „ფარული ცენზურა", მავანი და მავანი პარტიის ან მათი პოლიტიკური ლიდერების საწინააღმდეგო აზრებისა თუ თვალსაზრისთა ამკრძალავი. მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარი რეგლამენტაცია საშინელებაა თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე მდგარი ადამიანისათვის, ჩვენში ამგვარი ცენზურა არსებობს და საზოგადოებისათვის ჩვეულებრივ მდგომარეობადაც კი აღიქმება — უმრავლესობას, ვატყობ, ნაკლებად აღელვებს ეს. რადგანაც მე ჟურნალისტი ვარ...

თამაზ კვაჭანტირაძე — მაპატიეთ, ქალბატონო ნატო, თუ ხანდახან სიტყვაში ჩაგეჭრებით. მტერმოყვრიანი ქალბატონი ბრძანდებით, მზირი და მოთვალთვალე არც მე მაკლია; ჩვენს საუბარს მტერიცა და მოყვარეც ლუპით წაიკითხავს... ამიტომაც, იქნებ, ამთავითვე დაგვეთქვა: ზოგად-ბუნდოვანი მინიშნებებით ნუ გავტანჯავთ მკითხველს და ნურც იმის იმედად ვიქნებით, გამგები მაინც გაგვიგებს, ნათქვამში რაც ვიგულისხმეო. მაგალი-

თად, ამ წუთას თქვენ ბრძანეთ — ყოველგვარი რეგლამენტაცია საძინელებაა თავისუფლების გზას დამდგარი ადამიანისთვისო და მე უკვე მესმის თქვენი ოპონენტების რეპლიკა: როგორ, განა არანაირი რეგლამენტაცია არ გვჭირდება თავისუფლებისაკენ სავალ გზაზე? მე, ჩემი მხრივ, მეტსაც მოგახსენებთ: სწორედ უკმარისი რეგლამენტაცია ზნეობის სფეროში გახლავთ დღევანდელ მრავალ უკეთურებათა მიზეზი. სხვათა შორის, თქვენი გაზეთის ის გახმაურებული დარბევაც ზნეობრივი ურეგლამენტაციობის შედეგია... და — არა მარტო ზნეობრივისა; ნებისმიერი კანონი, ზნეობრივიცა და იურიდიულიც, გარკვეულ შეზღუდვა-რეგლამენტაციას, რაღაცის აკრძალვებს ეფუძნება. მე ასე მწამს, ჭეშმარიტი თავისუფლება კიდევ უფრო ფაქიზსა და ნიუანსირებულ რეგლამენტაცია-შეზღუდვებს მოითხოვს ინდივიდისაგან, ვიდრე უკიდურესი დიქტატურა... აღარაფერს ვამბობ ანარქიასა და ქაოსზე, როცა ყოველგვარი რეგლამენტაციისაგან თავდახსნილი ინდივიდი ხდება მონა თავისივე ბნელი ინსტინქტებისა...

ნ.ც. — კეთილი, დღევანდელ სიტუაციაში, ეგებ, მართლაც ჯობდეს ნაკლებად ვიქონიოთ იმედი, უკულმართულად არ გაგვიშიფრონ ის, რაშიც წალმართიან აზრსა ვდებთ. მე, ცხადია, იმგვარ შეზღუდვა-რეგლამენტაციას ვგულისხმობდი, რომელიც ჭეშმარიტი თავისუფლების მტერია.

იმას მოგახსენებდით — ჟურნალისტი გახლავართ-მეთქი, თანაც — გაზეთის რედაქტორი, და, ბუნებრივია, აკრძალვა-ცენზურის საკითხები განსაკუთრებით მაღელვებს. ჩემი პროფესიისა და მდგომარეობის ადამიანი დღეს ასეთი დილემის წინაშე დგას: ან მოირგოს ოფიციალური თუ არაოფიციალური ცენზურის შაბლონები და საკუთარი თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე იცხოვროს შედარებით მშვიდად, ან „მართლის თქმისათვის" საზოგადოების ერთი ნაწილისაგან ლაფისა და ტალახის სასხურებელ სამიზნედ იქცეს... ანუ — იცხოვროს ხიფათიანი ცხოვრებით.

თ.კ. — ქათინაურად ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ „ქართული ფილმი", ჩემი აზრით, სწორედ ამ ხიფათიან გზას ადგას.

ნ.ც. — ყოველ შემთხვევაში, ვცდილობთ... და თუ ვინმეს იმედად ვართ ამ გზაზე, პირველ ყოვლისა, იმ ჩვენი დიდი კოლეგისა, ვინც ბრძანა: *„ყოველს საგანს, ყოველს მოვლენას ცხოვრებისას, ავს თუ კარგს, დიდს თუ მცირეს, ჟურნალ-გაზეთობამ უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და შეძლებისამებრ მისცეს სასტიკს გარჩევას, განმარტებას თავისის რწმენისა, აზრისა და ცოდნისდა კვალად. ამ შემთხვევაში მძიმე საქმეზედ იქნება ლაპარაკი თუ უმცირეს საგანზედ, ყველგან, ყოველისფერში ჟურნალ-გაზეთმა უაღრესი და უპირველესი მნიშვნელობა უნდა მისცეს იმ იდეას, იმ დედააზრს, რომლითაც თვითონ სულდგმულობს, იმ გონებითს მხედველობას, რომლითაც თვით უყურებს საგანსა"...*

თ.კ. — გეთანხმებით, ილიას მხარდაჭერა დიდი ძალაა, ოღონდ იმის იმედად

არ უნდა დავრჩეთ, რომ ილიას აზრი მისი ამოქმედების, მისი პრაქტიკული ხორცშესხმის გარეშე დათრგუნავს უკეთურ აზრებსა და, რაც მთავარია, უკეთურ ქმედებებს. განზე გადგომითა და პილატესავით ხელის დაბანით — ეს მე უშუალოდ არ მეხებაო, დიდ ცოდოს დავიდებთ... თანაც — მარტო კერძო კაცისას არა, მთელი ერისას. ამიტომაც საზოგადოება, ჩემი აზრით, ქმედითად უნდა ალუდგეს წინ თვითმარქვია ცენზორებს, ერის სახელით მოლაპარაკე ახალი დროების ლუკა ისარლოვებს. აქ მარტო ერთ რომელიმე კონკრეტულ პირს როდი ვგულისხმობ — საერთო ტენდენცია შეინიშნება პრესაზე, რადიო-ტელევიზიაზე „დაწოლისა" სხვადასხვა პარტიულ დაჯგუფებათაგან. მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, შემინდეთ უხერხული შედარებისათვის, ქიშპობის საგნადქცეული ნაძრახი ქალის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ვისაც არ ეზარება, ყველა უყვირის, ემუქრება და ზოგჯერ თმებითაც დაითრევს ხოლმე — სხვას რატომ გაულიმე, რატომ მიესალმე და ხელი რატომ გაუწოდეო. რას ვიზამთ, ეტყობა, ესეც იმ დროების ინერციის ბრალია, როცა ჩვენს პრესას მართლაც კახპასავით ექცეოდა ხელისუფლება და მისი ცენზურა და, მცირე გამონაკლისს გარდა, რასაც უნდოდა, იმას აკეთებინებდა. ახლა სხვა დროა, პრესამ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა თითქოს დააღწიეს თავი ძალადობის წნეხს... და მით უფრო საოცარია მოძალადეთა როლში ხილვა იმ ძალებისა, ვინც სწორედ ძალადობას უნდა ალუდგეს წინ. ორიოდ სიტყვა ჩვენზეც, რედაქტორებზეც, ვთქვათ. სამწუხაროდ, ზოგჯერ ჩვენც დავნებდით ამ პარტიულ მოძალადეებს და ჩვენს უპრინციპობასა და „ნაჯექ-უკუჯექობანას" აზრთა პლურალიზმით ვნათლავთ. მარტო რედაქტორებსაც არ შეგვყრია ეს სენი, ვაი რომ, ამით ლამის მთელი მასა დაავადდეს. რას ვიზამთ, „ბედნიერი ერის" კომპლექსია. ალექსანდრე სარაჯიშვილს უთქვამს თითქმის საუკუნის წინ: ქართველი ისე მიეჩვია მონობას, ბატონის გამოცვლა თავისუფლება ჰგონიაო. უბატონობას ვერ ვეგუებით, პიროვნულ პასუხისმგებლობას ვუფრთხით, რაც ერთი მთავარი ნიშანია ხალხის გადაქცევისა ბრბოდ. ესეც უნდა ითქვას: ხალხი მარტო ანარქიის დროს კი არ გაბრბოვდება, არამედ — დიქტატურის ჟამსაც; ამ დროს იგი შეიძლება უაღრესად ორგანიზებულიც იყოს, მაგრამ პრინციპულად მაინც ბრბოა, რამდენადაც იქცევა პიროვნულობადაკარგულ მასად, რომელიც ქვევრივით ამოიძახებს იმას, რასაც „ბელადი" ჩასძახებს ხოლმე. ცნობილი ამბავია, უღელში გამოქნილ ხარს, უღლიდან გამოხსნილს, ქედი აჰქავდება ხოლმე — ისევ უღელი უნდა, სახრე ენატრება. შემთხვევითი როდია სტალინიზმის ასეთი აზავთება ჩვენში... ბელადი მოგვინდა, სახრე მოგვენატრა და უღლისაგან გადაშვლეპილი კისრებიც აგვქავდა... ხოლო როცა ბრბოს სახედრის ინსტინქტი დაეუფლება, გამხედვნელი ყოველთვის გამოუჩნდება... თვითონ გააჩენს, თვითონ შექმნის მას, ვინც უნაგირს დაადგამს, ლაგამს ამოსდებს და აქავებულ ზურგზე მოაჯდება. ლენინიც, სტალინიც მონობის კლასიკურმა ქვეყანამ, რუსეთმა, შექმნა. საუბედუროდ, ამ რუსეთის ნაწილად გვაქციეს ეს

ორი საუკუნეა და, რა გასაკვირია, თუ ბელადომანია ჩვენც გადმოგვედო. წინათ ვფიქრობდი, რომ ჩვენ ბელადომანიის რუსულისაგან განსხვავებული ვარიანტი გვქონდა — იქ თუ ბელადი უნდათ, აქ ჩვენ თვითონ გვინდა ბელადობა. ბოლო მოვლენები მარწმუნებს, რომ ამ მხრივაც „გავრუსებულვართ"... დაესწარით ზოგიერთ მიტინგს და თვალნათლივ დარწმუნდებით ამაში... როგორ მოგვძალებია ნოსტალგია „რკინის ხელისა"! ისტორია მეორდება ხოლმე: ოცდაჩვიდმეტშიც გავუტვრინდით ამ ხელს, გვეგონა, მხოლოდ სხვას, ჩვენს მონინააღმდეგეს, ნაუჭერდა ყელში და ჩვენს საქნელსა იქმდა... და მოგვეზღო კიდეც საზღაური ჩვენივე გულდედლობისა და უკეთურებისათვის... ისტორია მეორდება-მეთქი... ჯერ საზოგადოება „სტალინსა" ვქმნით, ჯერ პატარ-პატარა სტალინუკები დავერევით ერთმანეთს და გზას გავუწმენდთ აპოკალიფსურ მხეცს, სატანას, ანტიქრისტეს, რომელიც მოსრავს ბრალიან-უბრალოს, უპირატესად — უბრალოს. დიდ არს საცდური ძალაუფლებისა...

ნ.ც. — ჭეშმარიტად, ბატონო თამაზ. ეს საცდური ადამიანს ზოგჯერ ისე შეეპარება გულში, თვითონვე ვერ ამჩნევს. სიტყვამ მოიტანა და, ძალაუფლებისაკენ სწრაფვად მიგაჩნიათ თუ არა ქვეყნის მმართველ ინსტიტუტებში (პარლამენტში, მთავრობის კაბინეტში) მონანილეობა? ამაზე, ალბათ, თქვენც გიფიქრიათ: რამდენადაც ვიცი, არასოდეს არავითარი სახელისუფლო თანამდებობა არ გკავებიათ, ახლა კი დასთანხმდით დეპუტატობის კანდიდატად დაესახელებინეთ როგორც კონგრესში, ასევე უზენაეს საბჭოში.

თ.კ. — ნელან რომ მოგახსენეთ, ბელადომანია გვჭირს, ერთმანეთს დავეერიეთ და ვერც ძალაუფლების საცდურს ვუძლებთ-მეთქი, პირველი პირის ფორმა მარტო სტილისტურ საშუალებად არ გამომიყენებია: რა ცოდვებიც ხალხსა სჭირს, მას, მეტ-ნაკლებად, ამ ხალხის შემადგენელი კაცნიც ვინაწილებთ ხოლმე... ღირსებებსაც, რასაკვირველია. საერთოდ კი, თუ არ ვიფარისევლებთ, უნდა ვაღიაროთ: ძალაუფლებისაკენ ლტოლვა უძლიერეს ადამიანურ ენებას წარმოადგენს და მისგან აბსოლუტურად დაცლილი არც არავინ მეგულება. მაგრამ სხვა არის, როცა ეს ენება ზნეობისა და რელიგიის სადინარებში მოექცევა, გაკეთილშობილდება და სხვისი — უზენაესის, იდეის, მოყვასის — მსახურების სახეს შეიძენს, და სულ სხვა რამ ხდება, როცა ყოვლისწამლეკავი ძალით შეიპყრობს კაცს, აკვიატებულ იდეად ექცევა, სულს სატანისათვის მიაყიდვინებს და მერე ამ სულს კერპადქცეულ საკუთარ თავსვე შეაწირვინებს... თუმცა, მხოლოდ საკუთარი სულის ნარწყმედაზე რომ იყოს საქმე! სხვათა სულები ეწირება ძალაუფლების ენებას ატანილ მანიაკთა ჟინსა და ხუშტურს.

ისიც სათქმელია, რომ ძალაუფლების ენება-წადილი ყოველთვის როდია ადვილად ამოსაცნობი: ზოგჯერ იგი, რომ იტყვიან, ყვირის, თვალში გეხირება, ზოგჯერ კი დამალულ-შენიღბულია და, თქვენ წარმოიდგინეთ, გარეგნულად ტირანისათვის საპირისპირო ცხოვრების წესში ვლინდება.

თითქოსდა, ვინ უნდა იყოს ამა სოფლის ამაოებათაგან განმდგარ, ყოველგვარი ხორციელი პატივისგან განძარცვულ ბერზე ან კარის-კარ ხელგაშვერილ მათხოვარზე უფრო თავმდაბალ-ქედდადრეკილი, მაგრამ ცნობილი გახლავთ სწორედაც ბერული ამპარტავნობა, სწორედაც გლახაკთა მზვაობრობა; შემთხვევით როდი ბრძანებს გურამიშვილი: *„სძულს ღმერთსა ამპარტავნობა მეტადრე გლახა მწირისა"*. ასე რომ, ნურავის მოვეტყუებინებით — მოკრძალების საფარქვეშ დამარხული პატივმოყვარეობის აფეთქება ხშირად უარესს გვიქადის, ვიდრე გამოვლენილი ამბიციები.

ამ ზოგადი მსჯელობით სულაც არ ვაპირებ თავი დავიძვრინო თქვენ მიერ პირდაპირ დასმული შეკითხვისაგან; გიპასუხებთ: მართვის სისტემებსა და ინსტიტუტებში მონაწილეობა, ჩემი აზრით, თავისთავად არ უნდა იყოს ძალაუფლებისაკენ სწრაფვის გამომხატველი. პირიქით მგონია — „კოლექტიურმა ძალაუფლებამ", უფრო ზუსტად, ნებამ, გამოვლენილმა კონგრესის ან უზენაესი საბჭოს სახით, უნდა შეზღუდოს ერთპიროვნული ანუ დიქტატორული სწრაფვა ძალაუფლებისაკენ. მეც ვიცი — არც სენატის ინსტიტუტის არსებობას ძველ რომში, არც რაიხსტაგს ბერლინში და არც უზენაეს საბჭოს მოსკოვში ხელი არ შეუშლია კალიგულას, ჰიტლერის, სტალინის ტირანიისათვის. მაგრამ ამის გამო „კოლექტიური ძალაუფლების" მარეალიზებელ სტრუქტურათა მიზანშეწონილობა საეჭვოდ არავის გაუხდია... ასევე — მათში მონაწილეობა თავისთავად არ ნიშნავს ინდივიდუალური ძალაუფლებისათვის ბრძოლას.

ნ.ც. — და მაინც, რამდენად შეიძლება შეეთავსოს ერთმანეთს ერთსა და იმავე დროს კონგრესისა და უზენაესი საბჭოს წევრობა?

თ.კ. — კონგრესი და უზენაესი საბჭო არ მიმაჩნია ერთმანეთთან ალტერნატიულად დაპირისპირებულ არჩევით ორგანოებად. ერთშიცა და მეორეშიც კანდიდატად დასახელება მე პირადად დიდ პატივად მიმაჩნია, ოღონდ არა ძველებური, პრესტიჟულობის გაგებით — ეს გახლავთ პატივი ხიფათში თავის ჩაგდებისა. მე ასე მწამს: დღეს უზენაეს საბჭოსა და, განსაკუთრებით, კონგრესში არჩევით ერი პატივს გდებს მისი გულისათვის თავი საფრთხეში ჩაიგდო.

ნ.ც. — ერთი დიდი ქართველის ნათქვამი მახსენდება: *„ან პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან მეშინის..."*

თ.კ. — დიახ, გრიგოლ ხანძთელი მღვდლობის პატივს ერთგვარად უფრთხის, ესეც კი ხორციელ დიდებად მიაჩნია, რისთვისაც „პატიჟი" ანუ სასჯელი, ტანჯვა (სულიერი, ცხადია) მიეგება. ძველად უფრო ღრმად სწვდებოდნენ „პატივის" არსს, როდესაც მას „ტანჯვას" და არა განცხრომა-ნებივრობას უკავშირებდნენ.

ნ.ც. — როგორ ფიქრობთ, აირჩევა კონგრესი? აირჩევა უზენაესი საბჭო?

თ.კ. — ორივე არჩევნებს ჩაშლის საფრთხე ემუქრება, განსაკუთრებით —

კონგრესისას. ხელისუფლება რომ კონგრესის არჩევას შეეწინააღმდეგოს ფარულად თუ აშკარად, ეს გასაგებიც არის და ლოგიკურიც: კონგრესის არჩევით იქმნება ერის ნდობის მანდატით აღჭურვილი, საერთაშორისო სამართლის ისეთი სუბიექტი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და არაფრით არ იქნება არც იურიდიულად დამოკიდებული საბჭოურ სტრუქტურებზე და არც შეზღუდული დღეს მოქმედი საბჭოური კანონმდებლობით. არსებული ხელისუფლებისაგან ასეთი ორგანოს მიუღებლობა სრულიად გასაგები და ლოგიკურია-მეთქი, მაგრამ მთლად გასაგები და თანმიმდევრული არ უნდა იყოს პოზიცია ზოგიერთი პარტიისა და პარტიული ბლოკისა, ასეთ გააფთრებულ წინააღმდეგობას რომ უწევენ კონგრესის არჩევნებს. მით უფრო, რომ ზოგი მათგანი თავს შეურიგებელ ოპოზიციად მიიჩნევს... მით უფრო, რომ კონგრესის ფუნქციები და მიზანდასახულობა მათ მიერაც იყო განსაზღვრული და დოკუმენტურად დამოწმებული ეროვნულ მოძრაობაში მონაწილე პოლიტიკურ ორგანიზაციათა პირველ კონფერენციაზე. კონგრესი ხომ შესაბამისი რეზოლუციის საფუძველზე აირჩევა: კონცეპტუალურად არაფერი შეცვლილა, შეიცვალა ცალკეულ პარტიათა ხელმძღვანელების პიროვნული ურთიერთდამოკიდებულება, ეს კი დიდი პოლიტიკის განმსაზღვრელი არ უნდა იყოს: აქ იდეები, კონცეფციები უნდა უპირისპირდებოდნენ, შორდებოდნენ და უახლოვდებოდნენ ერთმანეთს და მხოლოდ ამაზე დაქვემდებარებით — ამ იდეათა მარეალიზებელი პირები (ცხადია, თუ ისინი თავს პოლიტიკოსებად მიიჩნევენ და არა უბანი-უბანზე მისულ უბნის ყოჩებად). მეუხერხულება, მაგრამ, ეტყობა, მაინც გვჭირდება პოლიტიკური ანაბანას შეხსენება: პოლიტიკაში „მომწონს" - „არ მომწონს" ნონსენსია, აქ „საჭიროა" - „საჭირო არაა" კატეგორიებით აზროვნებენ.

ნ.ც. — მაგრამ, ეგებ სწორედ კონცეპტუალური დამოკიდებულება შეიცვალა კონგრესის მიმართ მრავალპარტიული არჩევნების პირობებში?

თ.კ. — შეიძლება, ეგრეც იყოს; შესაძლოა, ზოგიერთ პარტიას მართლაც მიაჩნდეს, რომ ახალარჩეული უზენაესი საბჭო შეითავსებს ყველა იმ ფუნქციას და აღასრულებს იმ მისიას, რაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების კონფერენციამ და ყრილობამ დააკისრა კონგრესს. ჩემი აზრით, ეს პრინციპულად შეუძლებელია. ყველაფერს რომ დავეხსნათ, განა უზენაეს საბჭოს შეუძლია ან ევალება შეასრულოს ეროვნული მოძრაობის მაკოორდინებლის ფუნქცია? ცხადია, არა. აქ ერთი ფსიქოლოგიური ნიუანსიც არის, რაც, ჩემი აზრით, რთულ სიტუაციაში აყენებს კონგრესის მოწინააღმდეგე, მაგრამ უზენაესი საბჭოს მომხრე იმ პარტიებს, თავს რომ შეურიგებელ ოპოზიციას უწოდებენ; ფაქტია, საქმით მათ უწევთ არსებულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა. მე, პირადად, ამაში ვერაფერს ვხედავ საძრახისს: თუ საქართველოს წაადგება, „ეგრეთ წოდებულებთანაც" უნდა ითანამშრომლო, ოღონდ მაშინ შეურიგებელი ოპოზიციონერის „ტიტულს"

უნდა შეელიო, თორემ ადგება ვინმე (თუნდაც „ეგრეთ წოდებული" მთავრობა) და შენც „ეგრეთ წოდებულ" შეურიგებელ ოპოზიციას გინოდებს.

ნ.ც. — გიცდიათ თუ არა, ბატონო თამაზ, ამოგეცნოთ მომავალი? საერთოდაც, გწამთ თუ არა, რომ ეს შესაძლებელია?

თ.კ. — ყვავს, ალბათ, გაუჭირდება დააჯეროს თხუნელა, რომ შესაძლებელია შეუხებლად და უყნოსველად, მხოლოდ თვალით, აღქმა საგნისა. აბა ვცადოთ და დაბადებით ბრმას მთელი სისავსით შევაგრძნობინოთ, რა არის თვალი და რა არის ხედვა. ცხადია, მწამს, რომ არსებობს ნათელმხილველის ნიჭი, რომელიც მომადლებული აქვთ წინასწარმეტყველებს, მაგრამ, საუბედუროდ, მე ამ უნარს არა ვფლობ. თუმცა, რატომ — საუბედუროდ? წინასწარ დანახულ „ხვალეს" მე უკვე ნაცხოვრებ „ხვალედ" ჩავთვლიდი, ხოლო ჩავლილი დღის, თუნდაც ილბლიანის, ზუსტი განმეორება რა ტანჯვაცაა ადამიანისათვის, ამას, ალბათ, ყველაზე უკეთ პატიმარი მიმიხვდება, ვისი „ხვალე", გარეგნულად მაინც, „დღეის" ასლია. მაგრამ დავეხსნათ წინასწარმეტყველებს, ჩვენც, ჩვეულებრივი მოკვდავნი, საგანთა და მოვლენათა ცვლილება-განვითარების ლოგიკიდან გამომდინარე, ყოველთვის ავიგებთ ხოლმე სავარაუდო „ხვალეს", რომელიც ხან მეტად, ხან ნაკლებად მართლდება, ზუსტად კი — არასოდეს.

ნ.ც. — როგორია, თქვენი აზრით, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სავარაუდო „ხვალე"?

თ.კ. — ქალბატონო ნატო, ეშიშობ, ორაკულის როლი თავხედად, მეტი რომ არა ვთქვათ, ხომ არ გამომაჩენს თქვენი და თქვენი გაზეთის მკითხველის თვალში?.. მაგრამ გავბედავ და ერთ, საზოგადოებრივად საშიშ სახვალიო ტენდენციაზე კი გავამახვილებ თქვენს ყურადღებას — ეს გახლავთ არნახული, აჩქარებული, მძაფრი აყვავება-გაფურჩქვნა სიძულვილისა: გაილაღა სიძულვილმა შინ და გარეთ, მიტინგებსა და აუდიტორიებში, გაზეთებსა და ტელეეკრანზე, ქუჩებსა და ოჯახებში. დღეს სიტყვებით ვგესლავთ და ვკოდავთ ერთმანეთს, ხვალ — ვაი ჩვენდა, — ტყვიას ვესვრით, ქვას დავკრებთ ერთურთს. თუმცა — რატომ „ხვალ"? განა უკვე დღეს არ გავაცინეთ მტერი და გული არ მოვუხარშეთ მოკეთეს? განა დღეს არ დავამტვრიეთ ცხვირ-პირი პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს და შეურაცხყყავით ხნიერი, ღირსეული, სათნო მანდილოსანი? განა დღეს არ მოვითხოვეთ წიგნების დაწვა და შინ არ მივუცვივდით ჭორისა და ცილისწამების სამიზნედ ქცეულ ადამიანებს? განა დღეს არ ავჭედეთ მწერალთა კავშირის კარები და განა დღეს არ ვუწყობთ დაუსწრებელ სასამართლოებს ერთმანეთს? დაბოლოს, განა დღეს არ დავარბიეთ გაზეთი, ალყაში მოვაქციეთ ტელევიზია, ავაფეთქეთ და ავტომატის ჯერით დავცხრილეთ პოლიტიკური მოწინააღმდეგის სამყოფელი? რაღა დაგვრჩა? ერთმანეთის დახოცვა? შვილების მოტაცება? ოჯახების გადაბუგვა? ამასაც ვიზამთ, თუ გონს არ მოვეგეთ და ბოროტებისა და სიძულვილის ლენცოფა ჩვენი ხელით არ ამოვიძირკვეთ ჩვენივე გულებიდან.

ვიცი, ამას ყველაფერს თავისი ობიექტური მიზეზები აქვს: თავისუფლებაწაგვრილი, სახელმწიფოებადამხობილი და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურად გაბოგანებული ხალხი, რომელსაც, ღვთის მადლით, ვერც თავისი დიდებული წარსული დაავიწყეს და ვერც ღირსებიანი „ხვალეს" იმედი ამოუფრთხეს გულიდან, ყოველთვის დაიგროვებს გულში ბოღმასა და სიძულვილს. ეს, კაცმა რომ თქვას, არცაა სიძულვილი, რამდენადაც საფანლად სიყვარული — თავისი ენის, თავისი ჯიშის, თავისი ისტორიის, თავისი ცხოვრების წესის სიყვარული — უძევს. ჩვენ, ქართველებმა, სიყვარულის უკიდეგანო, ზოგჯერ უმისამართო გადმოღვრა ვიცით და ეს დიდი ნიჭი, დიდი მადლი მგონია. სიძულვილის ნაკადს კი ძალიან ფრთხილად და ზუსტი მისამართით უნდა მიშვება; ამაში მეტი დახელოვნება გვმართებს. განა არ ვიცი, რომ ჩვენს ადგილას სხვა ხალხი — ურუსთაველო, უვაჟაფშაველო — უარესს იზამდა... უქნია კიდეც. თუნდაც ირგვლივ მიმოვიხედოთ, ზღვა სისხლი აჩქეფდა ჩვენს გარშემო. მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეშია ჩვენთვის... სხვათა დაცემა ჩვენ ვერ გაგვამართლებს, ჩვენ ჩვენი ქართველობის დონეზე ყოფნა გვმართებს...

ნ.ც. — დასასრულ?..

თ.კ. — დასასრულ, ის განცდა, რასაც დასასრული არ უნდა ჰქონდეს — მოვუაროთ საქართველოს!

„ქართული ფილმი", 26.9.1990

პრეზიდენტი, უპირველესად, სამართლიანი უნდა იყოს

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" 6 შეკითხვა პრეზიდენტობის კანდიდატებს

1. რა ძირითადი თვისებები უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს და პრეზიდენტობის არსებული კანდიდატებიდან, ვის გააჩნია ეს თვისებები მეტ-ნაკლებად?

2. საქართველოში ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების საქმეში ვის მიუძღვის ყველაზე დიდი ნვლილი არსებული კანდიდატებიდან ან პარტიებიდან, რომლებმაც ეს კანდიდატები ნარადგინეს?

3. პარტიამ ან ბლოკმა, რომელსაც თქვენ ნარმოადგენთ, ან პირადად თქვენ, რა გააკეთეთ იმისათვის, რომ საქართველოში მიგვეღნია მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნებისათვის, რის შედეგადაც გახდა შესაძლებელი საქართველოში დემოკრატიული წესით პრეზიდენტის არჩევნების ჩატარება?

4. შეგეძლოთ თუ არა გეფიქრათ საქართველოში პირველ პოსტზე არჩევა კომუნისტური რეჟიმის დროს?

5. დღევანდელი საქართველოს პრეზიდენტს, ცხადია, უნდა გააჩნდეს დიდი ინტელექტუალური პოტენციალი და მყარი ეროვნული სულისკვეთება. ამასთან, გაცნობიერებული გაქვთ თუ არა, რომ ეს არის ჯვარცმა, გოლგოთის გზა, უდიდესი ისტორიული პასუხისმგებლობა ერის წინაშე. ხართ ამისათვის მზად?

6. რა როლს ასრულებს საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე კონგრესი და რა პოზიცია გიჭირავთ მის მიმართ?

გისურვებთ წარმატებებს.

პირველ ყოვლისა, მადლობას მოვახსენებ ინტერვიუერს არჩევნებში წარმატების სურვილისათვის; ჩემი მხრივ, მეც ვუსურვებდი მას წარმატებებს და წინსვლას სამსახურებრივ საქმიანობაში და ამ ჩემი სურვილის განსახორციელებლად, ვფიქრობ, მეტი საფუძველი არსებობს, ვიდრე ინტერვიუერის კეთილი სურვილისა პირადად ჩემ მიმართ.

1. პრეზიდენტს, უპირველეს ყოვლისა, მომადლებული უნდა ჰქონდეს სამართლიანობის გრძნობა. მეკითხებით, ვის გააჩნია მეტ-ნაკლებად ეს თვისებაო. მეტ-ნაკლებად, ალბათ, ყველას... ხაზს ვუსვამ — მეტ-ნაკლებად!

2. ცალკეულ პიროვნებას, ისევე როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციებს, მართლაც შეუძლია ეროვნული ცნობიერების გამოფხიზლებაც და მოჩლუნგებაც, შესაბამისად — ეროვნული მოძრაობის გაცხოველებაც და ჩაცხრობაც, იმედის გაღვივებაც და გულაცრუებაც. ვინ რა წვლილი შეიტანა ამ საქმეში, ამას პირუთვნელად მხოლოდ დრო გამოაჩენს. პირადად ჩემი წვლილი ამ საქმეში ერთობ მოკრძალებულად მიჩანს.

3. შეკითხვაში ზოგი რამ დასაზუსტებელია. სამწუხაროდ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ დემოკრატიული წესით არჩევნების ჩატარება ნაკლებად არის მოსალოდნელი. ასევე ვერ ვხედავ უშუალო მიზეზ-შედეგობრივ კავშირს მრავალპარტიულ არჩევნებსა და დღევანდელ არჩევნებს შორის. თუ მრავალპარტიულ არჩევნებს ერთ ასპექტად წარმოვიდგენთ თავისუფლებისა და დემოკრატიული ცხოვრების წესის დამკვიდრებაში, ჩემი ჟურნალისტურ-პედაგოგიური საქმიანობით მცირე წვლილი ამაში, ალბათ, ჩემიც იქნება.

4. ტოტალიტარული შეიძლება იყოს როგორც კომუნისტური, ასევე არაკომუნისტური რეჟიმიც. ასეთი რეჟიმების დროს „პირველკაცობის" მონდომება პიროვნების საქმეა, აღსრულება — რეჟიმის.

5. ჯვარცმის პერსპექტივის წინაშე თვით მაცხოვარსაც კი ძრწოლა იპყრობს გეთსემანიის ბაღში ლოცვისას. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მზად ვარ ამ ჯვარის ღირსეულად მტვირთველს რიგით მოლაშქრედ გავყვე თავისუფლების გოლგოთურ გზაზე.

6. კონგრესმა უფრო ქმედითი, კონსტრუქციული როლი უნდა შეასრულოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში. ჩემი დამოკიდებულება კონგრესის მიმართ ლოიალურია.

„ახალგაზრდა იბერიელი", 25.5.1991

„იფრინდა"-ს აინტერესებს

ცხრა შეკითხვა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატებს

1. როგორ ფიქრობთ, ვის აირჩევენ პრეზიდენტად?

— უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ხმების დათვლის საფუძველზე მიღებული დასკვნის გადასინჯვისა და მისი ბათილად ცნობის უფლებაზე. ასე რომ, ვისაც აირჩევენ პრეზიდენტად, შესაძლოა, ის ვერც გახდეს პრეზიდენტი.

2. რაში ხედავთ თქვენი პროგრამის უპირატესობას?

— არაფერში. პირიქით, მგონია, რომ სხვებს უკეთესი პროგრამები აქვთ. ოღონდ პრეზიდენტად პროგრამას კი არ ირჩევენ, არამედ — კაცს.

3. როგორ უნდა რეაგირებდეს პრეზიდენტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ისეთ კრიტიკაზე, რომელსაც თვითონ არ ეთანხმება?

— დიდსულოვანი ღიმილით: ერთიც ვნახოთ და, რასაც თვითონ არ ეთანხმება, დასათანხმებელი აღმოჩნდეს?

4. როგორ ფიქრობთ, საჭიროა თუ არა რეგულარულად ქვეყნდებოდეს მონაცემები პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე რეგულარულად შუქდებოდეს პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრთა პირადი ცხოვრება? თვლით თუ არა საჭიროდ ყოველწლიურად ქვეყნდებოდეს პრეზიდენტის საოჯახო ბიუჯეტი?

— უნდა ქვეყნდებოდეს პრეზიდენტის ფსიქიატრული შემონმების მონაცემები. რაც შეეხება პრეზიდენტისა და, განსაკუთრებით, მისი ოჯახის გუნება-განწყობილების შესახებ მონაცემებს, ამის გასაცნობად საკმარისია გამოვაქვეყნოთ პრეზიდენტის საოჯახო ბიუჯეტი.

5. დავუშვათ, პრეზიდენტის რომელიმე ახლობელმა ჩაიდინა კანონსაწინააღმდეგო მოქმედება. არ არის გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაში მოიძებნებიან თანამდებობის პირები, რომლებიც შეეცდებიან პრეზიდენტის გულის მოსაგებად დაუმალონ საზოგადოებას ეს ფაქტი. როგო-

რი იქნება თქვენი, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრეზიდენტის, მოქმედება?

— სამართლებრივი, ოღონდ ადამიანური.

6. მიუხედავად ქართველი ქალის მაღალი პოლიტიკური აქტიურობისა, როგორ ფიქრობთ, რატომ არც ერთი მათგანი არ იყრის კენჭს პრეზიდენტის არჩევნებში?

— იყრიან, ოღონდ ფარულად, უფრო სწორად, შეფარვით.

7. რომელია თქვენი საყვარელი კერძი და იქნება თუ არა იგი ხელმისაწვდომი ყველა მოქალაქისათვის თქვენი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში?

— კერძების დაყოფა საყვარელ და არასაყვარელ კერძებად დღესდღეობით ისეთი ფუფუნებაა, რომლის უფლებასაც თავს საქართველოს პრეზიდენტიც კი ვერ მისცემს.

8. როგორ თვლით, თუ გახდებით პრეზიდენტი, შეიცვლება თქვენი ჰობი? და თუ საიდუმლო არ არის, რა არის თქვენი ჰობი?

— არაფერი შეიცვლება, რადგან ჩემი ჰობი — კითხვა, ამავე დროს ჩემი ძირითადი საქმიანობის ნაწილიც გახლავთ.

9. და მაინც, გადაწყვიტეთ თუ არა არჩევნების დღეს რომელ ფეხზე ადგეთ?

— საწოლთა განლაგება (თუ, ცხადია, შინ მომინია ღამის გათევა) მხოლოდ მარჯვენა ფეხზე ადგომის საშუალებას იძლევა. სამაგიეროდ, მეუღლე დგება მუდამ მარცხენა ფეხზე.

1997 წ.

არ მოხდეს მეორე „ბაზალეთი“

სამი შეკითხვა ეროვნული კონგრესის წევრებს

1. შეძლებს თუ არა ეროვნული კონგრესი, რომ გახდეს რეალური პოლიტიკური ძალა საქართველოში?

2. თქვენი აზრი საბჭოთა საოკუპაციო ჯარის მიერ საქართველოს დატოვების მექანიზმის შესახებ.

3. თქვენი პროგნოზი უახლოეს მომავალში საქართველოში პოლიტიკური მოვლენების განვითარების შესახებ.

1. ჩემი აზრით, ეროვნული კონგრესი უკვე რეალურ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს მიუხედავად გარკვეული ძალების მცდელობისა, რომ კონგრესს სახელი გაუტეხონ და არარსებული ცოდვები აპკიდონ. მაგრამ ეს „მღვრიე სიტუაცია", ასე მგონია, დაიწმინდება; რაც დრო გავა, ხალხი მით უფრო მიხვდება ეროვნული კონგრესის აუცილებლობას; ხოლო შემდგომ კონგრესი თუ რა პოლიტიკურ ძალად იქცევა, ეს ბევრად იქნება დამოკიდებული, ერთი მხრივ, თვით კონგრესის მუშაობაზე, მეორე მხრივ კი — საზოგადოებაზე: იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხალხის პოლიტიკური მომზადების დონე, აქტიურობა, ალბათ კიდევ უფრო გაიზრდება და შემდეგ, უკვე ფართო საზოგადოებასთან მჭიდრო კონტაქტითა და მასზე დაყრდნობით, ეროვნული კონგრესი მოახერხებს თავისი დიდი მისიის აღსრულებას — იყოს ერთგვარი კოორდინატორი ეროვნული მოძრაობისა და დაიცვას საქართველოს ინტერესები ყველგან და ყველაფერში.

2. ეს მექანიზმი, რომ იტყვიან, დეტალურად არის დასამუშავებელი. ხალხს ისეთი წარმოდგენა აქვს, თითქოს ეროვნული კონგრესი მოითხოვდეს, რომ საოკუპაციო ჯარმა დღესვე დატოვოს საქართველო. ასეთი, მეტი რომ არა ვთქვათ, გულუბრყვილო მე კონგრესში არავინ მეგულება; სხვაა უკვე ახლავე დეოკუპაციისათვის პოლიტიკური საფუძვლის მომზადება და სხვაა — დროული თვალსაზრისით — თვით ჯარების გაყვანის პროცესი, მისი დრო და პირობები. ჯარების გაყვანას სჭირდება დიდი და საფუძვლიანი მომზადება. აქედან გამომდინარე, დეოკუპაციის საკითხი ვერ გადაწყდება ვერც დღეს და, ვაი რომ, ვერც ხვალ. როდესაც საბჭოთა ჯარი გამოდის თუნდაც რომელიმე სუვერენული სახელმწიფოდან, ამასაც კი რამდენიმე წელი სჭირდება; დგება საკითხი ბაზების დემონტაჟისა, დანადგარების გადატანისა და სხვა. მაგრამ ეს ყველაფერი, რომ იტყვიან, პრობლემის ტექნიკური მხარეა. მთავარი კი, ცხადია, მისი პოლიტიკური გადაწყვეტა გახლავთ — შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე აქტებსა და დოკუმენტაციაზე მუშაობა მათი შემდგომი რატიფიკაციისათვის. აი, ამისათვის კი უკვე დღეიდან უნდა იმუშაონ შესაბამისმა პოლიტიკურმა ძალებმა და სტრუქტურებმა, მათ შორის უზენაესმა საბჭომაც და ეროვნულმა კონგრესმაც.

3. უზენაესმა საბჭომ ზოგი ისეთი ნაბიჯი გადადგა, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი სკეპტიკურად განაწყო ხვალინდელი დღისადმი: ვგულისხმობ ერთგვარ პოლიტიკურ „ზიგზაგებს", სიტყვისა და საქმის დაცილებას, ვოლუნტარიზმს საკადრო პოლიტიკაში... ზოგნი კიდევ უფრო პირქუშ სურათს ხატავენ ხვალინდელი დღისა — დაიწყებაო (თუ უკვე არ დაწყებულა!) ანგარიშსწორება პოლიტიკურ ოპოზიციასთან, ე.ი. მოსალოდნელიაო რეპრესიები და ა.შ. რა შეიძლება ამაზე ითქვას? ალბათ გულუბრყვილო ოპტი-

მისტი გამოვჩნდები თქვენს თვალში, მაგრამ მაინც ასე მწამს — ქართველ ხალხს რეპრესიებით ვერანაირი ხელისუფლება ვერ დაიყენებს გვერდით: სწორედ ხელისუფლებისათვის იქნება დამღუპველი დემოკრატიული თანაცხოვრების, ჯერ კიდევ ჩვენთვის დაუგემოვნებელი, წესის შეზღუდვა. თუ ეს შეზღუდვა მოხდა, მაშინ ნებისმიერი ხელისუფლება ისევე გაინირება, როგორც გაინირა კომუნისტური დიქტატურა. ცხადია, თანაცხოვრების დემოკრატიული წესი არ უდრის ანარქიას. რა თქმა უნდა, აუცილებელია წინდახედულება, სიმშვიდე და ჰარმონია — უწინარეს ყოვლისა, შინაგანი, პიროვნული, რაც გარეგნულ წესრიგსა და კანონიერებას დაგვიმყარებს. მაგრამ წესრიგისა და კანონიერების მიზეზებით ხალხს შეუზღუდო დემოკრატიული თავისუფლება, არ გააჭაჭანო საწინააღმდეგო აზრი თუ ინფორმაცია, პოლიტიკურ ოპოზიციას შეუკვეცო პრესისა და ტელევიზიის საშუალებანი — ეს დღევანდელ საქართველოში პოლიტიკური „ხარაკირის" ტოლფასი აქტი მგონია.

მოკლედ, ოცდაჩვიდმეტი წელი საქართველოში ვერ განმეორდება... ჩუმ-ჩუმად, თითო-ოროლად ან ათობით, თუნდაც ასობით ინტელექტუალის „გამოხშირვა" ხელისუფლებისგან, ჩემი აზრით, ვეღარ მოხდება. მაგრამ შეიძლება მოხდეს უარესი — ერთჯერადი პოლიტიკური კატასტროფა, მოხდეს მეორე „ბაზალეთი" ან „შადიმანობა" — შინაომი ან ღალატი, რის თავიდან ასაცილებლად ყველამ უნდა ხელი გამოვიღოთ — კონგრესმაც და უზენაესმა საბჭომაც, მთელმა ქართველობამ და თითოეულმა ქართველმა, მოკლედ, სრულიად საქართველომ.

„ახალი ძალა", N 1, 1991

მთავარია, ზნეობრივად არ დამარცხდე

— ბატონო თამაზ, მოგეხსენებათ, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებულ კანდიდატებს ვაძლევთ საშუალებას გაგვიზიარონ თავიანთი შთაბეჭდილებანი ამ არჩევნებზე... დავიწყოთ ტრადიციულად, ჩვენებურად — როგორ ბრძანდებით?

— მეც ტრადიციულად გიპასუხებთ: არა მიშავს, ვცოცხლობთ, მაგრამ თქვენცა და მკითხველსაც, ალბათ, ამ კითხვის ქვეტექსტზე პასუხი უფრო გაინტერესებთ, თუ როგორ ვგრძნობ თავს დამარცხებულის როლში. ამაზეც მოგახსენებთ: მოგება და წაგება, გამარჯვება და დამარცხება ძმები არიანო, ამგვარი მოარული თქმით ვერც თქვენ დაგაკმაყოფილებთ და თავსაც ვერ

მოვიტყუებ; პოლიტიკაში ხომ ყველაფერს სწორედ მოგება-წაგება წყვეტს. თუმცა პოლიტიკაშივე ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა იმასაც, ვინ როგორ გამოიყენებს გამარჯვებას და, თქვენ წარმოიდგინეთ, დამარცხებასაც... და ერთიც: პოლიტიკურად დავმარცხდი, მაგრამ ზნეობრივად თავი არამც და არამც არ მიმაჩნია დამარცხებულად; პოლიტიკური გამარჯვება კი ყოველთვის როდი ნიშნავს ზნეობრივს. თუმცა ამით არც იმას ვამტკიცებ, ვინც პოლიტიკურად გაიმარჯვა, იგი ზნეობრივად დამარცხდა-მეთქი; ასეც მომხდარა, რომ რეალურად გამარჯვებულიცა და დამარცხებულიც სწორედ ზნეობრივი თვალსაზრისით პირნათელნი ანუ გამარჯვებულნი წარმდგარან უზენაესის წინაშე... სხვათა შორის, შეიძლება პირუკუც მოხდეს — გამარჯვებულიცა და დამარცხებულიც პირშერცხვენილები წარუდგნენ უფალს.

მოკლედ, კიდევ ერთი ასეთი დამარცხებაც და, შესაძლოა, გავიმარჯვო კიდეც... ვხუმრობ, ცხადია...

— ...და მაინც, რა მიგაჩნიათ ამ არჩევნებში თქვენს ზნეობრივ გამარჯვებად?

— მე არ მითქვამს, ზნეობრივად გავიმარჯვე-მეთქი. მე მოგახსენეთ, რომ ზნეობრივად არ დავმარცხებულვარ. ჩემი მიზანიცა და ამ მიზნის მისაღწევი საშუალებანიც ამ არჩევნებში ზნეობრივი გახლდათ...

— დავიწყოთ მიზნით — პრეზიდენტობით... შეგვინდეთ პირდაპირობა, მაგრამ რისი იმედით, რატომ ჩაებით საპრეზიდენტო ბრძოლაში?

— ცხადია, არა იმიტომ, რომ პრეზიდენტად გახდომის იმედი მქონდა. მაგრამ არის სიტუაციები, როცა უნდა იბრძოლო, თუნდაც ეს ბრძოლა იმთავითვე წაგებული იყოს. არც იმისთვის მიბრძოლია, რომ სხვისთვის — კონკრეტული პიროვნებისთვის — მევნო: მე პრეზიდენტობისთვის კი არ ვიბრძოდი, პრეზიდენტობას ვებრძოდი. ზოგჯერ ასეთ, მეტი რომ არა ვთქვათ, ახირებულ კითხვასაც მისვამენ: რატომ წამოაყენეთ თქვენი კანდიდატურა პრეზიდენტობის კანდიდატად, დავუშვათ და, აგვერჩიეთ, მერე რაღას აპირებდითო? ჯერ ერთი, პრეზიდენტის კანდიდატად არავინ აყენებს თავის კანდიდატურას, კანდიდატად სხვა გადგენს, პოლიტიკური პარტია ან კერძო პირთა კრებული, თანაც რეგისტრაციას ორსავე შემთხვევაში სჭირდება მხარდამჭერთა ათიათასიანი ხელმოწერითა და პასპორტით დადასტურებული სია. პრეზიდენტობის კანდიდატად მე, მაგალითად, „თავისუფალ დემოკრატთა კავშირმა“ წარმადგინა, თუმცა ამ კავშირის წევრი (და არც სხვა რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციისა) არ გახლავართ.

რაც შეეხება არჩევას — ჩემი აზრით, პოლიტიკოსმა, ექიმისა არ იყოს, პირველ ყოვლისა, ჰიპოკრატეს ცნობილი შეგონებით უნდა იხელმძღვანელოს — არ ავნო! მართლაცდა, რომ მომხდარიყო სასწაული და ავერჩიეთ, ამის იმედი მქონდა, ამას ვაპირებდი — არ მევნო. და, თუ ეს მინიმალური მოთხოვნაა ექიმისათვის, პოლიტიკოსის მიერ ამ პირობის შესრულება მეტს

ნიშნავს: არ ავნო ქვეყანას, ეს დღევანდელ სიტუაციაში უკვე დიდი საქმე მგონია.

ცხადია, საკუთარი კანდიდატურის მოხსნა თავიდანვე შემეძლო; და მერეც — წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც...

— მართლაც, ბევრს შეექმნა თქვენი პირველი სატელევიზიო გამოსვლიდან ის შთაბეჭდილება, რომ თქვენ ფინიშზე მოხსნიდით თქვენს კანდიდატურას.

— თუ არჩევნები შინააშლილობის კერად იქცეოდა, რითაც ისარგებლებდა გარეშე ძალა დესტაბილიზაციის შესაქმნელად, მე ჩემს მოქალაქეობრივ მოვალეობად მივიჩნევდი არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმას. საბედნიეროდ, აქამდე საქმე არ მისულა, თუმცა მთელი საარჩევნო კამპანია უაღრესად მძიმე ზნეობრივ ატმოსფეროში წარიმართა.

— ზემოთ ბრძანეთ, პრეზიდენტობისათვის ბრძოლით პრეზიდენტობას ვებრძოდიო... რამდენად რეალური იყო ეს?

— ალბათ, ნაკლებად რეალური... უფრო ნორმალურ ვითარებაშიც კი ჩემი საპრეზიდენტო მიზანდასახულება ანუ სტრატეგია წამგებიანი გახლდათ: თავიდანვე განვაცხადე, ახლად არჩეულ პრეზიდენტს უნდა ეყოს შინაგანი ძალა საიმისოდ, რომ პრეზიდენტობის ამ ახალი კანონით მინიჭებულ ფაქტობრივად შეუზღუდავ უფლებებზე უარი თვითონ თქვას-მეთქი. ამ აზრით მოგახსენეთ წელან, მე პრეზიდენტობისათვის არ ვიბრძოდი, მე პრეზიდენტობას ვებრძოდი-მეთქი. უფრო სწორად, ვიბრძოდი პრეზიდენტობისათვის, რათა არჩევის შემთხვევაში შევბრძოლებოდი პრეზიდენტობის იმგვარ ინსტიტუტს, როგორიც ჩვენში შეიქმნა. ეს კი, ვაღიარებ, ამომრჩევლისათვის ძნელად აღსაქმელი და კიდევ უფრო ძნელად გასაზიარებელი პოზიციაა: თავად განსაჯეთ, რატომ უნდა მისცეს პრეზიდენტობაზე ხმა იმას, ვინც პრეზიდენტობის გაუქმებას აპირებს? ასე რომ, მე არც იმ რვაათას ხუთას ხმას ველოდი, ოფიციალური ცნობის მიხედვით ჩემთვის რომ მოუციათ...

— მართლაცდა, ასეთ შემთხვევაში განა უფრო ლოგიკური არ იქნებოდა, არჩევნებისათვის ბოიკოტი გამოგეცხადებინათ?

— ცხადია, მე რომ რომელიმე პარტიის თავკაცი ან თუნდაც წევრი ვყოფილიყავი, ვეცდებოდი, რომ ამ პოლიტიკურ ორგანიზაციას პრეზიდენტობის ამნაირი, ხაზს ვუსვამ, ამნაირი ინსტიტუტის შემოღების წინააღმდეგ ებრძოლა კონსტიტუციურად ნებადართული ყველა საშუალებით. მათ შორის, თუნდაც, არჩევნებისადმი ბოიკოტითაც. სხვათა შორის, სწორედ ასე მოიქცა რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაცია. ინდივიდუალური უარის თქმა არჩევნებში მონაწილეობაზე კი, ჩემი აზრით, ნაკლებად პერსპექტიული ჩანდა, არჩევნები მაინც ჩატარდებოდა; ასეთ სიტუაციაში შეიძლებოდა მეტი რეზონანსი ჰქონოდა თვითონ პრეზიდენტობის კანდიდატის მკვეთ-

რად უარყოფით დამოკიდებულებას პრეზიდენტობის (უფრო სწორად, შეუზღუდავი ერთმმართველობის, მეტიც ითქმის — ლამის თვითმპყრობელობის) ამგვარი ინსტიტუტის შემოღებაზე. საარჩევნო კამპანიის დროს გაირკვა, რომ მსგავსი დამოკიდებულება პრეზიდენტობისადმი ზოგ სხვა კანდიდატსაც ჰქონია.

— პრეზიდენტობისადმი თუ პრეზიდენტისადმი?

— ცხადია, პრეზიდენტის პიროვნულ თვისებებზე ბევრად არის დამოკიდებული თვით ამ პრეზიდენტობის ინსტიტუტის ამოქმედების ეფექტი. მაგალითისათვის შორს რომ არ წავიდეთ, სტალინს კონსტიტუციურად ნაკლები უფლება ჰქონდა, მაგრამ რეალურად — აბსოლუტურად შეუზღუდავი. და მაინც, თვისებრივად განსხვავებული ვითარებაა, როცა კონსტიტუციურად კანონდება მმართველობის დიქტატორული — დიახ, მე არ შემეშინდება ხმარება ამ სიტყვისა, სწორედაც დიქტატორული — ფორმა. კაცს, ცხადია, შეუძლია „გააფუჭოს" ნებისმიერი სახელისუფლო ადგილი, მაგრამ ამ შემთხვევაში ასეთი შეუზღუდავი სახელისუფლო ადგილი „გააფუჭებს" ნებისმიერ კაცს. ისედაც ლამის დაუძლეველია ძალაუფლების საცდური (გავიხსენოთ პოლ ვალერის ცნობილი მაქსიმა: „ძალაუფლება ბოროტად გამოყენების გარეშე მთელ თავის მომხიბვლელობას კარგავს") და, თუ ამ საცდურს კონსტიტუციური საფუძველიც შევუქმენით, „ვაი ჩვენდა..."

— და თქვენ გამორიცხავთ იმ შესაძლებლობას, რომ ამ, თქვენი თქმით, „გამაფუჭებელ" სახელისუფლო ადგილზე მოვიდა ან მოვიდეს კაცი, რომელიც თავის შეუზღუდავ ძალაუფლებას მხოლოდ და მხოლოდ ერის სასიკეთოდ გამოიყენებს?

— არ გამოვრიცხავ. გამონაკლისები იცის ისტორიამ. ტაციტუსი, დიდი რომაელი ისტორიკოსი, წერს, რომ ვესპასიანე იყო ერთადერთი იმპერატორი რომში, რომელიც ძალაუფლებამ გააუკეთესა. ვიმეორებ — ერთადერთი; სხვანი ყველანი იმპერატორობამ წაახდინა. დავრჩეთ ქართველები ამგვარი გამონაკლისის იმედად? და ერთსაც დავძენდი: მე იმდენად თვით დიქტატორობა ან ტირანიაც კი არ მაშინებს, რამდენადაც მათი შენიღბვის მცდელობა დემოკრატიული „ფერ-უმარილით", ანუ — დიქტატურის დემოკრატიად გასაღება. დიქტატურაც, ოხლოკრატიაც ანუ ბრბოს მმართველობა და ტირანიაც პირადად ჩემთვის (და ალბათ — სხვებისათვისაც) პიროვნულად არის მიუღებელი, თორემ ისინი ობიექტურად არსებული ფორმები გახლავთ მმართველობისა... მოგვწონს, არ მოგვწონს — ეს საკითხის ერთი მხარეა, მაგრამ ესა თუ ის ხალხი და ქვეყანა ზოგჯერ მმართველობის ამგვარი ფორმებითაც იმართებოდა და ზოგან ახლაც იმართვის; ასე რომ, ვინც ამტკიცებს, მმართველობის დემოკრატიული ფორმით საქართველოს სახელმწიფოებრიობას ვერ აღვიდგენთ და მხოლოდ „ძლიერი ხელით" (დიქტატურითო, ამის თქმას მაინც ერიდებიან!) მიიღწევა სანუკველი მიზანიო,

ისინი, შეიძლება, ცდებოდნენ, მაგრამ უფრო გულწრფელნი არიან, ვიდრე ისინი, ვინც დღევანდელ საქართველოს ლამის დემოკრატიულობის ეტალონად სახავენ.

— ყველაფერი შეფარდებითია; ისე, პროლეტარიატის დიქტატურასთან შედარებით კაცს ასეთი აზრიც შეიძლება გაუჩნდეს...

— ბევრი კი თქვენგან განსხვავებით ფიქრობს, რომ ყველაფერი არ არის შეფარდებითი, მათ შორის — დემოკრატიაც; დემოკრატიაც, ორსულობისა არ იყოს, ან არის, ან არ არის. ცხადია, არავითარი დემოკრატია, ყბადაღებული „დემოკრატიული ცენტრალიზმის" მეთოდის მომარჯვების მიუხედავად, საბჭოთა კავშირში არ ყოფილა, მაგრამ ერთი კი იყო — დიქტატურას დიქტატურა ერქვა. თუმცა აქაც ფარისეველურად ააფარეს „დიქტატურის" სარცხვინელს „პროლეტარიატის" ლელვის ფოთოლი, აქაოდა მასის, მშრომელი და უპოვარი მასის, დიქტატურააო... არადა, არც მასის, არც კლასის, არც ამ კლასის პარტიის დიქტატურა არ ყოფილა — იყო ლენინის, სტალინის, ხრუშჩოვის და ა.შ. დიქტატურა გორბაჩოვის ჩათვლით, თუ, ცხადია, ამ უკანასკნელმა თვითონ არ აიღო ხელი დიქტატორობაზე (ამგვარი უიშვიათესი გამონაკლისებიც იცის ისტორიამ). მეორეც არის და, რაღა ამ „წითელი დიქტატურის" ხანას ვიღებთ შესადარებლად და ორიენტირად? ასე ხომ ნინა ხელისუფლებამ იცოდა — ყველაზე გაუბედურებულ 1913 წელს აიღებდა ხოლმე შესადარებლად, როცა ჩვენი სამეურნეო წარმატებების წარმოჩენა უნდოდა. რა ვიცი, ვითომ დიდად თავმოსაწონებელია ჩვენთვის, თუ ხელისუფლებისათვის მიუღებელ კაცს ძველებურად კედელს კი არ მივაყენებთ და ვხვრეტთ, არამედ საჯაროდ პრესითა და ტელევიზიით ცილისწამების ლაფში ამოვთხვრით, ხალხს წავუსისიანებთ, სამსახურიდან გავაგდებთ და ზოგჯერ „ვირის აბანოშიც" ვუკრავთ თავს?

მოკლედ, საბჭოთა ხელისუფლების დროს რომ დემოკრატია არ გვქონდა და ამას ვითმენდით, ეს არც ლოგიკურ და არც ზნეობრივ არგუმენტად არ გამოგვადგება დღევანდელი დემოკრატიული შეზღუდვების გასამართლებლად. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი არა, ხანდახან ისეთი მკრეხელური აზრიც კი გამიელვებს, რომ დემოკრატია არც არასოდეს გვქონია...

— ჰოდა, რაც არასოდეს გვქონია, ბატონო თამაზ, ის, იქნებ, არც შეეფერებოდეს ჩვენს ბუნებას, ხასიათს, ჩვენი თანაცხოვრების ისტორიულად ჩამოყალიბებულ წესს?

— გთხოვთ, სიტყვაზე ნუ დამიჭერთ — მე მოგახსენეთ, ასეთი აზრიც გამკრავს-მეთქი... არანაკლები წარმატებით შეიძლება, ალბათ, საპირისპირო აზრის მტკიცებაც — ჩვენ გენეტიკურად ვართ მიდრეკილნი დემოკრატიისაკენ. ამ თვალსაზრისითაც არის შესასწავლი საქართველოში მარადიულად მოქმედი ცენტრიდანული ტენდენციები, ჩვეულებრივ, ქართველთა

თავკერძა ბუნების გამოვლინებად რომ მიიჩნევა. „ყველა აზნაურს მეფობა უნდაო", ამ აზრში, იქნებ, იმის ამოკითხვაც შეიძლებოდეს, რომ ქართველი შინაგანად ვერ ეგუება სხვის, თუნდაც უზენაესი ხელისუფალის, პიროვნულ დიქტატს... გთხოვთ, თქვენცა და მკითხველმაც შემინდოთ, ასეთ ღრმა საკითხზე ამგვარი სასხვათაშორისო მსჯელობისათვის...

— თქვენ პროფესიონალი ლიტერატორი და ენათმეცნიერი ბრძანდებით, საზოგადოება კარგად გიცნობთ თქვენი მრავალწლიანი ტელეკურსებითაც ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ამ ბოლო ხანებში კი ეკრანზე ვეღარ გხედავთ. მიზეზი?

— დიახ, ჩემი ტელელექციები შეწყდა... არავითარი პრეტენზია არა მაქვს და არც შეიძლება მქონდეს ტელე-რადიოს ახალი ხელმძღვანელობის მიმართ... ჯერ იყო და — ელექტროენერგია შემოგვაკლდა. მეორე და, ალბათ, უფრო მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ საერთოდ შეწყდა ტელევიზიით ყველა სახის სასწავლო ლექციების კითხვა. და თუ რაიმე სხვა, პიროვნულ ანგარიშსწორებაზე დაფუძნებული, მიზეზიც არსებობს, ეს ალბათ, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში გაირკვევა.

— დაბეჯითებით ამბობენ, რომ თქვენ აგირჩევენ ეროვნული კონგრესის თავმჯდომარედ.

— საქმე როცა არჩევნებზე მიდგება, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მე არ ამირჩევენ...

— ხუმრობით გინდათ კითხვაზე პასუხს თავი აარიდოთ, თუ...

— კი, ბატონო, სერიოზულად მოგახსენებთ: კონგრესის უკანასკნელ სესიაზე დაისვა საკითხი კონგრესის თავმჯდომარის პოსტის შემოღებისა. გია ჭანტურიამ იქვე მართლაც ნამოაყენა ჩემი კანდიდატურა კონგრესის თავმჯდომარედ. უნდა მოგახსენოთ, რომ მე ჯერ კიდევ კონგრესის I სესიაზე მოვხსენი ჩემი კანდიდატურა კონგრესის პრეზიდიუმის წევრობაზე. ახლაც იგივე გავაკეთე, აცილება მივეცი ჩემს კანდიდატურას, ვინაიდან მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ კონგრესს იმ ძალებმა უნდა უხელმძღვანელოს, ვინც ეროვნული კონგრესის იდეა დაამუშავა და მერე, ნაწილობრივ მაინც, პრაქტიკულად შეასხა ხორცი.

— გამოითქვა მოსაზრება — იქნებ, არცთუ უსაფუძვლო — რომ ამომრჩევლები პრეზიდენტის მხარდასაჭერად იმანაც განაწყო, რომ ხუთივე კანდიდატმა კრიტიკის ობიექტად მხოლოდ ზვიად გამსახურდია აირჩიაო. ქართველი კი, ხუთი ერთზეო, როცა დაინახავს, ცხადია, იმ ერთის, დაჩაგრულის, მხარეს დადგება...

— ეს ვერსია — „ხუთი ერთზე" — დაჟინებით მუშავდება ოფიციოზის მიერ. არადა, არავითარი ხუთი ერთზე არ ყოფილა. ჯერ ერთი, ბატონი ჯემალ მიქელაძე არ გამოსულა პრეზიდენტის კრიტიკით, ხოლო მისი ერთ-ერთი ნდობით აღჭურვილი პირის, გრიშა ონიანის, გამოსვლის შემდეგ ბევრი კით-

ხულობდა, კომუნისტების ნდობით აღჭურვილ პირს მოვუსმინეთ თუ — მრგვალი მაგიდისასო... ხუთი ერთზეო — ბედის ირონია სწორედ ეგ გახლავთ, თორემ თანასწორობა საარჩევნო კამპანიაში, ცხადია, არ ყოფილა: იმ ერთს მიათვალეთ მთელი ქართული პრესა, ტელევიზია, რადიო, ხელისუფლების ყველა რგოლი, უზენაესი საბჭოთი და პრეფექტურით დაწყებული და „მეტელეფონე ქალებით" დამთავრებული. მერწმუნეთ, ამას დამარცხებულის ბოღმა არ მალაპარაკებს, მალაპარაკებს გულდაწყვეტა, ის გრძნობა, რომელიც კარგად გამოიხატება ერთი ჩვენებური ანდაზით — ჩემი შენ გითხარიო და გული მოგიკალიო.

— გულდასაწყვეტი, ალბათ, მართლაც გქონდათ, მაგრამ ზოგი უმართებულო ბრალდება ხომ ოფიციალურად იქნა უარყოფილი; პირადად თქვენ საქართველოს ტელევიზიამ, თუ არ ვცდები, ორჯერ მოგიხადათ ბოდიში ეკრანიდან...

— კი, ბატონო, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ამით განა რა შეიცვალა პრინციპულად? ცილისმწამებლისათვის ხომ სიცრუის თესლის ხალხში გადაგდებაა მთავარი. მან იცის, ბრალდება კიდეც რომ გაუბათილო, ეს მაინც მის წისქვილზე ასხამს წყალს: ჯერ ერთი, თავისმმართლებლის ფსიქოლოგიურად წამგებიან პოზიციაში გაყენებს და, მეორეც, ბრალდების საჯარო გაბათილებაც კი მაინც ამ ჭორისა და სიცრუის შემდგომ გავრცელება-ესკალაციას უწყობს ხელს. რა ვქნათ ახლა ჩვენ, პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატებმა, ვამტკიცოთ, რომ ვიგინდარები და ერის მოღალატეები არა ვართ? ამტკიცოს საინგილოზე გადაგებულმა კაცმა, სწორედაც უანგარობის ეტალონმა, რომ ის ინგილოთა გაჭირვებაზე „ხელს არ ითბობდა?" მართლაცდა, პოეტის თქმისა არ იყოს, „ბნელა, ღმერთი აღარ არის"? ან მე რა უნდა მექნა, მემტკიცებინა, რომ ქართული ენის მტერი არა ვარ? თექვსმეტი წელია თითქმის ყოველკვირა, რომ იტყვიან, ხელისგულზე ვუზივარ ტელევიზორიან საქართველოს, საკუთარი თვალით მხედავთ და საკუთარი ყურით მისმენთ, რასაც ქართულ სიტყვიერებაზე და ქართულ ენაზე ვქადაგებ და, ქართული ენის ერთგულებაც თუ ვინმესთვის დასამტკიცებელი გამიხდა, მართლაც არ ვყოფილვარ ტელეეკრანს სათოფეზე გასაკარებელი. თუმცა, რა მიკვირს: ეტყობა, ზოგჯერ — მთელი ერიო, ვერ ვიტყვი, მაგრამ — მისი ერთი ნაწილი იმდენად გულმავიწყი ხდება, რომ ეკრანზე საკუთარი თვალით ხილული და საკუთარი ყურით მოსმენილიც აღარ ახსოვს... უფრო სწორად, რაც არ უნდა, არ ახსოვს.

ერთსაც დავძენდი: არა მარტო ცილისწამებისათვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენება ყოველად დაუშვებელია ლიქნისთვისაც... არადა, როგორი ქვეშევრდომული სული ტრიალებს ჩვენს ოფიციოზში! წინათ თუ პარტიასა და გენერალურ მდივანს უკმევდნენ გუნდრუკს, ახლა პრეზიდენტსა და პარლამენტზე აღავლენს ძირითადად იგივე ხალხი ხოტ-

ბას არანაკლები ექსტაზით. არანაკლებითო? ცოცხალი კაცი, ხელისუფლების სათავეში მდგომი, მთელი ქვეყნისთვის რომ გაეიგივებინოთ, ასეთი რამ ყბადაღებული პიროვნების კულტის დროსაც არ უკისრიათ. მაიაკოვსკიმ კი ბრძანა, ლენინი და პარტია ერთნი არიანო, მაგრამ — პარტიაო და არა — რუსეთი, თანაც ეს არ თქმულა ლენინის სიცოცხლეში. „უძრაობის ხანაშიც" — მზე ჩრდილოეთიდან კი ამოგვიყვანეს, მაგრამ ინდივიდუალური საცხოვრებლიდან („ეეკ"-ის ბინიდან თუ კერძო „კოლხური კოშკიდან") არ ამოუყვანიათ.

ილია ბრძანებდა: „ბრმად თაყვანისცემა რისიმე თუ ვისიმე — კერპმსახურება და ყოველს მონობაზე უარესი და უკადრისი მონობაა". ბრმა თაყვანისცემა თუ მონობაზე უარესი ყოფილა, რაღა ითქმის ანგარიშიან, უფრო სწორად, ანგარებიან თაყვანისცემაზე? არადა, არც ასეთი ბრმანი არიან ახალი დროების კერპმსახურნი... გავიხსენოთ, რა შესაშური ოპერატიულობით გადაანყვეს სიმები თავიანთ ქნარებზე, როგორი დაუნდობელი სისასტიკით მიაყარეს ქვა და გუნდა ფეხგადაბრუნებულ თავიანთ ძველ პატრონებს.

ასე უქნიათ წინათ, ამას შვრებიან ახლა და ამასვე იზამენ სამერმისოდაც.

— პრეზიდენტობის კანდიდატები ეკრანიდან საკმაოდ გულუხვნი ჩანდით კრიტიკაში და ერთობ ხელმოჭერილნი — ერთმანეთის ღირსებათა წარმოჩენაში. ეს, ალბათ, საარჩევნო კამპანიის სპეციფიკითაც აიხსნება. არჩევნები დამთავრდა, აირჩა საქართველოს პრეზიდენტი. გვაინტერესებს თქვენი აზრი მის ღირსებებზე. და საერთოდ, რა საპრეზიდენტო თვისებებით არის იგი გამორჩეული?

— ყოველ ადამიანს აქვს უამრავი თვისება, რომლებიც ღირსება-ნაკლის ჩვენეულ წარმოდგენაში ნაწილდება; მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თანაც სუბიექტივიზმისაგან არავინა ვართ დაზღვეული.

— სუბიექტური რომ იქნება, სწორედ ამიტომ გვაინტერესებს თქვენი აზრი. გამსახურდიას თუნდაც სამი უმთავრესი საპრეზიდენტო თვისება დაგვისახელეთ.

— მიზანსწრაფულობა, ინტერესების ფართო წრე... და მესამე, იქნებ, უმთავრესიც, პრეზიდენტობისათვის: ვნება წინამძღოლობისა, პირველობისა. სამივე ეს თვისება აუცილებელია ძლიერი პრეზიდენტისათვის, აუცილებელი, ოღონდ — არა საკმარისი.

— რას უსურვებდით არჩევნებში გამარჯვებულს?

— ჩემი სურვილი გამარჯვებულისადმი, სულ ერთია, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, უკვე გამოვთქვი არჩევნების წინა დღეს ტელევიზიით: ახლად არჩეულ პრეზიდენტს უნდა გამოეცხადებინა დიდი შერიგება საქართველოში — შერიგება ერთა და ეროვნებათა შორის, შერიგება პარტიათა შორის, შერიგება კერძო კაცთა შორის; და ისიც დავძინე, ვინც დემოკრატიული გზით

საქართველოს ისე წაიყვანს სახელმწიფოებრიობის რეალურად აღდგენისაკენ, რომ არც ერთ გოჯ ქართულ მიწას არ დაკარგავს, მან თავის ლაშქარს ერთ რიგით მეომრად მეც მიმათვალოს-მეთქი.

ამ აზრზე ვდგავარ ახლაც.

— გმადლობთ საუბრისათვის.

ესაუბრა ნოდარ გრიგალაშვილი, „საქართველო", 2.7.1991

ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა

— ხელისუფლება შესაძლოა ხალხმაც დაამხოს და შეთქმულთა ჯგუფმაც... დამხობილი ხელისუფლების მომხრენი 1991-92 ნლის მოვლენებს პუტჩად ნათლავენ. ეთანხმებით თუ არა ასეთ შეფასებას?

— ძველი ხელისუფლების მომხრენი გამსახურდიას რეჟიმის დამხობას მართლაც პუტჩისტების მიერ განხორციელებულ სამხედრო გადატრიალებად მიიჩნევენ — მათ რომ უსმინო, პრეზიდენტს, თურმე, ხალხი იცავდა, სამხედროებს კი იგი ჩამოუგდიათ... მინდა ვიკითხო, თუ ხალხის უწყვეტი მრავალათასიანი მიტინგები და მანიფესტაციები, გაფიცვები, შიმშილობები და სხვა საპროტესტო აქციები სტუდენტთა და პოლიტიკურ პარტიათა მონაწილეობით, თუ არასამხედროთა მიერ იარაღის ხელში აღება და გვარდიის ერთ (რიცხობრივად, სხვათა შორის, ძალიან მცირე) ნაწილთან ერთად ხალხში არაპოპულარული ხელისუფლების დამხობა სამხედრო გადატრიალებაა, მაშინ სახალხო აჯანყებას რაღას ვეძახით? გაიხსენეთ, როგორ ამაოდ მოუწოდებდა „ბუნკერის რადიო-ტელევიზია" ხალხს, პრეზიდენტი დაიცავითო — მასთან მხოლოდ მისი შეიარაღებული ძალები დარჩნენ; მოკლედ, უფრო პირიქითაა — გამსახურდიას სამხედროები იცავდნენ და ხალხმა კი იგი ჩამოაგდო.

— ახლანდელ ხელისუფლებას, კერძოდ შევარდნაძეს, გარეთ უფრო ცნობენ და აფასებენ, ვიდრე შიგნით... რით ახსნით ამას, საშინაო პოლიტიკის სისუსტით თუ — საგარეო პოლიტიკის სიძლიერით?

— ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, ჩვეულებრივ, მისი საშინაო პოლიტიკის ორგანულ გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს, მას უნდა ეყრდნობოდეს. ახლა ჩვენ, ამ თვალსაზრისით, ვგონებ, თავდაყირა ვდგავართ... მაგრამ, რამდენადაც უამრავ სხვა საკითხშიც ამავე დღეში ვართ, თავდაყირა დგომა ლამის ბუნებრივ პოზად გვექცეს — უკვე აღარც გვაწუხებს.

— როგორია რუსეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის როლი საქართველოს პოლიტიკური სტაბილიზაციის საქმეში?

— საქართველოში სიმშვიდის დამყარებას, პირველ ყოვლისა, ჩვენვე, საქართველოს მკვიდრნი, ვუშლით ხელს... ისე, ამ საქმეში ცოტ-ცოტას გარეშე ძალები და ფაქტორებიც „გვეხმარებიან" მეზობლურად...

— ასეთ ვითარებაში დიდ მნიშვნელობას იძენს ორიენტაციის საკითხი. საით უნდა გაჭრას საქართველომ თავისი სარკმელი?

— სომეხს უნატრია — ნეტა გაბრაზებული ქართველის ჭკუა მომცაო. ჩვენ რომ გავბრაზდით, გაბრაზება იმნაირი უნდოდა — ქვეყანა დავაქციეთ, მაგრამ სიბრაზის პროპორციულად ჭკუა რომ მოგვმატებოდეს, ამის ნიშნებს ჯერჯერობით რაღაც ვერ ვამჩნევ. ახლა, იქნებ ვცადოთ და დავმშვიდდეთ — დამშვიდებული ქართველის ჭკუა უფრო გაჭრის, ასე მგონია. სარკმელი კი კაი ხნის წინ გავჭერით დასავლეთისაკენ, მაგრამ მერე ამოგვიქოლეს. „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასაო" — ეს უკვე ძველი, ბრძენი ქართველის ნათქვამია, და ჩვენც ამ შეგონებას უნდა მივსდიოთ. ჩვენი ძველი გზა კი ქრისტიანული დასავლეთისკენ მიდიოდა...

P.S. შემინდეთ, უფალო რედაქტორო, თუ ჩემი პასუხები ჯერ კიდევ გაბრაზებული ქართველის მოსაზრებებსა ჰგავს...

„სარკმელი", 10.11.1993

წინამორბედთა საქმეს ვაგრძელებ

— ბატონო თამაზ, თანამდებობრივად, საქართველოში განათლების საქმეს თქვენ მხოლოდ ახლა ჩაუდექით სათავეში, მაგრამ ფაქტია, თუკი ვინმეს გული შესტკიოდა ჩვენი განათლების ბედსა და მომავალზე, თუკი ამ საშვილიშვილო საქმისთვის ვინმე გარჯილა, მათ შორის თქვენ უკანასკნელი არ ყოფილხართ. ამიტომაც ეჭვიც არ მეპარება, მინისტრობას დიდი ხნის ნაფიქრის ხორცშესხმით იწყებთ.

— ერთია „დისტანციური ფიქრი" და სულ სხვაა, როცა ამა თუ იმ საქმეს უშუალოდ, სამსახურებრივად უკავშირდები. აქ მარტო ზნეობრივად კი არა, იურიდიულადაც ხარ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი. რაც შეეხება „მინისტრული საქმიანობის" დაწყებას, იგი მიადვილდება იმის გამო, რომ მე და ჩემი უშუალო წინამორბედი მინისტრი თანამზრახველები ვართ — მე

იმით ვიწყებ, რითაც მან დაამთავრა... საერთოდაც, უმეტესობა განათლების მინისტრებისა, ჩვენი საკმაოდ განსხვავებული პიროვნული თვისებებისდა მიუხედავად, სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებულ პრინციპულ საკითხებში ერთნაირ პოზიციებზე ვდგავართ. მხოლოდ ქალბატონ გუჩა კვარაცხელიასა და ბატონ კოტე გაბაშვილს არ ვგულისხმობ: მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთდამოკიდებულებასა და სკოლის ზნეობრივ სახეზე მეც, ძირითადად, ისეთივე შეხედულებები მაქვს, როგორიც ბატონ ელიზბარ ჯაველიძესა და ზოგ მის წინამორბედ მინისტრს ჰქონდა. ცხადია, ყოველ მათგანთან ერთნაირი დამოკიდებულება ვერ მექნებოდა, მათ შორის „ნაფიცი" კომუნისტებიც იყვნენ და „ნაფიცი" მრგვალებიც, მაგრამ საქმიან ურთიერთობაში ეს ჩემთვის გადამწყვეტი არ ყოფილა. მაგალითად, ქალბატონ ლია ანდღულაძის პედაგოგიურ შეხედულებებზე ვერაფერს მოგახსენებთ — მე ვერ მოვასწარი მასთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება. მაგრამ პიროვნული მადლიერების გრძნობა კი მის მიმართ მაქვს: იმ მცირე დროის მონაკვეთშიც კი, როდესაც მინისტრის თანამდებობა ეკავა, უმაღლესი ხელისუფლების საამებლად მას შეეძლო ჩემთვის — უფრო სწორად, ჩვენი ჟურნალისთვის, „ბალავერისთვის" — ევნო; სხვათა შორის, ამის ფორმალური საფუძველი ჰქონდა კიდეც — ჟურნალი უსაშველოდ აგვიანებდა გამოსვლას. ქალბატონმა ლიამ ჟურნალის დახურვა არ იკადრა, რამდენადაც, ალბათ, მიიჩნია, რომ თუნდაც დაგვიანებით გამოსული „ბალავერი" ეროვნულ საქმეს აკეთებდა. ასე რომ, მე კარგი წინამორბედები მყავდა და ცარიელ ადგილზე არ მოვსულვარ, არც ველოსიპედის გამოგონებას ვაპირებ... უკვე დაწყებულია ბევრი კარგი საქმე: შეიქმნა და უკვე განიხილება განათლების ახალი კონცეფცია, მუშავდება დებულება და კანონი განათლების შესახებ... იდგმება პრაქტიკული ნაბიჯებიც ამ კონცეფციისათვის ხორცის შესასხმელად. რეალურ სახეს მიიღებს განათლების სისტემის რეორგანიზაცია, მისი მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით უზრუნველყოფა. მოკლედ, ვეცდები, აუცილებელი აკლიმატიზაციის პერიოდი (რომელიც იმდენად მინისტრისთვის კი არ არის ხოლმე მტკივნეული, რამდენადაც — მისი ხელქვეითებისათვის) ადვილად გადავლახო.

— და მაინც, რით დაიწყეთ, როგორი იყო თქვენი „დღე პირველი"?

— ჩემი „დღე პირველი" შაბათი გახლდათ, საღვთო დღე. და მეც გადავწყვიტე, პირველ ყოვლისა, მშობელთა ზრუნვას მოკლებულ ბავშვთა სახლს ვწვეოდი დილომში... და ჩემთვის სასწაულს ჰგავდა, რომ სწორედ იმ დროს ამ ბავშვთა სახლს ესტუმრა საქართველოს სულიერი მამა ილია მეორე, და მეც იმ ობოლ და სიყვარულს დანატრებული ბავშვებივით მივიღე მისი ლოცვა-კურთხევა, რაც, მერწმუნეთ, ასეთ ტვირთს შეჭიდებულს, მათზე არანაკლებ მჭირდებოდა. სხვა დღეებს კი, ჯერჯერობით, სკოლების შემოვლით ვიწყებ. სანამ დირექტორს ჩამოვართმევდე, ხელს რადიატორს შევავ-

ლებ ხოლმე. ჯერჯერობით, სადაც ვიყავი, თანაც ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, გათბობაც დამხვდა და ნესრიგიც. ცხადია, ისიც ვიცი, რომ ბევრ სკოლას ერთიც აკლია და მეორეც.

— წელან განათლების სისტემის რეორგანიზაცია ახსენეთ. ჩემსავით, ალბათ, ბევრს აინტერესებს, კერძოდ, რას აპირებთ ამ მიმართულებით?

— რეორგანიზაცია, პირველ ყოვლისა, სამინისტროს შიდასტრუქტურებს შეეხება. საამისოდ თვითონ აპარატის თანამშრომლები გამოთქვამენ მოსაზრებებს. სამინისტროს ხელმძღვანელობასთან კონსულტაცია-შეთანხმების შემდეგ მათ უთუოდ გავითვალისწინებ. რაც შეეხება საერთოდ საგანმანათლებლო სისტემის მუშაობის, მისი ფუნქციონირების რეორგანიზაციას — ეს კონცეპტუალური საკითხია, განათლების ახალი კონცეფციის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი. განათლების ერთიანი სისტემა, სწავლების ქსელი, რომელიც დამოუკიდებელ სუვერენულ ქართულ სახელმწიფოში უნდა შეიქმნას, ჩვენს ისტორიასთან, ტრადიციებთან, ჩვენს კულტურულ პროფილთან უნდა იყოს მისადაგებული.

— რეორგანიზაციაზე ფიქრი, თავისთავად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრობლემასაც უფრო ნათლად გამოკვეთს...

— სამწუხაროდ, ამ მხრივ საიმედოს დღესაც ბევრს ვერაფერს ვიტყვი. ახლა კაცმა თავმოყვარეობაზე უნდა აიღო ხელი, რომ სკოლის არსებობისათვის აუცილებელი ყოველი კილოვატსაათი ენერგია, ყოველი ლიტრი ბენზინი, ყოველი ტომარა ცემენტი, მოსწავლეთა სასადილოში შესატანი ყოველი კილო ხორცი შაბათის გლახასავით ხელგანვდილმა ჩამოიოხოვო. მაგრამ ჩვენს ახალ კონცეფციაში, ამ თვალსაზრისით, საიმედო მუხლებია. ასე რომ, ახლო მომავალში მთლად სხვისი ხელის შემყურე აღარ ვიქნებით.

— ყველა, ვინც ბატონი თამაზ კვაჭანტირაძის განვლილ საქმიანობას და ცხოვრებისეულ მრწამსს იცნობს, ვფიქრობ, დაიმედებულია, რომ განათლების მომავალზე ფიქრში განსაკუთრებულად ზრუნვამოჭარბებული იქნება ქართული ენის საკითხი.

— აქაც ჩემს საქმიანობას გარკვეული ტრადიციის გაგრძელებად მივიჩნევ. ჩემი წინამორბედები ამ სფეროში ჩემი კოლეგები და თანამზრახველები იყვნენ: ბატონი კოტე გაბაშვილი ჩინებული ენათმეცნიერია, ქართული ენის სემანტიკის მკვლევარი. გუჩა კვარაცხელია არა მხოლოდ შესანიშნავი ლინგვისტი, ქართული ენის სტილისტიკის მკვლევარი, არამედ პოეტიცაა, რომელიც დღეს, შესაძლოა, თავისი პოეზიით ნაკლებად იყოს ცნობილი, მომავალს კი, ასე მწამს, პირველ ყოვლისა, ლექსებით შემორჩება. ელიზბარ ჯაველიძე ცნობილი ლიტერატურისმცოდნე და კრიტიკოსია, „ლიტერატურული გაზეთის" განმაახლებელი... და მაინც, თუკი ხალხის თვალში მე აღვიქმები სწორედ ქართული ენისა და ლიტერატურის სამსახურში ჩამდგარ კაცად, ეს, ალბათ, ჩემი სატელევიზიო ლექციების წყალობით. თუმცა, საპ-

რეზიდენტო არჩევნების დროს, „პრეზიდენტობის ერთადერთი კანონიერი პრეტენდენტის" თაყვანისმცემელმა მანდილოსანმა ტელევიზიით საჯაროდ „მამხილა", რომ, თურმე მე, რუსთაველის საზოგადოების თანაპრეზიდენტს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმო „მიონში" ქართული ენის ინტერესები არ დამიცავს, ვერ მომიხერხებია გამომედევნა იქიდან რუსული და დამენერგა ქართული ენა. არადა, სწორედ მე, კოტე გაბაშვილმა და სოსო ცისკარიშვილმა ჩავატარეთ ამ გაერთიანებაში, ვგონებ, პირველად ქართულად კრება და იმდენად ეროვნული სულით გამსჭვალული დადგენილება გამოვიტანეთ, ხალხი ცრემლმორეული გელოცავდა. რას იზამ, ცილდაწამებულისაგან თავის მართლებაც კი ისევ ცილისმწამებლის წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან ისევ ჭორის ახალი ტალღის აგორებას უწყობს ხელს.

სკოლაში, უწინარესად, ეროვნული სული უნდა ღვიოდეს. ამ სულის პატრუქი კი დედაენაა, ჩვენი „დედაქართული". სახელმწიფო ენას თავისი კუთვნილი ადგილი უნდა მივუჩინოთ არა მარტო ქართულ, არამედ საქართველოში მოქმედ არაქართულ სკოლებშიც. უნდა დადგეს ის ჟამი, როდესაც ქართულის გამართულად ცოდნა საქართველოს ყოველი მოქალაქის არა მარტო ზნეობრივი მოვალეობა იქნება, არამედ — მისთვის პრაქტიკული სარგებლის მომტანიც. მეტსაც მოგახსენებთ, ამ შემთხვევაში პრაქტიკულ მომენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება: არაქართველი ქართულს მაშინ ისწავლის, თუ ამ ენის უცოდინარობა მას დისკომფორტს შეუქმნის... დიქტატორ ფრანკოს ამხელდნენ, ბასკების ეროვნულ ინტერესებს ლახავს, როდესაც ესპანეთში ესპანურის, როგორც სახელმწიფო ენის, პრიორიტეტს ნერგავსო. ფრანკოს ამაზე ასე უპასუხია: მე მინდა ბასკს ესპანელის თანაბარი შანსი მივცეო. მთლად ზუსტი მაგალითი ვერ არის — ბასკები თავიანთ ისტორიულ მიწაზე ცხოვრობენ, მაგრამ აქ პრინციპია მთავარი: საქმე ისე უნდა დავაყენოთ — საქართველოში სომეხ, რუს და ნებისმიერი ეროვნების მოქალაქეს ქართველის „თანაბარი შანსი" რომ მისცე, მან ქართული კარგად უნდა იცოდეს. სხვათა შორის, სწორედ ჩვენებურ სომხებსა და რუსებზე საამისო საყვედური ნაკლებად გვეთქმის.

— რა აზრისა ბრძანდებით უმაღლეს სასწავლებელთა ავტონომიაზე?

— განათლების სამინისტრო ყოველთვის მხარს დაუჭერს უმაღლესი სასწავლებლის ჭეშმარიტ ავტონომიას იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ეს ავტონომია იმავე სასწავლებლისთვის იქნება სასარგებლო; ხოლო თუ რომელიმე სფეროში (ვთქვათ, ბიუჯეტის, ფინანსების...) სამინისტროსგან მონყვეტა უმაღლეს სკოლას დააზარალებს, მაშინ, ალბათ, თვით ეს უმაღლესები ეცდებიან სამინისტროსთან ზოგჯერ ნაადრევად გაწყვეტილი ძაფების აღდგენას.

— ბატონო თამაზ, კარგი მინისტრი ყველასთვის სასურველია, მაგრამ ხომ არ მონყვეტს თამაზ კვაჭანტირაძეს მინისტრის სავარძელი თავისი

ტრადიციული საქმიანობის სფეროებს — მეცნიერებას, ჟურნალისტიკას, პედაგოგიკას?

— ჟურნალის რედაქტორობას, ალბათ, ვეღარ შევძლებ, სტუდენტურ აუდიტორიასთან ცოცხალი კავშირის გაწყვეტა კი ვერ წარმომიდგენია. 24 წლის ასპირანტი გახლდით, როცა ბატონმა ვარლამ თოფურიამ უნივერსიტეტში ლექციის წაკითხვა მანდო. მას შემდეგ, აგერ, 28 წელიწადია, ავად თუ კარგად, ამ საქმეს ვემსახურები. ერთი ვიცი, საყვარელ საქმეს ვერავითარი დატვირთვა (მით უმეტეს, ამავე სფეროში) ვერ შეუშლის ხელს. ასე რომ, ჩემი სამეცნიერო-პედაგოგიური და პუბლიცისტურ-კრიტიკული საქმიანობისათვის ჯვარი არ დამისვამს.

— ერთი, მკითხველთათვის, ალბათ, საინტერესო, შეკითხა: ვიცით, რომ ბატონი თამაზ კვაჭანტირაძე მარტო საგანმანათლებლო საქმეს შეჭიდებული კაცი არ არის. თქვენი პირუთვნელი პოლიტიკური შეხედულებების, პოლიტიკური მრწამსის გამო წინა ხელისუფლებისაგან ბევრი უსამართლობა იწვნიეთ; ამის მიუხედავად, რამდენადაც ვიცი, მისი დამხობის შემდეგ არ ცდილხართ დაცემულთა ჩაწიხლვას. ერთადერთხელ გიხილეთ მართლაც განრისხებული ტელეეკრანზე, როცა გროზნოს ცნობილი თავყრილობის შესახებ აზრის გამოთქმა გთხოვეს...

— შემინდეთ, მაგრამ განა თქვენ შეგეძლოთ გულგრილად გეცქირათ, თუ როგორ ადგენდნენ ქართველთა ხელით საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცების გეგმას? და მიუხედავად ჩემი მკვეთრი დაპირისპირებისა დამხობილ ხელისუფლებასთან, მე, ცხადია, კორექტული ვიქნები განათლების ყოველ მუშაკთან, ვინც, თავისი პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიების მიუხედავად, კეთილსინდისიერად შეასრულებს თავის პედაგოგიურ ვალს — გაკვეთილზე, პირველ ყოვლისა, ასნავლის საგანს.

ესაუბრა მზია ჭოხონელიძე, „თბილისი", 29.1.1993

გარანტი

— ბატონო თამაზ, დღეს, სამწუხაროდ, აღარავინ უფრთხის თანამდებობას. როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ეს და პირადად თქვენ როგორ მიიღეთ ეს დანიშვნა?

— უკაცრავად, მაგრამ პირველსავე დებულებაში შეგედავებით... სწორედ დღეს, სოციალური დესტაბილურობის დროს, ყველა როდი ელტვის თანამდებობას — უფრო უდავიდარაბო გზებს პოულობს არსებობისა თუ

თვითდამკვიდრებისათვის. თანამდებობაზე უარის თქმა ზოგჯერ ვაუკაცობაა, ზოგჯერ — სიმხდალე. მაგალითად, როცა ქალბატონი გუჩა კვარაცხელია დათანხმდა განათლების მინისტრის პოსტს, ეს თითქმის გმირობის ტოლფასი გახლდათ. დღესაც, პატიოსანი კაცისათვის, მინისტრობა საქართველოში უფრო სასჯელი მგონია, ვიდრე პატივი. დანიშვნაც ასე აღვიქვი — საპატიო სასჯელად. ისე, ჩემთვის იდეალურ საზოგადოებაში კარიერას ისინი უნდა იკეთებდნენ, ვისაც კარიერაზე უარის თქმა შეუძლია.

— ადმინისტრაციული სამუშაო სამეცნიერო თუ პედაგოგიურ მოღვაწეობაში, ბუნებრივია, ხელს შეგიშლით. ალბათ, მოგიწევთ რაიმეს დათმობა...

— მომინევს, მაგრამ ამით ქვეყანა არ დაიქცევა; ჟურნალსაც უჩემოდ ნარუძღვებიან და, ალბათ, უფრო ოპერატიულადაც, ტელეეკრანიც არ დაობლდება და სტუდენტური აუდიტორიაც, იმედია, საპროტესტო აქციას არ მოანყობს — ლექტორი დაგვიბრუნეთო... თუმცა, ყველაფერს დავთმობ, მაგრამ კვირაში ერთხელ სტუდენტობასთან ცოცხალ კონტაქტს მაინც ვერ შეველევი: ამიტომაც დავიტოვე ერთი სალექციო კურსი უნივერსიტეტში. ისე კი, პედაგოგიური, პუბლიცისტური, კრიტიკული, ჟურნალისტური საქმიანობა მეტ-ნაკლებად თავსდება განათლების სისტემაში და პრინციპულად მე არაფერს ეწყდები, ისევ ჩემი საქმიანობის სფეროებში ვიტრიალებ. ეს კია, უფრო ნაკლები დრო მექნება უშუალოდ თვითოეულ მათგანში დასახარჯად... ხანდახან ასეც მეჩვენება — რაც მეტად დავტვირავთ, მით უკეთესად გაართმევს კაცი თავს საყვარელ საქმეს.

— თქვენი დამოკიდებულება ასერიგად მომრავლებული ფასიანი და კომერციული სასწავლებლების მიმართ. რამდენად გაამართლებს ეს საქართველოში?

— ფასიან და კერძო სასწავლებლებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წამყვანი და განვითარებული ქვეყნების განათლების სისტემაში. სწავლების ეს ფორმა ჩვენშიც უნდა დამკვიდრებულიყო, მაგრამ ჩვენ ხომ უკიდურესობების ხალხი ვართ... დღეს საქართველოში ყველაზე დიდი დეფიციტი ზომიერების გრძნობაა. ჩვენ ერთბაშად ავიღეთ გეზი ფასიანი და კერძო განათლების სექტორზე ისე, რომ ჩვენი შესაძლებლობები არ გავითვალისწინეთ. ეს სოკოებივით მომრავლებული ფასიანი სასწავლებლები სალბუნივით დაედო ჩვენს პატივმოყვარეობას: ყველა ქართველი ხომ, პროფესორი თუ არა, დოცენტი მაინც უნდა იყოს, რომ აღარაფერი ვთქვათ უმაღლესის დიპლომზე. ახლა გაჩნდა შესაძლებლობა, რომ ყველას გვქონდეს დიპლომი, ისევე, როგორც ყველას გვქონდა საშუალო განათლების ატესტატი. ეს დიპლომიც, ფაქტობრივად, პროფანაცია-გაყალბება იქნება ჭეშმარიტი დიპლომისა. უფრო მეტიც, სიმართლეს თუ თვალს გავუსწორებთ, ზოგჯერ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელდამთავრებული ექიმის, ინჟინრის თუ მასწავლებლის დიპლომიც კი ვერ დიპლომობს და, ასეთ სიტუაციაში რა ძა-

ლა ექნება „ოფშკვითის უნივერსიტეტისა" თუ „ჩუმლაყის აკადემიის" მიერ გაცემულ დიპლომებს? ეს არა მარტო ჩვენი განათლების სისტემის, არამედ ჩვენი სახელმწიფოებრივი მოუმწიფებლობის დასტურიც გახლავთ. ნუ იფიქრებთ, თითქოს მე ყოველგვარი ფასიანი და კერძო სასწავლებლების წინააღმდეგი ვიყო, მაგრამ მათ სჭირდებათ კარგად მოფიქრებული სახელმწიფო პროგრამა და ამ პროგრამის განმახორციელებელი საშუალებანი, კერძოდ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კადრები, სათანადო მეთოდიკაც... და როდესაც ამ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს, ფასიანი უმაღლესი სასწავლებლის წინააღმდეგი ვინ იქნება!

— ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა დოკუმენტი, რომელიც აღმოჩნდა პოლონეთის კომპარტიის ლიდერის კაბინეტში. ეს გახლდათ ცენტრალური კომიტეტის სატანური, ფარული მითითება, როგორ გადაეგვარებინათ და აემხედრებინათ ცალკეული პრივილეგირებული პირები საკუთარი ერის წინააღმდეგ. იქ ერთ-ერთ პუნქტად ეწერა ასეთი რამ: რაც შეიძლება ბევრი უცოდინარი მიიღეთ უმაღლეს სასწავლებლებში და გაუწიეთ ამას პროპაგანდაო. „იმედია", საქართველოსაც ექნებოდა ამგვარი მითითება-ბრძანება მიღებული. ანკეტს რომ წამოვეგეთ, ფაქტია, საქართველო დიპლომოსთენიითაა სნეული. როგორ ფიქრობთ, არსებობს გამოსავალი? და, თუ არსებობს, კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს ამისათვის?

— არა მგონია, საქართველოს მესვეურთ როდესმე დასჭირვებოდათ საგანგებოდ ამგვარი მითითება. ჩვენი აზნაურული კუდაბზიკობა და სახელმწიფოებრივი გრძნობის მოჩლუნგება ინდივიდუალისტურ-პატივმოყვარული განცდის გაალმასების ხარჯზე უკვე საკმარისი პირობა გახლდათ ამგვარი დეგრადაციისა. ალბათ, გახსოვთ, ქართველთა შფოთი და ამბოხებები მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მაშინ ერთმა ჭკვიანმა კაცმა შესთავაზა ხელისუფლებას: ქართველთა დასაწყნარებლად იარაღი და ყუმბარები საჭირო არ არის, არც ხორბალი და ნავთი, ერთი ვაგონი ჩინ-მედლები გაუგზავნეთ და ყველა დაწყნარდებაო. მერე და მერე, ამ საუკუნეში „ჩინ-ტემლაკების" ადგილი დაიჭირა დიპლომმა, თუმცა ამან, კაცმა რომ თქვას, ბოლომდე „არ გაამართლა". თუ ვინმეს ეგონა, რომ დიპლომიანი ქართველი თავს დაუდებდა და გაუყუჩდებოდა უსამართლობას, შეცდა და ეს ამ ბოლო წლებმაც დაადასტურა: საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, პირველ ყოვლისა, ერის განათლებული ნაწილი იბრძოდა. მაგრამ ქართველთა სისუსტეებზე თამაში გარკვეული ძალებისა და სამსახურების გეგმაში, ალბათ, შედიოდა და ახლაც შედის. ამიტომ ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ იმ, ერთი შეხედვით, წყალობას, რომელსაც ზოგჯერ გვიბოძებენ ხოლმე. ამ ბოლო ხანს, მაგალითად, მოგვცეს უფლება გაგვეხსნა უამრავი უმაღლესი სასწავლებელი. კი მაგრამ, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, გვინდა ეს

ჩვენ?! ერთი ტენდენციაც გამოიკვეთა — რაც შეიძლება ბევრმა ქართველმა ახალგაზრდამ მიიღოს განათლება საზღვარგარეთ; ცხადია, ეს უაღრესად საჭირო და საშური საქმეა, მაგრამ მე აქაც ვხედავ ერთგვარ საფრთხეს: დავიღუპებით, თუ ესეც მოდად გვექცა, თუ აქაც პრესტიჟულობას გამოვედევნეთ... თუ დაიწყო ახალგაზრდობის უკონტროლო გადინება საზღვარგარეთ, მე ამისი პრინციპული მოწინააღმდეგე ვიქნები. უნდა მოხდეს მკაცრი და რეგლამენტირებული შერჩევა. ჩვენ ძირს გამოვუთხრით ეროვნულ სკოლას, თუ კარს მოვფლეშთ და ყველა უცოდინარ, მაგრამ ფულიან მსურველს მივავლენთ საზღვარგარეთ სასწავლებლად. რასაკვირველია, მეორე უკიდურესობა იყო, როდესაც ვერავინ, ან თითქმის ვერავინ იღებდა ევროპულ განათლებას. მოკლედ, ისევ და ისევ ზომიერება!

— უმაღლეს სასწავლებელში სკოლიდან მოდის ბავშვი, სკოლაში კი სრული ქაოსია. თქვენ როგორ ფიქრობთ, მოგვარდება სკოლის პრობლემები?

— მე შეგიბრუნებთ კითხვას: არის კი სფერო, სადაც დალაგებულად გვქონდეს საქმე? როცა აიმღვრევა საზოგადოება, აიმღვრევა სკოლაც. და — პირიქითაც! თუ იქნება უკეთურება საზოგადოებაში — ჩათვალეთ, აპრიორულად, რომ ეს უკეთურება სკოლაშიც შეაღწევს. როდესაც სანტექნიკოსი ერთი ონკანის შეკეთებაში იღებს მასწავლებლის თვიურ ხელფასზე მეტს, ძალიან ძნელია, ზნეობასა და მორალს გაამარჯვებინო სკოლაში. თუმცა, უნდა იყოს სფერო ადამიანური მოღვაწეობისა, ცხოვრებისა, რომელიც ყველაზე მეტად უნდა დავიცვათ საზოგადოების მავნე ზეგავლენისაგან. ასეთი სფერო სწორედ სკოლა მგონია... არადა, სკოლა ვერ დავიცავით. მეტსაც გეტყვით, ზოგჯერ სკოლა ტონის მიმცემი აღმოჩნდა მრავალ უკეთურებაში; მაგალითად, ახალგაზრდობაში ფეხმოკიდებული ნარკომანია სკოლის ბოლო საფეხურზე იწყება, სტუდენტობაში ხომ ეს სენი ძალიან მოდებულია და მერე იგი ტალღისებურად შეიძლება გავრცელდეს მთელ საზოგადოებაში. მოკლედ, ქაოსი ყველგან საშინელია, მაგრამ ყველაზე დიდი საშინელებაა ქაოსი სკოლაში.

— მხოლოდ ზნეობრივი ქაოსი არ მქონდა მხედველობაში. ვგულისხმობდი სასწავლო პროცესსაც და თვით მასწავლებელსაც. მათი უმეტესობა, ჩემი აზრით, არ არის პედაგოგობის ღირსი.

— შემინდეთ, მაგრამ ასეთი განზოგადებული მსჯელობა და მსჯავრის გამოტანა სამართლიანი არა მგონია. მე რომ ახლა გითხრათ, ჟურნალისტების უმრავლესობას წერა უნდა აგეკრძალოთ-მეთქი, ხომ გული დაგწყდებათ... წარმოიდგინეთ, თქვენს მსჯავრს რომ წაიკითხავენ, მასწავლებლებიც რა გუნებაზე დადგებიან. ამდენი ოფლი ჩაუნთხევია პედაგოგს მოსწავლის აღზრდაზე!.. უმადურობა და გადიას „ძუძუზე კბენა“ ღირსეული საქმე არ გახლავთ, მასწავლებელთა შორის არიან — თანაც, არცთუ ისე ცოტა — თავის საქმეს შეწირული ხალხი. მათ ნორმალური არც სამოსი აქვთ, არც სა-

დილი, არც ხელფასი; მოსწავლეთა მშობლები ხომ ამ ხალხს ლამის მტრად მოეკიდონ; საზოგადოება მასწავლებლის შრომას არ აფასებს, ამის კვალობაზე, ბავშვებიც სათანადო რეაქციას ავლენენ... არადა, ყმანვილთა სწავლებასა და მოვლა-პატრონობას განუზომელი ენერგია სჭირდება. ჭეშმარიტი მასწავლებლობა დღეს გმირობაა, თუმცა, ვერ დავმალავ, სკოლაში ისეთი ხალხიც მუშაობს, სათოფეზე რომ არ უნდა გააკარო ბავშვს. მასწავლებლის შრომა ყველაზე მძიმე ფიზიკურ ჯაფას უტოლდება, ცხადია, თუ ნორმალურად ჩაატარებ გაკვეთილს და ყოველ მოსწავლეს ჩაუდებ სულსა და გულში შენს ცოდნას. ამ სამუშაოს ანაზღაურება და მასწავლებლისადმი საზოგადოების დამოკიდებულება, მოგეხსენებათ, როგორიცაა. რა გვეშველება, რა გადაგვირჩენს სკოლას? პირველ ყოვლისა, უნდა გამოინახოს ისეთი ეფექტური მეთოდი კადრების შესარჩევად, რომ სკოლაში შეაღწიოს ცოცხალმა შემოქმედებითმა ძალამ, ახალგაზრდებმა. ცხადია, თვითმიზანი ვერ იქნება ყოველი ხანდაზმულის დათხოვა სკოლიდან... ზოგჯერ ერთი გამოცდილი პედაგოგი მეტს აკეთებს, ვიდრე რამდენიმე ახალგაზრდა ერთად; თუმცა, სკოლა არც დავრდომილთა თავშესაფრად უნდა ვაქციოთ. უძლურება მასწავლებლისა მოსწავლეთა სატანჯველია, სკოლა კი ბავშვებს ჯოჯოხეთად არ უნდა ვუქციოთ.

— ორიოდ სიტყვით თქვენი კონკრეტული გეგმების შესახებ, რითი იწყებთ და რით ამთავრებთ თქვენს სამუშაო დღეს?

— ყოველი დილა იწყება კონკრეტული საქმით. ვასწრებ რამდენიმე სკოლის შემოვლას. იქ, ადგილზე, კონკრეტული საქმეები წყდება. მეტყვით, რა მინისტრის საქმეა წვრილმანების გამოდევნება, გაკვეთილს ვინ აცდენს, ვინ ესწრება, სად თბება რადიატორები და სად არა, მიიღო თუ არა ხელფასი დროზე მასწავლებელმა, ჩაიმტვრა ფანჯრები და იჩხუბეს თუ არა „სკოლა-სკოლაზე" ან „უბანი-უბანზე" ბიჭებმა, ვის აკლია სახელმძღვანელო და რომელ სკოლაში მოიპარეს კომპიუტერი... მერწმუნეთ, ამ „წვრილმანებზე" მსხვილი და საჭირბოროტო საქმე სკოლაში არც არსებობს; ცხადია, არის კონცეპტუალური საკითხებიც, შვიდგზის რომ უნდა გავზომოთ, ვიდრე გადავჭრიდეთ. ერთ-ერთი ამგვარი პრობლემაა უწყვეტი განათლების ახალი კონცეფცია, რომელიც თავის თავში მოიცავს სისტემის რეორგანიზაციასაც განათლების ყველა საფეხურზე. ამ კონცეფციის ხორცშესხმა მოითხოვს არა მარტო მინისტრის, არამედ ნებისმიერი პედაგოგის მთელ სიცოცხლეს... ჩვენი შვილები და შვილიშვილები ნორმალურ სკოლაში უნდა სწავლობდნენ. ეს კი იმის გარანტიაა, რომ ისინი ნორმალურ სახელმწიფოში იცხოვრებენ.

ესაუბრა თამარ ბედენაშვილი, „დებიუტი", N5, 1993

ვაითუ...

— ბატონო თამაზ, 14 აპრილი ოფიციალურად აღიარებული დღეა დედაენისა თუ სტიქიურად ვდღესასწაულობთ ამ დღეს?

— მართალი გითხრათ, არც მახსოვს, როდის დაწესდა ან, საერთოდ, დაწესდა თუ არა ოფიციალურად ეს დღე დედაენის დღესასწაულად. მაგრამ კარგად მახსოვს (და ახსოვს, ალბათ, ყველას, ვინც მოესწრო 1978 წლის აპრილის ბობოქარ დღეებს) მაშინდელი განცდა, ბიბლიური ფრაზით გამოხატული — ჟამი ერთი, ვითარცა წელი ათასი... თითქოსდა ერთ ჟამში ანუ ერთ დღეში შემკვრიედა საუკუნე და ერმა გამოხატა თავისი ნება: ილაპარაკოს ქართულად — ანუ იცხოვროს, იარსებოს ქართულად...

— განა კონსტიტუციის ახალი რედაქცია ქართულად ლაპარკს კრძალავდა?

— ცხადია, არა... ასე ჯიქურ ჭკვიანი მტერი არასოდეს მოქმედებს... ის ისეთ გარემოს გიქმნიდა, რომ შენ თვითონ გამოგეტანა „ჭკვიანური" დასკვნა — ჩემთვის რუსული უფრო საჭირო და გამოსადეგია, ვიდრე ქართულიო. ხომ გახსოვთ, როგორი არგუმენტით იმშვიდებდა (უფრო ზუსტად — იტყუებდა) თავს ზოგი — ქართული ჩემმა შვილმა ისედაც იცის, რუსულ სკოლაში კი გამართულ რუსულს ისწავლის, ურუსულოდ ხომ რიგიან სამსახურსაც ვერ ეღირსებაო. და — მასობრივად შეჰყავდათ ქართველი ბავშვები რუსულ სკოლაში... ასეთ სიტუაციაში ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი ძვალიეით ჰქონდა გახირული ჩვენს გადასაყლაპავად დაფჩენილ იმპერიულ ხახას, და ამ „ძვალის" ამოგდება გადაწყვიტეს სწორედ კონსტიტუციის ახალი რედაქციით; მაგრამ, რომ იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ... ქართველმა ერმა, საზოგადოებამ, განსაკუთრებით — ახალგაზრდობამ, თითქოსდა კანით იგრძნო, რომ 75-ე მუხლის ფორმულირების მიღმა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რამ იმალებოდა... ამაში დიდი როლი იმანაც ითამაშა, რომ რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელმა კონსტიტუციის ამ ახალი რედაქციის პირველ საჯარო-სატელევიზიო განხილვისას მრავალმნიშვნელოვნად გაამახვილა ამ მუხლზე ყურადღება — მუხლზე, რომლის არსებობა, კაცმა რომ თქვას, ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს გადავიწყებული ჰქონდა ან — სულაც არ იცოდა. და მერეც, ამ პროცესის მართვისას, მან არა მარტო პიროვნულად გაიარა ბეწვის ხიდზე, არამედ — ხალხიც გაატარა: მიზანსაც მივაღწიეთ და სისხლიც არ დაღვრილა. ეს გახლავთ სწორედ პოლიტიკოსის ხელოვნება. და ხალხმაც უფრო ინტუიციით, ვიდრე ლოგიკით, იგრძნო რესპუბლიკის თავკაცთან ეს შინაგანი ერთიანობა, რაც იმ დროსა და იმ პირობებში უფრო სასწაულს ჰგავდა და რამაც დაბადა 14 აპრილის დღესასწაული.

— როგორ უნდა აღინიშნოს, თქვენი აზრით, ეს დღე?

— სანამ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოპოვებული

არა ჰქონდა, დიახაც იყო საჭირო საჯაროდ, ხმამაღლა, ქუჩაში გამოსვლით, მიტინგითა თუ მანიფესტაციით შეგვეხსენებინა უზენაესი ხელისუფლებისათვის, რომ ჩვენ გვახსოვს დღე 14 აპრილისა, როგორც დღე განსაცდელისა, რომელსაც გავუძელით, შეგვეხსენებინა, რომ დედაენის ღირსებას, რაც იგივე ერის ღირსებაა, ფეხქვეშ არავის გავათელვინებთ.

— დღეს?

— დღეს საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა ყველამ ცნო, ყველამ, გარდა ქართველთავე ერთი ნაწილისა — ესაა სამწუხარო და სავაგლახო. ამიტომ სტილი ამ დღის აღნიშვნისა, ჩემი აზრით, ერთგვარად უნდა შეიცვალოს... დავეხსნათ პომპეზურობას; ამ დღის აღნიშვნის თეატრალურ-სცენურმა ფორმებმა უნდა მიიღოს საქმიანი სახე: ამ დღეს უპრიანია სამეცნიერო, სასწავლო და პედაგოგიური წრეები ერთგვარი ანგარიშით წარვდგეთ საზოგადოების წინაშე: როგორ ვუპატრონეთ ამ ერთი წლის მანძილზე ჩვენს სახელმწიფო ენას, კლასიკოსთა რამდენი ტომი დავსტამბეთ, რამდენი ლექსიკონი დავამზადეთ და გამოვეცით, როგორ ვიღვაწეთ ქართული ენის სალიტერატურო ნორმების დასაცავად, რა ადგილი დავუთმეთ სასწავლო ბადეებში ქართულ ენასა და ლიტერატურას, როგორ ვიზრუნეთ ამა თუ იმ დაწესებულებაში ქართულის — როგორც სახელმწიფო ენის — დაუბრკოლებელ ფუნქციონირებაზე და, რა ვიცი, ათას სხვა საჭირბოროტო საკითხს როგორ დავადგით თავი...

— კი ბატონო, მაგრამ კიდეც რომ ვიზეიმოთ და ვიდღესასწაულოთ ეს დღე, ამით განა რა დაშავდება?

— საერთოდ, დაშავდება კი არა, ეს ყველაფერი დედაენის დღეს მოუხდებოდა კიდეც, მაგრამ ამასაც ვიკითხავ, გვეზეიმება და გვედოლგარმონება ქართველობას ამ გაგანია ომის დროს? არც ის დრო გვიდგას ახლა, საერთო მტრის გასახარად ერთმანეთს ანგარიში ვუსწოროთ და ერთმანეთის მარცხზე (უფრო სწორად — საკუთარ მარცხზე) სიხარულით ხელები ვიფშვნიტოთ... კაცმა რომ თქვას, ღალატი სხვას რასა ჰქვია, თუ არა იმას, შენი მტრის გამარჯვება გიხაროდეს და შენი სისხლ-ხორცის გამარჯვება გულსა გყრიდეს... ამას წინათ ზვიადისტთა მიტინგზე „ხუნტის" ჯარების გამოყვანა მოითხოვეს აფხაზეთიდან... არძინბა და მისი ამფსონებიც მეტს განა რას თხოულობენ? 14 აპრილს მაინც ნუ ვაკადრებთ იმას, რაც ერთი კეირის წინანდელ 9 აპრილს ვაკადრეთ... ნუთუ 9 აპრილის შემოქმედი ხალხი 9 აპრილის იდეამდე ვერ უნდა ავმაღლდეთ?.. იდეა კი ჩვენი, ყოველთა ქართველთა, ერთიანობაა თავისუფლებისათვის ბრძოლაში... არაქართული თვისებაა შესარიგებლად გამოწვდილი მარჯვენისათვის ხელის აკვრა... უფრო მეტიც — ზედ დაფურთხება... ნუ გავიხდით ქართველები საქმეს ისე, როგორც მერაბ კოსტავა გვაფრთხილებდა — ურთიერთშუღლი და მტრობა ისე გაგვათითოკაცებს და დაგვწრეტს, ვაითუ მერე სიბნელეში ხელის ცეცებით ვეძებდეთ ერთმანეთს...

ესაუბრა ეკა ლეფაკა, „საქართველოს რესპუბლიკა", N76 (620), 14 აპრილი, 1993

სკოლა შინაგანად ტაძარს უნდა დაემსგავსოს

— რას თვლით მოსწავლისათვის აუცილებელ მოვალეობად?

— თვითონ სიტყვიდანაც ჩანს, მოსწავლისათვის აუცილებელი მოვალეობა რაც არის.

— რას გვეტყვით სწავლის მიზანსა და მოსწავლის პასუხისმგებლობაზე?

— გურამიშვილის სიტყვებით გიპასუხებთ — *„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო... ეით რემა, ხნარცვს არ ჩავარდეს ულაგმო და უსადაო“.* კაცი უსწავლელად ვერც თავს იცნობ, ვერც სხვას, ვერც გზას გაიკვლევ და, თქვენ ჯვარი გწერიათ, კისერსაც მოიტეხ. ახლა თავად განსაჯეთ, რამხელა პასუხისმგებლობა მართებს კაცს სწავლისას.

— ტრადიციულად, როცა მოსწავლე ამთავრებს სკოლას, ემზადება იმ საგნებში, რომელიც სჭირდება უმაღლესში ჩასაბარებლად, ამიტომაც აცდენს იგი გაკვეთილებს. ამის თაობაზე რას გვეტყვით?

— მართალს ბრძანებთ, დამამთავრებელ წელს, განსაკუთრებით, ქალაქელი მოსწავლეები, კაცმა რომ თქვას, სწავლების კერძო სექტორში გადაინაცვლებენ ხოლმე. ამას სახელმწიფო სკოლაში სწავლების დონის კერძო სექტორის დონესთან გათანაბრებით თუ შევებრძოლებით.

— თქვენი აზრით, რატომ მიდის ბავშვი „შატალოზე“?

— მოსაწყენი მასწავლებელი ჰყავს და კლასში მთქნარებას კინოში შესვლა ურჩევნია.

— არის შემთხვევა, როდესაც მოსწავლეს მასწავლებელი უყვარს, ხოლო მისი საგანი კი არა, რით არის ეს გამოწვეული?

— ასეთი მასწავლებელი, შეიძლება, კარგი ადამიანიც იყოს, მაგრამ პედაგოგად ღმერთს არ უქნია და, აჯობებდა, სხვა საქმისთვის მოეკიდა ხელი. ისე, თუ გაკვეთილზე მასწავლებელი ფიზიკის ნაცვლად ფეხბურთზე ან პარლამენტზე ლაპარაკობს, მოსწავლეს, შესაძლოა, დროებით კიდეც შეუყვარდეს იგი, ოღონდ — დროებით და არა ხანიერად!

— მიგაჩნიათ თუ არა სავალდებულოდ სკოლაში „ბიბლიის“ სწავლება?

— „ბიბლია“ — როგორც საგანი, სკოლაში არ ისწავლება და, ჩემი აზრით, არც უნდა ისწავლებოდეს. სწავლება, გარკვეული დოზით, იძულების მომენტსაც შეიცავს და ის, რაც სავალდებულოა, ხშირად უარყოფით ემოციებს აღძრავს მოსწავლეში. მაგრამ „ბიბლიის“ სული სკოლაში აუცილებლად უნდა ტრიალებდეს, სკოლაშივე, განსაკუთრებით ლიტერატურისა და ისტორიის გაკვეთილებზე უნდა ვაზიაროთ მოსწავლეები ბიბლიის მადლს, გა-

ვაცნოთ ბიბლიური პერსონაჟები, ნავაკითხოთ ბიბლიური ამბები, ვასწავლოთ და ჩავუნერგოთ ქრისტიანული ზნეობა.

— კარგია, რომ ზოგ სკოლაში ეთიკის სწავლება შემოიღეს; ყველა სკოლაში მოგვარდება ეს საკითხი?

— მე-9 კლასში ისწავლება „საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია". ეთიკის ცალკე საგნად შესწავლის საკითხი უნდა მოვაგვაროთ, თანაც ისე, რომ „ეთიკა" არა მარტო ვასწავლოთ, არამედ „ვამუშაოთ" კიდეც სკოლაში: ხომ გახსოვთ, *„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა"*. საპირისპირო შედეგს მივიღებთ, თუ „ეთიკას" არაეთიკურად ასწავლის ეთიკასთან მწყრალად მყოფი ადამიანი.

— თქვენ ლიტერატორი ბრძანდებით, თქვენთვის ყველა ქართველი მწერალი ახლობელია და საყვარელი. მეც ძალიან მიყვარს ლიტერატურა, ვაღმერთებ ვაჟა-ფშაველას, თქვენი რჩევა მჭირდება, ვაჟას რომ ჩავწვდე.

— ჩემზე ბევრად უკეთეს მრჩევლებს დაგისახელებთ ვაჟას სამყაროს საწვდომად: გრიგოლ კიკნაძე, გერონტი ქიქოძე, გრიგოლ რობაქიძე, თამაზ ჩხენკელი... და ბევრი, ბევრი სხვაც. ან გარდასულნიც და ცოცხალნიც.

— თქვენი პირველი საკონტროლო თემა თუ გახსოვთ?

— მახსოვს: მესამე კლასში ჩვენმა დამრიგებელმა ნინო ალექსიძემ დაგვავალა, დაგვეწერა თავისუფალი თემა „რად მიყვარს ჩემი სამშობლო", თან დაგვპირდა, საუკეთესო ნაწერს დაფაზე გადავიტან, რომ მთელმა კლასმა გადაინეროსო. ვინ იყო ავტორი, ეს ამბავი კი საიდუმლოდ უნდა შენახულიყო.

— თქვენმა თემამ გაიმარჯვა?

— საიდუმლო იმის საიდუმლოა, რომ ორმოცი წლის შემდეგაც არ უნდა გათქვა...

— თქვენი საყვარელი მასწავლებელი?

— ერთის დასახელება მიჭირს... მახსოვს, როგორ ვიტანჯებოდი პატარაობისას — დედა უფრო გიყვარს თუ მამაო, როცა მეკითხებოდნენ. ბოლოს გამოსავალი ვნახე — ბებია-მეთქი, ვპასუხობდი და, სხვათა შორის, მართალიც ვიყავი: ამას ჩემი ლიტერატურული ფსევდონიმიც — თამაზ ალკაბაძე — ადასტურებს, რომელიც ასე „იშიფრება": მშობლებისა და ბებიის სახელთა პირველი მარცვლების შერწყმა — ალ(ექსანდრა) +კა(სიანე)+ბა(ბილინა)... მიჭირს-მეთქი მასწავლებელთა შორის უსაყვარლესის დასახელება... და მაინც — ქალბატონი ოლღა ბარამიძე, ჩემი პირველი მასწავლებელი, ქალბატონი ნინო ალექსიძე და, ცხადია, ბატონი სიმონ სხირტლაძე, რომელმაც ჯერ არქიტექტორობაზე ამაღლებინა ხელი, მერე — ფილოსოფოსობაზე და ქართული სიტყვიერებისაკენ მიმაბრუნა.

— განათლების სამინისტროს შენობა არქიტექტურულად ეკლესიას ჰგავს. ხომ არ იცით რაიმე მისი ისტორიის შესახებ?

— ამ შენობის ისტორიისა რა მოგახსენოთ, მსგავსებით კი ეკლესიას არა-

მარტო გარეგნულად — უფრო შინაგანად უნდა დავემსგავსოთ... და როცა ყოველი სკოლა სწორედ შინაგანად დაემსგავსება ტაძარს, ალბათ, მაშინ თუ გვეშველება.

ესაუბრა მოსწავლე ნინო ბურჯანაძე, „ნერგი", 2.4.1993

ინტერვიუ ზეპირი, ინტერვიუ წერილობითი

— ბატონო თამაზ, როგორი დამოკიდებულება გაქვთ ბანკთან?

— ბანკს გააჩნია... მახსოვს, ჩემი სტუდენტობისას, საზრიანთა კლუბების შეხვედრაზე ასეთი კითხვა დასვეს: რა საერთო აქვს მაწონსა და ფულსო? — ორივეს ბანკებში ინახავენო, — იყო პასუხი, გონებამახვილური, თუმცა ქართული ენის სიწმინდის თვალსაზრისით არცთუ უხარვეზო... თუ გაზეთ „ბანკზე" მეკითხებით — ვერ ვიტყვი, რომ პირველიდან მეთექვსმეტე გვერდამდე ყველაფერს ვკითხულობდე, მაგრამ რაც ფილოლოგს ნაეკითხება, ცოცხლად და საინტერესოდ იწერება, ვალუტის კურსის შესახებ კი ინფორმაციას თავისი მკითხველი ეყოლება. ხოლო თუ ფულის დასაბანდებელ, საბრუნავ და გასამრავლებელ ბანკზე მეკითხებით, კერძოდ, ეროვნულ ბანკზე, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს მის მიმართ იმ სისტემის მინისტრს, ვისი ძირითადი მრეული — მასწავლებელი, თვეში იმდენ კუპონს იღებს, რამდენიც კილონახევარ ხორცს თუ გასწვდება? მანეთობაზე როცა ვიყავით, მაშინ, ჩვენი „უფროსი ძმის" გადამკიდე, საერთოდაც თვეობით ვერ ვიღებდით ხელფასს...

— ეროვნული ბანკი არ გაძლევდათ?

— როგორ გეკადრებათ... ყვავს რა ჰქონდა, ბუზს გაჰქონდაო, თორემ ეროვნული ბანკი, მისი ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით ნუგზარ ფიფია, ჩვენ მიმართ ისეთ ყურადღებას იჩენდა და იჩენს, ეჭვიც კი შეგვეპარა, მეუღლე ხომ არ ჰყავს პედაგოგიო...

— ესე იგი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ ქმრის გადაწყვეტილებაში მეუღლის როლს?

— საკმაოდ, თუმცა ყოველ კაცს თავისი წესი აქვს მეუღლის რჩევის დაჯერებისა.

— თქვენი წესი როგორია?

— წვრილმანებში მის რჩევას ვუჯერებ, მსხვილმანებში მიჯერებს...

— თქვენი აზრით, განათლების მინისტრი უნდა ერკვეოდეს თუ არა ფინანსებში?

— ჩვენი დარგის მინისტრი, ჩემი აზრით, იმდენად უნდა ერკვეოდეს ფინანსებში, რომ ეკონომიკურმა სამსახურებმა ვერ გააცურონ, მაგრამ სავალდებულოდ არ მიმაჩნია, ისე იყოს ამ სფეროში დასპეციალებული, რომ იქით გააცუროს ეს სამსახურები.

— გაქვთ თუ არა ვალი?

— მაქვს, მაგრამ არც ისე ბევრი...

— გაქვთ თუ არა ფული ბანკში?

— ბანკში რომ ფული მქონდეს, ვალიც არ მექნებოდა... თუმცა შემნახველ სალაროში ჩემს სახელზე არის მცირე თანხა — ტელელექციების ჰონორარი ბანკში მერიცხებოდა...

— რა ღირდა ტელელექცია?

— თხუთმეტი წლის მანძილზე ყოველკვირეული ნახევარსაათიანი ტელელექცია ნებისმიერ, თავისი თავის პატივისმცემელ, ქვეყანაში გაამდიდრებდა კაცს... ჩემი ჰონორარი კი ორმოცი მანეთის ფარგლებში ტრიალებდა, ყოველ შემთხვევაში, 46 მანეთს არასდროს ასცილებია. თუმცა ამ ფულად მაშინ ერთ ინდაურს (ცხადია, არა საახალწლოდ) კი იყიდდა კაცი...

— ახლა ეკონომიკის სფეროდან განათლებისაზე გადავინაცვლოთ. აქ ჩამოგინერეთ შეკითხვები სკოლაზე, მოსნავლეებზე, პედაგოგზე, დიპლომზე და სხვა, თქვენს დარგთან დაკავშირებულ, საჭირბოროტო საკითხებზე. ბოდიშს გიხდით გრძელ-გრძელი შეკითხვებისათვის, თქვენგან კი არც მოკლე-მოკლე პასუხებს დავინუნებდით.

— ბატონი ბრძანდებით... მეც წერილობით გიპასუხებთ.

* * *

— ბატონო მინისტრო, სწავლის კარგად წარმართვაზე დამოკიდებულია არამცთუ სვე-ბედი მარტო მომავლის თაობისა, არამედ სვე-ბედი თვითონ ქვეყნისაცო, ბრძანებდა ილია ჭავჭავაძე.

თქვენ უფრო ჩახედული ბრძანდებით განათლების დღევანდელ სისტემაში, გარედან მაცქერალ კაცს კი არავითარი იმედი აღარ აქვს. რას გვეტყოდით საიმედოს?

— შიგნიდან მაცქერალ კაცს კიდევ უფრო შემოეყრება გულზე, მაგრამ უიმედოდ მაინც ჩვენი მტერი იყოს...

— ბატონო თამაზ, სამოცდაათი წლის განმავლობაში მკაცრ ცენტრალიზებულ სახელმწიფოში ვცხოვრობდით. ალბათ, ამის ბრალიცაა — ყოველი ცენტრალიზებული ტენდენციის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გაგვიჩნდა და დღეს უფრო პოპულარული გახდა დეცენტრალიზაციის იდეა, თუმცა ორივეს აქვს თავისი ღირსება-ნაკლოვანებები. განათლების სისტემის მართვის დროს თქვენ რომელს დაუჭერდით მხარს?

— ჩვენთვის სასურველი დეცენტრალიზაცია რომ მოვახდინოთ, ამ ეტაპ-

ზე განათლების დარგის სწორედ მკაცრი ცენტრალიზებაა საჭირო.

— ბატონო მინისტრო, პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი და გადასამზადებელი კურსების არაეფექტურობა საზღვარგარეთაც კი არაერთხელ აღუნიშნავთ. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში განათლების რეფორმის დროს ეს არაეფექტურობა გაითვალისწინეს. თქვენ რას იტყოდით ამაზე?

— პირიქით, მე მგონია, რომ სწორედ დღეს უნდა ვიხმაროთ ყოველი ღონე მასწავლებლის კვალიფიკაციის ასამაღლებელი და გადასამზადებელი ინსტიტუტების ეფექტიანობის გასაძლიერებლად, რამდენადაც საბაზრო ეკონომიკა და განათლების სისტემის რეორგანიზაცია მწვავედ დააყენებს პედაგოგთა პროფილისა და სპეციალობების შეცვლის საკითხს.

— ბატონო თამაზ, საინტერესოა თქვენი აზრი კიდევ ერთ კონკურსზე — „წლის საუკეთესო მასწავლებელი"... გულწრფელად მაინტერესებს, კონკურსში გამარჯვებულ მასწავლებელს, ვადის გასვლის შემდეგ, ევალება თუ არა, მეორე წელსაც საუკეთესო იყოს?

— გეთანხმებით, წლის საუკეთესო შეიძლება სიგრძეზე მხტომელი ან მოჭიდავე გამოვავლინოთ, მასწავლებლისა კი — რა მოგახსენოთ. ჩემთვის ცოტა ძნელი წარმოსადგენია, მაგალითად, სიმონ სხირტლაძე, როგორც, ვთქვათ, 1959 წლის საუკეთესო მასწავლებელი... ისე, მასწავლებელთა წასახალისებლად ასეთი კონკურსიც დასაშვებია.

— ვაჟა-ფშაველა წერდა: „ბალღს უფროსისა ცოტა შიში თუ არა აქვს, გაირყვნება, გაფუჭდება".

დღეს მძიმე სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობაა. ამიტომაც არის, ალბათ, რომ მოზარდს ადვილად შეუძლია იქურდოს, იყაჩაღოს, კიდევ მეტიც, შეუძლია ხელი აღმართოს თანატოლზე და სიცოცხლეც მოუსპოს მას. ადრე თუ დანის პრობლემა იდგა, დღეს მოზარდები ცეცხლსასროლი იარაღითაც არიან შეიარაღებულნი. ხომ არ არის საჭირო, და თანაც სასწრაფოდ, რაღაც ახალი ღონისძიებების გატარება სკოლაში, თუნდაც ეს ზედმეტ ხარჯებთან იყოს დაკავშირებული და მძიმედ დაანვეს განათლების სისტემის ბიუჯეტს?

— ამას წინათ პედაგოგებთან შეხვედრაზე ილფისა და პეტროვის მიბაძვით განვაცხადე, დღეს საქართველოში იმდენი სასწავლებელი და იარაღია, კაცს ეგონება, ქართველები იმისათვის იბადებიან, რომ დაამთავრონ გიმნაზიები, ლიცეუმები, კოლეჯები, ტექნიკუმები, ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, აკადემიები, მერე აიღონ ხელში დანები, კასტეტები, სპიცები, ნაგანები, ხელყუმბარები, ავტომატები და ერთმანეთი დახოცონ-მეთქი. ჯერ უფროსებმა უნდა ავიღოთ იარაღზე ხელი და მერე მოზარდებსაც ეშველებათ...

— ბატონო მინისტრო, რას იტყოდით, ყველა სკოლაში რომ გაიხსნას „კუთხე", რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობის სულიერი განწმენდისა და

ამაღლების საქმეს მოემსახურება, რადგან მოსწავლეებში გაჩნდა სურვილი ქრისტიანული რელიგიისა და საღვთო სჯულის გაცნობისა!

— ვეარაუდობთ სკოლაში ახალი საგნის — „რელიგია და კულტურა" — შემოტანას, მაშინ ამგვარი „კუთხე", ცხადია, ყოველ სკოლაში შეიქმნება.

— რას ფიქრობთ ცოდნის შეძენის ნამახალისებელ ფორმებზე?

— ჩვენთან, საუბედუროდ, არ არის ცოდნის სათანადო მოტივაცია, სამაგიეროდ მძაფრი მოტივაციაა დიპლომისა. წახალისება სჭირდება ცოდნას, ამისათვის კი მარტივი მექანიზმი უნდა ამუშავდეს — ცოდნას დაედოს ფასი, მცოდნე უცოდინარზე უკეთ უნდა ცხოვრობდეს...

— „ეგ ქაღალდზე დაწერილი დიპლომი სამსახურში შესვლის დროს დაგჭირდებათ, შეინახეთ!.. ჩვენ კი მისთანა დიპლომს უფრო ვუჯერებთ, რომელიც ტვინზეა დაწერილი", — წერდა აკაკი წერეთელი.

დღეს ატესტატი და დიპლომი მართლაც მარტო ფორმალურ სახელმწიფო დოკუმენტად იქცა.

ბატონო თამაზ, საჭიროა კი ამდენი დიპლომი და ატესტატი? თანაც — რომელიც „ტვინზე არ არის დაწერილი"?

— საჭიროა, ოღონდ საჭიროა ერის გასარყვნელად, გასათახსირებლად, გადასაგვარებლად, მოკლედ, ამ სიტყვის —სა-ჭირ-ო—„ჩვენდა ჭირად" გაგებით. ამგვარი მიზანი კი გარკვეულ ძალებს გარკვეულ პერიოდში უდავოდ ჰქონდათ. დღეს თუ ამას წინ არ აღვუდექით, ხვალ შთამომავლობა პასუხს ჩვენ მოგვთხოვს... თუმცა, რაღას მოგვთხოვს, როცა ისეთ შთამომავლობას გავზრდით, რომელსაც იმის მოთხოვნილებაც არ ექნება, პასუხი მოგვთხოვოს — ქართველობა რატომ დაგვიკარგეთო.

— საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ბევრი სიახლე მოგვიტანა, გამონაკლისი არც განათლების სისტემაა. ფასიანი სასწავლებლების ბუმმა საზოგადოების არაერთგვაროვანი შეფასება გამოიწვია. საინტერესოა თქვენი აზრი ამ საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის.

— მითქვამს და გავიმეორებ: უხეირო, ფასიანი იქნება თუ უფასო, არც სკოლა ვარგა და არც უმაღლესი... ფასიან უმაღლეს სასწავლებელთა უმეტესობა იმიტომ კი არ არის დასახური, რომ ფასიანია, არამედ იმიტომ, რომ უხეიროა. საქართველო ალბათ ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მშობელი დიდ ფულს იხდის იმაში, რომ მის შვილს არ ასწავლონ.

— თანამედროვე სკოლაში სწავლება წარმოუდგენელია ახალი ტექნოლოგიების გარეშე. ყოველივე ამას, ბუნებრივია, სათანადო სახსრები სჭირდება. ამჟამინდელ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფო სათანადო თანხებს, ალბათ, ვერ გამოყოფს, მაგრამ ყურადღება ხომ აუცილებელია?

— ცარიელა სიტყვა ყურადღება ვერ იქნება... და სახელმწიფომაც, თუ რამეზე უნდა გამოყოს თანხა, პირველ ყოვლისა — განათლებაზე. მეტსაც

გეტყვით, მხოლოდ მდიდარ ქვეყანას შეუძლია თავს ფუფუნების ნება მისცეს და განათლებაზე ფული ნაკლებად ხარჯოს, ჩვენსავით გაჭირვებულმა კი ყველაზე მეტი სახსრები განათლებაში უნდა ჩადოს.

— საქართველოში უამრავი სკოლაა დანგრეული და დამწვარი. არც ბუნებამ და არც კაცმა ხელი არ დააკლო. სახელმწიფო კი, როგორც აღნიშნეთ, კრიზისულ მდგომარეობაშია, ამიტომ თუ ცალკეულმა სკოლამ გამონახა შეძლებული სპონსორი, რომელიც ამ პრობლემას ადვილად გადაწყვეტს, ყოველივე ეს უხერხულ მდგომარეობაში ხომ არ ჩააყენებს სკოლის ხელმძღვანელობას, ორი ბატონის მსახურის ხელში ხომ არ აღმოჩნდება?

— სპონსორი არ უნდა გადაიქცეს გუგულად, სხვის ბუდეში ანუ სკოლაში თავის კვერცხებს ანუ კომერციულ ობიექტებს რომ ჩადებს, და მაშინ ეს პრობლემაც მოიხსნებოდა.

— ბატონო თამაზ, როგორ ხდება პედაგოგთა კატეგორიებად დაყოფა, რა არის საჭირო, პირველი კატეგორიის მასწავლებელი რომ გახდე — სტაჟი თუ ცოდნა? თუ ორივე ერთად? როგორ უყურებთ სხვადასხვა კატეგორიის პედაგოგთა ხელფასებში არსებითი სხვაობის დაწესებას?

— დადებითად; როცა კატეგორიებს შორის განსხვავება ხელფასშიც მკვეთრად აისახება, მაშინ კატეგორიის ასამაღლებლად ერთიც იქნება აუცილებელი, მეორეც და ბევრი სხვა რამაც — ნიჭი, ენერგია, შრომისმოყვარეობა...

— როგორ ხდება პედაგოგისა და მოსწავლის გაგზავნა საზღვარგარეთ: ერთისა — სტაჟირებაზე, ხოლო მეორისა — სასწავლად? რა სახსრებით ახერხებს ყოველივე ამას განათლების სამინისტრო?

— ჩვენ ამის სახსრები, ფაქტობრივად, არა გვაქვს... ამგვარი გაცვლები ცალკეული სასწავლებლებისა და სხვა არასამთავრობო უწყებების მეშვეობით ხდება.

— ბატონო მინისტრო, ხშირად გვსმენია თქვენ შესახებ, თავის საყვარელ საქმეს უღალატაო. მომავალში ასეთი საყვედური რომ არ წამოსცდეს თქვენს ოპონენტებს, ხომ არ დაიწყებდით ჩვენთან მუშაობას, თუნდაც შეთავსებით?

— სად თქვენთან? ბანკში თუ „ბანკში"? პირველისათვის ვერ ვივარგებ და, ვგონებ, ვერც მეორისათვის გამოვდგე — აი, წელიწადში ერთხელ რომ გამოდიოდეს თქვენი გაზეთი ჩვენი „ბალავერიით", მაშინ კიდევ — ჰო... ისე, განათლების მინისტრი საქართველოში ბოლო ხანს ამ ტემპით იცვლება — წელიწადში სამი. ასე რომ, არამცთუ შეთავსებული, შეიძლება თქვენი ძირითადი თანამშრომელი გავხდე.

— დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის და გისურვებთ ყველა ბანკის კარი ისევე ღია ყოფილიყოს თქვენთვის, როგორც ჩვენი „ბანკისა".

ესაუბრა დოდო ნიენიავაძე, „ბანკი", 1.6.1993

გადავარჩინოთ განათლება — გადავირჩინოთ თავი

— ბატონო თამაზ, ლიტერატორი, მეცნიერი, პედაგოგი და ჟურნალისტი ბრძანდებით. რომ იტყვიან, საქმე თავზე საყრელად გქონდათ, თანაც — საყვარელი, თქვენი მონოდების საქმე... ხომ არ ნანობთ, ახალი უღელი რომ დაიდგით და მინისტრობაზე დათანხმდით?

— არ ვნანობ... განა იმიტომ, თითქოს დარწმუნებული ვიყო, ამ ჩემი მინისტრობით მთებს შევძრავდე; ბევრს და უცებ ვერ დაგპირდებით — ასეთი ჯადოსნური კვერთხი არავისა აქვს, ოლონდ, რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, თავს არ დავზოგავ. მოგეხსენებათ, განათლების სფეროს მსახურება ძალზე უმადური, მაგრამ, ალბათ, ყველაზე უფრო საღვთო საქმეა. დიდი თანამდებობა არასოდეს მკავებია; არის ასეთი ჟურნალი — „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" („ბალავერი"); მისი რედაქტორი გახლდით და 25 წელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგი ვარ. ეს იყო და ეს... თუმცა, კაცმა რომ თქვას, უნივერსიტეტის ლექტორობაზე უფრო დიდი პოსტი აღმზრდელ-პედაგოგისათვის სხვა რა უნდა იყოს... ვიმეორებ, ადმინისტრაციულად გამორჩეული თანამდებობა არასოდეს მჭერია, მაგრამ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი სფეროების მართვა ჩემთვის მთლად უცხო ხილი არ გახლავთ — სხვა თუ არაფერი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თანაპრეზიდენტი ვიყავი. განათლების სისტემას კარგად ვიცნობ, ამიტომაც განვაცხადე განათლების მინისტრად ჩემი დამტკიცებისას — ყველაზე მძიმე პორტფელი მე მერგო-მეთქი. ისე, როდესაც მინისტრობა პატივი და დიდება უფრო იყო, მაშინ მე არავის გავხსენებივარ და ესეც სრულიად ბუნებრივი გახლავთ. მაგრამ დღეს, ფაქტობრივად, ვომობთ და დღევანდელი მინისტრები უფრო ზვარაკები არიან, ტყვიას შუბლშეშვერილი ხალხი; ამიტომაც დღეს ამ „ტკბილ-მწარე" უღელზე უარის თქმა ჩემი მხრივ უზნეობა იქნებოდა... დავთანხმდი და ამას არცა ვნანობ.

— დიდი ძალისხმევა დასჭირდა სკოლის ახალი კონცეფციის შექმნას, რომელმაც ფაქტობრივად უნდა განსაზღვროს განათლების სახელმწიფოებრივი პოლიტიკა და სტრატეგია საქართველოში. დაახლოებით როდის ამოქმედდება ახალი კონცეფცია?

— მალე, მაგრამ დროულად. ეს ერთი და იგივე არ გახლავთ. რეფორმის დრო კარგა ხანია დამდგარია, მაგრამ ყოველი რეფორმის განხორციელებას ფსიქოლოგიური მომზადება და ეკონომიკური უზრუნველყოფა სჭირდება. ეს რეფორმა ხომ მთლიანად განათლების სისტემას ეხება. აქ ლაპარაკია არა მარტო სამინისტროს აპარატსა თუ სამეცნიერო ინსტიტუტებში დასაქ-

მებულ რამდენიმე ასეულ ადამიანზე, ლაპარაკია ასეულ ათასებზე, განათლების უზარმაზარ ქსელზე, რომელიც, ფაქტობრივად, მთელ საქართველოს მოიცავს. ვინ არის, რომ განათლებასთან პირდაპირ ან ირიბად არ იყოს დაკავშირებული? საქართველოში ან სწავლობენ, ან ასწავლიან... ჭკუას, ყოველ შემთხვევაში, ყველა ისწავლება... ასე რომ, ჩვენში განათლების რეფორმა ამავე დროს სოციალური რეფორმის ტოლფასია... შესაბამისად, მისი გატარება ძალზე მტკივნეული პროცესი გახლავთ.

პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. მაგალითად, განზრახულია, ქუთაისის სკოლებში რეფორმის ერთი ეტაპი უკვე მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელდეს.

— უმრავლესობას სწავლა არ სურს, არც მოსწავლეს, არც სტუდენტს. ეს მხოლოდ ზნეობრივ ღირებულებათა დევალვაციის გამო ხდება?

— ვერ დაგეთანხმებით, თითქოს უმრავლესობას სწავლა არ სურდეს; პირიქით, სტუდენტებს კარგი ლექციის მოსმენა, მოსწავლეებს კარგ გაკვეთილზე დასწრება მოენატრათ. როდესაც გაკვეთილების გაცდენა რისკთან და უსიამოვნებასთან იყო დაკავშირებული, მაშინ იზიდავდა იგი ზოგიერთ მოსწავლეს, თორემ დღეს „შატალომ" ბევრგან უკვე დაკარგა აკრძალული ხილის გემო. ამიტომ, პირველ ყოვლისა, სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს სკოლაში ნორმალურად — გაკვეთილი გაკვეთილს დაემსგავსოს. ვიცი, რომ ამას ბევრი რამ სჭირდება, დაწყებული იმით, რომ მასწავლებელი მშიერი არ შედიოდეს გაკვეთილზე, და დამთავრებული თუნდაც იმით, რომ ზამთარში მოსწავლე ხელთათმანიანი ხელით არ წერდეს საკონტროლოს. ეს ასეა, მაგრამ, მეორე მხრივ, სკოლაში უნდა სუფევდეს შესაბამისი განწყობილება, უნდა იყოს ორმხრივი დაუოკებელი წყურვილი, რომ გაკვეთილი ჩატარდეს, რომ ცოდნა ერთმა გადასცეს და მეორემ მიიღოს... ასეთი წყურვილი კი, ჩვეულებრივ, ომიანობისა და საყოველთაო გაჭირვების ჟამს ეუფლება ერს, თუ ერი ერობს... ახლა, რაც შეეხება ზნეობრივ დეგრადირებასა და გადაგვარებას — რასაკვირველია, ეს ყველაფერი სკოლაზეც მოქმედებს... ნურვინ იფიქრებს, რომ სკოლა სტერილური სახით შეიძლება შევინახოთ: უზნეობით გაუდაბურებულ საქართველოში სკოლა ზნეობრიობის ოაზისი ვერ იქნება. ჩვენც გვინდა, რომ ეგრე იყოს, მაგრამ რეალობას თვალი გავუსწოროთ. უნდა დაიწყოს საერთო-ეროვნული შემობრუნება ზნეობისაკენ, სახელმწიფოებრივი მორალისაკენ... ეს კია, რომ ზნეობრივი აღორძინება სწორედ სკოლიდან უნდა დაიწყოს.

— თუ შეიძლება, ფასიანი სწავლების შემოღებაზეც ბრძანეთ. მართლაც იგეგმებოდა საყოველთაო ფასიან უმაღლეს განათლებაზე გადასვლა?

— ეს გახლდათ ნაწილობრივ ფასიან სწავლებაზე გადასვლის პროექტი; იგი, ფაქტობრივად, თვითონ მთავრობამ დაიწუნა. ახლა ჩვენ ვადგენთ

ახალ პროექტს, რომელშიც ფასიან სწავლებას თავისი ადგილი ექნება, მაგრამ არა ისე, რომ მან მთლიანად ჩაყლაპოს უფასო განათლება სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში. ეს დაუშვებელია, და არა მარტო სადღეისოდ, — სამომავლოდაც: ეკონომიურად ძლიერი, კულტურული, ცივილიზებული ქვეყნები ყოველთვის ისე აგებენ განათლების პოლიტიკას, რომ ხელმოკლე, მაგრამ ნიჭიერსა და მონდომებულ ახალგაზრდას შეეძლოს უმაღლესი განათლების მიღება. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ საქართველო ამ მხრივ გამონაკლისი იყოს.

— საზოგადოებრიობაში არაერთგვაროვანი აზრია ფასიან უმაღლეს სასწავლებლებთან დაკავშირებით. ზოგს ეს ეროვნულ უბედურებადაც მიაჩნია...

— ამის შესახებ რამდენჯერმე საჯაროდაც გამოვთქვი აზრი: ჩემი დამოკიდებულება უკონტროლოდ გავრცელებულ ფასიან სასწავლებლებზე მკვეთრად უარყოფითია.

— ბატონო თამაზ, რა ხანია, რესპუბლიკაში ყველა ტიპის სასწავლებლის დეპოლიტიზაცია მოხდა. რა დასამალია და, სხვადასხვა პოლიტიკურ პოზიციაზე მდგომი პედაგოგები ზოგან მოსწავლეთა თანდასწრებით ერთმანეთს პოლიტიკური სახის პრეტენზიებს უყენებენ. უფრო მეტიც, ცდილობენ მონაფეები თავიანთ თვალსაზრისზე გადმოიყვანონ; ეს კი, ბუნებრივია, სასწავლო პროცესზე ცუდად მოქმედებს. თქვენ როგორ უყურებთ ამ მოვლენას?

— მასწავლებელმა გაკვეთილზე საგნის შესახებ უნდა ისაუბროს; დავილუპებით, თუ სკოლას პოლიტიკური ჭიდილის ასპარეზად ვაქცევთ... საერთოდ, პოლიტიკაზე მოსწავლეებთან მსჯელობა გაკვეთილის დროს მხოლოდ უზნეობა არ არის — დაახლოებით ისეთივე ქმედებაა, გასტრონომში გამყიდველმა ყველის ნაცვლად რომ რიყის ქვა აგინონოთ. ჩვენ ვიბრძოდით დემოკრატიული სახელმწიფოსთვის; დემოკრატია კი თავისუფლებას გულისხმობს და არავის აქვს უფლება აზროვნების საკუთარი წესი და თავისი სიმპათია-ანტიპათია სხვას მოახვიოს თავზე... ამიტომ მასწავლებელს შინ, თავის სამუშაო კუთხეში, დომუხოვსკის სურათი უკიდია თუ იაკობ გოგებაშვილისა, ეს, დე, მის სინდისზე იყოს: არავის აქვს-მეთქი უფლება სხვის სულში ხელების ფათურისა, და ჩვენ, სამინისტრო, ბოლშევიკებისათვის დამახასიათებელ „ტვინის გამორეცხვის" ყოველგვარ მეთოდს ნინ აღვუდგებით. მაგრამ ასევე მინდა ყველამ იცოდეს, რომ დამხობილი ხელისუფლების მომხრეობა ხელშეუხებლობის ინდულგენცია ვერა და ვერ იქნება პროფესიულად უსუსურთათვის; ამას წინათ ერთი რაიონის გამგებელი შემომჩიოდა, ჩვენი განათლების განყოფილების გამგე ორპწკარიან განცხადებას ისე ვერ დაგინერთ, შიგ ათი შეცდომა მაინც რომ არ დაუშვას, მაგრამ „ზვიადისტია" და, რა ვქნა, სამსახური რომ დავატოვებინო, ამას პოლიტიკურ სარჩულს დაუდებენო.

ვიმეორებ, მასწავლებელი, პირველ ყოვლისა, ფასდება პროფესიონალიზმით; ოღონდ მასწავლებლის პროფესიონალობა მის ზნეობასაც მოიცავს. უზნეო კაცი შეიძლება ჩინებული ხარატი ან ქიმიკოსი იყოს, მაგრამ იგი კარგი მასწავლებელი ვერ იქნება. ერთი მიბრძანეთ, ზნეობის რა ჩარჩოში თავსდება გახურებული ომისა და, ფაქტობრივად, საგარეო აგრესიის პირობებში სამოქალაქო დაუმორჩილებლობისკენ მოწოდება? მეტიც რა უნდათ საქართველოს მტრებს — ამ შემთხვევაში აფხაზ სეპარატისტებს, ჩრდილოკავკასიელ კონფედერანტებს ან რუსეთის პარლამენტსა თუ „ქორებს"? შევარდნაძე გადავაყენოთო — აფერუმ, ჟირინოვსკისა და არძინბას, შანიბოვისა და ნოვოდვორსკაიას „ხელის ბიჭებო" და პირის ფარეშნო, ღრმადმიმწვდომარე პოლიტიკოსებად რომ მოგაქვთ თავი... ეტყობა, ახალი სამოქალაქო ომი მოსწყურდა, ახალი სისხლი და გვამები, იმ ძალებს, რომლებიც ცხრა აპრილის მონამეთა სისხლზე ამოჯეჯილდნენ... ნურას უკაცრავად, ჩვენი შვილების გვამებს სახელისუფლო ტახტის საფეხურებად ხალხი უკვე აღარ დაგიგებთ.

— ამას წინათ რედაქციაში აღელვებულმა მშობელმა დარეკა: თბილისის N 3 ქართულ გიმნაზიაში მასწავლებელს მეოთხეკლასელებისთვის იგავ-არაკ „მგელი და კრავის" ახსნისას, ექსპრეზიდენტი კრავისთვის შეუდარებია, მგელი კი — სახელმწიფოს მეთაურიაო...

— მე იმ პედაგოგს ვურჩევდი, ძალიანაც ნუ მოინდომებს ყოველი იგავის სწავლებისას ბავშვებს თავში ჩაუჭედოს, მგელი შევარდნაძეა, გამსახურდია კი — ამ მგლის მოწინააღმდეგეო. სხვა თუ არაფერი, „მგელი და ვირის" სწავლებისას უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ისე, იმას, რაც თქვენ გაგიგიათ (თუკი ასეთი რამ ვისმე ფანტაზიის ნაყოფი არ არის), უეჭველად გაიგებდა ამ სკოლის დირექტორიც და მეც, კაცმა რომ თქვას, ასეთ შემთხვევაში პრეტენზია უფრო მის მიმართ მექნებოდა, ვიდრე უშუალოდ პედაგოგისადმი.

— სპონსორობამ თქვენს სფეროში როგორ მოიკიდა ფეხი?

— ისე არა, როგორც საჭიროა. არადა, ასე მგონია, ქართველობას ერთი რომ შეეუძახოთ — განათლება განსაცდელშია და არიქა, ჯიბეზე კაციო — იქნებ მართლაც დაგვდგომოდა საშველი... განათლების გადარჩენა ხომ იგივე თავის გადარჩენაა.

— სიახლეებზეც გვიბრძანეთ რამე.

— მასწავლებლის ყოველდღიური შრომა უჩინარია და ნაყოფის გვიან გამომღები. ასეთივე უნდა იყოს შესაბამისი სამინისტროს საქმიანობაც... სიახლე და რეფორმები ჩვენი თვითმიზანი ვერ იქნება... ჯერჯერობით, არც თავის მოსაწონებლად გვაქვს საქმე, რომ ბუკ-ნაღარით ქვეყანა შევძრათ, შემოგვხედეთ, როგორი მაგარი ბიჭები ვართ და როგორ გარდავქმენით მთელი განათლების სისტემაო... როდესაც სათქმელი და თუნდაც დასატ-

რაბახებელი ამ მხრივ მექნება, ყოველთვის გავიკვლევ გზას ეკრანისკენაც და გაზეთის ფურცლებისკენაც. ჯერჯერობით კი, მთლად თავზე რომ არ დაგვემხოს ეს დაბზარული და მოყანყალებული განათლების შენობა, პირველ ყოვლისა, უნდა ყველანი „დღიურ მუშაკებად" ვიქცეთ... სანამ მაღალ სფეროებში შევინავარდებდეთ და XXI საუკუნის სკოლის მოდელზე მსჯელობით ენას დავიღლიდეთ, ჯერ, მოდით, სასწავლო პროცესის იმ დონეს მაინც მივაღწიოთ, რომელიც თუნდაც ამ ხუთი წლის წინ გვქონდა...

და მაინც, არის სიახლეებიც; მაგალითად, საქართველოს სკოლებში მალე დაინერგება ახალი საგნები — ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაცია, ეკოლოგია, რელიგია და კულტურა... „დაწყებითი სამხედრო მომზადება" შეიცვალა „ადამიანთა უსაფრთხოების დაცვის საფუძვლებით". ამ საგნით შეისწავლება ეროვნული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ტექნიკაც და სამხედრო საქმის ელემენტებიც.

— როგორია განათლების სამინისტროსა და პარლამენტის შესაბამისი კომისიის ურთიერთობა?

— საქმიანი და კოლეგიალური... თუმცა ამ კომისიაშიც არის ხალხი, ვისაც უნდა თავისი უსაფუძვლო პოლიტიკური ამბიციები პედაგოგიკაში რევოლუციონერობით დაიკმაყოფილოს. მაგალითად, მე მიჭირს ვეკამათო სასკოლო განათლების ქვეკომისიის თავმჯდომარეს, ვინც უაპელაციოდ აცხადებს — „სამინისტროს ამ მიმართულებით ერთადერთი იდეა აქვს — აღადგინოს ძველი სკოლა"... („თბილისი", N 109, 16 ივნისი, 1993 წ.). ისე, მაინტერესებს, ამ ჩვენს ერთადერთ „იდეა-ფიქსში" ძველი სკოლის მაინც რომელი მხარის აღდგენას ვესწრაფვით — პიონერულ-კომკავშირული ორგანიზაციისას თუ, უფრო შორეული წარსულიდან — „როზგების" მეთოდისას?

— ბატონო თამაზ, მკითხველს უთუოდ აინტერესებს განათლების მინისტრი სამსახურსა და „ეკრანს" მიღმა. თანაც პოპულარული ხალხის პირადი ცხოვრება ჟურნალისტებისთვის კარგი „საკბილოა"...

— მართალსა ბრძანებთ, თუმცა ქართველები ზოგჯერ, ცოტა არ იყოს, ჭარბი ინტერესით ვიმზირებით სხვისი „კარის ჭუჭრუტანაში"; ამით მეც დავზარალებულვარ, მაგრამ, მეორე მხრივ, ჭორის ობიექტად რომ იქცე, საზოგადოებას რამედ უნდა უღირდე; ამიტომ ამ ბოლო ხანებში იმუნიტეტი გამოვიმუშავე და ეს მითქმა-მოთქმა აღარც მაღიზიანებს, თუმცა, ცხადია, არც მსიამოვნებს.

— მაგალითად, ახლაც დაირხა ხმა — განათლების მინისტრი სხვაგან გადაჰყავთო...

— აბა რა მოგახსენოთ, განათლების მინისტრთა ცვლის ტემპით თუ ვიმსჯელებთ (მერვე ვარ ბოლო სამი წლის მანძილზე), ამ პოსტზე ყოფნა გამიჭიანურდა კიდეც...

საერთოდ კი — დაფარული ცხოვრებით არასოდეს მიცხოვრია... ანდა, რა უნდა დავფარო: თითქმის ოცი წელია, რომ იტყვიან, ხელისგულზე ანუ ცხვირწინ, ეკრანზე, ვუჯექი საქართველოს, ტელეობიექტივის მომტყუებელი კაცი კი, ჩემი აზრით, ჯერ არ დაბადებულა... ასე რომ, ჩემი შინაგანი ბუნება კარგა ხანია ტელემაყურებლისათვის უკვე გაშიფრულია...

რაც შეეხება შინაურობას, ჩვეულებრივი, ტრადიციული ოჯახი მაქვს. მყავს მეუღლე, სიდედრი, სამი ქალიშვილი, ორი შვილიშვილი — ისინიც გოგონები... ერთადერთი, სიძეებში გამიმართლა: სამივე ბიჭია... მეგობრები არ დამიკარგავს, ვინაიდან ისინიც კი, ვინც, საუბედუროდ, წავიდნენ, მაინც ჩემთან არიან. მყავს უფროსი ძმა. თქვენ ჩემს პოპულარობაზე ბრძანეთ, მაგრამ ვერა-ვაკის მასშტაბით მე მაინც ვრჩები „სულიკოს ძმად" და ეს მეამაყება.

— უკაცრავად, მაგრამ თქვენზე ამბობენ, ცოტა პირქუში კაციაო...

— აბა, რა გითხრათ... შეიძლება... მეც ვატყობ, რომ ხანდახან ნამეტნავად „ეკლიანი" ვარ — ვიჩხვლიტები. ისე, პოეტ ტუვიმს უწერია: ყველაზე გულჩვილი ზღარბია...

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

— გმადლობთ.

ესაუბრა ბელა ლომთაძე „საქართველოს რესპუბლიკა", 19.6.1993

თუ გადაგვარჩენთ — გადაგარჩენთ

— წელს განსაკუთრებულად საგრძნობი გახდა ახალგაზრდა პედაგოგთა დენა სკოლიდან. ძირითადად მიდიან მამაკაცები, მიდიან, ბუნებრივია, კომერციაში.

— კომერციაში არა მხოლოდ მამაკაცები მიდიან სკოლიდან, არამედ — ქალებიც. მამაკაცს თითქოს მეტი მარიფათის გამოჩენა შეუძლია ამ საქმეში, მაგრამ როგორც ბოლო წლების მოვლენებმა დაადასტურა, მარიფათსმოკლებული არც ჩვენი ქალბატონები ბრძანებულან.

რაც შეეხება მამაკაც-მასწავლებლის პრობლემას სკოლაში, იგი ძალზე მტკივნეული იყო ყოველთვის. თუმცა 5-6 წლის წინ ამ მხრივ ერთგვარი სასიკეთო შემობრუნება დაიწყო. ეს თვითგადარჩენის ინსტინქტის გამოვლენას ჰგავდა — ერმა, საზოგადოებამ, ალბათ, ინტუიციით იგრძნო, რომ არ შეიძლება ბავშვი ნამდვილ მამაკაცად და ქალიშვილად ჩამოყალიბდეს, თუ მას სასწავლო-აღმზრდელობითი ურთიერთობა სკოლაში მხოლოდ ერთი სქესის ნარმომადგენელთან, ამ შემთხვევაში, ქალებთან, ექნება. პიროვნე-

ბად ქცევის პროცესი ძირითადად თვალნათლივი მაგალითებით, უფროსებზე დაკვირვებით ხდება. მამაკაცური ბუნება გოგონებმაც და, განსაკუთრებით, ვაჟებმა კაცთან ურთიერთობაში უნდა შეიცნონ, არადა ჩვენს ბავშვებს ამის საშუალება არამცთუ სკოლაში, ხშირად შინაც არა აქვთ (მამათა დიდი ნაწილი სამსახურის შემდეგ სხვა საქმეებითაა დაკავებული და ბავშვი მას მხოლოდ ძილის წინ თუ ნახულობს)... უკაცოდ გაზრდილი ბიჭი კი, ჩვეულებრივ, ვერ კაიკაცობს...

ეს იგრძნო-მეთქი საზოგადოებამ და ამ რამდენიმე წლის წინ დაინყო ახლად უმაღლესდამთავრებული ვაჟებისა და ახალგაზრდა მეცნიერების შემობრუნება სკოლისაკენ. მაშინ ჩვენც, საშუალო ასაკის ხალხიც, ჩავერთეთ ამ პროცესში. ასე შეიქმნა განთქმული „გერმანული" სკოლაც, სადაც მასწავლებელთა ლამის ნახევარზე მეტი მამაკაცი იყო.

ახლა, რაც შეეხება მასწავლებელთა „მიგრაციას" კომერციაში — კომერციას და ბიზნესს დღეს საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს... საქართველოს გადაარჩენს პედაგოგი, მაგრამ თავად პედაგოგი ბიზნესმენმა, კომერსანტმა, მეურნემ უნდა გადაარჩინოს. მამაკაცებო, ყველაფერი მიატოვეთ და სკოლას მოაშურეთ-მეთქი, დღეს ამ ლოზუნგის საქმედ ქცევა გამიჭირდებოდა თუნდაც იმ მიზეზით, რომ ხუთი ათასი კუპონით თავმოყვარე კაცი ოჯახს ვერ შეინახავს. მოკლედ, დღეს სკოლაში ღვნა ზნეობრივი გმირობის ტოლფასია (ღვნა-მეთქი, და არა „კაზიონური" სამსახური!). ისე, ასპარეზი თვითდამკვიდრებისათვის ცხოვრების ყველა სფეროში არსებობს და ნუ მივიჩნევთ მამაკაცები, რომ საკლასო ოთახში თავის გამოჩენა სხვაზე ნაკლებ ღირსეული საქმე იყოს. სხვათა შორის, ამ საქმეს განსაცდელიც, ხიფათიც თანა სდევს. კაცმა რომ თქვას, სკოლის ასპარეზი რაღაცით ბრძოლის ველსაც ჰგავს, ოღონდ მტრად აქ ბავშვი არ უნდა აღვიქვათ. ხელჩართულ ბრძოლაზე არანაკლები ძალისხმევაა საჭირო, ყმანვილში ზეცით ბოძებული სიკეთის თესლი რომ გააღივო... სხვათა შორის, ეს საღვთო საქმე ამავე დროს აზარტულიც არის და მას ისევე სჭირდება გულოვნობა და ანგარიშიანობა, როგორც კომერციას.

— კონკრეტულად როგორ აპირებთ ახალგაზრდა კადრების სკოლაში დამაგრების საკითხის გადანყვეტას?

— მე საკითხს სხვანაირად დავაყენებდი — როგორ, რა გზით უნდა „გადავუსხათ" სკოლას ახალგაზრდული სისხლი?.. ეს ძალზე მწვავე და ადამიანურად მტკივნეული პროცესია. შეიძლებოდა გატარებულიყო რადიკალური „ქირურგიული" ოპერაცია — დანესებულიყო ასაკობრივი მიჯნა, რომლის მიღწევის შემდეგაც მასწავლებელი ავტომატურად, უგამონაკლისოდ დატოვებდა სკოლას. პედაგოგის შრომა იმოდენა სულიერ და ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვს, რომ საამისო ენერგია სამოცდაათ წელს გადაცილე-

ბულ პედაგოგს, ჩვეულებრივ, აღარ გააჩნია. მეორე მხრივ, ჩემთვის გასაგებია, რომ ხანდაზმულ პედაგოგს არ ეთმობა თავისი ადგილი საკლასო ოთახში. მასწავლებელი რომ დღეებს დაითვლის, როდის გავხდები 55 წლის და პენსიაზე გავალო, ის მართლაც არ არის სკოლაში გასაჩერებელი. მაგრამ არსებობს მეორე უკიდურესობაც, როდესაც ღრმად მოხუცი პედაგოგი ამბობს, საკლასო ოთახში, გაკვეთილზე უნდა მოვკვდე და აქედან მოსწავლეებმა უნდა გამიტანონო — და, სამწუხაროდ, ანგარიშს არ უნევს, რაოდენ დამთრგუნველად მოქმედებს მისი ფიზიკური უძლურება ბავშვის ფსიქიკაზე. ჭაღარას პატივს სცემს ბავშვი, მაგრამ, მტრისას, სიძაბუნე თუ შეამჩნია მასწავლებელს... ამიტომ, ვიმეორებ, შეიძლებოდა ასაკობრივი ცენზის დაწესება, მაგრამ სწორედ აქ არის, როგორც იტყვიან, ძაღლის თავი დამარხული: რა პირით გაუშვებ პენსიაზე პედაგოგს, რომელსაც სისხლი აქვს ჩანთხეული სკოლაში, 2500-3000 კუპონის ამარა საცხოვრებლად? ჩვენში დღეს პენსიაზე გაშვებით პედაგოგს არა მარტო სოციალურად, არამედ რეალურად შიმშილით სასიკვდილოდ ვიმეტებთ. ამიტომ პირადად მე, მარტო ჩემზე რომც იყოს დამოკიდებული, ხელი არ მომიბრუნდება, საპენსიო ასაკის მასწავლებლებს დავატოვებინო სკოლა... არადა, მეორე მხრივ, უზარმაზარ რიგში დგანან ახალგაზრდები, რომელთათვისაც სკოლებში, განსაკუთრებით — ქალაქის სკოლებში, არ არის ვაკანსია. ამიტომ ჩვენ ისე უნდა ავაწყოთ ცხოვრება, რომ სოციალურად არასრულფასოვნად არ ვაგრძნობინოთ თავი პენსიაზე გასულ მასწავლებელს. სკოლა რაღაცნაირად მაინც უნდა ინარჩუნებდეს კარგ მასწავლებლებს მათი პენსიაზე გასვლის შემდეგაც. ხომ არის კონსულტანტთა ინსტიტუტი უმაღლეს სასწავლებლებში, შეიძლებოდა სკოლაშიც გაგვეხსნა მსგავსი რამ. მივცეთ საშუალება პენსიონერ პედაგოგებს გარკვეული ანაზღაურებით ახალგაზრდა მასწავლებლებს ჩაუტარონ საჩვენებელი გაკვეთილები, „წვართონ" იმ ოსტატივით, შეგირდი რომ შემოჰყავს პროფესიაში... ვიმეორებ, მხოლოდ ჩემი გადასაწყვეტი ეს საკითხები არ არის, მაგრამ, რაც ჩემზეა დამოკიდებული, ყველაფერს ვიღონებ, რომ ახალგაზრდა პედაგოგთა თაობა მოვიდეს სკოლაში.

— არსებობს რაიმე პროექტები?

— ამ სახის პროექტები ძირითადად მუშავდება სოცუზრუნველყოფისა და ეკონომიკის სამინისტროებში, ცხადია, ყველა დარგობრივ სამინისტროსთან კონსულტაციების შემდეგ. რაც შეეხება ზოგადად განათლების დარგს, ჩვენ ერთ თვეში სახელმწიფოს მეთაურს უნდა წარვუდგინოთ დეტალური პროექტი ანუ გეგმა განათლების სისტემის კრიზისიდან გამოყვანისა.

მე არა ვარ მომხრე თვითმიზნური რეფორმებისა, რეფორმისა რეფორმის გულისათვის. მაგრამ ნათელია, რომ მძაფრი გარდატეხა განათლების სის-

ტემაში უნდა მოხდეს. გვჭირდება ახალი კონცეფცია, ახალი პროგრამა, ახალი კანონი განათლებისა. რეფორმა სხვაც არაფერია, თუ არა განათლების კონცეფციისა და პროგრამის დამუშავება, შესაბამისი კანონის მიღება და შემდგომ, ამ საკანონმდებლო ბაზაზე დაყრდნობით, განათლების სისტემის შეცვლა-გარდაქმნა. ბევრი რამ ახალ დროს უნდა მივუსადაგოთ, თუმცა აღზრდის მიზანი, კაცმა რომ თქვას, ზედროულია: სრულყოფილი — თუ ძალიან ხმამაღალი ნათქვამი არ იქნება — ღმერთთან მიმსგავსებული ადამიანის აღზრდა. ცხადია, გათვალისწინებული უნდა იქნეს აღზრდის უძველესი სისტემები — ირანული, ბერძნული, აგრეთვე ძირძველი ქართული ტრადიციები... მაგალითად, ბევრი ჩვენგანი, აკაკის „გამზრდელზე" გაზრდილნი, მორდუობის ნესსაც მოვისაკლისებთ ხოლმე: ბათუსნაირი კაცობა და საკუთარ თავზე გამარჯვება მორდუობის ინსტიტუტის დამსახურებაც უნდა იყოს, თუმცა თავად აკაკი ბრძანებს: „მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა". როგორ უნდა „გავაცოცხლოთ" მსგავსი ტრადიციები, ძნელი სათქმელია, მაგრამ ქართველის ფსიქიკაში მყარად გამჯდარი აღზრდა-სწავლების ტრადიციები უნდა შევინარჩუნოთ.

— როგორ ჯდება თქვენს გეგმებში კომერციული სასწავლებლების ქსელი?

— ფასიანი სასწავლებლების ასე უკონტროლო გამრავლებაზე იმდენჯერ დამიჩივლია, მკითხველს, ალბათ, თავიც მოვაბეზრე. ერთისა და იმავეს გამეორება მიწევს — კერძო სასწავლებლები მეტასტაზებად მოედო არა მარტო განათლების სისტემას, არამედ მთლიანად ჩვენს სოციალურ ინფრასტრუქტურას. საქართველოში 300-მდე უმაღლესი სასწავლებლიდან რამდენიმე ათეული — სამედიცინოა. გვინდა თუ არა ამდენი ექიმი, ამას არავინ კითხულობს, მაგრამ ის მაინც ვიკითხოთ, შეგვიძლია თუ არა ამდენი მედიკოსის მომზადება ჩვენი კადრებითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით? ანდა, ასეთ ვითარებაში მომზადებულ ექიმს თუ მიანდობთ თქვენს სიცოცხლეს?

— მერედა, თქვენ ვერაფერს წყვეტთ?

— ვწყვეტ, რატომაც არა: არ გამიცია და ჯერჯერობით, სანამ ამის სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებას არ დამიმტკიცებენ, არც გავცემ არც ერთ ლიცენზიას კერძო სასწავლებლის გახსნაზე. ეგ კი არა, რაც გახსნილია, იმის ატესტაციას ვატარებთ და, ის ფასიანი სასწავლებლები, რომლებმაც დაარღვიეს გაცემული ლიცენზიით გათვალისწინებული პირობები, დაიხურება.

— ისიც კი, სადაც თქვენი უმცროსი ქალიშვილი სწავლობს?

— ცხადია.

ესაუბრა თამარ წილოსანი, „დედამინა", 23.6.1993

პედაგოგს რეფორმა სჭირდება, რეფორმას — პედაგოგი

გაზეთმა „განათლებამ" შეკითხვა დაუსვა განათლების მინისტრს ბ~ნ *თამაზ კვაჭანტირაძეს*:

— რით ვიწყებთ და რით უნდა დავამთავროთ 1996-97 სასწავლო წელი?

— შარშან სწორედ რეფორმის დაძვრის წელი გვქონდა, დაძვრა კი ყოველთვის რთული საქმეა; ლოდი რა ადგილიდან დაიძვრის, მერე გამსუბუქდებაო, ტყუილად როდი ბრძანებდა სულხან-საბა. რეფორმაც დაიძრა გასულ სასწავლო წელს, დამდეგ სასწავლო წელს კი ქანი უნდა აიღოს, „გამსუბუქდეს" და მძიმე ტვირთს შეჭიდებულ პედაგოგსაც ყოფა შეუმსუბუქოს.

და აი, მივადექი ახალი სასწავლო წლის კვირაძალზე ერთ ძირითად სათქმელს: განათლების რეფორმა თვითმიზანი არაა, რეფორმა არ ტარდება რეფორმისათვის, იგი არც ხელისუფლების კაპრიზისა თუ ახირების ნაყოფია და არც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იძულებით თავსმოხვეული დაკვეთა; მით უფრო აბსურდულია მტკიცება, თითქოს რეფორმები სოციალურ სფეროებში, კერძოდ — განათლებაში — საქართველოს მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართული აქტი იყოს... პირიქით: განათლების რეფორმასა და პედაგოგთა სოციალურ დაცვას შორის ურთიერთგანმსაზღვრელი კავშირია: გავატარებთ რეფორმას — განათლების მუშაკი უკეთ იცხოვრებს; განათლების მუშაკი როცა უკეთ იცხოვრებს, რეფორმასაც უკეთ გავატარებთ. ასე რომ, პედაგოგს რეფორმა სჭირდება, რეფორმას — პედაგოგი.

წელს მასწავლებლებს ხელფასი გაუორმაგდათ. აქ მთავარი ტენდენციაა, ხელფასთა მკვეთრი მატება დაიწყო და მომავალშიც გაგრძელდება, ამ ტენდენციას მხოლოდ გაბოროტებით ლიბრგადაკრული თვალი ვერ დაინახავს. მოკლედ, ხელფასთა ამ გაორმაგებამ კიდევ უფრო დაბოღმა ისინი, ვისაც ამ ხელისუფლების პათოლოგიურმა სიძულვილმა პედაგოგიც შეაძულა, სტაბილურობაც და საქართველოც.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფართო საერთაშორისო საგანმანათლებლო კონტაქტები. საქართველოს ადგილი და ფუნქცია ევრაზიის დერეფანში, მასზე „საუკუნის პროექტის" მიხედვით ნავთობსადენის გატარება, მისი ისტორიული ფუნქციის — როგორც აღმოსავლეთის დასავლეთთან დამაკავშირებელი ხიდის — აღდგენის რეალობა ახალ და პრობლემურ ამოცანებს უყენებს ჩვენს განათლების სისტემას. ერთგვარ სატრანზიტო ქვეყნად საქართველოს გადაქცევას აქვს როგორც დადებითი, ასევე ჩრდილოვანი მხარეებიც: თუ ნაირგვარ კულტურასთან, რელიგიასთან, ენასთან გაცხოველებული კონტაქტის პირობებში ჩვენმა სახელმწიფომ არ ჩამოაყალიბა ეროვნული

იდეოლოგია და არ გაატარა ეროვნულ ფასეულობებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პოლიტიკა, ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობას და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრივობასაც, შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს. როგორ უნდა ავირიდოთ ეს საფრთხე? არამც და არამც — თვითიზოლაციით, არამც და არამც — საზღვრების ჩარაზვით, არამც და არამც — ქსენოფობიით ანუ უცხოთმოძულეობით. ისტორიულადაც დადასტურებულია, რომ თვითიზოლაცია, რკინის ფარდები და ქსენოფობია გახლავთ სწორედაც პირდაპირი გზა ეროვნული გადაგვარებისაკენ. საქართველოს, პატარა ქვეყანას, და ქართველობას, მცირერიცხოვან ერს, ისტორიული ქარტეხილები მისმა გახსნილმა შინაგანმა ბუნებამ, შემწყნარებლობამ და კონტაქტების გაბმა-დამყარების ნიჭმა გამოატარებინა და დღემდე შეანახვინა ენაც, მამულიც, სარწმუნოებაც. ჩვენი ხალხი არ ყოფილა დაკომპლექსებული შიშის სინდრომით, რომ უფრო მრავალრიცხოვან ერებთან კონტაქტი ან უფრო გავრცელებულ ენასა და კულტურასთან ზიარება მას თვითმყოფადობას დააკარგვინებდა, რადგან კარგად იცოდა და სწამდა თავისი ენის, კულტურის, სარწმუნოების ძალა და შესაძლებლობა. ეს ხაზია დღესაც გასატარებელი: აღვიდგინოთ და განვიმტკიცოთ ჩვენი ენის, კულტურის, განათლების რწმენა და ამ საფუძველზე თამამად ვიურთიერთოთ ყველა სხვა ენასა და კულტურასთან.

შარშან ითქვა — ვიწყებთ სწავლას, ვიწყებთ ნორმალურ ცხოვრებასო. წელს კი, ღვთის მადლით, ვიწყებთ ნორმალურ სწავლას, ასე რომ, ცხოვრებასაც უკეთესად ვიწყებთ.

„განათლება", 14.9.1996

ბოლო შანსი ღირსეული სიკვდილია

თამაზ კვაჭანტირაძე — *განათლების მინისტრი. დაიბადა თბილისში 1940 წლის 7 ივნისს, სამეურნეო მუშაკის ოჯახში. ჰყავდა უფროსი ძმა, რომელიც სულ ახლახან გარდაეცვალა. ჰყავს მეუღლე, სამი ქალიშვილი და ორი შვილიშვილი — ისინიც გოგონები. ხშირად ხუმრობს: „მარტო სიძეებში გამიმართლა, სამივე ბიჭები გამოდგნენო".*

დასავლური ჰოროსკოპით — ტყუპები. მფარველი პლანეტა — მერკური. ამ ნიშნით დაბადებულებს აქვთ გაურკვეველი ხასიათი. გაორმაგებული ბუნება. არიან ჭკვიანები და ცნობისმოყვარენი.

აღმოსავლური ჰოროსკოპით — დრაკონი. ამ წელში დაბადებულ ტყუპებზე ეკითხულობთ: „მრავალფეროვანია და მუდამ ელვარებს".

— ბატონო თამაზ, რამდენად ემთხვევა თქვენი ხასიათი თქვენსავე ჰოროსკოპს?

— წინათ იქნებ ნაწილობრივ ასეც იყო, ახლა კი პედაგოგი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, მქადაგებელი კაცი ჩინოვნიკად ვიქეცი და ელვარებისგან შორს ვარ.

— რომელი სკოლა დაამთავრეთ და რა ნიშნებზე?

— დავამთავრე ყოფილი მე-8, მერე მე-60-დ გადაკეთებული, სკოლა ვერაზე — „დობრი მიშკას აკადემიად" წოდებული. დავამთავრე მედალზე — პირველობის ჟინს ჩემი აზარტული ბუნებაც ერწყმოდა.

— საყვარელი საგანი და მასწავლებელი?

— მოსწავლეს ჯერ მასწავლებელი უყვარდება და მერე — საგანი. ჩემი პირველი მასწავლებელი დედაჩემი იყო, ჯერ კიდევ ღლაპს, აკაკის „ქართველ ქალს" რომ მიკითხავდა. წერა-კითხვა ჩემს სამი წლით უფროს ძმასთან ერთად ვისწავლე. სკოლაში კი გამორჩეული კვალი დამაჩინა მეცა და, ვფიქრობ, მთელ ჩემს კლასს ჯერ პირველმა მასწავლებელმა, ოლღა ბარამიძემ, შემდეგ ნინო ალექსიძემ და ბოლოს სიმონ სხირტლაძემ.

— იყავით თუ არა ჩხუბისთავი?

— სკოლაში ბიჭური ავტორიტეტი უპირატესად მუშტს ეფუძნება, მაგრამ ყოველთვის — არა. კონფლიქტებისთვის თავი არ ამირიდებია, მაგრამ ჩემი როლი გარჩევა-შერიგებით უფრო შემოიფარგლებოდა.

— დღემდე თუ შემოგრჩათ ეს თვისება?

— რამდენადმე — კი. კონფლიქტს თითქმის არასოდეს ვიწყებ, თუმცა „ხურდის" დაუბრუნებლობა მიჭირს.

— ბავშვობის ოცნება. აგიხდათ თუ არა?

— ღმერთმა დამიფაროს, მაშინ ხომ სიცოცხლეც არ ეღირება.

— პირველ სიყვარულს ხომ არ გაიხსენებთ?

— სიამოვნებით. ქვიშხეთში ვნახე. დიდი, ბრიალა, შავი თვალები ჰქონდა, მუხლს ზემოთ ხალი. ის ხუთი წლის იყო, მე — ოთხის. სულ უკან დავდევდი, თვითონ კი ზედაც არ მიყურებდა, დიასახლისის ექვსი წლის ბიჭს დასდევდა უკან. ვიტანჯებოდი — პატარების ეჭვიანობა და ვნება არაფრით განსხვავდება დიდებისაგან. გადის 30 წელი. პასტერის ქუჩაზე ჩავუხვიე და ვხედავ, მოდის ტანსრული სომხის ქალი, ცოტა შეფერთხილი, მაგრამ მაინც ეშხიანი. ხალი, ცხადია, აღარ უჩანს, მაგრამ მაინც ისაა. გავაჩერე: „სუსანა ხართ?" — ვკითხე. „ვაიმე, საიდანა მცნობთ... Я то знаю вас по телевизору და ძალიანაც მიყვარხართ..." ეჰ, ქალბატონო სუსანა, სიყვარული ის იყო, მე რომ მიყვარდით ამ ოცდაათი წლის წინათ-მეთქი.

— საყვარელი მწერალი, ნაწარმოები, პერსონაჟი?

— ჩემს საყვარელ მწერალს, ისაააკ ბაბელს, დაუწერია: „ყოველი ადამიანისათვის სრულიად საკმარისია მხოლოდ ექვსი წიგნის წაკითხვა, მაგრამ ამ

შენს ექვს წიგნს რომ მიაგნო, ათასი წიგნი მაინც უნდა წაიკითხო". მეც იმ ჩემი ექვსი წიგნის ძიების პროცესში ვარ.

— თქვენი დღის რეჟიმი?

— ურეჟიმო კაცი გახლავართ, უფრო სწორად, ვიყავი. ახლა იძულებული ვარ ჩავიჭედო რაღაც რეჟიმში.

— როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?

— საუკეთესოდ, შვილიშვილებთან.

— ამბობენ, 13 ნავსიანი რიცხვიაო, თქვენი გამოცდილება რას გეუბნებათ?

— რიცხვთა მაგიაში ნაკლებად ვერკვევი; ცამეტი და, საერთოდ, მარტივი რიცხვები, რომლებიც უნაშთოდ არ იყოფიან, უფრო ზუსტად — მხოლოდ ერთზე და თავის თავზე იყოფიან, ერთიანობის, განუყოფლობის ასოციაციას აღმიძრავენ და ამიტომაც მომწონს. თუ არჩევანზე მიდგებოდა, ცამეტს ავირჩევდი.

— რა გენატრებათ?

— წასულები. თუმცა თქვენი კითხვა, მგონი, ცუდად აღვიქვი. მეკითხებოდით — რა მენატრება? დალაგებული, აწყობილი ქვეყანა.

— როგორ ფიქრობთ, თანამდებობა რამდენად ცვლის ადამიანს და ეს რამდენად შეეხო თამაზ კვაჭანტირაძეს?

— თანამდებობამ შეიძლება კაცი წაახდინოს, სუსტი კაცი. ძლიერ კაცს კი თანამდებობა უკეთესს ხდის. ჩემი აზრით, რაც ვიყავი, იგივე დავრჩი.

— თვლით თუ არა თავს პოლიტიკოსად?

— ვიწრო პროფესიული თვალსაზრისით — ნაკლებად, ზოგადად — კი.

— თქვენთვის მისაბაძი პოლიტიკოსი?

— ბრმა მიბაძვა არც ერთ საქმეში არ ვარგა. პოლიტიკაში კი საერთოდ არანაირ მიბაძვაზე არ შეიძლება ლაპარაკი. პოლიტიკა შესაძლებლობების ხელოვნებაა, ხოლო შესაძლებლობები ვლინდება დროში და სიტუაციაში. აქ მიბაძვა არ შეიძლება.

— როგორ ფიქრობთ, თანამედროვე ქართული პრესა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები რამდენად თავისუფალია?

— თავისუფალია. მაგრამ, მაპატიეთ, ზოგჯერ „გიჟი თავისუფალიას" ასოციაციას აღმიძრავს.

— უფრო კონკრეტული თუ იქნებით, ბატონო თამაზ?

— სხვათა შორის, ამას არ ვიტყოდი მაინცადამაინც ოპოზიციურ პრესაზე. მე საერთო ტენდენციაზე მოგახსენებთ. დღესდღეობით, სამწუხაროდ, ვისაც რა მოადგება კალამზე, იმას წერს. ჟურნალისტები ახლა უცნაურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ და ხშირად უცნაურ პირობებსაც აყენებენ. თავად თავისუფლად კი წერენ, მაგრამ, ამასთან, ხელისუფლებისაგან ავტორიტარული რეჟიმისთვის ნიშანდობლივ რეაქციას მოითხოვენ: „კრიტიკული წერილი რომ დავწერე იმ კაცზე, ამ თანამდებობაზე კიდევ რატომ არისო" — ეს ხომ ძველი

მენტალიტეტის გამოვლინებაა. როგორი თავისუფალიც არის პრესა თავის მოსაზრებებში, ასევე თავისუფალი უნდა იყოს ესა თუ ის სახელისუფლო სტრუქტურა რეაგირებისას—ცხადია, კანონის ფარგლებში.

— საყვარელი გაზეთი და ტელეგადაცემა?

— სიყვარულის რა მოგახსენოთ, მაგრამ ინტერესით ვკითხულობ ოპოზიციურ პრესას, თუნდაც იმიტომ, რომ იდეურ მოწინააღმდეგეებს ვეცნობი, აგრეთვე — „ლიტერატურულ საქართველოს", „კავკასიონს"... პირფერობაში ნუ ჩამომართმევთ და ინტერესით ვეცნობი „ალიასაც", ვფიქრობ, თქვენი გაზეთი ცოცხალი გაზეთია, თუმცა, მე ჩემი აზრი მაქვს მის მიმართულებასა და მიზანდასახულობაზე. რაც შეეხება ტელეგადაცემას, ტელევიზიას ხშირად ლანძღავენ, თუმცა, ვფიქრობ, ამ მატერიალურ-ტექნიკური ბაზით რასაც აკეთებენ, ისიც სასწაულია. „ტაიმ-აუტი" მომწონს, კულტურულად გაკეთებული გადაცემაა. და, ცხადია, „პასიანსი" — ნიჭიერი ხალხია.

— უნდა ჰქონდეს თუ არა ჟურნალისტს თავდასაცავად იარაღის ტარების უფლება?

— ჟურნალისტის იარაღი კალამია. თუ ამას გულისხმობთ, თქვენ ის მუდამ ალესილი გაქვთ მარტო თავდასაცავად კი არა, თავდასასხმელადაც.

— ვინ ადგენს თქვენს ოჯახში ბიუჯეტს?

— „თაფლი იყოს, ბუზი ბაღდადიდან მოვა". თანხა ვიკითხოთ, თორემ მისი გამანაწილებელი, მეუღლიდან დაწყებული შვილიშვილებით დამთავრებული, ოჯახში საძებარი არა მყავს...

— დღეს საქართველოში რა თანხაა საჭირო ადამიანის არსებობისათვის?

— ერთხელ დავწერე და გავიმეორებ: დღეს საქართველოში ცხოვრობს ხუთი მილიონი ილუზიონისტი. სხვანაირად არ ვიცი, რა ვუწოდო ამ ფოკუსს, რომ დღევანდელი ხელფასით ხალხი, თქვენი თქმისა არ იყოს, არსებობს. არსებობს და არა — ცხოვრობს.

— თქვენი ხელფასი?

— მე, თქვენი, ჟურნალისტებისა არ იყოს, საშუალო რანგის ილუზიონისტი ვარ — 15 მილიონი კუპონი მაქვს, ახლა უკვე, ალბათ, 15 ლარი.

— როგორ შეიძლება მცირე ხანში დიდი ფულის შოვნა?

— მცირე ხანში დიდი ფულის შოვნა კი შეიძლება, მაგრამ ამას დიდი ხნით მცირე საკანში ყოფნა უნდა მოჰყვეს წესითა და რიგით.

— გიყვართ თუ არა სუფრის გაძღოლა?

— არა, მირჩევნია სიმონ სხირტლაძის, ჯანსუღ ჩარკვიანის ან თემიკო ჩირგაძის მსგავსმა ხალხმა გვითამადონ... ისე, ხანდახან მიწევს ხოლმე...

— რამდენად ასრულებს დღესდღეობით ქართული სკოლა თავის ფუნქციებს?

— იქნებ ისე ვერა, როგორც გვინდა, მაგრამ როგორც ასრულებს ამ პირობებში, ესეც სასწაულია.

— იწინასწარმეტყველეთ განათლების სისტემის ბედი უახლოესი 10 წლის განმავლობაში?

— განათლების ბედის წინასწარმეტყველება იგივე „ბედი ქართლისას" წინასწარმეტყველებაა, არადა „რომელი მეფე ერეკლე მე ვარ, ანდა რომელი მსაჯული მისი". ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ესაა: განათლება გადაგვარჩენს!

— როგორ აფასებთ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმას?

— სასიკეთოდ.

— რას იტყვით ახალ ეროვნულ ვალუტაზე? ეს კიდევ ერთი თავის მოტყუება ხომ არაა?

— ჩვენზეა დამოკიდებული. ფულიც, მთავრობის არ იყოს, ისეთი აქვს ქვეყანას, როგორსაც იმსახურებს.

— რას იტყვით ებრაელ ხალხზე? რა უნდა ავიღოთ ჩვენ მათგან?

— ბიბლიის მიხედვით, ებრაელობა ღვთის რჩეული ხალხია. რჩეულთა ხვედრი კი გამორჩეულად მძიმეა; ებრაელობისაგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება — შრომისმოყვარეობის, მიზანსწრაფვის, შეგუების, მოთმინების... და მაინც, უპირველეს ყოვლისა, ებრაელთაგან რწმენის ერთგულება უნდა ვისწავლოთ.

— ებრაელი მეგობარი თუ გყოლიათ?

— ჩვენი ოჯახი მეგობრობდა დიდებული კაცის, დავით სეფიაშვილის, ოჯახთან. შვილებიც ვცდილობთ, ეს მეგობრობა შევინარჩუნოთ.

— ახალი ჭორი საკუთარ თავზე?

— ჩემზე არა, თუ გნებავთ, რამდენიმე კაცზე გეტყვით, ჩემს ადგილას რომ ნიშნავენ.

— უკანასკნელი ანეკდოტი, რომელიც დაგამახსოვრდათ?

— ანეკდოტებს საერთოდ ცუდად ვიმახსოვრებ და ცუდადაც ვყვები, მაგრამ იდეა, მგონი, ასეთი იყო: კახელმა შიდსიანი ავადმყოფი ახტალაში წაიყვანა და ტალახში აბანავებს. აბა, ეს რას მიშველისო — ამოიკნავლა, თურმე, უბედურმა; გიშველის-არგიშველის არ ვიცი, მინას უნდა შაეჩვიოო.

— ბატონო თამაზ, რას ელით მომავალი არჩევნებისგან?

— ზოგიერთების იმედის გაცრუებას.

— ხომ არ არის მოსალოდნელი არჩევნების გაყალბება?

— ესეც ჩვენზეა დამოკიდებული — საზოგადოება რამდენად იაქტიურებს... არ უნდა გავაყალბებინოთ და, ჩემი აზრით, არც გაყალბდება.

— თქვენი ცხოვრების პრინციპი და გიღალატიათ თუ არა მისთვის?

— ვცდილობ (არ ვამბობ, აუცილებლად ვასრულებ-მეთქი) მუდამ ვიხელმძღვანელო ცნობილი შეგონებით — ნუ უზამ სხვას იმას, რაც არ გინდა, შენ გაგიკეთონ.

— ღირებულებათა საყოველთაო გადაფასებების პირობებში გვიწევს

ცხოვრება, როდესაც ყველაფერი ყირაზე დგას; რა ვქნათ, ვისწავლოთ თავდაყირა სიარული?

— მაპატიეთ, მაგრამ იქნებ თვითონ ჩვენ ვდგავართ ყირაზე და გვეჩვენება, რომ ყველა და ყველაფერი თავდაყირაა.

— დღევანდელი გადასახედიდან „კარგ ყმად ვინა ვთქვათ", ბატონო თამაზ? გვყვანან კი დღესდღეობით კარგი ყმები?

— „კაი ყმა" ზედროული კატეგორიაა. დღევანდელი გადასახედიდანაც იმაზე ითქმის, ვისზედაც გუშინ ითქმოდა და ხვალაც ითქმება — სოფლისათვის დახარჯულ კაცზე. გვყვანან? აბრძანდით, თუნდაც, საბურთალოს სასაფლაოზე და ნახავთ, გვყვანან თუ არა...

— დღესდღეობით საქართველოში არ არსებობს პოლიტიკოსთა აღზრდის ინსტიტუტი. რას აკეთებს განათლების სამინისტრო ამ მხრივ?

— ასეთი ინსტიტუტი რომ გვქონდეს, ამდენი „პოლიტიკოსი" არ გვეყოლებოდა... ამიტომ სასწრაფოდაა გასახსნელი.

— თქვენს მოღვაწეობაზე რა გავლენას ახდენს ქალის ფაქტორი?

— ვიზიარებ თვალსაზრისს, რომ კაცები ისეთები ვიქნებით, როგორებადაც ქალები დაგვაპროგრამებენ. აქ, პირველ ყოვლისა, დედას ვგულისხმობ.

— პოლიტიკა რამდენად არის ქალის საქმე და რა განსხვავებაა პოლიტიკოს ქალსა და მამაკაცს შორის?

— ტეტჩერის შემხედვარე, ცხადია, იტყვი: „ლეკვი ლომისა სწორია..." ისე, ძუ ლომი ბევრად უკეთესი მონადირეა, ვიდრე ხვადი... ქალი პოლიტიკოსი უფრო აგრესიული მგონია, ვიდრე — კაცი.

— საყვარელი ქალაქი?

— თბილისი.

— ყველას კარგად ახსოვს საქართველოს ტელევიზიით თქვენ მიერ წაყვანილი ქართული ენისა და ლიტერატურის ლექციები. არ გაგჩენიათ სურვილი ამ ტელეკურსის განახლებისა?

— მთავარია, ეს სურვილი მსმენელს გაუჩნდეს... ისე, ის ლექციები, იქნებ, მართლაც იყო სასმენლად სასიამოვნო, ჩემთვის კი ღელვა, ოფლისღვრა და ჩამწარებული კვირადღეები გახლდათ.

— რამდენად შეძელით საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა?

— არ მიფიქრია ამაზე. საერთოდ, ნაკლებად მწამს, რომ ადამიანი რაიმეს ვერ ავლენდეს. რასაც ვერ ავლენ, ის არც გქონია.

— ფარაონი, ნაგავი, ძაღლი — რა იგულისხმება ამ სიტყვებში?

— გააგრძელეთ ჩამოთვლა — „კუსოჩნიკი", „ყაყაჩო" — მაინტერესებს, რატომ უსვამთ ამ კითხვას „გალერეის" სტუმრებს — ჟარგონს გვიმოწმებთ?

— მამაკაცმა შეურაცხმყოფელს სასამართლოში უნდა უჩივლოს, თუ პირადად გაურჩიოს საქმე?

— შეურაცხმყოფელს გააჩნია, სასამართლოს გააჩნია და მამაკაცს გააჩნია. ქრისტე ბრძანებს: ერთ ლოყაზე რომ შემოგკრავენ, მეორე მიუშვირეო, მაგრამ ცხელ გულზე თვით ანტიოქიის პატრიარქმაც კი სილის შემომკვრელს, შეიძლება, იქით ისეთი გაულანუნოს, რომ...

— როგორი მუსიკა გიყვართ?

— დოჩანაშვილისა არ იყოს — კარგი, მაგრამ იმ კარგ მუსიკაშიც ქართულ ხალხურ სიმღერებს გამოვარჩევდი.

— თქვენი ოცნების ქალი?

— თუ კაცად ვარგიხარ, შენი ოცნების ქალის სუნთქვა შენს ბალიშს უნდა გითბობდეს.

— თქვენს შემთხვევაში მასეა?

— მასე გახლავთ... ჩემი ოცნების ქალი ჩემს სამზარეულოში დაფუსფუსებს.

— როგორ უყურებთ საყვარლის ყოლის პრობლემას?

— წმინდა ქართული პოზიციებიდან: კაცისგან — შემწყნარებლურად, ქალისგან — შეუწყნარებლად.

— რომელი მანქანა მოგწონთ და რომელი გყავთ?

— მომწონს, ცხადია, „ფირმა" მანქანები, მაგრამ ჩემთვის — არა: ვერ მოვუვლიდი. ისე, კაი შელანძღული „07" მყავს.

— რომელი ცეცხლსასროლი იარაღი მოგწონთ და რომელი გაქვთ?

— მაქვს „პსმ"-ი, რომელიც არ მომწონს; მომწონს „ჰაიპაუერი", მაგრამ არა მაქვს.

— საყვარელი საჭმელი და სასმელი?

— სადღაა თორემ, თევზეული მიყვარს, კიდევ ხინკალი. სასმელებიდან — ლუდი.

— კურიოზი თქვენი ცხოვრებიდან?

— კარგა ხნის ამბავია. ჟურნალ „ბალავრის" რედკოლეგია სამეგრელოში მიგვიპატიჟეს. დავდივართ რაიონიდან რაიონში, ვხვდებით მკითხველებს, ვმსჯელობთ, ვკამათობთ. შემდეგ სუფრები — მოგეხსენებათ მეგრელების მასპინძლობა. ბოლო პუნქტი სენაკია. დილით აუცილებლად თბილისში უნდა ვიყოთ. ენერვიულობთ — მატარებლის ბილეთები არა გვაქვს აღებული, მასპინძლები კი არ გვიშვებენ. ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარეს ჩვენი ნერვიულობა სასაცილოდ არ ყოფნის — კუპეს კი არა, მთელ ვაგონს აგიღებთო, — გვამშვიდებს. როგორც იქნა, გავედით სადგურში. სალაროსთან ვინ მიგიშვა, თვითონ შევიდა მოლარესთან, ნირწამხდარი გამოვიდა — არც საერთაშორისოს, არც „პლაცკარტის" და არც საერთოს ბილეთები არა აქვთო. ღმერთს არ სდომია თქვენი წასვლა, სუფრაზე უნდა მივტრიალდეთო. კოტე გაბაშვილმა განზე გამიხმო, მე ამათ პერონზე გავიყვან, შენ სალაროსთან მიდი, ოლონდ თავი შეყავი შიგ და ისე მოსთხოვე ბილეთებიო. ასეც ვქენი, შევრგე თავი სალაროში და თბილისამდე ოთხი ფეხზე დგომის ბილე-

თი მოვითხოვე — „უიმე, ბატონო თამაზ, რაღაი თქვენი ხმა ცოცხლად გავიგონე, დასადგომს კი არა, აგერ ორი კუპე საერთაშორისო, ოღონ, ჩვენს აღმასკომის თავმჯდომარეს არ დაანახოთ, წეღან უარით გავისტუმრე, ვიღაც მთვრალებისთვის მთხოვა ბილეთები"-ო, — მიპასუხა მოლარემ.

— თქვენი ხასიათის დადებითი და უარყოფითი თვისებები?

— თვითანალიზი ხშირად სუბიექტურია, ამიტომ სჯობია შენს ღირსებასა თუ ნაკლზე სხვამ ილაპარაკოს. ისე, რასაც ხშირად ამბობენ და მეც შემიმჩნევია, ესაა ზედმეტი სიფიცხე, ახირებამდე მისული ჩემი სიჯიუტე, უფრო — თავისნათქვამობა... მაგრამ, მეორე მხრივ, ძალიან გამძაფრებული სამართლიანობის გრძნობაც მაქვს.

— საყვარელი ფერი?

— შავი და თეთრი.

— აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ კონსერვატორი ბრძანდებით?

— ალბათ, თუ ეს ამას ნიშნავს. ისედაც, უფრო კონსერვატული ხასიათი მაქვს. ძალიან მიჭირს ყველანაირი მდგომარეობის შეცვლა.

— რას ვერ აპატიებთ ადამიანს?

— პატიების უნარის არქონას.

— როდის მიმართავთ ტყუილს?

— როდესაც ეს ტყუილი ჩემსავე თვალში არ დამამცირებს. ესეც ჩემი ხასიათიდან გამომდინარეა — ლამის პატივმოყვარეობამდე თავმოყვარე ვარ.

— რა არის ადამიანის ბოლო შანსი?

— ბოლო შანსი ღირსეული სიკვდილია.

— ღმერთი გწამთ?

— ძნელი კითხვაა, მაპატიეთ, მაგრამ, მგონი, ცოტა ტაქტიც აკლია — ეს იმდენად ინტიმური სფეროა ადამიანისა... ინტუიციურად — მწამს, როგორ არა მწამს, მწამს შინაგანად, მაგრამ, სამწუხაროდ, ეკლესიურად ვერ ჩავითვლები.

— აღსარება თუ გითქვამთ ოდესმე?

— ცალკე მღვდლისთვის არასოდეს, მაგრამ ვცდილობდი, აღსარების მაგვარი რამ მეთქვა ყოველ კვირადღეს საქართველოსთვის.

— რას უსურვებთ ბატონ თამაზ კვაჭანტირაძეს?

— ყოველივე კარგს; რასაც სხვას ვუსურვებ, იმასვე ვუსურვებ საკუთარ თავსაც, არაფერს დავიკლებ.

— რამდენად გულწრფელი იყავით?

— ალბათ, ზოგიერთ რაღაცაში ბოლომდე გულწრფელი არ ვიყავი. არც არის ეს, ალბათ, საჭირო... ყველაფერი არ მითქვამს, მაგრამ რაც გითხარით, დამიჯერეთ, გულწრფელად გითხარით.

ესაუბრა ნათია დოლიძე, „ალია საქართველოდან", N 56, 1995

არჩევნებამდე და მის შემდეგ

1. არჩევნებამდე

— ბატონო თამაზ, თუ ნებას დამრთავთ, ამჯერად არც ერთ კითხვას არ დაგისვამთ სკოლასა და განათლებაზე...

— რა ხდება, უკვე გადამაყენეთ მინისტრობიდან?

— ახლა, არჩევნებამდე — უფრო ზუსტად, ახალი პარლამენტის ამოქმედებამდე — მინისტრებმა მთლად ქვის სროლა თუ არ დაიწყეთ, ხელს, ალბათ, აღარაფინ გახლებთ... აი, პარლამენტარობა ან სულაც პრეზიდენტობა რომ მოგენდომებინათ, მაშინ კი თქვენივე ნებით მოგიწევდათ გადადგომა...

— პრეზიდენტობაო?

— რატომ გაიკვირვეთ, თქვენ ხომ წინა ციკლში თქვენი თავი პრეზიდენტობის კანდიდატად წარმოადგინეთ...

— არა, ბატონო, პოლიტიკურმა ორგანიზაციამ წარმადგინა, „თავისუფალ დემოკრატთა კავშირმა", და მაშინდელმა ოპოზიციამ (განსაკუთრებით „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება" გაისარჯა) მოაგროვა ათი ათასი კაცის პასპორტით დადასტურებული ხელმოწერა-თანხმობა.

— ვგონებ, დაახლოებით მაგდენივე ამომრჩეველმა დაგიჭირათ მხარი მაშინდელ არჩევნებზე, არა?

— დაახლოებით... ყოველ შემთხვევაში, ოფიციალური ცნობით ასე გახლდათ, სინამდვილე კი როგორი იყო, იქნებ, ამას ნათელი იგორ გიორგაძემ მოპფინოს...

— მის იმ განცხადებას გულისხმობთ, სადაც ამტკიცებს, თითქოს სათანადო ორგანოებს წინასწარ ჰქონდათ დამზადებული საარჩევნო ყუთები გამსახურდიასთვის სასურველი შედეგებით?

— მაგასაც და „დრონში" გამოქვეყნებულ ცნობასაც, რომლის მიხედვითაც იგორ გიორგაძეს შინაურულ გარემოში განუცხადებია, თუ როგორ „მუშაობდნენ" ის და მისი ზოგიერთი კოლეგა საპრეზიდენტო არჩევნებში გამსახურდიას 87 პროცენტისათვის. სხვათა შორის, იმავე წყაროდან ჩემთვის ცნობილია, თითქოს პრეზიდენტყოფილს არჩევნებში ხმების 32 პროცენტი აეღოს, ადვაძეს კი — 28. ასეა თუ ისე, მე ყველაზე უარესი შედეგი მქონდა...

— ჰოდა, მეორეჯერაც ხომ არ გეცადათ?..

— იშვიათზე იშვიათია, კაცმა მეორეჯერ სცადოს თვითმკვლელობა.

— საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხება თვითმკვლელობაა?

— კაცსა და სიტუაციას გააჩნია... პრეზიდენტობის დღევანდელ პრეტენდენტებს რომ ვუყურებ, თვითმკვლელობა კი არა, ვგონებ, ზოგი მათგანი ამ არჩევნებში დამარცხებით აპირებს აშენებას...

— მათ მზარდ პოპულარობას გულისხმობთ?

— მარტო ამას არა... ისე, პოპულარობაც არის და პოპულარობაც. კიკაზე პოპულარული კაცი ცოტა თუ იყო თბილისში, მაგრამ მასაც ჰქონდა და, სხვათა შორის, იმდროინდელ საზოგადოებასაც იმის ჭკუა, რომ კიკას პრეზიდენტობაზე არ ეფიქრა... მე ცხონებულ კიკაზე მოგახსენებთ...

— მოკლედ, თქვენი აზრით, პოპულარობა არც საკმარისი და არც აუცილებელი პირობა არ არის პრეზიდენტობისათვის?

— აუცილებელი როგორ არ არის, საცა პრეზიდენტი ნაღდად ირჩევა, იქ არაპოპულარულ კაცს არ აირჩევენ... მაგრამ — საკმარისი პირობა კი არ გახლავთ... ასე რომ ყოფილიყო, 91˚წლის არჩევნებში იქნებ რაღაც შანსი მეც მქონოდა... თუმცა, უნდა ისევ გავიმეორო, სხვაა პოპულარობა მსახიობისა, ლიტერატორისა, ყაჩაღისა თუ სექს-ბომბისა და სულ სხვა გახლავთ პოლიტიკოსის პოპულარობა. მართალია, მწერლობას და, თუნდაც, მსახიობობას ბევრი საერთოც აქვს პოლიტიკოსობასთან, მაგრამ ამან არ უნდა გვაცდუნოს: ქაღალდზე ან სცენაზე პოლიტიკის „კეთება“ სხვაა და ცხოვრებაში — სხვა, „შუა უზის დიდი მზღვარი“...

— და თქვენ ოთხი წლის წინ მაინც ცდუნდით და წახვედით ამაზე?

— ცდუნება მაშინ შეიძლება დაერქვას კაცის საქციელს, როცა თუნდაც მცირე შანსი მაინც აქვს ამ ქმედებისაგან სარგებლის მიღებისა. მე კი ვიცოდი — არჩევნებს ვინც ჩაატარებდა, პრეზიდენტიც ის გახდებოდა, მე კი „სარგებელი“ აქედან ის მექნებოდა, რომ ჩემს გულშემატკივარ-მსმენელთა საკმაოდ დიდი ნაწილის რისხვასა და სიძულვილს დავიტეხდი თავს...

— მოკლედ, ახლა ნანობთ თქვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯს?

— არამც და არამც... მაშინ იმ ძალას, იმ რეჟიმს ვუპირისპირდებოდი, რომელსაც საქართველო დაქცევისაკენ მიჰყავდა. ერთადერთი იარაღი მქონდა, სიტყვა — ამონათქვამი თუ დაწერილი — და იმით ვიბრძოდი...

— დიახ, გვახსოვს ეკრანიდან წარმოთქმული თქვენი „ანტიილია“ და „დრონში“ გამოქვეყნებული „ყვარყვარე“...

— ცუდმედიდობაში ნუ ჩამომართმევთ და — არ იყო მაშინ ადვილი ამის კეთება, პრეზიდენტყოფილის მახსოვრობის ერთ უცნაურობას თუ გავითვალისწინებთ: არ ამახსოვრდებოდა სიკეთე, ვერ ივიწყებდა წყენას.

— უკაცრავად, მაგრამ განა შევარდნაძეს ავიწყდება წყენა?

— შევარდნაძეს არაფერი ავიწყდება, მაგრამ — განსხვავებით გამსახურდიასაგან — მას, ჯერ ერთი, არ ავიწყდება სიკეთეც... და მეორე: სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მას შეუძლია დაივიწყოს პირადი წყენა. სწორედ ამიტომ ართმევს იგი ხელს არძინბას და აეროპორტში ხვდება გრაჩოვს, გამსახურდია კი სახელმწიფოს ინტერესებს უგულებელყოფს, როცა არ ჩადის მოსკოვში და არ ხვდება გორბაჩოვს, თუმცა, მერე ბუნკერიდან „ზაკვოს“ ევედრება, ხელისუფლება შემანარჩუნებინე და

„ესენგეში" შემოვალო... უფრო მეტიც — ხელისუფლების დასაბრუნებლად გამსახურდია ლამის დუდაევის „ხელის ბიჭად" იქცა: „კავკასიური სახლის" ნაცვლად „პანისლამურ მეჩეთში" მოინდომა საქართველოს შეტყუება.

— ბატონო თამაზ, მთავრობის წევრები ძალზე თავშეკავებულად გამოიყურებით ამ საარჩევნო კამპანიაში — თითქმის არ ჩანხართ პრესითა თუ ტელევიზიით; რას უნდა მივაწეროთ ეს — შიშს ხელისუფლების მოსალოდნელი ცვლილების წინაშე?

— ჯერ ერთი, მე მოვუსმინე თემურ ბასილიასა და ლადო პაპავას სატელევიზიო გამოსვლებს — შიშისა და თავის დაზღვევისა მათ არაფერი ეცხოთ... მეორეც არის და — სახელმწიფოს მეთაურის მხარდასაჭერი გამოსვლები კაბინეტის წევრებს არცთუ უსაფუძვლოდ შეიძლება ჩამორთმეოდა „ცუდ ტონად", მეტიც — მაამებლობად...

— თქვენ კი არ გეშინიათ, რომ თქვენი პოზიცია საზოგადოებამ სწორედ ასე აღიქვას?

— მეც, ცოტა არ იყოს, მეშინია ამისა, მაგრამ ერთს გეტყვით: თუ ხალხში მცირე სახელი და სიყვარული მომიპოვებია, ეს ჩემი მინისტრობით არ მომხდარა — პირიქით, თანამდებობამ ამ მხრივ ზოგი რამ დამაკარგვინა კიდეც. არავის წინაშე, მათ შორის — სახელმწიფოს მეთაურის წინაშეც, არაფერი მჭირს საპირფერო. თქვენ ბრძანეთ — „ხელისუფლების მოსალოდნელი ცვლილებაო"... თუ ასეთი ეჭვი არსებობს, მით უფრო ზნეობრივად მიმაჩნია ჩემი აზრის სწორედ არჩევნების წინ გამოთქმა და არა — შემდგომ...

— როგორ შეაფასებდით ბატონ ქართლოს ღარიბაშვილის ლოზუნგს: „ახალგაზრდა საქართველოს — ახალგაზრდა პრეზიდენტი"...

— ვეთანხმები და მხარსაც ვუჭერ...

— მაშ, გაუმარჯოს ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტს — 41 წლის ღარიბაშვილს?

— არა, შევარდნაძეს. ისაა ყველაზე ახალგაზრდა.

— ?!

— ახალგაზრდობა ჩემთვის მარტო ასაკობრივი ცნება არ გახლავთ. ახალგაზრდობა როგორც პლუსი, როგორც ღირსება, ცხადია, გარკვეულ თვისებათა სიჭარბესა და ინტენსივობას გულისხმობს, თორემ ამის გარეშე ნახევარზე მეტი საქართველო ღარიბაშვილზე ახალგაზრდაა.

— რა თვისებებია ეს?

— ჩემთვის ახალგაზრდაა, ვისაც მეტი შრომა შეუძლია, ვინც ყოველგვარი სიახლეების მიმართ მგრძნობიარეა და ვინც, შემინდონ მოხუცებმა, ბებრულად არ დაჰკანკალებს თავის დარჩენილ დღეებს, უშიშარია და სიცოცხლის დათმობა ძალუძს.

— იქნებ სხვა კანდიდატებიც აკმაყოფილებენ ახალგაზრდობის ამ თქვენეულ კრიტერიუმებს?

— უდავოდ; თუ ყველა არა — ზოგიერთი მაინც; თუ ყველას არა — ზოგიერთს მაინც. მთავარი, როგორც მოგახსენეთ, ამ თვისებათა ინტენსივობაა. შევარდნაძე ყველა ამ თვისებას ჭარბად ფლობს. პრეტენდენტთაგან მე მხოლოდ ბატონ პანტელეიმონ გიორგაძეს არ ვიცნობ პირადად, სხვებს — საკმაოდ კარგად და, სხვათა შორის, ყოველ მათგანთან კეთილი ურთიერთობა მაკავშირებს, ბატონ აკაკი ბაქრაძესთან კი — მრავალწლიანი კონტაქტი და შემდგომ ერთობლივი თანამშრომლობა რუსთაველის საზოგადოებაში: იგი ამ საზოგადოების პრეზიდენტი გახლდათ, მე — მისი რეკომენდაციით არჩეული თანაპრეზიდენტი.

— ბატონ ედუარდ შევარდნაძეს?

— ბატონ ედუარდთან პირადი ურთიერთობა 92 წლიდან მაქვს, მისი ჩამოსვლის ლამის პირველივე დღიდან, ჯერ როგორც საკონსულტაციო საბჭოს, მერე — სახელმწიფო საბჭოს, ახლა კი — კაბინეტის წევრს. ლიტერატორის პროფესია დაკვირვებაა და მეც ამ სამწლინახევრის განმავლობაში ახლო მანძილიდან ვაკვირდებოდი მას. კაბინეტის 6-7 საათიანი გადაბმული სხდომების ბოლოს მეც და ჩემზე ახალგაზრდა სხვა მინისტრებიც ლამის ვთაყვანდებით, შევარდნაძე კი შეუნელებელი ყურადღებით ისმენს და „ისრუტავს" ყოველ აზრს, ყოველ ფრაზას. ახალ იდეებს, სიახლეებს ის, რომ იტყვიან, კანით გრძნობს და, ეს სამოცდაათს მიტანებული კაცი, დღესდღეობით ყველაზე უფრო დიდი ნოვატორი და რეფორმატორია. რაც შეეხება პიროვნულ გამბედაობასა და ექსტრემალურ სიტუაციებში თავის გაწირვის უნარს, შევარდნაძის ამ ნიჭს მისი ყველაზე შეურიგებელი მოწინააღმდეგენიც კი აღიარებენ.

მოკლედ რომ მოვჭრა, შევარდნაძე არ დაბერდა... და, ეტყობა, არც დაბერდება: ბუნებამ ასე ინება. 29 აგვისტოს ტერაქტის შემდეგ მისმა მკურნალმა ექიმმა ბაადურ მოსიძემ მითხრა: აფეთქებამ არამცთუ დაცვას, ბევრს, იმ არემარეს მყოფთ, ყურის ბარაბნები დაუხეთქა, შევარდნაძეს კი ერთი სიმიც არ დაპზიანებიაო.

ისე, საქართველოზე „ძველი", „ხანიერი" უფრო ითქმის, ვიდრე — „ახალგაზრდა"; შეიძლებოდა ასეთი ლოზუნგიც თქმულიყო — „ხანიერ საქართველოს ხანიერი პრეზიდენტი!" სიცოცხლის, სიჭაბუკის, სილაღის კულტის დამამკვიდრებელ ქვეყანას, ელადას, უხუცესთა საბჭო მართავდა... და — კარგადაც მართავდა.

— და თქვენ მხარს დაუჭერდით ამ ლოზუნგს?

— რატომაც არა...

— მაშ, გაუმარჯოს ყველაზე ხანდაზმულ პრეზიდენტს — 70 წლის პანტელეიმონ გიორგაძეს?

— არა, შევარდნაძეს. ისაა ყველაზე ხანდაზმული და გამოცდილი, რამდენადაც არც ხანდაზმულობაა მხოლოდ ასაკობრივი ცნება: ვინც დღეში თხუთმეტ საათს შრომობს, ის სამჯერ უფრო მეტხანს ცხოვრობს იმასთან

შედარებით, ვინც დღეში მხოლოდ ხუთ საათს მუშაობს. ასე რომ, შევარდნაძე არა მარტო ყველაზე ახალგაზრდაა პრეტენდენტთა შორის, არამედ — ყველაზე ხანდაზმულიც.

— რა უპირველესი თვისება უნდა ჰქონდეს, თქვენი აზრით, საქართველოს პრეზიდენტს?

— იუმორის გრძნობა.

— მეხუმრებით?

— არ გეხუმრებით, სერიოზულად ვფიქრობ, რომ გამსახურდიას მარცხის ერთი მთავარი მიზეზი ეს გახლდათ — იუმორის გრძნობა არ ჰქონდა. ერთსაც მოგახსენებთ, შეიძლება კაცი უამრავი ღირსებით იყოს შემკული, მაგრამ პრეზიდენტად მაინც ვერ ივარგოს. პრეზიდენტობას სჭირდება, უპირველეს ყოვლისა, მართვის ნიჭი... ეს, ჩემი აზრით, თანდაყოლილი ნიჭია... ჩიბუხის გაწყობას ისწავლი სტალინისაგან, ქვეყნის მართვას კი ვერავისგან ისწავლი; ეს უნდა დაგყვეს ზემოდან.

— ბატონო თამაზ, რა შთაბეჭდილება გრჩებათ პრეზიდენტობის კანდიდატთა ტელეგამოსვლებისგან?

— აბა, რა გითხრათ... ბატონ აკაკი ბაქრაძის გამოსვლა-ლექციებზე ჩემი სათქმელიც გამოხატა ერთმა მეგობარმა პოეტმა: ეს იმას ჰგავს, ქართულის გამოცდაზე „გვადი ბიგვას დახასიათება" მოგთხოვონ და შენ ლამაზად ჩამოუწიკწიკო „შუშანიკის დახასიათებაო". რაც შეეხება ბატონ როინ ლიპარტელიანის ტელეგამოსვლებს, თუ მსგავს შედარებას მოვიხმობ, ეს უკვე იმას ჰგავს, მათემატიკის გამოცდაზე „ფატმანის დახასიათება" წარადგინო, თანაც, შემინდოს როინმა, ბატიფეხურით ნაწერი.

— შევარდნაძეზე რას გვეტყოდით ამ თვალსაზრისით?

— უკეთესად მეტყველებს... უკეთესად დუმს.

2. არჩევნების შემდეგ

— ბატონო თამაზ, თქვენ გსურდათ, რომ თქვენი აზრი არჩევნებსა და მასში მონაწილე „პერსონაჟებზე" არჩევნებამდე დაფიქსირებულიყო, ამიტომაც დაიბეჭდა წინა ნომერში ეს მასალა სათაურით „არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ". არჩევნებამდე სათქმელი უკვე ბრძანეთ..

— ყველაფერი — არა...

— ცხადია, მაგრამ ძირითადი სათქმელი, ეტყობა, უკვე თქვით — ახლა არჩევნების შემდგომ სათქმელზე გადავიდეთ, უფრო სწორად — არჩევნების შედეგების ანალიზზე...

— ასე ცხელ გულზე ეს ანალიზი ვერც ღრმა იქნება და ვერც — ზუსტი... მონაცემებიც ჯერჯერობით საბოლოო არაა, თუმცა საარჩევნო კომისია

აცხადებს, რომ არსებითი ცვლილებები შედეგებში მოსალოდნელი აღარ უნდა იყოს.

— მოულოდნელი იყო თუ არა თქვენთვის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები?

— არა, დაახლოებით ასეთსავე შედეგს ველოდი. სპორტულ ტერმინოლოგიას მოვიხმობ — შევარდნაძე სულ სხვა წონითი კატეგორიის პოლიტიკოსია, ვიდრე ყველა დანარჩენი; ეს დანარჩენიც არ გახლავან ერთი წონისანი, მაგრამ შევარდნაძე თვისებრივად სხვა კატეგორიისა არის-მეთქი.

— მაშინ, რატომ 73 და არა, ვთქვათ, 93 პროცენტი, როგორც წინა არჩევნებში მიიღო შევარდნაძემ?

— შემინდეთ, მაგრამ, ვგონებ, ძველი ინერციით ვმსჯელობთ ამ საკითხზე — როგორც 99,99 პროცენტს მიჩვეულები. როგორ, კლინტონი თუ 55%-ით გავიდა, ვინმეს რაიმე უკმარისობის გრძნობა გაუჩნდა ამერიკაში?

— მაგრამ, ბატონო თამაზ, თქვენივე ტერმინოლოგიით, კლინტონს იმავე წონითი კატეგორიის კონკურენტი „ეჭიდავებოდა" — ბუში...

— სწორს ბრძანებთ, მაგრამ ყველა ნორმალურ ქვეყანაში (ამ არჩევნებით კი მაინც ასეთ ქვეყანად წარმოვჩნდით), სადაც არჩევნები არაა გაყალბებული, 73 პროცენტით პირველივე ტურში პრეზიდენტის არჩევა ფაქტიურად საყოველთაო-სახალხო ნდობის გამოცხადებაა.

თანაც გაითვალისწინეთ — ფსიქოლოგიურად ხალხი, მასა თითქმის ყოველთვის სიახლის მომხრეა... ჩვენებური ანდაზა „შეჩვეულ ჭირზე" არჩევნებისას არ „მუშაობს", პირიქით, მასას ხშირად შეუჩვეველი ჭირი ურჩევნია შეჩვეულს. ამას დაუმატეთ რეალობა — უკიდურეს ეკონომიკურ გაჭირვებაში ჩაცვენილი ადამიანები, რეალური უხელფასობა, მძიმე კრიმინოგენური ვითარება — ეს ყველაფერი საკმარისზე მეტი მიზეზი გახლდათ საიმისოდ, რომ ელექტორატს ახალი ხელმძღვანელი აერჩია... მაგრამ ხალხი, ზოგი ჩვენი ტელეორატორისაგან განსხვავებით, მხოლოდ სტატიკურ სურათს კი არ ხედავს, არამედ — დინამიკურ პროცესს: ეკონომიკაში ყინული იძვრის, კრიმინოგენური ვითარება ერთგვარად იწმინდება, მოკლედ, იწყება სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა... და არჩევნებით ისიც დაფიქსირდა, თუ ვის სახელს უკავშირდება ეს პროცესები.

— რით ახსნიდით, რომ შევარდნაძემ 73% მიიღო, მისმა პარტიამ კი — მხოლოდ 23%?

— იმ სიტუაციაში, როცა უახლოესი კონკურენტი პარტიები შვიდ-შვიდ პროცენტს აგროვებენ, 23 პროცენტთან დაკავშირებით სიტყვა „მხოლოდ" ცოტა შეუფერებლად ულერს...

— მე, ბატონო თამაზ, სიტყვა „მხოლოდ" შევარდნაძის 73 პროცენტთან მიმართებაში ვიხმარე. განა ლოგიკური არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ შევარდნაძემ არა მარტო თავის კონკურენტებს, არამედ თავის პარტიასაც კი დი-

დად „გაუსწრო"? სხვანაირად „მოქალაქეთა კავშირს" მასთან მიახლოებული ხმები უნდა დაეგროვებინა.

— ასეთი ლოგიკა, შემინდეთ პირდაპირობისათვის, ცოტა არ იყოს, სწორხაზოვნად (კინაღამ წამომცდა — პრიმიტიულად) აღიქმება. ჯერ ერთი, არაკონსტრუქციული და არაკორექტულიცაა შევარდნაძის „მოგლეჯა" მისი ინიციატივით შექმნილი ორგანიზაციისაგან; მეორეც, ისევ სპორტულ ტერმინოლოგიას თუ მივმართავთ, ზოგჯერ მწვრთნელის რეიტინგი სხვაა და მისი გუნდისა — სხვა... და ესეც ბუნებრივია.

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში კი გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორიც: არჩევნებში მონაწილე ნახევარზე მეტმა პარტიებმა და პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა ოფიციალურად შევარდნაძის პრეზიდენტობას დაუჭირეს მხარი. მართალია, ეს ზოგჯერ პრაქტიკული მოსაზრებით იყო ნაკარნახევი და ხმების მოსაზიდად გამიზნული, მაგრამ, ასეა თუ ისე, შევარდნაძისთვის ხმის მიმცემი როცა „სოციალისტებს", „თანადგომას", „რეფორმატორებს", „პროგრესს", „ავღანელებს" და ზოგ სხვასაც აძლევდა ხმას, ეს ხმები ირიბულად მაინც „მოქალაქეთა კავშირისა" იყო, — რამდენადაც ეს არ გახლდათ ოპოზიციის ხმები.

— რატომ განიცადა კრახი, თქვენი აზრით, შევარდნაძის ოპოზიციამ ასე მწარედ ამ არჩევნებში?

— ისევ არაკორექტული განზოგადებაა, ჩემი აზრით, თქვენს კითხვაში. ჯერ ერთი, ოპოზიციაც არის და ოპოზიციაც. ედპ ოპოზიციაა, მაგრამ ერთ-ერთი გამარჯვებული სწორედ ეს პარტია გახლავთ. მეორეც — არჩევნებში მარცხი პარტიამ, თუ იგი მართლაც პარტიაა და არა მხოლოდ პარლამენტის „საშვის ბიურო", კრახად და პოლიტიკური მოღვაწეობის დასასრულად არ უნდა აღიქვას. ახლა ზოგი პარტიის მარცხის შესახებ: აქ ინდივიდუალურად არის განსახილველი ამ მარცხის მიზეზი თითოეული ორგანიზაციისათვის... თუმცა ზოგადად „ოპოზიციურ" მარცხზე, როგორც გარკვეულ ტენდენციაზეც, მართლაც შეიძლებოდა საუბარი. ერთი კანონზომიერება შევნიშნე შევარდნაძე-ოპოზიციის ურთიერთობაში, რაც, სხვათა შორის, ეკრანიდანაც ვთქვი, მაგრამ, ეტყობა, ჩემი ავტორიტეტი საკმარისი არ აღმოჩნდა, რომ ოპოზიციას იგი გაეთვალისწინებინა: ფაქტობრივად, ყოველთვის, როცა ოპოზიცია კონკრეტულ საკითხში თავგამოდებით ეწინააღმდეგება შევარდნაძეს, საბოლოო ჯამში ამ წინააღმდეგობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება შევარდნაძისათვის ყოველთვის უკეთესია, უკეთესია თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით. კაცს გეგონება, ოპოზიცია თავისი დაჟინებული კონფრონტაციით ისევ შევარდნაძისათვის მუშაობსო. ეოლანდისა არ იყოს, ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტადან": მე ვარ ძალა, რომელიც ბოროტებას სჩადის და სიკეთე გამოუდის.

— კონკრეტულ მაგალითებს ხომ ვერ დაგვისახელებდით?

— მაგალითები? ინებეთ: პირველ არჩევნებში ბატონ ედუარდს უნდოდა,

რომ პარლამენტართა ერთი ნაწილი მთლიანად საქართველოს მასშტაბით არჩეულიყო და არა რომელიმე პარტიიდან ან რაიონიდან. ამაში იყო თავისი ლოგიკა — პარლამენტში მოხვდებოდა ის ხალხი, რომლებიც პარტიულ სიებში თავიანთი უპარტიობის გამო წარმოდგენილი ვერ იქნებოდნენ და ამავე დროს საერთო-სახალხო მხარდაჭერითაც სარგებლობდნენ. მათ ცალკეულ რაიონში რომ ეყარათ კენჭი, შესაძლოა, რაიონულ ინტერესს გადაეწონა საერთო-სახალხო ინტერესთან შედარებით. ოპოზიციამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — ამგვარ „ელიტარულობას" არამც და არამც არ დავუშვებთო. საბოლოო ჯამში კი მიიღო საარჩევნო კანონი, რომელიც ამგვარ „ელიტარულობას" მხოლოდ ერთი პირისთვის, პარლამენტის თავმჯდომარისათვის, ე.ი. შევარდნაძისათვის, უშვებდა... არადა, ეს სახალხო ნდობის ვოტუმი რომ არ ჰქონოდა შევარდნაძეს, თავად განსაჯეთ, რამდენჯერ დააყენებდნენ მისი — როგორც პარლამენტის თავმჯდომარის — გადაყენების საკითხს.

მეორე: ოპოზიციამ სახელმწიფოს მეთაურს გადაყენება მოუნდომა; უსამართლო პრალდებებს პირადი შეურაცხყოფებიც დაემატა, შეუკვრელი ძალები შეიკვრნენ პარლამენტში და თითქოს მიზანსაც მიაღწიეს — აიძულეს სახელმწიფოს მეთაური საჯაროდ განეცხადებინა, გადამდგარი ვარო. ერთ საათში რუსთაველი გადაიჭედა — აქ განსაკუთრებული როლი ითამაშეს ეროვნულ-დემოკრატებმა — და შევარდნაძემ დე ფაქტო მიიღო ის, რაც პარლამენტისაგანვე დე იურე ჰქონდა — ხალხისაგან დადასტურებული ნდობის მანდატი სახელმწიფოს მეთაურისა... ე.ი. ოპოზიციას უნდოდა ერთი, მიიღო სულ სხვა, საპირისპირო შედეგი.

მესამე მაგალითი: შევარდნაძეს სურდა კონსტიტუციურად დაეკანონებინა ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება. ოპოზიციამ ისევ ლამის ვენები გადაიჭრა, ძალაუფლების უზურპაციის დაკანონება უნდა (არცთუ უსაფუძვლოდ შიშობდნენ — პრეზიდენტი შევარდნაძე გახდებაო), დიქტატორობას უმიზნებს, ასეთ კანონს არ გავატანინებთო... არც გაატანინეს — გაატანინეს კანონი, რომელიც ითვალისწინებს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ ხელში თავმოყრას, პირობითად, „ამერიკულ მოდელს" რომ ვუწოდებთ, და რომელზედაც შევარდნაძეს, მე მგონი, არც უოცნებია.

განა არ ღირდა, ოპოზიცია დაფიქრებულიყო ამ, ერთი შეხედვით, უცნაურობაზე და შესაბამისი დასკვნები გამოეტანა? განა არ ღირდა საერთო საქმის საკეთილდღეოდ იმის აღიარება, რომ პოლიტიკურ თამაშში ანუ ცხოვრებაში შევარდნაძე უფრო შორს და ღრმად თვლის და მოწინააღმდეგის თვით არაკორექტული სვლაც კი გათვალისწინებული აქვს?

— ბატონო თამაზ, ღრმად და შორს რომ თვლის, ამაში გეთანხმებით, მაგრამ ზოგჯერ ოცი სვლის წინასწარ გამთვლელი დიდოსტატები მეორე სვლაზე რომ შამათს იღებენ?

— გეთანხმებით, ასეც ხდება, მაგრამ ჯერჯერობით ბატონ შევარდნაძეს ასეთი „ზეკოკები" არ მოსდის. და ერთსაც გეტყვით — პოლიტიკაში იმდენად ეფექტიანი შორს გათვლა არ არის, რამდენადაც — პატიოსნად, მართლად გათვლა. შემინდოს ოპოზიციამ — მათ შორის ბევრს გულწრფელ პატივსა ვცემ — მაგრამ მას ხშირად სწორედ ეს მართლად, კორექტულად გათვლა აკლია... ოპოზიცია მაშინ დამარცხდა, როცა შევარდნაძესთან დაპირისპირება თვითდამკვიდრების პრინციპად გაიხადა... ეს უკვე მძიმე დაკომპლექსების სინდრომია და — ჩანაფიქრის საპირისპიროდ, ვნება მხოლოდ ოპოზიციისათვის მოაქვს, შევარდნაძეს კი, თქვენ წარმოიდგინეთ, გარკვეული აზრით, აძლიერებს კიდეც. თუმცა ვიმეორებ, ოპოზიციაც არის და ოპოზიციაც. საარჩევნო სტრატეგიის მიხედვით, გაერთიანებული რეს-პუბლიკური პარტია, ჩემი აზრით, შეცდა, როცა მისდამი სიმპათიით განწყობილი ელექტორატი ალტერნატივის წინაშე დააყენა: ან მე, ან შევარდნაძე. ასევე ოპოზიციურ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას კი, მართალია, შევარდნაძის მომხრედ თავი არ გამოუცხადებია, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი ნეიტრალობით გზა დაუტოვა ამომრჩეველს, მათთვისაც მიეცა ხმა და შევარდნაძისთვისაც.

3. განათლება

— ახლა, ბატონო თამაზ, ნება მიბოძეთ, პოლიტიკის სფეროდან თქვენი ამჟამინდელი მოღვაწეობის უშუალო სფეროზე, განათლებაზე, გადმოვინაცვლო...

— კი, ბატონო, ოღონდ, — განათლებაც, გარკვეული აზრით, პოლიტიკაა, ხოლო ყოველი მინისტრი, საგარეო საქმიდან დაწყებული — გარემოს დაცვით დამთავრებული, პოლიტიკოსია... უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში.

— აუცილებელია თუ არა ეკონომიკური კრიზისის ფაზაში მყოფი ქვეყნისათვის რეფორმის გატარება ისეთ ფაქიზსა და, თავისი არსით — კონსერვატულ სფეროში, როგორიც არის განათლება?

— აუცილებელი თუ — შესაძლებელი?

— აუცილებლობა, ჩემი აზრით, შესაძლებლობასაც გულისხმობს...

— გეთანხმებით და მოგახსენებთ: აუცილებელია, მეტიც — სასიცოცხლოდ არის აუცილებელი; რამდენადაც სწავლებას, განათლებას ეფუძნება ყველაფერი, მათ შორის — ეკონომიკური კეთილდღეობაც, ამდენად ნაკლებეფექტური საგანმანათლებლო პროცესი პირდაპირ „ურტყამს" ეკონომიკასაც, სოფლის მეურნეობასაც, მრეწველობასაც და ნებისმიერ სხვა დარგსა და სფეროს. ჯერ ეკონომიკურად გავძლიერდეთ და მერე მივხედავთ განათლებასო, ეს პრინციპულად მიუღებელი პოზიციაა, რამდენადაც სწო-

რედ ეკონომიკური გაძლიერებისათვის აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა განათლების სისტემის ეფექტიანად მუშაობას. ცხადია, სამოქალაქო ომისა და საყოველთაო ნგრევის პირობებში ვერც განათლების რეფორმას ჩავატარებდით სრულად და ყოვლისმომცველად, მაგრამ ამ ორი-სამი წლის მანძილზე ჩვენ თანდათან, მრავალი განსჯისა და აწონ-დაწონვის შემდეგ, ცალკეული ექსპერიმენტების დანერგვით, ზოგჯერ რეგულირების, ზოგჯერაც — თვითრეგულირების რთული გზით მაინც მივედით განათლების რეფორმის საყოველთაოდ გატარების აუცილებლობამდე, ხოლო ახლანდელმა შედარებითმა სტაბილურობამ და პირველმა სიმპტომებმა ეკონომიკის, ბიზნესის გამოცოცხლებისა, საშუალება მოგვცა განათლების რეფორმის ყოვლისმომცველი, სახელმწიფო პროგრამის რეალიზებას შევდგომოდით.

— ბატონო თამაზ, რამდენად უპასუხებს მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამა და მისი რეალიზების გეგმა" სადღეისო ამოცანებს და რანაირად, როგორი ტემპით აპირებთ მის ხორცშესხმას?

— ჩემგან, იმ სისტემის ხელმძღვანელისაგან, რომლის წიაღშიც დამუშავდა ეს პროგრამა, შესაძლოა, უხერხულიც იყოს მისი შეფასება, თუმცა ჩემი პიროვნული წვლილი მის დამუშავებაში არაფრითაა მეტი არამცთუ ამ დოკუმენტზე ახლა მომუშავე, არამედ უწინ მოღვაწე და ან გარდასულ კოლეგათა წვლილზე. და მაინც, ამის შესახებ მირჩევნია სახელმწიფოს მეთაურის პირით მოგახსენოთ, ამიტომ მისი ციტირება მომიწევს: *„პირველად მივიღე მონაწილეობა ამ დოკუმენტის განხილვაში; ეს არის დიდი შრომის, სხვადასხვა მოსაზრებათა შეჯერების, მრავალი განხილვისა და საჯარო დისპუტების შედეგად შექმნილი კოლექტიური ნაშრომი, მაღალი რანგის დოკუმენტი, რომელიც ამავე დროს მოწონებულია უცხოელ ექსპერტთა მიერ"*... აქვე უნდა ვთქვა, რომ ეს პროგრამა ღიაა მასში შემდგომი კორექტივების შესატანად.

— თქვენი კონცეფციის გახსნილობის ამგვარი დეკლარირება თქვენს ოპონენტებს იმის საშუალებას ხომ არ მისცემს, რომ ამ დოკუმენტის კორექტირების ნაცვლად მისი რევიზია მოინდომონ?

— ამას მართლაც ცდილობენ... მაგრამ ჩვენ ხაზგასმით ვაცხადებთ: კონცეფციის გახსნილობა სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მსურველმა, თუნდაც სპეციალისტმა, განუწყვეტლივ მოინდომოს განათლების კონცეფციის, რეფორმის პროგრამის ან მისი რეალიზების გეგმის თავის ჭკუაზე სწორება. ყოველგვარი სრულყოფა, მათ შორის — დოკუმენტისაც, დაუბოლოებლად შეიძლება. სხვათა შორის, ამ დაუბოლოებელი ცვლილებებით შეიძლება მისი წახდენაც. ამიტომაც ყველამ, მტერმაც და მოყვარემაც, კარგად დავიმახსოვროთ: უმაღლეს აღმასრულებელ დონეზე ჩვენ უკვე მივიღეთ ეს დოკუმენტი სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად და ახლა რევი-

ზიის ყოველი მცდელობა ემგვანება საქმის ხელოვნურად გაჭიანურებას ან მის ტორპედირებას, ამას კი ჩვენ ვერ დავუშვებთ. თუ განათლების სისტემა, სამინისტრო, ქსელი, თითოეული რგოლი და მუშაკი, რომ იტყვიან, რისამე ამწევი, გამკეთებლები ვართ, ამის საშუალებას ეს პროგრამა იძლევა.

— რეფორმა, გარკვეულწილად, მკვეთრ გარდაქმნებს გულისხმობს. ბატონო თამაზ, განათლების რეფორმა თავისი არსით შოკურია?

— რეფორმის პროგრამაში დაფიქსირებულია, რომ განათლების სისტემა თანდათან, ეტაპობრივად, ყოველგვარი ნგრევისა და რევოლუციური ნახტომების გარეშე უნდა „გადაეწყოს" ახალ სტრუქტურაზე, რომელიც ახალ ეკონომიკურ რეალობას, ახალ საბაზრო ეკონომიკას ეფუძნება. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს თანდათანობა და ეტაპობრივობა არამც და არამც არ გულისხმობს კუს ნაბიჯით სიარულს, ზოზინს ან, სულაც, ადგილის ტკეპნას, ის მხოლოდ თანმიმდევრულობას და ყოველი შემდეგი ნაბიჯის გათვლა-გაზომვას გულისხმობს. მოგეხსენებათ, განათლების მუშაკები უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან, ამგვარ სიტუაციაში მათი მუშაობა მართლაც მოწამეობის ტოლფასია: ყველანი ელოდებიან გარდაქმნებს და რეფორმის პირველი ნაბიჯების შედეგებს. ცნობილი გამოთქმაა, დაუსრულებელ კოშმარს კოშმარული დასასრული სჯობიაო; მე განათლების სფეროში დაუსრულებელი კოშმარის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ არც კოშმარული დასასრული მხიბლავს — ცხადია, ჩვენ ყველას კოშმარის დასასრული გვირჩევნია.

— მოკლედ, შეუქცევადად მივდივართ სოციალისტური სისტემიდან კაპიტალისტურისაკენ?

— მე ამ ტერმინებით არ დავახასიათებდი ჩვენში მიმდინარე პროცესებს: ჩვენ რასაც სოციალიზმს ვეძახდით, თურმე, სოციალიზმი არ ყოფილა, შესაბამისად, არც კაპიტალიზმის ჩვენებური მოაზრება იქნებოდა მართებული; მოკლედ, როგორი სოციალიზმიც გვქონდა, მის შესაბამის კაპიტალიზმს მოვიაზრებთ და ეს ძველი სტერეოტიპები დღესაც საფრთხობელასავით მუშაობს. მე ასე ვიტყოდი: განათლების რეფორმა შეუქცევადია არა ვინმეს ახირების ან პიროვნული კაპრიზის გამო — იგი შეუქცევადია როგორც თვითონ ცხოვრება, როგორც ის პროცესები, რომლებიც ხდება ჩვენს ეკონომიკაში, საზოგადოებრივ ცნობიერებასა და ცხოვრებაში. ხშირად ჩვენ კაპიტალიზმის მხოლოდ ნაყოფი გვინდა — ეკონომიკურად კარგად უზრუნველყოფილი ცხოვრება, ხოლო ის ჯოჯოხეთური შრომა, დაუნდობელი კონკურენცია, სულიერი და ფიზიკური ენერგიის უკიდურესი დაძაბვა, რისგანაც გვეძლევა ეს „კაი ცხოვრება", ბევრისთვის შინაგანად მიუღებელია და, კაცმა რომ თქვას, ამისთვის მზად არც ვართ; მზად არ ვართ, რადგანაც ასეთი ცხოვრება არ გვისწავლია. აქ, სნორედ — აქ, უნდა თქვას განათლებამ, სკოლამ თავისი გადამწყვეტი სიტყვა. ის ნოსტალგიაც ძველ ყოფაზე აქედან მოდის... მაგრამ დროის მდინარე მხოლოდ ერთი მიმართულე-

ბით მიედინება და სწორედ დრო, ეს ახალი დრო, გვეუბნება — **„რაც გინახავთ** (ძველად განეული შრომის მიხედვით, ისეთ ცხოვრებას) **ვეღარ ნახავთო"**; ახლა, განსაკუთრებით — წინასაარჩევნო პერიოდში, ბევრს ლაპარაკობდნენ ოცკაპიკიან პურსა და ორმანეთიან ხორცზე, სოციალურ თანასწორობაზე და ჰარმონიაზე... სხვაზე ნაკლებ არ ვიცი ტოტალიტარული რეჟიმისა და აზროვნების საცდურები, არც ჩემთვის არის ხიბლსა და მიმზიდველობას მოკლებული თანასწორობის დიადი იდეა, ოღონდ კომუნისტური თანასწორობა სიღარიბესა და უუფლებობაში, თანაც — მოჩვენებითი და ფარისევლური, აღარ დაბრუნდება.

— ბატონო თამაზ, უნდა შეინახოს თუ არა სახელმწიფომ განათლება?

— მოდით, ჯერ შევთანხმდეთ, რას მოვიაზრებთ „სახელმწიფოში". თუ აქ იზოლირებულად სახელმწიფო ბიუჯეტს ვგულისხმობთ, სინამდვილეს თვალი გავუსწოროთ და ვთქვათ — იგი განათლების სისტემას ამ მოცულობითა და ამ რიცხოვნებით ვერ შეინახავს. სხვა საკითხია, თანაც უაღრესად საჭირბოროტო, რამდენად ოპტიმალურია ეს რიცხოვნება და სიმძლავრეები დღევანდელი საქართველოსათვის. მეორე მხრივ, თუ „სახელმწიფოს" ზოგადად მოვიაზრებთ როგორც ქვეყანას, როგორც პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთიანობას, ცხადია, ქვეყანამ ანუ საზოგადოებამ ანუ ხალხმა ანუ ყოველმა ჩვენგანმა განათლება უნდა შევინახოთ, თუ გვინდა, რომ ქვეყანა გვერქვას, ან — უფრო მარტივად — თუ გვინდა, რომ ვარსებობდეთ. აქ სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც მართვის ადგილობრივ ორგანოებს, ისე — საზოგადოებას, ცალკეულ ორგანიზაციებს, პირებს. თუ მთელი ჩვენი განათლება დღესდღეობით მუხლგაუმაგრებელ სახელმწიფო ბიუჯეტს ავკიდეთ, ამას იგი ვერ ზიდავს. მაგრამ თბილისის, ქუთაისის, აჭარის, რუსთავისა და ზოგი სხვა რეგიონის მაგალითი გვიჩვენებს, რომ განათლების შენახვა შესაძლებელია, უფრო მეტიც — აუცილებელია. დაიწყო და უფრო უნდა დაჩქარდეს განათლების სისტემის დაფინანსების მკვეთრი დეცენტრალიზაცია. შეიძლება ამ პროცესის სიკეთეს დღეს ისე ხელშესახებად ვერცა ვგრძნობდეთ, მაგრამ თბილისშიც, ქუთაისშიც და ზოგან სხვაგანაც ნელ-ნელა ხერხდება ხელფასების მკვეთრი მატება, ასევე — სხვა შეღავათებისა და პრივილეგიების დაწესება განათლების მუშაკთათვის და ეს ყველაფერი ადგილობრივი ბიუჯეტის დამსახურება გახლავთ.

მაგრამ მეორე მხრიდანაც უნდა დავიძრათ: უნდა მოხდეს (და ეს ამ რეფორმის პროგრამის ერთი მთავარი ძარღვია) განათლების სისტემის, მთელი მისი ქსელის ოპტიმიზაცია. განათლების სამინისტრომ ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად უნდა განსაზღვროს სახელმწიფო დაკვეთის რაციონალური და რეალური ნორმები და ნორმატივები განათლებაზე, მოსწავლეადგილსა და სტუდენტ-ადგილზე; უნდა ამოქმედდეს „საგანმანათლებლო

ბაზარი", უნდა შეფასდეს მასწავლებლის, აღმზრდელის, ლექტორის შრომა რეალურად და გამოიხატოს ხელფასში. მოგვიწევს შეველიოთ დარგებს, სპეციალობებს, რომლებზედაც აღარ არის მოთხოვნილება არა მარტო დღევანდელი ვითარების, არამედ — პერსპექტივის გათვალისწინებითაც, შეველიოთ იმას, რაც იგეგმებოდა ჩვენში, როგორც სუპერსახელმწიფოს ერთ რეგიონში, და რომელიც დამოუკიდებელი და სუვერენული პატარა სახელმწიფოსათვის ეკონომიკურად (და ყველა სხვა თვალსაზრისითაც) გაუსაძლისია.

— მარტო შინაგანი რეზერვები განა საკმარისი იქნება რეფორმის სარეალიზაციოდ?

— ჩვენ დიდი იმედი უნდა ვიქონიოთ საზღვარგარეთიდან დახმარებისაც. თუმცა, რატომ — იმედი? ეს უკვე რეალობაა... როდესაც იქმნება რეფორმატორული დოკუმენტი განათლების სფეროში (ეს კი ძალზე ფაქიზი სფერო გახლავთ-მეთქი), საზღვარგარეთ შესაბამისი ორგანიზაციები, დონორები ძალზე მგრძნობიარენი არიან და მაქსიმალურად ეხმაურებიან და ეხმარებიან კიდეც ამ პროცესს, რეფორმის პროცესს...

— ბატონო თამაზ, ფასიანი სწავლება — ჭირია ეს თუ მადლი?

— ყოველი წამალი, თუ იგი სათანადო წესითა და დოზით არ იხმარე, შეიძლება სანამლავად იქცეს; ასეა ფასიანი სწავლებაც. აქ საჭიროა გონივრული დაბალანსება როგორც პედაგოგთა უზარმაზარი მასის, ასევე — კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობის ინტერესებისა. ფაქტია, ფასიანი სწავლება საბაზრო ეკონომიკის პირმშოა და, იმის მიხედვით, რამდენად გონივრულ კალაპოტში მოვაქცევთ მას თუნდაც ამ ჩვენი რეფორმით, შედეგსაც შესაბამისს მივიღებთ.

— რეფორმის მიხედვით როგორ უნდა იმართებოდეს განათლების უზარმაზარი სისტემა და რა როლი უნდა ითამაშოს მართვის პროცესში განათლების სამინისტრომ?..

— ალბათ, ახალს არაფერს ვიტყვი, თუ შეგახსენებთ: რეფორმის ცხოვრებაში გატარებას სჭირდება უმკაცრესი საშემსრულებლო დისციპლინა. ეს მარტო ჩვენს სფეროს არ ეხება. განათლების სფეროს მართვის თვალსაზრისით უნდა მკაფიოდ გაიმიჯნოს სამინისტროსა და ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების ფუნქციები. ხვალის განათლების სამინისტრო უნდა იყოს ფუნქციონალური სამინისტრო, გათავისუფლებული ყოველგვარი სამეურნეო და სამშენებლო ფუნქციებისაგან. სამინისტრო განათლების სახელმწიფო პოლიტიკის უმაღლესი გამტარებელია, მას განათლების შინაარსობრივი და მეთოდიკური მხარის უზრუნველყოფა, მასწავლებელთა კადრების მომზადება და გადამზადება, საკადრო პოლიტიკის წარმართვა, ორგანიზაციული კავშირების გაბმა და დამყარება შიგა თუ გარე სტრუქტურებთან უნდა ეევალებოდეს და არ უნდა იხარჯებოდეს ისეთ სა-

კითხებზე, როგორიცაა განათლებაში კაპდაბანდება და კაპრემონტი, სასკოლო ნაგებობების დათბუნება თუ მასწავლებლის ხელფასის დარეგულირება, ტრანსპორტითა და საწვავით სასწავლო დაწესებულებათა მომარაგება, სასკოლო ინვენტარისა თუ თვალსაჩინოების დამზადება. თვით სახელმძღვანელოთა დაბეჭდვა-რეალიზებაც კი მისი უშუალო საქმე არ უნდა იყოს — ამ სახელმძღვანელოთა შედგენაა განათლების სამინისტროსა და მისი ქვემდებარე ორგანიზაციების ამოცანა.

— დაბოლოს, ბატონო თამაზ, მაპატიეთ შაბლონური კითხვისათვის, მაგრამ — გვეშველება რამე?

— მეც მაპატიეთ ასეთივე შაბლონური პასუხისათვის, მაგრამ — უსაშველო რა გვჭირს! ჩვენი ენით, ჩვენი ცხოვრების წესით გვაქვს რუქაზე ადგილი... კი, მძიმე დროება გვიდგას, კი, ცხოვრებამ მწარედ გვგვემა, რუქაც შაგრენის ტყავივით დაგვიპატარავდა და ენაც შეგვემღერა — ერთმანეთს ცუდად ვაგებინებთ. მაგრამ უფალი მძიმე განსაცდელს თავის რჩეულებს მოუვლენს ხოლმე — მრავალტანჯული იობი გავიხსენოთ. უნდა ვიყოთ ღირსი ამ გამოცდისა... და ნუ დაგვავიწყდება — ეს გამოცდა თითქმის ჩაბარებული გვაქვს: ორსაუკუნეს საკუთარდროშადაკარგული ხალხი ოცდამეერთეში მაინც ჩვენი რუქით, ჩვენი დროშითა და ჩვენი ენით შევაბიჯებთ.

ესაუბრა ნანა თამარაშვილი, „ლიტერატურული საქართველო", NN 44, 45, 46. 1995

მთავარია, ჩვენ ვივარგოთ

— რას გვეტყვით იმ აჟიოტაჟის შესახებ, რაც საქართველოში თურქული უნივერსიტეტის გახსნის საკითხმა გამოიწვია?

— დავიწყოთ იმით, რომ ეს არ იქნება „თურქული უნივერსიტეტი", ისევე, როგორც არ არსებობს „თურქული კოლეჯი" (როგორც დემირელის სახელობის კოლეჯს უწოდებენ ხოლმე). ის კოლეჯი ქართულია, საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმითა და პროგრამით მომუშავე სასწავლებელი; საგნები იქ ქართულ და ინგლისურ ენებზე ისწავლება, თურქულს კი ფაკულტატურად, მშობლების სურვილის მიხედვით, ასწავლიან; ამასთანავე, ამ კოლეჯის დაფინანსებაში და, შესაბამისად, ფუნქციონირებაშიც, გარკვეული სპეციფიკა არსებობს.

რაც შეეხება „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს", იგი თანაბარი მონაწილეობის, ანუ პარიტეტულ საწყისებზე იქმნება. ამ საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობაში მონაწილეობს თურქეთი და მშენებლო-

ბის ხარჯებსაც ძირითადად თურქული მხარე იღებს თავის თავზე, თუმცა მის დაფინანსებაში საქართველოს მხარეც მონაწილეობს. და თუმცა თურქეთის მხარის ფინანსური წილი გაცილებით მეტია, ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვეთ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულიყო (და ასეც მოხდა!) უნივერსიტეტის მართვაში პარიტეტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა სადავო საკითხი კონსენსუსით უნდა გადაწყდეს. ხოლო თუ ასე არ გადაწყდება, მაშინ არბიტრაჟი ჩაერევა, თუმცა არც ერთი მხარე არა ვართ ისე განწყობილი, რომ ყოველი სადავო საკითხის მოსაგვარებლად არბიტრაჟში მოგვინიოს სირბილი.

ეს უნივერსიტეტი თურქული მაშინ იქნებოდა, თუ მას თურქეთის მხარე მართავდა და სწავლების შინაარსსაც იგი განსაზღვრავდა. „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი" კი იმუშავებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, მისი ფუნქციონირება იმავე საკანონმდებლო ბაზით განისაზღვრება, რითაც მუშაობენ სხვა ჩვენი ფასიანი უმაღლესი სასწავლებლები, და მათი ანალოგიური უფლება-მოვალეობა ექნება. პრაქტიკულ მართვას განახორციელებს საბჭო, რომელშიც ქართული და თურქული მხარე თანაბრად, პარიტეტულად არიან წარმოდგენილები.

ისე, რაც შეეხება ეჭვებს, ასეთი ეჭვები ყოველი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმისას შეიძლება გაჩნდეს, მით უფრო, როცა ამ ნაბიჯს პოლიტიკური ასპექტიც აქვს — ქვეყნებს შორის საგანმანათლებლო კონტაქტები ხომ საერთო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ნაწილია! მაგრამ, მხოლოდ ეჭვზე დაყრდნობილი პოლიტიკა ცალმხრივი და ნაკლებეფექტური იქნებოდა. პოლიტიკა, ჩემი აზრით, ეჭვების გაჩენისა და ამ ეჭვების დაძლევის დინამიკურ პროცესად უნდა განიხილებოდეს.

— რახან სიტყვა ეჭვებზე ჩამოვარდა, მაშინ ყველაზე მთავარ ეჭვს შეგახსენებთ: ამბობენ, თურქული ფირმები „მარსი" და „ჩაღლარი" კი არ არიან დაინტერესებული უნივერსიტეტის გახსნით, არამედ მათ ზურგს უკან მდგომი თურქეთის ხელისუფლება...

— და რახან თურქეთის ხელისუფლებაა დაინტერესებული, ეს უეჭველად ჩვენთვის საზარალო იქნებაო, არა? ასეც ბრძანა პოლემიკაში მონაწილე ერთ-ერთმა პროფესორმა: ჩვენი მეზობლები ალბათ იმას ცდილობენ, რომ ჩვენ გადაგვაგვარონო. სწორედ ეს გახლავთ შიშველ ეჭვებზე აგებული პოლიტიკა, რომელიც არცთუ სასურველ სტერეოტიპად ჩამოყალიბდა ბევრის ცნობიერებაში — ირგვლივ ყველა საქართველოს მტერია და ყველას, გარეულსაც და შინაურსაც, ჩვენი დაღუპვა სურთ (და ეს ნრეგადასული ეჭვიანობა უცნაურად ერწყმის ჩვენს ამავე დროს საოცარ გულარხეინობასაც). ჩვენ ხშირად მხედველობიდან გვეპარება, რომ არსებობს მეზობელ ქვეყნებს შორის ინტერესთა დამთხვევაც; საქართველოსა და თურქეთს ამგვარი საერთო ინტერესებიც აქვთ... და, საერთოდაც — კეთილმეზობლური ურთიერ-

თობა მხოლოდ ლიტონი სიტყვები არ გახლავთ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კეთილმეზობლობას ხალხთა და კულტურათა დაახლოება და ურთიერთგამდიდრებაც განაპირობებს.

— ალბათ, ჩვენი ისტორიული გამოცდილებითაც ვართ დამფრთხალი. ვშიშობთ, ჩვენი კულტურა უცხო კულტურის ზეგავლენის ქვეშ არ მოექცეს...

— ალბათ; მაგრამ, ქართულ კულტურას, შემინდეთ ამგვარი შედარებისათვის, საკმაოდ მაგარი „კუჭი" აქვს და, ღვთის შეწევნით, უზარმაზარი კულტურული ტრადიციების მქონე იმპერიათა კულტურების გავლენა „მოუნელებია"; მეორეც არის და, როცა კულტურულ ზეგავლენაზეა ლაპარაკი, ამგვარი ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ჩვეულებრივ, იმ კულტურას უფრო მეტად აქვს, რომლის წიაღშიც იხსნება რომელიმე საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი. გახსოვთ ალბათ, როგორი ეჭვით უყურებდა დასავლეთი ლუმუმბას სახელობის საერთაშორისო უნივერსიტეტის მოსკოვში გახსნას — თუ აფრიკისათვის სსრკ-ს სიკეთე უნდა, აფრიკაშივე გახსნას საგანმანათლებლო კერა, თორემ მოსკოვში, შესაბამის გარემოცვაში, აფრიკელთა კომუნისტური იდეოლოგიით დამუშავება მოხდებაო. ჩვენ არავის იდეოლოგიურ დამუშავებასა და გაქართველებას არ ვაპირებთ, მაგრამ განა ანგარიშგასაწევი არ უნდა იყოს თურქეთში ქართული წარმომავლობის მოსახლეობის ინტერესიც, მათი შემობრუნება ფესვებისაკენ? მათთვის თურქეთის კარგი მოქალაქეობა არ უნდა გამორიცხავდეს თავიანთი ფესვების ცოდნასა და სიყვარულს — პირიქით, ისინი ერთგვარ ბურჯებად უნდა შეუდგნენ საქართველო-თურქეთის მეგობრულ ხიდს. „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს" ამის მეტი საშუალება ექნება — ამ აუზის ქვეყნების, პირველ ყოვლისა კი — თურქეთის, ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ჩვენს კულტურას აზიაროს. ვიმეორებ, ეს ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის, ამიტომ, ჯანსაღ სიფრთხილეს გაუმარჯოს, მაგრამ ნუ დავინყებთ ყველაფერში ცუდის და ყველგან მტრის ძიებას, მოვლენები აღვიქვათ მთელი სირთულით და მათში ნეგატიურის გვერდით დადებითიც დავინახოთ. თორემ — ჩავრაზოთ ისევ საზღვრები, დავხუროთ საბაჟოები, მივებათ ისევ მხოლოდ ერთ ძალასა და ერთ ქვეყანას — რა გამოვა აქედან? ხალხს აქვს სურვილი თავის დიდ სამხრეთელ მეზობელთან კონტაქტებისა, ამის მოთხოვნილება ქვეყანაში გაჩნდა, ოღონდ ყოველივე ამას ჭკვიანი რეგულირება სჭირდება.

— ზოგნი იმასაც ამბობენ, რომ ეს ახალი სასწავლებელი შეიძლება რეზიდენტების ბუდედ იქცეს და ჩვენი ქვეყნის უშიშროებას საფრთხე დაემუქროსო.

— მაგრამ განა ნებისმიერი უცხოური ფირმა, ორგანიზაცია თუ დაწესებულება ამ გაცხოველებული კონტაქტებისა და ინტეგრაციის დროს არ შეიძლება იქცეს ასეთ „ბუდედ"? მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია, ვერც

ჩვენ ავიღებთ ხელს ახალი დროის ყველაზე დიდ მონაპოვარზე — საზღვრების გახსნაზე, ღია სამოქალაქო საზოგადოებაზე, საერთაშორისო კონტაქტებზე... ოღონდ ეს ცარიელა ფრაზებად და სამიტინგო ლოზუნგებად დარჩება, თუ საქმით არ გამაგრდა. ვიმეორებ, სიფრთხილე აუცილებელია და მეც წინდახედულების მომხრე ვარ ამგვარ საკითხში. რაც შეეხება რეზიდენტებს, მათ ყოველ ქვეყანაში სათანადო ორგანოები ავლენენ. ამ შემთხვევაშიც, ეს უნივერსიტეტი ჩვენი სათანადო სამსახურების ჯანსაღი ყურადღებისა და ინტერესის საგნად იქცევა, როგორც ეს ყველგანაა მიღებული.

— ახლა, რაც შეეხება კონტინგენტს, ვინ ასწავლის და ვინ ისწავლის, ბატონო თამაზ, ამ უმაღლეს სასწავლებელში?

— ჩანაფიქრითა და ხელშეკრულების მიხედვითაც პროფესურა დაკომპლექტდება როგორც ქართველი, ისე უცხოეთიდან მოწვეული მეცნიერებით (ჩვენთან შედარებით თურქეთს ამგვარი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ძალები ნაკლებად ჰყავს), ჩვენი პროფესურა (რომელიც დონით არავის ჩამოუვარდება), სამწუხაროდ, შედარებით იაფი ინტელექტუალური ძალაა და ამიტომ, როგორც ჩანს, „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში" ძირითადად ჩვენი მეცნიერები დასაქმდებიან. ხოლო ის შიში, არიქა, დავზარალდებით, ჩვენმა პროფესურამ თბილისის უნივერსიტეტიდან ამ საერთაშორისო უნივერსიტეტისკენ თუ გადაინაცვლაო, ნაკლებად საფუძვლიანია. თბილისის უნივერსიტეტს სერიოზულ კონკურენციას არამცთუ ანი ასაშენებელი, შავი ზღვის აუზში უკვე მოქმედი ბარე ორი უცხოური უნივერსიტეტიც კი ვერ გაუწევს. სტუდენტური კონტინგენტი შავი ზღვის აუზის ქვეყნების ახალგაზრდებით უნდა დაკომპლექტდეს, სადაც ქართულ მხარეს, ისევე როგორც პროფესურას, თავისი კვოტა ექნება.

— ტექნიკური და დამხმარე პერსონალი ჩვენი იქნება თუ თურქეთის?

— ეს კონტინგენტი ქართული მხარის იქნება, ასე რომ, ეს არ გამოიწვევს თურქული ტექნიკური პერსონალის ჩამოსვლას და საქართველოში დასახლებას. ისე, ურწმუნო თომებს ამ საკითხშიც ვერანაირი ვარიანტით ვერ ააშენებ; ამ პოზიციასაც უპირისპირდებიან — აქაოდა მსახურების როლში გინდათ ქართველები გამოიყვანოთო; ტექნიკურ პერსონალს თუ ჩამოვიყვანდით — საქართველოს გათურქება გსურთო, იტყოდნენ... და ამბობენ, წერენ და თავისებურად ასაბუთებენ კიდეც ამას. ფაქტი კი ისეთია, როგორიც მოგახსენეთ — ეს კონტინგენტი ქართულია. უნივერსიტეტის მართვა პარიტეტული იქნება. მმართველობის უმაღლესი ორგანო — სამეთვალყურეო საბჭო — 6 ნევრისაგან შედგება. მათ შორის სამი საქართველოს მოქალაქეა... ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის ფინანსურ, ორგანიზაციულ, აკადემიურ საკითხებზე მიიღებს ეს საბჭო, ასე რომ, ვფიქრობთ, ამ გადაწყვეტილებებით არც ერთი მხარე არ დაზარალდება.

— ამბობენ, რომ თავიდან თქვენ დიდად არ მიესალმებოდით ამ უნივერსიტეტის დაარსებას. იმასაც ამბობენ: როცა მინისტრთა კაბინეტმა ბრძანებით დაგავალათ ლიცენზიის გაცემა, პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია არ იყო ადგილზე და მისი მოვალეობის შემსრულებელმა ავთანდილ მარგიანმა მოაწერა ამ ნაჩქარევ ბრძანებას ხელი; ხოლო პარლამენტარები პროფესორ გურამ მამულიას ხელმძღვანელობით პირდაპირ გიჩიოდნენ სახელმწიფოს მეთაურთან — განათლების მინისტრი ახალ-ახალ პრეტენზიას უყენებს თურქულ მხარეს და ლიცენზიის გაცემას აჯანჯლებსო. მოკლედ, თქვენ თითქოს ზემოდან მითითებებით გაიძულეს ეს ნაბიჯი გადაგედგათ...

— თანამდებობიდან წასული ხალხისათვის ყველაფრის გადაბრალება და ხელის შეწმენდა ულირს საქმედ მიმაჩნია. ვერც ბატონი მარგიანი და ვერც ბატონი მამულია ვერ აიძულებდა ვერც საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებას და ვერც მე ვერაფერს ისეთს, რაც სახელმწიფოებრივად, სტრატეგიულად საქართველოსთვის საზიანო იქნებოდა. იმ მართლაცდა ნაჩქარევი ბრძანების გამოცემის შემდეგ, რომელიც განათლების სამინისტრომ მხოლოდ მაშინ შეასრულა, როცა წესდებით დაფიქსირდა საქართველოს მხარის ინტერესები, დარგის ვიცე-პრემიერის, ბ-ნ ირაკლი მენაღარიშვილის ხელმძღვანელობით ხელშეკრულებაც და წესდებაც სიტყვასიტყვით, აბზაც-აბზაც ლუპით გაიჩხრიკა როგორც ჩვენს, ასევე იუსტიციის სამინისტროში.

დიახ, მე ვაყოვნებდი ამ საკითხის გადაწყვეტას, მაგრამ არ ვჩქარობდი იმიტომ, რომ ხელშეკრულების ტექსტში ზოგიერთი რამ არ მაკმაყოფილებდა. და მარტო მე კი არა, უპირველეს ყოვლისა, ეს არ აკმაყოფილებდა სახელმწიფოს მეთაურს. მისი უშუალო მითითება იყო, რომ ყველაფერი ყოფილიყო პარიტეტულ საწყისებზე და ჩვენ მხოლოდ ამ ორ ფირმასთან კი არ გვქონოდა საქმე, არამედ თურქეთის მთავრობასთანაც; რომ დადებულიყო გარკვეული შეთანხმება თურქეთისა და ჩვენი განათლების სისტემებს შორის. ჩვენ დიდხანს ვიმუშავეთ ამ დოკუმენტზე და, როცა დავრწმუნდით, რომ სათანადო კონდიციამდე მივიყვანეთ წესდება და მმართველობის მთელი მექანიზმი, მხოლოდ მაშინ მივეცით თანხმობა.

— თურქეთში 5 მილიონამდე ქართველი ცხოვრობს, ამბობენ ამ უნივერსიტეტის მოწინააღმდეგენი, მაგრამ იქ არათუ ქართული სკოლების გახსნა, ერთი საგნის — ქართულის — სწავლების უფლების მოპოვებაც წარმოუდგენელიაო.

— არც ჩვენ ვაძლევთ უფლებას, აქ თურქული სკოლები გაიხსნას. გთხოვთ, ისევ ნუ აეურევთ ამ არსებითი მნიშვნელობის ცნებებს — თურქული, ქართული (რაც შეეხება ჩვენში მოქმედ რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურენოვან სკოლებს, ისინი, დემირელის კოლეჯისა არ იყოს, საქართველოს სკოლები გახლავთ. მათი სასწავლო გეგმები და პროგრამები ჩვენი შედგენილ-დამტკიცებულია, აქ, მაგალითისათვის, საგნად „საქართველოს ისტო-

რიას" სწავლობენ და არა, ვთქვათ, აზერბაიჯანისას). რაც შეეხება თქვენს შეკითხვას: მიმდინარეობს მოლაპარაკება იმაზე, რომ თურქეთში გაიხსნას სასწავლო დანესებულებები, სადაც საქართველოს ისტორიას, მის კულტურას, ქართულ ენას შეისწავლიან. ამით თურქეთის მხარეც არის დაინტერესებული. იქ გახსნილი ამ ტიპის სასწავლებლები იქნება არა ქართული, არამედ — თურქული და იქ, ძირითადად, ალბათ წარმოშობით ქართველები ისწავლიან. საერთაშორისო უნივერსიტეტშიც ბევრი სტუდენტი თურქეთის ძირძველი ქართველობიდან იქნება. ამ უნივერსიტეტის დაარსების ერთი ძირითადი მიზანი სწორედ ის გახლავთ, ქართულ კულტურას ვაზიაროთ უცხოელი (ან დროთა განმავლობაში გაუცხოებული) ახალგაზრდები... განა გერმანელები, ჩვენი სტუდენტების სასწავლო პროგრამებს რომ აფინანსებენ, გერმანული კულტურის არიალის გაფართოებასაც არ ისახავენ მიზნად? ჩვენ თუ ვივარგეთ, საქართველოში თუნდაც წილობრივ პრინციპზე გახსნილი საერთაშორისო უნივერსიტეტი ჩვენსავე ნისქვილზე დაასხამს წყალს.

— ხელისუფლებას საყვედურობენ, ვიდრე ამ ნაბიჯს გადადგამდით, საზოგადოების სამსჯავროზე გამოგეტანათ ეს საქმე. მაშინ არც ჭორები და მითქმა-მოთქმა იქნებოდა და არც საზოგადოებას შეექმნებოდა ის აზრი, რომ მას ეს თავს მოახვიესო.

— ეს საკითხი ორნახევარი წლის წინ დაისვა და საინფორმაციო საშუალებებითაც გავრცელდა; სათანადო ორგანოებშიც იყო ხანგრძლივი მსჯელობა; ასეთი რამ ნაჩუმათევად არც გაკეთებულა და ვერც გაკეთდება. ანდა, რა არის აქ საჩუმათო? ვიმეორებ: ეს არის ქართული კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი, ქართული, ოღონდ ინგლისურენოვანი სასწავლებელი.

— და მაინც, აუიოტაჟი ამ საკითხის გამო არ წყდება, თქვენ ეს მითქმა-მოთქმა, ბრალდებები არ გაღიზიანებთ?

— არა. და იცით, რატომ? მე მესმის იმ ხალხისა, ვისაც ეს ეჭვები აწუხებს, ეჭვისგან არც მე ვარ მთლად თავისუფალი. მაგრამ ისიც მესმის, რომ ეს უნდა იყოს ჯანსაღი სიფრთხილე და არა აკვიატებული აზრი. მე, მაგალითად, მადლობელი ვარ „კავკასიონის" პუბლიკაციებისა, ვინაიდან იქ ძირითადად ჩვენი ეროვნული ინტერესების დამცველი და ჭირისუფალი, ოღონდ, ჩემი აზრით, ამ უნივერსიტეტის წესდება-პროგრამებში შედარებით ნაკლებად ინფორმირებული მოღვაწეები მონაწილეობენ. მაგრამ პოლემიკა არაჯანსაღი აუიოტაჟის სახეს მიიღებს, თუ უნივერსიტეტის გახსნის მოწინააღმდეგენი გახსნის მომხრეებს ერის გამყიდველებად მონათლავენ, მომხრეები კი თავიანთ ოპონენტებს — კომუნისტ მარაზმატიკებად... მიგვაჩნია — თვით ყველაზე საჭირბოროტო საკითხზე მსჯელობა რაც უფრო მეტად კორექტული და ნაკლებ ისტერიული იქნება (ცხარე — კი, ბატონო!), საქმეს ეს უფრო წაადგება.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: საერთაშორისო უნივერსიტეტის ამოქმედებით მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდება ქვეყნისათვის, საზოგადოებისათვის, სამეზობლო ინტერესებისათვის. ნორმატულ-უფლებრივი თვალსაზრისით დადებული ხელშეკრულება ორივე მხარისათვის მისაღებია. მაგრამ ზოგჯერ სიტყვა სხვაა და საქმე — სხვა. როგორ წავა საქმე? — ეს უკვე ჩვენს მონდომებაზე, პრინციპულობაზე, შორსმჭვრეტელობასა და მუშაობის უნარზეა დამოკიდებული. ვიმეორებ, მთავარია, ჩვენ ვივარგოთ, ჩვენ არ მოვადუნოთ სახელმწიფოებრივი ყურადღება და სიფრთხილე, თორემ გულხელდაკრეფილ და სხვისი ხელის შემყურე საზოგადოებას და ქვეყანას ყოველგვარი „საგანმანათლებლო ექსპანსიის" გარეშეც რა ბედი ელის, ჩვენც სხვაზე ნაკლებ არ ვიცით და ეს პრობლემა ჩვენც სხვაზე ნაკლებ არ გვანუხებს.

ესაუბრა ნანული ბარათაშვილი, „საქართველოს რესპუბლიკა", 6.4.1996

რომ გაგიგონ, უნდა გაუგო

— ბატონო თამაზ, როგორ გრძნობთ თავს მინისტრის ამპლუაში?

— მინისტრი საკუთარი ძალების რწმენის გარეშე უბედურებაა ჯერ თავისთვის და მერე — სხვებისთვის; გადაჭარბებულად თავდაჯერებული მინისტრი კი უბედურებაა ჯერ სხვებისთვის და მერე — თავისი თავისთვის. ძველ შეგონებას მივდევ: იყავ თამამი, იყავ თამამი და ნუ იქნები ძალზე თამამი.

— რა არის თქვენთვის, რაზეც შეგიძლიათ, თქვათ — „ეს არ შემიძლია" და — „ამას არ ვიზამ"?

— განათლების რეფორმა დავიწყეთ... იმდენი საქმე დამეყარა თავზე, იმდენმა ლამის გადაუჭრელმა პრობლემამ იჩინა თავი, ზოგჯერ მიფიქრია — მორჩა, აღარ შემიძლია მინისტრობა... მაგრამ ამ დროს წავიკითხავ დარჩეულ მექრთამე-გრაფომან- „ანონიმშიკთა" მოწოდებას — „გადადექით, მინისტრო" და ჩემთვის ვამბობ — ამას არ ვიზამ, რახან ესენი ამიყეფდნენ, ეტყობა, სწორი გზით მივდივარ-მეთქი.

— ყველაფერი დროებითია და ოდეს არ იქნებით დიდჩინოსან პოსტზე, რაზე იტყვით თამამად — ამის გაკეთება მაინც მოვასწარიო...

— მინისტრობისასაც, პრინციპულად, იმავე საქმეს ვაკეთებ, რაც ადრე მიკეთებია, უბრალოდ, მასშტაბებია სხვა. ამიტომ რაიმეს მოსწრება-არმოსწრება როდია ჩემთვის მთავარი... რეფორმა დავიწყეთ-მეთქი; მის დასრულებას, ცხადია, ვერ მოვასწრებ, თუნდაც იმიტომ, რომ განათლების რეფორმირება, პრინციპულად, დაუსრულებელი პროცესია.

— და პირიქით — ნეტავ, ეს მაინც არ გამეკეთებინაო...

— კაცმა რომ აღიარო, ეს არ უნდა გამეკეთებინაო, ამას „დიდჩინოსნობიდან" წასვლა არ სჭირდება — მთავარია, თავის თავზე შეყვარებული ნარცისი არ იყო...

— თქვენი განვლილი ცხოვრებიდან საკუთარი თავი რომელ პერიოდში უფრო მოგწონთ?

— ხომ გახსოვთ, ერთ-ერთი შედეგრის შექმნის შემდეგ პუშკინმა თავის თავს რომ შეუკურთხა — айда Пушкин, айда сукин сын... სამწუხაროდ, მე ჯერჯერობით ასე საკუთარი თავი არ გამილანძღავს, თუმცა ისააკ ბაბელის თარგმნისას შიგადაშიგ მსგავსი განცდა მქონია... და მაშინაც, როცა სამართლისათვის პური მიჭმევინებია — მახსოვს, ერთხელ საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე გახლდით და „ორიანი" შეფასება სამართლიანად გადავაკეთე „ფრიადზე"...

— პრეზიდენტობის კანდიდატად რომ წამოაყენეთ თავი, ეს რაიმე სვლა იყო თუ მართლა გსურდათ ქვეყნის მართვა?

— პრეზიდენტობის კანდიდატად თავი მე კი არ წამოვაყენე, პოლიტიკურმა ორგანიზაციამ „თავისუფალ დემოკრატთა კავშირმა" წამომაყენა და ამას მაშინდელი ოპოზიციური პარტიები, განსაკუთრებით — „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება" უჭერდა მხარს. პოლიტიკაშიც ვიზიარებ ექიმებისთვის სახელმძღვანელო პრინციპს, ჰიპოკრატეს შეგონებას — არ ავნო. მაშინ მწამდა და ახლაც მჯერა, არჩევნებში რომ გამემარჯვა, ქვეყანას მაშინდელ მმართველზე ნაკლებ ვნებას მოვუტანდი. სხვა საკითხია, რომ ბევრნი იყვნენ ისეთები, ვისაც პრეზიდენტის პოსტზე ჩემზე გაცილებით მეტი სარგებლის მოტანა შეეძლოთ საქართველოსათვის, მაგრამ ყველამ როდი გაიმეტა თავი „კარვის ქალების" საჯიჯგნად. მეფე შიშველიაო, ამის ეკრანიდან თქმა მაშინ ცოტას როდი ნიშნავდა... თორემ, როცა „მეფე ჩაცმულ-დახურულია", აზრადაც არ მომსვლია, დავთანხმებოდი რომელიმე პოლიტიკურ ძალას, პრეზიდენტობაზე მეყარა კენჭი.

— მაპატიეთ ამ სტატისტიკაში რომ გხვევთ, მაგრამ უშუალოდ განათლების მინისტრისგან გვინდა გავიგოთ, რამდენი უმაღლესი სასწავლებელია ამჟამად საქართველოში და აქედან რამდენია ფასიანი?

— ოცდაოთხი სახელმწიფო და ასცხრა საერო ანუ არასახელმწიფო, ფასიანი უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში.

— ვინმე თუ ინტერესდება (და რა სახით) ამ ფასიანი უმაღლესდამთავრებულების ჯერ განათლების დონით და შემდეგ სამუშაო ადგილებით? შრომის ბირჟის კონტინგენტს ხომ არ ვზრდით?

— ვინტერესდებით, ცხადია... სხვათა შორის, ლომის წილი ამ ფასიანი სასწავლებლებისა გამსახურდიას დროს გაიხსნა: მაშინდელმა უზენაესმა საბჭომ ძალიან ხარვეზიანი საკანონმდებლო აქტი შექმნა ამის თაობაზე. ახ-

ლა მიმდინარეობს ამ სასწავლებელთა აკრედიტაცია და, წინასწარი მონაცემებით, ბევრი მათგანი აკრედიტაციას ვერ გაივლის. მაგრამ, სადაც ეს მოხდება, იქ ჩარიცხული სტუდენტების უფლებები არ უნდა შეილახოს.

— ბევრჯერ ითქვა და დაიწერა, ბევრი შეხლა-შემოხლაც გამოიწვია, მაგრამ კიდევ ერთხელ გთხოვთ, ლაკონიურად, რა დადებით მომენტს ხედავთ ჩვენი ერისთვის თურქული უნივერსიტეტის გახსნაში...

— რასაც თქვენ და ბევრი სხვაც, შეგნებულად თუ შეუგნებლად, თურქულს უწოდებს, მას საერთაშორისო უნივერსიტეტი ჰქვია. დადებით მომენტად კი პრინციპი მიმაჩნია — საქართველოში უნდა არსებობდეს საერთაშორისო ინგლისურენოვანი უმაღლესი სკოლა.

— ეს მეტისმეტად ლაკონიურად გამოგივიდათ... ვინ მართავს და აკონტროლებს ამ უნივერსიტეტს?

— კეთილი, გრძლად ვიტყვი, მაგრამ „პალიტრის" მკითხველებმა შემინდონ, თუ წინათ ნათქვამის განმეორებაც მომიწევს: რას ვიზამთ, ზოგს იმის მოსმენა და გაგება არ სურს, რაც მის წინასწარ აკვიატებულ აზრს ეწინააღმდეგება. მართალია, ამ უნივერსიტეტს თურქული ფირმები აფინანსებენ, მაგრამ იგი საქართველოს განათლების სისტემის (და არა თურქეთის) ნაწილია და მოქმედებს ჩვენი კანონმდებლობის საფუძველზე; სასწავლო პროგრამებს ვამტკიცებთ და სწავლების შინაარსს განვსაზღვრავთ ჩვენ, საქართველოს განათლების სამინისტრო... რაც შეეხება მის მართვასა და კონტროლს, აქ ქართული მხარე არავითარ დათმობაზე არ წავსულვართ და უნივერსიტეტის წესდებაში დავაფიქსირეთ — მართვა ხდება პარიტეტის საფუძველზე, ქართულ და თურქულ მხარეებს თანაბარი რაოდენობისა და ერთნაირი უფლებების წარმომადგენლობა ექნებათ უნივერსიტეტის მმართველობით ორგანოში — მეთვალყურეთა საბჭოში. ამიტომ აქ ვერ იმოქმედებს პრინციპი — ვინც იხდის, ის უკვეთავს; ეს ეფექტური გამოთქმა რესტორანში „მუშაობს", ოპერაში — არა, იქ მილიონიც რომ შეაძლიო, ორკესტრი მხოლოდ „პროგრამის" მიხედვით დაუკრავს. სწორედ ასეთი „პროგრამაა" უნივერსიტეტებისათვის სასწავლო გეგმები, პროგრამები და ა.შ. მათ კი ჩვენი მხარე განსაზღვრავს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფაქტი, რომ უნივერსიტეტის ფუნქციონირებაში ის მეზობელი მონაწილეობს, რომელიც ევროპულ და საერთაშორისო სტრუქტურებში, მათ შორის — ნატოშია ინტეგრირებული, რომლის ტერიტორიაზე რამდენიმე მილიონი წარმოშობით ქართველი ცხოვრობს და რომელთანაც ეკონომიკური ურთიერთობა სულ უფრო და უფრო ვითარდება. განა წარმოშობით ქართველი თურქეთის მოქალაქეებისათვის აქ სწავლა-განათლების მიღების საშუალებათა გაფართოება პატარა საქმეა? სხვათა შორის, ეს მარტო ცალმხრივი პროცესი არ არის, თურქეთში ქართველოლოგიური სასწავლო-საგანმანათლებლო სტრუქტურების შექმნა სრულიად რეალურ სახეს იღებს და ამაზე

პრინციპული თანხმობა თურქეთის განათლების მინისტრ ბატონ საღლამისაგან მე უკვე მივიღე.

— ბატონო თამაზ, ათასობით ქართველი ტელეეკრანიდან თქვენს საოცრად დამუხტულ ლექციებს ისმენდა და თქვენი ნათქვამი — მოვუაროთ საქართველოსო, გულ-ღვიძლში ატანდა, დღეს როგორ ვუელით საქართველოს?

— მადლობა მომიხსენებია ჩემი მცირე ღვაწლის ასეთი შეფასებისათვის. მძიმე დღეში ვართ. მაგრამ მაინც, ილიასი არ იყოს, დღეს ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის... ცხადია, ხალხს, საზოგადოებას, თვითეულ ჩვენგანს მეტი პოლიტიკური და ეროვნული პასუხისმგებლობა რომ გამოგვეჩინა, საქართველოს უკეთესად მოვუვლიდით, მაგრამ მწამს, რომ გამთლიანების ჟამიც დაპკრავს — მარტო ტერიტორიულისა კი არა, სულიერისაც.

— ჩვენ ხომ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ; ჩვენი ბავშვობა კი (ღვთის წყალობით, დღევანდელი თაობის მაინც) ღვთის სიყვარულით იწყება... რატომ მოხდა, რომ აღშფოთების დიდი ტალღა მოჰყვა ნუგზარ პაპუაშვილის წიგნის „რელიგიის კარიბჭე" სკოლებში სახელმძღვანელოდ შეტანას? ნუთუ ეს საპატრიარქოსთან და განათლების სამინისტროსთან შეუთანხმებლად მოხდა?

— მე გთხოვდით, ყველას, ამ საკითხით დაინტერესებულებს, სნორედაც ქრისტიანული დამოკიდებულება გამოგვეველინა წიგნისა და მისი ავტორის მიმართ. თუ რაიმეა მკრეხელური და მიუღებელი მართლმადიდებლურ-ქრისტიანული პოზიციებიდან მასში, ის უდავოდ უნდა გასნორდეს, მაგრამ იქ, ჩემი აზრით, არაფერია ისეთი, რომ მისი „აუტოდაფე" გაემართათ... და საერთოდაც, ძალზე მძიმე ასოციაციებს აღგვიძრავს წიგნების დაწვა... ხოლო როცა ამ აქტს მართლმადიდებლობის დაცვის საბაბით მღვდელი სჩადის, ეშიშობ, ამით სნორედაც მართლმადიდებლობას შეიძლება მიადგეს ჩრდილი...

— ჩვენ ხომ შუშანიკისა და აბოს გმირობაზე გავიზარდეთ, თქვენც ხომ რამდენი ლექცია შეალიეთ ქრისტესთვის თავშეწირულებს, ან კი, დიდი ილია არ ბრძანებდა — ჩვენი ისტორიიდან მართლმადიდებლური ქრისტიანობა რომ ამოვიღოთ, ერთი დიდი შავი ლაქა დარჩებაო... მაშ რა ხდება, დედარელიგია როდისღა შეისისხლხორცოს ბავშვმა?

— გეთანხმებით, დედარელიგია, მართლმადიდებლური ქრისტიანობა ადრევე უნდა შეისისხლხორცოს ბავშვმა, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ძალდატანებისა და იძულების გზით... საერო სკოლაში ახალი საგნის „რელიგია და კულტურა" შემოღება რელიგიური ცოდნის მიცემასთან ერთად სნორედ ქრისტიანული ზნეობის დამკვიდრებას ისახავს თავის მიზნად.

— სატკივარი თავს არ დამალავს... დღეს თუ ხვალ, რისი გამჟღავნებისა გეშინიათ (ეს თქვენი პირადული არ არის მხოლოდ, საზოგადოება მყავს მხედველობაში)?

— მერწმუნეთ, ამ მხრივ მშვიდად მძინავს... თქვენ წარმოიდგინეთ, ცოლთან გამუღავნებაც კი არ მაფრთხობს მაინცდამაინც — მენდობა... სხვათა შორის, „კვირის პალიტრის" თავგადაკლული მკითხველია...

— თქვენ?

— მეც.

— რა იწვევს თქვენში ნოსტალგიას...

— ჩემს ტელეფონის წიგნაკში წასულთა ნომრები უკვე სჭარბობს ცოცხლების ნომრებს... სიზმრებშიც ხშირად ვარ მათთან... და — ჩემს ძველ სახლთან ვერაზე, რომელიც 1966 წელს დაგვინგრიეს; მის ადგილას ახლა ფილარმონიის შენობა დგას...

— თქვენ რომ დღეს სასკოლო ასაკის შვილები გყავდეთ (ან შვილიშვილები), რომელ სკოლაში მიაბარებდით? კითხვა „რატომ" თავისთავად იგულისხმება.

— ჩემი ორი შვილიშვილი პირველკლასელია. სკოლა მათმა მშობლებმა შეარჩიეს — მიხეილ მინდაძის 27-ე საავტორო სკოლა ძველ კინოსტუდიასთან... პატარა სანდალა კი ერთი წლისაა და, თუ რეფორმის საქმე კარგად წავიდა, ხუთი წლის შემდეგ მას შეიყვანენ იმ სკოლაში, რომელიც მის სახლთან უფრო ახლო იქნება.

— ეს იმას ნიშნავს, რომ ხუთი წლის შემდეგ ყველა სკოლა თანაბარრანგიანი იქნება?

— თანაბრად მისაღები... ყოველ შემთხვევაში, უნდა ვეცადოთ ამას.

— მეგობრებისთვის თუ გრჩებათ დრო? ძველი, სტუდენტური ჩვევებიდან რომლისთვის არ გიღალატიათ...

— მეგობრებს არამც და არამც არ ვაკადრებ „დარჩენილ" დროს... სამსახურიც ერთგვარი მეგობრობის ასპარეზია და, თუ იქ სწორედაც მეგობრულ-კოლეგიალური ატმოსფერო არ სუფევს, რაღა სამინისტრო და რაღა სატუსაღო... რაც შეეხება სტუდენტურ ჩვევას, სტუდენტობისას განსაკუთრებით მძაფრდება კორპორანტულობის განცდა, რომელიც, ცხადია, სკოლაში გვიყალიბდება... მოკლედ — ის, რასაც სიტყვა „გაგება" იტევს. ბედნიერებაა, როცა შენ გიგებენ და ეს, ჩვეულებრივ, მაშინ ხდება, როცა შენ უგებ სხვას.

— ამაზე ერთი ძალიან მოკლე სადღეგრძელოს თქმა უყვართ ქართველებს — გაგებას გაუმარჯოსო.

— არაა ურიგო სადღეგრძელო...

— დღეს მეტისმეტად გავრცელდა მეჯღანუაშვილობა და ორღობის ინტელიგენტობა, რას აკეთებს მრწამსით და სიტყვით ილიელი განათლების მინისტრი მის აღმოსაფხვრელად?

— მეჯღანუაშვილობა იმ აზრით, რომ ქართველმაც უნდა ისწავლოს ვაჭრობა, სულაც არაა ხელწამოსაკრავი ან საჩოთირო საქმე. ილიაც აქეთკენ მოუწოდებდა ქართველობას, მაგრამ ცუდია მეაჯღანუაშვილობა იმ აზრით, რომ ფუ-

ლის დაგროვება თვითმიზნად გაიხადო და ფულს შეეჭმევინო კაცი იმის ნაცვლად, რომ ფული „შეჭამო" ანუ დახარჯო... ხომ გახსოვთ, „დაულუპიხარ ფულს, კაჟაია-უბედურო"... რაც შეეხება ორლობის ინტელიგენტობას, ეს, ცოტა არ იყოს, გაურკვეველი სიტყვათშეხამებაა. ცნება ინტელიგენტობისა ნაკლებად იგუებს მეტ-ნაკლებობის გაგებას, ორსულობისა არ იყოს, ინტელიგენტი ან ხარ, ან არა, და ეს სრულებითაც არაა დამოკიდებული, ორლობეში ურმით მიდიხარ თუ პროსპექტზე — ტროლეიბუსით... ან — თუნდაც „მერსედესით".

— ბატონო თამაზ, ერთი ნათქვამისა არ იყოს, ორი რამ უნდა გითხრათ, ერთი კარგი და მეორე ცუდი. რომლით დავიწყოთ? თქვენ ალბათ, იქიდან ამოხვალთ: ჯერ მწარე ჭამეთ და ამიტომაც გეტყვით: ჩვენმა გაზეთმა რეიტინგ-გამოკითხვები მოაწყო და ორ სხვადასხვა რეიტინგში თქვენმა სამინისტრომ ბოლო ადგილი დაიკავა: გამოკითხულთა აზრით, განათლების სამინისტრო ყველაზე ცუდად ართმევს თავს თავის მოვალეობას და ყველაზე ნაკლებ კორუმპირებულია. მეორე რეიტინგმა ხომ გაგახარათ?

— აბა, გამართლებულა ჩემი ეჭვი ამგვარი გამოკითხვების სანდოობის შესახებ ჩვენში, თუნდაც იმიტომ, რომ, საბედნიეროდ, განათლების სამინისტრო სულაც არ ართმევს თავს სხვებზე ნაკლებად თავის მოვალეობას; და, საუბედუროდ, არც მთლად შეუვალია იგი კორუფციისთვის.

— ბატონო თამაზ! ჩვენი სათაყვანო სამი განძიდან — ენა, მამული, სარწმუნოება — ბოლომდე დალხენილი და მოვლილი არც ერთი არ არის... ენის სიწმინდეს ვინ უნდა უპატრონოს? რატომ დუმს განათლების სამინისტრო?

— სწორს ბრძანებთ, ამ საქმეში სკოლის როლი განსაკუთრებულია: თუ სახელმძღვანელო უხეირო ქართულითაა დაწერილი ან, თუ მასწავლებელი ჩიქორთულით მეტყველებს, ეს, დღეს თუ არა — ხვალ, „ავი მუსაიფით" შემოგვიბრუნდება. თქვენს შეკითხვაში საყვედურიც იგრძნობა — მინისტრი, ასეა თუ ისე, ქართული სიტყვიერების მუშაკია და ამ მხრივ მას მეტი უნდა გაეკეთებინაო. სხვათა შორის, სანამ „ბალავერის" რედაქტორი ვიყავი, პრაქტიკულად უფრო მეტს ვაკეთებდი ამ მხრივ... მთელი ნომერი მივუძღვენით კოშმარულად ნათარგმნ სასკოლო სახელმძღვანელოებს და უშუალოდაც ვმონაწილეობდი მათ გასწორება-რედაქტირებაში... ასე რომ, ვიღებ თქვენს ამ შენიშვნას, თუმცა მიმაჩნია, საქართველოს განათლების მინისტრი პროფესიით ფილოლოგი რომც არ იყოს, ქართული ენის სიწმინდეზე ზრუნვა მის უპირველეს მოვალეობას უნდა წარმოადგენდეს...

— ბატონო თამაზ, თქვენ, როგორც რიგითი, სამშობლოზე შეყვარებული ქართველი, რას ეტყოდით სახვალიოდ ხალხს?

— იმასვე და მეტის დაჟინებით — „მოვუაროთ საქართველოს".

— გმადლობთ ინტერვიუსთვის.

ესაუბრა ლალი გუნთაიშვილი, „კვირის პალიტრა", 24.3.1997

„თუ“-ს გარეშე

— ბატონო თამაზ, თქვენ მეტად რთულ დროს გიწევთ დამოუკიდებელ საქართველოს საგანმანათლებლო სფეროს პირველკაცობა. როგორც მინისტრსა და მოქალაქეს, სხვებზე უკეთ მოგეხსენებათ, თუ როგორი გაგებით მოეკიდა ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას დედაქალაქის მასწავლებლობა. ამასთან, ფიზიკურად და სულიერად შეჭირვებულ მასწავლებლობას, ცხადია, გაუჭირდება, სამშობლოს საიმედო ცვლა გაუზარდოს. რით დაგვაიმედებთ?

— მოკლედ მოვჭრი — თუ განათლების რეფორმას გავატარებთ, გვეშველება... მთავარი ეს „თუ"-ა. ერთხელ ალყაშემორტყმულ სპარტელებს ანუ ლაკონიელებს მუქარის წერილი გაუგზავნეს, დაგვნებდით, თორემ, თუ თქვენი ქალაქი ავიღეთ, ქვას ქვაზე არ დავტოვებთო. ლაკონიელებმა მათთვის ჩვეული ლაკონიურობით მხოლოდ ერთი სიტყვით უპასუხეს — „თუ..." მე, ჩვენი მასწავლებლობის მართლაცდა თავგანწირული შრომის შემყურეს, იმის რწმენაც მაქვს, რომ ყოველგვარი „თუ"-ს გარეშე რეფორმებს გავატარებთ.

— ამბობენ, კარგის დანახვის საოცარი უნარი გაქვთ, ყველაფერს ახალს და საინტერესოს ისმენთ, საკმაოდ გაბედული ხართ გადაწყვეტილებების მიღებაში. თუ ეთანხმებით ნათქვამს? რას დაუმატებდით?

— მართალი გითხრათ, მე უფრო ნაკლები წარმოდგენისა გახლავართ საკუთარ თავზე; თუმცა — შეძახილმა ხე გაახმოო. ჰოდა, შეძახილს თუ ხის გახმობა შეუძლია, შესახელებას ხის აყვავება შეეძლება. გმადლობთ შესახელებისათვის.

— ერთ ფილოსოფოსს უთქვამს, არც ერთი კეთილი საქმე დაუსჯელი არ დარჩენილაო. თქვენი მოღვაწეობის პერიოდში გაიხსენეთ თქვენ მიერ გაკეთებული სიკეთე და გულწრფელად გვითხარით — დაისაჯეთ თუ არა ამისთვის?

— სიკეთის გაკეთება, ცხადია, ზოგჯერ რისკთანაცაა დაკავშირებული; მაგრამ, თუ ეჭვი გაგკრავს — მერე მე რა მომივაო, სიკეთეს, ალბათ, ვეღარც იქმ. საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე როცა ვიყავი და ერთ ხაშურელ გოგონას, გვარად ყიფიანს, ჩვენმა კომისიამ „ორიანი" დამსახურებულ „ხუთიანად" გადავუკეთეთ, იმაზე რომ მეფიქრა, თხუთმეტი წლის შემდეგ ვინმე კაბიანი თადა აშორდია რომელილაც „ყვითელ" გაზეთში (ისე მოგვიმრავლდნენ, მათ „ასავალ-დასავალს" ვერ გაიგებ) ამ ფაქტს რა კუდს გამოაბამსო, იმ გოგონას გავწირავდით. ისე, ცნობისათვის, იურიდიულ ფაკულტეტზე იმ ერთი გადაკეთებული ნიშნით მოხვედრილი — ახლა, ალბათ, უკვე ქალბატონი — ყიფიანი არც მანამდე და არც მერე თვალით არ მინახავს...

— როგორ ფიქრობთ, დანგრეულია თუ არა დღეს ყოფილი საბჭოთა კავშირის განათლების სისტემა საქართველოში?

— განათლების სისტემას, თუნდაც საბჭოურს, დანგრევა კი არ სჭირდება, არამედ — რეფორმაცია.

— ბუნებრივია, თქვენც გყავთ სანუკვარი ადამიანები, რომლებსაც განსაცდელის ჟამს უხმობთ. რას სთხოვდით, ან რას შეეკითხებოდით, ბატონო თამაზ, თქვენი საყვარელი პედაგოგის, ამაღლებული პიროვნების სიმონ სხირტლაძის სულს?

— ასე პერსონალურად და, ცოტა არ იყოს, თეატრალურად, არაევის სულს არ ვანუხებ; ერთი კია — ყოველ ჩემს გადაწყვეტილებას კვალს სნორედ ის სულები აჩნევენ, რომლებმაც თავიანთი სიტყვითა თუ საქმით „მნუართეს".

— რას ურჩევდით ადამიანს, რომელმაც ათი ნიგნი ნაიკითხა და მეთერთმეტის ნერა დაინყო?

— ჩემზე ადრე მას აკაკიმ ურჩია:

„ნერე, ნერე, ჩემო ვარდენ,
მტერს ესროლე ისარიო,
თუ პოეტი ვერ გახდები,
ნერას მაინც ისნავლიო".

— რომლის ცოდვა უფრო მტკივნეულ იარად დააჩნდება ქვეყნას — მინისტრის თუ მასნავლებლის? რატომ?

— ერთისაც და მეორისაც... და ორივე — საკმაოდ ღრმად...

— რა მოსაზრება გაქვთ სისტემის საგანმანათლებლო ობიექტების პრივატიზებასთან დაკავშირებით?

— ჩვენს სისტემაში ეს პროცესი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ პრივატიზებული ობიექტი შეინარჩუნებს საგანმანათლებლო ფუნქციებს.

— გაკმაყოფილებთ თუ არა დედაქალაქის განათლების მთავარი სამმართველოს მუშაობის სტილი, ტემპი და ხარისხი? რას დაინუნებდით მის საქმიანობაში და რას მოინონებდით?

— დედაქალაქის მთავარი სამმართველო არსებითი რგოლია ჩვენი სისტემისა, ამიტომაც მისი შეფასება, ფაქტობრივად, მთელი ჩვენი სისტემის, მათ შორის — განათლების სამინისტროს, მუშაობის შეფასებაცაა. ჩვენი მუშაობის შემფასებელი კი, პირველ ყოვლისა, მოსნავლე, მასნავლებელი და მთელი საზოგადოებაა. მთავარია, ვიმუშაოთ და შემფასებლები — არც „ზემოდან" და არც „ქვემოდან" — არ მოგვაკლდება.

— სნვდება თუ არა თქვენი ხელფასი თქვენს რეალურ ცხოვრებისეულ მოთხოვნებს და, თუ არა, როგორ ახერხებთ სიტუაციიდან გამოსვლას?

— ვხელმძღვანელობ „დათა თუთაშხიაში" გაცხადებული პრინციპით — კაცი უნდა ეყოს ხელფასს და არა ხელფასი — კაცს.

— თქვენ შესანიშნავი ოჯახი გაქვთ. მშვენიერი ქალიშვილების მამა ბრძანდებით. გვიამბეთ თქვენი ოჯახის შესახებ...

— თქვენ გამოგრჩათ — სამი შვილიშვილიცა მყავს... და სამი სიძეც; ერთხელ ვიხუმრე, ბიჭი არა მყავს, მაგრამ სიძეებში გამიმართლა — სამივე ბიჭია-მეთქი; არადა, ახლა სულაც აღარაა სახუმარო საქმე, სიძედ ნაღდი ბიჭი გეყოლება თუ არა — ნაღდი ბიჭობა ანუ კაი ყმობა ძველადაც იშვიათი იყო; მაგრამ უარესი გვჭირს — საუბედუროდ, მოგვიმრავლდნენ ქალაბიჭები და ბიჭაქალები... ისე, დიდი ოჯახი გვაქვს და, მიუხედავად იმისა, რომ ქალიშვილები თავ-თავიანთ მეუღლეებთან ცხოვრობენ, მაინც ერთად ვართ: დაახლოებით ერთი კვადრატული კილომეტრის ფარგლებში ვცხოვრობთ ოთხივე ოჯახი. მიხარია, რომ ჩემი მეუღლე ჩემს თანამშრომლებსა და მეგობრებსაც კი ჩემზე მეტად უყვართ — ამით მტკიცდება, რომ მე ნანა კვარაცხელიაზე უკეთესი გემოვნება მქონია.

— გაქვთ თუ არა თავისუფალი დრო? როგორ ისვენებთ?

— მკაცრად ლიმიტირებული სამუშაო დრო არა მაქვს; დროც ხელფასივითაა, დრო კი არ უნდა ეყოს კაცს, კაცი უნდა ეყოს დროს. ვისვენებ შვილიშვილებთან ერთად, თანაც — შემოქმედებითად: ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, მათ მეტყველებას ვაკვირდები და ვსწავლობ.

— თქვენთვის ყველაზე საყვარელი მწერალი, მსახიობი, კომპოზიტორი, სპორტსმენი?

— თითო როგორ დავასახელო, არ გებრალებით?

— მაშინ დაგვისახელეთ წასულთაგან და ცოცხალთაგან თითო-თითო...

— უარეს შარში მხვევთ, ცოცხალთაგან რომ მასახელებინებთ... ჯანდაბას ჩემი თავი — გარდასულთაგან სულხან-საბა (განსაკუთრებით „სიტყვის კონა"... ამ მხრივ მე და ჩემი მეგობარი გურამ დოჩანაშვილი ერთ აზრზე ვდგავართ), იპოლიტე ხვიჩია, ზაქარია ფალიაშვილი, მიხეილ მესხი. ცოცხალთაგან: რეზო ჭეიშვილი, ნინელი ჭანკვეტაძე, ბიძინა კვერნაძე, ტყუპი არველაძეები. ერთსაც დავძენ, ჩემთვის „ყველაზე საყვარელი" ყოველთვის როდი ნიშნავს „ყველაზე დიდს"...

— რას უსურვებდით დედაქალაქის განათლების მუშაკთა ფორუმს და მის მონაწილეებს?

— პირველ ყოვლისა იმას, რასაც საკუთარ თავს ვუსურვებდი — გამძლეობას... და — გამარჯვებასაც, ცხადია.

„დედაქალაქის განათლების მუშაკთა პირველი ფორუმი", თბ., 1997

ჯერ კანონის შესრულებაა კანონი

— გილოცავთ, ბატონო თამაზ, გადარჩენას... როგორ გრძნობთ თავს მძიმე ავარიის შემდეგ?

— მარკ ტვენისა არ იყოს — ხმები ჩემი გარდაცვალების შესახებ რამდენადმე გაზვიადებულია... როგორც იტყვიან, მზად გახლავართ შრომისა და თავდაცვისათვის... მე აქ, ცხადია, ჟურნალისტურ „თავდასხმასაც" ვგულისხმობ.

— მეც პირდაპირ საქმეზე გადავალ — როგორ აფასებთ აჟიოტაჟს ახალი მინისტრთა კაბინეტის შექმნის თაობაზე?

— მინისტრთა კაბინეტის იდეა ახალია, ყოველი ახალი კი, მოგეხსენებათ, „კარგად დავიწყებული ძველია" და, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება, იგი ამ ძველის ზუსტ რესტავრაციას არ უნდა გულისხმობდეს. აჟიოტაჟიც ნუ გაგვიკვირდება — აკი პრეზიდენტმა ეს იდეა ფართო საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოიტანა. თუმცა შეინიშნება სენსაცია-აჟიტირების ნიშნებიც და ამ პროცესში ჩართული ხალხი — მათ შორის, თქვენი კოლეგა ჟურნალისტებიც — ცდილობენ, ქოთანს ყური თავის ჭკუაზე გამოაბან...

— რა კომენტარს გაუკეთებთ სახელმწიფო მინისტრის შეფასებას, როცა მან ჯერ არშექმნილ კაბინეტს „დროებითი მთავრობა" უნოდა? ხომ არ ნიშნავს ეს გარკვეულ პროტესტს პრეზიდენტის მისამართით?

— პრეზიდენტს, რამდენადაც ვიცი, მკაცრ დროულ ჩარჩოში არ მოუქცევია კაბინეტის იდეის პრაქტიკული რეალიზება... არადა, ზემოაღნიშნულმა „მექოთნეებმა" დაიწყეს სხვადასხვა „ყურის" სხვადასხვა ადგილას გამობმა: ზოგი კოალიციურ მთავრობაზე ალაპარაკდა, ზოგი — პრემიერობის კონკრეტულ „მაძიებლებზე", ზოგიც — პარტიულ გუნდზე; თანაც — ალაპარაკდა როგორც უკვე გადაწყვეტილ საკითხზე, როგორც მექანიზმზე, რომელიც, თუ რამდენიმე დღეში არა, კვირაში მაინც ამუშავდება. სახელმწიფო მინისტრმა სწორედ ამ, ჯერ არდაბადებული, აბრაამის ნათლიათა მისამართით აღნიშნა, რომ ახალი მინისტრთა კაბინეტის მოდელის დამტკიცებასა და ამოქმედებას გარკვეული დრო სჭირდება, სხვანაირად — „დროებით მთავრობას" მივიღებთო; მართლაც, თუ პარლამენტის არჩევნებამდე შეიქმნება ახალი კაბინეტი, ხოლო ახლად არჩეული პარლამენტი ისევ ახალი კაბინეტის შექმნა-დამტკიცებას გადაწყვეტს, ასეთ მთავრობას დროებითი კი არა, უდღეურიც შეიძლება ენოდოს.

— მმართველი პარტია ახალი კაბინეტის პარტიული ნიშნით ჩამოყალიბების ინიციატივით გამოვიდა, რასაც ხსნის იმ მოტივით, რომ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს „უპარტიო" მთავრობა დემონსტრაციულად უგულვებელყოფს. შეიძლება თუ არა მმართველმა პარტიამ ეს პრეტენზია თქვენც ნამოგიყენოთ?

— კაბინეტის დაკომპლექტების ყოველი პრინციპის (პარტიული გუნდისა იქნება ეს, კოალიციური თუ — ნარევი) ავკარგიანობა კონკრეტული სიტუაციით, დროითა და სივრცით განისაზღვრება: მოდელი, რომელიც, ვთქვათ, პანამაში „მუშაობს", შვეიცარიისათვის, შესაძლოა, მიუღებელი აღმოჩნდეს. თუ დავასაბუთებთ, რომ „პარტიული გუნდის" მოდელი დღეს უკეთესად იმუშავებს საქართველოში, მისი საწინააღმდეგო ვის რა ექნება... უპარტიო მთავრობა პარლამენტის მიღებულ კანონებს დემონსტრაციულად უგულებელყოფსო; ვფიქრობ, კანონთა აღსრულება ყოველ ნორმალურ ქვეყანაში დამოუკიდებელი უნდა იყოს მთავრობის ფორმირების მოდელისაგან... რა, არაპარტიულობის პრინციპით დაკომპლექტებულმა მთავრობამ კი შეიძლება, რომ კანონები უგულებელყოს? ალბათ, გახსოვთ „დათა თუთაშხიადან": „ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა საქმე"... ასევე, ჯერ კანონის შესრულებაა კანონი და მერე სრულდება სხვა კანონი. ეს ყველაფერი სახელმწიფოებრივი შეგნების საქმეა და არა — პარტიულისა. პრეტენზია კანონთა შეუსრულებლობაზე განათლების სამინისტროსთვის, პირადად მინისტრისათვისაც, წამოუყენებიათ, ოღონდ — არა მმართველ პარტიას; გახსოვთ, ალბათ, კონსტიტუციურ სასამართლოში ლეიბორისტების მიერ შეტანილი სარჩელი, რომლის საფუძველი, სხვათა შორის, პარლამენტისავე მიღებულ განათლების კანონში „აღმოაჩინეს".

— რას ფიქრობთ, შეგხვდებათ თუ არა განათლების მინისტრის პორტფელი ახალ კაბინეტში, თუ ეს პოსტი ოპოზიციისათვისაა უკვე განკუთვნილი, კერძოდ, თქვენი ძველი ოპონენტის ლეიბორისტ ნათელაშვილისათვის?

— ამ ხუთი წლის წინათ, როცა პარლამენტი მინისტრად მამტკიცებდა, ვთქვი, ყველაზე მძიმე პორტფელი მე შემხვდა-მეთქი. ეს პორტფელი ჩემთვის ამ ხნის მანძილზე თუ დამძიმდა, თორემ არ შემსუბუქებულა... გახსოვთ, ალბათ, ატლანტის მითი, ცის თაღს მხარშებჯენილი როგორ ცდილობს ჰერაკლეს ეს გაუსაძლისი ტვირთი შეაჩეჩოს. ვერ გეტყვით, ბატონი შალვა ნათელაშვილი რამდენად ჰგავს ჰერაკლეს, მე კი თავი ნამდვილად არ მიმაჩნია ატლანტად... არადა, ხანდახან, სულო ცოდვილო, მსგავსი აზრები მეც გამკრავს ხოლმე... კი, ბატონო, გადავულოცავდი ამ ტვირთს ბატონ შალვას, მაგრამ იმ პატიოსან კაცს აღარ ვეკითხებით, დაგვთანხმდება ამაზე? თუ პრესას ვერწმუნებით, ნათელაშვილი პორტფელის სხვისგან მისაღებად კი არა, პორტფელების სხვათათვის დასარიგებლად ყოფილა მზად: ინტერვიუში განაცხადა, საპარლამენტო უმრავლესობით პარლამენტში მოსასვლელად ვემზადები და პორტფელების განაწილებაზე ვმუშაობო... ბატონ შალვას იუმორის გრძნობა აქვს, ამიტომაც ჩემს ეარაუდს გაგიზიარებთ: იგი თავის დაკომპლექტებულ კაბინეტში განათლების მინისტრის პორტფელს, ალბათ, ისევ მე მიმზადებს. მე კი ამ გრძნობას მოკლებული გახლავართ და — აპ, აპ, აპ, აპ... ამთავითვე უარს ვუცხადებ მინისტრობაზე.

— მოახლოვდა მისაღები გამოცდები, რა შეგიძლიათ უთხრათ ახალი აბიტურიენტებს და მათ გულშემატკივრებს?

— მისაღები გამოცდები მარტო ცოდნის კი არა, ღირსების გრძნობის გამოცდაცაა; აბიტურიენტებს ვუსურვებ ორივე გამოცდა სწორედაც ღირსეულად ჩაებარებინოთ.

მაია ფურცელაძე, „ალია", 25.6.1998

მეუღლის პრიზმაში: არ ვსდევ ჟამთაცვლას

საქართველოს განათლების მინისტრს
ბატონ თამაზ კვაჭანტირაძეს
ინტერვიუს ართმევს გაზეთ „პრიზმის" განყოფილების გამგე,
ჟურნალისტი ნანა კვარაცხელია,
„შეთავსებით" — მინისტრის მეუღლე.

— აირჩიე, ან უნდა მიპასუხო შეკითხვებზე, ან სამსახურს თავს ვანებებ: ხვალ მზა მასალა თუ არ მივიტანე, მშვიდობით, სამსახურო — რედაქტორს ველარ დავენახები. თანაც, ნუ დაგავიწყდება, შენზე დიდი ხელფასი მაქვს...

— ეგ არაფერი, შენ ის მითხარი, თუ გაზეთიდან წამოხვალ, სად აპირებ მუშაობის დაწყებას?

— თუნდაც შენს სისტემაში... დიპლომში მეც „ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი" მიწერია...

— აჰ, ამას ყველაფერი მირჩევნია... შემეკითხე და გიპასუხებ.

— გაფრთხილებ, ისეთ შეკითხვებზე უნდა მიპასუხო, სხვა რომ ვერ ან არ დაგისვამს...

— ჩემი პასუხი კი როგორი უნდა იყოს — სხვას რომ ვერ ან არ გავცემ?

— ალბათ... ყოველ შემთხვევაში, რა ეშველება ჩვენს სკოლას და რა რეფორმების გატარებას აპირებ განათლების სისტემაშიო, ამას ყველა გეკითხება...

— კი მეკითხება, მაგრამ ამომწურავსა და ყველასათვის დამაკმაყოფილებელ პასუხს ვიძლევი-მეთქი, ვერ დავიტრაბახებ.

— რახან ხელფასი ვახსენე: ბოლოს და ბოლოს გამარკვიე, რამდენით მეტს ვიღებ შენზე...

— მაგას ზუსტად ვერ გეტყვი... ჯერ ერთი, არც მე ვიცი შენი ხელფასი; მეორეც — საკუთარ ხელფასზეც, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს — განათლების სისტემაში ხელფასი თითქმის ყოველთვიურად გვეცვლება... წინა თვეს ას სამოცდაათი ათასი კუპონი ავიღე. ჯერჯერობით სკოლის მასწავლებელს სამოციდან სამოცდათხუთმეტ ათასამდე აქვს — კატეგორიისდა მიხედვით... ახლა მინისტრთა კაბინეტს ახალი დადგენილება მივალებინეთ და მარტიდან მასწავლებლის ხელფასი, ალბათ, ოთხასი ათასიდან ნახევარ მილიონ კუპონამდე გაიზრდება.

— განათლების მინისტრისა?

— მინისტრსა და, საერთოდ, სისტემის ხელმძღვანელობაზე ეს მატება, შენდა სამწუხაროდ, არ ვრცელდება. ისევ დღევანდელ ხელფასს უნდა დამჯერდე.

— რა დაგიშავა ჰალსტუხმა, ცხოვრების რომელ ეტაპზე მოიძულე?

— ეტყობა, პიონერობის ასაკში... მახსოვს, როგორ გაგვაფრთხილეს — წითელ ყელსახვევზე თუ ვინმე წაგეტანება, უნდა უთხრა: ხელი უშვი მშრომელთა სისხლში ამოვლებულ წითელ ყელსახვევსო... მეოთხეკლასელ ბავშვებს გვეუბნებოდნენ — სისხლში ამოვლებული ყელსახვევი გიკეთია და, აბა შენ იცი, არავის დაუთმოო — თითქოსდა დროშა ყოფილიყოს...

— რატომ გაცვია მაინცდამაინც როლინგი — ეს ლამის ნახევარ საქართველოს აინტერესებს. ყოველ შემთხვევაში, ბარათებიც წამიკითხავს და ტელეფონითაც შემოუთავაზებიათ, რა გახდა ერთი ნორმალური „სარო ჩკა", თქვენ თუ არ შეგიძლიათ, ჩვენ ვუყიდითო... ზოგს იმდენად შენი მატერიალური შესაძლებლობა კი არა, უფრო ფიზიკური ნაკლი აინტერესებს: ჭორები დადის, თითქოს კისერზე — და სხვაგანაც, ტანზე —ნაჭრილობევი გქონდეს...

— ჰოდა, მეუღლეზე უკეთ ამ უკანასკნელ ვერსიას ვინ გააბათილებს?

— სხვათა შორის — პირველსაც; ისე არასოდეს გვიჭირდა, რომ პერანგი სხვას ეყიდა... გაქვს რამდენიმე რიგიანი „სარო ჩკა", მაგრამ რად გინდა, არ იცვამ და...

— როლინგსა და სვიტრს დიდი უპირატესობა აქვს — უღილობა, გარგე თავი და უკვე მზად ხარ... მაგრამ, მთავარი, მიჩვევაა... მე მიჩვევის კაცი ვარ, ნახმარ, ნამსახურევ ტანსაცმელს იოლად ვერ ველევი. შეიძლება ამის მიზეზი ომისშემდგომი ჩვენი გაჭირვებული ბავშვობაც იყოს. მახსოვს, მეთერთმეტე კლასში ბიჭებმა ხუთი წლის იუბილე გადავუხადეთ ჩემს ერთადერთ საგარეო ჩეხურ ფეხსაცმელს, რომელიც მანამდე ორ წელს პატიოსნად ემსახურა ჩემს უფროს ძმას. საერთოდ, მიჭირს სიტუაციის, გარემოს, ანტურაჟის, შეხედულებების შეცვლა... გარემოცვის შეცვლასაც ვერ ვგუობ — არ გამომიცვლია არც სკოლა, არც კლასი, შენ წარმოიდგინე, ადგილიც კი: შუა რიგის მეორე მერხზე ვიჯექი ყოველთვის, გვერდითაც მუდამ

მერაბ მახარაძე მეჯდა... ასევე არ გამომიცვლია უმაღლესი სასნავლებელი, არც ფაკულტეტი, არც ჯგუფი; არ გამომიცვლია სამსახურიც — უნივერსიტეტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, უკვე ოცდარვა წელინადია, ერთსა და იმავე კათედრაზე ვმუშაობ... ჟურნალის რედაქტორიც ვიყავი, რუსთაველის საზოგადოების თანაპრეზიდენტიც, სახელმწიფო საბჭოს წევრიც, ახლა მინისტრიც ვარ, მაგრამ ძირითადი ჩემი სამუშაო ადგილი უცვლელად უნივერსიტეტია და პროფესია — პედაგოგობა, ლექტორობა. მეგობრებიც, შენც კარგად იცი, არ გამომიცვლია, არც დამიკარგავს... ადგილის გამოცვლაც არ მიყვარს; ვგონებ, თორმეტ წელინადს ზედიზედ ქვიშხეთში ერთსა და იმავე ოჯახში, რომაშვილებთან, ეისვენებდით ზაფხულობით...

— ვიცი... ეგ კი არა, ოთახში რაიმე ნივთს რომ გადავაადგილებ ან წიგნს ადგილს შევუცვლი თაროზე, ერთ ამბავს ატეხ ხოლმე. ისე, ბედის გამოცვლასაც ასევე ვერ შეეგუები?

— ბედის კი არა, მანქანის ნომერიც კი არ გამომიცვლია — 94-94. მანქანასაც არ გამოვიცვლიდი, ფასანაურთან, ხანდოს ხიდზე, რომ არ დამლეწოდა. ბინაც იძულებით გამოვიცვალე: ვერაზე, ფილარმონიის ადგილას რომ სახლი იდგა, იქ ვცხოვრობდი, სანამ 1966 წელს არ დაგვინგრიეს...

— რაღაც მტრულად იხსენებ სამოცდაექვს წელს...

— ამ მხრივ — კი... მე და სულიკო, შენი მაზლი, ვიდექით ქუჩაში, ვხედავდით, როგორ უხათქუნებდა ამწე უზარმაზარ რკინის ბურთულას ჩვენს სახლს და ცრემლებს ვაღვარღვალებდით. ძილში ყველაზე ხშირად ჩემს ძველ სახლს ვხედავ, ძველ სახლს და დედაჩემს.

— სხვა არაფერი დაგამახსოვრდა იმ სამოცდაექვსი წლიდან?

— დამამახსოვრდა... სახლი კი დაგვინგრიეს, მაგრამ სამაგიეროდ იმ წელს მე და შენ დავინყეთ ოჯახის შენება...

— თუ იცი, ქორწილის წინ რა მითხრეს შენმა კლასელმა გოგოებმა?

— კარგს მაინცდამაინც არაფერს გეტყოდნენ — ჩვენს კლასში გოგოები და ბიჭები ძაღლი-კატებივით ვიყავით ერთმანეთში...

— ... ძალიან გვიყვარს, მაგრამ მაინც გვეცოდებიო.

— ისე, ჩვენი კლასის ბიჭების აღთქმა შენ დამარღვევინე. მეექვსე კლასში ვიყავით, გოგოები რომ შემოგვიერთეს... მე შენთვის არ დამიმალავს: რაც თავი მახსოვს, სულ შეყვარებული ვიყავი გოგოებზე, თუმცა ჩემი ლტოლვის სუბიექტებმა ეს არასოდეს იცოდნენ... ემალავდი, მერცხვინებოდა და ამ ჩემს სიყვარულს აგრესიულობაში ვაელენდი. გარდატეხის პერიოდში სხვა ბიჭებიც, ეტყობა, ჩემს დღეში იყვნენ და ამიტომაც ვანიოკებდით გოგოებს. ამავე ასაკში პატრიოტული განცდაც გვიმძაფრდებოდა და ერთ მშვენიერ დღეს ჩემს კლასელ ბიჭებს ფიცი დავადებინე — ცოლები არ მოვიყვანოთ, სანამ საქართველოს არ გავათავისუფლებთ-მეთქი. ვფიქ-

რობდი — და, როგორც გაირკვა, არცთუ უსაფუძვლოდ — რომ სიყვარული, ცოლი და ოჯახი ამ საქმეში დაგვაბრკოლებდნენ. ოცდაექვს წლამდე გავუძელი და მერე, შენი შემწეობით, პირველმა მე დავარღვიე აღთქმა...

— და ბიჭების რისხვაც დაიტეხე თავზე?

— გაგიგონია? ხომ გახსოვს, თითქოს ამას ელოდნენო — ქორწილი ქორწილს გადაება...

— ხომ არ ფიქრობ, რომ გოგოების დაწიოკებისათვის დაგსაჯა ღმერთმა და სახლი ქალებით აგივსო: მე, დედაჩემი, სამი ქალიშვილი, ორივე შვილიშვილი — გოგო... მოკლედ, როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში იხუმრე — მხოლოდ სიძეებში გაგიმართლა, სამივე ვაჟია...

— შენ ხუმრობა უძახე და — დღეს ნარკომანიამ და ლოთობამ ისე დაგვრია ხელი, ხატს სანთელი უნდა დაუნთო კაცმა, თუ სიძე ვაჟი აღმოჩნდება.

— რა გაღიზიანებს ყველაზე მეტად?

— შენ მკითხები ამას?

— კარგი, ბატონო, ეს მე მართლაც ვიცი და, სხვათა შორის, ნაკლებ საბაბსაც გაძლევ გასაღიზიანებლად... ვცდილობ, ყოველ შემთხვევაში... მთელი ოჯახი ფეხისწვერებზე დავდივართ, როცა შენ მუშაობ...

— ელენიკო და ნანიკოც?

— მაგის რა მოგახსენო... მაგრამ როცა ეგენი ჩვენთან არიან, შენ თვითონ თუ ხარ თუნდაც ერთი სტრიქონის დამწერი? მთელი სახლი თაეზე გაქვთ წამომხობილი ბაბუა-შვილიშვილებს... სხვათა შორის, შენს ქალიშვილებს ასე არ ათამამებდი... მაგრამ მე ოჯახური სიტუაცია არ მიგულისხმია — საერთოდ, ადამიანის რა თვისება გაღიზიანებს?

— უმადურობა.

— მესმის შენი, მაგრამ ამ უმადურობის სამხილებლად რატომ ირჩევ ხოლმე მაინცდამაინც ფართო აუდიტორიას, რატომ იკიდებ მტრად შენს გუშინდელ თაყვანისმცემლებს?

— იმიტომ, რომ მე იმდენად უმადურ კაცს კი არ ვერჩი — უმადურობის წამახალისებელ საზოგადოებას. სოსო ცისკარიშვილმა რუსთაველის საზოგადოება ორგანიზაციულად ფეხზე დააყენა, საზოგადოების ყრილობაზე კი ანათემა მოუწყვეს; ყველაზე მეტად მისი „გამოჩეკილი" ახალგაზრდები აქტიურობდნენ, გამსახურდიასაგან გაბრიყვებულები. მათაც და მთელ ყრილობასაც, რისი ღირსიც იყვნენ, საჯაროდ ვუთხარი... უმადურობაა, ვერ დაინახო, ვინ დადის მეროჭიკე ბერივით სხვა სახელმნიფოთა კარდაკარ, ჩვენი გაპარტახებული ქვეყნისათვის რომ პური და გაზი ჩამოითხოვოს, ვინ იყო აფხაზეთში ტყვიას შუბლშეშვერილი... უმადურობა და უხამსობაა — აფხაზეთი გაიყიდაო — იძახონ იმათ, ვინც მართლაც გაყიდეს და განირეს არა მარტო სოხუმის დამცველები, არამედ, შენ წარმოიდგინე, საკუთარი თავიც... როგორც იტყვიან — გაიყიდნენ...

— მოკლედ, როლინგისა არ იყოს, შენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიებიც არ იცვლება...

— ძალიან მიყვარს ალექსანდრე ჭავჭავაძე: „არ ესდევ ჟამთაცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად".

— ხშირად მეკითხებიან, როდის გიჯერებს შენი ქმარიო; რა ვუპასუხო?

— გიჯერებ მაშინ, როცა შენი აზრი ჩემსას ემთხვევა...

— საპრეზიდენტო არჩევნებში შენს მონაწილეობაზე ჩვენი აზრები ერთმანეთს არ დაემთხვა და — ამის გახსენება ახლაც მზაფრავს — შენ დათანხმდი პრეზიდენტობაზე კენჭი გეყარა. ხომ არ ჯობდა, იმ ერთხელ მაინც, ჩემთვის დაგეჯერებინა?

— ჩემთვის — ჯობდა, საქმისთვის — არა. პროვინციული ფაშიზმის კრახში მაშინდელმა ჩვენმა უიმედო და მარცხისათვის განწირულმა ნაბიჯმა თავისი როლი ითამაშა.

— შენი გადამკიდე, ვიცი, ბედი კიდევ ბევრ სიურპრიზს მომიმზადებს... და მაინც ერთი რამ არის ჩემთვის ძნელად ასახსნელი: არ იცვლი ჩვეულებს, „უნიფორმას", მეგობრებს, არ გიყვარს გარემოს, სიტუაციის შეცვლა — და ამნაირ კონსერვატორული ბუნების კაცს სახელმწიფოს მეთაურმა განდო ყველაზე ტრადიციული სფეროს, განათლების სისტემის, შეცვლა, სასკოლო რეფორმის გატარება. შეეშალა?

— აბა, რა გითხრა. ისე, ისტორიამ არცთუ იშვიათად იცის შემთხვევები, როცა შუმი კონსერვატორები თავგადაკლულ რეფორმატორებად ქცეულან... და — პირიქითაც!

„პრიზმა", N 2, 9.II.1994

ზოგჯერ ნასვლაც დარჩენაა

— რა ჩანაფიქრი დაგრჩათ, ბატონო თამაზ, განუხორციელებელი?

— ჩანაფიქრს ვინ დაეძებს, დაწყებული საქმეები დამრჩა მოუმთავრებელი. ამისგან ტრაგედიას ნუ შევქმნით — ტრაგედია ის იქნებოდა, არაფერი დამრჩენოდა დასასრულებელი: თუ არაფერს დაიწყებ, დასამთავრებელიც არაფერი დაგრჩება. ახლა მთავარია, სარეფორმო პროცესები დავაბოლოვოთ.

— განა შეიძლება რეფორმირების პროცესის დაბოლოვება, განა ეს მარადიული პროცესი არაა?

— მარადიულია განათლებაში ცვლილებათა პროცესი, მაგრამ განათლების რეფორმა ანუ — სისტემის ღრმა შინაარსობრივ-სტრუქტურული გარ-

დაქმნა, გამომდინარე თვისებრივად განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან, მაინც დროით გახლავთ „დასაზღვრული" და ეტაპობრივაცაა „განერილი". მაგალითად, თორმეტწლედზე გადასვლა 2005-2006 სასწავლო წლისათვის უნდა გასრულდეს.

— რა პრობლემებზე ურჩევდით ყურადღების გამახვილებას ახალ მინისტრს? რა მიგაჩნიათ სადღეისოდ განათლების სისტემაში პირველი რიგის ამოცანად?

— ახლა გადამწყვეტ ფაქტორად იქცა სწრაფი და გეგმაზომიერი ცვლილებები რეფორმის შინაარსობრივ ჭრილში. მართალია, უკვე დამტკიცდა განახლებული სტანდარტები, სასწავლო გეგმები, განახლდა სახელმძღვანელოთა ერთი ნაწილიც, მაგრამ ამ მხრივ წინ უამრავი სამუშაოა. სოციალურად მტკივნეული ბევრი სარეფორმო ნაბიჯი უკვე გადავდგით — ჩატარდა მასწავლებელთა ატესტაცია, დარეგულირდა მათი დატვირთვა, დაკანონდა ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება, მიმდინარეობს ქსელის რეორგანიზაცია და მრავალი სხვა. მაგრამ ნურავინ იფიქრებს, ახალი მინისტრი უკვე გამზადებული სუფრის თავში დაჯდაო — მას მარტო დაწყებულ საქმეთა გასრულება კი არა, ბევრის ახლად დაწყებაც მოუწევს. ვთქვი და გავიმეორებ — ყველანი მხარში უნდა ამოვუდგეთ მას, რათა რეფორმა არ „დადგეს"... მეტიც — იგი არც უნდა დაყოვნდეს.

— ეს კი ცოტა არარეალური ჩანს — ავტორის გარეშე მოსალოდნელია რეფორმის შეფერხება.

— მე არასოდეს მქონია რეფორმის ავტორობის პრეტენზია. არა მარტო განათლების, საერთოდ — რეფორმათა სტრატეგია პრეზიდენტმა განსაზღვრა და, თუ მაინცდამაინც ავტორობაზე მიდგა საქმე, განათლების რეფორმას კოლექტიური ავტორი ჰყავს — მრავალი თაობის ეროვნული პედაგოგიური ინტელექტი. მე გარკვეულ ეტაპზე მომიწია ამ „კოლექტიური ავტორის" მესვეურობა და ეს დიდ პატივთან ერთად პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთიცაა. ეს ტვირთი წასვლით არ მეხსნება, მეტიც — თუ ჩემი წასვლა რეფორმას შეაფერხებს, მაშინ მე უფრო ადრე ვყოფილვარ წასასვლელი; ამიტომაც მიმაჩნია საკუთარი პრესტიჟის საქმედ ჩემი შემცვლელის ყოველი წარმატებული ნაბიჯი, გადადგმული სარეფორმო გზაზე, რომელზეც ნოხი როდი აგია — ეკლებითა და მოზრდილი ზომის ლურსმნებით გახლავთ მოფენილი.

— თქვენ ცნობილი ხართ, როგორც შესანიშნავი მეცნიერი და ლექტორი; პოლიტიკაშიც, თავის დროზე, სერიოზული განაცხადი გაქვთ გაკეთებული. რას აპირებთ მომავალში, პოლიტიკას დაუბრუნდებით თუ მეცნიერებას?

— არც მეცნიერებას და არც პოლიტიკას, კაცმა რომ თქვას, ისე არასოდეს მოვმწყდარვარ, რომ უკან მისაბრუნებელი გზა ამერიოს. თანაც, არის ასპარეზი, სადაც ცოდნაც და დიპლომატიაც აუცილებელია — საკლასო ოთახი, აუდიტორია... ასე რომ, ჩემთვის არ არსებობს ალტერნატივა — ან

მეცნიერება, ან პოლიტიკა — გამეცნიერებული პოლიტიკა თუ გაპოლიტიკურებული მეცნიერება არის ის სამყარო, საიდანაც არასოდეს წავსულვარ და სადაც ისევ დავრჩები... წამსვლელ-დამრჩომის სადღეგრძელოსავით არ გამომივიდეს, მაგრამ ზოგჯერ წასვლაც დარჩენაა...

ესაუბრა მარიკა ჩიქოვანი, „ახალი განათლება", 20.8.1998

წყლის ნაყვა

— გილოცავთ, ბატონო თამაზ, შობა-ახალწლებს და ახალ ასპარეზზე მოღვაწეობის დაწყებას.

— გმადლობ, ასევე — თქვენც. ისე, თვითონ სამსახური — პარლამენტის საბიბლიოთეკო და სამეცნიერო-კვლევითი ოფისი — გახლავთ ახალი, თორემ წიგნი, ბიბლიოთეკა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ჩემთვის ახალი ასპარეზი ნამდვილად არ არის.

— და — არც ჟურნალისტიკა... მახსოვს თქვენი რედაქტორობით გამოსული „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში"... მახსოვს თქვენი ტელელექციებიც...

— როცა მინისტრობისას ჟურნალისტი საუბარს ჩემი ტელელექციების ქებით დამიწყებდა, გული რეჩხს მიზამდა ხოლმე: ვიცოდი, კონტრასტის ხერხად გამოიყენებდა ჩემი ძველი და ახალი საქმიანობის შესადარებლად.

— თქვენს ძველსა და ახალ საქმიანობაზე საუბარს, ეტყობა, ვერც ახლა ავუქცევთ გვერდს, თუმცა ამჯერად მე უფრო ზოგადი საკითხები მაინტერესებს... მაგალითად, რამ გაიძულათ დასთანხმებოდით ჩვენს უსახსრო პირობებში თითქმის წინასწარ განწირულ საქმეს — განათლების მინისტრობას?

— ალბათ, იმანაც, რომ ეს საქმე მაინც არ მიმაჩნდა წინასწარ განწირულად... და — არც ახლა მიმაჩნია.

— არც გამსახურდიას კონკურენტად საპრეზიდენტო მარათონში ჩაბმა მიგაჩნდათ წინასწარ განწირულ საქმედ?

— არა, მაშინ, ცხადია, ვიცოდი, რომ პრეზიდენტი ვერ გავხდებოდი. ამას შეგუებულიც გახლდით... უბედურება ის იყო, რომ გამსახურდიასთან ასეთი ლია დაპირისპირებით მტრად ვიკიდებდი ჩემს გუშინდელ მოყვრებს — უამრავ ქალბატონს და ზოგ ვაჟბატონსაც, რომელნიც ჩემს ეკრანულს და ზვიადის პრაქტიკულ საქმიანობას ერთი იდეის სამსახურად მიიჩნევდნენ.

— განა ეგრეც არ იყო?

— აღმოჩნდა, რომ — არა. ზვიადს მე ბავშვობიდან ვიცნობდი, მეგობარ-

თა საერთო წრეც გვქონდა, ამიტომ უკვე სტუდენტობისას ორივემ ვიცოდით, რომ, როგორც იტყვიან, „ერთად ვერ მოვძოვდით", თუმცა, ღია დაპირისპირება მერე მოხდა, როცა კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვნილი ჟურნალი გამოვეცი და რუსთაველის საზოგადოებაში დავიწყე საქმიანობა.

— რატომ მეორედ აღარ ჩაებით საპრეზიდენტო არჩევნებში?

— ამაზე უკვე ვუპასუხე — თვითმკვლელობის მცდელობისას ერთხელ შემთხვევით გადარჩენილი კაცი, მეორედ თითქმის აღარასოდეს ეცდება თავის მოკვლას... იყო მეორე ფაქტორიც — შევარდნაძე. მიმაჩნდა და მიმაჩნია, სანამ იგი სათანადო ფიზიკურ კონდიციებს შეინარჩუნებს, საქართველომ ყველაფერი უნდა იღონოს, რომ თვითონ არ მოინდომოს ამ ჯოჯოხეთიდან ნასვლა...

— მინისტრის სავარძლის დატოვების შემდეგ, თქვენც ხომ არ გაგჩენიათ სურვილი, პოლიტიკურ ოპოზიციაში ჩასდგომოდით პრეზიდენტს?

— რა შემატყვეთ სამაგისო? ისე, ოპოზიციაცაა და ოპოზიციაც; ისევ ნითელ, კომუნისტურ „სამოთხეში" საქართველოს შეთრევის მცდელობა ჩემთვის არცაა ოპოზიციონერობა, ამას სხვა სახელი ჰქვია...

— დაგვიკონკრეტეთ, მაინც რა სახელი?

— ამას ჰქვია ღალატი; ჯანსაღი, კონსტრუქციული ოპოზიცია კი სახელმწიფო ცხოვრების ნორმალური მდგომარეობაა და გაოპოზიციონერება არ უნდა დაუკავშირდეს თანამდებობის არც დაკარგვას და არც მიღებას. არადა, ჩვენში ოპოზიციონერობის გამო თანამდებობადაკარგული არავინ მინახავს, სახელისუფლო რიგში ჩამდგარნი კი — ბევრი. მინისტრებმა ამ საცდურს, ჩემი აზრით, გავუძელით. ისე, პრესაც ნუ ეცდება ჩვენს დაკომპლექსებას — ემანდ, ნათამდებობართა ოპოზიციონერობა არ დაგვბრალდესო და ამიტომ უშუქობაზე, უწყლობასა და უხელფასობაზე სულ „იფ, იფ, რა კარგია" ვიძახოთ.

— ვახტანგ რჩეულიშვილმა დაწერა: შევარდნაძემ იცოდა, რომ კვაჭანტირაძე მისი უერთგულესი მინისტრი იყო, მაგრამ ისიც უწყოდა, განათლების რეფორმებით უკმაყოფილო მასწავლებლების ხმებს არჩევნებში იგი რომ ვერ უზრუნველყოფდა და ამიტომაც განირაო... ეთანხმებით?

— თუ ასე დაწერა, სადავო მექნებოდა როგორც ძირითად აზრთან, ასევე ამ აზრის ენობრივ გაფორმებასთანაც. ჯერ ერთი, რას ნიშნავს „განირა"? მე არავის გავუწირავვარ... თავი მომკვეთეს თუ რა? მე „რუსთაველისტი" ვარ და მისი მჯერა: „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები".

— მაგრამ სადავო, ალბათ, არ გექნებათ იმ მტკიცებასთან, რომ თქვენ შევარდნაძის უერთგულესი კაცი ბრძანდებით?

— თქვენ წარმოიდგინეთ, აქაც მექნება იმდენად, რამდენადაც ჩემთვის ერთგულების ცნება სამსახურებრივ სფეროში არ ფარავს ამ ცნების საყოფაც-

ხოვრებო გაგებას: მინისტრი თუ თავს რიგიანად ვერ ართმევს პრეზიდენტის პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას — მასწავლებელთა ელექტორატის მხარდაჭერა კი მართლაც პოლიტიკური პრობლემაა — მაშინ ის ვერ ჩაითვლება უერთგულეს მინისტრად, ხაზს ვუსვამ — მინისტრად, თორემ უერთგულესი პიროვნება იგი შეიძლება მართლაც იყოს. მაგრამ მე სადავოდ სწორედ ის აზრი მიმაჩნია, რომ განათლების რეფორმის დაწყების გამო მე თითქოს ვერ უზრუნველვყოფდი მასწავლებელთა ელექტორატის ხმებს. ადგილობრივმა არჩევნებმა გვიჩვენა, რომ საკადრო ცვლილებას მოსალოდნელი შედეგი ამ მხრივ, არ მოჰყოლია, უფრო საპირისპირო ეფექტზე შეიძლებოდა გველაპარაკა. და ეს სრულებითაც არ გახლავთ ახალი მინისტრის ბრალი, უკეთესი შედეგი ალბათ ვერც სხვას ექნებოდა.

— მაშ, რამ განაპირობა, რომ ლეიბორისტებმა, განათლებისა და ჯანდაცვის რეფორმების ყველაზე შეურიგებელმა მოწინააღმდეგეებმა, ასეთი რაოდენობის ხმები მიიღეს?

— ჯერ ერთი, არავინ იცის, ეს ხმები ლეიბორისტებმა პროფესიული ნიშნით მიიღეს, თუ — იდეოლოგიურით... ანუ — ეს ხმები ძირითადად მასწავლებლების და ექიმებისაა, თუ — კომუნისტური ნოსტალგიით შეპყრობილი ელექტორატის. მაქვს სერიოზული საფუძველი ვიფიქრო, რომ მასწავლებელთა ძირითადი მასა სწორედ ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული სარეფორმო ნაბიჯის — ატესტაციის ეტაპის წარმატებით ჩატარების — შემდეგ შემობრუნდა ხელისუფლებისაკენ. ჩვენ, პირველ ყოვლისა კი, პრეზიდენტმა, სიტყვა არ გავტეხეთ და ატესტაციაგავლილ მასწავლებლობას ხელფასი მკვეთრად მოვუმატეთ. ვინც ლეიბორისტთა პროპაგანდას აჰყვა — ატესტაციაზე არ გახვიდეთ, კატეგორიასთან ერთად ხელფასს არავინ მოგიმატებთ, ატესტაცია მასწავლებელთა შესამცირებლად მოიგონა მთავრობამო — ეს ხალხი დარჩა, რომ იტყვიან, ხახამშრალი, ლეიბორისტები კი — გაშიფრული; განათლების სამინისტროს მათგან მოტყუებულ მასწავლებელთა მასა მოაწყდა — სასწრაფოდ დაგვინიშნეთ ხელახალი ატესტაციაო. რომ იტყვიან, თონე ჩახურდა, საჩვენო პურის ჩაკვრაღა იყო საჭირო, მაგრამ...

— რა მოხდა, თქვენ ვერ ივარგეთ პოლიტიკურ მეთონედ, თუ სხვამ?

— ცოტ-ცოტა ხელი ყველამ მივაკელით: მეც, მთავრობამაც, პარლამენტმაც და მმართველმა პარტიამაც. ჯერ იყო და, ჩილეში ავტოკატასტროფაში მოეხვედი და ყველაზე საჭირო მომენტში სამი თვით გამოვეთიშე აქტიურ პროცესებს; ფინანსთა სამინისტრომ მომატებულის კი არა, საერთოდ ხელფასების გაცემა შეუწყვიტა მასწავლებლობას, რითაც უკვე განწირულ ლეიბორისტებს ხელთ კოზირი მისცა — ა, ბატონო, ხომ გეუბნებოდით, პრეზიდენტის ბრძანება ხელფასების მომატებაზე ფარატინა ქაღალდიაო...

— დავიჯერო, მასწავლებლობა იმდენადაა პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებული, რომ ამ ანკეტაზე წამოეგო?

— აკი გითხარით, წამოეგო და ლეიბორისტებს მისცა თუ არა ხმა, ეს კიდევ საკითხავია-მეთქი. მაგრამ ფაქტია, რომ პრაქტიკულად ვერც მასწავლებლობამ და ვერც სხვამ ხელფასები ვერ მიიღეს. მაისის ბოლოს, მთავრობის დახურულ სხდომაზე, მე განვაცხადე, თუ მასწავლებლებს ხელფასები და საშვებულებო თანხა ვერ მივეცით, მე თანამდებობიდან გადავდგები-მეთქი. სხვათა შორის, უფრო ადრე, პრეზიდენტმა მთავრობის ღია სხდომაზე მკვეთრად ბრძანა — თუ ზაფხულის ხელფასები ხალხს ახლაც ვერ მივეცით დროზე, ყველამ უნდა დავიხუროთ ქუდი და წავიდეთო...

— მაგრამ თვითონ არც ქუდი დაუხურავს და არც წასულა...

— მადლობა ღმერთს, რომ ასე მოხდა: რომ წასულიყო, თქვენ ცოდვის ტირილი მაშინ გენახათ...

— დედა ენას დავკარგავდით, საქართველო დაიღუპებოდა? თქვენგან, გამსახურდიას კულტთან ასე თავგამოდებულად მორკინალისაგან, შევარდნაძის ასეთი გაკულტება, ცოტა არ იყოს, გაუგებარია...

— ჩემთვისაც ერთგვარად მოულოდნელია კატასტროფის იმ მასშტაბის გაუთვალისწინებლობა თქვენის მხრივ, რასაც შევარდნაძის გადადგომა გამოიწვევდა და დღესაც გამოიწვევს... და გამოიწვევს, სამწუხაროდ, ხვალაც...

— და ეს თქვენი ხატოვანი „ხვალ" შეიძლება წლობით გაიწელოს?

— ეს არის ყველაზე მტკივნეული საკითხი; წინა საპრეზიდენტო არჩევნებისას, თელავში შეხვედრაზე, მე ბატონ ედუარდს მივმართე: თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ისე ვერ დაალაგეთ საქართველო, რომ ქვეყანა ლიპარტელიანმა, ღარიბაშვილმა ან, თუნდაც, კვაჭანტირაძემ მართოს-მეთქი. სამწუხაროდ, დღესაც იმავეს გავიმეორებდი, ოღონდ ერთ გრამატიკულ კორექტივს კი შევიტანდი: ჩვენ, მთელმა საზოგადოებამ, ვერ ან არ დავალაგებინეთ შევარდნაძეს საქართველო; დიახ, ჩვენ — ვინც სახელმწიფო საქმეებს თავი ვერ მოვაბით, ვინც ამბიციებს შევეჭმევინეთ, ვინც ტერაქტები მოვუწყეთ პრეზიდენტს... მარტო პარლამენტის ჭიშკართან ან კრწანისის გზაზე კი არა, ჩვენ-ჩვენს კაბინეტებშიც; დიახ, ფინანსურ ტერაქტებს ვგულისხმობ. ასე რომ, აზრი — დღეს შევარდნაძე შეუცვლელია — კაცმა რომ თქვას, შევარდნაძის კრიტიკად უფრო ჟღერს.

და — ჩვენი საზოგადოების კრიტიკადაც.

— ისევ მთავრობის დახურულ სხდომას მივუბრუნდეთ. გადავდგებიო — კი გითქვამთ, მაგრამ სანამ ლეკიშვილმა აგვისტოს დასაწყისში ყველა მინისტრი უკან არ გაგიყოლათ, მაპატიეთ ასეთი შედარებისათვის, როგორც ბოტმა ცხვრები სასაკლაოსაკენ, თანამდებობიდან არავინ წასულხართ...

— თქვენი შედარება უფრო ეფექტური იქნებოდა, ლეკიშვილი პირველი თვითონ რომ არ გადამდგარიყო; წინამძღოლი ბოტი კი, მოგეხსენებათ, გვერდითი კარით უვნებელი გადის სასაკლაოდან...

— ასეთი „გვერდითი კარი" ვაშლიჯვარში, მოქალაქეთა კავშირის შტაბ-ბინაში ხომ არ გაიჭრა?

— ლეკიშვილმა დატოვა სახელმწიფო მინისტრის — ფაქტიურად, პირველი მინისტრის — პორტფელი, თორემ ყოველგვარი საქმიანობისაგან მომიკვეთეთო, ასეთი რამ არ მოუთხოვია. რამდენადაც ვიცი, არც სხვა მინისტრები დავრჩენილვართ უმუშევრები. რაც შეეხება მთავრობის იმ დახურულ სხდომაზე ჩემს განცხადებას გადადგომის შესახებ, ქართული ანდაზისა არ იყოს, „მულო, შენ გეუბნები და, რძალო, შენ გაიგონეო", მე ეს უფრო ფინანსთა მინისტრის გასაგონად და ნამუსზე შესაგდებად ვთქვი: ვინ ვინ და, რიგითი მასწავლებლისგან განსხვავებით, მან ხომ ყველაზე უკეთ უწყოდა, რომ ხელფასების გაცემაზე, უპირველეს ყოვლისა, ფინანსთა სამინისტროა პასუხისმგებელი და არა — განათლებისა.

— წელან ბრძანეთ, განათლების რეფორმას ცოტ-ცოტა ხელი ყველამ მივაკელითო და ჩამონათვალში პარლამენტი და მმართველი პარტიაც ახსენეთ...

— მაშინ დამავიწყდა და ახლა ამ სიას, თქვენთან ბოდიშის მოხდით, მასმედიაც უნდა მივუმატო.

— ჩვენ რაღას გვერჩით?

— იმდენად თქვენ არა — საკუთარ თავს, რამდენადაც ვერ მოვახერხე განათლების რეფორმებისადმი ლოიალურად განმეწყო ჩემი კოლეგები.

— „ჩემი კოლეგებიო", მასწავლებლებს გულისხმობთ თუ ჟურნალისტებს?

— ჟურნალისტებს... რა, ჟურნალისტთა ამქრიდანაც უკვე ამომრიცხეთ?

— არა, ბატონო თამაზ, სხვებზე რა მოგახსენოთ, პირადად მე კი ვიცი და მახსოვს ჟურნალის რედაქტორი თამაზ კვაჭანტირაძე... მაგრამ, რაც მინისტრი გახდით, თქვენ უნდა შეჰგუებოდით იმ აზრს, რომ ჩვენთვის, „უთანამდებო" ჟურნალისტებისათვის, თქვენ იქეცით, პირველ ყოვლისა, სახელმწიფო მოხელედ, ფუნქციონერად, მთავრობის წევრად — პატიოსანი ჟურნალისტი კი მთავრობის მარადიული ოპოზიციონერია...

— ჩემს — როგორც მინისტრის — მიმართ ოპოზიციონერობაზე პრესისადმი პრეტენზია არცა მქონია; სამწუხაროდ, განათლების რეფორმის მიმართ იჩინა თავი მასმედიის ერთი ნაწილის აგრესიულმა, მე ვიტყოდი, არასახელმწიფოებრივმა დამოკიდებულებამ.

— რამ გაყო მინისტრი და მის დროს განხორციელებული რეფორმები? უნდა გიხაროდეთ, თუ თქვენი გაიგივება მოხდება რეფორმასთან... განა ცუდად ჟღერს „საკაშვილის რეფორმა"?

— ცუდად ჟღერს... ისევე, როგორც ცუდად ჟღერს კვაჭანტირაძის, ან თუნდაც, ჯორბენაძის რეფორმა. არსებითად არასწორია, როცა რეფორმას — ყოველ შემთხვევაში, განათლების რეფორმას — ერთ პიროვნებას უკავშირებენ.

— პასუხისმგებლობას თავს არიდებთ?

— არა, პატივს ვარიდებ თავს.

— პარლამენტისა და მმართველი პარტიისაგან განათლების რეფორმისათვის ხელის მიკლებაზე რაღას გვეტყვით?

— აქაც ძირითადად საკუთარი თავის მიმართ მეთქმის საყვედური, რამდენადაც მოქალაქეთა კავშირის, როგორც სახალხო მოძრაობის და, შემდგომ, მის პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბებაში მეც მიმიძღვის მცირეოდენი წვლილი.

— ეს ცოდვაც თუ თქვენს კისერზე იყო, ეს აღარ ვიცოდი.

— მარტო რეზო ამაშუკელსა და ჯანსუღ ჩარკვიანზე გინდოდათ ჯოხის გადატეხვა? თუ სერიოზულად გნებავთ, იმ ცოდვის ტრიალში ჯერ „თბილისელისა" და მერე კი მოქალაქეთა კავშირის დაფუძნება სწორედაც მადლი მგონია... მაგრამ მერე და მერე ვითარება შეიმღვრა. მოყვარეს პირში უძრახეო და მეც ვერ დავმალავ — არჩევნებში გამარჯვების შემდეგ მოქალაქეთა კავშირმა და მისი ბირთვისაგან შემდგარმა საპარლამენტო უმრავლესობამ ქვეყნის მართვის თვალსაზრისით მე, პირადად, რამდენადმე იმედი გამიცრუა. მმართველი პარტია ვართო — ამის დეკლარირება იოლია, რეალურად მართვის ხელოვნების დაუფლებაა რთული. ხელშესახები შედეგები კი აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მმართველი პარტიის თანამშრომლობით თუ მიიღწევა. ჩემი აზრით, მოქალაქეთა კავშირისა და საპარლამენტო უმრავლესობის ერთმა ნაწილმა ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოთა შორის ბუნებრივი, დიალექტიკური დაპირისპირება შეურიგებელ წინააღმდეგობად აღიქვა და აღმასრულებლებს, რომ იტყვიან, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა. მხილების პათოსი საჭირო, მაგრამ მომჭირნედ გამოსაყენებელი სიმდიდრეა. ისეთი დაჟინებით დაიწყო მმართველმა პარტიამ თავისივე დამტკიცებული მთავრობის უუნარობის, არაპროფესიონალიზმის, კორუმპირებულობის, ანტისახელმწიფოებრივი ქმედების, ბოლოს — გაკრიმინალების მტკიცება, თითქოს ოპოზიცია ყოფილიყოს და არა მმართველი პარტია. ოპოზიცია კი ამ შემთხვევაში ტაქტიკურად უფრო სწორად მოიქცა, თავისი საქნელი უმრავლესობას გააკეთებინა და დაამუნათა კიდეც...

— როგორ, თქვენ აღმასრულებელ ხელისუფლებაში უარყოფთ კორუფციასა და კრიმინალს?

— არამც და არამც... მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლებაც განტოტვილი ხესავითაა და მეტი სიფრთხილით უნდა გადაიბელოს იგი საკანონმდებლო წალდით, რათა ის ტოტი არ მოვჭრათ, რაზეც ვსხედვართ.

— თევზი რომ თავიდან ყროლდება?

— ანდაზებით პაექრობაა კარგი, ქვეყნის მართვა კი ანდაზური პრინციპით საშიში მგონია. დესტრუქციულ ძალებსაც ის უნდათ, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას ამ ანდაზური ლოგიკით თავი მოჰკვეთონ. თანაც, უკეთესი იქნება, თუ მას პოლიტიკურ ხარაკირს გააკეთებინებენ.

— ბატონო თამაზ, დღეს ისევ ძველი პოლემისტი თამაზ კვაჭანტირაძე

გამახსენეთ, მაგრამ ბოლო წლებში ამ მხრივ მაინცადამაინც არ გვანებივრებდით: კრიტიკას ან თავს არიდებდით, ან წაუყრუებდით ხოლმე; მოკლედ, უპასუხოდ ტოვებდით.

— საერთოდ, წესად მაქვს, მე შეიძლება ეუპასუხო არაკაცს, მაგრამ ნიჭიერს; უნიჭოს, მაგრამ ღირსეულ კაცს... ნიჭიერ ღირსეულ ხალხთან სადავო ნაკლებად მაქვს, უნიჭო არაკაცების პასუხისაგან კი, ჩვეულებრივ, თავს ვიკავებ – წყლის ნაყვაა!

— მე არ ვიცი, რომელ კატეგორიაში განათავსებთ ბატონ გურამ შარაძეს, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, თქვენ არ გიპასუხიათ მის ბრალდებაზე — თამაზ კვაჭანტირაძემ კონსტანტინე გამსახურდია სომხად გამოაცხადაო...

— შარაძისნაირ ხალხს, ჩვეულებრივ, არ ვპასუხობ-მეთქი...ისე, ეს ჭორი „არახალია, ძველია"... მახსოვს, ლოვარდ ტუხაშვილიც წერდა ამაზე, გიორგი გვახარიაც... ზვიადისტურ პრესაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, ვილა არ წამოეგო ამ პროვოკაციაზე. ამჯერად, მოკლედ მოვჭრი: კონსტანტინე გამსახურდიას ქართველობის მტკიცება ისეთივე შეურაცხმყოფელი იქნებოდა მისი ხსოვნისათვის, როგორც — მუსხელიშვილმა გამრავლების ტაბულა ზეპირად იცოდაო — ამის მტკიცება ჩვენი დიდი მათემატიკოსის ხსოვნისათვის. მე უვიცებს და უზნეოებს ამგვარ სიამოვნებას ვერ მივანიჭებ, მაგრამ, რადგან ამ ხალხმა მაინც მოახერხა მოსახლეობაში ამ სიყალბის გავრცელება, ამჯერად, საჭიროდ ჩავთვალე, ჩემი პრინციპებიდან გადამეხვია და მეპასუხა უზნეო უნიჭოთათვის; უფრო სწორად, განმემარტა საზოგადოებისათვის, რომელი წყაროდან იკვებება ეს, სატირალი რომ არ იყოს, სასაცილო დეზინფორმაცია. გამოგიტყდებით, ვრცელი მასალის გადაცემას „ლიტერატურული საქართველოსთვის" ვაპირებ, მაგრამ გპირდებით, პირველ და მოკლე ინფორმაციას თქვენს გაზეთს ვაახლებ... თუ მოგეწონებათ, გთხოვთ, დაბეჭდოთ.

— წინასწარ დიდ მადლობას მოგახსენებთ.

ესაუბრა გია კორძაძე, „დრო", 12.I.1999

რა ხალხი იჩემებს გამსახურდიას მეგობრობას?

— ბატონო თამაზ, „სარკეზე" ხომ არ ბრაზდებით?

— ვინც სარკეზე ბრაზდება, გაიხსენოს, პირდაუბანელი ხომ არ გამოსულა შინიდან და, ილიასი არ იყოს, სახეზეც ხელი მიისვ-მოისვას — რაიმე ურიგობა არ ჰქონდეს აკრული...

— მე ჩვენს „სარკეზე" მოგახსენებთ, ჟურნალზე...

— ჰოო... სიცილი ხომ გიყვართ? ყველა ნორმალურ ადამიანს უყვარს და არც თქვენ იქნებით გამონაკლისი... ჰოდა, „სიცილის ოთახშიც" იქნებით ნამყოფი. ჩემსობას მუშთაიდში იდგა სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის სარკეები — ზოგი გამსხვილებდა, ზოგი განვრილებდა...

— თქვენც ასე სიცილ-ხუმრობაში გინდათ გამიტაროთ, რომ მრუდე სარკე ვართ?

— მრუდე სარკეც საჭირო... მაგალითად, სიცილის ოთახში... მაგრამ საბაზანოში ანდა პოდიუმზე — არა. თქვენს ჟურნალს კარგი ნათლია ჰყოლია, სარკე სიმბოლოა სიზუსტისა და ნეიტრალობისა, რაც ასე სჭირდება ჩვენს ჟურნალისტიკას... სჭირდება და, კაცმა რომ თქვას, აკლია მას... თითქოს აკაკისაც ეხმიანებით: „ეს გული, სარკედ ქცეული, ბუნების ნათავხედია, მხოლოდ მის სახეს გიჩვენებს, რასაც შიგ ჩაუხედია"... ვითომ, არ გამოგადგებათ „სარკის" დევიზად?

— შესანიშნავი სიტყვებია, რაღა თქმა უნდა, ოღონდ ფოტოგრაფირებისაკენ არ გვაცდუნოს...

— ჟურნალისტობა სწორედ ფოტოგრაფის ხელოვნებას უნდა ეყრდნობოდეს. ყურადღება მიაქციეთ, ხელოვნებას-მეთქი. ფოტოგრაფია ხელოვნებას არ გამორიცხავს, პირიქით... არსებობს შესანიშნავი ნაზავი — მხატვრული ფოტო... აკაკის რაც შეეხება... მოგეხსენებათ, ყველაზე წმინდა წყალი ბაიკალის ტბაში დგას... ჩაიხედავ და ფსკერზე ყველაფერი ისე ნათლად ჩანს, იფიქრებ, ერთი ხელის ჩაყოფაზეაო... არადა, ბაიკალი ყველაზე ღრმა ტბაცაა მსოფლიოში. აკაკი ბაიკალია: მისი სინათლე სამაცდუროა — დიდი სიღრმე აქვს. თქვენ არ გგულისხმობთ, მაგრამ ზოგს აკაკი შიფონერად ნარმოუდგენია, გულის ნაცვლად რომ სარკე ჰკიდია...

— ძველი კარგი დრო გამახსენეთ, ბატონო თამაზ — ტელევიზორს ვუზივარ და თეთრროლინგიანი ლექტორი აკაკიზე მესაუბრება...

— გმადლობთ...

— ისე, ჩათქმული ხომ არაფერი გქონდათ იმ თეთრ როლინგზე?

— თუ არ ვცდები, მსგავსი რამ ამასწინანდელ რესპონდენტსაც ჰკითხეთ და დათო ევგენიძემ საინტერესოდ განმარტა ბენდენის იმიჯური როლი თავის შემოქმედებაში...

— მეც გმადლობთ...

— კომპლიმენტს არ გიბრუნებთ, მაგრამ გიდასტურებთ, რომ თქვენს „სარკეში" მეც სისტემატურად ვიხედები... როლინგის სტაბილურობა უფრო ჩემი ხასიათიდან მოდის... მაშინ ეკრანიდან, ჩვეულებრივ, „ჩაგალსტუკებული" ხალხი გვმოძღვრავდა... ჰალსტუხი იმ პერიოდში ნომენკლატურულობის სიგნალად აღიქმებოდა და ჩემი, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილო პროტესტი უჰალსტუხობაშიც გამოიხატებოდა.

— და, თუ არ ვცდები, ეს ანტიჰალსტუხური კომპლექსი მინისტრობამ მოგიხსნათ.

— მინისტრობამ ჰალსტუხს შემარიგა, მაგრამ — ვერ შემაყვარა...

— მინისტრობამ რომ ჰალსტუხი ვერ შეგაყვარათ, ეს ერთია, მაგრამ, ჩემი აზრით, ხალხს რომ ვერ შეგაყვარათ, ეს — მეორე და ალბათ თქვენთვისაც ძალიან მტკივნეული.

— მართალი ბრძანდებით, ხალხისაგან ნაფერები კაცი შემდგომ ნეიტრალურ ემოციურ დამოკიდებულებასაც კი მტკივნეულად აღიქვამს. მაგრამ ვინც ავანსცენაზე ასვლას თანხმდება, მან უნდა იცოდეს, რომ ტაშს შეიძლება სტვენა მოჰყვეს, ყვავილებს კი — ლაყე კვერცხები...

— ლაყე კვერცხებამდე, მე მგონი, არ მისულა საქმე...

— ზოგადად მოგახსენებთ, თორემ ჩემთვის ლაყე კვერცხზე უარესია, რა სიბინძურესაც განათლების რეფორმას უშენდნენ და ახლაც უშენენ. მერწმუნეთ, ეს უფრო მტკივა, თორემ პირადად მე რომ მიყეფენ — იაენანად ჩამესმის-მეთქი, ვერ ვიტყვი — მაგრამ აღარც მაფრთხობს.

— არადა, თქვენი გადადგომის შემდეგ ვნებათაღელვა რეფორმის ირგვლივ თითქოსდა ჩაცხრა...

— მარტო მინისტრის გადადგომაზე რომ იყოს საქმე, პრობლემას ადვილად მოეელებოდა, მაგრამ არის ხალხი, რომელიც თვითონ განათლების რეფორმას ეწინააღმდეგება გააფთრებით. უფრო მეტიც — მტერია მისი, რამდენადაც ეს რეფორმა ნაწილია თავად ჩვენი ყოფის გარდაქმნა-ტრანსფორმაციისა; ახალ, გარდაქმნილ ვითარებაში კი ისინი თავიანთ ადგილს ვერ პოულობენ...

— იქნებ ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ განათლება თავისი ბუნებით არის კონსერვატორული და მკვეთრ ცვლილება-განახლებას ვერ იგუებს?

— გეთანხმებით, ამიტომაც განათლების რეფორმის კონცეფციაც და პროგრამაც ისე შევიმუშავეთ, რომ გამორიცხავდა ყოველგვარ რევოლუციურ ნგრევას არსებული საგანმანათლებლო სისტემისა... მაგრამ ჩვენ ვერც უძრაობას შეეგუებოდით და დავიწყეთ მთელი განათლების სისტემის შინაარსობრივ-სტრუქტურული გადახალისება...

— დაიწყეთ, მაგრამ ვერ დაამთავრეთ, უფრო ზუსტად, არ გაგაგრძელებინეს...

— ცდებით, რეფორმირება — მათ შორის, განათლების რეფორმაც — შეუქცევადი პროცესია და ახლაც გრძელდება. არის ხალხი, ვინც ახალ მინისტრს მოუწოდებს, აბა, დავიკაპიწოთ მკლავები და ყველაფერი თავიდან დავიწყოთო... ეს „საქმიანი" ფაფხური უიმედო იმპოტენტის ეროტიკას მაგონებს: თუ რამის გამკეთებლები იყვნენ — მარტო ღმერთი კი არა, ხალხიც მოწამეა — ამის საშუალება სამინისტროში ალეკო კარტოზიას მისვლამდეც ჰქონდათ...

— და ბატონი კარტოზიაც, რომ იტყვიან, „ააგდეს" ამაზე?

— არა მგონია... ამას წინათ მოვუსმინე და, ჩემი აზრით, საღად შეაფასა ისეთი სარეფორმო ნაბიჯები, რომლებიც ბოლო წლებში გადავდგით: ახალი პროგრამები, ახალი სტანდარტები, განათლების ახალი კანონი, მასწავლებელთა ატესტაცია... მე პრინციპულ მიდგომას მოგახსენებთ, თორემ თითოეულ ამ ღონისძიებას რომ თავისი ხარვეზები ახლდა, თანაც — მნიშვნელოვანი, ეს მეც და ალეკომაც სხვაზე ნაკლებ ნამდვილად არ ვუწყით.

— მე მესმის თქვენი, ბატონო თამაზ, როცა განათლების რეფორმის კრიტიკას ასე მტკივნეულად განიცდით...

— პატიოსან კრიტიკას — არა, ვირეშმაკულ და უპრინციპო ნაჯექ-უკუჯექობანას — კი. მაგრამ სულ ამაოდ ირწმუნებენ თავს ველოსიპედის ახლად გამომგონებლები, თითქოს რეფორმა იმთავითვე იყო და ახლაც დასაღუპად არის განწირული... რეფორმისტები მიდი-მოდიან, რეფორმა რჩება...

— წელან ბრძანეთ, პირადი თავდასხმების მიმართ იმუნიტეტი გამომიმუშავდაო... მინისტრობამ გამოგაწრთოთ ასე?

— ლანძღვასა და შეურაცხყოფაზე იმუნიტეტი, ჩემი აზრით, მხოლოდ მიცვალებულებსა აქვთ ან ცოცხლად მკვდრებს, მე კი ამისგან ღმერთმა დამიფაროს! სხვათა შორის, მინისტრობამდეც მიწვნევია „მსუბუქი კავალერიის" თავდასხმები...

— თუ თქვენს საპრეზიდენტო ბატალიებს გულისხმობთ, იქ, თქვენ წინააღმდეგ, ვგონებ, „მძიმე არტილერიაც" ჩაერთო... მაშინ ბევრისთვის ერთგვარი მოულოდნელობა იყო არა მარტო თქვენი პოლიტიკური ამბიცია, არამედ ისიც, რომ ძველ მეგობარს დაუპირისპირდით.

— გამსახურდიას მეგობრობას ახლა ბევრი იჩემებს, სხვათა შორის, ის ხალხიც, რომელთა შესახებ ზვიადი მეუბნებოდა — არ ენდო, „კაგებესთანაა" შეკრულიო. მე არასოდეს ვყოფილვარ გამსახურდიას ძმაკაცი, თუმცა ახლობელთა საერთო წრეც გვქონდა და მის ოჯახში — ტრადიციულ ქართულ ოჯახში — პურიც გამიტეხია... ისევე, როგორც მას — ჩემს ოჯახში. ასე რომ, მე 1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მეგობარს არ დავპირისპირებივარ... მეტიც ითქმის, მე ზვიადი, როგორც კერძო კაცი, რომელსაც ჰქონდა პიროვნული ღირსებებიც და ნაკლოვანებებიც, სამიზნედ არასოდეს გამიხდია.

— არც ტელეეკრანიდან ანტიილიაზე როცა გვესაუბრებოდით და არც „დრონში" როცა „ყვარყვარეს" ბეჭდავდით?

— არც მაშინ, რამდენადაც მე ჩემი იარაღით — კალმითა და სიტყვით (და არა ავტომატითა და პისტოლეტით) — ვებრძოდი მოვლენას და არა — კაცს...

— თუმცაღა ამ ბრძოლაში თქვენი „შთამაგონებელი" სწორედაც კერძო კაცი იყო.

— დიახ, და ეს კაცი, არ ვმალავ, ზვიად გამსახურდია გახლდათ.

— ალბათ ისიც უნდა აღიაროთ, რომ თქვენი იარაღი — სიტყვა და კალამი — „კალაშნიკოვზე" არანაკლებ საშიშია...

— უფრო საშიშია... მე ჩემს შესაძლებლობებზე ასეთი გადაჭარბებული წარმოდგენა არა მაქვს, მაგრამ ოსტატის ხელში სიტყვა ზარბაზანზე ნაკლებ დამანგრეველი არ გახლავთ...

— კიტოვანის ზარბაზნებზე?

— არც კიტოვანის ზარბაზნებზე, რომლებითაც მთავრობის სასახლეს ესროდნენ, და — არც გამსახურდიას ავტომატებზე, რომლებითაც მთავრობის სასახლიდან ისროდნენ...

— ნიშნავს თუ არა ეს, ბატონო თამაზ, რომ თქვენ აღიარებთ „პუტჩში" მონაწილეობას?

— აღიარება იურიდიული ტერმინიცაა, ჩემთვის „პუტჩისტობის" ბრალდება — ჯერჯერობით მაინც — არავის წამოუყენებია. თანაც მე იმას, რაც 1991-1992 წლების მიჯნაზე ჩვენში მოხდა, პუტჩს არა — სხვა სახელს დავარქმევდი...

— სახალხო აჯანყებას?

— თუ ხალხის მრავალათასიან მიტინგებსა და დემონსტრაციებს, თუ არასამხედროთა მიერ ხელთ იარაღის აღებას, თუ პოლიტიკურ პარტიათა აბსოლუტური უმრავლესობის, სტუდენტობის, პარლამენტარებისა და გვარდიის შეერთებულსა და შეიარაღებულ გამოსვლებს არა, მაშინ, ნება მიბოძეთ, ვიკითხო — რას ჰქვია სახალხო ამბოხი?

— მე ვატყობ, ბატონო თამაზ, საყოველთაო შერიგებასა და ურთიერთშემწყნარებლურ დამოკიდებულებას ბარიკადის მარტო ერთი მხრიდან კი არა, მეორიდანაც შეხვდება წინააღმდეგობა.

— გთხოვთ, სწორად გამიგოთ; როგორ შეიძლება მე საყოველთაო შერიგების იდეის ან ურთიერთშემწყნარებლობის წინააღმდეგი ვიყო, მაგრამ წინააღმდეგი ვარ უპრინციპობისა, უპირობისა, ცალმხრივობისა და მანასეობისა. წინააღმდეგი ვარ, დავუჯერო გამსახურდიას სიყვარული და ერთგულება იმას, ვინც განსაცდელის ჟამს განუდგა მას; მე ფარისევლობის წინააღმდეგი ვარ, როცა საარჩევნო ხმების სამათხოვროდ საფლავშიც აკითხავენ კაცს...

— თქვენ, ღვთის მადლით, ნაავარიალს არ ჰგავხართ, პოლიტიკურადაც ისევ ძველებურად შემართული ჩანხართ... ორი ათასი წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც ხომ არ აპირებთ მონაწილეობას?

— აუცილებლად.

— აკი ამას წინათ დაწერეთ, რომ მე შევარდნაძის კონკურენტი არასდროს ვიქნებიო?

— ასეცაა... მე ორი ათასი წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მივიღებ როგორც ამომრჩეველი.

— ჯანმრთელობას უფრთხილდებით?

— საკუთარს — არა. ნანა კვარაცხელიას ცოდვას ვერ დავიდებ: ერთ არჩევნებს გაუძლო, მეორეს ველარ გადაიტანს...

— უჯერებთ მეუღლეს?

— როცა ჩვენი აზრები ემთხვევა — აუცილებლად.

— ოჯახური ტირანი ბრძანებულხართ...

— რატომ? სამაგიეროდ, ვუჯერებ, უფრო სწორად, ვემორჩილები, ელენეს, ნანიკოს, სანდროს და იკას. მარტო შვილიშვილების არა — საერთოდაც, ბავშვების აზრს ანგარიშს ვუწევ.

— ეს, კაცმა რომ თქვას, სამსახურებრივად გევალებოდათ კიდეც.

— მარტო მოვალეობის გამო — არა... მჯერა, ჭეშმარიტება რომ ბავშვების ბაგეებით ღაღადებს. თუნდაც ამიტომ არ უნდა გამოვლიოთ ოჯახში ჩვილი.

— მე კი, მართალი გითხრათ, მეგონა, რომ ბიჭის ძებნაში გახდით სამი ქალიშვილის მამა.

— ბიჭის ძებნა, თორემ შენც ბაგრატიონ-მუხრანსკის გვარის გამგრძელებელს ეძებდიო — გაიფიქრებს ჩვენი მკითხველი...

— რაო, საკუთარ გვარს ხომ არ იწუნებთ?

— მკითხველი-მეთქი, თორემ, ილიასი არ იყოს, კაცი უნდა ამშვენებდეს გვარს და არა — პირიქით.

— უარყოფთ, რომ გვარის ყღერადობას თავისი ემოციური დატვირთვა აქვს?

— ცხადია, არა... მეტსაც გეტყვით, ხანდახან ისიც მგონია, ტერენტი რომ კვირკვიად დარჩენილიყო, ქართულ ლიტერატურას პოეტი გრანელი არ ეყოლებოდა-მეთქი... და მაინც — კაცი აკეთებს გვარს... მითხარით, რომელი უფრო კეთილშობილურად ყღერს: **თქარ** თუ **ჭავ**?

— თითქოს, თქარ... ალბათ მყღერი რ-ს გამო...

— სწორს ბრძანებთ, მაგრამ ამ, ცოტა არ იყოს, „ჭყიპინა" ჭავ-მა მოგვცა მეფურად მყღერი **ჭავჭავაძე**, ხოლო ამ ზარივით „მრეკავმა" თქარ-მა მოგვცა სასაცილოდ მყღერი **თათქარიძე**... უფრო ზუსტად, ილიამ „გადასდო" თავის გვარს ვულკანური ძალა და ენერგია...

— ისევ ნოსტალგია გამიჩინეთ, ბატონო თამაზ, ძველ ტელელექციებზე...

— ვნახოთ, იქნებ ტელევიზიამ ეგ ნოსტალგია რაღაც ფორმით — ოღონდ არა ძველის დუბლირებით — გაგიქარვოთ კიდეც... ყოველ შემთხვევაში, ქართველ მწერლებზე საავტორო გადაცემათა ციკლი შემომთავაზეს და მალე, ალბათ, რაღაც გადაწყვეტილებას მივიღებ.

— იმედი მაქვს, გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინებთ, რომ ეს ნოსტალგია მარტო ჩემი არ არის... გმადლობთ საუბრისათვის.

— თქვენც გმადლობთ გახსენებისათვის.

ესაუბრა ღალი ფაცია, „სარკე", 12-19.5.1999

ისტების ქვეყანა

— ბატონო თამაზ, პირველ ყოვლისა, ჩვენი გაზეთის სინანული უნდა გადმოგცეთ — სამწუხაროდ, უზუსტობა გაგვეპარა თქვენი სიტყვის დამონმებისას...

— საერთოდ, უზუსტო ციტირება მოარულ სენად იქცა ჩვენს პრესაში... თქვენ კონკრეტულად რომელ შემთხვევას გულისხმობთ?

— თეიმურაზ ჭანტურიშვილის წიგნის — „სიმართლე ზვიად გამსახურდიაზე" — პრეზენტაციის დროს რომ ბრძანეთ: თუ „ზვიადიზმი" ვინმეს „ილიელობა" ჰგონია, მეც ზვიადისტად მიგულოსო... „ილიელობის" ნაცვლად დაიბეჭდა „იეღოველობა".

— აბა კარგი საბაბი მიგიციათ „საქართველო უპირველეს ყოვლისას" ანუ სუყ-ის აქტივისტ შარაძისათვის, რომ იეღოველად გამომაცხადოს.

— აკი მოგახსენეთ, კორექტურა გაგვეპარა-მეთქი. სიტყვა „ილიელიც" შედარებით უცხოა და...

— რა, „იეღოველი" უფრო მშობლიურია?.. ისე, ცოტა ჩემი ბრალიც არის — ვერ ვამუშავე, ვერ დავამკვიდრე ტერმინი „ილიელი", თუმცა კაი თხუთმეტი წელია ამაზე ვჯახირობ... ეჰ, ილიელები აღარ ვართ... სიტყვამ საგანზე უნდა მოიკიდოს ფესვი და, ეტყობა, შიშველ აზრს ჯერ კიდევ ვერ მოეჭიდა.

— და თქვენ გამორიცხავთ, რომ „ზვიადისტი" შეიძლება „ილიელადაც" მოვიაზროთ?

— გააჩნია, რა აზრს ჩავდებთ „ზვიადისტობაში"; თქვენ რომ „ზვიადიზმი" მამულისათვის საკუთარი თავის შეწირვა გგონიათ, სხვას საკუთარი თავისათვის მამულის გაწირვა შეიძლება ეგონოს...

— განა ასე ძნელია ტერმინის გაგებაზე შეთანხმება?

— გარკვეულ ეტაპზე — თითქოს ადვილია... ვთქვათ, მე დაგეთანხმეთ და „მამულისთვის თავდადებული" და „ზვიადისტი" იდენტურ ცნებებად ჩავთვალე. მერე წავიკითხე ზვიადის მიმართვა აფხაზეთში მებრძოლ ჩრდილოკავკასიელ „ბოევიკებისადმი": *„თქვენ ააგიზგიზეთ ბრძოლის ცეცხლი, რომელიც გაათავისუფლებს არა მარტო მოძმე აფხაზებს, არამედ მეგრელებსაც და აჭარლებსაც, სვანებსაც და კახელებსაც, კრემლის იმპერიის მსგავსად საქართველოს იმპერიად გადაქცევის ბოდვით იდეას რომ შეუპყრია... ჩემი მხრივ, მზად ვარ თქვენს რიგებში ჩავდგე უბრალო მებრძოლად, თუ ამის ნებას მომცემთ და უზენაესის ნებაც იქნება"...*

ახლა მითხარით, რა ეუწოდო ამის დამწერს?

— თქვენ გამორიცხავთ, ბატონო თამაზ, რომ ეს ტექსტი ნაყალბევი შეიძლება იყოს?

— საერთოდ, არა, მაგრამ — ამ შემთხვევაში გამსახურდიას სიტყვა და

საქმე ერთია, რაც, სხვათა შორის, საკმაოდ იშვიათი ხდებოდა. თანაც ექსპრეზიდენტის აფხაზურ ენაზე გამოსვლა გაიხსენეთ, გაიხსენეთ, რას ბრძანებდა ზვიადის იდეოლოგიური რუპორი მარჯანიშვილი, ვითომცდა აბსურდამდე რომ მიეყვანა საქართველოს გაეროში მიღება — იქ იმერეთი, კახეთი, სამეგრელო ცალ-ცალკე უნდა განევრიანდესო... მოკლედ, ვისაც ნაადრევი სკლეროზი არ შეპყრია ან თავს არ ისკლეროზიანებს, იგი ვერ დაგეთანხმებათ, რომ „ზვიადისტში" მამულის ზვარაკი მოვიაზროთ.

— მაგრამ, დავუშვათ, ენაში დამკვიდრდა „ზვიადისტის" ამგვარი გაგება, მაშინ?

— მაშინ აღმოჩნდება, რომ თვითონ ზვიადი არ ყოფილა ზვიადისტი... სხვათა შორის, ეს მთლად უჩვეულო ან შეუძლებელი არც უნდა იყოს; შეგახსენებთ, ნოე ჟორდანიასა და ფილიპე მახარაძისნაირი მარქსისტების შემყურე, ილიას ვარაუდით, თვითონ მარქსი გაემიჯნებოდა მარქსისტებს.

— ისე, ზვიად გამსახურდიას რომ ახლა „ნამოახედა" და ანახა, რა ხალხი იჩემებს ზვიადისტობას, მსგავსი რამ, ალბათ, მასაც შეეძლო ეთქვა... თქვენც ხომ წერდით, ბატონო თამაზ, რომ გამსახურდიას თანამებრძოლობას ახლა ის ხალხიც იჩემებს, ვისზედაც ზვიადი მეუბნებოდა — მოერიდე, „კაგებესთანაა" შეკრულიო?

— დიახ, და იმასაც გავიმეორებ, რომ უღირს საქციელად მიმაჩნია კაცი საფლავშიაც არ მოასვენო საარჩევნო ხმების ჩამოსამათხოვრებლად, მით უფრო, როცა მის საიქიოს გასტუმრებაში წვლილი შენც მიგიძღვის... გამკვირვებია იმ ხალხისა, ვინც ყოველდღე თბილისის ზღვაზე არბოდა, კიტოვანსა და სიგუას უმტკიცებდა, ავადმყოფ გამსახურდიას ერთადერთი წამალი თუ უშველის — შუბლში ტყვიაო — და დღეს კი ნიანგის ცრემლებს აღვარღვარებენ, ეს რა ეროვნული პრეზიდენტი გაგვიქციეს ამ კრიმინალებმაო.

— მოსკოვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მანანა არჩვაძეს კი ნამდვილად არ სჯერა ცრემლებისა...

— ფარისეველთა ცრემლის რომ არ სჯერა, ამაში ცამდე მართალია. მართალია იმაშიც, რომ ზვიადისა და თავის საქმეს ერთმანეთისგან არ მიჯნავს... არადა, ახლა ფარისეველთა ერთი ნაწილისათვის ერთგვარ მოდად იქცა მტკიცება, რომ ზვიადი ნმინდანია, მანანა კი — სატანა. სულ ამაოდ ცდილობენ გაუთიშავის გათიშვას, არსებითში, თუნდაც მიზნის მისაღწევად ბრძოლის ხერხებსა და მეთოდებში, ისინი ერთნაირები არიან... აქ, რომ იტყვიან, ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა...

— ყურებს ვერ ვუჯერებ, ბატონო თამაზ, თქვენ და — მანანა არჩვაძისთვის მხარდაჭერა?

— მე მოვლენათა ლოგიკას ვუჭერ მხარს... ისე, ის „ზვიადისტები", ვინც მანანა არჩვაძეს ზვიადისთვის შეუფერებელ მეუღლედ მიიჩნევენ, თვითონ გამსახურდიას აგდებენ მძიმე დღეში: რა გამოდის, ვინც მისი შესარჩევი

იყო — თანამებრძოლ-მეუღლეების ჩათვლით — ვერ შეურჩევია და აბა, დედ-მამისა და დების შერჩევას მას არავინ ეკითხებოდა! ვფიქრობ, გამსახურდიას ვითომცდა დასაცავი ფორმულა — ცოლმა, ცოლისდამ და გარეგოცვამ დალუპესო — დიდი ვერაფერიშვილი არგუმენტია მის სასარგებლოდ: ცოლის კალთას გამობმულ კაცს ქვეყანას კი არა, ორ ბატს არ ანდობს ქართველი; არც — სხვათა დუდუკზე დამროკებელსა და სხვის ჭკუაზე მოსიარულეს. ისე, მტერი არ უზამდა, რაც ზვიადისტებმა ურთიერთქიშპობით საკუთარ თავს დამართეს. შესაბამისად, სიტყვა „ზვიადისტსაც" ახლა უარყოფითი ემოციური შეფერილობა აქვს; დავუკვირდეთ, რა გაგებით იხმარება დღეს „ზვიადისტი"? მაგალითად, თქვენ თანახმა იქნებოდით, ნამდვილი ზვიადისტი ბრძანდებით-მეთქი, ასე რომ შემეფასებინეთ?

— თქვენგან — არა, იმიტომ, რომ ვიცი, რა აზრსაც დებთ ამ ტერმინში...

— ბატონმა ვახტანგ ბოჭორიშვილმა რომ გიწოდოთ?

— მიჭირს, ბატონო თამაზ, პასუხის გაცემა... ჟურნალისტები, წესით, „არავისტებიც" არ უნდა ვიყოთ; მე არც შევარდნაძისტად მიმაჩნია ჩემი თავი.

— აგაშენა ღმერთმა... ჟურნალისტები, პირველ ყოვლისა, „ფაქტისტები" უნდა ვიყოთ... კორექტურას ყურადღება მიაქციეთ, თორემ, იეღოველად ხომ გამომიყვანეთ, ახლა ბაბტისტად გამომიყვანთ... ენა „თვითრჯულია" და ახლა ეს მიმდევრობის აღმნიშვნელი „ისტი" ლამის ყოველგვარ ყოფით კონფლიქტში ჩაბმული მხარეების სახელს მივანებოთ — ნაეკიდება, მაგალითად, სკოლის დირექტორი ვინმე რაჟდენი სასნავლო ნანილ ციალას და სკოლაც უმალ „რაჟდენისტებად" და „ციალისტებად" გაიყოფა... ახლახან, ვგონებ, თქვენს გაზეთში წავაწყდი: ერთმა ავტორმა, თავის თავზე ამერიკელი ინდიელივით მესამე პირში რომ ლაპარაკობს, გვამცნო, რომ იგი „ზვიადისტი" კი არა, თურმე „ნაყინისტი" და „ლალიძის წყლისტი" ყოფილა.

— დიახ, ჩვენ დაებეჭდეთ, ოღონდ ქალბატონმა ნესტან კირთაძემ „ლალიძის წყლისტი" კი არა, „ჩაისტი" ვარო.

— ამ შემთხვევაში ვინ ვისი „წყლისტია", ეს მე ნაკლებად მაინტერესებს — თვითონ ენობრივი ფაქტია საგულისხმო: რიგით, ყოფით, ბანალურ პიროვნებებსა თუ საგნებზე „ისტ" სუფიქსის მიწებება კომიკურს ხდის, აშარჟებს სიტუაციას, რამდენადაც ეს „ისტი", ჩვეულებრივ, ძალიან სერიოზული, ერთგვარად საშიში, ყოველ შემთხვევაში, მოსაკრძალებელი ცნებების გამოსახატავად გამოიყენებოდა: „კომუნ-ისტი", „ფაშ-ისტი", „მარქს-ისტი", „ტროცკ-ისტი"... ახლა კი გვყვანან „არყისტები", „ლუდისტები", „ხინკლისტები" და, საერთოდ, „კუჭისტები". დღეს საქართველო არც ყვავილების და არც ლოზუნგების ქვეყანა აღარ არის — ლიდერების, უფრო ზუსტად, „ისტ"-ების ქვეყანაა, ამიტომ უკვე მომრავლდნენ შალვისტები, ვახტანგისტები, მანანისტები და, რა ვიცი, ვილას „ისტი" აღარ... არადა, გულისგულში რომ ჩაეძირ, დღევანდელი ქართველი, სამწუხაროდ, „თავისთავისტი" უფროა, ვიდრე „ვინმესტი".

— ამით თქვენ გინდათ, „ზვიადისტი“ და „რაუდენისტი“ ერთმანეთს გაუთანაბროთ?

— აქ კერძო კაცის სურვილი მოსატანი არაა, აქ ენის „სურვილია“ საინტერესო, ქართულ სადღეისო მეტყველებაში კი „ზვიადისტსა“ და „რაუდენისტს“ განსხვავებული სოციალურ-ემოციური დატვირთვა აქვთ, ყოველ შემთხვევაში, მანამდე, ვიდრე ეს მითიური „რაუდენი“ იმასვე არ უზამს საქართველოს, რაც — ზვიადმა დაპმართა...

— მაინც, რა დაპმართა?

— ზოგის აზრით — იხსნა, ზოგის აზრით — დააქცია.

— თქვენი აზრით?

— ჩემი აზრით, მას საქართველო არც უხსნია და არც დაუქცევია, ვინაიდან ერთსაც და მეორესაც კოლოსალური ნიჭი სჭირდება...

— დამანგრეველის ნიჭიც აღარ გემეტებათ გამსახურდიასათვის?

— მე მიჭირს პოლიტიკური ანუ მართვის ნიჭის ორ — კონსტრუქციულ და დესტრუქციულ — პოლუსად გადანაწილება, სულ მგონია, რომ ვისაც შენება ხელეწიფება, მას დანგრევაც შეუძლია, და — პირიქით.

— ბატონო თამაზ, ნუთუ გამსახურდიას არ ჰქონდა რაიმე, თუნდაც ორისამი, თქვენი მოსაწონი საპრეზიდენტო თვისება?

— ცხადია, ჰქონდა და ამაზე ვწერდი კიდეც: პირველი — მიზანსწრაფულობა, მეორე — ინტერესთა ფართო წრე... და მესამე, იქნებ, უმთავრესიც — ენება წინამძღოლობისა, პირველობისა. სამივე ეს თვისება აუცილებელია ძლიერი პრეზიდენტისათვის... აუცილებელი, ოღონდ — არა საკმარისი-მეთქი. გამსახურდიას ერთი ღირსებაც ჰქონდა — ფარისეველ-მედროვეების ლიქნი და პირფერობა მასზე არა ჭრიდა. ზეობის ჟამი როცა დაუდგა, ეს ხალხი მასთან მიღებაზე რიგში ჩამწკრივდა, მაგრამ გამსახურდიამ ისინი უკან გამიაბუნძურა... პრეზიდენტობა ლატარეა არ არის, რომ შემთხვევით მოიგო — გამსახურდია უეჭველად ფლობდა ცალკეულ პიროვნებასა თუ ხალხის მასაზე ძალუმი ზემოქმედების უნარს... საერთოდ, მიმაჩნია, რომ მას ახასიათებდა ყველა ის ნაკლი, რომელიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს პრეზიდენტს, მაგრამ აკლდა ის ღირსებანი, რომლებიც კიდევ უფრო მიუცილებელია პრეზიდენტისთვის.

— ღირსებები — გასაგებია, მაგრამ ნუთუ ნაკლიც აუცილებელია პრეზიდენტობისათვის?

— თქვენ წარმოიდგინეთ, აუცილებელია. პრეზიდენტი, ჩემი აზრით, შეუძლებელია არ იყოს, მაგალითად, დაუნდობელი. არ ვამბობ, მოღალატის, დამნაშავის, ყაჩაღის მიმართ — ეს თავისთავად იგულისხმება... მე ხასიათის ზოგად თვისებას ვგულისხმობ, რომელიც მტკივნეული გადაწყვეტილების უყოყმანოსა და მეყსეულ აღსრულებაში ვლინდება. გამსახურდია დაუნდობელი გახლდათ...

— შევარდნაძე?

— შევარდნაძეც... იყო, ყოველ შემთხვევაში. მაგრამ გამსახურდიას, ჩემი აზრით, დაუნდობლობის საპირისპირო თვისება — შემწყნარებლობა — აკლდა, მას დანდობის, დიდსულოვნების, მიტევების უნარი არ ჰქონდა, შევარდნაძეს კი აქვს. აქვს და მაშინაც ჰქონდა, როცა ყველაზე დაუნდობელი ნაბიჯების გადადგმა უწევდა. გამსახურდია კი, ჩემი აზრით, „ცალფად" ნაქსოვი კაცი იყო...

— თვითონაც „ცალფად ნაქსოვი" კაცი ხომ არ ბრძანდებით, ბატონო თამაზ, როცა ასე შეურიგებელი ხართ ზვიადისა და ზვიადისტების მიმართ? ხომ არ უპირისპირდება ამ შემთხვევაში თქვენი პოზიცია პრეზიდენტისას, რომელიც საკადრის პატივს მიაგებს გამსახურდიას ღვაწლს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ზვიადისტებთან შერიგების მომხრეა?

— პრეზიდენტმა რომ გამსახურდიას ეროვნულ მოძრაობაში გაწეული შრომა სათანადოდ დაუფასა და „დაივიწყა" ზვიადის მიერ არა მარტო ეროვნული მოძრაობისათვის მიყენებული ზიანი, არამედ პირადად მისდამი გამოვლენილი უსამართლობანიც, ეს სწორედ ჩემს ნათქვამს ადასტურებს — პრეზიდენტი ისტორიის წინაშე მისხალ დამსახურებასაც კი არავის უკარგავს. მას არა მარტო უნდა ახსოვდეს ყველაფერი, არამედ სათანადო ვითარებაში კიდეც უნდა „ივიწყებდეს" ზოგიერთ რასმე. გამსახურდიას კი უცნაური მახსოვრობა ჰქონდა: წყენას მცირეოდენსაც არ ივიწყებდა, სიკეთე დიდიც არ ახსოვდა. რაც შეეხება ეროვნულ შერიგებასთან ჩემს დამოკიდებულებას, ჩემი აზრით, იმდენად მნიშვნელოვანი ის კი არ არის, ვინ ვის ურიგდება, არამედ — ვინ რას ურიგდება. ჩვენ თუ შევძელით ჩვენგან განსხვავებული აზრის ატანა, ჩავთვალოთ, რომ შეთანხმება-შერიგების გზაზე პირველი და უძნელესი ნაბიჯი გადაგვიდგამს. მაგრამ შერიგება მოვლენასთან, რომელიც თავისი არსით არის შეურიგებელი — ამაოა: არ შეიძლება შერიგება შეურიგებლობასთან. შევარდნაძემ იმთავითვე სტრატეგიული კურსი პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა — პირველ ყოვლისა კი, ზვიადისტების — შემორიგებისკენ ნარმართა...

— კი მაგრამ, მისი ცნობილი განცხადება, თვითმფრინავის ტრაპზე გაკეთებული, რომ იგი მიესალმება ინტელიგენციას, რომელმაც იარაღით დაამხო გამსახურდიას ხელისუფლება?

— რახან იმ გამონათქვამს მარტო უბირი კი არა, ინტელექტუალი ზვიადისტებიც ავად წამოაძახებენ ხოლმე პრეზიდენტს, მოდით, ციტირების სიზუსტე დავიცვათ. შევარდნაძემ კი ჩამოფრენისას სახელდახელო მიტინგზე მისულ ხალხს, რომელთა შორის ბევრი იყო გამსახურდიას მონინააღმდეგე ინტელიგენციის წარმომადგენლები, ასე მიმართა: *„მე მივესალმები ინტელიგენციას, რომელმაც დიქტატურის წინააღმდეგ ხელში იარაღი აიღო"*... ვინც მიუკერძოებლად განიხილავს იმ მოვლენებს, რაც ამ მისალმებას უძღოდა წინ, იგი დამეთანხმება, რომ შევარდნაძემ არა მარტო იმ კონკრეტუ-

ლი სიტუაციის, კონიუნქტურის შესაფერისი სიტყვები მონახა, არამედ ზოგადად მოვლენას მოუძებნა არსებითად და პრინციპულად სწორი ფორმულირება.

— ესე იგი, თქვენც მხარს უჭერთ ხელისუფლების იარაღით დამხობას?

— მე მხარს ვუჭერ დიქტატურის დამხობას... ყოველგვარი დიქტატურისას და ყოველგვარი იარაღით, მათ შორის ჩემი პირადი „სატაბელო" იარაღითაც: კალმით...

— მარტო კალმით ბრძოლა რუსთაველს არ დაგვინგრევდა... რა ვიცი, პროლეტარიატის დიქტატურას კი გუნდრუკს ვუკმევდით ლამის მთელ საუკუნეს.

— ზუსტად ისევე, როგორც გარკვეული ყაიდისა და განწყობილების ხალხი გამსახურდიას არა მარტო უკმევდა, ახლაც უკმევს გუნდრუკს. ის, რომ დიქტატურას არა მარტო ეგუებიან, არამედ მიელტვიან კიდეც, არ გამოდგება იმის არგუმენტად, რომ მოვითმინოთ და შევეიწყნაროთ დიქტატურა. მთავარი კი ისაა, რომ დიქტატურა — ქონებრივ პროლეტართა იქნება იგი თუ გონებრივ პროლეტართა — დასამხობია და დაემხობა კიდეც: ზოგჯერ 70 წლის თავზე, ზოგჯერ — 70 კვირის თავზე.

— დემოკრატიის დიქტატურაც?

— თუ ამ გამოთქმას ხატოვნად, გადატანითი მნიშვნელობით არ ხმარობთ, მაშინ იგი დაახლოებით ისეთივე შინაარსისაა, როგორიც — „სველი ცეცხლი".

— მაშინ კითხვას უფრო დაგიკონკრეტებთ: დიქტატურის ნიშნები რომ შეატყოთ, ახლანდელი პრეზიდენტის წინააღმდეგ თუ აიღებთ იარაღს?

— „ვატყობ-ვერ ვატყობ" სუბიექტური მიდგომაა. გამსახურდიას მმართველობა დიქტატურის საშიშროებიდან დიქტატურის ფაქტად იქცა. თუ ასეთი რამ შევარდნაძის მმართველობას დაემართება, მის წინააღმდეგაც იმავე იარაღით ვიბრძოლებ, რითაც გამსახურდიას ვებრძოდი; და ამის უფლება მარტო კერძო კაცებს კი არ გვექნება, არამედ მთელ ხალხსაც, რამდენადაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციით სწორედ ხელისუფლებას ეკისრება პასუხისმგებლობა, რათა ხალხი (ხაზს ვუსვამ — ხალხი) ამბოხებამდე არ მიიყვანოს.

— მაშასადამე, თქვენ 91-92 წლების მოვლენებს სახალხო ამბოხებად მიიჩნევთ?

— მაშ რად მივიჩნიო, სამხედრო გადატრიალებად?

— ყოველ შემთხვევაში, ზვიადისტთა ერთ ნაწილს, ალბათ, ტყუილად არ უხარია, პარლამენტი ვაიძულეთ დეკემბერ-იანვრის მოვლენებს შეფასება მისცესო. მათ, ცხადია, ეიმედებათ, რომ პარლამენტი ამ მოვლენებს სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებად დააკვალიფიცირებს.

— მითქვამს და გავიმეორებ — თუ უწყვეტ მრავალათასიან მიტინგებსა და

მანიფესტაციებს, თუ უნივერსიტეტისა და ტელევიზიის მჯდომარე აქციებს, თუ პოლიტიკურ პარტიათა აბსოლუტური უმრავლესობის დაპირისპირებას, თუ ახალგაზრდობის, სტუდენტობის გაფიცვებსა და შიმშილობებს, თუ პარლამენტის ბუნტს, თუ ინტელიგენციის განდგომას, თუ მასობრივ პროტესტს საზოგადოების ყველა ფენისას, თუ გვარდიის ამბოხს, თუ სამართალდამცავების რეჟიმთან კონფრონტაციას, თუ მშვიდობიანი მოსახლეობის იარაღით ხელში გამოსვლას, თუ ამას ყველაფერს, ერთად აღებულს — არა, მაშინ რას ვეძახით სახალხო აჯანყებას? არც „უაკერიის" ეპოქაა, რომ ხალხი ფინლებით და ნაჯახებით გამოსულიყო ქუჩებში — თუმცა „რომანტიკოსი" პეტრიაშვილი ბუნკერის ტელევიზიიდან კი მოუწოდებდა მოსახლეობას, სხვა იარაღი თუ არ გექნათ, ჯაყვით მაინც გამოცხადდით პრეზიდენტის დასაცავად. თან ის თუ სადმე გაგიგონიათ, რომ სახელმწიფო გადატრიალება ოთხთვენახევარს გრძელდებოდეს, მათ შორის — ბოლო სამი კვირა საომარი ოპერაციები მიმდინარეობდეს ტექნიკის გამოყენებით? ეს იყო სამოქალაქო ანუ შინაომის დასაწყისი, რაც შემდგომმა მოვლენებმაც დაადასტურა. ამიტომაც დაველოდოთ, რა დასკვნას გამოიტანს ნეიტრალური კომისია... თუმცა მიმაჩნია, ყოველგვარ კომისიაზე უფრო პირუთვნელმა მსაჯულმა უკვე გამოიტანა თავისი ვერდიქტი და ყველას თავისი მსჯავრი დასდო.

— ისტორიას გულისხმობს?

— არა, დღევანდელ სინამდვილეს, ფაქტებს, რეალობას... ისტორიას კი გარკვეული დრო სჭირდება, დისტანცია, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას.

— და ისტორიამ რომ დაგგმოთ შინაომის მონაწილენი, განურჩევლად იმისა, ბარიკადის რომელ მხარეს იდექით?

— სოლონის ცნობილ კანონს შეგახსენებთ: ათენიდან გაძევებით ანუ მოკვეთით ისჯებოდა ის მოქალაქე, ვინც სამოქალაქო ომის დროს ბრძოლაში არ ჩაერეოდა... ერთი შეხედვით, უცნაური კანონია, თითქოს — უსამართლოც, მაგრამ, მიმაჩნია, ესაა ჭეშმარიტად „მართალი სამართალი".

— ახლა ბევრს მოაქვს თავი, დეკემბერ-იანვრის მოვლენებში არ ჩავრეულვარო...

— ჩირგვებში ვიჯექი, სეირს ვუყურებდი და მერე ნაალაფარის მოსაბოჭად გამოვედი ბრძოლის ასპარეზზეო, ამითაც ხომ არ ინონებენ თავს? არავის ეგონოს, სამოქალაქო ანუ შინაომის მომხრე ვიყო მე ან, მით უმეტეს, სოლონი, ათენის დიდი სჯულმდებელი. მაგრამ საზოგადოებას დაუდგება ხოლმე ჟამი, როცა ყოველი მოქალაქის ზნეობრივი მოვალეობაა დადგეს ბარიკადის რომელიმე მხარეს... ეს ბარიკადი ზოგჯერ უხილავია, რამდენადაც ჩვენს სულშია აღმართული: იქ შენი ადგილის მონახვა ზოგჯერ უფრო ძნელია და, თუ ხორცისათვის არა, სულისათვის არანაკლებ სახიფათოც, ვიდრე — რეალურ ბარიკადზე.

— ბატონო თამაზ, თქვენ ზვიად გამსახურდიას სწერდით — საჯარო გამოსვლებისას მე, შენგან განსხვავებით, არდამსწრეზე ან კარგს ვამბობ, ან — არაფერსო. ამ „არდამსწრეში" მკვდარიც თუ იგულისხმებოდა?

— გააჩნია მკვდარს. მოგვწონს, არ მოგვწონს — გამსახურდია საქართველოს ისტორიის კუთვნილებაა, იმ მარადიული დრამის ავბედითი პერსონაჟი, „ქართლის ცხოვრება" რომ ჰქვია. ასე რომ არ ყოფილიყო, მასზე კრინტსაც არ დაეძრავდი. მეც მომწონს რომაელთა პრინციპი — „მკვდარზე ან კარგი, ან — არაფერი", მაგრამ უფრო მომწონს მათივე გამოთქმა — „მკვდრებზე — მხოლოდ სიმართლე" — და აქ, პირველ ყოვლისა, სწორედ ისტორიის პერსონაჟები იგულისხმებიან. თვითონ რომაელებს მხოლოდ პირველი შეგონებით რომ ეხელმძღვანელათ, არც ტაციტუსი ეყოლებოდათ, არც პლუტარქე, არც სვეტონიუსი და მათი მატიანეებიც ჩვენებურ სასაფლაოს დაემსგავსებოდა, სადაც ან დუმილი სუფევს, ან მიცვალებულის ხოტბა-შესანდობარი გაისმის.

— ბატონო თამაზ, თქვენ იმდენად ერთგული ჩანხართ პრეზიდენტისა, რომ მან თქვენ მიმართ პოლიტიკური ინტერესი, შესაძლოა, დაკარგოს კიდეც — ჩვენში ხომ ანგარიშს „გადამრბენ-გადმომრბენებს" უწევენ, რაც საარჩევნო სიებშიც აისახება.

— რას იზამ, ერთგულება დასჯადია... ვხუმრობ, ცხადია... რაც შეეხება არჩევნებს... პლუტარქეს ერთი ისტორიული ანეკდოტი მიყვარს: სპარტელი ფედერატე სამასთა საბჭოს არჩევნებიდან შინ გახარებული დაბრუნებულა. აგირჩიესო, ჰკითხა მეუღლემ. არაო, უპასუხა. აბა, რა გიხარიაო, გაჰკვირვებია ქალს. როგორ არ უნდა მიხაროდეს, სპარტას სამასი ჩემზე ერთგული მოქალაქე ჰყოლიაო.

მე ამას მარტო სხვათა საგულისხმოდ როდი ვქადაგებდი ეკრანიდან — საკუთარ თავსაც ვმოძღვრავდი... მართლაცდა, რა აჯობებს, თუ პრეზიდენტი 235 ჩემზე გამოსადეგ კაცს შეარჩევს საქართველოს პარლამენტისთვის...

ესაუბრა გიორგი კვიტაშვილი, „ლიტერატურული საქართველო", 10.9.1999

ცხოვრება თამაშია

პასუხი კითხვებზე — ხართ თუ არა აზარტული, როგორ თამაშობთ ნარდს, ჭადრაკსა და კარტს, გითამაშიათ თუ არა ფულზე, რა საერთოს ხედავთ თამაშსა და პოლიტიკას შორის?

— ჭადრაკისა და ნარდის კარგი მოთამაშე ანუ მომღერალი გახლავართ; „მომღერალიო", ძველი გაგებით მოგახსენებთ — რადგან ნარდსა და ჭად-

რაკზე უწინ „თამაშის“ ნაცვლად „მღერას“ იტყოდნენ; თამაშსა და ცეკვა-სიმღერას შორის რომ ღრმა კავშირია, ამას ისიც ადასტურებს, რომ, თავის მხრივ სიტყვა „თამაში“ ცეკვაზეც იხმარებოდა, მაგალითად, „ეს ბიჭი კარგად **თამაშობს**, თითის წვერებზე დგებაო“.როგორც ყველა აზარტული ადამიანი, მტკივნეულად განვიცდი ნაგებას, თუმცა აკაკის „ჩემი თავგადასაველიდან“ კარგად მახსოვს ჭადრაკთან დაკავშირებული ეპიზოდი, როდესაც აკაკის მამა ფხუკიანი მეტოქის დასაწყნარებლად ჭკუის სასწავლებელ შეგონებას გვიტოვებს — ნარდს, ჭადრაკს და სხვა სათამაშოებს ქართველები გასართობად ვიყენებთ და არა საწყენად, გულის მოსაყვანადო... რახან აზარტული ვარ, ამიტომ ვერიდები აზარტულ თამაშებს, უფრო სწორად, ფულზე თამაშს. სტუდენტობისას, სტიპენდიას რომ ავიღებდით, ფულზე მითამაშია პოკერი, მაგრამ იმ თანხის გახსენება ახლა სასაცილოც კია: მოგეხსენებათ საბჭოთა პერიოდის ჯიბეგაფხეკილი სტუდენტის სტიპენდიის ამბავი... მას მერე ფულზე თამაშს აღარ გავუტაცივარ.

არანაირი თამაში არ გამოვა, თუ მონინააღმდეგეს პატივი არ ეცი, თუნდაც — სუსტს. ჩემთვის წარმოუდგენელია, მას რაიმე დამამცირებელი ვაკადრო, თუმცა ხუმრობა თამაშის პროცესში ასატანი და ბუნებრივიცაა. ნარდს იშვიათად ვთამაშობ, ძირითადი გატაცება ჭადრაკია, რომლისთვისაც, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ბოლო წლებში ვეღარ ვიცლი. ჭადრაკმა უცნაური გატაცება იცის — შეიძლება ცხოვრების დიდი ნაწილი წაგართვას. მახსენდება ლაიბნიცის სიტყვები: *„ჭადრაკი თამაშისთვის მეტისმეტად მეცნიერებაა, მაგრამ მეცნიერებისთვის — მეტისმეტად თამაში“.*

პოლიტიკა გარკვეულწილად ცხოვრებაა, ხოლო ყოველი თამაში, მათ შორის ჭადრაკიც, ნარდიც — ცხოვრების ერთგვარი მოდელი. ქართველი ამბობს, „ნარდი ბედია, ჭადრაკი — ჭკუა“; ნარდი მარტო ბედი არ არის, მაგრამ მეც ცხოვრების უფრო ადეკვატური და სამართლიანი მოდელი ჭადრაკი მგონია, თუმცა ნარდიც მოდელია. არ იქნებოდა ურიგო, ცხოვრებისთვის ზოგჯერ ისე შეგვეხედა, როგორც თამაშისთვის, ხოლო თამაშის მიმართ ისეთივე სერიოზული დამოკიდებულება გვქონოდა, როგორიც ცხოვრებისადმი.

„სარკე“, N 35, 1999

პაემანი „ნატოზე“

თამაზ კვაჭანტირაძე ქვებს აგროვებს

— ბოლო ხანს პრესის ფურცლებზე და ტელეეკრანზე აღარ ჩანხართ, ბატონო თამაზ... ის დრო ხომ არ დაგვიდგა, როცა ჩრდილში ყოფნა უფრო უხიფათოა?

— რამეს ან ვინმეს უფრთხისო, ამგვარი ეჭვის საფუძველი ჯერჯერობით არავისთვის მიმიცია... ისე, დუმილი ზოგჯერ უფრო მეტყველია, ვიდრე ყვირილი. აკი, ბრძანებდა პოეტი: „დუმილი რეკავს". კაცმა რომ თქვას, არც ვდუმვარ. მართალია, ტელეეკრანიდან კვირაობით ძველებურად აღარ გექადაგებით და არც ინტერვიუებს ვარიგებ მარჯვნივ და მარცხნივ, მაგრამ საჭირბოროტო საკითხებზე შიგადაშიგ კალამს მეც ვაცოდვილებ. მინისტრობისას ამას თავი ვერ მოვაბი, ახლახან კი ორი წიგნი მოვამზადე დასაბეჭდად: ერთი — დამხმარე სახელმძღვანელო სიტყვიერების მასწავლებელთათვის, მეორე — პუბლიცისტურ-კრიტიკული ნერილების კრებული.

— და მაინც, ვშიშობ, საზოგადოებრივი პასიურობა ამ გაგანია პოლიტჭიდილში ერთგვარ „დეზერტირობად" არ ჩამოგერთვათ.

— მუდმივად ჩემმა მტერმა იაქტიურა. ბიბლიური შეგონებაა — არის ჟამი ქვების შეგროვებისა და არის ჟამი ქვების სროლისა. ჩასუნთქვას ამოსუნთქვა უნდა მოსდევდეს, სულ ჩასუნთქულად პოდიუმზე იბრიქებიან კულტურისტები... ისე, ვინც მუდმივად ქვებს ისვრის, ქართულად მას ქვასროლია ანუ გიჟი ჰქვია.

— თუ სწორად გაგიგეთ, პირადად თქვენ „ქვების შეგროვების" ჟამი დაგდგომიათ, მაგრამ ხალხს?

— მტრისას, თუ ხალხმა ქვების სროლა დაიწყო. ამას პირდაპირი აზრით მოგახსენებთ, თორემ ბიბლიური მეტაფორით ამ „ქვებში" ფიზიკურთან ერთად სულიერი იარაღიც მოიაზრება.

— კერძოდ?

— ცოდნა, გამოცდილება, ხერხი... მართალია, მათი „შეგროვება" მარადიული პროცესია, მაგრამ ცხოვრებაში დგება ხოლმე ჟამი, რომელიც მოითხოვს ამ „იარაღის" უყოყმანოდ ამოქმედებას ანუ „ქვების სროლას". ეს კი არცთუ იშვიათად რეალურ „ქვების სროლაში" ანუ ფიზიკურ შეტაკებაში გადაიზრდება ხოლმე.

ხონჩით არაფერი მოგვერთმევა

— ასეც მოხდა ამ ათიოდე წლის წინ, ბატონო თამაზ, როცა ამ თქვენი, წლობით ნაგროვები, „სულიერი იარაღის" უყოყმანო ამოქმედებას, სამწუხაროდ, ბანი „კალაშნიკოვმა" მისცა.

— მეც თქვენსავით გული მტკივა 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების გახსენებისას, მაგრამ ეს მაინც ერთი ტრაგიკული ეტაპია იმ ურთულესი პროცესისა, დამოუკიდებელი, ეროვნული სახელმწიფოს აღმშენებლობა რომ ჰქვია. ეს კი ხონჩით არ მოგვერთმევა...

— გეთანხმებით, ბატონო თამაზ, მაგრამ განა აღმშენებლობისას აუცილებელი იყო ზურაბივით ცოცხლად ჩაგვეყოლებინა კედელში ჩვენი ტრა-

დიციული თანაცხოვრების წესი — მეგობრობა, ნათესაობა, ურთიერთშემწყნარებლობა?

— ეს აუცილებლობა კი არა, დიდი ცოდვა გახლდათ. ისე, თუ თანაცხოვრების ჩვენეული წესისა და ჩვევების გამეტებაზე მიდგებოდა საქმე, ჯობდა სახელმწიფოებრიობის კედელში ქართული სილაღე და შემწყნარებლობა კი არა, ჩვენი გულარხეინობა და ყვარყვარეობა ჩაგვეტანებინა. მაშინ იმ სისხლს იქნებ გამართლებაც ჰქონოდა.

— თქვენც ხშირად გვიმეორებდით, ბატონო თამაზ, ეკრანიდან აკაკის სიტყვებს — სამამულო ხეს ფესვების გასამაგრებლად მისი შვილების სისხლი სჭირდებაო...

— ახლაც გაგიმეორებთ, მაგრამ აკაკი მტერთან ბრძოლაში დაღვრილ სისხლს გულისხმობდა და არა თანამოძმეთა ჭიდილ-ქიშპობაში. საუბედუროდ, ქართველს საზოგადო მტერზე მეტად პირადი მტრის სისხლი სწყურია, მისი პირადი მტერი კი, ჩვეულებრივ, ისევ ქართველია.

საიდან ამოდის მზე?

— ბატონო თამაზ, თქვენთვის მზე რომელი მხრიდან ამოდის?

— ვინც მზე ჩრდილოეთიდან ამოგვიყვანა, მან ამ მეტაფორით დრო-ჟამის კვალობაზე მზის დასავლეთიდან ამოყვანის შესაძლებლობაც დაუშვა... ხაზს ვუსვამ — დრო-ჟამის კვალობაზე... ისე, მზე ზოგჯერ კერძო პირების სახლებიდანაც ამოუყვანიათ.

— გორის ციხესთან მდგომი ქოხიდან?

— მარტო იქიდან არა — კოლხური კოშკიდანაც... წელან მოგახსენეთ — პოლიტიკური ორიენტაცია ძირითადად დრო-ჟამზეა დამოკიდებული-მეთქი. ბევრად უფრო მდგრადია კულტურული ორიენტაცია, ამ მხრივ კი მზე საქართველოსთვის ისტორიულად მუდამ დასავლეთიდან ამოდიოდა. სახელმწიფოებრივი ჰარმონია მაშინ დამყარდება, როცა ჩვენი კულტურული და პოლიტიკური ორიენტირები ერთმანეთს დაემთხვევა. ასე იყო, მაგალითად, დავით-თამარის ეპოქაში; აქეთკენ მივდივართ ახლაც... ამასაც დავძენდი, რომ ჩრდილოეთი ანუ რუსეთი, კულტურის თვალსაზრისით, ევროპულ-ქრისტიანული ოჯახის წევრია და ამ მხრივ პროდასავლური ორიენტაცია პრორუსულთან წინაღმდეგობრივი ვერ იქნება.

— კულტურის თვალსაზრისით — გეთანხმებით, მაგრამ — პოლიტიკის?

— დღესდღეობით პრორუსული პოლიტიკური ორიენტაცია პროდასავლურს დიამეტრალურად უპირისპირდება, უფრო მეტიც — ეჯახება. მაგრამ თუ რუსეთმაც რეალურად აიღო კურსი დასავლეთისკენ, ჩემი აზრით, თვითონ რუსეთსაც ეშველება... და, კაცმა რომ თქვას, მთელ მსოფლიოსაც, დროებით მაინც.

— ახლა ჩვენში ერთგვარ მოდად იქცა დეკლარირება: არც პროამერიკული, არც პრორუსული, მე პროქართული ორიენტაციისა ვარო.

— ეგ მამაცხონებულები ამას ისე გაიძახიან, თითქოს თავად ჩეჩნეთში ან ტრაბზონში ცხოვრობდნენ. როცა საქართველოს გარეთ გვიდასტურებს ვინმე თავის პროქართულ ორიენტაციას, ფასი ამას ედება, თორემ აქაურების პროქართველობა ან იზოლაციონიზმზე აფარებული ლეღვის ფოთოლი მგონია, ან სიტყვით „ჭახრაკობა": აქაოდა, მხოლოდ ჩვენ ვემსახურებით საქართველოს ინტერესებს, ყველა დანარჩენი კი იმ ქვეყნებისას, რომელთა პრო-საც წარმოადგენენო. იზოლაციონიზმი დამლუპველია, მას ჩვენი ბუნება ვერ იგუებს და, კაცმა რომ თქვას, „მე ვარ და ჩემი ნაბადიო", ამ პოლიტიკას ევრაზიის ხიდზე გადებულ ქვეყანას არც არავინ გაგვატარებინებს. რაც შეეხება პრეტენზიას საქართველოს ინტერესთა დაცვის მონოპოლიაზე, უნდა ითქვას, რომ ნებისმიერ ორიენტაციას საქართველო ყოველთვის პოლიტიკური თვითდამკვიდრებისთვის ირჩევდა და არა პოლიტიკური თვითმკვლელობისათვის. მიზანი, ყოველ შემთხვევაში, ეს იყო, სხვა საქმე გახლავთ, რამდენად სწორად ვირჩევდით ან ვირჩევთ პოლიტიკურ ორიენტაციას.

რეიგანს დაავიწყდა, ამერიკას — ახსოვს

— მაგრამ რუსეთსა და ამერიკას განა საკუთარი ინტერესები არ ამოძრავებთ?

— ცხადია, ამოძრავებთ, მაგრამ — განსხვავებული. ჩვენი „რუსეთუმეები" თავგამოდებით გვიმტკიცებენ, ამერიკაც ისევე უპირებს საქართველოს „ჩაყლაპვას", როგორც სპარსეთი და თურქეთი გვიპირებდნენო. როგორც რუსეთი გვიპირებდა ან გვიპირებსო, ამის თქმას ერიდებიან. არადა, სწორედ ამერიკას არ სჭირდება საქართველოს სახით კავკასიაში 52-ე შტატის შემომატება. ამერიკა მარტო ბიზნესში კი არა, პირველ ყოვლისა, პოლიტიკაში იჩენს პრაგმატიზმს და, თუნდაც რუსეთის მაგალითზე, ხედავს: სხვათა ტერიტორიების, ქვეყნებისა და ხალხის ჩამყლაპველი პირი ისტორიაში ბევრი ყოფილა, მაგრამ მათი მომნელებელი კუჭი — არა. სწორედ ამ „მუცლისგვრემას" გადაჰყოლიან რომის, ბიზანტიის, ოტომანთა და აგერ, ჩვენს თვალწინ, საბჭოეთის ანუ რუსეთის იმპერიები. ამერიკამ, ჩემი აზრით, სხვათა მაგალითზე გაითავისა ის, რაც ქართველებმა მე-12 საუკუნიდან ვიცოდით: *„რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია"*. ვგონებ, მეც აბონ ციციაშვილის ჰანგზე ავმღერდი, მაგრამ — ამერიკას ახსოვს შოთას ეს აფორიზმი: თუნდაც პანამის არხის ტერიტორიაზე ნებაყოფლობით ხელის აღება გვიდასტურებს ამას.

— თქვენ, ბატონო თამაზ, თავგადაკლული პროამერიკელი ბრძანებულხართ, უფრო მეტიც — ანტირუსეთელიც.

— მე მაინც იმედი მაქვს, რომ გეოსტრატეგიული ფაქტორები რუსეთს

თავის პოლიტიკურ მოკავშირეებს უფრო ევროატლანტიკურ სივრცეში მოაძებნინებს, ვიდრე ჩინეთსა და მუსლიმანურ სამყაროში. თუ შედგა რუსეთ-საქართველოს პაემანი „ნატოზე", ყველას გული საგულეს გვექნება. ვინც რუსეთის კულტურას, მის ლიტერატურას იცნობს, ბოლოს და ბოლოს, რუსულ ენას ფლობს — ასეთი კი ლამის მთელი საქართველოა — ის ანტირუსეთელი ვერ იქნებაჯ კულტურის პოზიციიდან. პოლიტიკური ანტირუსეთელობისაკენ კი თვითონ რუსეთის „ველიკოდერჟავული" პოლიტიკა უბიძგებდა და, სამწუხაროდ, ახლაც უბიძგებს საქართველოს.

— პრეზიდენტს იმედი აქვს, რომ პუტინის რუსეთთან საერთო ენა გამოინახება...

— იმედის დაკარგვა პოლიტიკაში ყველაფრის დაკარგვაა, თუმცა, პირველ ყოვლისა, პრეზიდენტმა იცის, რომ ყველაფერი ერთ კაცზე არ გახლავთ დამოკიდებული, მით უფრო, რომ ამ კაცის — ჩავთვალოთ, გაპრეზიდენტებულის — პოლიტიკური ორიენტაცია ჯერ კიდევ ნათლად არ გამოკვეთილა. ისე არ გამოვიდეს, ვაის გავეყარე და უის შევეყარეო.

ალტერნატივა

— ბატონო თამაზ, შევარდნაძე უალტერნატივოა?

— უალტერნატივო მხოლოდ ღმერთია, ისიც მორწმუნისათვის. თუ უალტერნატივობას იმას ეძახით, რომ არის კაცი, ვინც ამ ეტაპზე ყველაზე უკეთ გაუძღვება ქვეყანას, მაშინ შევარდნაძის უალტერნატივობის მტკიცება მეც შემიძლია. მაგრამ თუ ამ გამოთქმით ვინმე ამტკიცებს შევარდნაძის აბსოლუტურად შეუცვლელობას ანუ, ღმერთმა დიდი დღე მისცეს, სამისდღეშიო პრეზიდენტობას, ის, ჩემი აზრით, სწორედაც პრეზიდენტის მოწინააღმდეგეთა ნისქვილზე ასხამს წყალს.

—_კი მაგრამ, ჟვანიამ რომ განაცხადა პარლამენტის სხდომაზე, შევარდნაძე უალტერნატივოაო?

— დავაზუსტოთ: იქ ითქვა — *„დღეს შევარდნაძე რეალურად უალტერნატივოა"*. სიტყვებს „დღეს" და „რეალურად" თავისი დატვირთვა აქვთ და სწორედ „უალტერნატივობის" პირველ გაგებას გულისხმობს.

— არადა, სადღეისოდ შევარდნაძის ალტერნატივად, ვგონებ, მეთხუთმეტე კანდიდატი წარადგინეს.

— დიახ, და ეტყობა, ველარ განხორციელდება ირაკლი ნერეთლის ორიგინალური იდეა — დავტოვოთ შევარდნაძე საპრეზიდენტოდ სამი „კლინიკური სულელის" კომპანიაშიო...

— ვის გულისხმობდა?

— გულისხმობდა კი არა, სამივე ჩამოთვალა, მაგრამ, ნება მიბოძეთ, ამ კონტექსტში მათი გვარები არ გავიმეორო.

— მეც ბოდიშს მოგიხდით ამ კონტექსტში შეხსენებისთვის, მაგრამ თქვენც ბრძანდებოდით, ბატონო თამაზ, პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი პირველი საპრეზიდენტო არჩევნებისას... მაშინაც, რამდენადაც მახსოვს, არანაკლები ენთუზიაზმით ამტკიცებდნენ გამსახურდიას უალტერნატივობას.

— მეტით, ბევრად უფრო მეტით, თანაც ამტკიცებდნენ არა მარტო სიტყვით... სხვისი რა მოგახსენოთ და მე პირადად მაშინ ასეთი მიზანი მქონდა: უნდა გარღვეულიყო საინფორმაციო ბლოკადა და საჯაროდ თქმულიყო — მეფე შიშველია.

— ბევრის აზრით, მეფე ახლაც შილიფადაა, ბატონო თამაზ.

— მაგრამ ახლა არამცთუ ამ აზრის საჯაროდ გამოთქმას შეხვდება რაიმე წინააღმდეგობა, არამედ, საუბედუროდ, არც იმ აზრს, რომ მეფე მოლალატე ან სულაც მაფიის ნათლიმამაა.

ტირაჟირებული „ამბობენ"

— რატომ „საუბედუროდ", პროდასავლელი თამაზ კვაჭანტირაძე პრესის დასავლურ თავისუფლებასაც უნდა უჭერდეს მხარს.

— პროდასავლელობა პოლიტიკური ორიენტაცია გახლავთ და არა დასავლური ტრადიციების ბრმად მიბაძვა საკუთარის ხარჯზე. ინტერვიუს მიცემისას ამერიკელი, თუ ამისი მოთხოვნილება გაუჩნდებოდა, ფეხებს მაგიდაზე შემოგიწყობდათ, მე კი თავს ამის უფლებას არამცთუ თქვენთან, უცხო მანდილოსანთან, არამედ ახლობელ კაცთანაც ვერასოდეს მივცემ. სამაგიეროდ, როცა თქვენ შემობრძანდით და გამეცანით, მე ხელი ჩამოგართვით — ირანში და იაპონიაში ეს, მეტი რომ არა ვთქვა, სითავხედედ ჩამომერთმეოდა; პოლონეთში კი, მანდილოსანს, ჩვეულებრივ, ხელზე ამბორით ეცნობიან. მე მინახავს ამ ხუთიოდე წლის წინ ბერლინის ფეშენებელური მაღაზიის ვიტრინაში კანცლერ კოლის მულაჟი, ცხვირზე ვეებერთელა პრეზერვატივით. ეს, ღვთის მადლით, თბილისში გამორიცხულია... ჯერჯეროობით მაინც. პრესის ტრადიციებიც არსებობს ჩვენში და პროდასავლელობის მიუხედავად, მე ილიასეული ტრადიციების მომხრე გახლავართ.

— ბატონო თამაზ, თქვენი პოლემიკური წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არც თქვენ წერთ თეთრ ხელთათმანებში გამოწყობილი.

— მერედა, ვინ გითხრათ, კრიტიკა და პუბლიცისტიკა უხორცო სუფს უნდა დაემსგავსოსო! ესეც ილიას ტრადიცია გახლავთ — „მეხი სიტყვა". ამ სიტყვით ამხელდა იგი თავის მოწინააღმდეგეებს... და მაინც, ილიასათვის მხილებასა და ცილისწამებას შორის უფსკრული ძევს, რომელსაც ზოგი ჩვენი კოლეგა ისე გადაალაჯებს, გინდა თაგვის სოროსათვის გადაებიჯებინოს. დასავლური პრესის თავისუფლებაო, რომ ბრძანეთ, იქ ცილისწამე-

ბასა და შეურაცხყოფას ჩვენებური ფერ-უმარილით — „ამბობენ" — ვერ შეალამაზებ.

— როცა კორუფცია ასეა მოდებული ხელისუფლებაში, განა ღირს მასმედიის გადახრებზე ყურადღების გადატანა?

— აკი მას-მედიაც ხელისუფლების მეოთხე შტოა... თუ — როცა ხელს გვაძლევს, ხელისუფლება ვართო, როცა არა — ვემიჯნებით? მე მიყვლია და, ამ ტირაჟირებულმა „ამბობენ", შეიძლება, ქვეყანა მართლაც დაგვიქციოს... ეს არ გახლავთ თეა გვასალიას უწყინარი „ამბობენ"...

— ბატონო თამაზ, რახან ამას ჰოლივუდის ვარსკვლავებზე „ამბობენ", იმიტომ ხომ არ გვეჩვენება უწყინარად? იგივე რომ ეკრანიდან ჩვენს ელიტაზე თქმულიყო, მოგენონებოდათ?

— თუ მასში ცილისწამება არ იქნებოდა, რატომაც არა: ვისაც საზოგადოებრივ ავანსცენაზე ყოფნა სიამოვნებს, დე იცოდეს, რომ მისი არაფერი დაიმალება — არც კარგი და არც ავი.

მეგზურები და ეკიპაჟი

— ბატონო თამაზ, ხელმწიფის ნავში თუ მჯდარხართ?

— დასამგზავრებლად — არა, სამუშაოდ — კი: მთელ ექვს ნელინადს ხელისუფლების ხომალდში ეკიპაჟის წევრი გახლდით.

— ამბობენ, ხელმწიფის ნავში ჯდომა იმის პირველი საფეხურია, რომ მერე ეკიპაჟის წევრი გახდეო...

— ისევ — „ამბობენ"? გეხუმრებით, ცხადია... შესაძლოა, ვინმე მართლაც საამისოდ უმიზნებს ხელმწიფის ნავს, მაგრამ აქ მარტო ერთი მხარის სურვილი არ კმარა, პირველ ყოვლისა, ხელმნიფეს უნდა აინტერესებდეს შენთან დამგზავრება.

— ახლა ბევრი იჩემებს, ხელმწიფის ნავს სათოფეზე არ გავკარებივარო.

— ვისაც ამით თავი კიტრივით მოაქვთ, ერთი ჰკითხეთ, მიასუნინებდა კი ვინმე იმ ნავამდე? ასეც მომხდარა — გარკვეული პრინციპის გამო პიროვნებას თავი აურიდებია ხელმწიფის ნავისათვის, თუმცა ძალად იქ ჩასმული კაცი მე ჯერ არ მინახავს. ის კი ყველას გვინახავს, რომ ჭკვიანსა და პატიოსან მეგზურებს — გაანათლოს ღმერთმა მათი სულები — ხელმწიფის ნავისთვის სანაღმართო გეზი მიუციათ.

— ასეთები მარტო საიქიოს გეგულებათ, ბატონო თამაზ?

— ასეთები, ალბათ, ახლაც არიან, და ღმერთმა მათაც მოუმართოს ხელი ყოველ კეთილ საქმეში.

ესაუბრა ნათია ნაცელიშვილი, „თბილისის სიახლენი", 18.2.2000

მე მარტო მაშინაც არა ვარ, როცა მარტო ვარ

— ბატონო თამაზ, როგორი უნდა იყოს ქართველი მამაკაცი?

— მამაკაცური.

— როგორია თამაზ კვაჭანტირაძე ოჯახში?

— ძნელი, მაგრამ, მეუღლეს თუ ვერწმუნებით — სასიამოვნოდ ძნელი.

— ვისთან მეგობრობთ?

— ვისაც ჩემი მეგობრობა სჭირდება — დაწყებული, სამი წლის იკოთი, დამთავრებული, სამოცდათხუთმეტი წლის აბესალომ ვეკუათი.

— ცნობილი პალეონტოლოგი, „დმანისის ადამიანი“ რომ აღმოაჩინა?

— დიახ.

— თქვენი აზრით, რა არის ქართული სუფრის მშვენება?

— თამადა, ღვინო, სიმღერა; თუ ერთი სიტყვით გნებავთ — გაგება.

— როგორი ღვინო გიყვართ?

— ღვინო და ქალი ცუდი არ არსებობს: არის კარგი და ძალიან კარგი ღვინოები. მე ძალიან კარგი ღვინოები მირჩევნია, მაგალითად, კახური და ლეჩხუმური.

— როგორ გაიცანით თქვენი მეუღლე?

— მეუღლე გამაცნო ფათერაკმა — „კიროჩნზე“ ბიჭებს ჩხუბი მოგვივიდა და ხულიგნობაში ეჭვმიტანილი ასპირანტი მაშინდელმა ქალაქის პროკურორმა არონ ტაკიძემ, ღმერთმა გაანათლოს მისი სული, თავისთან, კაბინეტში დამიბარა. იქ დავინახე, კიბეზე ცოცხალი დედოფალი ჩამოდიოდა, რომელსაც ნუკრივით გოგო მოსდევდა. ეს დედოფალი არასრულწლოვანთა განყოფილების უფროსი თამარ ფოცხვერია აღმოჩნდა თავისი არასრულწლოვანი ქალიშვილით — ნანათი. ოთხი თვის შემდეგ ნანა სრულწლოვანი გახდა, თამარ ფოცხვერია კი — ჩემი სიდედრი.

— თქვენი აზრით, რა არის სიყვარულის მთავარი ღირებულება?

— სიყვარული თავად გახლავთ მთავარი ღირებულება.

— ეჭვიანი თუ ხართ?

— ნამეტნავად, ოღონდ არა მეუღლის მიმართ.

— თქვენი ოჯახი რამდენად ტრადიციულია?

— ჩემი აზრით, უტრადიციო ოჯახი აღარცაა ოჯახი.

— „იქ, სადაც მამაკაცი ტირანია, ქალი ყოველთვის ცბიერია“. რამდენად ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

— ტირანს ყოველთვის ატყუებენ... კაცმა რომ თქვას, ტირანი, ქალი იქნება იგი თუ კაცი, დიახაც რომ უნდა მოატყუო.

— რა არის მამაკაცის უმთავრესი ვალდებულება ოჯახში?

— მამაკაცისა — მამასახლისობა, დედაკაცისა — დიასახლისობა; ოღონდ — ამოსავალი გაგებით: სახლის ანუ ოჯახის მამობა და სახლის ანუ ოჯახის დედობა.

— რა არის თქვენთვის ქალი?

— სიყვარული.

— სიყვარული?

— ქალი.

— სიყვარულის გამო დათმობაზე თუ წასულხართ?

— დათმობაში თუ მსხვერპლს გულისხმობთ, მსხვერპლზე ნასვლა სწორედ სიყვარულის გულისთვისა ღირს.

— რაიმე შეცოდება თუ ჩაგიდენიათ, რასაც დღემდე ნანობთ?

— სინანული მაღალი ნიჭია... მხოლოდ ხეპრეს ჰგონია, რომ სანანებელი არაფერი ჩაუდენია... მაგრამ, მეორე მხრივ, კაცი სინანულს არ უნდა დაეთრგუნვინო...

— ინტრიგის მსხვერპლი თუ გამხდარხართ როდისმე?

— ინტრიგების მეტი რა მინახავს და რა მიწვნეია, მაგრამ მსხვერპლად ჩემი თავი არასოდეს წარმომიდგენია.

— შეიძლება ითქვას, რომ მეოცნებე ხართ?

— მე მეოცნებე პრაქტიკოსი გახლავართ. არაპრაქტიკოსი მეოცნებე, უბრალოდ, უსაქმური მგონია.

— ფულის ხარჯვა გიყვართ?

— მიყვარს თუ არა ფულის ხარჯვა, ამ გრძნობის მასშტაბური შემოწმების საშუალებას, სამწუხაროდ, მოკლებული ვიყავი, ვარ და, ალბათ, ვიქნები.

— ტყუილის თქმა გიწევთ ხოლმე?

— ზომიერად და არა სხვათა საკნებოდ.

— შეგიძლიათ, მიმტევებელი იყოთ?

— ნაკლებად... მაგრამ უფრო გახარებული მაშინ ვარ, როცა მივუტევებ, ვიდრე მაშინ, როდესაც სამაგიეროს ვუხდი ვისმე.

— კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა, ქალს მხოლოდ იმდენი ჭკუა უნდა ჰქონდეს, სახლი არ გადაწვასო. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ქალებს რომ ჩვენზე ნაკლები ჭკუისად ვთვლით, ამიტომაცაა, რომ ქალები გვჯობიან ხშირად ჭკუით.

— მანდილოსნებთან მეგობრობა თუ გამოგდით?

— მანდილოსნებთან მეგობრობა უიშვიათესია... ბედნიერი ვარ, რომ მე ეს განმიცდია.

— ბატონო თამაზ, მეუღლეს ღალატში თუ დაუდანაშაულებიხართ?

— მეუღლეს არასოდეს არაფერში დავუდანაშაულებივარ. შეიძლება მეჩხუბოს, შეიძლება დამემდუროს, გამორიცხული არ არის — მომკლას კიდეც, მაგრამ ჩვენ ოჯახი გვაქვს და არა — სასამართლო.

— მანდილოსნების მხრიდან თუ გრძნობთ ხოლმე თქვენით დაინტერესებას?

— მიმაჩნია, რომ მამაკაცები ამით ნაკლებად უნდა ინტერესდებოდნენ.

— საჩუქრები გიყვართ?

— მიყვარს ყურადღება... უფრო სწორად — მსიამოვნებს.

— თავად თქვენ თუ უწყობთ სასიამოვნო სიურპრიზებს თქვენთვის საყვარელ მანდილოსნებს?

— ვისაც მისდამი გამოვლენილი ყურადღება სიამოვნებს, მას კიდევ უფრო დიდ სიამოვნებას ის უნდა ანიჭებდეს, თუ სხვას ასიამოვნებს. ჩემთვის ძვირფას მანდილოსანთაგან ამჟამად ელენე ვეკუასა და ნანა ვაჩნაძისათვის სიურპრიზებზე ვარ გადართული.

— ასე ადვილად და საჯაროდ აღიარებთ, ვინ არიან თქვენთვის ძვირფასი მანდილოსნები?

— რა მაქვს დასამალი... თუმცა, მანდილოსნები-მეთქი, რომ გითხარით, ცოტა გადავაჭარბე, მანდილოსნობამდე რამდენიმე წელი უკლიათ ჩემს შვილიშვილებს — ელენიკოცა და ნანიკოც თერთმეტი წლისანი არიან.

— რა ადგილს უნდა იკავებდეს მამაკაცი შვილების აღზრდაში?

— მამაკაცი შვილს დედაზე ნაკლებ როდი ზრდის, ოღონდ — ქცევით.

— ეგოისტობა თუ შეგპარვიათ ოდესმე?

— ზომიერად ეგოისტი ვარ. ყოველ შემთხვევაში, ჩემს ეგოიზმს ვაკონტროლებ.

— რამდენად პრინციპული ხართ და თუ იცვლით აზრებს გარემოების მიხედვით?

— „არ ვსდევ ჟამთაცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად"... ზოგჯერ — საბედნიეროდ, ზოგჯერ, ალბათ — საუბედუროდაც.

— ემოციური ხართ?

— ვარ ფიცხი და ზომაზე მეტად აზარტული, თუმცა ჩემი ემოციებისა და იმპულსების რეგულირება შემიძლია.

— ბატონო თამაზ, რომელ ეკლესიაში დადიხართ და ვინ არის თქვენი მოძღვარი?

— ვერ ვიფარისევლებ; სამწუხაროდ, ეკლესიური არ გახლავართ და არც მოძღვარი მყავს. ისე, ადამიანი, პირველ ყოვლისა, საკუთარ სინდისს ეუბნება აღსარებას; ჩემი მოძღვარი და მესაიდუმლეც ჩემი სინდისია.

— საკუთარ თავთან განმარტოება გიყვართ?

— მე მარტო მაშინაც არა ვარ, როცა მარტო ვარ...

— როგორ ატარებთ თავისუფალ დროს, თუნდაც უქმე დღეებს?

— თავისუფალ დროს ვმუშაობ ყველაზე ნაყოფიერად...

— რომელ ტელეგადაცემას უყურებთ?

— საინფორმაციოსა და სპორტულს.

— სადილის მომზადება თუ გიცდიათ?

— არა, თუმცა, რამე იყოს, ერბო-კვერცხს შეეწვავ. ხაშის გაკეთებაც კაცური საქმეა, უფრო სწორად — მთელი რიტუალი.

— ჩაცმის მხრივ პრეტენზიული ხართ? როლინგები ასე რამ შეგაყვარათ?

— ტანსაცმელი ადამიანს უნდა ემსახურებოდეს და არა — ადამიანი ტანსაცმელს... მსახურებაში დროის მოგებასაც ვგულისხმობ — ამ მხრივ, როლინგი კარგი „მოსამსახურეა", გარგე თავი და უკვე მზადა ხარ.

— რომელ სუნამოს ხმარობთ?

— არანაირს. ქალისთვისაც, მხცოვანობამდე, ზედმეტად მიმაჩნია. დაბანილ სხეულზე უკეთესი სურნელი არ არსებობს.

— თქვენი სამაგიდო წიგნი?

— სულხან-საბას „სიტყვის კონა".

— გურამ დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა", რამდენად შეიძლება გადაიტანოთ საკუთარ თავზე?

— იმდენად, რომ ეჭვიც მიპყრობს — ვასიკო კეუერაძის პროტოტიპად გურამს, ჩემს ძველ მეგობარს, მეც ხომ არ გამოვადექი-მეთქი.

— მიზანი, რომელსაც ვერ მიაღწიეთ და ოცნებად დარჩა?

— იმედი უნდა გაგიცრუოთ — რასაც ვერ მივაღწიე კი არა, ასრულებულ ერთ მიზანსაც ვერ დაგისახელებთ.

— ბატონო თამაზ, თუ შეიძლება გაშიფრეთ სიტყვა მამაკაცი.

— აპოფატიკურ ღვთისმეტყველებაში ნიშან-თვისებათა უარყოფა-ნეგაციის გზით მტკიცდება, რომ უზენაესი ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელია; ამის გამოვლინება გახლავთ, როცა რუსთაველი ავთანდილს ლოცვისას ათქმევინებს ღმერთზე — „უცნაურო და უთქმელო", — ესე იგი, შეუცნობელო და გამოუთქმელოო... მეც, ნება მიბოძეთ, ამგვარი ნეგაციის მეთოდით დაგიხასიათოთ მამაკაცი: მამაკაცი არ უნდა იყოს უძლური; არ უნდა იყოს მხდალი; არ უნდა იყოს წუწურაქი; არ უნდა იყოს უმადური... როცა ვამბობ, უძლური ან წუწურაქი არ უნდა იყოს-მეთქი, იმას როდი ვგულისხმობ, რომ მაინცდამაინც ჰერკულესი ან მფლანგველი იყოს — ანუ ამ თვისებათა საპირისპირო, ანტინომურ ნიშან-თვისებებს უზომოდ, ჭარბად ფლობდეს.

— როგორ ფიქრობთ, რატომ ჭორაობენ დღეს მამაკაცებზე, ეს დრომ განაპირობა თუ მოდამ?

— მამაკაცებზე რომ ჭორაობენ, ეს იმდენად დიდი უბედურება არ გახლავთ; მამაკაცები რომ ჭორაობენ — ესაა ნამდვილი უბედურება. ამ ჭორა-

ობითაც ვლინდება ის სენი, რომელიც ახლა, საუბედუროდ, ჩვენში ფეხს იკიდებს — კაცთა გადიაცება, ტრავესტიზმი და პლასტიკური ოპერაციების უკონტროლო, უფრო სწორად, უზნეო განვითარება... თუ ამას ჯებირი არ დავუდეთ, ისეთი ღვთის რისხვა დაგვატყდება თავს, ბაბილონის გოდოლის მაშენებლებს რომ არც მოლანდებიათ: უფალი მოგვკითხავს თავის საქმეში ჩარევას.

— როგორ ფიქრობთ, ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, როგორ მამაკაცებად ჩამოყალიბდებიან დღეევანდელი ახალგაზრდები?

— სწორედ ქვეყანაში არსებული უმძიმესი ვითარება ჩამოაყალიბებს მათ ჩვენზე უკეთეს მამაკაცებად. ეს რომ არ მწამდეს, სიცოცხლეც არ ეღირებოდა.

— რას ვერ აპატიებთ ადამიანს?

— პატიების უუნარობას.

— გმადლობთ საუბრისათვის.

ესაუბრა ხათუნა ბახტურიძე, „მეოთხე", N13 (262), 2001 წ.

გადატრიალება თუ ამბოხი?

— ბატონო თამაზ, რატომ აღიქვა ასე მძაფრად ქართულმა ინტელიგენციამ ზვიად გამსახურდიას რეაბილიტაციის მცდელობა?

— უკაცრავად, მაგრამ ჯერ დავაზუსტოთ, რაში გამოიხატა აღქმის ეს სიმძაფრე? საპროტესტო მიტინგები გავმართეთ თუ მშრალი შიმშილობა გამოვაცხადეთ? წერილი დავბეჭდეთ, სადაც პარლამენტის მიერ მართლმსაჯულების ორგანოებზე უხეშ ზეწოლას ვაპროტესტებდით — ეს იყო და ეს.

— მაშ, გამსახურდიას რეაბილიტაციას უკვე აღარ აპროტესტებთ?

— რეაბილიტაცია, თუ ამ სიტყვას იურიდიულ ტერმინად ვიხმართ, მხოლოდ სასამართლოს მიერ მსჯავრდებული დამნაშავისა შეიძლება, ექსპრეზიდენტისათვის კი სასამართლოს თავისი განაჩენი არ გამოუტანია: დანაშაულში ეჭვმიტანილის გარდაცვალების გამო სისხლის სამართლის საქმე შეწყდა. ამიტომაც პარლამენტის დადგენილება — *„ეთხოვოს საქართველოს გენერალურ პროკურორს, შეისწავლოს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის კანონიერება მისი რეაბილიტაციის მიზნით"* — ჩემი აზრით, არა მარტო გენერალურ პროკურორზე უხეში ზეწოლის მცდელობაა, არამედ — ღია, დაუფარავი დაკვეთაც: საქმე განაახლე გამსახურდიას სა-

რეაბილიტაციოდო; უფრო სწორად, პარლამენტი ამ დადგენილებით გენერალურ პროკურორს უკვეთს — გამსახურდიას საქმე მისი გარდაცვალების გამო კი არ შეწყვიტო, არამედ ამ საქმეში გამსახურდიას დანაშაულის ნიშნების არქონის გამოო.

— ეს დადგენილება არ გამოქვეყნებულა და, იქნებ, იქ ზუსტად ისე არც წერია, როგორც თქვენ ბრძანებთ: საქმე მაინცდამაინც გამსახურდიას რეაბილიტაციის მიზნით განაახლეთო.

— მე წერილს ხელი მხოლოდ მას შემდეგ მოვაწერე, რაც დადგენილების ტექსტს გავეცანი, იქ კი ზუსტად ასე წერია; შეგიძლიათ, ოფიციალურად გამოითხოვოთ და გადაამოწმოთ.

— და მაინც, ბატონო თამაზ, ჩვენს ინტელიგენციას ეს წერილი რამ დააწერინა — იურიდიული შეუსაბამობითა და, თუნდაც, პროკურორზე ზემოქმედების მცდელობით გამოწვეულმა აღშფოთებამ თუ შიშმა, გამსახურდია რომ გაამართლონ, ვაითუ, ბარიკადის მეორე მხარეს მებრძოლებს დაგვეკისროს საქართველოს დანგრევა-დაქუცმაცებაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაო?

— ვგავარ ახლა მე, ქალბატონო ნინო, შიშისგან წამხდარ კაცს, გენერალურ პროკურორს რომ ევედრება, არიქა, არ დამღუპო, გამსახურდია დაადანაშაულე, თორემ პეტრიაშვილივით ქვეყნიდან გადახვეწა მომიწევსო?

— პირადად თქვენ — ნაკლებად, მაგრამ...

— აბა, ჭაბუა ამირეჯიბს ორჯერ მიუყენეს დახვრეტის მუხლი და ეს ოთხმოცი წლის კაცი ჯერ კიდევ არაა იმ ხნის, რამდენი წელიც მისჯილი ჰქონდა; ვიქტორ რცხილაძე, ცნობილი სამართალდამცველი და ამ წერილის ერთ-ერთი ხელისმომწერი, გამსახურდია-კოსტავას საქმეში გადიოდა და, ექსპრეზიდენტისაგან განსხვავებით, შორეულ ყაზახეთში, უმძიმეს პირობებში მოიხადა სასჯელი... სხვაც ნურავინ გეგულებათ ხელისმომწერთა შორის უხერხემლო და გადედლებული ინტელიგენტი, ლენინმა რომ ხულიგნურად კამოს „დესერტად" მონათლა. ამ წერილზე პირადად მე ხელი საკუთარი ტყავის გადარჩენის შიშმა კი არ, უფრო, ვაჟასი არ იყოს, „სხვარიგის შიშმა" მომაწერინა...

— კერძოდ?

— ნუ გაიკვირვებთ და, მე თქვენ გამო მეშინია...

— უკაცრავად, მაგრამ მე რაღა შუაში ვარ?

— მარტო თქვენ გამო — არა... თქვენი რედაქტორის, თქვენი კოლეგების, საერთოდ, მასმედიის გამო... აი, თავისუფალს რომ ვეძახით. თქვენ წარმოიდგინეთ, შეყვითლებული პროზვიადისტური პრესის გამოც კი მეშინია, თვითმკვლელობის ჟინს ატანილივით რომ ცდილობს, ისტორიის ჩარხი უკუღმა დაატრუნოს და, ვითომ ეროვნული, სინამდვილეში — ტოტალიტარული ხელისუფლების რესტავრაციის სამაცდურო შხამით რომ მოწამლოს მკითხველი. ამგვარი პრესისა და ტელევიზიის შემყურეს, ზოგჯერ ასეთი სასწაულიც მი-

ნატრია — მარტო ერთი დღით, მხოლოდ 24 საათით აღდგეს მკვდრეთით ზვიადისტური ხელისუფლება... სად დარდუბალაში გადაიხვენება მაშინ „დარდუბალა", მოასწრებს თუ არა 60 წუთში საქართველოდან აორთქლებას „60 წუთი"... არ არსებობს „შანსი", რომ თავისუფალი პრესის „ასავალ-დასავალს" ამ დროს ვინმემ მიაკვლიოს: ტელევიზიის კიბეზე მჯდომარე აქციებსაც გაგიხსენებენ და სხვა ანტიზვიადისტურ პუბლიკაცია-გამოსვლებსაც; დამიჯერეთ, მარტო საჯაროდ ბოდიშის მოხდასა და ფულად ჯარიმებს არ გაკმარებენ — საგანგებოდ დამზადებული „საბრძოლო" ჯვრები ზვიადისტებს მარტო მღებრიშვილის ბიჭებისთვის როდი უნდათ; არც მხოლოდ თავების დახეთქვას დაგჯერდებიან — ყველაზე დიდ, მძიმე „ზვიადისტურ" ჯვარზე ერთ-ერთ პირველთაგანს სწორედ თავისუფალ მასმედიას აცვამენ.

— ანტიზვიადისტურ ინტელიგენციაზე უწინარეს? თქვენზე უფრო ადრე?

— რა დიდი შეღავათია, თორემ თქვენ შემდეგ, სანამ ჩვენ მოგვდგებოდნენ, მერწმუნეთ, ისევ თავისიანებთან ექნებათ ანგარიშები გასასწორებელი. ჩემთან და ჩემისთანებთან მათი პოზიცია ნათელია, ჩვენი ურთიერთდამოკიდებულებაც უცვლელი გახლავთ და გარკვეული: ვიყავით, ვართ და დავრჩებით სახელმწიფოს მართვის ზვიადისტური პრინციპების შეურიგებელი მოწინააღმდეგეები. იმ, წარმოსახვით, ერთ დღეში ვეღარ მოასწრებენ, თორემ რესტავრირებული იდეური ზვიადისტები ჩვენზე უწინარეს იმ პოლიტიკურ პარტიებსა და პიროვნებებს მისდგებიან, ვინც, შემინდეთ ამგვარი შედარებისათვის, ზვიად გამსახურდიას პიჯაკზე მაკაკებივით ჩამოპორწიალებულები შევიდნენ პარლამენტში, მერმე კი, განსაცდელის ჟამს, უგანეს მას; ვინც საჯაროდ აცხადებდა, გამსახურდია ავადმყოფია და მას მხოლოდ ერთი წამალი თუ განკურნავს — ტყვია შუბლშიო, და მერე, მისი რეალური სიკვდილის შემდეგ, ნიანგის ცრემლებს აღვარვარებს, ეს რა ეროვნული პრეზიდენტი ჩამოგვიგდო და მოგვიკლა „ხუნტამო"; ვინც ზვიად გამსახურდიას მესსიად, წმინდა გიორგიდ, მოსედ აცხადებდნენ და, როცა ამ კაცს გაუჭირდა, გაერიდნენ, სათოფეზე აღარ მიეკარნენ და ჩირგვებში ჩაძვრნენ.

— წარმოუდგენელია, ბატონო თამაზ, მაგრამ ახლა თქვენ და პრეზიდენტის ქვრივი თითქოსდა ერთ ენაზე ალაპარაკდით.

— მე ყოველთვის ვცდილობ სიმართლის ენით ვილაპარაკო და ნაკლებად მაინტერესებს, ამ სიმართლის ცალკეული ფრაგმენტები ვის მოსაზრებას დაემთხვევა.

— იმაშიც ხომ არ ემთხვევა ერთმანეთს თქვენი მოსაზრებები, რაც ქალბატონმა მანანა არჩვაძემ ტელეეკრანიდან გვამცნო: პარლამენტის მიერ დაკვეთილ ამ რეაბილიტაციას ფასი არ ექნება, თუ ზვიად გამსახურდიაზე საქმის აღმძვრელნი თავად არ მისცეს სამართალში, ხოლო „პუტჩის" მოთავენი არ დაიჭირესო?

— თავისი ლოგიკა ამ მოსაზრებაშიც ძევს: თუ მართლაც მოხდა სამხედ-

რო-კრიმინალური გადატრიალება, თუ ამ კრიმინალებმა უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების დახმარებით დაამხეს კანონიერი ხელისუფლება, თუ ძალაუფლების შენარჩუნების სანაცვლოდ ახალმა ხელისუფლებამ თავისი ტერიტორია მიჰყიდა ამ უცხო ქვეყანას, თუ ეს ხელისუფლება მოქმედებდა აფხაზ სეპარატისტებთან შეთანხმებულად, თუ მან გააჩაღა სამოქალაქო ომი, თუ მან არ შემოუშვა ლტოლვილები სამეგრელოში, რითაც განირა საკუთარი ხალხი ჭუბერის გადმოსასვლელზე; და თუ ყველაფერ ამაში გამსახურდია უდანაშაულოა, ბუნებრივია, ქართველთა გენოციდზე პასუხი პრეზიდენტყოფილის მონინააღმდეგე მხარემ უნდა აგოს, თანაც არა მხოლოდ შემსრულებლებმა, არამედ — ორგანიზატორებმაც.

— ყოველივე ამის ორგანიზატორად კი ქალბატონ მანანას პრეზიდენტი შევარდნაძე მიაჩნია.

— არა მარტო მას — მთელ ზვიადისტურ სპექტრს... არა მარტო შევარდნაძე — მთელი „საერთაშორისო მასონისტურ-იმპერიალისტური ძალები": ბუში, მიტერანი... ისევე თქვენს შეკითხვას რომ დავუბრუნდეთ, ქალბატონ არჩვაძისა და, საერთოდ, ზვიადისტებისგან განსხვავებით, მე სნორედ ეს „თუ" მიმაჩნია ყალბ, არასწორ წინამძღვრად და, შესაბამისად, დასკვნაც — თავიდან ბოლომდე მცდარად. ისე, ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, ვინც ა-ს ამბობს, მან ბ-ანიც უნდა მოაყოლოს. პირველი და, ჩემი აზრით, იურიდიულად საბედისწერო შეცდომა პარლამენტმა მაშინ დაუშვა, როცა სახალხო ამბოხი გადატრიალებად მონათლა. მართალია, 20 აპრილის დოკუმენტში 1991-92 წლის მოვლენები ამ ტერმინით არ დაფიქსირებულა, მაგრამ ბევრი კანონმდებელი, სამწუხაროდ, თავის საჯარო გამოსვლებში სწორედ ამ სიტყვას ხმარობს.

— ჟვანიამ ტელევიზიით სწორედ გადატრიალება უწოდა 1991-92 წლის მოვლენებს...

— ხელისუფლების ყოველი ძალისმიერი დამბობა მის შეცვლას ანუ ხელისუფლების გადატრიალებას გულისხმობს... ამ აზრით ეს სიტყვა ასატანიც იქნებოდა, მაგრამ თუ ვინმემ „გადატრიალება" იხმარა ვინრო შვთქმულთა წრის მიერ ე.წ. „სასახლის გადატრიალების" მნიშვნელობით და 1991-92 წლის მოვლენებში გამორიცხა ფართო საზოგადოებრივი ფენების აქტიური მონაწილეობა, მაშინ ამის მთქმელი, ვინც უნდა იყოს იგი, ჩემი აზრით, საფუძველშივე მცდარია: გინახავთ თქვენ სადმე გადატრიალება, რომელიც თითქმის ნახევარ წელს გრძელდებოდეს — გვარდიამ ხომ პრეზიდენტყოფილს დაუმორჩილებლობა აგვისტოს პუტჩის დღეებში გამოუცხადა! გაგიგონიათ „პუტჩი", რომელშიც სამხედროების გვერდით და მათზე უნინარეს, მეტიც ითქმის, მათზე აქტიურად პოლიტიკური პარტიები, თავად ხელისუფლების ყველა შტო — პარლამენტარები, მინისტრები, სამართალდამცავები, მასმედია — მონაწილეობდეს? ამიტომაც წამოსცდა გამსახურდიას ასეთი უცნაური და შეუსაბამო სიტყვათნაზავი: „*საქართველოში დაიწყო სამხედ-*

რო-სამოქალაქო პუტჩი!" სამოქალაქო პუტჩი ხომ იგივე სახალხო ამბოხია! და ბოლოს, გსმენიათ სადმე გადატრიალება, რომელშიც აქტიურად იყოს ჩაბმული მთელი ინტელიგენცია, სტუდენტი ახალგაზრდობა, საზოგადოების ყოველი ფენა? თუ ასიათასიან მიტინგებსა და დემონსტრაციებს, თუ მასობრივსა და პერმანენტულ საპროტესტო აქციებს, თუ მშვიდობიანი მოსახლეობის მიერ იარაღის, ძირითადად — სანადირო თოფების, ხელში აღებას და ამბოხებული გვარდიისა და თანამგრძნობი პოლიციის გვერდით დგომასა და, ბოლოს, მათთან ერთად ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას არა, მიბრძანეთ, მაშინ რაღას უნდა ვუწოდოთ სახალხო ამბოხი? თუ — ნამგლები და ცელები უნდა დაეკავებინა ხალხს ხელში, თითქოსდა „ჟაკერიის" ან ემილ პუგაჩოვის ეპოქაში ვცხოვრობდეთ!

— და თქვენ ყოველივე ამას — დაარქვით მას, გნებავთ, გადატრიალება, გნებავთ, ამბოხი — იწონებთ და თანაუგრძნობთ?

— არც მე და, ცხადია, წერილზე ხელისმომწერი არც ჩემი თანამოაზრენი კანონიერი ხელისუფლების ძალად დამხობას არც ვიწონებთ და არც ვემხრობით, ოღონდ ერთადერთი პირობით: თვითონ ხელისუფლებამ შეგნებულად არ უნდა უგულებელყოს კონსტიტუცია, არ უნდა დაარღვიოს კანონი და ამ თავისი უკანონობით ამბოხებამდე არ უნდა მიიყვანოს მოსახლეობა.

— ბატონო თამაზ, ამ კრიტერიუმს თქვენ მხოლოდ გამსახურდიას ხელისუფლებას უყენებთ თუ — სხვასაც?

— პირდაპირ მკითხეთ, შევარდნაძის ხელისუფლებას თუ ვუყენებ?

— თუნდაც.

— უკანონო ქმედებით რომ ხელისუფლებამ ხალხი აჯანყებამდე არ უნდა მიიყვანოს, ეს საერთაშორისო, საყოველთაო პრინციპი და ნორმა გახლავთ, ამიტომ მე ჩემი იარაღით ანუ კალმით ადრეც მიბრძოლია და კვლავაც შევებრძოლები ხალხის ამაჯანყებელ ნებისმიერ ხელისუფლებას.

ესაუბრა ნინო მეტრეველი, „ლიტერატურული საქართველო", 6-12 ივლისი, 2001 წ.

სიტყვით ნატირები

გამოსათხოვარი სიტყვები

აკაკი შანიძეს, ვარლამ თოფურიას, ივანე გიგინეიშვილს, თენგიზ აბულაძეს, რეზო თაბუკაშვილს, მერაბ ლორთქიფანიძეს, თენგიზ ზეინკლიშვილს, მერაბ კოსტავას, ვოვა სიხარულიძეს, გურამ კვინიკაძეს, რატი კიკაჩეიშვილს, მურმან ლებანიძეს.

... ბრალნი ხართ, მამულიშვილნო,
თქვენი ულაშქროდ სიკვდილსა, დალაი...
ლაშქარს გიკითხვენ სწორები,
წინ აღარ წაუძღვებითა, დალაი...
მტერთან ხმალამოღებულნო,
სწორში თავგამოდებულნო, დალაი...
სულ მამა-პაპის დროიდან
მტრისათვის რისხვის მიმცემნო, დალაი...
ჭკვიანნო, საქციელიანნო,
გამჭრელნო, მოსამართლენო, დალაი...
იმედნო თავის ქვეყნისა,
გამრიგენო მამულისაო, დალაი...
შენდობა, მამულიშვილნო,
ღმერთმა გაცხონოთ სულითა, დალაი...

შეეძინა ერსა თვისსა

ერს იმდენად ცოცხლები არ წარმოაჩენენ, რამდენადაც — მკვდრები, დიდი მკვდრები. სიცოცხლეშივე დიდად შერაცხილთაგან ყველა როდი იქცევა დიდ მკვდრად, ყოველი დიდი მკვდარი კი მუდამ ჰგიებს ცოცხალ, უკვდავ, მარადიულ მოსაქმედ: *„მოკვდა და თავის სიცოცხლით ან ისევ საქმობს მკვდარიო"*. ამ აზრით სიკვდილი უკვდავების დასაბამია, იგი დაბადებაა მარადი სიცოცხლისათვის. ძველ ქართულში „შეეძინაო" მარტო ახალდაბადებულზე როდი იტყოდნენ, ამ სიტყვითვე გამოხატავდნენ დიდი კაცის ამა სოფლით განსვლას: *„და მოკვდა აბრაჰამ სიბერითა კეთილითა მოხუცებული და დღითა სავსე და შეეძინა ერსა თვისსა"... „და მოაკლდა ისაკ და მოკვდა და შეეძინა მამათა თვისთა..."*

აკაკი შანიძეც მოაკლდა ამ წუთისოფელს, მაგრამ შეეძინა ზესთასოფელს... მოგვაკლდა ჩვენ, კერძო ხალხს, მაგრამ შეეძინა მარადიულ „ერსა თვისსა".

აკაკი შანიძე დიდი იყო... იგი არ ყოფილა მხოლოდ დიდი მეცნიერი. არც იმას ეთქმის მხოლოდ კვლევის ობიექტი, რასაც იგი იკვლევდა; დედაენის კვლევა მისივე მსახურებაა, თანაც — ორმხრივი მსახურება: ენას უნდა ემსახურო, რომ ენა გემსახუროს, გემსახუროს არა მარტო როგორც კერძო კაცს, არამედ — ნაწილს ერისას.

ერში, თუ იგი ერობს, მუდმივად არის ვინმე, ვისაც დროის რაღაც მონაკვეთში — წლობით, თვეობით თუ წამიერად — თავს ადგას შარავანდედი უპირველესი მამულიშვილისა. უპირველესი ქართველის სახელს, ჩვეულებრივ, ჩვენი ერის წინამძღოლები იმსახურებდნენ; ზოგჯერ — მწერლები; ზოგჯერ — გმირები; ზოგჯერ — მოწამენი... მეცნიერი — იშვიათად. აკაკი შანიძეს კი, ჩემი რწმენით, ეს შარავანდედი უპირველესი ქართველისა არაერთგზის დაედგა თავს; დაედგა მაშინ, როცა გამოსცა ჩვენი უძველესი და უწმინდესი ტექსტები; როცა გაასრულა თავისი მონუმენტური „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები"; როცა აღგვიდგინა ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი"; როცა გამოგვიმზეურა ხალხური პოეზიის მარგალიტები; როცა „ხელნი დაასხნა" თავის დიდ მონაფეებს...

ეს ნათელი ადგა თავს დიდ ივანე ჯავახიშვილს, მოძღვარს აკაკი შანიძისას, როდესაც ქართული უნივერსიტეტის ბალავერი ჩააგდო. და დღეს, ბატონო აკაკი, უნივერსიტეტის ეზოში, მის საძირკველთან, დიდი ივანესა და მის თანამოსაგრეთა გვერდით თქვენს დავანებაში ჩვენ ვხედავთ საკრალურ აქტს: უნივერსიტეტი თქვენზე უნდა იდგეს. ასე ჩაეშენებოდნენ ხოლმე ციხისა თუ ტაძრის კედლებს ერის ზვარაკები. ცოცხალიც და მკვდარიც თქვენ უნივერსიტეტს ეკუთვნით; ცოცხალმა თქვენი ტვინითა და გულის სისხლით ჰკვებეთ იგი და მკვდარმაც მას უნდა გაუნედლოთ ფესვები.

„...მოაკლდა და შეეძინა ერსა თვისსა".
იგლოვდეთ — აკაკი შანიძე მოაკლდა კაცად-კაცადს;
გიხაროდენ — აკაკი შანიძე შეეძინა ერსა თვისსა.

„თბილისი", 1 აპრილი, 1987 წ.

ვაი, რა ბოძი წაიქცა

გამორჩეული კაცი განვიდა ამა სოფლით... საპატიოა ლინგვისტის, ლიტერატორის, საერთოდ — მეცნიერის სახელი, მაგრამ ივანე გიგინეიშვილი მეტი გახლდათ, ვიდრე მხოლოდ სწავლული. იგი „სრული" კაცი იყო, ზნესრული კაცი, და თავის პიროვნებაში ითავსებდა მეცნიერსაც, აღმზრდელსაც, მოქალაქესაც. მეცნიერი ღრმადმიწევნილი ბრძანდებოდა, აღმზრდელი — თავგადაკლული და მოქალაქე — დიდბუნებოვანი.

კაცზე, რომელიც მთელ საქართველოს, ქართულ ენას მოუკვდა, კიდეც მეუხერხულება თქმა — ჩვენი ჟურნალის რედკოლეგიას გამოაკლდაო... არადა, როგორი თავმოსაწონებელი წევრი ბრძანდებოდა ბატონი ივანე იმ მცირე საძმოსი, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" რომ ჰქვია. რაღაცნაირად უხმაუროდ იცოდა გვერდში ამოდგომა. ვისამე თუნდაც კნინ ღვაწლს თუ იხილავდა, ენისა და ერის სამსახურში გაწეულს, ასეთ დროს პირზე ნათელი გადასდიოდა. საერთოდაც, სხვა შუქი ევლებოდა მის განუმეორებელ პიროვნებას. ფილოლოგიის ფაკულტეტის ბევრ სტუდენტს შეუცვლია თავისი სამომავლო ჩანაფიქრი მისი ლექციების მოსმენის შემდეგ — მუზათა საუფლოდან ძირს დაშვებულან, გრამატიკული კანონების მყარ ნიადაგზე, წინათ რომ ასეთი მოსაწყენი და უსიცოცხლო ეჩვენებოდათ. ბატონი ივანეს მხოლოდ დანახვა, მარტო ორიოდ სიტყვის მოსმენაც კი საკმარისი გახლდათ, რომ მისი პიროვნების დაუძლეველი ხიბლი გეგრძნოთ. ამან თუ ათქმევინა იმ საბედისწერო ღამეს სასწრაფო დახმარების ექიმს — ღმერთმა დასწყევლოს ჩემი პროფესია, ამნაირი ადამიანის სიკვდილს რომ მაყურებინებსო...

ივანე გიგინეიშვილი მრავალ საქმეს თავკაცობდა, მაგრამ ყველაზე მძიმე ტვირთსაც თავად აიკიდებოდა ხოლმე. ყველაფერს, მისი კალმიდან გამოსულს, ნიჭიერებისა და სინდისიერების დამღა აჯდა. ვინც ამათზე მწყრალად არიან, მათ, ცხადია, ივანე გიგინეიშვილი მარტო თავისი არსებობითაც კი აღიზიანებდა... ბატონ ივანეს გალაღებულ უვიცობასთან პაექრობა ამაო წყლის ნაყვად მიაჩნდა — არა იმიტომ, თითქოს „თვითრჯული" და თავისნათქვამა ყოფილიყოს; პირიქით, მას ხომ ისეთი საქმე ებარა — ქართული

სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენა-შემუშავება — რომელიც უაღრეს კოლეგიურობასა და სხვათა თვალსაზრისისათვის ანგარიშის გაწევას მოითხოვს. ივანე გიგინეიშვილს ამისი ნიჭიც უხვად ჰქონდა მომადლებული.

ენის სჯულმდებელი, ცხადია, ერია, ხალხი, მაგრამ ცალკეულ ნორმატიულ ნესსა და კანონს არა ეს ზოგადი „ხალხი" ადგენს, არამედ — კონკრეტული ორგანიზაცია და სპეციალისტები. ამათი თავკაცი გახლდათ ივანე გიგინეიშვილი. ამგვარი ჯვარის მტვირთველმა ჩინებულად უწყოდა, რომ მისი შრომა ზოგჯერ უმადური იქნებოდა, ამ შრომის ნაყოფი კი — დაუნახავი. ბატონი ივანე ეტალონი ბრძანდებოდა სწორი და ხატოვანი მეტყველებისა; ეს, ალბათ, მის ადგილას ბევრს აცდუნებდა, ვითარცა ენის ერთ-ერთი სჯულმდებელთაგანი, წინ აღსდგომოდა ყოველ ფორმას, საკუთარი მეტყველებიდან გადახრილს. ივანე გიგინეიშვილი კი იმ პრინციპით ხელმძღვანელობდა, რომ სალიტერატურო ქართული ერთი და ერთიანი უნდა იყოს, მაგრამ არა ერთი კაცის ენა — თუნდაც მასავით უებრო მოქართულისა.

კნინი ღვაწლის დაფასებაც იცოდა-მეთქი, ზემოთ აღვნიშნე... თუმცაღა, როცა საქმე ენას ეხება, იქ, ილიასი არ იყოს, „დიდ-პატარაობა მოსატანი, სახსენებელი არ არის. რაც კარგია — თავისთავად დიდია". პირიქითაც: არც მცირე შეცოდება არსებობს ენის წინაშე... აქაც — რაც ცუდია, თავისთავად დიდი ცოდვაა, დიდი გმობა ენისა. ამიტომაც იყო, ეს სულგრძელი, მიმტევებელი კაცი მთელი არსებით რომ აღუდგებოდა ხოლმე წინ ამ ცოდვის ყოველ გამოვლინებას.

როგორ უყვარდა ქართული სიტყვა, როგორ უელიდა, ჰპატრონობდა, ელოლიავებოდა მას! ასეთი გრძნობით გლეხკაცი თუ ფურჩინის ვაზს...

მისი სათაყვანებელი გურამიშვილისა არ იყოს, მართლაც რომ — „ვაი, რა ბოძი წაიქცა"...

„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", N1, 1982 წ.

ამაღლება

ქართული ეროვნული მოძრაობის თავკაცი მერაბ კოსტავა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში იკრძალება.

ასეთ პატივს ერი მხოლოდ თავის უსაჩინოეს შვილებს მიაგებს, შვილებს, რომლებიც უკვე ამ ფაქტით მამებად — ერის სულიერ მამებად იქცევიან.

მთაწმინდაზე სასუფეველს იმკვიდრებენ არა მარტო „სიტყვა-საქმიანი", არამედ „საქმე-სიტყვიანი" ხალხი. იმკვიდრებენ ხოლმე ერისა და არა მთავრობის ნებით (ვაი რომ, ყოველთვის ასე არ მომხდარა!).

მერაბ კოსტავას მართლაც მოუდიოდა „სიტყვა გზიანი", „სიტყვა-საქმიანი", მაგრამ ამიტომ როდი აჰყავს ერს იგი მთაწმინდაზე; ეს პატივი მას მიეგო როგორც დიდ მოსაქმეს, როგორც მამულის იდეით შეპყრობილს, როგორც საქართველოს თავისუფლებისათვის თავგადადებულს, როგორც კაცს-ზვარაკს.

დიდი ზნეობრივი გაკვეთილია, სადღეისოდ მაინც, მეშრომე და მებრძოლი კაცის ესოდენი ამაღლება.

ამაღლების გზა კი მუდამ გოლგოთაზე გადის. მერაბ კოსტავა შეგნებულად დაადგა ამ გზას და ბიჯიც არ გადაუდგამს განზე.

შეუვალიც იყო და დიდსულოვანიც. მაცხოვრის მბაძავს, შეეძლო ხელთ შოლტიც აეღო ღვთის ტაძრიდან მეკარმეთა გამოსარეკად... შეეძლო ფეხიც დაებანა გზააბნეული, უძღები შვილისათვის.

მერაბ კოსტავა, ჭეშმარიტი ილიელი, სიცოცხლის საქმეს სიკვდილშიც აგრძელებს: თავის კუბოსთან აგროვებს, აერთებს, თავს უყრის საქართველოს.

და ერთიც — ურწმუნო თომათა საგულისხმოდ: მერაბ კოსტავა ჩვენს ცნობიერებაში უკვე აღარ აღიქმება კონკრეტულ პიროვნებად — იგი გარკვეულ იდეად იქცა. მისი მთაწმინდაზე ამაღლებით ქართველი ერი პატივს მიაგებს არა კერძო კაცს, არამედ თავისუფლების იდეას, რომლის ყველაზე სრულყოფილ განსხეულებად მერაბ კოსტავა წარმოჩნდა.

„თბილისი", 20 ოქტომბერი, 1989 წ.

უკეთესი საქართველოს მაცნე

სიტყვა, წარმოთქმული რეზო თაბუკაშვილის საფლავთან
1990 წლის 9 აგვისტოს

ბატონო რეზო!

თუმცა შენი სიახლოვით მათამამებდი, შენობით არასოდეს მომიმართავს შენთვის. დღეს — გიბედავ... მე კი არა, ამას შენი სათაყვანებელი ქართული მაბედვინებს, ენა-საოცრება, რომელზედაც მიცვალებულს, ისევე, როგორც ღმერთს, მხოლოდ შენობით მიმართავენ.

შენ იყავ სრული კაცი — არაფერი ადამიანური შენ არ გეუცხოებოდა. მხოლოდ ეს იყო, ამ ადამიანურს შენ ყოველთვის მაღლა, ზეცისკენ ეზიდებოდი და ღვთაებრიობის ბეჭდით ტვიფრავდი.

შენ იყავ კაცი შემოქმედი — შემოქმედება კი, თვით სიტყვა გვიმხელს,

პირველ ყოვლისა, ქმედებაა, საქმეა; შენც მოქმედების კაცი იყავ, ცხოვრებას მიხლილ-მოხლილი, უცხო, შორეულ გზებს გადებული, რათა ნამცეცნამცეცა, მისხალ-მისხალ აგებოჭა და მოგეგროვებინა დაკარგული, გაბნეული, გაყიდული საქართველო.

შენ იყავ კაცი თავისუფალი, რამდენადაც შესაძლებელია თავისუფლებანაგვრილი ქვეყნის შვილი თავისუფალი იყოს. და რომ ეს შესაძლებელია, შენ შენი ცხოვრებით დაადასტურე... ეს არის სწორედ სასწაული ანუ ნიშანი იმისა, რომ თავისუფალი შვილების მშობელი ქვეყანაც განთავისუფლდება.

შესაძლოა-მეთქი, დამონებულ სამშობლოს შვილები ჰყავდეს თავისუფალი, პირუკუ კი არასოდეს მოხდება — მონებს, სულიერ მონებს, ვერასოდეს ეყოლებათ თავისუფალი სამშობლო.

შენ განა მარტო იმიტომ იყავ თავისუფალი, რომ არავის ეყმე; თავისუფალი უფრო იმიტომ იყავ, რომ, საუფროსოდ დაბადებულს, არავინ გიყმია; ძალმოსილი იყავ, ძალაუფლება კი არ გიძებნია.

შენ იყავ მადლიანი კაცი — მადლის გამლებიცა და მიმღებიც, მადლიერიცა და მომმადლებელიც. შენ იყავ კაცი, უმადურ ქვეყანაში მადლიერების ტაძრის ამგები.

დღევანდელი საქართველო, ვაგლახ, უმადურობისა და დაუნდობლობის სენს ეჭმევინება... არ ვინდობთ ცოცხლებს, არ ვინდობთ მკვდრებს და, ვაი, ჩვენდა, აღარც მომაკვდავთ ვეკრძალვით.

არადა, საქართველო ცოცხლებზე მეტად თავის დიდ მკვდრებს უჭირავთ... შენც ასეთ მკვდრებს ხარ მისათვლელი.

დღეის საქართველო, აფურტკვნილ-შემღვრეული, გტანჯავდა; გეიმედებოდა ხვალის საქართველო — დაწმენდილი, თავისუფალი, ამაღლებული.

შენნაირ კაცებზეა თქმული:

„შვილო ტანჯულის ქვეყნისავ,
სული დალიე ტანჯვითა,
მიუხვალ მამა-პაპათა
ამოღებულის ხანჯრითა".

უკეთეს საქართველოს, საბასა და ექვთიმეს საქართველოს მიუხვალ, ბატონო რეზო — კიდევ უფრო უკეთესი სახვალიო საქართველოს წინამორბედო და მაცნევ.

„თბილისი", 9 აგვისტო, 1990 წ.

ნათელში...

აღმოსავლური კალენდრით 89 წელი გველისაა.

მართლაც რომ გველურად გადისრიალა ამ წელმა საქართველოზე...

დაიგესლა ქართველობა...

თუმცა გველი ჭრელია და მისი შხამი არა მარტო წამლავს, წამლობს კიდეც;

მარტო დაცემა არ ყოფილა ამ წელს, იყო ამაღლებაც, ზეობაც...

თანაც — დაცემაც არის და დაცემაც; ოთხმოცდაცხრაში მხოლოდ სულიერად როდი ვეცემოდით, არამედ — ისეც, როგორც დავცემულვართ დიდგორში და მარაბდაზე.

ვოვა სიხარულიძეც, ქართველი კაცი და ქართველი მწერალი, ბრძოლის ველზე დაეცა, რადგანაც მწერლის ბრძოლის ველი სუფთა ფურცელია და საბრძოლო იარაღი — კალამი.

არც ნამდვილ ბრძოლის ველს გაჰრიდებია როდისმე ვოვა სიხარულიძე; გაჰრიდებია კი არა, იგი იყო ერთ-ერთი იმ პირველთაგან, რომელთაც მინავლებულ ნაღვერდალს, „ყოველი ქართველის გულში რომ ჟოლავდა", იქამდე უბერეს სული იმ სულგანაბულობის ხანაში, სანამ მისგან ამხელა ცეცხლი არ ამოაბრიალეს.

ამისათვის ევნო ვოვა სიხარულიძე ჯერ კიდევ 1956 წელს. მერე და მერეც მრავალგზის ვნებულა და გვემულა „მეათე მოწმის" ავტორი სულითაც და ხორცითაც.

„მოწმე" „მოწამისაგან" მომდინარეობს. თავისი „მეათე მოწმით" ვოვა სიხარულიძე არა მარტო ემოწმა უზენაესს ქართული სიტყვის ძალმოსილებაში, — ეწამა კიდეც ამ სიტყვისათვის.

ნამება კი განწმენდის საწინდარია; და თითქოსდა სულმა ხორცში გამოატანო, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვოვა, ნაწამები, მაგრამ განწმენდილი, ნაადრევი მხცოვანების ნათლით შეიმოსა.

ქართველი მწერალი, უკლებლივ ყველა, მეომარია, თანაც — გველეშაპთან მეომარი.

ნათელში დაივანებს ვოვა სიხარულიძე, გველეშაპთან მორკინალი ქართველი მწერალი.

„მამული", N1, 9 იანვარი, 1990 წ.

ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ — ᲡᲐᲭᲘᲠᲝ, ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ — ᲡᲐᲨᲘᲨᲘ

სიკვდილს გავუშინაურდით...

თანაც — ცუდად გავუშინაურდით: ამდენი და ამდენი მოკლეს, ამდენი და ამდენი დაიხოცაო — ისე შეგუებულად ვისმენთ, გინდაც ამინდის ბიუროს ცნობა მოგვესმინოს.

ერთმანეთს დავერიენით, საკუთარ სიცოცხლეზეც აღმართა ბევრმა ხელი... იხოცებიან ჭაბუკები, ბავშვები და ასეთ ვითარებაში ბუნებითი წესით განსვლა ამა სოფლიდან სამოცდაათს გადაცილებული კაცისა ჩვენს საზოგადოებას, ალბათ, ნაკლებად შეძრავს.

გავუშინაურდით-მეთქი სიკვდილს.

ბატონი მერაბ ლორთქიფანიძე — ჟურნალისტი, მთარგმნელი, რედაქტორ-გამომცემელი — ტრაგიკული პიროვნება გახლდათ.

მძიმე ტვირთია დიდი მამის შვილობა, ზოგჯერ — გაუსაძლისიც. ბატონ მერაბს კალამი ჩინებულად უჭრიდა (ამას მოწმობს მისი სტატიები და თარგმანები), მაგრამ, ვატყობდი, წერა ემძიმებოდა: მოდი და, ნუ გაგიჭირდება კალამის მოსმა დიდი ნიკო ლორთქიფანიძის ვაჟს! ნუ იფიქრებთ, თითქოსდა თავის დიდ მამასთან ქვეცნობიერად პაექრობის პატივმოყვარულ ჭიას ეღრღნევინებოდა, არამც და არამც — პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა უაღრესად გამძაფრებული არა მარტო მკითხველის, არამედ თავისი გენიალური მამის მიმართაც. ამიტომაც დაჰკანკალებდა ასე თავს მამამისის არქივს, ამიტომ იდგამდა წელებზე ფეხს, საკადრისად მოეწყო და გაეფორმებინა მისი სახლ-მუზეუმი ჩუნეშში, ამიტომ ეცვა რკინის ქალამნები, ბოლომდე მიჰყოლოდა ნიკოს ტომეულთა გამოცემის უსაშველოდ გაჯანჯლებულ საქმეს. ნიკო ლორთქიფანიძე ყველა ქართველს უნდა ელაპარაკებოდეს; ამას მისი შვილი კი არ გეუბნები, არამედ მისი მკითხველიო — უთქვამს ჩემთვის.

ბატონი მერაბ ლორთქიფანიძე საზოგადოებისათვის საჭირო კაცი გახლდათ — ინტელიგენტი იყო და იმიტომ.

ბატონი მერაბ ლორთქიფანიძე ხელისუფლებისათვის საშიში კაცი გახლდათ — ინტელიგენტი იყო და იმიტომ.

არა იარაღით, არა ძარცვა-გლეჯით — ინტელიგენცია საშიშია ტოტალიტარული ხელისუფლებისათვის თავისი სინდისიერებითა და ინტელექტით.

ბატონი მერაბი მრავალ წელს ხელმძღვანელობდა პრესტიჟულ დანესებულებას — „აპნ"-ის საქართველოს განყოფილებას. ეს თანამდებობა თავისთავად გულისხმობდა პარტიის წევრობას. ერთ მშვენიერ დღეს ხელისუფალთ აღმოაჩინეს, რომ ბატონი მერაბ ლორთქიფანიძე თურმე უპარტიო ყოფილა. მაშინ გაკომუნისტებაზე ხალხი ფულს ხარჯავდა. გამზადებული ანკეტა მიართვეს — თქვენ მხოლდ შეგვივსეთ და სასწრაფოდ ყველაფერს

მოგიგვარებთო. ბატონმა მერაბმა მისთვის ჩვეული პირდაპირობით მოჭრა: პარტიაში არ შევალ, სამსახურიდან კი დღესვე მზად ვარ წავიდეო.

და — წავიდა კიდეც.

ამ სოფლიდანაც პირნათელი წავიდა.

„დრონი", N44 (60), 15 ნოემბერი, 1991 წ.

სიმღერა გრძელდება

პირველითგან იყო სიტყვაო, ბრძანებს იოანე ღვთისმეტყველი.

„პირველად იყო სიმღერა"... — გალობს სვედიანი ინოლა... და ამასაც მიამღერებს: „და სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი"...

თენგიზ ზეინკლიშვილი სიმღერისათვის შეიქმნა.

მომღერალი იყო ღვთით — ყელიდან, ყელიდან კი არა, ლომური მკერდიდან ბადაგის ხავერდოვან ტალღებს მოაგორებდა. ხმა ჰქონდა? განა მარტო გესმოდა — ხედავდი, იყნოსდი, ხელს შეავლებდი.

გიორგი ლეონიძემ ერთ თავის პერსონაჟს ასე ათქმევინა სოფლის მომღერალზე — *„მაგისი ხმა ღვთიდან არი, პატივისცემა გვმართებს. თავისი ხმით ემსახურება ქვეყანას"*...

თენგიზ ზეინკლიშვილიც თავისი ხმით ემსახურებოდა ქვეყანას.

საპატიოა, იყო ეროვნული ოპერის სოლისტი, თუნდაც — ვარსკვლავი. მაგრამ ესეც კი არ კმარა, რომ საქართველომ ასეთი მდუღარე ცრემლი დაგადინოს... დევივით ვაჟკაცები, მართლაცდა — „სადიდგორენი" და „სამარაბდენი", აღვარვალებენ დღეს ცერმლს თენგიზ ზეინკლიშვილის საფლავს.

მომღერალი მომღერლად — ქართველი იყო, თხემით ტერფამდე ქართველი... უანგარიშო, გამღები, გამჩუქებელი... ალბათ, დაუდეევარიც, ალბათ, ნინდაუხედავიც...

რასაც პროფესიონალი მომღერლები თავს დაჰკანკალებენ, ის „უხვად გასცემდა, „ზღვათაცა შესდის და გაედინების"...

ხმა შეიძლება გაყიდო...

მაგრამ ხმა შეიძლება გააჩუქო კიდეც...

თენგიზ ზეინკლიშვილი გამჩუქებელი იყო თავისი ხმისა, თავისი ნიჭისა, თავისი სიცოცხლის.

მისი ხმისა და ნიჭის პატრონს, ალბათ, მსოფლიოს ყველაზე მაღალი სცენებიდან უნდა ემღერა... არა, თავისი თბილისი, თავისი ხეობა ერჩია მილანსა და მადრიდს. კაცმა რომ თქვას, არც არსებობს ქართველისათვის საქართველოზე მაღალი სცენა.

ეს არის ქართველის ბედიცა და უბედობაც... მისი ტახტიცა და ეშაფოტიც...
ქართველი იყო-მეთქი, თხემით ტერფამდე ქართველი.
შეეძლო კრიჭაშეკრული მჯდარიყო ოფიციალურ ბანკეტზე, შეეძლო პირველსავე შემხვედრ მძღოლთან ან უბირ გლეხკაცთან გაბმით მოელხინა და ემღერა, ემღერა დილამდე, ემღერა აორტის გაგლეჯის ზღვარამდე.
შეწყდა თენგიზ ზეინკლიშვილის გულისძგერა.
სიმღერაც შეწყდა.
მაგრამ სიმღერა, თენგიზის სიმღერა, არ გათავებულა.
მღერიან მაია და ნათია ზეინკლიშვილები.
სიმღერაც გრძელდება.

„ლიტერატურული საქართველო", N28, 13 იელისი, 1990 წ.

ვალმოხდილი მოვალე

ადამიანი მათუსალას ხნისაც რომ მოიყაროს და მხოლოდ სიკეთე თესოს ამქვეყნად, მაინც მარადიული მოვალეა კაცის, ერის, ღმერთის წინაშე — რაღაც ყოველთვის დარჩება გასაკეთებელი, გასაცემი, გადასახდელი.
და — პირიქითაც:
ადამიანი აკვანშივე რომც დაიღუპოს, მაინც ვალმოხდილია ღვთისა და კაცის წინაშე: თუნდაც თავისი მოვლინებით მოასწრო მან სხვისი გახარება, დაიმედება, ნუგეში.
გურამ კვინიკაძე 15 წლისა წავიდა ამა სოფლიდან, წავიდა, როგორც ვალმოხდილი მოვალე.
მოვალეა — ვერ მოასწრო მისი წილი საქნელის ქნა: ასაშენებლის აშენება, დასახატის დახატვა, გასაგრძელებლის, თავისი ჯიშისა და ჯილაგის, გაგრძელება.
ვალმოხდილია — დახმარებია განსაცდელში ჩავარდნილს, ხელი გაუწვდია გაჭირვებულისათვის, მარტო ახლობლები კი არა, საქართველო გაუხარებია თავისი სიჩაუქით: „მართვეს" რაგბისტთა გუნდმა, სადაც იგი თამაშობდა, არც ინგლისში, რაგბის სამშობლოში, შეირცხვინა თავი.
საქართველოსთვის არ დალუპულა, მაგრამ საქართველოსთვის ცხოვრობდა... დუშმანის ხელით არ განგმირულა, მისმაგე სისხლმა და ხორცმა, მისმაგე ტოლმა მოუსწრაფა სიცოცხლე.
რას ვერ იყოფენ ბიჭები? რა ვერ გაგვიყვია მათს მამებს? რა ვერ გაიყვეს ჩვენმა მშობლებმა? ჭინჭები? მანქანები? სახელი? ის, რაც მართლა „არ

არის გასაყოფელი" — ჩვენი მამული, ჩვენი საქართველო — ვაი რომ კიდეც გავყავით, კიდეც გავცვალეთ და კიდეც გავყიდეთ... ახლა მოვდექით და ერთმანეთს ვკუნავთ, ვჭრით, ვფატრავთ, ვწამლავთ... არა მარტო ბებუთითა და ტყვიით — ენითაც, კალმითაც...

დღე არ გავა, ქართველი არ მოკლან...

დღე არ გავა, ქართველმა არ მოკლას...

დღე არ გავა, ქართველმა ქართველი არ მოკლას.

მე, პირადად, მარტო გურამ კვინიკაძეს, ჩემს ახლობელს კი არ ვიგლოვ, ვიგლოვ ძირში გადაჭრილ სამამულე რქას და ამაოდ დაღვრილ სადიდგორე სისხლს.

მკვლელსაც ვიგლოვ, ჩემს სისხლსა და ხორცს, სულიერად ისიც მკვდარია.

ვიგლოვ ჩემს თავსა და ჩემს თაობასაც, მამებს, ვინც გადავეცით ჩვენს შვილებს საჭირო რამ — სიამაყე და თავმოყვარეობა, მაგრამ ვერ მივუბოძეთ საღმრთო რამ ნიჭი — შენდობა და სულგრძელობა.

მივეცით ჩვენის სიჭარბისაგან... დავაკელით ჩვენივე ნაკლულოვანებისაგან.

წავიდა კიდევ ერთი ვალმოხდილი მოვალე.

მძიმე ცოდვას იდებს კისრად კაცი — თვითმკვლელი; მაგრამ უფრო დიდ ცოდვაში გვიდგას ფეხი ყველას, უკლებლივ ყველას — ერის თვითმკვლელობაში.

აჰა, ნიშანიც ერის თვითმკვლელობისა — ჩვენი შვილები ერთმანეთს ხოცავენ.

ნუთუ სრულდება დავითის ნაწინასწარმეტყველევი „მოსპოლვა საფუძველისა?"

მე ვინ ვარ, გზა ხსნისა რომ ვიცოდე, მაინც მწამს, რომ ეს იცოდა შოთამ:

„მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკრეფ კიტრად ბერად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად".

იცოდა ვაჟამ:

„სიცოცხლე სიყვარულითა
და სიყვარული სიცოცხლით,
უერთურთისოდ ვერც ერთსა
ვერ ვიცნობთ, ვერც როს ვიცნობდით".

და იცის უფალმა:

„არა კაც კლა!"

„ახალგაზრდა იერიელი", 27 დეკემბერი, 1990 წ.

სულეთს შავიდეს ხმლიანი

რატი კიკაჩეიშვილს

1

რატი, ცოცხალო...

სულეთს ხმლიანად შესულო...

ჩვენ ხომ სულ ასე გვეგონა, ვაჟა-ფშაველა ვიღაც სხვაზე — შორეულ, მიუნვდომელ, გარდასულ კაი ყმაზე — წერდა:

„სულეთს შავიდეს ხმლიანი,
ლაღი, ლაღისა ცხენითა;
წინ მიუძღოდეს არნივი,
ხმით მოყაშყაშე, ფრენითა.
ქება უყივლონ გმირებმა,
გარდასულებმა ჩვენითა...“

არა, თურმე შენზეც დაუწერია... შენზე და შენისთანებზე.

არა მარტო ზეზვამ და ქაქუცამ — ქება გიყივლეს შენმა ტოლმა და სულეთს ფეხად გასწრებულმა ბიჭებმაც: კოკა კლდიაშვილმა და სანდრო ვაჩეიშვილმა, ლაშა დუნდუამ და ზურა ვაშიაშვილმა.

დღეს კი შენ და მიშიკო ქორიძე უყივლებთ ქებას თქვენს კვალზე დამდგარ ლევან აბაშიძესა და სულხან სულხანიშვილს, კოტე ჯანჯღავასა და გია ნადირაშვილს.

რატი, ცოცხალო...

სიცოცხლე რომ ასე გიყვარდა, სწორედ ამ სიყვარულმა დაგათმობინა და შეგანირვინა იგი.

ახლობლის სიცოცხლის გადასარჩენად ზოგი ცურვის უცოდინარიც კი დაუფიქრებლად გადაშვებულა წყალში — ვაჟკაცები არიან ისინი...

შენ კი გამიზნულად გადაეშვი ცეცხლის მორევში მამულის სიცოცხლის გადასარჩენად — გმირობაც სხვა არაფერია და გმირი ხარ შენ, რატი!

სხვათა ცოდვების, ჩვენი და ჩვენი მამების ცოდვების, გამოსასყიდადაც უშვერდი შენს ფართო მკერდს დუშმანის ტყვიას — ესეც გმირობაა და გმირი ხარ შენ, რატი!

უნივერსიტეტელი იყავი, უნივერსიტეტს შენირული, და შენმა სისხლმა, კოლხეთის მინა რომ ჩამოაწითლა, უფრო გააქათქათა მისი კედლები და მისი სული.

ამ კედელზე გაკრული ქაღალდი გვაუწყებდა: *„...ტრაგიკულად დაიღუპა რატი კიკაჩეიშვილი“.*

ოცი წლის ყოველი ბიჭის დაღუპვა, ცხადია, ტრაგიკულია.

ვიღაცას, უფრო მართალს, სიტყვა „ტრაგიკულად" გადაეხაზა და ზემოდან მონაფური ხელით დაეწერა — *„გმირულად"*...

რა ხელმა ჩამოხსნა, რატი, ეს ფურცელი და კვლავ ცივად გაგვიმეორა, რომ შენ გმირულად კი არა, თურმე ტრაგიკულად დალუპულხარ.

ეტყობა, ზოგის აზრით, აფხაზეთში გმირულად ის ჩეჩნები იღუპებიან, აქედან გაგზავნილი ფულით შეძენილი ტყვია-ნამალი რომ დაგახალეს შენ და მიშიკო ქორიძეს.

„მამამ, მიუტევე ამათ, რამეთუ, არა იციან, რასა იქმან"...

შენც მიუტევე, რატი, მაინც მიუტევე, თუმცა, ამათ კარგად იციან, რასაცა იქმან.

ჩვენც მოგვიტევე, რატი, მოგვიტევე, რომ უშენოდ ვცოცხლობთ... და ამ სიცოცხლესაც აზრი დაეკარგებოდა, სულეთში შენთან შეხვედრის რწმენა რომ არ გვქონდეს.

ამიტომაც — ნახვამდის, რატი, ცოცხალო!

„საქართველოს რესპუბლიკა", 15 სექტემბერი, 1992 წ.

შემოქმედი

შემოქმედი — ყოველთა შემქმნელიო, ბრძანებს საბა.

თენგიზ აბულაძე შემოქმედია.

შემოქმედია არამარტო ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით, რაც უპირატესად ხელოვანს გულისხმობს... შემოქმედი გახლავთ იმ მაღალი მნიშვნელობითაც, საბა რომ გულისხმობდა — შემქმნელი, წარმომშობი, დემიურგი ახალი სინამდვილისა.

ხოლო ვინც ამ სინამდვილეს ქმნის, მასზე წარსულ დროში არ ლაპარაკობენ; შემოქმედი მარადიულია, რამდენადაც ისეთ სინამდვილეს ქმნის, რომელსაც უნარი აქვს, შემდგომ თავად წარმოქმნას ახალი სინამდვილე. ჩაპლინმა შექმნა ფილმები, რომელთაც გარკვეულწილად თავად შექმნეს არამარტო დღევანდელი კინემატოგრაფი, არამედ დღევანდელი საზოგადოების ყოფაც, ფსიქიკაც.

ჭეშმარიტი შემოქმედი ისაა, ვინც მშობელს შობს.

„მონანიება" არამარტო შექმნილია თენგიზ აბულაძის მიერ, თავად ეს ფილმიც არის შემქმნელი, განმცხადებელი ახალი სინამდვილისა.

სინამდვილის შემოქმედი კი ის უფალია, რომელზედაც ბრძანებს მახარე-

ბელი: *„პირველითგან იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღმერთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვა იგი"* (იოანე 1.1); ცხადია, პირველითგან სიტყვა იყო, მაგრამ, მკრეხელობაში ნუ ჩამითვლით, თუ ხანდახან, დიდი ფილმების ხილვისას, ასეც მიფიქრია — პირველითგან იყო კინო ანუ კინეტიკა, მოძრაობა, ქმედება, თანაც — ზოგჯერ უსიტყვოც. ლიტერატურა არ შეიძლება იყოს უსიტყვო, მუნჯი, თორემ მუნჯი კინო ზოგჯერ ხმოვანზე უფრო მეტყველია.

თენგიზ აბულაძე დიდი რეჟისორი გახლდათ... ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ლიტერატორიც იყო. უფრო მეტიც — იყო პოეტი.

არადა, რამდენადაც ვიცი, ლექსი არ დაუწერია.

აკი ბრძანებს მისი სათაყვანებელი გიორგი ლეონიძე: *„პოეტები მხოლოდ ქაღალდზე რითმებით მოლაპარაკენი როდი არიან — პოეტური თვალით, პოეტური გულით და დიდი ოცნებით გასხივოსნებული სხვაც ბევრი დადის დედამიწაზე"...*

მაგრამ ამ შემთხვევაში მე პირდაპირი აზრით მოგახსენებთ — თენგიზ აბულაძე ლიტერატორი გახლდათ-მეთქი.

სიტყვამ მოიტანა და, ქართველმა მკითხველმა ახლახან აღმოაჩინა — ფედერიკო ფელინი მარტო გენიალური რეჟისორი კი არა, უბრწყინვალესი ლიტერატორიც ყოფილა.

ამ ათიოდ წლის წინათ ჟურნალ „ბალავერში" (მაშინ „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" ერქვა) გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილ ნომერს ვამზადებდი და ბატონ თენგიზს ვთხოვე, „ნატვრის ხეზე" მუშაობის შთაბეჭდილება გაგვიზიარე-მეთქი. ახალს ბევრს ვერაფერს გეტყვი, მაგრამ ჩემს სამუშაო დღიურს მოგცემ, ჩახედე, იქნებ გამოგადგესო, მიპასუხა; ვნახე და მაშინვე, იმ მასალის გამოქვეყნებისას, დავწერე და ახლაც ვიმეორებ— ამ სამუშაო ჩანაწერებს აქვთ დამოუკიდებელი ლიტერატურული ღირებულება. აღმოჩნდა, რომ თენგიზ აბულაძეს მსგავსი ჩანაწერები მოეძებება ყოველი თავისი ფილმის პირველწყაროზე და ეს მასალა, იმედია, როდისმე იხილავს დღის სინათლეს.

ქართული ლიტერატურა თენგიზ აბულაძისათვის რეალური ცხოვრების თანაბარი და, ვინ იცის, უფრო ძალუმი იმპულსიც კი იყო საკუთარი შემოქმედებისათვის — „მაგდანას ლურჯა", „ვედრება", „ნატვრის ხე"... თავის სამუშაო დღიურში უწერია: *„დიდხანს ვუტრიალე „ნატვრის ხეს", რათა უბრწყინვალესი პოეტური სახეების კინოგადაწყვეტა მეპოვა... ამ საქმეში მაშველ ძალად მომეელინა მწერალი რეზო ინანიშვილი, რომელიც, როგორც შემდგომ, გზა და გზა, გამოირკვა, სერიოზულად „მეცილებოდა" წიგნის გულწრფელსა და ღრმა სიყვარულში. და აი, თავდაპირველად დავსხედით სამნი: რეზო, მე და ჩვენი ზიარი სიყვარული. ძლიერი სიყვარული რომ არა, სცენარი არ გამოვიდოდა".*

ცხადია, არ გამოვიდოდა!

არადა, როგორი შესამოკლებელ-შესაკრეჭი ან შესაცვლელია ვაჟას ან გიორგი ლეონიძის ტექსტი? როცა ამაზე ჩამოვუგდე სიტყვა, ბატონმა თენგიზმა გასაოცარი რამ ბრძანა: „დიდი მწერლების შემოქმედება იმითაცაა საგულისხმო, რომ იგი სხვა სფეროს ხელოვანთათვის ბორკილი არაა და ნაწარმოების მრავალნაირი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ეგრეთ წოდებული ეკრანიზაციის დროს მთავარია, არ უღალატო ავტორისეულ სულისკვეთებას, სხვა მხრივ კი, რაც უფრო დაშორდები პირველწყაროს, მით უფრო მიუახლოვდები მას... მთავარია, საერთო სულისკვეთება, იდეური ხაზის შენარჩუნება, სხვა ყველაფერი ლიტერატურის ენიდან კინოენაზე თარგმანია..."

დღიურიდანვე ჩანს, „ნატვრის ხეზე" მუშაობისას თენგიზ აბულაძეს განუცდია გამოცხადებისმაგვარი რამ, ერთგვარი „ცის გახსნა", პოეტური ან მეცნიერული აღმოჩენისას რომ ეუფლება ხოლმე ადამიანს. წერს კიდეც ამის შესახებ თავის დღიურში: „გუშინ ღამით, დაახლოებით ორ საათზე, ცა გამეხსნა... ზუსტად ისევე, როგორც, ალბათ, გაეხსნებოდა იგი ნეტარ ელიოზს, კენწეროებზე მოყუჩებული რომ ელოდა ჯადოსნური ხის ხილვას.

და აი, რამდენიმე წამით გამეხსნა ცა და მე დავინახე ღმერთაცი ვაჟა თავისი გმირების — მინდიას, ალუდას, ჯოყოლას, აღაზას, ლელას, ლუხუმის — გარემოცვაში. ღამე იყო უკუნი და ამიტომ მათი შუქი ძალზე მკვეთრად, თვალისმომჭრელად ასხივებდა.

მათ შთამაგონეს ის, რაც მინდა თქვენ გაგიზიაროთ:

მარიტა, როგორც ეს ყოველმა ჩვენგანმა იცის, უბრალო მოკვდავი არ არის. მარიტა არის ადამიანი-იდეა (ნათელი, სიკეთე, სილამაზე, სათნოება, ჭეშმარიტება), ამ ადამიანი-იდეის არსებობისა და გამარჯვების აზრია გაგრძელება თავისი თავისა, უკვდავება თავისი მეობისა, ე.ი. უკვდავება მშვენიერებისა და მზისა.

ფილმის დამთავრებას მარიტას დასამარებით, ე.ი. ნათელის, სიკეთის, მშვენიერების მოსპობით, მზის ჩასვენებით ვერავითარ გამართლებას ვერ მოვუძებნით...

ამიტომ, მარიტას და ელიოზის სახე ასეთნაირად ხომ არ გავიაზროთ: ამ ორი გმირის მაღალი სულისკვეთება უკვდავებას ვაზიაროთ მიწიერი, ადამიანური ტრაგედიის, განცდის საშინელ გზებზე, კრიზისების ცეცხლში გამოტარებით... ფილმის კომპოზიცია აი, ასე მესახება: მარიტა-ღვთაება-მზე დაეშვა მიწაზე სწორედ იმ მომენტში, როდესაც აქ, მიწაზე, ადამიანების ყოფა ჩიხში მოექცა. მარიტამ უნდა იხსნას ხალხი — გამოიყვანოს წყვდიადიდან.

ფილმის დასაწყისში ნატვრის თვალის მაძიებელი ელიოზი მარიტას დანახვაზე შეცბება, გაირინდება, შემდეგ გაოგნებული პირჯვარს გადაიწერს და ჩაიბუტბუტებს: „მზე თუ ჩამოვიდა მიწაზეო". აქ მარიტას ელიოზთან შეხვედრის ეპიზოდი დროებით წყდება. მარიტას გასხივოსნებული ხედის შემდეგ ჩვენს წინ გაივლის მთელი ფილმი, როგორც გზა, რომელიც მარიტამ გაიარა

თავის წარმოსახვაში, ის გოლგოთა, რაც მას მოელის მიწაზე (მარიტა ხომ ნათელმხილველია და გველისმჭამლის ნიჭითაა დაჯილდოვებული). და აი, ყოველივე ამის შემდეგ გრძელდება ელიოზთან შეხვედრის შუაზე გახლეჩილი ეპიზოდი: მარიტა-მზეს თან მოჰყვებიან ელიოზი ბავშვებით, გედია, ფუფალა და ბუნბულა. მათ გვერდით ჩაურბენს აღგზნებული იორამის ჯგუფი; ერთს კი მოჰხედავენ სოფლისკენ მიმავალ პროცესიას და ისევ თავის გზას განაგრძობენ. თითქოსდა უბრალო, ერთი შეხედვით მარტივი საშუალებით (ერთი კადრის დამატებით) არსებითად იცვლება ფილმის კომპოზიცია, ჟანრი (კინო-რომანი-მითი, ე.ი. ის, რაც სინამდვილეში არ მომხდარა, მაგრამ რაც მუდამ არის) და გაა ზრებაც კი: „არ შეიძლება მოკვდეს ლამაზი არსი ჩვენი კაცობისა".

ხომ არ ვცდები?"

ხომ არ ვცდებიო, დაეჭვდა ოსტატი და — არცთუ უსაფუძვლოდ. ამ ჩანაფიქრის მიხედვით, მაყურებელს ფილმის ბოლოს უნდა აღმოეჩინა, რომ ყველაფერი, რაც იხილა, თურმე მხოლოდ წინათგრძნობა ყოფილა მარიტასი, რეალურად კი იგი ცოცხალი და საღსალამათი რჩებოდა. რაოდენ გასაგებია — რეჟისორს გაუჭირდა მარიტას რეალური დასამარება და ერთი პირობა, დააპირა მარიტას სიკვდილი რეალობიდან „მომავლის მოგონებაში" გადაეტანა... მშვენიერება მხოლოდ წარმოსახვით შეიძლებოდა დალუპულიყო, რეალურად კი მაყურებელს იგი უკვდავი და მარადიული უნდა ეხილა. ფილმის ამგვარი დაბოლოება, დიახაც, მაცდუნებელი იყო... საბედნიეროდ, ამ ცდუნებას რეჟისორმა გაუძლო და ეს ეფექტური დაბოლოება თვითონვე უკუაგდო... ამის ახსნას დღიურშივე ვპოულობთ: *„მშვენიერების დალუპვა ყველაზე ნათლად და ამაღელვებლად განგაცდევინებს თვით მშვენიერებას, რომელიც ყველაზე ძლიერი მაშინაა, როდესაც ილუპება. აი, მაშინ აღებს იგი თითქოსდა სამუდამოდ დაგმანულ კარს, ერთმანეთს მიაახლებს უფსკრულით გათიშულ ნაპირებს — კეთილსა და ბოროტს... მარიტას დალუპვა ყველას უნდა შეეხოს. მარიტას დალუპვით ბნელ ძალებშიც კი გამოასხივა შუქმა და ისინი სულიერად ამაღლდნენ. ხალხი გრძნობს შექმნილი მდგომარეობის ტრაგიზმს, გრძნობს და იტანჯება. ხოლო როცა არის ტანჯვა — არის ხსნის ნათელიც; ტანჯვა ინვევს თანაგრძნობას, იბადება სურვილი თავგანწირული კივილისა, სურვილი ხსნისა, მკედრეთით აღდგენისა. ყოველი ასეთი დასასრული ამავე დროს დასაწყისიცაა..."*

მაგრამ ხერხი — წარმოსახვითი რეალობა ჩაენაცვლებინა ყოფითი სინამდვილისათვის და მხოლოდ ფინალში „გაეხსნა" მაყურებლისთვის რომ, რაც მან ორი საათის განმავლობაში ეკრანზე იხილა, ეს თურმე მხოლოდ შეკუმშული წამი ყოფილა გმირის ცნობიერებაში — თენგიზ აბულაძემ გენიალურად გამოიყენა თავის „მონანიებაში": ფილმის დასაწყისში ქეთევან ბეთანელს, ბავშვობაწართმეულ, ნარეპრესიალ, ჯოჯოხეთგამოვლილ კონდიტერ ქალბატონს მეზობელი უკითხავს ნეკროლოგს ვარლამ არავიძის გარდაცვალების შესახებ. ფილმის ბოლო კადრებში, მეზობელი ჩაათავებს ნეკ-

როლოგის კითხვას და ქეთევან ბარათელიც „ბრუნდება" მომავლიდან... ამ ერთ წუთშია — ნაკროლოგის კითხვის პროცესში — დაწნეხილი მთელი ფილმი... და მაყურებელი აღმოაჩენს, რომ არავის მოუთხრია არავიძის საფლავი, არც აბელს მოუნანია მამამისის ცოდვა, არც თორნიკეს გამოუსყიდია თავის მოკვლით წინაპრის მიერ დაღვრილი უდანაშაულოთა სისხლი... ამას, ყველაფერს, თურმე წარმოიდგენს ქეთევან ბარათელი და ამ წარმოსახვაშიეეა „ჩახრახნილი" მისი ბავშვობის უმწარესი მოგონება. ეს მოგონებაც ნაწილობრივ წარმოსახვითია, ბავშვის სიზმრისეული ფანტაზიით შემოსილი.

წარსული მომავალშია, მომავალი წარსულში, და ეს ორი განზომილება ამავე დროს, აწმყოთია შენივთებული... და სწორედ ეს წარმოსახვითი, შესაძლებელი, გამონაგონი, სახეშეცვლილი რეალობა ბევრად უფრო ნაღდ სინამდვილედ აღიქმება მაყურებლისთვის, ვიდრე დოკუმენტური კადრები ოცდაჩვიდმეტ წელზე.

დღეს თენგიზ აბულაძე მკვდარია... ეს არის რეალობა... მაგრამ თენგიზ აბულაძევე გვასწავლის, რომ ყოფითი სინამდვილის მიღმა არსებობს უფრო მაღალი რანგის სინამდვილე. ეს სინამდვილე კი ასეთია — თენგიზ აბულაძე შემოქმედია, ესე იგი — ცოცხალია.

მისივე სიტყვებით ვიტყვი — ყოველი ასეთი დასასრული ამავე დროს დასაწყისიცაა.

„ლიტერატურული საქართველო", 11 მარტი, 1994 წ.

სანთლები

1958 წელს უნივერსიტეტის პირველკურსელ ფილოლოგებს ბედმა გაგვიღიმა — ქართულ ენაში ლექციებს ვარლამ თოფურია და ივანე გიგინეიშვილი გვიკითხავდნენ. ბატონი ვარლამი და ბატონი ივანე კიდეც ჰგავდნენ და კიდეც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. შემჩნეულია — თანაცხოვრება ცოლ-ქმარს ერთმანეთს დაამსგავსებს ხოლმე. ეტყობა — თანამოსაქმეობაც... და — არა მარტო ცოლ-ქმარს. არადა, გარეგნულად, ერთი შეხედვით, ისინი სრულებითაც არ ჰგავდნენ ერთმანეთს. ბატონი ივანე მარტო კანის ფერით არა — სახის ნაკვთებითა და ნატიფი კიდურებით უმაღლესი კასტის „ჰინდოს" ჩამოჰგავდა, ბრაჰმანს თუ ქშატრიას, ან სულაც — შეჭარმაგებულ კაპიტან ნემოს. განსხვავებულ ასოციაციებს აღმიძრავდა ბატონი ვარლამი: წარმოიდგინეთ კიპლინგის უსიმპათიურესი ბალუ, ოღონდ თეთრი, პოლარული — მოუცილებელი მრგვალი ამოზნექილი სათვალით... ეტყობა, ძველი

ბერძნები სფეროს ტყუილად როდი მიიჩნევდნენ სრულყოფილ გეომეტრიულ ფიგურად; არც ტოლსტოის იდეალი, პლატონ კარატაევი, გახლავთ შემთხვევით გაიგივებული სიმრგვალესთან — ბატონი ვარლამი, გარკვეული აზრით, „სფერული" იყო. სფერული ჰქონდა სახელიც, რომელსაც ნარნარი რ, ლ, მ ბგერები ამრგვალებდნენ; გვარიც, საიდანაც მართლაც „თოფური" ანუ თაფლი მონვეთავდა; აზრიცა და ფრაზაც — ყოველთვის შეკრულ-დასრულებული, სავსე, გაჭექილი. იგი ძირითადად დაფასთან იდგა, ცარცი ეკავა და შლიდა, ანაწევრებდა სიტყვას, თითქოსდა ფრცქვნიდა, ჩენჩოს, გარსს აცლიდა, რათა იქიდან მისი გულისგული, მისი ატომი ამოეღო. ჭალარა, უფრო სნორად, რაღაცნაირად ქათქათა თმა, თმა კი არა — ფაფარი, და პიჯაკზე მიპნეული ცარცის ფქვილი მას მეწისქვილესაც ამსგავსებდა, ყოველად დაუჯერებელ, მაგრამ სარწმუნო ზღაპრებს რომ „უფქვავს" ყმანვილებს.

ივანე გიგინეიშვილი კი დაფასთან იშვიათად ყოვნდებოდა, უფრო მერხებშუა მიმოდიოდა და — ლაპარაკობდა-მეთქი, ვერც ვამბობ — მეტყველებდა. სიმონ სხირტლაძის ნამონაფარი გახლდით და მჭევრმეტყველებით, თითქოს, ვეღარავის უნდა გავეკვირვებინე... არადა, გამაოცა მისი მეტყველების სიზუსტემ და სიცხადემ, გამაოგნა მისმა ხმამ: არც ფილტვებიდან, არც ყელიდან — ბატონ ვანოს ხმა უშუალოდ გულიდან ამოსდიოდა.

* * *

1982 წელს, როდესაც ბატონი ივანე გიგინეიშვილი გარდაიცვალა, სიკვდილთან უკვე გაშინაურებული გახლდით: ნავიდნენ მშობლები; აღარ იყვნენ ჩემი მასწავლებლები: სიმონ სხირტლაძე, ვარლამ თოფურია, ფარნაოზ ერთელიშვილი; დამელუპნენ მეგობრები... და მაინც — თავს დიდი ელდა დამატყდა... მარტო მე არა — მთელ საქართველოს: დედაენას მოუკვდა ივანე გიგინეიშვილი.

* * *

სამოცდაათიანი წლების ბოლოს ხშირად მიწევდა ბატონ ვანოსთან სტუმრობა ვაკეში, მის ბინაზე. ვსაუბრობდით ამ ცისას, იმ ბრისას... მაღალ კანჭებზე შემდგარი, თვალებბრდღვიალა კნაჭა ვანიკოც, პაპის მოსახელე და ბებოს ნებიერი, ყურადღებით გვისმენდა ხოლმე. ერთხელაც, ნათარგმნი სახელმძღვანელოების ენობრივ ხარვეზზე საუბრისას, მახსოვს, თავისი, თუ არ ვცდები, მეექვსე კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელო გამოგვიტანა, გადაგვიშალა და ეშმაკურად გვეკითხება: „აბა, აქ რა წერია?" ქვესათაური ნავიკითხე: „დამახინჯებანი მსოფლიოს რუკებზე"... „ალბათ, რუკის ცდომილებაზე იქნება", — მიხვდა ბატონი ვანო და... ეს იყო და ეს — ორგვერდიან ტექსტს, ვითომ ქართულად დანერილს, ვერც თავი გაეუგეთ და ვერც ბოლო. მე — კიდეე არაფერი, ბატონი ივანე ვეფხისტყაოსნის ტექსტის ურთულეს ნიუანსებს იკვლევდა და განმარტავდა, აქ კი ისიც უძლური

აღმოჩნდა. პატარა ვანიკომ მოკლედ და სხარტად გაგვიმარტა ტექსტი და კმაყოფილმა წიგნი თავის ოთახში გაიტანა.

— კვიცი გვარზე ხტის, ბატონო ვანო, ეს ბიჭი თქვენი ნატეხია და თქვენს კვალზეც წავა...

— არა მგონია... ალბათ, მასწავლებელმა აუხსნა... ისე, ქართული მაინცდამაინც არც აინტერესებს, დიდი ჩხირკედელა ვინმეა...

და მაინც, გენებმა თავისი ქნეს; ამ „ჩხირკედელა" ბიჭმა, 22 წლისამ, ქართული კომპიუტერული შრიფტი შექმნა, ორი წლის შემდეგ კი, როგორც პატარაობისას იცოდა, თავის პაპას მიუწვა გვერდით.

საბურთალოს პანთეონში, უკანა მხარეს, ერთი სადა, საერთო საფლავის ლოდია... მარჯვნივ მეფური ხელრთვითაა გამოყვანილი — „ივანე გიგინეიშვილი". მარცხნივ — კომპიუტერული შრიფტით — „ვანო რამიშვილი, 1967-1992".

* * *

მსგავსებაზე მოგახსენებდით: ბატონი ვარლამი და ბატონი ვანო იმ შინაგანი შუქით ჰგავდნენ ერთმანეთს, რასაც ფიზიკური თვალი ძნელად, სულიერი მზერა კი ნათლად ხედავს და ამჩნევს.

ეს შუქი ხორცთან ერთად არ ქრება. ალბათ, გახსოვთ, როცა ასი წლის აკაკი შანიძემ მიიძინა, მისი სალუქი პირისკანი ამ შუქმა შიგნიდან როგორ გამოასხივა.

ვარლამ თოფურიასა და ივანე გიგინეიშვილს თავს ნათელი ედგათ.

ნათლად მეტყველებდნენ... როგორც მეტყველებდნენ, ისე წერდნენ... როგორც წერდნენ და მეტყველებდნენ, ისე ცხოვრობდნენ.

სანთელი ქრება, კაცი-სანთელი კი ჩაშრეტის შემდეგაც ანათებს.

„დრონი", 18.9.1999

ცხენდაცხენ

მურმან ლებანიძე საქართველოს მოუკვდა.

საქართველოს მოუკვდა ღვთით პოეტი — მურმანსავე დავესესხები — „თავზარდამცემი ნიჭით". საქართველოს მოუკვდა-მეთქი და — არა მარტო მის ძვირფას მეუღლეს ელენე ჭავჭავაძეს, ასე რომ გააუკვდავა მურმანმა თავისი სტრიქონით:

გაზაფხული შემოსულა, ლენ,
რია-რია აუტეხავთ ჩიტებს,
მე გიყიდი წითელ-ყვითელ ჩითებს,
თეთრი ტილო მომიქარგე შენ.

შავ სუდარას გიქარგავს დღეს, მურმან, შენი უპირველესი სიყვარული, შენი საქართველო, ვისაც წამლად ასმევდი შენს ლექსს — ხან გოლეულივით ტკბილს, ხანაც ფაზარ-ხუთოსავით მწარე-შხნაკვს.

სულეთში შენ შინაური კაცი ხარ:

სიკვდილზე დაფიქრებული,
იქ ვინ დამხვდება, დავითელი:
ერეკლე — გაფითრებული,
წვერგაბურდული დავითი...
ათას მშვენებით მკობილა,
რომელმან ჰკადრე შავეთი?!
ყველაკა იქით ყოფილა,
ცხენიმც მამგვარეთ — წავედი!

ცხენდაცხენ შედიხარ სულეთს, ნაბრძოლ-ნაჩეხო პოეტო... ნაჩეხო არა მარტო დუშმანისაგან — შინაურთაგანაც...

ასე შედიოდა იქ ვაჟას კაი ყმაც: „*სულეთს შავიდეს ხმლიანი, ლალი, ლალისა ცხენითა*"...

ჯერ კიდევ როდის გვაფრთხილებდი:

აფხაზეთზე იმ კაცს თვალი უჭირავს,
ის კაცია, ალბათ, თურქის თემის...
და მე ვყვირი: ჩემს სისხლს დალევს უწინამც!
და მე ვმღერი: აფხაზეთი ჩემი!

ცრემლსა და იმედს — გამთლიანების იმედს — გატანს საფლავში, მურმან, შენი აფხაზეთი... შენი რაჭა, შენი თბილისი, შენი, ვაი რომ, დაძიძგნილი საქართველო.

და ცრემლების ამ ზღვაში ჩემი ერთი კურცხალიც მიითვალე, პოეტო.

„ლიტერატურული საქართველო", 23 აგვისტო, 2002 წ.